ლ. დანელიშვილი, მ. მესხიშვილი

ᲘᲨᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ

მესამე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა

გამომცემლობა „ლეგა“
თბილისი 2010

წიგნში განმარტებულია ოთხი ათასი იურიდიული ტერმინი და გამოთქმა, სადაც მინიმალურადაა მოცემული თანამედროვე, როგორც ქართულ ისე უცხოური სამართლებრივი სისტემებისათვის დამახასიათებელი ტერმინები, მათგან უპირატესობა მიეცით იმ ტერმინებს, რომელიც უფრო მეტადაა გავრცელებული სამართლის ყველა დარგში (სისხლი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, შრომა, საფინანსო და სხვა) ე.ი. იხმარება არა ერთ, არამედ მრავალ სამართლებრივ სისტემაში.

გათვალისწინებულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისა და მასწავლებლის, ხელისუფლების წარმომადგენლობითი, აღმასრულებელი და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორები:

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი – გიორგი ნადარეიშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი – **ლ.ჭანტურია**

რეცენზენტები:

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი: **გ. თოდრია**

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი
დოცენტი:**ჰ. დაუთაშვილი**

ISBN 99940-786-7-4

© ლ. დანელიშვილი, მ. მესხიშვილი 2004

რედაქტორებისაგან

XIX საუკუნეში, კერძოდ 1885 წელს ოდესაში რუსულ ენაზე გამოიცა იაკობ გურლიანდის ნაშრომი „იურიდიული ლექსიკონი“, სადაც ახსნილი იყო ტერმინი და გამოთქმა სამართლის ყველა დარგიდან. ამ დროისათვის გერმანიაში უკვე დაბეჭდილი იყო ვაისკეს „რეალლექსიკონი“ თხუთმეტ ტომად.

ქართულ ენაზე მეცხრამეტე საუკუნეში იურიდიული ლექსიკონი საერთოდ არ დაბეჭდილა.

მეოცე საუკუნეში საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომები გამოქვეყნდა რუსულ-ქართულ იურიდიულ სფეროში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 1963 წელს პ.ქავთარაძის, დ.ფურცელაძის, გ.ყვანიას და თ.წერეთლის ავტორობით გამოცემული „რუსულ-ქართული იურიდიული ტერმინოლოგია“.

მოგვიანებით 2000 წელს გამოქვეყნდა ალ.შუშანაშვილის „იურიდიული ლექსიკონი“.

წინამდებარე ნაშრომში ფაქტობრივად არის გამოყენებული ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში და ალ.შუშანაშვილის „იურიდიულ ლექსიკონში“ მოთავსებული სამართლებრივი ხასიათის სტატიები და იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ახალი კანონმდებლობის სამოქმედოთ შემოღების გამო მოძველდნენ, მათში შეტანილია სათანადო ცვლილებები.

იმედი გვაქვს, რომ წინამდებარე ნაშრომი „იურიდიული ლექსიკონი“ ამ სახითაც გარკვეულ სამსახურს გაუწევს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებსა და მასწავლებლებს, ხელისუფლებას წარმომადგენლობითი, აღმასრულებელი და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებს და მთელ ქართულ საზოგადოებას.

ალ.შუშანაშვილის „იურიდიული ლექსიკონში“ განმარტებულია ათას ხუთასი იურიდიული ტერმინი. წინამდებარე წიგნში კი განმარტებულია ოთხი ათასამდე იურიდიული ტერმინი და გამოთქმა, რომელთა დიდი ნაწილი მოქმედი კანონმდებლობიდანაა ამღებული და დალაგებულია ანბანის მიხედვით.

პირობითი შემოკლებანი

სკ – საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
სსკ – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
სსსკ – საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
შკკ – საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი
ტკ – საქართველოს ტყის კოდექსი
სამ. საპ. კოდ. – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
ადმ. სამ. კოდ. – საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი
ზოგ. ადმ. კოდ. – საქართველოს ზოგადი ადმინისრაციული კოდექსი
ადმ. საპრ. კოდ. – საქართველოს ადმინისრაციული საპროცესო კოდექსი
საგ. კოდ. – საქართველოს საგადასახადო კოდექსი
საბ. კოდ. – საქართველოს საბაჟო კოდექსი
საზ. კოდ. – საქართველოს საზღვაო კოდექსი
საჰ. კოდ. – საქართველოს საჰაერო კოდექსი

წინასიტყვაობა

დღეს, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და როდესაც მიმდინარეობს სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სივრცის ფორმირება, საჭირო ხდება არა მარტო კანონშემოქმედებითი საქმიანობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იურიდიული ბაზის შექმნა, არამედ შესაბამისი ტერმინოლოგიის დადგენა და ქართულ ენაზე მათი გადმოტანა. ეს მით უფრო საშურია, რამდენადაც მეცნიერულად გამართული დახვეწილი და ამასთან ქართული ენის ნორმების შესატყვისი იურიდიული ტერმინოლოგიის გარეშე, პრაქტიკულად წარმოუდგენელია რაიმე კანონშემოქმედებაზე საუბარი. არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა სწორედ ტერმინთა შინაარსის დადგენის სირთულის გამო თავად კანონებიც ბუნდოვანი თუ ძნელად აღსაქმელია და სუბიექტური ინტერპრეტაციისათვის ნაყოფიერ ნიადაგსაც ქმნის. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რაოდენ მნიშვნელოვანია მშობლიურ ენაზე იურიდიულ ტერმინთა ლექსიკონის არსებობა.

იურიდიული ტერმინოლოგიის დადგენას დიდი ხნის წინ კერძოდ 1920 წ. ჩაეყარა საფუძველი, როცა გამოიცა „რუსულ-ქართული იურიდიული ლექსიკონი“, რომელიც 2300 სიტყვა გამოთქმებს შეიცავდა, მაგრამ მისი გამოყენება სიძველის გამო სულ მალე შეიზღუდა. შემდეგ ცნობილმა იურისტმა პეტრე ქავთარაძემ გააგრძელა ეს საქმე. მაგრამ მას არ დასცალდა მისი დასრულება, ხოლო 1963 წ. მეცნიერებათა აკადემიამ პროფესორ თ. წერეთლის რედაქტორობით გამოსცა იურიდიული ტერმინოლოგია, რომელიც დღევანდელ მოთხოვნებს ვეღარ პასუხობს. 2000 წ. ალ. შუშანაშვილის აეტორობით გამოვიდა წიგნი „იურიდიული ლექსიკონი“, რომელიც მოიცავს 1500 სიტყვას, რაც დღევანდელი მოთხოვნებისათვის ძალზე მცირეა.

წარმოდგენილი ნაშრომი „იურიდიული ლექსიკონი“, რომელიც მოიცავს 4000 სიტყვა-გამოთქმებს მინიმალურადაა მოცემული თანამედროვე, როგორც ქართულ ისე უცხოური სამართლებრივი სისტემებისათვის დამახასიათებელი ტერმინები. მათგან უპირატესობა მივანიჭეთ იმ ტერმინებს, რომელიც უფრო მეტადაა გავრცელებული სამართლის ყველა დარგში (სისხლი, სამოქალაქო, ადმინისტრაციული, შრომა, საფინანსო და სხვა) ე.ი. იხმარება არა ერთ, არამედ მრავალ სამართლებრივ სისტემაში.

ნაშრომის მიზანია იურიდიული ტერმინები შეძლებისდაგვარად წარმოვადგინოთ, თუმცა გასაგებია, რომ ტერმინოლოგიას არც შეიძლება ქონდეს ამ მხრივ სისრულის პრეტენზია.

რაც შეეხება იურიდიული ლექსიკონის გაუმჯობესების მიზნით გამოთქმული ყველა შენიშვნა და წინადადება გულდასმით იქნება განხილული და გათვალისწინებული შემდგომი გამოცემისათვის.

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი
დოცენტი – ლ. დანელიშვილი

ა

ᲐᲑᲝᲚᲘᲪᲘᲐ (ლათ. გაუქმება) – სამართლებრივი აქტის – კანონის გადაწყვეტილების ან თანამდებობის გაუქმება. ამჟამად აბოლიცია ნიშნავს სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას სასამართლო განაჩენის გამოტანამდე. ხვედრთან იხმარება ამნისტიისა და შეწყალების აქტებში.

ᲐᲑᲝᲚᲘᲪᲘᲝᲜᲘᲖᲛᲘ – საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც რაიმე კანონის გაუქმებას ისახავს მიზნად.

ᲐᲑᲝᲡ ᲡᲐᲖᲐᲪᲝ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ – (ტრაქტატი) – რუსეთ შვედეთის შორის სელმოწერილია 1743 წ. 7 აგვისტოს აბოში (ფინეთი) შვედეთის დამარცხების შემდეგ, რითაც მხარეები ვალდებულებას კისრულობდნენ არ შესულიყვნენ ერთმანეთთან სამხრო კავშირში.

ᲐᲑᲠᲝᲒᲐᲪᲘᲐ (ლათ. გაუქმება) – მოძველებული კანონის გაუქმება. ტერმინი ნასესხებია რომის სამართლიდან.

ᲐᲑᲡᲢᲔᲜᲪᲘᲝᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ (ლათ. თავშეკავება, ეარის თქმა, ბოიკოტისტები) – საპარლამენტო არჩევნებისაში ბოიკოტის გამოცხადების მომხრენი.

ᲐᲒᲔᲜᲢᲘ (ლათ. მოქმედი) – ვისიმე დავალებით მოქმედი პირი. ორგანიზაციის ან დაწესებულების წარმომადგენელი, რწმუნებული (საგაჭრო აგენტი, დასლეების აგენტი, პოლიციის აგენტი)

ᲐᲒᲔᲜᲢᲣᲠᲐ საერთო მიზნით მოქმედ აგენტთა ერთობლიობას აგენტურა ეწოდება.

ᲐᲒᲜᲐᲢᲔᲑᲘ (ლათ. მამით ნათესაები).

1) რომის სამართალში ოჯახის ყველა თავისუფალი წევრი, რომელიც მამის მხრივ ერთი წინაპრის სამომავალნი არიან, ემორჩილებოდნენ ოჯახის უფროსს. თორემეტი ტაბულის კანონების მისვლით გარდაცვლილთა ქონება აგნატებს რჩებოდათ.

2) გერმანელ ხალხთა სამართალში – მამის მხრივ სისხლით ნათესაები მამაკაცები.

ᲐᲒᲝᲠᲐ (ბერძ. მოედანი, ბაზარი) – სასალხო კრება ძველ საბერძნეთში. აღგილი, სადაც ეს კრება იმართებოდა.

ᲐᲒᲝᲠᲐᲜᲝᲛᲝᲡᲘ – „ბაზრის კანონმდებელი“ საგანგებო მოხელე ძვ. საბერძნეთში. ეკალებოდა საეკლესიებში წესრიგის დაცვა, საწონ-სახსომის შემოწმება, ბაეის აკრეჭა, საეკლესიო ხომალდების კონტროლი.

ᲐᲛᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ – საკანონმდებლო ურთიერთობათა, სახელმწიფო, მიწის საკუთრების, მიწით სარგებლობის, თუ საეროდ მიწათმოწყობის საკითხების მომწესრიგებელი კანონები.

აგრემანი (ფრანგ. თანხმობა) — სახელმწიფოს თანხმობა მიიღოს უცხო სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული პირი დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურად. აგრემანის გამოთხოვა და მიღება აუცილებლად წინ უსწრებს დიპლომატიური წარმომადგენლის დანიშვნას.

აგრესია (ლათ. თავდასხმა) — სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის თუ პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.

აგრესიის ცნება გულისხმობს მხოლოდ საერთაშორისო კონფლიქტს და არა შეიარაღებულ ბრძოლას სახელმწიფოში მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილებს შორის. გაეროს გენერალური ასამბლეის 1974 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციის მიხედვით: „აგრესია არის სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენება ან გაეროს წესდებასთან შეუთავსებელი სხვაგვარი მოქმედება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ.“ აგრესიის ნაღების ფაქტსა და აქტთან გამომდინარე, ოერიდოულ შედეგებს ადგენს გაეროს უშიშროების საბჭო. აგრესია არის უმძიმესი საერთაშორისო დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის უშიშროების წინააღმდეგ.

ადათი (არაბ. ადათ-ჩვეულება) — ჩვეულებითი სამართალი ისლამის აღმსარებელ ხალხებში. დაწერილი ნორმაა, რომელმაც საგალდებულო ძალა მოიპოვა სანგრძლივი და მრავალგზის გამოყენების შედეგად.

ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია — პოლიტიკური მანიფესტი, რომელიც საფრანგეთის დიდი რევოლუციის დასაწყისში (1789 წ. 26 აგვისტო) მიიღო დამფუძნებელთა კრებამ. დეკლარაციამ გამოაცხადა, რომ ადამიანები იბადებიან და რჩებიან თავისუფალნი და თანასწორუფლებიანნი.

ადამიანის უფლებათა პაქტები — „ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტი“ და „ადამიანის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა პაქტი“, რომლებიც 1966 მოიწონა და წევრ-სახელმწიფოებს ხელმოსაწერად შესთავაზა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, რითაც ხელმომწერ სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სასამართლო და სხვა ორგანოების ღონისძიებებით უზრუნველყონ პაქტში აღნიშნული უფლებებით სარგებლობა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია — გაეროს გენერალური ასამბლეის

მიერ 1948. მიღებული საერთაშორისო აქტი, რომელშიც გამოცხადებულია პიროვნების ძირითადი უფლებები, სახელდობრ: სიცოცხლის, თავისუფლებებისა და პირადი ხელშეუხებლობის, მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა, თავშესაფრის, მართლა-გამგეობაში მონაწილეობის, შრომის, დასვენების, განათლების და სხვა უფლებები.

ადგილზე დათვალიერება – სამოქალაქო პროცესში, სასამართლოს მიერ ნივთიერი ან წერილობითი მტკიცებულებების გაცნობა უშუალოდ ადგილზე, რადესაც მისი სასამართლოში წარდგენა შეუძლებელია ან მეტად ძნელია (მაგ. საცხოვრებელი სახლი), (სამ. საპ. კოდ., მუხლი 120–125).

ადგილობრივი თვითმმართველობა – საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" ნათქვამია, რომ კანონით დადგენილ საფუძვლებზე მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებული (ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები) უნდა გადაწყდეს მათ მიერ არჩეული ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება სოფელში, თემში, დაბასა და ქალაქში. ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დებულების მიღება, მასში ცვლილებების შეტანა და კონტროლი მათ შესრულებაზე. ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა. მიწათსარგებლობის საკითხების გადაწყვეტა, ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირება, შესრულება და ადგილობრივი სამსახურებისა და საწარმოების შექმნა კონტროლი და ლიკვიდაცია; კომუნალური მეურნეობა და ა.შ. (საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ, მუხ. 1–7).

ადგილობრივი მმართველობა – საქართველოში სახელმწიფო ალმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ურთიერთკოორდინირებული საქმიანობა ადგილობრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით სახელმწიფო ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად. ადგილობრივი მმართველობა ხორციელდება რაიონებსა და იმ ქალაქებში, რომლებიც არ შედიან რაიონის შემადგენლობაში (ბათუმი, რუსთავი, სოხუმი, ფოთი, ქუთაისი, ცხინვალი). ქ. თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის წესი განისაზღვრება ცალკე საკანონმდებლო

აქტით. ადგილობრივი მმართველობის ორგანოები წარმოადგენენ საჯარო სამართლებრივ იურიდიულ პირებს. ადგილობრივი მმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება: საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა; კონტროლი ადამიანთა უფლებებისა და კანონიერების დაცვაზე; ადგილობრივი ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა. ბუნებათსარგებლობა, გარემოს დაცვა ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა; მოსახლეობის სიცოცხლის დაცვა და დასაქმება; კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებათა განხორციელება (საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ. მუხ. 1–8).

ადეკვატური (ლათ. შეთანხმებული, შესაბამისი) – იგივეობრივი ჭეშმარიტების შესაბამისობას სინამდვილესთან.

ადეპტი (ლათ. მიღწეული) – ამა თუ იმ მოძღვრების, სექტის საიდუმლოების განსდობილი.

ადვოკატი (ლათ. ვიხმობ) – პირი, რომლის პროფესიაა – იურიდიული დახმარება გაუწიოს მოქალაქეს, სახელმწიფოს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას დაწესებულებას.

ადვოკატურა – ადვოკატურა ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის მიზანია დაიცვას მოქალაქეებისა და საწარმოდაწესებულებათა უფლებები და კანონიერი ინტერესები. საქართველოს ადვოკატურა შედგება საქართველოს ადვოკატთა კოლეგიისა და ავტონომიური რესპუბლიკების კოლეგიებისაგან. ადვოკატთა კოლეგიის უმაღლესი ორგანოა კოლეგიის წევრთა საერთო კრება (კონფერენცია), მისი აღმასრულებელი ორგანოა პრეზიდიუმი, ხოლო საკონტროლო-სარევიზიო ორგანო – სარევიზიო კომისია. რაიონებსა და ქალაქებში, იურიდიული კონსულტაციები.

ადმინისტრაცია (ლათ. მმართველობა) – სახელმწიფოს აღმასრულებელი ორგანოთა სისტემა და მათი საქმიანობა, რომელსაც უფლება აქვს დააწესოს შრომის რეჟიმი, მიიღოს და დაითხოვოს მუშა მოსამსახურეები, მასვე ეკისრება სისხლის სამართლებრივი, სამოქალაქო და დისციპლინური პასუხისმგებლობა ამ დაწესებულების საქმიანობისათვის.

ადმინისტრაციული აქტი – სახელმწიფო მმართველობის ორგანოს სამართლებრივი აქტი. ნორმატიული აქტისაგან განსხვავებით იგი შეიცავს ზოგად წესებს, არეგულირებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. (ზოგ.

ადმ. კოდ., მუხლი 2).

ადმინისტრაციული ბადაგდომა – მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება, რომელიც არღვევს სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილ საყოველთაოდ სავალდებულო წესებს და იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

ადმინისტრაციული ზედამხედველობა – სახელმწიფო მმართველობის სპეციალური ორგანოების ზედამხედველობა საწარმოო – დაწესებულებებზე, ორგანიზაციებსა თუ მოქალაქეებზე, იმის შესამოწმებლად, თუ როგორ სრულდება საგანგებოდ დადგენილი წესები.

ადმინისტრაციული იუსტიციის – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავის გადაწყვეტის განსაკუთრებული წესი – სახელმწიფო მმართველობის ორგანოს მოქმედებაზე შემოსული საჩივრის სასამართლო წესით განხილვა და ამ ორგანოთა დამაბალდებულებელი გადაწყვეტილების მიღება.

ადმინისტრაციული კოდექსი – საკანონმდებლო აქტი, რომელშიც ადმინისტრაციული სამართლის ნორმები დალაგებულია განსაზღვრული სისტემით – ამ დარგის საერთო პრინციპებისა და სამართლებრივი ინსტიტუტების მიხედვით და რომელშიაც თავმოყრილია ნორმები, რომლებიც ეხება ადმინისტრაციული აქტების, ადმინისტრაციული სამოქმედების ლონისძიებებს. ადმინისტრაციული კოდექსი მიღებულია 1999 წ. 25 ივნისს და ამოქმედდა 2000 წ. 1 იანვრიდან. კოდექსი შედგება 17 თავისა და 220 მუხლისაგან.

ადმინისტრაციული კომისია – კოლეგიური ორგანო, რომელსაც ევალება ადმინისტრაციული გადაცდომის საქმეთა განხილვა.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა – მოქალაქის ან თანამდებობის პირის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს წინაშე ადმინისტრაციული გადაცდომისათვის.

ადმინისტრაციული სამართალი – ისეთ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფო მმართველობის პროცესში წარმოქმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ადმინისტრაციული სამართლის ნორმები განსაზღვრავენ, აგრეთვე, მოქალაქეების, სახელმწიფო მოხელეებისა და თანამდებობის პირთა უფლებამოსილებას, აწესებენ პასუხისმგებლობის ზომებს მათი დარღვევისათვის.

ადმინისტრაციული სახდელი – ადმინისტრაციული სახდელი, ადმინისტრაციული იძულების ერთ-ერთი სახე, რომელ-

საც იყენებენ ადმინისტრაციული გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ. ადმინისტრაციული სახდელის სახეებია: გაფრთხილება; ჯარიმა; იმ საგნის სასჯელით ჩამორთმევა ან კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღს ან უშუალო ობიექტს წარმოადგენდა; მოქალაქისათვის მინიჭებული სპეციალური უფლების ჩამორთმევა; გამასწორებელი სამუშაოები, ადმინისტრაციული პატიმრობა.

საგნების სასჯელით ჩამორთმევა და კონფისკაცია შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელის სახით, ხოლო გაფრთხილება, ჯარიმა, სპეციალური უფლების ჩამორთმევა, ადმინისტრაციული პატიმრობა, როგორც ძირითადი ადმინისტრაციული სახდელი. (ადმ. სამ. კოდ., მუხ. 23–25)

ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალი – საწარმო ან დაწესებულების ადმინისტრაციული და ფუნქციონალური სამსახურის მუშაკები (დირექტორი, მმართველი, ბუსჰალტერიის მუშაკები), რომლებიც მათზე დაკისრებულ სამუშაოს მხოლოდ უშუალოდ არ მონაწილეობენ საწარმოო საქმიანობაში.

ადმინისტრაციულ-საპროცესო სამართალი – ისეთი სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფო მმართველობასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტისას წარმოქმნილ სახოგადოებრივ ურთიერთობებს.

ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, აგრეთვე ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი.

ადმინისტრაციული გარიგება – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება.

ადმინისტრაციული საჩივარი – დაინტერესებული მხარის მიერ კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით, იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინის-

ტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შესახებ.

ადმინისტრაციული წარმოება – ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, აგრეთვე ადმინისტრაციული სანივთის გადაწყვეტის მიზნით.

ადმინისტრირება –

1) მმართველობა, გამგეობა;

2) მართვა ფორმალურად, ბიუროკრატიულად მხოლოდ ბრძანებებით და განკარგულებებით, კონკრეტული ხელმძღვანელობის, საქმის ცოდნისა და ახსნა-განმარტებითი მუშაობის გარეშე.

ავანსი – ყულადი თანხები, რომლებიც გაიცემა წინასწარ, შემდგომი გადახდების ანგარიშში საქონლის მოწოდებისათვის, მომსახურებისათვის, სამუშაოთა შესრულებისათვის. მისი ოდენობა შეადგენს საერთო თანხის 10–15%. ხელშეკრულების შესრულებისას ავანსი ჩაითვლება საბოლოო გადახდის ანგარიშში. ავანსი, ისევე როგორც ბე. გვცვლისება ხელშეკრულების დადების დამამტკიცებელ საშუალებად. მაგრამ ბესგან განსხვავებით ავანსი არ წარმოადგენს ხელშეკრულების რეალური შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, რადგანაც ვალდებულების შეუსრულებლობისას ავანსი უბრალოდ დაბრუნებას ექვემდებარება.

ნებისმიერი წინასწარი გადახდა ითვლება ავანსად, თუ ხელშეკრულებაში არ იქნება მითითებული, რომ ეს არის ბე.

საერთაშორისო ვაჭრობაში ძირადღირებული დანადგარებით, სოფლის მეურნეობის ნაწარმის ავანსი გავრცელებულია, როგორც იმპორტიორების მიერ ექსპორტიორთა დაკრედიტების ფორმა. (სკ., მუხ. 717, 745).

ავანტიურა (ფრანგ. თავგადასავალი) – ჩვეულებრივ საძრახისი, უბერსპექტივო, შემთხვევითი წარმატების იმედით წამოწყებული საქმე.

ავანგარდი (ფრანგ. მეწინავე რაზმი) – სამხედრო ჯარის ან ფლოტის დამცველი ნაწილი. ლაშქრობაში წინ უძღვის მთავარ ძალებს. მისი ამოცანაა, აარიდოს მთავარ ძალებს მოწინააღმდეგის მოულოდნელი თავდასხმა, შეუქმნას ჯარს (ფლოტს) გაშლისა და ბრძოლაში ჩაბმის ხელსაყრელი პირობები.

ავტონომია (ბერძ. თვითმმართველობა, დამოუკიდებლობა) – სუვერენული სახელმწიფოს ერთი ნაწილის განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობა – თვითმმართველობის,

სახელმწიფო საკითხთა დამოუკიდებელი გადაწყვეტის უფლება.

ავტონომიური ეთიკა – ნორმატიული ეთიკა, რომელსაც მორალური პრინციპები გამოჰყავს ხნეობის შინაგანი კანონებიდან.

ავტორიტარიზმი (ლათ. ძალაუფლება, ხელგაშლილობა) – ანტიდემოკრატიული რეჟიმი, რომელიც ქმნის ხელისუფლების სათავეში მდგომი პირის ავტორიტეტს და მისდამი უსიტყვო მორჩილებას მოითხოვს. ავტორიტარულ სახელმწიფოში, შეზღუდული მოცულობით, მაგრამ მაინც ფუნქციონირებს სამართლებრივი ინსტიტუტები, დაცულია კანონიერება და მართლწესრიგი, თუმცა პირადი დიქტატურის ელემენტებიც საკმაოდ ძლიერადაა წარმოდგენილი.

ავტორიტეტი (გერმ. ძალაუფლება, გავლენა) – ძალა, რომელსაც ნებაყოფლობით ემორჩილება მის სისწორესა და სამართლიანობაში დარწმუნებული პიროვნება.

ავშარი (ფრანგ. ქონება, ფულადი თანხა, ნაკი, აკრედიტივი, თამასუქი), რომელთა სარჯაც მფლობელს შეუძლია გადასახადის გადახდა ან ვალდებულებათა განაღდება.

აზატები – (სპარს. აზად – თავისუფლება) – საშუალო და ეკრიალი მიწათმფლობელები, გაბატონებული კლასის ყველაზე მრავალრიცხოვანი სოციალური ფენა.

აზროვნების კანონები – კორექტული, გამართული, წესიერი, სწორი ბუნების ძირითადი ლოგიკური კანონები.

ათაბაგი (თურქ. მამა, ბატონი) – სელჩუკთა სახელმწიფოში, სულთნის მემკვიდრის აღმზრდელი და მეურვე, ათაბაგობა საქართველოში შემოიღო თამარ მეფემ. დასაწყისი იყო ათაბაგობის თანამდებობის შეთავსება ამირსპასალარობასთან.

აკლება – ქართული ფეოდალური სამართლის მიხედვით – დანაშაულის სახე, რიცა ფეოდალები ერთმანეთს მიუსდებოდნენ, მამულს ეცილებოდნენ და ყმებს უწითკებდნენ.

აკრედიტება – (ფრანგ.) – 1) უცხო სახელმწიფოში ამა თუ იმ პირის დიპლომატიურ წარმომადგენლად დანიშნისა და იქ მისი ეფექტიანობის ცნობის პროცესი. 2) დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურის, ან სამთავრობათაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციასთან სახელმწიფოს წარმომადგენლობის დანიშნის პროცესი, რაც ასეთი ეფექტიანობის შესახებ შესაბამისი აქტის ჩაბარებასაც მოიცავს.

აკრედიტივი (გერმ. სანდო, სარწმუნო) – 1) სახელობითი დოკუმენტი (ფასიანი ქაღალდი), რომელიც უფლებას აძლევს ამა თუ იმ პირს, მიიღოს საკრედიტო და-

წესებულებისაგან (ბანკი, შემნახველო სალარო) აკრედიტივში აღნიშნული თანხა.. აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მომცემის) თხოვნითა და განკარგულებით, მითითებულ დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა, ან გაანაღდოს რემიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი, მოახდინოს აქცეპტი, ანდა დაიაღლოს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელება, თუ შესრულდა საკრედიტო პირობები. აკრედიტივი ორგანიზაციათა შორის უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმაა.

ბანკის მიერ კლიენტის დავალებით მისი კონტრაგენტის სასარგებლოდ ხელშეკრულების თანახმად გაცემული ფულადი ვალდებულება, რომლის მიხედვითაც აკრედიტივის გამხსნელ ბანკს შეუძლია მიმწოდებელს გადაუხადოს ან სხვა ბანკს მიანიჭოს ასეთი გადახდის უფლებამოსილება აკრედიტივში გათვალისწინებული საბუთების წარმდგენის პირობით. აგრეთვე აკრედიტივის სხვა პირობების შესრულების შემთხვევაში. (სკ., მუხ. 876).

აპრძალული რეწვა – ნაკეთობის, მასალისა და პროდუქტის დამზადება-გადამუშავება თუ შენახვა – ისჯება ადმინისტრაციული სამართლით, განმეორების შემთხვევაში სისხლის სამართლით.

„აპტი გონიური“ – 1832 ქართველ თავადაზნაურთა შეიქმნების წესდება. შედგინა ფილადელფოს კიხაძემ. წესდებაში ჩამოყალიბებული იყო ორგანიზაციის მიზანდასახულობა, წევრთა მიღების წესი, შეიქმნელთა შორის დამოკიდებულების ნორმები, საიდუმლოების დაცვის ხერხი.

აპრეცია – სახელმწიფოს ტერიტორიის გაფართოება ახლად შექმნილი სახელმწიფო ნაკვეთებით. აპრეციას წარმოადგენს, აგრეთვე, ტერიტორიული წესების ფარგლებში ახალი კონსტრუქციის წარმოქმნა. ორივე შემთხვევაში სახელმწიფოს სასამღვრეთო ტერიტორიის გაფართოებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ტერიტორიული წესების გარე საზღვრების გადაადგილებაზე, თუ კი ათვლის საწყისი შეიცვალა.

ალემანთა სამართალი – ბარბაროსული სამართლის ძეგლი. (შედგენილი VI–VIII საუკუნეებში).

ალიბი (ლათ. სხვაგან) – უდანაშაულობის მტკიცებულება, რომელიც იმას ემყარება, რომ ბრალდებული ან ეჭვმიტანილი დანაშაულის ჩადენის მომენტში იმყოფებოდა არა იქ, სადაც დანა-

შაცლია ჩადენილი, არამედ სხვა ადგილას. ლაპარაკია დანაშაულის ამსრულებელზე, თორემ დანაშაულის ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე, შესაძლოა დანაშაულის ჩადენის მომენტში დანაშაულის ჩადენის ადგილას არ იმყოფებოდნენ, მაგრამ ეს არ გამორიცხავს მათ თანამონაწილეობას.

ალიმენტი (ლათ. კვება, რჩენა, კმაყოფა) – რჩენის სახსრები. სააღიმენტო ვალდებულების საფუძველს წარმოადგენს საოჯახო ურთიერთობები – ქორწინება, შვილად აყვანა და სხვა. ალიმენტის მიღების უფლება აქვს პირველ რიგში არასრულწლოვან ბავშვებს, რიგ შემთხვევებში კი ოჯახის მოსრდილ, შრომის უუნარო წევრებსაც. ბავშვებზე ალიმენტს ისდიან პირველ რიგში მშობლები (მშვილებლები), ხოლო მათი სიკვდილის შემთხვევაში ოჯახის სხვა წევრები (ბაბუა, ბებია, მოსრდილი და-ძმები და ა.შ.). – ე.წ. ფაქტიური ალიმენტები არასრულწლოვანი ან სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით. თუ მშობლებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დაცას გადაწყვეტს სასამართლო. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალური მატერიალური მდგომარეობა.

სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილებიც აგრეთვე მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მშობელს ჩამორთმეული ჰქონდა მშობლის უფლება, ან სასამართლო დაადგენს, რომ მშობლები თავს არიდებდნენ მშობლის მოვალეობის შესრულებას. (სკ., მუხ. 1212, 1214).

ალტერნატი (ფრანგ. რიგრიგობითი, მონაცვლეობითი) – საერთაშორისო სელშეკრულების შედგენისა და ხელმოწერის წესი.

ალტერნატივა (ფრანგ. მონაცვლეობა) – ორი ერთმანეთისაგან გამორიცხავი შესაძლებლობისაგან – ერთ-ერთის არჩევის აუცილებლობა.

ალტერნატიული ვალდებულება – სამოქალაქო – სამართლებრივი ვალდებულება, რომლის თანახმად მოვალემ კრედიტორის სასარგებლოდ უნდა შეასრულოს ერთ-ერთი მოქმედება, ორი ან რამდენიმე განსაზღვრული მოქმედებისაგან. ალტერნატიული ვალდებულების შესრულებისას მოქმედების არჩევანი მოვალეს ეკუთვნის, „თუ კანონის, ხელშეკრულების ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ

გამომდინარეობს". (სკ., მუხ. 374).

ამბიცია (ლათ. პატივმოყვარეობა, ქედმაღლობა, ამპარტავნობა).

ამნისტია (ბერძ. მიტევება, მივიწყება) – სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს განსაკუთრებული აქტი, რომელიც დანაშაულის ჩამდენ პირს მთლიანად ან ნაწილობრივ ათავისუფლებს სასჯელისაგან, ან უფრო სხვა მსუბუქი სასჯელით უცვლის. საქართველოში ამნისტიას აცხადებს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა მიმართ. ამნისტიის აქტით სასჯელმოხდილს შეიძლება მოეხსნას ნასამართლობაც. (სსკ., მუხ. 77).

ამომრჩეველთა განაწესი – საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინადადებები პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და სამეურნეო საკითხებზე, რომელთა განხორციელებისათვის უნდა იზრუნოს მათმა დეპუტატმა.

ამონაგები – პროდუქციის რეალიზაციიდან, პროდუქციის გაყიდვით მიღებული თანხა, რომლის სიდიდე დამოკიდებულია რეალიზებული პროდუქციის რაოდენობაზე, ასორტიმენტზე, ხარისხსა და ფასზე.

ამორალიზმი (ბერძ.) – ნიჰილისტური დამოკიდებულება მორალისადმი. ამართლებს პიროვნების ყოველგვარ უზნეო საქციელს. მისი გამოვლენის ფორმებია: ცინიზმი, კაცობრიობულეობა, ეგოიზმი, უპრინციპობა.

ამოცნობა (სამართ.) – საგამოძიებო მოქმედება. ამომცნობი-სათვის ამა თუ იმ პირის ან საგნის წარდგენა იმ მიზნით, რომ დადგინდეს დანაშაულის გამოძიებისათვის მნიშვნელოვანი საკითხი. ამომცნობი შეიძლება იყოს მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი ან ბრალდებული, რომლებიც ამოსაცნობად წარდგენამდე უნდა დაიკითხონ იმის შესახებ, თუ რა ნიშნებით შეუძლიათ პირის ან საგნის ამოცნობა. ამომცნობს ამოსაცნობი პირი უნდა წარედგინოს სამ ისეთ პირთან ერთად, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად არ განსხვავდებიან გარეგნობითა და ტანსაცმლით. ამოსაცნობად წარდგენა ტარდება დამსწრეთა მონაწილეობით და აისახება ოქმში. (სსსკ., მუხ. 347).

ამსრულებლის ექსცესი – ამსრულებლის ექსცესი ნიშნავს ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენას, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანაამსრულებლის **ან** თანამონაწილის განზრახვა.

ამსრულებლის ექსცესისათვის სხვა თანაამსრულებელს **ან თანამონაწილეს** სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა **არ** დაეკისრება. (სსკ. მუხ. 26).

ამხანაგობა – ორი ან მეტი

პირის გაერთიანება სამეურნეო მიზნით ხელშეკრულების ან წესდების საფუძველზე.

ამხანაგური სასამართლო – არჩევითი საზოგადოებრივი ორგანო, რომლის ძირითადი ამოცანა იყო დარწმუნებისა და საზოგადოებრივი სემოქმედების მეშვეობით აღკვეთა ანტისაზოგადოებრივი ქმედება. ჩაენერგა მოქალაქისათვის შრომისა და თანაცხოვრების პატივისცემა.

ანათემა (ბერძ. დაწყევლა) – განკვეთა, შეჩვენება. ქართულ ეკლესიაში იხმარებოდა შესატყვისად „შერისხვა“.

ანალიზი (ბერძ. გახსნა, დაშლა) – საგნის აზრობრივი დაშლა შემადგენელ ნაწილებად. იგი სინამდვილის კვლევის მეთოდია, ამზადებს იმის პირობებს, რომ მიუაგნოთ საგნის არსებას, კანონს, ერთეულიდან გადავიდეთ ზოგადზე.

ანალოგია სამართალში – სასამართლოს მიერ კანონით გათვალისწინებული შემთხვევის განხილვა მსგავსი შემთხვევის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმის მიყენებით (კანონის ანალოგია) ან კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების მიხედვით, აგრეთვე სამართლიანობის, კეთილსინდისიერებისა და ზნეობის მოთხოვნების საფუძველზე (სამართლის ანალოგია). (სკ. მუხ. 5).

ანარქიზმი (ბერძ. უხელისუფლებობა) – საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს სახელმწიფო ხელისუფლების ყოველგვარ ფორმას.

ანგლოსაქსთა სამართალი – ბარბაროსთა სამართლის წიგნები. იგულისხმება 601–925 წლებში დაწერილი სამართლის წიგნები ძველ ინგლისურ ენაზე.

ანდერძი – მოქალაქის განკარგულება იმის თაობაზე, თუ ვის უტოვებს იგი ქონებას სიკვდილის შემთხვევაში. დოკუმენტი, რომელიც ასეთ განკარგულებას შეიცავს. მოანდერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონიერულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. (სკ., მუხ. 1344, 1345).

ანექსია (ლათ. შეერთება) – სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის ძალდატანებითი შეერთება (მიტაცება).

ანთროპოლოგიური სკოლა – სისხლის სამართალში, სისხლის სამართლის ბურჟუაზიული მეცნიერების ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც დანაშაულის მიზეზს ადამიანის ბიოფიზიკურ თვისებებში ეძებს; რომლის წარმომადგენელიც არის იტალიელი ჩეზარე ლომბრო-

ზე. ანთროპოლოგიური სკოლის წარმომადგენლებს, დანაშაული ისეთივე ბუნებრივ მოვლენად მიაჩნიათ, როგორც, მაგალითად, დაბადება და სიკვდილი. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ზოგი ადამიანი იბადება დამნაშავედ და მისი გამოსწორება არ შეიძლება. ასეთი ადამიანების გამოცნობა შეიძლება ანთროპოლოგიური ნიშნებით, როგორიცაა აღნაგობა, სახე და თავის ქალის ფორმა, და მათ მიმართ უნდა გატარდეს უსაფრთხოების ღონისძიებანი: სიკვდილით დასჯა, სამუდამო პატიმრობა, გადასახლება, თუნდაც დანაშაული ჯერ არ ჩადენილი.

ᲐᲜᲝᲛᲐᲚᲘᲐ (ბერძ. უწესიერობა) – საერთო წესისაგან, ნორმისაგან გადახვევა, კანონსომიერების დარღვევა.

ᲐᲜᲝᲛᲘᲐ (ბერძ. უკანონობა) – სოციოლოგიისა და კრიმინოლოგიის მიხედვით ისეთი სოციალური ვითარება, როცა სამართლის თუ სხვა ნორმები ვეღარ განსაზღვრავენ ადამიანთა ქცევას.

ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲙᲠᲔᲓᲘᲢᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐ – უნაღდფულო ანგარიშსწორების – ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც იყენებენ ბანკები ურთ გადამხდელებზე.

ᲐᲞᲔᲚᲐᲪᲘᲐ (ლათ. მიმართვა, საჩივარი) – სასამართლოს, განაჩენის ან გადაწყვეტილების გასაჩივრება ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში, რაც საქმის არსებით გადასინჯვას იწვევს. სააპელაციო წესით გადასინჯვისას სასამართლო არსებითად იხილავს საქმეს და გამოაქვს ახალი განაჩენი თუ გადაწყვეტილება. სააპელაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვს სამოქალაქო საქმეზე მხარეებსა და მესამე პირებს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეზე – სახელმწიფო ბრალმდებელს, ზემდგომ პროკურორს, დაზარალებულს, განსასჯელს, დამცველს და დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელს. სამოქალაქო მოსარჩლეს, სამოქალაქო მოპასუხეს და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ მხოლოდ სარჩელის საფუძვლისა და თანხის ნაწილში. სისხლის სამართლის საქმეზე სააპელაციო გასაჩივრების ვადაა 14 დღე, ხოლო სამოქალაქო საქმეზე ერთი თვე. (სსსკ., მუხლი 517–536; სამ. საპრ. კოდ., მუხლი 364–371).

ᲐᲞᲝᲓᲔᲘᲥᲢᲘᲙᲐ (ბერძ. სარწმუნო, დამაჯერებელი) მკაცრად დასაბუთებული, ჭეშმარიტი – აბსოლუტურად სარწმუნო მეცნიერული ცოდნა. უპირისპირდება შეხედულებას, ალბათური ბუნების მქონე ცოდნას.

ᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲝᲑᲐ (ბერძ. უარყოფითი, პასიური გულგრილი დამოკიდებულება) – საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხ-

ოერების მიმართ ცალკეული პიროვნების პროტესტის გამოხატულება, იგი ქადაგებს სამართლისა და სახელმწიფოს „სეკლასობრიობას“.

ᲐᲞᲝᲚᲝᲒᲘᲐ (ბერძ. დაცვა) – ვისიმე ან რისიმე დაცვა, გამართლება, გამოსარჩლება (სეპირად ან წერილობით).

ᲐᲞᲠᲝᲑᲐᲪᲘᲐ – (ლათ. აღიარება, მოწონება) დადასტურება წინასწარი შემოწმების შემდეგ.

ᲐᲞᲠᲝᲑᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ – ანუ სნეობრივი სანქციის თეორია. მორალის თეორია, რომელიც მორალურ ცნებათა წარმოშობასა და დაფუძნებას ავტორიტეტს მიაწერს. მორალის ამგვარი გაგება მორალური ავტორიტარიზმის თეორიის გამოხატულებაა.

ᲐᲠᲐᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ – საერთაშორისო შეთანხმება, რასაც ძლიერი იმპერიალისტური სახელმწიფო თავს ახვევს სუსტ სახელმწიფოს „დახმარების“ საბაბით. იგი ეწინააღმდეგება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს, კერძოდ სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპს.

ᲐᲠᲐᲛᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲐ – არასაწარმოო სფეროში დასაქმებულ ადამიანთა საზოგადოებრიეად სასარგებლო შრომა, რომელიც გამოიხატება სხვადასხვა სახის მომსახურებაში მთელი სახელმწიფო აპარატის, თავდაცვის, სასამართლოს, პროკურატურის და სხვა მუშაკთა შრომა.

ᲐᲠᲐᲡᲐᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲝ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ – სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსაველის ერთ-ერთი სახეობა.

ᲐᲠᲐᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲡᲤᲔᲠᲝ – საზოგადოებრივი შრომის ის დარგები, რომლებიც არ ქმნიან მატერიალურ დოვლათს და რომელთა დანიშნულებაა არასაწარმოო ხასიათის მომსახურება. არასაწარმოო სფერო აერთიანებს სახელმწიფო მმართველობისა და თავდაცვის ორგანოებს, სასამართლოსა და პროკურატურას და სხვა.

ᲐᲠᲐᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲤᲝᲜᲓᲔᲑᲘ – სახალხო მეურნეობის ძირითადი ფონდების ნაწილი – ხანგრძლივი – სარგებლობის საგნები, რომლებიც ემსახურებიან არასაწარმოო სფეროს ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს. მაგ. სახელმწიფო მმართველობის, ქვეყნის თავდაცვისა და ა.შ.

ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ – „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-80 მუხლი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან გათავისუფლებისას არასრულ-

წლოვნად თვლის იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი, მაგრამ არ შესრულებია თერამეტი წელი". ამ ასაკში ნაკლებად მძიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისათვის, მსჯავრდებული არასრულწლოვანი სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სასჯელისაგან ამავე კოდექსის 91-ე მუხლით გათვალისწინებული აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით. იძულებითი ზემოქმედების აღსრულების მიქცევა კი ხორციელდება პირველ რიგში შსს არასრულწლოვანთა ინსპექციის და მეორე რიგში ამავდროულად არასრულწლოვანთა ინსპექციის მიერ, რომელიც სააღსრულებლო ბიუროსთან ერთად ახორციელებს ასეთი სამართალდამღერევი არასრულწლოვანის მხრიდან დანაშაულის პროფილაქტიკას.

არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) – არასრულწლოვანის ყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება შეილად აყვანის მიზნით, ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე. უფრო მკაცრად ისჯება იგივე ქმედება, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში: არა ერთგზის, ორი ან მეტი არასრულწლოვანის მიმართ, ჯგუფურად და ა.შ. (სსკ. მუხ. 172).

არასრულწლოვანთა დანაშაული – საზოგადოებრივად საშიში მართალსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომელსაც კანონი სასჯელით ემუქრება.

არასრულწლოვანთა შრომა – 18 წლის ასაკამდე მოზარდთა შრომა, რასაც აწესრიგებს სპეციალური სამართლებრივი ნორმები.

არასრულწლოვანი – პირი, რომელსაც ჯერ არ მიუღწევია სრული ქმედუნარიანობის ასაკისათვის. ასეთად ითვლება 18 წლის ასაკს მიუღწეველი პირი.

არასრულწლოვანის გარყვნა – განზრახი მოქმედება, რომელიც არღვევს არასრულწლოვანის სქესობრივ ხელშეუხებლობას. (სსკ. მუხ. 138; 140; 141; 171).

არაქმედუნარიანობა – მოქალაქე, რომელსაც სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა, ან გაუძღვეს მას, სასამართლოს შეუძლია აღიაროს არაქმედუნარიანად. მასზე დაწესდება მეურვეობა. (სკ. მუხ. 12).

არბიტრი (ლათ.) – შეამავალი, მოსამართლე, სამედიატორო წესით დაცის გადაწყვეტის დროს.

არბიტრაჟი – დაცის გადაწყვეტა არასასამართლო ორგანოს, არამედ მოდავე მხარეთა შეთ-

ანხმებით არჩეული ან კანონით გათვალისწინებული წესით დანიშნული შუამავლის (არბიტრის) მიერ. აგრეთვე სპეციალური ორგანო, რომელიც დავას წყვეტს არბიტრაჟის წესით.

არბიტრაჟი საუწყებო – წყვეტდა დავას ერთი და იმავე სამინისტროს ან უწყებისადმი დაქვემდებარებულ საწარმოსა და ორგანიზაციებს შორის, რომლის მიზანი იყო დაეცვა სახელშეკრულებო დისციპლინა.

არბიტრაჟი სახელმწიფო – იყო სპეციალური ორგანო, რომელიც წყვეტდა ორგანიზაციებს შორის წარმოშობილ სამეურნეო დავას. აგრეთვე სამინისტროების ან უწყებებისადმი დაქვემდებარებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეურნეო და წინასახელშეკრულებო დავას.

საქართველოში ასეთი სასამართლო აღარ არსებობს და აღნიშნულ დავებს საეროო სასამართლოები იხილავენ. ხშირად არბიტრაჟს უწოდებენ სამოქალაქო დავების გადასაწყვეტად მხარეების მიერ არჩეულ თუ დანიშნულ სამედიატორო სასამართლოს.

არაბულ სახელმწიფოთა ლიგა – საერთაშორისო რეგიონალური ორგანიზაცია, შეიქმნა 1945 წ. 22 მარტს კაიროს კონფერენციაზე. მის წესდებას (აქტს) ხელი მოაწერა 6 არაბულმა სახელმწიფომ.

არქოპაბი (ბერძ.) – 1) ხელისუფლების ორგანო ძველ ათენში. წარმოიშვა ძველ ათენში გვაროვნული წესწყობილების ეპოქაში უხუცესთა საბჭოს სახით. იგი ძირითადად სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას ახორციელებდა. არეოპაგი იკრიბებოდა აკროპოლის მახლობლად, არესის ბორცვზე და მისი სახელწოდებაც აქედან გამომდინარეობს. 2) საბერძნეთის უსჯნაესი სასამართლოს სახელწოდება.

არზა – (არაბ.-სპარს.) ხელისუფლებისადმი მიმართული წერილობითი თხოვნა თუ სჩივარი ფეოდალურ საქართველოში.

არზანები – (სპარს. არზანი – პატივი, ღირსება, ფასი) – ფეოდალურ საქართველოში პატივი, რომელსაც ღირსებისამებრ მიაგებდნენ ამა თუ იმ პირს.

არმენოპულოსის „ექვსწიგნეული“ – კანონთა სახელმძღვანელო, ბიზანტიური სამართლის კრებული, რომელიც შეადგინა კონსტანტინე არმენოპულოსმა 1345, რომლის წყაროცაა ბიზანტიური კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა.

არქე – (ბერძნ.) მმართველობა, ბატონობა, მეთაურობა

არქეოგრაფია – (ბერძნ.) დამხმარე საისტორიო დისციპლინა,

რომელიც ადგენს წერილობითი წყაროების მეცნიერული აღწერისა და გამოცემის პრინციპებს.

არქეოლოგიური განძი – რაიმე მიზნით დამალული, უპირატესად მიწაში დაფლული ნივთები, რომლებიც თავისი დროისათვის მატერიალურ ფასეულობას წარმოადგენდნენ, სვენოვის კი, უპირველეს ყოვლისა, ისტორიულ წყაროს მიშენელობა აქვთ.

არცოდნის ცოდნა – ცოდნა, ცოდნის არსებობის შესახებ – შუალედური მდგომარეობა არცოდნასა და ნამდვილ ცოდნას შორის.

არჩევნები – ხელისუფლების წარმომადგენელთა, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოთა არჩევის პროცედურა, საარჩევნო უფლება, ხმის მიცემა. არჩევნები შეიძლება იყოს საყოველთაო, რომლის ჩატარების წესი და პრინციპები დადგენილია საქართველოს კონსტიტუციით და ნაწილობრივი, საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი, მორიგი და რიგგარეშე, პარტიული და უპარტიო, ძირითადი და დამატებითი, პირდაპირი და არაპირდაპირი.

ასაკი – სამართალში განსაზღვრული წლოვანება, რომლის მიღწევასთან კანონით დაკავშირებულია პიროვნების უფლება-მოვალეობათა წარმოშობა.

ასამბლეა (ფრანგ.) – საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივი ორგანიზაციის სახელმძღვანელო ორგანო; მაგ. გაერო (გაეროს გენერალური ასამბლეა).

ასასი (არაბ. დარაჯი, მოთვალთვალე) – საპოლიციო უფლებების მქონე მოხელე ფეოდალურ საქართველოში, თვალყურს ადევნებდა წესრიგს ქალაქში, დარაჯობდა ღამით მომხდარ ბოროტმოქმედებას.

ასიგნება – სახელმწიფო ბიუჯეტიდან განსაზღვრული ფულადი თანხის გამოყოფა დამტკიცებული ხარჯების გასაწევად.

ასორტიმენტი (ფრანგ. შერჩევა, კომპლექტი) – პროდუქციის ცალკეულ სახეობათა, ნაკეთობების შედგენილობა და ურთიერთშეფარდება საწარმოსა ან სახალხო მეურნეობის დარგის მიერ წარმოებულ მთელ პროდუქციაში ანდა საქონლის ამა თუ იმ ჯგუფში.

ასოციაცია (ფრანგ. ვაერთებ ვაკავშირებ) – გაერთიანება, კავშირი ცალკეულ პირთა ან ორგანიზაციათა შორის პოლიტიკური, სამეცნიერო, კულტურის ან სხვა მიზნით.

ასპექტი (ლათ. შეხედულება) – თვალსაზრისი, რითაც განიხილება ესა თუ ის საგანი, მოვლენა, ცნება, პერსპექტივა.

ასპირანტი (ლათ. რამისკენ სწრაფვა, ლტოლვა) – პირი, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში სამეცნიერო მუშა-

ობისათვის, დისერტაციის დაცვისთვის, მეცნიერული კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

ასურული კანონები – ძველი აღმოსავლური სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლები. დღეისათვის ცნობილია ძველი და შუა ხანის ასურული კანონები. (ქრისტეს შობამდე მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარი). განსაკუთრებული ყურდღება ეთმობოდა საოჯახო სამართლის საკითხებს.

ატამანი – არარეგულარული, სახელმწიფო ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი სამხედრო რაზმის ან ჯგუფის ხელმძღვანელი – მაგ. ყაჩაღთა ბრბოს ხელმძღვანელი.

ატაშე (ფრანგ. მიმაგრებული) – ყველაზე დაბალი დიპლომატიური რანგი, რასაც საგარეო საქმეთა უწყების მეთაური ანიჭებს ამ უწყების დიპლომატიური წარმომადგენლობის თანამშრომელს. მაგ. სამხედრო ატაშე.

ატესტატი (ლათ. ვემოწმები, ვადასტურებ) – ამა თუ იმ იურიდიული ფაქტის დასამოწმებლად გაცემული ოფიციალური დოკუმენტი.

ატესტაცია (ლათ. მოწმობა) – მუშაკის, თუ მასწავლებლის კვალიფიკაციის ან ცოდნის დონის განსაზღვრა. მისი ნიჭისა და უნარის, მისი საქმიანი და სხვა თვისებების შეფასება, იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად შეეფერება იგი თავისი კვალიფიკაციის თანამდებობას. (საქ. 1997წ. 31 ოქტომბრის კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, მუხლი 81)

ატიმია (ბერძ. პატივაყრილობა) – ძვ. საბერძნეთში მოქალაქეების უფლების მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამორთმევა.

ატომური კანონმდებლობა – იმ სამართლებრივი ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებენ ატომური ენერგიის წარმოება-გამოყენების სფეროში წარმოშობილ ურთიერთობას.

ატორნეი (ინგ.) – ანგლოსაქსურ ქვეყნებში ამა თუ იმ პირის რწმუნებული, წარმომადგენელი, რომელიც მისი სახელით და მის მაგივრად ასრულებს რაიმე იურიდიულ მოქმედებას. აგრეთვე იგი წარმოადგენს ნდობით აღჭურვილ წარმომადგენელს, რომელიც სამართლებრივ მომსახურეობას უწევს კერძო თუ იურიდიულ პირს.

ატორნეი-გენერალი (ინგ.) – იუსტიციის ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობის პირი დიდ ბრიტანეთში ა.შ.შ.-სა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში.

ანგარიშსწორების ანგარიში – საბანკო ანგარიში, რომლებსაც სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები ხსნიან სამეურნეო ანგარიშზე მყოფი დამოუკიდებელი ბალანსის მქონე საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების

საჭიროებისათვის.

ანგარიშსწორების აძცეპტური ფორმა – უნაღდფულო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, რომელსაც იყენებენ ბანკები გაწეული მომსახურების ასანაზღაურებლად კანონმდებლობის ან მიწოდების ხელშეკრულების დარღვევის გამო.

ანტაგონიზმი (ბერძ. ვებრძოლი, ვუპირისპირდები) – შეურიგებელი წინააღმდეგობა ერთმანეთის საპირისპირო ძალებსა და ტენდენციებს შორის. წინააღმდეგობა სიკეთესა და ბოროტებას შორის.

„ანტიამერიკული საქმიანობის გამომძიებელი კომისია“ – „შინაგანი უშიშროების კომისიის სახელწოდება“ (მოქმედებდა 1969 თებერვლამდე).

ანტიტრესტული კანონმდებლობა – ფორმალურად შემოღებული კანონები, რომლებიც კრძალავდნენ მონოპოლიების საქმიანობას. (ა.შ.შ.-ში, კანადაში, ავსტრალიაში მე-19 საუკუნეში).

ანტიციპაცია (ლათ. წინასწარ ჭვრეტა) – რაიმეზე შეხედულების წინასწარ შექმნა. სხვაგვარი ა'სრით, რაიმე მოვლენის, მოქმედების და სხვა ნაადრევი განხორციელება.

აპათია (ბერძ. უენებლობა, აუმღვრეველობა) – გულგრილი დამოკიდებულება გარემოსადმი.

აპასტამბას კანონები – ძვ. ინდური სამართლის ძეგლი, შედგენილი ბრაჰმანთა აპასტამბას სკოლის მიერ. ასახავს ძვ. ინდოეთის სინეობრივ, სარწმუნოებრივ, საყოფაცხოვრებო ხასიათის რჩევებს, – დარიგებებს, აყალიბებს სამოქალაქო საოჯახო, მემკვიდრეობითი სამართლის ნორმებს. (ქრისტეს შობამდე IV ს.).

აუქციონი (გერმ. წამატება) – საჯარო ვაჭრობით გაყიდვა, საჯარო გაყიდვის ისეთი წესი, როცა ნივთს დამსწრეთაგან ის იძენს, ვინც ყველაზე მეტ ფასს გადაიხდის. იძულებით გაყიდვა აუქციონზე ხდება კრედიტორის განცხადების საფუძველზე სასამართლოს მიერ. კრედიტორი, მოვალე და მესაკუთრე, უფლებამოსილნი არიან თვითონ მიიღონ მონაწილეობა აუქციონში. თუ პირველი აუქციონის დროს არ იქნა შემოთავაზებული ისეთი წინადადება, რომელიც აღწევს ექსპერტის მიერ შეფასებული ნივთის ღირებულების 70 პროცენტს, აუქციონი ხელახლა უნდა ჩატარდეს. აუქციონის ერთხელ ჩატარების დროს ყველაზე დაბალი ფასი, სულ ცოტა, პროცენტის ხარჯებსა და კრედიტორის მოთხოვნებს მაინც უნდა ფარავდეს. თუ ეს არ მოხდება, მაშინ აუქციონი არ ჩატარდება. აუქციონის ხარჯები ეკისრება მესაკუთრეს. (ს.კ., მუხ. 301–306).

აუცილებელი მოგერიება – მოქალაქის უფლება თავისი ან სხვისი ინტერესის დაცვისას ზიანი მიაყენოს თავდამსხმელს, რო-

მელიც არა თუ არ იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, არამედ საზოგადოებრივად სასარგებლო მოქმედებად ითვლება. (სსკ-ს 28-ე მუხლი).

აუცილებელი შრომა – მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ნაწილი, რომელიც ქმნის აუცილებელ პროდუქტს.

აუცილებელობა და შემთხვევითობა – აუცილებელია ის, რაც ზოგადი კავშირიდან გამომდინარეობს, შემთხვევითი კი ის, რაც მას ექვემდებარება.

აფექტი (ლათ. სულიერი მღელვარება) – უკიდურესად ინტენსიური, უეცრად წარმოქმნილი და სწრაფმავალი ემოცია, რომელიც განცდის მომენტში ეუფლება პიროვნებას და წარმართავს მის ქცევას. განასხვავებენ ორი სახის აფექტს: ფსიქოლოგიურს და პათოლოგიურს. ფსიქოლოგიური აფექტის დროს არ გამოირიცხება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად ითვლება, ხოლო პათოლოგიური აფექტის დროს სისხლის სამართლის წესით პასუხს არ აგებს. საერთოდ აფექტში ჩადენილ დანაშაულზე პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სასამართლო-სამედიცინო, ასევე სასამართლო-ფსიქიატრიულ ექსპერტიზის დასკვნას.

აქციზი (ლათ. ჩამოვაჭრი) – არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც გადაიხდება აქციზური საქონლის მიწოდებისას მის ფასთან ერთად. აქციზით იბეგრება ისეთი საქონელი, რომელიც სარგებლობს განსაკუთრებით დიდი მოთხოვნით, (ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ნაწარმი, ჩაი, ასანთი).

აძსიომა – (ბერძ. აღიარებული ღებულება), დებულება, რომლის ჭეშმარიტება თავისთავად ცხადია, უეჭველია და დასაბუთება არ სჭირდება.

აქტი (ლათ. მოქმედება, დოკუმენტი) – სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტი, ჩანაწერი (ჩანაწერის ფიქსაცია). მაგ.: აქტია: კანონი, ბრძანებულება, დეკრეტი, დადგენილება.

აქცეპტი (ლათ. მიღებული) – სამოქალაქო სამართალში ერთი მხარის თანხმობა მეორის შემოთავაზებულ წინადადებაზე (ოფერტზე) ხელშეკრულების დადების შესახებ. აქცეპტი შეიძლება გაკეთებული იყოს წერილით, დეპეშით, ფაქსით, და ზოგჯერ ქმედით. (სკ, მუხ. 335).

აქცია – ფასიანი ქაღალდი, რომელიც მოწმობს სააქციო საზოგადოების კაპიტალში გარკვეული თანხის შეტანას და იძლევა დივიდენდის სახით მოგების ნაწილის მიღებაზე უფლებას.

აღიარება – სამოქალაქო პრო-

ცესში მხარის ასისტა-განმარტების ერთ-ერთი სახე. ადასტურებს ისეთ ფაქტს, რასაც მოწინააღმდეგე მხარე არ ამყარებს თავის მითითებას თუ შესაგებელს და რომლის მტკიცების მოვალეობაც მას ეკისრება. (სამ. საპ. კოდ. მუხ. 131).

ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს.

აღმასრულებელი პრივილეგია – საჯარო დაწესებულებისა და საჯარო მოხელეების გათავისუფლება დაკავებული თანამდებობიდან.

აღკვეთის ღონისძიება – გამამფრთხილებელი ხასიათის იძულებითი ღონისძიება, რომელსაც მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო იყენებს ბრალდებულის (განსასჯელის) მიმართ, რათა იგი არ დაემალოს გამოძიებასა და სასამართლოს, ხელი არ შეუშალოს ჭეშმარიტების დადგენას, არ დაემალოს გამოძიებას.

აღკვეთის ღონისძიების სახეებია: ბრალდებულის დაპატიმრება, შინაპატიმრობა, პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა, გირაო, ხელწერილი გაუსვლელობისა, პირადი თაყდებობა, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა და სამსჯელო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა.

აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას მომკვლევი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო ითვალისწინებენ ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ მდგომარეობას. (სსსკ., მუხ. 151–155).

აღმასრულებელი ხელისუფლება – სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა (მთავრობა, სამინისტროები) – ხელისუფლება სახელმწიფოში. მას ქმნის არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოები.

აღმზრდელობით-იძულებითი ღონისძიება – გამომასწორებელი ღონისძიება, რომელსაც სისხლის სამართლებრივი სასჯელის ნაცვლად იყენებენ არასრულწლოვანი დამნაშავის მიმართ, ანდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი მცირეწლოვანის მიმართ, თუ კი მან საზოგადოებრივად საშიში ქმედება ჩაიდინა. არასრულწლოვანი, რომელმაც პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, სასამართლომ შეიძლება გაათავისუფლოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ მიიჩნევს, რომ მისი გამოსწორება მისანშეწონილია აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიების გამოყენებით. (სსკ., მუხ. 90)

„ალმოსავლეთის პაქტი“ – ჰიტლერული აგრესიის წინააღმდეგ, ურთიერთდახმარების ხელშეკრულების პროექტი სსრკ-ს, ჩეხოსლოვაკიას, პოლონეთს, ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს, საფრანგეთსა და ფინეთს შორის, რომელიც წამოაყენა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟ. ლ. ბარტუმ.

აცილება (სამართ.) – სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესის ზოგიერთი მონაწილის ჩამოშორება ან თვითჩამოშორება საქმის წარმოებისაგან, თუ რაიმე გარემოების გამო მათი პირუთვნელობა ეჭვს იწვევს. (სსსკ., მუხ. 105–107, სამ. საპ. კოდ., მუხ. 31–35).

აჯა – (არაბ. – ჰაჯათ) ძველ საქართველოში ხელისუფლებისადმი მიმართული თხოვნა-ვედრება სამართლის ან რაიმე წყალობის მისაღებად.

ბ

ბაბრატ კურაპალატის სამართალი – ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის ნუსხებში შეტანილი, ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნს დართული კანონები.

ბავშვის უფლებათა დეკლარაცია – გაეროს გენერალური ასამბლეის 1959 წ. 20 ნოემბრის რეზოლუცია ბავშვის უფლებების შესახებ.

ბათილი გარიგება – გარიგება, რომელიც არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს და დადებულია კანონით დადგენილი წესისა და აკრძალვების დარღვევით, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს და ამიტომ არ წარმოშობს მხარეთათვის სასურველ იურიდიულ შედეგებს.

ბათილი გარიგებებია: მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგებანი, აგრეთვე გარიგებანი, დადებული მცირეწლოვანის, სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილი პირის მიერ და ა.შ. ბათილი გარიგების თითოეული მხარე მოვალეა დაუბრუნოს მეორე მხარეს ყველაფერი, რაც გარიგებით მიუღია ან აუნაზღაუროს მისი ღირებულება. (სკ. მუხ. 81–86).

ბანდა – (იტალ. ჯგუფი, ხროვა) დანაშაულის ჩასადენად გაერთიანებული შეიარაღებული ადამიანთა ორგანიზებული ჯგუფი.

ბანდიტიზმი (იტალ. ყაჩაღი, ბანდიტი) – კანონმდებლობის მიხედვით სახელმწიფო დანაშაული, რომელიც ხელყოფს საზოგადოებრივ უშიშროებასა და წესრიგს და რომელსაც გააჩნია პირზე ან ორგანიზციაზე თავდასხმის მიზანი, აგრეთვე ასეთ ჯგუფში (ბანდაში) ან მის მიერ მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობა ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე. (სსკ. მუხ. 224).

ბაში – სახელმწიფოს ფულადი მოსაკრეფელი, რითაც იბეგრება შემოტანილი, გატანილი და ტრანზიტული საქონელი, ქონება და სხვა ფასეულობა, აგრეთვე მოქალაქეები სახელმწიფო მართვის ორგანოებისა და სასამართლოების მიერ გაწეული მომსახურებისათვის.

ბარბაროსთა სამართლის წიგნები – (ლათ. ბარბაროსთა კანონები) გერმანელებში – ბარბაროსი ტომების ჩვეულებითი სამართლის წიგნები, შედგენილი მე-5, 9-ე საუკუნეებში; სალიკური სამართალი შედგენილი მე-6 ს., რიპუართა სამართალი, მე-6 ს. ბურგუნდთა სამართალი.

„ბე“ – ფულადი თანხა, რომელსაც ერთი მხარე აძლევს მეორეს ხელშეკრულების დასადასტურებლად და ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად. ბეს

მიმცემი თუ ბრალეულად დაარღვევს ნაკისრ ვალდებულებას, ბე რნება მის მიმღებს, ხოლო თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია ბეს მიმღების ბრალეული მოქმედებით, მან ბე ქანი უნდა დაუბრუნოს ორმაგად. (სკ., მუხ. 421).

ბიზანტიური სამართალი – ბიზანტიის იმპერიის სამართალი (VI–XV სს.), ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების მოთხოვნილებათა შესაბამისად გადამუშავებული რომის სამართალი და თვით ბიზანტიაში შექმნილი ორიგინალური სამართლის ნორმათა ერთობლიობა.

ბიზნესი – (ინგ. საქმე – კომერციული საქმიანობა) კომერციული საქმიანობა პირადი გამდიდრების მიზნით. ბიზნესმენი – საქმოსანი.

ბინის ხელშეუხებლობა – მოქალაქის ერთ-ერთი დემოკრატიული უფლება, რომელსაც შეესაბამება სხვა პირთა ვალდებულება თვითნებურად არ შეიჭრან მის ბინაში. ბ.ხ. აღიარებულია კონსტიტუციის მეოცე მუხლის მე-2 ნაწილით.

ბიორკის ხელშეკრულება – ხელშეკრულება რუსეთ-გერმანიის კავშირის შესახებ. ხელი მოაწერეს ვილჰემ მე-2-მ და ნიკოლოზ მე-2-მ კ. ბიორკის მახლობლად 1905წ. 11 ივლისს.

ბიოციდი – კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული საერთაშორისო დანაშაული. ბიოციდი მიმართულია უშუალოდ ადამიანისა და ცოცხალი არსებების წინააღმდეგ. მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით სპობს მათ, რათა მიაღწიოს სამხედრო უპირატესობის მოპოვებას, მწვავრიდან გამოიყვანოს მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა ისე, რომ არ დაანგრიანოს საბრძოლო ტექნიკა და სხვა მატერიალური ფასეულობანი.

ბირჟა – კანონმდებლობით გაფორმებული და რეგულარულად მოქმედი ბაზარი, რომელიც ვაჭრობს ფასიანი ქაღალდებითა და სხვადასხვა სტანდარტული საქონლით.

ბირჟული კოტირება – სპეციალური ორგანოს მიერ სასაქონლო, საფონდო ან სავალუტო ბირჟაზე საბითუმო ფასების, ფასიანი ქაღალდების (აქციები და ობლიგაციები) უცხოური ვალუტის კურსის განსაზღვრა და მათი პუბლიკაცია საბირჟო ბიულეტენებში.

ბიპატრიდი (ბიპოლიდი) – პირი, რომელსაც აქვს ორი ან მეტი სახელმწიფოს მოქალაქეობა. ამგვარი მდგომარეობა იქმნება მოქალაქეობის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში არსებული თავისებურებებით. ზოგი ქვეყნის კონსტიტუცია (რუსეთი, რუმინეთი, ლიტვა და ა.შ.) დასაშვებად თვლის ორმაგ მოქალაქეობას. საქართველოს კონსტიტუციით დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა.

ბიუჯეტი – სახელმწიფოს შემოსავლებისა და ხარჯების ნუსხა ფულად გამოსახულებაში – სახელმწიფოს საფინანსო გეგმა.

ბირჟის შუამავალი – დალალი, მაკლერი, ბროკერი, პირიქნება ან ყიდვა, კანტორა თუ კერძო ყიდვა, რომელიც შუამავლის ფუნქციას ასრულებს ბირჟაზე სხვადასხვა გარიგების დროს, გარკვეული გასამრჯელოს მიღების ყიდად.

ბორჯალი – დათქმული ვადა, რიგი, ჯერი ძველ საქართველოში. ქართულ სამართალში სვეულებრივ, ეწოდებოდა ხელშეკრულების მხარეთა მიერ დათქმული ამა თუ იმ პირობის ვადას.

ბრაკონიერობა – (ფრანგ.) ბრაკონიერი, ადამიანი რომელიც ნებადაურთველად ნადირობს, თევზაობს ან ტყეს ჭრის. ბრაკონიერობა ისჯება ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის წესით. (ადმ. სამ. კოდ. მუხ. 86; სსკ. მუხ. 301).

ბრალდება – კანონით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს ან კერძო პირის პროცესუალურ-საბრალდებო ფუნქციაა. ბრალდების მიზანია დანაშაულის ჩადენაში ამხილოს სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მიცემული პირი. სსკ. თავისუფლებს ოთხი სახის ბრალდებას, ანუ სისხლის სამართლებრივ დევნას. ესენია: საჯარო, სუფსიდიური, კერძო-საჯარო და კერძო.

საჯარო ბრალდებას ახორციელებენ პროკურორი და გამომძიებელი. სასამართლოში საჯარო ანუ სახელმწიფო ბრალდებას მხარს უჭერს პროკურორი.

სუფსიდიურია ბრალდება, რომელსაც პროკურორის მიერ ბრალდებას მხარს უჭერს დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი.

კერძო-საჯარო ბრალდების საქმეები აღიძვრება, მხოლოდ დაზარალებულის სახიერით და ბრალდებულთან დაზარალებულის შერიგების გამო არ წყდება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმის შემდგომმა გამოძიებამ შეიძლება ისიანი მიაქციოს როგორც დაზარალებულს, ისე ბრალდებულს. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში პროკურორს უფლება აქვს აღძრას კერძო-საჯარო ბრალდების საქმე დაზარალებულის სახიერის გარეშეც. კერძო ბრალდების საქმეები აღიძვრება, მხოლოდ დაზარალებულის სახიერით, მაგრამ უნდა შეწყდეს ბრალდებულთან მისი შერიგების გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ საქმეში პროკურორია ჩარეული. დანაშაულები, რომელ-

თა გამო საქმეები აღიძვრება კერძო-საჯარო და კერძო ბრალდებით, განსაზღვრულია კანონით. (სსსკ., მუხ. 26–27).

ბრალდებითი პროცესი – სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი სახე, რომელიც ითვისა და ძველ რომში სასამართლო პროცესის გაბატონებული ფორმა იყო.

ბრალდებული – კანონით გათვალისწინებული წესით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემული პირი. ბრალდებულს, რომელიც მიცემულია სამართალში, ქმნდება განსაკუთრებული, ხოლო რომლის მიმართაც გამოტანილია სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი – მსჯავრდებული. დადგენილება პირის დამნაშაულედ ცნობის შესახებ არ იძლევა საბოლოო დასკვნის გამოტანის საფუძველს. ბრალდებულს უფლება აქვს ქონდეს კანონიერი საშუალებითა და მეთოდით დაიცვას თავი წაყენებული ბრალდებისაგან, როგორც პირადად, ისე დამცველის დახმარებით. ბრალდებულს უფლება აქვს მიიღოს ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის დადგენილების ასლი, გაეცნოს საქმეში არსებულ ცნობებს მტკიცებულებას, მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების საჭიროებისას ჩატარება, მონაწილეობა მიიღოს სამართალში მიცემისა და სასამართლო განხილვაში და ისარგებლოს მხარის ყველა უფლებით, გაასაჩივროს გამოძიებლისა თუ სასამართლოს გადაწყვეტილება და ა.შ. თანამდებობის პირი, რომელიც პროცესს აწარმოებს, ვალდებულია უზრუნველყოს ბრალდებული დაცვის უფლებით, შეუქმნას ყველა პირობა დაიცვას თავი კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალებით. (სსსკ., მუხ. 75–76).

ბრალი სამართალში – პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და ამით გამოწვეული მაგნე შედეგისადმი.

სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს ბრალის სამ ფორმას – განზრახვას, გაუფრთხილებლობას და შერეულს.

განაშაული განზრახ ჩადენილად ითვლება, თუ მის ჩამდენ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა, ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას. როდესაც პირს სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა, იგი მოქმედებს პირდაპირი განზრახვით, ხოლო როდესაც შეგნებულად უშვებს, ან

გულგრილად ეკიდება მის დადგომას, დამნაშავის განსრახვა არაპირდაპირია ანუ ევენტუალური. „ბრალის შერეული ფორმა გათვალისწინებული სსკ-ის მე-10 მუხლით" „პასუხისმგებლობა თანმდევი შედეგით გათვალისწინებული განსრახი დანაშაულისათვის", თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ თანმდევი შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა დამნაშავის განსრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა ეს შედეგი გაუფრთხილობით განახორციელა, ასეთი დანაშაული განსრახ დანაშაულად ჩაითვლება, ამავე მუხლის მე-2 ნაწილით კი: „განზრახი დანაშაულის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი პირს ბრალად შეერაცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ნიშანს მოიცავდა მისი განზრახვა" მაშასადამე, ბრალის შერეული ფორმა ამავდროულად ბრალის განსრახვის ფორმის მაკვალიფიცირებელი ნიშანია.

დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩადენილად ითვლება, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა, ანდა გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას ევალებოდა და შეეძლო კიდეც. პირველ შემთხვევაში ეწოდება თვითიმედოვნება, ხოლო მეორეს – დაუდევრობა. (სსკ., მუხ. 9–10).

ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი მოქმედებს, აგრეთვე, სამოქალაქო სამართალში, ადმინისტრაციულ სამართალში და საერთაშორისო სამართალში.

ძვ. ქართულ სამართალში სიტყვა „ბრალი" „დანაშაულის" მნიშვნელობით იხმარებოდა.

ბრალმდებელი – პირი, რომელიც მხარს უჭერს ბრალდებას სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს. სასამართლოში პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმდებელი და ბრალდებას, რომელსაც იგი მხარს უჭერს, სახელმწიფო ბრალდება ეწოდება. დაზარალებულს უფლება აქვს მხარი დაუჭიროს პროკურორის მიერ მხარდაჭერილ ბრალდებას, ან დამოუკიდებლად განახორციელოს ბრალდების ფუნქცია.

ბროკერი – შუამავალი საფონდო და სასაქონლო ბირჟაზე, საველუტო და სადაზღვევო ბაზრე-

ბზე საქონლის, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფასეულობათა მყიდველებსა და გამყიდველებს შორის გარიგების დადების დროს.

ბრაუნ-ბატლერის კანონი 1954 – კანონი კომუნისტურ მოღვაწეობაზე კონტროლის შესახებ ა.შ.შ.-ში, ძალაში შევიდა 1954 წ. 24 აგვისტოს. მისი ავტორები არიან იუსტიციის მინისტრი ბრაუნელი და სენატორი ბატლერი. კანონით სახელმწიფომ უფლება მიიღო ნებისმიერი ორგანიზაცია გამოაცხადოს „კომუნისტური შეღწევის“ ორგანოდ და დაიწყოს მისი დევნა.

ბრძანება – 1) მმართველობის აქტი, რომელსაც გამოსცემს მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი მინისტრი, დირექტორი და სხვა. გამოიცემა მოქმედი კანონების, ბრძანებულებების, დადგენილებებისა და განკარგულების საფუძველზე და მათ შესასრულებლად. მისი გაუქმება შეუძლია ზემდგომ ორგანოს მმართველობას. 2) სამხედრო მეთაურის წერილობითი ან სიტყვიერი განკარგულება ხელქვეითის მიმართ, რომელიც მისთვის კანონად ითვლება.

ბრძანებულება – სახელმწიფოს მეთაურის, მონარქის, პრეზიდენტის და სხვ. მიერ გამოცემული აქტი. ბრძანებულებას უმთავრესად პრეზიდენტები გამოსცემენ, რაიმე მნიშვნელოვანი საკითხების მოსაწესრიგებლად ან გადასაწყვეტად.

ბრეჰონთა კანონები – კელტური ჩვეულებითი სამართლის ნორმათა კრებული. შედგენილია ირლანდიაში V–X ს.ს. სახელი ეწოდა ძველი ირლანდიის მოსამართლეების ბრეჰონების მიხედვით. ბრეჰონთა კანონები მოქმედებდა 1605 წლამდე და შეიცვალა ინგლისური კანონმდებლობით.

ბუნებითი სამართალი – სამართლის იდეალური გაგება, რომლის მიხედვითაც სამართალს განაპირობებს თვით ადამიანის ბუნება, მისი გონება და ამიტომ ის დამოუკიდებელია კონკრეტული სოციალური პირობებისა და სახელმწიფოსაგან.

ბუსტამანტეს კოდექსი – რეგიონალური ხასიათის, ამერიკული ქვეყნებისათვის ერთ- ერთი უმნიშვნელოვანესი საკოდიფიკაციო აქტი საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროში. ბუსტამანტეს კოდექსი ეწოდა პროექტის ავტორისა და ტექსტის რედაქტორის კუბელი იურისტის ბუსტამანტეს სახელის მიხედვით, იგი შედგება შესავლისა და 4 წიგნისაგან: 1) საერთაშორისო სამოქალაქო სამართალი, 2) საერთაშორისო სავაჭრო სამართალი 3) საერთაშორისო სისხლის სამართალი 4) საერთაშორისო პროცესის სამართალი.

ბჭე – ძველ ქართულ სამართალში – სადავო საქმის გამრჩევი, მოსამართლე. ბჭეებს ჩვეულებრივ მოდავე მხარეები ირჩევდნენ, რომელთა რაოდენობა მოდავეების სურვილზე იყო დამოკიდებული და ისინი ძირითადად სამოქალაქო საქმეებს არჩევდნენ, მთაში კი მიმე სასისხლო საქმეებსაც. ბჭეებს ზოგჯერ მეფე და მისი ადგილობრივი მოხელეებიც ნიშნავდნენ. ბჭეების ინსტიტუტი ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

გ

გადაზიდვები – ტვირთის ან მგზავრთა გადაადგილება სხვადასხვა სახეობის სატრანსპორტო საშუალებით, რომელიც ხორციელდება სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე.

გადაზიდვის ხელშეკრულება – გადაზიდვის ხელშეკრულებით გადამზიდველი ვალდებულია შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაიტანოს ტვირთი ან გადაიყვანოს მგზავრი დანიშნულების ადგილზე. გადამზიდველი პასუხს აგებს მგზავრისათვის მიყენებული ზიანისათვის, ასევე, მისი ბარგის დაზიანების ან დაკარგვისათვის. პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ კი ისინი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ან თვით მგზავრის მიერ, ანდა მისი ბრალით.

გამგზავნი პასუხს აგებს იმ ხარჯისა და ზიანისათვის, რაც დადგა კანონით დადგენილი რეკვიზიტების და მონაცემების არასწორად ან არასრულყოფილად წარდგენისათვის. (სკ., მუხ. 668–669).

გადასახადი – საჯარო ხელისუფლების სუბიექტების მიერ დაწესებული სავალდებულო გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო იღებს იურიდიული და ფიზიკური პირისაგან სახელმწიფო ხარჯების დასაფინანსებლად; რომელთა საერთო დებულებები ასახულია კანონმდებლობაში. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე არსებობს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. პირველს განეკუთვნება: საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი, აქციზი, მიწის გადასახადი და ა.შ.; ხოლო მეორეს – გადასახადი სამეწარმეო საქმიანობისათვის, სათამაშო ბიზნესის გადასახადი, საკურორტო ბიზნესის გადასახადი, სასტუმროს გადასახადი, რეკლამის გადასახადი. (საგადასახადო კოდექსი, მუხლი 5–6).

გადასახლება და გასახლება – კანონმდებლობით სისხლის სამართლის სასჯელის სახე, რომელიც გულისხმობდა მსჯავრდებულის იძულებით გაძევებას თავისი საცხოვრებელი ადგილიდან სხვა განსაზღვრულ ადგილზე, მის საჯალდებულო დასახლებას. მას იყენებდნენ, როგორც ძირითად ისე დამატებით სასჯელად.

გადაწყვეტილება (სამართ.) – 1) ნორმატიული აქტი, რომლის მიღების უფლება გათვალისწინებულია კონსტიტუციით და რომელსაც იღებენ კოლეგიალური წესით. იგი შეიძლება იყოს ნორმატიული და ინდივიდუალური. 2) პირველი ინსტანციის სასამართლოს აქტი სამოქალაქო საქმეზე

3) არბიტრაჟში დავის გადაწყვეტის შედეგად არბიტრის მიერ მიღებული აქტი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია – (გაერო) საყოველთაო მშვიდობის უსრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1945წ. 26 ივნისს. სანფრანცისკოს კონფერენციაზე ხელი მოაწერა 50-მა სახელმწიფომ, და ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს. ამჟამად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ორასამდე სახელმწიფოს აერთიანებს. 1992 წლის 31 ივლისს მისი 179-ე წევრი გახდა საქართველო. გაეროს მიზნები და ამოცანებია: მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება; ერთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარება; სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული პრობლემების გადაჭრა და სხვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო გენერალური მდივნის მეთაურობით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი ბინა ნიუ-იორკშია (აშშ).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური კომისიები – საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, რომელთა დანიშნულებაა წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური განვითარების სტიმულირება, მათი ბუნებრივი რესურსების შესწავლა – გამოყენება, მრეწველობის, ვაჭრობის, ტრანსპორტის, ბაუების, საბანკო საქმისა და კრედიტის მოწესრიგება და ა.შ. გაეროში სულ ხუთი ასეთი კომისიაა:

1) აზიისა და წყნარი ოკეანიის ეკონომიკური და სოციალურ კომისიები;

2) აფრიკის ეკონომიკური კომისია;

3) ევროპის ეკონომიკური კომისია;

4) ლათინური ამერიკის ეკონომიკური კომისია;

5) დასავლეთ აზიის ეკონომიკური კომისია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშემწყობ ასოციაციათა მსოფლიო ფედერაცია – საერთაშორისო არამთავრობითი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა სახელმწიფოს შესაბამის ასოციაციებს. შეიქმნა 1946, რომლის მიზანია ნაციონალურ ასოციაციათა საქმიანობის განმტკიცება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია – გაეროს გენერალური ასამბლეის

სპეციალიზებული ორგანო, რომლის დანიშნულებაა გადაწყვიტოს წევრი ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო ვაჭრობის აქტუალური პრობლემები. შეიქმნა 1964.

გაეროს გენერალური ასამბლეა – გაეროს გენერალური ასამბლეა წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთერთ მთავარ ორგანოს, რომელიც შედგება ყველა წევრი სახელმწიფოსაგან. თითოეულ მათგანს ერთი ხმა აქვს და ყველა მათგანი თანასწორი უფლებამოსილებითაა აღჭურვილი. იგი განიხილავს საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპებს მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში, ირჩევს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს, ნიშნავს გაეროს გენერალურ მდივანს, ახორციელებს წესდებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

გენერალური ასამბლეა იკრიბება ყოველწლიურ სესიაზე სექტემბრის მესამე სამშაბათს და იანვრამდე განაგრძობს მუშაობას. განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება სპეციალური სესიის მოწვევა.

გაეროს გენერალური მდივანი – გაეროს გენერალურ მდივანს ნიშნავს უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით გენერალური ასამბლეა ხუთი წლის ვადით. იგი ასამბლეას წარუდგენს გაეროს საქმიანობის წლიურ ანგარიშს, ბიუჯეტის პროექტს, წევრ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან ნიშნავს სამდივნოს წევრებს, ახორციელებს გაეროს წესდებით მინიჭებულ უფლებამოსილებას.

გაეროს საერთაშორისო სასამართლო – გაეროს მთავარი სასამართლო ორგანო. შეიქმნა 1945. მისი ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განსაზღვრულია სტატუტით, რომელიც გაეროს წესდების განუყოფელი ნაწილია. სასამართლო შედგება 15 მოსამართლისაგან, რომლებსაც ირჩევს გაეროს გენერალური ასამბლეა და უშიშროების საბჭო 9 წლის ვადით. სასამართლოში მოდავე მხარეები შეიძლება იყვნენ მხოლოდ სახელმწიფოები. სასამართლოს ადგილსამყოფელია ჰააგა (ნიდერლანდები).

გაეროს უშიშროების საბჭო – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი მუდმივმოქმედი ორგანო, რომელსაც ეკისრება ძირითადი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისადმი. იგი შედგება 15 წევრისაგან, რომელთაგან 5 მუდმივია, ხოლო 10 არამუდმივი, რომელთაც ირჩევენ ორი წლის ვადით. მუდმივი წევრებია: ინგლისი, აშშ, საფრანგეთი, რუსეთის ფედერაცია და ჩინეთი. უშიშროების საბჭოს თი-

თოეულ წევრს ერთი ხმა აქვს. პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება 9 ხმით. ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად ხმათა უმრაელესობა უნდა შეიცავდეს ხუთიეე მუდმივი წევრის ხმას.

ბაეროს ორბანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხებზე (იუნესკო) – გაეროს სპეციალიზებული ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. შეიქმნა 1946წ. მისი წესდების რატიფიკაციის შემდეგ. ამჟამად იუნესკოს წევრია ორასამდე სახელმწიფო. საქართველო იუნესკოს 171-ე წევრია.

იუნესკოს მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების ხელი შეუწყოს განათლებისა და კულტურის გავრცელებას, მეცნიერების განვითარებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემას, წერაკითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციას, ახალგაზრდობის აღზრდას მშვიდობისა და საერთაშორისო ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

იუნესკოს უმაღლესი ორგანოა გენერალური კონფერენცია, აღმასრულებელი საბჭო და სამდივნო, რომელსაც გენერალური დირექტორი ხელმძღვანელობს. იუნესკოს შტაბ-ბინა პარიზშია.

ბათანაბრებითი მიწათსარგებლობა – მიწათსარგებლობის ფორმა, რომლის დროს ცალკეული პირის, ამა თუ იმ კოლექტივის ან სახელმწიფოს კუთვნილი მიწა თანაბრად უნაწილდება გლეხებს.

ბაკოტრება – ბანკროტობა, ბურჟუაზიული სამართლის მიხედვით, სასამართლოს მიერ იმის დადგენა, რომ მოვალეს (ჩვეულებრივ სავაჭრო-სამრეწველო საწარმო, ფირმა, სააქციო საზოგადოება) სახსრების უქონლობის გამო არ შეუძლია გადაიხადოს ვალი. კრედიტორთა მოთხოვნით სასამართლო მოვალეს ართმევს თავისი ქონების განკარგვის უფლებას. 1996 წლის 25 ივნისს მიღებულ იქნა კანონი გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 1997წ. 1 იანვრიდან. მისი მიზანია ვალაუვალი მოვალის ფინანსური სირთულეების გადაწყვეტა, რომელიც ორი გზით შეიძლება: 1) სასამართლოს მიერ სანაცია და 2) სასამართლოს მიერ ლიკვიდაცია.

გამასყორებელი სამუშაო (თავისუფლების აღუკვეთლად) – სასჯელის ერთერთი სახე სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით. (სსკ-ს მუხ. 45).

გამამწბილებელი სასჯელი – დამნაშავის სახალხოდ შემარცხვენელი დასჯითი ღონისძიება, რომლის მიზანი იყო დამნაშავის ზნეობრივი დამცირ-

ება, პატივისა და ღირსების შებღალვა.

გამოგონება – სამოქალაქო კოდექსის 1100 მუხლის მიხედვით გამოგონება ეს არის ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის დარგის ნებისმიერ სფეროში ამოცანის ახალი ტექნიკური გადაწყვეტა, რომელიც დადებით შედეგს იძლევა. გამოგონება სამრეწველო საკუთრების ერთ-ერთი ობიექტია, რომელზეც გაიცემა პატენტი. საქართველოს 1999წ. 5 თებერვლის საპატენტო კანონის მეშვიდე მუხლის თანახმად, პატენტით შეიძლება დაცული იქნეს ისეთი გამოგონება, რომელიც პატენტუნარიანია და აკმაყოფილებს სიახლის, საგამომგონებლო დონისა და სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმებს.

გამოგონებაზე უფლებათა დაცვა ხორციელდება საპატენტო კანონით დადგენილი წესით პატენტის გაცემით. პატენტის მიღების უფლება ეკუთვნის გამოგონების ავტორს ან მის უფლებამონაცვლეს. გამოგონების ავტორობის უფლება განუსხვისებელია და უვადო. (სკ. მუხ. 1100).

გამომძიებელი – თანამდებობის პირი, რომლის ძირითადი მოვალეობაა სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების წარმოება. წინასწარი გამოძიების წარმოებისას ყველა გადაწყვეტილებას გამომძიებელი იღებს დამოუკიდებლად გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონით გათვალისწინებულია მოსამართლის ბრძანება ან პროკურორის თანხმობა. გამომძიებლის მიერ გამოტანილი დადგენილების შესრულება სავალდებულოა ყველა სათვის და მისი შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას. (სსსკ, მუხ. 58).

გამოსაცდელი ვადა – შრომის სამართლის მიხედვით, ვადა, რომელიც მხარეთა შეთანხმებით შეიძლება დაწესდეს იმის შესამოწმებლად, შეეფერება თუ არა დასაკავებელ თანამდებობას ახლად მისაღები მუშა ან მოსამსახურე. მუშებისათვის იგი არ უნდა აღემატებოდეს 1 კვირას, მოსამსახურეებისათვის 2 კვირას, პასუხისმგებელი მუშაკებისათვის 1 თვეს.

„საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 64–ე მუხლით გათვალისწინებულია „გამოსაცდელი ვადა“, ამ კოდექსის 63–ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას სასამართლო ადგენს გამოსაცდელ ვადას, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა. ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ან უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნისას გამო-

საცდელი ვადა არ უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას – არა ნაკლებ ერთი და არა უმეტეს ექვსი წლისა.

გამოძალვა – საკუთრების ხელყოფა იმ პირზე ფსიქიკური ზემოქმედების გზით, რომელიც ფლობს ან იცავს ქონებას. (სსკ, მუხ.181).

გამოძახებანა(სამ.) კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

გამაცნობელი სხდომა – სასამართლოში, სასამართლოს მიერ საქმის განსილვა არა სასამართლოს მ ყდომე ადგილსამყოფელზე, არამედ დანაშაულის ადგილის, განსასჯელის ან დაზარალებულის, მოსარჩელის ან მოპასუხის სამუშაო თუ სწავლის ადგილზე.

განაკვეთური სამუშაო დრო – განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად დადგენილი დრო, რომელიც განისაზღვრება პროდუქციის დასამზადებლად ან სამუშაოს ერთეულის შესასრულებლად მოქმედი საჭირო დროის ნორმებითა და პროდუქციის გეგმური მოცულობის მიხედვით.

განაჩენი – სისხლის სამართლის პროცესში – სასამართლო გადაწყვეტილება განსასჯელის დამნაშავეობის და მისთვის სასჯელის შეფარდების ანდა მისი უდანაშაულობის და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესახებ. განაჩენი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი.

გამამტყუნებელი განაჩენი შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ. გამამტყუნებელი განაჩენი დგინდება სასჯელის დანიშვნით, მისი მოხდისაგან გათავისუფლებით, სასჯელის დაკონკრეტებით.

გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს განსასჯელის სრულ უდანაშაულობას მისთვის წაყენებულ ბრალდებაში. განაჩენი შედგება შესავალი, აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. განაჩენი იწერება სათათბირო ოთახში და ცხადდება სხდომის დარბაზში. (სსსკ, მუხ. 502–512).

განაჩენის აღსრულება – სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 603–605 მუხლების მიხედვით განაჩენის აღსრულება ესაა სასამართლოს და კანონით უფლებამოსილი სხვა ორგანოების საქმიანობა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველსაყ-

ოფად. გამამტკიცებელი განაჩენი აღსასრულებლად კანონიერ ძალაში მიიქცევა კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა. ამ ვადაში განაჩენის გამომტანი ორგანო განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულებას განაჩენის ასლთან ერთად უგზავნის იმ ორგანოს, რომელსაც მისი აღსრულება ევალება. თავის მხრივ განაჩენის აღმსრულებელი ორგანო ვალდებულია აღსრულების შესახებ აცნობოს განაჩენის დამდგენ სასამართლოს. საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია ვალდებულია აცნობოს სასამართლოს სასჯელის მოხდის ადგილი. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობა, ჯარიმის გადახდის შეუძლებლობა და ა.შ.) სასამართლოს შეუძლია გადაავადოს განაჩენის აღსრულება. გამამართლებელი განაჩენის აღსრულება ხდება დაუყოვნებლივ მისი გამოცხადებისთანავე.

„განგებაი დარბაზობისა“ – ქართული სამართებლივი ძეგლი, უძველეს ნუსხაში (მე-16 ს.) სათაურად აქვს „წესი და განგებაი დარბაზობისა, რომელიც აღესრულების მცხეთათ კუთხევასა მეფეთასა“. შეიცავს საქართველოში საკუთარი მიროსნის კურთხევასა და დარბაზობის წესების აღწერას.

განბანტეირობი (ინგ. ბანდიტი) – ორგანიზებული დანაშაულობის სინონიმი, გამოიხატება გამოძალვით, შანტაჟით ცალკეულ პირებსა და დაწესებულებებზე თავდასხმით, რასაც თან ახლავს ძალადობის სხვადასხვა ფორმა და მკვლელობაც კი.

განზრახვა = ბრალის ერთეროი ფორმა, რომლის დროსაც სუბიექტი ითვალისწინებს, რომ თავისი მოქმედებით ან უმოქმედობით ხიანს აყენებს სამართლით დაცულ ინტერესებს და შეგნებული აქვს თავისი ქმედობის საზოგადოებრიევად საშიში ხასიათი (იხ. ბრალი, აგრეთვე სსკ., მუხ. 9).

განიარაღება – იმ ღონისძიებათა სისტემა, რომელთა განხორციელებამ ურდა გამოიწვიოს საომარ საშუალებათა ლიკვიდაცია ან შემცირება. განიარაღების მიზანია საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნება.

განკანონება – ძველ საქართველოში საეკლესიო სჯულის ან სამონასტრო წესდებულების დამრღვევი სასულიერო თუ საერო პირის დასჯა საეკლესიო-სამონასტრო ხელისუფლების მიერ. არსებობდა სხვადასხვაგვარი სასჯელი შეგონება, მონანიება, განკვეთა-გაძევება.

განკარგულება – 1. მმართველობის აქტი, რასაც მმართველობის აღგილობრივი ორგანო გამოსცემს ისეთ საკითხებზე, რომლებიც კოლეგიურ განხილვას არ საჭიროებს. 2. აღმასრულებელი ხე-

ლისუფლების კანონიქვემდებარე აქტი, რომელიც აწესრიგებს ან წყვეტს რაიმე კონკრეტულ საკითხს.

განკარგვა – ნივთის მესაკუთრის უფლებამოსილება ჩაროთოს იგი ეკონომიკურ ბრუნვაში ისეთი განკარგულებების გარიგების დადებით, როგორიცაა ნასყიდობის, მიწოდების, ჩუქების და სხვა ხელშეკრულებები. ქონების განკარგვის აქტის შედეგად ხდება მისი გასხვისება, აგრეთვე სხვა პირისათვის დროებით მფლობელობაში და სარგებლობაში გადაცემა, დაგირავება, შესანახად გადაცემა და ა.შ. განკარგვით წყდება ნივთის იურიდიული ბედი, ე.ი. წყდება ან შეწყდება საკუთრების უფლება ამ ნივთზე. კანონიერი პირების კუთვნილი ქონების განკარგვას მათი სახელით ანხორციელებენ კანონიერი წარმომადგენლები კანონის მიერ გათვალისწინებული გარკვეული შეზღუდვებით (მაგ.: მეურვეს არ შეუძლია მეურვეობაში მყოფი პირის ქონება გააჩუქოს).

განცხადება – უფლების მოპოვებაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემით დაინტერესებული მხარის მიერ შეტანილი წერილობითი მოთხოვნა.

განკვეთა – საეკლესიო, ქრისტიანულ იუდაისტურ და ზოგიერთ სხვა რელიგიაში საეკლესიო სასჯელი, რელიგიური თემიდან გარიცხვა, ზოგჯერ კი სიკვდილით დასჯა.

განმარტება სამართლის ნორმისა – სამართლის ნორმის ზუსტი აზრის გარკვევა. განასხვავებენ განმარტების 2 სახეს: ოფიციალურს და არაოფიციალურს.

გამგეობა – საქართველოს კანონმდებლობით, სოფლის, თემის, დაბის, ქალაქის და რაიონის საკრებულოს აღმასრულებელი ორგანო, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3–7, ხოლო რაიონის გამგეობა 5–11 წევრის შემადგენლობით, იმ სოფელსა და თემში, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა სამი ათას კაცს არ აღემატება, გამგეობა არ იქმნება და მის ფუნქციას უშუალოდ გამგებელი ახორციელებს.

გამგეობა უზრუნველყოფს საკრებულოსა და გამგებლის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, შეიმუშავებს ბიუჯეტის პროექტს, უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებას, ახორციელებს კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას (საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, მუხ. 9, 10, 23).

გამგებელი – 1. ადგილობრივი ადმინისტრაციული მოხელე ფეოდალურ საქართველოში. 2. დღევანდელი საქართველოს

კანონმდებლობით, სოფლის, თემის, დაბის ქალაქის და რაიონის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელსაც ირჩევს შესაბამისი საკრებულო თავისი შემადგენლობიდან. გამგებელი იმავდროულად არის საკრებულოს თავმჯდომარე. რაიონის გამგებელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

გამგებელი უძღვება გამგეობის საქმიანობას, ანაწილებს ფუნქციებს გამგეობის წევრებს შორის, ორგანიზაციას უწევს ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენას და მის შესრულებას, ახორციელებს კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას. (საქართველოს 1997 წ. 16 ოქტომბრის კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ).

განსაკუთრებული აზრი – სასამართლო პროცესში ერთერთი მოსამართლის აზრი, რომელიც არ ეთანხმება უმრავლესობის მიერ სათათბირო ოთახში მიღებულ განაჩენს, გადაწყვეტილებას ან განჩინებას. განსხვავებული აზრი დაერთვის საქმეს, მაგრამ მისი შინაარსი სასამართლოს სხდომის დარბაზში არ ცხადდება. (სსსკ., მუხ. 500, სამ. საპ. კოდ., მუხ. 243).

განსაკუთრებული წარმოება (სამართ.) – სამოქალაქო სამართლის პროცესში – სასამართლოს მიერ ისეთ საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის წესი, რომელსაც არ არსებობს დავა მხარეებს შორის. საქმე აღიძვრება არა სარჩელის შეტანით ე.ი. სხვა პირისადმი წარდგენილი რაიმე იურიდიული მოთხოვნით, არამედ განცხადების საფუძველზე.

განსასჯელი – სამართალში მიცემული = კანონიერ ძალაში შესული წესით თანახმად სამართალში მიცემული პირი, რომელსაც კანონმდებლობით სამსჯავრო სხდომის დაწყებამდე არა უგვიანეს 3 დღე-ღამისა უნდა ჩაბარდეს საბრალდებო დასკვნა. (იხილეთ ბრალდებული).

განსჯადობა – ქვემდებარეობა, საქმეთა განხილვის უფლებამოსილების გამიჯვნა სასამართლოთა შორის. განასხვავებენ ტერიტორიულ (საგნობრივ) და ტერიტორიულ განსჯადობას. ტერიტორიული განსჯადობა ნიშნავს დანაშაულის სახისა თუ სამოქალაქო დავის ხასიათის მიხედვით საქმის განხილვის უფლებამოსილების მინიჭებას სასამართლო სისტემის ამა თუ იმ რგოლისათვის.

ტერიტორიული განსჯადობით კი გამიჯნულია ერთგვაროვანი, სასამართლო სისტემის ერთ საფეხურზე მდგომი სასამართლოების კომპეტენცია. ორივე ნიშნით განსჯადობა განსაზღვრულია საპროცესო კანონმდებლობით. (სსსკ., მუხ. 48; სამ. საპ. კოდ., მუხ. 13–21).

განუცხადებლობა დანაშაულისა – დანაშაულის შეუტყობინებლობა იმ პირის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ვადით სამიდან ექვს თვემდე, აწყდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე. (სსკ. მუხ. 376).

განჩორწინება – მეუღლეთა სიცოცხლეში ქორწინების შეწყვეტა კანონით დადგენილი წესით, ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადების საფუძველზე. მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1122–1127 მუხლების მიხედვით განქორწინება შეწყდება ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებით ან სასამართლოს მიერ ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადებით. განქორწინება შეიძლება მმრო-ში ან სასამართლო წესით. მმრო-ში განქორწინება შეიძლება ორივე მეუღლის ერთობლივი განცხადებით იმ შემთხვევაში, თუ ისინი თანახმა არიან განქორწინებაზე, არ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და მათ შორის არ არსებობს პირადი ან ქონებრივი დავა. მმრო-ში განქორწინება დაიშვება ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით, თუ განქორწინება ხდება იმ პირთან, რომელიც კანონით დადგენილი წესით აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, გამოცხადებულია ქმედუუნაროდ სულის ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო, ან მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა. თუ მეუღლეთა შორის არის დავა, ან მათ ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები, განქორწინების საქმეს განიხილავს სასამართლო. ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას საქმე განქორწინებაზე.

განაჩენი – პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ბრალდებულის ბრალეულობის ან უდანაშაულობის შესახებ. განაჩენი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი. გამამტყუნებელი განაჩენი შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას განსასჯელის დამნაშავედ ცნობის შესახებ, ასეთი განაჩენი არ შეიძლება ვარაუდს ემყარებოდეს. იგი დადგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე. გამამტყუნებელი განაჩენი დგინდება სასჯელის დანიშვნით, და მისი მოხდისაგან განთავისუფლებით, სასჯელის დაუნიშნავად. გამამართლებელი განაჩენი ნიშნავს განსასჯელის სრულ უდანაშაულობას მისთვის წაყენებულ ბრალდებაში. განაჩენი შეცვლა შესაძლებელია, აღწერილობით-სამოტივაციო და

სარეზოლუციო ნაწილებისაგან. განაჩენი იწერება სათანადირო ოთახში და დაუყოვნებლივ ცხადდება სასამართლო სხდომის დარბაზში. (სსკ. მუხ. 503–512).

განაჩენის აღსრულება – სასამართლოს და კანონით უფლებამოსილი სხვა ორგანოების საქმიანობა კანონიერ ძალაში შესული განაჩენის პრაქტიკული რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. გამამტყუნებელი განაჩენი აღსასრულებლად მიიქცევა კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს 3 დღე-ღამისა. ამ ვადაში განაჩენის გამომტანი სასამართლოს მოსამართლე ან სასამართლოს თავმჯდომარე განაჩენის აღსრულების შესახებ განკარგულებას განაჩენის ასლთან ერთად უგზავნის იმ ორგანოს რომელსაც მისი აღსრულება ევალება. განაჩენის აღმსრულებელი ორგანო ვალდებულია აღსრულების შესახებ აცნობოს განაჩენის დამდგენ სასამართლოს. საპატიმრო აღგილის ადმინისტრაცია ვალდებულია აცნობოს სასამართლოს სასჯელის მოხდის აღგილი. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში (მსჯავრდებულის მძიმე ავადმყოფობა, ჯარიმის გადახდის შეუძლებლობა და ა.შ.) სასამართლოს შეუძლია გადაავადოს განაჩენის აღსრულება. გამამართლებელი განაჩენის აღსრულება ხდება დაუყოვნებლივ მისი გამოცხადებისთანავე. (სსსკ. მუხ. 603–605).

განჩინება – 1. კანონმდებლობაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სისხლისა და სამოქალაქო საქმეების წარმოებისას წამოჭრილ ცალკეულ საკითხებზე და არა საქმის არსზე. აგრეთვე საკასაციო და სახედამხედველო ინსტანციის სასამართლოთა ყოველგვარი გადაწყვეტილება (გარდა უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმისა და პლენუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა), რომლებიც დადგენილების სახით ფორმდება.

2. სისხლისა და სამოქალაქო საქმეების განხილვისას წამოჭრილ ცალკეულ საკითხებზე სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება.

სისხლის სამართლის საქმის განხილვისას სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს კერძო განჩინება (დადგენილება). კერძო განჩინების(დადგენილების) გამოტანა შეიძლება, აგრეთვე, მოკვლევის, გამოძიებისა და ქვემდგომი სასამართლოს მიერ დაშვებულ დარღვევებზე და დადებითი მოქალაქეობრივი ქცევის თაობაზე. კერძო განჩინების (დადგენილების) გამო არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში მიღებულ უნდა იქნეს საჭირო ზომები, ხოლო

შედეგები ეცნობოს სასამართლოს.(სსსკ. მუხ. 50).

„განჩინება ბარისა და მთის-შოთა არბილთა“ – ადგილობრიეი დანიშნულების ქართული ფეოდალური სჯულისდება – არაგვის საუფლისწულოს მოსახლეობისათვის შედგენილი კანონები.

ბანკი (სამართ.) – მიწაში დაფლული ან სხვაგვარად დამალული ფული ან ძვირფასეულობა, რომლის მესაკუთრის დადგენა შეუძლებელია, ანდა რომლის მესაკუთრესაც კანონის ძალით დაკარგული აქვს მასზე უფლება. სამოქალაქო კოდექსის 192–ე მუხლის თანახმად განძზე საკუთრება სანახევროდ გადადის აღმომჩენზე და იმ მესკუთრეზე, რომლის ნიეთშიც იქნა განძი ნაპოვნი.

ბანქოსება – ძველ ქართულ სამართალში კანონებისა და წესის შემოღება, საერო ან საეკლესიო ხელისუფლების ნორმატიული აქტი–წესდება, დებულება.

ბანცხარება – უფლების მოპოვებაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემით დაინტერესებული მხარის მიერ შეტანილი წერილობითი მოთხოვნა.

ბაპარსვა (სამართ. ისტ.) – გაკრეჭა, გამაწბილებელი სასჯელის ერთ-ერთი სახე – თაეის გადაპარსვა. წვერ-ულვაშის ან საფეთქლების მოპარსვა, ქალიშვილისათვის ნაწნავის შეჭრა.

ბარანტია (ფრანგ. უზრუნველყოფა, დაცვა) – სამოქალაქო სამართალში კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება, რომლითაც ფიზიკური ან იურიდიული პირი (გარანტი) ქონებრივ პასუხისმგებლობას კისრულობს კრედიტორის წინაშე, თუ კი მოვალე არ შეასრულებს ვალდებულებას.

ბარლაშავლობა (სამართ. ისტ.) – ზოგადად სამართალდარღვევის აღმნიშვნელი ტერმინი ძველი ქართული მწერლობის მიხედვით. იგი მოიცავდა „უკანონობას“, „უწესობას“, „ბრალს“, „შეცოდებას“, ხოლო უფრო გვიან „დანაშაულსაც“.

გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულება – კანონმდებლობის მიხედვით ხელშეკრულება, რომლის თანახმად ერთი მხარე–ასაკის ან ჯანმრთელობის გამო შრომის უნარდაკარგული პირი (გამსხვისებელი), მეორე მხარეს (შემძენს) საკუთრებად გადასცემს სახლს ან სახლის ნაწილს, შემძენი კი სამაგიეროდ კისრულობს გამსხვისებლის მატერიალურ უზრუნველყოფას ბინით, კვებით, მოვლითა და აუცილებელი დახმარებით მიელი მისი სიცოცხლის მანძილზე.

სამოქალაქო კოდექსის 941 მუხლი გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულების ნაცვლად ხმარობს სამიდღეშიო რჩენის ხე-

ლშეკრულებას. ამ მუხლის მიხედვით: „პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩუნალი), მოვალეა გადაუსადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე. თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩელი შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

გარდაცვალებულად გამოცხადება (სამართ.) – სასამართლოს გადაწყვეტილებით მოქალაქის გარდაცვლილად აღიარება, თუ კანონით დადგენილ ვადებში მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე არავითარი ცნობები არ მოიპოვება მის შესახებ. (სამ. საპ. კოდ. მუხ. 320).

გარიგება – მართლზომიერი მოქმედება. რომელიც სპეციალურადაა მიმართული სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. (სკ.მ.50)

„გარიგება ხელმწიფის კარისა“ – ქართული სამართლის ძეგლი, მეფის ხელისუფლებისა და სამეფო კარის წესდებულება. შედგენილი იყო მე-14 ს.-ში.

გასასვლელი შემოვლობა – გასასვლელი დახმარება, შრომის სამართალში ფულადი თანხა ორი კვირის საშუალო ხელფასის ოდენობით, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ეძლევა მუშებს და მოსამსახურეებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას.

გასახლება – კანონმდებლობის მიხედვით სასჯელის სახე, მსჯავრდებულის იძულებითი გაძევება საცხოვრებელი ადგილიდან და მისთვის განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრების აკრძალვა.

გაუპატიურება – ესე იგი სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაუსარალებულის უმწეობის გამოყენებით – ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან შვიდ წლამდე. (სსკ. მუხ. 137).

გაუფრთხილებლობა – ბრალის ერთ-ერთი ფორმა, როცა დამნაშავის მართლსაწინააღმდეგო წინდაუხედაობის გამო მისი საქციელი საზოგადოებრივად მავნე შედეგს იწვევს, თუმცა დამნაშავეს შეეძლო გათვალისწინებინა და თავიდან აეცდინა ეს შედეგი.

გაუცხოება – არის ადამიანის ინტელექტუალური და ემოციური უნარის გასაგნების, საგნობრივი სამყაროსადმი მისი დაქვემდებარების ისტორიულად წარმავალი ფორმა. პიროვნების მიერ სურვილების, მიზნებისა და მოლოდინის გათიშვა საზოგადოების მიერ დადგენილი ნორმებისაგან.

გაფლანგვა (ან მითვისება)

– მართლსაწინააღმდეგო მოქმედება ან გამგებლობაში არსებული სხვისი ქონების უკანონო გასხვისება ან მოხმარება.

ბაჭრა (სამართ. ისტ.) – გაყოფა, თანამესაკუთრეების ერთმანეთისაგან დაშორება და საზიარო ქონების განაწილება.

ბაცვლა – ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მხარეთა შორის ხდება ერთი ქონების მეორეზე გაცვლა და შესაბამისად საკუთრების უფლების ერთიერთ გადაცემა. (სკ. მუხ. 521).

ბაძარცვა(ძარცვა) – ე.ი. სხვისი ნივთის აშკარა დაუფლება, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, აგრეთვე ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის, ან ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის მუქარით – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე. (სსკ. მუხ. 178).

ბაძევება – სისხლის სამართლებრივი სასჯელის სახე – დამნაშავის განდევნა სახელმწიფოს ტერიტორიიდან.

ბაწვევის სიგელი

ბაწვევის სიგელი – დოკუმენტი, რომელიც სახელმწიფოს მეთაურს აუწყებს, რომ მასთან აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენელს უკან იწვევს ე.ი. თანამდებობიდან ათავისუფლებს მისი სახელმწიფო.

ბაწვევის უფლება – კონსტიტუციის მიხედვით, ამომრჩეველთა უფლება ვადამდე გამოიყვანონ თავიანთი დეპუტატი ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს შემადგენლობიდან, თუ მან არ გაამართლა ამომრჩეველთა ნდობა ან ჩაიდინა უსირცხვილო მოქმედება, რომელიც არ შეეფერება დეპუტატის მაღალ წოდებას.

ბახეიბრება – დასახიჩრება, ერთ-ერთი გავრცელებული სასჯელი მონათმფლობელურსა და ფეოდალურ საზოგადოებაში. ძველ აღმოსავლურ სამართალში – გამახეიბრებელი, დამასახიჩრებელი. სასჯელი დამნაშავეს შეეფარდებოდა ტალიონის პრინციპის მიხედვით („თვალი თვალისა წილ. კბილი კბილისა წილ"). ხამურაბის კანონები გახეიბრებისას ითვალისწინებდა დაზარალებულისა და დამნაშავის სოციალურ მდგომარეობას. თუ დაზარალებული ღარიბი იყო, წარჩინებული ფენის წარმომადგენელ დამნაშავეს გახეიბრების ნაცვლად ფულად ჯარიმას ახდევინებდნენ. ფეოდალურ საქართველოში გამახეიბრებელი სასჯელებიდან იყენებდნენ დასაჭურისებას, ენის ამოკვეთას და დაბრმავებას, ფეხის მოკვეთას, ცხვირის მოჭრას და ა.შ.

ბენერალური ასამბლეა – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია – გაეროს ერთ-ერთი ორ-

განო, რომელიც შედგება გაეროს ქვეყნა წევრი სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან.

გენერალური მდივანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა – გაეროს მთავარი ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, რომელსაც ნიშნავს უშიშროების საბჭოს რეკომენდაციით გენერალური ასამბლეა 5 წლის ვადით, შეიძლება მისი დანიშვნა მეორე ვადითაც.

გენერალ-პროკურორი – მთავრობის უმაღლესი მოხელე რუსეთში, სენატის მეთაური. მეთვალყურეობდა სახელმწ. აპარატის საქმიანობის კანონიერებას. თანამდებობა დაწესდა 1722. სამინისტროთა დარსების (1802.) შემდეგ გენერალ-პროკურორი იუსტიციის მინისტრიც იყო. 1917. თებ. რევ. შემდეგ გენერალ–პროკურორის თანამდებობა გაუქმდა.

საქართველოს ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ", რომელიც მიღებული იქნა რალური პროკურორის ფუნქციებს, ხოლო ამავე კანონის მე-7 მუხლში კი მოცემულია გენერალური პროკურორის დანიშვნის წესი. ამ მუხლით გენერალურ პროკურორს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, 5 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, თანამდებობაზე ნიშნავს პარლამენტი.

გენერალური რეგლამენტი – სახელმწიფო-სამოქალაქო სამსახურის წესდება XVIII–XIX ს.ს. რუსეთში. შეადგინეს პეტრე I-ის მონაწილეობით 1720წ. 28 თებერვალს. გ.რ.–მა დაადგინა კოლეგიების თანამდებობის პირთა, პრეზიდენტის, ვიცე–პრეზიდენტის, კოლეგიის წევრების, მდივნის, ნოტარიუსის ვალდებულებები, განსაზღვრა კოლეგიების საქმის წარმოების წესი. მათი ურთიერთობა სენატთან.

გენერალური შეთანხმება ტარიფებსა და ვაჭრობაზე – მრავალმხრივი მთავრობათაშორისი შეთანხმება ვაჭრობისა და სავაჭრო პოლიტიკის რეჟიმზე; ხელმოწერილია ჟენევაში 1947. ოქტომბერს 23 სახელმწიფოს მიერ.

გენეტიკა ძუძუსი – ქცევის შემსწავლელი მეცნიერების ერთ-ერთი დარგი, რომელიც გენეტიკის კანონებზე დაყრდნობით სწავლობს ქცევის დამოკიდებულებას მემკვიდრულ ფაქტორებზე.

გენეტიკური ანალიზი – მემკვიდრულობისა და ცვალებადობის შესწავლის ძირითადი მეთოდების ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც ადგენენ გენოტიპის სტრუქტურასა და ფუნქციას.

გენეტიკური ინფორმაცია – წინაპრებისაგან გენთა ერთობლიობის სახით მიღებული და ორგანიზმის მემკვიდრულ სტრუ-

ქტურებში ჩაწერილი ინფორმაცია.

გენეტიკური მანიპულაცია — ე.ი. ადამიანის მსგავსი არსების შექმნა. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს, რომელიც გათვასწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 136-ე მუხლით, და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

ბენი (ბერძ. გვარი, წარმომაელობა) — მემკვიდრულობის ელემენტარული ერთეული.

ბენოციდი (ბერძ. გვარი და ეკლავ) — რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური მოტივებით მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ფიზიკური მოსპობა ან ცხოვრების ისეთ პირობებში ჩაყენება, რაც მათ განადგურებას გამოიწვევს.

ბენტის პასიფიკაცია — შეთანხმება, რომელიც 1576წ. 8 ნოემბერს XVI ს. ნიდერლანდის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს დაიდო გენტში ნიდერლანდიის ჩრდილოეთ და სამხრეთ პროვინციებს შორის. ითვალისწინებდა ნიდერლანდში მყოფი ესპ. ჯარების წ-ეგ ერთობლივ მოქმედებას, აჯანყებულთათვის ამნისტიას, კათოლ. ეკლესიის შენარჩუნებას, აგრეთვე კათოლ. ეკლესიის სამფლობელოთა ფორმალურ ხელშეუხებლობას.

გეორგიევსკის ტრაქტატი — 1783 წ. ხელშეკრულება რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის, რომლის ძალითაც ქართლ-კახეთის მეფეებს მემკვიდრეობით ტახტზე ასვლა უნდა ეუწყებინათ რუსეთის იმპერატორისათვის და ეთხოვათ ინვესტიტურა. გეორგიევსკის ტრაქტატი რატიფიცირებულ იქნა ერეკლე II-ის მიერ 1784წ. 24 იანვარს. ტექსტი შედგება პრეამბულის, 13 ძირითადი და 4 სეპარატული მუხლისაგან.

გერბი (პოლ. მემკვიდრეობა) — ემბლემა მემკვიდრეობითი განმასხვავებელი ნიშანი, საგანგებოდ განლაგებული ფიგურები და საგნები, რომელთაც სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებათ და მფლობელის ისტორიულ ტრადიციებს გამოხატავენ.

გერუსია (ბერძ. მოხუცი, უხუცესი) — უხუცესთა საბჭო ძველ საბერძნეთში. იგი წარმოადგენდა სისხლის სამართლის უმაღლეს სასამართლო დაწესებულებასაც.

გვარი — სისხლით ნათესავთა ჯგუფი, რომლის წევრები თავიანთ წარმომაელობას დედის ან მამის მხრიდან საერთო წინაპრებს უკავშირებდნენ და საერთო სახელწოდება ჰქონდათ.

გზირი — ფეოდალურ საქართველოში ადგილობრივი ადმინისტრაციის დაბალი მოხელე, სოფლის მამასახლისის ხელქვეითი.

ბიბლიოტეკა (ფრანგ.) —

სიკვდილით დასჯის იარაღი. შემოიღეს საფრანგეთის რევოლუციის დროს ექიმ გილიოტინის წინადადებით.

გირავნობა – სამოქალაქო სამართალში ვალდებულების უზრუნველყოფის სახეობა, რომლის დროსაც მოვალე (დამგირავებელი) გადასცემს კრედიტორს (მოგირავნეს) რაიმე ქონებას. იმისათვის, რომ თუ მოვალემ ვალდებულება არ შეასრულა, მოგირავნემ დაკმაყოფილებული მოითხოვა დაგირავებული ქონების ღირებულებიდან გაინაღდოს. (სკ. მუხ. 254).

გლადიატორი (ლათ. მახვილი. სმალი) – ძველ რომში პროფესიონალი მებრძოლი.

გორტინის კანონები – უძველესი ბერძნული კანონმდებლობის ერთადერთი თითქმის მთლიანად შემოინახული ტექსტი. შედგენილია ქ. გორტინაში, მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სოციახო და მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს, თავშესაფრის უფლების და ა.შ.

გრაფიკული ექსპერტიზა – წერილობითი საბუთის ტექსტის ან ხელმოწერის გამოკვლევა დამწერის (ავტორის) ვინაობის დადგენის მიზნით.

გრანტები – საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ან რომელიმე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფულადი სახსრები, რომლებიც უკან არ ბრუნდებიან და აქვთ მიზნობრივი ხასიათი.

„გრეშამის კანონები“ – ეკონომიკური კანონი, რომელიც XVIს.-ში ჩამოაყალიბა ინგლისელმა ფინანსისტმა ტ. გრეშამმა, რომლის მიხედვითაც „უარესი ფული მიმოქცევიდან გამოდევნის უკეთესს“.

გუბერნია – ადმინისტრაციული დაყოფის უმაღლესი ერთეული რუსეთში, აბსოლუტური მონარქიის შექმნის პროცესში.

გუნდი (სპარს. გუნდ-ჯარი, ლაშქარი, არმია) – ძველ ქართლში ჯარის ნაწილი, სამხედრო ერთეული 6 ათასი მეომრის შემადგენლობით.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ – ოსმალეთის ხელისუფალია მიერ 1595 ფისკალური მიზნით შედგენილი წიგნი.

გუშაგი – შეიარაღებული სამხედრო მოსამსახურე, რომლის მოვალეობაა მისთვის მინდობილი პოსტის დაცვა.

გუჯარი – უმეტესად მეფისაგან ნაბოძები საბუთის ზოგადი სახელწოდება, რომელიც ქართულ დიპლომატიკაში XV საუკუნიდან შემოვიდა. XVIII ს.-ში გუჯარი და სიგელი ერთ ტერმინად სიგელ-გუჯარად გაერთიანდა.

ბ

დადგენილება – 1) მმართველობის აქტი, რასაც კონსტიტუციის თანახმად მოქმედი კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს სახელმწიფო ორგანო. 2) საზოგადოებრივი ორგანიზაციის კრებისა თუ წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება. 3) მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლისა და სასამართლოს მიერ დადგენილი წესით მიღებული გადაწყვეტილება.

დავით ვარდაპეტის სამართლის წიგნი – პირველი სომხური კოდექსი (1130) მისი შემდგენელი დაითი იყო სწავლული ბერი (ვარდაპეტი). წიგნი შედგება 97 მუხლისაგან. მასში აისახება განვ. ფეოდალური ურთიერთობანი.

დაზარალებული – 1) სისხლის სამართლის პროცესში მოქალაქე, რომელსაც დანაშაულმა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიაყენა. 2) დაზარალებულად ცნობის შესახებ მომკვლევეს, გამომძიებელს, პროკურორს და მოსამართლეს გამოაქვთ დადგენილება, ხოლო სასამართლოს გამოაქვს განსინება. იმ დანაშაულის საქმეზე, რომელსაც დაზარალებულის სიკვდილი მოჰყვა, დაზარალებულის უფლებები ენიჭება მის რომელიმე ახლო ნათესავს. დაზარალებულს ან მის უფლებამონაცვლეს მინიჭებული აქვს უფლება მისცეს ჩვენება და განმარტება, განაცხადოს აცილება, წარმოადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო განხილვაში. დაზარალებულის ინტერესებს შეიძლება წარმოადგენდეს და იცავდეს ადვოკატი, ასევე დაზარალებული პირის მიერ მოწვეული პირი. (სსსკ., მუხლი 68–71).

დაზღვევა – დაწესებულებათა, ორგანიზაციების, საწარმოებისა და მოქალაქეებისათვის სტიქიური მოვლენით ან უბედური შემთხვევით მოყენებული ქონებრივი ზარალის ანაზღაურების ერთ-ერთი საშუალება. სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებული ურთიერთობების პრინციპები მოწესრიგებულია საქ. 1997 წ. 2 მაისის კანონით დაზღვევის შესახებ.

დათვალიერება – 1) საგამოძიებო ორგანოებისა და სასამართლოს მიერ ამა თუ იმ ობიექტის უშუალოდ დათვალიერება და შესწავლა საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა დასადგენად. 2) მომკვლევეს, გამომძიე-

ბელს, პროკურორს უფლება აქვს დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, გვამი, სადგომი, საგანი ან სხვა ობიექტი. დათვალიერება ტარდება ორი დამსწრის მონაწილეობით. დათვალიერებაში მონაწილეობისათვის შეიძლება მოიწვიონ სპეციალისტი, ექსპერტი, ეჭვმიტანილი, ბრალდებული, დამცველი, პროცესის სხვა მონაწილე. დათვალიერების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ დათვალიერების მონაწილენი (სსსკ., მუხლი 333–339).

დაკავება – ეჭვმიტანილისა, სამართლის მიხედვით, დანაშაულში ეჭვმიტანილი პირისათვის თავისუფლების აღკვეთა მოკლე ვადით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების შესახებ, დაკავებული უნდა განთავისუფლდეს (სსსკ., მუხლი 141–146).

დაკითხვა – სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესში საგამოძიებო ან სასამართლო მოქმედება, რომელიც გულისხმობს საქმისათვის არსებითი გარემოების მქონე ჩვენებათა ზეპირსიტყვიერ მიღებასა და მიღებული ჩვენებების განმტკიცებას. მოწმის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაკითხვა ხდება დადგენილი წესების დაცვით. დაკითხვის დროს დასაკითხ პირს შეუძლია გამოიყენოს დოკუმენტები და ჩანაწერები. დაკითხვა ოთხ საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს. დაკითხვის შედეგები ფიქსირდება დაკითხვის ოქმში. დაკითხვის დროს ზემოქმედების უკანონო მეთოდების გამოყენება დანაშაულია და ისჯება კანონით. დანაშაულია, აგრეთვე მოწმის ან დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარის თქმა. ამასთან, პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის, ვინც უარი განაცხადა თავის ან ახლო ნათესაის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემაზე (სსსკ., მუხლი 294–312).

დამატებითი გამოძიება – სისხლის სამართლის პროცესში დამატებითი საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც ტარდება გამოძიებით დამთავრებულ საქმეზე პროკურორის მითითებით ან სასამართლოს განჩინებით. დამატებითი გამოძიებისათვის საქმე ბრუნდება იმ შემთხვევაში, თუ წინასწარი გამოძიება ჩატარდა არასრულად, მოკვლევის ან გამოძიების წარმოებისას არსებითად დაირღვა კანონი, არასწორადაა გაერთიანებული ან გამოყოფილი საქმეები და ა.შ. საქმის დაბრუნებისას პროკურორი თუ სასამართლო ვალდებულია მიუთითოს დაბრუნებ-

ის საფუძველი, დამატებითი გამოსარკვევი გარემოებანი და ის საგამოძიებო მოქმედებანი, რომლებიც უნდა ჩატარდეს (სსსკ., მუხლი 413, 427, 452).

დამნაშავე – პირი, რომელმაც ჩაიდინა საზოგადოებრივად საშიში ქმედება, სასამართლოს მიერ ცნობილია დამნაშავედ, რისთვისაც კანონით გათვალისწინებულია სასჯელი.

დამნაშავეთა გადაცემა – (ექსტრადაცია,) საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს მიერ ტერიტორიაზე მყოფი დამნაშავის გადაცემა უცხო სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობაში მისაცემად ან განაჩენის აღსასრულებლად. მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის თანახმად საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მისაცემად ან სასჯელის მოსახდელად არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს, თუ ეს გათვალისწინებული არ არის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით. გარდა ამისა, არ შეიძლება სხვა სახელმწიფოს გადაეცეს შემოხიზნული დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელსაც დევნიდნენ პოლიტიკური მრწამსისათვის, აგრეთვე ის ვინც ჩაიდინა ქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დანაშაულად არ ითვლება, ან თუ ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯაა გათვალისწინებული იმ სახელმწიფოში, რომელიც გადაცემას მოითხოვს.

დამოუკიდებლობის დეკლარაცია – 1776წ. 4 ივლისს მიიღო ინგლისის კოლონიების წარმომადგენელთა II კონტინენტურმა კონგრესმა, იმ დროს, როდესაც მიმდინარეობდა დამოუკიდებლობისათვის ომი ჩრდილოეთ ამერიკაში (1775–83).

დანაშაული – არის საშიში, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედობა, რომელსაც კანონი სასჯელით ემუქრება. დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებულ ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდიდა მისი ჩამდენის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე (სსკ., მუხლი 7).

დანაშაულის სუბიექტი – პირი, რომელმაც ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება და პასუხი უნდა აგოს სისხლის სა-

მართლის მიხედვით. დანაშაულის სუბიექტი უნდა იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

დანაშაულობა – ისტორიულად მომაკვდავი ცვალებადი ანტისოციალურ–სამართლებრივი მოვლენა, რომელიც გულისხმობს მოცემულ ტერიტორიაზე დროის გარკვეულ მონაკვეთში ჩადენილ დანაშაულთა ერთობლიობას.

დაპატიმრება – თავისუფლების აღკვეთის სახე. მოქალაქეთა პიროვნების ხელშეუხებლობა გარანტირებულია კონსტიტუციით და არავინ არ შეიძლება დააპატიმრონ, თუ ამისათვის არ არსებობს სასამართლოს დადგენილება ან პროკურორის სანქცია. დაპატიმრება, როგორც სისხლის სამართლის პროცესში აღკვეთის ღონისძიება, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 159-ე მუხლი ითვალისწინებს, გამოიყენება მხოლოდ იმ პირის მიმართ, რომელსაც ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ორი წლით ან მეტი ვადით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბრალდებულმა დაარღვია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.

დაპატიმრება, როგორც წესი არ გამოიყენება მძიმე ავადმყოფის, ხანდაზმულის, ორსულის და ჩვილბავშვიანი ქალის მიმართ.

პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. უფლებამოსილი პროკურორის შუამდგომლობით პატიმრობის ვადა კანონით დადგენილი წესით შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ, მაგრამ არა უმეტეს ცხრა თვისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს. (სსსკ. მუხ. 159–162).

დარბაზი (სპარს. დარვაზე – კარი) – მეფესთან არსებული ყველადალების სათათბირო ორგანო XI–XVIII ს.ს. საქართველოში. დარბაზი ყოფილა რამდენიმე სამეფო სასახლეს. ასე სამეფო საბჭოს. დარბაზის წევრებს – „დარბაზის ერნი“, დარბაზის სხდომას – „დარბაზობა“. დარბაზის გამგებლობას განეკუთვნებოდა: კანონმდებლობა და უზენაესი მართლმსაჯულება, დიდ ხელისუფალთა არჩევა-დანიშვნის, ამ ხელისუფალთა „დალოცვა-ხელდასხმის“, ომის გამოცხადება და სხვა.

დარბაზობა – 1. ოფიციალური სტუმრობა, მიღება. 2. დარბაზის – სამეფო საბჭოს სხდომა ფეოდალურ საქართველოში.

დარბევა – (ისტ.) ფეოდალურ საქართველოში 1. სამხედრო მოქმედების სახეობა საგარეო თუ შინა ომებში, ხშირად რეპრესიის მიზნით. 2. დანაშაული –

ფეოდალების მიხდომა – თავდასხმა და მძარცველობა, უფლების თვითნებურად განხორციელება და მტერთან ანგარიშის გასწორება. 3. ქონებრივი სასჯელი, ერთგვარი ჯარიმა, იძულებითი გადახდევინება.

დასაბუთება – ბჭობა, რომლის მიზანია რაიმე დებულების, ჭეშმარიტების ან მცდარობის დადგენა.

დასვენების უფლება – მოქალაქეთა ერთ-ერთი ძირითადი სოციალ-ეკონომიკური უფლება.

დასკვნა – ბჭობა, რომლის ერთი ან რამდენიმე დებულების ჭეშმარიტად მისნეულის საფუძველზე ჭეშმარიტად მიეკისრებით რაიმე სხვა დებულების.

დასტურლამა (დასტურლამალი) (არაბ. სპარს. დასთურ ალ ამალ – ინსტრუქცია, გარიგება, მოქმედების წესი.) – სახელმწიფო სამართლის ძეგლის ზოგადი სახელწოდება გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში.

დასტურლამალი მეფის ვახტანგისა – ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლი; შეადგინა ვახტანგ VI-მ 1707–09. შედგება ორი ნაწილისაგან: სამეფო დასტურლამალი და სადედოფლო დასტურლამალი. ორივე ნაწილი 266 მუხლს შეიცავს. განკუთვნილი იყო ქართლის სამეფოსათვის. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ძეგლის საწარი სპარსულ-არაბულია და ნიშნავს „დასტურის მოქმედებისას, განრიგებას".

დასტურლამალში აღწერილია „წესი და განგება სამეფოსა დარბაზობისა" – იგი აწესრიგებს სამეფო კარზე მიღების, მეჯლისისა და ეტიკეტის ცერემონიალის წესს, ადგენს მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების უფლებამოსილებას, განსაზღვრავს მაღალი ხინოსნები თუ ყმხარები როგორ უნდა „იქცეოდნენ და განაგებდნენ სახელმწიფოსა თვისთა".

დაშრვება (სამართ. ისტ.) – ძველ საქართველოში ქონებრივი სასჯელის თუ ზიანის საზღაურის დაკისრება და გადახდა – დაზარალებულის დაკმაყოფილება.

დაუძლეველი ძალა (ლათ.) – სამოქალაქო სამართალში განსაკუთრებული და მოულმელი პირობებში აუცდენელი გარემოება, რომელიც, როგორც წესი, ათავისუფლებს პირს მიყენებული ზარალისათვის ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან. ამ საერთო წესიდან არსებობს გამონაკლისი. საჰაერო კოდექსის 77–ე მუხლის თანახმად – საჰაერო ტრანსპორტი მხოლოდ იმ შემთხვევაში გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ მგზავრის გარდაცვალება ან ჯანმრთელობის მოშლა გამოწვეული იყო დაზარალებულის მიზეზით.

დაფინანსება – სახელმწიფო ფულადი სახსრების მიზნობრივი გამოყენება უკან დაუბრუნებლად.

დაფარვა დანაშაულისა – დანაშაულის დაფარვა წინასწარ შეუპირებლად, აგრეთვე დანაშაულის კვალის, დანაშაულის იარაღებისა და საშუალებების, დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი ნივთების, აგრეთვე თვით დამნაშავეთა დაფარვა. (სსკ. მუხ. 375).

დაძტილოსკოპია (ბერძ.) – კრიმინალისტიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ხელის კანის ქარგების აღნაგობას პიროვნების კრიმინალისტიკური იდენტიფიკაციის, სისხლის სამართლებრივი რეგისტრაციისა და დამნაშავეთა ძებნის მიზნით.

დაცვა (სამართ.) – ბრალდების უარყოფის ან ბრალდებულის (განსასჯელის) პასუხისმგებლობის შემსუბუქებისაკენ მიმართულ პროცესუალურ მოქმედებათა ერთობლიობა. ამ ფუნქციას ახორციელებენ ბრალდებული და მისი დამცველი.

დახმარების აღმოუჩენლობა (სამართ.) – უმოქმედობა, რომელიც შესაბამის პირობებში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს.

დახუთვა (სამართ. ისტ.) – პატრონისათვის ნივთის ან კაცის გამორომევა, ან მათი ძალით ჩაგდება ხელში და უკან აღარ მიცემა, დაჭერა ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად, იგი ნიშნავდა დაყადაღებას, მას მიმართავდნენ როცა მოვალე პირობას გადაივიწყებდა.

დებატები (ფრანგ. კამათი.) – აზრთა გაცვლა – გამოცვლა კრებაზე, თათბირზე, კამათი, პაექრობა.

დებიტორი (ლათ. მოვალე, ვალდებული) – სამოქალაქო სამართლის ვალდებულებით ურთიერთობაში ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოვალეა შეასრულოს გარკვეული მოქმედება ან თავი შეიკავოს მისგან.

დებიტორული დავალიანება – განსაზღვრული თანხა, რომელიც საწარმოს, ორგანიზაციას ან დაწესებულებას ერგება იურიდიული ან ფიზიკური პირისაგან.

„დებულებანი“ 1861 წლის 19 თებერვლისა – ერთობლიობა საკანონმდებლო აქტებისა, რომლითაც გაფორმდა ბატონყმობის გაუქმება რუსეთში. დაამტკიცა იმპ. ალექსანდრე II-მ პეტერბურგში 1861 წლის 19 თებერვალს. შეიცავდა „მანიფესტს“, „ბრძანებულებას მმართებელი სენატისადმი“, „საერთო დებულებას ბატონყმური დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებულ გლეხთა შესახებ“ ოთხ „ადგილობრივ დებულებას“, აგრეთვე სხვა „დებულებებს“ „წესებ-

სა“ და „დამატებით წესებს“.

დებულება – სამართალში – კოდიფიკაციური ხასიათის ნორმატიული აქტი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ორგანოს ან ორგანოთა სისტემების სტრუქტურას, ფუნქციებს, კომპეტენციას.

„დებულების კომისია 1767“ – რუსეთის ზოგიერთი წოდების წარმომადგენელთა კრება სათათბირო უფლებით. მოწვეულ იქნა რუსეთის იმპერიის კანონთა ახალი კრებულის შესადგენად.

დე იურე (ლათ. სიტყვა-სიტყვით – სამართლის საფუძველზე) – იურიდიულად, საერთაშორისო სამართალში დე იურედ ცნობა ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ახალი სახელმწიფოს ან მთავრობის სრულ ცნობას.

დეკლარაცია (ლათ. განცხადება) – 1) სახელმწიფო სამართალში, ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს (მთავრობის, პოლიტიკური პარტიის, საერთაშორისო ორგანიზაციის) განცხადება თავისი პრინციპის, მიზნების ან პოზიციის შესახებ, რომლის მინიჭებითაც ხაზი ესმება მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. 2) საერთაშორისო სამართალში მხარეთა საზეიმო განცხადება თავიანთი მიზნების, პრინციპებისა თუ პოზიციების შესახებ. 3) ადმინისტრაციულ სამართალში დოკუმენტი, რომლითაც თანამდებობისა თუ კერძო პირები უცხადებენ სათანადო სახელმწიფო ორგანოებს, თუ რა ქონება და შემოსავალი აქვთ, რას აგზავნიან ამანათით, რა სავალუტო ფასეულობა მიაქვთ საზღვარგარეთ და ა.შ.

დევალვაცია – ქვეყნის ოქროს მცველი ფულადი ერთეულის ოფიციალური შემცირება, ან მისი კურსის შემცირება სხვა ქვეყნების ვალუტებთან შედარებით.

დეკრეტი (ლათ. ბრძანებულება, დადგენილება) – სამართლებრივი აქტის სახელწოდება, რომელიც რაიმე საგანგებო მდგომარეობისას მიიღება და რომელსაც დროებითი ხასიათი აქვს. მაგ.: საქართველოს პრეზიდენტი საგანგებო მდგომარეობის დროს გამოსცემს კანონის ძალის მქონე დეკრეტს, რომელიც მოქმედებს საგანგებო მდგომარეობის დამთავრებამდე.(კონსტ. მუხ. 73).

დელეგირებული კანონმდებლობა – კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტი, რომელსაც გამოსცემს ბურუუაზიული ქვეყნის მთავრობა პარლამენტის რწმუნებით.

დელიმიტაცია (ლათ. განსაზღვრა, დადგენა) – საზღვრისა – სახელმწიფოებს შორის საზღვრის დადგენის პირველი ეტაპი – სპეციალურ შეთანხმებაში ან საერთო ხელშეკრულებაში საზღვრო ხაზის მიმართულების დაწვრილებითი აღწერა ადგ-

ილმდებარეობის მიხედვით და შესაბამისი ხარისხის გაკეთება დიდმასშტაბიან რუკაზე, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას.

დელიქტი – (ლათ. გადაცდომა, შეცდომა, დანაშაული) – საერთაშორისო ნორმის დარღვევა, გამოიხატება საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ისეთი მოქმედებით ან უმოქმედობით, რომელიც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ნორმას.

დელიქტური პასუხისმგებლობა – სამოქალაქო სამართალში პასუხისმგებლობა, რომელიც წარმოიშობა ერთი პირის (საქართველოს მოქალაქის) მიერ სხვა პირისათვის (დაზარალებულისათვის) ქონებრივი ზიანის მიყენების გამო. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით: „პირი, რომელიც სხვა პირს, მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი“.

დემარკაცია საზღვრისა (ფრანგ.) – სახელმწიფოებს შორის საზღვრის დადგენის მეორე, ეტაპი, სასაზღვრო ხაზის გავლება ადგილზე სპეციალური სასაზღვრო ნიშნების (სვეტები, მავთულხლართი) დაყენებით და შესაბამისი დოკუმენტაციის შედგენით, რასაც ახორციელებს ამ სახელმწიფოთა შერეული კომისია.

დემობილიზაცია (ფრანგ. გაუქმება, შეწყვეტა) – შეიარაღებული ძალებისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გადაყვანა სამხედროდან მშვიდობიან მდგომარეობაზე.

დემოკრატია (ხალხის ძალაუფლება) – სახოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის, სახელმწიფოს ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ხელისუფლება ხალხისაგან მომდინარეობს და მოქალაქენი უფლებრივად თანასწორნი არიან. არსებობს კანონის უზენაესობა.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია (დაარს.) – ახალგაზრდული ორგანიზაციების საერთაშორისო გაერთიანება. ანტიიმპერიალისტურ და დემოკრატიული მისწრაფებების საერთო საფუძველზე აერთიანებს ეროვნულ ახალგაზრდულ კავშირებს და გაერთიანებებს. მიუხედავად მათი პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა. დაარსდა 1945 წ. 10 ნოემბერს.

დემოკრატ იურისტთა საერთაშორისო ასოციაცია – იურისტთა პროგრესული დემოკრატიული ორგანიზაცია, შეიქმნა 1946 პარიზში წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე ფრანგი იურისტების ინიციატივით.

დემონსტრაცია – სახალხო მსვლელობა, მიტინგი ან საზოგა-

დების პოლიტიკური განწყობილების მასობრივი გამოხატვის სხვა ფორმა.

დემონეტიზაცია – სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მონეტისათვის მიმოქცევისა და გადახდის საშუალებათა კანონიერი ფუნქციის ჩამორთმევა.

დენომინაცია – ქვეყანაში ფულის მიმოქცევის მოწესრიგების, ალრიცხვისა და ანგარშსწორების გაადვილების მიზნით ეროვნული ფულის ერთეულის გამსხვილება დაწესებული თანაფარდობის მიხედვით, ძველი ფულის ნიშნების ახალზე გადაცვლის მეშვეობით.

დენონსაცია (ფრანგ. გამოცხადება) – დენონსირება, საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოს განცხადება ამ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის თაობაზე. დენონსაციის უფლება გათვალისწინებულია თვით ხელშეკრულებაში. სახელმწიფოს განცხადება ორმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების შეწყვეტის ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ თეითონ ან ხელშეკრულებებით დადგენილ ვადებში და წესით. დენონსაციის საერთო პრინციპები მოცემულია 1969 კონვენციაში საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ. საქართველოში ეს საკითხები რეგლამენტირებულია საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონით საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ.

დეპოზიტარი – საერთაშორისო სამართალში – სახელმწიფო ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც შესანახად ბარდება მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების ავთენტიკური ტექსტი და მისი რატიფიკაციის საბუთები.

დეპოზიტი (ლათ. შესანახად მიბარებული საგანი) – სახელმწიფო დაწესებულებაში შეტანილი მატერიალური ფასეულობა (ფული ან ფასიანი ქაღალდი), რომელიც განსაზღვრული პირობების დადგომის შემდეგ უკან უნდა დაუბრუნდეს მიმტანს. დეპოზიტზე შეტანილი ანაბრები შეიძლება იყოს ვადიანი, მოთხოვნამდე, პირობითი, აგრეთვე ფული, ფასიანი ქაღალდები და სხვა ღირებულებანი, შეტანილი სასამართლოში, საგამოძიებო, საბაჟო და ადმინისტრაციულ ორგანოებში გარკვეულ მოვალეობათა შესრულების უზრუნველსაყოფად.

დეპარტამენტი (ფრანგ.) – ძირითადი ადმინისტრაციული ერთეული საფრანგეთში. უწყების ან სამინისტროს სახელწოდება. ამჟამად დეპარტამენტი საქართველოშიც არსებობს.

დეპონენტი (ლათ. რწმუნებული ვინახავ, ვდებ.), – ფიზიკური

ან იურიდიული პირი, რომელმაც ფასიანი ქაღალდების კურსის შესამცირებლად.

დეპონირებული თანხა – საბანკო-საკრედიტო დაწესებულებაში ფულადი თანხის და სხვა სახეობის ფასეულობათა შესანახად ჩაბარება.

დეპორტაცია – პირის ან პირთა ჯგუფის იძულებით გადასახლება სხვა სახელმწიფოში ან სხვა ადგილას.

დეპუტატთა პალატა – პარლამენტის ქვედა პალატის სახელწოდება ზოგიერთ ქვეყანაში (იტალია, ბრაზილია, მექსიკა). ეს სახელწოდება პირველად დაწესდა საფრანგეთში 1814 ქარტიის საფუძველზე.

დეპუტატი (ლათ. რწმუნებული) – სახელმწიფო ხელისუფლების არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, რომელსაც ირჩევს მოსახლეობა საყოველთაო თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, რომლის სტატუსი განსაზღვრულია კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

დეპუტატის შეკითხვა – წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატის მიმართვა სახელმწიფოს მმართველობის ორგანოს ან თანამდებობის პირისადმი, რათა მისცენ მას ახსნა-განმარტება თავიანთი საქმიანობის შესახებ.

დეტექტივი (ინგ. ვსნი, ცამხელ) – მაძებარი, გამომძიებელი.

დესპოტია (ბერძ. შეუზღუდავი ხელისუფლება) – სახელმწიფო წყობილებისა და მმართველობის ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო უკიდურესი ცენტრალიზაცია; ერთპიროვნული უმაღლესი მმართველის დესპოტის თვითნებობა და ქვეშევრდომთა უუფლებობა.

დე ფაქტო (ლათ. სინამდვილეში) – ფაქტობრივად, საერთაშორისო სამართალში ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ახალი სახელმწიფოს ან მთავრობის არასრულ ცნობას.

დეფოლტი = გადახდის უუნარობა – გაკოტრება.

დეფიციტი – ხარჯების გადამეტება შემოსავლებზე.

დეფლაცია – ფასების საერთო დონის შემცირება.

„დვინის სამართლის სიგელი 1397“ – დვინის ქვეყნის მართვა-გამგეობის განწესება, რომელიც შეადგინა მოსკოვის დიდმა მთავარმა ვასილ I–მა და შედგება 16 მუხლისაგან; აწესრიგებს სახელმწიფო წყობილებას, სამოქალაქო ურთიერთობებს და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხებს.

დიაუხი – დიაოხი დაიაენი, ადრინდელში ცნობრივი სახელმწიფო XII–VIII სს-ში ძვ.წ: ამიერკავკასიის ტერიტორიაზე.

დიგესტები (ლათ. შეკრებილი, სისტემაში მოყვანილი) – იუსტინიანეს კოდიფიკაციის ძირითადი ნაწილი, რომაელი იურისტების (პაპინიანეს, პაულიუსის, გიუსის და სხვა.) თხზულებათა ნაწყვეტების სისტემური კრებული. იგი აწესრიგებს ქონებრივ, საოჯახო, მემკვიდრეობით და ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობებს. კრებული შეადგინა კომისიამ ტრიბონიანეს ხელმძღვანელობით 533. დიგესტები იყოფა 50 წიგნად. თითოეული წიგნი–ტიტულებად, ხოლო ტიტული–ფრაგმენტებად. დიგესტების ბერძნული სახელწოდებაა პანდექტები.

დიდი სახალხო ხურალი – სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო და ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო მონღოლეთში.

დივანი (სპარს. კანცელარია, დაწესებულება – ჩანაწერი; წიგნი) – სახელმწიფო რეესტრი, სახელმწიფოს შემოსავლის გასანაწილებლად შედგენილი ნუსხა; აგრეთვე ამ ნუსხის შესანახი ადგილი.

დივერსიფიკაცია – ინვესტიციებისა და რისკის განაწილება სხვადასხვა დარგის სხვადასხვა კომპანიებს შორის.

დივერსია (ლათ. გადახრა; განრისხება) – სააგანგებოდ მომზადებული აგენტის ძირგამომთხრელი საქმიანობა რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი ეკონომიკური, სამხედრო ძლიერების და მორალური მდგომარეობის შესასუსტებლად.

დივიდენდი (ლათ. გასაყოფი, გასანაწილებელი) – სააქციო საზოგადოების სუფთა მოგების ნაწილი, რომელსაც ყოველწლიურად უნაწილებენ აქციონერებს, ფულის, აქციების; ქონების და სხვა სახით.

დიკასტერია (ბერძ. სამსჯავრო, მსაჯულნი) – ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ძველ ათენში, იგივე ჰელეია.

დილინგური ოპერაციები – ფასიანი ქაღალდების ყოველდღიური ყიდვა-გაყიდვა.

დილები – საპყრობილე, სატუსაღო, ტყვეთა დასამწყვდევი ციხე-კოშკის პირველი სართულის ქვეშ, უკარ-უფანჯრო.

დინასტია (ბერძ. ძალაუფლება, ბატონობა) – ერთი და იმავე გვარის მეფეები, რომლებიც თანმიმდევრობით ცვლიდნენ ერთმანეთს ტახტზე მემკვიდრეობის უფლების საფუძველზე.

დინატები (ბერძ. ძლიერი, ჭაბუკენიანი) – ბიზანტიის საზოგადოების გაბატონებული ფენის აღმნიშვნელი ტერმინი.

დიპლომატი (ფრანც.) – თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს თავისი სახელმწიფოს ოფიციალურ ურთიერთობას უცხო სახელმწიფოებთან.

დიპლომატია – სახელმწიფოსა და მთავრობის შეთავსება და საგარეო ურთიერთობის ორგანოთა ოფიციალური საქმიანობა საგარეო-პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად და სახელმწიფო ინტერესების დასაცავად სახელგარეშე.

დიპლომატიკა – დაჩხარუ სასტრიქონო დოკუმენტთა წყაროთმცოდნეობის ნაწილი, რომელიც აკვლევს საქაღალდეების ფორმასა და შინაარსს.

დიპლომატიური აგენტი – ერთ სახელმწიფოში მეორე სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურისა და დიპლომატიური პერსონალის წევრთა საერთო სახელწოდება.

დიპლომატიური აქტი – სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყებასა და ამ სახელმწიფოში მყოფ უცხო დიპლომატიურ წარმომადგენლობას შორის, აგრეთვე სხვადასხვა დაბალ წარმომადგენლობას შორის მიმოწერის დოკუმენტთა საერთო სახელწოდება. დიპლომატიური აქტებია: დიპლომატიური ნოტა, სამახსოვრო ბარათი, მემორანდუმი.

დიპლომატიური კორპუსი – აქა თუ იმ სახელმწიფოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურების ერთობლიობა.

დიპლომატიური კურიერი – თანამდებობის პირი, რომელსაც დიპლომატიური ფოსტა გადააქვს ერთი სახელმწიფოდან მეორეში. იგი ხელშეუხებელია. არ შეიძლება მისი დაპატიმრება, გახსნა ან დაკავება.

დიპლომატიური ნოტა – სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყებასა და უცხო დიპლომატიურ წარმომადგენლობას შორის, აგრეთვე სხვადასხვა დიპლომატიურ წარმომადგენლობას შორის მიმოწერის ერთ-ერთი ფორმა, რომლითაც ერთი სახელმწიფო პრეტენზიას უცხადებს მეორე სახელმწიფოს.

დიპლომატიური პროტოკოლი – დიპლომატიურ ურთიერთობაში დამკვიდრებული თავაზიანობისა და უფროსუმცროსობის წესები. ყველა სახის საგარეო საქმეთა უწყებაში შექმნილია სპეციალური საპროტოკოლო განყოფილება.

დიპლომატიური რანგები – წოდებანი, რომლებიც ენიჭებათ დიპლომატიურ მუშაკებს სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყებასა და საზღვარგარეთულ ორგანოებში. საქართველოს კანონმდებლობით დაწესებულია

უმაღლესი, უფროსი და უმცროსი დიპლომატიური რანგები.

უმაღლესი დიპლომატიური რანგებია: საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი. უფროსი დიპლომატიური რანგებია: უფროსი მრჩეველი, მრჩეველი, უმცროსი მრჩეველი.

უმცროსი დიპლომატიური რანგებია: პირველი მდივანი, მეორე მდივანი, მესამე მდივანი და ატაშე. უმაღლეს დიპლომატიურ რანგებს დიპლომატიური თანამდებობის პირებს და მათთან გათანაბრებულ პირებს ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო უფროსი და უმცროსი დიპლომატიური რანგების მინიჭება ხდება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ბრძანებით.

დიპლომატიური სამართალი – საერთაშორისო სამართლის ნაწილი, რომელიც მოიცავს პრინციპებსა და ნორმებს სახელმწიფოებისა და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტების ურთიერთობაში.

დიპლომატიური ურთიერთობა – ორი სახელმწიფოს მთავრობათა ოფიციალური ურთიერთკავშირი, რასაც ძირითადად მათი საგარეო საქმეთა უწყებები ახორციელებენ ერთმანეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან მუდმივი საქმიანი კონტაქტებით.

დიპლომატიური ფოსტა – დიპლომატიური დოკუმენტების შემცველი დალუქული პაკეტები, ნივთდანები, ტომრები, რომლებსაც დიპლომატიური კურიერის ხელით უგზავნიან ერთმანეთს სახელმწიფოს საგარეო საქმეთა უწყება და ამ სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი.

დიპლომატიური წარმომადგენლობა – სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობის ორგანო სხვა სახელმწიფოში. ხანიან ამ სახელმწიფოებს შორის დიპლომატიურ ურთიერთობის დამყარების შედეგად. დიპლომატიური წარმომადგენლობა იქმნება სახელმწიფოთა შეთანხმების საფუძველზე. მათ შორის მუდმივი ოფიციალური კონტაქტების დამყარების მიზნით. დიპლომატიური წარმომადგენლობა არსებობს ძირითადად ორი ფორმით: საელჩო, რომელსაც ელჩი მეთაურობს და მისია, რომლის მეთაურია დესპანი. საქართველოს კანონმდებლობით დიპლომატიური წარმომადგენლობა არის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებთან და აღგილსამყოფელ სახელმწიფოებთან დიპლომატიური და საკონსულო ურთიერთობისას წარმოადგენს საქართველოს. (საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის კანონი „დიპ-

ლომატური სამსახურის შესახებ“ მუხლი 2).

დიპლომატიურ წარმომადგენელთა კლასები – საერთაშორისო სამართლით დაწესებული დაყოფა დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურებისა.

დიპლომი (ფრანგ. ორად მოკეცილი საბუთი) – ოფიციალური საბუთი უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის დამთავრების, სამეცნიერო ხარისხის ან რაიმე წოდების მინიჭების შესახებ.

დირექტივა (ფრანგ.) – ზემდგომი ორგანოს სახელმძღვანელო მითითება, რომლის შესრულება აუცილებელია.

დისერტაცია (ლათ. მსჯელობა, გამოკვლევა) – სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც საჯაროდ უნდა დაიცვას ავტორმა სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

დისიდენტი (ლათ. ვინც არ ეთანხმება) – რეფორმაციის დროიდან, მორწმუნე ქრისტიანი, რომელიც არ მისდევდა თავის ქვეყანაში გაბატონებულ კათოლიკურ ან პროტესტანტულ სარწმუნოებას. კათოლიკობიდან განდგომილი პირი, რომელიც ეკლესიას მწვალებლად მიაჩნდა.

დისკონტი (ინგლ.) – თამასუქის ალრიცხვა, განაწილება. პროცენტი, რომელსაც იღებენ ბანკები თამასუქის წარმოებისას.

დისკრეციული ხელისუფლება (ფრანგ. პირადი შეხედულების მიხედვით.) – სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურისათვის ან სხვა მაღალი თანამდებობის პირისათვის კანონით მინიჭებული უფლება –განსაკუთრებულ პირობებში იმოქმედოს პირადი შეხედულებებისამებრ.

დისკრეციული უფლებამოსილება – უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. (ზოგ. ადმ. მ. 2).

დისკრიმინაცია (ლათ. განსხვავება) – სახელმწიფოში განსაზღვრული კატეგორიის მოქალაქეებისათვის იმ უფლების ნამორთმეა ან შეზღუდვა, რომელიც მინიჭებული აქვთ სხვა მოქალაქეებს.

დისკურსიული (ლათ. მსჯელობა) – დისკურსიული აზროვნება, განსჯა, მსჯელობა, რომლის დროსაც ყოველი ახალი აზრი ლოგიკურად გამომდინარეობს წინა აზრებისაგან.

დისკუსია (ლათ. განხილვა, გამოკვლევა) – რაიმე სადავო საკითხის საჯარო განხილვა, კამათი, პაექრობა.

დისლოკალური ძორწინება (ლათ. ადგილი) – ქორწინების ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცოლ-ქმრის ცალცალკე ცხოვრება (თითოეულისა თავის ნათესაურ ჯგუფში).

დისპოზიციურობის პრინციპი – სამოქალაქო სამართლის პროცესში პრინციპი, რომლის თანახმად მხარეებსა და საქმეში მონაწილე სხვა პირებს შეუძლიათ თავისუფლად განკარგონ თავიანთი პროცესუალური და მატერიალური უფლებები.

დისციპლინური გადაცდომა – მუშის ან მოსამსახურის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედება ან (უმოქმედობა), რომელიც არღვევს შრომის დისციპლინას.

დისციპლინური პასუხისმგებლობა – მუშა-მოსამსახურეთა პასუხისმგებლობა შრომის დისციპლინის დარღვევისა და სიყვარული სხვა სახის სამსახურებრივი გადაცდომისათვის.

დისციპლინური სასჯელი – დისციპლინური სასჯელი, დისციპლინური გადაცდომისათვის დაწესებული სემოქმედების ღონისძიება, რომელიც შეეფარდება შრომის დისციპლინის დამრღვევს.

საქართველოს შრომის კანონმდებლობით შრომის დისციპლინის დარღვევისათვის საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია იყენებს შემდეგ დისციპლინურ სასჯელებს: 1) შენიშვნა; 2) საყვედური; 3) სასტიკი საყვედური; 4) დაბალხელფასიან სამუშაოზე გადაყვანა ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება სამ თვემდე ვადით; 5) დათხოვნა.

დისციპლინური სასჯელის გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ იმ ორგანოს, რომელმაც ეს მუშაკი სამუშაოზე მიიღო. არ შეიძლება დისციპლინური სასჯელი დაედოს პირს, თუ დისციპლინური დარღვევის დღიდან გავიდა ექვსი თვე. ხოლო რევიზიის ან საფინანსო-სამეურნეო შემოწმების შედეგების მიხედვით არა უგვიანეს ორი წლისა მისი ჩადენის დღიდან – თუ დისციპლინური სასჯელის დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ დაედება ახალი დისციპლინური სასჯელი, იგი ჩაითვლება პირად, რომელსაც დისციპლინური სასჯელი არ ქონია დადებული (შ.კ.კ. მუხლი 136–137).

დისციპლინური წესდება – შეიარაღებული ძალების ერთეული საჯარისო წესდება, რომელშიაც გადმოცემულია სამხედრო დისციპლინის არსი, მისი ძირითადი მოთხოვნები. სამხედრო მოსამსახურეთა სახეობრებისა და განსხვავებების წარდგენისა და განსილვის წესი.

დიფერენციული კავშირის თეორია – ბურჟუაზიული კრიმინოლოგიური თეორია, რომლის მიხედვით დამნაშაულობას გან-

სახელმწიფოს ადამიანთა დიფერენციული დამოკიდებულება სახელმწიფოებრივ შეფასებებისადმი.

დიქტატორი (ლათ. dictator, dictare, dictum) – განსაკუთრებული ძალაუფლებით აღჭურვილი მმართველი. ორნეკენ ყოველწლიურად. ძველი იტალიის ლათინურ ქალაქებში, აგრეთვე ლათინთა კავშირის მეთაური. საგანგებო თანამდებობის პირი (მაგისტრატისა).

დიქტატურა (ლათ. შეუზღუდავი ძალაუფლება) – ცნება, რომელიც ახასიათებს ხელისუფლების განხორციელების სისტემას სახელმწიფოში. ხელისუფლების განხორციელების წესი, დიქტატორული რეჟიმი.

დრგმა (ბერძ. შესრულება, მოძღვრება, დადგენილება) – რელიგიური რწმენისა და ავტორიტეტისადმი ბრმა მორჩილების საფუძველზე უკრიტიკოდ მიღებული დებულება, რომელიც ურყევ ჭეშმარიტებადაა მიჩნეული ყველა დროისათვის.

დოგმატიზმი – თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ცალკეული დებულებები და პრინციპები სათანადო შემოწმების გარეშე ცხადდება დოგმებად – ერთხელ და სამუდამოდ მიღებულ ჭეშმარიტებად.

დოკუმენტი (ლათ. ნიმუში, მოწმობა) – ოფიციალურად, რაიმე უფლების ან ფაქტის დამადასტურებელი წერილობითი საბუთი, ვისიმე ვინაობის დამადასტურებელი მოწმობა.

დომენი (ფრანგ. სამფლობელო) – სამეფო შუა საუკუნეების ევროპის ქვეყნებში მეფის მემკვიდრეობითი საკუთრებაში მყოფი სამფლობელო. მოიცავდა სამემკვიდრეო მამულებს, ციხესიმაგრეებს, ქალაქებს.

დომინიონი (ინგლ. მფლობელობა) – ტერმინი, რომლითაც 1947-მდე აღნიშნებოდა ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფო.

დოტაცია (ლათ. საჩუქარი, შეწირულობა) ასიგნება (ფულის გაღება) – სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა მიზნებით გამოწერილი ხარჯების დასაფარავად. აგრეთვე ქვემდგომი ბიუჯეტის დაბალანსებისათვის. რიცხვ ამ ბიუჯეტის შემოსავალი ვერ ფარავს ხარჯს.

დოქტრინა (ლათ.) – სახელმძღვანელო თეორიული ან პოლიტიკური პრინციპი ან ნორმატიული ფორმულა მოქმედებისათვის.

დოცენტი (ლათ. ვინც ასწავლის) – სამეცნიერო წოდება. რუსეთში შემოიღეს 1863 (პროფესორისა და მაგისტრის სამეცნიერო ხარისხის მქონე საშტატო მასწავლებელს).

დროებითი მუშაკი – შრომის

კანონმდებლობის მიხედვით, მუშა ან მოსამსახურე, რომელსაც იღებენ სამუშაოზე, დროებით (არა უმეტეს 2 თვისა) ან და სამუშაოდ იყვანენ (4 თვემდე ვადით) დროებით წასული მუშაკის ნაცვლად, რომელსაც ენახება თავისი ადგილი.

დროებითი საქმეთა რწმუნებული – დიპლომატიური წარმომადგენლობის უფროსი თანამშრომელი, რომელიც ცვლის დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურს ამ სახელმწიფოში მისი არყოფნის დროს.

დროის ნორმა – დრო, რომელიც სჭირდება შესაბამისი კვალიფიკაციის მუშას ან მუშათა ჯგუფს მოცემულ პირობებში პროდუქციის ერთეულის საწარმოებლად.

დუმბარტონ-ოქსის კონფერენცია 1944 – კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსების საკითხს. მიმდინარეობდა 21 აგვისტოდან 7 ოქტომბრამდე ვაშინგტონში. კონფერენციაზე მომზადდა წინადადებანი, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო გაერთიანებული ერების ორგანიზაციების წესდებას.

დომინანტი – (ლათ. ბატონი, მბრძანებელი) – მონათმფლობელური მონარქიის სპეციფიკური ფორმა იმპერატორის განუსაზღვრელი უფლებამოსილებით, რომელიც დამკვიდრდა ძველ რომში იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს.

დღგ (დამატებითი ღირებულების გადასახადი) — არაპირდაპირი გადასახადი, რომელიც ექვემდებარება გადახდას საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის ქვეშა სტადიაზე.

ე

ეგზარქოსი (ბერძნ. ხელმძღვანელი, დამოუკიდებელი ხელისუფლების მქონე) – ძვ. საბერძნეთში თანამდებობა ქურუმთა წოდებაში. ბიზანტიაში იმპერატორის მოადგილე.

ეგზეკვატურა (ლათ. ვასრულებ.) – საკონსულო ფუნქციათა შესრულების ნებართვა, ეძლევა უცხო სახელმწიფოს საკონსულო წარმომადგენელს. საერთაშორისო სამართალში – ერთ სახელმწიფოში დადგენილი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება მეორე სახელმწიფოში.

ეგზეკუცია (ლათ. შესრულება) – 1) დამსჯელი რაზმების ნაკეთება მთავრობის საწინააღმდეგოდ განწყობილ სოფლებში. 2) სხეულებრივი სასჯელისა და სიკვდილის განაჩენის აღსრულებაა.

ეგზოგამია (ბერძნ. ქორწინება) – საქორწინო ურთიერთობის აკრძალვა ნათესაური, უფრო იშვიათად კი ლოკალური კოლექტივების წევრებს შორის.

ეგოიზმი (ფრანგ.) – საკუთარი ინტერესების დაყენება კოლექტივისა და მთელი საზოგადოების ინტერესებზე მაღლა.

ედილი – არჩევითი თანამდებობის პირი ძველ რომსა და იტალიის სხვა ქალაქებში.

ედიქტი (ლათ. ვაცხადებ) – ძველ რომში მაგისტრატის განცხადება თანამდებობის დაკავების დროს. შეიცავდა მაგისტრატის საქმიანობის პროგრამას. თავდაპირველად ედიქტს სპირად წარმოთქვამდნენ, შემდეგ ხანებში კი წერილობით აყალიბებდნენ და ხალხის თავშეყრის ადგილას აკრავდნენ. შუა საუკუნეებში ზოგიერთ ქვეყანაში ედიქტს უწოდებდნენ მონარქის ბრძანებასა და სხვა სავალდებულო აქტს.

ევროპის კავშირი (ევროკავშირი) – ევროპის კავშირი შეიქმნა 1993. და უკვე 1999 წლის 1 იანვრისათვის ევროკავშირში შედიოდა 15 წევრ-სახელმწიფო. ევროპის კავშირის ამოცანებია: ევროპის ხალხთა მჭიდრო კავშირის ჩამოყალიბება, მათი ეკონომიკური და სოციალური პროგრესი, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში საგარეო და თავდაცვითი პოლიტიკის განხორციელება, საერთო მოქალაქეობის შენარჩუნება და გამრავლება. მისი ძირითადი ორგანოებია: ევროპის საბჭო, ევროპის პარლამენტი, ევროპის კავშირების საბჭო, ევროპის კომისია, ევროპის სასამართლო.

ევროპის პარლამენტი (ევროპარლამენტი) – ევროკავშირის საკონსულტაციო და სარეკომენდაციო ორგანო. შედგება 600-ზე მეტი დეპუტატისაგან, რომლებსაც ირჩევენ ევროკავშირის წევ-

რი-სახელმწიფოები ხუთი წლის ვადით. პარლამენტისა და მისი ორგანოების საქმიანობას წარმართავს პარლამენტის პრეზიდიუმი, რომელიც შედგება თავმჯდომარისა და მისი 14 მოადგილისაგან. ევროპის პარლამენტის ადგილსამყოფელია სტრასბურგი (საფრანგეთი).

ევროპის საბჭო (ევროსაბჭო) – ევროკავშირის (ევროპის თანამეგობრობის) ერთ-ერთი მთავარი ორგანო. შეიქმნა 1945. თავდაპირველად მისი წევრები იყვნენ ბელგია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, საფრანგეთი, შვეცია. ამჟამად ევროსაბჭო ორმოცზე მეტ სახელმწიფოს აერთიანებს. საქართველო ევროსაბჭოს 41-ე წევრია 1999 აპრილიდან. ევროპის საბჭოს მთავარი ორგანოებია მინისტრთა კომიტეტი და საკონსულტაციო ასამბლეა. მასთან მოქმედებს ადამიანის უფლებათა ევროპის კომისია და ადამიანის უფლებათა ევროპის ტრიბუნალი. ევროპის საბჭო სტრასბურგშია (საფრანგეთი).

ეზოს მოძღვარი – მეფის სასახლის, სამეურნეო საფინანსო უწყების გამგებელი ახ. წ. პირველსაუკუნეების საქართველოში. მის გამგებლობას განეკუთვნებოდა: „მეფის ხარჯნი და წარსაგებელნი, წესნი და რიგნი დარბაზისა და სხუათა“.

ეთიკა (ბერძ. ზნე.) – ფილოსოფიური მეცნიერება, ზნეობისა და მორალის შესახებ.

ეთოსი (ბერძ. ზნე, ჩვეულება, ადათი.) – ადგილსამყოფელი, საცხოვრებელი კერა, კარავი, აგრეთვე ჩვევა, მიდრეკილება, წესი, ადათი, წესრიგი, როგორც რაიმე თავისებურება, ნიშანი, თვისება.

ელჩი – (თურქ.) უმაღლესი კლასის დიპლომატიური წარმომადგენელი, რომელიც ენიჭება საგარეო ურთიერთობის უწყების მაღალი თანამდებობის პირს (იხილე, აგრეთვე დიპლომატიური რანგები).

ემანსიპაცია – (ვაჟიშვილის განთავისუფლება მამის ხელისუფლებისაგან), რაიმე დამოკიდებულებისაგან, მეურვეობისაგან განთავისუფლება, უფლებრივი გათანასწორება. მაგ.: ქალის ემანსიპაცია.

ემბარგო – (ესპ. აკრძალვა, ქადაღის დადება) – ამა თუ იმ ქვეყნის იძულებითი ლონისძიება, რაც გულისხმობს სახელმწიფოში საქონლისა თუ კაპიტალის შემოსვლას ან პირიქით, ქვეყნიდან მათი გატანის აკრძალვას.

ემიგრანტი – (ლათ., ვინც გადასახლდება), მოქალაქე, რომელიც ძალდატანებით ან თავისი ნებით გადასახლდა სხვა ქვეყანაში. 1966 საერთაშორისო პაქტით ყველა ადამიანს აქვს უფლება დატოვოს თავისი საცხოვრებელი. მისი შეზღუდვა შეუძლია

მხოლოდ საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო უშიშროების ორგანოებს. ემიგრანტის უფლება-მოვალეობანი და მისი სტატუსი მოწესრიგებულია 1993 წლის 20 ივნისის კანონით ემიგრაციის შესახებ.

ემიგრაცია (ლათ. გადავსახლდები) – მოქალაქის წასვლა თავისი სახელმწიფოდან უცხო სახელმწიფოში, მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად. უცხოეთში გადახვეწილი პირების ანუ ემიგრანტების ერთობლიობა.

ემისია – ფულის ან ფასიანი ქაღალდების გამოშვება მიმოქცევაში

ემოცია – (ფრანგ. ვალუელებ), ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობა. გარე სინამდვილესა და თავისი თავისადმი ინდივიდის დამოკიდებულების განცდა (შიში, რისხვა, სიხარული).

ემფითევზისი – (ლათ.), სხვისი მიწით სარგებლობის მემკვიდრეობითი უფლება ქირის გადახდის პირობით. ასეთი იჯარით გაიცემოდა საჯარო, ხოლო შემდგომ კი კერძო მესაკუთრული უშენი მიწები.

ეპანაგოგა – (ბერძნული) ბიზანტიური სამართლის კრებული, შედგენილია IX ს. ბოლოს იმპერატორ ბასილ I-ისა და მისი შვილების ლეონისა და ალექსანდრეს დროს.

ერარიშმი – (ლათ. სპილენძი, ფული) სახელმწიფო ხაზინა ძველ რომში. ინახებოდა სატურნის ტაძარში.

ერგასტერიონი – (ბერძნული ემუშაობ) ძველ საბერძნეთსა და რომში სახელოსნო ანდა სამთო-მოპოვებითი საწარმო, სადაც მონათა შრომას იყენებდნენ; აგრეთვე სახელოსნო ბიზანტიაში.

ერთა თანამეგობრობა – დიდი, ბრიტანეთის, მისი დომინიონებისა და ყოფილი კოლონიების ასოციაცია.

ერთა ლიგა – სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1919.

ერთმმართველობა – მმართველობის ორგანოს, ორგანიზაციის, საწარმოს ან დაწესებულების მართვის ორგანიზაციული პრინციპი, როცა უწყების სათაოში დგას ერთპიროვნული ხელმძღვანელი – მინისტრი, დირექტორი, მმართველი.

ერთპალატიანი სისტემა – საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურა, როცა იგი ერთი პალატისაგან შედგება. არსებობს უნიტარულ სახელმწიფოებში.

ერი – ნაცია – (ლათ. ტომი, ხალხი) ადამიანთა სოციალურ-ისტორიული ყორმა – ძველი ქართული ტერმინი, ერთდროულად აღნიშნავდა ხალხსაც და ჯარსაც.

ერინიები – (ბერძნული) ძველ ბერძნულ მითოლოგიაში შურისძ-

იების ქალღმერთები, რომლებიც სდევნიდნენ დამნაშავეებს, განსაკუთრებით მკვლელებს, გონებას ართმევდნენ და ხოცავდნენ. მაგ. მითები: ორესტეს, ალკმეონის, ოიდიპოსის, მელეანგრეს შესახებ.

ერისთავი – ისტორიკოსთა ვარაუდით ერისთავი ფეოდალურ საქართველოში სახელმწიფო ტერიტორიული ერთეულის გამგებელი ყოფილა, რომელიც გვაროვნული წყობილების დროს შეიქმნა და თავდაპირველად ჯარის უფროსს, სარდალს ნიშნავდა. შემდგომში ერისთავი შეცვალა მთავარმა, თავადმა, მეფის მოურავმა.

ერისთავი იყო ფეოდალი, პქონდა სახელმწიფოებრიობის ატრიბუტები: დროშა, ბეჭედი, განსაკუთრებული სამოსელი. იყო საერისთავო ჯარის სარდალი, უმაღლესი სამოქალაქო და სასამართლო ხელისუფალი. დიდ ფეოდალს, დიდი საერისთავოს გამგებელს ერისთავთერისთავსაც უწოდებდნენ.

ერობა – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ცარისტულ რუსეთში. შეიქმნა 1864 საერობო რეფორმით.

ერთვნება – მონათმფლობელური და ფეოდალური წყობილების ბაზაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა ერთობის ისეთი ფორმა, რასაც ახასიათებს საერთო ტერიტორია, ენა, ჯერ კიდევ არა მყარი სამეურნეო-ეკონ. კავშირები და კულტ. ერთობის წარმოშობის პირობების შექმნა.

ეროვნული ენა – სამართალწარმოებაში, ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომლის თანახმად სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ან ავტონომიური ოლქის, ავტონომიური ოლქის ენაზე ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე.

ეროვნული შემოსავალი – დროის გარკვეულ მონაკვეთში მატერიალური წარმოების სფეროში ახლად შექმნილი ღირებულება და ეროვნებლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილი ნატურალური ფორმით, რომელიც ამ ღირებულებას შეესაბამება.

ეროტიკა – (ბერძნ. სასიყვარულო) სქესობრივი მგრძნობიარობა, ზოგჯერ გაძლიერებული, არაჯანსაღი ინტერესი სქესობრივი პრობლემისადმი.

ეფოროსები – თანამდებობის პირთა კოლეგია სპარტაში და სხვაგან ბერძნულ პოლისში. ეფოროსების კოლეგია შედგებოდა ხუთი სპარტელისაგან, რომელთაც თითო წლით ირჩევდნენ. გადაწყვეტილების მიღება სდებოდა ხმების უმრავლესობით.

ესთეტიკური აღქმა – საგნის (რეალური ან წარმოსახული) ესთეტიკური ღირებულების შემჩნევა და განცდა.

ექსორია – სახელმწიფოდან განდევნა, გადახვეწა ფეოდალურ საქართველოში. იხმარებოდა გაძევების აღსანიშნავად. გაძევებულთა „ექსორიაქმნილნი" ეწოდებოდათ.

ექსპედიცია (სამართ.) –ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ერთი მხარე – კლიენტი აკალებს მეორე მხარეს – ექსპედიტორს კლიენტის ხარჯზე და შესაბამისი სასყიდლით გააგზავნონ ტვირთი სარკინიგზო, წყლის ან სხვა ტრანსპორტით, ანდა მიიღოს და მიუტანოს კლიენტს მის მისამართზე მოსული ტვირთი.

ექსპერტი – (გამოცდილი) სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირი, რომელსაც იწვევენ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეების სასამართლოში განხილვის დროს. საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია ექსპერტის უფლება-მოვალეობანი. მას უფლება აქვს გაეცნოს საქმის მასალებს, დაესწროს საგამოძიებო და სასამართლო მოქმედების ჩატარებას და დასაკითხ პირებს დაუსვას შეკითხვები, მოითხოვოს დამატებითი მასალების წარდგენა და ა.შ. ექსპერტი ვალდებულია ჩაატაროს საჭირო გამოკვლევა და მისცეს დასაბუთებული დასკვნა დასმულ საკითხებზე. ექსპერტის მიერ ყალბი დასკვნის ან ყალბი ჩვენების მიცემა დანაშაულია და ისჯება კანონით (სსსკ., მუხ. 96–97, სამ. საპ. კოდ., მუხ. 168).

ექსპერტიზა – გამოკვლევის ჩატარება იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა მოითხოვს სპეციალურ ცოდნას და რომელიც ინიშნება იმ შემთხვევებში თუ საქმის გამოძიების ან სასამართლოში განხილვის დროს წამოიჭრება საკითხები, რომელთა გადაჭრა შეუძლებელია სპეციალისტების დასკვნის გარეშე. კანონით გათვალისწინებულ სოგიერთ შემთხვევაში სიკვდილის მიზეზის დადგენა, ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის დადგენა და ა.შ. ექსპერტის წინაშე დასმული საკითხები და მისი დასკვნა არ უნდა სცილდებოდეს ექსპერტის სპეციალური ცოდნის ფარგლებს. ეჭვმიტანილსა თუ ბრალდებულს უფლება აქვს გაეცნოს ექსპერტის დანიშვნის შესახებ დადგენილებას, აცილება მისცეს ექსპერტს, დაუსვას ექსპერტს დამატებითი კითხვები და სხვა (სსსკ., მუხ. 356, სამ. საპ. კოდ., მუხ. 162–176).

ექსპორტი – ამა თუ იმ ქვეყნიდან საქონლის, ფასიანი ქაღალდების და სხვა ფასეულობათა გატანა ბაზარზე სარეალიზაციოდ.

ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია – პროლეტარიატის დიქტატურის რევოლუციური აქტი, რომლის შედეგად კერძო მესაკუთრეთა მიერ მშრომელთა

ექსპლუატაციის შედეგად მითვისებულ სახალხო სიმდიდრეს იძულებით არომეედნენ მათ და უბრუნებდნენ მშრომელებს.

ექსპროპრიაცია – სამართალში, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ ქონების იძულებითი ჩამორთმევა უსასყიდლოდ (კონფისკაცია) ან სასყიდლით (რეკვიზიცია). ექსპროპრიაციის განხორციელების წესი განისაზღვრება საქართველოს 1999 წლის 23 ივლისის კანონით აუცილებელი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ.

ექსტერიტორიულობა (ლათ. ექტეინის გარეშე) – სახელმწიფოს სასამართლო და ადმინისტრაციული იურისდიქციის გაუვრცელებლობა უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლობაზე, უცხო სამხედრო ხომალდსა და სამხედრო ბაზაზე.

ექსტრემიზმი (ლათ. უკიდურესი) – პოზიცია, რომელიც მოითხოვს უკიდურესი ზომების გამოყენებას, ამა თუ იმ პოლიტიკური საკითხის გადასაჭრელად.

ეჭვმიტანილი – დანაშაულის ჩადენაში საეჭვოდ მიჩნეული პირი, რომელიც დაკავებულია ან რომლის მიმართაც ბრალდების წაყენებამდეა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება. ეჭვმიტანილის დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. ამ ვადის ამოწურვამდე მას უნდა წაუყენონ ბრალდება. წინააღმდეგ შემთხვევაში დაკავებულება პირის ეჭვმიტანილად აცნობის შესახებ უქმდება და იგი დაუყოვნებლივ უნდა გაანთავისუფლდეს. ეჭვმიტანილი უნდა დაკითხოს მისი დაკავებიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ეჭვმიტანილს უფლება აქვს არაუგვიანეს 12 საათისა ხელზე მიიღოს საქმის აღძრის დადგენილება, მისცეს ან არ მისცეს ჩვენება, ისარგებლოს დამცველის მომსახურებით, განაცხადოს შუამდგომლობა და აცილება, წარმოადგინოს მტკიცებულებანი, მოითხოვოს მისი ან დამცველის შეამდგომლობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებანი და ა.შ. ბრალდების წაყენების მომენტიდან ეჭვმიტანილი ბრალდებულად ითვლება და სარგებლობს ყველა უფრო ფართო პროცესუალური უფლებებით (სსსკ, მუხ. 72, 73, 142).

ეჯიბი (არაბ. მეყის მეკარე, ქარისაცი) – ერთ-ერთი დიდმოხელე ქართველი მეყის სასახლეში. მეკარე, მეყისათვის მთხოვნელთა სურვილის მომსმენებელი. მთავრობაში ეკუთვნოდა საქორწილო ცერემონიალის გამორჩეული ფიგურა, მეყის (ნეყის) მაკრების მეთაური.

ვ

ვაგნერის კანონი – (ეროვნული კანონი შრომით ურთიერთობის შესახებ) – შრომით ურთიერთობათა მარეგულირებელი კანონი აშშ-ში, მიიღეს 1935. კანონს შეერქვა მისი ავტორის სენატორ ვაგნერის სახელი.

ვაკანსია – დაუკავებელი თანამდებობა დაწესებულებაში, თაყისუფალი ადგილი სასწავლებელში.

ვალდებულება – სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ძალითაც ერთი პირი (მოვალე) ვალდებულია შეასრულოს მეორე პირის (კრედიტორის) სასარგებლოდ გარკვეული მოქმედება, გადასცეს ქონება, გადაუხადოს ფული, შეასრულოს სამუშაო და სხვა; ან თავი შეიკავოს ამა თუ იმ მოქმედებისაგან; ხოლო კრედიტორს უფლება აქვს მოსთხოვოს მას ამ მოვალეობის შესრულება. ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში (სკ, მუხ. 316).

ვალდებულებითი სამართალი – სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებენ ვალდებულებით ურთიერთობებს და მასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ვალდებულების უზრუნველყოფა – სამოქალაქო სამართლის კანონით ვალდებულების უზრუნველყოფის სახეებია: პირგასამტეხლო, ბე, მოვალის გარანტია, თაჟდებობა, რომელთა გამოყენებითაც კრედიტორს შეუძლია აიძულოს მოვალე შეასრულოს ვალდებულებით დაკისრებული მოქმედება. (სკ. მუხ. 417, 420, 423, 226).

ვალდებულების შესრულება – სამოქალაქო სამართლის კოდექსის 361 მუხლის მიხედვით, კანონისა და კანონიერი გარიგების საფუძველზე აღმოცენებული ვალდებულების შესრულება უნდა მოხდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

ვალდებულების შესრულების ვადა, როგორც წესი, განისაზღვრება კანონით ან ხელშეკრულებით. იმ შემთხვევაში, თუ ვადა არ არის განსაზღვრული, მაშინ კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს მისი შესრულება ნებისმიერ დროს.

ვალდებულების შესრულება უნდა მოხდეს იმ ადგილას, რომელიც განსაზღვრულია კანონით ან ხელშეკრულებით. სხვა შემთხვევაში – ინდივიდუალურად განსაზღვრულ საგანთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულება მოხდება იმ ადგილ-

ას, სადაც ეს საგანი ყალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა, ხოლო გვარეობით განსაზღვრულ საგნის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც იმყოფებოდა მოვალის საწარმო, ან მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. (ს.კ. მუხ. 427, 433).

ვალორიზაცია – ამა თუ იმ საქონლის ფასის ხელოვნური გაზრდა. ფულის ერთეულის დაცემული კურსის ამაღლების ღონისძიებაა ერთობლიობა.

ვანდალიზმი – მატერიალურ ფასეულობათა და კულტურის ძეგლთა უაზრო განადგურება. სახელწოდება წარმოდგება ძველი გერმანულ ტომის ვანდალებისაგან, რომლებმაც 455 რომი დაარბიეს და მრავალი ანტიკური ძეგლი გაანადგურეს.

ვარანტი – (საფუძველი, უფლებამოსილება – მრავალ ბერძნულენოვან სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალში (საფრანგეთი, ბრიტანეთი, აშშ, იაპონია) სპეციალური, რომელიც საწარმოში საქონლის მიბარებისას ეძლევა საქონლის მფლობელს – ფასიანი ქაღალდის სახეობა. იგი შეიძლება სხვას გადაეცეს წარწერით (ინდოსამენტით). სამოქალაქო კოდექსის 790-ე მუხლით, სასაწყობო მოწმობის მფლობელს საგირავნო მოწმობის საფუძველზე შეუძლია საწარმოში მიბარებული საქონელი დააგირავოს სხვა ყალდებულების უზრუნველსაყოფად, ისე. რომ საქონელი საწყობიდან არ იყოს გატანილი. (ს.კ. მ. 790).

„ვარსკვლავის პალატა“ – უმაღლესი სასამართლოს დაწესებულება XVI–XVII ს.ს. ინგლისში. (სახელი ეწოდა უესტმინსტერის სამეფო სასახლის დარბაზიდან, რომლის ჭერი მოხატული იყო „ვარსკვლავებით“). დაარსა ჰენრი VII-მ 1487.

ვასალი (ფრანგ. მსახური) – შუა საუკუნეებში მემამულე. ფეოდალი, რომელიც დამოკიდებული იყო სხვა, უფრო მსხვილ ფეოდალზე, სიუზერენზე.

ვასალიტეტი – პირადი დამოკიდებულების სისტემა წვრილი ფეოდალებისა (ვასალებისა) დიდ ფეოდალებზე (სენიორებზე) შუა საუკუნეებში.

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული – ვახტანგ ბატონიშვილის ბრძანებით შექმნილი საკოდიფიკაციო კომისიის მიერ 1705–08 შედგენილი კანონთა კრებული, რომელიც შეიცავს შესაფალსა და შვიდ საკანონმდებლო ძეგლს. 1) სამართალი მოხესი; 2) სამართალი ბერძნული; 3) სამართალი სომხური; 4) სამართალი კათალიკოსთა; 5) სამართალი მეფის გიორგისა; 6) სამართალი აღბუღასი; 7) სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი შეიცავს 270 მუხლს. წიგნში წარმოდგენილია სისხლის სამართლის, სალარხო

სამართლის, სასამართლო წყობილების, სამართალწარმოების და სხვა დარგის საკითხები.

ᲕᲐᲮᲨᲘ – სესხის ძალზე დიდი სარგებელი, – სარგებლის სარგებელი.

„ᲕᲐᲮᲐᲜᲘᲡ ᲫᲕᲐᲑᲗᲐ ᲒᲐᲜᲒᲔᲑᲐ“ – ვანის ქვაბების მონასტრის წესდება, ქართული საკორპორაციო სამართლის უმნიშვნელოვანესი ძეგლი, რომელიც შეუდგენია ერისთავთაერისთავე მხარგრძელ – თამოგველს 1203–34 შორის.

ᲕᲔᲓᲠᲝ – (შეყედრება – მინდობა, რწმუნება, მიბარება) – შენახვის ხელშეკრულების ობიექტი, ანაბარი ძველ ქართულ სამართალში.

ᲕᲔᲖᲘᲠᲝ – ვაზირი (არაბ. ვაზირუნ – ვეზირი, მინისტრი) – 1) მინისტრებისა და დიდმოხელეთა ტიტული მუსლიმანურ სახელმწიფოში. 2) ფეოდალურ საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების უწყების ხელმძღვანელი. ისტორიული წყაროებიდან ცნობილია ექვსი ვეზირი: მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი, მეჭურჭლეთუხუცესი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მსახურთუხუცესი.

მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი იყო საქვეხიროს თავმჯდომარე, პირველი პირი მეფის შემდეგ. დანარჩენები იყოფოდნენ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში შედიოდნენ: ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი, ხოლო მეორე ჯგუფში მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი.

ᲕᲔᲠᲓᲘᲥᲢᲝ – სისხლის სამართლის პროცესში ნაფიც მსაჯულთა გადაწყვეტილება განსასჯელის ბრალდებულებისა თუ უდანაშაულობის შესახებ. ეს გადაწყვეტილება რამდენიმე სიტყვისაგან შედგება („დიახ, დამნაშავეა“ და „არ არის დამნაშავე“). და წარმოადგენს ნაფიც მსაჯულთა წინაშე მოსამართლის მიერ დასმული კითხვის პასუხს.

ᲕᲔᲠᲒᲔᲚᲓᲘ – ბარბაროსთა სამართლის წიგნებში ფულადი საზღაური თავისუფალი ადამიანის მოკვლისათვის შეკვეთა. სისხლის აღების წყვეტილებამ.

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ – საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში იმ ფაქტების არსებობის ან არარსებობის ვარაუდი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ კონკრეტული სისხლის სამართლებრივი საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ვერსია უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ ფაქტობრივ მონაცემებს და აგებული იყოს ანალოგიური საქმეების გამოძიებისას. ესე იგი ვერსია ყველა შემთხვევაში ვარაუდია. განასხვავებენ ზოგად და კერძო, საგამოძიებო და სასამართლო ვერსიებს. ზოგადია ვერსია, როდესაც შეიცავს ვარაუდს დანაშაულის ჩამდენი პირების შესახებ. კერძო ვერსია კი შეიცავს ვარაუდს ცალკეული ფაქტებისა და

მომენტების შესახებ.

ᲕᲔᲢᲝ – (ლატ. veto), სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის აკრძალვა საამისოდ უფლებამოსილი სხვა ორგანოს მიერ.

ᲕᲔᲫᲘᲚᲘ – რწმენებული, მცდარი, მზრუნველი ფეოდალური საქართველოში.

ᲕᲔᲮᲘ – (სლავური ბჭობა) სახალხო კრება ძველ და შუა საუკუნეების რუსეთში, წარჩინებული ფეოდალთა ფენა მას იყენებდა მთავრის ხელისუფლების შესაზღუდავად.

ᲕᲔᲮᲕᲘᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲫᲘ – თამარ მეფისა და დავით სოსლანის სახელით მოჭრილი სპილენძის მონეტის განძი, სულ 2759 (ე. აქედან 2656 (ე. თარიღიანია, 103 უთარიღო. ნაპოვნია 1924 სოფ. ეკეხში (გურჯაანის რ-ნი). მონეტების შემდეგი ოთხსტრიქონიანი არაბული წარწერაა: დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, მსახის თაყვანისმცემლისა ჩვენგან: თამარისა და დავითის დაჭრაგმებული სახელები და მოჭრის თარიღი 420 (1200).

ᲕᲘᲖᲐ – მოქალაქის პასპორტში კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ იმის აღნიშვნა, რომ მას ნებართვა აქვს შეიდგეს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, გაემგზავროს აქედან ან გადაკვეთოს იგი.

ᲕᲘᲜᲓᲘᲙᲐᲪᲘᲐ – (ლატ. vindicatio, პრეტენზიას ვაცხადებ, მოვითხოვ), სავინდიკაციო სარჩელი – საკუთრების უფლების დაცვის საშუალება – მესაკუთრის მიერ თავისი ქონების გამოთხოვა სხვისი უკანონო მფლობელობისაგან.

ᲕᲘᲠᲐ – თავისუფალი ადამიანის მკვლელობისათვის მთავრის სასარგებლოდ გადასახდელი ფულადი ჯარიმა. ძველ რუსეთში შეცვალა სისხლის აღების წესი.

ᲕᲘᲠᲖᲔ ᲨᲔᲡᲛᲐ – გამაწბილებელი სასჯელის სახეობა ძველ საქართველოში და დამნაშავის საჯაროდ ტარება, რომლის მიზანი იყო დამნაშავისათვის მორალური ტანჯვის მიყენება.

ᲕᲝᲠᲛᲡᲘᲡ ᲫᲝᲜᲫᲝᲠᲓᲐᲢᲝ – ორმხრივი შეთანხმება „საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორ ჰაინრიხ V-სა და პაპ კალიქსტუს II-ს შორის. დაიდო 1122 წელს 23 სექტემბერს. ამ შეთანხმებით ბოლო მოეღო ინვესტიტურისათვის ბრძოლას.

ᲕᲝᲢᲣᲛᲘ – (სურვილი, ნება) – ხმის მიცემით გამოთქმული აზრი. თუ დადგენილება. პარლამენტში ვოტუმით იწონებენ (ნდობას ვოტუმი) ან იწუნებენ (უნდობლობის ვოტუმი) მთავრობის საერთო პოლიტიკას ან მთავრობისა თუ ცალკეული მინისტრის კონკრეტულ მოქმედებას, თუ ცალკეული მინისტრის საქმიანობისა და პოლიტიკური კურსის შეფასებას.

ზ

ზამინდარი – (ზამინდარ – მიწათმფლობელი) – მიწის საგადასახადო სისტემა, შემოიღო ინგლისელმა კოლონიზატორმა, რომლითაც განმტკიცდა მიწის მემკვიდრეობით მფლობელობის უფლებები.

ზარალი – სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით კრედიტორის მიერ გაწეული ხარჯი, მისი ქონების დაკარგვა ან გაფუჭება, რაც გამოწვეულია მოვალის ვალდებულების არასათანადო შესრულებით, აგრეთვე იმ პირის მიერ ქონებრივი სიანის მიყენებით, რომელსაც დაზარალებულთან ხელშეკრულებითი ურთიერთობა არ ჰქონია.

ზარაშხანა – მონეტების, ორდენების, მედლებისა და სხვა სახელმწიფო ნიშნების დასამზადებელი სახელმწიფო საწარმო, რომელიც ფართოდ იყენებს მოთუქროების, მოცერცხლისა და სპეციალური მინანქრით ლითონის ნაკეთობათა დაფარვის ხერხებს.

ზარდახანა – არსენალი, სამხედრო საჭურვლის საწყობი, სადაც ინახავდნენ სამხედრო ალჭურვილობას, ცხენის აკაზმულობას და სხვა.

ზებანაძვეთური სამუშაო – სამუშაო, რომელიც სრულდება კანონით დადგენილი სამუშაო დროის დამთავრების შემდეგ. ზოგიერთი კატეგორიის მუშაკები (ორსული ქალები, მცირეწლოვანები) სეგანაკეთურ სამუშაოზე არ დაიშვებიან. სეგანაკეთური სამუშაო არ უნდა აღემატებოდეს ოთხ საათს სულ-სულ ორი დღის განმავლობაში, ხოლო 120 საათს წლის განმავლობაში. სეგანაკეთური მუშაობისათვის შრომის ანაზღაურება ხდება პირველი ორი საათისათვის ერთნახევარი, ხოლო მომდევნო საათებისათვის ორმაგი ოდენობით (შკკ. მუხ. 54–56, 86).

ზედამხედველობა – სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა. არსებობს ადმინისტრაციული ზედამხედველობა, საპროკურორო ზედამხედველობა, სასამართლო ზედამხედველობა, რომლის მიზანია კანონიერების დაცვა.

ზედმეტი პროდუქტი – საზოგადოებრივი პროდუქტის ნაწილი, რომელიც იქმნება მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ უშუალო მწარმოებელთა მიერ აუცილებელ პროდუქტზე ზევით.

ზედმეტი ღირებულება – დაქირავებული მუშის აუნაზღაურებელი შრომით შექმნილი ღირებულება, რომელიც ამაღე მუშის სამუშაო ძალის ღირებულებაზე მეტია და რომელსაც უსასყიდ-

ლოდ ითვისებს კაპიტალისტი.

ზედნადები – ზედნადები ესაა საბუღალტრო დოკუმენტი, რომელშიც გაფორმებულია სასაქონლო მატერიალური ღირებულებათა გაცემის და მიღების ოპერაცია.

ზედნადები შეიძლება იყოს: 1) ავიასატეირთო; 2) ავტოსატრანსპორტო ზედნადები; 3) სარკინიგზო ზედნადები; 4) პირდაპირი სარკინიგზო ზედნადები; 5) საზღვაო ზედნადები; 6) სამდინარო ზედნადები.

ს.ს.კ. 673-ე მუხლის მიხედვით ზედნადები დგება 3 ცალად, რომელსაც ხელს აწერენ გამგზავნი და გადამზიდველი. პირველი პირი რჩება გამგზავნს, მეორე თან ერთვის ტვირთს, მესამეს კი იტოვებს გადამზიდველი.

ზეპირობის პრინციპი – სამართალწარმოების პრინციპი, რომლის თანახმად სისხლის სამართლებრივი და სამოქალაქო საქმე სასამართლოში ირჩევა ზეპირად. (სსსკ., მუხ. 20, 300, 481)

ზნეობრივი სანქცია – შეფასება, განსჯა ადამიანის ქცევისა. გამოხატავს არა გარეგან, სახელმწიფოებრივ ადმინისტრაციულ მსჯავრდებასა და იძულებას, არამედ შინაგანს, საზოგადოებრივი აზრის მიხედვით ამა თუ იმ ქცევის მოწონებას ან დაწუნებას, შექებას ან გაკიცხვას.

ზნეობრივი შეგნება – ზნეობის ერთ-ერთი არსებითი შემადგენელი ელემენტი, რომლითაც ხნეობრივ გრძნობასა და მოქმედებასთან ერთად ქმნის ხნეობის ფენომენს და ხნეობის ცნებას.

ზნე-ჩვეულება – წეს-ნეტულება, ადამიანთა ამა თუ იმ საზოგადოებაში დამკვიდრებული ყოფაქცევის წესების ერთობლიობა.

თ

თადარიგი. შეიარაღებული ძალებისა – სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი სამხედროვალდებულები, რომლებმაც სამხედრო სამსახური გაიარეს ან განთავისუფლდნენ სხვადასხვა მიზეზით და ომის დროს კი სამსახურისთვის ვარგისი არიან.

თავად-აზნაურთა ფინამბოლი (მარშალი) – საქართველოში – გუბერნიებისა და ცალკეული მაზრების წოდებრივი ორგანიზაციის არჩევითი თანამდებობა. მათ ირჩევდნენ სამი წლით თავადაზნაურთა ყრილობაზე.

თავადაზნაურობა – ფეოდალურ საზოგადოებაში იურიდიულად გაფორმებული საერო მიწათმფლობელთა პრივილეგირებული წოდება.

თავადი – 1) ფეოდალური კლასის ზედა ფენის წარმომადგენელი XV–XVIIIსს. საქართველოში, აზნაურთაგან განსხვავებული ცალკე წოდება. 2) საქართველოში ფეოდალური კლასის ზედა ფენის წარმომადგენელი ტიტული.

თავდაუსხმელობის პრინციპი – საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ ომის დაწყება ან შეიარაღებული ძალის სხვაგვარი გამოყენება მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი – საგანგებო უმაღლესი სახელმწიფო ორგანო, რომელშიც დიდი სამამულო ომის დროს (1941–45) თავმოყრილი იყო მთელი ძალაუფლება.

თავდაცვის ფონდი – ფულადი სახსრები და მატერიალური ფასეულობანი, რომელსაც მშრომელები ნებაყოფლობით აგროვებდნენ დიდი სამამულო ომის დროს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გასამტკიცებლად.

თავდებობა – სამოქალაქო სამართალში – წერილობითი ხელშეკრულება, რომლის ძალითაც თაყდები სხვა პირის – კრედიტორის წინაშე კისრულობს სრულ ან ნაწილობრივ პასუხისმგებლობას ვალდებულების შესრულებისათვის – სისხლის საპროცესო სამართალში – აღკვეთის ღონისძიების ქრთ-ეროი სახე. (ს. მუხ., 891).

თავდებძვეშ გადაცემა – სისხლის სამართლის მიხედვით, დამნაშავის გათავისუფლება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და მისი გადაცემა აღსასრდელად და გამოსასწორებლად საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან მშრომელთა კოლექტივისათვის, რომელმაც საამისო შუამდგომლობა აღძრა.

თავისბასამტეხლო – გადასახდელი, რომელიც გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში ეკისრებოდა დამნაშაულეს დასარალებულის თავის დასაზიანებისათვის

თავისუფლების აღკვეთა – მსჯავრდებულის იძულებითი იზოლაცია საზოგადოებისაგან და სახელმწიფოს მიერ საამისოდ სპეციალურად განკუთვნილ დაწესებულებაში მოთავსება.

თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული, რომელსაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის არ შესრულებია თერამეტი წელი, მოთავსდება არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში.

თავისუფლების აღკვეთა არის ვადიანი და უვადო.

ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ინიშნება ექვსი თვიდან ოც წლამდე ვადით. დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელთა შეკამებისას თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადა არ უნდა აღემატებოდეს ოცდახუთ წელს, ხოლო განაჩენთა ერთობლიობით სასჯელთა შეკამებისას ოცდაათ წელს.

უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ეს სასჯელი არ დაენიშნება პირს, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თერამეტი წელი, ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა სამოცი წელი. (სსკ., მუხ. 50–51).

თავნი – სარგებლით (პროცენტით) გასესხებული ფულის ძირითადი თანხა, რომლის მიხედვით განისაზღვრება სარგებლის ოდენობა.

თავშესაფრის უფლება – სახელმწიფოში შესვლისა და ცხოვრების უფლება, რომელსაც ეს სახელმწიფო აძლევს უცხოელს, თავის სამშობლოში დევნილს, პოლიტიკური, მეცნიერული, თუ რელიგიური შეხედულებებისა და მოღვაწეობის გამო. თავშესაფრის უფლება არ ვრცელდება ომის დამნაშავეებზე და იმ პირებზე, რომელთაც ბრალი ედებათ კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენაში. საქართველო თავშესაფარს აძლევს უცხოელ მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს თუ მას თავის სამშობლოში დევნიან პოლიტიკური, რელიგიური და სხვა მრწამსისა და მოღვაწეობათვის. არ შეიძლება თავშესაფრის მიცემა იმ უცხოელებისათვის, რომელთა შეხედულებები და საქმიანობა ეწინააღმდეგება გაეროს ამოცანებსა და პრინციპებს და საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს (საქართველოს 1993 წლის 3 ივნისის კანონი უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, მუხ. 6).

თამაშობა – სამოქალაქო კოდექსის 951 მუხლის მიხედვით თამაშობა და სანაძლეო წარმო-

ადგენს ურთიერთობას, რომელიც მოთხოვნის უფლებას არ წარმოშობს, აგრეთვე, სესხი და ავანსი, რომელიც განსრახ მიეცა თამაშის ან სანაძლეოსათვის, ასევე საბირჟო ან ამის მსგავსი გარიგება საქონლის ან საბირჟო ქალალდის მიწოდების შესახებ, რომელსაც თამაშის ან სანაძლეოს ხასიათი აქვს.

თამასუქი – ფასიანი ქალალდის სახეობა, ვექსილი. კანონით დადგენილი ფორმის უდავო საგალო დოკუმენტი, რომლის ძალითაც ესა თუ ის პირი ვალდებულებას კისრულობს დათქმულ ვადაში ან მოთხოვნისთანავე გადაიხადოს გარკვეული ფულადი თანხა. თამასუქთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს 1995 წლის 19 აპრილის კანონით თამასუქის შესახებ.

თანაავტორობა – ორი ან რამდენიმე მოქალაქის ერთობლივი საავტორო უფლება ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოებზე, აგრეთვე ალმოჩენაზე, გამოგონებაზე. თანაავტორთა შორის ურთიერთობა შეიძლება განისაზღვროს მათ შორის დადებული ხელშეკრულებით, როგორც ეს მოცემულია გვაქვს სამოქალაქო კოდექსის 1033 მუხლში.

თანამდებობის პირი – სამართლის მიხედვით, აგრეთვე „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული იანამდებობის პირი, რომელიც მუდმივად ან დროებით, სასჯიდლით ან უსასყიდლოდ, დანიშვნით ან არნეყით, აგრეთვე ცალკეული დავალების ძალით სახელმწიფო ან საზოგადოებრივ დაწესებულებაში, ასრულებს სახელმწიფო ხელისუფლების აქტების ან განმკარგულებელი, ორგანიზაციულ-სამეურნეო, ადმინისტრაციულ თუ სხვა ამგვარი ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებულ მოვალეობას.

თანამდებობრივი განაკვეთი – ხელმძღვანელი მუშაკებისა და სხვა მოსამსახურეების ხელფასის თეორი ოდენობა.

თანამდებობრივი დანაშაული – სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც ჩაიდინა თანამდებობის პირმა, გამოიყენა რა სამისოდ თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა.

თანამონაწილეობა დანაშაულში – კანონმდებლობით ორი ან ორზე მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას დანაშაულის ჩადენაში. (სკკ. მუხ. 23). **თანამონაწილეობის სახეები:**

1. ორგანიზატორია ის, ვინც

მოაწყო დანაშაულის ჩადენა ან ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას, აგრეთვე ის, ვინც შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას.

2. წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად.

3. დამხმარეა ის, ვინც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას (სსკ. მუხ. 24).

თანამოსაყდრეობა – ტახტის მემკვიდრეობის წესი, რომლის მიხედვითაც მეფეს მემკვიდრე თავის სიცოცხლეშივე ასაყდა სამეფო ტახტზე თანასწორმოყვან.

თანამოწმე – სამართლის მიხედვით, საგამოძიებო მოქმედების ფაქტის, შინაარსისა და შედეგების დასადასტურებლად მოწვეული პირი.

თანასწორუფლებიანობა – მოქალაქეთა (ქვეშევრდომთა) თანასწორობა სახელმწიფოს, კანონის, სასამართლოს წინაშე.

თარხანი – ძველ საქართველოში გადასახადებისაგან თავისუფალი და გარკვეული პრივილეგიების მქონე პირი, რომელსაც ეძლეოდა თარხნობის ანუ შეუვალობის სიგელი.

თარჯიმანი – სასამართლო პროცესის მონაწილე, მკოდნე იმ ენებისა, რომლებიც საჭიროა საქმის გამოძიებისა თუ სასამართლოში განხილვის დროს.

თავლითობა – სხვისი ნივთის ან ქონების დაუფლება ან ქონებაზე უფლების მიღება, აგრეთვე ქონებრივი გამორჩენა მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით. (სსკ., მუხ. 180).

თემი – ადრინდელი, გვაროვნული, სისხლით ნათესაობის ბუნებრივ საწყისებზე წარმოქმნილი სოციალური ორგანიზაციის პირველი ფორმა, რომელიც ამა თუ იმ სახით არსებობდა ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების თავდაპირველ საფეხურებზე.

თეოდიცეა (ფრანგ.) – (ღმერთი და სამართალი) – „ღმერთის გასამართლება“, რელიგიურ-ფილოსოფიური დოქტრინა, რომელიც ცდილობს შეათავსოს სამყაროს „კეთილი“ და „ბოროტი“ გამგებელის არსებობა მისი ფლიო ბოროტების არსებობასთან.

თეოდოსიუსის კოდექსი – რომაული სამართლის კრებული, შეადგინა რომის იმპერატორ თეოდოსიუს II-ის მიერ დანიშნულმა კომისიამ. შედგებოდა 16 წიგნისაგან. მოიცავდა სისხლის, სახლქალაქო და საეკლესიო სამართალს. გამოქვეყნდა 438.

თვითმმართველობა – ამა თუ იმ ქვეყნის, მხარის, ტერიტორიული ერთეულის, ორგანიზაციის ან კოლექტივის საქმეთა დამოუკიდებელი გამგებლობა. არსეითი ორგანოების მეშვეო-

ბით ან უშუალო დემოკრატიზაციის გზით. (კრების, რეფერენდუმის და სხვა საშუალებით.)

თვითნებობა – ნამდვილად თავისი ან თავისად დაგულებული უფლების დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ განხორციელება, რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. ისჯება ჯარიმით ან სასოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ასოთხმოციდან ორას საათამდე, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე, ანდა ტუსაღობით ოთხიდან ექვს თვემდე. უფრო მკაცრად ისჯება იგივე ქმედება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით. (სსკ. მუხ. 360).

თიმარი – საკარგავი, ფეოდალური მიწათმფლობელობის ყველაზე გავრცელებული მემკვიდრეობითი ფორმა ოსმალეთში შუა საუკუნეებში.

თორმეტი ტაბულის კანონები – რომის სამართლის უძველესი ძეგლი, რომელიც მიიღეს პლებეების მოთხოვნით, (ძვ. წ. V ს.) პატრიციებსა და პლებეებს შორის გაჩაღებული ბრძოლის შედეგად. კანონი დაწერეს 12 დაფაზე და გამოფინეს ფორუმზე (აქედან წარმოდგა სახელწოდებაც). იგი შეიცავს სამართალწარმოების, სათხო და სამოქალაქო ურთიერთობების საკითხებს.

ი

იასაული (თურქ.) – (ბრძანების აღმსრულებელი) – მმართველობითი და მართლმსაჯულებითი აპარატის დაბალი მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში.

იდენტიფიკაცია (ლათ.) – (ცნობება) – იგივეობის ალიარება, ობიექტების გაიგივება, ამოცნობა. კრიმინალისტიკაში – პიროვნებათა ან საგანთა გაიგივება მათი შედარებითი გამოკვლევის გზით სასამართლოს მტკიცებულების, მისაღებად. იდენტიფიკაციისას ხდება პირის ან ნივთის ამოცნობა ფოტოსურათით, თითის ანაბეჭდით, დათვალიერებით და სხვა ინდივიდუალური და არა ცვალებადი ნიშნებით.

იენიჩარები (თურქ.) – (ახალი ჯარი), რეგულარული ქვეითი ჯარი ოსმალეთში. შეიქმნა XIV ს.-ში.

იერარქია (ბერძნ.) – (წმინდა და საწყისი, ძალაუფლება), მთელის ნაწილებისა და ელემენტების განლაგება უმაღლესიდან უდაბლესისაკენ.

იერუსალიმის ასიზები – იერუსალიმის სამეფოს სამართლებრივ ძეგლთა კრებული (XI–XII ს.ს.). მასში ძირითადად მოწესრიგებულია ფეოდალებისა და მათი ვასალების ურთიერთობა, განსაზღვრულია მეფის ხელისუფლების პრეროგატივა.

ივანე III-ის სამართლის წიგნი 1457, რუსეთის ცენტრალური სახელმწიფოს პირველი კოდექსი. მისი წყაროებია: „რუსსკაია პრავდა", ფსკოვის სამართლის სიგელი, საწესდებო სიგელები ჩვეულებითი სჯული და დიდი მთავრის ბრძანებულებები. ძირითადი ადგილი უჭირავს სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებს.

ივანე IV-ის სამართლის წიგნი 1550 – რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს განმტკიცების ხანის საკანონმდებლო ძეგლი. შეიცავს სახელმწიფოს, სისხლის, სამოქალაქო და საპროცესო სამართლის ნორმებს. დაადასტურა „იურის დღე". განავითარა სამეცნიერო პროცესის საწყისები.

ილთიზამი (არაბ.) – (ცალდებულება, გამოსყიდვა), ფეოდალური ნატურალური გადასახადის აშარის (უშრი) და ხოგიერთი სხვა გადასახადის აკრეფის საიჯარო სისტემა ოსმალთა იმპერიაში.

ილუზია (ლათ.) – ობიექტის არაადეკვატური, მცდარი აღქმა, განუხორციელებელი იმედები,

ოცნებები. ხშირად გაუცხოებული და ნებისადმი დაუქვემდებარებელია.

იმიგრანტი (ლათ.) — (ვინც სახლდება), ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელიც სამუდამოდ დასახლდა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე. იმიგრანტის სტატუსი და მისი უფლება-მოვალეობანი მოწესრიგებულია საქ. 1993 წ. 27 იანვრის კანონით იმიგრაციის შესახებ.

იმიგრაცია (ლათ.) – ჩასახლებები.

იმიტაცია (ლათ.) – (მიბაძვა) – მიმსგავსება (ვისიმე ან რისიმე ხმისა, მიხრა-მოხრისა) – არანამდვილი მაგრამ ნამდვილის დამსგავსებული რამ.

იმპერია (ლათ.) – (ხელისუფლება, სახელმწიფო) – მონარქიული სახელმწიფო, რომლის მეთაური ატარებს იმპერატორის ტიტულს. ჩვეულებრივად ვრცელი სახელმწიფოა. ამჟამად იგი აღარ არსებობს. კოლონიალიზმის სისტემა დაგმობილია საერთაშორისო სამართლით.

იმპერატიული მანდატი – ამომრჩეველთა ვანაწესი, რომელიც სავალდებულოა წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატისათვის.

იმპერატიული მანდატი – დეპუტატის დამოკიდებულება ამომრჩეველებსა და მათ განაწესებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ დეპუტატი ანგარიშვალდებულია ამომრჩეველთა წინაშე. რომელთაც აქვთ მისი გადამდე გაწვევის უფლება. იმპერატიული მანდატის პრინციპი თითქმის არცერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ მოქმედებს. გამონაკლისია გერმანიის პარლამენტის ზედა პალატა – ბუნდესრატი, რომლის წევრები მსარეების მთავრობათა მიერ არიან არჩეულნი და მათი ინტერესებით მოქმედებენ.

იმპერატორი (ლათ.) – (მბრძანებელი) – მონარქის ტიტული, თავდაპირველად იმპერატორის საპატიო ტიტული რომაელ მხედართმთავრებს ენიჭებოდათ.

იმპერიის რაინდები – „სალეიო რომის იმპერიაში“ ახსნაურობის დაბალი ფენის წარმომადგენლები, რომელთაც ეკავათ საიმპერიო ლენები და იმპერატორის უმეტესი ვასალები იყვნენ.

იმპერიუმი (ლათ.) – რომის სახელმწიფოს უმაღლესი სამხედრო სასამართლო და ადმინისტრაციული ხელისუფლება, რომელიც ადრე მეფეს ეკუთვნოდა. სიღლე რესპუბლიკის შექმნიდან მაგისტრატებს (დიქტატორი, კონსული, პრეტორი, ცენზორი, ედილი, კვესტორი) უნაწილდებოდათ.

იმპიჩმენტი – მაღალი თანამდებობის პირთა თანამდებობიდან გადაყენების განსაკუთრებული წესი. საქართველოს კონსტიტუციის (მუხლი 63, 64, 73) თანახმად, კონსტიტუციის დარღვე-

ების, სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულის ნაღებინისათვის საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრის, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა თანამდებობიდან გადაყენება ხდება იმპიჩმენტის წესით. იმპიჩმენტის პროცედურა განსაზღვრულია კონსტიტუციით და საქართველოს 1997 წლის 11 ოქტომბრის ორგანული კანონით იმპიჩმენტის შესახებ. თუ იმპიჩმენტის წესით გადაყენებულ თანამდებობის პირს დანაშაული აქვს ნადენილი, იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

იმპლემენტაცია (ლათ.) – საერთაშორისო ხელშეკრულების ყველა ბრძანებულება რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულება წარმოადგენს ეროვნული კანონმდებლობის ნაწილს. საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების ან შეთანხმების, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქტს უპირატესი იურიდიული ძალა შეიძლება ჰქონდეს საქართველოს ნორმატიულ აქტებთან მიმართ.

იმპორტი (ინგ.) – (შემოტანა) საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან შემოტანილი ქვეყნის საშინაო ბაზარზე სარეალიზაციოდ.

იმპოტენცია – სქესობრივი უძლურება.

იმპულსური მდგომარეობა – ფსიქიკური აშლილობა, რომელსაც ახასიათებს უეცარი, უარყოფითი და დაუძლეველი ქცევები და უნებლიე მისწრაფებები. აღინიშნება სხვადასხვა ფსიქიკური დაავადების (შიზოფრენია, ეპილეფსია და სხვა) დროს.

იმუნიტეტი (ლათ.) – (საერთ. სამართალი) განსაკუთრებული, პრივილეგიური მდგომარეობა, რომელიც სახელმწიფოს ტერიტორიაზე აქვს უცხო სახელმწიფოს და მის ქონებას (სახელმწიფოს იმუნიტეტი), უცხო დიპლომატიურ წარმომადგენლობასა და დიპლომატებს (დიპლომატიური იმუნიტეტი). უცხო საკონსულო წარმომადგენლობასა და მის თანამშრომლებს (საკონსულო იმუნიტეტი). ცნობილია აგრეთვე სხვა სახის იმუნიტეტებიც: დეპუტატის იმუნიტეტი, პრეზიდენტის იმუნიტეტი, მოსამართლის იმუნიტეტი, რაც ნიშნავს მათ სელშეუხებლობას.

ინაუგურაცია (ლათ.) – ასლად არსებული სახელმწიფოს

მეთაურის მიერ თანამდებობის დაკავების ცერემონიალი. პრეზიდენტის ფიცი.

ინდივიდუალობა – რაიმე მოვლენის, ცალკეული არსების, ადამიანის განუმეორებელი თავისებურება. უპირისპირდება ტიპურს, როგორც ზოგადს, რაც დამახასიათებელია მოცემული კლასის ყველა ელემენტის ან მისი უმეტესი ნაწილისათვის.

ინდივიდუალური ბინათმშენებლობა – მოქალაქის მიერ საცხოვრებელი სახლის აგება კანონით გათვალისწინებული წესის მიხედვით.

ინდივიდუალური სამუშაო დრო – დრო, რომელიც იხარჯება საქონლის ერთეულის დამზადებაზე ცალკეული მწარმოებლის (საწარმოს) მიერ.

ინდივიდუალური წარმოება – წარმოების ტიპი, რომელიც უშვებს პროდუქციის ერთეულ (ცალობრივ) ეგზემპლარებს.

ინდოსამენტი (გერმ.) – გადაცემის წარწერა – წარწერა თამასუქის, ჩეკის, კონოსამენტის და ზოგიერთი სხვა ფასიანი ქაღალდის უკანა მხარეზე, რომლის მიხედვითაც დოკუმენტში აღნიშნული უფლებები ერთი პირისაგან (ინდოსამენტისაგან) მეორეს (ინდოსანტს) გადაეცემა.

ინდუსტრიალიზაცია (ლათ.) – (საქმიანობა) სახალხო მეურნეობაში, უპირატესად მრეწველობაში, მსხვილი მანქანური წარმოების შექმნის პროცესი.

ინერტულობა (ლათ.) – (დუნე, უმოქმედო, უმოძრაო) უმოქმედობა, უმოძრაობა.

ინვალიდობა (ლათ.) – (სუსტი, უძლური) ავადმყოფობის ან ტრამვის შედეგად პროფესიული შრომისუნარიანობის დაკარგვა დროებით ან მუდმივად, ნაწილობრივ ან მთლიანად.

ინვენტარიზაცია – მატერიალურ ფასეულობათა (ძირითადი და საბრუნავი ფონდების) ნივთობრივი ფორმით არსებობისა და მდგომარეობის, აგრეთვე, ბანკში ანგარიშზე სახსრების ნაშთის, დებიტორებსა და კრედიტორებთან ანგარიშსწორების შემოწმება.

ინვესტიტურა (ლათ.) (შეგმოსაც) – სენიორის მიერ ვასალისათვის ფეოდის გადაცემის, თანამდებობაზე დანიშვნის, წოდების მინიჭების იურიდიული აქტი, რომელიც თან სდევდა ვასალის ერთგულების ფიცს და მასთან ერთად განამტკიცებდა ვასალურ დამოკიდებულებას.

ინვესტიცია (გერმ. ვაცმევ) – კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება სახალხო მეურნეობის დარგში ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ მოგების მიღების

მიზნით. საქართველოს კანონმდებლობით, ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. (საქართველოს 1996წ. 12 ნოემბრის კანონი საინვესტიციო გარანტიების შესახებ).

ინვექტივა (ლათ. თაყვანისცემა) – მკაცრი, მამხილებელი საბრალმდებლო გამოსვლა ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ.

ინიციატივა (ფრანგ.) დასაწყისი – რაიმე საქმის თაოსნობა, საჭიროებისას დამოუკიდებელი აქტიური მოქმედების უნარი.

ინკასო (იტალ.) – საბანკო ოპერაცია. ბანკი კლიენტის დავალებით იღებს იმ თანხას, რომელიც მას ერგება ფულადი, საქონლის ან საანგარიშსწორებო დოკუმენტის საფუძველზე. (ს.კ., მუხ. 877).

ინკვიზიცია (ლათ.) – (ძებნა, გამოძიება) საგანგებო საეკლესიო სასამართლო რომის კათოლიკურ ეკლესიაში, რომელსაც ეკისრებოდა მწვალებელთა პოვნა და დასჯა.

ინკვიზიციური პროცესი (ლათ.) – გამოკვლევა, გამოძიება სისხლის სამართლებრივი პროცესის ფორმა, რომლის დროსაც დანაშაულს უშუალოდ სასამართლო იძიებს, ე. ი. ბრალდების, სასამართლოსა და დაცვის ფუნქციებს ერთი და იგივე ორგანო ასრულებს.

ინნოგნიტო (იტალ.) უცნობი – თავისი ვინაობის გაუმჟღავნებლად, ფარულად. მალავს თავის ვინაობას (არადანაშაულებრივი მიზნით) და სხვის სახელს ატარებს.

ინკორპორაცია სამართალში – მოქმედი კანონმდებლობის და სხვა ნორმატიული აქტების სისტემატიზაციის ერთ-ერთი ხერხი, რომლის დროსაც მთელი სამართლებრივი მასალა ერთიანდება და განლაგდება გარკვეული წესით (ქრონოლოგიურად, სამართლის დარგების მიხედვით) მათში არსებითი ცვლილებების შეუტანლად.

ინკრიმინირება (ლათ.) – (დანაშაული, ბრალი) ბრალდების წაყენება რაიმე დანაშაულის ჩადენაში.

ინსინუაცია (ლათ.) – მოხაჭორი ვისიმე სახელის გასატეხად; ცილისწამება.

ინსპექცია – მმართველობის სპეციალური ორგანო, რომელიც ადმინისტრაციულ ზედამხედველობას უწევს ამა თუ იმ დარგში კანონიერების დაცვას.

ინსპირაცია (ლათ.) შთაგონება – ვინმესათვის რაიმე მოქმედების, აზრის, თვალსაზრისის შთაგონება. ვისიმე შეგულიანება, წაქეზება.

ინსტანცია (ლათ.) უშუალო სიახლოვე – სახელმწიფო მმართველობის, პარტიული, პროფკავშირული, სასამართლო ან სხვა ურთიერთდაქვემდებარებული ორგანოთა ცალკეული რგოლი, საფეხური.

ინსტიტუციები (ლათ.) – (დარიგებანი) რომის სამართლის ელემენტარული სახელმძღვანელოები, რომლებშიც მოცემულია მოქმედი სამართლის სისტემური მიმოხილვა.

ინსტიტუციონალიზმი (ინგ.) – (მოქმედების წესი, ნაცნაურება, დარიგება, მითითება) თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის მიმდინარეობა, რომელიც წარმოიშვა XX საუკუნის დასაწყისში აშშ-ში.

ინსტრუქცია (ლათ.) – (დარიგება) – 1.მმართველობის აქტი, რომელიც შეიცავს რაიმე საქმიანობის განხორციელებისა თუ ნორმატიული აქტების რეალიზაციის წესებისა და პირობების განსაზღვრულ ნორმებს. 2. ინსტრუქცია ეწოდება აგრეთვე, წესების კრებულს, რომელიც აწესრიგებს საწარმოო-ტექნიკურ საქმიანობას.

ინტელექტუალური საკუთრება – იმ უფლებათა ერთობლიობა, რომლებიც წარმოიშობიან შემოქმედებით საქმიანობასთან დაკავშირებით ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და საზოგადოებრივი წარმოების სფეროში.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია – საერთაშორისო მთავრობითი ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა სტოკჰოლმის 1967 კონვენციით. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ადამიანის შემოქმედებით მუშაობას, ინტელექტუალური საკუთრების დაცვას მთელ მსოფლიოში.

ინდენდანტი (ფრანგ.) – მმართველი, გამგე – შეიარაღებულ ძალებში თანამდებობის პირი, რომელიც განაგებს ჯარების სურსათით, იარაღით, სამეურნეო ქონებით მომარაგებასა და პირადი შემადგენლობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციას.

ინტერვენცია – ერთი სახელმწიფოს ჩარევა მეორე სახელმწიფოს საშინაო საქმიანობაში, ან მის ურთიერთობაში სხვა სახელმწიფოსთან. ინტერვენცია შეიძლება იყოს შეიარაღებული, ეკონომიკური, დიპლომატიური. შეიარაღებული ინტერვენცია არის აგრესია. ანსხვავებენ, აშკარა და ფარულ ინტერვენციას. საერთაშორისო სამართალი კრძალავს ყველა სახის ინტერვენციას.

ინტერნირება (ფრანგ. ბინადრობის მინება) – მეომარი სახელმწიფოს მიერ მის ტერიტორიაზე მყოფი იმ უცხოელების

დაკავება – იზოლაცია, რომლებიც მტრული სახელმწიფოს მოქალაქეები არიან.

„ინტერპოლ“ – სისხლის სამართლის პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1923. ვენაში სისხლის სამართლის პოლიციის კონგრესზე, როგორც ამ კონგრესის ორგანო. მისი ამოცანაა ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა საერთაშორისო მასშტაბით. 1972 ინტერპოლის შტაბბინა პარიზშია. ინტერპოლის უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა, ხოლო აღმასრულებელი ორგანო გენერალური სამდივნო. ინტერპოლის წევრია 150-ზე მეტი სახელმწიფო, მათ შორის საქართველოც. ინტერპოლი ახდენს საერთაშორისო ხასიათის დანაშაულების ჩამდენთა რეგისტრაციას, კოორდინაციას უწევს დამნაშაულთა საერთაშორისო ძებნას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებათა წინააღმდეგ საბრძოლველად.

ინტერპრეტაცია (ლათ.) – გაგება, ახსნა-განმარტება.

ინფლაცია(ლათ. გაბერება) – ჭარბი ქაღალდის ფულით მიმოქცევის არსების გაუსება, რაც იწვევს მათ გაუფასურებასა და სა'ს. პროდუქტის გადანაწილებას გაბატონებული კლასების სასარგებლოდ.

ინტერპელაცია – დეპუტატის უფლება კითხვით მიმართოს მთავრობასა თუ მის რომელიმე წევრს და მიიღოს პასუხი მათი საქმიანობის რომელიმე საკითხზე.

ინტერცესია – სამოქალაქო სამართალში ხელშეკრულებასთან შეერთება მოვალის მხარეზე, მაგალითად, მისი ვალის საკუთარ თავზე აღება, თავდებობა და ა.შ.

ინფრაქცია – ხელშეკრულების (კონტრაქტის) პირობების დარღვევა.

ინციდენტი – შემთხვევა (ჩვეულებრივ, უსიამოვნო) გაუგებრობა, შეხლა-შემოხლა.

იორკ-ანტვერპენის წესები – საერთაშორისო სავაჭრო ზღვაოსნობაში საყოველთაოდ მიღებული წესების კრებული. აწესრიგებს საერთო ავარიასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

იპოთეკა (ბერძ.) – 1. გირაო, წინდი – უძრავი ქონების, უმთავრესად მიწის გირაო, სესხის, ე.წ. იპოთეკური კრედიტის მიღების მიზნით. 2. იპოთეკა ესაა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად უძრავი ნივთის გამოყენება (დატვირთვა) ისე, რომ კრედიტორს მიეცეს უფლება, სხვა კრედიტორებთან შედარებით პირველ რიგში მიიღოს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილება ამ ნივთიდან. იპოთეკა შეიძლება, ასევე, გამოყენებულ იქნეს სამომავლო

ან პირობით მოთხოვნებთან დაკავშირებით, თუკი იპოთეკის დადგენის მომენტისათვის შეიძლება ამ მოთხოვნის განსაზღვრა. ასევე შეიძლება განისაზღვროს ის ზღვრული თანხა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს უზრუნველყოფილება. ეს თანხა განისაზღვრება საჯარო რეესტრში შეტანით. მოთხოვნა, რომელიც უზრუნველყოფილია იპოთეკით, შეიძლება შეიცვალოს სხვა მოთხოვნით. ამისათვის საჭიროა მესაკუთრისა და კრედიტორის შეთანხმება და ამ შეთანხმების რეგისტრაცია რეესტრში. (ს.კ, მუხ. 286).

იუნესკო – (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულება.

იურიდიული აქტი – ფართო გაგებით, სახელმწიფო ორგანოთა აქტი, რომლის შედეგადაც წარმოიშობა, იცვლება ან ისპობა დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი.

იურიდიული განათლება – 1. სამართალმცოდნეობის სპეციალისტთა მომზადების სისტემა. განათლების ერთ-ერთი უძველესი დარგი. 2. საზოგადოებრივი მეცნიერება, რომელიც სწავლობს სახელმწიფო საქმიანობისა და სამართალგამოყენების სხვადასხვა ასპექტებსა და მიმართულებებს. ამის შესაბამისად იურიდიული მეცნიერება დიფერენცირებულია დარგებად: სამოქალაქო სამართლის მეცნიერებები, სისხლის სამართლის მეცნიერება, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია და ა.შ. იურიდიული მეცნიერების მომიჯნავე დარგებია: კრიმინალისტიკა, კრიმინოლოგია, სასამართლო მედიცინა და ა.შ.

იურიდიული მსოფლიომხედველობა – შეხედულებათა სისტემა, რომელიც ემყარება იმ იდეალისტურ წარმოდგენას, რომ სამართალი არის სახოგადოების ბრეველსაწყისი.

იურიდიული პირი – სამართლის მიხედვით, ორგანიზაცია, რომელსაც აქვს განცალკევებული ქონება, შეუძლია თავისი სახელით მოიპოვოს სამოქალაქო უფლებები, იკისროს მოვალეობანი, გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ ან მოპასუხედ.

იურიდიული პირია, როგორც კერძო სამართლის სუბიექტი, ისე სახელმწიფო ორგანიზაცია, საწარმო, დაწესებულება. სახელმწიფოც იურიდიული პირია და სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს თავისი ორგანოების მეშვეობით. იურიდიულ პირს აქვს თავისი წესდება ან დებულება, რომელიც ადგენს მის ორგანიზაციულ

წყობასა და სტრუქტურას, განსაზღვრავს მის ამოცანებს, საქმიანობის წესს, ქონებრივ მდგომარეობას და ა.შ. იურიდიული პირის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი რეგისტრაციის მომენტიდან და წყდება მისი ლიკვიდაციის შესახებ რეგისტრაციის მომენტიდან. იურიდიული პირის ადგილსამყოფელად ითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი. (ს.კ., მუხ. 24–30).

იურიდიული ფაქტი – სამართლის ნორმით გათვალისწინებული გარემოება, რომლის არსებობასთან არის დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. იურიდიული ფაქტი ორი სახისაა: ხდომილება და მოქმედება. ხდომილება ისეთი ფაქტია, რომელიც ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად წარმოიშობა (სტიქიური უბედურება, ადამიანის ბუნებრივი სიკვდილი). მოქმედება კი ისეთი ფაქტია, რომელიც ადამიანის ნებაზეა დამოკიდებული. იგი შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო.

იურისდიქცია – (სასამართლო, სამართალწარმოება) ფაქტების სამართლებრივი შეფასების, სანქციათა დანიშვნის, უფლების შესახებ დაეის გადაწყვეტის, რაიმე სამართლებრივი საკითხის გადაჭრის უფლებამოსილება.

იურისკონსულტი – (სამართალმცოდნე) სამართლის მცოდნე თანამდებობის პირი წარმოებადაწესებულებასა. ან ორგანიზაციაში. სამართლებრივი სამსახურის მუშაკი, რომელსაც ეევალება გააკონტროლოს ადმინისტრაციის ბრძანებებისა და განკარგულებების კანონიერება, მონაწილეობა მიიღოს კონტრაგენტთან დასადებ ხელშეკრულების მომზადებაში, ინფორმაცია გაუკეთოს მუშაკებს მიმდინარე კანონმდებლობის შესახებ, მონაწილეობა მიიღოს სასამართლო დავების განხილვაში და ა.შ.

იურისპრუდენცია – (სამართლის ცოდნა) ტერმინი, რომლითაც აღინიშნება: იურიდიული მეცნიერება, სამართლის დარგთა ერთობლიობა, თეორიული მოღვაწეობა სამართლის დარგში.

იუსტინიანეს კოდექსი – იუსტინიანეს კოდიფიკაციის ერთ-ერთი ნაწილი, იმპერატორების ბრძანებულებათა (კონსტიტუციების) სისტემური კრებული. შეადგინა კომისიამ ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე I დიდის დავალებით.

იუსტინიანეს კოდიფიკაცია – რომაულ-ბიზანტიური სამართლის სისტემური კრებული, რომელიც შეადგინა კომისიამ 529–534 ტრიბონიანეს მეთაურობით და დაამტკიცა იმპერატორმა იუსტინიანემ.

იუსტიციის საბჭო – საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, რომელიც შექმნილია სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავების, მოსამართლეთა თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატურების შერჩევის, წარდგენის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების, საკვალიფიკაციო გამოცდების ორგანიზების და კანონით დადგენილი სხვა ამოცანათა შესრულების მიზნით. იუსტიციის საბჭო შედგება 12 წევრისაგან, რომელთაგან 4 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, 4 წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო ერთ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. მისი პრინციპები განისაზღვრულია 1997 წ. 13 იუნისის ორგანული კანონით საერთო სასამართლოების შესახებ.

იჯარა სამოქალაქო სამართალში – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (მეიჯარე) ვალდებულებას კისრულობს საზღაურის მიღების პირობით გადასცეს მეორე მხარეს (მოიჯარეს) რაიმე ქონება დროებით სარგებლობისათვის. სამოქალაქო კოდექსის 581-ე მუხლი იჯარის ხელშეკრულებას ასე განმარტავს: „იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაკოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც“. (სკ. მუხ. 581).

იჯარა საერთაშორისო სამართალში – ხელშეკრულების საფუძველზე ერთი სახელმწიფოს მიერ თავისი ტერიტორიის ნაწილის დათმობა მეორე სახელმწიფოსათვის დროებითი სარგებლობის მიზნით.

კ

კაბალა – (ვალდებულება, ხელწერილი) – ძველ საქართველოში – იჯარა, სხვისი ქონებით სარგებლობის საშუალება.

კაბოტაჟი – საზღვაო სამართალში გემების ნაოსნობის სახე, როცა ტვირთის გადაზიდვა თუ მგზავრთა გადაყვანა ხდება ერთი და იმავე ქვეყნის ნაკუსადგურებს შორის.

კავშირი – (ასოციაცია) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 30-ე და 31-ე მუხლების მიხედვით კავშირი (ასოციაცია) არის იურიდიული პირი, რომლის მიზანსაც არ შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა. სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც ატარებს დამხმარე ხასიათს და ემსახურება საერთო მიზანს, არ ცვლის კავშირის (ასოციაციის) სტატუსს. კავშირი (ასოციაცია) არის იურიდიული პირი, რომელშიც საერთო მიზანს ისახავს რამდენიმე პირი და მისი არსებობა დამოკიდებულია მასში წევრთა შემადგენლობის ცვლილებაზე. კავშირის დასაფუძნებლად საჭიროა სულ ცოტა ხუთი დამფუძნებელი წევრი მაინც და მას რეგისტრაციაში ატარებს სასამართლო.

კაზუს ბელი – მოვლენა, ფაქტი, რომელიც ომის ფორმალური საბაბია და არა მისი გამომწვევი ნამდვილი მიზეზი.

კაზუსი – შემთხვევა, ამბავი, იურიდიული თვალსაზრისით რთული, დახლართული საქმე. სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მაგნე შედეგის გამოწვევა ბრალის გარეშე.

კაზუს ფედერისი – გარემოება, ფაქტი, რომელიც სახელმწიფოს ავალდებულებს, სამოკავშირეო ხელშეკრულების თანახმად, ომში ჩაებას მოკავშირე სახელმწიფოს მხარეზე ან ომი დაიწყოს მის დასაცავად.

კაზუალური განმარტება – კაზუალური განმარტება ხდება ხელისუფლების იმ ორგანოს მიერ, რომელიც ამ ნორმებს იყენებს კონკრეტულ შემთხვევაში. მაგალითად, სასამართლო განაჩენი განმარტავს იმას, თუ რატომ არის მის მიერ განხილული დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის მოცემული მუხლით დაკვალიფიცირებული.

კათალიკოსთა სამართალი – კანონები, რომლებიც შეადგინა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრებამ XVI ს. შეიცავს 23 მუხლს. ძეგლი სისხლის სამართლის სჯულდებას წარმოადგენს. მისი მთავარი წყაროა დიდი სჯულისკანონი.

კანონი – სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგა-

ნოს მიერ განსაკუთრებული წესით მიღებული ნორმატიული აქტი, რომელიც აწესრიგებს ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. კანონის მიღების პროცედურა შედგება ოთხი საფეხურისაგან: კანონპროექტის შეტანა; კანონპროექტის განხილვა; კანონპროექტის მიღება და კანონის გამოქვეყნება. იურიდიული ძალის მიხედვით შეიძლება სახის კანონები არსებობს: კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, ორგანული კანონი, კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი.

კანონიერება – სახელმწიფოში ისეთი რეჟიმის არსებობა, როცა ადამიანთა ქცევა შეესაბამება კანონებსა და სხვა აქტებით გამოხატულ სამართლებრივ ნორმებს, ხოლო მათი დარღვევის შემთხვევაში სახელმწიფო განუხრელად იყენებს სათანადო სანქციას.

კანონიერი წარმომადგენელი – პირი, რომელიც კანონის ძალით გამოდის სასამართლო დაწესებულებაში ან მოქალაქეებთან ურთიერთობაში და იცავს ქმედუნარო ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე მოქალაქის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, რომლებსაც ფიზიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ პირადად დაიცვან თავიანთი უფლება-მოვალეობანი. კანონიერი წარმომადგენელი ახორციელებს ყველა მოქმედებას, რისი შესრულების უფლებაც მიკუთვნებული აქვს წარმომადგენელს. სისხლის სამართლის პროცესში კანონიერი წარმომადგენელია ახლო ნათესავი, მეურვე და მზრუნველი. კანონიერ წარმომადგენლად ცნობის წესი განსაზღვრულია კანონით. (სსსკ., მუხლი 44, 91–92 და სამ. საპ. კოდ., მუხლი 101).

კანონიკური სამართალი – საეკლესიო კრებების და რომის პაპების დადგენილებათა ერთობლიობა.

კანონიკა – კანონიკური ლიტერატურა, სასულიერო მწერლობის დარგი. მოიცავს საეკლესიო იურიდიულ ლიტერატურას, რომელიც უმაღლესი საეკლესიო ორგანოების მიერ ნებადართული იყო იურიდიულ საკითხებში პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის.

კანონი მშვიდობის დაცვის შესახებ – 1951 წ. 12 მარტს მიღებული კანონი, რომელიც თვლის, რომ ომის ყოველგვარი პროპაგანდა ძირს უთხრის მშვიდობას, ქმნის ახალი ომის საფრთხეს და ამიტომ წარმოადგენს უმძიმეს დანაშაულს კაცობრიობის წინაშე.

კანონის მოქმედება – კანონის საალდებულო ძალა დროისა და სივრცის ფარგლებში და მო-

ქალაქთა მიმართ. კანონის მოქმედება იწყება მისი კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან და გრძელდება კანონის ძალის დაკარგვამდე. კანონის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, თუ კანონში სხვა რამ არ არის დადგენილი. კანონის მოქმედება ვრცელდება ქმედებაზე მიმართ, თუ იგი სამართლის კონკრეტული სუბიექტებისათვის არაა განკუთვნილი.

კანონის გამოქვეყნება – მოქმედი კანონმდებლობით კანონის გამოქვეყნება – კანონის მიღების ბოლო სტადიაა. საქართველოს კონსტიტუციის 68-ე მუხლის თანახმად, პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი ხუთი დღის ვადაში გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც 10 დღის ვადაში ხელს მოაწერს და გამოაქვეყნებს კანონს ან მოტივირებული შენიშვნებით უბრუნებს პარლამენტს. პარლამენტმა თუ შენიშვნები მიიღო, კანონპროექტის საბოლოო რედაქცია გადაეცემა პრეზიდენტს, რომელიც შვიდი დღის ვადაში ხელს აწერს, აქვეყნებს მას, ხოლო თუ შენიშვნა არ იქნა მიღებული, კენჭი ეყრება კანონპროექტის პირველ რედაქციას და მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დაუჭირა პარლამენტის რიგითი შემადგენლობის არანაკლებ სამმა მეხუთედმა. პრეზიდენტმა თუ დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა კანონი, მას ხელს აწერს და აქვეყნებს პარლამენტის თავმჯდომარე. კანონი ძალაში შედის ოფიციალურ ორგანოში გამოქვეყნებიდან მეთხუთმეტე დღეს, თუ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

კანონის უკუძალა – საერთო წესის თანახმად, კანონს არა აქვს უკუძალა. ამ წესიდან გამონაკლისი გათვალისწინებული უნდა იყოს თვითონ კანონით. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედობის დანაშაულებრიობას, ამსუბუქებს სასჯელს ან სხვა გვარად აუმჯობესებს დამნაშავის მდგომარეობას, აქვს უკუძალა, ხოლო კანონს, რომელიც აწესებს ქმედობის დანაშაულებრიობას, ამტკიცებს სასჯელს ან სხვაგვარად აუარესებს დამნაშავის მდგომარეობას, უკუძალა არა აქვს. საერთოდ არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას. (სკ, მუხლი 6; სსკ., მუხლი 3).

კანონმდებლობა – სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა – კანონების გამოცემა. სახელმწიფოში მოქმედ კანონთა ან სამართლის ცალკეული დარგის კანონთა ერთობლიობა.

კაპიტულაცია – საერთაშორისო სამართალში ერთ-ერთი მეომარი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ წინააღ-

მდგომობის სრული შეწყვეტა ან ალკოჰოლმოხმარებული ცალკეული გარისხობისა და დაჯგუფების ტექნიკურად დანებება და იარაღის დაჯრა.

კაპიტალიზაცია – ზედმეტი ღირებულების გადაქცევა კაპიტალად, ე. ი. მისი გამოყენება კაპიტალისტური წარმოების გაფართოებისათვის.

კაპიტალიზმი – წარმოების საშუალებებზე კერძო კაპიტალისტურ საკუთრებასა და კაპიტალისტების მიერ დაქირავებული შრომის ექსპლუატაციაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობილება.

კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი – ზედმეტი ღირებულების წარმოებისა და მითვისების კანონი, რომელიც განსაზღვრავს კაპიტალისტური წარმოების მიზანს და მის არსს.

კასაცია – კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თუ განაჩენის გასაჩივრება ან გაპროტესტება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში. საკასაციო საჩივრის შეტანის უფლება აქვთ სამოქალაქო საქმეზე მხარეებს, მათ წარმომადგენლებს, მესამე პირებს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეზე, აგრეთვე, ზემდგომ პროკურორს. სისხლის სამართლის საქმეზე საკასაციო გასაჩივრების ვადაა 14 დღე, ხოლო სამოქალაქო საქმეზე ერთი თვე. საკასაციო ინსტანციის სასამართლო უფლებამოსილია უცვლელად დატოვოს განაჩენი და გადაწყვეტილება, გააუქმოს ისინი და შეწყვიტოს საქმე ან გადასცეს იგი ხელახლა გამოძიებისა თუ სასამართლო განხილვისათვის. (სსსკ., მუხლი 546–561, სამ. საპ. კოდ., მუხლი 391–412).

კასტა – (პორტუგ. გვარი, თაობა) – ადამიანთა კარჩაკეტილი ენდოგამიური ჯგუფი, რომლის წევრები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან მემკვიდრეობით მიღებული პროფესიით.

კასტრაცია – (დაკოდვა) – დასაჭურისება, ადამიანისა და ცხოველების სასქესო ჯირკვლების ხელოვნურად ამოცლა.

კატორღა – საკატორღო სამუშაოები, ექსპლუატატორულ სახელმწიფოებში სასჯელის საგანგებო სახე – თავისუფლების აღკვეთა, რომელიც დაკავშირებულია მძიმე იძულებით მუშაობასთან განსაკუთრებით მკაცრ პირობებში.

„კაროლინა“ – შუა საუკუნეების გერმანიის სისხლის სამართლის კანონთა კრებული. შედგენილია 1532, იმპერატორ კარლოს V დროს. აქედან მიიღო სახელწოდებაც „კაროლინა“. გამოირჩეოდა სხეულებრივი სასჯელების მრავალფეროვნებით და სისასტიკით.

„კეთილი სამსახური“ – საერთაშორისო დაეის გადაწყვე-

ტის ერთ-ერთი საშუალება, რომელიც დავაში არ მონაწილეობს, ხელს უწყობს მოდაეე სახელმწიფოთა შორის კონტაქტის დამყარებას, მაგრამ დაეის არსებით განხილვაში მონაწილეობას არ ღებულობს. (ამით განსხვაედება „შუამაველობისაგან“).

ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲘ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲘ – პირი, რომელმაც არ იცოდა, და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ნივთი შეიძინა იმისაგან, ვისაც არ ჰქონდა ამ ნივთის გასხვისების უფლება.

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲐᲠᲑᲘᲢᲠᲐᲟᲘ – მუდმივმოქმედი ან კონკრეტული დავისათვის საგანგებოდ შექმნილი დროებითი ორგანო, რომელიც განიხილავს მოდაეე მხარეებს შორის წამოჭრილ სამოქალაქო დავას მათივე შეთანხმებით, რომელიც იდება წერილობით. კერძო არბიტრაეის შექმნისა და საქმიანობის წესი განსაზღვრულია საქართველოს 1997 წლის 17 აპრილის კანონით კერძო არბიტრაეის შესახებ.

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ – სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს კერძო ინტერესების გამომხატველ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. კერძო სამართლის ნორმები მოცემულია, ძირითადად სამოქალაქო სამართალში, რომელიც აწესრიგებს კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს.

ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐ – საკუთრების ფორმა, რომელსაც წარმოების საშუალებები და შრომის პროდუქტები კერძო პირს ეკუთვნის. იგი ისტორიული კატეგორიაა.

ᲙᲕᲐᲚᲘ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐᲨᲘ – ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით გამოწეეული ყოველგვარი მატერიალური ცვლილება გარე სამყაროში, რომელიც ხელს უწყობს დანაშაულის გახსნას და დამნაშავე პირთა აღმოჩენას. (მაგ.: სისხლის ლაქები, თითის ანაბეჭდები).

ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ – 1. მუშაკის პროფმომზადების ხარისხი და სახეობა. აისახება ტარიფიკაციაში. 2. სამუშაოს გარკვეული სახის დახასიათება, რომელსაც ადგენენ ამ სამუშაოს სირთულის, სიზუსტისა და მასზე პასუხისმგებლობის მიხედვით. 3. საგნის ან მოვლენის განსაზღვრა მისი თვისების, თვისებურების მიხედვით.

ᲙᲘᲜᲓᲜᲔᲞᲘᲜᲒᲘ – ბავშვის მოტაცება გამოსყიდვის მიღების მიზნით. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამ ტერმინს არ ხმარობს. ასეთი ქმედება გათანაბრებულია თაყვანისუყვლების უკანონო აღკვეთასთან და მძევლად ხელში ჩაგდებასთან.

ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ ᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲘᲡᲐ – დადგენა იმისა, რომ ჩადენილი ქმედობის ნიშნები ზუსტად შეესაბამება სისხლის სამართლის კანონით გათვალის-

წინებული დანაშაულის შემადგენლობას, რაც სათანადო საპროცესო აქტში აისახება.

კვალიფიციური შრომა – წინასწარ საგანგებოდ მომზადებული გარკვეული ჩვევების, უნარისა და ცოდნის მქონე მუშაკის შრომა, რომელიც აუცილებელია განსაზღვრული სახის სამუშაოს შესასრულებლად.

კვესტორი – თანამდებობის პირი ძველ რომში. რესპუბლიკის დამყარებამდე იყო მსაჯული, რესპუბლიკის პერიოდში კონსულის თანაშემწე, იმპერიის ეპოქაში განაგებდა გზების მოკირწყვლის, მთაერობის ბრძანებულებათა გამოქვეყნებასა და სხვა.

კვირიტები – მოქალაქეების სახელწოდება რესპუბლიკის დროინდელ ძველ რომში.

კიარაზი (აფხაზ. "გაერთიანება") – შრომითი და თავდაცვითი ორგანიზაციები აფხაზეთში XX ს. დასაწყისში.

კვორუმი – კრების მონაწილეთა რაოდენობა, რაც აუცილებელია კრებისა და მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილების კანონიერად ცნობისათვის.

კლასიკური სკოლა სისხლის სამართალში – პირველი მეცნიერული სკოლა სისხლის სამართლის დარგში. წარმოიშვა XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დასაწყისში, ასახავდა ხელისუფლებისათვის მებრძოლი ბურჟუაზიის მოთხოვნებს და გამოდიოდა ფეოდალური სისხლის სამართლის პრინციპების წინააღმდეგ.

კლასიფიკაცია – საგანთა ერთობლიობის გაყოფა კლასებად რაიმე ნიშან-თვისებების მიხედვით.

კლაუზულა – ხელშეკრულების სპეციალური დადგენილება (პირობა) ან დათქმა, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას. მაგ.: კომპრომისული კლაუზულა არის საერთაშორისო ხელშეკრულების სპეციალური დადგენილება, რომელიც შეიცავს მხარეთა ვალდებულებას, რომ ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა არბიტრაჟით გადაჭრან, და რომელშიც მოცემულია არბიტრაჟის შექმნის წესიც.

კლირინგი– საკლირინგო ხელშეკრულება– უნაღდო ანგარიშსწორების სისტემა, რომელიც ემყარება მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთ ჩათვლას, რომელიც გამოიყენება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო ანგარიშსწორებაში.

კლეპტომანია – პერიოდული, დაუძლეველი, ავადმყოფური სწრაფვა ქურდობისადმი. ფსიქიკის დარღვევის სინდრომი. იგი უანგარო ქურდობაა. მკურნალობენ ძირითადად დაავადებას.

კოალიცია – 1. ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკური კავშირი რომელიმე სხვა სახელმწიფოს თუ სახელმ-

წიფოთა ჯგუფის წინააღმდეგ. 2. შეთანხმება პოლიტიკურ პარტიებს შორის. კოალიციას უწოდებენ, აგრეთვე, პოლიტიკური პარტიების შეთანხმებას საპარლამენტო უმრავლესობის შექმნის ან პარლამენტში ცალკეული საკითხის დადებითად თუ უარყოფითად გადაწყვეტის მიზნით. ზოგჯერ ასეთი გაერთიანების მიზანია კოალიციური მთავრობის შექმნა. ეს ხდება მაშინ, როცა პარლამენტში არცერთ პარტიას არ ჰყავს უმრავლესობა და შეუძლებელია ერთპარტიული მთავრობის ფორმირება.

კოალიციური მთავრობა – საპარლამენტო რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც შექმნილია პარლამენტის არჩევნებში გამარჯვებული სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლობისაგან. ასეთი რამ ხდება მაშინ, როცა ვერცერთი პარტია ვერ ქმნის საპარლამენტო უმრავლესობას და შეუძლებელი ხდება ერთპარტიული მთავრობის შექმნა.

კოდექსი – ერთიანი სისტემატიზებული საკანონმდებლო აქტი, რომელიც სამართლის რომელიმე დარგის ნორმებს შეიცავს. 2000 წლისათვის საქართველოში მოქმედებდა შემდეგი კოდექსები: სამოქალაქო, სისხლის სამართლის სამოქალაქო საპროცესო, სისხლის სამართლის საპროცესო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა, შრომის კანონთა, საბაჟო, საგადასახადო, სასჯელაღსრულების, საჰაერო, ადმინისტრაციული საპროცესო, ზოგადი ადმინისტრაციული და ტყის კოდექსები.

კოდისპირი – სახელმწიფო გადასახადი გვიანი შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში. იხდიდა თითოეული კომლი ოთხი კოდი პურის ან ორი კოდი პურისა და ორნახევარი კოდი ქერის რაოდენობით.

კოდი – პირობითი ნიშნების (სიმბოლოების) სისტემა, რომელსაც იყენებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციის გადასაცემად, დასამუშავებლად და შესანახად.

კოდიფიკაცია – კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების სისტემატიზაციის უმაღლესი ფორმა, რომლის დროსაც ხდება სამართლის აქტების არა უბრალო შეერთება, არამედ სამართლის რომელიმე დარგის მიხედვით მოქცეული დაგროვილი ნორმატიული მასალის გადამუშავება, შევსება და სისტემატიზაცია ერთიანი პრინციპის საფუძველზე და იქმნება დამოუკიდებელი კრებითი აქტი, მაგ.: კოდექსები.

„კოვენანტი“ – (შეთანხმება, ხელშეკრულება) – შოტლანდიაში რეფორმაციის მომხრეთა შორის დადებული კავშირები ან შეთანხმებანი.

კოლეგიური საჯარო დაწესებულება – საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთზე

მეტი საჯარო მოხელისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი საჯარო მოხელე ერთობლივად იღებს ან ამზადებს.

კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრი – საჯარო მოხელე, რომელიც ხმის უფლებით მონაწილეობს კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში ან მომზადებაში.

კოლეგია – ამა თუ იმ უწყების (დაწესებულების, ორგანიზაციის) მაღალი თანამდებობის პირთა ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს უწყების კომპეტენციაში შემავალი საკითხები.

კოლეგიურობა – ხელმძღვანელობის პრინციპი, კოლექტიური ხელმძღვანელობა ამა თუ იმ ორგანოს უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა ჯგუფის მიერ.

კოლექტივიზმი – ადამიანთა ურთიერთთანამშრომლობისა და თანამეგობრობის, საერთო ინტერესებისათვის მაღალი ეროვნული საქმიანობის ხელოვნური პრინციპი.

კოლექტიური შეშფოთება – მთელი მსოფლიოს ან ამა თუ იმ რეგიონის სახელმწიფოების ერთობლივ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებას ემყარება და მიმართულია საერთაშორისო მშვიდობის უსრუნველსაყოფად.

კოლექტიური ხელშეკრულება – მუშაკთა კოლექტივის სახელით პროფკავშირის საყაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის შეთანხმება საწარმოთა ორგანიზაციის ადმინისტრაციასთან, შეიცავს მთელ რიგ ურთიერთვალდებულებებს: ახალი ტექნიკის დანერგვას, შრომის ნაყოფიერების ამაღლებას, თვითღირებულების შემცირებას და სხვა. კოლექტიური ხელშეკრულების დადების და დავის განხილვის წესი განსაზღვრულია კანონით კოლექტიური ხელშეკრულებისა და შეთანხმების შესახებ.

კოლიზიური ნორმა – (საერთაშორისო სამართალი) – იურიდიული ნორმა, რომელიც უცხოური ელემენტის შემცველი სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ამა თუ იმ სახელმწიფოს სამართალზე მიუთითებს.

კოლიზიური სამართალი – სახელმწიფოს კოლიზიური ნორმების ერთობლიობა. საერთაშორისო კერძო სამართლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სახელმწიფო კოლიზიურ სამართალს იმიტომ ქმნის, რომ: 1. სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობანი ხშირად დაკავშირებულია უცხო სახელმწიფოსთან, ე.ი. შეიცავს უცხოურ ელემენტს (როცა ურთიერთობის ერთ-ერთი მონაწილე უცხოელია, როცა ურთიერთობის წარმომშო-

ბი იურიდიული ფაქტი უცხო სახელმწიფოში მოხდა). 2. ასევე ურთიერთობათა მოწესრიგება შეუძლებელია ეროვნულ კანონმდებლობათა მატერიალური ნორმებით, რადგან სხვადასხვა სახელმწიფოს ასეთ ნორმებს შორის არსებითი განსხვავება (კოლიზია) არსებობს.

კოლონატი – რომის იმპერიაში მონათმფლობელური სისტემის კრიზისის შედეგად წარმოქმნილი საწარმოო ურთიერთობის განსაკუთრებული ფორმა, გარდამავალი მონათმფლობელობიდან ბატონყმობისაკენ.

კოლონია – აღმოსრდელობითი დაწესებულება არასრულწლოვან დამნაშავეთათვის, სახელმწიფო ან ტერიტორია, რომელსაც წართმეული აქვს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა და იმყოფება უცხო სახელმწიფო მმართველობაში.

კოლონია – დასახლება – კანონმდებლობით – შრომა-გასწორებითი კოლონიის განსაკუთრებული სახე იყო. ამ კოლონიებში სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, გადაჰყავდათ საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის კოლონიებიდან ის მსჯავრდებულები, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას.

კოლონიალიზმი – სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ნაკლებად განვითარებული ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი დამორჩილება იმპერიალისტური სახელმწიფოების მიერ.

კოლონიზაცია – (დასახლება, ახალშენი) – საკუთარი ქვეყნის უშენი განაპირა მიწების დასახლება და სამეურნეო ათვისების პროცესი („სამინათ კოლონიზაცია"), აგრეთვე უპირატესად მზარდმოსახლეობისათვის დაკავშირებული ახალშენების დაარსება საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ („საგარეო კოლონიზაცია").

კომბატანტები – (მეომარი, მებრძოლი) – მებრძოლები, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მეომარი მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ბრძოლაში.

კომბინატი – ისეთი საწარმოების გაერთიანება, რომელთაც, როგორც წესი, არა აქვთ იურიდიული დამოუკიდებლობა და მათ მართავს სათავო საწარმოს დირექცია და აერთიანებს სხვადასხვა დარგის ტექნოლოგიურად ურთიერთდაკავშირებულ ისეთ სპეციალიზებულ წარმოებებს, რომლებიც თანმიმდევრულად ან კომპლექსურად ამუშავებენ ნედლეულს, წარმოების ნარჩენებს ან თანაპროდუქტებს.

კომბინაცია – (შეკრება) – 1. რისამე ურთიერთშეთანხმება,

შეერთება, გარკვეული წესით გაერლაგება. 2. ხერხთა ერთობლიობა რთული ნანაფიქრის განსახორციელებლად. 3. სრიკები. წინასწარ განსრახული მანეური ანგარების ან სხვა ბინძური მიზნით.

კომენდანტი – თანამდებობის პირი (ოფიცერი ან გენერალი) სხვადასხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში.

კომენტარი – (შენიშვნა, განმარტება) – 1. წიგნის (თხზულებათა კრებულის, შემუარების, ეპისტოლარული მემკვიდრეობის, ისტორიული საბუთების, თარგმანის) სამეცნიერო აპარატის ნაწილი. 2. ძველ რომში „კომენტარები“ ეწოდებოდა ისტორიულ თხზულებებს, მაგ.: იულიუს კეისრის კომენტარები „გალიის ომების შესახებ“ და „სამოქალაქო ომის შესახებ“.

კომერციული ანგარიშსწორება – სამეურნეო საქმიანობის დანახარჯებისა და შედეგების ღირებულებითი (ფულადი) თანაშეზომვის გზით მეურნეობის გაძღოლის მეთოდი.

კომერციული ვაჭრობა – სახელმწიფო ვაჭრობის ერთ-ერთი სახეობა მოსახლეობის საბაზრათო სისტემით მომარაგების პირობებში.

კომერციული კრედიტი – საქონლის გამყიდველის მიერ მყიდველზე გადახდის გადავადების ფორმით გაცემული კრედიტი.

კომერციული საიდუმლოება – სააქციო კომპანიების, ფირმების, ბანკებისა და სხვათა უფლება თავიანთი საქმიანი დოკუმენტების (საბაზრო წიგნები, ბალანსები) საიდუმლოდ შენახვისა.

კომერციული ბანკი – ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტს და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოებს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბანკო საქმიანობას.

კომივოიაჟერი – (მოსამსახურე, მოგზაური) – სავაჭრო ფირმის მოგზაური აგენტი, რომელიც მოქმედებს რომელიმე საწარმოს მინდობილობით და სახელით. იგი მყიდველებს უწევენებს თავისი ფირმის საქონლის ნიმუშებს, იღებს მათგან შეკვეთებს, დებს ხელშეკრულებებს.

კომისია – სამოქალაქო სამართალში – ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე (კომისიონერი) ვალდებულებას კისრულობს მეორე მხრის (კომიტენტის) დავალებით სასყიდლით დადოს ერთი ან რამდენიმე გარიგება თავისი სახელით, მაგრამ კომიტენტის ხარჯზე.

კომიცია – სახალხო კრება ძველ რომში. იყო სამი სახის: 1. კურიული კომიცია, რომელიც იკრიბებოდა კურიების მიხედვით და იგი ირჩევდა მეფეს, წყვეტდა

ომისა და მშვიდობის საკითხებს. 2. ცენტრიული – იკრიბებოდა სამხრეთ ერთეულების – ცენტრიების (ასეულების) მიხედვით. იწონებდა ან აუქმებდა სახელმწიფო კანონებს, ირჩევდა უმაღლეს მაგისტრატებს, განაგებდა მართლმსაჯულებას. 3. ტრიბული – რომელსაც უმაღლესი საკანონმდებლო და მართლმსაჯულების ფუნქციები მიენიჭა.

კომპანიონი – 1. ამხანაგი, თანამონაწილე. 2.– საეკლესიო ან სამრეწველო საწარმოს თანამფლობელი.

კომპენსაცია – ანაზღაურება სამოქალაქო სამართალში ქალდებულების შეწყვეტის ერთერთი ხერხი, შეგებებული მოთხოვნის გაქვითვის გზით.

კომპეტენცია – რომელიმე ორგანოს ან თანამდებობის პირის უფლებამოსილება, – უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობა, რომელიც დადგენილია კანონით, მოცემული ორგანოს წესდებით ან სხვა დებულებებით. სასამართლო ორგანოთა კომპეტენციას კი განსაზღვრავს კანონი.

კომპილაცია – (ქურდობა, ძარცვა) – ლიტერატურული ნაშრომი, რომლებიც შედგება სხვადასხვა ავტორისაგან ნასესხები მასალისაგან და არ შეიცავს დამოუკიდებელ გამოკვლევასა და ანალიზს. მას ხშირად ლიტერატურულ ქურდობასაც უწოდებენ.

კომპოზიცია – სამართლის ისტორიაში – ქონებრივი სანქციური სისხლის სამართალდარღვევისათვის.

კომუნა – სოფლის მეურნეობის კოოპერაციის ერთერთი ფორმა. შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში და მასში განსოციალიზებული თითქმის ნაგებობა, ინვენტარი, პირუტყვი, წარმოების საშუალებები და მიწათსარგებლობა.

კომუნალური მომსახურება – მომსახურება, რომელსაც ეწევიან კომუნალური მეურნეობის საწარმოები ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

კომუნალური მშენებლობა – მშენებლობის დარგი, რომელიც აშენებს ქალაქების, ქალაქის ტიპის დასახლებებისა და რაიონული ცენტრების მოსახლეობის მომსახურებასთან დაკავშირებულ ობიექტებს.

კომუნალური ტარიფები – განაკვეთების სისტემა, რომლის მიხედვით იხდიან ღირებულებას სხვადასხვა სახის კომუნალურ მომსახურებისათვის.

კომუნიკე – ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა თუ შედეგების, საერთაშორისო შეთანხმების, ქვეყნის საშინაო ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენებ-

ის, საიმპერატიოა მსჯელობისა და სხვათა შესახებ.

კომუნისტური მორალი – მორალის უმაღლესი ფორმა, რომელიც იქმნება ახალი სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების ბაზაზე. კაცობრიობის ზნეობრივი პროგრესის კანონზომიერი შედეგი.

კომუნისტური საკუთრება – ერთიანი საერთო სახალხო საკუთრება საზოგადოებრივ დოვლათზე.

კომუტაცია – ფულადალურ ხანაში გლეხების საბატონო ბეგარისა და ნატურალური ღალის ფულადი რენტით შეცვლა.

კონგრესი – 1. საერთაშორისო არამთავრობითი ორგანიზაციის კრება, აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა შეკრება. 2. საკანონმდებლო ორგანოს ან მისი ერთ-ერთი პალატის სახელწოდება ზოგიერთ სახელმწიფოში (ბრაზილია, კოლუმბია, მექსიკა და სხვა). აშშ-ში კონგრესი წარმოდგება პარლამენტის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომას. კონგრესი ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის სახელწოდებაცაა (ინდოეთის ეროვნული კონგრესი).

კონდომინიუმი – საერთაშორისო სამართალში მდგომარეობა, როცა ორი ან რამდენიმე სახელმწიფო ერთდროულად ფლობს ამა თუ იმ ტერიტორიას. ემყარება საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ასახავს ამ ტერიტორიაზე პრეტენზიების მქონე სახელმწიფოთა კომპრომისს.

კონდოტიერი (იტალ.) – ხელშეკრულება სამხედრო სამსახურში დაქირავების შესახებ.

კონეტაბლი – (საჯინიბოს უფროსი) – მონარქიული საფრანგეთის ერთ-ერთი უმაღლესი მოხელე.

კონვერსია სესხისა – ადრე გამოშვებული სახელმწიფო სესხების პირობათა შეცვლა კრედიტის ვადის გახანგრძლივებისა და სესხის სარგებლობის სიდიდის შესაცვლელად.

კონკლუდენტური მოქმედება – ისეთი მოქმედება, რომლიდანაც უსიტყვოდ ჩანს, რომ ესა თუ ის პირი თანახმაა დადოს ხელშეკრულება (მაგ.: როცა მოქალაქე მიიღებს წინადადებას გარკვეული საფასურით შეიძინოს ნივთი და პასუხის ნაცვლად უსიტყვოდ გადასცემს გამყიდველს სათანადო თანხას).

კონკურენცია – (მოვაწყდები, შევეჯახები) – წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობასთან დაკავშირებული კატეგორიაა. იგი ასახავს ანტაგონისტურ ბრძოლას კერძო საქონელმწარმოებლებს შორის საქონლის წარმოებისა და მისი რეალიზაციის საუკეთესო პირობების

მოსაპოვებლად.

კონკურსი სამოძალაძო სამართალში – იგი ასახავს ანტაგონისტურ ბრძოლას კერძო საქონელ მწარმოებლებს შორის საქონლის წარმოებისა და მისი რეალიზაციის საუკეთესო პირობების მოსაპოვებლად სახელმწიფო, კოოპერაციული ან სხვა სასოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ საგანგებო ჯილდოს, პრემიის საჯარო აღთქმა ისეთი სამუშაოს საუკეთესოდ შესრულებისათვის, რომელიც ხელს უწყობს კულტურულ და ტექნიკურ პროგრესს.

კონოსამენტი – დოკუმენტი, რომელსაც გადამზიდავი აძლევს ტვირთის გამგზავნს საზღვაო გადაზიდვის დროს. (საზღვაო კოდექსის მუხლი 118–123).

კოსიგნაცია – (წერილობითი დადასტურება, დოკუმენტი) – კომისიის ხელშეკრულების სახეობა, რომლითაც კომისიონერი საქონლის მფლობელის დავალებით თავისი საწყობიდან (ე. წ. კონსიგნაციური საწყობი) ყიდის საქონელს. გავრცელებულია საგარეო ვაჭრობაში.

კონსოლიდაცია – რამის განმტკიცება – გამაგრება, ცალკეულ პირთა დაჯგუფებათა ორგანიზაციათა გაერთიანება და დარაზმვა საერთო მიზნებისათვის ბრძოლის გასაძლიერებლად.

კონსორციუმი – კაპიტალისტური ბანკების ან სამრეწველო კომპანიების დროებითი შეთანხმება, რაიმე სელსაყრელი ოპერაციის ან მსხვილი მასშტაბის პროექტის განხორციელებისათვის. მონოპოლიურად მაღალი მოგების მისაღებად. საბანკო და სამრეწველო კაპიტალის შერწყმის ერთ-ერთი ფორმაა.

კონსტიტუცია – (დამყარება, დაწესება, წყობილება, აგებულება) – სახელმწიფოს ძირითადი კანონი, რომელსაც უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს. მსოფლიოში პირველი კონსტიტუცია მიიღეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 1789 წელს, საფრანგეთმა და პოლონეთმა 1791 წელს, ნორვეგიამ 1814 წელს და ა. შ. ამჟამად ქვეყნის სახელმწიფოს აქვს თავისი კონსტიტუცია. საქართველოში პირველი კონსტიტუცია მიღებული იქნა 1921 წლის 21 თებერვალს. მაგრამ იგი ფაქტობრივად არ ამოქმედებულა, რადგანაც ბოლშევიკური რუსეთის აგრესიის გამო ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და ერთხელ მთავრობა საზღვარგარეთ გაიხსნა. საბჭოთა პერიოდის საქართველოში ოთხი კონსტიტუცია იქნა მიღებული (1922, 1927, 1937 და 1977), ქვეყნის მართვის წარმოადგინდა საბჭოთა კონსტიტუციური კანონმდებლობის ნაწილს, იმახვრებოდა დიქტატორული რეჟიმის დაკანონება და განმტკიცების. ამჟამად მოქმედი საქართველოს კონსტიტუცია მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს და ამოქმედდა ამავე წლის 1 ნოემბერს.

კონსტიტუციური ზედამხედველობა – კონსტიტუციასთან კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისობის შემოწმება.

კონსტიტუციური სამართალი – სამართლის ერთ-ერთი დარგის – სახელმწიფო სამართლის სახელწოდება, რომელიც გვხვდება იურიდიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში. სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის სახელმწიფოებრიც და ტერიტორიულ მოწყობას, აწესებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციისა და საქმიანობის, ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთობის ძირითად პრინციპებს. კონსტიტუციურ სამართალს ხშირად სახელმწიფო სამართალსაც უწოდებენ.

კონსულთა რანგები – საკონსულო თანამდებობის პირთა სამსახურებრივი წოდებები. საქართველოს კანონმდებლობით საკონსულო დაწესებულებათა მეთაურები იყოფა ოთხ კლასად: გენერალური კონსული, კონსული, ვიცე კონსული და საკონსულოს აგენტი. (საქართველოს 1994 წლის 22 ნოემბრის კანონი საქართველოს საკონსულო დაწესებულებათა შესახებ, მუხლი 6).

კონსტიტუციური სასამართლო – სპეციალური სახელმწიფო ორგანო, რომელსაც ევალება კონსტიტუციური სამართალწარმოების განხილვა, ამასთან ერთად კონსტიტუციურ სასამართლოს შეუძლია კონსტიტუციის განმარტება, სახელმწიფოს ცალკეულ ორგანოთა კომპეტენციის სისწორის შემოწმება, მოქმედი კანონის ბათილად გამოცხადება. (იხილეთ საკონსტიტუციო სასამართლო).

კონსული(ლათ.) – 1. ძველ რომში ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა (მაგისტრატურა). 2. თანამდებობის პირი, რომელიც სხვა სახელმწიფოს რომელიმე რაიონში (საკონსულო ოლქში) დანიშნულია მუდმივ წარმომადგენლად განსაზღვრული ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად.

კონსული იწვევდა სენატს, ნიშნავდა დიქტატორებს, წინამძღოლობდა ჯარს, ხელმძღვანელობდა პრეტორებსა და კვესტორებს. თავდაპირველად იყო ორი კონსული, იმპერიის პერიოდში მათი რიცხვი გაიზარდა და რეალური ძალაუფლებაც შესუსტდა.

საერთაშორისო სამართალში თანამდებობის პირი, რომელიც სხვა სახელმწიფოს რეგიონში, ამ სახელმწიფოს თანხმობით, დანიშნულია მუდმივ წარმომადგენლად თავისი ქვეყნის, მისი მოქალაქეებისა და იურიდიული პირების ეკონომიკური და სამართლებრივი ინტერესების დასაცავად. იგი თა-

ლყურს აღუქენებს ამ სახელმწიფოთა შორის დადებულ ხელშეკრულებებისა და შეთანხმებათა შესრულებას, ხელს უწყობს მათ შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამეცნიერო-კულტურული კავშირების განვითარებას, დებს საკონსულო გარიგებებს, ასრულებს სანოტარო მოქმედებებს და ა. შ.

კონსულტაცია – (ლათ. consultatio, ვსრ. ენა) – 1. სპეციალისტის რჩევა-დარიგება რაიმე საკითხში. 2. სპეციალისტების თათბირი რაიმე საკითხზე. 3. დაწესებულება, რომელიც მოსახლეობას დახმარებას უწევს სპეციალისტების რჩევით ამა თუ იმ პრაქტიკულ საკითხზე (იურიდიული კონსულტაცია, სამედიცინო კონსულტაცია).

კონტროკორენტი – შეთანხმება, რომლითაც მხარეები კისრულობენ პასუხისმგებლობას, საქმიანი კავშირებიდან წარმოშობილი მოთხოვნები და გადასახადები შეიტანონ ანგარიშზე და მის დახურვამდე მიიჩნიონ ხელშეუხებლად. ანგარიშის სალდო ექვემდებარება გადახდას შეთანხმებულ ვადაში. თუ ანგარიშის დახურვისას ის მხარე, რომელსაც ეკუთვნის თანხის ნაშთი, არ მოითხოვს გადახდას, მაშინ იგი შეიტანება კონტროკორენტზე. ანგარიშის დახურვით წარმოიშვება სალდოს მოთხოვნა, რომელიც შესრულების მიზნით იკავებს კონტროკორენტზე მოთავსებული მოთხოვნის ადგილს. ანგარიშის დახურვა წარმოებს წელიწადში ერთხელ. ექვის არსებობისას კონტროკორენტი შეიძლება ნებისმიერ დროს გაუქმდეს და ანგარიში დაიხუროს. (სკ., მუხ. 906–910).

კონტრაბანდა – (განცხადების საწინააღმდეგო) – საქონლის ამა თუ იმ ფასეულობის გადატანა ან გადმოტანა სახელმწიფო საზღვარზე ფარულად ან საბაჟო წესების დარღვევით. საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით–ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე. ხოლო საბაჟო საზღვარზე კულტურის ძეგლის, ძვირფასი ლითონისგან დამზადებული საკუთელირო ნაკეთობის ჯარითის წესის დარღვევით გადატანა ან გადმოტანა–ისჯება ჯარიმის ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან შვიდ წლამდე, ხოლო შხამიანი, მომწამლავი, რადიაქტიური ან ფეოქებადი ნივთიერების, ცეცხლსასროლი იარაღის გადატანა ან გადმოტანა–ისჯება თავისუფლების აღკვეთით სამიდან ათ წლამდე.

კონტინენტური შელფი – ტერიტორიულ წყლებთან მიმდე-

ბარე გარკვეული სიგანის ზღვის ფსკერის რაიონი, რომელზეც მოსახლეობა სახელმწიფო ორგანიზაციებს გარკვეულ სუვერენულ უფლებებს. კონტინენტური შელფის სამართლებრივ რეჟიმს განსაზღვრავს გაეროს 1982 წლის კონვენცია, საზღვაო სამართლის შესახებ და ეროვნული კანონმდებლობა. საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს კონტინენტურ შელფს მიეკუთვნება შავი ზღვის ფსკერიდან წყალქვეშა რაიონის წიაღი, რომელიც ვრცელდება სახმელეთო ტერიტორიის ბუნებრივი გაგრძელების მიღმა მანძილზე წყალქვეშა კიდის გარე საზღვრამდე, 200 საზღვაო მილის მანძილზე, ან ვრცელდება არაუმეტეს 200 საზღვაო მილისა იმ სწორი აქოსავალი ხაზებიდან, რომლებიდანაც ხდება ტერიტორიული წყლების ათვლა, თუ ხმელეთის წყალქვეშა კიდის გარე საზღვარი არ ვრცელდება ამ მანძილზე. (საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი წყლის შესახებ, მუხლი 2).

კონტრასიგნატურა – (კონტრაციგნაცია) – სახელმწიფოს მეთაურის აქტზე მინისტრის ხელმოწერა, რომ იგი ეთანხმება ამ აქტს და კისრულობს იერარქიულ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მის შესასრულებლად.

კონტროლის პალატა – საქართველოში სახელმწიფო ეკონომიკური უმაღლესი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებას, ხარჯვას. უსახურება ეროვნული სიმდიდრისა და სახელმწიფო ქონების დაცვას. აკონტროლებს და ანალიზებს სახელმწიფოს მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების კანონიერებას. საქართველოს კონტროლის პალატის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი განსაზღვრულია საქართველოს 1997 წლის 15 აპრილის კანონით საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ.

კონტრაფაქცია – (გაყალბება და ვაკეთებ) – ბურჟუაზიული სამართლის ტერმინი. საავტორო უფლების დარღვევა, სხვისი ნაწარმოების გამოცემა და გავრცელება ავტორის თანხმობის გარეშე.

კონტრაქტაცია – სასოფლო სამეურნეო პროდუქტებისა – სასოფლო სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის ერთიანი ფორმა, რომელიც ამარტივებს ურთიერთობას სახელმწიფოსა და მეურნეობებს შორის.

კონტრიბუცია – თანხა, რომელიც ომში დამარცხებულ სახელმწიფოს უნდა გადაეხადა გამარჯვებული სახელმწიფოსათვის სახიფათო ხელშეკრულების

თანახმად ან რასაც მტრული სახელმწიფოს სამხედრო ხელისუფლება შეაწერდა ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობას.

ᲙᲝᲜᲣᲜᲒᲘ – სამხედრო ბელადი, გვაროვნული არისტოკრატიის უმაღლესი წარმომადგენელი ადრინდელ შუა საუკუნეების სკანდინავიაში.

ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ – (კავშირი, გაერთიანება) – 1. სუვერენულ სახელმწიფოთა მუდმივი კავშირი რაიმე საერთო მიზნის მისაღწევად. 2. რაიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კავშირი.

ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ – (ვაგრობები) – სახელმწიფოების, პარტიულ, საზოგადოებრივ, სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლების კრება, თათბირი ამა თუ იმ საკითხის განსახილველად.

ᲙᲝᲜᲤᲘᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘᲡᲐ – ბერძნულ სამართალში სასამართლოს განაჩენის დამტკიცება დადგენილი წესით.

ᲙᲝᲜᲤᲘᲡᲙᲐᲪᲘᲐ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡᲐ – მოქალაქის პირადი ქონების იძულებით უსასყიდლო ჩამორთმევა და სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევა.

ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ – (შეჯახება) – ფართო მნიშვნელობით წინააღმდეგობის უკიდურესი გამწვავება ორი ან მეტი სხვადასხვა ღირებულების კონკურენციული ტენდენციის ერთდროულად აღძერის საფუძველზე.

ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲜᲘ – მონოპოლისტური გაერთიანებების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ფორმა, რომელიც ხასიათდება საკუთრებისა და კონტროლის ერთიანობით.

ᲙᲝᲜᲪᲔᲡᲘᲐ – (ნების დართვა, დათმობა) – ხელშეკრულება, იმ ბუნებრივი სიმდიდრის, საწარმოების და სხვა სამეურნეო ობიექტების გარკვეული პირობებით საექსპლუატაციოდ გადაცემის შესახებ, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტს.

ᲙᲝᲜᲪᲔᲤᲪᲘᲐ – (გაგება, სისტემა) – რაიმე რანგის, მოცულობის პროცესის გაგების, განმარტების გარკვეული წესი, ძირითადი თვალსაზრისი, მათი სისტემატიური ანალიზის სახელმძღვანელო იდეა.

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲐ – (თანამშრომლობა) – 1. შრომის ორგანიზაციის ფორმა, რომლის დროსაც ადამიანთა მნიშვნელოვანი რაოდენობა ერთობლივად და გეგმაზომიერად მონაწილეობს შრომის ერთსა და იმავე ან სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულ პროცესში. 2. მუშების, გლეხების, მოსამსახურეების ურთიერთდახმარების ორგანიზაციულად გაფორმებული ნებაყოფლობითი გაერთიანებათა ერთობლიობა საერთო მიზნების მისაღწევად ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

ᲙᲝᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐ – ცალკეული კოოპერატივების, მათი გაერთიანების კო-

ლექტიური საკუთრება.

კოოპერირება – საწარმოთა კავშირის გეგმიანი ორგანიზაცია იმ საწარმოთა შორის, რომლებიც ერთობლივად ამზადებენ განსახღვრულ პროდუქციას, მაგრამ ინარჩუნებენ სამეურნეო დამოუკიდებლობას.

კოოპტაცია – (დამატებითი არჩევა) – რაიმე არჩევითი კოლეგიური ორგანოს შევსება ახალი წევრებით ამავე ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

კოორდინაცია – შეთანხმება, შეხამება, რაიმეს მოწესრიგება, ურთიერთშეყარდება.

კორონერი – დიდ ბრიტანეთში, აშშ-სა და ახგლო-საქსური სამართლის სისტემის სხვა ქვეყანაში თანამდებობის პირი, რომლის მოვალეობაა ბუნდოვან გარემოებაში გარდაცვლილ პირთა სიკვდილის მიზეზის დადგენა.

კორპორაცია – (გაერთიანება) – 1. შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული გაერთიანება. 2. ამა თუ იმ მიზნით გაერთიანებულ პირთა ჯგუფი, რომელიც სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტს – იურიდიულ პირს ქმნის.

„კორპუს იურის ცივილის“ – რომის სამოქალაქო სამართლის კრებული, რომელიც შეადგინეს ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანეს ბრძანებით 528–34, რომელიც ოთხი ნაწილისგან შედგებოდა: 1. ინსტიტუციები – რომის სამართლის სახელმძღვანელო. 2. დიგესტები ანუ პანდექტები, რომელიც შეიცავს ამონაწერებს ორმოცი გამოჩენილი რომაელი იურისტის 1500-ზე მეტი წიგნიდან. 3. იუსტინიანეს კოდექსი შეიცავს იმპერატორის განკარგულებებს. 4. ნოველები – იუსტინიანესა და შემდგომი იმპერატორების განკარგულებები.

კორტესი – (სამეფო კარი) – წოდებრივ-წარმომადგენლობითი კრება შუა საუკუნეების ესპანეთსა და პროტუგალიაში.

კორუფცია – (მოსყიდვა) – თანამდებობის პირის დანაშაულებრივი გამდიდრება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (საქართველოს 1997 წლის 12 ოქტომბრის კანონი საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ, მუხლი 3).

კოსმოსური სამართალი – ერთობლიობა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა, რომლებიც აწესრიგებენ სახელმწიფოთა ურთიერთობებს და საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობას კოსმოსური სივრცისა და ცის სხეულების კვლევა – გამოყენებასთან დაკავშირებით.

კოტირება – (დანიშვნა, მინიშნება) – უცხოელის ვალუტის, ფასიანი ქაღალდების კურსის ან საქონლის ფასის გასაჯაროება ბირჟაზე.

კრედიტი – (მას სწამს) – ბუ-

ღალტრული ანგარიშის ერთ-ერთი, ჩვეულებრივ მარჯვენა მხარე. დაბრუნებადობის, ფასიანობის, უსრულფასოდობის და ვადიანობის საწყისებზე ფულადი სახსრების გაცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი ვალდებულება.

კრედიტორი – 1. ვალდებულების ერთ-ერთი მხარე, რომელსაც უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს დებიტორს, განსაზღვრული მოქმედების შესრულება ან რაიმე მოქმედებისაგან თავის შეკავება. 2. ბუღალტრულ აღრიცხვაში ტერმინი, რომელიც აღნიშნავს მოქალაქეს ან იურიდიულ პირს, რომლის დაკალიანებაც აქვს მოცემულ ორგანიზაციას და რომელიც კრედიტორული დაკალიანება ასახულია მის ბალანსზე.

კრემატორიუმი – მიცვალებულთა დასაწვავად საგანგებოდ მოწყობილი შენობა.

კრიმინალისტიკა – მეცნიერება, რომელიც შეიმუშავებს სპეციალურ ტექნიკურ საშუალებებს, ტაქტიკურ ხერხებსა და მეთოდებს სასამართლო მტკიცებულებათა აღმოჩენის, ფიქსაციის, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით დანაშაულის გახსნასთან, თავიდან აცილებასთან, გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვასთან დაკავშირებით, აგრეთვე ცალკეულ შემთხვევებში სამოქალაქო სამართალში საქმეთა განხილვის დროს.

კრიმინალისტიკური ექსპერტიზა – სასამართლო ექსპერტიზის გავრცელებული სახე, რომლის დროსაც იყენებენ კრიმინალისტიკის მიერ შემუშავებულ სპეციალურ ხერხებს.

კრიმინოლოგია – (დანაშაული და მეცნიერება) – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის დანაშაულობას, როგორც სოციალურ მოვლენას, მის მიზეზებს, დამნაშავის პიროვნებას, აგრეთვე დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის ღონისძიებებს. სწავლობს აგრეთვე დანაშაულის სოციალურ ფაქტორებს, მოვლენებს.

კრიპტიები – დამსჯელი ექსპედიციები პალიტების წინააღმდეგ სპარტაში (ძველი საბერძნეთი).

კრიპტოგრაფია – პირობითი საიდუმლო ნიშნებით წერა. იყენებენ იმ მიზნით, რომ ესა თუ ის ტექსტი (მაგ.: დიპლომატიური ხასიათის განსაკუთრებული ცნობები) გასაგები იყოს მხოლოდ განდობილ პირთათვის. კრიპტოგრაფიის წესით შედგენილ ტექსტს კრიპტოგრამა ეწოდება.

კრიტერიუმი – (მსჯელობის საშუალება) – ნიშან-თვისება, რომლის მიხედვითაც რაიმეს აფასებენ, განსაზღვრავენ, რამე კლასიფიკაციას ახდენენ.

კრიტიკა – (გარჩევის, მსჯელობის ხელოვნება) – 1. რაიმეს

გარჩევა (ანალიზი) შეჯამების მხ'ნით. 2. უარყოფითი მსჯელობა რაიმე'ს'ე. ნაკლის მითითება.

ᲥᲠᲝᲜᲐ – (გვირგვინი) – მონეტებზე გვირგვინი იყო გამოსახული, ფულის ერთეული ევროპის ბევრ ქვეყანაში.

ᲥᲠᲝᲡᲒᲣᲖᲔᲜᲣᲠᲘ ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ – ქორწინების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც დამახასიათებელი იყო გვაროვნული წყობილებისა და ადრინდელი კლასობრივი საზოგადოებისათვის. განასხვავებენ ორ ტიპს: 1. კროსკუზენურს (გადაჯვარედინებულ კუზენური), ქორწინება დედის ძმის ქალიშვილთან (ბიძაშვილთან) ან მამის დის ქალიშვილთან (მამიდაშვილთან). 2. ორთოკუზენურს (პარალელურ-კუზენური), ქორწინებას მამის ძმის ქალიშვილთან (ბიძაშვილთან) ან დედის დის ქალიშვილთან (დეიდაშვილთან).

ᲙᲣᲚᲣᲐᲠᲔᲑᲘ – (კორიდორი) – პარლამენტისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების, აგრეთვე თეატრებისა და საკონცერტო დარბაზების დამხმარე სათავსები, რომლებიც განკუთვნილია შესვენებისათვის, არაოფიციალური შესვლებისათვის, ჟურნალისტების მუშაობისათვის.

ᲙᲣᲚᲣᲮᲝ – გლეხის ვენახზე დაწესებული გადასახადი, იხდიდნენ ღვინით. კულუხის გადახდა ხდებოდა ვენახის ფართობის, მოსავლის ან გლეხის შეძლების მიხედვით და მერყეობდა მოსავლის 0,5–0,1 ნაწილამდე.

ᲙᲣᲜᲐ – ფულის ერთეული ძველ რუსეთში. მიმოქცევაში იყო XIV საუკუნის დასასრულამდე და იგი წარმოდგება კვერნის ბეწვის სახელწოდებისაგან, რომელსაც X–XI სს-ში იყენებდნენ, როგორც საცვლელ ღირებულებას.

ᲙᲣᲠᲐᲞᲐᲚᲐᲢᲘ – ბიზანტიის კარის მოხელე, სასახლის დაცვის უფროსი. ითვლებოდა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმაღლეს პირად (იმპერატორის შემდეგ) კეისარსა და ნოეელისიმოსთან ერთად.

ᲙᲣᲠᲐᲢᲝᲠᲘ – 1. მსრუნველი, მეურვე პირი, რომელსაც მინდობილი აქვს რაიმე სამუშაოს მოთვალყურეობა. 2. სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, რომელიც მიმაგრებულია კლინიკაში მწოლიარე ავადმყოფზე.

ᲙᲣᲠᲘᲔᲠᲘ – 1. შიკრიკი. 2. დაწესებულების მოსამსახურე, რომელიც საქმიან ქაღალდებს დაატარებს.

ᲣᲠᲘᲐ – 1. ძველ რომში რამდენიმე პატრიციული გვარის გაერთიანება. 2. ფეოდალური კურია შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სენიორისა და მისი ვასალების საბჭო. 3. რომის კურია, იმ დაწესებულებათა ერთობლიობა, რომლებიც რომის პაპს ექვემდებარება. 4. ბურუაზიულ ქვეყნებში და რევოლუციამ-

დელ რუსეთში კურიას უწოდებდნენ საგანგებო თანრიგებს (საარჩევნო კურია), რომელთა მიხედვითაც ამომრჩევლები ქონებრივი, ეროვნული და სხვა ნიშნების მიხედვით იყოფოდნენ.

ᲙᲣᲢᲘᲣᲛᲘ – ჩვეულებითი სამართლის ნორმა ფეოდალურ საფრანგეთში. განსაკუთრებით ჩრდილოეთ საფრანგეთში იყო გავრცელებული. კუტიუმები წარმოადგენდა ბარბაროსთა სამართლის წიგნებიდან ნასესხები ძველი გერმანული სამართლის კანონიკური სამართლისა და ადგილობრივი სასამართლოების პრაქტიკის ნარევს.

ლ

ლანდვერი – თადარიგის მეორე რიგის საქმხედრო ვალდებულთა კატეგორია და მეორე რიგის საჯარისო ფორმირებები XIX–XX ს. დასაწყისში პრუსიაში, გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთსა და შვეიცარიაში.

ლანდარტი – (რჩეკა, მრჩეველი) 1. რუსეთში თავადაზნაურთა მიერ არჩეული მრჩეველი. თანამდებობა შემოიღო პეტრე I-მა 1713. 2. გფრ-ში ადგილობრივი მმართველობის რაიონული ორგანო. 3. საკანონმდებლო ორგანოს სახელწოდება შვეიცარიის ზოგიერთ კანტონში.

ლანდსლაბი – შუა საუკუნეების შვეიცის კანტონთა კრებული. შეიქმნა მეფე მაგნუს II ერიქსონის დროს. შვეიცის ჩვეულებითი სამართლის და მეფეთა დადგენილებების კოდიფიკაციის შედეგად, შედგებოდა 14 კარისაგან, მოიცავდა სახელმწიფო („სამეფო“), სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხებს.

ლანდტაგი – 1. წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოები შუა საუკუნეების გერმანულ სახელმწიფოებში. 2. ხალისუფლების ადგილობრივი ორგანოები ცალკეულ გერმანულ სამთავროებში. 3. ქვედა ლოჟა გერმანიის კავშირის წარმომადგენლობითი ორგანო. 4. ამჟამად წარმომადგენლობითი ორგანოს სახელწოდება ზოგ სახელმწიფოში.

ლეგალიზაცია – 1. რომელიმე ორგანიზაციის საქმიანობის დაკანონება, აქტისა და მოქმედებისათვის იურიდიული ძალის მინიჭება. 2. დოკუმენტზე არსებული ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება.

ლატენტური დანაშაულობა – დანაშაულობა, რომელიც სამართალდამცავი ორგანოს მიერ ვერ ვლინდება, არ ხდება მისი აღრიცხვა და რეგისტრაცია, მაგრამ სინამდვილეში საკმაოდ გავრცელებულია და დიდ გავლენას ახდენს კრიმინოგენურ სიტუაციაზე.

ლარი – (ძველი ქართული) – ძვირფასეულობა, განძეულობა, აქედანვეა – სალარო, სადაც მათ ინახავენ. ლარი ორგვარია: 1. ძვირფასი ანუ პატიოსანი ქვები, ოქრო-ვერცხლი და მათი ნაკეთობანი. 2. ტექსტილური ნაწარმი, აბრეშუმისა და შალის (მატყლის) ქსოვილები, „კერული და უკერული“. 3. ფულის ერთეული დღევანდელ საქართველოში.

ლეგატი – 1. ძველ რომში სენატის მიერ პოლიტიკური დავალების შესასრულებლად დანიშნული ელჩი ან რწმუნებული. 2. პაპის ლეგატი – რომის პაპის უმაღლესი

კლასის დიპლომატიური წარმომადგენლობის ტიტული. 3. სამოქალაქო სამართალში მოანდერძის მიერ მემკვიდრისათვის რაიმე ვალდებულების დაკისრება სამკვიდროს ხარჯზე. (ს.კ., მუხლი 1383).

ლეგიონი – ძირითადი ორგანიზაციული ერთეული ძველი რომის არმიაში.

ლეგისლატურა – (კანონპროექტის წარმდგენი) – 1. ბურჟუაზიულ ქვეყნებში წარმომადგენლობითი ორგანოს (პარლამენტის, მუნიციპალური საბჭოს) ან არასრულთა თანამდებობის პირის (პრეზიდენტის, მერის) უფლებამოსილება. 2. ზოგ სახელმწიფოში საკანონმდებლო ორგანოთა სახელწოდება. 3. იურიდიულ და პოლიტიკურ ლიტერატურაში ხშირად პარლამენტის სინონიმია.

ლეგისტები – შუა საუკუნეების იურისტები, რომლებიც ხელს უწყობდნენ რომის სამართლის რეცეფციას დასავლეთ ევროპაში.

ლეგიტიმაცია – ბურჟუაზიულ სახელმწიფოში: 1. რაიმე უფლებისა თუ რწმუნების კანონიერების აღიარება ან დამტკიცება, აგრეთვე მოქალაქის პირადობის მოწმობა იმ ქვეყანაში, სადაც საპასპორტო სისტემა არ არსებობდა. 2. ქორწინების გარეშე გაჩენილი შვილისათვის კანონიერი უფლებების მინიჭება.

ლევირატი – საქორწინო ნგრეულება, რომლის მიხედვითაც ქვრივი ქალი ვალდებული იყო ან უფლება ჰქონდა ცოლად გაჰყოლოდა მაზლს.

ლეი – ფულის ერთეული რუმინეთის რესპუბლიკაში, უდრის 100 ბანს.

ლეკი – ფულის ერთეული ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში, უდრის 100 კინდარს.

ლემპირა – ფულის ერთეული ჰონდურასის რესპუბლიკაში, უდრის 100 სენტავოს.

ლენდლიზი – (ინგლისური გაცემა) II მსოფლიო ომის პერიოდში აშშ-ის მიერ ანტიჰიტლერული კოალიციის მონაწილე ქვეყნებისათვის იარაღის, საბრძოლო მასალის, სტრატეგიული ნედლეულის და სურსათის უსასყიდლოდ ან იაფად მიცემის სისტემა.

ლენდლორდიზმი – კაპიტალისტური ტიპის მსხვილი მიწათმფლობელობის სისტემა ძირითადად ბრიტანეთში. მისი საფუძველია გაბატონებული კლასის არისტოკრატიული ფენის ლენდლორდების მონოპოლია მიწაზე და რომლებსაც იჯარით აქირავებენ ფერმერ-მეწარმეებზე და ღებულობენ მიწის რენტას.

ლენდრამ-გრიფინის კანონი – ანტიმონოპოლიური კანონი, რომელიც მიიღეს აშშ-ში 1959 წ. 14 სექტემბერს პროფკავშირების შესუსტებისა და მათზე კონტროლის დაწესების მიზნით.

ლექცია – სასწავლო მასალის ან რაიმე საკითხის, თემის, სისტემატური, თანმიმდევრული.

ზეპირი გადმოცემა.

ლე შაპელიეს კანონი – ანტიმუშური კანონი, რომელიც მიიღო დამფუძნებელმა კრებამ საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს 1791 წ. 14 ივნისს, რენის დეპარტამენტის დეპუტატის (გამოხატავდა ბურჟუაზიის ინტერესებს) ადვოკატ ი. რ. ლე შაპელიეს წინადადებით.

ლიზინგის ხელშეკრულება – სამოქალაქო კოდექსის 576-ე მუხლის მიხედვით – ლიზინგის ხელშეკრულება არის გრძელვადიანი ხელშეკრულება, რომლის ძალით ლიზინგის გამცემი ვალდებულია ლიზინგის მიმღებს გადასცეს სარგებლობაში განსაზღვრული ქონება ხელშეკრულებით დათქმული ვადით, ხოლო ლიზინგის მიმღები ვალდებულია გადაიხადოს საზღაური დადგენილი პერიოდულობით. ლიზინგის ხელშეკრულება უახლოვდება ქირავნობის ხელშეკრულებას და ლიზინგთან დაკავშირებული საკითხები წყდება ამ ხელშეკრულების ანალოგიურად. (სკ. 576).

ლიბერტინები – განთავისუფლებული მონები ძველ რომში.

ლიგა – კავშირი, ამხანაგობა, გაერთიანება (პირთა, ორგანიზაციათა, სახელმწიფოთა). მაგ.: ერთა ლიგა.

ლიკურგე – ლეგენდარული სპარტელი კანონმდებელი (ძვ. წ. IX–VIII სს.). მას მიაწერდნენ სპარტის სახოგადოებრივ და სახელმწიფო წყობილების თითქმის ყველა ინსტიტუტის შექმნას.

„ლინჩის სასამართლო“ – რაიმე დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის დასჯა გამძვინვარებული ბრბოს მიერ სასამართლოს და გარჩევების გარეშე. ტერმინი დაკავშირებულია ამერიკელი პოლკოვნიკის რასისტ ლინჩის სახელთან. „ლინჩის სასამართლოს“ თან სდევს დამნაშავის აბუჩად აგდება და წამება, რომელიც სიკვდილით მთავრდება. „ლინჩის სასამართლოს“ თვითგასამართლების ფაქტს უწოდებენ, ხოლო მასთან დაკავშირებულ დაუწერელი წესების ერთობლიობას „ლინჩის სამართალს“.

ლირა – 1. ფულის ერთეული იტალიაში. უდრის 100 ჩენტესიმოს. 2. ფულის ერთეული თურქეთში. უდრის 100 ყურუშს.

ლიტრა – მასის (წონის) ერთეული საქართველოში.

ლიტურგია – (საზოგადო სამსახური, საერთო საქმე) – 1. სახელმწიფო ვალდებულება ძველ ბერძნულ პოლისებში. 2. ქრისტიანული საეკლესიო მღვდელმსახურება, რომლის დროსაც სრულდება საიდუმლო სიარება.

ლიქტორი – დაბალი თანამდებობის პირი ძველ რომში. თავდაპირველად მაგისტრატის განკარგულებებს ასრულებდა. მოგვიანებით უმაღლესი მაგისტრატის მცველი და თანმხლები გახდა.

ლიცენზია (ლათ.) – (ნების დართვა) ნებართვა, რომელსაც გასცემს სათანადო სახელმწიფო ორგანო საქონლის სასაზღვარგარეთ გასატანად (ექსპორტი) და იქიდან შემოსატანად (იმპორტი). მასში აღინიშნება მოქმედების ვადა, გაგზავნის და დანიშნულების ადგილი, საქონლის რაოდენობა და ღირებულება. იგი არის საქონლის იმპორტზე, ექსპორტსა და საგალუტო ოპერაციათა ხარჯვაზე სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი ფორმა.

ლიცენციატი – სამეცნიერო ხარისხი საფრანგეთის, ფინეთის, შვეიცარიისა და ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემაში.

ლიცენზიატი – იურიდიული პირი, გამოგონების, პატენტის, ტექნიკალოგიური ცოდნის, კომერციული ინფორმაციის მესაკუთრისაგან იძენს ლიცენზიას მათი გარკვეულ ქვარგლებში გამოყენების უფლებაზე.

ლიგოთეტი – სახელმწიფო აპარატის უმაღლესი მოხელე ბიზანტიაში. გვხვდება IV–VI ს. რომაულ პაპირუსებში.

ლოგიზმი – პარლამენტის წევრებს შემოქმედება ამა თუ იმ კანონპროექტის მიღებისა თუ უარყოფის მიღწევის მნიშვნელობით. ასეთი შემოქმედება შეიძლება იყოს გამოთქმული სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით. კანონპროექტის წარდგენით, რწმენის მიცემით და ა.შ. ლობისტები შეიძლება იყვნენ კერძო პირები ან ორგანიზაციები. საქართველოში ლობისტური საქმიანობის პრინციპები და ფარგლები განსაზღვრულია საქართველოს 1988 წ. 30 სექტემბრის კანონით ლობისტური საქმიანობის შესახებ.

ლოტი – ხელშეკრულებით მოსაწოდებელი საქონლის პარტია. საქონლის რაოდენობის ნაწილი. ამ ტერმინს იყენებენ ძირითადად აუქციონით ვაჭრობაში, როცა გასაყიდად გამოტანილი საქონელი შეკვეთა ხარისხით ერთგვაროვანი საგნების პარტიებისაგან, რომელთაც თავისი რიგითი ნომერი და ფასი აქვთ დადგენილი.

ლოიალური კონკურენცია – დროებითი გადახვევა სრულყოფილი კონკურენციის სტანდარტიდან გარკვეული შეღავათის ცალმხრივის შეცვლის გზით. ხშირად აქვს ადგილი ყოფილ ფრენშაიზინგულ პარტნიორებს შორის. ფრენშაიზის მიმღების მიმართ შეიძლება დაწესდეს განსაზღვრული ტერიტორიის ფარგლებში კონკურენციის აკრძალვა, რომელიც არ შეიძლება ალემატებოდეს ერთ წელს.

ლოზუნგი – 1. მოწოდება: მოკლედ გამოთქმული სახელმძღვანელო იდეა, პრინციპი. მითითება. 2. ძველად პირობითი სიტყვა, რომელსაც სმარობდნენ ყარების საგუშაგო დაცვის დროს, პაროლი.

ლოკარტის შეთქმულება – „სამი ელჩის შეთქმულება“ – დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენელთა მიერ ორგანიზებული კონტრრევოლუციური შეთქმულება, საბჭოთა მთავრობის დამხობის მიზნით 1918.

ლომბარდი – საკრედიტო დაწესებულება, რომელიც სესხს აძლევს მოსახლეობას მოძრავი ქონების დაგირავებით.

ლომბროზიანელობა – ტერმინი, რომელსაც ეყრდნობენ სისხლის სამართლის ანთროპოლოგიური სკოლის აღსანიშნავად. (სკოლის დამაარსებლის ს. ლომბროზოს სახელის მიხედვით) ამ ტერმინს ხმარობენ აგრეთვე ბურჟუაზიული კრიმინოლოგიის იმ თეორიების დახასიათებისას, რომლებიც დანაშაულობას უპირატესად ბიოლოგიური ფაქტორებით ხსნიან.

ლორდი – (პატრონი, სახლის, ოჯახის უფროსი) – 1. შუა საუკუნეობრივი ინგლისური ტიტული, რომელიც ენიჭებოდა დიდ ფეოდალს, სინიორს, ყველა პირს, მომეტებულად – ბარონთა, პერცოგთა ვაჟებს. 2. XIV საუკუნიდან ლორდი ეწოდება ინგლისის პარლამენტის ზემო პალატის, ლორდთა პალატის წევრს, რომლის წოდებაც მემკვიდრეობით გადადის უფროს ვაჟზე.

ლორდთა პალატა – დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ზემო პალატა, რომლის შემადგენლობაში შედიან საერო და სასულიერო ლორდები (პერები). ლორდთა პალატის თავმჯდომარეა ლორდ-კანცლერი.

ლტოლვილები და ადგილნაცვალი პირები – ისინი, ვინც იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ თავიანთი ქვეყანა უცხოური სამხედრო ოკუპაციის, გენოციდის თუ ტერორისტული რეჟიმის გამო და ვინც საოკუპაციო ხელისუფლებამ ძალით გადაიყვანა სხვა სახელმწიფოში (ადგილნაცვალი პირი). ლტოლვილთა სამართლებრივი მდგომარეობა და მათი უფლებამოვალეობანი განსაზღვრულია საქართველოს 1998 წ. 18 თებერვლის კანონით ლტოლვილთა შესახებ.

ლუმპენპროლეტარიატი (გერმ.) – დეკლასირებული ფენები კაპიტალისტურ საზოგადოებაში (მაწანწალები, მათხოვრები, სისხლის სამართლის დამნაშავეები).

ლუსტრაცია – ზოგიერთ ქვეყანაში (უნგრეთი, გერმანია, რუმინეთი და სხვა) მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე დანიშნული თუ არჩეული, აგრეთვე ასეთ თანამდებობაზე დასანიშნ თუ ასარჩევ პირთა შემოწმება ტოტალური რეჟიმის პერიოდში სახელმწიფო უშიშროების თუ სხვა სპეცსამსახურებთან მათი თანამშრომლობის დადგენის მიზნით.

მ

მაგდებურგის სამართალი – გერმანიის ქალაქ მაგდებურგის ფეოდალური საქალაქო სამართალი. ჩამოყალიბდა XIII საუკუნეში ქალაქის პატრიციატის პრივილეგიების, საქსონიის სარკის, მაგდებურგის შეფყენთა სასამართლოს დადგენილებებისა და სხვა წყაროების საფუძველზე. იყო უნივერსალური ხასიათისა – განსაზღვრავდა საქალაქო ხელისუფლების საქმიანობას, სასამართლოს კომპეტენციასა და სამართალწარმოების წესებს. მიწის სარგებლობისა და მფლობელობის საკითხებს, სხვადასხვაგვარ სასჯელებს დანაშაულებისათვის.

მაგისტრატი (ლათ.) – (ხელისუფალი, მმართველობა) – 1. სახელმწიფო თანამდებობა ძველ რომში. 2. საქალაქო წოდებრივი მმართველობის ორგანო რუსეთში შეიქმნა 1720, განაგებდა სასამართლო, პოლიციის, სამეურნეო და საფინანსო საკითხებს. 3. დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში ქალაქის მმართველობა, მუნიციპალიტეტი. 4. ინგლისსა და საფრანგეთში – მოსამართლე.

მაგისტრატურა – (წარჩინებული მოხელე) – 1. სახელმწიფო თანამდებობანი ძველ რომში, არსებობდა ორდინარული – არჩეითი და ექსტრაორდინარული – დანიშვნითი, უმაღლესი და ქვედა. 2. ტერმინი, რომელიც იხმარება სასამართლო უწყების სინონიმის მნიშვნელობით.

მაგისტრი – სამეცნიერო ხარისხი უმაღლესი განათლების ინგლისურ-ამერიკულ სისტემაში. საზღვარგარეთის ქვეყნებში მაგისტრის ხარისხი ენიჭება ბაკალავრის ხარისხის მქონე პირს, რომელმაც გაიარა დამატებითი ერთი – ორი წლიანი კურსი, ჩააბარა გამოცდები, დაიცვა დისერტაცია. მაგისტრის კვალიფიკაცია ეტოლება ჩვენი უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებულის კვალიფიკაციას.

მავლა – ისლამამდელ არაბეთში გათავისუფლებული მონა ან სამხედრო ტყვე, რომელსაც მფარველობდა ყოფილი ბატონი. მესლიმანურ ლიტერატურაში მავლა ეწოდება მფარველს, პატრონს.

მაზრა – რეფორმაციამდელ რუსეთში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული (უეზდი), რომელიც ჩამოყალიბდა რუსეთის ერთიანი სახელმწიფოს შექმნის პროცესში.

მაზჰაბი – (ქცევის წესი) – რელიგიური მუსულმანური სამართლის სკოლა, რომელიც ჩამოყალიბდა VIII–IX სს-ში. ცნობილია ჰანიფიტების, მალიქიტების, შიფიიტებისა და ჰანიბალიტების მაზჰაბები.

მაიორატი – მემკვიდრეობის წესი, რომლის მიხედვითაც უპირატესი

ქონება (უპირატესად მიწა) მთლიანად გადადის უფროსი ვაჟიშვილის ან გვარში უფროსი მამაკაცის ხელში. იგი ფეოდალური სამართლის დამახასიათებელი ინსტიტუტია, რითაც ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ მიწის საკუთრებისა და ფეოდალური ოჯახების დანაწევრება.

მაიორდომი (ლათ.) – (სახლის უფროსი) – უმაღლესი თანამდებობის პირი მეროვინგების ფრანკთა სახელმწიფოში (V–VIII ს.).

მაკარენ-ვუდის კანონი – კანონი შინაგანი უშიშროების შესახებ. მიიღო აშშ-ს კონგრესმა 1950 წ. 30 სექტემბერს, სენატორ მაკარენისა და წარმომადგენელთა პალატის წევრ ვუდის წინადადებით.

მაკლერი – შუამავალი ბირჟაზე, რომელიც დასელიტებულია განსაზღვრულ სფეროში და ფლობს ფართო ინფორმაციას დადებული გარიგების, აქციების კურსის და სხვათა შესახებ. ბირჟის მაკლერებს ნიშნავს ბირჟის კომიტეტი.

მალი – (დიდლათი, ქონება) – ფეოდალიზმის ეპოქის ამერკანიასაში, შუა აზიაში, ირანში. ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში: 1. ქონება, ძირითადად მოძრავი. 2. ფული. 3. საქონელი. 4. ფულადი გადასახადი.

მამითადი – კოოპერაციული შრომის ერი-ერთი ფორმა, რომელსაც ძირითადად შემოსული პერეულის მოწევის დროს ქმნიდნენ. შრომის ორგანიზაციის გამომხატველი ტერმინია.

მამობის დადგენა – ნაყარაულები მამისაგან ბავშვის წარმოშობის ოფიციალური დადგენა. საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობა დაუქორწინებელ მშობელთა შეილებისათვის მამობის დადგენას ითვალისწინებს მშრის მეშვეობით, მშობელთა ერთობლივი განცხადების საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის 1188-ე მუხლის მიხედვით: „მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვი დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილად ჩაითვლება თუ იგი დაიბადება მამის გარდაცვალებიდან არა უადრეს ათი თვისა, ხოლო შვილის წარმოშობა ერთმანეთთან დაქორწინებული მშობლებისაგან დგინდება მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში მშობლების მიერ ერთობლივი განცხადების შეტანით“. (სკ. მუხ. 1188–1190).

მამული – 1. მამაპაპეული, წინაპრებისაგან მიღებული უძრავ-მოძრავი ქონება და სხვა. ნაწარმოებია სიტყვისაგან მამა 2. სამშობლო. მსაზღვრელი სიტყვისაგან მამული იქცა დამოუკიდებელ არსებით სახელად და შეითავსა სახლეული.

მამათმავლობა – სქესობრივი უკულმართობა. მამაკაცის

მამაკაცთან სქესობრივი კავშირი. სამართლით პიროვნების საწინააღმდეგო დანაშაულია, რომელიც ერეკლე II-ისა და ანტონ კათალიკოსის განჩინებით 1767–68 მამათმავლობისათვის ტანჯვა-წამებით სიკვდილს ითვალისწინებდა.

მამამძუძეობა – (მამამძუძე, გამზრდელი) – სხეის ოჯახში შვილის გასაზრდელად გაბარების წესჩვეულება. გავრცელებული იყო მსოფლიოს მრავალ ხალხში, არაბებში, კაენკასიაში და სხვა.

მამასახლისი – სახლის, გვარის ან თემის მეთაური, პირველყოფილი თემური წყობილების პერიოდში. მამასახლისი გვარის უხუცესი იყო, მის მოვალეობას შეადგენდა ეცნობებინა სოფლისათვის ცენტრალური ორგანოების ბრძანება-განკარგულებანი.

მანდატი – (დაკალება) – უფლებამოსილება, დაკალება, აგრეთვე ვისიმე რწმუნებულების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ.: დეპუტატის მანდატი).

მანდატურთუხუცესი – მანდატურების უფროსი, საპოლიციო უწყების ხელმძღვანელი გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში, რომელსაც ხელმწიფის კარზე მიღებული წესრიგის დაცვა და სხვა ადმინისტრაციული ფუნქციები ეკისრებოდა.

მანდატური – (სელჯოხიანი) – საპოლიციო ადმინისტრაციული აპარატის დაბალი მოხელე ფეოდალურ საქართველოში ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით, მათ ეკალებოდათ საეზირო შენობის დაცვა სხდომების დროს, საპატიო მგზავრის გაყოლა, სამეფო ზარეების სამუშაოს ხელმძღვანელობა და სხვა. მოგვიანებით მანდატურის მნიშვნელობით იხმარებოდა ბოქაული და იასაული.

მანიფესტი – (მოწოდება) – 1. ამა თუ იმ ორგანიზაციის საზეიმო მიმართვა, დეკლარაცია, რომელშიც გადმოცემულია პოლიტიკური შეხედულებანი. 2. სახელმწიფო მეთაურის ან ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს აქტი, რომელიც მიმართულია ხალხისადმი რაიმე დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენის გამო. (ხელისუფლების სისტემის რეფორმა, ახალი მონარქის გამეფება).

მანორი – (ერისკაცი, ეკხოერობა) – ფეოდალური დომენის სახელწოდება შუა საუკუნეების ინგლისში. 1. დომენი – მიწა, რომელიც საკუთრივ ლორდის მეურნეობას ეკავა. 2. დომენი – მიწა, რომელსაც ქმნიდნენ (ვილანები) და თავისუფალი ფრიფოლდერები ამუშავებდნენ.

მანუს კანონები – ძველი ინდური რელიგიურ-ფსიქოლოგიური და სამართლებრივი კრებული, რომელიც განსაზღვრავს ინდოელთა ყოფაქცევას ბრაჰმანის მის დოგმების შესაბამისად. მისი შეღგენა მიეწერება ადამიანთა მითიურ მამამთავარს მანუს. მასში

ასახ'ულია შეხედ'ულება სამყაროს შექმნის, სახელმწ'იფოს მართვა-გამგეობის შესახებ, წარმოდგენილია საოჯახო, სამოქალაქო და სისხლის სამართლის ნორმები. იგი დაწ'ერილია სანსკრიტ'ულ ენაზე, შეიცავს 2650 ორტაეპედს, რომელიც 12 თავადაა დაყოფ'ილი და შედგება 2685 მუხლისაგან.

მანუფაქტურა – შრომის დანაწ'ილებისა და ხელის ხელოსნ'ურ ტექნიკაზე დაფ'უძნებ'ული კაპიტალისტ'ური წარმოება, მსხვილი კაპიტალისტ'ური მრეწ'ველობის პირველი ფორმა, რომელიც თავდაპირველად, როგორც საწ'არმო, ამქრის ოსტატის სახელოსნოსაგან მხოლოდ წარმოების დიდი მასშტაბით განსხვავდებოდა.

ვარზპანი – (სახლვრის მცველი) – 1. ქვეყნის, მხარის, ოლქის მმართველი სასანიანთა ირანში. 2. უმაღლესი მოხელე რომელიც IV–V სს-ში ინიშნებოდა, ირანის მიერ დაპყრობილი ქვეყნის მმართველად.

მართლმსაჯულება – სახელმწ'იფოებრივი საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა; სასამართლოს მიერ სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა განხილვა-გადაწ'ყვეტა, ე. ი. კანონით დაცული ინტერესების უფლებების დარღვევის ფაქტის სასამართლო წესით დადგენა და სამართალდამრღვევის მიმართ სახელმწ'იფოებრივი იძულებითი ღონისძიებების გამოყენება.

მართლურთიერთობა – სამართლის ნორმებით რეგ'ულირებ'ული საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომლის მონაწ'ილეებს ერთმანეთის მიმართ განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები აქვთ. მართლურთიერთობის მონაწ'ილეები (სუბიექტები) არიან: მოქალაქეები, სახელმწ'იფო და მისი ორგანოები, სახელმწ'იფოებრიული, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე, მთელ რიგ შემთხვევებში უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები. ყოველ მის ობიექტს წარმოადგენს მისი სუბიექტის ქცევა (მოქმედება ან უმოქმედობა).

მართლშედგენა – სამართლებრივ შეხედ'ულებათა ერთობლიობა, სამართლებრივი იდეოლოგია. მართლშედგენაში იგ'ულისხმება ამა თ'უ იმ კლასის იდეები და შეხედ'ულებანი საერთოდ სამართალზე, მის წარმოშობასა და არსზე, დანიშნ'ულებასა და მიზნებზე, განვითარების ეტაპებსა და ისტორიულ ბედზე.

მართლწესრიგი – მოქმედ სამართალზე დაფ'უძნებ'ული საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა, რომელსაც იცავს სახელმწ'იფო. იგი გულისხმობს საზოგადოებრივ წ'ესრიგს, რომელიც კანონიერების პრინციპის გატარების შედეგად მყარდება.

მარკეტინგი – არის ადამიანთა საქმიანობის სახეობა, რომელ-

იც მიმართულია გაცვლის საფუძველზე საქორწინებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ.

მარშალი – 1. სამეფო კარის მოხელის წოდება შუა საუკუნეების საფრანგეთში. მეფის მსახური, რომელიც ხელნებს უწევდა მეთაურობას, შემდეგში სამეფო კარის მოხელე, რომელიც მეფის დაცვას, ცხენოსან მცველებსა და მეფის საჯინიბოს განაგებდა. 2. უმაღლესი სამხედრო წოდება (ჩინი) სოციალისტურ ქვეყნების არმიაში, რომელსაც ჰქონდა განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშანი – მარშლის კერთხი.

მარჩილი – ვერცხლის ფულის სახელწოდება საქართველოში. (სახელი ენდა მომდინარეობდეს ვენეციური ვერცხლის „მარჩელოს" სახელწოდებიდან). XVIII ს-ში მარჩილი 12 შაურს ანუ 3 აბაზს შეადგენდა.

მასწავლებელი – სპეციალური განათლების მქონე პირი, რომელიც ემსახურება ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფტექსასწავლებლებში, საშუალო, სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში. საქართველოში ძველად მოიხსენიებდა მწერთუხუცესს, გამრჯელს, ოსტატს უწოდებდნენ.

მატერიალური სამართალი – იმ ნორმების აღმნიშვნელი ცნებაა, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო პირდაპირი, უშუალო სამართლებრივი რეგულირების გზით ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე. მატერიალური სამართლის ნორმები განსხვავდება პროცესუალური (ე. წ. ფორმალური) სამართლის ნორმებისაგან, რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალური სამართლის დაცვასა და განხორციელებას. მატერიალური სამართალი და პროცესუალური სამართალი გამოხატავენ სამართლის რეგულირების ორი მხარის დიალექტიკურ ერთიანობას. საზოგადოებრივ ურთიერთობათა უშუალო იურიდიულ მოწესრიგებასა და ამ ურთიერთობათა სასამართლო დაჯგის პროცესუალური ფორმების დადგენას.

მატრიარქატი – (ქალის ბატონობა) სოციალური ორგანიზაციის ერთ-ერთი ფორმა გვაროვნული წყობილების დაშლისა და კლასობრივ საზოგადოებაზე გარდამავალ პერიოდში. მისი ძირითადი ნიშნებია ქალის დომინირებული მდგომარეობა საზოგადოებაში, ქონებისა და თანამდებობის მემკვიდრეობა დედის მხრივ, მეულლეობა მატრილოკალური ან დისლოკალური დასახლება დედის ძმის გვარის ზოგიერთი ნორმის ტრანსფორმაციის შედეგად.

მატრილოკალური ქორწინება – მატრილოკალური

დასახლება, საქორწილო დასახლება, როცა ქმარი საცხოვრებლად ცოლის თემში გადადიოდა.

მახსოვარი – ერთგვარი მოწმე ძველ საქართველოში – სასამართლოსათვის საინტერესო ხანდასმული ფაქტის მომსწრე პირი, „ძველი საქმის მცოდნე“ და „თანამეცამე“, მახსოვარი ზოგჯერ წყაროებში მოხსენებულად, „ეფროს კაცად“ ან „მახსოვარ კაცად“ იწოდება და მოწმის გვერდით იხსენიება, მისი ჩვენების საფუძველზე სადავო საქმე ფიცის გარეშე შეიძლებოდა გადაწყვეტილიყო.

მახტა – სახელმწიფო კომლობრივი გადასახადი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. იყო ფულადი და ნატურალური, რომელსაც იხდიდნენ ქალაქში მცხოვრები სახელმწიფო გლეხები და საქართველოს მაჰმადიანური მოსახლეობა.

მდივანბეგი – უფროსი მოსამართლე, მსაჯულთ უხუცესი, სასამართლოს თავმჯდომარე. მდივანბეგობის სახელი საქართველოში XII ს-დან შემოვიდა და იგი მოსამართლის აღმნიშნელი სხვა ტერმინების „მსაჯულის“, „მოსამართლისა“ და „ბჭის“ პარალელურად იხმარებოდა. მის კომპეტენციაში შედიოდა მნიშვნელოვანი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები.

მდივანი – 1. მოსამსახურე, რომელიც განაგებს საქმისწარმოებას, კერძოდ, დაწესებულების, ორგანიზაციისა თუ ცალკეული პირის საქმიან მიმოწერას. 2. კრების, სხდომის ოქმის შემდგენელი. მაგ.: სასამართლოს მდივანი, რომლის მოვალეობაა სასამართლოს სხდომის ოქმის შედგენა, სასამართლო მოქმედებისა და გადაწყვეტილების სრული და ზუსტი გაფორმება. 3. პარტიული ან საზოგადო ორგანიზაციის არჩევითი ხელმძღვანელი. 4. თანამდებობის პირი, რომელიც ხელმძღვანელობს სამეცნიერო დაწესებულების მიმდინარე სამუშაოს. 5. მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში, ასრულებდა საკანცელარიო სამუშაოს, ესწრებოდა სასამართლო სხდომას და მონაწილეობდა საქმის განხილვაში.

„მდულარე“ – მტკიცებულების სახე ძველ ქართულ სამართალში.

მეაბჯრე – აბჯრის მტვირთველი, საჭურველთ მტვირთველი. 1. დიდგვაროვანი მხედრის (რაინდის) აბჯრის (საჭურველის) მზიდავი ახალგაზრდა მეომარი. როგორც საგანგებო თანამდებობა, ეძლეოდა წარჩინებულთა შვილებსაც. 2. აბჯრის მნე (მოხელე, გამგებელი) ძველ საქართველოში.

მეაბჯრეთუხუცესი – სამხედრო უწყების მოხელე გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. აბჯარ-საჭურველის საცავის მთავარი გამგე. მეაბჯრეთა უფროსი იყო და ამილახვარს ემორჩილებო-

და. სამოხელეო ნიშნად მას ხმალი ეკუთვნოდა და მეფის კურთხევის დროს „ხმალშემორტყმული“ იყო და მეფის აბჯრის მტვირთველის მოვალეობას ასრულებდა.

მედიატორი – შუამავალი, მოსარიგებელი.

მედრესე – (მადრასა) – საშუალო ან უმაღლესი სასწავლებელი მეჩეთში ან მეჩეთთან, სადაც ასწავლიდნენ სუნიტური ისლამის რელიგიას და იურიდიულ დოგმებს, ამზადებდნენ სასულიერო და საერო მოხელეებს.

მევახშეობა – ფულის გასესხება უაღრესად მაღალი პროცენტით. აღნიშნული სესხი გამოიყენება არა როგორც კაპიტალი, არამედ ყიდვისა და გადახდის საშუალება. პიროვნებას, რომელიც ფულს მაღალი პროცენტის მიღების მიზნით გაასესხებს მევახშე ეწოდება. იგი 1961 წლის სისხლის სამართლის კანონით დასჯადი ქმედება იყო.

მეთოდი – (კვლევის, შემეცნების გზა) – წესების, კანონებისა და სათანადო ოპერაციათა სისტემა, აგრეთვე თეორია, მოძღვრება. მეთოდი, როგორც შემეცნების იარაღი, ადეკვატურად უნდა შეესაბამებოდეს თვით სინამდვილეს, რაც მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ მისი წესები გამოყვანილია ჭეშმარიტი თეორიული დებულებებიდან.

მეითარი – (უფროსი, წარჩინებული) – მეფის მსახური გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. მეითარის ხელთ იყო მეფის ტანისამოსი. იგი ხელმძღვანელობდა მეფის მომსახურებას.

მეკობრეობა – 1. კერძომფლობელური გემის ეკიპაჟის თუ მგზავრის ძალადობა ღია ზღვაში სხვა გემის, მასზე მყოფი პირების, თუ მათი ქონების მიმართ. გემის ან მასზე მყოფი პირების დაკავება, გაძარცვა, გატაცება.

2. საქართველოში, ზოგადად ყაჩაღობას ერქვა. მეკობრეს ზოგჯერ „ავაზაკიც“ ეწოდებოდა, დაზარალებულს კი „მიმძლავრებული“. 2. წყლის ხომალდზე ან სხვა მცურავ საშუალებებზე თავდასხმას სხვისი ნივთის დაუფლების მიზნით მეკობრეობა ერქვა (სსკ, მუხლი 228).

მემკვიდრეობა – გარდაცვლილი პირის (სამკვიდროს დამტოვებლის) ქონებისა და განსაზღვრული პირადი არაქონებრივი უფლებების სხვა პირზე (მემკვიდრეზე, უფლებამონაცვლეზე) გადასვლა, კანონით ან ანდერძით (სკ, მუხლი 1306).

მემკვიდრეობითი სამართალი – ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს სამემკვიდრეო ქონების გადასვლასთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებს. მემკვიდრეობა გადადის კანონით ან ანდერძით: მემკვიდრეობის კანონისმიერი წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში თუ ანდერძ-

ით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, იმ შემთხვევაში, როცა სამკვიდრის დამტოვებელს რჩება გარდაცვალების შემდეგ არასრულწლოვანი ან არაშრომისუნარიანი შვილები და მის კმაყოფაზე მყოფი მემკვიდრეები, ასეთ მემკვიდრეებს ეკუთვნის სავალდებულო წილი ანდერძის მინაარსის მიუხედავად.

მემკვიდრულობა – მემკვიდრეობითობა, ცოცხალ ორგანიზმთა თვისება შეინარჩუნოს და გადასცეს შემდგომ თაობებს წინაპრებისაგან მიღებული ნიშანთვისებები და განვითარების თავისებურებანი.

მემორანდუმი – დიპლომატიური აქტი, რომელიც ზუსტად გადმოსცემს ამა თუ იმ საკითხის ფაქტობრივ მხარეს, ან ამა თუ იმ მდგომარეობის ანალიზს, ან პასუხს მეორე მხარის მოსაზრებაზე. მემორანდუმი ზოგჯერ ნოტის დამატებაა, ზოგჯერ კი დამოუკიდებელი დოკუმენტი. მეორე შემთხვევაში იწერება საზოტო ბლანკზე, მითითებულია გაგზავნის ადგილი და თარიღი, მაგრამ ხელმოწერისა და ბეჭდის გარეშე.

მენეჯერები (ინგ.) – (მართვა). თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების სპეციფიკური სოციალური ფენა, რომელშიც შედიან დაქირავებული პროფესიონალი მმართველები, კვალიფიციური სპეციალისტები. (წარმოების დირექტორები, კონკურსების, ტრესტების, სინდიკატების, ცალკეული ქვედანაყოფების ხელმძღვანელები და სხვა).

მერი – თანამდებობის პირი, რომელიც სათავეში უდგას თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოს – მუნიციპალიტეტს. საქართველოში მერი იმ ქალაქის უმაღლესი თანამდებობის პირია, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში. ქალაქის მერს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში შესაბამისი უმაღლესი წარმომადგენლობის ორგანო. მერი უძღვება მერიის საქმიანობას, ანაწილებს ფუნქციებს მერიის წევრებს შორის, იწვევს და თავმჯდომარეობს მერიის სხდომებს, ორგანიზაციას უწევს ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის შედგენას, უზრუნველყოფს დამტკიცებული ბიუჯეტის პროექტის შესრულებას, ახორციელებს კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას (საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ, მუხლი 24).

მერია – საქართველოში იმ ქალაქის საკრებულოს აღმასრულებელი ორგანო, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში. ეს ქალაქებია თბილისი, რუსთავი,

სოხემი, ფოთი, ქუთაისი და ცხინვალი. მერიის შემადგენლობა განისაზღვრება 7–15 წევრით.

მერია უზრუნველყოფს საკრებულოსა და მერის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, შეიმუშავებს ქალაქის ბიუჯეტსა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების პროექტებს, ახორციელებს კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას. (საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის შესახებ, მუხლი 23).

მერემე – სარემოს (საჯინიბოს) მოხელე, ცხენის ჯოგის მწყემსი გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. მერემენი მერემეთუხუცესს ემორჩილებოდნენ.

მერემეთუხუცესი – მერემეთა უფროსი, სარემოს (საჯინიბოს) გამგე გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. იგი ამირსპარსალარის უწყებაში შედიოდა.

მერიქიფეთუხუცესი – მეფის კარზე მოსაქმე მოხელე, მერიქიფეთა უფროსი საქართველოში.

მეროვინგები – ფრანკთა სახელმწიფოს პირველი სამეფო დინასტია, რომლის დამაარსებელი იყო ლეგენდარული მეროვიუსი. მეროვინგების მთავარი წარმომადგენლები იყვნენ: ხილდერიკ I, ხლოდვიგ I, ხილპერიკ I, ხლოტარ II, ხილდერიკ III. (მეხუთე–მერვე საუკუნეები.)

მესამე პირი – სამოქალაქო პროცესის მონაწილე (მოქალაქე ან იურიდიული პირი), რომელიც თავისი უფლებების ან ინტერესების დასაცავად ჩაებმება მოსარჩლესა და მოპასუხეს შორის არსებული დავის გადაწყვეტაში.

მესამე რესპუბლიკა – ბურჟუაზიულდემოკრატიული რეჟიმი საფრანგეთში 1870– 1940. გამოცხადდა 1870წ. 4 სექტემბერს მეორე იმპერიის დაცემის შემდეგ, მესამე რესპუბლიკის არსებობა კანონით 1875 წ. 30 იანვარს დამტკიცდა.

„მესამე სამყარო“ – ტერმინი, რომელიც იხმარება თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მეცნიერულ ლიტერატურაში განვითარებადი ქვეყნების აღსანიშნავად.

მესამე წოდება – დაბეგრილი მოსახლეობა (ვაჭრები, ხელოსნები) გლეხები, მოგვიანებით აგრეთვე ბურჟუაზია XV–XVIII სს-ში საფრანგეთში. მესამე წოდება მათ ეწოდათ პირველი ორი სასულიერო და თავადაზნაურთა წოდებებისაგან განსხვავებით.

მესაწოლე – მეფის საწოლის მოსამსახურე და მცველი გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში.

მესაწოლეთუხუცესი – მესაწოლეთა უფროსი, მეფის საწოლის გამგებელი მოხელე გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში, ემსახურებოდა მეფეს ჩაცმა-მოკა-

ზმის დროს, შეკიოდა მსახურიუხუცესის უწყებაში და თავისი პატივით ოდნავ ჩამორჩებოდა მოლარეუხუცესს.

მესტუმრეთუხუცესი – მესტუმრეთა უფროსი მოხელე ძველ საქართველოში, იგი გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში ამირეჯიბს ექვემდებარებოდა.

მეტისი – რასათა შორის ქორწინების შთამომავალი. ანთროპოლიტიკური თვალსაზრისით მას საშუალო ადგილი უკავია შერეულ რასათა შორის. ამერიკაში მეტისს უწოდებენ თეთრისა და ინდიელის შთამომავალს.

მეტრიკა სამართალში – სახელწოდება ჯოკუმენტისა, რომლითაც დასტურდება მოქალაქის დაბადების თარიღი.

მეტროპოლია – 1. ძველი ბერძნული ქალაქები (პოლისები), რომლებიც კოლონიებს ჰქონდათ დაარსებული. 2. კოლონიურ ეპოქაში მეტროპოლია იხმარებოდა კოლონიების მფლობელ სახელმწიფოთა აღსანიშნავად. 3. ზოგიერთ სახელმწიფოში პროვინციის ან ოლქის მთავარი ქალაქი. ზოგჯერ მეტროპოლიას დედაქალაქსაც უწოდებენ.

მეურვეობა – მცირეწლოვანთა აღზრდისა და მათი ინტერესების სამართლებრივი დაცვის ერთერთი ფორმა. მეურვეობა გულისხმობს აგრეთვე არაქმედ უნარიან პირთა პირადი და ქონებრივი ინტერესების დაცვას.

მეურვეობის საბჭო – გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა, გაერის ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომლის დახმარებითაც გენერალური ასამბლეა ასრულებს თავის ფუნქციებს მეურვეობის საერთაშორისო სისტემაში.

მეურვეობის საერთაშორისო სისტემა – ზოგიერთი კოლონიური ქვეყნის მართვა-გამგეობა, რომელიც დაქვემდებარებულია გაერის კონტროლისადმი. გაერის წესდებით ამ სისტემის მიზნად გამოცხადებულია სამეურვეო ტერიტორიების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროგრესისათვის ხელის შეწყობა თითოეული ტერიტორიული სპეციფიკის და მისი ხალხის სურვილის შესაბამისად.

მეფე – მონარქიული სახელმწიფოს მეთაურის ქართული წოდებულება. მეფის ხელისუფლება წარმოიშვა ტომის ბელადის ძალაუფლებიდან გვაროვნული წესწყობილების დაშლის, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის პერიოდში.

მეფეთა ველი – ძველი ეგვიპტის სამეფო ნეკროპოლი მდინარე ნილოსის დასაკლეთ სანაპიროზე კარნაკისა და ლუქსორის პირდაპირ.

„მეფეთა სალარო“ – ქართული მწერლობის ანონიმური ძეგლი; დიდაქტიკურ-მორალური ხა-

სიათის იგავ-არაკების კრებული.

მეფისნაცვალი – ადგილობრივი მმართველობის უფროსი რუსეთში XIX ს-ში. ეკატერინე II-ის მთავრობამ ცენტრალიზაციის გაძლიერების მიზნით 1775 დააწესა მეფისნაცვლის თანამდებობა. იგი განაგებდა 2–3 გუბერნიას. ალჭურვილი იყო საგანგებო უფლებებით და მხოლოდ იმპერატორს ემორჩილებოდა.

მექრთამეობა – დანაშაული, რომელიც ხელყოფს სახელმწიფო აპარატის ნორმალურ საქმიანობასა და ავტორიტეტს. მექრთამეობის სახეებია: ქრთამის აღება, ქრთამის მიცემა და მექრთამეობაში შუამავლობა.

მელვინე – (სამართლის ისტორია) – მელვინეთუხუცესის ხელქვეითი მოხელე ძველ საქართველოში. მელვინეების ძირითადი მოვალეობა იყო ღვინის გადასახადის გაწერა და შემოსავლის აღრიცხვა, ანგარიშის შედგენა. მათ ევალებოდათ აგრეთვე საღვინე ჯურჭლის ყურის გდება. ერთ-ერთი მელვინე პირადად მეფეს ემსახურებოდა და მას „პირის მელვინე“ ეწოდებოდა. სავარაუდოა რომ „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ მოხსენებული „პირის მელვინე“ და „პირის მწდე“ ერთი და იგივე მოხელე იყო.

მელვინეთუხუცესი – მელვინეთა უფროსი (ღვინის გადასახადისა და ჯურჭელ-სამსახურებლის შესანახი განსაკუთრებული დაწესებულების) უხსენაესი გამგე და ღვინის გადასახადის უმაღლესი მეთვალყურე ძველ საქართველოში.

„მეცნიერნი საბჭოთა საძმეთანი“ – სამართლის მკოდნენი, იურისტკონსულტები გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. იხსენიებიან ოპიზართა და მიჯნაძორელთა სიგელებში (XI ს.).

მეჯურჯლე – (სამართლის ისტორია) – სახელმწიფო ხაზინის, საჯურჯლის მოხელე ძვ. საქართველოში. ხელმწიფის კარის გარიგებაში იხსენიებიან „მეჯურჯლენი ქალაქისანი“, „დარბაზს მყოფნი მეჯურჯლენი“, აგრეთვე მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის „ზედამდგომელი მეჯურჯლე“. მეჯურჯლენი მეჯურჯლეთაუხუცესის უწყებაში შედიოდნენ.

მეჯურჯლეთუხუცესი – გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი ვეზირი სახელმწიფო ხაზინის მთავარი გამგე. მეჯურჯლეთა უფროსი. ტერმინი მეჯურჯლეთაუხუცესი ქართულ საისტორიო წყაროებში XII ს-დან გვხვდება, მაგრამ უეჭველია, რომ მეჯურჯლეთუხუცესობა გაცილებით ადრეც არსებობდა. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ „ძველ ვეზირად“ იხსენიება, და იგი განაგებდა საჯურჯლეს, რომელშიც ფული და სანიადაგოდ სახმარი და

სახარჯი ქონება ინახებოდა.

მესრმლე – (სამართლის ისტორია) – ძველ საქართველოში ჯალათი, რომელიც სიკვდილის განაჩენს ასრულებდა თავის მოკვეთით.

ერეკლე II-ის წინააღმდეგ შეთქმულთა საქმის გამრჩევ სასამართლოს განაჩენში ჩაუწერია:

„ჰაატა ბატონიშვილს მესრმლემ თავი გააგდებინოს“.

მეხუთე რესპუბლიკა საფრანგეთში – 1958 კონსტიტუციის თანახმად დამყარებული პოლიტიკური რეჟიმი საფრანგეთში. კონსტიტუცია მოამზადა დე გოლის მთავრობამ, მოიწონა 1958 წ. 28 სექტემბერს რეფერენდუმმა. ძალაში შევიდა 1958 წ. 5 ოქტომბერს. მისი რეჟიმისათვის დამახასიათებელია პრეზიდენტის რწმუნებათა გაფართოება და პარლამენტის უფლებათა შეზღუდვა.

მეჯინიბე – (სამართლის ისტორია) – მეჯინიბეთუხუცესის ხელქვეითი მოხელე საქართველოში. მას ცხენების მოვლა ევალებოდა. ვახტანგ VI-ის დასტურლამალის მიხედვით ცხენები ხარისხებად დაყოფილი მიებარებოდა და თუ ცხენი მოუელელი იქნებოდა მეჯინიბე ჯარიმით და ცემით დაისჯებოდა.

მეჯინიბეთუხუცესი – საჯინიბოს გამგე, მეჯინიბეთა უფროსი ძველ საქართველოში. გაერთიანების ხანაში მეჯინიბეთუხუცესი ამილახორის ხელქვეითი მოხელე იყო. გვიანდელ ფეოდალურ პერიოდში კი იგი მეფეს ემორჩილებოდა.

მეჯლისი – (სხდომის ადგილი, საბჭო, პარლამენტი) – ირანის პარლამენტის ერთ-ერთი პალატის სახელწოდება. ზოგჯერ თურქეთის პარლამენტს – დიდ ეროვნულ კრებასაც მეჯლისად იხსენიებენ.

მზრუნველობა – მოქალაქეთა პირადი ან ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების სამართლებრივი დაცვის ერთ-ერთი ფორმა. მზრუნველობა უწესდებათ არასრულწლოვანებს 15-დან 18 წლამდე, იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზის გამო დარჩა მშობლის მზრუნველობის გარეშე.

მთავარი – სლაველებისა და ზოგიერთი სხვა ხალხის ფეოდალურ-მონარქიული სახელმწიფოს ან პოლიტიკური გაერთიანების მეთაური IX–XVI სს-ში. თავდაპირველად გვარის ბელადი იყო შემდეგ გადაიქცა ადრინდელი ფეოდალური სახელმწიფოს მეთაურად. მთავრის ძალაუფლება ჯერ არჩევითი იყო, შემდეგ კი მემკვიდრეობით გადადიოდა. ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისას მათ მეფის ტიტული მიიღეს.

მთავარი მაგისტრატი – სახელმწიფო დაწესებულება რუსეთში. დაარსდა 1720 წ. 13 თებერვალს პეტრე I-ის ბრძანებულებით.

მისი დაარსების მიზანი იყო ქალაქის რაბათის მოსახლეობის მმართველობის ცენტრალიზაცია. იგი უშუალოდ მეფესა და სენატს ემორჩილებოდა. სათავეში ედგა ობერ-პრეზიდენტი.

მთავარი მარშალი ჯარის გვარეობათა – უმაღლესი სამხედრო წოდება შეიარაღებულ ძალებში.

მთავარი სამმართველო – სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური დარგობრივი ორგანო. აგრეთვე სამინისტროს სხვა ცენტრალური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოს სტრუქტურული ქვედანაყოფი.

მთავარი შტაბი – 1. სამხედრო მმართველობის ერთ-ერთი უმაღლესი უწყება რევოლუციამდელ რუსეთში. 2. შტაბი, რომელიც სათავეში უდგას შეიარაღებული ძალების სახეობას.

მთავარმმართებელი – მთავარ მართებელი – რუსეთის ადმინისტრაციული და სამხედრო მმართველობის უმაღლესი ხელისუფალი კავკასიაში 1801–44, 1882–1904. მთავარმმართებელი იყო ამავე დროს კავკასიაში მდგარი რუსის ჯარის მთავარსარდალი.

მთავრობა – სახელმწიფოს უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, მას სოგჯერ მინისტრთა საბჭოს ან მინისტრთა კაბინეტს უწოდებენ, სათავეში უდგას პრემიერ მინისტრი (კანცლერი, მინისტრთა საბჭოსა თუ კაბინეტის თავჯდომარე); ცალკეულ ქვეყნებში კი – სახელმწიფოს მეთაური.

მთხრობელი – (სამართ. ისტ.) ძველ საქართველოში ბორკილმოქმედების თვითმხილველი პირი, რომელიც გასამრჯელოს მიღების მიზნით აცნობებდა დასარალებულს დამნაშავის ვინაობას და აუცილებლობის შემთხვევაში სასამართლო პროცესშიდაც მონაწილეობდა როგორც ბრალდების მოწმე.

მიზეზი – მოვლენა, რომელიც უშუალოდ წარმოქმნის მეორე მოვლენის შედეგს. მიზეზის ცნება გულისხმობს რეალური სამყაროს უნივერსალური კავშირებიდან და ურთიერთქმედებიდან ცალკეულ მოვლენათა შორის მისეულ-შედეგობრივი კავშირის დადგენას.

მიზეზობრივი კავშირი სამართალში – ობიექტური კავშირი ადამიანის მოქმედებასა (ან უმოქმედობასა) და საზოგადოებრივად საშიშ შედეგს შორის. ადამიანის მოქმედება არასდროს არ არის ერთადერთი მიზეზი შედეგისა და მას შეუძლია წარმოქმნას მოვლენა – შედეგი მხოლოდ სხვა პირობებთან სემოქმედებაში. სისხლის სამართალში მიზეზობრივი კავშირი მყარდება ადამიანის მოქმედებასა და იმ შედეგს შორის, რომელიც გათვალისწინებულია კანონში როგორც დანაშაულის შემადგენლობის ნიშანი.

მითვისება – სხვისი (სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან პირადი) ქონების მისაკუთრება იმ პირის მიერ, რომელიც ამ ქონებას მართლზომიერად ფლობდა, მაგ.: ჰქონდა მიბარებული შესანახად, ან გადაცემული დროებითი სარგებლობის უფლებით ანდა ჩაბარებული როგორც თანამდებობის პირს, რომელსაც აქვს ამ ქონების განკარგვის უფლება.

მილანის ედიქტი 313 – დოკუმენტი, რომელიც გამოსცეს რომის იმპერატორებმა კონსტანტინემ და ლიცინიუსმა 313 წ. მილანში გამართული თათბირის შემდეგ, რომლითაც ყველა რელიგიის მიმდევრებს მიენიჭათ უფლება შეესრულებინათ ის ღვთის მსახურება, რომელიც მათ სურდათ.

მილახვარი – სამეურნეო დარგის მოხელე XVIII ს. საქართველოში. ცნობილია ქართლისა და კახეთის სამეფოების, დედოფლისა და ბატონიშვილის მილახვრები. ის გაანაგებდა მამულებს, მონაწილეობდა საფინანსო საკითხების გადაწყვეტაში, იგი საპატიო და გავლენიანი პირი იყო.

მილიტარიზმი – ფართო გაგებით ექსპლუატატორი სახელმწიფოს სამხედრო აღიარების ზრდა დამპყრობლური ომების პოლიტიკის განხორციელების მიზნით და ქვეყნის შიგნით მშრომელთა მასების წინააღმდეგობის დასაძლევად.

მილიცია (პოლიცია) – სახელმწიფოს ადმინისტრაციული აღმასრულებელი ორგანო, რომელიც მოწოდებულია უსრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა, საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა დანაშაულებრივი ხელყოფისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისაგან. მოქმედი კანონმდებლობით საქართველოში მილიცია შეცვლილია პოლიციით, რომელსაც იგივე ფუნქციები აკისრია.

მიმოწერის საიდუმლოება – ერთ-ერთი დემოკრატიული თავისუფლება. ნიშნავს მოქალაქეთა კორესპონდენციის ხელშეუხებლობას, რომელსაც იცავს კანონი. კანონი იცავს აგრეთვე მოქალაქეთა პირად ცხოვრებას, სატელეფონო საუბრებისა და სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლოს.

მინბაში – ათასეულის უფროსი, ათასის თავი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. ქართლის სამეფოში XVII ს-ში იგი ირანის საოკუპაციო ჯარის უფროსია, რომელსაც ჯარის წერთნაც ევალება, ხოლო XVIII ს. მიწურულში იხსენიება, როგორც სამხედრო მოხელე და ასევე იხსენიება სამართლის პროექტებშიც.

მინისტერიალი – შუა საუკუ-

ნების დასაყლეთ ევროპაში მეფის მსახურეული პირი, რომელსაც ევალებოდა სასახლეში, სამეურნეო ადმინისტრაციული და სამხედრო სამსახური. მათ სამსახურის საფასურად მიწის ნაკვეთებს აძლევდნენ.

მინისტრთა კაბინეტი – მთავრობის ოფიციალური სახელწოდება საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში (ა'შ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია) რიგ ქვეყნებში მინისტრთა კაბინეტს სათავეში უდგას პრემიერ-მინისტრი, ზოგან – სახელმწიფოს მეთაური.

მინისტრთა კომიტეტი – უმაღლესი სათათბირო ორგანო რუსეთში, მეფის სათათბირო უმაღლეს მოხელეებთან სახელმწიფო მართვის ყველა საკითხში. დააარსა ალექსანდრე I-მა 1802.

მისიმიელები – ერთ-ერთი ქართული (სვანური) ტომი, რამდენადაც სახელწოდება მისიმიელები სვანთა ადგილობრივი სახელის „მუშვანის" სახეცვლილი ფორმა უნდა იყოს (სხვა მოსაზრებით მისიმიელები ერთ-ერთი აფხაზური ტომია).

მისტიფიკაცია – (ბერძნ.) სხვადასხვა მიზნით ვისიმე წინასწარ განზრახული შეცდენა, მოტყუება.

მისტიფიკაცია ლიტერატურული – ლიტერატურული სიყალბის მისანიშნაა მკითხველებისა და სპეციალისტების შეცდენა. პლაგიატისაგან განსხვავებით, საკუთარი ნაწარმოების სხვა ავტორისათვის მიწერას გულისხმობს და მისი მიზანია ცენზურისათვის თვალის ასვეცვა ანდა ანგარება.

მიტინგი – (ინგლ.) მასობრივი კრება რაიმე საჭირბოროტო (უპირატესად პოლიტიკურ) საკითხზე.

მისია – (ლათ. გაგზავნა, დავალება) 1. სახ. დელეგაცია საერთ. შეხვედრებსა და კონფერენციებზე. 2. დიპლ. წარმომადგენლობა, რომელსაც მეთაურობს დესპანი ან საქმეთა რწმუნებული.

მიტრა – (ბერძნ. თავზე წასაკრავი) ძველ რომში ქალის ქუდი, ძველ საბერძნეთში – თავსაკრავი, შუბლზე გაკრული ფართო ბაფთა, რომელიც ინასკვებოდა კეფაზე და გრძელი ბოლოებით ზურგზე ეშვებოდა.

„მიუკარებელნი" – წოდებრივ-კასტური იერარქიის უმდაბლესი საფეხურის კასტის წარმომადგენლები ინდოეთში.

მიუმხრობელი სახელმწიფოები – ქვეყნები, რომლებიც არ მონაწილეობენ სამხედრო ბლოკებში, კრძალავენ უცხო სამხედრო ბაზების მოწყობას თავიანთ ტერიტორიაზე და მხარს უჭერენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ღონისძიებებს.

მიჩმანი – (ინგლ.) – 1. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ზემდგომთა შემადგენლობის სამხედრო

წოდება. 2. სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და მესაზღვრე ჯარების საზღვაო ნაწილების სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო წოდება. 3.უმცროსი ოფიცრის ჩინი რეჟოლუციამდელ რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტში. 4. დიდ ბრიტანეთში სამხედრო-საზღვაო კოლეჯისა და აშშ-ში სამხედრო-საზღვაო აკადემიის უფროსი კურსის კურსანტის სამხედრო წოდება.

ᲛᲘᲬᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ – შრომის პროცესის აუცილებელი მატერიალური წანამძღვარი. მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნივთობრივი ფაქტორი. მიწის სპეციფიკა ის არის, რომ იგი ერთდროულად შრომის საგანიცაა და შრომის საშუალებაც.

ᲛᲘᲬᲐᲗᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲝᲑᲐ – მიწის ფლობა განსაზღვრულ საფუძველზე (მაგ. საკუთრების უფლებით და სხვა), რომელიც განაპირობებს მის მფლობელთა შესაბამის უფლება-მოვალეობებს. მიწის საკუთრების განსაზღვრულ ჩარჩოებში ყალიბდება მსხვილი, საშუალო და წვრილი მიწათმფლობელობის სხვადასხვა სახე, რომელთათვისაც დამახასიათებელია განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი.

ᲛᲘᲬᲐᲗᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲜᲘ – საქართველოში დოკუმენტი, რომელშიც წარმოებს მიწათსარგებლობის სახელმწიფო რეგისტრაციის ერთიანი სისტემა. წინამდებარე ცნობების მიწათსარგებლობის სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ; მასში განსაზღვრულია ითითოეული მიწათსარგებლობის საერთო ფართობი და სხვა.

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ – მიწის ფონდის არსებობის მდგომარეობისა და გამოყენების შესახებ ცნობების შეკრება სისტემატიზაცია და განახლება. მიწის აღრიცხვა სახელმწიფო-სამეურნეო აღრიცხვის ერთ-ერთი სახეა. იგი ემსახურება მიწის გეგმა-სიმაღლიური და რაციონალური გამოყენების ორგანიზაციას, აგრეთვე მიწის სახელმწიფო საკუთრებისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვას.

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲖᲜᲕᲜᲐ – საკადასტრო მიზნების დადგენა და იერარქიულად განმტკიცება. უძველესი დროიდან კანონი მტკიცედ იცავდა მიჯნების ხელშეუხებლობას. ქართულ წყაროებში „მიჯნა," „გამიჯვნა," „მიჯნების ჭირა" XVII ს-ში გაჩნდა. საზღვრები დადგენილი ქონდა კერძო მფლობელთა მიწა-წყალს, ასევე ქალაქებსა და დაბა-სოფლებს. „სამძღვრის გარიგება" ეწოდებოდათ „სამნის ნამსმელთ" თუ „მამულის განმასაზღვრელთ" შეფის ან სხვა ჯეროვანი ხელისუფლების მითითებით,

აგრეთვე სასამართლოს დადგენილებით. ქართული საიმართალი აწესრიგებდა სამიჯნო დაცის საკითხებს, გამიჯვნის წესებს, მკაცრად სჯიდა „ხელისა“ და „სამრის მოგლეჯას“ და „შეშლას“, გამმიჯვნელის „სიცრუეს“.

მიწის ეკონომიკური შეფასება – მიწის კადასტრის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც გულისხმობს მიწის, როგორც სოფლის მეურნეობის მთავარი წარმოების საშუალების, ყარდობითი შემოსავლიანობის დონის განსაზღვრას. მიწის ეკონომიკური შეფასება გამოხატავს განსხვავებულ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში სხვადასხვა მიწის ნაკვეთის შემოსავლიანობას და ადგენს თუ რამდენად მაღალი ღირსებისაა ესა თუ ის მიწა.

მიწის ერთობლივად დამუშავების ამხანაგობა – გლეხთა უმარტივესი გაერთიანება; კოლექტიური მეურნეობის ფორმა, რომელიც გულისხმობს მიწისა და შრომის ნებაყოფლობით განსაზოგადოებას წარმოების საშუალებებზე პირადი საკუთრების შენარჩუნების პირობებში. მიწის ერთობლივად დამუშავების ამხანაგობისას, ამხანაგობის წევრთა შრომა ანაზღაურდება არამარტო დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის, არამედ ამხანაგობის წევრთა კუთვნილი და მუშაობაში გამოყენებული წარმოების საშუალებათა ღირებულების მიხედვითაც. ეს ამხანაგობანი, რომლებიც ამჟამად არსებობს საზღვარგარეთის ქვეყნებში, თანდათანობით გარდაიქმნებიან სასოფლო – სამეურნეო არტელებად.

მიწის იჯარა – მიწათსარგებლობის ფორმა, რომლის დროსაც მიწის მესაკუთრე მიწის ნაკვეთს მეურნეობის წარმართვისათვის გარკვეული ვადით გადასცემს მეორე პირს (მოიჯარეს) და მისგან სანაცვლოდ იღებს საიჯარო ქირას. საიჯარო ქირა მოიცავს, როგორც რენტას, ისე მიწაზე ადრე დაბანდებული კაპიტალის სარგებელს (პროცენტს). საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში დღეს აც არსებობს მიწის რენტის გარკვეული ფორმები. მაგ. პოლონეთში, უნგრეთსა და ბულგარეთში ნებადართულია სახელმწიფო მიწის ფონდიდან მიწის იჯარით გაცემა გლეხობაზე, მაგრამ შეზღუდულია იჯარით ასაღები მიწის ფართობი. თანამედროვე სამოქალაქო სამართლის მიხედვით (მაგ. გერმანიის სამოქალაქო სამართლის კოდექსი § 581) ქონების უბრალო დამქირავებლისაგან განსხვავებით მოიჯარეს აქვს არა მხოლოდ იჯარით აღებული ქონების (ნივთის) გამოყენების უფლება, არამედ მისი ნაყოფის მიღების უფლებაც. მიწის მოიჯარეს, განსხვავებით ქონების დამქირავებლისაგან აქვს საიჯა-

რო ნივთის გაუმჯობესების უფლება, (მაგალითად სამეურნეო ნაგებობის ან ღობეების შეკეთების უფლება.)

მიწის კადასტრი – ყოველმხრივი და სარწმუნო ცნობების ერთობლიობა მიწის ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. მიწის კადასტრის შემოღება გაითვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობის საფუძვლებით. სახელმწიფო მიწათა აღრიცხვა წარმოებს მთელი ქვეყნისათვის ერთიანი სისტემით და შეიცავს მიწათსარგებლობის რეგისტრაციის მონაცემებს, მიწის ეკონომიკურ შეფასებას და ა. შ.

მიწის კოდექსი – მიწის კანონმდებლობის სისტემატიზაციის ძირითადი ფორმა, რომელიც პირველად მიიღეს საქართველოში 1924, ხოლო რსფსრ-ში 1922. მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლასთან დაკავშირებით 1968 მიიღეს სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკათა მიწის კანონმდებლობის საფუძვლები, რომელთა შესაბამისად 1970–71 შეიქმნა ახალი რესპუბლიკური კოდექსები, რომელიც შეიცავს 155 მუხლს და შედგება 11 კარისაგან. მასში ჩამოყალიბებულია მიწის კოდექსის ამოცანები, განსაზღვრულია მიწის კანონმდებლობის მოქმედების სფერო, მიწის სარგებლობის უფლების მიცემისა და სახელმწიფოს ან საზოგადოების საჭიროებისათვის მიწის ჩამორთმევის წესები და სხვა. ამჟამად ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა ახალი მიწის კოდექსის გამოსაცემად.

მიწის ლიგა – ირლანდიის ეროვნული მიწის ლიგა. ირლანდიელი გლეხებისა და ქალაქის ღარიბთა მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც ირლანდიელი ბურჟუაზიის პროგრესული წრეების მხარდაჭერით სარგებლობდა. დაარსდა 1879 წ. დევიტისა და სხვა წვრილბურჟუაზიულ დემოკრატების ინიციატივით. იგი იყო ლენდლორდებისა და ინგლისელი კოლონიზატორ ხელისუფალთა წინააღმდეგ ირლანდიელ გლეხთა მასობრივი ბრძოლის ორგანიზატორი.

მიწის მუნიციპალიზაცია – მიწის საკუთრების ან მისი გამგებლობის უფლების გადაცემა (უსასყიდლოდ ან გამოსასყიდით) აღგილობრივი თვითმართველობის ორგანოებისადმი (მუნიციპალიტეტისადმი).

მიწის ნაციონალიზაცია – მიწაზე კერძო საკუთრების ლიკვიდაცია და მისი გადასვლა სახელმწიფო საკუთრებაში. მიწის საკუთრების ფეოდალურ ფორმიდან კაპიტალისტურ ფორმაზე გადასვლის ერთ-ერთი პირობაა.

მიწისპირა შენა ატმოსფეროსი – ატმოსფეროს ქვედა ნაწ-

ილი, რომელიც უშუალოდ ეხება დედამიწის ზედაპირს და განიცდის მის გაფლენას.

მიწის რეკულტივაცია – მიწის პროდუქტიულობის აღდგენა, ღონისძიებათა სისტემა, რომელიც იყენებს მრეწველობასა და მშენებლობისაგან უნაყოფოდ ქცეული მიწების სახალხო მეურნეობაში კვლავ გამოყენებას და გარემოს გაჯანსაღებას.

მიწის რენტა – ზედმეტი პროდუქტის ნაწილი, რომელიც იქმნება სოფლის მეურნეობაში უშუალოდ მწარმოებლების მიერ და რომელსაც იღებენ მიწის მესაკუთრენი; საიჯარო გადასახადის ძირითადი ნაწილი, რომელსაც მიწის მოიჯარეები უხდიან მიწის მესაკუთრეებს. მიწის საკუთრება ტიტულია, რომელიც მიწის მესაკუთრეს უფლებას აძლევს მიიღოს მიწის შემოსავალი იმ პირებისაგან, რომლებიც მას იყენებენ, აიღოს ხარკი იმისაგან, ვინც მას უშუალოდ ამუშავებს. „როგორიც არ უნდა იყოს რენტის სპეციფიკური ფორმა, ყველა მის ტიპს საერთო ის აქვს, რომ რენტის მითვისება ის ეკონომიკური ფორმაა, რომელშიაც მიწის საკუთრების რეალიზაცია ხდება, და რომ მიწის რენტა, თავის მხრივ გვლისხმობს მიწის საკუთრებას“.

მიწის საკუთრება -- მიწის, როგორც ბუნების საგნის მითვისების (ინდივიდის ან კოლექტივის მიერ) ისტორიულად განსაზღვრული სახოგადოებრივი ფორმა. გამოხატავს ადამიანებს შორის მიწასთან დაკავშირებით აღმოცენებულ წარმოებით ურთიერთობას. მიწის საკუთრების ურთიერთობის ისტორიული ფორმები შეესაბამება განსაზღვრულ წარმოების წესს. კლასობრივი სახოგადოებისთვის ზოგადი კანონზომიერებაა მიწაზე კერძო საკუთრების ბატონობა.

მიწის სამართალი – სამართლის ერთ-ერთი დარგია, რომელიც აწესრიგებს საადგილმამულო ურთიერთობას მიწის რაციონალურად გამოყენების უზრუნველსაყოფად, მისი ეფექტიანობის გასადიდებლად, ქმნის პირობებს ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მიწათსარგებლობის უფლებების დასაცავად, საადგილმამულო ურთიერთობათა დარგში კანონიერების განსამტკიცებლად.

მიწის ფასი – კაპიტალიზირებული მიწის რენტა. მიწა ადამიანის შრომის შედეგი არაა, ამიტომ მას არც ღირებულება აქვს, მიწა კერძო საკუთრების ობიექტია და საქონელბრუნვაში შედის. მას ყიდიან და ყიდულობენ. აქედან გამომდინარე, მიწას ფასი აქვს. მიწის ფასი ფულადი კაპიტალის ის თანხაა, რომელიც ბრუნვაში შეტანის შემდეგ, მის მფლობელს ყოველწლიურად მისცემს პროცენტის სახით მიწის რენტის ტოლ შემოსავალს.

მიწის ფონდი – სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში არსებული მიწის ფართობი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და მთელი ხალხის საერთო კუთვნილება იყო. მიწის საკუთრების განსაკუთრებული ხასიათისა და ამით განპირობებული მიწის სამართლის რეჟიმის ერთიანობის გამო, მთელი მიწა ერთიან სახელმწიფოს მიწის ფონდს შეადგენდა, ამასთან ყველა რესპუბლიკას თავისი მიწის ფონდი თავის საკუთრებაში ჰქონდა.

მიწოდება – მიწოდების ხელშეკრულება ორგანიზაციათა შორის პროდუქციის საგეგმო განაწილებისა და რეალიზაციის სახელშეკრულებო ფორმა. მიწოდების ხელშეკრულებით მიმწოდებელი ორგანიზაცია კისრულობს განსაზღვრულ ვადებში საკუთრებად ან ოპერატიული მმართველობისათვის გადასცეს მყიდველს (შემკვეთ) ორგანიზაციას განსაზღვრული რაოდენობისა და სათანადო ხარისხის პროდუქცია ორივე მხარისათვის სავალდებულო საგეგმო აქტის თანახმად. მყიდველი ორგანიზაცია კისრულობს მიიღოს პროდუქცია და გადაიხადოს მასზე დადგენილი ფასი. მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსი მიწოდების ხელშეკრულებას აღარ ითვალისწინებს.

მიწოდებათა საერთო პირობები – 1. ნორმატიული აქტები, რომლებიც აწესრიგებს საგარეჯო-სავაჭრო მიწოდებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს სხვადასხვა სახელმწიფოს სამეურნეო ორგანიზაციებს შორის. 2. მიწოდების საერთო პირობები, რომლებიც შემუშავებულია გაერთოს ევროპულ ეკონომიკურ კომისიის ფარგლებში. გამოიყენება ორგანიზაციებისა და ფირმათა ვაჭრობაში, როცა მხარეები თვით ხელშეკრულებაში მიუთითებენ მიწოდებათა საერთო პირობებზე.

მკვლელობა – სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა მართლსაწინააღმდეგოდ განსრახ ან გაუფრთხილებლობით, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს 108–116-ე მუხლებით.

მმართველობითი შრომა სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ სფეროში – სახალხო მეურნეობის მართვის სფეროში დასაქმებული მუშაკების შრომა. მმართველობითი შრომა შრომის ერთერთი სახეობაა, რომელიც უზრუნველყოფს სამართალი ობიექტის ფორმირებას, მის ეფექტურ ფუნქციონირებასა და განვითარებას.

მმართველობის ფორმა – მართვა-გამგეობის ფორმა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაცია, რომელიც განსაზღვრავს ხელისუფლების უმაღლესი ორგა-

ნიების შექმნის წესსა და სამართლებრივ მდგომარეობას, აგრეთვე სახელმწიფოს მეთაურის სტატუსს.

მოადი – სასამართლო პროცესის მონაწილე მხარე (მომჩივანი, მოპასუხე) XVI– XVIII ს.ს. საქართველოში.

მობილიზაცია შეიარაღებული ძალებისა – მობილიზაციის შედეგად სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების გადაყვანა სათანადო ორგანიზაციასა და შტატებზე. შეიარაღებული ძალების მობილიზაცია მომდინარეობს მშვიდობიანობის დროსაც, ხოლო თვით მობილიზაცია სწევულებრივ ხორციელდება ომის გამოცხადების ღღიდან და შეიძლება იყოს საერთო, რაც ის ეხება მის რომელიმე ნაწილს.

მოგების ანარიცხები – სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო. ეკონომიკური რეფორმის (1966) შემდეგ გაძლიერდა მოგების ანარიცხების სამეურნეო ანგარიშიანობის ფუნქციები – შემოღებულია ბიუჯეტში მოგებიდან პირველი რიგის ორი გადასახდელი ფონდების საფასური და ფიქსირებული (რენტული) გადასახდელები და მესამე მოგების თავისუფალი ნაშთის შენატანი. სამრეწველო მოგების განაწილებაში გამოიყენება შეღავათების სისტემაც. მოგებიდან გადასახადების მოცულობა ითვლება რიგორც აბსოლუტურად – ასევე შემოსავლის სხვა წყაროებთან შედარებით, შეფარდებითაც.

მოგების საშუალო ნორმა – მოგების ნორმის ერთ-ერთი სახეობა განისაზღვრება მუშათა კლასის მიერ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შექმნილი ზედმეტი ღირებულების მთელი მასის შეფარდებით ამავე დარგებსა და სხვა სფეროში დაბანდებული კაპიტალის მთელ მასასთან.

მოდგამი – შრომის კოოპერაციისა და ურთიერთდახმარების ერთ-ერთი ტრადიციული ფორმა სოფლის მეურნეობაში. ძველად გავრცელებული იყო მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, სადაც უმთავრესად მიწათმოქმედებასთან იყო დაკავშირებული მოდგამის ინსტიტუტი უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოს იმ რეგიონებისათვის იყო დამახასიათებელი, სადაც ნიადაგის თავისებურების გამო მიწის ღრმად ხვნა იყო საჭირო.

მოვალეობა – ეთიკის კატეგორია, რომელიც ასახავს სნეობრივი შეგნების არსებით შინაარსს. სნეობრივი მოვალეობის ცნება ეყრდნობა უმაღლესი იდეალის ცნებას, ასახავს იმ რეალურ მორალურ და ფსიქოლოგიურ ფენომენს, რომელიც ადამიანთა ურთიერთობებს სოციალურ ღირებულებებს ანიჭებს. იგი ძირითადი არხია, რითაც ადამიანთა ინტერე-

სები და მისწრაფებები ერთიანდება სოციალურ ორგანიზმთა სისტემაში. ზნეობრივ მოვალეობას ავტორიტეტულ ძალას ანიჭებს ორი წყარო: გარეგანი – საზოგადოებრივი აზრი და შინაგანი – სინდისის ხმა. ორივე ერთად ქმნის ადამიანური ღირსების წარმოშობისა და ფუნქციონირების აუცილებელ წანამძღვრებს.

მოთემე – (სამართლის ისტორია) თემის კაცი, რომელსაც ძველ საქართველოში სასამართლო იყენებდა რაიმე გარემოების გამოსარკვევად. მოთემეს ევალებოდა აგრეთვე ნაკლებმნიშვნელოვანი დავა-საჩივრების „გარიგება". მოთემე იგივე ადგილობრივი (უპირატესად მომრიგებელი) მოსამართლე იყო, რომელსაც სოფელი გარკვეული ვადით ირჩევდა. ასეთ მოსამართლეს „სოფლის კაცს", „ხევის კაცს" და „ბჭესაც" უწოდებდნენ.

მოთხოვნა-მიწოდების თეორია – სასაქონლო წარმოების ეკონომიკური კატეგორია. მოსახლეობის მოთხოვნილების დიდი ნაწილი მოხმარების საგნებისა და მომსახურებაზე მათი გადახდისუნარიანი მოთხოვნის სახით გვევლინება, ხოლო მიწოდება გულისხმობს მოთხოვნის შესაბამის საქონელს რომელიც შეიძლება გამოიტანონ ბაზარზე გასაყიდად წარმოებისა და ტრანსპორტირების არსებული შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

მოთხოვნის დათმობა, ცესია – კრედიტორის მიერ თავისი მოთხოვნის უფლების გადაცემა სხვა პირისათვის ახალი კრედიტორისათვის. სამართლის მიხედვით, მოთხოვნის დათმობა შესაძლებელია, თუ იგი არ ეწინააღმდეგება კანონს ან ხელშეკრულებას, თუ გადასაცემი მოთხოვნა უშუალოდ არ არის დაკავშირებული კრედიტორის პიროვნებასთან (მაგ. ალიმენტზე უფლების დათმობა არ შეიძლება.)

მოიჯარე – პირი, რომელსაც იჯარით (არენდით) აქვს რაიმე აღებული.

მოკვეთა – (სამართლის ისტორია) – სასჯელის სახე ძველ საქართველოში, დამნაშავის გაძევება საცხოვრებელი ადგილიდან ან კორპორაციიდან. საკორპორაციო მართლმსაჯულებით მოკვეთა გათვალისწინებული იყო ღალატის, ამბოხების, მეახშეობისა და სხვა დანაშაულისათვის. მთიელთა ჩვეულებით სამართალი თემიდან მოკვეთას ითვალისწინებდა. შეიძლებოდა, რომ მონანიებულ-გამოსწორებული დამნაშავე კორპორაციას, თემს კვლავ თავის წევრად მიეღო.

მოკვლევა – დანაშაულის წინასწარი გამოკვლევის ერთერთი ფორმა, რომლის ამოცანაა სათანადო სამძებრო ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებათა

შედეგად დანაშაულისა და მის ჩამდენ პირთა აღმოჩენა-დადგენა, დანაშაულის თავიდან აცილება აღკვეთა. მას აწარმოებენ პოლიციის ორგანოები, სამხედრო ნაწილებისა და შენაერთების მეთაურები, სახელმწიფო უშიშროების ორგანოები და სხვა.

მომრიგებელი-შუამავალი – თანამდებობა, რომელიც დაწესდა რუსეთში 1861 წ. 19 თებერვლის „დებულებით“. მომრიგებელი შუამაველის ძირითადი ფუნქცია იყო 1860 საგლეხო რეფორმის გატარებისათვის ხელის შეწყობა. იგი განიხილავდა გლეხების საჩივრებს მემამულეებზე და აწესრიგებდა მათ სადაო საკითხებს.

მომსახურების სფერო – ფართო გაგებით მოიცავს მომსახურების ყველა სახეობას (წარმოებითი, პირად და სოციალური დანიშნულების მომსახურება). ვიწრო გაგებით – მხოლოდ პირად მომსახურებას, ანუ უშუალოდ მოსახლეობისადმი გაწეულ მომსახურებას. წარმოებითი დანიშნულების მომსახურება აერთიანებს მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას, სატერიო ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას, საზოგადოებრივი კვების ნაწილს. პირადი მომსახურების სფერო კი მოიცავს არაწარმოებით სფეროს, როგორიცაა საყოფაცხოვრებო მომსახურება, სამგზავრო ტრანსპორტი, განათლება, და სხვა.

მონაგები – (სამართლის ისტორია) – პირადი შრომა-გარჯილობით შეძენილი ქონება ფეოდალურ საქართველოში. მონაგებში ხშირად ნასყიდი ან ომში „ხმლით ნაშოები“ ქონებაც იგულისხმებოდა.

მონადირე – (სამართლის ისტორია) – სამონადირეო უწყების დაბალი მოხელე ძველ საქართველოში რომლებიც მონადირეთა უხუცესს ექვემდებარებოდნენ. მათ ევალებოდათ სამონადირეო ძაღლების გამოკვება და შესაფერისად გაწვრთნა, აგრეთვე ყოველწლიურად „ძაღლთა აღწერა“.

მონადირეთუხუცესი – მონადირეთა უფროსი, სამონადირეო უწყების მთავარი მოხელე ძველ საქართველოში.

მონათმფლობელური წყობილება – ერთ-ერთი კლასობრივი ფორმაცია, რომელიც დამყარებულია სახელმწიფოს მიერ მონების დიდი მასის ექსპლუატაციაზე. მონობა ექსპლუატაციის უძველესი ფორმაა.

მონაპირე – საქართველოს ფეოდალური მონარქიის საზღვრისპირა ოლქის (სანაპიროს) გამგებელი ფეოდალი (ერისთავი ან ერისთავთერისთავი) XII ს. XIII ს. I მესამედში. სანაპიროები შეიქმნა აღმოსავლეთ საქართველოს თურქ-სელჩუკთაგან განთავისუფლების შემდეგ დაახ. აღმაშენებლის დროს. მაშინ მეფის

მოხელე იყო, მის სრულ მორჩილებაში მყოფი ვასალი. მომდევნო ხანაში იგი თანდათან სანაპიროს მემკვიდრე პატრონად („მემამულე") იქცა, რომელსაც საკუთარი სუბვასალები ჰყავდა და ფაქტობრივად მეფის ყმადნაფიცი „ხელმწიფის" როლში გამოდიოდა.

მონარქი – (ბერძ.) (მმართველი, მბრძანებელი) – მონარქიული სახელმწიფოს მემკვიდროებითი ან არჩევითი მეთაური (მეფე, იმპერატორი, შაჰი, ნეგუსი, სულთანი და ა.შ.).

მონარქია – (ბერძ.) (ერთხელისუფლებიანობა, ერთხელმწიფება) – ექსპლუატატორული სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმა, რომლის დროსაც უზენაეს სახელმწიფო ხელისუფლებას მემკვიდრეობით ახორციელებს და სახელმწიფოს მეთაურად ითვლება ერთი პირი – მონარქი.

მონარქომაქები – (ბერძ. მონარქი – ბრძოლა) – აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მებრძოლი მწერლები და პუბლიცისტები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (XVI–XVII ს.ს.). მონარქომაქები უარყოფდნენ სამეფო ხელისუფალთა ღვთაებრივ წარმომავლობას და მიაჩნდათ, რომ სუვერენიტეტი ეკუთვნის ხალხს. თუ მონარქი გადაიქცევა ტირანად, ხალხს უფლება აქვს ტახტიდან ჩამოაგდოს იგი და მოკლას კიდეც. ამ შეხედულების მომხრენი იყვნენ ი. ალთუზიუსი, ფ. დიუპლესი-მორნე, ფ. ოტმანი და სხვა.

მონასპა – სამეფო გვარდია ფეოდალურ საქართველოში. დააარსა დ.აღმაშენებელმა. მონასპაში შედიოდა 5000 მხედარი „მონა" ანუ მეფის პირად სამსახურში მყოფი რჩეული პროფესიონალი მეომარი. იგი მეფის მცველი კორპუსი იყო, რომელიც ხშირად საგარეო მტრების წინააღმდეგ საპასუხისმგებლო სამხედრო ოპერაციებსაც ატარებდა.

მონაცვლე კაცი – დავით ბატონიშვილის „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვის" მიხედვით (მმ 750–753) მომჩივანის ან მოპასუხის წარმომადგენელი რწმუნებული სასამართლოში.

მონაწილეობის სისტემა – კაპიტალიზმის პერიოდისათვის დამახასიათებელ კაპიტალდაბანდებათა სისტემა. ერთი სააქციო კომპანიის მიერ სხვა სააქციო კომპანიის ფასიანი ქაღალდების ფლობა (ზოგჯერ ურთიერთისაც). კაპიტალთა კავშირისა და გადასელისათვის მნიშვნელოვანი ფორმა, რომლის საფუძველზეც იქმნება საწარმოთა მრავალსაფეხურიანი დამოკიდებულება ფინანსურ ჯგუფებზე ან ცალკეულ ფინანსურ მაგნატებზე, რომლებიც შესაძლებლობას იღებენ თავიანთ განკარგულებაში იქონიონ სხვისი კაპიტალის დიდი ოდენობა და დი-

დი მონოპოლიური მოგება მიიღონ ძაყიანთ კონტროლქვეშ მყოფი საწარმოებიდან.

მონახევრეობა – მიწის ოჯარის სახე, რომლის დროსაც მოიჯარე მიწის მესაკუთრეს მოსავლის ნახევარს უხდის. მოსიარეობის სახესხვაობა.

მონეტა – (ლათ.) სხვადასხვა ლითონისაგან მოჭრილი ფულები, რომელსაც აქვს განსაზღვრული ფორმა, წონა, სინჯი და ღირებულება. თავდაპირველად სიტყვა მონეტა იყო ქალღმერთ იუნონას ერთერთი ეპითეტი და ნიშნავდა დამრიგებელს.

მონიტორინგი – გარესამყაროს მდგომარეობაზე დაკვირვება, მისი შეფასება და პროგნოზი.

მონობა – ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის უძველესი ფორმა. გაჩნდა საწარმოო ძალთა განვითარების („კეთილდღეობის“) გარკვეულ საფეხურზე, როდესაც შრომის განაწილების შედეგად, ოჯახს შეეძლო ერთი ან რამდენიმე გარეშე მუშაკის შემატება და რჩენა. წარმოება ამ დროს იმდენად იყო განვითარებული, რომ ადამიანს შესაძლებლობა ჰქონდა ეწარმოებინა „სულმეტი პროდუქტი“ – იმაზე მეტი, ვიდრე საჭირო იყო მისი არსებობის შესანარჩუნებლად. მუშახელად იყენებდნენ იმ ტყვეებს, რომელთაც ხალხთ იგდებდნენ ომის დროს. – ასე „იქნა აღმოჩენილი მონობა“.

მონოგამია – (ბერძ. ქორწინება) ერთქორწინება, ოჯახისა და ქორწინების ისტორიული ფორმა. წარმოიშვა პირველყოფილი წყობილების რღვევის ხანაში წყვილადი ქორწინებიდან და შემდგომში ქორწინების გაბატონებული ფორმა გახდა.

მონოგენიზმი – (ბერძნ. მოდგმა, წარმომავლობა) – მოძღვრება ადამიანის რასების ერთიანი წარმომავლობის შესახებ. უპირისპირდება პოლიგენიზმს. თანამედროვე მოწინავე ანთროპოლოგები მონოგენისტურ პოზიციებზე დგანან და აღიარებენ მთელი დღევანდელი კაცობრიობის ერთიან წარმომავლობას. რასებს შორის შერევის განუსაზღვრელი უნარი მონოგენისტური პოზიციის უტყუარი საფუძველია.

მონომეტალიზმი – (ბერძ. ლითონი) ფულადი სისტემა, რომლის დროსაც ერთი ლითონი არის საყოველთაო ეკვივალენტი და ფულადი მიმოქცევის საფუძველი. იმის მიხედვით, თუ რომელი ლითონი ასრულებს ამ როლს, იგი შეიძლება იყოს: სპილენძის, ვერცხლის ან ოქროსი. სპილენძის მონომეტალიზმი არსებობდა რომში ძ.წ. III–II ს-ში, ვერცხლისა რუსეთში (1843–52), ჰოლანდიაში (1847–75), ინდოეთში (1852–93), ჩინეთში დიდხანს არსებობდა ვერცხლის, რომელიც შეიცვალა 1935. ოქროს მონომეტალიზმი შემოიღეს XVI-

II ს. ბოლოს დიდ ბრიტანეთში და XIX ს. ბოლოს ევროპის სხვა ქვეყნებში, რუსეთსა და იაპონიაში – 1897, აშშ-ში 1900.

მონოპოლია – (ყოიდი) სახელმწიფოს, ორგანიზაციის, ფირმის განსაკუთრებული (მონოპოლიური) უფლება რომელიმე სფეროში (მაგ. წარმოებაში, ვაჭრობაში და სხვა).

მონოპოლიური მდგომარეობა: ეკონომიკური აგენტის, სახელმწიფო ორგანოს განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც საშუალებას აძლევს მას არსებითი გავლენა მოახდინოს ბაზარზე და შეზღუდოს კონკურენცია. ეკონომიკური აგენტი ჩაითვლება მონოპოლიური მდგომარეობის მქონედ, თუ მისი წილი კონკრეტულ სასაქონლო ბაზარზე პირდაპირ ან არაპირდაპირ აღემატება ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობას. (საქართველოს 1996 წლის 25 ივნისის კანონი მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ, მუხ. 11).

მონოპოლისტური კონკურენციის თეორია – ბურჟუაზიული თეორია, რომელიც იკვლევს მონოპოლიების ბატონობის საბაზრო გამოვლინებას თანამედროვე კაპიტალისტური მასობრივი წარმოების დარგების პირობებში. ამ თეორიის მთავარი დებულებანი ჩამოაყალიბა ე. ჩემბერლენმა.

XX ს. პრობლემის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს ნ. კელდორმა ო. მორგენშტერნმა, უ. ბაომოლმა და სხვ.

მონოპოლიური მოგება – მოგების სახე, რომელსაც სამეურნეო საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში გაბატონებული კაპიტალისტები (მონოპოლისტები) ითვისებენ. იგი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი (საშ.) მოგება. მონოპოლისტთა მიერ მონოპოლისტური მოგების მითვისების მთავარი საშუალებაა მონოპოლიური ფასი, რომლის წყაროა დაქირავებული მუშების მიერ წარმოებული ზედმეტი ღირებულება, აგრეთვე ღირებულების ის ნაწილი, რომელიც წვრილი საქონელმწარმოებლების (გლეხობის, ხელოსნების და სხვ.) შრომით იქმნება.

მონოპოლიური ფასი – საქონლის საბაზრო ფასის სპეციფიური ფორმა, რომელიც არ ემთხვევა ან საქონლის ღირებულებას, ან წარმოების ფასს და უზრუნველყოფს მონოპოლიების მიერ ზემოგების მიღებას.

მოპასუხე – სამოქალაქო პროცესის ან სამეურნეო დავის ერთერთი მხარე. მოპასუხეს პასუხს სთხოვს სასამართლო ან არბიტრაჟი მოსარჩელის იმ განცხადების მიხედვით, რომ მოპასუხემ დაარღვია ან სადავო გახადა მოსარჩელის უფლება. კანონმდებლობის მიხედვით მოპასუხედ სასამართ-

ლოში შეიძლება იყოს, როგორც მოქალაქე, ისე იურიდიული პირი, არბიტრაჟში კი მხოლოდ იურიდიული პირი. მოპასუხეს უფლება აქვს სასამართლოში აღიაროს ან უარყოს სარჩელი, აღძრას შეგებებული სარჩელი, ანდა დაამთავროს საქმე მორიგებით.

მორალი – (ლათ. ადათები, ჩვეულებები, საქციელი) – საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სულიერი კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმა. მორალი ქცევის ნორმათა გარკვეული სისტემაა, რომელსაც ადამიანი ემორჩილება საკუთარი შეგნებით, თავისუფლად და არა იძულებით ან დაინტერესებით. მორალურია ადამიანის ქცევა მაშინ, როცა იგი ეხმარება სხვა ადამიანს, ემსახურება კოლექტივს, საზოგადოებას, საკუთარი მოქმედების სამართლიანობისა და აუცილებლობის შეგნებით, შინაგანი რწმენითა და მისწრაფებით.

მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა საზოგადოებისა – საზოგადოების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა, ერთიანი მორალისა და პოლიტიკის ბატონობისა და შეთანხმებულობა-ჰარმონიის გამოხატულება. საზოგადოებაში პოლიტიკურად სწორია ყოველივე, რაც ხელს უწყობს მორალის განმტკიცებას. მარქსიზმი მიიჩნევს, რომ მორალისა და პოლიტიკის ერთიანობა არის გზა მორალთან პოლიტიკის სრული შერწყმისა.

მორატორიუმი – (ლათ. ვადის გადამწევი, დამყოვნებელი) – ვალდებულებათა შესრულების გადადება, რასაც დაადგენს მთავრობა რაიმე საგანგებო მდგომარეობის გამო (ომი, სტიქიური უბედურება და სხვა). იგი გრძელდება განსაზღვრულ ვადამდე, ან იმ შემთხვევის დასრულებამდე, რამაც იგი გამოიწვია. მისი დადგენის უფლება აქვს მინისტრთა კაბინეტს. მორატორიუმის მოქმედების დროს სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის მიმდინარეობა შეჩერებულია.

მორგანატული ქორწინება – არათანაბარი ქორწინება, რომლის დროსაც ცოლს არ ერგება ქმრის წოდებრივი პრივილეგიები (ან პირიქით), ხოლო შვილებზე – მამისა. მორგანატული ქორწინების მაგალითია სამეფო სახლის წარმომადგენლის ქორწინება არა სამეფო გვარის ქალთან. ასეთი ქორწინება ცოლსა და შვილებს არ აძლევს ტახტის მემკვიდრეობის უფლებას

მორდალი – (სპარს. ბეჭდის მცველი – მორდარი, მურდარი) – მეფის ბეჭდის მცველი – XVII–XVIII სს საქართველოში. მორდალი მეფის „მისანდო და ხეაშიადის შემნახაე" – იყო. მას ევალებოდა მეფის მიერ გაკეთებულ საბუთზე ბეჭდის დასმა და პატრონისათვის ჩაბარება. ამისათვის მორდალი საბუთის პატრონისაგან გასამრჯე-

ლის ღებულობდა. იგი სახლთუხუცესს ექვემდებარებოდა XVIII ს. II ნახევარში 2 საშეყო მორდალი იყო (ქართლისა და კახეთის). მორდალი დელეფყალსაც ჰყავდა.

მორიგება – სამოქალაქო საქმეთა პროცესში – მხარეთა მიერ სასამართლოსათვის დასამტკიცებლად წარდგენილი ხელშეკრულება მათ შორის არსებული სამართლებრივი დავის ლიკვიდაციის შესახებ. სასამართლო ამოწმებს მორიგების პირობებს და თუ ეს პირობები არ ეწინააღმდეგება კანონს და არ არღვევს ვისიმე უფლებებს ან კანონით დაცულ ინტერესებს, ამტკიცებს მხარეთა შეთანხმებას და წყვეტს საქმის წარმოებას. მორიგების დამტკიცების სამართლებრივი შედეგია ის, რომ იძულებს მხარეებს შორის, იმაყე საგანზე და იმავე საფუძვლით დავის ხელმეორედ განხილვა გამორიცხულია თუ ერთ-ერთი მხარე თავს არიდებს მორიგებით ნაკისრ ვალდებულების შესრულებას, დასაშვებია იძულებით შესრულებინება.

მორიგე ჯარი – მორიგე ლაშქარი – სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების სახეობა XVI-XVII ს. II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში. წარმოადგენდა რეგულარული არმიის სისტემაზე გარდამავალ საფეხურს. ჩამოყალიბდა XVIII ს. 50-იან წლებში. საბოლოოდ გაფორმდა 1774 მორიგის ლაშქრობის განარენით და მორიგე ჯარში გაუსვლელობისათვის 1776 დამატებით გამოცემული განწესებით. მორიგ ჯარში უნდა ემსახურა ყველა წოდების სრულწლოვან მამაკაცს წელიწადში ერთი თვე თავისი ხარჯითა და იარაღით. მასში 5 ათასი მეომარი იყო, იგი იყოფოდა ცალკე ეროვნულებად, რომელთა მეთაურს მეფე ნიშნავდა. საერთო ხელმძღვანელი იყო ლევან ბატონიშვილი (ერეკლე II-ის ძე). მორიგე ჯარი მეფის ხელისუფლების განმტკიცებისა და გარეშე მტრებისაგან ქვეყნის თავდასაცავად იყო შექმნილი. მორიგე ჯარი ბრძანებით არ გაუუქმებიათ, მაგრამ თავადებმა მოახერხეს მისი შესუსტება და ბოლოს სრული დაშლა.

მორიგის ლაშქრობის განაჩენი 1774 – ძველი ქართული ადმინისტრაციული და სამხედრო სამართლის მნიშვნელოვანი ძეგლი, შეიმუშავა დარბაზმა. მოქმედებდა 1774 წლის იანვრიდან ქართლ-კახეთის სამეფოში. შედგება შესავალისა და 37 მუხლისაგან. მისი შედგენის მიზანი იყო მუდმივი ლაშქრის – მორიგე ჯარის შექმნა. ამ გზით მეფე ერეკლე II ცდილობდა ფეოდალთა განკერძოებულობის შეზღუდვას და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას. სამხედრო დანაშაულისათვის სასჯელი ემუქრებოდა მაღალი წოდების წარმომადგენლებსაც. ისჯებოდა დანაშაუ-

ლის განუცხადებლობაც.

„მორლი-მინტოს რეფორმა“ – კანონი, რომელიც 1909 მიიღო ინგლისის პარლამენტმა. იგი ითვალისწინებდა ინდოეთის ე.წ. საკანონმდებლო საბჭოების შემადგენლობასა და ფუნქციებში ცვლილებების შეტანას.

მოსაკარგავი – XI–XIII ს.ს. საქართველოში უმთავრესად სამეფო კარის მოხელე, რომელსაც ეძლეოდა „საკარგავი“ – პირობით მფლობელობაში მიცემული მიწის ნაკვეთი, ან ხოგჯერ მის სანაცვლოდ ფული.

მოსამართლე – საქართველოს კანონმდებლობით, საერთო სასამართლოების თანამდებობის პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არჩეული ან დანიშნულია მოსამართლედ და ერთპიროვნულად ან კოლეგიის შემადგენლობაში ახორციელებს მართლმსაჯულებას. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას და ჩაბარებული აქვს სერტიფიკაციის გამოცდა. მოსამართლედ არ შეიძლება გამწესდეს ნასამართლები პირი, აგრეთვე პირი, რომელიც განთავისუფლებული იყო თანამდებობიდან კანონით გათვალისწინებული უხეში დარღვევისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და მოსამართლეებს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეებს ირჩევს ამ რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით. რაიონული (საქალაქო) და საოლქო სასამართლოების მოსამართლეებს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი.

საქართველოს კანონმდებლობა მოსამართლის უფლებამოსილების ვადაა 10 წელი. მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური საქმიანობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური გაერთიანების წევრი და მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში.

მოსამართლე ხელშეუხებელია. დაუშვებელია მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, დაკავება ან დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლეთა – საქართველოს პარლამენტის გარეშე (საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორ-

განული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, მუხ. 46–52). მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლის უფლებამოსილება განსაზღვრულია საპროცესო კანონმდებლობით.

მოსამართლეთა არჩევითობა – სასამართლო ორგანიზაციისა და საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპი, რომლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლო სისტემის ყველა რგოლი იქმნება არჩევითობის საწყისზე, მართლმსაჯულებას ახორციელებენ მხოლოდ კანონით დადგენილი წესით არჩეული მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები. მოსამართლეთა არჩევითობის პრინციპი საკანონმდებლო წესით განმტკიცებულია კონსტიტუციით და კანონმდებლობით სასამართლო წყობილების შესახებ. მოსამართლეებს ირჩევენ მოქალაქეები საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. მოსამართლეების არჩევა ან დანიშვნა ხდება არა ნაკლებ ათი წლის ვადით. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: 1) უნდა იყოს არა ნაკლებ 30 წლისა; 2) უნდა ჰქონდეს იურიდიული განათლება; 3) უნდა ჰქონდეს სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის ვა-

მოცდილება.

მოსამართლეთა დამოუკიდებლობა – მართლმსაჯულების განხორციელების კონსტიტუციური პრინციპი, რომლის მიხედვითაც მოსამართლე სასამართლო საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანისას ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონითა და მართლშეგნებით და არავის ზეგავლენას არ ემორჩილება. სასამართლო ორგანოთა მუშაობა ისეა აგებული, რომ მოსამართლეები თავისუფალი არიან ყოველგვარი ზეგავლენისაგან. უმაღლეს სასამართლოსაც კი განაჩენის გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად გადაცემისას არა აქვს უფლება მიუთითოს მოსამართლეს, თუ როგორი განაჩენი ან გადაწყვეტილება გამოიტანოს. მოსამართლეთა დამოუკიდებლობას კანონმდებლობა უზრუნველყოფს იმითაც, რომ მოსამართლეები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან. საქმის გარჩევის დროს სარგებლობენ თანაბარი უფლებებით, შეუძლიათ გამოთქვან განსაკუთრებული აზრი. იგი გარანტირებულია სათათბირო ოთახის საიდუმლოებით და სხვა.

მოსამართლეთა შეუცვლელობა – ბურჟუაზიულ ქვეყნებში სასამართლო წყობილების პრინციპი, რომლის მიხედვითაც მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლება დაშვებულია

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსამართლე მიაღწევს განსაზღვრულ ასაკს, როცა ფიზიკურად არ შეუძლია საქმიანობის გაგრძელება, აგრეთვე სასამართლოს განაჩენით ან თვით მოსამართლის სურვილის საფუძველზე. მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპი ჩამოყალიბდა აბსოლუტიზმის პერიოდში, სამეფო ხელისუფლების გაძლიერების პროცესში. ამ პრინციპის დამკვიდრებას ხელი შეუწყო იმან, რომ თანამდებობას მეფე ყიდდა და იგი მემკვიდრეობით გადადიოდა. თანამედროვე ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოსამართლეებს ნიშნავენ მთელი სიცოცხლით ან ხანგრძლივი ვადით. მაგ. დიდ ბრიტანეთში 72 წლამდე, საფრანგეთში 65–70 წლამდე, ხოლო ბელგიაში, დანიაში, აშშ-ში მთელი სიცოცხლით.

მოსარჩელე – სამოქალაქო პროცესში ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მიმართავს სასამართლოს, არბიტრაჟს ან სამედიატორო სასამართლოს მოპასუხის მიერ დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების ან კანონიერი ინტერესის დასაცავად.

მოსახლეობის აღწერა – განსაზღვრული დროისათვის ქვეყნის ან მისი რომელიმე ნაწილის თითოეულ მცხოვრებზე დემოგრაფიული და სხვა სოციალურ ეკონომიკური ხასიათის ცნობების შეკრება. მისი მიზანია სქესისა და ასაკის, სოციალური და ოჯახური მდგომარეობის, ეროვნული კუთვნილების მიხედვით მცხოვრებთა საერთო რაოდენობის, მათი შემადგენლობის, დასახლებულ პუნქტებს შორის მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება-განაწილების, მათი განათლების დონის, პროფესიისა და საქმიანობის შესახებ ცნობების დადგენა. ამ მასალებს ფართოდ იყენებენ ქვეყნის მართვის, მეურნეობისა და კულტურის დაგეგმვისა და გაძღოლისათვის.

მოსახლეობის ემიგრაცია – (ლათ. გადავსახლდები) მოსახლეობის გადასახლება სხვა ქვეყანაში საცხოვრებლად ან დროებით სამუშაოდ. მოსახლეობის ემიგრაციას საფუძვლად უდევს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ან რელიგიური ფაქტორები. ემიგრაცია შეიძლება იყოს ინდივიდუალური, ჯგუფური, ნებაყოფლობითი ან იძულებითი. მოსახლეობის ემიგრაციამ დიდი როლი ითამაშა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

მოსახლეობის იმიგრაცია – (ლათ. ჩავსახლდები) სხვა ქვეყნის მოსახლეობის ჩამოსახლება რომელიმე ქვეყანაში დროებით ან მუდმივ საცხოვრებლად. მოსახლეობის იმიგრაციის მიზეზი და ხასიათი კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარი იყო. მან უდიდესი როლი

ითამაშა სოგიერთი ქვეყნის ნაწილის დასახლებასა და ახალი სახის წარმოქმნაში.

მოსახლეობის მიგრაცია – (ლათ. გადავსახლდები) მოსახლეობის ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში გადასვლა, რაც დაკავშირებულია საცხოვრებელი ადგილის გამოცვლასთან. როდესაც გადასახლება ხდება რომელიმე ერთი ქვეყნის ფარგლებში, მას შიგა მიგრაციას უწოდებენ, ხოლო სხვა ქვეყანასა და სხვა კონტინენტში გადასვლას გარე ანუ საერთაშორისო მიგრაციას. შიგა და გარე მიგრაციას ადგილი აქვს ქვეყნის პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ ერთეულებშიც. ხშირ შემთხვევაში ადამიანი დროებით მიდის სხვა ადგილას სამუშაოდ ან დასასვენებლად. ზოგჯერ ერთი დასახლებული პუნქტის მცხოვრები მუშაობს მეორე პუნქტში და ყოველდღიურად მოგზაურობს ამ პუნქტებს შორის. მოსახლეობის ამგვარი გადაადგილებაა დროებითი მიგრაცია. საერთაშორისო პრაქტიკაში მიგრანტად ითვლება ის, ვინც საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალა არანაკლებ 6 თვის ვადით.

მოსახლეობის მსოფლიო აღწერა – მსოფლიოში მოსახლეობის რაოდენობის დადგენა გარკვეული დროისათვის. მოსახლეობის რეგულარული აღწერები საზღვარგარეთის ქვეყნებში დაიწყო XVIII–XIX სს-ში. ამჟამად არსებულ ყველა სახელმწიფოში აღწერა ერთხელ მაინც არის ჩატარებული. მაგრამ მსოფლიოს მთელი მოსახლეობის დემოგრაფიულ-სტატისტიკური შესწავლა მაინც არ არის სრულყოფილი.

მოსახლეობის ფულადი შემოსავალ-გასავლის ბალანსი – სახალხო მეურნეობის ბალანსის შემადგენელი ნაწილი, რომელშიც აისახება ფულადი შემოსავლის საერთო მოცულობა, მისი წარმოქმნის წყაროები და გასავლის სტრუქტურა. იგი იძლევა ფულად შემოსავალსა და საცალო საქონელბრუნვის, ფასიან მომსახურებასა და დანაზოგს შორის სწორი პროპორციების დადგენის შესაძლებლობას. ბალანსი ასახავს საზოგადოებრივ ქვედანაყოფებს შორის არსებულ თანაფარდობას, პროპორციას მოხმარების საგნებსა და ამ საგნების შესაძენად განკუთვნილ მოსახლეობის შემოსავლის მოცულობას, ანუ სიდიდით ფონდებს შორის.

მოსეს სამართალი – კანონები, გადმოცემული ბიბლიის მე-5 წიგნში – „მეორე სჯულთაში“, რომელსაც ლეგენდარულ მოსე წინასწარმეტყველს მიაწერენ. სინამდვილეში ძეგლი შედგენილია ძვ. წ. 622. მოსეს კანონები მიქმედი სამართალი იყო საქრისტიანო მსოფლიოში. იგი ძველი დროიდანვე მოქმედებდა საქართვე-

ლოშიც. ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულში შეტანილია პირველ წიგნად. იგი შედგება 52 მუხლისაგან და წარმოადგენს გამონაკრებს „მეორე სჯულთას“ მე-5 წიგნის მე-5, 13–27 თავების მუხლებიდან. სამართლის წიგნი იწყება ათი მცნებით და უმთავრესად სისხლის, სამოქალაქო და საოჯახო სამართლის ნორმებს შეიცავს.

მოურავი – ადგილობრივი მმართველობის მოხელე ძველ საქართველოში. ასრულებდა სამეურნეო, ადმინისტრაციულ და სასამართლო ფუნქციებს. იგი იყო მებატონის მამულების მმართველი, პროვინციის, ქალაქის, სოფლის (თემის) გამგე. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ქიზიყის, ყაზახისა და არაგვის მოურავობა. ფართოდ იყო გავრცელებული სოფლის მოურავობა. ქალაქების მოურავებიდან პირველი ადგილი ეჭირა თბილისისა და გორის მოურავებს. მოურავი ქალაქის უპირველესი მოხელე იყო. მას ემორჩილებოდნენ ქალაქის მოხელეები – მელიქი, მამასახლისი, ნაცვალი და ასასები. თავის სასამართლო ფუნქციებს მოურავი მელიქის, მამასახლისის, აგრეთვე 3–4 „სარწმუნო მოქალაქის თანდასწრებით ასრულებდა. მოურავობა იმდენად შემოსავლიანი და საპატიო თანამდებობა იყო, რომ ბატონიშვილებიც კი არ ამბობდნენ უარს ამ სახელოზე.

მოუვლელი ძონება – ქონება, რომლის მიმართ მესაკუთრე არ იჩენს სათანადო ყურადღებას, რის გამოც იგი ნადგურდება და უვარგისი ხდება, რისთვისაც ამ მესაკუთრის მიმართ შეიძლება გამოიყენონ საზოგადოებრიები ან ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიება. სამოქალაქო სამართლის კოდექსით კი გათვალისწინებულია სახელმწიფოს მიერ იმ სახლის უსასყიდლოდ ჩამორთმევა.

მოფიცარი – (სამართლის ისტორია) ფეოდალურ საქართველოში სასამართლო პროცესის მონაწილე, რომელიც ფიცით ადასტურებდა სასამართლოსათვის მნიშვნელოვან ფაქტს. უმრავლეს შემთხვევაში მოფიცარი ამაგრებდა სასამართლო პროცესში მხარის სახით მონაწილე პირის ფიცს და იგი იგივე თანამოფიცარი იყო. აუცილებელი არ იყო, რომ თანამოფიცარი სადავო ფაქტის თვითმხილველი ყოფილიყო. თანამოფიცრად ჩვეულებრივ ხანშიშესული, ღვთის მორწმუნე და უმწიკვლო სახელის მქონე კაცი უნდა გამოსულიყო. ქალი თანამოფიცრად არ დაიშვებოდა.

მოქალაქეობა – პირის სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც ასახავს მის მყარ კავშირს ამა თუ იმ სახელმწიფოსთან. მოქალაქისა და სახელმწიფოს უფლება-მოვალეობანი ერთმანეთის

მიმართ დადგენილია კონსტიტუციით და სხვა კანონებით. მოქალაქეობისათვის უმთავრესია პირის უფლება მონაწილეობდეს სახელმწიფოს მართვაში და მასზე სახელმწიფოს იურისდიქციის გაჟრცელება მისი ადგილსამყოფლის მიუხედავად. მოქალაქეობის შეძენა ხდება 1) ფილიაციით (დაბადებით), 2) ნატურალიზაციით, 3) საერთაშორისო ხელშეკრულებით და კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

მოქალაქეობის შეწყვეტის საფუძვლებია:

1) მოქალაქეობიდან გასვლა, 2) მოქალაქეობის დაკარგვა, 3) საერთაშორისო ხელშეკრულებითა და კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები. როცა მოქალაქეს ჩამოერთმევა მოქალაქეობა, სახელმწიფოს მიერ საკითხთა გადაჭრა ხშირად იწვევს უმოქალაქეობას (აპატრიდი) ან ორმაგ მოქალაქეობას (ბიპატრიდი). სახელმწიფო აღიარებს მოქალაქის უფლებებსა და თავისუფლებებს, იცავს და მფარველობს მას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ. თავის მხრივ მოქალაქე ვალდებულია იცავდეს და ასრულებდეს ქვეყნის კანონებს. საქართველოში დადგენილია ერთიანი მოქალაქეობა. დაუშვებელია, საქართველოს მოქალაქისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევა, საქართველოდან გაძევება და აგრეთვე საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსთვის გადაცემა. გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. (საქართველოს 1993 წლის 25 მარტის კანონი „საქართველოს მოქალაქეობის“ შეასახებ.)

მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოები (მმრო) — სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის დაწესებულებები, რომლებსაც შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე მინიჭებული აქვთ განსაზღვრული უფლებამოსილება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სფეროში. საქართველოში ასეთ ორგანოს წარმოადგენს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის განყოფილებები, რომლებიც იქმნება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად რაიონებსა და ქალაქებში. უცხო სახელმწიფოში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეთა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციას აწარმოებს საქართველოს მისაბამისი საკონსულო დაწესებულება. სოფელში, დაბაში, თემში მცხოვრები მოქალაქეების ზოგიერთი სამოქალაქო აქტის (დაბადება, ქორწინება, მამობის დადგენა, გარდაცვალება) რეგისტრაციას აწარმოებს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის გამგეობა, ხოლო იმ სოფელში, სადაც არ არის გამგეობა, სოფლის გამგებელი. სამოქალაქო აქტების რეგისტრა-

ციის სფეროში საქმიანობის საერთო კოორდინაციასა და სქელმძღვანელობას ახორციელებს იუსტიციის სამინისტრო. (საქართველოს 1998 წლის 15 ოქტომბრის კანონი „სამოქალაქო რეგისტრაციის შესახებ").

მოქალაქის ძირითადი უფლება-მოვალეობანი – კონსტიტუციით დადგენილი უფლებანი და მოვალეობანი, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობის, სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთდამოკიდებულების საფუძვლებს სახელმწიფოში. კონსტიტუცია მოქალაქეებს ანიჭებს ფართო სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და პირად უფლებებს და თავისუფლებებს. სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს განეკუთვნება: შრომის უფლება, დასვენების უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, რაც გარანტირებულია კვალიფიციური სამედიცინო დახმარებით, განათლების უფლება, ბინის უფლება და სხვა.

პოლიტიკურ უფლებებს მიეკუთვნება: მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო მართვაში, კანონებისა და გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღებაში, სიტყვის, კრებების, მიტინგების და დემონსტრაციების თავისუფლება და სხვა. მოქალაქეთა პირად უფლებებს მიეკუთვნება: სინდისის თავისუფლება, სახელმწიფოს მხრივ ოჯახის დაცვა და ოჯახში ზრუნვა, პიროვნების ხელშეუხებლობა და სხვა.

მოქალაქეების ძირითად მოვალეობებს შეადგენს: იცავდეს კონსტიტუციას და კანონებს, პატივს სცემდეს საერთო ცხოვრების წესებს, ღირსეულად ატარებდეს მოქალაქის მაღალ წოდებას. სამშობლოს დაცვა თითოეული მოქალაქის წმინდათაწმინდა ვალია.

მოძმედება – ადამიანის ქცევის სახე, რომელიც რაიმე მიტივის საფუძველზე წარიმართება და სუბიექტისათვის გარკვეული აზრის, მნიშვნელობის მატარებელია. მას გარკვეული ფსიქოლოგიური შინაარსი აქვს მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით ვლინდება იგი, ფიზიკური მოძრაობით (მაგ. ფიზიკური შრომა) თუ მხოლოდ ფსიქიკური პროცესის სახით (მაგ. აზროვნება).

მოშთობა – სიცოცხლის მოსპობა ყელში საბელის წაჭერით ან წყალში გაგუდვით. მოშთობა გავრცელებული იყო მონღოლებში. საქართველოში იგი საკმაოდ გავრცელებულია XVII–XVIII სს-ში, რაგორც სასჯელი. მოშთობით უმთავრესად გამცემლები ისჯებოდნენ.

მოცდენა საწარმოო – სამუშაოს დროებითი შეჩერება, მუშისაგან ან მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით (წარხის მწყობრიდან გამოსვლა, ნედლეულის ან ელექტროენერგიის უქონლობა). მუშის

ან მოსამსახურისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით გამოწვეული საწარმოო მოცდენისას ხელფასის ანაზღაურება ხდება შესაბამისი კვალიფიკაციის მუშაკის დროითი ანაზღაურების სატარიფო განაკვეთის 1/2, ხოლო სამთამადნო ან საკოქსე მრეწველობაში სატარიფო განაკვეთის 2/3-ის ოდენობით. საწარმოო მუშები და მოსამსახურეები მათი სპეციალობისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით გადაჰყავთ სხვა სამუშაოზე იმავე საწარმოში 1 თვის ვადით საშუალო ხელფასის ან სათანადო სატარიფო განაკვეთის შენარჩუნებით. არ შეიძლება კვალიფიცირებული მუშების და მოსამსახურეების არაკვალიფიცირებულ სამუშაოზე გადაყვანა.

მოძრავი ქონება – ქონების სახე სამართალში. მოძრავი ქონება უპირისპირდება უძრავ ქონებას და მასში შედის ყველაფერი უძრავი ქონების – მიწისა და უშუალოდ მასთან დაკავშირებული ნივთების, შენობების, ნაგებობებისა და სხვათა გარდა. მოძრავი ქონების სამართლებრივი მდგომარეობა თავისებურია. უძრავი ქონებისაგან განსხვავებით, მისთვის დადგენილია გარიგების დადების უფრო მარტივი წესი, გამარტივებულია საკუთრების უფლების დადასტურების ფორმა და სხვა. სამოქალაქო სამართლის კოდექსის მიხედვით: „ქონება – ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი. უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა–ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე“ (სკ. მუხ. 148, 149).

მოძღვართმოძღვარი – მასწავლებელთა მასწავლებელი, უმაღლესი სასწავლებლის რექტორის აღმნიშვნელი ტერმინი ძველ საქართველოში. გელათის აკადემიას ხელმძღვანელობდა სპეც. თანამდებობის პირი, რომელიც მოძღვართმოძღვარის ტიტულს ატარებდა, განსხვავებით „წინამძღვრისაგან“, რომელიც გელათშივე სამონასტრო საქმეებს განაგებდა.

მოძღვარი – 1. სასულიერო პირი – მღვდელი. ხუცესი, სულიერი მამა; 2. მეცნიერი ბერი ძველ საქართველოში; 3. მოძღვარი, მასწავლებელი, დამრიგებელი, აღმზრდელი. 4. რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი, ხუროთმოძღვარი, ეზოსმოძღვარი.

მოყვიფულობა ფსიქიკური – ფსიქიკური თვისებისა და უნარის გაშლა-განვითარება ორგანიზმის ბიოლოგიურ სისტემათა მომწიფების შესაბამისად. ადამიანის ფსიქიკური უნარისა და თვისებების განვითარებაზე არსებით გავლენას ახდენს სოციალური გარემო, საზოგადოებრივი ყოფიერება, ინდივიდის ცხოვრებისეული

გამოცდილება, სწავლა – აღზრდის ორგანიზებული სისტემა. თითოეულ მათგანს მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვს მემკვიდრეობით მიღებული თვისებების ფორმირებაში.

მოწმე – სასამართლოს, პროკურორის, გამომძიებლის ან მომკვლევის მიერ გამოძახებული პირი, რომელმაც ჩვენება უნდა მისცეს სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ. მოწმე შეიძლება იყოს ყველა, ვისთვისაც ცნობილია საქმის გარემოებანი. მოწმის სახით არ შეიძლება დამცველის (სისხლის სამართლის საქმეზე) ან წარმომადგენლის (სამოქალაქო სამართლის საქმეზე) დაკითხვა იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც ცნობილი გახდა მათთვის, როგორც სასამართლოს პროცესის მონაწილეთათვის, აგრეთვე იმ პირის დაკითხვა, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას ფაქტი ან მისცეს მის შესახებ სწორი ჩვენება. მოწმე შეუცვლელია, ამიტომ არ შეიძლება მისი აცილება, მას უფლება აქვს ჩვენება მისცეს მშობლიურ ენაზე, მოითხოვოს მისი ჩვენების სუსტი ჩაწერა და სხვა. მოწმე მოვალეა გამოძახებისთანავე გამოცხადდეს. გამოძახება კი შეიძლება, როგორც საქმეში მონაწილე პირთა შუამდგომლობით, ისე მომკვლევი პირის, გამომძიებლის ან სასამართლოს მეშვეობით. ჩვენების მიცემაზე უარის თქმის ან თავის არიდებისათვის, აგრეთვე შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემისათვის მას დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. მოწმის ჩვენება მტკიცების ერთ-ერთი საშუალებაა, რომელსაც სასამართლო, პროკურორი და მომკვლევი პირი თავიანთი შინაგანი რწმენით აფასებენ. (სსსკ. მუხ. 93).

მოწმის ჩვენების ფსიქოლოგია – სასამართლო ფსიქოლოგიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის მოწმის დაკითხვისა და იურიდიული ფაქტის შესახებ ინფორმაციის აღდგენისა და გადმოცემის ფსიქოლოგიურ თავისებურებებსა და კანონზომიერებებს სამართლებრივი ჭეშმარიტების დადგენის მიზნით. მოწმის ჩვენების სანდოობა დამოკიდებულია მოწმის ასაკობრივ თავისებურებებზე, ინტელექტუალური განვითარების დონეზე, აღქმის, მეხსიერების, ფანტაზიისა და სხვა კანონზომიერებებზე, მის თვისებებსა და დამოკიდებულებაზე გამოძიების სხვადასხვა კომპონენტის მიმართ.

მოწმობა – I. ოფიციალური დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს მფლობელის ვინაობას, მის სამართლებრივ სტატუსს (მუშაობის ადგილს, დაკავებულ თან-

ამდებობას). მოქალაქის ვინაობის დამადასტურებელი ერთადერთი დოკუმენტია პასპორტი. ზოგჯერ პასპორტს ცვლის მოწმობა, რომელიც ერთდროულად სამსახურებრივი მოწმობაცაა და პირადობის მოწმობაც. 2. დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე განსაზღვრულ უფლებას ან ფაქტს.

მოხალისეთა არმია – სამხრეთ რუსეთის კონტრრევოლუციის მთავარი სამხედრო ძალა სამოქალაქო ომის დროს (1918–20). მ. ა. არსებობდა საქართველოშიც.

მოხელე – თანამდებობის პირის ზოგადი სახელწოდება ძველ საქართველოში. მოხელე წარმოდგა სიტყვისაგან „ხელი“, რაც ნიშნავდა ძალაუფლებას, თანამდებობას, საკუთრებას, მიწაზე საკუთრების უფლების მაჩვენებელ ნიშანს. მოხელის კომპეტენციას სახელო ეწოდებოდა. ბრძანების გაცემის უფლებით აღჭურვილი მოხელე „ხელისუფლად“ იწოდებოდა; ხელისუფლების აღმასრულებელ მოხელეს კი „საქმის მოქმედი“ ერქვა. არსებობდნენ „დიდნი საქმის მოქმედნი“ და „მცირენი საქმისმოქმედნი“. სამეფო კარზე მყოფი დიდ თანამდებობის პირები შეადგენდნენ „დარბაზის რიგის“ მოხელეებს. მათ ზოგადად „ვექილ-ვეზირებს“ ეძახდნენ. უმაღლესი თანამდებობანი დიდებულებს ეკავათ, ნაკლებად მნიშვნელოვან თანამდებობაზე მეფის აზნაურები და მსახურები ინიშნებოდნენ. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში დანიშნულ მოხელეებს „საქციენოდ გამრიგე მოხელე“ ეწოდებოდა.

მოხმარება – კვლავწარმოების პროცესის დამამთავრებელი ფაზა, ეკონომიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესში საზოგადოებრივი პროდუქტის გამოყენება. მოხმარება არის საწარმოო და არასაწარმოო. საწარმოო მოხმარება წარმოების ისეთი პროცესია, რომლის დროსაც მოიხმარება წარმოების საშუალებები და ადამიანის სამუშაო ძალა და იქმნება პროდუქტი. არასაწარმოო მოხმარება იყოფა პირად მოხმარებად და ისეთ მოხმარებად, რომლის პროცესში ხდება საერთო საზოგადოებრივ მოთხოვნათა დაკმაყოფილება.

მოხმარებისა და მოთხოვნის ელასტიურობა – მოხმარებისა და მოთხოვნის შეფარდებითი ცვლილება, რომელიც განპირობებულია მათზე მოქმედი ფაქტორების, ძირითადად, მოსახლეობის შემოსავლებისა და საქონლის ფასების ცვლილებით.

მოხმარების საგნები – არასაწარმოო, პირველ ყოვლისა, პირადი მოხმარების შრომის პროდუქტები (საკვები პროდუქტი, ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, ავეჯი, წიგნები, ჟურნალები, მედიკამენტები და

სხვა).

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები – ეროვნული შემოსავლის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია საზოგადოების წევრთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მისი მეშვეობით სახელმწიფო გეგმაზომიერად ზემოქმედებს მოსახლეობის შემოსავლისა და ხარჯების სტრუქტურის ფორმირებაზე.

მოჯალაბე – ყმა გლეხთა უმდაბლესი სოციალური კატეგორია XVII–XVIII სს. საქართველოში. დოკუმენტში მოჯალაბე ზოგჯერ იწოდებოდა მესადგომეც ან მოსახელედ. იგი იყო ტყვე, ნამზითევი ან ნასყიდი ადამიანი. მას საკუთარი მიწა და კარმიდამო არ გააჩნდა, თავისი ოჯახით მებატონის კარზე ცხოვრობდა, მის სრულ განკარგულებაში იყო და ყველაზე მძიმე და სათაკილო სამუშაოებს ასრულებდა. ბატონს შეეძლო მოჯალაბის ოჯახის წევრები ცალკეულად გაეყიდა. იგი მონურ მდგომარეობაში იყო იმ განსხვავებით, რომ ბატონს მისი მოკვლა არ შეეძლო. გლეხის გადაყვანა მოჯალაბის კატეგორიაში სასჯელის ერთ-ერთ უმძიმეს ზომად ითვლებოდა. მოჯალაბე ყმობიდან განთავისუფლდა სხვა გლეხებთან ერთად საგლეხო რეფორმის დროს.

მოჯამაგირენი – კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის დაქირავებული მუშები, რომელთაც აქვთ პატარა მიწის ნაკვეთი. მათი არსებობის ერთადერთი წყაროა მძიმე დაქირავებული შრომა, რომელიც სოფლის მეურნეობის სხვა მუშების შრომასთან შედარებით გაცილებით ნაკლები ოდენობით უნაზღაურდებათ.

მრავალსაფეხურიანი არჩევნები – არაპირდაპირი არჩევნები – არჩევნების სისტემა, რომლის დროსაც წარმომადგენლობითი ორგანოს დეპუტატებს ან სახელმწიფოს მეთაურს ამომრჩევლები ირჩევენ არა უშუალოდ, არამედ ე.წ. ამრჩევების მეშვეობით. მრავალსაფეხურიანი არჩევნების წესით ირჩევენ, მაგ. აშშ-ის პრეზიდენტს, აშშ-ს მოსახლეობა ირჩევს ამრჩევებს, რომლებიც პრეზიდენტობის კანდიდატებისაგან ერთერთს აძლევენ ხმას.

მრავალშვილიანი დედა – შრომითი კანონმდებლობით 3 ან მეტი შვილის დედა, რომლისთვისაც გარკვეული შეღავათებია დადგენილი. დედას, რომელსაც ჰყავს 2 შვილი და შეეძინება 3-ე, ეძლევა ერთდროული შემწეობა, მეოთხე და შემდეგი შვილების დაბადებისას კი – როგორც ერთდროული, ისე ყოველთვიური შემწეობა ბავშვის 1 წლის ასაკიდან 5 წლამდე. შეღავათები აქვთ საბავშვო ბაღებსა და ბაგებში კუების ფულის გადახდის დროს, პენსიით უსრუნველყოფისას. დაწესებულია სპეციალური ორდენები და მედლე-

ბი: „ცმირი დეღა“, „დედობის მედალი“, „დედის დიდება“ და სხვა.

მრავალცოლიანობა – ორცოლიანობა – სამართლის მიხედვით საზოგადოებრივად საშიში ქმედობა – მამაკაცის ცხოვრება ერთად,. საერთო მეურნეობის წარმოებით, ორ ან რამდენიმე ქალთან. ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს ამ ქალებთან ქორწინების რეგისტრაციას, მარტოოდენ თანაცხოვრების ფაქტის დადგენაც საკმარისია. ერთიანი მეურნეობის წარმოება მაშინაც შეიძლება, როცა ცოლები ქმართან ერთად ოჯახში არ ცხოვრობენ, მაგრამ მათი მეურნეობა ქმრის საერთო მეურნეობის ნაწილია. მრავალცოლიანობა მავნე ჩვეულებების გადმონაშთია, ქალს აყენებს დამამცირებელ მდგომარეობაში და არღვევს ერთქორწინების პრინციპს. მრავალცოლიანობისათვის სისხლის სამართლის კოდექსი პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

მრეწველობის ნაციონალიზაცია – სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა გადასვლა კერძო საკუთრებიდან სახელმწიფო საკუთრებაზე. იგი ორი ძირითადი გზით ხორციელდება – კონფისკაციითა და რეკვიზიციით. პირველი ნიშნავს კერძო საკუთრების ძალდატანებით გადაქცევას სახელმწიფო საკუთრებად ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, ხოლო მეორე – კერძო საკუთრების სახელმწიფო საკუთრებაში ისეთ გადასვლას, როცა მის კერძო მესაკუთრეს ამ საკუთრების ღირებულება ან მისი ნაწილი აუნაზღაურდება.

მრუშობა – მრუშება (სამართლის ისტორია) – ძველ საქართველოში სქესობრივი კავშირი ცოლისა სხვა კაცთან ან ქმარისა სხვა ქალთან. „მეუღლიანობის ბოზობა“ (საბა) საეკლესიო სამართალი მრუშობისათვის სასჯელად 15 წელს უზიარებლად ყოფნას აწესებდა. საერო სამართლითა და ზნეობით მრუშობა ქმარს დიდ დანაშაულად არ ეთვლებოდა, მოღალატე ცოლს კი ქმარი გაეყრებოდა და მის საყვარელ კაცზედაც შურს იძიებდა.

მრჩეველთა პალატა – იაპონიის პარლამენტის ზედა პალატის სახელწოდება.

მსახური – სოციალური ფენის წარმომადგენელი ფეოდალურ საქართველოში. მსახური პირადად არათავისუფალი იყო და გლეხობის ზედა ფენაში შედიოდა. მსახურს „მსახურის მამული“ ეჭირა, გასხვისების უფლება არ ჰქონდა, რადგან მესაკუთრეც მისი ბატონი ითვლებოდა. ზოგიერთ მსახურს ჰქონდა ნაყიდი მიწაც, რომლის განმკარგულებელი თავად იყო. გაქცეული გლეხის საძებრად დაწესებული 30 წლიანი ვადა მასზედაც ვრცელდებოდა. მსახურთა ვალდებულება იყო: მოლაშქრეო-

ბა, მოხელეობა, სამასპინძლო და სხვა. მსახურთა ფენიდან ხდებოდა აზნაურთა წოდების შეცსება. გამარჯვებით დამთავრებული ომები მოლაშქრე მსახურებს ქონების შეძენისა და აზნაურული სამსახურის საშუალებას აძლევდა. შუა საუკუნეებში მსახურის სინონიმად იხმარებოდა თარხანი ან აზატი. ბატონს უფლება ჰქონდა დაესაჯა იგი ცემით, დაბმით, დარბეცით.

მსახურთუხუცესი – მაღალი სახელმწიფო თანამდებობის პირი ფეოდალურ საქართველოში. იგი პირველად XII ს-ში გიორგი III-ის მეფობის ხანაში იხსენიება. მსახურთუხუცესი ხელშინაურ მოხელედ ითვლებოდა. XIII ს-ში რუსუდან მეფემ იგი სავაზიროში შეიყვანა და ამ დროიდან იგი ვეზირად ითელებოდა, მეჯურჯლეთუხუცესთან ერთად „ორთა ვეზირთა“ ჯგუფს შეადგენდა. მისი ფუნქციები მრავალგვარი იყო და სამ ერთმანეთთან ნაკლებად დაკავშირებულ სფეროს – სალაროს, მეფის საწოლსა და მისსავე კერძო მეურნეობას მოიცავდა. მის ერთ-ერთ მოვალეობად ითელებოდა „შეკაზმვა მეფისა“. მას ექვემდებარებოდნენ „მსახურნი მეფისა“, მოლარეთუხუცესი, მესაწოლეთუხუცესი, ფარეშთუხუცესი და სხვა სათანადო მოხელეები.

მსაჯულთუხუცესი – ყახუშტი ბატონიშვილის მიხედვით ფეოდალური საქართველოს მთავარი მსაჯული. სასამართლო უწყების უფროსი, რომელსაც როსტომ მეფის ადმინისტრაციული რეფორმის შემდეგ მდივანბეგი ეწოდა.

მსაჯულთშეკრებულობა – ქართლ-კახეთის სამეფოში მდივანბეგთა კოლეგიური სასამართლოს სახელწოდება XVIII-ის 80-იან წლებში. ეს ახალი უფრო გაქართულებული სახელწოდება მდივანბეგთა, რომელიც ცენტ. ხელისუფლების მოსამართლეთა, ავტორი-ტეტისა და უფლებამოსილების განმტკიცებას გამოხატავდა. მას შეეძლო ყოველგვარი საქმე გაერჩია. იგი საქმეებს განიხილავდა საკუთარი ინიციატივითა და მეფის,.დედოფლის ან ბატონიშვილის დაეალებით და ამავე დროს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოსაც წარმოადგენდა.

მსაჯული – საქმის პირველი ინსტანციით განმხილველი სასამართლოს წევრი, რომელიც აღჭურვილია მოსამართლის ყველა უფლებამოსილებით. საქართველოს კანონმდებლობით მსაჯულები მონაწილეობენ მხოლოდ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში საქმის განხილვისას.

მსხვერპლშეწირვა (ძველ საქართველოში, ზორცა, კმეცა, მსხვერპლი) – კულტმსახურების ფორმა, შესაწირავთა მირთმევა გაღეთაებრიეებული საგნების, სულებ-

ისა და ღვთაებებისადმი მათი გულის მოგების, კეთილგანწყობის ან სადენილ ცოდვათა მიტევების შინაარსით. მსხვერპლშეწირვის შესახებ საერთო აზრი არ არსებობს. უძველესი დროიდან არსებობს ორი ფორმა: სისხლიანი და უსისხლო. სისხლიანი მსხვერპლი უმთავრესად ცხოველთა შეწირვას გულისხმობდა. მისი უმაღლესი გამოვლინება იყო ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ან თვითმკვლელობა ან თვითდასახიჩრება. მოგვიანო ხანაში სისხლიანი მსხვერპლი ძირითადად ცხოველთა და ფრინველთა შეწირვით სრულდებოდა. უსისხლო მსხვერპლშეწირვად ითვლებოდა პირველი მოსავლის მირთმევა, ვოტიული საგნების მიტანა საკულტო ადგილას, სანთლისა და ლამპრის ანთება, რელიგიური ასკეტური წესით ცხოვრება აღთქმული დროის მონაკვეთში.

მსჯავრდებული – პირი, რომლის მიმართაც სასამართლომ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი. მსჯავრდებულის უფლებათა შეზღუდვა განისაზღვრება კანონით.

მსჯელობა – აზროვნების ფორმა, რომლითაც აისახება საგნობრივი ყოთარება, საგნებსა და მოვლენებს აქვს ესა და ეს თვისება, ან რომ ისინი ასეთსა და ასეთ მიმართებაში არიან ერთმანეთთან.

მტკიცების ტვირთი – (ლათ.) მტკიცებულობის წარდგენის მოვალეობა, რაც ეკისრება სასამართლო პროცესის მონაწილეს საქმის გადაწყვეტისათვის საჭირო გარემოებათა დასადასტურებლად. სისხლის სამართლის პროცესში მტკიცების ტვირთი ეკისრება ბრალმდებელს (მისი გადატანა ბრალდებულზე არ შეიძლება), სამოქალაქო პროცესში კი – მხარეებს (მოსარჩლე, მოპასუხე) იმ გარემოებათა დასამტკიცებლად, რომლებზედაც ისინი ამყარებენ თავიანთ მოთხოვნას თუ შესაგებელს. სასამართლოს უფლება აქვს საქმეში მონაწილე პირებს დააევალოს დამატებითი მტკიცებულების წარდგენა ან თავისი ინიციატივით შეკრიბოს მტკიცებულობანი მხარეთა ნამდვილი ურთიერთობის დასადგენად.

მტკიცებულება – ყოველგვარი ფაქტობრივი მონაცემები, რომლის საფუძველზე კანონით განსაზღვრული წესით მომკვლევი პირი, გამომძიებელი და სასამართლო დაადგენენ იმ გარემოებათა არსებობას ან არ არსებობას, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ სისხლის თუ სამოქალაქო სამართლის საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. ამ ფაქტობრივი მონაცემების დადგენა ხდება მხარეთა და მესამე პირთა ახსნა-განმარტებით, ბრალდებულის, დაზარალებულის, ეჭვმიტანილისა და მოწმის ჩვენებით, ექსპერტის დასკვნით, ნივთი-

ერი და წერილობითი მტკიცებულობით, საგამომძიებლო და სასამართლო მოქმედებათა ოქმებით. სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას მტკიცებულებათა გამოყენებით ადგენენ დანაშაულის ჩადენის ფაქტს, პირის ბრალდებულებას დანაშაულის ჩადენაში და ა.შ. სამოქალაქო სამართლის პროცესში მტკიცებულებათა საფუძველზე დაადგენენ გარემოებებს, რომლებიც ასაბუთებენ მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს.

პროცესუალურ სასამართლოს თეორიაში განასხვავებენ პიროვნულ და ნივთიერ მტკიცებულებებს. პიროვნული მტკიცებულება შეიცავს მხარეების, ბრალდებულის, მოწმის, ეჭვმიტანილისა და ა.შ. ახსნა-განმარტებებსა და ჩვენებებს. ნივთიერი მტკიცებულებებია ის საგნები, რომლებიც თავისი ხარისხით, თვისებით ან თავისი არსებობით წარმოადგენენ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენის საშუალებას. ფორმირების პროცესის მიხედვით განასხვავებენ პირველად და წარმოებულ მტკიცებულებებს. მაგ. დოკუმენტის დედანი პირველადი მტკიცებულებაა. განასხვავებენ პირდაპირ და არაპირდაპირ მტკიცებულებას. პირდაპირია მაგ. ექსპერტის დასკვნა, რომ ანონიმური წერილი შესრულებულია ბრალდებულის მიერ. არაპირდაპირია მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც სავარაუდო დასკვნის გაკეთება დასადგენი გარემოების არსებობა – არ არსებობის შესახებ. მაგ. მოწმის ჩვენება, რომ მან უშუალოდ დანაშაულის ადგილზე ნახა გარკვეული პირი არაპირდაპირი მტკიცებულებაა. (სსსკ. მუხ. 110, 132. სამ. საპ. კოდ. მუხ. 102, 105).

მუდმივი წარმომადგენლობა – წარმომადგენლობითი ორგანო მინისტრთა კაბინეტთან. მისი დანიშნულებაა მონაწილეობა მიიღოს ყველა იმ საკითხთა განხილვასა და გადაწყვეტაში, რომელიც მინისტრთა კაბინეტს შეაქვს მინისტრთა საბჭოში, სამინისტროებში, უწყებებსა და სხვა ცენტრალურ დაწესებულებებში.

მუსლიმი – (არაბ. მულქ – მფლობელობა) – მიწის კერძო საკუთრების სახეობა ფეოდალიზმის პერიოდში ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ამიერკავკასიასა და შუა აზიაში. ტერმინი მულქი იხმარებოდა: 1. სუნიტურად; 2. მიწის ფეოდალური საკუთრება, რომელიც იქტასაგან განსხვავებით სახელმწიფოს ან კასალური სამსახურით არ იყო გაპირობებული (შეად. ტყისა და წყლის საერთო ნაგებობათა კერძო საკუთრება; 4. მიწის წვრილ-წვრილი საკუთრება და სხვა.

მუნიციპალიზაცია – (ლათ.) კერძო პირისათვის (მიწის, ნაგებობის, საწარმოს და ა.შ.) იძულებითი ჩამორთმევა და მისი გა-

დაცემა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა ან ადგილობრივ თვითმართველობის ორგანოთა განკარგულებაში.

მუნიციპალიტეტი – (გერმ. ქალაქი, რომელსაც თვითმმართველობა აქვს), ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ადგილობრივი მმართველობის ან თვითმმართველობის არჩევითი ორგანო, ზოგჯერ კი მხოლოდ საქალაქო მმართველობის ორგანოს სახელწოდება (აშშ-ში და დიდ ბრიტანეთში). მას ირჩევენ შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულის (მაგ. ქალაქის, დეპარტამენტის, საგრაფოსა და სხვა) მოსახლეობა. იგი, როგორც წესი, შედგება არჩევითი კოლეგიისაგან. ასეთ კოლეგიას სათავეში უდგას მერი ან ბურგომისტრი. მის საქმიანობაში შედის სასკოლო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და ადგ. მნიშვნელობის სხვა საკითხები.

„მუნიციპალური სოციალიზმი“ – რეფორმისტული სოციალიზმის ერთ-ერთი მიმართულება. „მუნიციპალური სოციალიზმი“ ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების (მუნიციპალიტეტების) საკითხებში ან განკარგულებაში ქალაქის ტრანსპორტის, ელექტროსადგურების, სკოლების, საავადმყოფოების და ა.შ. გადაცემას განიხილავს, როგორც კაპიტალიზმის სოციალიზმში თანდათანობით მშვიდობიანი „შესრდის“ გზას.

მუნიციპიუმი – (ლათ. ვალდებულებას ვიღებ) – რომის რესპუბლიკის ეპოქაში სტატუტი რომის მოკავშირე ქალაქებისა, რომელთა თავისუფალ მოსახლეობას ენიჭებოდა რომის მოქალაქეობის უფლებები სრული ან შეზღუდული სახით. იცი 2 კატეგორიისა იყო: რომაული მუნიციპიუმი თვითმმართველობით სარგებლობდა, ხოლო მისი მოქალაქეები რომის სრულუფლებიან მოქალაქეებად ითვლებოდნენ. მეორე კატეგორიის მუნიციპიუმის მოსახლეობას არ ჰქონდა პოლიტიკური უფლებები რომში, მაგრამ რომაელი მოქალაქეების ვალდებულებებს ასრულებდა. ძვ.წ. 90–88, მოკავშირეთა ომის შემდეგ მთელი იტალიის თავისუფალმა მოსახლეობამ მიიღო რომის მოქალაქეობა. იულიუს კეისრის კანონმდებლობით (ძვ. წ. 45–44) ყველა მუნიციპიუმი უფლებებით რომს გაუტოლდა. იმპერიის პერიოდში მუნიციპიუმის სტატუტი პრივილეგიის სახით, პროვინციის ზოგიერთ ქალაქს ენიჭებოდა. იმპერატორ კარაკალას ედიქტით (212), მთელი იმპერიის თავისუფალ მოსახლეობას რომის მოქალაქეობა მიენიჭა, ხოლო ყველა ქალაქმა მუნიციპიუმი მიიღო.

მუნში – მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მუნშის თანამდებობა ქართლში დაწეს-

და როსტომ მეფის დროს (XVII ს.). ქართლი ირანის ვასალი იყო და მუნში ემსახურებოდა, როგორც ირანის შაჰს, ისე ქართლის მეფეს. ქართლის მეფის, ვეზირისა და მუსტოფის დავალებით იგი მუშაობდა სპარსული საბუთების, ანგარიშებისა და წერილების შედგენაზე. ვეზირი და მუსტოფი მუნშის იჭენებდნენ თავიანთ საკონტროლო საქმიანობასთან დაკავშირებითაც.

მუს კოდექსი – ჯოუს ეპოქის ჩინეთის სისხლის სამართლის ნორმათა კრებული. მიეწერება ძ.წ. X ს. ნახევრად ლეგენდარულ მეფე მუს (ვანს). შეიცავდა 3000 მუხლს. ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯასა და გამახიბრებელ სასჯელებს. განასხვავებდა განზრახ და გაუფრთხილებელ დანაშაულს. კოდექსის წყარო იყო ჩვეულებითი სამართალი.

მუსკოვიტი – მოსკოვია – რუსეთის ძველი სახელწოდება.

მუსკოგები – ენით მონათესავე ინდიელი ტომები (კრიკები, ჩოქტო, სემინოლები, აპალაჩები და სხვა).

მუსლიმანური სამართალი – სამართლის სისტემა, რომელიც ჩამოყალიბდა არაბთა სახალიფოში VII–X სს-ში. იგი ისლამის კვალდაკვალ გაერცელდა. თურქეთში იგი 1926-მდე მოქმედებდა. იორდანიასა და ზოგიერთ მუსლიმანურ ქვეყანაში მას დღემდე არ დაუკარგავს მოქმედი სამართლებრივი ძალა. მის წყაროდ ითვლება ყურანი, ყურანის დამატებები, წინასწარმეტყველ მუჰამედის (მაჰმადის) – მუსლიმანთა კანონმდებლობის ანუ „შარიას“ შეგონებები და გადაწყვეტილებები, ყვტეა – ყველაზე სახელმოხვეჭილი კანონმდებლობის სანიმუშო გადაწყვეტილებების კრებული. აგრეთვე არაოფიციალური წყარო იყო ადათი, რომელსაც კანონში არსებული ხარვეზის შესავსებად იყენებდნენ. მისთვის დამახასიათებელია რელიგიური და სამართლებრივი ნორმების შერწყმა. დაბალია სამოქალაქო სამართლის განვითარების დონე. რეაქციულობითა და ჩამორჩენილობით გამოირჩევა სისხლის სამართალი, დაკანონებულია სისხლის აღება. შეზღუდულია ქალის უფლებები, დაწესებულია მრავალცოლიანობა. საპროცესო სამართალი არ ცნობდა საკასაციო ინსტანციას, განაჩენი მაშინვე მოჰყავდათ სისრულეში. მუსლიმანური სამართალი ძირითადად კანონმცოდნეების მეშვეობით ვითარდებოდა. ცნობილი კანონმცოდნეები იყვნენ: აბუ ჰანიფა, მალიქ იბნ ანასი, ალ შაფიი და აჰმად იბნ ჰანბალი, რომლებიც მუსლიმანური სამართლის ფუძემდებლად ითვლებიან.

მუსლიმანური ლიგა – პაკისტანის პოლიტიკური პარტია. შეიქმნა 1906 წ. ქ.დაკაში ბრიტანეთის ინდოეთის მუსლიმანური საზოგადოების ორგანიზაციების

ხელმძღვანელთა კონფერენციაზე. ამჟამად ორგანიზაციულად არსებობს სამი მუსლიმანური ლიგა.

მუსტოფი – მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მუსტოფი ისევე როგორც ვეზირი და მუნში ქართლში განწესდა როსტომ მეფის დროს (XVII ს). ის ირანის მოხელე იყო ვასალური ქართლის მეფის კარზე და საკონტროლო ფუნქციები ეკისრებოდა. იგი ერთდროულად ქართლის მეფის მოხელედაც ითვლებოდა. მონაწილეობდა სამეფოს მართვა-გამგეობაში, შემოსავალ–გასავლის დარგში და სათანადო მოხსენებასაც წარუდგენდა ირანში. მუსტოფის თანამდებობაზე ქართლის მეფე სპარსული წარმოშობის პირს ნიშნავდა.

მუფთი – (არაბ.) მუსლიმანებში სამართალმცოდნე ღვთისმეტყველი, რომელსაც უფლება აქვს გამოიტანოს გადაწყვეტილება რელიგიურ-იურიდიულ საკითხზე. მისცეს ახსნა-განმარტება შარიათის გამოყენების თაობაზე. მუფთი ყველა მუსლიმანურ სასამართლოშია. მუფთების წრიდან ირჩევენ დიდ მუფთს, რომელსაც თურქები შეიხულ ისლამს – უწოდებენ.

მუძარა – (სამართ.) დაზარალებულის სიმშვიდისა და უშიშროების გრძნობის ხელყოფა, მისი დაშინება იმით, რომ თვით დაზარალებულის ან მისი ახლობლის მიმართ გამოიყენებენ ფიზიკურ ძალადობას ანდა მიაყენებენ მატერიალურ ზიანს. დამუქრება შესაძლოა ზეპირად (უშუალოდ ან ტელეფონით), მესამე პირის მეშვეობით, წერილობით (აშკარად ან ანონიმურად), სიმბოლური მოქმედებით (იარაღის დემონსტრირებით). სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, ყოველგვარი მუქარა არ იწყევს სასჯელს. დამმუქრებელი სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს იმ შემთხვევაში, თუ იგი დაზარალებულს ემუქრება მოკვლით ან სხეულის მძიმე დაშავებით, ანდა ქონების დაზიანებით საყოველთაო საშიში საშუალებით (დაწვა, აფეთქება); ამასთანავე მუქარის შესრულების საფრთხე საკმაოდ საფუძვლიანი უნდა იყოს. მუქარა გულისხმობს პირდაპირ განზრახვას, – დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ თავისი მოქმედებით ხელყოფს დაზარალებულის სიმშვიდესა და უშიშროების გრძნობას და სწორედ ეს სურს მას, თუმცა შესაძლებელია არც კი ჰქონდეს მისი შესრულების ნამდვილი განზრახვა. მუქარა ზოგჯერ დანაშაულის ჩადენის საშუალებაა (მაგ. გაუპატიურების, ყაჩაღობის, გამოძალვის დროს).

მუშრიბი – (არაბ. ზედამხედველი, მეთვალყურე, მწერალი) – მოხელე ძველ საქართველოში. გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში მუშრიბი მეჯურჭლ-

ეთუხუცესს ექვემდებარებოდა და ქალაქებში აკრეფილ ბაუსა თუ საგაჭრო გადასახადს საჭურჭლის უხუცესებს აბარებდა. XVI – XVII სს-ში მუშრიბი მოსაქმეობდა სხვადასხვა უწყებაში, სადაც ძირითადად საანგარიშსწორებო დოკუმენტებს ადგენდა.

მუშქები – ძვ. წ. XII–VII სს. ასურულ, ხეთურ – იეროგლიფურ და ურარტულ წყაროებში მოხსენიებული „მუშქების ქვეყნის“ მკვიდრნი.

მუჩალბა – (თურქ.) მულჩაგის წიგნი, ხელწერილი, XVI –XIX ს.ს. საქართველოში, რომელიც ჩამოერთმეოდა პირს იმის საბუთად, რომ ის თავის ვალდებულებას დათქმულ ვადაზე შეასრულებდა, სასამართლო დადგენილების ყაბული იქნებოდა, თუ იგი ამა თუ იმ ქმედობას არ ჩაიდენდა და ა.შ.

მუხრანბატონები – ფეოდალური საგვარეულოს ერთი შტო. გვარის ფუძემდებელია ბაგრატ მუხრანბატონი, რომელსაც საუფლისწულოდ გადაეცა სამუხრანო. ბაგრატი დაინიშნა შიდა ქართლის სადროშოს სარდლად. ამიერიდან სარდლობა მუხრანბატონების სახლის სამემკვიდრეო თანამდებობად იქცა.

მუჯალამა – (არაბ.) რაიმე გარემოების დამადასტურებელი მოწმობა – საბუთი XVI –XIX სს. საქართველოში.

მუჯთაჰიდი – (არაბ. თაქდადებული, გულმოდგინე) – მუსლიმანი ღვთისმეტყველი და კანონის მცოდნე, რომელსაც შუა საუკუნეებში რელიგიურ-უფლებრივი საკითხების დამოუკიდებელი განმარტების უფლება (იჯდიჰადი) ჰქონდა. სუნიზმში მუჯთაჰიდი არის მაზჰაბების (საღვთისმეტყველო-იურიდიული სკოლების) დამაარსებელი და მეთაური. შიიზმში უმაღლესი შიიტური სასულიერო წრეების წარმომადგენელი.

მუჰაჯირები – (არაბ. გადასახლებული, ემიგრანტი) – ისლამის ქვეყნებში აღნიშნავს ემიგრანტებს, გადასახლებულთ. მუსლიმანური ტრადიციით, პირველი მუჰაჯირები იყვნენ წინასწარმეტყველი მაჰმადის მიმდევრები, რომლებიც 622 მასთან ერთად გადასახლდნენ მექიდან იასრიბში (მედინაში).

მუჰაჯიროობა – კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ძირითადად იძულებითი გადასახლება ოსმალეთის იმპერიაში XIX ს-ში. დაიწყო ოსმალეთის ბატონობის დამყარებიდან კავკასიაში და დროგამოშვებით I მსოფლიო ომამდე გაგრძელდა. მუჰაჯირობამ მოიცვა აბაზები, ჩერქეზები, ჩეჩნები, ოსები, აფხაზები და საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანი ქართველები, ოსმალეთი ცდილობდა მუჰაჯირების დასახლებას იმპერიის დაუსახლებელ ადგილებში, აგრეთვე რუსეთ-ოსმალეთის სასღ-

ვარზე. რუსეთს სურდა მთიელთა ოსმალეთში გადასახლებით მიეღწია პოლიტიკური სიმშვიდისათვის და განთავისუფლებული მიწები გამოეყენებინა ფართო კოლონიზაციისათვის. საქართველოში მუჰაჯირობამ ფართო მასშტაბი მიიღო 1877–78წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ. გურიიდან და აჭარიდან სულ წავიდა 150 ათ. სულზე მეტი. ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილმა დაიწყო ბრძოლა მუჰაჯირობის შესაწყვეტად. გადასახლებულთა სამშობლოში დასაბრუნებლად დიდი მუშაობა ჩაატარეს გ. წერეთელმა, ს. მესხმა, გ. გურიელმა და სხვა. ნაწილი გადასახლებულები უკან დაბრუნდნენ, ნაწილი გადასახლებულებისა დასახლდა დას. თურქეთში, სტამბოლში და სხვა ქვეყნებში, რომლებმაც დღემდე შემოინახა მშობლიური ენა და ზოგიერთი ზნე-ჩვეულება.

მფლობელობა – (სამართ.) – ნივთის პირობა, ფაქტობრივი (ფიზ. ან სამეურნეო) ბატონობა ქონებაზე. მფლობელობა იქცევა საკუთრების უფლებად, თუ კანონი იცავს მას და სხვა პირთა მხრივ დარღვევისაგან. ასეთი უფლება უპირველესად ეკუთვნის მესაკუთრეს, რომელსაც ნივთის სარგებლობასა და ნივთის განკარგვასთან ერთად მისი ფლობის უფლება აქვს. მფლობელი შეიძლება იყოს არა მესაკუთრეც, მაგ. როცა მესაკუთრე თავის ქონებას გადასცემს სხვას ხელშეკრულებით. მესაკუთრეს უფლება აქვს გამოითხოვოს თავისი ქონება სხვისი უკანონო მფლობელისაგან. ასეთივე უფლება აქვს იმ პირს, რომელიც ფლობს ნივთს ხელშეკრულების საფუძველზე ან კანონის ძალით. განასხვავებენ კეთილსინდისიერ და არაკეთილსინდისიერ მესაკუთრეს. მესაკუთრე კეთილსინდისიერია, თუ მფლობელმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა თავისი არაკეთილსინდისიერება. არაკეთილსინდისიერი მესაკუთრის მაგალითია – ნაპოვნი ნივთის ფლობა. (სკ. მუხ. 155, 160).

მცირელობა – ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ღონისძიება, რომლის მიზანი იყო შინაური შფოთისა და მტერთა შემოსევების გამო ქართლიდან კახეთს გაქცეული გლეხების უკან დაბრუნება. ტერმინი ნაწარმოებია სიტყვისაგან „აყრა“. გლეხთა წინააღმდეგობის მიუხედავად 1707 ვახტანგ VI-მ ირანის შაჰის ნებართვით გაქცეულთა დიდი ნაწილი უკან დააბრუნა, რის შედეგად ქვემო ქართლის მრავალი დაცარიელებული სოფელი ხელახლა მოშენდა.

მშვიდობა საერთაშორისო – ისეთი მდგომარეობა მსოფლიოში, როცა სახელმწიფოთა შორის არ ხდება შეიარაღებული ბრძოლა, კერძო საკუთრებაზე დამყარებულ ყველა საზოგადოებრივ –

ეკონომიკურ ფორმაციაში მშვიდობა მხოლოდ ხანმოკლე პერიოდებში სუფევდა.

მშვიდობიანი თანაარსებობა – სხვადასხვა სოციალური წესწყობილების სახელმწიფოების კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ეპოქის ისტორიული კანონზომიერება, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და განსაზღვრავს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის არსს.

მშვიდობიანი მოსახლეობა – სამოქალაქო მოსახლეობა – მეომარი სახელმწიფოს მოქალაქეები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ ომში ან წინააღმდეგობის მოძრაობაში. მშვიდობიანი მოსახლეობის სამართლებრივი რეჟიმი დადგენილია ჰააგის კონვენციით სახმელეთო ომის კანონ-ჩვეულებათა შესახებ (1907) და ჟენევის კონვენციით ომის დროს მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის შესახებ. საომარი მოქმედება არ უნდა იყოს მიმართული მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, ავადმყოფების, ბავშვების, მოხუცების, ორსული ქალების საგანგებოდ დაცვის მიზნით მეომარ სახელმწიფოს შეუძლია შექმნას სპეციალური უსაფრთხოების ზონები, თავიანთ ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე. იგი მოვალეა პატივს სცემდეს მოქალაქეთა უფლებებს, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მას ეკრძალება მშვიდობიანი მოსახლეობის დაშინება, დასჯა, მსჯავრის დადება სასამართლო გარანტიების დაუცველად და კანონიერი განაჩენის გარეშე მძევლად დაკავება და სხვა. ჩვენი კანონმდებლობა უმძიმეს დანაშაულად თელის ძალადობას მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ.

მშვიდობის დაცვის კანონი – სსრკ უმაღლესი საბჭოს კანონი, რომელიც ომის პროპაგანდას თელის კაცობრიობის საწინააღმდეგო უმძიმეს დანაშაულად და იმ პირთათვის, რომლებიც ეწევიან ომის პროპაგანდას, ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

მშვიდობის მანიფესტი – დოკუმენტი, რომელიც მიიღეს მოსკოვში 1957 ნოემბერში, 64 კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირზე. იგი მოუწოდებდა მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს, მიუხედავად მათი პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებისა, ერთობლივად გადაულობონ გზა ატომურ ომს.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა – საერთაშორისო მასობრივი მოძრაობა ომისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ, აერთიანებს მშვიდობისა და ხალხის უშიშროების განმტკიცებისათვის მებრძოლ ადამიანებს, მათი ერ-

ოვნების, რელიგიის და პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად. მას საფუძველი ჩაეყარა II მსოფლიო ომის (1939–45) დამთავრების პირველივე წლებში 1948–49 იაპონიაში, იტალიაში, პოლონეთში, სსრკ-ში და სხვა ქვეყნებში შექმნა მშვიდობისათვის მებრძოლთა ადგილობრივი და ეროვნული ორგანიზაციები, მათ მხარში ამოუდგა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია და სხვა. მისი ძირითადი ამოცანებია: ბრძოლა საერთაშორისო ასპარეზზე მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განმტკიცებისათვის, მშვიდობის, ხალხთა უშიშროებისა და განიარაღებისათვის, კოლონიალიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციისათვის.

მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესი — ჩატარდა მოსკოვში 1973წ. 25–31 ოქტომბერს. მშვიდობისმოყვარე ძალების ყველაზე უფრო ფართო ფორუმი საზოგადოებრივ მოძრაობათა ისტორიაში, სადაც საბჭოთა დელეგაციამ ღრმად გააანალიზა საერთაშორისო მდგომარეობა და დასახა მნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგების, მთელ მსოფლიოში მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის მიღწევის გზები.

მშვიდობის მსოფლიო საბჭო — (მსს) — მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის უმაღლესი მუდმივი ორგანო, რომელსაც ირჩევენ ამ მოძრაობის საერთაშორისო კონგრესებსა და სესიებზე. შეიქმნა მშვიდობის მომხრეთა II მს. კონგრესზე (ვარშავა, 1950 ოქტომბერი). იგი წარმართავს და კოორდინაციას უწევს სხვადასხვა ქვეყნის მშვიდობის მომხრეთა საქმიანობას, ახდენს მათ მობილიზაციას მსოფლიო ომის წინააღმდეგ და საყოველთაო განიარაღებისათვის საბრძოლველად, მხარს უჭერს ბრძოლას იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ.

მშვიდობის პაქტი — ხელშეკრულება 5 დიდ სახელმწიფოს (სსრკ, აშშ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი) შორის, რომლის შესახებ წინადადება წამოაყენა 1949 სექტემბერში გაეროს გენერალური ანსამბლეის IV სესიაზე საბჭოთა დელეგაციამ. სსრკ წინადადებას აძლევდა დიდ სახელმწიფოებს უარი ეთქვათ ძალის გამოყენებასა და მუქარაზე. მოუწოდებდა ყველა სახელმწიფოს დაეცა და უთანხმოების მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაჭრისაკენ, მაგრამ იგი არ იქნა მიღებული ნატოს მონაწილე და მათი მომხრე ქვეყნების წინააღმდეგობის შედეგად. 1951 თებერვალში მშვიდობის მსოფლიო საბჭომ მიიღო მოწოდება, რომელიც მოითხოვდა მშვიდობის პაქტის დაღებას 5 დიდ სახელმ-

წიფოს მიერ, მაგრამ დასაელეთის სახელმწიფოებმა, მაინც უარი განაცხადეს მშვიდობის პაქტის დადებაზე.

მშვიდობის პროგრამა – თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ძირეული გაუმჯობესების, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის პრინციპული გარდაქმნის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ღონისძიებათა სისტემა, მიიღო სკკპ XXIV (1971) ყრილობამ. შემდეგ კი XXV (1976) და XXVI (1981) ყრილობებმა. იგი შეიცავს როგორც გრძელვადიანი პრობლემების, ასევე ყოველი ისტორიული მომენტისათვის დამახასიათებელი აქტუალური საერთაშორისო საკითხების გადაწყვეტის მეცნიერულად დასაბუთებულ კონკრეტულ ღონისძიებებს.

მშვიდობის საერთაშორისო პრემიები – დაწესდა მშვიდობის მომხრეთა I მსოფლიო კონგრესზე 1949. აპრილში. პრემიებს აკუთვნებს მშვიდობის მსოფლიო საბჭო მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს ისეთი ნაწარმოებისათვის, რომელიც ხელს უწყობს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებას. 1951 მშვიდობის მსოფლიო საბჭომ დაადგინა პრემიების 3 ფორმა: მშვიდობის საპატიო საერთაშორისო პრემიები, მშვიდობის საერთაშორისო პრემია და მშვიდობის ოქროს მედლები.

მშობელთა უფლება-მოვალეობანი – ის პირადი და ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც აქვთ მშობლებს შვილების მატერიალური უზრუნველყოფისა და სათანადო აღზრდისათვის, აგრეთვე მათი უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის. დედასა და შვილს შორის უფლება-მოვალეობის წარმოშობისათვის საკმარისია დედისაგან ბავშვის დაბადების ფაქტი. მამასა და შვილს შორის მსგავსი ურთიერთობის წარმოშობისათვის სისხლით ნათესაობის გარდა საჭიროა ქორწინების რეგისტრაცია ბავშვის დედასთან. მშობლის ძირითადი მოვალეობაა შვილების აღზრდა ფიზიკურად, გონებრივად, ზნეობრივად, ისე, რომ ისინი მზად იყვნენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის. შვილების აღზრდის საკითხს მშობლები ურთიერთთანხმობით წყვეტენ. შეუთანხმებლობის შემთხვევაში სადავო საკითხს გადაწყვეტს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. მშობელს შეიძლება ჩამოერთვას მშობლის უფლება სასამართლო წესით, თუ იგი თავს არიდებს შვილის აღზრდის მოვალეობას. (ს. მუხ. 1198).

მცდელობა დანაშაულისა – განზრახი მოქმედება, რომელიც

უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, თუ ამასთან დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მცდელობა შეიძლება იყოს დამთავრებული და დაუმთავრებელი. მცდელობა დაუმთავრებელია მაშინ როდესაც დამნაშავეს არ გაუკეთებია ყველაფერი, რისი გაკეთებაც მისი მხრით საჭირო იყო დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად. მცდელობა დამთავრებულია, მაშინაც როცა დამნაშავემ გააკეთა ყველაფერი, რაც საჭირო იყო დანაშაულის დასამთავრებლად, მაგრამ შედეგი არ განხორციელდა მისი ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. დანაშაულის მომზადება ისჯება იმავე კანონით, რითაც ისჯება დამთავრებული დანაშაული. (სსკ. მუხ. 19).

მძევალი – 1. საერთაშორისო სამართალში მძევლები უდანაშაულო პირებია, რომლებიც მეომარი სახელმწიფოს ხელისუფლებმა შეიპყრეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის დასაშინებლად და რომლებსაც ისინი სჯიან მოსახლეობის მხრივ წინააღმდეგობის ამა თუ იმ აქტის საპასუხოდ 2. ძველ საქართველოში მძევალი იყო პირობის სიმტკიცისათვის ან ერთგულება მორჩილებისა თუ მშვიდობის საწინდრად გამორთმეული ანდა შეპყრობილი ადამიანი. ხევსურეთის ჩვეულებითი სამართლის მიხედვით მძევალი „სისხლის“ გადახდის თავდებს წარმოადგენდა.

მწარმოებლური შრომა – შრომა, რომელიც ქმნის მატერიალურ დოვლათს წარმოების საზოგადოებრივი ფორმებისაგან დამოუკიდებლად. მწარმოებლურ შრომას კავშირი აქვს კონკრეტულ წარმოებით ურთიერთობასთან. მისი კატეგორიის განსაზღვრისას უნდა გამოვიდეთ „... იმ გარკვეული საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობიდან, რომელშიც ეს შრომა ხორციელდება“.

მწარმოებლური და არამწარმოებლური ხარჯები – პროდუქტის დამზადებაზე საზოგადოებრივი შრომის ერთობლივი დანახარჯები შეადგენს მწარმოებლურ ხარჯებს, ხოლო დანაკარგები, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების არარაციონალურ გამოყენებასთან, წარმოქმნის არამწარმოებლურ ხარჯებს.

მწიგნობართუხუცესი – მწიგნობართა უფროსი, სამეფო კარის სამდივნოს მეთაური ფეოდალურ საქართველოში. მწიგნობართუხუცესი პირველად X–XI სს. ძეგლებში იხსენიება. დავით აღმაშენებელმა საეკლესიო ფეოდალების ალაგმვისა და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების მიზნით მწიგნობართუხუცესი

ჭყონდიდელობასთან შეაერთა.

მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი – პირველი ვეზირი ფეოდალურ საქართველოში. საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერების განმტკიცების მიზნით 1103–04წ. დავით აღმაშენებელმა გააერთიანა მწიგნობართუხუცესისა და ჭყონდიდელის თანამდებობა. მწიგნობართუხუცესობა არსებითად განსხვავდება სხვა თანამდებობიდან (ყველა სხვა „ხელი" მიწათმფლობელობასთან იყო დაკავშირებული). მწიგნობართუხუცესი მონაზონი იყო და არ იჩენდა თანამდებობის სამემკვიდრეოდ გადაქცევის მიდრეკილებას. იგი მთლიანად მეფის ცენტრალურ ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული და ამიტომ თავგამოდებით უჭერდა მხარს მის გაძლიერებას. მეფის ერთგული მოხელე მწიგნობართუხუცესი ამავე დროს საეკლესიო სფეროში გაელენიანი თანამდებობის – ჭყონდიდელობის მფლობელიც გახდა.

მწიგნობარი – მწიგნობრობაში გაწვრთვნილი, საქმისმწარმოებელი მოხელე ფეოდალურ საქართველოში. მწიგნობარი მწიგნობართუხუცესს ექვემდებარებოდა. იგი ადგენდა სხვადასხვა სახის სიგელებს, ბრძანებებს, ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით დასტურდება 26 მწიგნობარის არსებობა. თანამდებობით ყველაზე უფროსი იყო საწოლის მწიგნობარი, რომელიც მწიგნობართუხუცესს-ჭყონდიდელის მოადგილედ ითვლებოდა და საეზირო სხდომასაც ესწრებოდა. „მოჩივართა განკითხვის" დროს მწიგნობართუხუცესს-ჭყონდიდელს საწოლის მწიგნობართან ერთად თან ახლდა ზარდახნის მწიგნობარი. არსებობდა აგრეთვე საჭურჭლის მწიგნობარის თანამდებობა, რომელთაც ქონდათ განსაკუთრებული სამოხელეო ნიშანი ე.წ. „საწერელი".

მწირი – 1. უცხოეთიდან გადმოხვეწილი უთვისტომო, უნათესაო ადამიანი. 2. უხარისხო, მორჩილი.

მხარბრძელები – დიდებულ ფეოდალთა საგვარეულო XII–XIV სს. საქართველოში. მათი აღზევება დაიწყო გიორგი III-ის კარზე დემნა უფლისწულის ამბოხების (1177) შემდეგ. განსაკუთრებით გაძლიერდნენ მეფე თამარისა და მისი მემკვიდრეების ლაშა გიორგისა და რუსუდანის დროს. სამეფო კარზე არსებული 6 უხუცეს ვაზირის „ხელიდან" ამირსპასალარისა, მანდატურთხუცესისა, ათაბაგისა და მსახურთუხუცესისა – მხარგძელებსა და მათ საგვარეულო განშტოებათა წარმომადგენლებს ეპყრათ.

მხარე – 1. ქვეყანა, ოლქი, მიწაწყალი, ადგილი. თავდაპირველად მსარე ნიშნავდა სახელმწიფოს სამფლობელოთა საზღვარზე მდებარე ტერიტორიას, შემდეგ კი საკმაოდ ერცელ გეოგრაფიულ ან ისტორიულ ოლქს. 2. რუსეთში

XVIII–XIX სს იმპერიის განაპირა ტერიტორია, მაგ. კავკასიის მხარე. მხარის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოა სახალხო დეპუტატთა სამხარეო საბჭო.

მხარე სასამართლო პროცესში – პროცესის მონაწილე, რომელსაც განსაზღვრული უფლებები აქვს მინიჭებული. მხარედ სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, აგრეთვე ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები. სისხლის სამართლის საქმეში კი ბრალმდებელი, განსასჯელი, დამცველი, დაზარალებული, აგრეთვე სამოქალაქო მოსარჩლე, სამოქალაქო მოპასუხე და მათი წარმომადგენლები.

მხატვართუხუცესი – მხატვართა უფროსი, მთავარი მხატვარი ძველ საქართველოში. სამთავროს ნეკროპოლში 1938 აღმოჩენილ ბერძნულ წარწერა – ეპიტაფიაში მოხსენიებულია მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი ავრელიუს აქოლოსი. როგორც ჩანს იმ დროს მცხეთაში არსებობდა მხატვართუხუცესის სახელო, რაც ქაოლში საქალაქო ცხოვრების მაღალ განვითარებაზე მიუთითებს.

მხევალი – მონა ქალის აღმნიშვნელი უძველესი ქართული სოციალური ტერმინი. არსებობს მოსაზრება, რომ ეს ტერმინი უნდა ნამოყალიბებულიყო პატრიარქალური მონობის ხანაში, როდესაც შინაური მონების, „სახლის წულების“ მსგავსად მონა ქალებიც სახლის ქალიშვილებად ითვლებოდნენ. ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებში მხევალის მნიშვნელობით იხმარება შიმუნვარიც.

მხითარ გოშის სამართლის წიგნი – იურიდიული კრებული, რომელიც ვართაპეტმა (სჯულის მოძღვარმა) მხითარ გოშმა შეადგინა. კანონთა წერა გოშს 1184 დაუწყია მკვლევარის ვარაუდით კრებულზე იგი გარდაცვალებამდე 1213 მუშაობდა. სამართლის წიგნი შედგება შესავლისა და 2 ნაწილისაგან. საეკლესიო სჯული (მუხლები 1– 124) და საერო სჯული (1–130 მუხლები). კრებული შედგენილია უსისტემოდ, სამართლის ნორმები და დებულებები გადმოცემულია ლიტერატურული წყაროების მიხედვით კანონთა ძირითადი წყაროა სომხეთის ჩვეულებითი სამართალი. ძველი აღქმიდან გამოყენებულია „მეორე სჯულთა“ და „ლევიტელთა“ ნორმები, სომხური კანონების კრებული, სასამართლო პრაქტიკა და სხვა. იგი შეიცავს მორალური ხასიათის რჩევა-დარიგებებს ფეოდალური თვითნებობის შეზღუდვის შესახებ.

ნ

ნაბიჭვარი – (სამართ. ისტორია) – ქორწინების გარეშე ნაყოლი შვილი, ძველ საქართველოში. ნაბიჭვარის მნიშვნელობით „ბუში“, „ბიჭი“, „ცოდვის შვილი“ და „მხეცის შვილი“ იხმარებოდა. ნაბიჭვარი კანონიერ ანუ „მართალ შვილს“ უპირისპირდებოდა. ყმა ქალის ნაბიჭვარი მის ბატონს ეკუთვნოდა. „დიდებულისა შექმნილ“ ნაბიჭვარს აზნაურობა ენიჭებოდა და არ ითვლებოდა თავისი მშობლების უძრავი ქონების მემკვიდრედ. ნაბიჭვარ ვაჟს შეეძლო „ერთის ყმის ალაგს“, ანდა სხვა ვინმეს ყმობოდა. ქალი კი მამას უნდა გაეთხოვებინა და გაემზითვებინა.

ნაბა – მოინათესავე მთიელ ტომთა ჯგუფი. ცხოვრობდნენ ინდოეთში. ლაპარაკობდნენ ტიბეტურ – ბირმული ჯგუფის ენაზე. ინარჩუნებენ ანისტურ რწმენებს.

ნადი – მამითადი, შრომის ორგანიზაციის ერთ-ერთი უძველესი ფორმა, რომელიც აგებულია ურთიერთდახმარების შრომამიგებით პრინციპზე. ნადს იწყებდნენ როგორც მიწის სამუშაოების, ისე სახლის მშენებლობისა და სხვა ერთდროული შრომატევადი სამუშაოების დროს.

ნადელი – სხვადასხვა სახის ბეგარის მიღების მიზნით მიწათმფლობელობელის მიერ გლეხის სარგებლობაში გაცემული მიწის ნაკვეთი.

ნაზირი – (არაბ.) სამეურნეო-საფინანსო დარგის მოხელე XVII–XVIII სს. საქართველოში. იყო სალაროს ნაზირი (აბრამიდი), ქონების ანუ საწყობის ნაზირი, რომელსაც სამეფო შემოსავალი ებარა, არფა ნაზირი, სამეფო საჭინლის სედამხედველი. მას თავისი ხელქვეითები ჰყავდა. გასამრჯელოს ღებულობდა ჯამაგირის, სარგოსა და უკლუფის სახით.

ნათესაობა – ადამიანებს შორის სისხლითი კავშირები, რომელიც ემყარება ერთი ადამიანის წარმოშობას მეორისაგან ან საერთო წინაპრებისაგან. ნათესაობა წინაპრისა და შთამომავლობას შორის, მამა-შვილს, ბაბუასა და შვილიშვილს შორის.

ნაიბი – (არაბ. ნაცვალი, მოადგილე) – შუა საუკუნეების მუსლიმანურ სასულიერო ინსტიტუტებში პროფესიის გამგებელი; რუსეთთან შეერთებამდე ამიერკავკასიის სასულიერო სასწავლებლების ინსპექტორი.

თბილისისა და გორის მელიქებს და მღვდაროა ჯვარის უფროსებს.

ნამსახურობა – განსაზღვრულ პირობებში (მაგ. უკიდურეს ჩრდილოეთში) ან განსაზღვრულ კატეგორიის მუშაკის შრომითი, სა'სოგადოებრივი ან სახელმწიფოებრივი საქმიანობის ხანგრძლივობა, რაც დამატებით შეღავათსა და უპირატესობას იძლევა (ფულადი ანაზღაურება, ნამსახურობის პენსია, დამატებითი შვებულება).

ფულადი ანაზღაურება ეძლევა წამყვანი პროფესიების სოგიერთი კატეგორიის მუშაკებს, რომლებიც ასრულებენ სპეციალური ნუსხით გათვალისწინებულ სამუშაოს (მაგ. მიწისქვეშა სამუშაოები, მასწავლებლები, მკლიცინის მუშაკები). დამატებითი შვებულების უფლება მინიჭებული აქვთ სხვადასხვა კატეგორიის მუშაკებს, რომლებსაც ამ საწარმოში, ორგანი'საციაში შრომის სათანადო უწყვეტი სტაჟი აქვთ.

ნანკინის ხელშეკრულება 1842 – პირველი არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, რომელიც დიდმა ბრიტანეთმა თავს მოახვია ჩინეთს ინგლის-ჩინეთის ომში (1840–42) ჩინეთის დამარცხების შემდეგ. ხელმოწერილი იქნა ინგლისის გემ „კორნოულისზე“ 29 აგვისტოს. ამით ინგლისის ვაჭრობისათვის იხსნებოდა 5 ჩინური ნავსადგური. დადგინდა დიდი ბრიტანეთისათვის ხელსაყრელი შეტანისა და გატანის ბაჟი. 1844 არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულებები ჩინეთს თავს მოახვიეს აშშ-მა და საფრანგეთმა.

ნანტის ედიქტი 1598 წ. – საკანონმდებლო აქტი, რომელსაც ხელი მოაწერა საფრანგეთის მეფემ ანრი IV-მ, რამლითაც დამთავრდა საფრანგეთში რელიგიური ომები და რომლის თანახმად კათოლიკობა გაბატონებულ რელიგიად რჩებოდა, მაგრამ ჰუგენოტებს ეძლეოდათ რწმენისა და ღვთისმსახურების თავისუფლება ქალაქებში.

ნაოთხალი – მარცვლეულის საწყაო დასავლეთ საქართველოში. კოდის 1/4 დამოწმებულია XVI საუკუნიდან, XVI –XVIII საუკუნეში იტეოდა 4,5–6 კგ. მარცვლეულს, XIX ს. რაჭაში 8–10 კგ.

ნაპოლეონის კოდექსი – საფრანგეთის 1804. სამოქალაქო სამართლის კოდექსი. შეიქმნა ნაპოლეონის უშუალო მონაწილეობით. შეიცავს სამოქალაქო, სამეჯახო, საპროცესო და ნაწილობრივ შრომის სამართლის ნორმებს. კოდექსმა გააუქმა ფეოდალური პრივილეგიები და განამტკიცა კერძო საკუთრების უფლება, რომელიც წმინდათაწმინდად და ხელშეუხებლად გამოაცხადა.

ნასამართლობა – კანონით დადგენილი დროის მონაკვეთი, რომლის მანძილზე დანაშაულისათვის მსჯავრდების ფაქტი იწვევს

გარკვეულ სამართლებრივ შედეგებს. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ღონისძიებების საკითხის გადაწყვეტისას. მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა გაქარწყლებულად ითვლება: ა) პირობითი მსჯავრისას – გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ; ბ) თავისუფლების აღკვეთაზე ნაკრები მსუბუქი, სასჯელით მსჯავრდებისას სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ; გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ; დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ; ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა გაქარწყლების ვადის გასვლამდე. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლსამართლებრივი ღონისძიებების საკითხის გადაწყვეტისას (სსკ. მუხ. 79).

ნასაღი – (არაბ. სპარს. დასახიჩრებით დასჯა) სასჯელის სახეობა XVIII ს საქართველოში – ნასაღი „ნასაღისქნა“, „ნასაყით გარდახდეცინება“ დამნაშავის დასახიჩრებას (ასოთა მოკვეთას) და საერთოდ მკაცრად დასჯას, დარბევა აწიოკებას გულისხმობდა. არსებობდა მოხელე ნასაღიბაში, რომელსაც სასამართლოს განაჩენ-გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა თუ სხვაგვარი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ფუნქციებით აღსრულება ეკისრებოდა.

ნასყიდი გლეხი – გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში. ნასყიდს იმ გლეხს უწოდებდნენ, რომელიც ფეოდალმა იყიდა. გლეხი უმეტესად მიწიანად იყიდებოდა (ასეევე ხდებოდა შეწირვაც), რაზედაც ნათლად მიუთითებს გასხვისების საბუთებში გლეხის აღგილსამყოფელის მითითებაც. არიან უმიწოდ გაყიდული გლეხებიც. ამგვარ გლეხებს ფეოდალი მიწაზე სვამდა და გარკვეულ ბეგარას აკისრებდა.

ნატამალი – ძველი ქართული ტერმინი, რომელიც აღნიშნავდა: 1. შთამომავალს, ნათესავს, თვისტომს. 2. ეზო-გარემოს, კარმიდამოს, სამკვიდრო ადგილ-მამულსა და სამფლობელოს, ნატამალი ნაოხარის, ნასახლარის მნიშვნელობითაც იხმარება. წყალობისა თუ ბოძების იურიდიული ფორმულის ერთ-ერთ კომპონენტსაც წარმოადგენდა. (მაგ. „დაგიმკვიდროთ საბოლოოდ სოფელი").

ნატურალიზაცია – (ფრანგ. ბუნებრივი) – სახელმწიფოს მიერ თავისი მოქალაქეობის მინიჭება უცხოელთათვის ან მოქალაქეობის არმქონე პირისათვის მისი თხოვნის თანახმად. აშშ-ის კანონმდებლობით ნატურალიზაცია არ ხდება, თუ პირი მტრულადაა განწყობილი მთავრობისა და მართლწესრიგისადმი ან ათეისტია.

ნატურალური მეურნეობა – მეურნეობის ტიპი, რომლის დროს შრომის პროდუქტები იწარმოება თვით მწარმოებლის საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და არა ბაზარზე გასაყიდად. იგი აღმოცენდა და ბატონობდა სახოგადოების განვითარების იმ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, გაცვლა და კერძო საკუთრება.

ნაფიცი ვექილი – ადვოკატის ოფიციალური სახელწოდება რეფორმებამდელ რუსეთში. ნაფიცი ვექილის წოდება შემოიღო 1864-ის სასამართლო წესდებამ. ნაფიც ვექილად შეიძლება ყოფილიყო უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი და ისინი ქმნიდნენ თვითმმართველ კორპორაციებს.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – ბურჟუაზიული სასამართლოს ერთეროი ფორმა, რომლის დროსაც მართლმსაჯულების აღსრულებაში მთავრობის მუდმივ (პროფესიულ) მოსამართლეებთან ერთად ხალხის წარმომადგენლებიც (ნაფიცი მსაჯულები) მონაწილეობენ. ამასთან, ნაფიცი მსაჯულები და მუდმივი პროფესიული მოსამართლეები არ ქმნიან ერთიან სასამართლო კოლეგიას და საქმეზე გადაწყვეტილება ცალცალკე გამოაქვთ.

ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციას სისხლის სამართლის საქმეებზე განეკუთვნება ის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაზეც არის დამოკიდებული განსასჯელის დამნაშავედ აღიარება დანაშაულის ჩადენაში. მუდმივი პროფესიული მოსამართლეების ფუნქცია კი ისაა, რომ ნაფიცი მსაჯულების მიერ დადგენილ ფაქტს მიუჯენონ სისხლის სამართლის კანონი, კერძოდ განსასჯელს დაუნიშნოს სათანადო სასჯელის ზომა.

ნაცვალგება – (საერთ. სამ.) საერთაშორისო კერძო სამართლის პრინციპი, რომელიც ახახავს სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობას ამა თუ იმ კონკრეტულ საერთაშორისო სამართლის ურთიერთობაში . გამოიხატება იმით, რომ ერთი სახელმწიფოს ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა სტატუსი (უფლებები, პრივილეგიები, შეღავათები) მეორე სახელმწიფოში იმგვარადაა განსაზღვრული, როგორც მეორე სახელმწიფოს პირთა სტატუსი პირველ სახელმწიფოში. ნაცვალგება მატერიალურია, როცა ეს ორი სტატუსი თავისი შინაარსით ემთხვევა ერთმანეთს. ნაცვალგება ფორმალურია, როცა ორივე სტატუსი ადგილობრივი კანონებიდან გამომდინარეობს, მაგრამ მატერიალური შინაარსით განსხვავებულია ამ ორი სახელმწიფოს კანონმდებლობათა სხვადასხვაობის გამო. ნაცვალგება გათვალისწინებულია საერთაშორისო შეთანხმებით ან სახელმწიფოს კანონმდებლობით.

ნაცვალი – 1. გაეთიანებული ფეოდალურ საქართველოში ვასალის მოადგილე. 2. გვიან ფეოდალურ საქართველოში ადმინისტრაციულ საპოლიციო მოხელე. ნაცვლები ჰყავდათ, როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფალთ. იყვნენ ქალაქისა და სოფლის ნაცვლები. თბილისში ერთდროულად ორი ნაცვალი საქმიანობდა. თბილისისა და გორის მელიქების, ეშიკაღასბაშის, ყორაღასულბაშის და სოგაერთი სხვა მოხელის ნაცვლებს ნაიბები ეწოდებოდათ. ქალაქის ნაცვალი მოურავთან ერთად იხილავდა მცირემნიშვნელოვან დავას, მეთვალყურეობდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და სხვა.

ნაციონალიზაცია – მიწის, მრეწველობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ბანკებისა და სხვ. გადაცემა კერძო საკუთრებიდან სახელმწიფო საკუთრებაში.

ნაციონალიზმი – ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგია, ფსიქოლოგია და პოლიტიკა ეროვნულ საკითხში.

ნაციონალური რეჟიმი – უცხო სახელმწიფოს ფიზიკური თუ იურიდიული პირების ისეთი სამართლებრივი სტატუსი, როცა ისინი ამა თუ იმ დარგში გათანაბრებული არიან ადგილობრივ პირებთან უფლებებით. პრივილეგიებითა და შეღავათებით. ნაციონალური რეჟიმის მინიჭება ხდება საერთაშორისო შეთანხმებით. იგი შეიძლება იყოს ვალმხრივი, როცა იგი ენიჭება საერთაშორისო შეთანხმების ერთი მხარის პირებს და ორმხრივი, როცა მას ნაცვალგების საწყისზე ორივე მხარე ანიჭებს ერთმანეთის პირებს შეკრულად-

ვად ან განსაზღვრული შესაძლებლობით.

ნდობით აღჭურვილი პირი – სახალხო დეპუტატების საბჭოებში საარჩევნო კამპანიის დროს დასახელებული პირი, რომელიც აცნობს ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატს.

ნებაყოფლობითი საზოგადოება – მშრომელთა მასობრივი გაერთიანება, რომელიც იქმნება მათივე ინიციატივით, ნებაყოფლობის პრინციპებზე. მისი საქმიანობა მიმართულია მრავალმხრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ნებაყოფლობით საზოგადოებაში გაერთიანების უფლება უზრუნველყოფილია კონსტიტუციით და იგი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კანონმდებლობითა და ამ საზოგადოების წესდებით. საზოგადოებაში გაერთიანებული არიან ინდივიდუალური და კოლექტიური წევრები. არსებობს საერთაშორისო, საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ნებაყოფლობითი საზოგადოებები.

ნებიერი – გლეხთა კატეგორია ფეოდალურ საქართველოში. ნებიერი ისეთი გლეხი იყო, რომელიც თავისი ნებით გარკვეული პირობით ექმობოდა ფეოდალს. ზოგჯერ გლეხი თავის ქმობას წერილობით ადასტურებდა. ასეთ გლეხს თავდაწერილი ეწოდებოდა. თავისუფალი მიწადმოქმედი ვერ უძლებდა ფეოდალთა მოწოლას და თავისი „ნებით“ ექმობოდა ამა თუ იმ პირს „პატრონობის“ პირობით. თავად კი გარკვეულ სამსახურს კისრულობდა. შესაძლებელი იყო ნებიერის ყიდვა-გაყიდვა, პირვანდელ მფლობელთან არსებული ნებიერობის პირობით.

ნების თავისუფლება – ფილოსოფიური კატეგორია, რომელიც ასახავს ადამიანის მოქმედების თვითმყოფადობისა თუ განსაზღვრულობის ავტონომიურ პრობლემას. იგი დაკავშირებულია პიროვნების იურიდიულ და მორალურ პასუხისმგებლობასთან.

ნებისყოფა – ცნობიერად დასახული მიზნისაკენ მოქმედების ნებისმიერი წარმართვის, თავის ქცევის დაუფლების, მისი ცნობიერი რეგულაციის უნარი, რაც ადამიანის ცხოველისაგან განმასხვავებელი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია.

ნებატორული სარჩელი – საკუთრების უფლების დაცვის ერთ-ერთი საშუალება – მესაკუთრის მოთხოვნა, რომ მოპასუხემ არამართლზომიერი მოქმედებით ხელი არ შეუშალოს მას საკუთრების უფლების ნორმალურ განხორციელებაში. მესაკუთრე ნეგატორულ სარჩელს მაშინ მიმართავს, როცა ირღვევა ნივთით სარგებლობის უფლე-

ბამოსილება მაგ. ვინმე უკანონოდ აშენებს კედელს მისი სახლის ფანჯრების წინ.

ნედლეული – შრომის საგანი, რომელმაც შრომის ზემოქმედებით განიცადა გარკვეული ცვლილება და საჭიროებს შემდგომ გადამუშავებას. იგი ორი სახისაა: სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო. სამრეწველო ნაწარმი თავის მხრივ არის მინერალური და ხელოვნური.

ნეიტრალიზაცია – ტერიტორიისა საერთაშორისო შეთანხმებით ისეთი რეჟიმის დაწესება, რომელიც კრძალავს საომარ მოქმედებას ამა თუ იმ ტერიტორიაზე და მის გამოყენებას საომარი მოქმედების დასაყრდენ ბაზად. ნეიტრალიზაციის ობიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეზობელ სახელმწიფოთა უშიშროებისათვის (მაგ. ნორვეგიის კუთვნილი შპიცბერგენის ნეიტრალიზაცია) ან საერთაშორისო ეკონომიკური კავშირურთიერთობისათვის (მაგ. სუეცისა და პანამის არხების ნეიტრალიზაცია). იგი აეიწროებს შესაძლებელ ომის მაშტაბს. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი საერთაშორისო ტერიტორიის, სახელდობრ ანტარქტიდისა და კოსმოსური სივრცის (ცის ხელშეკრულების ჩათვლით) ნეიტრალიზაციას.

ნეიტრალიტეტი – (გერ. არც ერთი, არც მეორე) საერთაშორისო სამართლის მიხედვით ომში არაამოქმედი სახელმწიფოს სამართლებრივი მდგომარეობა. იგი განსაზღვრულია 1907 კონვენციებში და უმთავრესად იმით ხასიათდება, რომ საომარი მოქმედება არ უნდა შეეხოს ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორიას. (წინააღმდეგ შემთხვევაში მას აქვს შეიარაღებული თავდაცვის უფლება) ნეიტრალური სახელმწიფო თავის ტერიტორიაზე ვერ დაუშვებს მეომარი მხარის მიერ ჯარის შეგროვებას და მისი შეიარაღებული ძალის ტრანზიტს.

ნეკროლატია – გარდაცვლილთა გაღმერთება.

ნეკროპოლისი – (ბერძნ. მკვდარი ქალაქი) ნეკროპოლი – სამაროვანი, სასაფლაო. ჩვენებრივ ნეკროპოლისს უწოდებენ ძველი სამყაროს სამარხთა კომპლექსს, მაგ.: ძვ. ათენის დიპილონისს; ძვ. ეგვიპტეში ქ. თებეს ნეკროპოლისი, ფარაონთა და დიდებულთა აკლდამებით და სხვა.

ნეოკოლონიალიზმი – (ფრანგ.) არათანასწორუფლებიანი (ეკონომიკური, პოლიტიკური) ურთიერთობათა სისტემა, რომელსაც იმპერიალისტური სახელმწიფოები თავს ახვევენ აზიას, აფრიკას და ლათინური ამერიკის განვითარებად სუვერენულ ქვეყნებს. მისნად ისახავს

იმპერიალისტური ექსპლუატაციის შენარჩუნებას.

ნესოსი – (ბერძ. კუნძული) ისტორიული სტრატეგიული პუნქტი დასავლეთ საქართველოში, დაახლოებით იქ, სადაც მდინარე ტეხურა ერთვის მდ. რიონს. აქ იყო ბიზანტიის და ეგრისის ჯარების ერთ-ერთი მთავარი ბანაკი. ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა მას კოდორეს ეძახის.

„ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი“ – ბურჟუაზიული რეაქციული თეორია, რომელიც ავტორებისა და დამცველების აზრით, მიწაზე ყოველი დამატებით დაბანდებული კაპიტალი და შრომა უფრო ნაკლებ შედეგს იძლევა წინათ დაბანდებულთან შედარებით, ამასთან, გარკვეული ხლვარის შემდეგ ასეთ დამატებით დაბანდებას არავითარი შედეგი არ მოაქვს. საფუძვლიანად არის დასაბუთებული, რომ არავითარი „ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების კანონი“ არ არსებობს, რომ მიწაზე დამატებითი სახსრების რაციონალური დაბანდება ოვ-ეცეს არა კლებად, არამედ მზარდ შედეგს.

ნივთი – (სამართ.) – მატერიალური სამყაროს საგანი, რომლის გამო წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს სამართალი აწესრიგებს. საგნების დანიშნულებისა და ბუნებრივი თვისებების მიხედვით სამართალში დადგენილია შემდეგი კლასიფიკაცია: წარმოების საშუალებანი და მოხმარების საგნები; ბრუნვიდან ამოღებული, ბრუნვაში შეზღუდული და შეუზღუდავი ნივთები; ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთები და გვაროვნული ნიშნებით განსაზღვრული ნივთები, რომელთა გამოყოფა ხდება წონის, რაოდენობისა და ზომის მიხედვით. ნივთები განსხვავდებიან აგრეთვე იმის მიხედვით, გაყოფადია ისინი თუ არა, ნადგურდებიან ერთჯერადი მოხმარების შედეგად თუ სანგრძლივი მოხმარებისაა. მნიშვნელოვანია ნივთების დაყოფა მთავარ და საკუთარ ნიშნებად. მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსით ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი და უძრავი.. უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა–ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

ნივთის შემადგენელი ნაწილი, რომლის გამოცალკევებაც შეუძლებელია მთლიანი ნივთის ან ამ ნაწილის განადგურების, ანდა მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე (ნივთის არსებითი შემადგენელი ნაწილი), ცალკე უფლების ობიექტად შეიძლება იყოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მიწის ნაკვეთის არსებით შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება შენობა–ნაგებობანი და ნივთები, რომლებიც მყარადაა დაკავშირებული მიწასთან და არ არის გამიზნული დროებითი სარგებლობისათვის, რაც ხელშეკრულებითაც შეიძლება განისაზღვროს. (სკ. მუხ. 148, 149, 150).

ნიკეის საეკლესიო კრებები — 1. პირველი მსოფლიო კრება. მოწვეული იქნა ნიკეაში 325 კონსტანტინე I დიდის საგანგებო ბრძანებით. კრების ძირითადი მიზანი იყო ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება და ამასთან ერთად უმთავრესი დოგმატიკურ-კანონიკური და იერარქიულ-ადმინისტრაციული საკითხების განხილვა. (რომის კრების მონაწილეთა სიაში, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია ექვს ენაზე და შედგენილია ეპარქიებისა და საეპისკოპოსო კათედრების მიხედვით, იხსენიება ბიჭვინთის საეპისკოპოსო კათედრის მმართველი ვინმე სტრატოფილე). კრებამ დაგმო არეანელობა, შეიმუშავა სარწმუნოების სიმბოლოს ტექსტი, დაამტკიცა ამა თუ იმ ეკლესიის მთავარ წარმომადგენელთა იერარქიული და ადმინისტრაციული ნორმები.

2. მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრება 787 შედგა ნიკეაში. კრების მიზანი იყო ხატთაყვანისმცემლობის აღდგენა. კრებამ გამოსცა 22 კანონი.

ნისიად გაყიდვა — ყიდვა-გაყიდვის სახე, რომლის დროსაც მყიდველი ნივთის მიღებისას, იხდის ამ ნივთის ფასის ნაწილს, დანარჩენს კი განსაზღვრულ ვადაში გადაიხდის.

„ნიკოლოზ დვალის მართვილობა“ — ძველი ქართული მწერლობის ანონიმური ძეგლი, XIV ს. ჰაგიოგრაფიული თხზულება, რომელსაც მიაკვლია ნიკო მარმა იერუსალიმის ერთ ნუსხაში.

ნიმვეგენის საზავო ხელშეკრულებები 1678–79 — ხელშეკრულებები, რომლითაც დასრულდა ომი საფრანგეთის მომხრე სახელმწიფოების კოალიციასა და ანტიფრანგულ კოალიციას შორის. ხელმოწერილი იქნა ნიმვეგენ'ში (1678 აგვისტო) ხელშეკრულებით საფრანგეთი ტოვებდა ომის დროს დაკავებულ ტერიტორიას, აუქმებდა 1667 წ შემოღებულ მაღალ საბაჟო ტარიფს. საფრანგეთის იმპერიის ხელშეკრულება (1679 წ. 5 თებერვალი) ამტკიცებდა ვესტფალიის ზავის (1648) პირობებს. ეს ხელშეკრულებები იყო საფრანგეთის დიდი დიპლომატიის წარმატება და მან განამტკიცა საფრანგეთის ჰეგემონია ევროპაში.

ნიონის შეთანხმება 1937 — შეთანხმება ბრძოლის კოლექტიურ ღონისძიებათა შესახებ

ეპანიეთში საომხედრო ფაშისტური აშბოხების დაწყების შესწდეგ (1936 წ. 17–18 იულისი) შეთანხმების ხელი მოაწერეს 1937 წ 14 სექტემბერს ჭ ნიონში (შვეიცარია). ნიონის შეთანხმების შესწდეგ ხმელთაშუა-ზღვაში სხვადასხვა ქვეყნის სავაჭრო გემებზე თავდასხმები თითქმის მთლიანად შეწყდა.

ნიურნბერგის პროცესი – II მსოფლიო ომში (1939–45) გერმანელი ომის მთავარი დამნაშავეების გასამართლება საერთაშორისო საომხედრო ტრიბუნალის მიერ ჭ ნიურნბერგში (გერმანია). ეს ტრიბუნალი შეიქმნა სსრკ-ის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის შეთანხმებით (ლონდონი 1945 წ. 8 აგვისტო). სამართალში მიცემული იყო ჰიტლერული გერმანიის 24 ხელმძღვანელი. ტრიბუნალი შედგებოდა 4-კაც სახელმწიფოს 4 მოსამართლისა და მათი მოადგილეებისაგან. იგი მიმდინარეობდა 1945 წ 20 ნოემბრიდან 1946 წ 1 ოქტომბრამდე. ტრიბუნალის განაჩენით გასასჯელები ცნობილ იქნენ დამნაშავეებად შეთქმულებაში აგრესიული ომის მომზადებისა და წარმოებისათვის. მას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან მან პირველად განახორციელა სახელმწიფოს ხელმძღვანელ პირთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა უმძიმეს საერთაშორისო დანაშაულთა ჩადენისათვის. 1946 წ. 11 დეკემბერს გაეროს გენ. ასამბლეამ დაადასტურა საერთაშორისო სამართლის პრინციპები, რომლებიც აღიარებულია ნიურნბერგის ტრიბუნალის წესდებით და ასახულია მის განაჩენში.

ნიშარი – შუმერის უძველესი რელიგიური და კულტურული ცენტრი. მდებარეობდა თანამედროვე ჭ დივაანის ახლანდელი ნიფერიის ადგილას (ერაყი), სადაც გაჩაღებული იყო დიდი ლიტ. საქმიანობა. ტაძართანავე იყო აღმართული შვიდ საფეხურიანი ზიკურათი, რომლის ზედა სართულიდან აკვირდებოდნენ ციურ სხეულებს. მასზე გადიოდა სამდინარო და სახმელეთო გზები.

ნიპურის სამეპისკოპოსო – ქარიალის ერთ-ერთი უძველესი საეპისკოპოსო, დაუარსებია ვახტანგ გორგასალს (V ს). წარმართული სალოცავის ადგილზე, სადაც დაკრძალული იყო სპარსელებისაგან წამებული რაქელი.

ნიშანი – (სამართ. ისტორია) ფეოდალურ საქართველოში I. ბეჭედი ან სხვა რამ სამკაული (იშვიათად ვერცხლის ან ოქროს ფული), რასაც ასიძო ან მისი წარმომადგენელი საპატარძლოს ან მის მშობლებს გადასცემდა. საპატარძლოს გარდაცვალების ან მისი მხრივ პირობების დარღვევის შემთხვევაში ნიშანი უკან

უნდა დაებრუნებინათ, ხოლო თუ დანიშნული ქალი დამნიშნავზე გათხოვდებოდა, ნიშანი ქალის საკუთრებად ითვლებოდა. 2. წერილობითი დოკუმენტი („მამულის ნიშანი", „წიგნი და ნიშანი"). 3. საეკლესიო გამოსაღები, რასაც მიცვალებულის პატრონი იხდიდა. ზოგჯერ ნიშანი მიცვალებულის მოსაგონებელ მის რაიმე ნივთს (ცხენი, იარაღი, ტანსაცმელი) ნიშნავდა.

ნიშნობა — დანიშვნა, დაწინდვა, დაბელგება ვაჟის მიერ ქალის საცოლედ დაბეჭება. საქართველოში ისტორიულად ქალის დაწინდვის ანუ დანიშვნის სხვადასხვა წესი იყო: ცნობილი (აკვანში დანიშვნა, მცირეწლოვანის დანიშვნა, გარიგებით დანიშვნა). მოყვრობასე შეთანხმების ინიციატორად გამოდიოდა ვაჟის მხარე, რაც გამოიხატებოდა ქალის ოჯახში მისი შუაკაცის მისვლით და საპატარძლოს თხოვნით. მატ. პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ვაჟის ოჯახს, რომლითაც ვალდებული იყო, ქალის ოჯახისა და საპატარძლოსთვის მიერთმია საჩუქრები და ძღვენი (პირველ რიგში სანიშნო ბეჭედი). ქალის ოჯახის მიერ ნიშნის მიღება დამოყვრების ნიშნად ნიშნობის რიტუალის შესრულება და ქალ-ვაჟის დალოცვა ქორწინების აუცილებელ პირობად იყო მიჩნეული და მისი დარღვევა დანაშაულად ითვლებოდა. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1109-ე მუხლიც ითვალისწინებს ნიშნობას, რომლის მიხედვითაც: „დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა (ნიშნობა) არ წარმოშობს შემდგომი დაქორწინების ვალდებულებას. ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი. ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ. (სკ. მუხ. 1109).

ნიშტადტის სახავო ხელშეკრულება 1721 — ხელშეკრულება რუსეთსა და შვეიცარიას შორის, რომელიც დაიდო 1721წ. 30 აგვისტოს ქ. ნიშტადტში და რომელიც შვეიცარიდა 24 მუხლს. ამ ხელშეკრულებით რუსეთმა მიიღო ლიფლანდია რიგითურთ, ესტლანდია რეველით და ნარვით, კარელიის ნაწილი, დაგო და სხვა მიწები. ნიშტადტის სახავო ხელშეკრულებით რუსეთი დამკვიდრდა ბალტიის ზღვაზე და დაუკავშირდა ევროპას, რაც რუსეთის დიპლომატიის დიდი წარმატება იყო.

ნიკი — (სამართლის ისტორია) — საჩუქარი, ნაბოძავარი ძველ საქართველოში. ნიჭი ორბელიანის განმარტებით „უფალთა მიერ საბოძარს", „უაღრესისაგან უდარესის მონაცემს" წარმოად-

გენდა, ჩუქება ასე ბოძებას აღნიშნავდა. „ნიჭება“, „მინიჭება“, „მონიჭება“ გარჩუქებას – „განიჭება“, მბოძებელს – „მომნიჭებელი“ და ა.შ. ბექას და აღბუღას სამართალში საქორწილო შესაწირვის მნიშვნელობით იხსენიება სანიჭარი, რომელიც გვიანობამდე შემორჩა მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში.

ნივილიზმი – (ლათ. არარა) სამართლებრივი – საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულება, რომელიც უარყოფს სამართლის სოციალურ ღირებულებას და მიაჩნია, რომ მას არ შესწევს საზოგადოებრივი ურთიერთობათა მოწესრიგების უნარი. სამართლის ნიჰილიზმი ყველაზე უფრო მკვეთრად გამოვლინდა ანარქისტების შეხედულებაში. პ. პრუდონი, მ. ბაკუნინი და სხვები თვლიდნენ, რომ სამართლისა და სახელმწიფოს დაუყოვნებელი გაუქმება „პიროვნების განთავისუფლების“ აუცილებელი წანამძღვარია.

ნობელის პრემია – ყოველწლიური საერთაშორისო პრემია. სახელი ეწოდა მისი დამაარსებლის შვედი ინჟინერის, ქიმიკოსის, გამომგონებლისა და მრეწველის ა.ბ. ნობელის პატივსაცემად. იგი ენიჭება რასის, ეროვნების, სქესისა და სარწმუნოების განურჩევლად კანდიდატებს სხვადასხვა დარგში მნიშვნელოვანი და უახლესი მიღწევებისათვის. ნობელის პრემია შედგება ოქროს მედლისაგან, რომელსაც გამოსახულია ნობელი, დიპლომისა და ფულადი თანხის ჩეკისაგან.

ნობილიტეტი – (ლათ. წარჩინებული) უმაღლესი პრივილეგირებული მმართველი საზოგადოებრივი ფენა, რომის რესპუბლიკაში. ზოგჯერ ნობილიტეტს ეკუთვნოდნენ რომაული დემოკრატების ლიდერები (მაგ. ძმები გრაკქუსები). იმპერიის დროინდელ რომში ნობილიტეტმა დაკარგა პოლიტ. და საზ. მნიშვნელობა. ფართო მნიშვნელობით ნობილიტეტს ჯერ კიდევ ძვ. ავტორები ხმარობდნენ „ხალხის“, „ბრბოს“ საპირისპიროდ.

ნოვატორობა – (ლათ. აღმაშენებელი, განმაახლებელი, გარმომგონებელი) – ადამიანთა შემოქმედებით მოღვაწეობაში ახლის გამოვლენა, ადამიანთა შემოქმედებითი უნარის გამოხატვა შრომითი საქმიანობით.

ნოვაცია – (ლათ. განახლება, შეცვლა) – ვალდებულების განახლება, მხარეთა შორის მათივე შეთანხმებით, ერთი ვალდებულების შეწყვეტა და მისი შეცვლა მეორე ვალდებულებით. 428–ე მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება მაშინაც, როცა კრედიტორი ვალდებულებით გათვალისწინებულის ნაცვლად შესრულებად იღებს სხვა ვალდებულებ-

ის შესრულებას. ნოვაციის შედეგად თავდაპირველი ვალდებულება წყდება, მაგრამ მის საფუძველზე იმავე მხარეებს შორის მყარდება ახალი ვალდებულება.

ნოვგოროდის სამართლის სიგელი – ნოვგოროდის რესპუბლიკის სამართლებრივი ძეგლი. შედგენილია XV ს-ში. ჩვენამდე მოაღწია 1471 ერთადერთმა ნაკლულმა ნუსხამ შეიცავს 42 მუხლს. ძირითადად აწესრიგებს სასამართლო წყობილებისა და პროცესის საკითხებს. მისი იურიდიული წყარო იყო ადგილობრივი ჩვეულებითი სამართალი და „რუსსკაია პრავდის“ ცალკეული ნორმები. იგი იყანე III-ის სამართლის წიგნის (1497) ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა.

.ნოინი – (მონღოლ. ბატონი, მთავარი) – საერო ფეოდალი მონღოლეთში.

ნომარძოსი – (ძვ. ბერძნული) – ნომის მმართველი ძველ ეგვიპტეში. ნომარქოსი – თანამდებობის ძველი ეგვიპტური სახელწოდებაა. „ა(ნ)ჯ-მერ“ – „ის ყინც არხს თხრის“. იგი სათაეში ედგა ნომის ადმინისტრაციულ აპარატს, მართლმსაჯულებას, ჯარს და განაგებდა მთელ სამეურნეო საქმიანობას. სახელმწიფოს დეცენტრალიზაციის პერიოდში ნომარქოსები დამოუკიდებლობას აღწევდნენ და მათი თანამდებობა მემკვიდრეობითი ხდება.

ნომენკლატურა – (ლათ. სახელთა ნუსხა). 1. ტერმინთა სახელწოდებების ნუსხა, რომელიც იხმარება მეცნიერების, ხელოვნების, წარმოებისა თუ სხვა დარგში. 2. იმ თანამდებობების სახელწოდებათა სია, რომლებზე დანიშვნაც ამა თუ იმ ზემდგომი დაწესებულება-ორგანიზაციის კომპეტენციაში შედის.

ნომი – (ბერძნული – ადგილსამყოფელი, ოლქი, ოკრუგი) 1. ოლქი ძველ ეგვიპტეში; 2. ძირითადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული თანამედროვე საბერძნეთში.

ნომინალი – (ლათ. სახელი, სახელწოდება). 1. ფასიან ქაღალდებზე (აქცია, ობლიგაცია) ქაღალდის ფულს, მონეტაზე აღნიშნული ნომინალური ღირებულება. 2. საქონლის ნომინალური ფასი, რომელიც მოცემულია ნიხრში ან ნაკვენებია თვით საქონელზე. 3. წიგნური ნომინალი – გასაყიდად გამიზნული წიგნის და სხვა ნაბეჭდ პროდუქციაზე ნაკვენები კომპლექსური საცალო ფასი.

ნომინალური ხელფასი – ფულადი საშუალებების ჯამი, რომელსაც მუშები და მოსამსახურეები იღებენ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით.

ნომოჯანონი – (ბერძნული) ბიზანტიური მართლმადიდებელი

ეკლესიის მიერ შედგენილი საეკლესიო სამართლის კრებული, რომელიც შეიცავს როგორც საეკლესიო, ისე ბიზანტიის იმპერატორთა (ძირითადად იუსტინიანე I-ის) მიერ შედგენილი სამოქალაქო კანონმდებლობის წიგნიდან გამორკრებილ იმ კანონებს, რომლებიც საეკლესიო იურისპრუდენციის საკითხებს ეხება. უცნობი რედაქტორის მიერ შედგენილი პირველი ნომოკანონი (VI ს II ნახ.) იოანე სქოლასტიკოსის საეკლესიო სამართლის 2 კრებულის გაერთიანებას წარმოადგენდა. მასთან შედარებით უფრო სრულყოფილი იყო VII ს. II ნახ. საბოლოო რედაქცია, შევსებული VII–IX სს. საეკლესიო კრებათა კანონებით და კანონიკური ეპისტოლეებით, ჩამოყალიბდა 883წ. კონსტანტინოპოლის 920 საეკლესიო კრებამ ეს რედაქცია მთელი მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესიის კანონიკურ კოდექსად აღიარა. მისი თარგმანია არსენ იყალთოელის „დიდი სჯულის კანონი.“

ნორმა – (ლათ. სახელმძღვანელო საწყისი, წესი, ნიმუში). 1. წესით ან გეგმით დაშვებული რისიმე მინიმალური ან მაქსიმალური რაოდენობა; 2. რომელიმე სოციალურ გარემოში საერთოდ მიღებული წესი, შეხედულება; (მაგ. სამართლისა და მორალის ნორმები); 3. წესი, კანონი მეცნიერების რომელიმე დარგში; 4. საშუალო სიდიდე; 5. წარმომადგენლობის ნორმა (დეპუტატების, დელეგატების და ა. შ. რიცხვი); 6. წიგნის სახელწოდება შემოკლებით ან აუტორის გვარი, რომელიც წერილი შრიფტითაა დაბეჭდილი ყოველი თაბახის პირველ გვერდზე, ჩვეულებრივ, თაბახის ნომრის შემდეგ.

ნორმა სამართლებრივი – ნორმის ერთ-ერთი სახე – ზოგადი ხასიათის სავალდებულო ქცევის წესი, რომელიც გაბატონებული კლასის ნება-სურვილის შესაბამისად, დადგენილია სახელმწიფოს მიერ და რომლის შესრულებაც უზრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით. სამართლის ნორმათა კლასიფიკაცია ხდება იმისდა მიხედვით, თუ საზოგადოების ცხოვრების რომელ სფეროს არეგულირებენ (სამოქალაქო, სისხლის და შრომის სამართლის და ა.შ.) სამართლის ნორმა შეიძლება იყოს იმპერატიული (ისეთი, რომელიც შეიცავს აბსოლუტურად განსაზღვრულ წესს და სავალდებულოა მართლ-ურთიერთობის მონაწილეთათვის), დისპოზიციური (რომელიც მართლურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ თვითონ განსაზღვრონ თავიანთი უფლება-მოვალეობანი).

სამართლის ნორმა პირობითად შეიძლება დაიყოს 3 ნაწილად. 1. ჰიპოტეზა – ნორმის ნაწილი, რომელშიც განსაზღვრულია, თუ რა

პირობებში უნდა იქნეს გამოყენებული სწორედ ეს ნორმა. 2. დისპოზიცია, რომელშიც აღწერილია მისი შინაარსის განმსაზღვრელი ქცევის წესი (მართლურთიერთობის მონაწილეთა უფლება-მოვალეობანი) 3. სანქცია, რომელშიც მითითებულია, თუ რა იურიდიული შედეგები მოჰყვება ნორმაში აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობას.

ნორმალიზაცია – (ფრანგ.) – მოწესრიგება, სწორი. მას, როგორც ტერმინს, ფართოდ იყენებდნენ სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემის შემოღებამდე.

ნორმატივიზმი – XX ს. ბურჟუაზიული სამართლის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი მიმდინარეობა. მჭიდროდაა დაკავშირებული XIX ს. ბურჟუაზიულ სამართლისმცოდნეობაში გაბატონებულ პოზიტივებთან. იგი ემყარება ნეოკანტიანელების დებულებას იმის შესახებ, რომ ჯერარსი და არსი ერთმანეთისაგან განცალკევებულია და რომ ჯერარსი არ გამომდინარეობს არსისაგან.

ნორმატიული აქტი – სახელმწიფოს მიერ თავისი ორგანოების მეშვეობით გამოცემული აქტი, რომელშიც დადგენილია სამართლებრივი ნორმა. უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტს წარმოადგენს კანონი, რომელსაც გამოსცემს პარლამენტი. ნორმატიული აქტი განსხვავდება ე. წ. ინდივიდუალური იურიდიული აქტისაგან, რომელიც არეგულირებს კონკრეტულ მართლურთიერთობას (სასამართლო გადაწყვეტილება, გარიგება, ბრძანებულება ორდენით დაჯილდოების შესახებ).

ნორმატიული სჯოლა სამართალში – XX ს. ბურჟუაზიული სამართლის თეორიის ერთერთი ძირითადი მიმართულება, რომლის მიხედვით, სამართლის შექმნა და განვითარება დამოუკიდებელ, საკუთარ კანონზომიერებას ემორჩილება, ნორმატიულ სკოლას ხშირად წმინდა სამართლის მოძღვრებასაც უწოდებენ. ეს სახელწოდება მიიღო მისი მამამთავრის ჰ. კელზენის წიგნის „წმინდა სამართლის მოძღვრების“ მიხედვით. ამ მოძღვრების შესაბამისად, სამართალი „წმინდაა“, იგი თავისუფალია ყოველგვარი მეტაიურიდიული შენარევებისაგან, როგორიცაა მაგ. სოციალურეკონომიკური პირობები, პოლიტიკა და სხვა. სამართალი არ ემსახურება არავითარ პოლიტიკურ იდეას, არ ადიარებს არავითარ გარეშე ღირებულებას. სამოქმედო ძალას სამართალი თავის თავშივე პოულობს. ერთი ნორმა მეორე, უფრო ზოგადი ნორმიდან იღებს ძალას, ხოლო ყველა ნორმა საბოლოოდ „ძირითადი ნორმიდან“ კონსტიტუციიდან გამომდინარეობს.

ნოსტალგია – (ბერძნული – დაბრუნება და ტანჯვა, ტკივილი) სამშობლოს მონატრებით გამოწვეული სევდა.

ნოტაბლები – (ფრანგული – ლათინური) – მნიშვნელოვანი, გამორჩენილი. XIV–XVIII სს. საფრანგეთში წევრები საგანგებო კრებისა (ნოტაბლების კრებისა), რომელსაც მეფე იწვევდა სახელმწიფო ფინანსური და ადმინისტრაციული საკითხების გადასაწყვეტად. გენერალური შტატების დეპუტატებისაგან განსხვავებით ნოტაბლებს არ ირჩევდნენ, მათ ნიშნავდა მეფე თავადაზნაურობის, უმაღლესი სამღვდელოების. ქალაქის ზედაფენების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლებისაგან. ისინი რეგულარულად არ იკრიბებოდნენ, მათ კრებას ჰქონდა საათბირო ხასიათი და მეფის ხელისუფლების მორჩილ იარაღს წარმოადგენდა.

ნოტარიატი – (ლათ. მწერალი, მდივანი) ორგანო, რომლის ძირითადი დანიშნულებაა სხვადასხვაგვარი იურიდიული აქტის (ხელშეკრულება, ანდერძი, მინდობილობა) დამოწმება, დოკუმენტის ხელმოწერითა და დოკუმენტის პირების ნამდვილობის დადასტურება. სახელმწიფო ნოტარიატის ამოცანაა დაიცვას საკუთრება მოქალაქეების, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების უფლებები და კანონიერი ინტერესები. განამტკიცოს კანონიერება და მართლწესრიგი. სანოტარო ფუნქციებს განახორციელებენ სანოტარო კანტორები, რომლებიც იქმნება დედაქალაქებში და მსხვილ დასახლებულ პუნქტებში. იქ, სადაც არ არის სანოტარო კანტორა, მის ფუნქციას ახორციელებს გამგეობები. სანოტარო კანტორაში სანოტარო მოქმედებას ასრულებს სახ. ნოტარიუსი, რომელიც მოვალეა მკაცრად დაიცვას სანოტარო მოქმედების საიდუმლოება. (საქ. 1996წ. 3 მაისის კანონი "ნოტარიატის შესახებ").

ნოუ-ჰაუ – ტექნიკური ცოდნა, გამოცდილება, რაც აუცილებელია ტექნიკური თუ სხვა ამოცანების გადასაწყვეტად. პირველად ეს ტერმინი გაჩნდა ინგლისსა და აშშ-ში, ხოლო შემდეგ სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა და მისი ცნებაც გაფართოვდა, ამჟამად ნოუ-ჰაუ მოიცავს, აგრეთვე, ტექნიკური ხასიათის ცნობებს, წარმოების საიდუმლოებებს, წარმოების ორგანიზაციის შესახებ მონაცემებს და ა.შ.

ნოტარიუსი – პირი, რომელიც უფლებამოსილია შეასრულოს სანოტარო მოქმედებები. ნოტარიუსად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს სტაჟირება და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდები. ნოტარიუსის თანამდებობის დაკავება

ხდება კონკურსით. (საქართველოს 1996 წლის 3 მაისის კანონი ნოტარიატის შესახებ. მუხ. 12–13).

ნუნციუსი — (ლათ. მაცნე) — რომის პაპის I კლასის დიპლომატიური წარმომადგენელი. 1961 ვენის კონვენციით ნუნციუსი გათანაბრებულია ელჩის რანგთან.

ნუმია — (ლათ. მონეტა) — სპილენძის მონეტა. პირველად მოჭრეს ბიზანტიაში იმპ. ანასტასიოს I-ის (491–518) დროს. ძირითადად იჭრებოდა 40, 20, 10 და 5 ნუმიანი მონეტები, ხურგზე შესაბამისად აღინიშნებოდა ასოებით ნუმიის ემისია, გრძელდებოდა ბასილისიის (867–886) მმართველობამდე. ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში. განსაკუთრებით ბევრი აღმოჩნდა ბიჭვინთაში.

ნუსხა — (საარქივო ისტ.) — ქონების, ხარჯის, ქალის, ბეგარაგამოსაღების სია, აღწერილობა თუ რეესტრი, დაყორის ამონაწერი ძვ. საქართველოში (ბეგარის ნუსხა, მსითვეის ნუსხა და სხვა). სააღრიცხვო-საანგარიშსწორებო საბუთის, წერილობითი მტკიცების მნიშვნელობით, ნუსხა უფრო ხშირად გვხვდება XVI ს. და შემდგომი დროის საკანონმდებლო და სასამართლო მასალებში. როგორც მტკიცებულება, იგი ხელმოწერილი და დაბეჭდილ-დამოწმებული უნდა ყოფილიყო ანდა მისი ნამდვილობა ფიცით დადასტურებულიყო.

ნუძერები — (მონღ. — მეგობარი, ამხანაგი), გაფეოდალებული დიდებულების სამსახურში მყოფი რაზმელები მონღოლეთში ფეოდალიზმის ჩამოყალიბების პერიოდში. ომის დროს ისინი იცავენ მეომრებს, მშვიდობიანობის მკვეთლებს, შინაურს, დაახლოებულ პირნს.

ო

ოას – (საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაცია). სამხედრო ფაშისტური დაჯგუფება საფრანგეთში XX ს. ოას მთავარი მიზანი იყო არ დაეშვა ალჟირისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება. საფრანგეთში სამხედრო ფაშისტური რეჟიმის დამყარების მიზნით მისმა წევრებმა მოაწყეს თავდასხმა გენ. დე გოლზე. მას შემდეგ რაც 1962 ალჟირმა დამოუკიდებლობა მოიპოვა ოასმა დაკარგა ტერორისტული მოღვაწეობის მიზანი და სისხლის სამართლის დამნაშაულეთა ხროვად იქცა, რომელიც მალე ქრებელქცეს. ოასთან ბრძოლაში დიდი როლი ითამაშეს დემოკრატიულმა ძალებმა.

ობიექტური შერაცხვა – სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რომლის ამა თუ იმ პირის მიერ ჩადენილი საზოგადოებრიულად საშიში ქმედობისათვის ბრალი არ არსებობს. ობიექტური შერაცხადობის დროს მხედველობაში მიიღება მარტოოდენ სიანის მიყენების ფაქტი, ხოლო პირის ფსიქიკური დამოკიდებულება მაგნე შედეგთან – მისი გათვალისწინება ან გათვალისწინების შესაძლებლობა – საჭიროდ არ ითვლება. ობიექტური შერაცხვის ელემენტს მოიცავს აგრეთვე კოლექტიური პასუხისმგებლობა (მაგ. ქველა სოფლელის დასჯა ამ სოფლის ერთ-ერთი მკვიდრების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის). მას ეხმიანება განვითარების პრიმიტიულ საფეხურზე მყოფი ხალხების სამართლის ძეგლებში. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით ასეთი პასუხისმგებლობა დაუშვებელია.

ობლიგაცია – (ლათ. ვალდებულება) – საწარმომადგენლო მყარი საპროცენტო განაკვეთის მქონე გრძელვადიანი ფასიანი ქაღალდი, რომელიც მის მფლობელს განსაზღვრული შემოსავლის მიღების უფლებას აძლევს. მისი გამომშვები ვალდებულებას კისრულობს გამოისყიდოს იგი განსაზღვრულ ვადაში, გადაუხადოს ობლიგაციის მფლობელს შემოსაგალი სპეც. ტირაჟებში გათამაშებული მოგების ფორმით. ობლიგაციას დაუბრკოლებლად ყიდიან და ყიდულობენ შემნახველი სალაროები, შეიძლება მათი შენახნახად ჩაბარება, წაქცება, ანდერძით გადაცემა.

ოდიშ-ოსმალეთის ხელშეკრულება 1615 – ხელშეკრულება, რომლითაც ოდიშის მთავარი ლევან II დადიანი ცნობდა ოსმალეთის ხონთქრის უზენაესობას და ხარკს კისრულობდა მის სასარგებლოდ. დაიდო გურია-ოსმალეთის შეთანხმების (1614) დადების შემდეგ.

ოთმანური – XV ს. დასასრულსა და XVI ს. დასაწყისის ქართულ წყაროებში (ალაპებში) მოხსენიებული ტერმინი ოსმ. (თურქ.) მონეტების აღსანიშნავად. ერომანეთისაგან განასხვავებენ ოთმანურ თეთრს ანუ ახჩას და ფლორს ანუ ალთუნს.

ოთხმისდური – ოთხმისდური, ოთხმაზური მოხელე ძველ საქართველოში. გვხვდება XI–XVIII სს 3 საბუთში, რომლებიც დასაველეთ საქართ. განეკუთვნება. ერთდროულად რამდენიმე ოთხმისდური არსებობდა. ისინი დიდმოხელეთა (მაგ. ერისთავთა) გეერდით იხსენიებიან, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ოთხმისდურობა მნიშვნელოვანი თანამდებობა უნდა ყოფილიყო. თვით სახელწოდება ითქმის ტერმინ „ოთხმეძლურს“ უკავშირდება (ოთხძალი ოთხსიმაან საკრაველ ნიშნავს). „ოთხმეძლურის“ ხელობა–თანამდებობიდან გამომდინარეობს გვარი ოთხმისური.

ოირათული სამართლის ძეგლი – „ცაჯინ-ბიჩიგი“, ოირათთა სახანოს სამართლის ძეგლი 1640 ქ.წ. მონღოლ-ოირათული კანონები. შეიცავს ოირათი ხალხის ძირითად ჩვეულებრივი სამართლის ნორმებს. (დაახლოებით 160 მუხლი).

ოკრუგი – (რუს.) – ადმინისტრაციულ-ეკონომიკური ერთეული, რომელიც სსრკ-ში 1923–30 ადმ. ტერ. რეფორმის გატარების დროს შეიქმნა (ეკონომიკური დარაიონების პრინციპის მიხედვით). ოკრუგები მხარეებისა და ოლქების შემადგენლობაში შედიოდნენ და რაიონებად იყოფოდნენ. სულ 246 ოკრუგი არსებობდა. სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1930 წ. 30 იანვრის დადგენილებით ოკრუგები გაუქმდა და მხოლოდ რამდენიმე შემორჩა. 1946 შემდეგ სსრკ-ში ადმ. ოკრუგები აღარ არსებობს.

ოლიგარქია – (ბერძ. მცირეთა ძალაუფლება) – მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლება ეკუთვნის ადამიანთა მცირე ჯგუფს, როგორც წესი, ეკონომიკურად ძლიერთ.

ოლქი – (თურქ. ქვეყანა, მხარე) – ამა თუ იმ ტერიტორიის ნაწილი, რომელიც გამოიყოფა მართვის განსაზღვრული დარგისათვის (ადმ. პოლიტ., სამხედრო, საარჩევნო და სხვა. ოლქი უწოდება ადმ. ტერ. ერთეულს სსრკ-ში (რევოლუციამდელ რუსეთში). ტერმინი ოლქი დღესაც ისმარება საქართველოში.

ომის დამნაშავე – პირი, რომელმაც ხაიდინა კატეგორიობის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდებასა და განაჩენში. ესაა 1) დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ (აგრესიული ომის ან სხვა. ხელშეკ. დარღვევა, ომის

დაგეგმვა, მომზადება, ქარაფლობა). 2) ომის დანაშაული (ომის კანონების დარღვევა, სახელდობრ: მოსახლეობის დახოცვა, წამება, მიცვლების დასჯა), 3) დანაშაული ადამიანების წინააღმდეგ (სხვადასხვაგვარი სისასტიკე). ომის დამნაშავე ვერ ისარგებლებს თავშესაფრის უფლებით.

ომის კანონები და ჩვეულებები — საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ მეომარ მხარეთა ურთიერთობებს ერთმანეთთან და ნეიტრალურ სახელმწიფოებთან. მოქმედი ომის კანონები და ჩვეულებები ნაწილობრივ დამკვიდრებულია საერთაშორისო ჩვეულებებით, ძირითადად კი დადგენილია სხვადასხვა საერთაშორისო სამართ. აქტებით, რომელთაგან მთავარია ჰააგის კონვენციები (1899, 1907, 1954), უენევის ოქმები (1925, 1977), უენევის კონვენციები (1949). ომის კანონები და ჩვეულებების მიხედვით საომარ მოქმედებას წინ უნდა უსწრებდეს ომის მოტივირებული გამოცხადება ან ულტიმატუმი ომის გამოცხადების პირობით. ომის ასპარეზს წარმოადგენს მხოლოდ მეომარ მხარეთა სახ. ტერიტორიები. აკრძალულია ქიმიური და ბაქტერიული იარაღის ჭურვებისა და ნივთ. გამოყენება, დაწესებულია დანებებული მოწინააღმდეგის მოკვლა ან დაჭრა. აგრეთვე აკრძალულია ჰოსპიტალებზე, მატარებელზე ან გემზე თავდასხმა. იგი მოიცავს ომის შეწყვეტის ფორმებს: დანებება, კაპიტულაცია, საზავო ხელშეკრულება.

ომის პროპაგანდა — სისხლის სამართლის მიხედვით დანაშაული, რომელიც მიმართულია მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის წინააღმდეგ და საფრთხეს უქმნის საგარეო უშიშროებას. რა ფორმითაც უნდა წარმოებდეს იგი, მკაცრად ისჯება სისხლის სამართლის კანონით. გაერომ გენ. ასამბლეის 1947წ. 3 ნოემბრის რეზოლუციით დაგმო ომის პროპაგანდა, ხოლო 1970. დეკლარაციაში საერთ. სამართლის პრინციპების შესახებ მისი აღკვეთა დააკისრა სახელმწიფოებს.

ოპერატიული მმართველობის უფლება — სახელმწიფო ორგანიზაციის უფლება კანონით დადგენილ ფარგლებში ფლობდეს და განკარგავდეს მისთვის მიჩენილ ქონებას, სარგებლობდეს ამ ქონებით ორგანიზაციის საქმიანობის მიზნების, საგეგმო დავალებებისა და ქონების დანიშნულების შესაბამისად. ოპერატიული მმართველობის უფლება აქვთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსაც.

ოპერაცია — (ლათ. მოქმედება) — 1. დასრულებული მოქმედება ან მოქმედებათა მთელი რიგი, რომელიც მიმართულია რაიმე

მიზნის მისაღწევად. 2. რიგითი, პერიოდულად განმეორებადი ცალკეული მოქმედება, აქტი დაწესებულებების ან საწარმოს საქმიანობაში.

ოპოზიცია – (ლათ. დაპირისპირება) ÷ 1. წინააღმდეგობის გაწევა თავისი შეხედულებების ან პოლიტიკისადმი. 2. პარტია ან ჯგუფი, რომელიც თავის შეხედულებებსა და პოლიტიკას უპირისპირებს უმრავლესობის შეხედულებებსა და პოლიტიკას. პარლამენტური ოპოზიცია – პარტიები ან ჯგუფები პარლამენტში, რომლებიც არ მონაწილეობენ მთავრობის ჩამოყალიბებაში და მთელ რიგ საკითხებში გამოდიან მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ. შინაპარტიული ოპოზიცია – დაჯგუფებები, რომლებიც გამოდიან რომელიმე პრინციპულ საკითხებში პარტიის პოლიტიკისა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების წინააღმდეგ.

ოპტაცია – (ლათ. არჩევანი) – ამა თუ იმ პირის მიერ ორი სახელმწიფოს მოქალაქეობიდან ერთ-ერთის არჩევა. ასეთ უფლებას წარმოშობს ამ სახელმწიფოთა შეთანხმება მოქალაქეთა განსაზღვრული კატეგორიისათვის, რომელიც ერთი სახელმწიფოდან მეორეს გადაეცემა.

ოპტიმალური ფასები – (სოციალიზმის დროს, პროდუქციის წარმოებისა და მოხმარების ოპტიმალური გეგმის შედგენისა და გაანგარიშების პროცესში მიღებული ფასები. იგი უზრუნველყოფს საგეგმო დავალებათა შესრულების სტიმულირებას, შეაფასებს ცალკეული სამეურნეო რგოლების დანახარჯებს, ახასიათებს საზოგადოებრივი დანახარჯებისა და წარმოების შედეგების შემცირებას ან გადიდებას პროდუქციის წარმოებასა და მოთხოვნილებაზე მცირე ცვლილების პირობებში.

ორგანიზაცია – (ფრანგ.) – 1. სისტემაში მოყვანა, მოწესრიგება, მოწყობა; 2. გარკვეული მიზნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი, სას. გაერთიანება, კავშირი; 3. აგებულება, შემადგენელ ნაწილთა განლაგება და ურთიერთმიმართება.

ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმა – ორგტექგეგმა – საწარმოს (საწარმოო გაერთიანების) ტექნიკურ-სამრეწველო საფინანსო გეგმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს წარმოების ტექნიკური და ორგანიზაციული ღონის სრულყოფას. მასში მოცემულია საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, პროგ. ტექნოლოგიის დანერგვის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებები. ადგენენ ყოველი საწარმოო უბნის, საამქროსა და მთელი საწარმოს

მიხედვით.

ორგტექნიკის შემუშავებაში მონაწილეობენ საამქროს, საწარმოს სხვადასხვა სამსახურისა და ფუნქციონალურ განყოფილებათა მუშაკები. მისი შედგენისას ითვალისწინებენ მუშაკთა რაც. წინადადებას, მომიჯნავე საწარმოში ტექ. სიახლეებს.

ორგანიზებული დანაშაული — განსაკუთრებული ფორმა დანაშაულებრივი საქმიანობისა, რომელსაც ახორციელებენ სპეციალურად შექმნილი დიდი არალეგალური ორგანიზაციები, რომლებიც აგებულია ვერტიკალური დაქვემდებარების პრინციპზე. ფუნქციები წევრთა შორის განაწილებულია, სადაც ნმიშვნელოვან როლს თამაშობენ პროფესიონალ მკვლელთა ჯგუფები, რომელთაც იყენებენ „არასასურველ" პირთა ჩამოსაშორებლად, დასაშინებლად, შანტაჟისათვის. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ორგანიზებული დანაშაულის ცნებას არ ცნობს, მაგრამ სისხლის სამართლის 27-ე მუხლში მოცემულია ჯგუფური დანაშაული, სადაც ნათქვამია: „დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაშიც იგი მონაწილეობდა. (სსკ. მუხ. 27).

ორგია — (ბერძ.) ძვ. ალმ. ქეიფებში, ძვ. საბერძნეთსა და რომში რომელიმე ღმერთისადმი მიძღვნილი ღღესასწაული. 2. თაყვანცემული, წრეგადასული დროსტარება, ქეიფი.

ორგტექნიკა — საორგანიზაციო ტექნიკა, ტექნიკურ საშუალებათა კომპლექსი, რომლის დანიშნულებაა მმართველობის სამუშაოების მექანიზაცია და ავტომატიზაცია. მასში შედის: დიქტოფონები, საწერი მანქანები, ავტომატები, პირგადასაღები და გასამრაელებელი აპარატები, ელექტრონული გამომთვლელი მანქანები და სხვა. ორგტექნიკის აუცილებლობა განაპირობა ტექ. პროგრესის მაღალმა ტემპმა, წარმოების მასშტაბების გადიდებამ,

მართვის სირთულემ, დასამუშავებელი ინფორმაციის სიჭარბემ და მართვის სფეროში დასაქმებული მოსამსახურე პერსონალის რაოდენობის შემცირების საჭიროებამ.

ორდალები — (ლათ. მსჯავრი) — მტკიცებულობის პრიმიტიულ-ბარბაროსული სახეობა წინააპიტალისტური ხანის სასამართლოების პრაქტიკაში. ორდალები ანუ „ღვთის მსჯავრი“ გულისხმობდა ბრალდებულის გამოცდას ცეცხლით, წყლით და სხვა მსგავსი საშუალებით. ცეცხლით გამოცდა ცნობილი იყო ძვ. ინდოეთში, სპარსეთში და ა.შ. მას საფუძვლად ედო რელიგიური რწმენა, რომ ცეცხლი უდანაშაულო კაცს არ აუნებდა. არსებობდა მდუღარე წყლით გამოცდაც. ქრისტიანებს მდუღარე წყლიდან უნდა ამოეღო საკულტო დანიშნულების ნივთი ისე, რომ ხელი არ უნდა დასწვოდა. ორდალებს განეკუთვნებოდა ფიცი და ორთაბრძოლა.

ორდერი — (გერმ. რიგი, წესი) — წერილობითი ბრძანება, მოწერილობა, განკარგულება. მაგ. დოკუმენტი, რომელიც იძლევა საცხოვრებელ სახლში ჩასახლების უფლებას; საგამომძიებლო ორგანოთა მიწერილობა ჩხრეკის ჩატარებისას, ნივთიერ მტკიცებულებათა მნიშვნელობის მქონე საგნების, საბუთების თუ სხვა ამოღების თაობაზე.

ორდონანსი — (ფრანგ. ბრძანება) — 1. მეფის ბრძანება საფრანგეთსა და ინგლისში. საფრანგეთში ორდონანსი XII ს-დან გვხვდება. კანონიერი ძალის მინიჭების მიზნით ორდალებს XV ს-დან პარლამენტი აღრიცხავდა. ორდონებს გამოსცემდნენ საფრ. დიდ რევოლუციამდე და რესტავრაციის პერიოდში. ინგლისში XIII ს-დან ორდალი იყო მეფის ბრძანება, რომელიც პარლამენტის მოწონებას არ საჭიროებდა. 1537-დან ორდალი იურიდიული ძალის მხრივ სტატუტებს გაუთანაბრდა. 2. სასაღარგარეთის ბევრ ქვეყანაში უმაღლესი საკანონმდებლო ან აღმ. ორგანოს მიერ მიღებული სამართლის აქტის სახელწოდება.

ორდონანსი ასეულები — (ფრანგ.) კაპიტალისტების ქვედანაყოფები შეიქმნა საფრანგეთში 1439 მეფე შარლ VII-ის ბრძანებით (ორდონანსით). შედგებოდა ადგილ. მკვიდრთაგან, რომლებსაც სახელმწიფო მეტმიც სამხ. სამსახურში ქირაობდა. ორდონანსის ასეულები პირველი მუდმივი დაქირავებული ჯარი იყო. თავდაპირველად ე. ა. შეიქმნა 15, 600–600 კაცის შემადგენლობით. იგი შედგებოდა 100 ქვედანაყოფისაგან, ქვედანაყოფი კი 6 კაცისაგან: 1 მხედველი შეიარაღებული რაინდი, 3 მშვილდოსანი (ცხენოსანი), 1 მეაბჯრე და 1 მსახური.

ორთაღი — (თურქ. ამხანაგო-

ბა, ასოციაცია) XII–XIII სს საქართველოში საკრედიტო-სავაჭრო ასოციაცია, რომელიც სესხად გასცემდა ფულსა და საქონელს (გირაოდ იტოვებდა სესხის ამღების უძრავ ქონებას და იღებდა სარგებელს.)

ორიგინალი – (ლათ. თავდაპირველი) 1. თავდაპირველი ავტორისეული ნაწარმოები. 2. (საგამომძიებლო საქმეში) დედანი. 3. (საუბრისას) თავისებური, უცნაური ადამიანი.

„ორმოცდაათის პროცესი“ – „მოსკოველთა პროცესი“, „სრულიად რუსეთის სოციალურ-რევოლუციური ორგანიზაციის“ მონაწილეთა გასამართლება. მიმდინარეობდა პეტერბურგში, სენატის განსაკუთრებულ განყოფილებაში 1877 წ. 21 თებერვლიდან 14 მარტამდე. სასამართლო ღია იყო. ბრალდებულთა შორის იყვნენ: ს. ბარდინი, გ. ზდანოვიჩი, პ. ალექსეევი, ი. ჯაბადარი და სხვები. ბრალდებულთა უმრავლესობა 18–23 წლისა იყო. ეს იყო პირველი პოლიტ. პროცესი რუსეთში, რომელზედაც აქტიურად გამოეხმაურნენ მუშები 14 კაცი და ქალები 16. ძირითადად ბრალდებად წაუყენეს მონაწილეობა „ფარულ საზოგადოებაში“, რომელიც მიზნად ისახავდა არსებული წყობილების დამხობას. ამ პროცესზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რევოლუციონერ ალექსეევის გამოსვლა. ბრალდებულები უარყოფდნენ რაიმე ფარულ ორგანიზაციაში მონაწილეობას. განაჩენით 10 წლამდე კატორღა მიესაჯათ 10, ციმბირში გადასახლება 26, 3 გაამართლეს, 1 ტუსაღობა მოსარჯულებელ სახლში. ამ პროცესს გამოეხმაურნენ ფ.ენგელსი, ნეკრასოვი, ი.ტურგენევი, მ.სალტიკოვ-შჩედრინი.

ორპალატიანი სისტემა – საკანონმდებლო ორგანოს აგების ისეთი სტრუქტურა, როცა იგი 2 ნაწილისაგან (პალატისაგან) შედგება. ამ პრინციპზე იყო აგებული სახელმწიფოს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო – უმაღლესი საბჭო, რომელიც შედგებოდა 2 თანასწორუფლებიანი პალატისაგან – კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან. ორივე პალატა იქმნებოდა პირდაპირი არჩევნების გზით. მათ ირჩევდნენ ერთდროულად და თანაბარი ვადით, თანაბრად ეკუთვნოდათ აგრეთვე საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

„ორპარტიული სისტემა“ – სოციერთი კაპიტალისტური ქვეყნის პოლიტიკური სისტემა, რომლის დროსაც ორი წამყვანი ბურჟუაზიული პარტია ერთდროულად ცვლის ერთმანეთს ხელისუფლების სათავეში (აშშ-ში რესპუბლიკური და დემოკრატიული, დიდ ბრიტანეთში – კონსერვატიული და ლეიბორისტული, კანადაში – ლიბერალური და პრო-

გრესული-კონსერვატორული პარტიები და სხვა) ამ პარტიებს შორის მიმდინარეობს პოლიტიკური ბრძოლა, თუმცა მათ ერთნაირი პოზიცია უკავიათ სახ. პოლიტიკის საკითხებში.

ოსტანი — (სპარს. ოლქი, პროვინცია) — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ირანში. ოსტანის სათავეში დგას ოსტანდარი (გენერალ-გუბერნატორი). ოსტანებად დაყოფა შემოიღეს 1937, იგი იყოფა რამდენიმე რაიონად — შაჰრესტანად.

ოსტატი — 1. თანამდებობა, წარმოების,ხელობის სულმძღვანელი; 2. მასწავლებელი, მოძღვარი, აღმზრდელი.

ოსტრაკიზმი — (ბერძ. თიხის ნამტვრევი) ძვ. ათენში ამა თუ იმ პირის დროებითი განდევნა ქალაქიდან სახალხო კრების დადგენილებით. იგი როგორც ტირანიის აღდგენის საწინააღმდეგო ღონისძიება შემოიღო კლისთენემ ძვ. წ. VI ს-ში. შემდეგ კი მას მიმართავდნენ როგორც პოლიტ. ბრძოლის საშუალებას. ოსტრაკიზმის გამოყენების საკითხი ყოველწლიურად იდგა სახ. კრების წინაშე. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, დანიშნულ დღეს ყველა, ვისაც კი ჰქონდა სახ. კრებაში ხმის უფლება, თიხის ნამტვრევზე წერდა იმის სახელს, ვინც მისი აზრით ხალხისთვის საშიში იყო. ის პირი, რომლის წინააღმდეგაც შეგროვდებოდა არანაკლებ 6 ათასი ხმისა, განიდევნებოდა ათენიდან 10 წლით. ამ წესით განდევნეს არისტიდე, თემისტოკლე.

ოფერტი — (ლათ. ვთავაზობ) — ერთი პირის (ოფერტის) წინადადება მეორისადმი (აქცეპტანტისადმი) სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადების შესახებ. ოფერტი ხელშეკრულების ყველა არსებით პირობას შეიცავს. განასხვავებენ ზეპირ და წერილობით ოფერტებს. ზეპირი ოფერტი მიმართულია განსაზღვრული და იქნე მყოფი პირისადმი და დაუყოვნებლივ პასუხს მოითხოვს. ოფერტი შეიძლება მიმართული იყოს იქ მყოფთან იქ არმყოფი პირისადმი, კონკრ. პირისადმი ან პირთა განუსაზღვრელი წრისადმი (მაგ. მაღაზიაში საქონლის გამოფენა, ფასის აღნიშვნით).

თუ ოფერტში ვადა დათქმულია, მაშინ პასუხი ვადის გასვლამდე უნდა გაიცეს. ვადის მიუთითებლობის შემთხვევაში კი ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, თუ პასუხი წინადადების მიღების შესახებ მისულია ამისათვის საჭირო დროში.

ოფიცერი — (ლათ. თანამდებობა) პირი, რომელიც განკუთვნილია მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობას შეიარაღებულ ძალებში, აგრეთვე მილიციასა და პოლი-

ციაში. ოფიცერს აქვს მინიჭებული სამხედრო წოდება. არსებობს ოფიცერთა უმცროსი და უფროსი შემადგენლობა.

ოქმი — ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც ფიქსირებულია სხვადასხვა ფაქტი, ადმინისტრაციული გადაცდომა, საგამომძიებლო ორგანოთა პროცესუალური მოქმედება, აგრეთვე სასამართლო გარჩევის მსვლელობა და შინაარსი. ადმ. ოქმს ადგენს რწმუნებული თანამდებობის პირი ან სასის წარმომადგენელი. ოქმში შეაქვთ ცნობები წესრიგის დამრღვევი პიროვნების, დამრღვევის რაობის, ადგილისა და დროის, მოწმეების შესახებ. ოქმს ხელს აწერს მისი შემდგენი, სამართალდამრღვევი, მოწმე და დასარალებული. საგამომძიებო მოქმედების ოქმს ადგენს გამომძიებელი ან მომკვლევი პირი. მასში მითითებულია სად, როდის, ვის მიერ და ვისი მონაწილეობით რა საგამოძიებო მოქმედება ჩატარდა (დაკითხვა, ნსრება). მას კითხულობს და ხელს აწერს საგამომძიებლო მოქმედების ყველა მონაწილე. თუ გამოძიების დროს გამოყენებული იყო სამეცნ. ტექნ. საშუალებანი, ეს აღინიშნება ოქმში, რასაც თან უნდა დაერთოს ფოტოსურათი, სქემა, ტყიპარი. სასამართლო სხდომის ოქმს ადგენს სასამართლო სხდომის მდივანი, ხელს აწერს სას-ის სხდომის თავმჯდომარეც. მასში აღინიშნება სხდომის ადგილი, მისი გახსნის და დახურვის დრო, სასამართლოს შემადგენლობა, სასამართლო გარჩევის მსვლელობა და სხვა. საკასაციო ან სააპელაციო ინსტანცია, რომელიც ამოწმებს განაჩენის (თუ გადაწყვეტილების) კანონიერებას და საფუძვლიანობას ოქმის მიხედვით აფასებს სასამართლო გარჩევის მსვლელობასა და შინაარსს. 2. დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია კრების, სხდომის და მისთ. მსვლელობა და დადგენილებანი. 3. გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში არსებული წაწერილი ბრძანება-განკარგულება საქმის გადაწყვეტის ან წარმართვის შესახებ.

ოქროს ბეჭედი — შუა საუკუნეების მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ სიგელთა ზოგადი სახელი, რომელიც სიგელზე შეკიდებული ოქროს ბეჭდისაგან წარმოდგა. ცნობილია უნგრეთის მეფის ანდრიაშ II-ის 1222 ოქროს ბეჭედი, რომელმაც შესწყვეტა სამეფო ხელისუფლება და განამტკიცა თავადაზნაურობის პრივილეგიები. განსაკუთრებით აღსანიშნავია იმპ. კარლ IV-ის 1356 ოქროს ბეჭედი, რომელიც „საღვთო რომის იმპერიის“ ძირითადი საკანონმდებლო აქტი იყო და 1806-მდე მოქმედებდა.

ბიზანტიის კეისართა ოქროს ბეჭდებზე ბეერგან არის საუბარი პეტრიწონის ქართველთა მონასტრის წესდებაში (XI ს), რომელიც გრიგოლ ბაკურიანისძემ შეად-

გინა.

„ოქროს ვარსკვლავი“ – მედალი სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1909 წ. 1 აგვ. ბრძანებულებით, წარმოადგენს ხუთქიმიან ოქროს ვარსკვლავს, რომელსაც აქვს გლუვი ორწახნაგოვანი სხივები. იბნევენ მკერდის მარცხენა მხარეს ორდენებისა და მედლების ზემოთ.

ოქროს მანეთი – პირობითი ფულის ერთეული (0,7742358 ხალასი ოქრო) რუსეთში; შემოიღეს 1895–97 ფულის რეფორმის შემდეგ. ამის შემდეგ წარმოიშვა ოქროს მონეტა'სმი. იჭრებოდა 5, 10, 15 მანეთიანი (იმპერიალი) ოქროს მონეტები. ოგი მიმოქცევაში იყო 1914-მდე. მას იყენებდნენ საანგარიშო ერთეულად 1921–22 წწ.-მდე.

ოქროს მედალი – ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ჯილდო სკოლასა და შრომაში ფრთადი წარმატებისა და სანიმუშო ყოფაქცევისათვის. სკოლაში ოქროს მედალი ეკრცხლის მედალთან ერთად დააწესა სსრკ სახკომსაბჭომ 1944 წ. 21 ივნისის დადგენილებით. სსრკ მინისტრთა საბჭომ 1968 18 დეკემბრის დადგენილებით შეცვალა ოქროს მედლით დაჯილდოების წესი, გააუქმა ეკრცხლის მედალი და დააწესა „ქების სიგელი“, რომლითაც ჯილდოვდება საშ. სკოლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც ექვსი საგნის წლიური შეფასებაა „ნ“.

ოქროს პარიტეტი – (ლათ. თანასწორობა სრულფასოვნობა). 1. ეროვნულ ფულად ერთეულში კანონით ფიქსირებული ხალასი ოქროს წონითი შემცველობა. 2. ორი ფულადი ერთეულის თანაფარდობა, გაანგარიშებული კანონით ფიქსირებული ოქროს შემცველობის საფუძველზე. იგი გვიჩვენებს სხვა ქვეყნის ფულადი ერთეულის იმ რაოდენობას, რომელიც ხალასი ოქროს იმავე რაოდენობას შეიცავს, რამდენიც კანონით არის დაწესებული მოცემული ქვეყნის ფულადი ერთეულისათვის.

ოქროს სტანდარტი – ოქროს მონეტა'სმი, ფულადი სისტემა, რომლის დროსაც საერთაშორისო ანგარიშსწორების როლს ოქრო თამაშობს, ხოლო მიმოქცევაში ფუნქციონირებს ოქროს მონეტები ან ოქროსგან გასაცვლელი ფულადი ნიშნები.

ოქტროირებული კონსტიტუცია – (ფრანგ. ბოძება, წყალობა) – კონსტიტუცია, რომელსაც გამოსცემს სახელმწიფოს მეთაური წარმომადგენლობითი ორგანოების მონაწილეობის გარეშე. ისტორიაში პირველი ოქროირებული კონსტიტუცია იყო ლუი XVIII-ის საფრანგეთის კონსტიტუციური ქარტია (1814), რომელიც გამოცხადდა ბურბონების რესტავრაციის დროს.

რაციის შემდეგ. ოქტროირებული (ბოძებული) იყო აგრეთვე იაპონიის კონსტიტუცია (1889), რუსეთის იმპერიის „ძირითადი სახელმწიფო კანონები“ (1906) და სხვა აქტები.

ოცეული – რამდენიმე (2–4) ათეულის, საბრძოლო გათვლისა და ეკიპაჟისაგან შემდგარი სამხ. ქვედანაყოფი. იგი დღეს ყველა გვარეობის ჯარებსა და სპეც. ჯარებშია. მაგ. მოტომსროლელი, საცეცხლე, სატანკო და სხვა.

ოხერი – (სამართ. ისტ.) – მიტოვებულ-გაუკაცრიელებული უძრავი ქონება ძვ. საქართველოში. ასეთი ქონების სახელად იხმარებოდა აგრეთვე „ნაოხარი,“ „ოხერქმნილი“ და პარტახიელი, რომლის კანონიერად დასაკუთრება მხოლოდ განსაზღვრულ პირობათა დაცვით, სახელდობრ, ხანგრძლივი და „მოქმედებული“ მფლობელობის გზით შეიძლებოდა.

ოჯაღლიჭი – (თურქ. კერა) – 1. მემკვიდრეობითი ფეოდალური სამფლობელოები ოსმალეთის ზოგიერთ ვილაიეთში, რომლის არსებობაც დამოწმებულია სამცხე-საათაბაგოს ტერ-ზე დაარსებული ათმ. ერთეულის სილდირის ვილაიეთის ფარგლებში. ოჯაღლიქის მფლობელებს ბეგის ტიტული ჰქონდათ, სარგებლობდნენ საგადასახადო შეუვალობით. ო. ფორმდებოდა სულთნის წყალობის სიგელის, ბერათის საფუძველზე, რომელიც ადასტურებდა ადგილ. ფეოდალის უფლება-მოვალეობებს. 2. ქართ. პოლიტიკური ერთეულები, რომელნიც ოსმ. აგრესიის გარკვეულ ეტაპზე იძულებულნი ხდებოდნენ თავი სულთნის მოხარკედ ეცნოთ. მათ ზოგჯერ ოჯაღლიქის ჰუქმეთს უწოდებდნენ, ხოლო მათ განმგებელ მეფეს ან მთავარს – ბეგლარს, ხანს ან ამირას.

ოჯახი – ქორწინების ან ნათესაობის საფუძველზე შექმნილი მცირე სოციალური ჯგუფი, რომლის წევრები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან ყოფაცხოვრების ერთიანობით, ურთიერთ მხარდაჭერით და მორალური პასუხისმგებლობით.

პ

პავლენკოვის ენციკლოპედიური ლექსიკონი – რუსული ილუსტრირებული ენციკლოპედიური ლექსიკონი (ერთტომეული). გამომცემელი ფ. პავლენკო. პირველი გამოცემა 1899 გამოვიდა პეტერბურგში. პავლენკოს გარდაცვალების შემდეგ (1900) მისმა მემკვიდრეებმა გამოუშვეს კიდევ 4 გამოცემა, რომელიც შეიცავს 34 ათ. ტერმინს. იგი თავისი გასაგები, ყველასათვის მისაწვდომი თხრობის გამო დიდი პოპულარობით სარგებლობდა სახ. მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მუშებს შორის.

პაი – (ო'ერქ. ხეედრი, წილი) – 1. რომელიმე ამხანაგობაში, სააქციო საზოგადოებაში (რომელთანაც დაკავშირებულია ქონებრივი უფლება-მოვალეობანი) მონაწილეობის წილი. 2. კოოპ. სისტემაში ქვედა რგოლის – კოოპ. ორგანიზაციის წევრის მიერ შესატანი თანხა. იგი კოოპის სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილია, მისი ოდენობა, შეტანის წესი და ვადა განისაზღვრება კოოპერატივის წევრთა საერთო კრების დადგენილებით, კოოპერატივის წესდების შესაბამისად. 3. წერილი ხურდა ფული ინდოეთსა და პაკისტანში, ფულის ათეულობით სისტემაზე გადასვლამდე (ინდ. 1957, პაკისტ. 1961) ულრიდა რუპიის 1/192, პაისას 1/3.

პაისა – 1. საბილენძის ფულის მონეტის სახელწოდება XVIII–XIX სს ინდოეთში. 2. ინდოეთის, მავრიკიის, პაკისტანის და ნეპალის ხურდა ფული. ათეულობით ფულად სისტემაზე გადასვლამდე ულრიდა რუპიის 1/64, ხოლო ამ სისტემაზე გადასვლის შემდეგ რუპიის 1/100. ბანგლადეშის პაისა ულრიდა 1/100 ტაკას.

პალატა – (ლათ. სასახლე) (სამართ.) – 1. წარმომადგენლობითი ორგანოს ან მისი ცალკეული ნაწილის სახელწოდება. მაგ. სსრკ უმაღლესი საბჭო 2 თანასწორუფლებიანი პალატისაგან კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან შედგებოდა. 2. ზოგიერთ სახელმწიფოში სას. ორგანოსაკიის სახელწოდება (მაგ. წიგნის პალატა). 3. რევოლუციამდელ რუსეთში სასამართლო პალატა, განიხილავდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს.

პალეოგოსები – (ბერძნ.) უკანასკნელი მმართველი დინასტია ბიზანტიის იმპერიაში.

პალესტინის ძართული წარწერები – იტალიელი არქეოლოგის ჯორჯ.ლისი კორბის მიერ იერუსალიმში 1952 აღმოჩენილი ქართული მინასწრის წარწერები.

პალიმფსესტი – (ბერძნ. ისევ, ხელახლა ვფხეკავ, ვრეცხავ) –

ხელნაწერი (ჩვეულებრივ კრატი), რომლის ფურცლები გადარეცხვის შემდეგ ხელახლა არის გამოყენებული საწერ მასალად.

პალინდრომი — (ბერძნ. უკუ- დმა მოძრაობა) სიტყვა, ფრაზა ან ლექსი, რომელიც წაღმა და უკუღმა ერთნაირად იკითხება.

პალმარისი — გაქვავებულ მონა სანგოთა სახელმწიფო ბრდ. აღმ. ბრაჰმილიაში 1630— 97. სანგები გაერბოდნენ სასტიკ ექსპლუატაციას, თავს აყარებდნენ პალმის ტყეებს (პალმარებს) და ქმნიდნენ გამაგრებულ დასახლებებს კილომბუსებს. 1630 რამდენიმე კილომბუსი გაერთიანდა და შეიქმნა პრიმიტ. ფეოდ. სახელმწიფო, რომელსაც სათაურში ედგა სამუდამოდ არჩეული ბელადი და უხუცესთა საბჭო. 1696—97 პორტუგალიისა და ჰოლანდიის კოლონიზატორებმა დაანგრიეს უკანასკნელი კილომბუსები.

პანაგია — (ბერძნ. ყოვლად წმინდა) — 1. მეფალიონისებური გულზე ჩამოსაკიდებელი პატარა ხატი, რომელსაც ღვთისმშობელი გამოსახული. 2. ღვთისმშობლის იკონოგრაფიული ტიპი. ორანტიის სახით გამოსახული ღვთისმშობელი, რომლის მკერდზე მეფალიონში, ყრმა ქრისტე მოთავსებული.

პანამა-ამერიკის ხელშეკრულებები 1903, 1936, 1955 და 1977 — კაბალური ხელშეკრულებები (გარდა 1977), რომლებიც აშშ-მ თავს მოახვია პანამას. 1903 18 ნოემბერს ვაშინგტონში ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, პანამა იძულებული გახდა სამუდამო მფლობელობაში გადაეცა აშშ-თვის პანამის არხი გაყვანისა და ექსპლუატაციისათვის და საკუთარი შეხედულებით შეეგვანა ჯარები პანამის რ-ში. 1936 წ 2 მარტს ვაშინგტონში ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად გადაისინჯა 1903 დადებული ხელშეკრულება, მაგრამ ხელშეკრულების მუხლები ხელუხლებელი დარჩა. 1955 წ 25 იანვარს პანამაში ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე აშშ-მა დაკარგა რკინიგზებისა და გზების მშენებლობის მონოპოლიების უფლებები. 1977 სექტემბერში ვაშინგტონში ხელი მოაწერეს ახალ ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს ძვ. ხელშეკრულების გაუქმებას, პანამის არხის ზონის ლიკვიდაციას, აშშ-ის აღმ. იურიდიული ორგანოების გაუქმებას.

პან ამერიკანიზმი — პოლიტიკური დოქტრინა, რომელსაც საფუძვლად დაედო ცრუმეცნიერული და ისტორიული პროცესის გაყალბების საფუძველზე შექმნილი იდეა, თითქოს არსებობდეს აშშ-ისა და ამერიკის კონტინენტის სხვა ქვეყნების ისტ. ბედის, ეკონომიკური და კულტურული ერთობა, რომელიც გამოიყენება

იმპერიალისტური ექსპანსიის გასამართლებლად.

პანამერიკული კავშირი – დაარსდა 1889, პირველ ამერიკულ კონფერენციაზე, სახელწოდებით – ამერიკის რესპუბლიკათა შორის ეკონომიკური ინფორმაციის გაცვლის საერთაშორისო კავშირი. 1902 გარდაიქმნა ამერიკის რესპუბლიკათა საერთაშორისო ბიუროდ, ხოლო 1910 პანამერიკული კავშირი გახდა პანამერიკული კონფერენციების მუდმივი ორგანო, რომელსაც სათავეში ედგა ხელმძღვანელი საბჭო. 1948 ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის შექმნის შემდეგ, მისი მუდმივი ცენტრ. ორგანო. 1970 ეწოდა გენერალური სამდივნო. მისი ადგილსამყოფელია ვაშინგტონი.

პანამერიკული კონფერენციები – ამერიკული საერთაშორისო კონფერენციები. ამერიკის რესპუბლიკების პერიოდული კონფერენციები, რომელთაც იწვევდნენ 1889-იდან 1948-მდე, მათ ეწოდებოდათ ამერიკის სახელწ. საერთაშორისო კონფერენციები.

პანამის არხის ზონა – პანამის ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც გადის პანამის არხი. 1903-იდან იყო აშშ-ის საკუთრებაში. 1977 აშშ-პანამის ხელშეკრულება ითვალისწინებს არხის პანამაში პანამის იურისდიქციის თანდათანობით აღდგენას 2000 წლამდე.

პანაშრიბანიზმი – იდეურ-პოლიტიკური მოძრაობა. მისი თავდაპირველი ამოცანა იყო მთელი მსოფლიოს სანაკი აფრიკელების გაერთიანება რასობრივი ჩაგვრისა და უთანასწორობის წინააღმდეგ.

პანბაბილონიზმი – ბერძნულ-ებრაულ ისტორიაში ერთ-ერთი აღმოსავლურ-ცენტრისტული ანტიმეცნიერული მიმართულება, რომელიც აზუთხებდა ბაბილონის, როგორც მსოფლიო კულტურის უძველესი კერის მნიშვნელობას.

პანგენეზისი – მემკვიდრეულობისა და განვითარების თეორია.

პანგერმანიზმი – გერმანიის ბურჟუაზიისა და იუნკრობის ექსპანსიაზე აგრესიული წრეების რეაქციული, შოვინისტური პოლიტიკური დოქტრინა. გამოსარაკვა მიზნად კაპიტალისა და მსხვილმრეწველების ექსპანსიონისტურ მისწრაფებებს გერმ. მსოფლიო ბატონობის დამყარებისაკენ მიმართული ძალისხმევის ტერიტ. და სხვა კოლონიების გადანაწილების პარჯ.

პანდექტები – (ლათ. ყოველის მიმღები) – დიგესტების ბერძნული სახელწოდება.

პანდექტური სამართალი – (გერმ.) – კერძო სამართალი, რომელიც მოქმედებდა გერმანიაში XVI–XIX სს-ში. მას საფუძვლად დაედო გლოსატორთა მიერ გადამუშავებული რომის სამართალი, რასაც დაემატა კანონიკური სა-

მართლის ნორმები და გერმ. ფეოდალ. სამართლის ჩვეულებები. იგი გერმ. საერთო სამართალი იყო. მოქმედებდა გერმ. სამოქალაქო სჯულდების შემოღებამდე (1900).

პანტიკაპეონის სტატერი — ოქროს მონეტა, რომელიც იჭრებოდა ძვ. წ. IV ს. 70-იანი წლებიდან ამავე საუკუნის დასასრულამდე ბოსფორის სამეფოს დედაქალაქ პანტიკაპეონში.

პარადოქსი — (ბერძნ. მოულოდნელი, უცნაური) — დებულება, რომელიც შინაარსით ან ფორმით მკვეთრად განსხვავდება საყოველთაოდ მიღებული ან გაბატონებული შეხედულებისაგან.

პარაფირება — (ფრანგ. შემოკლებით ხელმოწერა) — საერთაშორისო ხელშეკრულების ან მისი ცალკეული მუხლების წინასწარი დამოწმება მხარეების რწმუნებულთა მიერ თავიანთი ინიციალებით — პარაფირების დანიშნულება იმის ფიქსაციაა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების მოცემული ტექსტი საბოლოოდ შეთანხმებულია, მაგრამ პარაფირება არ ნიშნავს ხელის მოწერას და ვერ შეცვლის მას.

პარიკები — (ბერძ. ასალმისახლე, მოსული) — დამოკიდებულ გლეხთა კატეგორია ბოსანტიაში IX — XV სს-ში. პარიკები ძირითადად იყვნენ კერძომფლობელური და სახელმწიფო. პირველებს მემკვიდრეობით ეკავათ ფეოდალის მიწის ნაკვეთი, რისთვისაც ფეოდალს უხდიდნენ ნატურალურ და ფულად რენტას და ბეგარას. სახელმწიფო პარიკები ამუშავებდნენ სახელმწიფო მიწას, ხურსათით ამარაგებდნენ საიმპერატორო სახლს, ემსახურებოდნენ სახელმწიფო ცხენსაშენებს და სხვა.

პარიტეტი — (გერმ. თანასწორობა) — მხარეთა თანასწორი წარმომადგენლობის პრინციპი, პარიტეტულ საწყისებზე იქმნებოდა მაგ. შემთანხმებელი კომისია, სასაზღვრო კონფლიქტების განმხილველი კომისია. პარიტეტის პრინციპი ყველაზე მეტად გავრცელებულია შრომითი დავისა და შრომითი კონფლიქტის განხილვის დროს. წონასწორობა, სხვადასხვა ქვეყნის ფულად ერთეულებს შორის თანაფარდობა დადგენილი ან ოქროს შემცველობით ან მსყიდველობითი უნარით.

პარლამენტარიზმი — სახელმწიფო მმართველობის სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციების მკაფიო განაწილება და რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლების მექანიზმში წამყვანი როლი ფორმალურად ეკუთვნის არჩეით საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტს.

პარლამენტაშორისო კავშირი — საერთაშორისო არა-

მიაკრობითი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 70-ზე მეტი ქვეყნის პარლამენტთა წარმომადგენელ ეროვნულ საპარლამენტო ჯგუფებს. დაარსდა 1889 იმ მიზნით, რათა პარლამენტების გაერთიანებით დამკვიდრებულიყო საერთაშორისო არბიტრაციის გამოყენება სახელმწიფოთა შორის დავის გადაწყვეტად.

პარლამენტი – (ინგ. ლაპარაკი) – სახელმწიფოებში საკანონმდებლო ფუნქციის მქონე უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, პირველად შეიქმნა ინგლისში (XIII ს). ამგვარ ორგანოს აშშ-ში ეწოდება კონგრესი, შვეიცარიაში – რიქსდაგი. ფედერაციულ სახელმწიფოებში ორი პალატისაგან შედგება, უნიტარული სახელმწიფოებისათვის ერთპალატიანია. დეპუტატები იღებენ ხელფასს. მათი ფუნქციაა: კანონების გამოცემა, სახ. ბიუჯეტის მიღება, საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია და სხვა. მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს პარლამენტიც ერთპალატიანია.

პარლამენტიორი – (ფრანგ. ლაპარაკი) – ერთ-ერთი მეომარი მხარის მიერ მოწინააღმდეგესთან მოსალაპარაკებლად წარგზავნილი ოფიციალური წარმომადგენელი. პარლამენტიორის სამართ. უფლება-მოვალეობანი განსაზღვრულია დებულებით, რომელიც თან ერთვის ჰააგის კონვენციას სახმელეთო ომის კანონ-ჩვეულებათა შესახებ (1907). პარლამენტიორი ხელშეუხებელია. ეს ერცელდება პარლამენტიორის თანმხლებ პირებზეც (თარჯიმანი, მძღოლი, მებუკე და სხვა). პარლამენტიორის აუცილებელი ატრიბუტია თეთრი დროშა.

პარტახი – პარტახი – უპატრონოდ მიგდებული მამული, სახლ-კარი ძველ საქართველოში, რომელიც გვხვდება გიორგი V-ის „ძეგლის დადებაში“ ბეითალმან ქონებასთან დაკავშირებით. ბეითალმანი პარტახის მიმღებს „საოჯარო და სალაშქრო“ სამსახური ეკისრებოდა, იბეგრებოდა, ყიდვა-გაყიდვის და სხვა სამართლებრივ ურთიერთობათა საგანიც იყო.

პარცელური მეურნეობა – (ფრანგ. ნაწილი, ნაწილაკი) – სოფლახო – ინდივიდუალური გლეხური მეურნეობა. აღმოცენდა კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლისას, პირველყოფილი თემური წყობილების რღვევის, მონოგამიური ოჯახისა და კერძო საკუთრების წარმოშობის პროცესში.

პასიური ანგარიშები – ბუღალტრული ანგარიშები, რომლებშიც ასახულია სამეურნეო საშუალებების შექმნის წყაროები და მათი მიზნობრივი გამოყენება. მისი დანიშნულებაა სხვადასხვა ფონდისა და სესხის, მიმწოდებლებისა და სხვა კრედიტორები-

სადმი ვალდებულებათა კონტროლი და აღრიცხვა. პასიური ანგარიშების მიხედვით სალდო შეიძლება იყოს მხოლოდ კრედიტორული.

პასპორტი – (ფრანგ. პორტში გავლის ნებართვა) – მოქალაქის პიროვნების დამადასტურებელი ძირითადი დოკუმენტი.

პასუხისმგებლობა იურიდიული – სამართლებრივი ნორმიდან გამომდინარე ვალდებულება სუბიექტისა სამართალდარღვევის შემთხვევაში განიცადოს სახელმწიფო იძულება ან მასთან გათანაბრებული საზოგადოებრივი იძულება. სამართალდარღვევის ხასიათის მიხედვით განასხვავებენ ძირითადად სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, დისციპლინურ პასუხისმგებლობას. პასუხისმგებლობის განსახორციელებლად სამართალდამრღვევს მიუჯენებენ რაიმე სახის სანქციას (მაგ. თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება, ჯარიმა, საყვედური). იგი ეკისრება იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის სამართალდარღვევაში და გულისხმობს გაკიცხვას. გამონაკლისის სახით შეიძლება დაეკისროს იმ პირსაც, ვისაც ბრალი არ მიუძღვის სიანის მიყენებაში. მაგ. პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული სიანისათვის. სანქციებს იყენებენ სპეციალურად საამისოდ უფლებამოსილი სახ. ორგანოები (სასამართლო, არბიტრაჟი, პოლიციის ორგანოები) ან სახ. ორგანიზაციები.

პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი – დანაშაულისა და დამნაშავის მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროების დამადასტურებელი გარემოებანი, რის გამოც უფრო მკაცრი სასჯელი ინიშნება. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში იგი ორგვარად არის ასახული: 1) პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი, რომელიც პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონში რაიმე დანაშაულისათვის სასჯელის დაწესებისას (მაგ. ქურდობა ბინაში შელწევით). 2) პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებანი, რომელსაც მხედველობაში იღებს სასამართლო ყოველგვარი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას კანონით განსაზღვრული სანქციის ფარგლებში. ეს გარემოებანია: დანაშაულის ჩადენა ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც ჩადენილი დანაშაულისათვის დამნაშავის მიმართ გამოყენებული იყო სახ. ზემოქმედების ღონისძიება.

დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ან ანგარებით თუ სხვა ქვენა გრძნობით;

აგრეთვე მცირეწლოვანის, ღრმად მოხუცის, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ, ანდა ორსული ქალის მიმართ.

დანაშაულის ჩადენა განსაკუთრებული სისასტიკით, ან დაზარალებულის აბუჩად აგდებით.

დანაშაულის ჩადენა იმ პირის მიერ, რომელსაც ჩადენილი პქონდა რაიმე დანაშაული და დანაშაულის ჩადენა სიმთვრალეში და სხვა.

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებანი – სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული გარემოებანი, რომლებიც ადასტურებენ დანაშაულებრივი ქმედობის ან დამნაშავის ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას. ეს გარემოებანი კანონით გათვალისწინებული სანქციის ყარგლებში ამსუბუქებენ სასჯელს. სიფხიერ მათ შეიძლება გარკვეულ პირობებში კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშნა, ან პირობითი მსჯავრი, ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვანი დანაშაულის ჩადენის დროს – დამნაშავე განთავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და ადმ. პასუხისმგებლობაში მიეცემა ან სახ. ზემოქმედების ღონისძიება გამოიყენება. ეს გარემოებებია: მიყენებული სარალის ნებაყოფლობით ანაზღაურება ან მიყენებული ზიანის გამოსწორება დამნაშავის მიერ. დანაშაულის ჩადენა მძიმე პირად ან ოჯახურ გარემოებათა დამთხვევის გამო, დანაშაულის ჩადენა მუქარის ან იძულების გავლენით. დანაშაულის ჩადენა პირველად, გულწრფელი მონანიება და სხვა. (სსკ. მუხ. 53).

პატაჟი – წესდებებით გათვალისწინებული ფორმის სიტყვიერი ან წერილობითი მოხსენება. სამხედრო მოსამსახურისა უფროსისადმი. დაეალების ან ვალდებულების შესრულების ანგარიში.

პატენტი – (ლათ. მოწმობა, სიგელი) 1. საბუთი, რომელიც ადასტურებს ტექნიკური გადაწყვეტის გამოგონებად აღიარებას, პრიორიტეტს, გამოგონებაზე ავტორობას და პატენტის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას. იგი გაიცემა გამოგონებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწ. კომიტეტში განცხადების შეტანის შემდეგ მისი მფლობელის განსაკუთრებული უფლება იმით გამოიხატება, რომ მისი თანხმობის გარეშე გამოგონების გამოყენების უფლება არავის არა აქვს. პატენტის მფლობელს შეუძლია სასჯიდლით ან უსასყიდლოდ გასცეს გამოგონებით სარგებლობის უფლება (ლიცენსია) ან მთლიანად დაეთმოს სხვა პირს. პატენტი მოქმედებს განცხადების შეტანის დღიდან 15 წლის განმავლობაში. იგი ვადამდე შეიძლება შეწყდეს დაწესებული ბაჟის გადა-

უსდელობის გამო.

2. მოწმობა, რომელიც იძლევა კერძო ვაჭრობისა ან რეწვის უფლებას.

პატერიძი – (ბერძნ. მამა) – ბიზანტიური სასულიერო მწერლობის გარკვეული ტიპის კრებულთა საერთო სახელწოდება. იგი ადრეც ითარგმნა ქართულად და მას „მამათა ცხოვრება“ ან „სამოთხე“ ეწოდა. მ.შ. უმნიშვნელოვანესია ექვთიმე მთაწმინდელისეული თარგმანი.

პატერნალიზმი შრომითი ურთიერთობის სფეროში – (ლათ. მამობრივი) – მეწარმეთა ყალბი ქველმოქმედება, მ'შრომელია საჭიროებებზე მინეცნებითი ზრუნვის ფორმა, რომლის პასუხად მუშებისაგან მოითხოვდნენ უსიტყვო ერთგულებას, თავდადებასა და მორჩილებას.

პათოსი – (სამართლ. ისტორია) – სასჯელი, დასჯა ძვ. ქართულ სამართალში. მოელ რიგ შემთხვევაში მას საჯარო ხელისუფლებისათვის სისხლის სამართლის ჯერიმის მნიშვნელობაც აქვს. მაგ. დიდებულის მკვლელი ვალდებულია დაზარალებულის სასარგებლოდ კანონით დაწესებული ქონებრივი სასყიდლის „სისხლის“ გარდა „პატრონისა და მაწყევრელის პატივი გადაიხადოს და დაწყევლოს“. პათოსიდან წარმოდგა „განპატიება“ (დასჯა), „პატიჟება“ (სასჯელის დადება) და „პატიჟებული“ (სასჯელდადებული).

პატრიარქალური მეურნეობა – პრიმიტიული მწარმოებლობის ან მომთაბარე მეცხოველეობის მეურნეობა. აღმოცენდა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის პერიოდში, როდესაც წარმოიშვა დამოუკიდებელი სამეურნეო ერთეული პატრიარქალური ოჯახი.

პატრიარქატი – (ბერძნ. მამის ძალაუფლება) – პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის პერიოდში გავრცელებული ურთიერთობის ფორმა, რომელიც ხასიათდებოდა მამაკაცის უპირატესი როლით მეურნეობაში. მისთვის დამახასიათებელი იყო აგრეთვე მამის ხაზით ნათესაობის აღრიცხვა, წყვილადი ქორწინებიდან მონოგამიაზე გადასვლა, დიდი პატრიარქალური ოჯახის შექმნა.

პატრიარქი – (ბერძნ. მამა და ქმართა) დამოუკიდებელი (ავტოკეფალური) მართლმადიდებული ქრისტიანული ეკლესიის მთავარის უსენაესი ტიტული მთელ რიგ ქვეყნებში.

პატრილოკალური ქორწინება – (ლათ. მამა და ადგილი) – საქორწინო დასახლების ფორმა, რომლის ცოლი საცხოვრებლად გადადის ქმრის თემში ან სახლში. ასეთი ქორწინების უფრო ზუსტი სახელწოდებაა ვირილოკალური ქორწინება, რომელიც ჩაისახა დედისეული გვარიდან მამისეულ გვარზე გარდამავალ

საფეხურზე. პატრილოკალური ქორწინებაა, როცა ცოლქმარი ქორწინების შემდეგ მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში, ჩვეულებრივ შვილის შეძენამდე ცხოვრობდა ქმრის მშობლებთან, მერე კი ცოლის სოფელს უბრუნდებოდა.

პატრიციატი – I. მთამომავლობითი არისტოკრატია ძვ. რომში. 2. მცა საუკ. დას. ევროპის ქალაქების მდიდარი მოსახლეობის უმაღლესი ფენა, რომელიც განსაკუთრებული უფლებრივი პრივილეგიებით სარგებლობდა. პატრიციატი მთლიანად ინარჩუნებდა ხელისუფლებას, ეპირისპირებოდა მასებს და მისწრაფოდა მთამომავლობით პრივილეგირებულ წოდებად ქცეულიყო.

პატრიკიოსი – (ბერძ.) – სამოხელეო წოდება ბიზანტიაში. რანგთა ტაბელის მიხედვით განეკუთვნებოდა ტიტელთა I კლასს. ფორმით რომაელ პატრიციუსს ეკავშირდება. პატრიკიოსის პატივი ენიჭებოდათ მაღალი რანგის მოხელეებს, პრაეპინციათა მმართველებს, ეკხო სახელმწიფოთა მეთაურებს. პატრიკიოსის წოდება მიენიჭათ ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ I-ს, ჰერეთის მეფეს ალრიანეს და ეგრისის მმართველ სერგის.

პატრისტიკა – (ბერძ. მამა) – ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ქრისტიანი მოაზროვნეების ფილოსოფიურ, იდეოლოგიურ და პოლიტიკურ-სოციოლოგიურ დოქტრინათა ერთობლიობას II–VII სს-ში.

პატრიციები – (ლათ. მამა) – გვაროვნული არისტოკრატია ძვ. რომში. თავდაპირველად პატრიციებად ითვლებოდა გვაროვნულ თემში გაერთიანებული მთელი ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც რომაელ ხალხს შეადგენდა და პლებეებს უპირისპირდებოდა. იმპერიის ხანაში ჩნდება ახალი პატრიციატი: სენატორთა ფენის პრივილეგირებული ნაწილი და იმპერატორის მიერ დაწინაურებული იჩალიელები და პროვინციელები.

პატრონაჟი – (ფრანც. მფარველობა, მხარდაჭერა) – სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მუშაობის ფორმა. ფსიქიკური ავადმყოფების პატრონაჟი – ფსიქიატრიული დახმარების ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც მშვიდი ქრონ. ავადმყოფი ცხოვრობს ოჯახში და იმყოფება სამკურნალო დაწესებულების მეთვალყურეობის ქვეშ.

პატრონატი – (ლათ. მფარველი) – I. უმწეობლად დარჩენილი ბავშვების მშობლების ოჯახებში აღზრდის ფორმა. ბავშვებს აღსაზრდელად იყვანენ ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც იდება ბავშვის აღსაზრდელად

აქვანის მსურველსა და მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შორის. პატრონირების ხელშეკრულებით აღსაზრდელად შეიძლება გადაეცეს ბავშვი 15 წლის ასაკამდე. გამონაკლის შემთხვევაში იგი შეიძლება გაგრძელდეს 18 წლის ასაკამდე. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები ბავშვის აღსაზრდელად ამყვანს ყოველთვიურად აძლევენ განსაზღვრულ სახსრებს და თვალყურს ადევნებენ ბავშვის აღზრდის პროცესს. 2. ძვ. იტალიაში მფარველობის განსაკუთრებული ფორმა, რომლითაც არასრულწლოვანი ან ღარიბი მოქალაქე ფაქტობრივად მდიდარზე დამოკიდებული ხდებოდა.

პატრონი – (ლათ. მფარველი) – 1. სენიორი (მაღალი რანგის ფეოდალი) და უმაღლესი სიუზერენი (მეფე) X–XIII სს საქ-ში. 2. ქმა გლეხის ფეოდალური მესაკუთრე იმაქე პერიოდში. 3. კაპიტალისტური მესაკუთრე ბურჟუაზიულ საქართველოში. 4. ყოველგვარი მესაკუთრის აღმნიშვნელი ტერმინი, როგორც ძვ. ისე ახ. ქართულში.

პატრუცაბი – საბუთის სახეობა ძვ. საქართველოში. ს.ს. ორბელიანის განმარტებით, პატრუცაკი არის „მეფისაგან მეფესთან მინაწერი უსტარი“. იგი იშვიათად იხმარებოდა, გეხვდება ჯუანშერისა და ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებებში.

პატრონყმობა – ფეოდალური ურთიერთობის აღმნიშვნელი უნივერსალური ტერმინი X–XIII სს. საქართველოში. მიღებულია ორი სიტყვისაგან: პატრონი და ყმა. აღნიშნავდა ურთიერთობას ფეოდალებსა და ყმა კლასებს შორის, ურთიერთობას თვით ფეოდალებს შორის. X ს.მდე პატრონყმობის შესატყვისი ცნება იყო „უფალ-მონობა“, ხოლო XV ს-დან ბატონყმობა.

პაუპერიზმი – (ლათ. ღარიბი, ღატაკი) – მშრომელთა მასობრივი სიღატაკე ერთი კლასის მიერ მეორის ექსპლუატაციაზე დამყარებულ საზოგადოებაში.

„პაძტა სუნტ სერვანდა“ – (ლათ. ხელშეკრულებები უნდა სრულდებოდეს) – საერთაშორისო სამართლის ფუძემდებელი პრინციპი, რომლის თანახმადაც თითოეული სახელმწიფო კეთილსინდისიერად და ზუსტად უნდა ასრულებდეს საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას. იგი დადასტურებულია გაეროს წესდებით, ვენის კონვენციით საერთ. ხელშეკრულებათა სამართალზე და სხვა. როგორც გაეროს 1970 წ. დეკლარაციაა აცხადებს, ეს პრინციპი „არ ერცელდება საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, რომლებიც საერთაშორისო სამართლის მიხედვით ბათილია“, ე.ი. ეწინააღმდეგება საერთ. სამართ. ძირითად პრინციპებს, დადე-

ბულია, ძალდატანებით ერთ-ერთი მხარის მიმართ. მოტყუებით და სხვა სახელმწიფოთა პრაქტიკაში ამ პრინციპის განუხრელი დაცვა დაკანონებულია კონსტიტუციით.

პაქტი – (ლათ. ხელშეკრულება, შეთანხმება) ტერმინი, რომლითაც აღნიშნავენ სხვადასხვა სახის საერთაშორისო ხელშეკრულებებს. ჩვეულებრივ ასე უწოდებენ სახელმწიფოთა შეთანხმებას თავდაუსხმელობის, ურთიერთდახმარებისა და სხვა ამგვარი დიდმნიშვნელოვანი პოლიტ. საკითხების ან საერთაშორისო სამართ. პრინციპების შესახებ.

პაციფიზმი – (ლათ. დამწყნარებელი, დამშოშმინებელი) – ანტისაომარი მოძრაობა, რომელიც ომების თაობიდან აცილების მთავარ საშუალებად თვლის მათი ამორალური ხასიათის მხილებას და წინააღმდეგია ყოველგვარი, მ.შ. სამართლიანი ომებისაც.

პედაგოგი – (ბერძ. აღმზრდელი) იგივეა, რაც მასწავლებელი, აგრეთვე მეცნიერი, მუშაკი, რომელიც იკვლევს პედაგოგიურ პრობლემებს.

პენიტენციური სისტემები – (ლათ. მოხანიება) – სასჯელის მოხდის განსაღვრული წესი და რეჟიმი კაპიტალისტური ქვეყნების სატუსალოებში. იგი კვაკერებმა შემოიღეს 1786წ. ფილადელფიაში. კვაკერების შეხედულებით, დამნაშავის გამოსწორების საუკეთესო საშუალებაა მოხანიება, რისთვისაც საჭიროა დამნაშავის მარტო დარჩენა საკუთარ თავთან, ღმერთთან და ბიბლიასთან.

პენსია – (ლათ. გადახდა) – ყოველთვიური ფულადი უზრუნველყოფა, რომელსაც იღებენ მოქალაქეები სახელმწიფო ბრივი მოხმარების ფონდებიდან მოხუცებულობის, შრომის უნარის დაკარგვის, ავადმყოფობისა და სხვა შემთხვევაში.

პეონაჟი – (ფრანგ. ღვინური მუშა, მოჯამაგირე) უშუალოდ მწარმოებლის (უპირატესად გლეხის) ფეოდალურ-ბატონყმური ექსპლუატაციის ფორმა, რომელიც მას და მის შთამომავლობას მემამულის ან მეწარმის პეონებად (მეცალკეებად) აქცევს. მაძის მიერ ვალის გადაუხდელობაზე პასუხისმგებლობა კანონით შვილს ეკისრებოდა, რასაც შედეგად შთამომავლობათა მონობა მოჰყვებოდა.

პერეგრინუსი – (ლათ.) – უცხოელის სახელწოდება ძველ რომში. პერეგრინუსს არ ჰქონდა რომაელი მოქალაქის პოლიტ. და სა'ს. უფლებები, მაგრამ თანდათანობით მათ მიანიჭეს გარკვეული უფლებები, კერძოდ ქონებრივი.

პერი – (ფრანგ. ტოლი, სწორი) – უმაღლესი არისტოკრატიის წარმომადგენლის წოდება დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში.

პერიეკები, პერიოკები – (შემოუარენში მცხოვრებნი) –

სოციალური ფენა ძვ. საბერძნეთში, თესალიაში და სპარტაში. ისინი თავისუფალნი იყვნენ, ფლობდნენ მიწის ნაკვეთს და უნდა ემსახურათ ქვეით ჯარში.

პერიფერია – (ბერძ. მიდამო, გარემო) – ქვეყნის განაპირა, ცენტრიდან დაშორებული მხარე, ადგილი. ადგილობრივი ორგანიზაციები (ცენტრალურისაგან განსხვავებით).

პერსევერაცია – (ლათ. ავიხირებ, ავიჩემებ) – თავისთავადი, უნებლიე, დაჟინებითი ამოტივტივება ცნობიერებაში რაიმე წარმოდგენისა, სიტყვისა, ფრაზისა ან მელოდიისა თუ ლექსის ნაწყვეტისა, იშვიათად უნებლიე გამეორება რაიმე მოძრაობისა ან მარტივი მოქმედებისა.

პერსონა ნონ გრატა – (ლათ. არასასურველი პირი) – უცხოელი დიპლომატი, რომელიც მთავრობამ არასასურველ პირად მიიჩნია. ამიტომ მთავრობა აგრეთვე მანს არ აძლევს მის დანიშვნას დიპლომატიური წარმომადგენლობის მუშაკურად თავის სახელმწიფოში, ანდა, თუ იგი უკვე დანიშნულია, მოითხოვს მის წასვლას. პერსონა ნონ გრატასაგან განსხვავებით, სასურველ უცხოელ დიპლომატს პერსონა გრატა ჰქვია.

პეტიცია – (ლათ.) – წერილობითი კოლექტიური თხოვნა სახელმწიფო ხელისუფლებისადმი. მისი წარდგენის უფლება XII საუკუნიდანაა ცნობილი.

პითეკანთროპი – (ბერძნ. მაიმუნი და ადამიანი) – ადამიანის უძველესი წინაპრის ნამარხი სახეობა. ნაშთები აღმოაჩინა ჰოლანდიელმა ანთროპოლოგმა, ე. დიუბამ, კ. იავახე 1890–92.

პითია – (ბერძნ.) – ძველ საბერძნეთში დელფოს ორაკულის ქურუმი მისანი ქალი.

პიძადორი – (ესპ. შუბი) – შუბოსანი ცხენოსანი, რომელიც მონაწილეობს ხარებთან ბრძოლაში, შუბით აღიზიანებს ხარს.

პიკეტი – (ფრანგ. სარი, პალო) – 1. საგუშაგოს ან საველე ყარაულის პატარა რაზმის სახელწოდება საყარაულო დაცვაში. 2. დემონსტრატთა ჯგუფი, რომელიც დემონსტრატებს იცავს თავდასხმისაგან და ამყარებს წესრიგს.

პირგასამტეხლო – ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების, კერძოდ, შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ უნდა დაიდოს წერილობით. არსებობს პირგასამტეხლოს სამი ფორმა: საკუთრივ პირგასამტეხლო, ჯარიმა და საურავი. (ს.კ. მუხ. 417).

პირდაპირი არჩევნები – არჩევნების ჩატარების წესი, როცა ამომრჩევლები პირდაპირ და უშუალოდ აძლევენ ხმას წარმომად-

გენლობითი ორგანოს დეპუტატად ასარჩევ კანდიდატს.

პირზე დაწერა – დაპირისპირება, დამამტკიცებელ საბუთთა სისწორის შემოწმების ერთ-ერთი მეთოდი, როდესაც გამოძიებელი ან სასამართლო ერთდროულად ერთ და იმავე გარემოებათა შესახებ დაკითხავს ადრე დაკითხულ პირებს, რომელთა ჩვენებებს შორის არსებითი სხვაობის წინააღმდეგობაა. დაპირისპირების მონაწილეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ორ პირს. დაპირისპირების მიზანია ადრე მიცემულ ჩვენებათა წინააღმდეგობის დაძლევა, ჩვენებათა სისწორის ან სიცრუის განსაზღვრა, ახალი ფაქტის დადგენა. (სსსკ. მუხ. 314).

პირისანახავი – პირის სანახაობი, პირის ასახადი, საქორწინო სანუქარი დედოფლისათვის ძველ საქართველოში. პატარძალს საჯაროდ გამოცხადებით მიერთმეოდა მამამთილისაგან, დედამთილისაგან ან სხვა ნათესაებისაგან მოძრავი და უძრავი ქონება, რის შემდეგაც ეკიდა ხმლის წვერით პირბადეს ახდიდა. ეს ქონება პატარძლის უცილობელ საკუთრებად მიიჩნეოდა და შეეძლო მას გაესუქებინა ან გაეყიდა, რაზედაც საბუთი ფორმდებოდა.

პირის გადაღება დოკუმენტისა – სხვადასხვა დოკუმენტის (ორიგინალის) პირის დამზადების პროცესი. პირგადაღების ხერხებია: შუქპირგადაღება, ფოტოპირგადაღება, ელექტრონული პირის გადაღება და სხვა.

პირობით ვადამდე გათავისუფლება სასჯელისაგან – კანონის საფუძველზე მსჯავრდებულის გათავისუფლება სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, რისთვისაც აუცილებელია მსჯავრდებულს ფაქტობრივად მოხდილი ჰქონდეს დანიშნული სასჯელის სათანადო ნაწილი – მისი ნახევარი, ორი მესამედი ან სამი მეოთხედი. ამასთან, მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებულმა სანიმუშო ყოფაქცევით დაამტკიცა თავისი გამოსწორება. სისხლის სამართლის 63-ე მუხლი ითვალისწინებს – პირობით ვადამდე გათავისუფლების ნაცვლად პირობითი მსჯავრის ცნებას. ესაა სასამართლოს განაჩენით დანიშნული ლონისძიება, რომელიც გარკვეული დროითა და პირობით ანერებს ზოგიერთი სახისა და ზომის სასჯელის აღსრულებას. სსკ. 63-ე მუხლის თანახმად, თუ მსჯავრდადებულის გამოსწორება შეიძლება სასჯელად დანიშნული გამასწორებელი სამუშაოს, სამხედრო პირის სამსახურებრივი შესრულების, თავისუფლების შესრულების, სადისციპლინო სამხედრო ნაწილში მოთავსების, ტუსაღობის ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის გარეშე, სასამართლო

დააღგენს, რომ დანიშნული სასჯელი ჩაითვალოს პირობითად. ამასთან, სასამართლო დაადგენს გამოსაცდელ ვადას, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა. ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისას გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას – არანაკლებ ერთი და არაუმეტეს ექვსი წლისა. თუ პირობით მსჯავრდებული გამოსაცდელ ვადაში სისტემატურად ან ჯიუტად არ ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, სასამართლოს შეუძლია დაადგინოს, რომ გაუქმდეს პირობითი მსჯავრი და აღსრულდეს დანიშნული სასჯელი. (სსკ. მუხ. 63, 64, 67).

პირობითი გარიგება – პირობითად ითვლება გარიგება, რომელსაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე. (სკ. მუხ. 90).

პიროვნება – ინდივიდუალური და სოციალური თავისუფლების მქონე კონკრეტული ადამიანი, ისტორიულად განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტი.

პიროვნების ხელშეუხებლობა – მოქალაქის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა ერთ-ერთი სახე, რომელიც იმით გამოიხატება, რომ არ შეიძლება ვისიმე დაპატიმრება, თუ არ იქნა საფუძველი – სასამართლოს გადაწყვეტილება ან სანქცია. საქართველოს კონსტიტუციის 20-ე მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას. პირადი ცხოვრების შემლახავი ზოგი ქმედება (პირადი ან ოჯახური საიდუმლოების ხელყოფა, კერძო საუბრის საიდუმლოების დარღვევა, ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა და ა.შ.) დანაშაულია და ისჯება სისხლის სამართლის წესით.

პიტიახში – სახელმწიფოს ერთ-ერთი უმაღლესი მოხელე ადრინდელ სასანიანთა ირანში,

ქართლის სამეფოსა (იბერია) და სომხეთში.

პლაბიატი – (ლათ. მიტაცება) – სხვისი საავტორო ან საგამომცემლო უფლების, აგრეთვე რაციონალიზატორული წინადადების ავტორობის მთლიანად ან ნაწილობრივ მითვისება, რაც ნიშნავს სხვისი ნაწარმოების, გამოგონების, ან რაციონალიზატორული წინადადების წყაროზე მიუთითებლად გამოყენებას საკუთარი სახელით.

„პლატის შესწორება“ – კაბალური ვალდებულებანი, რომელიც აშშ-მა თავს მოახვია კუბას 1901, რამაც ფაქტობრივად კუბა აშშ-ს კოლონიად აქცია. 1934 კუბელმა ხალხმა შეძლო „პლატის შესწორების“ გაუქმება.

პლაცდარმი – (ფრანგ. ჯარის შესაკრები მოედანი) – 1. საკუთარი ან სხვა სახელმწიფოს ტერიტორია (ან მისი ნაწილი), რომელსაც სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრისათვის მზადებისას შეიარაღებული ძალების თავმოყრისა და გაშლის ბაზად იყენებენ. 2. საზღვაო-სადესანტო ოპერაციის მსვლელობისას დესანტის მთავარი ძალების გადასხმისა და გაშლის უსრულველყოფის მიზნით ხელში ჩაგდებული სანაპირო ტერიტორიის უბანი.

პლებეები – (ლათ. მდაბიო ხალხი) – ძველ რომში თავისუფალი მოსახლეობის ერთ-ერთი (დაბალი) წოდება, რომელთაც უფლება არ ჰქონდათ ესარგებლათ სათემო მიწით. პატრიციებთან გამუდმებული ბრძოლით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით პლებეებმა მიაღწიეს პატრიციებთან გათანაბრებას.

პლებეობა – ძველი რომის თავისუფალი მოსახლეობის ერთ-ერთი წოდება, დაბალი ულარიბესი ფენა. მათ მიეკუთვნებოდნენ გაღარიბებული ხელოსნები, შაეი მუშები, დღიური მუშები, მაწანწალები და მათხოვრები.

პლებისციტი – (ლათ. გადაწყვეტილება, დადგენილება) – ძველ რომში პლებეების კრების მიერ მიღებული დადგენილება, რომელიც პირველად მხოლოდ პლებეებისათვის იყო სავალდებულო, შემდგომში კი მთელი ხალხისათვის სავალდებულო დადგენილებად იქცა. ტერმინი პლებისციტი თანდათანობით შეცვალა კანონმა.

პლენუმი – (ლათ. სრული) – პარტიული, სახელმწიფო, პროფკავშირული ან სხვა ორგანოსაცის არჩეითი ხელმძღვანელი ორგანოს კრება წევრთა სრული შემადგენლობით. მაგ.: უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

პლუტოკრატია – (ბერძნ. ძალაუფლება) – მდიდართა ძალაუფლება, ფულის ბატონობა. იგი ისეთ სახელმწიფოს წესწყობილებას გულისხმობს, რომლის დრო-

საც ფორმალურად და ფაქტობრივად პოლიტიკური სელისუფლება ყველაზე უფრო შეძლებულ წრეებს ეკუთვნის.

პოზიციური სამართალი – მოცემული დროისათვის მოქმედი სამართალი, რომლის ცნება ისტორიულად ბუნებითი სამართლის საპირისპიროდ ჩამოყალიბდა. იგი მეცნიერებაში იხმარება სამართლის ნორმების დასახასიათებლად და მათ გასამიჯნავად უკვე შეცვლილი ან მომავლისათვის სასურველი ნორმებისაგან (მაგ.: კანონპროექტებისაგან).

პოზიცია – (ლათ. მდგომარეობა) – 1. ვისიმე ან რისიმე მდგომარეობა, განლაგება. 2. თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხის შესახებ; მისადმი პრინციპული დამოკიდებულება.

პოლიანდრია – (ბერძნ. მამაკაცი, ქმარი) – მრავალქმრიანობა, ჯგუფური ქორწინების იშვიათი გადმონაშთი, როცა ერთ ქალს რამდენიმე ქმარი ჰყავდა. XIX საუკუნეში შემორჩენილი იყო პლეუტებსა და ესკიმოსებთან, ხოლო ტიბეტისა და ინდოეთის ზოგიერთ ჯგუფში უფრო გვიანაც.

პოლიგამია – (ბერძნ. ქორწინება) – მრავალქორწინება. ხშირად იგი არაზუსტად იხმარება მრავალცოლიანობის აღსანიშნავად.

პოლიგენიზმი – (ბერძნ. გვარი, წარმოშობა) – მოძღვრება, რომელიც ადამიანის რასებს განიხილავს, როგორც დამოუკიდებელი წარმოშობის სხვადასხვა სახეობას.

პოლიგლოტი – (ბერძნ. ენა) – ბევრი ენის მცოდნე.

პოლიგინია – (ბერძნ. ქალი, ცოლი) – მრავალცოლიანობა, ქორწინების ერთ-ერთი ისტორიული ფორმა, რომელიც დამახასიათებელი იყო უმთავრესად პატრიარქატისათვის.

პოლიგონი – (ბერძნ. მრავალკუთხა) – ხმელეთის ან ზღვის მონაკვეთი, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა სახეობის იარაღის, საბრძოლო საშუალებებისა და ტექნიკის გამოცდისათვის, აგრეთვე ჯარების საბრძოლო მომზადებისათვის.

პოლისი – (ბერძნ.) – ქალაქ-სახელმწიფო, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმა. იგი მოიცავდა ქალაქის ტერიტორიასა და მის შემოგარენს.

პოლიტიკა – (ბერძნ. სახელმწიფო ან საზოგადო საქმეები) – კლასების, ერებისა და სხვა სოციალური ჯგუფების ურთიერთობასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფერო, რომლის ბირთვია სახელმწიფო ხელისუფლების დაპყრობის, შენარჩუნებისა და გამოყენების პრობლემა.

პოლიტიკა არის სახელმწიფო საქმიანობაში მონაწილეობა, სახელმწიფოს გაძლოლა, სახელმწიფო საქმიანობის ფორმების, ამოცანებისა და შინაარსის განსაზღვრა.

პოლიტიკური დემონსტრაცია – საზოგადოებრივი განწყობილების – სახალხო ზეიმის ან რისხვის, პოლიტიკურ მოთხოვნათა, პროტესტის (მსჯელობა, მიტინგი და სხვა) მასობრივი გამოხატულება.

პოლიტიკური ეკონომია – მეცნიერება ადამიანთა წარმოებითი ანუ ეკონომიკური ურთიერთობის განვითარების კანონების შესახებ. იგი წარმოიშვა ბერძნული სიტყვებისაგან – სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და სამეურნეო ქონების მართვა. ტერმინი შემოიღო ფრანგმა მერკანტილისტმა ა. მონკრეტიენმა.

პოლიცია – (გერმ. სახელმწიფოს მართვა, ადმინისტრაცია) – სახელმწიფოში ზედამხედველობისა და იძულების ორგანოთა სისტემა, რომლის ამოცანაა არსებული საზოგადოებრივი წესობილების დაცვა. საქართველოს 1993 წლის 27 ივლისის კანონი „პოლიციის შესახებ" განსაზღვრავს პოლიციის უფლებამოსილებას. პოლიცია არის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის და დამნაშაულობასთან ბრძოლის საგანგებო ორგანოთა სისტემა. პოლიცია აწარმოებს დანაშაულის მოკვლევას, აღგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, აწესრიგებს საგზაო მოძრაობას, ახორციელებს კანონით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას. ზოგ ქვეყანაში არსებობს დარგობრივი პოლიციები (სამხედრო, საგადასახადო, საბაჟო და ა.შ.) საქართველოში პოლიცია დეპარტამენტის სახით შედის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში. მისი უფლებამოსილება, ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია 1993 წლის 27 ივლისის კანონით „პოლიციის შესახებ".

პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემა – სისხლის სამართლის პროცესში აღკვეთის ღონისძიება, რაც ნიშნავს ბრალდებულის გადაცემას პოლიციის ზედამხედველობაში. ეს ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულის მიერ ნადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა. პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემული ბრალდებული ვალდებულია კვირაში ორჯერ მაინც გამოცხადდეს პოლიციის ორგანოში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ბრალდებული პოლიციის ორგანოში შეიძლება გამოიძახონ მისი ქცევისადმი კონტროლის განხორციელების მიზნით. ამავე მიზნით პოლიციის მუშაკებს უფლება აქვთ მასთან მივიდნენ საცხოვრებელ

ბინაში. პოლიციის ზედამხედველობაში მყოფ ბრალდებულს ეკრძალება პროცესის მწარმოებელი ორგანოს ნებართვის გარეშე გაემგზავროს ამ დასახლებული პუნქტიდან, შეიცვალოს საცხოვრებელი ან დროებითი ყოფნის ადგილი აღნიშნული დასახლებული პუნქტის ფარგლებში. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში პოლიციის მუშაკებს ვალდებული არიან შეადგინონ სათანადო ოქმი და გადასცენ მისი საქმის მწარმოებელ ორგანოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების შერჩევის საკითხის გადასაწყვეტად. (სსსკ მუხ. 167).

ᲞᲝᲛᲔᲠᲐᲜᲘᲐ – (ლათ.) – შუა საუკუნეების საზღვაო ბალტიის ზღვის სანაპიროსე, შემდეგ პრუსიის პროვინცია ძირითადად დასავლეთ პომორიეს ტერიტორიაზე.

ᲞᲝᲜᲢᲘᲤᲘᲙᲐᲢᲘ – (ლათ.) კათოლიკურ ეკლესიაში რომის პაპის ძალაუფლება და მმართველობის დრო.

ᲞᲝᲞᲝᲚᲐᲜᲔᲑᲘ – (იტალ. ხალხი) – XII–XVI სს. იტალიის ქალაქების ვაჭარ-ხელოსანთა ფენები, რომლებიც ამქრებში იყვნენ გაერთიანებულნი.

ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲪᲘᲐ – (ლათ. ხალხი, მოსახლეობა) – ბუნებაში, ეკოლოგიასა და ეკოლუციურ მოძღვრებაში ერთი სახეობის იმ ინდივიდთა ერთობლიობა, რომლებიც მრავალი თაობის მანძილზე ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, თავისუფლად ჯვარებიან ერთმანეთს და სხვა ასეთივე ჯგუფებისაგან ისოლირებულნი არიან ტოპოგრაფიული და ეკოლოგიური ბარიერებით.

ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲔᲙᲝᲚᲝᲒᲘᲐ – ეკოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის პოპულაციის როგორც სახეობის არსებობის ელემენტარულ ფორმას. იგი იკვლევს პოპულაციების სტრუქტურას და მის დინამიკას.

ᲞᲝᲠᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ – (ბერძნ. გარეცხილი) – სქესობრივი ცხოვრების ეულგარულ-ნატურალისტური, უხამსი გამოხატება ლიტერატურაში, სახვით ხელოვნებაში, თეატრში, კინოში და სხვა. პორნოგრაფიული სახიათის საგნების დამზადება, გავრცელება, მათი შენახვა გაიდგის ან გავრცელების მიზნით ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით.

ᲞᲝᲠᲣᲩᲘᲙᲘ – I. რუსეთის არმიაში უმცროსი სამოკრო ხარისხი. კაზაკთა ნაწილებში მას შეესაბამებოდა ასისთავის წოდება. 2. პოლონეთის ჯარსა და ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოში არმიაში უმცროსი ოფიცრის სამხედრო წოდება.

ᲞᲝᲡᲔᲡᲘᲣᲠᲘ ᲛᲐᲜᲣᲤᲐᲥᲢᲣᲠᲐ – პოსესიურ სამართალზე დამყარებული კერძო მანუფაქტურები რუსეთში. მისი შექმნის მიზანი

იყო მსხვილი მანუფაქტურის ჩასახვის პერიოდში, სტიმული მიეცა მრეწველობის განვითარებისათვის.

პოსტგლოსატორები – (ლათ.) – იტალიური სამართლებრივი სკოლა, რომელმაც XII საუკუნიდან შეცვალა გლოსატორები. ისინი განმარტავდნენ იუსტინიანეს კოდიფიკაციის სამართლის ცნებებსა და ცალკეულ ნაწყვეტებს. მათ მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს, რათა რომის სამართალი თანეიანით დროის სამართლის ნორმებთან შეეთანხმებინათ. მათი წარმომადგენლები არიან ბარტოლო, ბალდუსი, მანუსი.

პოსტი – (ფრანგ. დაყენებული) – 1. სამხედრო ობიექტი, რომელსაც დარაჯობენ და იცავენ ჯარისკაცები, აგრეთვე ის ადგილი ან უბანი, სადაც ჯარისკაცი თავის მოვალეობას ასრულებს. 2. ჯარისკაცი ან მცირე სამხედრო ქვეგანაყოფი, რომელიც ასრულებს სპეც. ამოცანებს, მაგ.: პაერსაწინააღმდეგო დაცვის, საკარაულო და სხვა.

პრაგმატული სანქცია – 554, 1438 და 1713, საკანონმდებლო აქტების სახელწოდება. 554 პრაგმატული სანქცია გამოსცა ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანე I-მა მას შემდეგ, რაც ბიზანტიამ დაიპყრო ოსტგოთთა სამფლობელოები იტალიაში. იგი განსაზღვრავდა იტალიურ შინაგან წყობილებას, მიმართული იყო რომის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა, რომაული ადმინისტრაციული და საგადასახადო სისტემის აღდგენისაკენ. მოქმედება შეწყვიტა იტალიაში ლანგობარდების შეჭრის შემდეგ (568).

პრაპორშჩიკი – (ძველი სლავური ალამი), – სამხედრო წოდება შეიარაღებულ ძალებში, შემოიღეს 1972 წ. 1 იანვარს. პრაპორშჩიკის წოდება არის აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიაში. რევოლუციამდელ რუსეთში უმცროსი ოფიცრის ჩინი იყო.

პტაძტიკა – (ბერძ. აქტიური, მოქმედი) – ადამიანთა მატერიალური, გრძნობად-საგნობრივი, მიზანდასახული მოქმედება ბუნებრივი და სოციალური გარემოს გარდაქმნისათვის.

პრეადაპტაცია – გარკვეული გარემოსადმი შეგუების უნარის გამომუშავება ამ გარემოში მოხვედრამდე.

პრეამბულა – (ფრანგ. წინმაყალი) – საკანონმდებლო ან სხვა სამართლებრივი აქტის, აგრეთვე საერთაშორისო ხელშეკრულების შესავალი ნაწილი. პრეამბულით გადმოცემენ ამა თუ იმ აქტის მიზნებსა და ამოცანებს.

პრედიკატი – (ლათ. ნათქვამი, თქმული) – ცალკეული საგნების, საგანთა წყვილების, სამეულების, საზოგადოდ, საგანთა დალაგებული სასრული მიმდევრობის შესაძლო დახასიათება.

პრევენცია სამართალში – (ლათ. ვაფრთხილებ) – სამართალდარღვევათა აცილება. აგრეთვე ის გ'ულისხმობს სახელმწ'იფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ სოციალურ-ეკონომიკურ, სამართლებრივ, კულტურულ და სხვა ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც მიმართულია სამართალდარღვევის წარმომშობი მიზ'ეზებისა და მისი ჩადენისათვის ხელშემწ'ყობი პირობების თავიდან ასაცილებლად. კიდრო გაგებით პრევენცია ნიშნავს ზემოქმედებას, რასაც ახდენს სასჯელი, როგორც დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტური საშუალება.

პრემო – (ფრანგ. უპყრობა) – თანამდებობის პირი შეა საქმეთა ნეების საჯარანგეთში.

პრეზიდენტი – (ლათ. თავში მჯდომი) – რესპუბლიკური მმართველობის ქვეყნებში სახელმწ'იფოს მეთაური და სახელმწ'იფოს უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო ურთიერთობებში. ე. წ. საპარლამენტო რესპუბლიკაში (იტალია) პრეზიდენტს, როგორც წესი, ირჩევს პარლამენტი, საპრეზიდენტო რესპუბლიკაში კი – მოსახლეობა, პირდაპირი ან არაპირდაპირი არჩევნების გზით. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში პრეზიდენტი ფართო უფლებამოსილებით სარგებლობს, რადგან იგი აერთიანებს სახელმწ'იფოს მეთაურისა და მთავრობის მეთაურის ფუნქციებს. საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლის მიხედვით საქართველოს პრეზიდენტი არის სახელმწ'იფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, რომელიც წარმართავს და ახორციელებს სახელმწ'იფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, არის სახელმწ'იფო ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელი, უზრუნველყოფს ქვეყნის ერთიანობასა და მთლიანობას, წარმოადგენს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლების გარანტს. იგი აირჩევა საყოველთაო , თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე. ფარული კენჭის ერით 5 წლის ვადით. პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 15 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.

პრეზიდენტი არის აგრეთვე ზოგიერთი სამეცნიერო, სახელმწ'იფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელი (მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პოლიტიკური პარტიის პრეზიდენტი, ასოციაციის პრეზიდენტი და ა.შ.)

პრეზიდიუმი – (ლათ. დაცვა – თავმჯდომარეობა) – არჩევითი ორგანო, რომელიც ხელმძღვ-

ანელობს კრებას, ყრილობას, თათბირს. 2. პარტიული, სამეცნიერო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ან სახელმწიფო დაწესებულების მუდმივმოქმედი სელმძღვანელი ორგანო. 3. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო.

პრეიუდიციალობა – სასამართლოს, გამომძიებლის, პროკურორის ვალდებულება შეუმოწმებლად მიიღოს სხვა საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენითა და გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები, თუ პროცესის არცერთი მონაწილე საჭიროდ არ ხდის ამ განაჩენსა თუ გადაწყვეტილებას.

პრეიუდიციალად დადგენილი ფაქტი შეიძლება უარყოს მხარემ, სასამართლოს განაჩენმა ან სხვა შემაჯამებელმა გადაწყვეტილებამ, თუ ეს ფაქტი ეწინააღმდეგება სასამართლოში მტკიცებულებათა გამოკვლევის შედეგებსა და მოსამართლეთა შინაგან რწმენას. ასეთ შემთხვევაში განაჩენი ან გადაწყვეტილება არ შედის კანონიერ ძალაში და საქმესთან ერთად იგზავნება სემდგომ სასამართლო ინსტანციაში, რომელიც გამოითხოვს იმ საქმეს, რომლის პრეიუდიციური მნიშვნელობაც უარყოფილია და მიიღებს შესაბამის გადწყვეტილებას. (სსსკ. მუხ. 113).

პრეისპრანტი, პრაისპრანტი – (გერმ. ფასი) – გასაიდი საქონლის ფასების სისტემატიზებული ცნობარი (ტარიფი) საქონლის, მომსახურე ჯგუფებისა და სახეების მიხედვით.

პრეკარიუმი – (ლათ. precarium თხოვნა) – წერილობითი თხოვნის საფუძველზე მესაკუთრისგან მეტნაკლებად ხანგრძლივი ვადით მიღებული მიწით სარგებლობის უფლება რომისა და შუა საუკუნეების სამართალში. იგი რამდენიმე სახისა არსებობდა: 1. მიცემული, როცა მესაკუთრე თავის მიწას გადასცემდა. 2. დათმობილი, როცა მესაკუთრე ეკლესიას ან საერო მაგნატს აჩუქებდა თავის მიწას, რომელსაც შემდეგ უკანვე იღებდა. 3. ანასდაურებითი, როცა მიწის უსნეაესი მესაკუთრე ასეთ პრეკარიუმს თავის ნაკვეთსაც დაუმატებდა.

პრემია – (ლათ. ჯილდო) – წახალისების ფორმა შრომაში, სამეცნიერო სარბიელზე ლიტერატურაში, ხელოვნებასა და სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში მიღწეული წარმატებისათვის. პრემია შეიძლება იყოს ყოველდღიური და ნატურალური, ინდივიდუალური და კოლექტიური, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და საერთაშორისო.

პრემიერ-მინისტრი – პრემიერი – მთავრობის მეთაური, მინისტრთა საბჭოს ან მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმ-

წიფოში. მას ჩვეულებრივ სახელმწიფოს მეთაური ნიშნავს. როგორც წესი, პრემიერ-მინისტრი არის პარტ. ლიდერი (მას მხარს უჭერს პარლამენტის უმრავლესობა) ან პარტიული კოალიციის ლიდერი. ზოგ ქვეყანაში მთავრობის მეთაურს კანცლერი ჰქვია.

პრემირება – საწარმოებში შრომაში მიღწეული წარმატებისათვის მუშაკის ან მთელი კოლექტივის მატერიალური წახალისების მთავარი ფორმა.

„პრენსა ლატინა“ – ლათინური ამერიკის საინფორმაციო სააგენტო. ლათ. ქვეყნების სააქციო საზოგადოება. დაარსდა 1959 ჰავანაში. ინფორმაციას აწვდის კუბასა და ლათ. ამერიკის სხვა ქვეყნებს. ინფორმაციის გაცვლის შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული საკდესსა და სხვა ქვეყნების სააგენტოებთან. გამოსცემს ბიულეტენს ესპანურ და ინგლისურ ენებზე.

პრეროგატივა – (ლათ.) – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ან თანამდებობის პირის განსაკუთრებული უფლება.

პრერომანტიზმი – (ფრანგ.) – გარდამავალი ხანა XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დამდეგს ევროპული ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორიაში. წინ უძღოდა რომანტიზმს.

პრესა – (პარიზში 1836 გამოსული პირველი მასობრივი გაზეთის სახელწოდებიდან ფრანგ. ვაჭერ, რაც ასახავს ბეჭდვის არსს – დაჭერით საღებავის გადატანა საბეჭდი ფორმიდან ქაღალდზე და ტირაჟირების შესაძლებლობა) – მასობრივი პერიოდული გამოცემების ერთობლიობა.

„პრეს ასოშიეშნ“ – დიდი ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტო, პროვინციული გაზეთების გამომცემელთა კოოპერაციული გაერთიანება. დაარსდა 1868, მმართველობა ლონდონშია.

პრესბიურო, პრესცენტრი – 1. ინფორმაციის სამსახური, რომელიც იქმნება ყრილობების, კონგრესების, სპორტული შეჯიბრებებისა და სხვა მიმდინარეობის პერიოდში ამ მოვლენათა გაშუქებაზე მომუშავე ჟურნალისტების დასახმარებლად. იგი აწყობს პრესკონფერენციებს, გამოსცემს სპეციალურ ბიულეტენებს (პრესრელზებს) და სხვა. 2. დიდი გაზეთების რედაქციათა, ბეჭდვითი სიტყვისა და დეპეშათა სააგენტოების მუდმივმოქმედი საინფორმაციო ორგანო.

პრესკონფერენცია – (ინგ.) – ბეჭდვითი სიტყვის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენელთა შეკრება ოფიციალურ პირებთან საზოგადოებრივ, პოლიტიკურ საკითხებზე აქტუალური ინფორმაციის მისაღებად.

პრეტენზია – (ლათ. მოთხოვნა, მიჩემება) – სამოქალაქო სა-

მართლის მიხედვით, წერილობითი განცხადება, რომლითაც პირი თავისი ქონებრივი ინტერესის დარღვევისას სარჩელის წარდგენამდე მიმართავს კონტრაჰენტს. ორგანიზაციებს შორის არსებული დავის განხილვის საპრეტენზიო წესი საჯალდებულოა. პრეტენზია წინ უნდა უსწრებდეს არბიტრაჟში დაცის გადაცემას. სარჩელის წარდგენა შეიძლება პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ან პრეტენზიაზე განსაზღვრულ დროში პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში. პრეტენზიის წარდგენისა და განხილვის წესი, ასევე ვადები ნორმირებულია.

პრეტორი – (ლათ. წინმავალი) – სახელმწიფო თანამდებობა ძველ რომში. თავდაპირველად – უმაღლესი მაგისტრატურის (კონსულის და დიქტატორის) ტიტული, შემდეგში კონსულის უმცროსი კოლეგა – მისი ნაცვალი, თანაშემწე. პრეტორი წარმართავდა სასამართლო პროცესებს სამოქალაქო სამართლის საქმეების გამო მის მიერვე გამოცემული ედიქტების საფუძველზე.

პრეტორიანელები – (ლათ.) – პრეტორიული კოჰორტები – ძველი რომის ჯარის პრივილეგირებული ნაწილი. მის შემადგენლობაში მხოლოდ იტალიელები შედიოდნენ.

პრეტორიანელები გადატანითი მნიშვნელობით – დაქირავებული ჯარი, ხელისუფლების დასაყრდენი უხეში ძალა იყო.

პრეტორის სამართალი – ძველ რომში კერძო სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც პრეტორებმა შეიმუშავეს. თანამდებობის დაკავებისას პრეტორი გამოსცემდა სპეციალურ ედიქტს, რომელიც ითვალისწინებდა ახალ სარჩელთა და სხვა პროცესუალურ საშუალებათა შემოღებას და ფაქტობრივად აუქმებდა მოძველებულ ნორმებს. პრეტორთა სამართლის საფუძველზე არსებითად გარდაიქმნა მჭლობელობის, მემკვიდრეობის, სელშეკრულების ინსტიტუტები. რომაელმა იურისტმა სალვიუსმა შეადგინა პრეტორის ედიქტის საბოლოო ტექსტი, რომელიც პრეტორის სამართლის თავისებური კოდიფიკაცია იყო. ამის შემდეგ მისი განვითარება შეწყდა.

პრეფექტი – (ლათ. უფროსი) – ძველ რომში თანამდებობის პირი, რომელიც სხვადასხვაგვარობას უწევდა პრეფექტურებს.

პრეფექტურა – (ლათ.) – ძველ რომში რესპუბლიკის ხანაში, იტალიის ქალაქები (მუნიც. პუმები), რომელთაც რომის მიერ ჩამორთმეული ჰქონდათ თვითმმართველობის უფლება და რომის მოხელის – პრეფექტის კონტროლს ექვემდებარებოდნენ.

პრეცედენტი – (ლათ. წინამავალი, უწინ მომხდარი) – სასამართლო გადაწყვეტილებაში ასახული სამართლებრივი დებულება, რომელიც იურიდიულად სავალდებულოა იმავე ან ქვემდგომი სასამართლოსათვის ყველა ანალოგიური საქმის გადაწყვეტისას. სასამართლო პრეცედენტული ნორმები გვხვდება ქართული სამართლის ძეგლებშიც. ბურჟუაზიული სამართლის ლიტერატურაში პრეცედენტულ სამართლად ითვლება ისეთი სამართალი, რომელიც შექმნილია მოსამართლეთა მიერ და უპირისპირდება საკანონმდებლო ორგანოს სამართალს. ჩვენთან პრეცედენტული სამართალი უარყოფილია, რადგან იგი ეწინააღმდეგება კანონიერების ფუნდამენტურ პრინციპს. კონსტიტუციის თანახმად მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები მხოლოდ კანონს უმორჩილებიან.

პრიზის სამართალი – (ფრანგ. ალება, დაპყრობა, ნადავლი) – საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ საზღვაო ომში მოწინააღმდეგე სახელმწიფოს უფლებას განსაზღვრულ შემთხვევებში მიიტაცოს და მიისაკუთროს ნეიტრალური ქვეყნის ქონება (გემი, მისი ტვირთი) და მტრული სახელმწიფოს ტვირთი ნეიტრალურ გემზე. მისი მიხედვით, პრინციპად ანუ კანონიერ ნადავლად ითვლება სამხედრო კონტრაბანდა, აგრეთვე ნეიტრალური გემი, რომელიც ტვირთის ნაწილობრივ (ფასით, მოცულობით ან ფრახტით) სამხედრო კონტრაბანდა შეიცავს. ნადავლის კანონიერება წყდება ნადავლის ხელთმგდები სამხედრო ხომალდის ქვეყნის საპრიზო ან ოურისდიქციით. მას ახორციელებენ საპრიზო სასამართლოები, რომლებსაც ომის დროს ქმნის ომში მონაწილე სახელმწიფოები.

„პრიკაზები“ – რუსეთის ცენტრალური მართვის ორგანოები XVI–XVIII სს. დასაწყისში. ტერმინი წარმოდგა სიტყვისაგან „პრიკაზ“, რომელსაც განსაკუთრებული დავალების მნიშვნელობით ხმარობენ. მის საქმიანობას საყურადღებო ყურადღებოდა ფინანსური პრინციპი. ბევრი „პრიკაზისათვის“ დამახასიათებელი იყო სასამართლო, ადმ. და ფინანს. ფუნქციათა შეთავსება. „პრიკაზების“ შემადგენლობა სამიდან ოთხას კაცამდე იყო. „პრიკაზების“ ლიკვიდაცია მოხდა XVIII საუკუნის დამდეგს კოლეგიების შემოღებასთან ერთად.

პრიმასი – (ლათ. უპირველესი, მთავარი, პირველი) – კათოლიკურ და ანგლიკანურ ეკლესიებში მთავარი არქიეპისკოპოსის წოდება.

პრიმატი – (ლათ. პირველი ადგილი) – უპირატესი მნიშვნელობა

ან მდგომარეობა; პირველობა.

პრინცეპსი – (ლათ. პრინცეპსი) – პირველი კაცი სენატორთა წრესაში. ოფიციალურად პრინცეპსს განსაკუთრებული უფლებამოსილება არ ჰქონია, გარდა საპატიო უფლებისა, რომ პირველს გამოეთქვა თავისი აზრი სენატში კონსულთა შეკითხვაზე.

პრინცი – (გერმ. მთავარი) – სამეფო სახლის წევრის ან მთავრის ტიტული. უცხოს პრინცი – ინგლისის ტახტის მემკვიდრის ტიტული.

პრინცი პატი – (ლათ. პირველი – მეთაური) – მინარევის განსაკუთრებული ფორმის აღმოჩენილი პირობითი ტერმინი, რომელიც მიღებულია ისტორიულ ლიტერატურაში.

პრიორიტეტი – (გერმ. პირველი, უპირატესი) – 1. რაიმე საქმიანობაში პირველობა დროის მიხედვით. 2. რომელიმე ნორმატიული აქტის უპირატესობა.

პრობლემა – (ბერძ.) – რთული თეორიული ან პრაქტიკული საკითხი, რომელიც საკვლევის გარკვევას, შესწავლას.

პროდუქციის კომპლექტურობა – საწარმოს მიერ სარეალიზაციოდ გამოშვებული მასქანის, მოწყობილობისა და სხვა ნაკეთობების დაკომპლექტება იმ აუცილებელი ნაწილით, რომელიც განსაზღვრავს საბრუნველი პროდუქციის ფაქიზობას.

პროდუქციის ნომენკლატურა – მრეწველობისა და მეურნეობის სხვა დარგების საწარმოების მიერ გამოშვებული მატერიალური დოვლათის კლასიფიცირებული სია.

პროდუქციის რეალიზაცია – დამზადებული პროდუქციის სახელმწიფო მეურნეობაში ნარიცხვა და მისი ანაზღაურება მოქმედი ფასებით.

პროვინცია – (ლათ.) – ძველ რომში იტალიის ფარგლებს გარეთ მდებარე ტერიტორია, რომელიც რომს ემორჩილებოდა. რუსეთში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.

პროვოკაცია – (ლათ. გამოწვევა) – ცალკეული პირის, პირთა ჯგუფების, ორგანიზაციების წაქეზება იმგვარ მოქმედებაზე, რომელსაც მოჰყვება მათთვის მძიმე ხიფათი დამძიმებული შედეგი. (სსკ-ის მუხ. 145).

პროკლამაცია – (ლათ.) – მნიშვნელოვანი სახითათის საგანგებოდ გამოცხადება.

პროკურატორი – (ლათ. მმართველი, მწარმოებელი) – 1. მეთვალყურე ძველ რომში, სახლის მმართველი. 2. რომაელი მოქალა-

ქის ნდობით აღჭურვილი პირი სასამართლოსა და კომერციულ საქმიანობაში. 3. დიდი მამულების (საიმპერატორო და კერძო) მმართველები. ევალებოდათ გადასახადების აკრეფა იმპერატორის ხაზინისათვის. 4. ფინანს. და სამეურნეო უწყებების მოხელეები რომში.

პროკურატურა – (ლათ. ვზრუნავ, ვმართავ) – სახელმწიფო ორგანოების სისტემა, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს კანონიერების დაცვის ფუნქციას. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, პროკურატურა არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას, ზედამხედველობს მოკვლევას, სასჯელის მოხდას, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. (მუხ. 91).

საქართველოს პროკურატურის უფლებამოსილება, ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია საქართველოს 1997 წლის 21 ნოემბრის ორგანული კანონით პროკურატურის შესახებ და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით. საქართველოს პროკურატურას ქმნიან: საქართველოს გენერალური პროკურატურა, საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურატურა, საქართველოს სატრანსპორტო პროკურატურა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პროკურატურები, ქ. თბილისის პროკურატურა, საოლქო პროკურატურები, რაიონის (ქალაქის) რეგიონალური სამხედრო და სატრანსპორტო პროკურატურები და სასჯელაღსრულების პროკურატურები.

საქართველოს პროკურატურას ხელმძღვანელობს საქართველოს გენერალური პროკურორი, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, ხუთი წლის ვადით ნიშნავს პარლამენტი.

პროკურორი პროკურატურის ორგანოების თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს პროკურორის უფლებამოსილებას. საქართველოს კანონმდებლობით, პროკურორი არის საქართველოს გენერალური პროკურორი, ყველა ქვემდგომი პროკურორი, პროკურორის მოადგილე, უფროსი თანაშემწე, სამმართველოს, განყოფილების, ნაწილის უფროსი ან მისი მოადგილე, პროკურორ-კრიმინალისტი და პროკურორ-სტაჟიორი. ყველა პროკურორი თანამდებობაზე ინიშნება გენერალური პროკურორის მიერ. გენერალურ პროკურორს კი ნიშნავს პარლამენტი. პროკურორად შეიძლება დაინიშნოს 30 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული გა-

ნათლება, ფლობს სამართალწარმოების ენას, გაელილი აქვს 2 წლამდე სტაჟირება პროკურატურაში, ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდები, მიღებული აქვს ფიცი, საქმიანი და მორალური თვისებებით, აგრეთვე, ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია პროკურორის მოვალეობის შესრულება. (საქართველოს 1997 წლის 21 ნოემბრის ორგანული კანონი პროკურატურის შესახებ, მუხ. 31–49).

პროლეტარიატი – (ბერძნ.) – ბურჟუაზიული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი კლასი დაქირავებული მუშებისა, რომლებიც მოკლებულნი არიან საკუთრებას, წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე და იძულებულნი არიან არსებობისათვის თავიანთი სამუშაო ძალა მიჰყიდონ კაპიტალისტებს.

პროლეტარიატის დიქტატურა – მუშათა კლასის პოლიტიკური ხელისუფლება, რომელიც მყარდება სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად.

პროლეტარიატის ჰეგემონია – პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლი სხვა მშრომელი კლასების, სოციალური ფენებისა და ჯგუფების მიმართ დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის დროს.

პროლონგაცია – (ლათ. ვაგრძელებ) – ხელშეკრულების, თამასუქისა და მისთ. ვადის გაგრძელება.

პრომულგაცია – (ლათ. გამოცხადება, გამოქვეყნება) –პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ოფიციალურად გამოცხადება.

პრონია – (ბერძნ. მსრუნველობა) – ბიზანტიური ფეოდალური სამართლის ინსტიტუტი; გარკვეული ტერიტორიებიდან ასაკრეფი სახელმწიფო გადასახადების სამუდამოდ ბოძება, ხოლო XIII საუკუნიდან მიწის ნაკვეთების წყალობა.

პროპაგანდა – (ლათ. გავრცელება) – რაიმე შეხედულების, იდეის გავრცელება, დაწერილებითი და ღრმა ახსნა-განმარტება საზოგადოებრივ შეგნებაში მისი ჩანერგვისა და მასების აქტიურობაციის მიზნით. პროპაგანდა გულისხმობს პოლიტიკურ ან იდეოლოგიურ პოლიტიკას – შეხედულებების, იდეებისა და თეორიების გავრცელებას მასებში.

პრორექტორი – უმაღლესი სასწავლებლის რექტორის მოადგილე (სამეცნიერო, სასწავლო, ადმინისტრაციულ სამეურნეო, სალაროს და დაუსწრებელი სწავლების და სხვა დარგში).

პროსკრიფციები – (ლათ. წერილობითი გამოქვეყნება) – ძველ რომში კანონგარეშე გამოც-

ხალებულ პირთა სიები, პროსკრიფციებში მოხვედრილთ სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამოერთმეოდათ ქონება, მათი შთამომავალნი კარგავდნენ საპატიო უფლებებსა და ქონებას. სიაში შეტანილთა გამცემსა და მკვლელს ჯილდოს აძლევდნენ, ხოლო დამფარავს სიკვდილით სჯიდნენ.

პროსტიტუცია – (ლათ. შერცხვენა, წაბილწვა) – ქალის მიერ საკუთარი სხეულით გაჭრობა; მეძაობა.

პროტესტანტიზმი – (ლათ. ის, ვინც საჯაროდ ამტკიცებს) – XVI საუკუნის რეფორმაციიდან გამომდინარე რელიგიურ მიმდინარეობათა და მიმდინარეობათა საერთო სახელწოდება.

პროტესტი – (ფრან. საჯაროდ გამტკიცება) – წერილობითი დოკუმენტი. რომლითაც პროკურორი ან სემდგომი სასამართლოს უფლებამოსილი პირი რეაგირებს კანონის დარღვევაზე. პროტესტს შეიძლება პროკურორი ხელმძღვანელობის განსორციელების ეტაპზე დროს. პროკურორი არ უნდა დაემაღლებოდეს პროტესტის შეტანით, იგი მოვალეა მიაღწიოს კანონისაწინააღმდეგო აქტის შეცვლას ან გაუქმებას. პროკურორის პროტესტი საერთო ხელმძღვანელობის წესით უნდა განიხილოს შესაბამისი თანამდებობის პირმა 10 დღის განმავლობაში, ხოლო პროკურორის საკასაციო პროტესტის შეტანა სასამართლოს განაჩენზე შეიძლება 5 დღის ვადაში, ხოლო სამოქალაქო სამართლის საქმეზე – გადაწყვეტილების გამოტანიდან 14 დღის განმავლობაში.

პროტექტორატი – (ინგლ. დაცვა, მფარველი) – სპეციალური შეთანხმებით გაფორმებული ურთიერთობა ორ სახელმწიფოს შორის, რომელთა მათგანი (პროტექტორი) განაგებს მეორის (პროტეჟეს) საგარეო პოლიტიკას და მისი სახელით გამოდის საერთაშორისო ურთიერთობებში. პროტექტორის ვალდებულებაა უზრუნველყოს პროტეჟეს ტერიტორიული მთლიანობა და უშიშროება.

პროტექციონიზმი – (ფრანგ. დაცვა, მფარველობა) სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს ერთეული ეკონომიკის განვითარების მხარდაჭერას. რომელიც სორცილდება სახელგარეთიდან შემოტანილ საქონელზე მაღალი საბაჟო გადასახადით დაბეგვრით.

პროშესია – (ლათ. ოფიციალურად მითითებული საქმიანობა, სპეციალობა). – სპეციალური მიმართულებისა და მუშაობის გამოცდილების შეძენად შექმნილი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების კომპლექსის მქონე

ადამიანის შრომითი საქმიანობის დარგი.

პროფესიონალიზმი – 1. სიტყვა, რომელსაც იყენებენ საქმიანობის (პროფესიის) მიხედვით გაერთიანებულ ამა თუ იმ ჯგუფში და ამ საქმიანობასთან არის დაკავშირებული. 2. საერთო ენაში სტილისტური მიზნით გამოყენებული პროფესიონალიზმი.

პროფესიული დაავადებები – ორგანიზმზე პროფესიული მაენეობის მოქმედებით გამოწვეული დაავადებები. მისი მიზეზი შეიძლება გახდეს ზოგიერთი სახის მტვერი, სამრეწველო შხამები, ხმაური, მაღალი ან დაბალი ატმოსფერული წნევა და სხვა.

პროფესიული დამნაშავე – პირი, ვისთვისაც დანაშაულებრივი საქმიანობა მისი ცხოვრების წესი და შემოსავლის ძირითადი წყაროა. პროფესიული დამნაშავე ასეთ საქმიანობას ნეგულებრივ ბიზნესად და კარიერის საშუალებად თვლის, იგი სრულყოფილად ეუფლება დანაშაულის ჩადენის ხერხებს და თანდათან სპეციალიზდება განსაზღვრული ტიპის დანაშაულის ჩადენაში (მაგ.: ყალბი ფულის დამზადება, თაღლითობა და სხვა).

პროფესიული კავშირები – პროფკავშირები, მასობრივი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს წარმოების, მომსახურებისა და კულტურის სფეროში დასაქმებულ, საერთო ინტერესებით დაკავშირებულ მშრომელებს. პროფესიული კავშირები ნებაყოფლობით საფუძველზე აერთიანებს ყველა პროფესიის მშრომელებს, განურჩეველად რასისა, ეროვნებისა, სქესისა და რელიგიური მწამსისა.

პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭო – პროფკავშირების ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს პროფკავშირთა მთელ საქმიანობას ყრილობებს შორის. მას ირჩევს პროფკავშირთა ყრილობა ხუთი წლის ვადით. იგი იურიდიული პირია. პლენუმებს შორის მუშაობის ხელმძღვანელობისათვის ირჩევს პრეზიდიუმს – მიმდინარე მუშაობის ხელმძღვანელობისათვის – სამდივნოს. პლენუმები ტარდება ექვს თვეში ერთხელ. მას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, მონაწილეობს ხელფასის, შრომის დაცვის, საყოფაცხოვრებო საკითხებზე მთავრობის დადგენილებათა პროექტების მომზადებასა და განხილვაში, გამოსცემს ინსტრუქციებს, წესებს და განმარტებებს შრომის თაობაზე მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების შესახებ.

პროფესიული ორიენტაცია – მეცნიერულად დასაბუთებულ ღონისძიებათა სისტემა, რომლის მიზანია პიროვნებისა და პროფესიული შრომის თავისებუ-

რებათა და კადრებისადმი წაყენებულ მოთხოვნების გათვალისწინებით დაეხმაროს ახალგაზრდას აირჩიოს თავისი უნარის, შესაძლებლობისა და ინტერესებისათვის შესაფერისი პროფესია.

პროფესიული საიდუმლოება – გარკვეული პროფესიის მქონე პირის მოვალეობა საიდუმლოდ შეინახოს ცნობა, რომელიც მას გაანდეს. მაგ.: ექიმი ან ადვოკატი თავიანთ პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით მორალურად ვალდებულნი არიან დაიცვან პროფესიული საიდუმლოება.

პროფესიულ-ტექნიკური განათლება – კულტურული და ტექნიკურად განათლებული კვალიფიციური მუშების გეგმაზომიერი და ორგანიზებული მომზადების სისტემა, სახალხო განათლების სისტემის ორგანული ნაწილი.

პროფესორი – (ლათ. მასწავლებელი) – უმაღლესი სასწავლებლის ან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების თანამშრომლის სამეცნიერო წოდება. ტერმინი პროფესორი შემოიღეს რომის იმპერიაში. თავდაპირველად პროფესორის წოდებას ანიჭებდა საკვალიფკაციო კომისიები. 1961-დან შემოღებულია პროფესორ კონსულტანტის თანამდებობაც.

პროქირონი – (ბერძნ. ვისიმე ხელთ არსებული) – ბიზანტიური სამოქალაქო, სისხლისა და ნაწილობრივ, სასამართლო და საეკლესიო სამართლის სოგიერთი ძირითადი ინსტ-ის კოდიფიკაცია, რაც 879 იმპერატორ ბასილ I-ის ბრძანებით განხორციელდა. მისი ძირითადი წყაროა იუსტინიანეს კოდიფიკაცია.

პრომულგაცია – (ბერძ.) – ძველ საბერძნეთში ხელშეკრულება სტუმართმოყვარეობის შესახებ. პოლისებს შორის კავშირის ფორმა. რომელიმე პოლისის მოქალაქე საკუთარი ინიციატივით ან თავისი პოლისის დავალებით მასპინძლობდა სხვა პოლისის მოქალაქეებს ან ელჩებს, სამაგიეროდ სხვა ქალაქში მოელი რიგი პრივილეგიებით სარგებლობდა. პრეზენტაციას ანიჭებდნენ იმ უცხოელს, რომელიც პოლისისათვის განსაკუთრებულ სამსახურს იკისრებდა.

პროცესი – (ლათ. წინ წაწევა) – 1. სამართალში საქმის გამოძიებისა და სასამართლო განხილვის წესი 2. თანმიმდევრულ მოქმედებათა ერთობლიობა რაიმე შედეგის მისაღწევად. 3. ადმინისტრაციული, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის საქმის განხილვა.

პროცესუალური სამართალი – სამართლებრივი სისტემის ნორმათა ნაწილი, რომელიც არეგულირებს დანაშაულის გამოძიების, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტის დროს წარ-

მოშობილ ურთიერთობებს. არსებობს სასამართლო პროცესის ორი ძირითადი ფორმა – სამოქალაქო სამართლის პროცესი და სისხლის სამართლის პროცესი.

პუბლიკაცია – (ლათ. სახალხოდ გამოცხადება) – 1. ცალკეული ნაწარმოების, ნაშრომის გამოქვეყნება, დაბეჭდვა. 2. რომელიმე გამოცემაში გამოქვეყნებული ტექსტი. 3. ბეჭდვითი სიტყვის, რადიოს ან ტელევიზიის საშუალებით რისიმე შეტყობინება – გავრცელება.

პურის კანონები ინგლისში – საერთო სახელწოდება კანონებისა, რომლებიც XV–XIX სს. ინგლისში ხორბლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების შესიდვასა და გასიდვას აწესრიგებდა. ძირითადად მაღალი შემოსატანი და დაბალი გასატანი ბაჟების დაწესებით.

პფალცგრაფი – (გერმ. სასახლის გრაფი) – ფრანკთა სახელმწიფოში მეფის კარის უმაღლესი სასამართლო მოხელე. პფალცგრაფის ტიტული 1806 გაუქმდა.

პფალცური მემკვიდრეობა – პფალცის მემკვიდრეობისათვის ომი, ორლეანის ომი. 1688–97 ომი საფრანგეთსა და ევროპის სახელმწიფოების კოალიციას – ე. წ. აუგსბურგის ლიგას შორის. დაიწყო 1688 და ომი რიისვიკის სავით 1697 დამთავრდა.

პფენიგი – (გერმ.) – გერმანული ხურდა ფული, პირველად შემოიღეს VIII საუკუნეში. გერმანიაში ერთიანი ფულადი ერთეულის მარკის შემდეგ 1871.

უ

ჟალეთი – ძველი ქართული წყაროების მიხედვით კახეთის პილიტიკური და კულტურულ-რელიგიური ცენტრი. მდებარეობდა მდინარე იორის შუა წელზე.

ჟანდარმერია – (ფრანგ.) – სამხედრო წყობის პოლიცია, რომელიც ასრულებს დაცვით ფუნქციებს ქვეყანაში და არმიაში; მეფის რუსეთში, აგრეთვე პოლიტიკური პოლიცია.

ჟარგონი – (ფრანგ.) – 1. ვიწრო სოციალური ჯგუფის (მოსწავლეების, სამხედრო პირების) მეტყველება. საერთო ენისაგან განსხვავებულია მხოლოდ ლექსიკით. მაგ.: ქართველ მოსწავლეთა თანამედროვე ჟარგონს მიეკუთვნება: ხურავს – „ყველას სჯობს“, შარაფი – „წვეულება“, „ქეიფი“ და სხვა. 2. ნაირენოვანი მოსახლეობის საურთიერთო მეტყველება.

ჟენევის კონვენციები – 1. 1949 ჟენევაში დადებული ოთხი კონვენცია ომის მსხვერპლთა დაცვის თაობაზე. 2. ჟენევის 1952 წლის მსოფლიო კონვენცია საავტორო უფლებათა დაცვაზე. 3. 1958 ჟენევის კონფერენციაზე მიღებული ოთხი კონვენცია საერთაშორისო საზღვაო სამართლის საკითხებზე, სახელდობრ: ა) ტერიტორიული ზღვის და მიმდებარე ზონის; ბ) ღია ზღვის; გ) თევზჭერისა და ღია ზღვის რესურსების დაცვის თაობაზე; დ) კონტინენტური შელფის შესახებ.

ჟენევის კონფერენცია 1927 – ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, იტალიის, საფრანგეთისა და იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენცია. გაიმართა ჟენევაში 12–14 ივნისს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრის ო. ჩემბერლენის ინიციატივით, სადაც ჩემბერლენმა წინადადება შეიტანა გამოექვეყნებინათ ერთობლივი დეკლარაცია „კომინტერნის პროპაგანდისა და საბჭოთა მთავრობასთან მისი კავშირის წინააღმდეგ“, მაგრამ იმპერიალისტური ძალების ერთობლივი ანტისაბჭოთა გამოსვლა მარცხით დამთავრდა ჟენევის კონფერენციის მონაწილეთა შორის.

ჟენევის ოქმი – 1925 წელს 37 სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო შეთახმება, რომელიც კრძალავს ომში მხუთავი, შხამიანი და სხვა მსგავსი აირებისა და ბაქტეროლოგიური საშუალებების გამოყენებას. სსრკ-ჟენევის ოქმს შეუერთდა 1927, რატიფიკაცია მოხდა 1928.

ჟენევის შეთანხმებები 1962 ლაოსის შესახებ – ჟენევაში (შვეიცარიაში) ლაოსის საკითხის მოწესრიგების შესახებ საერთაშორისო თათბირზე ხელმოწერილი დოკუმენტები, რომელშიც მონაწილეობდნენ სსრკ-ის, ჩინეთის სრ, ვიეტნამის დრ, აშშ-ის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ინდოეთის, ბირმის, კამბოჯის, კანადის, ტაილანდისა და საიგონის მთავრობების წარმომადგენლები. ჟენევის შეთანხმებები შეიცავს დეკლარაციას ლაოსის ნეიტრალიტეტის შესახებ და თან დართულ ოქმს, რომლებიც ითვალისწინებენ ლაოსის სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, ნეიტრალიტეტის, ერთიანობისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას თათბირის მონაწილეთა მხრიდან.

ჟირანტი – პირი, რომელიც თამასუქსე, სადაზღვევო პოლისზე თუ განკარგულებით დოკუმენტზე აკეთებს გადაცემის წარწერას.

ჟიროანგარიშსწორება – (იტალ. წრე, ბრუნვა) – ვაჭრობით დასაქმებულ განსაზღვრულ პირთა შორის უნაღდო ანგარიშსწორების ფორმა. პირველად წარმოიშვა იტალიაში ქვრცხლისა და ოქროს მონეტების მოჭრის შეგნებულად გაფუჭებასთან დაკავშირებით. ჟირობანკის მიერ შემოღებული ჟიროანგარიშსწორება უფრო ხელსაყრელი და ნაკლებად შრომატევადი ფორმაა, რომელმაც დააჩქარა და გააიაფა ანგარიშსწორება.

ჟიროანგარიშსწორება ეწოდება ყველა იმ უნაღდო ანგარიშსწორებას, რომელიც ხორციელდება საანგარიშსწორებო ჩეკების მეშვეობით.

ჟირობანკი – ბანკი, რომელიც თავის კლიენტებს შორის ახორციელებს ანგარიშსწორებას. ჟირობანკი იღებდა ანაბრებსა და კლიენტთა მოთხოვნით ახორციელებდა ერთი ანგარიშიდან მეორეში გადარიცხვას. ჟირობანკის ჟიროანგარიშსწორებაზე თავს იყრიდა დიდი თანხა, საიდანაც გაიცემოდა კრედიტი სახელმწიფოზე, მუნიციპალიტეტებსა და ვაჭრებზე.

ჟიური – (ინგლ. ფიცს ედებ) – 1. სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც დანიშნულია ან არჩეულია კონკურსზე, გამოფენასა თუ შეჯიბრებებზე პრემიებისა და ჯილდოების მისანიჭებლად. 2. ზოგი ბურჟუაზიული ქვეყნის სისხლის სამართლის პროცესში არაპროფესიული მოსამართლეთა – ნაფიც მსაჯულთა კოლეგია.

რ

რაბინი – (ებრ. – ჩემი მოძღვარი) – ებრაული თემის სულიერი მოძღვარი, აღჭურვილი რელიგიური, სასამართლო და ადმინისტრაციული ფუნქციებით, იუდაისტური რელიგიის კულტის მსახური. იგი არის თემში პირველი და თემის წარმომადგენელი ხელისუფლების წინაშე.

რადიმიჩები – ძველი რუსული ტომობრივი გაერთიანება ახალი წელთაღრიცხვით ათასწლეულის ბოლოს. სახლობდნენ დნეპრის ზემო ნაწილში.

რადიოეკოლოგია – ეკოლოგიის დარგი, რომელიც შეისწაელის რადიოაქტიური ნუკლიდების კონცენტრაციასა და მიგრაციას ბიოსფეროში და მაიონიზებელი გამოსხივების გაელენას ორგანიზმზე.

რადიოკავშირი – ინფორმაციის გაცვლა რადიოტალღების საშუალებით.

რადიომაუწყებლობა – მსმენელთა განუსაზღვრელი რაოდენობისათვის რადიოთი საუბრების, მუსიკისა და სხვა ხმოვანი ეფექტების გადაცემა; ოპერატიული ინფორმაციის, მასობრივი აგიტაციისა და პროპაგანდის, მოსახლეობის განათლების ერთი ძირითადი საშუალება.

რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის საერთაშორისო ორგანიზაცია – რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის დემოკრატიული ორგანიზაცია. დაარსდა 1946 ბრიუსელში. მისი უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა (იწვევენ ყოველწლიურად), რომელიც ორი წლის ვადით ირჩევს ადმინისტრაციულ საბჭოს, წელიწადში ექვსჯერ გამოსცემს ჟურნალ „რადიო ი ტელევიდენიეს“ (ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და გერმანულ ენებზე).

რადიოტექნიკური ჯარი – (რტჯ) – ჯარის გვარეობა ქვეყნის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარების, სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო საზღვაო ძალების შემადგენლობაში. მისი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო რადიოტექნიკის დაზვერვა და სამოქალაქო თავდაცვისათვის შეტყობინება და სხვა ამოცანების შესრულება. რტჯ გაჩნდა სსრკ შეიარაღებულ ძალებსა და ზოგიერთ უცხოურ არმიაში II მსოფლიო ომის (1939–45) წინ.

რადომის კონსტიტუცია 1505, – პოლონეთის სეიმის დადგენილება ქ. რადომში. რადომის კონსტიტუცია, რომელსაც სამი პირველი სიტყვის მიხედვით ეწოდებოდა და აგრეთვე კონსტიტუცია „ნიჰილ ნოვი“ (არაფერი ახ-

ალი) ხელუხლებად მეფის ხელისუფლებას. კანონის მიღებას უნდა დათანხმებოდა მთელი სეიმი, რაშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა „საელჩო ქოხს“ (შლიახტის დეპუტატებისაგან შემდგარ პალატას) ენიჭებოდა. რადომის კონსტიტუციის მიღებამ დაასრულა პოლონეთის სეიმის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ გაფორმების პროცესი.

რაზნოჩინელები – (სხვადასხვა ჩინისა და წოდების ხალხი) – XVIII–XIX სს. რუსეთის მოსახლეობის ფენა, რომელიც შედგებოდა სამღვდელოების, კაჭართა, მეშჩანთა, გლეხთა, გაღარიბებულ აზნაურთა და წერილ ჩინოვნიკთა წრეებიდან გამოსულ პირთაგან, რომლებიც განათლების მიღების შემდეგ წყდებოდნენ საკუთარ სოციალურ ფენას, რომელთაგანაც წამოიზარდა ბურჟუაზიული ინტელიგენცია (ბ. ბელინსკი, პეტრაშევსკელები). ამ ტერმინს ლენინი რაზნოჩინულს უწოდებდა.

რაიათები, რაიათი – (არაბ. ჯოგი) – თავდაპირველად ეწოდა ქვეშევრდომი ახლო და შუა აღმოსავლეთის მესხლიმანურ ქვეყნებში, შემდეგ საკუთრივ ხარკის გადამხდელთა (გლეხები და მოქალაქეები) წოდება, შემდეგ კი მიწის გამოსახლების – ხარაჯის – გადამხდელები ე. ი. ფეოდალზე დამოკიდებული გლეხები, რომლებიც იურიდიულად თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ ფაქტობრივად არ ჰქონდათ ეროი ადგილიდან მეორეზე გადასვლის უფლება.

რაიათმარი – (არაბ. „მობეგრე გლეხი“) – საადგილმამულო – საგადასახადო სისტემა ინდოეთში. დააწესა ინგლის. კოლონ. ადმინისტრაციამ ინდოეთის ტერიტორიულ ნაწილზე. რაიათებს უფლება ჰქონდათ თავისუფლად გაესხვისებინათ და მემკვიდრეობით გადაეცათ მიწები, მაგრამ იურიდიულად ირიცხებოდნენ მეჯმიე-მემკვიდრეობით სახელმწიფო მოიჯარეებად (მიწის უსყნაეს მფლობლად ითვლებოდა კოლონ. სახელმწიფო).

რაინის დემილიტარიზებული ზონა – დადგინდა ვერსალის საზავო ხელშეკრულების (1919) თანახმად საფრანგეთსა გერმანიის თავდასხმის აღკვეთის მიზნით. გერმანიას ეკრძალებოდა რაინის დემილიტარიზებულ ზონაში ჯარების განლაგება, სიმაგრეების აგება და ა. შ. 1936 მარტში ფაშისტურმა გერმანიამ დაარღვია რაინის დემილიტარიზებული ზონის შესახებ ხელშეკრულება და იქ თავისი ჯარები შეიყვანა.

რაინდი – 1. ფეოდალიზმის ხანაში – სამხედრო თავადაზნაურული წოდება; 2. გადატანითი მნიშვნელობით – უალრესად პა-

ტიოსანი, კეთილშობილი ადამიანი; 3. უშიშარი გმირი მებრძოლი.

რაინდობა – (ლათ.) – სამხედრო-მსახურეული ფენა შუა საუკუნეების დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. რაინდობას მიეკუთვნებოდა ყველა საერო ფეოდალი, მაგრამ უმთავრესად ის მაინც წვრილი ფეოდალებისაგან შედგებოდა. რაინდი, ჩვეულებრივ, ფეოდის მფლობელი უნდა ყოფილიყო. ეს განსაზღვრავდა რაინდთა მატერიალურ უზრუნველყოფას, შესაძლებლობას ჰყოლოდათ სალაშქრო ცხენები და ჰქონოდათ რაინდის შეიარაღება (მახვილი, ფარი, მუსარადი). რაინდთა მთავარ საქმიანობას ომებში მონაწილეობა შეადგენდა. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებამ გააქარწყლა რაინდის, როგორც მთავარი საომარი ძალის მნიშვნელობა.

რაიონული (საქალაქო) სასამართლო – საქართველოში საერთო სასამართლოების ქვედა რგოლი, რომელიც იქმნება პრეზიდენტის ბრძანებულებით რაიონში, ქალაქში, რომელიც არ შედის რაიონში და არ გააჩნია რაიონული დაყოფა, აგრეთვე, ქალაქის რაიონში. რაიონული (საქალაქო) სასამართლო არის პირველი ინსტანციის სასამართლო, სადაც ყველა საქმე განიხილება ერთპიროვნულად, მოსამართლის მიერ, კანონით დადგენილი წესით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს განსაზღვრავს საპროცესო კანონი და კანონი საერთო სასამართლოების შესახებ.

რაიონი – (ფრანგ. ხხივი რადიუსი) – 1. ტერიტორია, რომელიც გამოიყოფა რომელიმე ნიშნის თავისებურების მიხედვით, ზოგჯერ რეგიონის სინონიმად იხმარება; 2. ძირითადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული სასოფლო ადგილებში. 3. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რომელიც იქმნება იმ ქალაქებში, სადაც მოსახლეობა ასიათას კაცს აღემატება. 4. სახღვარგარეთის ზოგ ქვეყანაში – სხვადასხვა რიგის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული (მაგ.: პარიზის რაიონი). საქართველოს კანონმდებლობით ტერმინი რაიონი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელია.

რაიონული დაგეგმარება – საპროექტო წინადადებანი, რომლებიც ეხება ქვეყნის ადმინისტრაციული ან ეკონომიკური რაიონების ტერიტორიის დაგეგმარების ორგანიზაციას. მისი მთავარი ამოცანაა დასაგეგმარებელი რაიონის კომპლექტურად მოწყობა ტერიტორიულ-სამეურნეო თვალსაზრისით. აგრეთვე

იგი საშუალებას იძლევა დასუსტდეს და განვითარდეს ცალკეული ეკონომიკური რაიონის სახელმწიფო მეურნეობრივი გეგმები და შეიქმნას მყარი საქალაქთმშენებლო ბაზა დასახლების ადგილების განვითარებისათვის.

რაიხსთერი – (გერმ. მხედარი) – დასავლეთ ევროპაში კაპალერიის ერთ-ერთი სახეობის მებრძოლი – მხედარი. რაიტერები შეიარაღებულნი იყვნენ გრძელი ხანშით, ორი დამბაჩით, თოფით ან კარაბინით. ატარებდნენ სამკერდე ჯავშნებს, ეხურათ ჩაჩქანი, უტევდნენ მჭიდრო საბრძოლო წყობით. რაიტერები ძირითადად გერმანელები იყვნენ.

რაიხსვერი – (გერმ. იმპერია და იარაღი, თავდაცვა) – გერმანიის შეიარაღებული ძალები 1919–35; შეიქმნა ვერსალის საზავო ხელშეკრულების (1919) საფუძველზე. 1919 წ. 6 მარტის კანონით შეიქმნა დროებითი რაიხსვერი (24 ბრიგადა), 1921 წ. 23 მარტს მიიღეს კანონი, რომლითაც რაიხსვერის პირადი შემადგენლობა კომპლექტდებოდა დაქირაობის წესით. ვერსალის ხელშეკრულებით გერმანიას ეკრძალებოდა სამხედრო საჰაერო ძალების, ტანკების, საზღვაო, წყალქვეშა ნაღმების, ქიმს ტონაზე მეტი წყალწყლის კრეისერებისა და გენშტაბის რაიმე ფორმით ქონა. 1935 წ. 16 მარტს ფაშისტურმა გერმანიამ ვერსალის ხელშეკრულება გააუქმა და დაიწყო სამხედრო მრავალმილიონიანი ვერმახტის შესაქმნელად.

რაიხსკანცლერი – (გერმ.) – 1. გერმანიის იმპერიაში 1871–1918 – ერთადერთი გერმანელი მინისტრი და ბუნდესრატის თავმჯდომარე. მეთაურობდა იმპერიის აღმასრულებელ ხელისუფლებას. 2. ვაიმარის რესპუბლიკაში (1919–33) – მთავრობის მეთაური. 1933–45 რაიხსკანცლერი იყო ჰიტლერი, რომელმაც 1934 შეაერთა მთავრობისა და სახელმწიფო მეთაურის უფლებამოსილებანი (გააუქმა პრეზიდენტის თანამდებობა).

რაიხსმარკა – (გერმ.) – ფულის ერთეული გერმანიაში (1924), რაიხსმარკა იყოფოდა 100 რაიხსპფენინგად. იგი გაუქმდა 1948 გერმანიაში გატარებული ფულის რეფორმასთან დაკავშირებით.

რაიხსტაგი – (გერმ.) – 1. „სალეთო რომის იმპერიაში“ XII საუკუნიდან – წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანო გერმანიის იმპერატორთან, იმპერიის სეიმი. 2. გერმანიის იმპერიაში – დამფუძნებელი კრება, გერმ. კაშირის ქვედა პალატა. 3. ვაიმარის რესპუბლიკაში პარლამენტის ქვედა პალატა.

რამესიდები – ძველი ეგვიპტის მეფეთა მეცნიერებაში მიღებული პირობითი სახელი.

რამიკები – დაბალი ფენა ადრინდელ ფეოდალურ სომხეთში. რამიკებისაგან შედგებოდა ქვეითი და ცხენოსანი რაზმები.

რამზესი – („რას შობილი") – ძველი ეგვიპტის ფარაონთა სახელი.

რანა – არისტოკრატიული კლანი (გვარი), რომლებსაც მინისტრის თანამდებობა ეკავათ ნეპალში. რანას რეჟიმი დაემხო 1951–52.

რანგთა ცხრილი – კანონი რუსეთის იმპერიაში სამსახურებრივ ხარისხთა (ჩინთა იერარქიის, მათი მინიჭების თანმიმდევრობის) შესახებ. დაამტკიცა იმპერატორმა პეტრე I-მა 1722 წ. 24 იანვარს. ყველა ჩინი 14 კლასად იყოფოდა. უმაღლესი იყო პირველი კლასი. იგი გაუქმდა 1917 წ 10 ნოემბერს დეკრეტით.

რანგპური – მიწათმოქმედ ტომთა მრავალფენიანი ნამოსახლარი ინდოეთში.

რანტიე – (ფრანგ. რენტა) – ფენა კაპიტალისტებისა, რომლებიც ცხოვრობენ სესხად გაცემული ფულადი კაპიტალის სარგებლით ან ფასიანი ქაღალდებიდან (აქციები, ობლიგაციები) მიღებული შემოსავალით.

რანჯბარები – (სპარს. მშრომელები) – ფეოდალზე დამოკიდებულ გლეხთა კატეგორია ირანსა და ამიერკავკასიის სახანოებში. რანჯბარები ეწოდებოდათ გლეხებს, რომლებიც ფეოდალისაგან იღებდნენ მიწას, სარწყავ წყალს, თესლს, მუშა საქონელს და სანაცვლოდ აძლევდნენ მოსავლის ნაწილს.

რაპალოს ხელშეკრულება – რსფსრ და გერმანიის შორის 1922, ხელშეკრულება, რომლითაც საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას შორის დამყარდა დიპლომატიური ურთიერთობა. რაპალოს ხელშეკრულება ითვალისწინებდა დიპლომატიურ ურთიერთობათა დაუყოვნებლივ აღდგენას, ურთიერთპრეტენზიებზე უარის თქმას, საეჭრო ურთიერთობათა გაცხოველებას.

რასები – ადამიანთა (ფრანგ.) – გარკვეულ ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი, რომლებსაც აქვთ საერთო წარმომავლობა, რაც ვლინდება მხოლოდ ამ ჯგუფისათვის დამახასიათებელი მემკვიდრეობითი მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური ნიშნების ერთობლიობით. ბიოლოგიური თვალსაზრისით დღევანდელი კაცობრიობა ერთ სახეობას განეკუთვნება, რომელიც მთელი რიგი უფრო მცირე ქვედანაყოფებისაგან შედგება.

რასათმცოდნეობა – ანთროპოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ადამიანთა რასების ფიზიკური ტიპის თავისებურებებს. რასათმცოდნე-

ობას ზოგჯერ ეთნ. ანთროპოლოგიასაც უწოდებენ.

რასიზმი – ორგანიცისტული სოციოლოგიის უკიდურესი რეაქციული ნაირსახეობა, რომელიც ცდილობს გაამართლოს კლასობრივი და ეროვნული უთანასწორობა და დაასაბუთოს მისი მარადიულობა ადამიანთა რასების „უცვლელ“ ფიზიკურ ან ფსიქიკურ თავისებურებებსა და ბიოლოგიურ კანონებზე დაყრდნობით.

რასკოლი – რელიგიურ-სოციალური მოძრაობა XVII საუკუნის რუსეთში, რომელიც ერთდროულად საეკლესიო და საერო ფეოდალების კონსერვატიული ოპოზიციისა და ანტიფეოდალური ოპოზიციის დროშად იქცა.

რასტაბაზარი – შუა საუკუნეების თბილისის საქმიანი უბანი – რიგებად განლაგებული ბაზარი და სავაჭრო სახელოსნოები, მდებარეობდა ბატონის მოედანსა და ახლანდელ ერეკლე II-ის ქუჩას შორის, სადაც ორ მწკრივად იყო განლაგებული ხარაზების, სირაჯების, ოქრომჭედლებისა და ბაზაზების სავაჭრო სახელოსნოები.

რატიფიკაცია – (ლათ. დამტკიცებული) – მნიშვნელოვანი საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოს მიერ. რატიფიკაციის შესახებ ჩვეულებრივ ხელშეკრულებაშია აღნიშნული, ანდა მხარეები დამატებით შეთანხმდებიან. გადაწყვეტილება რატიფიკაციის შესახებ ანიჭებს შიდასახელმწიფოებრივი სამართლის საჭალდებულობას. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულება ორმხრივია, რატიფიკაციის სიგელები გაიცვლება მხარეთა შორის, ხოლო თუ ხელშეკრულება მრავალმხრივია, სიგელები ჩაბარდება დეპოზიტორს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას ახდენს საქართველოს პარლამენტი.

რაყამი – (არაბ.-თურქ. რაკამ, გამოსახვა) – სპარსეთის შაჰის (ყაენის), ოსმალეთის სულთნის (ხონთქრის) წერილი, ბრძანებულება, სიგელი. რაყამი ქართულში XVII–XVIII სს-ში შემოვიდა. „რაყმის საქმითა“ – საქართველოში მნიშვნელოვანი საკითხები წყდებოდა, რაც ქვეყნის ვასალური დამოკიდებულების შედეგი და გამოხატულება იყო. „რაყამი“ – ანალოგიური ქართული საბუთის აღსანიშნავადაც იხმარებოდა.

რაციონალიზატორული წინადადება – სახელმწიფოში ისეთი ტექნიკური გადაწყვეტა, რომელიც ახალი და სასარგებლოა საწარმოს, ორგანიზაციის

ან დაწესებულებისათვის, რომელსაც ის წარედგინა და რომელიც ითვალისწინებს ნაწარმის კონსტრუქციის, წარმოების ტექნოლოგიის, მოქმედი ტექნიკის ან მასალის შედგენილობის შეცვლას. რაციონარიზატორული წინადადების შესახებ განცხადება წარედგინება იმ საწარმოს ან სამინისტროს, რომელსაც საქმიანობაც რაციონალიზატორულ წინადადებას შეეხება. მიღებული განცხადება განიხილება საწარმოში 15 დღის. ხელი საბჭოსტროში თქენახევარის განმავლობაში. საკითხის დადებითად გადაწყვეტისას რაციონალიზატორული წინადადების ავტორს ეძლევა მოწმობა, რომელიც წარმოადგენს ავტორობის უფლების საფუძველს.

რაციონალიზაცია – (ლათ. გონიერული) – მოცემული შესაძლებლობების გონიერულად, მიზანშეწონილად და საჭიროებისანად გამოყენება. წარმოების რაციონალიზაცია, ტექნიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასა და სხვა.

რაციონალიზმი – (ფრანგ. გონიერული) – ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც გონებას ადიარებს ან სამყაროს საფუძვლად (ონტოლოგიური რაციონალიზმი), ან შემეცნების ერთადერთ წყაროდ (გნოსეოლოგიური რაციონალიზმი). ონტოლოგიური რაციონალიზმი ობიექტურ-იდეალისტური მოძღვრებაა, რადგან სამყარო მიაჩნია ობიექტური გონის გამოვლენის ფორმად. გნოსეოლოგიური რაციონალიზმი შეიძლება ემყარებოდეს როგორც იდეალისტურ, ასევე მატერიალისტურ წანამძღვრებს.

რაჭის სამთავრო – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ფეოდალურ საქართველოში. ჩამოყალიბდა X ს. პირველი ერისთავი იყო რატი ბაღვაშთა საგვარეულოდან. შემდეგ კი მისი ძე კახაბერი.

რაჯა – მთავრების ტიტული ინდოეთში. რაჯა ალნიშნავდა მთავარს (რელიგიით ინდუსს). კოლონ. ინდოეთში – ხოლმერით მსხვილი მიწათმფლობელის საპატიო ტიტული.

რაჯპუტები – (საკნსრ. რაჯის ვაჟი) – სამხედრო-ფეოდალური კასტა წოდება შეია საქმეების ინდოეთში. მაღალი სტატუსის კასტების ჯგუფი ახლანდელ ინდოეთში, რომლებიც თავს აცხადებენ ქშატრიების შთამომავლებად.

რგოლი – (სამხედრო) – ავიაციის სხვადასხვა გვარეობის ტაქტიკური და საცეცხლე ქვეგანაყოფი (3–4 თვითმფრინავი). რამდენიმე რგოლი შეადგენს ეს-

კადრილიას. რგოლი საბრძოლო ამოცანებს ასრულებს ესკადრილიის შემადგენლობაში ან დამოუკიდებლად.

რეაბილიტაცია – (ლათ. აღდგენა) – 1. უსაფუძვლოდ შელახული ღირსების, პატიოსანი სახელის აღდგენა; 2. ჩამორთმეული უფლებათა აღდგენა, იმ პირთა აღიარება უდანაშაულოდ, რომელიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყო მიცემული. საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალი უნდა აუნაზღაურდეს მოქალაქეს, თუ სასამართლო გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს ან თუ სისხლის სამართლებრიც და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმე წარმოებით შეწყდება. უნდა ანაზღაურდეს ყველა სახის ზარალი – ხელფასი, პენსია, დახმარება, ქონება, ფული და ფულადი ანაბარი, გადახდილი ჯარიმა, თანხები, რომელიც მოქალაქემ გაიღო დამცველის აყვანისათვის.

რეალი – (ესპ., პორტუგ. სამეფო) – ძველი ესპანური ვერცხლის მონეტა, მიმოქცევაში იყო XV საუკუნიდან XIX საუკუნემდე. ვერცხლისაგან იჭრებოდა აგრეთვე პორტუგალიასა და ბრაზილიაში.

რეალიზაცია – (ლათ. ნამდვილი) – 1. რისამე განხორციელება, ცხოვრებაში გატარება. მაგ.: დაგეგმილების რეალიზაცია. 2. ქონების ან ფასიანი ქაღალდების ფულად ქცევა, გაყიდვა.

რეალიზმი – (ლათ. ნამდვილი) – ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც აღიარებს ზოგადი საგნების (უნივერსალების) ობიექტურ არსებობას.

რეალისტური სძოლა სამართალში – ერთ-ერთი გავრცელებული მიმართულება აშშისა და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის სამართალმცოდნეობაში. „რეალისტები“ „წიგნის სამართალს“ უპირისპირებენ რეალურ სამართალს. მათ მიაჩნიათ, რომ სამართლისათვის არსებითია მუდმივი ცვალებადობა. სამართალი, მათი მტკიცებით, არის ის, რაც რეალურად ტარდება ცხოვრებაში, რასაც მოსამართლე კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვეტს.

რეალობა – (ლათ. საგნობრივი, ნამდვილი) – ნამდვილად არსებული, რომელიც უპირისპირდება მოჩვენებითად, საკარაუდოდ და ა. შ. არსებულს.

რეალური განათლება – საერთო საშუალო განათლების სისტემა, რომელიც კლასიკური განათლებისაგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს ძველი კლასიკური ენების შესწავლას. 1864 რუსეთში გაიხსნა რეალური გიმნაზიები, რომლებიც 1879 გადაქცეთ-

და რეალურ სასწავლებლად. 1917 ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ერთიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შექმნით მოისპნა რეალური განათლების საკითხი.

რეალური სასწავლებლები – საშუალო სასწავლებლები, რომელთა სასწავლო გეგმაში ძირითადი ყურადღება ეთმობოდა საბუნებისმეტყველო – მათემატიკურ საგნებს. იგი რუსეთში შეიქმნა 1872 და 1916 რუსეთში იყო 276 რეალური სასწავლებელი, საქართველოში კი სამი რეალური სასწავლებელი, რიგორც სასწავლებლის ტიპი, გაუქმდა რუსეთში 1917, საქართველოში 1921.

რეალური ხელფასი – მატერიალური დოვლათითა და მომსახურებით გამოხატული ხელფასი. იგი დამოკიდებულია ნომინალური (ფულად) ხელფასზე, გადასახადების სიდიდეზე, მოხმარების საგნებისა და მომსახურების ფასების დონეზე.

რეაქცია – (ფრანგ. საპირისპირო მოქმედება) – რისამე საპასუხო მოქმედება, მდგომარეობა, პროცესი.

რეგალია – (ლათ. სამეფო) – 1. ფეოდალურ ევროპაში იმპერატორის, მეფის, მსხვილი ფეოდალის მონოპოლიური უფლება გარკვეულ შემოსავალზე. მთავარი იყო ფულის მოჭრის, სასამართლო, ბაზრის, ტყისა და სხვა რეგალიები. 2. მონარქიული ხელისუფლების გარეგნული ნიშნები – გვირგვინი, სკიპტრა, ტახტი და სხვა. 3. წარჩინების ნიშანი (ორდენი და მისთ.).

რეგენტი – (ლათ. მმართველი) – მონარქიულ სახელმწიფოებში სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებათა დროებით შემსრულებელი პირი ან კოლეგია (სარეგენტო საბჭო) მონარქის მცირეწლოვანების, ხანგრძლივი ავადმყოფობის, არაქმედუნარიანობისა და სხვა შემთხვევაში. რეგენტობის დაწესებისა და მისი განხორციელების პირობები მოწესრიგებულია კონსტიტუციური ნორმებით ან განსაკუთრებული კანონით.

რეგიონი – (ლათ. ქვეყანა, ოლქი) – დიდი ტერიტორიული ერთეული (მაგ.: ბუნებრივი, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა). რეგიონული – ამა თუ იმ გარკვეული ტერიტორიის (რაიონის, ოლქის, ქვეყნის, ქვეყნების ჯგუფის) კუთვნილი.

რეგიონული შეთანხმება – მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მონაწილენი განსაზღვრული გეოგრაფიული რაიონის (რეგიონის) სახელმწიფოები არიან. რეგიონული შეთანხმება შეიძლება დაიდოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, მეცნიერულ, ტექნიკურ, კულტურულ და სამართლებრივ დარგში. გაეროს წესდების VIII თავი შესაძლე-

ბლად მიიჩნევს რეგიონული ხელშეკრულების დადებას თუ კი იგი მშვიდობისა და უშიშროების მიზნებს ემყარება. რეგიონული ხელშეკრულება დაიდება ადგილობრივი დავის გადაწყვეტის, აგრეთვე კოლექტიური თავდაცვის ორგანიზაციის მიზნით. რეგიონული ხელშეკრულების საფუძველზე იქმნება რეგიონალური ორგანიზაციები (მაგ.: აფრიკის ერთობის ორგანიზაცია).

რეგისტრაცია სისხლისსამართლებრივი – კრიმინალისტიკური აღრიცხვა, დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილებისათვის საჭირო ობიექტების ნიშანთა ფიქსაციის ხერხებისა და საშუალებების, აგრეთვე მათ შესახებ არსებული ცნობების დაცვისა და სისტემატიზაციის ერთობლიობა. ეს ობიექტებია დამნაშავეები, დაკავებულები, უკვალოდ დაკარგულები, გვამები, ნივთები და სხვა. რეგისტრაცია სისხლისსამართლებრივი-სათვის იქმნება კართოტეკები, სოგჯერ თვით ამ ობიექტების კოლექციები. რეგისტრაციის მონაცემებს იყენებენ გამოძიებისა და სასამართლოს ორგანოები იდენტიფიკაციისათვის, მათ ძებნისათვის და ა. შ. აღამიანის რეგისტრაცია სისხლისსამართლებრივი ხდება ანკეტური მონაცემებით, გარეგნული ნიშნების მიხედვით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხელის თითების პაპილარული ხაზების რეგისტრაციას. იქმნება ეგრეთწოდებული ათთითებიანი, ხუთ-თითებიანი და ერთთითებიანი კართოტეკები.

რეგლამენტაცია – (ფრანგ.) – რისამე ზუსტად განსაზღვრა, დადგენა. გარკვეული წესებისადმი დაქვემდებარება, მოწესრიგება.

რეგლამენტები პეტრე პირველისა – საკანონმდებლო აქტები, რომლებიც განსაზღვრავდნენ XVIII ს. პირველი მეოთხედის რეფორმათა პროცესში შექმნილ ახალ დაწესებულებათა სტრუქტურასა და ამოცანებს. ესენია სამხედრო წესდებები („სამხედრო არტიკული“ 1716, „სამხედრო სახმელეთო წესდება“ 1716, „საზღვაო წესდება“ 1720). „გენერალური რეგლამენტი“ კოლეგიებისათვის (1720), „სასულიერო რეგლამენტი“ სინოდისათვის (1721), „მთავარი მაგისტრატის რეგლამენტი“ (1722). რეგლამენტები მეფემ სახელმწიფო დაწესებულებებსა და წოდებების წარმომადგენლებთან ერთად შეიმუშავა. დასავლეთ ევროპის კანონმდებლობიდან ნასესხები ნორმები რუსულ პირობებს შეუხამა. რეგლამენტებმა ხელი შეუწყვეს სახელმწიფო აპარატის ცენტრალიზაციას, არმიისა და ფლოტის განმტკიცებას, გააფართოეს გაბატონებულ წოდებათა უფლე-

ბები და პრიეილეგიები.

რეგლამენტი – (ფრანგ. წესი) – 1. სახელმწიფო ორგანოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაობის განსაზღვრული წესების ერთობლიობა და ამ წესების დადგენილი აქტის სახელწოდება. 2. წარმომადგენლობით ორგანოთა სხდომების, კრებების, კონფერენციების, სესიებისა და ყრილობების ჩატარების წესი. 3. საერთაშორისო კონფერენციებისა და კონგრესების სოგიერთი აქტის სახელწოდება (მაგ.: ვენის რეგლამენტი 1815).

რეგრესი – (ლათ. უკუსვლა) – განვითარებაში მაღლიდან დაბლისაკენ გადასვლის ტენდენცია, რომელიც გამოიხატება ორგანიზაციის ნაკლებ სრულყოფილ დონეზე თვისობრივად ახალი სტრუქტურის გამოკვლინებით. განვითარება ხდება პროგრესული და რეგრესული ცვლილებების ერთიანობითა და წინააღმდეგობრივი ერთიერთკავშირით.

რეგულარული ჯარი – მუდმივი (კადრის) არმიის ჯარი, რომელსაც აქვს საშტატო ორგანიზაცია, ფორმის ტანსაცმელი, დაკომპლექტების, სამსახურისა და სწავლების გაელის კანონით და წესდებით დადგენილი წესი. შეიქმნა XVII–XVIII საუკუნეებში. რუსეთში პეტრე I-ის დროს, XVIII საუკუნის დასაწყისში.

რეგულირებადი ბაზა-ტალიზმის თეორია – ბურჟუაზიული, რეფორმისტული და რევიზიონისტული კონცეფციების ერთობლიობა, რომელსაც წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების შენარჩუნების პირობებში შესაძლებლად მიაჩნია კაპიტალისტური მეურნეობის ისეთი მართვა, რომელიც გამორიცხავს კაპიტალისტური კლასწარმოებისათვის დამახასიათებელ ანტაგონისტურ წინააღმდეგობებს.

რედაქცია – (ფრანგ. წესრიგში მოყვანილი) – რედაქტორის მიერ ხელნაწერი ტექსტის გასწორება, ლიტერატურული დამუშავება (რედაქტირება), მომსადება პრესაში დასაბეჭდად ან რადიოსა და ტელევიზიაში გადასაცემად.

რედუტ-კალე – (ფრანგ.) – ნაგსადგური დასაცლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე XIX საუკუნის ნახევარში. მდებარეობდა ხობის წყლის შესართავში. ახლანდელი სოფელ ქულევის ადგილზე.

რედუქცია – ფეოდალური არისტოკრატიის ხელში გადასული სამეფო მიწების სამართმევი. მისნად ისახავდა სამეფო აბსოლუტიზმის განმტკიცებას. პოლონეთში რედუქცია წარმოადგენდა გაბატონებული კლასის შიგნით მიწის გადანაწილებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ ეტაპს.

რეესტრი – (პოლ.) – ნუსხა, სია, აღწერილობა. აგრეთვე საქმეებისა და დოკუმენტების სარეგისტრაციო დავთარი.

რეექსპორტი – სხვა ქვეყნიდან შემოტანილი საქონლის (ჩვეულებრივ ნედლეული) გადაყიდვა გადამუშაების გარეშე, ამჟამად დაკარგული აქვს ადრინდელი მნიშვნელობა.

რევალვაცია – (ლათ. ვლირვარ) – ფულად ერთეულში ოქროს შემცველობის ოფიციალური გაზრდა. მისი საპირისპიროა დევალვაცია. რევალვაცია ზრდის ამა თუ იმ ქვეყნის ვალუტის კურსს სხვა ქვეყნების ვალუტებთან შედარებით, ამავე დროს იწვევს საექსპორტო საქონლის ფასდას საზღვარგარეთის ვალუტაში, რითაც ამცირებს ქვეყნის საკონკურენციო შესაძლებლობას მსოფლიო ბაზარზე.

რევანში – (ფრანგ.) – სამაგიეროს გადახდა, მიზღვა ბრძოლაში ან თამაშში დამარცხებისათვის. განმეორებითი ბრძოლა ან თამაში წინათ გამარჯვებულის დასამარცხებლად.

რევანშიზმი – (ფრანგ. სამაგიეროს გადახდა, მიზღვა) – ომში დამარცხებული ქვეყნების, შოვინისტური წრეების პოლიტიკა, მიმართული ახალი ომის მოსაღებისაკენ. ომამდელი საზღვრებისა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა სისტემის აღდგენის საბაბით.

რევიზია – (ლათ. გადასინჯვა) – (სამართ.), კანონიერების დაცვაზე კონტროლის გაწევის ერთ-ერთი ფორმა, რაც დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოსა და თანამდებობის პირის მუშაობის შემოწმებით გამოიხატება. რევიზიის ძირითადი ამოცანაა საგეგმო დავალებათა შესრულების შემოწმება, სახელმწიფო სახსრების ხარჯვაში ეკონომიის რეჟიმის გარკვევა, ხელფასისა და საშტატო დისციპლინის შემოწმება და სხვა. იგი შეიძლება იყოს საერთო და სპეციალური, მომდევნო და შემაჯამებელი, მთლიანი და შერჩევითი, დოკუმენტური და საინვენტარო. რევიზიის ჩატარება შეუძლია, როგორც ზემდგომ დარგობრივ ორგანოს თავის სისტემაში, ისე სპეციალურ საკონტროლო ორგანოებს, რომლის შედეგების შეჯამებისათვის აუცილებელია შედგეს აქტი, რომელსაც ხელს აწერენ, როგორც რევიზიის ჩამტარებლები, ისე შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელები.

რევიზიონიზმი – იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობა მუშათა და კომუნისტურ მოძრაობაში, რომელიც მოითხოვს მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი პრინციპების გადასინჯვას.

რევოლუცია – სოციალური

ნახტომი საზოგადოებრივ განვითარებაში, ძირეული თვისობრივი ცვლილებები სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში.

რევოლუციური კომიტეტები – (რევკომები) – საბჭოთა ხელისუფლების დროებითი საგანგებო ორგანოები, რომლებიც უმთავრესად იქმნებოდა სამოქალაქო ომისა და სამხედრო ინტერვენციის პირობებში.

რევოლუციური სამხედრო საბჭოები – (რსს) – ფრონტებზე, არმიებში, ფლოტებსა და ფლოტილიებში სამხედრო ხელისუფლებისა და პოლიტიკური ხელმძღვანელობის უმაღლესი კოლეგიური ორგანოები.

რევოლუციური ტრიბუნალები – 1. მართლმსაჯულების ორგანოები საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. თანახმად 1917 წლის 22 ნოემბრის ნომერ პირველი დეკრეტისა სასამართლოს შესახებ, კონტრრევოლუციასთან, საბოტაჟთან და სხვა საშიშ დანაშაულობასთან ბრძოლის მიზნით დაარსდა მუშათა და გლეხთა რევოლუციური ტრიბუნალები, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ თაემჯდომარე და ხალხის მსაჯულები. 1918 რევოლუციურ ტრიბუნალს დაეკისრა აგრეთვე ჯაშუშობის, დარბევის, მექრთამეობის, სპეკულაციის, დოკუმენტის არამართლზომიერად გამოყენების, ხულიგნობის საქმეების განხილვა. სამართალწარმოება მიმდინარეობდა ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე. ღია სამსჯავრო სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდა ბრალმდებელი და დამცველი. რევოლუციური ტრიბუნალი შედგებოდა თაემჯდომარისა და ადგილობრივი საბჭოს ან აღმასკომის მიერ არჩეული ორი წევრისაგან. სამოქალაქო ომის დამთავრებასთან დაკავშირებით 1922 წელს რევოლუციური ტრიბუნალები გაუქმდა. 2. საფრანგეთში – საგანგებო სასამართლოები, რომლებიც შეიქმნა 1793 კონტრრევოლუციასთან საბრძოლველად. რევოლუციური ტრიბუნალები გამარტივებული სამართალწარმოებით ხასიათდებოდა (არ ტარდებოდა წინასწარი გამოძიება, არ შეიძლებოდა დაცვა და განაჩენის გასაჩივრება). მეცხრე თერმიდორის 1794 გადატრიალების შემდეგ იგი გაუქმდა, 1795 წლის 31 მაისის დეკრეტით.

რეზერვაცია – რეზერვატი (ლათ. ვზომავ, ვინახავ) – მკვიდრი მოსახლეობის ნაშთების იძულებითი დასახლებისათვის გამოყოფილი ტერიტორია ჩრდილოეთ კაპიტალისტურ ქვეყანაში.

რეზერვი – (ფრანგ. ვინახავ, ვინახავ) – 1. ჯერ კიდევ გამოუყენებელი შესაძლებლობები, რესურსები, ნატურალური ფინან-

სური ან სხვა. 2. მეთაურის განკარგულებაში დარჩენილი ჯარის ნაწილი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებენ. 3. სამსედრო ვალდებულნი, რომელთაც გავლილი აქვთ ნამდვილი სამსახური და თუ დასჭირდათ გაიწვევენ ჯარში.

რეზიდენტი – (ფრანგ.) – 1. შუა საუკუნეებში უცხოელი დიპლომატიური წარმომადგენელი, რომელიც მუდმივად იმყოფებოდა ამა თუ იმ ქვეყანაში. 2. მეტროპოლიის წარმომადგენელი პროტექტორატში. 3. დაზვერვის წარმომადგენელი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს უცხო სახელმწიფოში. იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელსაც აქვს მუდმივად ადგილსამყოფელი მოცემულ ქვეყანაში. ფიზიკური პირი განიხილება როგორც რომელიმე ქვეყნის რეზიდენტი, თუ იქ ცხოვრობს მოცემულ საგადასახადო წელს 6 თვეზე მეტი დროის განმავლობაში. (ბიზნესის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ. 1991წ. გვ. 102).

რეზიდენცია – (ლათ. ვრჩები ადგილზე, ვიმეორებ) – მთავრობის, სახელმწიფოს მეთაურის ან სხვა მაღალი თანამდებობის პირის ადგილსამყოფელი.

რეზიუმე – (ფრანგ.) – შრომის, მოხსენების, სატატიისა და მისთანების მოკლე შინაარსი, დასკვნა.

რეზოლუცია – (ლათ. გადაწყვეტილება) – 1. კოლეგიური ორგანოს სხდომაზე, ყრილობაზე, კონფერენციაზე, სესიაზე, კრებაზე ამა თუ იმ საკითხის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება. 2. თანამდებობის პირის წერილობითი დასკვნა: განკარგულება, წარწერილი საქმიან ქალალდზე.

რეზონიორი – (ფრანგ. მსჯელობა, განსჯა) – ჭკუის დარიგების, სხვათა საქციელის, განსჯის მოყვარული ადამიანი.

რეისი – (პორტუგ.) – 1. საანგარიშო ფულადი ერთეული ბრაზილიაში 1950 წლამდე. 2.. მონეტა, რომელიც პორტუგალიაში იჭრებოდა 1911 წლამდე.

რეიტერი – ინგლისის საინფორმაციო სააგენტო. დაარსა პ. რეიტერმა ლონდონში 1851. რეიტერი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სააგენტოა, რომელიც ძირითადად უცხოეთის ინფორმაციის გავრცელებაზე მუშაობს.

რეკვიზიტი – (ლათ. საჭირო, მძიმე, აუცილებელი) – აუცილებელი ელემენტი, რომელიც უნდა იყოს დოკუმენტში, რათა იგი ძალამისილად ჩაითვალოს (მაგ.: დოკუმენტის სახელწოდება, შედგენის თარიღი, საფუძველი და სხვა). თუ დოკუმენტს აკლია ერთერთი ელემენტი კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში იგი შეიძლება ბათილად ან საცი-

ლობლად ჩაითვალოს.

რეკვიზიცია – (ლათ. მოთხოვნა) – სახელმწიფოს მიერ მესაკუთრისათვის ქონების იძულებით ჩამორთმევა ანასღაურებით. რეკვიზიციის საგანი შეიძლება იყოს სატრანსპორტო საშუალება, კვების პროდუქტები, ტანსაცმელი და სხვა. ზოგჯერ რეკვიზიცია დროებითია (მაგ.: ნავის რეკვიზიცია წყალდიდობის დროს) და ნივთი კვლავ პატრონს უბრუნდება.

რეკლამა – (ფრანგ. გაფენილი) – 1. ინფორმაცია საქონლის სახმარი ღირებულებისა და სხვადასხვა სახის მომსახურების შესახებ. მისი მიზანია ამ საქონლის რეალიზაციის დაჩქარება და მასზე მოთხოვნილების გადიდება. 2. ცნობების გავრცელება პიროვნებაზე, ორგანიზაციაზე, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, მათი პოპულარიზაციისათვის.

რეკლამაცია – (ლათ. ხმამაღლა შედარება, დაწუნება) – მყიდველის (შემკვეთის) პრეტენზია, რომელიც წაეყენება გამყიდველს (მიმწოდებელს, მენარდეს), როცა ნივთის ხარისხი ობიექტურად არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, სახელმწიფოს სტანდარტებს, ტექნიკურ პირობებს და ნიმუშებს. სამოქალაქო სამართალში რეკლამაცია გაიდგული ნივთის ნაკლის გამო უნდა წარადგინონ ექვსი თვის, გაყიდული სახლის გამო ერთი წლის განმავლობაში.

რეკოგნოსცირება – (ლათ. ვათვალიერებ, ვიკვლევ) – 1. (სამხედრო) – პირადად მეთაურის, სარდლის და შტაბის ოფიცრების მიერ მოწინააღმდეგის და ადგილის ვიზუალური შესწავლა, რომლის მიზანია გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელ მონაცემთა მოძიება ან დაზუსტება. 2. ადგილის დათვალიერება და შესწავლა ასტრონომიული და გეოდეზიური საყრდენი პუნქტების მდებარეობის შესარჩევად.

რეკომენდაცია – (ლათ.) – 1. ვისიმე მუშაობის, საქმიანობის წერილობითი ან სიტყვიერი დადებითი დახასიათება. 2. რჩევა, მითითება.

რეკონვერსია – (ლათ. მიმოქცევა, დაბრუნება) – ომის შემდეგ ქვეყნის ეკონომიკის გადასვლა სამოქალაქო პროდუქციის წარმოებაზე.

რეკრუტთა გაწვევა, სარეკრუტო ვალდებულება – რუსეთის რეგულარული არმიის დაკომპლექტების სისტემა XVIII–XIX საუკუნეებში. საბატონო გლეხები რეკრუტთა გაწვევის შედეგად ბატონყმური დამოკიდებულებისაგან გათავისუფლდნენ. თავადაზნაურობა თავისუფალი იყო რეკრუტთა გაწვევისაგან. 1874 წელს იგი შეცვალა საყოველთაო სამ-

ხედრო სამსახურმა.

რემედიუმი – (ლათ. რისამე საწინააღმდეგო საშუალება) – ოქროს მონეტის სტანდარტის დროს დადგენილი ნორმიდან მონეტის ფაქტობრივი მასის გადახრის ზღვარი, რომელიც დადგენილია სახელმწიფოს მიერ.

რემენსები (კატალანური – გამოსასყიდი) – ყმა გლეხები შუა საუკუნეების კატალონიაში (ესპანეთი), რომლებსაც ერქვათ დებოდა ე. წ. „მაენე ჩვეულებები", მაშასადამე რემენსა – გამოსასყიდი, ყმა გლეხისა, სენიორისაგან წასვლის შემთხვევაში. მის ოდენობას თვითონ სენიორი განსაზღვრავდა, სენიორსავე რჩებოდა მიწაც, რემენსების სტატუსი მემკვიდრეობით გადადიოდა. რემენსები სდებოდნენ ის პირები, რომლებიც ქორწინდებოდნენ რემენსებზე. რემენსების ინსტიტუტი გაუქმდა 1484.

რემინისცენცია – (ლათ. მოგონება) – მეხსიერების ერთგვარი გაუმჯობესება. დახსომების ძირითადი კანონის შესატყვისად, დასწავლილი მასალის აღდგენა.

რემისია – (ლათ. შემცირება) – ეკონომიკაში – ანგარიშსე გადასახდელი თანხის დამრგვალება შემცირებით.

რენეგატი – (ლათ. renegatus) – ადამიანი, რომელმაც უღალატა თავის რწმენას და მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა, მოღალატე, გამცემი.

რენესანსი – (ფრანგ. აღორძინება) – კულტურული და იდეოლოგიური განვითარების პერიოდი. მისი კულტურის სპეც. ნიშნებია: ჰუმანისტური მსოფლმხედველობა, საერთო ხასიათი, ანტიკური კულტურის მემკვიდრეობისადმი ინტერესი (აქედანაა სახელწოდება „აღორძინება"), რომელიც მეცნიერებაში დამკვიდრდა XVIII საუკუნიდან.

რენვილის შეთანხმება – შეთანხმება, რომლითაც დასრულდა ჰოლანდიელი იმპერიალისტების მიერ განაღებული პირველი კოლონიური ომი (1947–48) ინდონეზიის რესპუბლიკის წინააღმდეგ. მოლაპარაკება მიმდინარეობდა ჯაკარტის პორტში „ნეიტრალურ ტერიტორიაზე" ამერიკული ხომალდ „რენვილზე". მოლაპარაკებაში მონაწილეობდა გაეროს მიერ შექმნილი „კეთილი სამსახურის კომისია". რენვილის შეთანხმება ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტასა და განსაღვრავდა ჯარების გამოჯნის დროებით ხაზს, რომლის მისვლითაც მკვეთრად მცირდებოდა ინდონეზიის ტერიტორია.

რენომე – (ფრანგ.) – რეპუტაცია, ამა თუ იმ პირზე შექმნილი წარმოდგენა.

რენტა – (გერმ.) – შემოსავლის სახეობა, რომელსაც რეგულარულად იღებენ კაპიტალიდან, მი-

წილან, ქონებიდან, რომელიც დაკავშირებული არ არის სამეწარმეო საქმიანობასთან. მიწათმფლობელები იღებენ მიწის რენტის, აბსოლუტური რენტის, დიფერენციული რენტისა და მონოპოლიური რენტის ფორმით. რენტას უწოდებენ აგრეთვე, პროცენტს, რომელიც გაიცემა სახელმწიფო სესხის ობლიგაციებზე. ის პირები, რომლებიც რენტით ცხოვრობენ, წარმოშობენ საზოგადოების პარაზიტულ რანტიეთა ფენას.

რენტაბელობა – (გერმ. შემოსაელიანი, ხელსაყრელი, მომგებიანი) – საწარმოთა, საწარმოო გაერთიანებათა, მეურნეობის დარგებისა და მთელი სახალხო მეურნეობის ეკონომიკური ეფექტიანობის განმსაზღვრელი მაჩვენებელი, რომელიც გვიხასიათებს მათ მომგებიანობას, შემოსავლიანობას.

რეორგანიზაცია – დაწესებულების, ორგანიზაციის გაძლიერება, გარდაქმნა, სტრუქტურის შეცვლა.

რეპარაცია – (ლათ. აღდგენა) – საერთაშორისო სამართალში საზავო ხელშეკრულებით ან სხვა საერთაშორისო აქტით გათვალისწინებული მატერიალური პასუხისმგებლობა, რომელიც ეკისრება თავდამსხმელ სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად.

რეპატრიაცია – (ლათ. სამშობლოში დაბრუნება) – 1. ემიგრანტების დაბრუნება სამშობლოში მოქალაქეობის უფლების აღდგენით. 2. ტყვეებისა და იმ სამოქალაქო მოსახლეობის სამშობლოში დაბრუნება, რომლებიც სამხედრო მოქმედების შეღეგად თავისი ქვეყნის გარეთ აღმოჩნდნენ.

რეპეტიტორი – (ლათ. ის, ვინც იმეორებს) – 1. კერძო მასწავლებელი, რომელიც ეხმარება მოწაფეს გაკვეთილების მომზადებაში. 2. ქორეოგრაფიულ კოლექტივებსა და სასწავლებლებში – პედაგოგი, რომელიც რეპეტიციებს ატარებს.

რეპლიკა – (ლათ. ვიმეორებ, ვპასუხობ) – დიალოგის ელემენტი, პერსონაჟის მოკლე პასუხი თანამოქმედი პირის გამონათქვამზე, აგრეთვე ერთი პერსონაჟის მიერ მეორის მისამართით თავისთვის თქმული შენიშვნა, რომელშიც შეფასებულია მისი მოქმედება ან საქციელი.

რეპორტაჟი – (ინგ. შეტყობინება) – ჟურნალისტიკის საინფორმაციო ჟანრი, რომელიც ოპერატიულად, სათანადო სისრულით გვაძლევს ცნობებს იმ მოვლენებზე, რომელთა თვითმხილველი და მონაწილეა – ავტორი.

რეპრესალია – (ლათ. ვა-

კავეს, ვაჩერებ, ვკიცხავ) – საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული სანქციების ერთერთი სახე, რომელსაც იყენებს დახარალებული სახელმწიფო სხვა სახელმწიფოს არაკანონიერი მოქმედების საპასუხოდ – მიყენებული ზარალის ანაზღაურების ან მომავალი მართლსაწინააღმდეგო ქმედობის ჩადენისაგან თავის შეკავების მიზნით. რეპრესალიას გამოყენებას წინ უნდა უსწრებდეს ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა. თუ მეორე სახელმწიფო უარს აცხადებს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, დახარალებული სახელმწიფო უფლებამოსილია გამოიყენოს რეპრესალია, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს მიყენებულ ზარალს. ზარალის ოდენობის მიუხედავად რეპრესალია არ შეიძლება დაკავშირებული იყოს შეიარაღებული ძალების გამოყენებასთან. ასეთი ქმედობა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით აგრესიად ჩაითვლება.

რეპუტაცია – (ფრანგ. მოფიქრება) – ვისიმე ან რისამე ღირსებათა და ნაკლოვანებათა შესახებ შექმნილი საერთო აზრი, შეხედულება.

რეჟიმი – (ლათ. მართვა) – 1. სახელმწიფო წყობილება; მმართველობის წესი. 2. ცხოვრების, შრომის, დასვენების, კვების და სხვა მტკიცედ დადგენილი წესი. 3. რისამე მუშაობის, მოქმედების, არსებობის პირობები. 4. რაიმე მიზნისათვის საჭირო წესთა, ღონისძიებათა სისტემა.

რესპრიპტი – (ლათ. წერილობით ვპასუხობ) – 1. ძველ რომში იმპერატორის წერილობითი პასუხი გადასაწყვეტად წარდგენილ საკითხზე. მას კანონის ძალა ჰქონდა. 2. მონარქიულ სახელმწიფოში მონარქის აქტი ამა თუ იმ თანამდებობის პირისადმი, რისიმე დავალების, გაწეული სამსახურისათვის მადლობის გამოცხადების, დაჯილდოების და სხვათა შესახებ.

რესპუბლიკა – (ლათ. საზოგადოებრივი, სახალხო) – სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ხელისუფლების არჩევითი უმაღლესი ორგანოს არსებობა. რესპუბლიკა ანტიკურ ეპოქაში წარმოიშვა, როგორც მონარქიის საწინააღმდეგო სახელმწიფო მმართველობის ფორმა. რესპუბლიკა არის სოციალური სახელმწიფოს ერთადერთი ფორმა. ყველა სოციალური რესპუბლიკა, მათი სახეობების მიუხედავად, აგებულია ერთიან სოციალ. პრინციპებზე.

რესტანტები – 1. ბალანსის შედგენის დროისათვის არსებული ვალები. 2. ჩაწოლილი. საქონელი, ნაშთი.

რესტიტუცია – (ლათ. აღდგენა) – 1. სამოქალაქო სამართალში – თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენა. ხელშეკრულების ბათილად აღიარებისას მხარეთა მიმართ ყოველივე იმის დაბრუნება, რაც მათ ხელშეკრულებით მიიღეს. 2. საერთაშორისო სამართალში – ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის ომის დროს უკანონოდ მიტაცებული ქონების უკანვე დაბრუნება.

რესტრიქცია – (ლათ. შესწორება) – წარმოების, რეალიზაციისა და ექსპორტის შესწორება.

რესურსი – (ფრანგ. დამხმარე საშუალება) – ტექნიკური მოწყობილობების მუშაობის უნარი იმ ხელრულ მდგომარეობამდე, რომლის დროს მისი შემდგომი ექსპლუატაცია შეუძლებელია ან არასასურველია ეფექტურობის შემცირების, გაზრდილი საფრთხის გამო. რესურსი შეიძლება გამოისახოს წლებით, საათებით, კილომეტრებით. რესურსი სხვადასხვა სახისაა: სრული, რემონტამდელი, გამოყენებული, ნარჩენი, რემონტშორისი.

რეტორსია – (ლათ. უკუმოქმედება) – საერთაშორისო სამართალში ერთი სახელმწიფოს მოქმედება მეორე სახელმწიფოს უსამართლო, არამეგობრული მოქმედების საპასუხოდ. რეპრესალიისაგან განსხვავებით, რეტორსია პასუხია სხვა სახელმწიფოს კონკრეტულ მოქმედებაზე, რომელიც თემცა მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიული იურისდიქციით შემოიფარგლება, მაგრამ მაინც აყოვნებს სხვა სახელმწიფოს ინტერესებს. რეტორსია დროებითი ღონისძიება უნდა იყოს და უნდა შეწყდეს დისკრიმინაციული აქტების გაუქმებისთანავე, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიხედვით, რეტორსიის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოიწურება დავის გადაწყვეტის უფრო მსუბუქი ფორმები.

რეტროსპექცია – (ლათ. უკან ვიხედები) – წარსულ მოვლენათა მიმოხილვა, წარსულისაკენ მიბრუნება.

რეფაქცია – (ფრანგ. ფასსამოკლება) – ფასსამოკლება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხზე დაბალი ხარისხის საქონლის მიწოდების შემთხვევაში. ყველაზე მეტად გავრცელებულია საგარეო-საგაჭრო გარიგებაში.

რეფერატი – (ლათ. ვაუწყებ, მოვახსენებ) – 1. მეცნიერული ნაშრომის, მოძღვრების, პრობლემის შინაარსის წერილობითი ან სეპირი გადმოცემა. 2. მოხსენება, რომელშიც მოცემულია რაიმე საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა.

რეფერენდუმი – (ლათ. შესატყობინებელი) – საყოველთაო-სახალხო კენჭისყრა ამა თუ იმ დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო სა-

კითხის გადაწყვეტისას. მასში მონაწილეობა შეუძლია ყველას, ვისაც საარჩევნო უფლება აქვს. კენჭისყრა ხდება რეფერენდუმის ბიულეტენში დასმულ კითხვებზე დადებითი ან უარყოფითი პასუხის გაცემით. რეფერენდუმის პირობები და მოწყობის წესი დადგენილია კონსტიტუციით ან სხვა კანონით. რეფერენდუმი შეიძლება იყოს სავალდებულო, როცა კანონმდებლობაში წინასწარაა გათვალისწინებული ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა მარტოოდენ რეფერენდუმის მეშვეობით და ფაკულტატური, როცა რეფერენდუმი ეწყობა საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეთა ან საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატთა განსაზღვრული ნაწილის ან/და სახელმწიფოს მეთაურის მოთხოვნით. (საქართველოს 1996წ. 15 მაისის კანონი რეფერენდუმის შესახებ).

რეფორმა – (ფრანგ. გარდაქმნა) – საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე მხარის გარდაქმნა, შეცვლა, რაც არ არის დაკავშირებული მოცემული საზოგადოებრივი სტრუქტურის ლიკვიდაციასთან. პოლიტიკურ პრაქტიკასა და თეორიაში – ყოველ მეტნაკლებად პროგრესული გარდაქმნა.

რეფორმაცია – (ლათ. გარდაქმნა, შესწორება) – XVI საუკუნის ფართო, ანტიფეოდალური ხასიათის რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მოძრაობა, რომელიც წარიმართა რომის კათოლიციზმის წინააღმდეგ და მოიცვა დასავლეთ ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი და მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოაშორა ისინი კათოლიკურ ეკლესიას.

რექტორი – (ლათ. მმართველი, ხელმძღვანელი) – უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი. რენესანსის ეპოქაში რექტორს უწოდებდნენ მთავარ მასწავლებელს და მრავალკლასიანი სკოლის გამგეს. საფრანგეთში რექტორის სახელწოდებას ატარებს სასწ. ოლქის (აკად.) გამგებელი.

რეცეპისა – წინასწარი ხელმოწერა.

რეცენზია – (ლათ. განხილვა) – ახალი მხატვრული, სამეცნიერო ან სამეცნიერო პოპულარული ნაწარმოების განხილვა და შეფასება; საჟურნალგაზეთო პუბლიცისტიკისა და ლიტერატურული კრიტიკის ჟანრი; წიგნის რეცენზიაში მოცემულია მისი ბიბლიოგრაფიული აღწერა, მოკლე შინაარსი, კომპოზიცია, პრობლემათა წრე, ნაწარმოების კრიტიკული შეფასება.

რეცეფცია სამართლისა – სხვა სახელმწიფოში ან წინა ისტორიულ ეპოქაში შემუშავებული სამართლის შეთვისება და რომელიმე ქვეყნის პირობებთან შეხამება.

რეციდივი – (ლათ. რაც მეორდება) – 1. თითქოს გამქრალი მოვლენის დაბრუნება, გამეორება. 2. ავადმყოფობის შებრუნება. 3. დანაშაულის განმეორებით ჩადენა. 4. დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განსრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას. არსებობს საშიში რეციდივი და განსაკუთრებით საშიში რეციდივი.

საშიშ რეციდივად ითვლება პირი, როდესაც წინათ განსრახი დანაშაულისთვის მოხდილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ორჯერ, ისეთი განსრახი დანაშაულისათვის, რომლისთვისაც მას უსჯიან თავისუფლების აღკვეთას.

განსაკუთრებით საშიშ რეციდივად ითვლება პირი, როდესაც წინათ განსრახი ნაკლებად მძიმე ან განსრახი მძიმე დანაშაულისათვის სამჯერ ან მეტჯერ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულმა ჩაიდინა ისეთი განსრახი დანაშაული, რომლისთვისაც მას უსჯიან თავისუფლების აღკვეთას. (სსკ. მუხ. 17).

რთული შრომა – კვალიფიციური მუშის შრომა, იგივე კვალიფიცირი შრომა; დაკავშირებულია კვალიფიცირებული სამუშაო ძალის სწავლებისა და აღზრდის დამატებით ხარჯებთან. წარმოების პროცესში რთული შრომა დროის ერთეულში უფრო მეტ ღირებულებას ქმნის, ვიდრე მარტივი შრომა.

რიალი – ფულის ერთეული ირანში, ხმარებაშია 1930 წლიდან. უთანაბრდება 100 დინარს. სსრკ სახელმწიფო ბანკის 1983 კურსით 100 რ უდრის 0,86 მან.

რიგი – (სამართლის ისტორია) – წესი, განწესება ძველ საქართველოში. არსებობდა ზოგადქართული ხასიათის „საქართველოს რიგი“ და ცალკეული კუთხეების რიგი, მაგ.: „კახური რიგი“. განირჩეოდა აგრეთვე „ნათესაობის რიგი“, „სელოსნობის რიგი“, „მდივანბეგობის რიგი“, „პურობის რიგი“. ბატონისა და ყმის ურთიერთობა „ბატონყმობის რიგი“-ს მიხედვით წესრიგდებოდა. რიგის დარღვევას „რიგიდან გასვლა“, თვით დამრღვევს კი „რიგიდან გასული“ ეწოდებოდა.

რიგორიზმი – (ფრანგ. სიმტკიცე, სიმკაცრე) – რაიმე პრინციპის მეტისმეტად მკაცრად, განუხრელად, უკომპრომისოდ დაცვა.

რიელი – ფულის ერთეული კამბოჯაში, შემოიღეს 1980-დან. ერთი რიელი უთანაბრდება 100 სენამს.

რინგი – (ინგ. წრე) – მონოპოლისტური გაერთიანების ერთ-ერთი უმარტივესი სახე; რამდენიმე კაპიტალისტს შორის დროებითი შეთანხმება, რომლის მიზანია საქონლის ბაზარზე შესყიდვა, მათი შეწერება საწარმოებში ხელსაყრელ მომენტამდე ამ საქონელზე ფასის აწევის მიზნით.

რიურიკოვიჩები – ძველი რუსეთის მთავართა დინასტია, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა კიევის მთავარმა იგორმა, ლეგენდარული რიურიკის ვაჟმა, ამის გამო თვით კიევის სახელმწიფოსაც „რიურიკულთა იმპერიას“ უწოდებდნენ.

რიქსდაგი – (შვედ.) – შვედეთის ერთპალატიანი პარლამენტის სახელწოდება.

რიშმა – (იაპ. ძინრიკისია, ძინ – ადამიანი, რიკი – ძალა და სია – ეტლი) – მსუბუქი ერთბორბლიანი ეტლი, რომლის ხელნებშიც შებმულია ადამიანი.

„რკინის გვარდია“ – ფაშისტური ორგანიზაცია. დაარსეს 1931 რუმინ. რეაქციულმა ბურჟუაზიულმა მემამულურმა წრეებმა. „რკინის გვარდია“ წარმოადგენდა ანტისემიტურად აგენტურას რუმინეთში. იგი აკრძალეს.

რკინის კარი – I. ბუნებრივი გასასვლელი, სტრატეგიული პუნქტი შუა საუკუნეების საქართველოში, ალმოსავლეთ ჭანეთში მდინარე კალაბიტამისის ზემო წელზე. კონტროლს უწევდა მდინარე ჭოროხის ხეობიდან შავიზღვისპირეთისაკენ მიმავალ გზას. 2. სტრატეგიული პუნქტი შუა საუკუნეების საქართველოში, არსიანის ქედზე. შუა აჭარისა და შავშეთის დამაკავშირებელ გზაზე.

რკინის პალო – ქართული მატიანის მიხედვით, ქვეყნის სასაზღვრო პუნქტის ზოგადი სახელი.

როარტაგი, პროარტაგი, პროვარტაკი – საბუთის სახეობა ძველ საქართველოში. იგი წერილის, მეფის ბრძანების წიგნის მნიშვნელობით იხმარებოდა. როარტაგის „გადანაწერ პირს“ პატენისი ეწოდებოდა.

როგორი – (ჩეხ. მონური შრომა) – ანიროპომორფული (ადამიანის მსგავსი) ქცევის მანქანა, რომელიც გარემომცველ სამყაროსთან ურთიერთმოქმედების დროს ნაწილობრივ ან მთლიანად ასრულებს ადამიანის ფუნქციებს.

როდოპოლისი – ისტორიული ქალაქი დასავლეთ საქართველოში. ნაქალაქარი შემორჩენილია თანამედროვე სოფელ ვარციხის ახლოს.

როდოსის საზღვაო კანონი – სავაჭრო-საზღვაო ვაჭრობის წესების კრებული, რომელიც შედგენილია ბიზანტიაში VII–VIII საუკუნეებში და შემორჩენილია ქალაგის დანართის სახით. ტრადიციით უკავშირდება მსხვილი საგაჭრო ცენტრის – კ. როდოსის სახელწოდებას. შეიცავს ანტიკურ და შუა საუკუნეების საგაჭრო პრაქტიკაში ჩამოყალიბებულ, აგრეთვე უკვე კოდექ რომაელი იურისტების მიერ დამუშავებულ სამართლებრივ ნორმებს. ცალკეულ ნორმებს საერთაშორისო ვაჭრობაში X საუკუნემდე იყენებდნენ.

როლი სოციალური – იმ

ნორმების ერთობლიობა, რომლებიც სოციალური სისტემაში მოქმედი პიროვნების სტატუსის ანუ პოზიციის მიხედვით განსაზღვრავენ მის ქცევას, აგრეთვე თვითონ ქცევა, რომლითაც ეს ნორმები ხორციელდება.

რომანტიზმი – (ფრანგ.) – ბურჟუაზიული ცივილიზაციის წინააღმდეგობათა მხატვრული და ფილოსოფიური კრიტიკის ფორმა, რომელიც წარმოიშვა XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში და გავრცელდა ევროპის მოწინავე ქვეყნების სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. რომანტიზმისათვის სამყაროში არაფერია მყარი და უცვლელი, თვითკმარი და დასრულებული. აქ ყველაფერი მოძრაობს, იმუსტება შინაგანი დინამიზმით და განიცდება როგორც დიალექტიკური ერთიანობა.

რომის ძურია – დაწესებულებათა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება რომის პაპს, როგორც კათოლიკური ეკლესიისა და ვატიკანის სახელმწიფოს მეთაურს. მოიცავს სხვადასხვაგვარ კონგრეგაციას, უმაღლეს საეკლესიო სასამართლოებსა და კანცელარიებს.

რომის სამართალი – მონათმფლობელური სამართლის ყველაზე უფრო განვითარებული სისტემა, რომელიც უდიდეს ანტიკურ სახელმწიფოში – ძველ რომში ჩამოყალიბდა. რომაელი იურისტები სამართალს ყოფდნენ საჯარო სამართლად და კერძო სამართლად. საჯარო სამართალი შეეხებოდა „რომის სახელმწიფოს მდგომარეობას“, ხოლო კერძო – „ცალკეულ პირთა სარგებლობას“. საჯარო სამართლის ნორმებს, რომელიც ძველი რომის კლასობრივ უთანასწორობებს ასახავდნენ, მნიშვნელოვანი კვალი არ დაუტოვებია სამართლის ისტორიაში. კერძო სამართალი კი, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო სამოქალაქო ბრუნვაში პირთა თანასწორობის პრინციპის აღიარება, რაც 212 გავრცელდა ყველა თავისუფალ ადამიანზეც. რომის სამართალში მონა არ ითვლებოდა სამართლის სუბიექტად და მიჩნეული იყო ნივთად, მასში ძირითადია კერძო საკუთრების უფლება, სანივთო უფლებათა სახეები (მფლობელობა, სერვიტუტები), განისაზღვრა მესაკუთრის უფლებამოსილებანი. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვალდებულებით სამართალს. მასში ჩამოყალიბდა სამართლის ცნებები უფლებაუნარიანობაზე, იურიდიული პირი, ხანდაზმულობა, მოქალაქეობა, მოწესრიგდა მემკვიდრეობითი ურთიერთობანი და ამიტომაც რომის კერძო სამართალი კერძო სამართლის კლასიკური გამოხატულებაა და იგი იურიდიული ხელოვნების ნიმუშად არის ქცეული.

რომის სამართლის რეცეფ-

ცია – რომის სამართლის შეთვისება დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ შუა საუკუნეებში. რომის სამართლის აღორძინებას საფუძვლად ედო ფეოდალური საზოგადოების წიაღში ბურჟუაზიულ კავშირურთიერთობათა განვითარება, რასაც სედმიწევით მიესადაგებოდა ქონებრივი ბრუნვის მომწესრიგებელი მშამსარეული რომაული ფორმები. რომის სამართლის გავრცელებას მხარს უჭერდა სამეფო ხელისუფლება, კათოლიკური ეკლესია და ფეოდალური წრეები.

როტანპრინტი – (ინგ. ბეჭდვა) – მცირეგაბარიტიანი ობსტრუქციული საბეჭდი მანქანა, რომლითაც ოპერატიულად ამრავლებენ მცირეტირაჟიან გამოცემებს.

როტატორი – აპარატი, რომლის დანიშნულებაა დოკუმენტების გამრავლება ტრაფარეტული ბეჭდვის მეთოდით.

როტმასტრი – (გერმ. კავალერისტების რანგი) – რუსეთსა და უკრაინეთის არმიებში ოფიცრის ნინი კავალერიაში. შეესაბამებოდა ქვეითი ჯარის კაპიტნის ნინს.

როტშილდები – ფინანსური ჯგუფი, რომელსაც დასაბამი მისცა XVIII საუკუნეში მაინის ფრანკფურტელმა ბანკირმა მაიერ ამშელ როტშილდმა.

როძის სპა – დაქირავებული ჯარი ფეოდალურ საქართველოში.

რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა – რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1104) დადგენილება, რომელმაც: 1. შეცვალა უსირსი მღვდელმოავრები; 2. დააწესა წლოვანების ზღვარი ხელდასხმისათვის (35 წელი ეპისკოპოსთათვის, 30 – მღვდელთათვის, 25 – დიაკონთათვის, 8 – წიგნის მკითხველისათვის); 3. დაადგინეს ხელდასხმის წესი; 4. აკრძალა ხელდასხმელის მიერ ხელდასხმულისაგან „ქრთამისა და საფასის მიღება“; 5. აკრძალა ყოველგვარი საეკლესიო ნივთის მოხმარება; 6. აკრძალა უკანონოდ ნათლისღება და ქორწინება და სხვა.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრება 1104 – მოიწვია დავით აღმაშენებელმა რუისისა და ურბნისის მახლობლად. მისი ამოცანა იყო – ცენტრალიზებული სახელმწიფოს გაძლიერებისა და განმტკიცების სამსახურში ჩაეყენებინა ეკლესია, აღმოეფხვრა ის დარღვევები, რასაც ქართულ ეკლესიაში ჰქონდა ადგილი.

რუპია – (სანსკრ. – ნაჭედი ფერხსლი) – ინდოეთის, ინდონეზიის, პაკისტანის, ნეპალის, შრი-ლანკის და სხვა ქვეყნების ფულის ერთეული.

რუსეთის იმპერიის კანონთა კრებული – თქმატურად დალაგებული მოქმედი საკანონმდებლო აქტების კრებული. პირველი – 1832 და შემდგომში – 1842, 1857 გამოცემები 15 ტომისაგან შედგე-

ბოლა. (მაგ.: ტ. 1 – ძირითადი სახელმწიფო კანონები; ტ. 3 – სამოქალაქო სამსახურის წესდებანი; ტ. 9 – კანონები წოდებათა შესახებ; ტ. 15 – სასჯელთა სჯულდება). იგი მოქმედებდა ოქტომბრის რევოლუციამდე.

„რუსკაია პრავდა“ – კიევის სახელმწიფოსა და ფეოდალური დაქუცმაცებულობის ეპოქის ძველი რუსული სამართლის წიგნი. მას საფუძვლად დაედო ჩვეულებითი სამართალი, მთავრის კანონმდებლობა, სასამართლო პრაქტიკა. მასში განსაზღვრული იყო სასჯელი ქურდობისათვის, საადგილმამულო მფლობელობის სახელერების დარღვევისათვის. აწესრიგებდა სავალო ურთიერთობებს, მემკვიდრეობასა და სათჯახო სამართლის საკითხებს. გათვალისწინებული იყო მოწმეების, ორდალებისა და ფიცის გამოყენება, ცრუ მოწმის ჩვენების შემოწმება და სხვა.

რუსუდანის მონეტები – საქართველოს მეფის რუსუდანის სახელით მოჭრილი სპილენძისა და ვერცხლის მონეტები.

რუტინა – (ფრანგ.) – მოძველებული, დრომიჭმული წესებისა და ჩვეულებების მონური მორჩილება; ჩამორჩენილობა სიახლის გრძნობის უქონლობა.

რჩეული რადა – ივანე IV ვასილის ძის თანამოაზრეთა წრე, ფაქტობრივად XVI ს. 40–50 წწ. რუსეთის არაოფიციალური მთავრობა.

რწმუნებულების სიგელი – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამა თუ იმ პირის წარგზავნას უცხო სახელმწიფოში დიპლომატიურ წარმომადგენლად. წარმგზავნი სახელმწიფოს მეთაურის მიერ ხელმოწერილი რწმუნებულების სიგელი ეძლევა ელჩად ან დესპანად დანიშნულ პირს და მიმართულია დანიშნულების ადგილის სახელმწიფო მეთაურისადმი. მასში აღნიშნულია დანიშნული პირის ვინაობა და დიპლომატიური რანგი. იგი ძალას კარგავს და გაანახლებას საჭიროებს, თუ წარმგზავნი ან მიმღებ სახელმწიფოში შეიცვალა სახელმწიფოს მეთაური ან მმართველობის ფორმა, აგრეთვე როცა იცვლება აკრედიტებული დიპლომატის რანგი.

რწმუნებული – სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ერთ-ერთი მხარე დავალების ხელშეკრულებაში, რომლის მოვალეობაა მისი სახელით გარკვეული იურიდიული მოქმედებათა შესრულება. რწმუნებული შეიძლება იყოს ქმედუნარიანი მოქალაქე ან იურიდიული პირი, რომლის მოქმედება უშვალოდ წარმოშობს, ცვლის ან წყვეტს მრწმუნებლის უფლებებსა და მოვალეობებს. რწმუნებული მოვალეა შეასრულოს მრწმუნებლის მიერ მითითებული დავალება სუსტად. მითითებიდან გადახვევა მას შეუძლია მხოლოდ კანონით გან-

საკუთრებულ შემთხვევაში. მრწმუნებელი მხოლოდ იმ შემთხვევაში უსდის რწმუნებულს გასამჯელოს, თუ ეს კანონით ან ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 93-ე მუხლში რწმუნებულის ნაცვლად ხმარობს წარმომადგენლის ცნებასა და მიგვითითებს, რომ მხარეებს შეუძლიათ საქმე აწარმოონ სასამართლოში წარმომადგენლის მეშვეობით. საქმის წარმოება წარმომადგენლის მეშვეობით არ ართმევს უფლებას მხარეებს თვითონაც პირადად მიიღონ მონაწილეობა საქმეში. (სამ. საპ. კოდ. მუხ. 93).

ს

ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲓᲐᲑᲔᲒᲕᲠᲐ – ადგილობრივი დაბეგვრის სისტემა მეფის რუსეთში. 1851 წლის წესდებით განასხვავებენ ფულად და ნატურალურ საადგილმამულო დაბეგვრას. ფულადი საადგილმამულო დაბეგვრით მიღებული შემოსავალი ხმარდებოდა პოლიციისა და სასამართლო ორგანოებს, ადმინისტრაციულ და სახელმწიფო დაწესებულებებს, სკოლებს, საავადმყოფოებსა და სახანძრო დაცვას. ნატურალური საადგილმამულო დაბეგვრა გულისხმობდა გლეხების გამოყვანას სამუშაოდ გზების, ხიდების მშენებლობა-შეკეთებაზე და სხვა. იგი გრძელდებოდა 1917 ნოემბრამდე.

ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲓᲐᲕᲐ – მიწის ნაკვეთის სარგებლობასთან, აგრეთვე მიწათმოწყობასა და მიწის მართვა-გამგებლობასთან და სხვა ფუნქციებთან დაკავშირებული დავა. სოციალისტურ ქვეყნებში მიწის დავის განხილვის წესი დამოკიდებული იყო იმაზე, მთლიანად იყო ნაციონალიზებული მიწა თუ ნაწილობრივ. კაპიტალისტურ ქვეყნებში კი მას განიხილავენ საერთო სასამართლოები. ზოგიერთ მათგანში კი შექმნილია სპეციალური საადგილმამულო სასამართლოებიც (დიდი ბრიტანეთი, აშშ, საფრანგეთი).

ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐ – წარმოიშვა XV–XVII სს.ე. რუსეთის სახელმწიფოში დიდი მთავრების (მეფის) მიერ თავადთა სარგებლობაში დარიგებული მიწების სახით. ეკონომიკური თვალსაზრისით, საადგილმამულო სისტემის მიზანი იყო ახალი მიწების ათვისება, სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით კი – მატერიალური უზრუნველყოფა თავადაზნაურობისა, რომელიც სახელმწიფოს ძირითადი ძალა იყო ფეოდალური დაქსაქსულობის წინააღმდეგ ბრძოლაში. საადგილმამულო სისტემის იურიდიული საფუძვლები განმტკიცებული იყო სამართლის წიგნით (1497).

ᲡᲐᲐᲕᲐᲜᲡᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ – საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაკის ანგარიშგება განსაზღვრული სამსახურებრივი დავალების შესასრულებლად ავანსად მიღებული თანხის გამოყენებაზე.

ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ – დოკუმენტი, რომელიც ეძლევა გამოგონების ავტორს და რომლითაც დასტურდება წინადადების აღიარება გამოგონებად, მისი ავტორობა, გამოგონების პრიორიტეტი, აგრეთვე სახელმწიფოს განსა-

კუთრებული უფლება გამოგონებით სარგებლობაზე. გამომგონებელს შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ თავისი ავტორობის აღიარება და განსაკუთრებული უფლება გამოგონებაზე და პატენტის მიღება, რომელსაც აძლევს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი. გამოგონების სიახლის შესახებ წარმოშობილ დავას გადაწყვეტს გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი, ხოლო ავტორობაზე დავას – სასამართლო.

საავტორო უფლება – იმ უფლებათა ერთობლიობა, რომელიც ეკუთვნის მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების შემქმნელს (ავტორს) ან მის მემკვიდრეს. მნიშვნელობა არ აქვს ნაწარმოები გამოქვეყნებულია თუ არა, მაგრამ აუცილებელია, რომ იგი გამოხატული იყოს რაიმე ობიექტური ფორმით, რაც ავტორის შემოქმედების ნაყოფის რეპროდუქციის შესაძლებლობას იძლევა. მისი სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც სვენი ქვეყნის მოქალაქე, ისე უცხოელი ან ის პირი, რომელსაც მოქალაქეობა არა აქვს. აგრეთვე სუბიექტი შეიძლება იყოს ის ორგანიზაციებიც, რომლებიც დამოუკიდებლად ან რომელიმე გამომცემლობის მეშვეობით აქვეყნებენ ლექსიკონებს, კრებულებს და სხვა. საავტორო უფლება ავტორს ეკუთვნის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. გარდაცვალების შემდეგ კი გადადის მის მემკვიდრეზე და მოქმედებს 50 წლის მანძილზე. (სკ. მუხ. 1024).

საავტორო ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომელსაც დებენ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოების ავტორი და ის ორგანიზაცია, რომელსაც უფლება აქვს გამოსცეს, დადგას ან სხვა საშუალებით გამოიყენოს ნაწარმოები. ხელშეკრულება, რომლის ძალით ავტორი კისრულობს ვალდებულებას გადასცეს შემკვეთს თავისი ნაწარმოები გამოყენების უფლებით, ხოლო შემკვეთი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს ნაწარმოები და ავტორს გადაუხადოს ჰონორარი. საავტორო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს გამოსაყენებელი ნაწარმოების ზუსტ აღწერას, გამოყენების კონკრეტულ საშუალებებს, ვადას და ტერიტორიას, რომლის ფარგლებშიც ხდება უფლების გადაცემა, აგრეთვე ჰონორარის ოდენობას, მისი გადახდის წესსა და ვადას. გამოყენების მიხედვით განასხვავებენ მის რამდენიმე სახეს: საგამომცემლო, დადგმის, სასცენარო და სხვა, რომელსაც დებენ წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ნაწარმოები უნდა გამოქვეყნდეს პერიოდულ გამოცემებში და ენციკლოპედიურ

ლექსიკონებში. (ს.კ. მუხ. 1071).

საავტორო თანახი – ლიტერატურული ნაწარმოების მოცულობის საზომი ერთეული, რომელიც ტოლია 40 ათასი ნაბეჭდი ნიშნის, 700 სალექსე სტრიქონის, დაბეჭდილი გრაფიკული მასალის 3 ათასი კვადრატული სანტიმეტრის.

საავტორო ჰონორარი – ფულადი გასამრჯელო, რასაც ავტორი თუ მისი მემკვიდრე იღებს ნაწარმოების გამოყენებისათვის. საავტორო ჰონორარის ოდენობა, მისი გამოანგარიშების წესი ეგზემპლარის ყოველი სახის გამოყენებისათვის დადგენილ უნდა იქნეს საავტორო ხელშეკრულებით, აგრეთვე, მოსარგებლეებთან იმ ორგანიზაციების მიერ დადებული ხელშეკრულებით, რომლებიც მართავენ ავტორთა ქონებრივ უფლებას კოლექტიურ საფუძველზე. (სკ. მუხ. 1048).

საამანათო ვაჭრობა – ვაჭრობის ერთ-ერთი ფორმა – მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა მაღაზიის გარეშე, საფოსტო ამანათების მეშვეობით. კაპიტალისტურ ქვეყნებში საამანათო ვაჭრობა არის საქონლის გაყიდვის დამატებითი ფორმა და საამანათო ფორმებთან ერთად მას დიდი უნივერმაღები ახორციელებენ.

საამილახორო – საამილახერო – პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული – სათავადო, რომელსაც მართავდა მეფის დანიშნული მოხელე – ამილახვარი. იგი მოქცეული იყო მდინარე ლეხურასა და ლიახვს შორის. წარმოიშვა XIV საუკუნის დასაწყისში, როცა ხევდგენიძეებმა სამემკვიდრეოდ მიიღეს სხვილუარის მამული. 1429 ხევდგენიძეების ხელში გადავიდა კასპი, იგოეთი, გომი და მათ მიიღეს ამილახორის ქვემო ჭალა. ამილახორის სახელით, როგორც პოლიტიკურ-ადმინისტრაციულმა ერთეულმა მნიშვნელობა დაკარგა საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ.

საამირო – მუსლიმანურ ქვეყნებში სახელმწიფო ან სამფლობელო, რომელსაც ამირა მეთაურობს. არაბთა სახელმწიფოში საამიროს უწოდებდნენ როგორც დამოუკიდებელ, ისე ვასალურ სახელმწიფოებს – ნაჯდი, შამარი, ასირი. საქართველოში არსებობდა არაბთა მიერ შექმნილი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული თბილისის საამირო.

საამქროს ხარჯები – საამქროს მართვისა და სამეურნეო ხარჯები. მასში შედის: დანახარჯები საამქროს მართვის და სამეურნეო პერსონალის შესანახად, მოწყობილობის ამორტიზაცია; დანახარჯები საამქროს ძირითად საშუალებებში შემავა-

ლი შენობისა, ნაგებობის, აგრეთვე ინვენტარის შენახვისა და მიმდინარე რემონტისათვის; დანახარჯები ცდებსა და გამოკვლევებზე – რაციონალიზაციასა და გამომგონებლობაზე და სხვა.

საანგარიშსწორებო წიბნაკი – შრომის კანონთა კოდექსის 99-ე მუხლის მიხედვით – „ყველა მუშას, აგრეთვე მოსამსახურეს, რომელთა შრომა ნარდობრივად ანაზღაურდება, ადმინისტრაცია ვალდებულია სამუშაოზე მიღებიდან ხუთი დღის შემდეგ მისცეს საანგარიშსწორებო წიგნაკები. საანგარიშო წიგნაკებში ნაიწერება მუშაობის პირობები და ხელფასის ანგარიშსწორება“. (შკკ. მუხ. 99).

საანდერძო დანაკისრი (ლეგატი) – სამოქალაქო სამართალში ანდერძით მემკვიდრისათვის რაიმე ვალდებულების შესრულების დაკისრება ერთი ან რამდენიმე პირის (ანდერძდანაკისრის მიმღებთა) სასარგებლოდ. საანდერძო დანაკისრის მიმღებს უფლება აქვს მოითხოვოს ამ ვალდებულების შესრულება (ნივთის გადაცემა, ვალის გადახდა). მემკვიდრე ვალდებულია შეასრულოს საანდერძო დანაკისრი მხოლოდ მისთვის ნაანდერძევი ქონების ნამდვილი ღირებულების ფარგლებში, სამკვიდროს დამტოვებლის ვალის გამოკლებით. (სკ. მუხ. 1383).

საარსებო მინიმუმი – სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, რომელიც ასახავს იმ საარსებო საშუალებათა მინიმუმს, რომელიც აუცილებელია მუშაკის ცხოველქმედობისათვის და მისი ძალის აღსადგენად.

საარჩევნო ბიულეტენი – სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ფორმის საარჩევნო დოკუმენტი, განკუთვნილი ფარული კენჭისყრისათვის. მასში აღინიშნება მოცემულ საარჩევნო ოლქში რეგისტრირებული დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი, მამის სახელი და კანდიდატის დამსახელებელი ორგანიზაციის სახელწოდება, რომელიც შესაბამისი საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ცნაზე იბეჭდება. ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენს აწესებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში.

საარჩევნო კომისია – კოლეგიური ორგანო, რომელიც შედგება საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და ჯარის ნაწილებში სამხედრო მოსამსახურეთა კრებების მიერ წარგზავნილი წარმომადგენლებისგან. იქმნება ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და სახელმწიფო მოსამართლეების არჩევნების ჩასატარებლად. საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს არჩევნების

ჩატარებას საარჩევნო სამართლის ნორმების შესაბამისად. იქმნება ცენტრალური, ტერიტორიული, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისია.

საარჩევნო ოლქი – საარჩევნო ტერიტორიული ოლქი, რომელიც კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად იქმნება სახელმწიფო წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების ჩასატარებლად. საარჩევნო ოლქები იქმნება მოსახლეობის თანაბარი რაოდენობის ან იმ ეროვნებათა თანასწორი წარმომადგენლობის პრინციპით, რომელიც თანამოსახლე ეროვნებებს სახელმწიფო – ტერიტორიული ერთეულები აქვთ. ასეთი პრინციპი უზრუნველჰყოფს თანასწორი საარჩევნო უფლების განხორციელებას, არჩევნებში ყველა ამომრჩეველი მონაწილეობს თანასწორ საუძველზე.

საარჩევნო სამართალი – სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს საარჩევნო სისტემასა და საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. საარჩევნო სამართალი სახელმწიფო სამართლის შემადგენელი ნაწილია და მისი ნორმები მოცემულია კონსტიტუციაში და სხვა სამართლებრივ ნორმებში.

საარჩევნო სისტემა – იმ ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ამა თუ იმ სახელმწიფოში წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევას და ამ ორგანოთა წევრებსა და ამომრჩევლებს შორის დამოკიდებულებასთან დაკავშირებულ სოციალურ ურთიერთობებს. საარჩევნო სისტემა მკაფიოდ ასახავს სახელმწიფოს კლასობრივ არსს, მის პოლიტიკურ წესწყობილებას და დემოკრატიულობას. საარჩევნო სისტემის ძირითადი პრინციპები მოცემულია კონსტიტუციაში. არჩევნები არის საყოველთაო, ე. ი. ყველა მოქალაქეს, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, უფლება აქვს აირჩიოს (აქტიური საარჩევნო უფლება) და არჩეული იყოს (პასიური საარჩევნო უფლება), გარდა იმ პირებისა, რომლებიც კანონით დადგენილი წესით ცნობილი არიან შეშლილებად. დეპუტატთა არჩევნები თანასწორია, ე. ი. ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს და ყველა ამომრჩეველი თანასწორ საფუძველზე მონაწილეობს არჩევნებში. დეპუტატთა არჩევნები პირდაპირია, ე. ი. მოქალაქეები უშუალოდ ირჩევენ სახალხო დეპუტატებს. არჩევნების დროს კენჭის ყრა ფარულია და არ დაიშვება ამომრჩეველთა ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლი.

საარჩევნო უბანი – ტერიტორიული ერთეული, საარჩევნო ოლქის ნაწილი, რომელიც იქმნე-

ბა არჩევნების ჩასატარებლად, საარჩევნო ბიულეტენების გასაცემად და ხმების დასათვლელად. საარჩევნო უბნები იქმნება აგრეთვე ჯარის ნაწილებში, დიდ რკინიგზის სადგურებში, ნაოსნობაში მყოფ გემებზე და სხვა.

საარჩევნო უფლება – მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, მათ ორგანიზაციასა და ჩატარებაში. არსებობს პასიური და აქტიური საარჩევნო უფლება. პასიური ნიშნავს მოქალაქის უფლებას თვითონ აირჩიონ დეპუტატად. აქტიური კი ნიშნავს არჩევისა და კენჭისყრის უფლებას. აქტიური საარჩევნო უფლებით სარგებლობენ მოქალაქენი 18 წლიდან, პასიურით კი 21.

საარჩევნო ცენზი – საარჩევნო უფლების მოსაპოვების პირობა, რომელიც დადგენილია კონსტიტუციით ან საარჩევნო კანონით. საარჩევნო ცენზი შემოიღო ხელისუფლების სათავეში მოქცეულმა ბურჟუაზიამ XVIII–XIX საუკუნეებში, წარმომადგენლობითი ორგანოებიდან მშრომელთა ჩამოცილების მიზნით. ქვეყანაზე გავრცელებული იყო ქონებრივი ცენზი (საარჩევნო უფლების მინიჭება განსაზღვრული ქონების მქონე მოქალაქისათვის) და განათლების ცენზი (არჩევნებში მონაწილეობისათვის განათლების გარკვეული მინიმუმის დაწესება).

საარჩევნო ფიცდი – ზოგიერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში ფულადი თანხა, რომელიც არჩევნების დროს კანდიდატმა უნდა შეიტანოს ამა თუ იმ წარმომადგენლობით ორგანოში მისი კანდიდატურის რეგისტრაციისას. ზოგჯერ საკმაოდ დიდი თანხაა შესატანი (მაგ.: დიდ ბრიტანეთში 150 გირვანქა სტერლინგი). საარჩევნო ფიცდის სოციალური და პოლიტიკური არსი იმაში მდგომარეობს, რომ გაურთულონ დემოკრატიულ პარტიებს და ორგანიზაციებს კანდიდატურის წამოყენება.

სააქციო საზოგადოება – კაპიტალის ცენტრალიზაციის ფორმა. იგი თანამედროვე მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების ძირითადი ორგანიზაციული ფორმაა. იგი შეიძლება იყოს ანონიმური, რომლის წევრთა რაოდენობა შეიძლს არ აღემატება, საჯარო და ა. შ. საჯარო საზოგადოება ორი ტიპისაა: 1. პიროვნებათა საზოგადოება, რომელშიც ახალ წევრთა მიღება შეიძლება ყველა წევრის თანხმობით. 2. ნატურალური ან ფულად შენატანზე დაფუძნებული საზოგადოება, რის აქციებს თავისუფლად ყიდულობენ და ყიდიან. არის შერეული ტიპის საზოგადოებებიც, კ. წ. კომანდიტური საზოგადოება, რასაც შუალედური მდგომარეობა უკავია პირეს-

ლი და მეორე ტიპის სახოგადოებებს შორის. არსებობს აგრეთვე ლიმიტირებული რწმუნების სახოგადოება, რომელშიც განსაზღვრულია თითოეული წევრის პასუხისმგებლობა. სააქციო სახოგადოების კაპიტალში შედის თითოეული აქციონერის აქციების განსაზღვრული რაოდენობა, რომლებიც ადასტურებენ მისი მესაკუთრის მონაწილეობას სააქციო სახოგადოებაში და აძლევს მას შესაბამისი დივიდენდის მიღების და ს.ს-ის მართვაში მონაწილეობის უფლებას. აქციების გამოშვებისა და განლაგების შედეგად მიღებული სახსრები შეადგენს სააქციო სახოგადოების საკუთარ კაპიტალს. სააქციო სახოგადოება აქციების გარდა უშვებს ობლიგაციებს, რომლებსაც იხდის ყოველწლიურად მტკიცე პროცენტს.

სააქციო სახოგადოება იურიდიული პირია აქვს საკუთარი წესდება, რომელშიც ფიქსირებულია მოცემული სახოგადოების მისანი, მისი კაპიტალის მართვის წესი და ა. შ. სააქციო სახოგადოების უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც წელიწადში ერთხელ ტარდება. მიმდინარე საქმეებს ხელმძღვანელობს გამგეობა, სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორთა საბჭო და სხვა. (საქართველოს 1994 წ. 28 ოქტომბრის კანონი მეწარმეთა შესახებ).

სააღსრულებო სამსახური

— საქართველოში სააღსრულებო დაწესებულება, რომელიც შედის იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში, როგორც საჯარო სამსახურის იურიდიული პირი. სააღსრულებო სამსახური თავისი ტერიტორიული ორგანოების (სააღსრულებო ბიუროების) მეშვეობით ახდენს საერთო სასამართლოებისა და ადმინისტრაციული თანამდებობის პირების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა აღსრულებას. სააღსრულებო სამსახურის უფლებამოსილება, ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია საქართველოს 1999 წლის 16 აპრილის კანონით სააღსრულებო წარმოებათა შესახებ.

სააღსრულებო საბუთები

— საბუთები, რომელთა საფუძველზე იძულებით სრულდება სასამართლო, საარბიტრაჟო ან კანონში აღნიშნული სხვა ორგანოთა აქტები, დადგენილებები და გადაწყვეტილებები. სააღსრულებო საბუთებიდან პრაქტიკაში გვხვდება სააღსრულებო ფურცელი, საარბიტრაჟო ორგანოთა ბრძანებები და სანოტარო კანტორების სააღსრულებო წარწერები. სანოტარო კანტორა საბუთზე სქელმოწერით ადასტურებს განსაზღვრული ფულადი თანხის გადახდევინების ან რაიმე სხვა

ქონების მიღების უფლებას, რომლის იძულებითი შესრულება ხდება ამ წარწერის საფუძველზე – სასამართლოსა და არბიტრაჟის გარეშე. იმ საბუთების ნუსხა, რომელთა საშუალებითაც უდავო წესით ხდება ფულის ან სხვა ქონების გადახდევინება, მტკიცდება მთავრობის დადგენილებით.

სააღსრულებო ფურცელი – სააღსრულებო საბუთის სახეობა, რომელსაც აძლევენ გადამხდევინებელს სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების, მორიგების, სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და სხვათა შესასრულებლად, აგრეთვე განაჩენის, განჩინებისა და სასამართლოს დადგენილების აღსასრულებლად (ქონებრივი გადახდევინების ნაწილში). სააღსრულებო ფურცელს სასამართლო გასცემს, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

საჯარო ბარი – სამსჯავრო, სასამართლო დაწესებულება და მისი შენობა ძველ საქართველოში. საჯარო კარს უქვემდებარებოდა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლისსამართლებრივი საქმეები, საჩივრები ფეოდალთა თუ მოხელეთა მოძალადეობის შესახებ. საჯარო კარი მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი და კოლეგიური ორგანო იყო, რომელსაც მეფის უპირველესი მოხელე მწიგნობართუხუცესი-ჭყონდიდელი წარმართავდა.

საბაზისო ფასი – ფასი ეკონომიკაში, რომელიც გამოიყენება სახალხო მეურნეობის დაგეგმვასა და სტატისტიკურ აღრიცხვაში წარმოების დინამიკის, თვითღირებულების, პროდუქციის რენტაბელობისა და სახალხო მეურნეობის განვითარების სხვა მაჩვენებლების ინდექსების გამოთვლის დროს.

საბალანსო მეთოდი დაგეგმვასა და სტატისტიკაში – ეკონომიკის დაგეგმვის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი, რომლის საშუალებით მიიღწევა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტიული და მიმდინარე გეგმის შეწონასწორება – დაბალანსება ნატურალური და ღირებულებითი მაჩვენებლებითურთ. იგი საშუალებას იძლევა გეგმებში გამოვლინდეს მატერიალურ, შრომით, ფულადსა და სხვა რესურსებზე საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი და ამ რესურსებით უზრუნველყოფა.

საბალანსო ღირებულება – ბუღალტრულ ბალანსში ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი საშუალებების შეფასება ფულადი გამოსახულებით. ძირითადი ფონდების შესაფასებლად ბალანსში იყენებენ მათ აღრიცხვას თავდაპირველი, აღდგენითი და

საინვენტარო ღირებულებით. ბალანსში ძირითადი ფონდები აისახება თავდაპირველი ღირებულებით.

საბანკო კაპიტალი – 1. ფულადი კაპიტალის ერთობლიობა, რომლითაც ოპერაციებს აწარმოებენ ბანკები. საბანკო კაპიტალი მოიცავს საკუთარ საშუალებებს, მოსიდ'ულ საშუალებებს. ბანკების საკუთარი კაპიტალი, რომელიც შედგება ბანკირის კუთვნილი საშუალებებისგან, ხოლო სააქციო ბანკისათვის – საბანკო აქციების გავრცელების შედეგად მიღებული ამონაგებისაგან. მას მოაქვს საბანკო მოგება, რომლის ნორმა სამრეწველო და სავაჭრო მოგების საშუალო ნორმის ტოლია.

საბანკო საიდუმლოება – ბანკის ან სხვა საკრედიტო დაწესებულებათა კლიენტების ანაბრების, ანგარიშებისა და ოპერაციების შესახებ არსებული ცნობების საიდუმლოდ შენახვა. ამგვარი ცნობების მიღების უფლება აქვს მხოლოდ ანგარიშის მფლობელს, მის წარმომადგენელსა და ზემდგომ ორგანიზაციებს, აგრეთვე სასამართლო, საგამოძიებო და საფინანსო ორგანოებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ბანკისა და შემნახველი სალაროს წესდება ავალდებულებს ამ დაწესებულებათა მოსამსახურეებს საბანკო საიდუმლოების შენახვას.

საბანკო სამართალი – იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებენ ბანკების საქმიანობას, ბანკებსა და მათ კლიენტებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს. საბანკო სამართალი არ არის სამართლის დამოუკიდებელი დარგი. მასში თავმოყრილია სამართლის სხვადასხვა დარგების ნორმები. მათი ერთი ნაწილი არეგულირებს ბანკის, როგორც სახელმწიფო მმართველობის ორგანოს საქმიანობას. ნორმების მცირე ნაწილი არეგულირებს დაკრედიტებას, ანგარიშსწორების, ნაღდი ფულის გაცემისა და ინკასაციის, ანაბრების მიღებისა და სხვა ოპერაციების პროცესებში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ასეთი ნორმები კი უმეტესად სამოქალაქო სამართალს განეკუთვნება.

საბაჟო – სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც აკონტროლებს სახელმწიფო საზღვრებზე ტვირთის გადაზიდვას და უზრუნველყოფს ბაჟისა და მოსაკრებლების ამოღებას. საბაჟო ამოწმებს ქვეყნის საბაჟო კანონებისა და წესების შესრულებას, აღრიცხავს საიმპორტო და საექსპორტო საქონელს, ინახავს ტვირთს დროებით, იბრძვის კონტრაბანდის წინააღმდეგ, აკონტროლებს საბაჟო ფორმალობის დაცვას.

საბაჟო ბლოკადა – რომელიმე ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის მიერ ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ეკონომიკური იზოლაცია, ამ ქვეყნებიდან საქონლის იმპორტის შეწყვეტის ან შეზღუდვის მიზნით.

საბაჟო კავშირები – სახელმწიფოთა გაერთიანება საბაჟო პოლიტიკის დარგში ერთობლივი მოქმედებისათვის.. საბაჟო კავშირები იქმნება საბაჟო კონვენციების საფუძველზე, რომლებიც აწესრიგებენ საქონლის საბაჟო დაბეგვრის საკითხებს, საბაჟო კავშირების მონაწილეთა საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და სხვა ქვეყნებისათვის დისკრიმინაციული რეჟიმის დადგენის მიზნით.

საბაჟო კოდექსი – სისტემატიზებული საკანონმდებლო აქტი, რომელიც აწესრიგებს საბაჟო ორგანოების ორგანიზაციასა და საქმიანობას, ადგენს ტვირთის შენახვის, საბაჟო გადასახადების აკრეფისა და შემოწმების წესებს და სხვა. აგრეთვე მასში დადგენილია საბაჟო კონტროლის ზუსტი წესები (კონტროლი ტვირთზე სხვადასხვა გზით გადაზიდვის დროს, სატვირთოზე გადამსვლელთა ნივთებზე, საერთაშორისო საფოსტო გზავნილებზე და სხვა). საბაჟო წესების დარღვევისა და კონტრაბანდისათვის საბაჟო კოდექსი ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. საქართველოს საბაჟო კოდექსი მიღებულია 1997 წლის 14 ნოემბერს და ამოქმედდა 1998 წლის 1 იანვრიდან. კოდექსი შედგება 11 კარის, 35 თავისა და 175 მუხლისაგან.

საბაჟო კონტროლი – საბაჟო ორგანოების საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ტვირთის, სატრანსპორტო საშუალებების, ვალუტისა და სავალუტო ღირებულებების შემოტანის, გატანისა და ტრანზიტის შესახებ საბაჟო კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვას. საბაჟო ორგანოების თანამდებობის პირები ახორციელებენ საბაჟო კონტროლს, რაც ითვალისწინებს: საბაჟო მიზნებისათვის საჭირო დოკუმენტებისა და ცნობების შემოწმებას, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმებას, პირად გასინჯვას, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების აღრიცხვას, ფიზიკური პირების ზეპირ გამოკითხვას, თავისუფალი საწყობების და სხვა ადგილების დათვალიერებას, სადაც შეიძლება ინახებოდეს საბაჟო კონტროლის დაქვემდებარებული საქონელი და სატრანსპორტო საშუალებები.

საბაჟო კონტროლი ხორციელდება, აგრეთვე კანონმდებლო-

ბით გათვალისწინებული სხვა ფორმებით. (საბ. კოდ. მუხ. 123).

საბაჟო ორგანოები — სახელმწიფო მმართველობის ორგანოები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საბაჟო საქმიანობას. საქართველოში საბაჟო საქმიანობას ახორციელებს სამართალდამცავი ორგანოს სტატუსის მქონე საქართველოს საბაჟო დეპარტამენტი, რომელიც შედგება ცენტრალური აპარატის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების საბაჟო სამმართველოების, რეგიონალური საბაჟოების, საბაჟო საგუშაგოებისა და საბაჟო გამშვები პუნქტებისაგან. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის დებულებისა და საბაჟო ორგანოებში სახელმწიფო მოხელეების სამსახურის გაელის დებულებას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. (საბ. კოდ. მუხ. 158).

საბაჟო სამართალი — სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო საბაჟო საქმიანობასა და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს საბაჟო პოლიტიკის პრინციპებს, ადგენს საბაჟო და სხვა სახელმწიფო ორგანოთა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლება-მოვალეობებს საბაჟო საქმიანობის განხორციელების პროცესში.

საბაჟო ტერიტორია — სახელმწიფოს ტერიტორია, რომელზეც სრულად ვრცელდება ამ სახელმწიფოს საბაჟო კანონმდებლობა. საქართველოს საბაჟო ტერიტორიას შეადგენს საქართველოს სახმელეთო ტერიტორია, ტერიტორიული და შიდა წყლები და მათი საჰაერო სივრცე. საბაჟო ტერიტორია მოიცავს აგრეთვე განსაკუთრებულ სამღვრეო ეკონომიკურ ზონაში შექმნილი ხელოვნური კუნძულების, დანადგარებისა და ნაგებობების ტერიტორიებს, რომლებზედაც ვრცელდება საქართველოს განსაკუთრებული იურისდიქცია. (სკ. მუხ. 214).

საბაჟო ზღვის დარღვევა — საქართველოს საბაჟოს საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ნადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალებით მოტყუებით გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით, ანდა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სახელმწიფოებრივი მდგომარეობის გამოყენებით. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე. დიდ ოდენობად ითვლება ნივთის ღირებულება 5 ათასი ლარის ზევით. უფრო მკაცრი სასჯელია დაწესებული საბაჟო საზღვარზე ზოგიერთი ნივთის უკანონოდ გა-

დატანა გადმოტანისა და დამამძიმებელ გარემოებებში საბაჟო წესის ზოგიერთი სხვა დარღვევისათვის. (სკ. მუხ. 214).

საბაჟო პოლიტიკა – სახელმწიფოს საგარეო საეკონომიკო საქმიანობის ნაწილი, რომელიც არეგულირებს საქონლის ექსპორტ-იმპორტის მოცულობას, სტრუქტურასა და პირობებს. სახელმწიფოები ერთიანდებიან საბაჟო კავშირებად ერთობლივი ღონისძიებების განსახორციელებლად საბაჟო პოლიტიკის დარგში.

საბაჟო ტარიფი – ბაჟის განაკვეთების სისტემატიზებული ცნობა (კრებსი) იმ საქონელზე, რომელიც ქვეყნის საზღვარზე გადააქვთ. საბაჟო ტარიფში მოცემულია დაბეგრილი საქონლის დასახელება და კლასიფიკაცია, ბაჟის განაკვეთი და დაბეგვრის წესი, ჩამოთვლილია ის საქონელი, რომელიც არ იბეგრება ან რომლის შემოტანა–გატანა ან ტრანზიტი აკრძალულია.

საბარათიანო – სათავადო ფეოდალურ საქართველოში. ის ჩამოყალიბდა XVI საუკუნეში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. მის ფუძემდებლად მიიჩნევენ ბარათა ქაიხოსროძეს.

საბედიანო – ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი, რომელიც იოანე ჯავახიშვილმა შემოიტანა სამეცნიერო ლიტერატურაში.

საბითუმო ვაჭრობა – საშინაო ვაჭრობის შემადგენელი ნაწილი, რომელიც გულისხმობს პროდუქციის ყიდვა-გაყიდვას ბითუმად ე. ი. პარტიობით და არა ცალობით. პროდუქტების მიმოქცევა მწარმოებელ და მომხმარებელ საწარმოებს შორის, აგრეთვე საწარმოებსა და საბაჟრო ორგანიზაციებს შორის.

საბითუმო ფასი – ფასი, რომლითაც სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოები და გამსაღებელი ორგანიზაციები აწყდიან პროდუქციის მწარმოებელ საწარმოებსა და საბაჟრო ორგანიზაციებს. იგი გეგმიანი ფასწარმოქმნის სისტემის მთავარი რგოლია და ამის გამო წარმოების სტიმულირების ერთერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური ბერკეტია.

საბინაო კოოპერაცია – კოოპერაციის სახეობა, რომლის წევრები ერთიანდებიან საცხოვრებელი სახლების ერთობლივი მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის.

საბინაო მეურნეობა – მეურნეობის დარგი, რომლის ამოცანაა მოსახლეობის საბინაო-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მისი განსახლება ქვეყნის მსარდი სახალხო მეურნეობის საჭიროებათა შესაბამისად.

საბინაო სამართალი –არ-

ეგულირებს საცხოვრებლო ბინის მიცემის, სარგებლობისა და განკარგვის დროს წარმოშობილ ურთიერთობებს. საბინაო სამართლის ნორმები მოცემულია ბინის კანონმდებლობის საფუძვლებში, საბინაო კოდექსში და სხვა საბინაო აქტებში.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი – საბინაო ორგანიზაცია, რომლის მიზანია დააკმაყოფილოს კოოპერატივის წევრები საცხოვრებელი ფართობით, რისთვისაც კოოპერატივი საკუთარი სახსრებითა და სახელმწიფოს კრედიტის დახმარებით აშენებს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, რომელსაც შემდგომ ექსპლუატაციასა და გამგებლობას უწევს.

საბიუჯეტო აღრიცხვა – ბიუჯეტის შესრულების, საბიუჯეტო დაწესებულებისა და ორგანიზაციების ხარჯთა ნუსხებით ბუღალტრული აღრიცხვა. იგი ერთიანებს სახალხო მეურნეობრივი აღრიცხვის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. საბიუჯეტო აღრიცხვის მეთოდურ ხელმძღვანელობას ახორციელებს ფინანსთა სამინისტრო.

საბიუჯეტო დაფინანსება – სახელმწიფო ბიუჯეტიდან საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ფულადი სახსრების მიცემა დაუბრუნებლად გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა ჩასატარებლად. საბიუჯეტო დაფინანსების მოცულობა და ვადები განისაზღვრება შემოსავალ-გასავლის ბალანსებით.

საბიუჯეტო რეგულირება – სახელმწიფო შემოსავლიდან სახსრების წინასწარ დაგეგმილი განაწილება და გადანაწილება, რაც გულისხმობს ზემდგომი ბიუჯეტების რესურსების ნაწილის გადაცემას ქვემდგომი ბიუჯეტებისათვის მათი შემოსავლისა და ხარჯების დაბალანსების მიზნით.

საბიუჯეტო რეზერვები – სახელმწიფო ბიუჯეტში გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შეუყვარხებელი დაფინანსებისა და ხელახლა წარმოშობილი გადაუდებელი ხარჯების ფინანსური უზრუნველყოფის ფონდები.

საბიუჯეტო სამართალი – ერთობლიობა საფინანსო სამართლებრივი ნორმებისა, რომლებიც ადგენენ საბიუჯეტო სისტემის სტრუქტურას, ცალკეული ბიუჯეტის მოცულობას, მასთან დამ, სახსრების დანაწილების წესსა და ბიუჯეტთან დაკავშირებულ სხვადასხვა პროცესს. საბიუჯეტო სამართლის ძირითადი წყაროა კანონი და ამ კანონიდან გამომდინარე ნორმატიული აქტები.

საბიუჯეტო წელი – ბიუჯეტის შედგენის, დამტკიცებისა და შესრულების კანონმდებლობით დადგენილი წლიური ვადა. მრავალ ქვეყანაში საბიუჯეტო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს (სსრკ, საფრანგეთი, ბელგია, კანადა). ზოგან კი (აშშ-ში, იტალია, ნორვეგია და სხვა) საბიუჯეტო პერიოდი იწყება პირველ ივლისს და მთავრდება 30 ივნისს, ზოგან კი იწყება პირველ ოქტომბერს და მთავრდება 30 სექტემბერს (ბირმა, ცეილონი, ტაილანდი).

საბიუჯეტო სისტემა – ბიუჯეტების ერთიანობა, რომელიც ეფუძნება ქვეყნის, ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ მოწყობას, ეკონომიკურ ურთიერთობებსა და იურიდიულ ნორმებს.

საბლანკო წარწერა – ჟანიანი ქაღალდის სხვა პირისათვის გადაცემის დამადასტურებელი წარწერა მის მეორე გვერდზე ახალი მფლობელის სახელის აღუნიშნავად.

საბოტაჟი – (ფრანც.) – რაიმე ღონისძიების განხორციელის ხელშეშლა, სამუშაოსათვის თავის არიდება ან მისი განხორციელის არაკეთილსინდისიერად შესრულება. მოქმედ კანონმდებლობაში საბოტაჟი, როგორც დანაშაულის დამოუკიდებელი შემადგენლობა, გათვალისწინებულია 2000 წლიდან. სისხლის სამართლის კოდექსის 318-ე მუხლით საბოტაჟს წარმოადგენს საქართველოს დასუსტების მიზნით საწარმოს, საბრანსპორტო, კავშირგაბმულობის ან მასობრივი მოწყებლობის საშუალების, გაზის, ნაგებობების, ტექნიკის, დოკუმენტის, დიდი რაოდენობით სტრატეგიული ნედლეულის, აგრეთვე მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დაწესებულების ან ორგანიზაციის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელი, სახელმწიფო უშიშროების ან წესრიგის დაცვისათვის განკუთნილი ან სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ობიექტის დაზიანება, მწყობრიდან გამოყვანა ან განადგურება – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე. იგივე ქმედება, ნადნილი ან ხანგრძლივით, ცეცხლის წაკიდებით ან სხვა საყოველთაოდ საშიში საშუალებით, აგრეთვე ბრძოლური ენერგიის კონტროლიდან გამოყვანა, ტერორიზმის ან ტერორიზმის გაკრცელება, მასობრივი მოწამვლა ანდა სხვა ქმედება, რომელმაც ადამიანის სიცოცხლის მასობა ან ჯანმრთელობის დაზიანება გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ოც წლამდე. (სსკ. მუხ. 318).

საბრალდებო დასკვნა – შემაჯამებელი პროცესუალური დოკუმენტი, რომელიც დგება გამოძიების დამთავრების შემდეგ. განსაზღვრავს ბრალდების საგანს და სასამართლოში საქმის

განხილვის ჭარგლებს. საბრალდებო დასკვნას ადგენს გამომძიებელი მას შემდეგ, რაც მიიჩნევს, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი ბრალდებულის სამართალში მისაცემად. საბრალდებო დასკვნა შედგება აღწერილობითი და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. აღწერილობით ნაწილში აღინიშნება დანაშაულის ჩადენის გარემოებანი (მისი ადგილი, დრო, მოქმედების შედეგი), დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც დანაშაულის არსებობას ადასტურებენ, ბრალის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი, სარეზოლუციო ნაწილში – ცნობები ბრალდებულის ვინაობა'ხე და წაყენებული ბრალდების ფორმულირება სისხლის სამართლის სათანადო კანონის მითითებით, საბრალდებო დასკვნას ერთვის სასამართლოში გამოსაძახებელ პირთა სია, ცნობები გამოძიების ვადების, აღკვეთის ღონისძიების შერჩევისა და სხვათა შესახებ. საბრალდებო დასკვნას ადგენს და ხელს აწერს გამომძიებელი, ხოლო საქმესთან ერთად აგზავნის პროკურორი. (სსსკ. მუხ. 409–416).

საბრუნავი კაპიტალი – საწარმოო კაპიტალის ნაწილი, რომლის ღირებულება საწარმოო ციკლის განმავლობაში მთლიანად გადაიტანება დამზადებულ საქონელზე და სრულად უბრუნდება კაპიტალისტს საქონლის რეალიზაციის შემდეგ. საბრუნავი კაპიტალი განსახიერებულია ნედლეულში, სათბობში, დამხმარე მასალებში და სხვა.

საბრუნავი საშუალებები – წარმოებითი საბრუნავი ფონდებისა და მიმოქცევის ფონდების ერთობლიობა. საბრუნავი ფონდების ბრუნვა მჭიდროდ არის დაკავშირებული მიმოქცევის ფონდებთან. ამ უკანასკნელში იგულისხმება სოციალური საწარმოებისა და ორგანიზაციების მატერიალური და ფულადი რესურსების ერთობლიობა, რომელიც ემსახურება მიმოქცევის (გაცვლის) პროცესს.

საბრუნავი ფონდები – საწარმოებისა და გაერთიანების წარმოებითი ფონდების ნაწილი, რომელსაც მთლიანად მოიხმარენ ერთ საწარმოო ციკლში და სრულად გადააქვს თავისი ღირებულება ახლად შექმნილ პროდუქტზე. საბრუნავი ფონდები წარმოების პროცესში იცვლის თავის ნატურალურ ფორმას. მისი ღირებულება ერთი საწარმოო ციკლის განმავლობაში მთლიანად შედის პროდუქციის წარმოების ხარჯებში.

საბრძოლო წესდება – ოფიციალური სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ქვეგანაყოფებისა და სხვადასხვა გვარეობის ჯარის (ფლოტის ჯარების) მოსნებს, ამოცანებს, ხერხებსა და გამოყენების პრინციპებს დამოუკიდე-

ბელი ან ერთობლივი საბრძოლო მოქმედების დროს.

საბუთი – (არაბ. – მტკიცება, ნიშანწყალი) – იურისპრუდენციაში: 1. ოფიციალური წერილობითი ცნობა რისამე დამადასტურებელი საქმიანი ქაღალდი, დოკუმენტი, ვინაობის დამადასტურებელი მოწმობა, რაიმე უფლების დამადასტურებელი წერილობითი საბუთი. 2. დამამტკიცებელი საბუთები, ნივთიერი და წერილობითი მტკიცებულებანი. გამოიქმა „საბუთი უყო“ („საბუთი შეიძლო“) მოდაციის მხრივ იურიდიული მნიშვნელობის განსასაზღვრელი ფაქტის დამტკიცებას ნიშნავს.

საბა – პრეფექტურა იაპონიაში.

საბაჟასახდელო ბალანსი – თანაფარდობა ქვეყნის მიერ საზღვარგარეთიდან მიღებულ ფულად შემოსაყალისა და სხვა ქვეყნებისათვის გაცემულ გადასახდელებს შორის დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (წელი, კვარტალი და ა. შ.). თუ შემოსაყალი გადასახდელებს აჭარბებს – აქტიურია, თუ გადასახდელი ჭარბობს – პასიური, დეფიციტური. საგადასახადო ბალანსი აჯამებს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკურ (საგარეო ვაჭრობა, კაპიტალის გატანა და სხვა) ურთიერთობებს, რომლებიც გადასახდელებთანაა დაკავშირებული.

საბაჟასახდელო შეღავათი – იურიდიული ან ფიზიკური პირების მთლიანი ან ნაწილობრივი გათავისუფლება გადასახადებისაგან, რომელსაც აწესებს სახელმწიფო. გადასახადით არ იბეგრება პენსიები, ჯილდოები, სახელმწიფო სესხის მოგება და სხვა.

საგამომგონებლო სამართალი – სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომლითაც რეგულირდება საგამომგონებლო და რაციონალიზატორულ წინადადებასთან დაკავშირებით აღმოცენებული პირადი არაქონებრივი და ქონებრივი ურთიერთობები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ავტორთა უფლებებისა და სახელმწიფო ინტერესების დაცვის მიზნით. საგამომგონებლო სამართლის ობიექტია გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება. საგამომგონებლო სამართალი მოიცავს სამართლის ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ იმ მოთხოვნებს, რაც წაეყენება გამოგონებას და რაციონალიზატორულ წინადადებას, მათი გაფორმებისა და კვალიფიკაციის წესს, გამოყენების წესს და სხვა.

საგამოძიებო ექსპერიმენტი – გამოსაკვლევ დანაშაულთან დაკავშირებული მოქმედების, ვითარების ან სხვა გარემოებების აღდგენა ცდის გზით. ტარდება წინასწარი ან სამსჯავრო

გამოძიების მსვლელობის დროს სისხლის სამართლის საქმე'ზე მ'კაცებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი მონაცემების შემო'შებისა და და'ს'უსტების მი'ნით. საგამოძიებო ექსპერიმენტი საშ'ეალებას იძლევა დადგინდეს მოცემ'ული პირის მიერ კონკრეტ'ულ პირობებში გარკვე'ული მოქმედების ნაღენის, დანახვის, მოსმენის ან სხვაგვარად აღქმის შესაძლებლობა. საგამოძიებო ექსპერიმენტის შედეგებს იყენებენ საგამოძიებო ვერსიის შედგენისა და შემო'შების დროს. საგამოძიებო ექსპერიმენტი ტარდება თანამო'შეთა თანდას'წრებით. მას'ში მონა'ილეობისათვის შეიძლება საბაბან ბრალდებ'ული, ეჭვმიტანილი, მო'მ, და'სარალებ'ული. საქირო შემთხვევაში გამოძიებელი იყენებს ფოტო და კინოგადაღებას, აუდიო და ვიდეო ჩა'წერას. აღწერს გეგმებს, სქემებს და სხვა. საგამოძიებო ექსპერიმენტის ნატარების შესახებ დგება ოქმი, სადაც და'წრილებით გადმოიცემა ექსპერიმენტის ნატარების პირობები, მსვლელობა და შედეგები. (სსსკ. მუხ. 340).

საბანგებო კანონდებლობა – კანონები, რომლებიც საგანგებო მდგომარეობის დროს მოქმედებს და მთავრობას განსაკ'უთრებ'ულ უფლებამოსილებას ანიჭებს. (მაგ.: ისეთი სამართლებრივი ნორმების დადგენის უფლებასაც, რაც ჩვე'ულებრივ კითარებაში ადმინისტრ'ულებ'ული სელის'უფლება ვერ დაადგენდა).

საგანგებო მდგომარეობა – საგანგებო სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც შემოღებ'ულია სახელმ'იფოში განსაკ'უთრებ'ული კითარების გამო გარკვე'ული პერიოდისათვის და დასა'შებად მიიჩნევს საგანგებო ზომების მიღებას ს'ესრიგის დასაცავად. საგანგებო მდგომარეობის შემოღებასთან, ჩვე'ულებრივ დაკავ'შირებ'ულია სპეციალ'ურ ორგანოთა და'ესება, რომლებსაც მინიჭებ'ული აქვთ საგანგებო უფლებამოსილება, დაცვის საგანგებო ზომების შემოღება, ადმინისტრაც'ული ხელის'უფლებისა და მმართველობის ორგანოთა კომპეტენციის გაფართოება. საქართველოს 1997 ს'ლის 17 ოქტომბრის კანონით „საგანგებო მდგომარეობის შესახებ“ დადგინილია საგანგებო მდგომარეობის განმარტება, სადაც ნათქვამია, რომ საგანგებო რეჟიმის დროს ი'სპეტება მოქალაქეთა კარგად'ებ'ული უფლებები და ეკისრებათ მათ დამატებითი ვალდებ'ულებანი. საქართველოს კონსტი'უციის თანახმად, საქართველოს პრე'ი'დენტი იმპიჩმენტის წე მასობრივი არეულობის, ქვეყნის ტერიტორი'ულ მთლიანობის ხელყოფის, სამხედრო გადატრიალებისა და შე-

თარაღებული ამბოხების, ეკოლოგიური კატასტროფებისა და ეპიდემიების დროს, ან სხვა შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები მოკლებული არიან კონსტიტუციურ უფლება–მოსილებათა ნორმალური განხორციელების შესაძლებლობას, აცხადებს საგანგებო მდგომარეობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის რომელიმე ნაწილში და ეს გადაწყვეტილება არაუგვიანეს 48 საათისა შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. (საქ. 1997 წ. 17 ოქტომბრის კანონი საგანგებო მდგომარეობის შესახებ).

საბამომძიებო მოძმედება – გამომძიებლის, მოკვლევის ორგანოს, პროკურორისა და სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა შეგროვება და შემოწმება კანონით დადგენილი წესით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, საგამოძიებო მოქმედებებია: დაკითხვა და დაპირისპირება, ამოღება და ხსრეკა, დათვალიერება საგამოძიებო ექსპერიმენტი. ჩვენების ადგილზე შემოწმება, წარდგენა ამოსაცნობად, შემოწმება, ექსპერტიზა, ნიმუშის აღება საექსპერტო კვლევისათვის, გვამის ექსჰუმაცია.

საბამომძიებო კოლეგია – საოლქო სასამართლოსა და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ორგანო, რომელიც წყვეტს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ რიგ საკითხებს.

საგარანტიო ვადა – განსაზღვრული დრო, რომლის განმავლობაშიც მყიდველს შეუძლია დაადგინოს პროდუქციის ნაკლი და წარუდგინოს მიმწოდებელს (გამყიდველს) პრეტენზია აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორების ან პროდუქციის (საქონლის) შეცვლის შესახებ. თაყის მხრივ მიმწოდებელი ვალდებულია უსასყიდლოდ გამოასწოროს ნაკლი ან გამოასწოროს პროდუქცია, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ნაკლი წარმოიშვა მყიდველის მიერ პროდუქციის სარგებლობის ან მისი შენახვის წესების დარღვევის შედეგად. საგარანტიო ვადის დადგენა ხდება სახელმწიფო სტანდარტებით ან ტექნიკური პირობებით ანდა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებებით.

საგარანტიო კაპიტალი – კერძო საკრედიტო სამოწამოქმედო, შემნახველი ბანკებისა და სადაზღვევო საზოგადოებათა საკუთარი კაპიტალი. საგარანტიო კაპიტალი გამოსწორებულია მეანაბრეთა და სხვა კრედიტორთა წინაშე ვალდებულებათა შესასრულებლად და მოსალოდნელ სასესხო საშიშროებათა სარისკო გრძელვადიან

აქტიურ ოპერაციებში დაბანდებათა მოცულობის კონტროლის გასაწევად. საგარანტიო კაპიტალი არ შეიძლება გამოიყენონ დივიდენდების გადასახდელად და ზარალის დასაფარავად.

საგარეო ვაჭრობა – ამა თუ იმ ქვეყნის ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან. მოიცავს საქონლის შემოტანას (იმპორტს) და გატანას (ექსპორტს).

საგარეო ვაჭრობის მონოპოლია – სახელმწიფო მონოპოლია, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელში იღებს ქვეყნის მთელი საგარეო ვაჭრობის ხელმძღვანელობას. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია ხელს უწყობს საექსპორტო-საიმპორტო ოპერაციების ოპტიმალური სტრუქტურის ნამოყალიბებას, უსრულყოფს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ერთიანობას, საგარეო ვაჭრობის ბუნებიან ხასიათს.

საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა – ეკონომიკური სტატისტიკის დარგი, ახასიათებს საქონელბრუნვის მოცულობასა და დინამიკას, მის გეოგრაფიულ განაწილებას ცალკეული ქვეყნებისა და სასაქონლო მასალის მიხედვით.

საგარეო საძმეთა კოლეგია – უცხოეთის კოლეგია – ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულება რუსეთში, რომელიც ხელმძღვანელობდა საგარეო პოლიტიკას. დაწესდა 1720 წელს საელჩო უწყების (პრიკაზი) ნაცვლად. 1802 წლიდან ექვემდებარებოდა საგარეო საქმეთა სამინისტროს, სოლო 1832 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეორგანიზაციის შემდეგ გაუქმდა.

საგარნიზონო სამსახური – სამხედრო სამსახურის სახეობა ყოველ გარნიზონში. მისი მიზანია გარნიზონის პირად შემადგენლობაში სამხედრო დისციპლინის უსრულყოფა და საგარნიზონო ღონისძიებების გატარება (ჯარების პარადი, საპატიო ყარაული, ჯარების მონაწილეობა დემონსტრაციებსა და მიტინგებში და სხვა).

საგლეხო – (სამართლის ისტორია) – მიწათმფლობელობის სახეობა „გლეხთა საყვრი“ ადგილმამულიი ფეოდალურ საქართველოში. ფეოდალის ადგილმამულის გამოცალკევებული ნაწილი, რომელიც ხოდაბუნისა და ზერის განსხვავებით, გლეხებს გაიცემოდა. საგლეხო ნაწილობრივ საიჯარო იყო, ნაწილობრივ კი მემკვიდრეობით ფლობისა და საბატონო ბეგარის პირობით ცალკეულ კომლებზე ნაწილდებოდა. ამის გამო საგლეხო მამულადაც და საკომლოდაც იწერებოდა.

საგლეხო ბანკი – საგლეხო საადგილმამულო ბანკი – დაარსეს 1882, როგორც რუსეთის სახელმწიფოს საიპოთეკო ბანკი,

რომლის ამიერკავკასიის განყოფილება გაიხსნა თბილისში 1906. საგლეხო ბანკი მისნად ისახავდა ბატონყმური მეურნეობის შენარჩუნებასა და კულაკური მეურნეობის გავრცელებას.

საგლეხო კომლი – ერთობლივი სოფლის მეურნეობით დაკავშირებულ პირთა საოჯახო – შრომითი გაერთიანება. საგლეხო კომლი, როგორც განსაკუთრებული სოციალური ინსტიტუტი, კაპიტალიზმამდელ პერიოდში ჩამოყალიბდა და თემს უკავშირდება.

საბრაფო – 1. მემკვიდრეობითი ფეოდალური სამფლობელო ფეოდალიზმის ეპოქაში, რომლის სათავეში იდგა გრაფი. 2. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საოგიერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში.

სადაზღვევო მონოპოლიები, კაპიტალისტური ძვეშნებისა – კაპიტალისტური საფინანსო საკრედიტო სისტემის ერთ-ერთი მძლავრი რგოლი. სადაზღვევო საქმის განვითარებასა და ეკონომიკურად ცალკე დარგად მის გამოყოფაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა სამეცნიერო-ტექნიკურმა რევოლუციამ, რომელმაც უზრუნველყო ოპერაციების განსორციელების გრანდიოზული მასშტაბი და დაზღვევის ამ სახეების წარმოშობა.

სადაზვერვო საქმიანობა – საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მომართული უცხო ქვეყნების, ორგანიზაციათა და პირთა მოქმედებების, გეგმების, მიზნების, რეალური და პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენა ინფორმაციის მოპოვებით ან მისი ანალიზით, აგრეთვე, საგარეო კონტრდაზვერვითი საქმიანობის მეშვეობით. სადაზვერვო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია საქართველოს 1999 წლის 19 მარტის კანონით სადაზვერვო საქმიანობის შესახებ.

სადგური – 1. სახმელეთო ტრანსპორტის გაჩერების პუნქტი, აგრეთვე ამ პუნქტზე არსებული სპეციალური ნაგებობისა და მოწყობილობების ერთიანობა. 2. საგანგებოდ მოწყობილი საწარმო, რომლის დანიშნულებაა სისტემატური დაკვირვებებისა და კვლევის ჩატარება რაიმე სფეროში, განსაზღვრულ ტერიტორიაზე, მაგ.: მეტეოროლოგიური სადგური, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური და სხვა. 3. სატრანსპორტო საშუალებების გაწყობის პუნქტი.

სადემარკაციო ხაზი – (ფრანგ. გამიჯვნა, საზღვრის დადება) – 1. ხაზი (ზოლი), რომელიც დაზაფების დროს მეომარი სახელმწიფოების ჯარებს

გამოჯნავს მ'ელმიცი სახლერების დადგენამდე. 2. ხა'ხი, რომელიც დამარცხებ'ული სახელმ'იფოს ტერიტორიას საოკ'უპაციო ზონებად ყოფს. 3. მე'სობელ სახელმ'იფოთა შორის სადავო ტერიტორია'ზე დროებით დადგენილი ხა'ხი.

სადიაცო, ჩოფა, ჩოფის ძველნი – ხევს'ური ქალის კვართისებ'ური კაბა, კერავდნენ ადგილობრივად მოქსოვილი შალისაგან.

სადიზმი – სქესობრივი უკ'ულმართობა, რომელიც გამოიხატება მის'რაფებაში მორალ'ური და ფი'სიკური ტკივილი მიაყენოს პარტნიორს. (გადატანით) სხვისი წ'ამებით ტანჯვით სიამოვნების მიღება.

სადრაზამი – სადრი ა'სამ (არაბ. უმაღლესი მოხელე) – უმაღლესი თანამდებობის პირის (პირველი მინისტრის, მთავრობის მეთაურის) ტიტ'ული ოსმალთა იმპერიასა (XVI ს'უკ'უნიდან დიდი ვე'სირის ტიტ'ულის თანაბარია) და ირან'ში (XIX ს'უკ'უნიდან) გა'უქმდა XX ს'უკ'უნეში.

სადრომო – სამხედრო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთე'ული ფეოდალურ საქართველოში. სადრო'მოდან გამოყვანილი ჯარი ბრძოლის დროს ერთ სამხედრო ტაქტიკურ შენაერთს ქმნიდა, რომელსაც ასევე სადრო'მოს უ'ოდებდნენ.

სადუკევლები – ი'ედეველთა ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკურ-რელიგი'ური დაჯგ'უფება (იქ. წ. II ს'უკ. – ახ. წ. I ს'უკ. ბოლო). აერთიანებდნენ სამღვდელოებას, მი'ათმფლობელ და სამხედრო-მსახ'ურე'ულ დიდკაცობას.

საეკლესიო აზნაური – ეკლესიის (საკათალიკოსო და საეპარქიო საყდრები, დიდი მონასტრები) ვასალი ფეოდალი შუა ს'უკ'უნეების საქართველო'ში.

საეკლესიო სამართალი – ეკლესიის მიერ დადგენილი ან სახელმ'იფოსაგან სანქციონირებ'ული წ'ესების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ეკლესიის შინაგან სტრ'უქტ'ურასა და საეკლესიო ორგანი'ზაციას, მორწ'მუნეებსა და სახელმ'იფოს შორის ურთიერთობას. საეკლესიო სამართალი არ არსებობს იმ ქვეყნებში, სადაც ეკლესია გამოყოფილია სახელმ'იფოსაგან. საეკლესიო სამართალი განსხვავდება კანონიკ'ური სამართლისაგან. საეკლესიო სამართალი შეიძლება ისეთ ნორმებს შეიცავდეს, რომლებიც კანონიკ'ურ სამართალ'ში არ არის.

საეკლესიო ქორწინება – ეკლესია'ში დაქორწ'ინება რელიგი'ური წ'ესჩვე'ულებით. ზოგ ქვეყანა'ში (მაგ.: დიდი ბრიტანეთი) დაქორწ'ინების სამოქალაქო ფორმასთან ერთად დასაშვებია საეკლესიო ქორწ'ინებაც, ზოგ'ში

კი (მაგ.: ესპანეთი) საეკლესიო ქორწინება დაქორწინების აუცილებელი ფორმაა.

საელჩო – ერთი სახელმწიფოს მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა მეორე სახელმწიფოში, რომელსაც სათავეში უდგას ელჩი ან პირველი კლასის რომელიმე სხვა დიპლომატიური წარმომადგენელი. საელჩო სასამართლო რეჟიმი გათვალისწინებულია ვენის 1961 წლის კონვენციაში დიპლომატიურ ურთიერთობათა შესახებ.

საერთაშორისო ანგარიშსწორება – ანგარიშსწორება სხვადასხვა ქვეყნის საწარმოებს, დაწესებულებებს, ბანკებსა და ცალკეულ პირებს შორის. საერთაშორისო ანგარიშსწორება დაკავშირებულია საერთაშორისო ვაჭრობასთან, კრედიტთან, ინვესტიციებთან, სატრანსპორტო მომსახურებასთან ან, ტურიზმთან, სახელგარგარეთ დიპლომატიური წარმომადგენლობის შენახვასთან, დელეგაციების მიელინებებთან, აგრეთვე სახელგარეთ სახსრების (მოგება, პონორარი, პენსია, ალიმენტი და ა.შ.) გაგზავნის სხვა გზებთან. საერთაშორისო ანგარიშსწორების საშუალებებია: სატელეგრაფო და საფოსტო საგადასახდელო დავალება, ჩეკი, საინკასო დავალება, აკრედიტივი და სხვა.

საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი – 1930 შვეიცარიაში (ბაზელში) დააარსეს კაპიტალისტური ქვეყნების ცენტრალურმა და კერძო ბანკებმა. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის ფუნქციები შეზღუდულია; არ აქვს უფლება გამოუშვას ბანკნოტები, მისცეს სესხი მთავრობებს. იგი ყიდულობს და ყიდის ოქროს, უცხო ვალუტას, ობლიგაციებს, ასორციელებს კლირინგს ევროპის საგალუტო შეთანხმების ფარგლებში. არის საერთაშორისო საგალუტო ფონდისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის დამხმარე ორგანო. იგი შესანახად იღებს ოქროს ცენტრალური ბანკებისაგან, ცვლის მათთან კრედიტს ოქროს ან მოკლევადიან ვალდებულებათა გირავნობით.

საერთაშორისო დანაშაული – დანაშაული, რომელიც ხელყოფს სახელმწიფოთა არსებობის საფუძვლებს, არღვევს საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას. საერთაშორისო დანაშაულია აგრესია, სამხედრო დანაშაულები (სამხედრო ტყვეების წამება და მკვლელობა, ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის, დამონება, მძევლად აყვანა და ა.შ.), კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები (გენოციდი, აპარტეიდი, რასიზმი და

ა.შ.). საერთაშორისო დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც ომის, ისე მშვიდობიანობის დროს. პასუხისმგებლობა ასეთი დანაშაულობისთვის შეიძლება დაეკისროს სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, კერძო პირებს.

საერთაშორისო არხები – ღია ზღვების შემაერთებელი საერთაშორისო მნიშვნელობის ხელოვნური წყალსაყალი გზები, რომლებიც განლაგებულია განსაზღვრული სახელმწიფოების ტერიტორიების ფარგლებში, მათი ტერიტორიების განუყოფელ ნაწილს შეადგენს და სარგებლობს ექცევა სახელმწიფო ეროვნული კანონმდებლობის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ჩვეულებების შესაბამისად.

საერთაშორისო ასტრონომიული კავშირი – (საკ) სამეცნიერო კავშირების საერთაშორისო საბჭოში შემავალი სამეცნიერო საზოგადოება. შეიქმნა 1919. შედის 49 ქვეყანა. საკ-ის ძირითადი ამოცანებია: ასტრონომიული გამოკვლევებისათვის ხელშეწყობა, ამ დარგში საერთაშორისო კოოპერაციის ორგანიზება, ასტრონ. ინტერესია დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციები.

საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა – ცალკეულ ქვეყნებს, სახელმწიფოთა ჯგუფებს და ორ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას შორის მრავალმხრივი ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობის განვითარების ობიექტური პროცესი. საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძველია შრომის საერთაშორისო დანაწილება. იგი ემყარება სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის, თანასწორობისა და ურთიერთხელსაყრელობის პრინციპს, უფრო და უფრო აჩქარებს შრომის მსოფლიო დანაწილების პროცესს.

საერთაშორისო ვაჭრობა – მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საგარეო ვაჭრობის ერთობლიობა, აღმოცენდა მსოფლიო ბაზრის ჩასახვისა (XVI –XVIII სს.) და შრომის საერთაშორისო დანაწილების ბაზაზე. საერთაშორისო ვაჭრობა მჭიდროდ არის დაკავშირებული კაპიტალ-წარმოების წესის წარმოქმნასთან.

საერთაშორისო თავაზიანობა – (ლათ.) საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებული იურიდიულად არასავალდებულო წესები, რომლებსაც იყენებენ პრაქტიკული მისანშეწონილობის გამო ნაცვალგების საკითხებზე ან სახელმწიფოს სურვილით. (მაგ.: დიპლომატიური აგენტის ან მისი პირადი ბარგის განთავისუფლება საბაჟო შემოწმებისაგან ან საბაჟო გადასახადისაგან, თუ

ამის შესახებ არ არსებობდა შეთანხმება). საერთაშორისო სამართლის ნორმებისაგან განსხვავებით, საერთაშორისო თავაზიანობა იურიდიულად სავალდებულო არ არის. ამაუე დროს, მისი დაუცველობა შეიძლება განიხილონ, როგორც არამეგობრული აქტი, მაგრამ არასოდეს არ ჩაითვლება საერთაშორისო ვალდებულების დარღვევად და რეტორსიის ან რაიმე პრეტენზიის წაყენების საფუძვლად. იგი არ იწვევს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

საერთაშორისო ძერძო სამართალი – იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ საერთაშორისო ხასიათის სხვადასხვა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს; ისეთ ქონებრივ და მათთან დაკავშირებულ არაქონებრივ ურთიერთობებს, რომელთა მონაწილენი არიან უცხოელები, უცხო იურიდიული პირები, უცხო სახელმწიფოები ან რომელიც ამ ურთიერთობების ობიექტია საზღვარგარეთ მდებარე ნივთი. საერთაშორისო კერძო სამართლის სფეროს განეკუთვნება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა უცხოელების, უცხო იურიდიული პირებისა და შერეული საზოგადოებების სამართლებრივი მდგომარეობა, საკუთრივ უფლების, ვალდებულებითი (საგარეო-საჯარო გარიგებების), სამოქალაქო და სამემკვიდრეო, სამოქალაქო-საპროცესო საკითხები, უცხოელთა პროცესუალური უფლებები, სასამართლო დავალებანი. უცხო სასამართლოთა გადაწყვეტილებების აღსრულება, საგარეო-საჯარო და საზღვაო არბიტრაჟი და სხვა. მოქმედი საერთაშორისო კერძო სამართალი შედგება 14 თავისა და 4 დანართისაგან.

საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსი – საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს უმთავრესად სამომხმარებლო, საკრედიტო და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ეროვნულ-რეგიონალურ კავშირებსა და ფედერაციებს. საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის ხელმძღვანელი ორგანოებია: კონგრესი (იწვევენ 3–4 წელიწადში ერთხელ), ცენტრალური კომიტეტი (იწვევენ ყოველწლიურად), აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც შედგება საერთაშორისო კოოპერაციული ალიანსის პრეზიდენტის, ორი ვიცე-პრეზიდენტისა და ცამეტი წევრისაგან. მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექცია და სამდივნო, მისი აღგილსამყოფელია ლონდონი.

საერთაშორისო კრედიტი – საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების პროცესში ფულად და მატერიალურ საშუალებების მოძრაობის ერთ-ერთი ფორმა. საერთაშორისო

კრედიტს აძლევენ ერთი ქვეყნის სახელმწიფო ბანკები, იურიდიული და ფიზიკური პირები სხვა ქვეყნის სახელმწიფო ბანკებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს იმ პირობით, რომ გამოიყენებენ მიზნობრივად, დააბრუნებენ განსაზღვრული დროის განმავლობაში და გადაიხდიან პროცენტს.

საერთაშორისო ლენინური პრემია „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ – საპატიო ჯილდო, რომელსაც ხალხთა შორის მშვიდობისათვის ბრძოლაში დიდი დამსახურების გამო ანიჭებდნენ ყველა ქვეყნის მოქალაქეს, განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებისა, პარტიულობისა, რელიგიური მწამსისა და რასობრივი განსხვავებულობისა. იმ პირს, რომელიც მიიღებდა ამ პრემიას, გადაეცემოდა საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის დიპლომი, ოქროს მედალი ვ. ი. ლენინის გამოსახულებით და 25 000 მანეთის ფულადი ჯილდო. პრემიის მინიჭების შესახებ ცნობა ქვეყნდებოდა ყოველი წლის 1 მაისს.

საერთაშორისო მართლმსაჯულების პალატა – საერთაშორისო სასამართლო ორგანო, რომელიც შეიქმნა ქალაქ ჰააგაში ერთა ლიგის წესდების მე-14 მუხლისა და 1920 წ. 16 დეკემბრის შეთანხმების ძალით, სახელმწიფოთა შორის წამოჭრილი დავის მშვიდობიანი, სასამართლო განხილვის მიზნით. პალატა შედგებოდა ერთა ლიგის საბჭოსა და ასამბლეის მიერ 9 წლით არჩეული ჯერ 11, ხოლო შემდგომ 15 მოსამართლისაგან. პალატას ექვემდებარებოდა მხოლოდ იმ დავის განხილვა, რომელსაც მოდავე სახელმწიფოები ნებაყოფლობით გადასცემდნენ მას. ისევე როგორც ერთა ლიგამ, პალატამაც ვერ შეასრულა მშვიდობის დაცვის ეფექტური ინსტიტუტის როლი და 1940 შეწყვიტა არსებობა.

საერთაშორისო მეტროლოგიური ორგანიზაციები – საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე შექმნილი ორგანიზაციები, რომელთა დანიშნულებაა ფიზიკურ სიდიდეთა ძირითადი ერთეულების განსორციელება და შენახვა, აგრეთვე საზომთა საერთაშორისო ერთიანობის მიღწევა.

საერთაშორისო მონოპოლიები – მსხვილთა კაპიტალისტური მეურნეობის ერთ ან რამდენიმე დარგში გაბატონებული კერძო კაპიტალისტური ფირმები, რომელთაც საშუალებას აქვთ აქტიური ან სხვადასხვა ეროვნული კუთვნილების ფირმების კავშირი.

საერთაშორისო ორგანიზაცია – სახელმწიფოს ან არასამთავრობო ეროვნული სა-

სოგადოებების (ასოციაციების) გაერთიანებანი, რომელთა საქმიანობას საფუძვლად უდევს დამფუძნებელი აქტი (წესდება); წესდება განამტკიცებს ამ ორგანიზაციის საერთო მიზნებს, კომპეტენციას, ორგანოთა სისტემას, საქმიანობის წესს და სხვა. საერთაშორისო ორგანიზაციების მიზნები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს. დღეს იგი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია. ესენია: მთავრობათაშორისო, არასამთავრობო, საერთო კომპეტენციის, სპეციალური კომპეტენციის, უნივერსალური და რეგიონალური. საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავს გაეროს, რადგან იგი დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო მშვიდობის დაცვისა და სხვადასხვა სფეროში. სახელმწიფოთა თანამშრომლობის განვითარებისათვის ხელის შეწყობის საქმეში.

საერთაშორისო პოლარული წელი – პერიოდი, რომლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები ერთდროულად, ერთიანი პროგრამითა და მეთოდიკით ატარებდნენ გეოფიზიკურ დაკვირვებებს არქტიკაში.

საერთაშორისო სავალუტო ფონდი – (სსფ) საერთაშორისო სავალუტო ორგანიზაცია, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებული დაწესებულების სტატუსი აქვს მინიჭებული. წესდების თანახმად, სსფ-მა უნდა უზრუნველყოს ქვეყნებს შორის სავალუტო – საანგარიშწორებო ურთიერთობის მოწესრიგება, მასში შემავალი ქვეყნების საგადასახდელო ბალანსირების წონასწორობა და მათი ვალუტის კურსის რეგულირება. წამყვანი როლი მას სსფ-ში დოლარის პოზიციის განსამტკიცებლად იყენებს.

საერთაშორისო საინვესტიციო ბანკი – სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო ბანკი, შეიქმნა 1970 იანვარში წევრი ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების განვითარებისა და გაღრმავების, მშენებლობისათვის საჭირო რესურსების გამოყენებაში შეთანხმებისა და მისი კონცენტრაციის მიზნით. ბანკის ძირითადი ამოცანა იყო გრძელვადიანი (15 წლამდე) და საშუალოვადიანი (5 წლამდე) კრედიტების გაცემა იმ ღონისძიებებისათვის, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო შრომის დანაწილებასთან, წარმოების სპეციალიზაციასა და კოოპერირებასთან, ნედლეულისა და საბობის ბაზის გაფართოებასთან, მთელი თანამეგობრობის ქვეყნების ინტერესებისათვის.

საერთაშორისო სამართალი – (საჯარო) – იურიდიული ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს. სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობანი პირველი სახელმწიფოების შექმნისთანავე დამკვიდრდა. ყოველ ისტორიულ ეპოქაში ამ პერიოდისათვის ტიპობრივი საერთაშორისო ნორმები არსებობდა. მონათმფლობელობის დროიდან გვხვდება საერთაშორისო სამართლის ისეთი ნორმები, რომლებიც განამტკიცებდნენ ელჩთა ხელშეუხებლობასა და ექსტერიტორიულობას, დადებულ ხელშეკრულებათა ურღვევობას, ომის გამოცხადებასა და სხვა საკითხებს. ფეოდალიზმის ეპოქაში ეს ინსტიტუტები კიდევ უფრო განვითარდა – შეიქმნა მჭიდრო დიპლომატიური წარმომადგენლობანი, ჩამოყალიბდა საკონსულო სამართალი. ღია ზღვის თავისუფლების პრინციპი და ა. შ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი შედგება 15 თავისა და 4 დანართისგან.

საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა – სამართლებრივი შედეგი, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმის დარღვევით. პასუხისმგებლობა შეიძლება გამოწვეული იყოს სახელმწიფო ორგანოების (თანამდებობის პირების) მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით (ელჩის წარევა უცხო სახელმწიფოს საშინაო საქმეებში, ხელშეკრულების ან ვალდებულების პირობების შეუსრულებლობა ან სხვა) ან უმოქმედობით (მაგ.: სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა უმოქმედობა საელჩოზე თავდასხმის დროს). სახელმწიფოს მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო აქტი ორ ჯგუფად იყოფა: საერთაშორისო დანაშაულებად და სხვა მართლსაწინააღმდეგო აქტებად.

საერთაშორისო დანაშაული ისეთი მართლსაწინააღმდეგო აქტია, რომელიც ემუქრება საერთაშორისო მშვიდობას.

სხვა მართლსაწინააღმდეგო აქტად შეიძლება ჩაითვალოს ისეთი მოქმედება, ან უმოქმედობა, რომელიც მეტნაკლებად სერიოზულ ზიანს აყენებს რომელიმე სახელმწიფოს, მაგრამ არსებითად მშვიდობისა და უშიშროების პრინციპებს არ არღვევს.

განასხვავებენ საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ორ სახეს: მატერიალურ პასუხისმგებლობას, რაც სახელმწიფომ მოვალეა აანაზღაუროს მის მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი (რესტიტუცია, რეპარაცია) და პოლიტიკურ

პასუხისმგებლობას. პოლიტიკურ პასუხისმგებლობას არ აქვს მატერიალური ხასიათი; ასეთია: სინანულის გამოცხადება, ბოდიშის მოხდა, დამნაშავე პირის დასჯა და სხვა. სანქციური ანუ დამნაშავე სახელმწიფოს მიმართ იძულებითი ზომების გამოყენება პოლიტიკური პასუხისმგებლობის უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს. სანქციების გამოყენების უფლება ძირითადად გაეროს ეკუთვნის.

საერთაშორისო სახელმწიფო-მონოპოლისტური გაერთიანება – საერთაშორისო მონოპოლიების გაერთიანება სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების ბაზაზე. საერთაშორისო სახელმწიფო-მონოპოლისტური გაერთიანება შეიქმნა II მსოფლიო ომის შემდეგ, რაც გორც უმსხვილეს მონოპოლიებს შორის მსოფლიოს ეკონომიკური განაწილების ახალი ფორმა.

საერთაშორისო სიგნალების კრებული – (სსკ) სხვადასხვა სახელმწიფოს საზღვაო გემებს შორის, აგრეთვე გემებსა და სანაპირო სასიგნალო სისტემებს შორის მოსალაპარაკებელი სიგნალების კრებული. სსკ-ით მოლაპარაკებისას სიგნალების გაცვლის საშუალებებით გადაიცემა ასოთა კომბინაცია. 1932 რადიოსატელეგრაფო კავშირის საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ სსკ-ის კრებული, რომელიც ორი ტომისაგან შედგებოდა. პირველ ტომში მოცემულია სიგნალები ვიზუალური კავშირისათვის (დროშებით, სემაფორებით, შუქით), მეორეში კი – კოდირებული რადიოსატელეგრაფო კავშირისათვის.

საერთაშორისო სოციოლოგიური ასოციაცია – (სსა) – იუნესკოს მფარველობის ქვეშ არსებული ორგანიზაცია, შეიქმნა 1949. აერთიანებს, როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ წევრებს. სსა-ის კოლექტიური წევრებია ეროვნული და რეგიონალური სოციოლოგიური ორგანიზაციები. სსა-ის მუდმივმოქმედ კომიტეტებს სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შედეგები განსახილველად გამოაქვთ საერთაშორისო სოციოლოგიურ კონგრესზე (იწვევენ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ). კონგრესი ისმენს ანგარიშს და ირჩევს ახალ ხელმძღვანელს.

საერთაშორისო სტატისტიკა – ეკონომიკური სტატისტიკის დარგი, რომელიც აანალიზებს და ერთმანეთს უპირისპირებს სხვადასხვა ქვეყნის, მსოფლიო მეურნეობის (ცალკეული სოციალური სისტემებისა და მსოფლიოს მასშტაბით არსებულ სტატისტიკურ მასალებს. საერთაშორისო სტატისტიკის ორგანოთა ძირითადი ამო-

ცანაა მეთოდ. მუშაობის სრულყოფა, შესაბამისობა, სტატისტიკურ მონაცემთა შესადარისობა, მაჩვენებელთა სისტემის შემუშავება, მეურნეობის თანამედროვე დარგობრივი კლასიფიკაციის შემუშავება, ცხოვრების დონის ამსახველი მაჩვენებლების დადგენა და სხვა.

საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია – რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (რგსბ). შეიქმნა 1956. განვითარებადი წევრი ქვეყნების კერძო სექტორში კაპიტალდაბანდების მიზნით. საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია არ მოითხოვს სახელმწიფოებისგან გარანტიას, მაგრამ კრედიტის გაცემის აუცილებელი პირობაა ფინანსირებულ პროექტში ადგილობრივი ან საზღვარგარეთის კერძო კაპიტალის მონაწილეობა 50%-ის მოცულობით. კრედიტის მიცემის ვადაა 5-დან 15 წლამდე. მართავს ხელმძღვანელი ორგანოები. აქვს სარეზერვო ფონდი, უშვებს ობლიგაციებს და ა. შ.

საერთაშორისო ჩვეულებები – სახელმწიფოთა საერთაშორისო პრაქტიკით დამკვიდრებული წესი, რომელიც ოფიციალურად საყალდებულოდ ითვლება. საერთაშორისო ჩვეულებები საერთაშორისო სამართლის წყაროა, თუმცა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში საერთაშორისო ხელშეკრულება ზე ნაკლებმნიშვნელოვანია.

საერთაშორისო ხელშეკრულება – სახელმწიფოთა ან საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტთა შეთანხმება პოლიტიკურ-ეკონომიკურ თუ სხვაგვარ ურთიერთობებში მათი ურთიერთუფლებებისა და მოვალეობების შესახებ. საერთაშორისო ხელშეკრულება საერთაშორისო სამართლის ძირითადი წყაროა. მოიცავს რაოდენობის მიხედვით საერთაშორისო ხელშეკრულება არის ორმხრივი და მრავალმხრივი, ღია ან დახურული, იმის მიხედვით, დასაშვებია თუ არა მასთან სხვა სახელმწიფოების შეერთება. საერთაშორისო ხელშეკრულებისათვის ტიპიურია წერილობითი ფორმა, გვხვდება ზეპირიც (ვერბალური შეთანხმება). საერთაშორისო ხელშეკრულების ელემენტებია: 1. პრეამბულა (მიზანი, მხარეთა დასახელება). 2. ძირითადი ნაწილი (კონკრეტული დადგენილებანი რეგულირებულ ურთიერთობათა არსის შესახებ). 3. დასკვნა (მოქმედების ვადა, დეპონირების და პროლონგაციის წესი). მოქმედების ვადის მიხედვით არის ვადიანი და უვადო. უვადოს განეკუთვნება ისეთი ხელშეკრულება, რომელიც საერთაშორისო სამართლის ზოგად ნორმებს ქმნის (მაგ.: ბირთ-

ვალი იარაღის აკრძალვის ხელშეკრულება). მოქმედების ვადა შეიძლება გაგრძელდეს როგორც მისი მოქმედების ვადის დამთავრებამდე (პროლონგაცია), ისე შემდეგაც ე. ი. მისი მოქმედება შეწყდება მისი ვადის გასვლით (ვადის გასვლამდე მხარეთა ურთიერთთანხმობით) დენონსაციის წესით.

ორმხრივი ხელშეკრულება დგება შემთანხმებელ სახელმწიფოთა ენებზე. გაეროს ეგიდით დადებული მრავალმხრივი ხელშეკრულებანი დგება ესპანურ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ და ჩინურ ენებზე. ხელმოწერა – დამამთავრებელი სტადიაა, რომლის დროსაც შეიძლება რამე ცვლილების შეტანა რომელიმე დებულების თაობაზე. იგი სხვადასხვა სახელწოდებით გვხვდება: კონვენცია, პაქტი, კომუნიკე, შეთანხმება, ოქმი, ხელშეკრულება, ამ სახელწოდებათა შორის განსხვავებას იურიდიული მნიშვნელობა არ აქვს. საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საერთაშორისო ხელშეკრულების დაცვას. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის თანახმად, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. საერთაშორისო ხელშეკრულების დადებისა და გაუქმების წესი განსაზღვრულია საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონით საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ.

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი – საერთაშორისო სასამართლო, რომელიც შეიქმნა 1945 წლის 8 აგვისტოს ფაშისტური გერმანიისა და მის მხარეზე მებრძოლ სამხედრო დამნაშავეთა განსჯისა და დასჯის მიზნით. ასეთივე ტრიბუნალი შეიქმნა 1946 წლის 19 იანვარს იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა საქმის განსახილველად.

საერთო საკუთრება – ორ ან რამდენიმე პირის უფლება რაიმე ქონებაზე. საერთო საკუთრება შეიძლება იყოს პირადი (მაგ.: როცა ორ მოქალაქეს საერთო საკუთრებად აქვს ერთი სახლი) ან საზოგადოებრივი (მაგ.: საკოლმეურნეობათაშორისო საკუთრება). განასხვავებენ წილად და თანაბარ საერთო საკუთრებას. წილადი საკუთრების დროს თითოეული თანამესაკუთრე ვალდებულია მისი წილის კვალობაზე მიიღოს მონაწილეობა საერთო ქონების ყოველგვარი გაღახარჯების თუ მოსაკრებლების გასტუმრებაში, აგრეთვე ამ ქონების მართვისა და შენახვის ხარჯებში. საერთო წილადი საკუთრების ყოველ მონაწილეს შეუძლია მისი წილის გასხვისება (სხვა მო-

ნაწილებს აქვთ ამ წილის შესყიდვის უპირატესი უფლება). წილთა განუსაზღვრელი საკუთრების დროს თანამესაკუთრეები ფლობენ, სარგებლობენ და განკარგავენ მთელ ქონებას ერთობლივად. (სკ. მუხ. 173).

„საერთო ხელშეკრულება“ 1952, ბონის ხელშეკრულება – სუპარატიული ხელშეკრულება, ერთი მხრივ აშშ-ს, დიდი ბრიტანეთს, საფრანგეთსა და მეორე მხრივ, გფრ-ს შორის. „საერთო ხელშეკრულებამ“ გაამოაცხადა გფრ-ის okupაციური რეჟიმის გაუქმება და სუვერენიტეტი, მაგრამ არსებითად ხელშეკრულება სლუდაყდა გფრ-ის სუვერენიტეტს.

საერთო სასამართლოები – საქართველოს საერთო კომპეტენციის სასამართლოები, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულებას. საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააღქო სასამართლო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები, საქართველოს უზენაესი სასამართლო. საერთო სასამართლოების სისტემა და ორგანიზაცია განსაზღვრულია საქართველოს 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონით საერთო სასამართლოების შესახებ.

საერისთავო – საისტორიო – სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტერმინით აღნიშნავენ ძველი საქართველოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელსაც განაგებდა ერისთავი.

საეროგო კრებები – სამაზრო და საგუბერნიო, ერობის დაწესებულებების საგანმგებლო ორგანოები რუსეთში 1864–1917, რომელიც ყოველ სამ წელიწადში ირჩეოდა საეროგო გამგეობებს, აკონტროლებდა მათ მუშაობას, ამტკიცებდა საეროგო ბიუჯეტს. საეროგო კრებების თავმჯდომარე იყო თავადაზნაურობის წინამძღოლი, საეროგო კრებებში უმრავლესობას თავადაზნაურობა წარმოადგენდა.

საეროგო მედიცინა – სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების სისტემა, რომელიც ორგანიზებული იყო რუსეთში საეროგო თვითმმართველობის მიერ. 1864 რუსეთის გუბერნიებსა და მაზრებში შეიქმნა ახალი არასამთავრობო ორგანოები – ერობები, რომლებიც განაგებდნენ მხოლოდ სამეურნეო და კულტურულ საკითხებს, მაშასადამე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას.

საეროგო რეფორმა 1864 – საგუბერნიო და სამაზრო დაწესებულების განაწესი – ბერეულა-ხელი რეჟისორმა, რომელიც გამოქვეყნდა იყო რუსეთის თვითმპყრობელური წყობილების კაპიტალ. განვითარების მოთხოვნებისა-

თვის მისადაგების საჭიროებით, ცარი'სმის მისწრაფებით – თავის მხარეზე მიე'ხიდა ლიბერალები რეაოლუციური მოძრაობასთან ბრძოლა'ში. საერობო რეფორმის საარჩევნო სისტემის საფუძველს შეადგენდა ქონებრივი ცენზი და წოდებრიეი საწყისი.

საერობო სტატისტიკა – წარმოი'შვა XIX საუკუნის მეორე ნახევარში და არსებობდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე. საერობო სტატისტიკას განაგებდნენ რუსეთის საგუბერნიო და სამაზრო საერობო გამგეობებთან არსებული სტატისტიკის ორგანოები, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკის გარდა სწავლობდნენ გლეხთა და სამეწარმეო მეურნეობებს, სატყეო მეურნეობას, გზების მდგომარეობას, დაზღვევას, განათლებას, საოჯახო ბიუჯეტის საკითხებს.

საერობო ჟრილობები – ცენტრალური წოდებრივ-წარმომადგენლობითი დაწესებულებები რუსეთ'ში XVI–XVII საუკუნეებ'ში. იკრიბებოდა არალეგალურად მთავრობის ძირითადი ღონისძიებების სანქციონირებისათვის, ი'შვიათად – მეფის არჩევის შემთხვევაში.

საეკონომო-შრომითი ექსპერტიზა – ავადმყოფის სამედიცინო გამოკვლევა მისი შრომისუნარიანობის დადგენის ხარისხისა და მი'სე'სების დასადგენად, რომელსაც ახორციელებს საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისია. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის დადგენილების საფუძველზე წყდება პენსიის ან დახმარების დანიშვნა და მისი ოდენობის განსაზღვრის, დასახიჩრებით გამოწეული დანაკლისის ანაზღაურებისა და სხვა საკითხები. საბუთი ფორმდება მოწმობის სახით, რომელიც ეძლევა ინვალიდს.

საექსპორტო კრედიტი – კრედიტი, რომელსაც ექსპორტიორი ფირმები, ბანკები ან მთავრობები აძლევენ უცხოეთის საწარმოებსა და სახელმწიფოებს ექსპორტიორ ქვეყანაში საქონლის შესატანად. საექსპორტო კრედიტი ძირითადად ორი სახისაა: 1. მიმწოდებლის კრედიტი და 2. მყიდველის კრედიტი, ანუ ფინანსური კრედიტი. პირველი უმთავრესად მოკლევადიანია და იყენებენ ნელფუძლისა და სამომხმარებლო საქონლით ვაჭრობისას, მეორე ხა'ნგრძლივი და გრძელვადიანია, იყენებენ უმთავრესად ძირითადი ფონდების შესაძენად.

საბადო – საბ'უთის პირი XVII–XVIII საუკუნეების საქართველო'ში. სულხან საბა ორბელიანის განმარტებით, 'უსტარის „გადანაწერს“ ეწ'ოდება.

საბალდებულო ცალი – სახელმწიფო'ში გამოცემული ყოველი ბეჭდვითი ნაწარმოების ცალი, რომელსაც სტამბა ან გამომცემლობა კანონმდებლობით დადგენილი წესის საფუძველზე

უგზავნის ქვეყნის უმნიშვნელოვანეს ბიბლიოგრაფიულ დაწესებულებებსა და ბიბლიოთეკებს ბეჭდვითი პროდუქციის ცენტრალიზებული რეგისტრაციის მიზნით.

საშვალუტო ბაზარი – კაპიტალიზმის დროს ეკონომიკური ურთიერთობის განსაკუთრებული სფერო, რომელშიც ხორციელდება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა (გაცვლა) და ოპერაციები უცხოური ვალუტით გამოწერილი საგადასახდელო დოკუმენტები (ჩეკი, თამასუქი, აკრედიტივი და სხვა). მსოფლიო საფასიანო ბაზარი მოიცავს სხვადასხვა ქვეყნის ბანკების კორესპონდენტულ კავშირებს და წარმოადგენს საერთაშორისო ფულადი ანგარიშსწორების განხორციელების მექანიზმს. რეჟიმის სახეობის მიხედვით განასხვავებენ თავისუფალ და არათავისუფალ საფასიანო ბაზარს. იმ ქვეყნებში, სადაც საფასიანო შესყიდვებია, წარმოიშობა არალეგალური „შავი“ საფასიანო ბაზარი.

საშვალუტო ბლოკები – კაპიტალისტური ქვეყნების დაჯგუფებები, რომელთა მთავარი ქვეყნის ვალუტა იქვემდებარებს სხვა მონაწილე ქვეყნების ვალუტებს. საფასიანო ბლოკების მიზანი იყო საფასიანო სისტემის წინააღმდეგობათა დაძლევა, თუმცა მეთაური ქვეყნები მას იყენებდნენ საფასიანო-ეკონომიკური პეგემონიისათვის. ძირითადი საფასიანო ბლოკი იყო სტერლინგის, დოლარისა და ოქროსი. სტერლინგის ბლოკი შეიქმნა 1931, დიდ ბრიტანეთში ოქროს სტანდარტის გაუქმების შემდეგ. დოლარის ბლოკი შეიქმნა 1933, ოქროს სტანდარტის გაუქმების შემდეგ. 1936 ბლოკი საბოლოოდ დაიშალა.

საშვალუტო დათმობა – პირობა, რომელიც ჩართულია საერთაშორისო საკრედიტო, საგადასახდელო და სხვა შეთანხმებასი ან საგარეო-სავაჭრო კონტრაქტში იმისათვის, რომ დაზღვიოს მხარეები ვალუტის კურსის ცვლილებების გაანგარიშებისაგან.

საშვალუტო დანაშაული – დანაშაული, რომელიც ხელყოფს სახელმწიფოს ფულად და საკრედიტო სისტემას. საფასიანო დანაშაულად ითვლება საფასიანო ოპერაციების წარმოების წესების განსრახ დარღვევა, აგრეთვე საფასიანო ფასეულობებით და ფასიანი ქაღალდებით სპეკულაცია. მაგ.: სახელმწიფო ბანკისა და მისდამი რწმუნებული დაწესებულებების გარეშე უცხოეთის ნაღდი ვალუტის, უცხოეთის ვალუტით გამოწერილი საგადასახადო დოკუმენტების, ძვირფასი ქვების ან ძვირფასი ქვების ნაკეთობებისა და ფასიანი ქაღალდების ყიდვა, გაყიდვა, გაცვლა,

გადასახადში მიღება, საზღვარგარეთ გატანა ან შესყიდვა-გაყიდვა მოგების მიზნით. სავალუტო დანაშაულისთვის კანონი ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სხვადასხვა ვადებით.

სავალუტო ზონები – კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სავალუტო დაჯგუფებანი წარმოიშვა II მსოფლიო ომის დროს და მას შემდეგ ომამდელი სავალუტო ბლოკების ბაზაზე და საერთაშორისო სავალუტო ურთიერთობების დარგში ახორციელებენ შეთანხმებულ პოლიტიკას. თითოეულ ზონას ესა თუ ის კაპიტალისტური სახელმწიფო მეთაურობს. სავალუტო ზონებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სტერლინგის, დოლარისა და ფრანგული ფრანკის ზონები.

სავალუტო კანონმდებლობა – საფინანსო სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც სახელმწიფოს მიერ სათანადო რეშენებით აღჭურვილ საკრედიტო დაწესებულებათა საშუალებით არეგულირებს ყველა საერთაშორისო ანგარიშსწორებას, აგრეთვე ქვეყანაში სავალუტო ფასეულობებით ოპერაციებს – უცხოური ნაღდი ვალუტით, ძვირფასი ლითონით და სხვა. სავალუტო კანონმდებლობის მნიშვნელოვანი პრინციპია ქვეყანაში უცხოური ვალუტის საგადამხდელო საშუალებად გამოყენების აკრძალვა. კანონმდებლობით დადგენილი სავალუტო მონოპოლია მიზნად ისახავს სახელმწიფოს ხელში მოუყაროს თავი ყველა სავალუტო რესურსს მისი რაციონალური გამოყენებისა და სავალუტო ფასეულობებთან დაკავშირებული გარიგებების დადების საგამონაკლისო უფლებას. სავალუტო ოპერაციათა წესის დარღვევა და სავალუტო ფასეულობებით სპეკულაცია ისჯება კანონით.

სავალუტო კრიზისი – კაპიტალიზმის ფულად-საკრედიტო სისტემის კრიზისი, გამოიხატება ოქროს სტანდარტის მსხვრევით, ინფლაციური ქაღალდის ფულის ბრუნვაზე გადასვლით და მოიცავს როგორც ცალკეული კაპიტალისტური ქვეყნების საშინაო ბრუნვის სფეროს, ისე საერთაშორისო ანგარიშსწორებას.

სავალუტო კურსი – საათამასუქო კურსი – ერთი ქვეყნის ფულის ერთეულის ფასი, გამოხატული მეორე ქვეყნის ფულის ერთეულით. სავალუტო კურსის დონე განისაზღვრებოდა ოქროს პარიტეტით. ქაღალდის ფულის მიმოქცევის დროს სავალუტო კურსის რყევა, რაც საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობითაა განპირობებული, მიმდინარეობს ოქროს წერტილების ფარგლებში. სავალუტო კურსის დონე დამოკიდებულია ფულის მსყიდვე-

ლობით უნარიანობაზე, აგრეთვე მოცემული ვალუტის მოთხოვნა-მიწოდებაზე. ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია ქვეყნის საგადასახდელო ბალანსის მდგომარეობასთან.

საგალუტო მონოპოლია – სახელმწიფოს ხელშეუვალი უფლება განახორციელოს ოპერაციები საგალუტო ფასეულობით. საგალუტო მონოპოლია განუყოფლადაა დაკავშირებული საგარეო ვაჭრობის მონოპოლიასთან და მასთან ერთად აღმოცენდა (1918). კანონით სახელმწიფო ბანკს ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ვალუტითა და საგალუტო ფასეულობებით გარიგების განხორციელების ხელშეუვალი უფლება აქვს.

საგალუტო პოლიტიკა – იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომელსაც სახელმწიფო და ცენტრალური ბანკები ახორციელებენ ფულის მიმოქცევასა და საგალუტო ურთიერთობის სფეროში და რომლითაც ზემოქმედებენ ფულის მსყიდველობით უნარზე, საგალუტო კურსსა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკაზე.

საგალუტო რეგულირება – საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი ფორმა; ვალუტით საერთაშორისო ანგარიშსწორებისა და საგალუტო ფასეულობებით შესრულებული ოპერაციების განხორციელების რეგლამენტაცია.

საგალუტო რეზერვი – უცხოური ვალუტისა და ოქროს მარაგი, რაც ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობის ორგანოებსა და ცენტრალურ ბანკებს აქვთ საერთაშორისო ანგარიშსწორებისათვის. კერძოდ საგარეო ვაჭრობის, ინვესტიციებისა და სხვა საგადასახდელო ოპერაციათა ჩატარებისას. ოქრო, როგორც მსოფლიო ფული, ასრულებს ძირითადი საგალუტო რეზერვის როლს, რამდენადაც მისი გადაქცევა ნებისმიერ უცხოურ ვალუტად თავისუფლად ხორციელდება. საგალუტო რეზერვი საერთაშორისო ანგარიშსწორებაში მაშინ ჩაერთვება, როდესაც გადასახდელი აჭარბებს შემოსულ თანხას.

საგალუტო სისტემა – ფულადი ურთიერთობის ორგანიზაციის ფორმა, რომელიც მოიცავს საშინაო ფულადი, საკრედიტო მიმოქცევისა და საერთაშორისო ანგარიშსწორების სფეროს.

საგალუტო შეზღუდვა – ნორმატიული წესების სისტემა, რომელსაც კაპიტალისტური სახელმწიფოები კანონმდებლობით, ადმინისტრაციულად აღგენენ და რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული და უცხოური ვალუტებით, ოქროთი და სხვა საგალუტო ფასეულობებით განსა-

ხორციელებელ ოპერაციათა შესრულების.

საკაჭრო ავტომატი – მოწყობილობა, რომელიც გასცემს საქონელს მონეტების ან სხვათა მიღების შემდეგ. ამასთან ერთად დამოუკიდებლად ასრულებს ყველა სამუშაო და დამხმარე პროცესსა და მოძრაობას.

საკაჭრო ბალანსი – ბალანსი, რომელიც ასახავს ამა თუ იმ ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის ღირებულების თანაფარდობას დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (ჩვეულებრივ, ერთ წელიწადში). მასში აღნუსხავენ იმ საქონლის ღირებულებას, რომელიც ამ პერიოდში სახელმწიფოთა შორის სასაქონლო მიმოქცევაშია ჩართული, ნაღდი ანაზღაურებით იქნება ეს, კრედიტის ანგარიშში თუ სამთავრობო დახმარების ან საჩუქრის სახით.

საკაჭრო ზღვაოსნობის კოდექსი – საერთო საკაჭრო კანონი, რომელიც აწესრიგებს საკაჭრო ზღვაოსნობისას წარმოქმნილ ურთიერთობებს. „საკაჭრო ზღვაოსნობაში“ იგულისხმება ის საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია გემების გამოყენებასთან მგზავრების გადასაყვანად, ტვირთის, ბარგის და ფოსტის გადასაზიდად, ზღვაზე თევზის რესურსისა და სხვა სარესურსათაების, სანარგებლო წიაღისეულთა მოსაპოვებლად, საბუქსირო, ყინულსატეხი ან მაშველი ოპერაციებისა და აგრეთვე სხვა სამეურნეო, მეცნიერული და კულტურული მიზნებისათვის. კოდექსში ძირითადი ადგილი უჭირავია ტვირთისა და მგზავრების გადაზიდვა-გადაყვანის წესებს და აგრეთვე საერთო ავარიების, გემთა დაჯახებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების, გემის მფლობელთა პასუხისმგებლობის და სხვა მარეგულირებელ ნორმებს.

საკაჭრო კაპიტალი – მიმოქცევის სფეროში მოთავსებული კაპიტალი. წარმოების პროდუქტი მიმოქცევაში მხსა სახით შედის, ამდენად აქ გაწეული ხარჯების მხოლოდ ის ნაწილია მწარმოებლური, რომელიც დაასრულებს პროდუქციის შექმნასა და მომხმარებლამდე მიტანას. საქონლის რეალიზაციასთან უშუალოდ დაკავშირებული ყოველგვარი ხარჯი კი პროდუქტს არაფერს მატებს და, მასაშადამე, არც ღირებულებას ქმნის. ამიტომ ამ სფეროში მოსაქმეთა შემოსაველის წყაროა წარმოების სფეროში დახარჯული შრომა და ამით შექმნილი ღირებულება.

საკაჭრო კომპანიები – კაჭრთა მოსახლეობრივი ორგანიზაციები, რომლებიც უპირატესად საგარეო კაჭრობას ეწევიან. საკაჭრო კომპანიებში უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება ის მო-

ნოპოლიური საეჭვო გაერთიანებები, რომლებიც წარმოშვა მსოფლიო ბაზრის განვითარებამ შორეულ წარსულში და განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა ფეოდალიზმის რღვევის პერიოდში.

საჯაჭრო მოგება – მოგება, რომელიც მიიღება საქონლის მიმოქცევის სფეროში საქონლის შესასყიდ და გასაყიდ ფასებს შორის სხვაობით. საეჭვო მოგების მთავარი წყაროა ის სედმეტი შრომა, რომელსაც ხარჯავს უშუალო მწარმოებელი საქონელის დამზადების პროცესში.

საჯაჭრო მონოპოლიები – კაპიტალისტური ქვეყნებისა – საეჭვო ორგანიზაციები, რომლებმაც თავიანთ ხელში მოუყარეს თავი ამა თუ იმ სახის საქონლის ან საქონელთა ჯგუფის გასაღების იმდენად დიდ ნაწილს, რომ შესძლებდეს თავისუფალი კონკურენცია და გაბატონდნენ ბაზარზე.

საჯაჭრო პალატა – საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც დახმარებას უწევს სხვადასხვა ქვეყანას შორის ეკონომიკურ, განსაკუთრებით საგარეო საეჭვო ურთიერთობათა განვითარებას. ყოველ ქვეყანაში საეჭვო პალატის სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს მისი წესდება. 1920 დაარსდა საერთაშორისო უმთავრობო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს (1982) 100 ქვეყნის საქმიან წრეებსა და ცალკეულ ფირმებს. მისი ძირითადი ამოცანაა ქვეყნებს შორის საეჭვო პირობების გაუმჯობესება და საერთაშორისო ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა.

საჯაჭრო სამართალი – ბევრ ბურჟუაზიულ ქვეყნაში სამართლის დამოუკიდებელი დარგი, რომელიც სამოქალაქო სამართალთან ერთად აწესრიგებს სამოქალაქო და საეჭვო ბრუნვის სფეროში წარმოშობილ ურთიერთობებს. იმ ქვეყანაში, სადაც საეჭვო სამართალი მოქმედებს როგორც დამოუკიდებელი დარგი, იგი აწესრიგებს საეჭვო ამხანაგობების საქმიანობას, მათი რეგისტრაციის საკითხებს, დოკუმენტაციის წარმოების, წარმომადგენლობის საკითხებს, ფასიანი ქაღალდების ბრუნვას, საეჭვო გარიგებებს საქართველოში საეჭვო სამართლის ნაცვლად იხმარება სამეწარმეო სამართალი, რომელიც აწესრიგებს სამეწარმეო საქმიანობას. სამეწარმეო საქმიანობის ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმები, მათი შექმნისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის კანონით მეწარმეთა შესახებ.

საჯაჭრო წარმომადგენლობა – სახელმწიფო ორგანო, რომელიც საგარეო ეაჭრობის

მოხელეობის ახორციელებს. საჯარო წარმომადგენლობის სამართლებრივი რეჟიმი და ფუნქციები განისაზღვრება ერთიანი კანონმდებლობით და საერთაშორისო შეთანხმებებით. საჯარო წარმომადგენლობა დიპლომატიური წარმომადგენლობის შემადგენელი ნაწილია, მასზე ვრცელდება დიპლომატიური იმუნიტეტები და პრივილეგიები. საჯარო წარმომადგენლობას ევალება წარმოადგინოს თავისი სახელმწიფოს ინტერესები საგარეო ვაჭრობის სფეროში და ხელი შეუწყოს ადგილსამყოფელ ქვეყანასთან საჯარო ურთიერთობების განვითარებას, გასცეს მის ქვეყანაში საქონლის შეტანისა და ტრანზიტით გადატანის ნებართვა, შეისწავლოს ადგილსამყოფელი ქვეყნის ეკონომიკური პირობები და სხვა.

საზეზირო – საგანზირო, ვეზირთა საბჭო – მეფესთან არსებული სათათბირო და მმართველ-განმკარგულებელი ორგანო სათანადო სამოხელეო აპარატით ურთ. მთავრობა გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში XIII საუკუნის დასაწყისში მხოლოდ ერთი ვახირის მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელით არსებობდა. „ვახირთა უპირველესად“ საქართველოში მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ითვლებოდა, მას ექვემდებარებოდა ხელი. მასაშადამე სამხედრო, საფინანსო და საეკლესიო საქმეებზეც კი. შემდეგ ერთმანეთს უფროს-უმცროსობის რიგით მისდევდნენ: ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი, აგრეთვე ვახირთა თანაშემწენი – საფოლის მწიგნობარი, ამილახორი, ამირჯიბი. მეფე სავეზიროს ეთათბირებოდა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საქმეების გადაწყვეტის დროს, ქვეყნის თავდაცვის საკითხებზე, მტერზე ლაშქრობისას, სვის ჩამოგდებისას და ა. შ.

საველე არტილერია – არტილერია, რომელიც ორგანიზაციულად შედის საერთო საჯარისო ქვეგანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების შემადგენლობაში. შეიარაღებულ ძალებში საველე არტილერიას საჯარისო არტილერია ეწოდება.

საველე წესდება – ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ძირითად დებულებებს ნაწილებსა და შენაერთების მიერ საერთო-საჯარისო ბრძოლის მომზადების, გაძღოლის, ჯარების მართვის, მათი მოძრაობის. ადგილზე განლაგების, აგრეთვე სხვადასხვაგარ პირობებში ჯარების უსრუნველყოფის შესახებ.

საველაშის მოხეტა – სამი

ტიპის ვერცხლისა და სპილენძის მცირე ზომის მონეტები. პირველი ტიპის მონეტების შუბლზე გამოსახულია მარჯვნივ მობრუნებული მამაკაცის თავი სხივებიან გვირგვინში. მეორე ტიპის მონეტების შუბლზე გამოსახულია მარჯვნივ მობრუნებული სარის თავი, რომლის ზემოთ და ქვემოთ ბერძნული ასოებია. მესამე ტიპის მონეტების შუბლზე სხივებიან გვირგვინში გამოსახულია ჭრთოსანი ელვა, რომლის ქვემოთ და ზემოთ წარწერაა.

სავოევოდო – დიდი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული პოლონეთში. სავოევოდო სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოა სავოევოდო სახელმწიფო საბჭო, რომელსაც ირჩევენ ოთხი წლის ვადით თვრამეტ წევრს მიღწეული მოქალაქეები. აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი.

საზავო ხელშეკრულება – საერთაშორისო ხელშეკრულების სახე, რომლითაც წყდება ომი.

საზედამხედველო წარმოება – კანონიერ ძალაში შესული განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გადასინჯვა სემდგომი სასამართლოს მიერ. ზედამხედველობის წესით გაპროტესტების უფლება აქვთ გენერალურ პროკურორს, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მათ მოადგილეებს. ზედამხედველობის წესით საქმის გადასინჯვისათვის ვადა არ არის განსაზღვრული. ერთი წლის ვადაა დაწესებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის გადასინჯვა ხდება მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიზნით ან თუ პროტესტი ეხება გამამართლებელ განაჩენს, ანდა ისეთ სასამართლო აქტს, რომლითაც საქმის წარმოება შეწყვეტილია. საქმის საზედამხედველო განხილვის შედეგად სასამართლოს შეუძლია არ დააკმაყოფილოს პროტესტი, გააუქმოს განაჩენი, გადაწყვეტილება, შეწყვიტოს საქმე წარმოებით, დაბრუნოს საქმე დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად ახალი სამსჯავრო ან საკასაციო განხილვისათვის, აგრეთვე შეიტანოს ცვლილებები განაჩენში, გადაწყვეტილებაში ან განჩინებაში, მხოლოდ თუ ქვემდგომი სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი შემსუბუქდება.

საზოგადოება – ჭარბთა მნიშვნელობით ადამიანთა თანაცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმების ერთობლიობა. ვიწრო მნიშვნელობით სოციალური სისტემის კონკრეტული ისტორიული ტიპი, ან მისი შესატყვისი სოციალური ორგანიზაციის სპე-

ციფიკური სისტემა.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – სისხლისსამართლებრივი სასჯელი, რაც ნიშნავს მსჯავრდებულის თავისუფალ დროს ესასიათდლო შრომას, რომლის სახეს განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ინიშნება ოცდან ოთხას საათამდე ვადით. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობაა ოთხი საათი.

თუ მსჯავრდებული უარს განაცხადებს შრომაზე ან ჯიუტად თავს აარიდებს მას, ეს სასაჯელი შეიცვლება თავისუფლების შეზღუდვით, ტუსაღობით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთან, დრო რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება შეცვლილი სასჯელის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის რვა საათი გათანაბრდება თავისუფლების შეზღუდვის, ტუსაღობის, თავისუფლების აღკვეთის ერთ დღეს.

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ დაინიშნება პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, ქალს რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი, საპენსიო ასაკის პირს, აგრეთვე გაწვეულ სამხედრო მოსამსახურეს. (სსკ. მუხ. 44).

საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერება და აკრძალვა – საქართველოს კანონმდებლობით, საგანგებო ღონისძიება, რომელიც აწერებს ან კრძალავს საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობას. ასეთი გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს. მას შეუძლია საათვემდე ვადით შეანერეს იმ საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობა, რომელიც არსებითად გადაუდა სამეწარმეო საქმიანობაზე. რაც შეეხება საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის აკრძალვას, ასეთ გადაწყვეტილებას სახამართლო მიიღებს იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ გაერთიანების მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის სელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან თუ საზოგადოება ქმნის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვიძებს ეროვნულ, კულტურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება, ან სასამართლოს მიერ მისი საქმიანობის შეწერების შემდეგ განაგრძობს საქმიანობას. (საქართველოს 1997 წლის 14 ნოემბრის ორგანული კანონი საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეწერებისა

და მათი აკრძალვის შესახებ, მუხ. 4).

საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა – შრომა, რომელიც იხარჯება საზოგადოებისათვის საჭირო ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებაზე საზოგადოებრივად ნორმალურ პირობებში. საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა არ შეიძლება იყოს ისეთი შრომა, რომელიც გაწეულია ტექნიკურად დაბალი შრომის ინტენსიურობისა და დახელოვნების პირობებში ან დახარჯულია საზოგადოებისათვის უსარგებლო ნივთზე. საზოგადოებრივად აუცილებელი შრომა რაოდენობრივად იზომება საზოგადოებრივად აუცილებელი სამუშაო დროით და იგი დანახარჯების შემცირებაში კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს საზოგადოებრივი შრომის ეკონომიკურ კანონებში. იგი ქმნის წარმოების გაფართოებისა და ხელფასის ამაღლების ან ფასების შემცირების წანამძღვარს.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია – ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი კატეგორია, რომელშიც ახასიათებულია საზოგადოების კონკრეტულ-ისტორიული ტიპი, საზოგადოებრივი განვითარების საფეხურები, მათი კავშირ-ურთიერთობანი.

საზოგადოებრივი აზრი – მასების ცნობიერების მდგომარეობა, რომელიც გამოხატავს ადამიანთა დაფარულ ან აშკარა დამოკიდებულებას საზოგადოებრივი სინამდვილის ფაქტებისადმი, განსხვავებული ჯგუფების ან ცალკეული ინდივიდთა მოღვაწეობისადმი, მასში გაერთიანებულია როგორც ყოფითი, ასევე თეორიული ცნობიერების ელემენტები.

საზოგადოებრივი ბრალმდებელი – საზოგადოებრივი ორგანიზაციის (ან შრომითი კოლექტივის) წარმომადგენელი, რომელიც ამ ორგანიზაციის დავალებით სასამართლოში საქმის გარჩევის დროს ბრალმდებლად გამოდის. მას ფართო პროცესუალური უფლებები აქვს. იგი სასამართლო პროცესის დამოუკიდებელი მონაწილეა მიუხედავად იმისა, მონაწილეობს თუ არა სასამართლო პროცესში პროკურორი.

საზოგადოებრივი გაკიცხვა – 1961წ. სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით, სისხლის სამართლებრივი სასჯელის სახე იყო, რომელიც მდგომარეობდა სასამართლოს მიერ დამნაშავისათვის გაკიცხვის საჯაროდ გამოცხადებაში, რაც საჭირო შემთხვევაში ცნობებთან სახოგადოების პრესის ან სხვა საშუალებით. საზოგადოებრივი გაკიცხვა მსჯავრდადებულისათვის რაიმე შეზღუდვას კი არ გულისხმობდა

არამედ გამოხატავდა ქმედების მორალურად უარყოფით შეფასებას და ამაში მდგომარეობდა მისი აღმსრდელობით გამაფრთხილებელი მნიშვნელობა. ამხანაგური სასამართლოსა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოყენებული გაკიცხვის სხვადასხვაგვარი ფორმისაგან საზოგადოებრივი გაკიცხვა განსხვავდებოდა იმით, რომ ის სასჯელის ღონისძიება იყო. მას იყენებდა სახელმწიფო ორგანო. საზოგადოებრივი გაკიცხვა იწვევდა ნასამართლობას. მას არ შეიძლებოდა დამატებოდა რაიმე დამატებითი სასჯელი.

საზოგადოებრივი დამცველი – სისხლის სამართლის პროცესში საზოგადოებრიული ორგანიზაციის (ან შრომითი კოლექტივის) წარმომადგენელი, რომელიც ამ ორგანიზაციის დავალებით მონაწილეობს სასამართლო პროცესში და დაცვის ფუნქციებს ასრულებს, საზოგადოებრივი დამცველი სასამართლო პროცესის დამოუკიდებელი მონაწილეა, არ გებლობს ადვოკატის ყველა უფლებით. საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობა სასამართლოში განსასჯელის სურვილზე არ არის დამოკიდებული და მას უფლება არა აქვს უარი თქვას საზოგადოებრივ დამცველზე. საზოგადოებრივ დამცველს კი აღკვატისაგან განსხვავებით შეუძლია უარი თქვას განსასჯელის დაცვაზე.

საზოგადოებრივი კანონზომიერება – საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს შორის ობიექტური, განმეორებადი, შინაგანი, არსებითი კავშირები, რომლებიც განსაზღვრავენ ისტორიის მსვლელობას. საზოგადოებრივ ცხოვრებაში კანონზომიერებანი მოქმედებენ ტენდენციის სახით, ე. ი. განსაზღვრავენ განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას, მაგრამ არ მოიცავენ ყველა შემთხვევითობას და გადახრას.

საზოგადოებრივი ურთიერთობანი – საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ელემენტებს შორის და მათ შიგნით ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სულიერ-კულტურული ცხოვრების პროცესში წარმოშობილი კავშირები, რომლებიც ერთობლივი სახით განსაზღვრავენ კონკრეტული ინდივიდების პირად ურთიერთობებს, მათი პირადი ცხოვრების ფსიქოლოგიურ, სნეობრივ და კულტურულ ფაქტორებს.

საზოგადოებრივი შრომა – 1. ადამიანთა საქმიანობა, რომელიც მიმართულია საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. 2. დახასიათება შრომის ერთ-ერთი ნიშანისა, სახელ-

დობრ, აღამიანთა ყოფიერების სა'სოციალოებრივი ფორმისა და აღამიანთა მი'სან'შე'ონილი საქმიანობის განუყრელი კავშირისა. წარმოების სხვადასხვა წესი სა'სოციალოებრივ შრომას სხვადასხვა ფორმას აძლევს.

სოციალური ხელშეკრულების თეორია – ფილოსოფიური და იერიდიული დოქტრინა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო შეიქმნა ადამიანთა გონივრული ურთიერთშეთანხმების შედეგად, რადგან „ბუნებრივ მდგომარეობაში“ მათი არაუსრუნველყოფის გამო ისინი იძულებულნი გახდნენ შეექმნათ ისეთი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც ყველა ინტერესებს დაიცავდა. იდეა, რომ სახელმწიფოს შექმნას საფუძვლად უდევს სა'სოციალოებრივი ხელშეკრულება, ძველთაგანვე წარმოიშვა ძვ. ბერძენი ფილოსოფოსის ეპიკურეს მიერ და იგი დაკავშირებული იყო ბუნებითი სამართლის მოძღვრებასთან. რუსო ამტკიცებდა, რომ – რადგან სახელმწიფო აღმოცენდა სა'სოციალოებრივი ხელშეკრულების საფუძველზე, ხელშეკრულების ბოროტად გამოყენების შემთხვევაში მოქალაქეებს აქვთ მისი გაუქმების უფლებაო.

საზრისი – 1. რაიმეს იდეალური შინაარსი, იდეა, საბოლოო მი'სანი. ღირებულება (ცხოვრების სა'სრისი, ისტორიის, სა'სრისი). ტერმინი „სა'სრისი“ შეიძლება აღნი'შნავდეს რაიმე გამოთქმის მთლიან შინაარსს, მაგრამ ეს გამოთქმა არ დაიყვანება მისი შემადგენელი ნაწილებისა და ელემენტების მნი'შვნელობაზე.

საზღვი – სა'სღაო, სა'სღვაო – ძველი ქართული იერიდიული ტერმინი, რომლითაც აღინი'შნებოდა: ა. გადასახად-გამოსაღები; ბ. ფასის ნახევარი, რომელსაც „სამოყალნო“ ანუ საბეგრო ადგილ-მამულის ფასდაკლებით გაყიდვის შემთხვევა'ში შეფასებისას „სამოუ'შვებდნენ“ (სრულ ფასს დააკლებდნენ); გ. ქონებრივი სასჯელი, რომელიც დამნა'შაეს მარტივი ქურდობის და მსუბუქი დაჭრისათვის ეკისრებოდა. ასეთი საზღაურის მიღებას „სა'სღავად აღება“ ერქვა.

საზღვაო ომი – (სამართლებრივი რეგულირება) – თანამედროვე საერთაშორისო სამართალი მოითხოვს, რომ ყოველი საბრძოლო მოქმედება ზღვაზე განხორციელდეს განსაზღვრული წესების, ე. წ. სა'სღვაო ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების დაცვით. ეს კანონები და წეს-ჩვეულებანი კოდიფიცირებულია საგანგებო საერთაშორისო კონვენციებსა და შეთანხმებებში. სა'სღვაო ომის კანონებისა და წესების თანახმად სამ-

ხელრო საზღვაო ოპერაცია უნდა განხორციელდეს მხოლოდ მეომარი ქვეყნების სამხედრო საზღვაო ძალებით. ომის დროს დაწესებულია განსაკუთრებული შეღავათიანი რეჟიმი მეომარი ქვეყნების სამგზავრო და სავაჭრო გემებისათვის. საზღვაო ომის კანონები და წესები კრძალავენ დაუცველი ნავსადგურებისა და საცხოვრებელი ადგილების დაბომბვას, მასობრივი განადგურების იარაღის ხმარებას.

საზღვაო სამართალი – ერთიანული კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებითა და ჩვეულებებით განმტკიცებული ისეთი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომლებიც სხვადასხვა საზღვაო სივრცისა და საზღვაო საქმიანობის სამართლებრივ სტატუსს აწესრიგებენ. საზღვაო სამართალი შედგება ეროვნული (შიდასახელმწიფოებრივ), საერთაშორისო კერძო და საერთაშორისო საჯარო საზღვაო სამართლისგან, რომელთა ნორმები აწესრიგებს ცალკეული სახელმწიფოს სუვერენიტეტსა თუ იურისდიქციისადმი დაქვემდებარებული სივრცის რეჟიმს. საერთაშორისო კერძო საზღვაო სამართალი აწესრიგებს იმ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა სხვადასხვა სახელმწიფოების ორგანიზაციებისა და მოქალაქეების საერთაშორისო ცხოვრებაში და რომლებშიც დაკავშირებულია ზღვით მგზავრების გადაყვანასთან, ტვირთის გადაზიდვასთან, გემების შეჯახების შედეგად გამოწვეული ზარალის ანაზღაურებასთან და სხვა.

საზღვაო კოდექსი – კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტი, სადაც გადმოცემულია საზღვაო სამართლის ნორმები და დებულებები. საქართველოს საზღვაო კოდექსი მიღებულია 1997 წლის 15 მაისს და ამოქმედდა იმავე წლის 1 იულისიდან. კოდექსი შედგება 25 თავის, 375 მუხლის და დანართებისგან, სადაც განმარტებულია საზღვაო სამართლის ძირითადი ცნებები და ტერმინები.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებათა კავშირი – მასობრივი ორგანიზაციების ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლის მიზანი იყო საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებს შორის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის განვითარება და განმტკიცება.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება – ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, დაარს-

და 1946. საზოგადოება აცნობდა რესპუბლიკის მშრომელებს უცხოეთის ქვეყნების ხალხების ისტორიას, კულტურას, ლიტერატურას, ყოფა-ცხოვრებას, საბჭოთა ქვეყნების ხალხებს კი ქართველი ხალხის ისტორიას, რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებს სოციალისტის მშენებლობაში, სახელმწიფო მეურნეობაში, განათლებაში, მეცნიერებასა და კულტურის განვითარებაში.

საზღვრების დელიმიტაცია — საერთაშორისო ხელშეკრულებით სახელმწიფოთა შორის საზღვრების დადგენა ფართომასშტაბიანი რუკებით, რომლებზედაც ღაწერილებითაა გამოსახული რელიეფი, დასახლებული პუნქტები და სხვა ობიექტები.

სათადარიგო მოსამართლე — მოსამართლე, რომელიც საქმის განხილვის დროს იმყოფება სასამართლო სხდომის დარბაზში და საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლის, სასამართლოს შემადგენლობიდან გამოსვლის შემთხვევაში, ცვლის მას. სათადარიგო მოსამართლესთან ერთად სასამართლო სხდომის დარბაზში იმყოფება, აგრეთვე, ორი სათადარიგო მსაჯული. ეს კეთდება იმ მიზნით, რომ არ შეფერხდეს სასამართლო პროცესი,როცა საქმის განხილვა დიდ დროს მოითხოვს და მოსალოდნელია საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლე თუ მსაჯული რაიმე ობიექტური მიზეზით გამოეცლება სასამართლოს შემადგენლობიდან.

სათავადაზნაურო ბანკი — მემამულეთა დაკრედიტების სახელმწიფო ორგანო, რუსეთის პირველი ბანკი. მოქმედებდა 1754—86, არსებობდა ხაზინის ხარჯზე. მემამულეებს აძლევდა სესხს წლიურად 6%-ის გაანგარიშებით. 1885 დააარსა სახელმწიფო სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი, რომლის ამიერკავკასიის განყოფილება 1890 თბილისში გაიხსნა. ბანკს უფლება ჰქონდა მიმოქცევაში გაეშვა გირავნობის ფურცლები, რომლებითაც სესხს აძლევდა კლიენტებს. გირავნობის ფურცლები უზრუნველყოფილი იყო მთავრობის მიერ, რაც საზღვარგარეთ მისი რეალიზაციის საშუალებას იძლეოდა. იგი რეალიზებული იქნა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

სათავადო — მსხვილი ფეოდალური მიწათმფლობელობისა და ფეოდალთა იერარქიულ-პოლიტიკური ორგანიზაციის გარკვეული ფორმა XV— XVIII სს. საქართველოში.

სათავადო აზნაური — თავადის ყმა-ვასალი XV—XVIII სს. საქართველოში (ვასალიტეტი, რომორც ფეოდალური კლასის შინაგანი ორგანიზაციის ფორმა,

ქართლსა და სამხრეთ საქართველოში ადრინდელ შუა საუკუნეებშივე წარმოიქმნა უფალ-მონობის სახელწოდებით). სათავადო აზნაური მემკვიდრეა IX–XIV სს. დიდებულის ვასალ-აზნაურისა (ისევე, როგორც ეს უკანასკნელი ადრინდელი ფეოდალური ხანის დიდი აზნაურის ვასალის – მცირე აზნაურისა).

სათავისთაო საკუთრება – ტერმინი, რომლითაც ქართულ ისტორიოგრაფიაში აღინიშნება სახლის წევრის ინდივიდუალური, პირადი გარჯილობითა და სახსრებით მონაგარი, მომეტებულად ნასყიდი, „თავისი უცილობელი“ ქონება, განსაკუთრებით ყმა-მამული. ინდივიდუალური, კერძო საკუთრება ჯერ კიდევ IV–V საუკუნეებში გაჩნდა. სათავისო ქონება ადრეულ მამულის გვერდით „მონაგებად“ იხსენიება. სათავისთაო საკუთრებას პატრონი თავისუფლად, სახლის სხვა წევრების უკითხავად, განკარგავდა. ეს ქონება საკუთრების უფრო პროგრესიული ფორმა იყო, იგი თანდათან ხელს უწყობდა ფეოდალური სახლის საეროო მეურნეობრივ რღვევას და ინტენსიურ მეურნეობრივ განვითარებას.

სათავნო – ქალის პირადი, მამის სახლიდან მოყოლილი ქონება, პირუტყვი ან ფული, რომელიც ქმრის ოჯახში მის პირად საკუთრებას შეადგენდა. მზითვისაგან განსხვავებით სათავნო ქალის სრული საკუთრებაა. მზითევზე ქორწინებამდე უნდა შეთანხმებულიყვნენ სასიძო-საპატარძლოს ოჯახები, სათავნოზე კი არა. სათავნოს მიცემა ქალის მშობლებსა და ძმების ნება იყო. სათავნოს მემკვიდრენი შვილები იყვნენ, პირველყოფილისა – ქალიშვილები.

საინვესტიციო ბანკი – კაპიტალისტური ბანკი, რომელიც დასპეციალებულია სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის, მეტწილად მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის გრძელვადიან დაფინანსებასა და დაკრედიტებაზე. საინვესტიციო ბანკის საშუალებები ძირითადად იქმნება ფულის ბაზაზე საკუთარი აქციებისა და ობლიგაციების გადაადგილებით. მისი კაპიტალი იქმნება საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე.

საიატამა – პრეფექტურა იაპონიაში ქ. ჰონსიუზე.

საკავშირო კრება – უმაღლესი ფედერაციული საკანონმდებლო ორგანო შვეიცარიაში.

საკანდიდატო მინიმუმი – საკანდიდატო გამოცდები, აბარებენ ასპირანტები და მეცნიერებათა კანდიდატობის სამეცნიერო ხარისხის მაძიებლები. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის უფლების გამოცდები ტარდება ზოგად სამეცნიერო დისციპლი-

ნაში, რომლის დარგშიც სპეციალდება მაძიებელი. სამეცნიერო მინიმუმის ჩაბარების ყველა პირობა გათვალისწინებულია სპეციალურ დოკუმენტში.

საკანონმდებლო ინიციატივა – ახალი კანონის მიღების თუ გაუქმების წინადადების შეტანის უფლება. საკანონმდებლო ინიციატივით შეტანილი წინადადება უნდა განიხილოს საკანონმდებლო ორგანომ. საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას ადგენს კონსტიტუციის 67–ე მუხლი ან სხვა საკანონმდებლო აქტი. კანონების თანახმად საკანონმდებლო ინიციატივის უფლება ეკუთვნის დეპუტატებს, უმაღლეს სასამართლოს, გენერალურ პროკურორს, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. იგი საკანონმდებლო პროცესის პირველი სტადიაა, რაც ნიშნავს კომპეტენტური ორგანოებისა და პირების მიერ კანონპროექტის მომზადებასა და საკანონმდებლო ორგანოში შეტანას.

საკანონმდებლო კრება (ასამბლეა) ლეჟისლავიტი – 1. საფრანგეთის საკანონმდებლო დაწესებულებათა სახელწოდება, დადგენილი 1791 და 1848 კონსტიტუციებით. 2. პარლამენტის სახელწოდება საზღვარგარეთის ზოგიერთ სახელმწიფოში (მაგ.: კოსტა-რიკაში, სალვადორში).

საკანონმდებლო პროცესი – სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს საქმიანობა კანონთა შესაქმნელად. საკანონმდებლო პროცესი ჩვეულებრივ განმტკიცებულია კონსტიტუციით. კანონები მიიღება ჩვეულებრივ პარლამენტის მიერ. საკანონმდებლო პროცესი ოთხი სტადიისაგან შედგება: 1. წინასწარ დამუშავებული კანონპროექტის შეტანა პარლამენტში; 2. კანონპროექტის განხილვა; 3. კანონის მიღება დეპუტატთა საერთო რაოდენობის ხმის უმრავლესობით; 4. კანონის გამოქვეყნება.

საკანონმდებლო ხელისუფლება – კანონთა გამოცემის უფლებამოსილება, აგრეთვე თვით საკანონმდებლო ორგანოები. სახელმწიფოებში „ხელისუფლების დანაწილების“ პრინციპით საკანონმდებლო ხელისუფლება პარლამენტმა უნდა განახორციელოს, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში აღმასრულებელი ხელისუფლების საკანონმდებლო უფლებამოსილება თანდათან ფართოვდება.

საკანონო – (სამართლის ისტორია) – საეკლესიო სასჯელი ძველ საქართველოში. საკანონო მონანიებით სასჯელი იყო და იგი შემცირდეს განკანონების წესით დაეცდებოდა. მისი ოდენობა შეცოდების სიმძიმით განისაზღვრე-

ბოდა. კანონით განსაზღვრულ (კერძოდ კაცის მკვლელობის) შემთხვევაში საკანონო დამნაშავეს საერთო სასჯელის დამატებით ეკისრებოდა.

„საკარგავი“ – ძველი ქართული ტერმინი, რომელიც სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა. 1. პირობითი, დროებითი მიწათმფლობელობა, რომელიც უპირისპირდებოდა მამულის მემკვიდრეობით მიწის საკუთრებას და შეესაბამებოდა ბენეფიციუმს ადრინდელ შუა საუკუნეების დასაწყისი ევროპაში. წვრილ მსახურეულ ა'სნაურს, რომელიც მეფის ერთგული სამსახურისათვის სახელმწიფო ფონდიდან ღებულობდა მიწის ნაჭერს საკარგავის სახით, მოსაკარგავე ეწოდებოდა. 2. ნაბოძები ქვეყნის გამგებლობა, რომელიც დიდმოხელეობასთან იყო შეერთებული. 3. გასამჯელო, ნაბოძავარი სარგო.

საკარმიდამო ნაკვეთი – მოქალაქეთა ინდივიდუალური მიწათსარგებლობის ფორმა. საკარმიდამო ნაკვეთი უვადოდ და უფასო სარგებლობისათვის ეძლეოდათ კოლმეურნეთა ოჯახებს, სოფლებში მცხოვრებ მუშებს, მოსამსახურეებს, პენსიონერებსა და ინვალიდებს. საკარმიდამო ნაკვეთზე დამხმარე მეურნეობრივი გაძღოლის უფლება დადგენილი იყო კონსტიტუციით.

საკასო გეგმა სახელმწიფო ბანკისა – ქვეყნის ნაღდი ფულის ბრუნვის დაგეგმვისა და რეგულირების ძირითადი ფორმა. საკასო გეგმა განსაზღვრავს ფულის მოძრაობის ძირითად არხებს ბანკის სალაროდან: მისი გასულის სიდიდეს, მიზნობრივ მიმართულებებს და სალაროში მისი შემოსვლის მთავარ წყაროებს, ითვალისწინებს აგრეთვე საგეგმო პერიოდში იმ ფულის რაოდენობის ზრდას ან შემცირებას, რომელიც მიმოქცევაშია.

საკასო დაგეგმვა – იმ ნაღდი ფულის ბრუნვის დაგეგმვა და რეგულირება, რომელიც გაიცლის საქმისიო ბანკის სალაროს. საკასო დაგეგმვას ახორციელებს სახელმწიფო ბანკი საკრედიტო დაგეგმვასთან მჭიდრო კავშირში. ფულადი ბრუნვა იგეგმება არა მხოლოდ ფულის ნაკადების მიმართულებების და მოცულობის მიხედვით, არამედ მათი ეკონომიკური შინაარსის მიხედვითაც.

საკასო ოპერაციები – საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სალაროების მიერ ნაღდი ფულის გაცემასა და მიღებასთან დაკავშირებული ოპერაციები. საკასო ოპერაციები აღირიცხება სალაროს დაფთარში.

საკოლმეურნეო კომლი – პირთა ისეთი საოჯახო-შრომითი გაერთიანებანი, რომლის შრო-

მისუნარიანი წევრები კოლმეურნეობის წევრებია, საკუთარი შრომით მონაწილეობენ საკოლმეურნეო წარმოებაში, საიდანაც ძირითად შემოსავალს ღებულობენ და ეწევიან პირად დამხმარე მეურნეობას. კოლმეურნეობის სანიმუშო წესდების შესაბამისად საკოლმეურნეო კომლს უფლება მიეცა სარგებლობის უფლებით ეძლეა მიწის ნაკვეთი სამოსახლოდ, ბოსტნის, ბაღისა და თუ სხვა საჭიროებისათვის. საკოლმეურნეო კომლის ქონება წარმოადგენს საერთო საკუთრებას, რომელშიც წილი არ არის განსაზღვრული და მისი მფლობელობა, სარგებლობა და განკარგვა წარმოებს კომლის ყველა წევრის თანხმობით.

საკოლმეურნეო სამართალი – სამართლის ერთ-ერთი დარგი – სახელმწიფოს მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ისეთ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავდნენ კოლმეურნეობების შექმნის, მათი ორგანიზაციის, საქმიანობის ფორმებს, პრინციპებსა და წესებს, აწესრიგებდნენ ურთიერთობებს კოლმეურნეობებსა და მის წევრებს, ამ წევრთა ოჯახებსა და საკოლმეურნეო კომლს შორის.

საკონსტიტუციო სასამართლო – საქართველოს საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც კანონით დადგენილი წესით: იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან კანონისა და პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე; იხილავს დავას სახელმწიფო ორგანოებს შორის კომპეტენციის შესახებ; იხილავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნის და საქმიანობის კონსტიტუციურ საკითხებს; იხილავს რეფერენდუმისა და არჩევნების კონსტიტუციურობის საკითხთან დაკავშირებულ დავას; იხილავს საერთაშორისო ხელშეკრულებების კონსტიტუციურობის საკითხს; ახორციელებს კონსტიტუციითა და კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ცხრა წევრისგან, რომელთაგან სამს ნიშნავს პრეზიდენტი, სამს ირჩევს პარლამენტი, ხოლო სამს ნიშნავს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის უფლებამოსილება 10 წელია.

საკონსტიტუციო სასამართლო შედგება პლენუმისა და ორი კოლეგიისაგან. სასამართლო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს ხუთი წლის ვადით. ამავე წესითა და ვადით აირჩევა თავმჯდომარის ორი მოადგილე. პლენუმის სხდომას უძ-

ღებება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო კოლეგიის სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარის მოადგილე.

საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება მოსილება, ორგანიზაციის და საქმიანობის წესი განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, 1996 წლის 31 იანვრის კანონით საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ და 1996 წლის 21 მარტის კანონით საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ.

საკონსულო – (საკონსულო წარმომადგენლობა) – სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობის ორგანო, რომელიც იმყოფება სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე (მისივე თანხმობით) გარკვეული ფუნქციების განსახორციელებლად. საკონსულოს იმუნიტეტები და პრივილეგიებია საკონსულოს შენობისა და მისი არქივის ხელშეუხებლობა, თავის ქვეყანასთან ურთიერთობის თავისუფლება (შეუძლია ისარგებლოს შიფრითა და სპეციალური კურიერებით). თავისი სახელმწიფოს დროშითა და გერბით სარგებლობის უფლება. საკონსულო თავისუფალია გადასახადებისგან და სხვა.

საკონსულო სამართალი – ერთიანური და საერთაშორისო სამართლის იმ ნორმების ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებენ საკონსულო წარმომადგენლობების, მათი თანამდებობის პირებისა და თანამშრომლების სამართლებრივ მდგომარეობასა და ფუნქციებს. საკონსულო სამართლის საერთაშორისო სამართლის წყაროებია ვენის კონვენცია საკონსულო ურთიერთობათა შესახებ, 1963; მრავალრიცხოვანი ორმხრივი საკონსულო კონვენციები, რომლებიც დაწვრილებით აწესრიგებენ საკონსულო ურთიერთობებს დაინტერესებულ ქვეყნებს შორის. აგრეთვე სახელმწიფოში უცხოური საკონსულოების და კონსულების სამართლებრივი მდგომარეობა და ფუნქციები საერთაშორისო ხელშეკრულებებთან ერთად განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით; საკონსულო წესდებით (1976), სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსით (1968) და სხვა.

საკრედიტო დაგებმვა – საკრედიტო რესურსებისა და სახალხო მეურნეობაში საკრედიტო დაბანდებათა და მიმართულების დაგეგმვა, რომელიც ხორციელდება საწარმოო, საქონელბრუნვის, საფინანსო, ფულის მიმოქცევისა და სხვა გეგმებთან მჭიდრო კავშირში. საკრედიტო დაგეგმვას აქვს დარგობრივი, ტერიტორიული და მისნობრივი მიმართულება.

საკრედიტო დისკრიმინაცია – კაპიტალისტური ქვეყნების ბანკების მიერ დაკრედიტებ-

ის უფრო მკაცრი პირობების დაწესება მსესხებელთა ერთი კატეგორიის მიმართ. თანამედროვე პირობებში საკრედიტო დისკრიმინაცია მოსახლეობის ფართო ფენის ფინანსური საჭიროსა და ექსპლუატაციის ერთ-ერთი ფორმაა.

საკრედიტო კოოპერაცია – კოოპერაციის სახე: აერთიანებს წვრილ საქონელმწარმოებლებს, მეშვეობა და მოსამსახურეებს, რომლებიც ქმნიან კოლექტიურ ფულად ფონდს მცირე კრედიტზე თავიანთი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. საკრედიტო კოოპერაციის ორი სახეა: საქალაქო და სასოფლო. ოპერაციების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ სასესხო, სამშენებლო, სადაზღვევო მინდობილობის საკრედიტო კოოპერაციებს. ყველა თანამედროვე საკრედიტო კოოპერაცია ამ ოპერაციებს ახორციელებს.

საკრედიტო პოლიტიკა – ფულად-საკრედიტო ღონისძიებების სისტემა, რომელსაც სახელმწიფო იყენებს გარკვეული ეკონომიკური მიზნის მისაღწევად. საკრედიტო პოლიტიკა ხელს უწყობს წარმოების განვითარებას და განმტკიცებას.

საკრედიტო რეფორმები – სახელმწიფო ნორმატიული აქტების ერთობლიობა ქვეყნის შიგნით მოქმედი საკრედიტო სისტემის, კრედიტის ფორმებისა და დაკრედიტების მეთოდების შეცვლის მიზნით. იგი მიზნად ისახავს საკრედიტო სისტემის განვითარებას, დაკრედიტების ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას.

საკრედიტო სისტემა – საკრედიტო ურთიერთობის, კრედიტის ფორმებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომელიც არსებობს ამა თუ იმ სოციალურ-ეკონომიკურ ფორმაციის ჩარჩოებში. აგრეთვე, საკრედიტო დაწესებულებათა სისტემა ამა თუ იმ ქვეყნის განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდში.

საკუთრება – ისტორიულად განვითარებადი საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც გვიხასიათებს, თუ როგორ ინაწილებენ (ითვისებენ) ცალკეული პირები, სოციალური ჯგუფები, კლასები, სახელმწიფო მატერიალურსა და სულიერ დოვლათს, ამ დოვლათის წარმოებისათვის აუცილებელ პირობებს. არსებობს საკუთრების სამი ტიპი: კერძო, საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკუთრება.

საკუთრების უფლება – ნივთის, ქონების მესაკუთრის იურიდიულად უზრუნველყოფილი ქცევის ფარგლები წარმოების საშუალებებსა და პროდუქტებზე, მოხმარების საგნებზე წარმოშობილი მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლე-

ბამოსილება.

მფლობელობის უფლება გულისხმობს ნივთის პყრობას, ქონებაზე ფაქტობრივ, ფიზიკურ ან სამეურნეო ბატონობას.

სარგებლობის უფლება – ნივთის ექსპლუატაციის, მისგან ნაყოფისა და შემოსავლის მიღებას.

განკარგვის უფლება, რომელიც ყველაზე დამახასიათებელია საკუთრების უფლებისათვის ნიშნავს ნივთის, ქონების იურიდიული და ფაქტობრივი ბედის განსაზღვრას მესაკუთრის შეხედულებისამებრ (ნივთის გაყიდვა, განუქონა, გაცვლა). საკუთრების უფლება უვადოა. ამასთან მესაკუთრეს შეუძლია ქონების განკარგვა თავისი სიკვდილის შემთხვევისათვის. საკუთრების ინსტიტუტი სამართლის ყველა სისტემის მთავარი ინსტიტუტია, მაგრამ იგი თავისი ბუნებით განსხვავებულია ექსპლუატატორულ და სოციალისტურ საზოგადოებაში. (ს.კ. მუხ. 170).

„საკუთრების ძალაძური წესი“ – ვახტანგ VI-ის 1722 სიგელით შემოღებული მემკვიდრეობის წესი, რომელიც შემდეგ ერეკლე II-მ განამტკიცა. ვახტანგ VI-ის სიგელი თბილისის მკვიდრ მცხოვრებლებს ებოძა, ამ კანონით ხელი უნდა შეწყობოდა აღებ-მიცემობისა და მსხვილი ხელოსნური წარმოების განვითარებას, საგაჭრო-საწარმოო კაპიტალის ზრდასა და სიმკვიდრეს. იგი ითვალისწინებდა კანონიერ მემკვიდრეთა წრის გაფართოებას და, ამგვარად, ბეთალმანობის შესუსტებას. გაუცხო სახლის წეცრების, მამრობითი სქესის ნათესავებს გარდა სამკვიდროს მოთხოვნის უფლება ენიჭებოდა აგრეთვე განაყარ, უფრო შორეულ ნათესავებს და მოყვრებსაც კი. მოქალაქენი მეფის ყმებად ითვლებოდნენ და თუ უმემკვიდროდ გადაეცებებოდნენ, ახალი კანონის მიღებამდე მათი ქონება ფეოდალური წესისამებრ მეფე ბატონს რჩებოდა. ამიერიდან კი იგი თითქმის ბრუნვაში იქნებოდა – გარდაცვლილის ადგილს სამკვიდროს დამსაკუთრებელი, მისი უფლება-მოვალეობის მონაცვლე დაიჭერდა. ამასთანავე მეფეს არ აკლდებოდა ყმური სამსახური, რომელიც მანამდე ქონების გარდაცვლილ პატრონს ეკისრა.

საკურსო სხვაობა – სხვაობა უცხოური ვალუტისა და ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასებში, რასაც საფონდო და სავალუტო ბირჟაზე მათი კურსის მერყეობა წარმოშობს. ფასიანი ქაღალდების მფლობელები იღებენ მოგებას ამ ქაღალდების კურსის ამაღლების დროს და დაზარალდებიან დაკნინის დროს. კურსის რყევაზე დიდ გავლენას ახდენენ მონოპოლისტები, რომ-

ლებიც გადმწყვეტ როლს ასრულებენ ბირჟაზე. საკურსო სხვაობასთან დაკავშირებული რისკისაგან თავს იცლევენ ვადიანი გარიგების პირობებში საჭალუტო დათქმის ჩართვით.

საკურცხილი – (სპან.) საკარცხული (რაჭა) – საუფროსო სავარძელი, რომელშიც სვანეთში ოჯახის უფროსი ჯდებოდა. თლიდნენ ხისგან, ჰქონდა საზურგე და მკლავსაყრდენი. წინა სვეტების პირი შემკული იყო გეომეტრიული ორნამენტებითა და ასტრალური სიმბოლოებით. საკურცხილს საკულტო დანიშნულებითაც იყენებდნენ, საპატიო როლს თამაშობდა მიცვალებულთა მოსაგონარ სარიტუალო ჩვეულებების შესრულების დროსაც.

სალარო – (სამართ. ისტ.) – „ლართსაუნჯე" (საბა) – განძთსაცავი ძველ საქართველოში. გაერთიანებული სამეფოს ხანაში სახელმწიფო სალარო ერთგვარი ხელუხლებელი ხაზინა იყო. იქ, საჭურჭლისაგან განსხვავებით, „შეკრული" იდო ისეთი განძეულობა „ოქროს ჭურჭელი, ან ვერცხლისა", რომელიც, სახმარებლად სანიადაგოდ" არ იყო განკუთვნილი. არსებობდა მოძრავი სალაროც, რომელიც თან მიჰქონდათ მეფის მოგზაურობის დროს. სალაროს გამგეს მოლარეთუხუცესი ეწოდებოდა.

სალარო – 1. საწარმოს (ორგანიზაციის) ნაღდი ფულის შესანახი სათავსო, რომელსაც იყენებენ ხელფასის, პენსიების, სტიპენდიებისა და სხვა ანგარიშსწორებისათვის. 2. საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიში, რაშიც აისახება საწარმოს სალაროში ფულადი სახსრების მოძრაობა. 3. სპეციალურად მოწყობილი სათავსი, ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობათა მიღების, გაცემისა და შენახვისათვის. 4. სპეციალური ყუთი უკონდუქტორო საქალაქო ტრანსპორტსე ამონაგების (სახღაურის) შესაგროვებლად.

სალდათი – (იტალ., დაქირავება, ჯამაგირის გადახდა) – ჯარისკაცი, სამხედრო მოსამსახურეთა რიგითი შემადგენლობის კატეგორია. თავდაპირველად ტერმინი სალდათი იტალიაში გაჩნდა (XV ს.), შემდეგ გავრცელდა ევროპაში, ხოლო XVII საუკუნეში – რუსეთში.

სალდო – (იტალ. ანგარიშსწორება, ნაშთი) – 1. საბუღალტრო აღრიცხვაში დებეტისა და კრედიტის ჯამებს შორის სხვაობა. დებეტის სალდო (დებეტი მეტია კრედიტზე) ასახავს განსაზღვრული თარიღისათვის საშეურნეო საშუალებათა მოცემული სახეობის მდგომარეობას და ნაჩვენებია ბალანსის აქტივში. კრედიტის სალდო (კრედიტი მეტია დებეტზე) ასახავს სამეურ-

ნაო საშუალებათა წყაროებს და ნაჩვენებია პასივში. ანგარიში დახურულად ითვლება, თუ სალდო არ არის. 2. საგარეო-სავაჭრო ურთიერთობაში სალდო ნიშნავს ექსპორტისა და იმპორტის ჯამებს შორის სხვაობას, როცა ექსპორტი აღემატება იმპორტს, სალდო დადებითია, თუ პირიქითაა სალდო უარყოფითია.

სალიპარტიანო – ფეოდალური სამფლობელო ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროში. სალიპარტიანო გვარი ლიპარიტიდან მოდის. XVII საუკუნის დასაწყისში ლიპარტიანობა ოდიშის სამთავროს უმაღლესი მოხელის ტიტული გახდა, ხოლო სალიპარტიანო ეწოდა სამეგრელოს, რომელსაც ეს მოხელე ფლობდა.

სალუტი – (ფრანგ. მისალმება) – საზეიმო, საპატიო მისალმება არტილერიისა და თოფის ბათქით, ალმებითა და სხვა. სალუტს მიმართავდნენ მნიშვნელოვანი თარიღის აღსანიშნავად. საერთაშორისო კონვენციებითა და საზღვარგარეთის სახელმწიფოთა შინაგანი წესდებით სალუტი გათვალისწინებულია როგორც სამხედრო-საზღვაო პატივისცემის ფორმა.

სამამასახლისო სამსახურებელი – მიწათმფლობელობის სახეობა ძველ საქართველოში. ტერმინი „სამამასახლისო სამსახურებელი“ ნახმარია ბაგრატ IV-ის სიგელში ოპიზართა და მიჯნაძორელთა საალგილმამულო დავის შესახებ (XI ს.), სადაც იგი მეფის პირადი კუთვნილების ალგილ-მამულს აღნიშნავს. ამ ხანაში სამამასახლისო სამსახურებელი შეადგენდა სათემო მიწის განსაზღვრულ ფონდს, რომელსაც მამასახლისის „სამსახურის“ ასანაზღაურებლად გამოყოფდა თემი. თავდაპირველად ეს მიწები „ერის“ საკუთრება იყო, შემდეგ კი ისინი მიიტაცეს კერძო საკუთრებად და მეფე – „მამასახლისის“ დომენის შემადგენელ ნაწილად აქციეს.

სამანდატო კომისია – 1. ორგანო, რომელიც იქმნება ყრილობებზე, კონფერენციებსა და კონგრესებზე დელეგატების რწმუნებათა შესამოწმებლად. 2. კომისია, რომელსაც დეპუტატების რწმუნებათა შესამოწმებლად ქმნიან დეპუტატთა შემადგენლობიდან პირველსავე სესიაზე.

სამანდატო ტერიტორია – იმ ტერიტორიის (გერმანიის ყოფილი ტერიტორიებისა და თურქეთის სამფლობელოების) ზოგადი სახელწოდება, რომელიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ (1919) ერთა ლიგამ სპეციალური დაავალების, ე. წ. მანდატის, საფუძველზე გამარჯვებულ ქვეყნებს გადასცა სამართავად. სამანდატო ტერიტორიები დაყოფილი იყო „A“, „B“ და „C“ ჯგუფებად. „A“ ჯგუფის სა-

მანდატო ტერიტორიები ფორმალურად ორგანიზებული იყო როგორც სახელმწიფო თავისი მოქალაქეობითა და ადმინისტრაციული აპარატითურთ, ფაქტობრივად კი ყველა უფლება კანონმდებლობა, საშინაო პოლიტიკის, საგარეო ურთიერთობათა და სხვა დარგში მმართველი ქვეყანის (მანდატარის) ხელში გადავიდა. „B“ ჯგუფის სამანდატო ტერიტორიებს უშუალოდ მანდატარები მართავდნენ. „C“ ჯგუფის სამანდატო ტერიტორიებს მართავდნენ მთლიანად მანდატარები როგორც თავიანთ ტერიტორიის ნაწილს. სამანდატო სისტემა შეიცვალა გაეროს მეურვეობის სისტემით.

სამართალდარღვევა – საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედება. ყველაზე უფრო მეტად საზოგადოებრივ საშიშროებას წარმოადგენს დანაშაული. გარდა ამისა, არსებობს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და დისციპლინური სამართალდარღვევა, რაც შესაბამისად იწვევს სისხლის სამართლებრივ, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და დისციპლინურ პასუხისმგებლობას.

სამართალი – გაბატონებული კლასის ნების გამომხატველი და სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ერთობლიობა ადამიანთა ქცევის წესებისა (ნორმებისა), რომელთა შესრულება უსრუნველყოფილია სახელმწიფოებრივი იძულებით.

სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სამართლის ნორმების დადგენა იმას გულისხმობს, რომ ეს ქცევის წესი აღრე არ მოქმედებდა ზნეობრივი ნორმის ან ჩვეულების სახით.

სამართლის ნორმების შესრულების უზრუნველყოფა სახელმწიფოებრივი იძულებით იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო თავისი ორგანოების მეშვეობით აიძულებს ყველას, ვისაც კი ეს ეხება, სამართლის ნორმების მიხედვით მოქმედებდეს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ნორმის დაცვა სახელმწიფოს ჩარევით და იძულებით ხდება. საზოგადოების უმრავლესობა ნებაყოფლობით ასრულებს ნორმებს იმის გამო, რომ შეგნებული აქვს მათი სისწორე და მიზანშეწონილობა. საზოგადოების ნაწილი კი ასრულებს ნორმებს იმის გამო, რომ ნორმის დარღვეყისათვის არ დაისაჯოს სახელმწიფოს მიერ.

„სამართალი ბატონიშვილის დავითისა“ – ქართული სამართლის კოდიფიკაციის პროექტი, რომელიც შეადგინა დავით ბატონიშვილმა XIX საუკუნის დასაწყისში, სამართალი ბატონიშვილის დავითისა მოამზადა თავისი მამის, ქართლ-კახე-

თის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის დაჟალებით და იგი შედგებოდა პრეამბულის, 245 მუხლისა და საძიებლისაგან. „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“ ფეოდალური ხანის სამართლის წიგნებიდან ერთიანი ნორმატიული ძეგლია და თუმცა დარგობრივად გაწეობილი არ არის, თითქმის ყველა იმდროინდელ სამართლებრივ ურთიერთობას აწესრიგებს, დაწყებული სახელმწიფო სამართლით და დამთავრებული სამოქალაქო ბრუნვის, სამემკვიდრეო და საქორწინო-საოჯახო ურთიერთობათა, დამნაშავეობასთან ბრძოლისა და მართლმსაჯულების ზოგად და განსაკუთრებულ საკითხებზე.

„სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ – ვახტანგ VI-ის გამგებლობაში შედგენილი კოდექსი, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის., ანუ კორპუსის, დამაგვირგვინებელი ნაწილი. შემუშავებულია ვახტანგის თაოსნობით და უშუალო მონაწილეობით 1705–08 წლებში. „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“ ფეოდალური სამართლის წიგნი, ძირითადად აგებულია კასუსების მიხედვით და ეხება თითქმის ყველა მაშინდელ ურთიერთობას, პირველ ნაწილში გამოყოფილია ხუთი კარი, მეორე ნაწილში დასათაურებული 29 მუხლი. მოგვარებულია სამოჯახო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, საოჯახო-საქორწინო და სამემკვიდრეო ურთიერთობანი. სისხლის სამართალში აღსანიშნავია დანაშაულნი სახელმწიფოსა და ეკლესიის წინააღმდეგ. აღიარებულია პიროვნული ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპები და ა. შ.

„სამართალი ბერძნული“ – ბერძნულ-რომაული (ბიზანტიური) სამართლის ქართული ვერსია, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში მეორე ნაწილად შეტანილი საკანონმდებლო ძეგლი. იგი 418 მუხლისაგან შედგება და ბერძნულ-რომაული სამართლის უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტებს მოიცავს (სახელმწიფო, ადმინისტრაციულ, საეკლესიო. სამოქალაქო, სისხლის, საოჯახო. მემკვიდრეობითი სამართლის ნორმები, ბატონ-ყმათა ურთიერთობა, სასამართლო წყობილება და სამართალწარმოების წესები). კანონთა შინაარსი, დღევანდელი შესაბამისად, დალაგებულია ბერძნული ანბანის მიხედვით.

„სამართალი სომხური“ – ძველი სომხური სამართლის ქართული ვერსია, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში მესამე ნაწილად შეტანილი საკანონმდებლო ძეგლი. ვახტანგ

VI-მ „მიადებინა ... ეჩმეაძინით სომეხთა მეფეთა წიგნი სამართლისანი“, აქედანაა გადმოღებული ქართული ვერსიის სომხური კანონები. არსებითად თარგმანი თავისუფალია, არაა ხელმიწევნით სწორი, ზოგან შემოკლებულია, ზოგან კი – ჩანართებით დამახინჯებული, ბევრგან ქართლური ტექსტი სომხურ დედანს არ შეესატყვისება. მთარგმნელს არ სცოდნია ქართული იურიდიული ტერმინოლოგია. მისი ვინაობა უცნობია (ტექსტის ენა შეიცავს ქართლური კილოს თბილისურ ქცევასა და თბილისელ სომეხთა ქართულ ჟარგონს).

სამართალმცოდნეობა – იურიდიული მეცნიერება, სისტემა ცოდნისა სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის, მათი არსისა და სოციალური დანიშნულების, მათი განვითარების კანონზომიერებების, ფორმების, ფუნქციათა განხორციელების შესახებ.

სამართალში მიცემა – სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი დამოუკიდებელი სტადია, როდესაც მოწმდება მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ჩატარების ხარისხი და წყდება საკითხი საქმის სასამართლოში განხილვის საფუძვლიანობის შესახებ.

საქმის სამსჯავრო სხდომაზე განსახილველად საკმარო საფუძვლის არსებობისას მოსამართლეს, როგორც წესი, ერთპიროვნულად გამოაქვს დადგენილება ბრალდებულის სამართალში მიცემის შესახებ. თუ მოსამართლე არ ეთანხმება საბრალდებო დასკვნას, ბრალდებულის მიმართ შერჩეულ აღკვეთის ღონისძიებას, აგრეთვე არასრულწლოვანთა საქმეებსე და იმ ბრალდებულთა საქმეებზე, როდესაც პირს შეიძლება შეეფარდოს დასჯა, ბრალდებულის სამართალში მიცემა უნდა მოხდეს გამწესრიგებელ სხდომაზე, სადაც მონაწილეობას მიიღებს პროკურორიც. სამართალში მიცემის სტადიაზე უნდა გაირკვეს: ხომ არ არსებობს საქმის შეჩერების ან შეწყვეტის საფუძველი, შეკრებილია თუ არა საკმარისი და საჭირო დამამტკიცებელი საბუთები, სწორად არის თუ არა დაკვალიფიცირებული დანაშაული და სხვა. ამის შესაბამისად გამოაქვთ განჩინება: სამართალში მიცემის, საქმის შეჩერების ან შეწყვეტის, დამატებითი გამოძიების ჩატარების ან საქმის ქვემდებარეობის გადაცემის შესახებ.

სამართალწარმოება – სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის წესი. სისხლის სამართალწარმოების ამოცანაა დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, დანაშაულის მხილება და კანონის

სწორი გამოყენების უზრუნველყოფა, რათა თითოეული დამნაშავე სამართლიანად დაისაჯოს, არც ერთი უდანაშაულო არ მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში და არ დაედოს სასჯელი. სისხლის სამართალწარმოება ხელს უწყობს დამნაშავეობის თავიდან აცილებას.

სამოქალაქო სამართალი უზრუნველყოფს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სწორ და სწრაფ განხილვასა და გადაწყვეტას; სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. სამართალწარმოების განეითარების ძირითადი პრინციპებია მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ, სამართალწარმოების საქვეყნოობა, პროცესის მონაწილეთა თანასწორუფლებიანობა, სასამართლო განხილვის უშუალობა, უწყვეტობა, ზეპირსიტყვაობა და სხვა. (სსსკ. მუხ. 15–16).

სამართლებრივი დახმარება – ხელშეკრულება, რომელსაც დებენ სახელმწიფოები იუსტიციის დაწესებულებათა – სასამართლოების, პროკურატურისა და სანოტარო ორგანოების – ურთიერთთანამშრომლობის საკითხებთან დაკავშირებით სამოქალაქო საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარების შესახებ. ამგვარი ხელშეკრულება იძლება სხვადასხვა სახელმწიფოებთან, რომლის მიზანია უზრუნველყოს ერთი სახელმწიფოს მოქალაქის ქონებრივი და პირადი უფლებების დაცვა მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე. სამართლებრივი დახმარების ხელშეკრულებით ერთი სახელმწიფოს მოქალაქის უფლებანი მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც თავიანთი მოქალაქეებისა. სამართლებრივი დახმარება შეიძლება გულისხმობდეს კერძოდ: სათანადო პირთა დაკითხვას, ექსპერტიზის ჩატარებას, დამნაშავეთა გადაცემას და სხვა.

სამართლებრივი სახელმწიფო – სახელმწიფო თავის საქმიანობაში შეზღუდულია სამართლით, ე. ი. მხოლოდ სამართლის ნორმებს უნდა ეყრდნობოდეს. ტერმინი „სამართლებრივი სახელმწიფო" შემოიღო ი. კანტმა. სამართლებრივი სახელმწიფოსათვის აუცილებელი ნიშნებია, კანონის უზენაესობა, ხელისუფლების დანაწილება, ადამიანის უფლებების დაცვა. სამართლებრივ სახელმწიფოში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კანონის საფუძველზე და კანონის ჩარჩოებში. კანონ-

ისა და სასამართლოს წინაშე ყველა თანასწორია, კანონის მოთხოვნები თანაბრად სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეებისთვის. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საფუძველზე, დაუშვებელია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციების აღრევა. უმაღლეს სოციალურ ღირებულებად მიჩნეულია ადამიანი, მისი ღირსება, უფლებები და თავისუფლებები.

„სამართლიანთა კავშირი“ – გერმანული პოლიტიკური ემიგრანტების (ძირითადად გაპრილეტარებული ხელოსნების) ფარული ორგანიზაცია, კომუნისტთა კავშირის წინამორბედია. შეიქმნა პარიზში 1836–37 „განკიცხულთა კავშირიდან“ გამოყოფილი ყველაზე უფრო რევოლუციური ჯგუფებისაგან.

სამართლის გამოყენება – სამართლის შეფარდება – სახელმწიფო ორგანოთა (თანამდებობის პირთა) საქმიანობა, რომლის შედეგადაც ისინი თავიანთი სამართლებრივი აქტებით ადგენენ, ცვლიან ან აუქმებენ კონკრეტული სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეების უფლებებსა და მოვალეობებს. წყვეტენ სამართლებრივი ნორმის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის საკითხს. სამართლის გამოყენება ემყარება კანონს ან სხვა ნორმატიულ აქტს. ეს არის სამართლის ნორმის კონკრეტიზაცია, მისი შეფარდება ცალკეულ შემთხვევებთან. სამართლის გამოყენების აქტს კანონით დადგენილი ფორმა აქვს (ბრძანება, გადაწყვეტილება, განაჩენი, განკარგულება).

სამართლის ენციკლოპედია – 1. ევროპის იურიდიული მეცნიერების განვითარების ადრეულ საფეხურზე მთელი იურიდიული ცოდნის ერთ სისტემად გაერთიანების ფორმა. 2. ბურჟუაზიულ ქვეყნებში XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში სამეცნიერო დისციპლინა., რომელიც შეიცავდა ძირითად ცნობებს სამართლის, მისი პრინციპის, დარგებისა და მეთოდების შესახებ. თანამედროვე ბურჟუაზიულ სამართალში სამართლის ენციკლოპედია როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა აღარ გხვდება.

სამართლის სისტემა – მოქმედი სამართლის სტრუქტურა, რომელიც გამოხატავს ამ სამართლის შემადგენელი იურიდიული ნორმების შინაგან კავშირსა და ერთიანობას და

ამასთან ერთად მათ დაყოფას სამართლის დარგებად და ინსტიტუტებად მათ მიერ მოწესრიგებული საზოგადოებრივი ურთიერთობის თავისებურებათა შესაბამისად. სამართლის დარგში იგულისხმება იმ სამართლის ნორმების ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებს საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთ განსაზღვრულ სფეროს (სამოქალაქო სამართალს, საოჯახო, შრომითს და ა.შ.). სამართლის ინსტიტუტს შეადგენს სამართლის ამა თუ იმ დარგის იურიდიული ნორმების განსაზღვრული ჯგუფი, რომელიც აწესრიგებს ერთგვაროვან, ურთიერთდაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს (მაგ.: სამოქალაქო სამართალში საკუთრების უფლების ინსტიტუტი, მემკვიდრეობის ინსტიტუტი და სხვა). სამართლის ძირითადი დარგებია: სახელმწიფო სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, საფინანსო სამართალი, მიწის სამართალი, სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი, სასჯელ–აღსრულებითი სამართალი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, სისხლის საპროცესო სამართალი. მეცნიერებაში მიღებულია სამართლის დაყოფა შემდეგ სისტემებად ანუ ოჯახებად: კონტინენტალური, ანუ რომანული, გერმანული, ანგლო-საქსონური, ანუ ანგლო-ამერიკული და მუსულმანური. ზოგჯერ ცალკე გამოყოფენ ხოლმე ე.წ. „სოციალისტური სახელმწიფოების“ სამართლის სისტემას. საქართველოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა სამართლის კონტინენტალურ სისტემაზეა ორიენტირებული, თუმცა მას მდიდარი ეროვნული ტრადიციებიც გააჩნია.

სამართლის სუბიექტი – მართლურთიერთობის მონაწილე ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც კანონის მიხედვით უნარი აქვს იქონიოს კონკრეტული უფლება-მოვალეობანი. სამართლის სუბიექტი როგორც წესი, ქმედუნარიანია, ე.ი. უნარი აქვს თავისი მოქმედებით შეიძინოს უფლებები და იკისროს იურიდიული მოვალეობანი. ჩვენს ქვეყანაში ყველა მოქალაქე თანასწორუფლებიანი სამართლის სუბიექტია მათი სქესის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სოციალური წარმოშობისა და ქონებრივი მდგომარეობის მიუხედავად.

სამართლის ფილოსოფია – მეცნიერება სამართალმცოდნეობისა და სახელმწიფოთმცოდნეობის ზოგადი თეორიულ-მსოფლმხედველობითი პრობლემების შესახებ.

სამართლის წიგნი – კანონთა სისტემური კრებულის (იშვი-

ათ შემთხვევებში – სასამართლო გადაწყვეტილების) ძველი ქართული სახელწოდება. ხშირად „სამართლის წიგნი“-ის მაგიერ შემოკლებული გამოთქმა „სამართალი“ იხმარებოდა. სამართლის წიგნი სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმებს აერთიანებდა. მის ცალკეულ დარგობრივ ნაწილებს „კარი ეწოდებოდა“. ჩვენამდე მოღწეული ქართული ეროვნული სამართლის წიგნებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“.

სამართლის წყარო – სპეციალური იურიდიული ტერმინი, რომელიც გულისხმობს სამართლის ნორმის, სახელმწიფოს მიერ დადგენილი სავალდებულო ქცევის წესის გამოხატულების ფორმას. ეს ფორმები, რომლებსაც სახელმწიფო განსაზღვრავს, სამართალშემოქმედებითი პროცესის შემადგენელი ელემენტებია, სამართლის ნორმების ცხოვრებაში გატარების, სამართლის რეალიზაციის აუცილებელი წინაპირობაა. სამართლის ძირითადი წყაროა ნორმატიული აქტები, რომელთაგანაც მთავარი ადგილი უკავია პარლამენტის მიერ ან რეფერენდუმის წესით მიღებულ კანონს, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული ძალა. კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად გამოცემულ სამართლებრივ აქტებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ეწოდება. სახელმწიფოს უზენაესი კანონია კონსტიტუცია, ანუ ქვეყნის ძირითადი კანონი. ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს. სხვა ნორმატიული ქვეკანონური აქტებიდან სამართლის წყაროს წარმოადგენს ბრძანებულებები, დადგენილებები და განკარგულებები, სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების ბრძანებები, ინსტრუქციები და სხვა, რომლებიც კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს.

სამაჩაბლო – ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი სათავადო. წარმოიშვა XV საუკუნის დასაწყისში. მდინარე ლიახვის შუა და ზემო წელზე, ისტორიულ ანაბეთის ხეობაში. სახელწოდება მომდინარეობს თვითონ მაჩაბელთა გვარიდან, რომელთა წინაპრები იყვნენ ანჩაური თავხელიძეები.

სამდივანბეგო – მდივანბეგის სარგო. ფულადი სასამართლო გადასახად-გამოსაღები გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. მოსამართლეობისათვის სამდივანბეგო მიეცემოდა აგრეთვე ქალაქის (თბილისის) მოურავს, ბატონიშვილს (მეფის ძეს), შეიხ, ალ-ისლამს (მუსლიმანური სამართლის მცოდნეს). სამდივან-

ბეგოს ნაწილი სამეფოდ გადაიდებოდა, ხოლო წილი ცალკეულ მოხელეებსაც ერგებოდა. სამდივანბეგოს იხდიდა პროცესში დამარცხებული მხარე. ტერმინი „სამდივანბეგო“ „სადავოს“ მნიშვნელობითაც იხმარებოდა.

სამედიატორო სასამართლო – მოდავე მხარეთა მიერ მათ შორის დაეის გადასაწყვეტად არჩეული სასამართლო. იმ პირს, რომელსაც მოსამართლედ ირჩევენ, მედიატორი (შუამავალი) ეწოდება. სამედიატორო განხილვის პრინციპზე მოქმედებენ საგარეო ვაჭრობის საარბიტრაჟო კომისია და საზღვარგარეთის საარბიტრაჟო კომისია. სამედიატორო სასამართლო შეიძლება შეიქმნას მოქალაქეთა შორის დაეის განსახილველად. იგი მოქმედებს სამედიატორო სასამართლოს შესახებ არსებული დებულების საფუძველზე.

სამედიატორო სასამართლოს მუდმივი პალატა – საერთაშორისო საარბიტრაჟო ორგანო, დაარსდა 1899 ჰააგის I კონფერენციაზე მიღებული საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის კონვენციის საფუძველზე. შეიქმნა იმ მიზნით, რათა სახელმწიფოებს სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით გაუადვილოს ისეთი საერთაშორისო დაეის მოწესრიგება, რომელიც დიპლომატიური გზით ვერ გადაწყდა. პალატა არ არის მუდმივმოქმედი ორგანო. არსებობს მხოლოდ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტთა მუდმივი სია, რომელთა რიცხვიდან თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შერჩევით იქმნება სამედიატორო სასამართლო. პალატის კანცელარიად ითვლება საერთაშორისო ბიურო (ხელმძღვანელობს მუდმივი ადმინისტრაციული საბჭო), რომელიც ხელს უწყობს სამედიატორო სასამართლოს შექმნას და აწესრიგებს ყველა ადმინისტრაციულ საქმეს, საერთაშორისო დაეის გადაწყვეტაში სამედიატორო სასამართლოს მუდმივ პალატას ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

სამედიცინო იძულებითი ღონისძიება – კანონით დადგენილი სამკურნალო ზემოქმედების საშუალება, რომელსაც სამართალი იყენებს იმის მიმართ, ვინც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო საშიში ქმედობის ჩადენისას შეურაცხადია, ანდა ვინც დანაშაულის ჩადენის ან განაჩენის გამოტანის შემდეგ დაავადდება სულიერი ავადმყოფობით, რაც მას შესაძლებლობას ართმევს ანგარიში გაუწიოს ან უხელმძღვანელოს საკუთარ მოქმედებას. შეურაცხადს სასამართლოს განაჩენით

იძულებითი მკურნალობისათვის მოათავსებენ სპეციალურ ან საერთო ტიპის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. გაძლიერებული ან მკაცრი მეთვალყურეობით მას ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გაათავისუფლებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამკურნალო დაწესებულების დასკვნის საფუძველზე სასამართლო გამოიტანს განჩინებას, რომ ეს პირი საზოგადოებისათვის აღარ წარმოადგენს საშიშროებას და მისთვის იძულებითი მკურნალობა საჭირო აღარ არის. სამედიცინო ხასიათის იძულებით ღონისძიებას აგრძელებს, ცვლის ან წყვეტს სასამართლო იძულებითი მკურნალობის განმახორციელებელი დაწესებულებულების ადმინისტრაციის წარდგინებით, ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნის საფუძველზე. (სსკ. მუხ. 102–105).

სამეურნეო ანგარიში – ეკონომიკური ურთიერთობის სისტემა სოციალიზმის დროს, საერთო სახელმწიფო მიზნისადმი შრომითი კოლექტივებისა და ამ კოლექტივების მეშვეობით ცალკეული მუშაკების საქმიანობის დაქვემდებარების ფორმა, რომელსაც საფუძვლად უდევს საწარმოს (გაერთიანების) მიერ გაწეული ხარჯების შეპირისპირება მიღებული პროდუქციის საზოგადოებრივ ღირებულებასთან ფულადი გამოხატულებით. სამეურნეო ანგარიში პრაქტიკაში ხორციელდება როგორც სოციალისტური მეურნეობის ეკონომიური მართვის მეთოდი. მისი არსი ელინდება საწარმოს შემოსავლისა და ხარჯების მეპირისპირების პროცესში, რომლის დროს მოწმდება, თუ რამდენად შეესაბამება მოცემული კოლექტივის უკვე გაწეული შრომა საზოგადოებრივ საჭიროებებს. სამეურნეო ანგარიში გულისხმობს, რომ კოლექტივმა უნდა დაფაროს საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ხარჯები და მიიღოს განსაზღვრული რაოდენობის მოგება.

სამეურნეო საქმიანობის ანალიზი – (საწარმოთა საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი), სახალხო მეურნეობის ქვეგანაყოფების სამეურნეო საქმიანობის ყოველმხრივი გამოკვლევა და შესწავლა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და ეფექტიანობის ასამაღლებლად. ეკონომიკური ანალიზის ძირითადი ამოცანებია: დასამუშაებელი გეგმებისა და ნორმატივების მეცნიერული დასაბუთება, გეგმებისა და გეგმიური დავალებების შესრულების ყოველმხრივი ობიექტური შესწავლა; საწარმოო რესურსების გამოყენებისა და სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება, შიდასამე-

ურნეო რესურსების გამოყენება, მათი გამოყენება და სხვა.

სამეურნეო წელი – წელიწადი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება საწარმოების, გაერთიანებების თუ მთელი სახალხო მეურნეობის საქმიანობის ანგარიშგება ან დაგეგმვა; იგი შეიძლება არ დაემთხვეს კალენდრულ წელს საწყისი და ბოლო თარიღებით. მაგ.: სსრკ-ში 1921–30 წლებში სამეურნეო წელს ითვლიდნენ 1 ოქტომბრიდან მომდევნო კალენდარული წლის 1 ოქტომბრამდე.

სამეფო აზნაური – მეფის საშუალო ეასალი ფეოდალურ შუა საუკუნეების საქართველოში. სამეფო აზნაურების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, აღზევება-დამცირება სამეფო ხელისუფლების სიძლიერეზე და მთლიანად ქვეყნის მდგომარეობაზე იყო დამოკიდებული. მეფის გაძლიერებასა და ქვეყნის აღორძინებასთან ერთად ძლიერდებოდნენ და წინაურდებოდნენ სამეფო აზნაურებიც. სამეფო ხელისუფლებისა და ქვეყნის დაცემის დროს, დაკნინების ხანაში სამეფო აზნაურებიც სუსტდებოდნენ და ეძებდნენ მფარველობას დიდ ფეოდალებთან.

სამეფო საზოგადოება – წამყვანი სამეცნიერო ცენტრის სახელწოდება მთელ რიგ ქვეყნებში (ავსტრალია, დიდი ბრიტანეთი, დანია და სხვა). ხშირად ეკისრება მეცნიერული აკადემიური ფუნქციები. უძველესია დიდი ბრიტანეთის სამეფო საზოგადოება.

სამეცნიერო საზოგადოებები – მეცნიერ-სპეციალისტთა ან მეცნიერების რომელიმე დარგით დაინტერესებულ პირთა ნებაყოფლობითი გაერთიანებები. პირველდელი სახით გაჩნდა ანტიკურ ხანაში სამეცნიერო საზოგადოებები მიზნად ისახავდნენ გამოკვლევათა კოორდინაციას, ინფორმაციის გავრცელებასა და გაცვლას, შრომების გამოცემას, პრემიების მინიჭებას და სხვა. სამეცნიერო საზოგადოებებს საკუთარი მატერიალური ბაზა არ გააჩნდათ, მაგრამ თავისი წევრების მეშვეობით დიდ გავლენას ახდენდნენ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმართვაზე. სამეცნიერო საზოგადოებები დიდ როლს თამაშობენ სამეცნიერო ცოდნის გავრცელებაში, ატარებენ კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, გასცემენ პრემიებს, თავისი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით თანამშრომლობაში. იგი იქმნება მეცნიერებათა აკადემიასთან.

სამეცნიერო ხარისხები და წოდებები – უმაღლესი განათლების მქონე პირთა სამეცნიერო და სამეცნიერო-პედაგოგიური კვალიფიკაცია (ატესტ-

აცია). ჩვენთან დადგენილია მეცნიერებათა დოქტორის, მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხები, პროფესორის, დოცენტის, უფ. მეცნიერი თანამშრომლიის, ასისტენტის და უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის წოდებები. სამეცნიერო ხარისხების და წოდებების მინიჭება რეგლამენტირებულია „დებულებით სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭების შესახებ“ (1975) სხვადასხვა ქვეყანაში მეცნიერჰუშაკთა სამეცნიერო (1975) პედაგოგიური ატესტაცია სხვადასხვაგვარია. მაგ.: უნგრეთში პირველი სამეცნიერო ხარისხი დოქტორია, შემდეგი მეცნიერებათა კანდიდატი, მესამეა მეცნიერებათა დოქტორი (ანიჭებს აკადემია); გდრ-ში ორი სამეცნიერო ხარისხია: მეცნიერებათა დარგის დოქტორი და დოქტორ ჰაბილა ინგლისური და ამერიკული უნივერსიტეტების დამთავრების შემდეგ იღებენ ბაკალავრის სამეცნიერო ხარისხს, 1–2 წლიანი სწავლების შემდეგ კი ენიჭებათ მეცნიერებათა (ან ხელოვნების) მაგისტრის ხარისხი.

სამთავრო – მონარქიული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომლის სათავეში დგას მთავარი. განსაკუთრებით დამახასიათებელია ფეოდალური დაქუცმაცებულობის პერიოდისათვის. შუა საუკუნეებში საქართველოში სამთავრო ეწოდებოდა მთავრის საგამგებლო ტერიტორიას. I. სახელმწიფო მოხელეების (სპასპეტი, ერისთავი, სპარსალარი). საგამგებლო ადმინისტრაციის – ტერიტორიული ერთეულები; 2. მცირე და დიდი სენიორები (VI–VIII ს.ს-ში ქართველთა) საერისთავო VIII–X ს.ს-ში კახთა საქორეპისკოპოსო, ჰერთა სამეფო, იბერთა საკუროპალატო, XIII–XVIII ს.ს-ში – სამცხე საათაბაგო, გურიის, სამეგრელოს და აფხაზეთის სამთავროები.

სამთო კანონმდებლობა – იმ იურიდიულ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს სასარგებლო წიაღისეულის გამოყენებისა და დაცვის სფეროში. სამთო ურთიერთობათა საფუძველია წიაღზე სახელმწიფოს განსაკუთრებული საკუთრების უფლება, ამიტომ წიაღი გაიცემა მხოლოდ სარგებლობისათვის ,იქმნება მისი გეგმიანი, რაციონალური სარგებლობის პირობები. სამთო კანონმდებლობლობის ძირითადი წყაროა კონსტიტუცია, წიაღის კანონმდებლობის საფუძვლები, წიაღის კოდექსები და წიაღის კანონმდებლობის სხვა აქტები.

სამინისტრო (ლათ. ემსახურობ, ემართავ) – სახელმწიფო მმართველობის ცენტრალური დარგობრივი ორგანო, რომელ-

საც მინისტრი მეთაურობს. სამინისტროები თავდაპირველად დასაყლეთ ევროპის ქვეყნებში შეიქმნა აბსოლუტური მონარქიის განმტკიცების შედეგად და თანდათანობით ცენტრალურ სამთავრობო დაწესებულებათა ერთიან სისტემად ჩამოყალიბდა. სსრკ-ში სამინისტროები სახალხო კომისარიატების მემკვიდრე იყო. სამინისტროები წარმართავენ სახელმწიფო მეურნეობას, სოციალ-კულტურულ მშენებლობასა და ადმინისტრაციული პოლიტიკის საქმიანობის განმსაზღვრელ დარგებს, პასუხს აგებენ მათთვის მინდობილი მმართველობის სფეროების მდგომარეობასა და განვითარებაზე. არსებობდა საერთო-საკავშირო, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სამინისტროები.სამინისტრო კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, იძლევა მითითებებს და ამოწმებს მათ შესრულებას, ამტკიცებს საწარმოებო არბიტრაჟისა და სამინისტროსთან არსებულ სათათბირო ორგანოებს, მაგ.: სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოს დებულებებს და სხვა. სამინისტროების მუშაობა კოლეგიურობის და ერთმმართველობის შეხამების საფუძველზე წარიმართება. საქართველოს 1997 წლის 15 აპრილის კანონის თანახმად, სამინისტრო არის სამთავრობო დაწესებულება, რომელიც ასრულებს კანონით ან პრეზიდენტის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში უზრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობას. სამინისტროს მმართველობის სფერო განისაზღვრება სამინისტროს დებულებით, რომელსაც პრეზიდენტი ამტკიცებს.

სამომრიგებლო სასამართლო – სასამართლო სისტემის ქვედა რგოლი ზოგ ქვეყანაში. განიხილავს მცირე მნიშვნელოვან სისხლის სამართლის და სხვა წვრილმან საქმეებს გამარტივებული წესით. თავდაპირველად შეიქმნა ინგლისში. რევოლუციამდელ რუსეთში სამომრიგებლო სასამართლო დაწესდა 1864 და შედგებოდა უბნის მომრიგებელი მოსამართლეებისა და მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობისაგან. უბნის მომრიგებელი მოსამართლეები იხილავდნენ სამოქალაქო საქმეებს, როცა სასარჩელო მოთხოვნა 500 მანეთს არ აღემატებოდა, აგრეთვე – ზოგიერთ სისხლის სამართლის საქმესაც. სამაზრო საერობო კრება, ქალაქი და საქალაქო გამგეობა, მომრიგებელ მოსამართლეებად 3 წლის ვადით ირჩევდა ისეთ პირებს, რომელთაც საკუთრებად ჰქონდათ 3000 მანეთზე არანაკლები ღირებუ-

ლების უძრავი ქონება და აკმაყოფილებდნენ აგრეთვე ზოგიერთ სხვა ცენზის მოთხოვნებსაც. საქართველოში საოკრუგო და სასამართლოს ოლქი იყოფოდა სამომრიგებლო განყოფილებებად. მომრიგებელ მოსამართლეებს ჰყავდათ თანაშემწეები. მათ კომპეტენციას შეადგენდა სამოქალაქო საქმეთა განხილვა, როცა დავა 2000 მანეთს არ აღემატებოდა. სააპელაციო ინსტანცია იყო საოკრუგო სასამართლო. მომრიგებელ მოსამართლეებად მუშაობდნენ ი. ჭავჭავაძე, ნ. ხიზანიშვილი და სხვა. 1888 სამომრიგებლო სასამართლო გაუქმდა.

სამოშლელო – სამოსამშლელო, სამშლელო – პირგასამტეხლო, სასღაური ხელშეკრულების პირობის დარღვევისათვის ძველ ქართულ სამართალში. გათვალისწინებულია ბექას და აღბუღას სამართლის წიგნში კერძოდ, საჯდომი პირუტყვის ყიდვა-გაყიდვისას, უკეთუ დათქმულ ვადაში ცხოველს „ზნე“ („ზიანი“) რამე გამოაჩნდებოდა, ხელშეკრულების მოშლა „სესამშლელოდ“ შეიძლებოდა; „პაემანს გარეთ“ ნასყიდობის მოშლისათვის კი მყიდველი გამყიდველს კანონის ძალით სამომშლელოდ ფასის ერთ მეათედს აძლევდა.

სამომხმარებლო ბიუჯეტი – ოჯახის შემოსავალ – გასაელის ბალანსი, რომელიც ახასიათებს მშრომელთა ოჯახების სხვადასხვა ჯგუფის ცხოვრების დონეს. სამომხმარებლო ბიუჯეტი გვიჩვენებს ოჯახების შემოსავალს და დანახარჯს მათი დანიშნულების მიხედვით. ფაქტობრივი სამომხმარებლო ბიუჯეტისგან განასხვავებენ ნორმატიულ სამომხმარებლო – საანგარიშსწორებო ბიუჯეტს, რომელიც ემყარება განსაზღვრულ ნორმებსა და ნორმატივებს.

სამომხმარებლო კოოპერაცია – მომხმარებელთა გაერთიანება სამომხმარებლო საქონლის ერთობლივი შესყიდვის, წარმოებისა და გაყიდვის მიზნით. საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სამომხმარებლო კოოპერაციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქონელბრუნვის სფეროდან კერძო კაპიტალის განდევნაში, სავაჭრო აპარატის შექმნაში.

სამომხმარებლო კრედიტი – მოსახლეობისათვის პირადი მოხმარების ნივთების შესაძენად ან საყოფაცხოვრებო მომსახურების ანაზღაურებისათვის გაცემული კრედიტი. კაპიტალისტურ ქვეყნებში სამომხმარებლო კრედიტი სავაჭრო ორგანიზაციის, ბანკებისა და სხვა საკრედიტო – საფინანსო დაწესებულე-

ბების კრედიტია. სამომხმარებლო კრედიტზე მაღალი პროცენტი (10–12) კოლოსალურ მოგებას იძლევა.

სამონადირეო მეურნეობა – ბუნების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციულ-სამეურნეო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს გარეული ნადირ-ფრინველის მოპოვებას სანადირო პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობით მისაღებად და ცხოველთა რაოდენობრივ შენარჩუნებას პოპულაციისათვის ოპტიმალურ დონეზე. საქართველოს რაიონებში შექმნილია ნაკრძალები, აღკვეთილები, სახელმწიფო და მიწერილი სამონადირეო მეურნეობები ძვირფასი სახეობის ნადირ-ფრინველთა დასაცავად და მოსამრაველებლად.

სამონეტო პარიტეტი – 1. კანონმდებლობით დადგენილი სავალუტო ლითონის შემცველობა მონეტაში. 2. სხვადასხვა ქვეყნის ფულადი ერთეულის თანაფარდობა მონეტაში კანონმდებლობით დადგენილი წმინდა ოქროს (ვერცხლის) რაოდენობით, შესაბამისად გადაუხურდაველი ბანკნოტების მიმოქცევის პირობებში სამონეტო პარიტეტმა პრაქტიკულად დაკარგა მნიშვნელობა.

სამონეტო კონვენციები და ბაშმირები – სახელმწიფოებს შორის შეთანხმება მონეტის წონისა და სინჯის სტანდარტიზაციისა და მათი ურთიერთმიღების შესახებ. მონეტური შეთანხმების ფორმებია ლათინთა სამონეტო კავშირი (1865–1926) და სკანდინავიის სამონეტო კავშირი (1872–1924).

სამონასტრო გლეხები – რუსეთში – მართლმადიდებლური ეკლესიის მფლობელობის ფეოდალურ-დამოკიდებული მოსახლეობის კატეგორია XI საუკუნიდან XVIII ს. შუა წლებამდე. მიტროპოლიტ კიპრიანეს სიგელით 1391 სამონასტრო გლეხებს უნდა გადაეხადა ღალა, საბატონო ბეგარა და შეესრულებინათ ყველა სამეურნეო სამუშაო.

სამონეტო რეგალია – სახელმწიფოს მონოპოლიური უფლება მონეტის მოჭრასა და მიმოქცევაში გაშვებაზე. სამონეტო რეგალიის საფუძველზე სახელმწიფო ახორციელებს სამონეტო კანონმდებლობას, განსაზღვრავს მონეტის დასახელებას, მასალას, სინჯს, წონას, ზომას, მის გარედან განმასხვავებელ ნიშნებს, რემედიუმს და ა.შ.

სამონეტო შემოსავალი – მონეტის მოჭრით მიღებული სახელმწიფოს შემოსავალი – სხვაობა არასრულფასოვანი მონეტის ნომინალურ ღირებულებასა და მისი (ე.ი. მონეტის) შემცველი ლითონის საბაზრო ღირებულე-

ბას შორის (მოჭრის დანახარჯების გამოკლებით), სამონეტო შემოსავალი იზრდებოდა მონეტის გაფუჭების ხარჯზე. თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში გადასახურდავებელი მონეტის ხვედრითი წილი მიმოქცევაში არსებულ ფულის მასაში შედარებით უმნიშვნელოა, ამიტომ სამონეტო შემოსავალი არ ასრულებს არსებით როლს ბურჟუაზიული სახელმწიფოების შემოსავალში.

სამონეტო წესდება – სახელმწიფო კანონით დადგენილი წესები, რომლებიც საზღვრავს მონეტის მოჭრას. განსაზღვრავს მონეტის მოჭრის ხასიათს (თავისუფალი თუ დახურული), საკალატო ლითონის სინჯს, მასას, ტიპსა და გამოსაშვები მონეტის ლეგენდას, მიმოქცევიდან მონეტის ამოღების წესს, რემედიუმს მისი მოჭრისას და სხვა. სამონეტო წესდების დარღვევა კანონით აკრძალულია.

სამოურავო – მეფის სახასო ან მსხვილი საერო და საეკლესიო ფეოდალების სამფლობელო ტერიტორიის ნაწილი შუა საუკუნეებში საქართველოში, რომელსაც მოურავი განაგებდა.

სამოქალაქო – ძველი ქართული ტერმინი, აღნიშნავდა ფეოდალური ხანის ქალაქის სანახებს, მის ე.წ. „მიმდგომ ქვეყანის“ – ქალაქისაგან ადმინისტრაციულად და ეკონომიკურად დამოკიდებულ ტერიტორიას. ტერმინი სამოქალაქო წარმოადგენდა ჯერ გაერთიანებულ საქართველოს, შემდეგ კი იმერეთის მეფეთა დომენს.

სამოქალაქო ბრუნვა – იურიდიული ფაქტების (მაგ.: გარიგებების, საგეგმო და სხვა ადმინისტრაციული აქტების) ერთობლიობა და მათ საფუძველზე წარმოშობილი მართლურთიერთობანი, რომელთა ძალით ქონება გადადის სამართლის ერთი სუბიექტიდან (ერთი პირიდან) მეორეზე. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი არიან ორგანიზაციები (იურიდიული პირები) და მოქალაქენი (ფიზიკური პირები). სამოქალაქო ბრუნვა მოიცავს ქონების გადასვლას როგორც სასყიდლით, (მაგ.: ყიდვა-გაყიდვა), ისე უსასყიდლოდ (მაგ.: ჩუქება); როგორც საკუთრებაში ან ოპერატულ მმართველობაში, ისე დროებით მფლობელობასა ან სარგებლობაში (მაგ.: შესანახად). სამოქალაქო ბრუნვის დამახასიათებელი თვისებაა მონაწილეთა იურიდიული თანასწორუფლებიანობა იმის მიუხედავად, თუ რა საფუძველზე ხდება ქონების გადაცემა. გარიგებათა წრე, რომელთა საფუძველსაც ხორციელდება სამოქალაქო ბრუნვა დამოკიდებულია ქონების სოციალურ მნიშვნელობაზე.

სამოქალაქო დრო – დროის აღრიცხვის სისტემა, რომელსაც საფუძვლად უდევს საშუალო მ'სისიერი დღე-ღამე. ოღონდ საშუალო მ'სისიერ დროში დღე-ღამის დასაწყისად მიღებული იყო ადგილ. საშ. შუადღე. ამ შემთხვევაში სამოქალაქო დრო ეტოლება საშუალო მ'სისიერ დროს პლუს 12 სთ. ამჟამად მიღებულია, რომ საშუალო მ'სისიერ დროშიც დღე-ღამე იწყება ადგილ. საშ. შუაღამიდან, ამიტომ სამოქალაქო დრო საშუალო მ'სიურ დროს ემთხვევა და ტერმინ სამოქალაქო დროს სმარება გამართლებული აღარაა.

სამოქალაქო სამართალი – სამართლის დარგი, რომელიც აწესრიგებს ქონებრიც და 'ოგიერთ არაქონებრივ ურთიერთობებს. სამოქალაქო სამართალი თანასწორობის საწყისებზე აწესრიგებს საზოგადოების ქონებრივ ურთიერთობას და ზოგიერთ ისეთ პირად არაქონებრივ ურთიერთობას, როგორიცაა სახელის უფლება, ავტორის არაქონებრივი უფლებანი, პატივისა და ღირსების სამოქალაქო-სამართლებრივი დაცვა. სამოქალაქო სამართლის მონაწილენი არიან საზოგადოებრივი ორგანიზაციები (იურიდიული პირები) და მოქალაქეები (ფიზიკური პირები). უცხო მოქალაქეებს, კანონით გათვალისწინებული ცალკეული გამონაკლისის გარდა, შეუძლიათ აგრეთვე შეიძინონ და განახორციელონ სამოქალაქო უფლებები და მოვალეობანი. სამოქალაქო უფლებების დაცვა ხდება ამ უფლებების სასამართლო აღიარებით, უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენით და უფლების დამრღვევი მოქმედების აღკვეთით, უფლების დამრღვევი პირისათვის ზარალის (აგრეთვე პირგასამტეხლოს) გადახდევინებით, ვალდებულების ნატურით შესრულების მისჯით, სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტით ან შეცვლით და სხვა.

სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა – სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მოქალაქეთა ან იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევის ან ზარალის მიყენებისათვის. უმთავრესად ეს არის მიყენებული ზარალის ანაზღაურება და პირგასამტეხლოს (ჯარიმის) გადახდა, ზოგჯერ კი სამართალდარღვევისადმი არაქონებრივი ხასიათის სანქციის გამოყენება (მაგ.: ციხისმ'ამებლური ცნობის უარყოფის მოთხოვნა). არსებობს ხელშეკრულებითი პასუხისმგებლობა (ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების დროს) და ხელშეკ-

რულების გარეშე პასუხისმგებლობა. თუ ვალდებულებაში რამდენიმე კრედიტორი ან მოვალეა, განასხვავებენ: წილადი პასუხისმგებლობის ფორმას, როცა ყოველი მოვალე პასუხს აგებს მისი წილის თანაბრად და სოლიდარულს, რომლის მიხედვითაც კრედიტორი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულება სრული მოცულობით მოსთხოვოს როგორც ყველა მოვალეს ერთად, ისე თითოეულს ცალ-ცალკე. ასეთ შემთხვევაში მოვალეს, რომელმაც ერთპიროვნულად შეასრულა მთლიანი ვალი, უკუმოთხოვნის უფლება ენიჭება დანარჩენი მოვალეების მიმართ (სარეგრესო სარჩელი). არსებობს სუბსიდიური პასუხისმგებლობაც, რომლის მიხედვითაც კრედიტორი უფლებამოსილია ძირითადი მოვალისაგან მიღებული ნაწილი გადაახდევინოს სხვა ვალდებულ პირს (მაგ.: ზიანის მიყენების დროს 15 წლიდან 18 წლამდე ასაკის პირთა მშობლებს, მზრუნველებს).

სამოქალაქო სამართლის კოდექსი – საკანონმდებლო აქტი, რომელშიც სისტემატიზებულია სამოქალაქო სამართლის ძირითადი ნორმები, სამოქალაქო სამართლის კანონებს შორის უმაღლესი იურიდიული ძალა აქვს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძველს. ამჟამად მოქმედებს 1997 წლის 26 ივნისს მიღებული და 1997 წლის 25 ნოემბერს ამოქმედებული სამოქალაქო კოდექსი. იგი აწესრიგებს ქონებრივ ურთიერთობებს და მათთან დაკავშირებულ არაქონებრივ ურთიერთობებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შეიცავს 1520 მუხლს, რომლებიც გაერთიანებულია 6 წიგნში და იგი შემდეგნაირადაა განლაგებული: წიგნი პირველი – სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებანი; წიგნი მეორე – სანივთო (ქონებრივი) სამართალი; წიგნი მესამე – ვალდებულებითი სამართალი; წიგნი მეოთხე – ინტელექტუალური სამართალი; წიგნი მეხუთე – საოჯახო სამართალი და წიგნი მეექვსე – მემკვიდრეობითი სამართალი.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი – საკანონმდებლო აქტი, რომელშიც სისტემატიზებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები. საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს სასამართლოში საქმეთა განხილვის წესს ისეთ დავაზე, რომელიც წარმოიშობა სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საკოლმეურნეო და ადმინისტრაციული სამართლის ურთიერთობისაგან, აგრეთვე განსაკუთრებული წარმოების საქმეებზე. კოდექსით დადგენილ

საქმეთა განხილვის წესი უფლებების დაცვის ყველაზე უფრო ავტორიტეტული ფორმაა და მოწოდებულია უზრუნველყოს მხარეთა ნამდვილი უფლებების დაცვა, განსახილველ საქმეებზე ჭეშმარიტების დადგენა, კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანა. დღეს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მიღებულია 1997 წლის 14 ნოემბერს და ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისიდან. კოდექსი შედგება 11 კარისა, 52 თავისა და 439 მუხლისგან.

სამოქალაქო საპროცესო სამართალი – სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა განხილვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმები ნამოყალიბებულია კონსტიტუციაში, რომელიც შეიცავს სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის კონსტიტუციურ პრინციპებს; კანონმდებლობის საფუძვლებში სასამართლო წყობილების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მართლმსაჯულების ამოცანებს, მართლმსაჯულების ორგანოების სისტემას; საქართველოს რესპუბლიკის სამართალწარმოების საფუძველში, რომელიც ადგენს სამოქალაქო საპროცესო სამართლის ძირითად პრინციპებს და დებულებებს და ა.შ. მთავარი საკანონმდებლო აქტი, რომლითაც ძირითადად ხელმძღვანელობენ საქართველოს რესპუბლიკის სასამართლოები და რომლებშიც სისტემატიზებულია საქართველოს სამოქალაქო სამართლის ნორმები, არის საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი. საქართველოს საპროცესო სამართლის ამოცანაა კანონიერების განმტკიცება, სამართალდარღვევის თავიდან აცილება, მოქალაქეთა აღზრდა კანონიერების განუხრელად შესრულებისა და საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით. სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმების განუხრელად დაცვა მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების აუცილებელი პირობაა.

სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესში – დანაშაულით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს აღძრული მოთხოვნა. სამოქალაქო სარჩელი შეიძლება წარადგინონ სისხლის სამართლის საქმის აღძრის, წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის დროს, აგრეთვე სასამართლოში, მაგრამ სამსჯაჯრო (სასამართლო) გამოძიების დაწყებამდე. ასეთი სარჩელი შეი-

ძლება აღძრას ყოველმა დაინტერესებულმა პირმა, რომელსაც მიაჩნია, რომ დანაშაულის შედეგად მან განიცადა მატერიალური ზარალი, რომლისაც არსებობს იმის საკმაო საფუძველი, რომ დანაშაულით მიყენებულია მატერიალური ზარალი. წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის ორგანოები, პროკურორი და სასამართლო ვალდებულნი არიან მიიღონ ზომები წარდგენილი ან მომავალში შესაძლებელი სამოქალაქო სარჩელის უზრუნველსაყოფად. სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს წარდგენილი სარჩელი სახელმწიფო ბაჟისაგან თავისუფლდება. სარჩელი განიხილება სისხლის სამართალწარმოების წესით და გადაწყდება განაჩენის გამოტანის დროს. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს აღძრულ სარჩელზე, მაგრამ თუ ამ უარს მიიღებენ, მოსარჩელეს ერთმეფა უფლება აღძრას იგივე სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

„სამოქალაქოს ჰსჯულჳილება“ – სხვადასხვა საგანთა შეკრებილება – უცნობი პირის მიერ 1799–1800 მომზადებული და კრებულად შემონახული 21 კანონპროექტი („მანიფესტი“, „უქაზი“, „ინსტრუქცია“) სხვადასხვა საკითხის. ეს კრებული ხელთ ჰქონია დავით ბატონიშვილს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ – იოანე ბატონიშვილს. ამიტომ იგი ნაწილობრივ ეძღვნება და ანვითარებს დავითის კოდიფიკაციის დებულებებს. „სამოქალაქოს ჰსჯულჳილების“ ავტორი ბატონყმობას არსებითად ხელუხლებლად ტოვებს, სამაგიეროდ გულმოდგინე მოწესრიგების საგნად აქცს მიწნეული აღებმიცემობა – ხელოსნობის წარმატებისა და საქართველოს საქალაქო კაპიტალის ზრდისა და დაცულობის უზრუნველყოფა. „სამოქალაქოს ჰსჯულჳილების“ კანონპროექტი გამსჭვალულია ერთი სახელმძღვანელო აზრით, შინაარსობრივადაც დაკავშირებულია ერთმანეთთან, დანომრილი და სათითაოდ დასათაურებულიცაა. ყოველი მათგანი იწყება პრეამბულით, რომელშიც დახასიათებულია მოსაწესრიგებელ ურთიერთობათა ვითარება და კანონმდებლის მიზანდასახულობა. ყურადღებას იპყრობს ახლებური რეგლამენტაცია სახელმწიფო და ადმინისტრაციულ, საეკლესიო, სამოქალაქო, სამემკვიდრეო, საოჯახო, საქართველო – სახელოსნო სამართლის დარგში, სასამართლო წესობილებასა და პროცესში, აგრეთვე სხვადასხვა ნაწილი სისხლის სამართლის და პროცესის ცალკეული ნორმებსაც შეიცავს.

სამოქალაქო ძორწინება – ქორწინება, რომელიც ფორმდე-

ბა სახელმწიფო ხელისუფლების სათანადო ორგანოებში ეკლესიის მონაწილეობის გარეშე ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ერთ–ერთი პირველი იყო დეკრეტი ქორწინების სამოქალაქო ფორმის შესახებ (1917 წ. 18 დეკემბერს). იურიდიული ძალა მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებას აქვს, ე.ი. ისეთ ქორწინებას, რომელიც ფორმდება მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოებში. ზოგ ქვეყანაში სამოქალაქო ქორწინებასა და საეკლესიო ქორწინებას ერთნაირი იურიდიული ძალა აქვს (მაგალითად დიდი ბრიტანეთი). კოდექსის 1106-ე მუხლით: „ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში“ (სკ. მუხ. 1106).

სამოქალაქო აქტები – მოქალაქეთა სამოქალაქო და საოჯახო-სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი ფაქტები (დაბადება, ქორწინება, განქორწინება, მამობის დადგენა, შვილად აყვანა, სახელის, მამის სახელის, გვარის შეცვლა, მოქალაქეობის შეცვლა, გარდაცვალება), რომლებიც ექვემდებარება სახელმწიფოს სახელით საეალდებულო რეგისტრაციას და წარმოადგენს მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის საფუძველს (საქართველოს 1998 წლის 15 ოქტომბრის კანონი სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ, მუხ. 3).

სამოქალაქო საზოგადოება – დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოს საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია კანონიერების, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. სამოქალაქო საზოგადოებაში უმაღლეს სოციალურ ღირებულებად მიჩნეულია ადამიანი. სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ელემენტებია: საკუთრების მრავალფეროვნება და თანასწორობა, შრომისა და მეწარმეობის თავისუფლება, იდეოლოგიური შემწყნარებლობა და პლურალიზმი, კანონისა და ადამიანის უფლებების უზენაესობა, ცივილიზებული სამართლებრივი ხელისუფლება.

სამპარავთმეძებლო სამართალი – გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს სასამართლო – სამძებრო დაწესებულება, რომელიც სპეციალურად იყო შექმნილი მპარავობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასეთ დაწესებულებას XVI საუკუნიდან მეკობრეთმძებნელთა სასამართლოს, შემდგომ დასტურლამალის მიხედვით, ხელისათვის სასამართ-

ლო ეწოდებოდა. მას ეკალებოდა როგორც დამნაშავის დევნა, საქმის წინასწარი ძიება, ისე საქმის გარჩევა და დამნაშავის გასამართლება. მპარავისათვის გათვალისწინებული იყო ხამოხრჩობა ან დამასახიჩრებელი სასჯელი. დანაშაულისათვის გათვალისწინებული იყო აგრეთვე ჯარიმა მეფის ან ფეოდალის სასარგებლოდ. XIII საუკუნის ძეგლით და ვახტანგ VI-ის სამართლით დაწესებულია ნაპარავის შვიდმაგად გადახდევინება.

სამრეწველო გადატრიალება – ტექნიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებათა სისტემა, რომელშიც აისახა კაპიტალისტური მანუფაქტურიდან მსხვილ მანქანურ ინდუსტრიაზე გადასვლა. იგი მუშა მანქანების გამოგონებითა და წარმოებაში დანერგვით დაიწყო და მანქანური წარმოების განვითარებით დასრულდა. მანუფაქტურიდან მანქანურ წარმოებაზე გადასვლით საბოლოოდ იქნა ფორმირებული ორი ძირითადი საზოგადოებრივი კლასი – ბურჟუაზია და პროლეტარიატი.

სამრეწველო კაპიტალი – ზედმეტი ღირებულების წარმოებისათვის ავანსირებული კაპიტალი. მოქმედებს მატერიალური წარმოების სფეროში. სამრეწველო კაპიტალი მოძრაობაშია, განიცდის წრებრუნვას. ერთდროულად არსებობს სამი ფუნქციური ფორმით. სამრეწველო კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის პროცესმა წარმოშვა მონოპოლიები.

სამრეწველო საწარმო – სახელმწიფო საწარმო, რომელშიც სახალხო მეურნეობის გეგმის შესაბამისად, სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელობითა და თავისი კოლექტივის ძალებით ახორციელებს წარმოებით-სამეურნეო საქმიანობას. კანონმდებლობის შესაბამისად, საწარმო იქმნება ზემდგომი ორგანოს ბრძანებით (გადაწყვეტილებით). მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, საფირმო ნიშანი, ანგარიშსწორების ანგარიში სახელმწიფო ბანკში და იურიდიული პირია. საწარმო ახორციელებს მის ოპერატიულ გამგებლობაში არსებული ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებებს.

სამრეწველო-საწარმოო პერსონალი – სამრეწველო საწარმოთა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების იმ მუშაკთა სიობრივი შემადგენლობა, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ წარმოების პროცესში ან დასაქმებული არიან საწარმოს წარმოებრივი საქმიანობის მომ-

სახურებით. სამრეწველო-საწარმოო პერსონალი იყოფა შემდეგ კატეგორიებად: მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები, მოწაფეები, უმცროსი მომსახურე პერსონალი და საწარმოს დაცვის მუშაკები.

სამსჯავრო სახლი – სამოსამართლო დაწესებულების ძველი ქართული სახელწოდება. იხსენიება ჯამთააღმწერლის თხზულებაში (XIV ს.). ავტორის ცნობით, დიმიტრი თავდადებული, ურჟღოშო ყაენის ბრძანებით პატიმრად პყრობილი, განსასჯელად „წარიყვანეს სამსჯავროსა სახლსა, რომელსა დიყანხანად უწოდდეს“ მონღოლნი.

სამურაები – (იაპონიური – სამურაუ – მსახურობა) – ფეოდალურ იაპონიაში – ფართო გაგებით საერო ფეოდალები მსხვილი მთავრებიდან (დაიმიო) დაწყებული წვრილ აზნაურებამდე. ვიწრო გაგებით – წვრილ აზნაურთა სამხედრო ფეოდალური წოდება. სამურაების ძირითადი მასა ემსახურებოდა ფეოდალებს (დაიმიო) და ხელფასს ნატურალურით (ბრინჯით) იღებდა. სამურაებს ჰქონდათ კოდექსი – ბუსიდო. ტერმინი „სამურაები“ ხშირად იხმარება იაპონური მხედრიონის აღსანიშნავად.

„სამუსლიმანო საქართველო“ – ყოველდღიური ქართული პოლიტიკურ-ეკონომიკური და ლიტერატურული გაზეთი, „სამუსლიმანო საქართველოს განმანათავისუფლებელი კომიტეტის“ ორგანო. გამოდიოდა 1919–21 ბათუმში. აშუქებდა მაჰმადიან ქართველთა ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და საქართველოს გაერთიანების საკითხებს. სხვადასხვა დროს გაზეთის რედაქტორები იყვნენ ჰ.ხიმშიაშვილი და მ.აბაშიძე.

სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტი – ქართველ მაჰმადიანთა მიერ საქართველოსთან აჭარის შესაერთებლად შექმნილი ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო აჭარის შეერთება საქართველოსთან, აჭარის მოსახლეობაში ქართული ეროვნული შეგნების განმტკიცება, პანისლამისტებისა და სედაიმელეთელების წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა.

სამუშაო ადგილის ორგანიზაცია – ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის სპეციალიზაციას საჭირო შრომის საგნებითა და იარაღებით, უსაფრთხოებას, ტექნიკის საშუალებებით მის აღჭურვას. ამ უკანასკნელთა განსაზღვრული წესითა და რიგით განლაგებას., ეკონომიკურ მოთხოვნათა შესაბამისად გაფორმებადაგეგმარებას, სამუშაო ადგილის ყველა პარამეტრის ადამიანის

ს სოციალურ-ეკონომიკურ თავისებურებებთან მისადაგებას და შრომის კეთილსახურველი გარემო პირობების შექმნას.

სამუშაოდან დათხოვნა – საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ მუშის ან მოსამსახურის განთავისუფლება სამუშაოდან; შრომითი სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა. სამუშაოდან დათხოვნის საერთო საფუძველია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ: შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა; მუშის ან მოსამსახურის გაწვევა ან შესვლა სამხედრო სამსახურში; შრომის ხელშეკრულების მოშლა მუშის ან მოსამსახურის ინიციატივით, ადმინისტრაციის ინიციატივით ან პროფკავშირის ორგანოს მოთხოვნით და შრომის კანონთა კოდექსში გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით. (შკკ. მუხ. 34).

სამუშაო დრო – დრო, რომლის განმავლობაში მუშაკი საწარმოში ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. მუშა-მოსამსახურეთა სამუშაო დროის ხანგრძლივობა კანონმდებლობით არის 7 სთ. (41-საათიანი სამუშაო კვირისათვის) შრომის ნორმალური პირობების მქონე სამუშაოებზე. სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა მუშაობს ხუთდღიანი სამუშაო კვირით (სამუშაო დღის ხანგრძლივობა 8, 12 სთ). შკკ. 45-ე მუხლის თანახმად: „იმ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, სადაც, წარმოების ხარისხისა და შრომის პირობების ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემოღება მიზანშეწონილი არ არის, წესდება ექვსდღიანი სამუშაო კვირა ერთი დასასვენებელი დღით. ექვსდღიანი სამუშაო კვირის დროს ყოველდღიური მუშაობის (ცვლის) ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 7 საათს, როცა კვირის ნორმა 41 საათია, 6 საათს, როცა კვირის ნორმა 36 საათია და 4 საათს, როცა კვირის ნორმა 24 საათია.

ხუთდღიან ან ექვსდღიან სამუშაო კვირას საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია დააწესებს პროფკავშირთან ერთად სამუშაოს სპეციფიკის, შრომითი კოლექტივის ასრის გათვალისწინებით და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით. (შკკ. მუხ. 45).

სამუშაო დროის ფონდი – განსაზღვრული კალენდარული პერიოდის (წლის, კვარტლის, თვის) განმავლობაში ერთი მუშის მუშაობის გეგმური დრო. მისი გაანგარიშების საფუძველია კალენდარული დროის ფონდი. ამა თუ იმ პერიოდის კალენდარულ დღეთა რაოდენობაში გვიჩვენებს კალენდარული დროის ფონდს. თუ კალ-

ენდარული დროის ფონდს გამოვაკლებთ გამოსასვლელ და სადღესასწაულო დღეებს, მივიღებთ ნომინალური დროის ფონდს. ნომინალური დროის ფონდიდან გამოუცხადებლობის დღეთა გამოკლება კი გვაძლევს სამუშაო დროის ფონდს.

სამუშაო დღე – დღე-ღამის ნაწილი, რომლის განმავლობაში მშრომელი მუშაობს საწარმოში ან დაწესებულებაში. სამუშაო დღეს აქვს ფიზიკური (დახარჯული ენერგიის აღდგენის აუცილებლობით გარკვეული) და მორალური (მშრომელთა კულტურული მოთხოვნილების დაკმაყოფილების აუცილებლობით გარკვეული) საზღვრები. სამუშაო დღე იყოფა აუცილებელ და ზედმეტ სამუშაო დროდ. ჩვენთან სამუშაო დღე ხმარდება მშრომელთა ინტერესებს, სამუშაო დღის შემცირება საზოგადოების ერთ-ერთი კანონზომიერებაა და ემსახურება თავისუფალი დროის გადიდებას.

სამუშაო ზონა – სამუშაო ადგილის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ სიბრტყეში ხელით მისაწვდომი ზონით შემოფარგლულ სამგანზომილებიანი სივრცის მონაკვეთი. ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სიბრტყეში მთლიანად გაშლილ ორივე ხელის თითებით შემოხაზული რკალის შესაბამისი სივრცის მიწვდომას მაქსიმალური ზონა ეწოდება და იგი სამუშაო ზონის მაქსიმალური სასღვარია. ხოლო იმ სივრცეს, რომელსაც იდაყვში მოღუნული ხელის გაშლილი თითები ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად შემოხაზავენ, მიწვდომის ნორმალური ზონა ეწოდება.

სამუშაო კვირა – 1. კალენდარული კვირის განმავლობაში შრომის ხანგრძლივობის კანონით დადგენილი სიდიდე. 2. სამუშაო დროის რეჟიმი, რომელიც განსაზღვრავს სამუშაო და გამოსასვლელი დღეების რაოდენობას, კალენდარულ კვირაში. სამუშაო კვირის ხანგრძლივობა საშუალოდ 40, 8 სთ-ით განისაზღვრება. ამჟამად მუშაობა ხორციელდება ძირითადად ხუთდღიანი სამუშაო დღის რეჟიმით.

სამუშაო სახლები – ღარიბთა თავშესაფრები XVII–XIX საუკუნეების ინგლისში. თავდაპირველად სამუშაო სახლები ადგილობრივი ეკლესიის სამწყსოს გამგებლობაში იყო. პაუპერიზაციის ზრდისა და სამრეწველო გადატრიალების პერიოდში მოხდა სამუშაო სახლების სისტემის ცენტრალიზაცია (1834 კანონი). სამუშაო სახლებში ძალდატანებით ათავსებდნენ ყველას, ვინც საზოგადოებრივ დახმარებას მოითხოვდა. სამუშაო სახლში მოხვედრის შიში აიძულებდათ ღარიბებს დათანხმებულიყვნენ შრომის ყოველგვარ პირობებს, რაც მეწარმეებს ხელფასის შემ-

ცირების საშუალებას აძლევდა. ხალხი ანარჩენდა სამუშაო სახლებს, ჩარტისტებმა თავიანთ 1842 პეტიციაში შეიტანეს მუხლი სამუშაო სახლის გაუქმების შესახებ. XX საუკუნეში სოციალური უზრუნველყოფის განვითარებასთან ერთად სამუშაო სახლის სისტემა მოისპო.

სამუშაო ძალა – შრომის უნარიანობა. ადამიანის ფიზიკური და სულიერი უნარის ერთობლიობა, რომელსაც იგი იყენებს მატერიალური დოვლათის საწარმოებლად.

სამუშაო ძალის დენადობა – სამუშაო ძალის გადაადგილების პროცესი ერთი საწარმოდან, დარგიდან, ეკონომიკური და ადმინისტრაციული რაიონიდან მეორეში, რაც არ ექვემდებარება რეგულირებას. მას საფუძვლად უდევს მუშაკთა პირადი სურვილი ან შრომის დისციპლინის დარღვევა. კადრების დენადობის მთავარი მიზეზებია: შრომისა და წარმოების ორგანიზაციის ნაკლოვანებები, საბინაო და საყოფაცხოვრებო მომსახურების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, ხარვეზები კადრების კვალიფიციურ ხრდასა და შრომის ანაზღაურების ორგანიზაციაში.

სამუხრანბატონო – ფეოდალური საქართველოს ერთერთი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული. სათავადო, წარმოიშვა ქართლის მეფეთა დომენში XVI საუკუნის დასაწყისში. სამეფო დინასტიის ერი-ერთი შტოს მეთაურობით, რომელთაც მუხრანბატონები ეწოდათ. სამუხრანბატონოს ძირითადი ტერიტორია მუხრანის ველზე მდებარეობდა. სამუხრანბატონოს წარმოშობა დაემთხვა შინა-ჰოლიტიკურ კრიზისს, როცა ქსნისა და არაგვის ერისთავთა ცდას მიეტაცებინათ სამეფო დომენი, დაერთო კახეთის მეფის ალექსანდრეს ლაშქრობა მუხრანში. სამუხრანბატონოს წარმოქმნა იყო სამეფო დომენის გადარჩენის ერთგვარი ცდა. სამუხრანბატონო აქტიურად მონაწილეობდა ქართლის სამეფოს ცხოვრებაში, ზოგჯერ მუხრანბატონები ქართლის გამგენი ან მეფეებიც იყვნენ. სამუხრანბატონომ არსებობა შეწყვიტა XIX საუკუნის 40-იან წლებში.

სამშენებლო ნორმები და წესები – ძირითადი ნორმატიული დოკუმენტების ერთობლიობა, რომელსაც იყენებენ სამშენებლო დარგში; შეიცავს მოთხოვნებს, ნორმატივებს, წესებს დასახლებული ადგილების, შენობა ნაგებობების კონსტრუქციებისა და საინჟინრო მოწყობილობების დაპროექტების, მშენებლობის ორგანიზაციისა და წარმოების, სახარჯო ღირებულების განსაზღვრის, დამთავრებული ობი-

ექტების მიღებისა და ექსპლუატაციაში გადაცემის საკითხების შესახებ. მას ამტკიცებს და გამოსცემს მინისტრთა კაბინეტის მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი. სამშენებლო ნორმები და წესები მოიცავს 4 ნაწილს, რომლებიც დაყოფილია თავებად. I ნაწილი აყალიბებს ნორმატიული დოკუმენტების სისტემას, სამშენებლო ტერმინოლოგიას. II ნაწილი აწესებს დებულებებს და ნორმატივებს დაპროექტების საერთო სამშენებლო საკითხებში. III ნაწილი აყალიბებს სამშენებლო მოთხოვნებს მშენებლობის ორგანიზაციის, სამუშაოთა წარმოებისა და მიღების, მზა ობიექტების ექსპლუატაციაში გადაცემის საკითხებს. IV ნაწილი იძლევა მითითებებს მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებების განსასაზღვრავად.

სამშობლოს (სახელმწიფოს) ღალატი – ქმედება, რომელსაც მოქალაქე განზრახ ჩაიდენს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის ან სამხედრო ძლიერების საზიანოდ. სახელმწიფოს ღალატი შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით, მტრის მხარეზე გადასვლა, ჯაშუშობა, სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოებების გაცემა უცხო სახელმწიფოსათვის, საზღვარგარეთ გაქცევა ან საზღვარგარეთიდან დაბრუნებაზე უარის თქმა და სხვა. იგი ერთ-ერთი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულია, რისთვისაც სასჯელად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა სხვადასხვა ვადით ან უვადოდ. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ეკისრება მოქალაქეს, რომელიც უცხოეთის დაზვერვამ გადაიბირა ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მტრული საქმიანობის განსახორციელებლად, მაგრამ მიღებული დანაშაულებრივი დავალების შესასრულებლად არაფერი მოქმედება არ ჩაიდინა და ნებაყოფლობით განუცხადა ხელისუფლების ორგანოებს უცხოეთის დაზვერვასთან თავისი კავშირის შესახებ. (სსკ. მუხ. 307).

სამძებრო პროცესი (ინკვიზიციური) – სისხლის სამართლებრივი პროცესის ფორმა, რომლის დროსაც ბრალდების, დაცვისა და სასამართლო ფუნქციებს ერთი და იმავე ორგანო ასრულებს. ე.ი. ყველა ფუნქცია ერთ ხელშია თავმოყრილი. თავდაპირველად მხოლოდ საეკლესიო სასამართლოში ვრცელდებოდა მწვალებლობის საქმეებზე, შემდეგ კი საერო საქმეებიც მოიცვა. მისთვის დამახასიათებელი იყო ის, რომ პროცესში არ არსებობდნენ მხარეები, ბრალდებულს არ გააჩნდა პროცესუალური უფლებები, საქმის წარმოება მიმდინარეობდა

საიდუმლოდ და წერილობით. შედარებით სრულყოფილ მტკიცებულებად ითვლებოდა თვით ბრალდებულის აღიარება, რისთვისაც ჯართოდ იყენებდნენ წამებას. მოწმის ჩვენებას აფასებდნენ იმის მიხედვით, თუ რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნოდა იგი.

სამხედრო აღრიცხვა – ყველა სამხედრო ვალდებულისა და წვევამდელის სპეციალური აღრიცხვა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აღრიცხვის წესს ადგენს თავდაცვის სამინისტრო და იგი ხორციელდება რაიონის, ქალაქის სამხედრო კომისარიატის მიერ სამხედრო ვალდებულისა და გასაწვევის პირველადი აღრიცხვა ევალება ადგილობრივ გამგეობაში არსებულ სამხედრო საალრიცხვო მაგიდებს. სამხედრო ვალდებული, რომელიც სხვა ადგილზე გადადის მუდმივ ან დროებით (თვენახევარზე მეტი ვადით) საცხოვრებლად ან მიდის მივლინებაში, სასწავლებლად, შვებულებაში, სამკურნალოდ და ა.შ. (სამ თვეზე მეტი დროით) მოვალეა მოიხსნას სამხედრო აღრიცხვიდან, ხოლო სადაც ჩავა, იქ უნდა გამოცხადდეს სამხედრო აღრიცხვაზე ასაყვანად. იგი ვალდებულია აცნობოს საალრიცხვო ორგანოს, თუ შეეცვალა ოჯახური მდგომარეობა. საზღვარგარეთ მცხ. მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვა ევალებათ დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლებსაც. საქართველოს 1997 წლის 17 სექტემბრის კანონი, სამხედრო ვალდებულებებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ.

სამხედრო ბეგარა – ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში მოსახლეობის სამხედრო სამსახურის კანონით დადგენილი ვალდებულება.

სამხედრო ბილეთი – დოკუმენტი, რომელსაც სამხედრო კომისარიატი აძლევს სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევ ან თადარიგში ჩასარიცხ მოქალაქეს. სამხედრო ბილეთი უვადო დოკუმენტია, რომელიც ადასტურებს სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი ჯარისკაცის, მეზღვაურის, სერჟანტის, ზემდეგის პიროვნებას. სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფ ოფიცრებსა და გენერლებს ეძლევათ პირადობის მოწმობა, ხოლო თადარიგში გასვლის ან გადადგომის შემდეგ სამხედრო ბილეთი.

სამხედრო განათლება – კადრების მომზადების სისტემა შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობისა, ჯარების გვარეობათა და სპეციალური სამხედრო მეცნიერებათა დარგში სისტემატიზებული ცოდნისა და პრაქტიკულ ჩვევათა ერთობლიობა. სამხედრო განათლების

ჩასახვა და განვითარება მჭიდროდ უკავშირდება სამხედრო მეცნიერებასა და სამხედრო ხელოვნებას.

სამხედრო დანაშაული – დანაშაული სამხედრო სამსახურის შესრულების დადგენილი წესის წინააღმდეგ, რომელიც ჩაიდინა სამხედრო მოსამსახურემ, აგრეთვე სამხედრო ვალდებულების სასწავლო შეკრების გავლისას. სამხედრო დანაშაული განსხვავდება სამხედრო დისციპლინური გადაცდომისაგან ქმედობის საშიშროების ხარისხით. სამხედრო დანაშაულისათვის კანონმდებლობა ითვალისწინებს სასჯელებს: თავისუფლების აღკვეთას, სამსახურეობრივ შეზღუდვას და სხვა სასჯელს. სისხლის სამართლის კოდექსის 382-ე მუხლით: „სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულად ითვლება ქმედება, მიმართული საქართველოს სამხედრო ძალებში სამხედრო სამსახურის წესის წინააღმდეგ, ჩადენილი იმ სამხედრო მოსამსახურის მიერ, რომელიც საქართველოს სამხედრო ძალებში მსახურობს გაწვევით ან კონტრაქტის საფუძველზე, აგრეთვე რეზერვისტის მიერ სამხედრო შეკრებისას". ომიანობის ან საომარი მდგომარეობის დროს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულისათვის განისაზღვრება საომარი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით. (სსკ. მუხ. 382).

სამხედრო პროკურატურა – საქართველოში სპეციალიზებული პროკურატურა, რომელიც შედის პროკურატურის ერთიან სისტემაში და კანონით განსაზღვრულ უფლებამოსილებას ახორციელებს იმ დანაშაულისა და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა საქმეებზე, რომლებიც ჩადენილია სამხედრო მოსამსახურის, მასთან გათანაბრებული შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა მიერ, აგრეთვე, საქართველოს სამხედრო ძალებში მომსახურე სამოქალაქო პირის საქმეზე, რომელსაც ბრალად ედება სამსახურში ან სამხედრო ნაწილის, სამხედრო დაწესებულების ტერიტორიაზე დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, აგრეთვე, სამოქალაქო პირთა საქმეებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ სამხედრო მოსამსახურესთან ან მასთან გათანაბრებულ პირთან ერთად დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში. სპეციალიზირებული სამხედრო პროკურატურებია: მთავარი სამ-

სჯდრო პროკურატურა და რეგიონალური სამხედრო პროკურატურები. მთავარ სამხედრო პროკურატურას ხელმძღვანელობს მთავარი სამხედრო პროკურორი, რომელიც თანამდებობის მიხედვით არის საერალური პროკურორის მოადგილე. მთავარ სამხედრო პროკურორს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გენერალური პროკურორი. (საქართველოს 1997 წლის 21 ნოემბრის ორგანული კანონი „პროკურატურის შესახებ. მუხ. 9“).

სამხედრო დემოკრატია – ძველ ბერძნულ საზოგადოებაში პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევის საფუძვლებზე ხელისუფლების ორგანიზაციის აღსანიშნავი ტერმინი. შემოიღო ლ. მორგანმა, კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა გაიზიარეს ამ ტერმინის დედაარსი და მას უნივერსალური ისტორიული მნიშვნელობა მიანიჭეს.

სამხედრო დისციპლინა – სამხედრო მოსამსახურეთა მიერ წესდებით დადგენილი წესებისა და წესრიგის მკაცრი და ზუსტი დაცვა. შეიარაღებულ ძალებში დისციპლინა ემყარება არა იძულებასა და სასჯელის შიშს, არამედ ყოველი სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედროვალდებულებისა და სამშობლოს დაცვაში პირადი პასუხისმგებლობის შეგნებას. სამხედრო დისციპლინის ძირითადი მოთხოვნები მოცემულია შეიარაღებული ძალების დისციპლინურ წესდებაში, რომელსაც კანონის ძალა აქვს. სამხედრო დისციპლინის დაცვაში გადამწყვეტი როლი ენიჭება პოლიტიკურ აღსრდას.

სამხედრო დროშა – სამხედრო ნაწილის საბრძოლო, განსაზღვრული ზომისა და ფერის ქსოვილის ნაჭერი, მიმაგრებული ქედიან ტარზე. სამხედრო დროშა, როგორც მებრძოლთა შეკრებისა და გაერთიანების ნიშანი, გაჩნდა ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოებში – ინდოეთში, ჩინეთსა და სხვა.

სამხედრო ეკონომიკა – სახალხო მეურნეობის სპეციფიკური ნაწილი, რომელიც ემსახურება ომების მომზადებასა და წარმართვას კაპიტალისტურ ქვეყნებში და თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას სოციალისტურ ქვეყნებში. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა მეორე მსოფლიო ომში.

სამხედრო ეკონომიკური პოტენციალი – ქვეყნის (ქვეყნების კოალიციის) ობიექტური შესაძლებლობები, რომელთა გამოყენებაც შეიძლება ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად და საომრად. სამხედრო ეკონომიკური პოტენციალს განსაზღვრავს სახელმწიფოს ეკონომიკური და პოლიტიკური წყობა; წარმოების მოც-

ულობა და სტრუქტურა. მეცნიერული და ტექნიკური განვითარების დონე, ფინანსური მდგომარეობა და სხვა. მისი უმნიშვნელოვანესი მიზანია მოკლე ვადაში ეკონომიკის ძირითადი დარგების საწარმოთა სამხედრო წარმოებაზე გადაყვანის შესაძლებლობა.

სამხედრო ენციკლოპედიები – სამეცნიერო-საცნობარო გამოცემები, რომელშიც გარკვეული სისტემითაა თავმოყრილი სამხედრო ცოდნა და სამხედრო მნიშვნელობის ცნობები მეცნიერების მომიჯნავე დარგებიდან. სამხედრო ენციკლოპედიების წინამორბედია 1577 ლონდონში გამოცემული ჯ.ჰოლშენის ნაშრომი „ქვეყნა მნიშვნელოვანი ბრძოლა, რომლებიც ჩვენს დროში მოხდა ქვეყანაზე, ხმელთა თუ ხმელეთზე“. ასეთივე მნიშვნელობისაა 1670 პარიზში გამოცემული გიიე დე სენ-ჟორჟის სამტომეული „სამხედრო კაცის ცოდნა“, ანუ აზნაურის სიტყვარი, რომელიც შეიცავდა ცნობებს სამხედრო და საზღვაო ხელოვნების და ცხენოსნობის შესახებ. რუსეთში პირველი სამხედრო ლექსიკონი შეადგინა ვ.სუვოროვმა, რომელშიც განმარტებულია დაახლოებით 350 სამხედრო ტერმინი. სახელმრო ენციკლოპედიები აქვს მსოფლიოს ყველა დიდ სახელმწიფოს.

სამხედრო ვალდებულება – მოქალაქის საპატიო ვალდებულება, დაიცვას თავისი სამშობლო და გასწიოს სამხედრო სამსახური შეიარაღებულ ძალებში. ყველა მამაკაცი, მიუხედავად რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სარწმუნოებისა, განათლებისა, ბინადრობისა, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობისა, ვალდებულია მოიხადოს ნამდვილი სამხედრო სამსახური. ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაიწვევენ მოქალაქეებს, მათ შორის ქალებსაც, რომლებიც აკვანილნი არიან სამხედრო აღრიცხვაზე და იმყოფებიან თადარიგში წელიწადში 2-ჯერ. ხოლო ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევისათვის თავის არიდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს. სამხედრო ვალდებულება გრძელდება 18 წლიდან 27 წლამდე.

საქართველოს 1997 წლის 17 სექტემბრის კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ, მუხლი 9.

სამხედრო ვალდებული – შეიარაღებული ძალების თადარიგში მყოფი მოქალაქე. სამხედრო ვალდებულთა გაწვევა ხდება სასწავლო, აგრეთვე შესამოწმებელ შეკრებებზე, რომელთა ვადები განისაზღვრულია საქართველოს 1997 წლის 17 სექტემბრის კანონით სამხედრო ვალდე-

პულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ. სასწავლო ან შესაბამისებელ შეკრებაზე გაწვეული სამხედრო ვალდებული შეკრების პერიოდში ნატურალური და ფულადი ანაზღაურებით სახელმწიფოს კმაყოფაზეა. მობილიზაციის დროს სამხედრო ვალდებული უნდა გამოცხადდეს იმ პუნქტში და ვადაში, რომელიც აღნიშნულია ადგილობრივი რაიონის (ქალაქის) სამობილიზაციო მიწერილობაში, უწყებასა ან ბრძანებაში.

საქართველოს კანონმდებლობით სამხედრო ვალდებულად ითვლება პირი 18-დან 27 წლამდე, რომელიც იმყოფება ან ვალდებულია იმყოფებოდეს სამხედრო აღრიცხვაზე და არა აქვს სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლება ან გაწვევის გადავადების უფლება. (საქართველოს 1997 წლის 17 სექტემბრის კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ, მუხ. 9).

სამხედრო კავშირგაბმულობა – ინფორმაციის გაცვლის საშუალებათა ერთობლიობა, რომელიც ჯარების მართვის ინტერესებს ემსახურება. სამხედრო კავშირგაბმულობის მთავარი ამოცანაა ნებისმიერ ვითარებაში უწყვეტელყოს სარდლები (მეთაურები) და შტაბები ჯარების უწყვეტი მართვის შესაძლებლობით, დროულად აკნობოს ჯარებს მტრის მოსალოდნელი თავდასხმის საშიშროება და მოიყვანოს ისინი საბრძოლო მზადყოფნაში. სამხედრო კავშირგაბმულობას უკისრებენ შემდეგ ძირითად მოთხოვნებს: დროული კავშირის დამყარება, მუშაობის საიმედოობა, მოქმედების სისწრაფე. თავდაპირველად სამხედრო კავშირგაბმულობისათვის იყენებდნენ მაცნეებს (ცხენოსანი და ქვეითი მებრძოლები) და სასიგნალო საშუალებებს (კოცონი, დაირა და სხვა). XIX საუკუნეში ელექტრო ტელეგრაფი; XX საუკუნეში – რადიოკავშირი და ტელეფონი. დღეისათვის კი სხვადასხვა საშუალებას.

სამხედრო კანონმდებლობა – სახელმწიფოს მიერ დადგენილი იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებს უროიერთობებს შეიარაღებულ ძალათა მშენებლობის სფეროში – სამხედრო ნაწილების ცხოვრებას, სამხედრო მოსამსახურეთა უფლებებსა და მოვალეობებს. სამხედრო კანონმდებლობა მოიცავს სახელმწიფო სამართლის, ადმინისტრაციული, საფინანსო, სისხლის სამართლის და სამართლის სხვა დარგების ნორმებს. სამხედრო კანონმდებლობა შეიცავს ნორმებს, რომელიც განსაზღვრავს სამხედრო ძალათა მშენებლობას, სამხედრო მეურნეობას და სამხედრო მმარ-

ოველობის ორგანიზაციის. სამხედრო კადრების დაკომპლექტების წესს, სამხედრო მოსამსახურეთა პასუხისმგებლობასა და დაჯილდოებას, შეღავათებს, პენსიასა და დახმარებებს, სამხედრო სამსახურის გაელას, სამხედრო ძალათა მობილიზაციის საფუძვლებს და ა.შ. სამხედრო კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კანონს საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ, დებულებებს სამხედრო ტრიბუნალების შესახებ, კანონს სამხედრო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, სამხედრო ფიცის ტექსტსა და ფიცის მიღების წესის შესახებ, სამხედრო წესდებებს და სხვა.

სამხედრო კომისარიატი – ადგილობრივი სამხედრო მმართველობის ორგანო, რომელიც განაგებს სამხედრო სამობილიზაციო და სააღრიცხვო გასაწვევ სამუშაოებს. სამხედრო კომისარიატის ძირითადი სამუშაოებია: საჯარისო მობილიზაციის მომზადება და გატარება, ახალგაზრდების მომზადება სამხედრო სამსახურისათვის, სავალდებულო სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზაცია და სხვა თავდაცვის ღონისძიებების განხორციელება სასწ. შეკრებებზე. სამხედრო კომისარიატის მუშაობას ხელმძღვანელობენ შეიარაღებული ძალების გენშტაბი და იმ სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, რომლის ტერიტორიებზეც ისაა განლაგებული.

სამხედრო მდგომარეობა – საგანგებო მდგომარეობა ქვეყანაში ან მის ნაწილში, როდესაც ხელისუფლების ან მმართველობის უმაღლესი ორგანო აცხადებს განსაკუთრებულ გარემოებას. საომარი მოქმედების, სტიქიური უბედურების ან სხვა ვითარების გამო. მისი შემოღების უფლება აქვს პრეზიდენტს. პრეზიდენტი აცხადებს სამხედრო მდგომარეობას ცალკეულ ადგილებში ან მთელ ქვეყანაში თავდაცვის ინტერესებისათვის. სამხედრო მდგომარეობის პირობებში სახელმწიფოს ხელისუფლების ყველა ძირითადი ფუნქცია თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და სახელმწიფო უშიშროების დაცვის დარგში გადადის სამხედრო ხელისუფალთა ხელში. მართლწესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას ადგენს სამხედრო მდგომარეობის დროის კანონმდებლობა.

სამხედრო კომისარი – ხელისუფლების წარმომადგენელი ნაწილებში (ხომალდებზე), დაწესებულებებში და შეიარაღებულ ძალების შენაერთებში 1918–42 პერიოდში. სამხედრო კომისრის ინსტიტუტი სამოქალაქო ომის პერიოდში სამოყალიბ-

და. სამხედრო კომისრები შეკვეთით ეგზავნა სამხედრო ნაწილში. შენაერთსა და სამხედრო სასწავლო დაწესებულებაში. სამხედრო კომისრებად ინიშნებოდნენ მხოლოდ უმწიკვლო რეპუტაციონერები. სამხედრო კომისრის ინსტიტუტმა 1942 წლამდე იარსება.

სამხედრო მედიცინა – მეცნიერული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის სისტემა, რომლის მიზანია ჯარის პირადი შემადგენლობის ჯანმრთელობის განმტკიცება, საბრძოლო დაზიანებათა და დაავადებათა მკურნალობა და პროფილაქტიკა. სამხედრო-სამედიცინო მომსახურების უსრულყოფა გულისხმობს სამედიცინო სამსახურის ღონისძიებათა ერთობლიობას, რომლის მიზანია შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ჯანმრთელობის დაცვის ეფექტური შედეგების მიღწევა, ავადმყოფთა და ბრძოლაში დაზიანებულთათვის დროული სამედიცინო დახმარების გაწევა, მათი ჯამრთელობისა და ბრძოლისუნარიანობის სწრაფი აღდგენა და მწყობრში დაბრუნება.

სამხედრო მეცნიერება – ცოდნათა სისტემა ომის ხასიათის, კანონების, ქვეყნისა და შეიარაღებული ძალების ომისათვის მომზადებისა და მისი წარმართვის ხერხების შესახებ. სხვა მეცნიერებასთან ერთად სამხედრო მეცნიერება შეისწავლის ომს, როგორც რთულ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენას. სამხედრო მეცნიერება სწავლობს ომის კანონებს, რომლებიც ახასიათებენ მის მსვლელობასა და შედეგის კავშირს მეომარ მხარეთა მორალურ-პოლიტიკურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და სამხედრო შესაძლებლობებთან, აგრეთვე ომის მომზადებისა და წარმართვის ძირითად პრინციპებს, განპირობებულს ომის მასშტაბით, მოსაწილეთა შემადგენლობათა და შეიარაღებული ბრძოლის საშუალებით. მისი კვლევის ძირითადი საგანია შეიარაღებული ბრძოლა ომში.

სამხედრო მოსამსახურე – პირი, რომელიც სავალდებულო სამხედრო სამსახურში იმყოფება. ყოველ სამხედრო მოსამსახურეს ენიჭება სამხედრო წოდება (რიგითი, ეფრეიტორი, სერჟანტი, ლეიტენანტი, კაპიტანი და სხვა). თავისი სამსახურებრივი მდგომარეობისა და სამხედრო წოდების მიხედვით სამხედრო მოსამსახურე სხვათა მიმართ შეიძლება იყოს უფროსი, ან დაქვემდებრებული, უფროსი ან უმცროსი. ყოველი სამხედრო მოსამსახურე ფიცს დებს იყოს ერთგული თავისი ხალხისა, სამშობლოსა და მთავრობისა. კანონით გათვალისწი-

ნებულ შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი ან სხვა ქვეყნის მოქალაქე, რომელიც სამხედრო სამსახურს გადის საქართველოს სამხედრო ძალებში. მისი სტატუსი, უფლება და სამართლებრივი დაცვის გარანტიები განისაზღვრულია საქართველოს 1998წლის 25 ივნისის კანონით სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ.

სამხედრო მოსამსახურეთა განმასხვავებელი ნიშნები (სამხედრო წოდებები) – ნიშნები, რომლებიც მიმაგრებულია სამხედრო მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმელზე პერსონალურ წოდებათა და შეიარაღებული ძალების სახეობის, ჯარის გვარეობის თუ სამხედრო კუთვნილების აღსანიშნავად. თანამედროვე არმიებში სამხედრო მოსამსახურეთა განმასხვავებლად იყენებენ სამხრეებს, ნიშნებს თავსაბურავზე, სამხრეებსა და საყელოებზე, ემბლემებს, სამკერდე და სამკლაკე ნიშნებს, კანტებსა და ლამპასებს. 1943 წლიდან წითელ არმიასა და სამხედრო საზღვაო ფლოტში შემოიღეს სამხრეები. რომლებზეც ვარსკვლავებით, ფერით, ზოლებით, ემბლემებითა და ტრაფარეტებით აღინიშნებოდა პერსონალური სამხედრო წოდების, შეიარაღებული ძალების სახეობის, ჯარის გვარეობის (სამსახურის) კუთვნილების შესაბამისი ნიშნები. დღეს მოქმედი კანონმდებლობით საქართველოში დაწესებულია შემდეგი სამხედრო საჯარისო წოდებები: რიგითი (კურსანტი, უმცროსი სერჟანტი, სერჟანტი, უფროსი სერჟანტი, ზემდგომი), უმცროს ოფიცერთა შემადგენლობა (უმცროსი ლეიტენანტი, ლეიტენანტი, უფროსი ლეიტენანტი, კაპიტანი) უფროს ოფიცერთა შემადგენლობა (მაიორი, ვიცე-პოლკოვნიკი, პოლკოვნიკი) და უმაღლესი სამხედრო წოდების ოფიცრები (გენერალ-მაიორი, გენერალ-ლეიტენანტი, გენერალ-პოლკოვნიკი, არმიის გენერალი). შესაბამისი სახელწოდებებითა და კლასიფიკაციით ენიჭებათ, აგრეთვე, სხვადასხვა სახეობის სამხედრო და მათთან გათანაბრებული სამსახურების რიგითებსა და ოფიცრებს. სამხედრო წოდების მინიჭების წესი განისაზღვრულია საქართველოს 1993 წლის 29 აპრილის კანონით სამხედრო და სპეციალური წოდებებისა და დიპლომატიური რანგების შესახებ.

სამხედრო ოლქი – ნაწილების, შენაერთების, სამხედრო-საწყალო დაწესებულებისა და სხვა ადგილობრივი სამხედრო დაწესებულებების ტერიტორიული საერთო საჯარისო გაერთიანება, რომელსაც სათავეში უდგას ოლქის ჯარების სარდა-

ლი, რომელიც თავდაცვის მინისტრებს ემორჩილება. სახელმწიფო ტერიტორიულ სამხედრო ოლქებად დაყოფა უზრუნველყოფს ჯარების უფრო მოხერხებულად მართვას, ოპერატიული, საბრძოლო პოლიტიკური მომზადების განხორციელებას ქვეყნის თავდაცვის მომზადების ღონისძიებებს.

„სამხედრო ოპოზიცია“ – რკპ (ბ) VIII ყრილობის დელეგატთა ჯგუფი, რომელიც გამოდიოდა სამხედრო საკითხებში პარტიის ცკ-ის ხაზის წინააღმდეგ.

სამხედრო რევოლუციური კომიტეტები რუსეთში – მებრძოლი ორგანოები, რომელთაც აყალიბებდნენ ბოლშევიკური პარტიული ორგანიზაციები მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებთან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გადატრიალების პერიოდში.

სამხედრო საბჭო – ჯარების ხელმძღვანელების კოლექტიური ორგანო შეიარაღებულ ძალებში, სამხედრო ოლქებსა (ფლოტებსა) და ჯარების ჯგუფებში. სამხედრო საბჭოს თავჯდომარეა სარდალი, სამოქალაქო ომის დროს შეიქმნა რევოლუციური სამხედრო საბჭო (რსს). 1918 წლის 2 სექტემბერს საკ. ცაკმა დააარსა რესპუბლიკის რევ. სს (რრსს). რომელმაც დიდი როლი ითამაშა რეგულარული წითელი არმიის შექმნისა და ფრონტებზე ჯარების ხელმძღვანელობის საქმეში. 1923 აგვისტოს რსს გარდაიქმნა სსრკ რსს-დ. 1938 მარტში შეიქმნა წითელი არმიის მთავარი სამხედრო საბჭო. 1950 სამხედრო საბჭოები კოლეგიური ორგანოებია. 1958 წლის აპრილიდან სამხედრო საბჭოში შედიან: სარდალი (თავჯდომარე), პოლიტსამმართველოს უფროსი, რესპუბლიკური ან საოლქო ცკ-ის მდივანი. მთავარსარდლის პირველი მოადგილე, შტაბის უფროსი და სხვა.

სამხედრო-საექიმო ექსპერტიზა – სამედიცინო გამოკვლევა სამხედრო სამსახურისათვის ვარგისიანობის დასადგენად და სამხედრო მოსამსახურეთა სპეციალური მკურნალობის, ავადმყოფობის მიზეზით შვებულებაში გასვლის ან სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის საკითხების გადასაჭრელად. სამხედრო-საექიმო ექსპერტიზას ატარებს სამხედრო კომისარიატებთან მუდმივმოქმედი სამხედრო-საექიმო კომისიები (სსკ), რომელშიც შედის სამი ექიმი. სამხედრო-საექიმო ექსპერტიზის უმაღლესი ორგანოა თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სსე.

სამხედრო-საზღვაო დროშა – ნიშანი, რომელიც გან-

საზღვრავს, თუ რომელი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს განეკუთვნება სამხედრო ხომალდი (გემი), სსრკ-ში სამხედრო-საზღვაო დროშა შემოიღეს 1923 წლის 24 აგვისტოს.

სამხედრო სამსახური – სახელმწიფოებრივი სამსახურის სახეობა, რომელიც გამოიხატება მოქალაქეთა მიერ შეიარაღებული ძალების რიგებში კანონით დადგენილი სამხედრო ვალდებულების (ბეგარის) მოხდით. არსსა და დანიშნულებას განსაზღვრავს საზოგადოებრივ–პოლიტიკური წყობა, არმიის მიზნები და დანიშნულება. სამხედრო სამსახურის გავლის წესს ადგენს კანონმდებლობა ან სხვა სამართლებრივი ნორმები.

სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება – კანონით დადგენილი სამხედრო სამსახურის გავლის წესის დარღვევა. სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდება ქმედობის საშიშროების ხარისხის, საქმის გარემოებათა მიხედვით ან დისციპლინური გადაცდომა ან დანაშაული. დანაშაულად ითვლება თვითნებურად ნაწილის ან სამსახურის ადგილის დატოვება, დეზერტირობა, ასოთა დაზიანების გზით ან კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებით. სასჯელი განისაზღვრება ქმედობის ხასიათის გარემოებათა გათვალისწინებით.

სამხედრო სასწავლო დაწესებულებები – ამზადებენ მეთაურთა, პოლიტიკურ, ინჟინერ-ტექნიკოსთა და სპეციალისტთა კადრებს შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის, ჯარების გვარეობათა და სპეც. ჯარებისათვის.

სამხედრო-საჰაერო ძალები – (სსძ) – სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების სახეობა, რომელიც ოპერატიულ-სტრატეგიული ამოცანების გადაჭრისას დამოუკიდებელი და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან ერთობლივი მოქმედებისათვისაა განკუთვნილი. მას შეუძლია გაანადგუროს მტრის საავიაციო, სარაკეტო, სახმელეთო და საზღვაო დაჯგუფებები, დაანგრიოს მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტები მტრის ზურგში და სხვა.

სამხედრო-ტოპოგრაფიული სამსახური – სპეციალური სამსახური შეიარაღებულ ძალებში. მისი დანიშნულებაა მშვიდობიანობისა და ომის დროს უზრუნველყოს ჯარები ტოპოგეოდეზიური ცნობებით. მისი ამოცანებია: ტოპოგრაფიული და სპეც. რუქების შექმნა, იმ დოკუმენტების მომზადება, რომლებიც მოიცავს აუცილებელ ინფორმაციას ადგილმდებარეობაზე და ამ ცნობების მიწოდება ჯარებისა და შტაბებისათვის და სხვა.

სამხედრო ტრიბუნალი – სასამართლო, რომელიც მართლმსაჯულებას ახორციელებს შეიარაღებულ ძალებში. სამხედრო ტრიბუნალის ორგანიზაცია და საქმიანობის წესი რეგლამენტირებულია 1958 დებულებით სამხედრო ტრიბუნალის შესახებ და 1979 კანონით უმაღლესი სასამართლოს შესახებ. სამხედრო სასამართლოების სისტემაში შედის სამხედრო შენაერთების, ორგანიზაციების, ნაწილების სამხედრო ტრიბუნალები – პირველი ინსტანციის სასამართლოები სამხედრო ტრიბუნალის საქმეებზე. სამხედრო ტრიბუნალი ზოგიერთი სახეობის შეიარაღებულ ძალებში, ოკრუგში, ფლოტსა და ჯართა ჯგუფში წარმოადგენს საკასაციო ინსტანციის სამხედრო შენაერთების, გარნიზონებისა და ნაწილების სამხედრო ტრიბუნალების მიმართ და პირველი ინსტანციის სასამართლოს სახით განიხილავს ზოგიერთ შედარებით მნიშვნელოვან საქმეს. უმაღლესი ინსტანციაა უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგია.

სამხედრო ტყვეები – მებრძოლ მხარეთა შეიარაღებული ძალების რეგულარულ ან არარეგულარულ შემადგენლობაში მყოფი ის პირები, რომლებიც შეიარაღებული კონფლიქტის დროს მოწინააღმდეგის ხელში ჩავარდნენ. სამხედრო ტყვეების რეჟიმი რეგულირებულია ჟენევის კონვენციებიდან – ომის მსხვერპლთა დაცვის თაობაზე – ერთ-ერთი კონვენციით, რომელიც სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობას ეხება; ამ კონვენციისადმი 1977 დამატებული ორი ოქმით; სახმელეთო ომის კანონებითა და ჩვეულებებით და 1907 ჰააგის მეოთხე კონვენციის დანართით. სამხედრო ტყვეების რეჟიმი ვრცელდება, როგორც კომბატანტებზე (მებრძოლებზე), ისე შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალ არაკომბატანტებზე – სამხედრო კორესპონდენტებზე, მიმწოდებლებზე და სხვა. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით სამხედრო ტყვეს ჰუმანურად უნდა ეპყრობოდნენ, აკრძალულია მათი წამება, ადამიანური ღირსების შელახვა და სხვა. სამხედრო ტყვეები უსრულყოფილნი უნდა იყვნენ უფასო რწმენითა და სამედიცინო მომსახურებით. შრომისუნარიანი სამხედრო ტყვეები, ოფიცრების გამოკლებით შეიძლება გაუშვან ისეთ სამუშაოებზე, რომელსაც ურთიერთობა არ ექნება საბრძოლო მოქმედებასთან, ანახლაურება უნდა იყოს სამართლიანი. სამხედრო ტყვეებს აქვთ მიმოწერის, ამანათის მიღებისა და გაგზავნის უფლება.

სამხედრო ვესდებები – ოფიციალური სახელმძღვანელო გამოცემები, რომლებიც განსაზღვრავენ შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობისა და ჯარის გვარეობის შენაერთების, ნაწილებისა და ქვეგანაყოფების მისწრებს, ამოცანებს, საშუალებებსა და პრინციპებს საბრძოლო მოქმედების დროს, სამხედრო მოსამსახურეთა მოვალეობას, მათ ურთიერთდამოკიდებულებას, აგრეთვე ჯარის ცხოვრებისა და ყოფის საერთო წესს. ამჟამად შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებისათვის საეროთ სამხედრო წესდებებია: შინაგანი სამსახურის წესდება, დისციპლინარული წესდება, საგარნიზონო და საგარაულო სამსახურის წესდება, აგრეთვე სამწყობრო წესდება.

სანავიგაციო აქტები – უცხოური კონკურენციისაგან ინგლისის საზღვაო ვაჭრობის დასაცავად ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებული აქტები.

სანათი – (არაბ.-სპარს. სანად-საბუთი) – ვალდებულებითი საბუთი, უმთავრესად საკალო ხელწერილი, ხშირად გირავნობითურთ სანათს თამასუქიც ჰქვია. ტერმინი გავრცელებული იყო XVII–XVIII საუკუნეში.

სანარდო ხელფასი – შრომის ანაზღაურების ერთ-ერთი ფორმა, რომლის დროსაც ანაზღაურება დამოკიდებულია სამუშაო დროის განმავლობაში გამოშვებულ პროდუქციის რაოდენობაზე.

სანარდო ხელშეკრულება – სამოქალაქო სამართალში ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (მენარდე) კისრულობს თავის რისკით შეასრულოს განახლებული სამუშაო მეორე მხარის (შემკვეთის) დაკვალებით თავისივე ან შემკვეთის მასალით, ხოლო შემკვეთი კისრულობს მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაიხადოს მისი ღირებულება. სანარდო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოსათვის შეიძლება შედგეს მტკიცე ან მიახლოებითი ხარჯთაღრიცხვა. თუ სამუშაო სრულდება შემკვეთის მასალით, მენარდე ვალდებულია დაიცვას იგი. აგრეთვე პასუხს აგებს ამ მასალის არასწორი გამოყენებისათვის.

სანაცია – (ლათ. გამოჯანსაღება) – კაპიტალისტურ ქვეყნებში გატარებულ ღონისძიებათა სისტემა საწარმოების ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით უმთავრესად ხდება სააქციო საზოგადოებრიცი სანაცია. იგი კაპიტალური ცენტრალიზაციის ერთ-ერთი ფორმაა. სანაციის მეთოდებია: სააქციო კაპიტალის შემცირება ახალი აქციების გამოშვების

შემცირებით, ძველი აქციების ნომინალური ღირებულების დაქვეითება, ნაციონალიზაცია და სხვა. დღეს მოქმედი კანონმდებლობით სანაცია ღონისძიების სისტემაა, რომელიც ტარდება გაკოტრების საფრთხის წინაშე მყოფალე საწარმოს გადასარჩენად.

სანახშირო – სანახშირე – ძველ საქართველოში განსაკუთრებული ქონებრივი სახლაური, რომელსაც მოსისხლეთა შორის ზავის ნამოკდების შემდეგ დანაშაულ დაზარალებულს აძლევდა. სანახშიროს ორბელიანის განმარტებით, „სანახშირე ესე რა მესისხლენი დაზავდნენ, პირველად სანდო. რამე მისცან სისხლის გარდახდამდე". სანახშირე, ისეც რიგორც საპირო, არ შემოდიოდა „სისხლის" ანგარიშში, მისი წინა გასაძღუანებელი სახლაური იყო. სანახშირის ოდენობა დაზარალებულის სოციალურ-წოდებრივი მდგომარეობისა და დანაშაულის სიმძიმის მიხედვით განისაზღვრებოდა. სანახშირო გათვალისწინებელია ბაგრატ კურაპალატის სამართლისა (მ. 159) და კანონიკური სამართლის (მ. 162) ფრაგმენტებში.

სანგარი – მიწის საველე ნაგებობა. უმარტივესი თავშესაფარი, რომელსაც ბრძოლაში იყენებენ საცეცხლე პოზიციად და პირადი შემადგენლობისა და საბრძოლო ტექნიკის შესაფარებლად. სანგარი შეიძლება იყოს ერთეული მებრძოლისათვის, ათეულისათვის, სატყვიამფრქვევო ან საქვემეხო, სატანკო და სხვა. ერთეულ სანგარს მებრძოლი, ჩვეულებრივ, თვითონ თხრის მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ.

სანები – ძველი დასავლურქართული ტომი. სტრაბონის, პლინიუს უფროსის, ფლავიუს არიანესა და სხვა ავტორთა ცნობით, ბინადრობდნენ ქ. ტრაპეზუნტის მახლობლად. ა. ჩიქობას ვარაუდით „სანი" იგივეა, რაც მეგრელთა საერთო სატომო სახელი „ზანი", ხოლო ს. ჯანაშიას მტკიცებით, „სანი" ჩამოყალიბდა ჩრდილოეული კოლხებისათვის „ზანი", სოლო სამხრეთელი კოლხებისათვის „ჭანი". თეოდორე კვირელის გადმოცემით, კი სანები ლაზებისაგან განსხვავებული ცალკე ტომია, რომლებიც ტრაპეზუნტის მახლობლად ცხოვრობდნენ.

სანივთო სამართალი – სამოქალაქო სამართლის დარგი, რომელიც აწესრიგებს მოქალაქეთა იმ უფლებებს, რომლის ობიექტი ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთია. სამართალში სანივთო უფლებას ეკუთვნის საკუთრების უფლება, ოპერატიული მმართველობის უფლება, მიწით უვადო სარგებლობის უფ-

ლება. ვალდებულებითი უფლებისაგან განსხვავებით, რომელიც გულისხმობს კონკრეტულად განსაზღვრულ ვალდებულ პირს, სანივთო უფლება მიმართულია განუსაზღვრელი პირებისადმი, რომელიც ვალდებულნი არიან არ დაარღვიონ ეს უფლება. მაგ.: მესაკუთრეს შეუძლია ყველას, ვინც კი ხელს უშლის ქონებით სარგებლობასა და განკარგვაში, მოსთხოვოს თავი შეიკავოს ასეთი მოქმედებისაგან; შეუძლია ნივთი გამოისთხოვოს ყველას, ვის მფლობელობაშიც არ უნდა იყოს. დღეს მოქმედ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობაში სანივთო სამართალს მიძღვნილი აქვს წიგნი მეორე, მუხლები 147-დან 315 მუხლამდე.

სანტიმი – (ლათ. მეასედი) – 1. ფრანგული ხურდა ფული, რომელიც უდრის ფრანკის 1/100. 2. წერილი მონეტა და საანგარიშო ერთეული საფრანგეთის დეპარტამენტებისა და მისი ყოფილი კოლონიებისა, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოი პოვეს. 3. ბელგიის, შვეიცის, ლუქსემბურგის ხურდა ფული.

სანქცია – (ლათ. უმკაცრესი დადგენილება) – ზემოქმედების ზომა, სოციალური და სამართლებრივი კონტროლის საშუალება. ფორმალურ სანქციას იყენებს სახოგადოებრივი ორგანიზაცია ან სახელმწიფო ორგანო. არაფორმალური სანქცია გამოხატავს ჯგუფის წევრების, მეგობრების რეაქციას ამა თუ იმ საქციელზე. I. სანქციას – სახელმწიფო იძულების ზომას, რომელსაც უფლებამოსილი სამართალდამრღვევს, შეიძლება ჰქონდეს სამართალადგენითი ან სადამსჯელო ხასიათი. სამართალადგენითი სანქცია (ქონებრივი სანქცია) გულისხმობს ზარალის ანაზღაურებას, მას იყენებს სამართალი, არბიტრაჟი და ზოგიერთი სხვა სახელმწიფო ორგანო. სადამსჯელო სანქციებია: სისხლის სამართლებრივი სანქცია (მაგ.: თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი სამუშაოები), მისი გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ სასამართლოს. ადმინისტრაციული სანქცია, რომელიც მიუთითებს ადამიანის გადაცდომისათვის გამოსაყენებელ სახდელზე (ჯარიმა, ადმინისტრაციული პატიმრობა). ადმინისტრაციულ სახდელს უფარდებს პოლიცია, სახელმწიფო ინსპექციები, სახელმწიფო კონტროლის ორგანოები: დისციპლინური სანქცია (მაგ.: გაფრთხილება, საყვედური, სამსახურიდან დათხოვნა), ამ სახდელის დანიშვნის უფლება აქვს ადმინისტრაციას და თანამდებობის პირს მათდამი სამსახურეობრივად დაქვემდებარებული მუშაკის მიმართ. 2. სამართლის ნორმის შემადგენელი ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს სახ-

ელმწიფო ძალების ზომას ამ ნორმის დამრღვევისათვის. 3. ზემდგომი ინსტანციის მიერ რაიმეს დამტკიცება, ნებართვა (მაგ.: პროკურორის სანქცია დანაშაულში ეჭვმიტანილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ან ხელკეტის შესახებ). 4. საერთაშორისო სამართალში – სამხედრო ეკონომიკურ-პოლიტიკური ხასიათის ძალების ზომა, რომელსაც იყენებს შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაცია ან ცალკე სახელმწიფო საერთაშორისო სამართლის ნორმის ან შეთანხმების დარღვევი სახელმწიფოს მიმართ. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის ზიანის მიყენების დროს სანქცია ჩვეულებრივ, რეპარაციის ან რესტიტუციის ფორმით გამოიხატება. განსაზღვრულობის ხარისხის მიხედვით სამართლის ნორმის სანქცია მოიცავს შემდეგ სახეებს: აბსოლუტურად განსაზღვრული სანქცია, რომელშიც ზუსტად არის განსაზღვრული ზემოქმედების ზომა (მაგ.: თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით); შეფარდებით-განსაზღვრული სანქცია, როცა მითითებულია ფარგლები, რომელშიც ხდება ზემოქმედების კონკრეტული ზომის შერჩევა. ასეთ სანქციაში შეიძლება გათვალისწინებული იყოს შესაბამისი ზომის მხოლოდ მინიმუმი (მაგ.: თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ ერთი წლისა) ან მაქსიმუმი (მაგ.: თავისუფლების აღკვეთა ხუთ წლამდე), ან კონკრეტულად მინიმუმიც და მაქსიმუმიც (მაგ.: თავისუფლების აღკვეთა ორიდან ხუთ წლამდე); განსაზღვრული სანქცია, რომელშიც მითითებული არ არის ზემოქმედების ზომა და თანაც ასახულია ზოგადი დებულება სასჯელის შეფარდების აუცილებლობის შესახებ (მაგ.: „დაისჯება კანონის მთელი სიმკაცრით“), რომელსაც ადრინდელთან შედარებით დღეგრძელი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

სანჯაყი – (თურქ. ძირითადი მნიშვნელობა – დროშა, ალამი) – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ოსმალეთში.

საოლქო სასამართლო – სასამართლო, რომელიც პირველი, საკასაციო და სახედამსჯდელო ინსტანციების სახით მოქმედებდა ოლქის ტერიტორიაზე, რომელსაც ირჩევდნენ 5 წლის ვადით. მასში შედიოდნენ – თავჯდომარე, მისი მოადგილეები, სასამართლოს წევრები და სახალხო მსაჯულები. საოლქო სასამართლოს ჰქონდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები და პრეზიდიუმი. საოლქო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოს სახით განიხილავდა რთულ სამოქალაქო და

სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებისათვისაც საკასაციო ინსტანცია იყო უმაღლესი სასამართლო. პირველ ინსტანციაში საქმეს განიხილავდნენ თავჯდომარე და ორი სახალხო მსაჯული, მეორეში – საოლქო სასამართლოს მესამე წევრი. საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმში საქმეებს განიხილავდა სასამართლო ხელმძღვანელობის წესით. დღეს მოქმედი კანონმდებლობით საოლქო სასამართლოებია თბილისსა და ქუთაისში. საოლქო სასამართლოში საქმე სააპელაციო წესით განიხილება პალატების, ხოლო პირველი ინსტანციით – კოლეგიების მიერ გარდა საგამოძიებო კოლეგიისა. საოლქო სასამართლოს კოლეგიებსა და პალატებში საქმეებს განიხილავენ სამი მოსამართლის შემადგენლობით, ხოლო საგამოძიებო კოლეგიაში ერთპიროვნულადაც.

საომარი მდგომარეობა – საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განსაკუთრებული წესების გამოყენება, რაც შეესაბამება თაედაცვის ინტერესებს და მიზნად ისახავს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის, სახელმწიფო უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფას. საომარ მდგომარეობას აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი და 48 საათის განმავლობაში ეს გადაწყვეტილება შეაქვს პარლამენტში დასამტკიცებლად. საომარი მდგომარეობის გამოცხადების წესი და მისი განხორციელების პირობები განსაზღვრულია საქართველოს 1997 წლის 11 ოქტომბრის კანონით საომარი მდგომარეობის შესახებ.

საოჯახო სამართალი – სამართლის დარგი, რომელიც არეგულირებს პირად და ქონებრივ ურთიერთობებს მეუღლეებს, შვილებსა და ოჯახის სხვა წევრებს შორის. მეუღლეთა პირად უფლებებს განეკუთვნება ქორწინების რეგისტრაციისას გვარის არჩევის უფლება, უფლება შვილების აღზრდაზე მეუღლეთა ცალ-ცალკე ცხოვრების შემთხვევაში და სხვა. საოჯახო სამართლის ამოცანაა ოჯახის შემდგომი განმტკიცება, საოჯახო ურთიერთობის დამყარება ქალსა და მამაკაცს ნებაყოფლობით საქორწინო კავშირზე, ურთიერთსიყვარულის, მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობაზე. დღეს მოქმედი კოდექსით საოჯახო სამართალი წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ნაწილს, რომელიც მოცემული გვაქვს კოდექსის მეხუთე წიგნში მუხლი 1106-დან 1186-ჯე.

საპატენტო სამართალი – სამართლის დარგი, რომლის ნორმები განსაზღვრავს გამოგონების დაცვის სისტემას პატენტის გაცემის გზით. საპატენტო სამართალი შესაძლებლობას აძლევს პატენტის მფლობელს გამოგონებაზე მონოპოლიის გამოყენების გზით აინაზღაუროს ის ხარჯები, რაც გასწია ტექნიკური სიახლის პრაქტიკულად დანერგვისას. ასევე მიიღოს ნორმალური მოგება. კაპიტალისტურ ქვეყნებში შეზღუდულია საპატენტო სამართლის ძირითადი პრინციპები, კერძოდ, რომ გამოგონების მფლობელს შეუძლია თავისი შეხედულებით ისარგებლოს მისთვის მინიჭებული უფლებებით. ფართოდ არის გავრცელებული გამოგონებაზე უფლების იძულებითი გასხვისება.

„საპატიო ნიშანი“ – ორდენი, რომელიც დააწესა სსრკ ცაკმა 1935 წლის 25 ნოემბერს. ამ ორდენით აჯილდოვებდნენ ცალკეულ მოქალაქეებსა და კოლექტივებს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და სხვაგან მაღალი მაჩვენებლებისათვის. ორდენის ნიშანი ვერცხლისაგან მზადდებოდა და იბნეოდნენ შრომის წითელი დროშის ორდენის შემდეგ.

საპატიო სიგელი – სოციალისტურ ქვეყნებში მშრომელებსა და კოლექტივების მორალური წახალისების ერთერთი ფორმა დაჯილდოების წესი გათვალისწინებული იყო დებულებით, ტიპობრივი შრომის შინაგანაწესით, აგრეთვე შრომის კანონმდებლობის საფუძველზე.

საპატიო წოდება – სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ცალკეულ მოქალაქის თუ კოლექტივის დამსახურების აღიარების ერთ-ერთი ფორმა იყო. დაწესებული იყო შემდეგი საპატიო წოდებები: საბჭოთა კავშირის გმირი, სოციალისტური შრომის გმირი, გმირი ქალაქი, მფრინავი კოსმონავტი „გმირი დედა“ და სხვა.

საპატიო მოქალაქე – საქართველოს კანონმდებლობით, უცხო სახელმწიფოს მოქალაქე ან მოქალაქეობის არ მქონე პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს საქართველოს საპატიო მოქალაქეობა, მისი თანხმობით. საქართველოს საპატიო მოქალაქეობა ენიჭება პირს, რომელსაც საქართველოსა და კაცობრიობის წინაშე აქვს განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო, საზოგადოებრივი საქმიანობით, ან აქვს პროფესია და კვალიფიკაცია, რომლითაც დაინტერესებულია საქართველო და მისთვის ამ წოდების მინიჭება გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან. საქართველოს საპატიო მოქალაქეობას ანიჭებს საქარ-

თველოს პრეზიდენტი (საქართველოს 1996 წლის 15 ოქტომბრის ორგანული კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ, მუხ. 9).

საპირო – ძველ ქართულში საგანგებო ქონებრივი სასჯელური, რომელსაც მესისხლეთა დაზაფებისას დამნაშავე შერიგების პირობის განსამტკიცებლად „სისხლის“ გადახდამდე აძლევდა დაზარალებულს. საპირო წოდებრივი მდგომარეობის მიხედვით განისაზღვრებოდა.

საპიტიახშო – ქართლის(ა)–იბერიის (ქართლი) სამეფოს დიდმოხელის–ქართლის პიტიახშის–საგამგეო ერთეული, რომელიც ძველ ქართულ წყაროებში დადასტურებულ გაიანის ანუ სამშვილდეს ტერიტორიას მოიცავდა.

საპოვნელა – საპოვნელო – დაკარგული ნივთის პოვნის გასამრჯელო საქართველოში. საპოვნელა აღბუღას სამართლით დაკანონდა (XIV საუკუნეში) ვინც ნაპოვნს პატრონს დაუბრუნებდა, მისგან „მსგავსიერ საპოვნელა“ – შესაფერის ჯილდოს მიიღებდა (მ. 92). ი. ბაგრატიონის „სჯულდებით“ (XVIII საუკუნე), საპოვნელა (ნაქურდალის 5%) ლეგალურ, ერთგვარ მოხელესაცით მოქმედ „ქურდების უფროსს“ ჩაბარდებოდა და მისი მეშვეობით ნაპარაკის დამბრუნებელ ქურდებს გაუნაწილდებოდა (მ. 62).

საპრეტენზიო წესი – მხარეთა შორის წამოჭრილი დავის გადაწყვეტის საშუალება არბიტრაჟსა თუ სასამართლოში მიმართვამდე. ცალკეულ კატეგორიის საქმეების მიმართ კანონი აკალდებულებს მხარეებს სასამართლოში მიმართვამდე მიიღონ ზომები მათ შორის არსებული დავის უშუალოდ მოგვარებისათვის, ერთმანეთისადმი წაყენებული მოთხოვნების ურთიერთშეთანხმებისათვის. საპრეტენზიო წესის დაცვის გარეშე, როცა ეს კანონით სავალდებულოა, სასამართლო (არბიტრაჟი) არ მიიღებს და არ განიხილავს სარჩელს. მაგ.: რკინიგზის წესდების (მ. 169) თანახმად, სარჩელის აღძვრამდე სავალდებულოა პრეტენზიით მიმართონ რკინიგზას. ტვირთის თუ ბარგის დაკარგვის შემთხვევაში. რკინიგზისადმი პრეტენზიის წარდგენის უფლება აქვს მოქალაქეს, რომელსაც საბარგო ან სატვირთო ქვითარი აქვს. პრეტენზია წარედგინება სატრანსპორტო ორგანოს სამმართველოს ბარგის გაგზავნის ან მიღების ადგილის მიხედვით. რკინიგზა ვალდებულია განიხილოს პრეტენზია და შედეგები აცნობოს განმცხადებელს კანონით დადგენილ ვადაში. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მოქალაქეს მიმართოს სასამართლოს.

საპროკურორო ზედამხედველობა – უმაღლესი ზედამხედ-

ველობა კანონთა ერთგვაროვან და ზუსტ შესრულებაზე. კონსტიტუციის მიხედვით, კანონთა შესრულებაზე უმაღლესი ზედამხედველობა ეკისრებათ გენერალურ პროკურორსა და მისადმი დაქვემდებარებულ პროკურორებს. პროკურორის ორგანოები კონტროლს უწევენ იმას, რომ ყველა სახელმწიფო ორგანო, თანამდებობის პირი და მოქალაქე ზუსტად და ერთგვაროვნად ასრულებდეს კანონებს (საერთო ზედამხედველობა); სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ იმ პირს, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა; ზედამხედველობას უწევენ მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოთა საქმიანობაში კანონიერების დაცვას და სასამართლო ორგანოებში სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეთა განხილვის კანონიერებას, ზედამხედველობას უწევენ აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის აღგილებში პატიმართა მოთავსების კანონიერებას. მოქმედი კანონმდებლობითა და კონსტიტუციის 91-ე მუხლით – საქართველოს პროკურატურა არის სასამართლო ხელისუფლების დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სისხლის სამართლებრივ დევნას, ზედამხედველობს მოკვლევას, სასჯელის მოხდას, მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას. გენერალურ პროკურორს პრეზიდენტის წარდგინებით ხუთი წლის ვადით სითხით შემადგენლობის უმრავლესობით ნიშნავს პარლამენტი. ქვემდგომ პროკურორებს ნიშნავს გენერალური პროკურორი.

საპროცესო გარანტიები

– კანონით დადგენილი სამართლებრივი საშუალებები მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების უზრუნველსაყოფად. საპროცესო გარანტიები სამართალწარმოების დადგენილი წესების ერთიანი კომპლექსია. მისი მიზანია ჭეშმარიტების დადგენისა და მართლმსაჯულების სწორი განხორციელების უზრუნველყოფა. სამართალწარმოებაში მართლმსაჯულების გარანტიებს ეკუთვნის ის საშუალებანიც, რომლითაც უზრუნველყოფილია პროცესში მონაწილე მოქალაქეების უფლებები და ინტერესები.

საპყრობილე (ციხე) – სასჯელის აღსრულების დაწესებულების ერთ-ერთი სახეობა. საპყრობილეში მოთავსება სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ყველაზე მკაცრი ფორმაა. სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთა საპყრობილეში მოთავსებით შეიძლება დაენიშნოს განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტს. იმ პირს, რომელმაც 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ ჩაიდინა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაუ-

ლი, რისთვისაც მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით. გარდა ამისა, თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შეიძლება გადაყვანილი იქნეს აღმასრულებლობითი დაწესებულებიდან საპყრობილეში არა უმეტეს სამი წლის ვადით. სასჯელის დანარჩენ ვადას კი იგი სხვა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოიხდის. საპყრობილეში მსჯავრდებულთა მოთავსების პირობები, რეჟიმის სახეები, დანიშვნისა და შეცვლის წესი, განსაზღვრულია საქართველოს კანონით „პატიმრობის შესახებ“.

სარგებელი – საფასური, რომელსაც კრედიტორი იღებს მსესხებლისაგან სესხად აღებული ფულის სარგებლობისათვის. სოციალიზმის დროს სარგებელი სოციალ. საწარმოს, იურიდიული ან ფიზიკური პირის შემოსავლის ნაწილია. საწარმოები და ორგანიზაციები სარგებელს საბანკო სესხით სარგებლობისათვის იხდიან. ბანკებსა და შემნახველ სალაროებში სარგებელი ერიცხება საწარმოების, ორგანიზაციების და მოსახლეობის ფულად ანაბრებს.

სარგო – მოხელის კუთვნილი წილი ფეოდალურ რენტაში XVI–XVIII საუკუნეების საქართველოში. სარგოს იღებდნენ მეფის, ფეოდალებისა და ეკლესიის მოხელეები მათი საგამგებლო ობიექტებიდან როგორც ნატურალური ისე ფულადი გადასახადის სახით. სარგოს რაოდენობა დამოკიდებული იყო რენტის სიდიდეზე. მას განსაზღვრავდა მოხელის პატრონი (მეფე, დედოფალი, ეკლესია) საგანგებო დოკუმენტით „სარგოს წიგნით“. სარგოს შემადგენლობა და რაოდენობა განსაზღვრული იყო საკანონმდებლო ძეგლში – სამეფო და სადედოფლო დასტურლამაღში. სარგო ეწოდებოდა აგრეთვე ჯამაგირსა და ულუფას. ჯამაგირი იყო (XVI–XVIII საუკუნეებში) ფულადი საზღაური, რომელსაც მოხელე იღებდა უშუალოდ პატრონისაგან, ხოლო ულუფა იყო ის სურსათი თუ ფული, რომელსაც მოხელე იღებდა საშემოსავლო ობიექტიდან ან პატრონისაგან. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ სარგოს ადგილი დაიკავა ჯამაგირმა.

საგარეო სარჩელი – მოქალაქის ან ორგანიზაციის მიერ სასამართლოში (არბიტრაჟში) აღძრული უკუმოთხოვნა. უკუმოთხოვნის უფლება აქვს იმას, ვინც მესამე პირს მოვალის ნაცვლად გადაუხდის ფულად თანხას ან სხვა ქონებრივ ღირებულებას. მაგ.: მოვალეს, რომელიც სოლიდარულ ვალდებულებას შეასრულებს, აქვს უკუმოთხოვნის უფლება დანარჩენ

მოვალეთა მიმართ.

სარეზერვო ჯარი – ჯარის კატეგორია, რომელიც მშვიდობიანობის დროს ე.წ. საცელე ჯართან შედარებით მცირე შემადგენლობისაა, ხოლო ომის დროს სრულ შტატამდე კომპლექსდება. მისი დანიშნულებაა საგარნიზონო სამსახური ციხესიმაგრეებსა და ქვეყნის შიგნით, სამიმოსვლო გზების დაცვა და მოქმედი არმიის გაძლიერება.

სარეწაო კოოპერაცია – კოოპერაციის სახე, რომელიც აერთიანებს წვრილ მწარმოებლებს (ხელოსნები, შინამრეწველები) საქონლის ერთობლივი წარმოებისა და მომსახურების გაწევის მიზნით. პირველი სარეწაო კოოპერაციები აღმოცენდა საფრანგეთსა და გერმანიაში XIX საუკუნეში. ამჟამად კოოპერაციის სხვა სახეებთან შედარებით ნაკლებად გავრცელებულია.

სართი – დანამატი გაცვლილობისას, როცა გაცვლილი ნივთები თანაბარი ღირებულების არ არის. „საცვალზე დასამატი“. (საბა).

სარისა – (ბერძნ. შუბი) – მძიმე ქვეითი ჯარის ძირითადი შეიარაღება ძველ მაკედონიაში. თავდაპირველად სარისას იყენებდნენ, როგორც სატყორცნ და ხელჩართული ბრძოლის იარაღს. მისი სიგრძე იყო დაახლოებით სამი მეტრი. მოგვიანებით 6–7 მეტრამდე გაიზარდა.

სარკინოზი – იხმარებოდა არაბების აღსანიშნავად (ერთერთი არაბული ტომის სახელწოდებიდან). საერთოდ, მაჰმადიანები.

სარმატები – (ლათ.) – საერთო სახელი ირანულენოვანი ტომებისა, რომლებიც ძ.წ. III – ახ.წ. IV-ში გასახლებულნი იყვნენ მდინარეებს დუნაისა და ტობოლს შორის მდებარე სტეპებში.

სარქარი – (სპარს. 'ხედამხედველი, უფროსი) – გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში: 1. უფროსი, ხედამხედველი, მუშათუხუცესი, სამეურნეო დარგის მოხელე. სარქრების უფროსს სარქარბაში ერქვა. 2. ერთგვარი ხაზინა. სხვადასხვანაირი საქონლის, სურსათისა და ფულის სათავსო საწყობი. სარქარს სარქარდარი განაგებდა. მორიგე ჯარის სარქარი სამხედრო ადმინისტრაციულ ფუნქციებს ასრულებდა (ჯარის დაძახება, გამოყვანა და მეთაურობა, ლაშქარს „დაკლებულთა“ და მაროდიორთა დასჯა).

სარჩელი – უფლების დაცვის პროცესუალური საშუალება. ყოველ დაინტერესებულ პირს შეუძლია კანონით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს, არბიტრაჟს, სამედიატორო სასამართლოს დარღვეული ან სადა-

ცო უფლების, ანდა კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. სასამართლო ვალდებულია მიიღოს და განიხილოს სარჩელი. სასარჩელო განცხადებაზე უარის თქმა შეიძლება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში: მაგ.: თუ მოსარჩელემ არ დაიცვა ამ კატეგორიის საქმეებისათვის კანონით დადგენილი დაცვის სასამართლოს გარეშე წინასწარი გადაწყვეტის წესი, თუ განცხადება არ წარმოადგენს სასამართლო განხილვის საგანს, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის მიღების ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ გამოტანილ დავაზე იმავე მხარეების, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით; თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის; თუ განცხადება შეიტანა არაქმედუნარიანმა პირმა.

სასარჩელო განცხადება წერილობით ფორმდება და მასში აღნიშნული უნდა იყოს სასამართლოს (არბიტრაჟის) დასახელება, რომელშიც შეაქვთ განცხადება, მოსარჩელისა და მოპასუხის დასახელება, მათი საცხოვრებელი ადგილი (თუ მოსარჩელე იურიდიული პირია – მისი სამყოფელი ადგილი). გარემოებანი, რომელთაც ემყარება მოსარჩელის მოთხოვნა, მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს, მოსარჩელის მოთხოვნა, სარჩელის ფასი და იმ საბუთების ნუსხა, რომლებიც ერთვის სარჩელს.

მოსარჩელეს უფლება აქვს შეცვალოს სარჩელის საფუძველი ან საგანი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნების ოდენობა ან უარი თქვას სარჩელზე. (სამ. საპ. კოდ. 177–187 მუხლები).

სარჩელის უზრუნველყოფა – სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულების მიზნით გატარებული ღონისძიება. სარჩელის უზრუნველყოფა დასაშვებია ყოველთვის, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის შემდგომში გადაწყვეტილების აღსრულებას. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებია ქადაღის დადება ქონებაზე ან ყოველად სახსრებზე, რომლებიც მოპასუხეს ეკუთვნის; მოპასუხისთვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა; სხვა პირებისათვის იმის აკრძალვა, რომ მოპასუხეს გადასცენ ქონება ან შეასრულონ მის მიმართ რაიმე ვალდებულება და სხვა. ღონისძიებებს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ იღებს სასამართლო ან მოსამართლე საქმეში მონაწილე პირთა თხოვნით, ან საკუთარი ინიციატივით.

სასაათო ზოლი – თითოეული იმ 24 ზოლიდან, რომლებადაც დაყოფილია დედამიწის ზედაპირი ზოლური დროის აღრიცხვის სისტემაში.

სასაზღვრო გამაგრებული ხაზები – სახელმწიფოს სახელრების დაცვის სისტემა. იყენებდნენ ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში. შედგებოდა მნიშვნელოვან გზებზე მოწყობილი ცალკეული სიმაგრეებისა და სათვალთვალო კოშკებისაგან, საიდანაც გადასცემდნენ სიგნალს მტრის მოახლოების შესახებ. X საუკუნიდან სახელრების დასაცავად დაიწყეს ციხესიმაგრეების მშენებლობა.

სასაზღვრო კომისარი – მოსახელრე სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელიც დანიშნულია იმისათვის, რათა მიიღოს ზომები სახელმწიფოს სახელარზე წესრიგის დარღვევის თავიდან ასაცილებლად. აგრეთვე სასახელრო რეჟიმის დარღვევასთან დაკავშირებული ინციდენტის გამოსარკვევად და მოსაწესრიგებლად. სახელრო კომისარი საერთაშორისო სამართლის ახალი ინსტიტუტია, რომელიც შემოიღო სსრკ-მა, განსაზღვრა მისი კონკრეტული შინაარსი შეთანხმებებით.

სასაზღვრო რეჟიმი – სპეციალური რეჟიმი, რომელიც დაწესებულია სახელმწიფო სახელრის გასწვრივ ადგილებში შინაგანი კანონმდებლობითა და მოსახელრე სახელმწიფოთა შეთანხმებებით. სასახელრო რეჟიმი განსახელრავს მოსახელრე მიწებით, წყლით, ტყით, წიაღისეულითა და სხვა საბარგულებით სარგებლობის წესს. ხელშეკრულებანი მოსახელრე სახელმწიფოებთან, ჩვეულებრივ შეიცავს მოსახელრე წყლებში ნაოსნობის, თევზჭერის, სატყეო საბარგულების გამოყენებისა და ნადირობის წესებს. მოსახელრე სახელმწიფოების მთავრობები ადგენენ სასაზღვრო ზონებს – ვიწრო ზოლს სახელრის გასწვრივ, სადაც დაწესებულია განსაკუთრებული რეჟიმი.

სასამართლო – მართლმსაჯულების განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანო სავარაუდოა, რომ წარმოიშვა სახელმწიფოსთან ერთად. ფეოდალურ საქართველოში სასამართლო დაკავშირებული იყო პოლიტიკურ ხელისუფლებასთან. მეფე ფეოდალთა სასამართლო ფუნქციებს მკვეთრად კეცავდა. უმნიშვნელოვანესი სისხლის სამართლის საქმეები ამოღებული იყო მემამულეთა სასამართლოების კომპეტენციებიდან. მეფე, როგორც სახელმწიფოს მეთაური, უმაღლეს მსაჯულად ითვლებოდა. მეფის შემდეგ პირველი პირი მწიგნობართუხუცესი ჭყონდიდე-

ლი მოსამართლეობდა სააჯო კარ'ში. როული და სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი საქმეების გასარჩევად მეფე დარბა'სს იწვევდა. სახელმწიფოს დაწესებულებებს „დივანი" ერქვა, ხოლო უფროს მოსამართლეებს მდივანბეგები. მცირე მნიშვნელობის საქმეებს არჩევდნენ ხელისთავები, მოურავები, მეთემეები.

საქმეების განხილვა ყველა სასამართლო'ში ხდება კოლეგიალ'ურად. სამართალწარმოება მიმდინარეობს ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ან მოცემული ადგილის მოსახლეობის უმრავლესობის ენაზე. საქართველო'ში არსებობს საკონსტიტ'უციო სასამართლო და საერთო სასამართლო, რომელთა სისტემა და სამართალწარმოების წესი დადგენილია კანონით.

სასამართლო პრეცედენტი – კონკრეტულ საქმე'ზე გამოტანილი სასამართლო გადწყვეტილება, რომლის დასაბუთება იქცევა წესად და სავალდებულოა იმაე ან ქვემდებარე სასამართლოსათვის ანალოგიური საქმის გადაწყვეტისას. რიგ ქვეყნებში (დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, აშშ-ს ზოგიერთი შტატი) სასამართლო პრეცედენტი მიჩნეულია სამართლის წყაროდ და საფუძვლად უდევს ამ ქვეყნის მთელ სამართლებრივ სისტემას. საქართველოს კანონმდებლობით, სასამართლო პრეცედენტი არ წარმოადგენს სამართლის წყაროს, სამართალწარმოება დაფუძნებულია მხოლოდ კანონიერების პრინციპზე.

სასამართლო აღმასრულებელი – თანამდებობის პირი, რომელიც ახორციელებს სასამართლოს მიერ სამოქალაქო საქმის თობაზე მიღებული გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების იძულებით შესრულებას. აგრეთვე სისხლის სამართლის საქმის თაობაზე მიღებული განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულებას ქონებრივი გადახდევინების ნაწილში. სასამართლო აღმასრულებელი აღასრულებს აგრეთვე საარბიტრაჟი ორგანოების, სამედიატორო სასამართლოს, და სხვათა გადაწყვეტილებებს. სასამართლო აღმასრულებელ თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააღსრულებო სამსახურის უფროსი. (საქართველოს 1999 წ. 16 აპრილის კანონი სააღსრულებო წარმოებათა შესახებ მუხლი 67).

სასამართლო ბალისტიკა – კრიმინალისტიკის დარგი. შეისწავლის დანაშაულის გამოძიებისას წამოჭრილ იმ ტექნიკურ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ცეცხლსასროლი

იარაღის გამოყენებასთან შესწავლის ობიექტია ხელის ცეცხლსასროლი იარაღი მასთან დაკავშირებული საბრძოლო მასალა, გასროლის კვალი, ნასვრეტები, ნაკაწრები, ახლო გასროლის კვალი. აგრეთვე განსაზღვრავს ცეცხლსასროლი იარაღის სახეობას, სისტემას, ჭურვის სახეს, ადგენს გამოყენებული იარაღის იდენტიფიკაციას ადგილზე აღმოჩენილი ტყვიისა და ჰილზის მიხედვით. განსაზღვრავს სროლის მიმართულებასა და დისტანციას და სხვა. ყოველივე ამას კონკრეტულ შემთხვევაში ადგენს სასამართლო-ბალისტიკური ექსპერტიზა.

სასამართლო გადაწყვეტილება – პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება, რომელითაც საქმე წყდება არსებითად. გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს საქართველოს რესპუბლიკის სახელით. მოსამართლე და მსაჯულები სასამართლო გადაწყვეტილებას იღებენ ხმის უმრავლესობით, ამასთან, იცავენ მოსამართლეთა თანაბარის საიდუმლოებას. სასამართლო გადაწყვეტილების შესავალში აღინიშნება გადაწყვეტილების გამოტანის დრო და ადგილი, სასამართლოს შემადგენლობა, საქმეში მონაწილე პირები და დავის საგანი. აღწერილობითი ნაწილი შეიცავს მითითებას მოსარჩელის მოთხოვნაზე, მოპასუხის შესაგებელსა და საქმეში მონაწილეთა ახსნა-განმარტებებს. სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებები, მტკიცებულებანი, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, კანონები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა სასამართლო. სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს სასამართლოს დასკვნას სარჩელის დაკმაყოფილების ან სარჩელზე მთლიანად ან ნაწილობრივ უარის თქმის შესახებ, აგრეთვე გადაწყვეტილების ვადასა და წესს. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს მხოლოდ იმ მტკიცებულებებს, რომელიც განხილული და გამოკვლეული იყო სასამართლო სხდომაზე, სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის მისი გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ (სამ. საპ. კოდ. მუხ. 243–249).

სასამართლო გამოძიება – სამსჯაერო გამოძიება – სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოების განხილვის ნაწილი, რომლის დროსაც ამოწმებენ და იკვლევენ საქმეზე მოპოვებულ ყველა მტკიცებულებას. სასამართლო გამოძიება ტარდება პირველი ინსტანციის სასამართლოში. მასში მონაწილეობენ განსასჯელი, დაზ-

არალეგალური, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, სახელმწიფო ბრალმდებელი, დამცველი, და სასამართლო პროცესის სხვა მონაწილენი. სასამართლო გამოძიება იწყება საბრალდებო დასკვნის სარეზოლუციო ნაწილის წაკითხვით, ხოლო კერძო ბრალდების საქმეზე–დაზარალებულის საჩივრის გამოქვეყნებით. შემდეგ სასამართლოს თავმჯდომარე განუმარტავს განსასჯელს ბრალდების არსს და გააფრთხილებს, ცნობს თუ არა იგი თავს დამნაშავედ. თუ ყველა განსასჯელი მთლიანად ცნობს თავს დამნაშავედ და ეს არ იწვევს მხარეთა დავასა და სასამართლო ეჭვს, სასამართლო გამოძიება შეიძლება არ ჩატარდეს ან შეიკვეცოს. განსასჯელის დაკითხვა ყველა შემთხვევაში სავალდებულოა. სასამართლო გამოძიების დროს ჯერ იკვლევს ბრალდების მხარის. ხოლო შემდეგ დაცვისა. მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს. გამოთხოვილ მტკიცებულებებს ჯერ ბრალდების მხარე იკვლევს, შემდეგ – დაცვისა. მოსამართლენი მტკიცებულებათა გამოკვლევაში მხარეების შემდეგ იღებენ მონაწილეობას. სასამართლო გამოძიების დროს განსასჯელის, დაზარალებულის, მოწმის დაკითხვა, ექსპერტისა, დათვალიერება და სხვა მოქმედებანი ჩარდება საპროცესო კანონით დადგენილი წესით. ყველა მტკიცებულების გამოკვლევის, მხარეთა შეჯამდგომლობების განხილვისა და გადაწყვეტის შემდეგ თავმჯდომარე სასამართლო გამოძიებას დამთავრებულად აცხადებს. (სსსკ. მუხ. 470–488).

სასამართლო კამათი – სასამართლო პროცესში სასამართლო განხილვის ნაწილი, რომელშიც პროცესის მონაწილენი აჯამებენ სასამართლოს მიერ ჩატარებული საქმის გარემოებათა გამოკვლევას და გამოთქვამენ მოსაზრებას, თუ როგორ უნდა გადაწყდეს იგი. სისხლის სამართლის პროცესში სასამართლო კამათში სიტყვებით გამოდიან: სახელმწიფო ან კერძო ბრალმდებელი, დაზარალებული ან მისი წარმომადგენელი, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე ან მისი წარმომადგენელი, დამცველი ან განსასჯელი, თუ დამცველი სასამართლო განხილვაში არ მონაწილეობს. სასამართლო კამათის დროს მხარეებს უფლება აქვთ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები განსასჯელის დამნაშავედ ცნობის ან უდანაშაულობის, ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელისა და განაჩენით გადასაწყვეტი სხვა საკითხების შესახებ. კამათის მონაწილეებს უფლება არა აქვთ თავიანთ გამოსვლებში დაიმოწმონ მტკიცებულებები, რომლებიც სასამართლო გამო-

ძიების დროს არ გამოკვლეულა. სასამართლო კამათის ხანგრძლივობა დროით შეზღუდული არ არის, მაგრამ თავმჯდომარეს უფლება აქვს შეაჩეროს გამომსვლელი, თუ იგი ეხება ისეთ გარემოებებს, რომლებსაც საქმესთან კავშირი არ აქვს. სიტყვების შემდეგ კამათის მონაწილეებს შეუძლიათ რეპლიკით გამოვიდნენ. ძველ საქართველოში სასამართლო კამათს სიტყვისგება ერქვა. (სსსკ. მუხ. 489–490).

სასამართლო მედიცინა – სამედიცინო დისციპლინა, რომელიც ემსახურება მართლმსაჯულების განხორციელების საქმეს. წყვეტს სამედიცინო და ბიოლოგიურ ხასიათის საკითხებს, რომლებიც წამოიჭრება სისხლისამართლებრივ და სასამართლო ორგანოების მუშაობის პროცესში. სასამართლო მედიცინის სამშობლოდ ივარაუდება XIII საუკუნის ჩინეთი. სასამართლო მედიცინა დიდ დახმარებას უწევს ჯანდაცვის ორგანოებს სამკურნალო და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებაში. ავლენს საექიმო და დიაგნოსტიკურ შეცდომებს, ტრავმატიზმს, მოწამვლის მიზეზებს და სხვა. სასამართლო მედიცინა მჭიდროდაა დაკავშირებული მრავალი სამედიცინო და სამართლებრივ დისციპლინასთან. სასამართლო მედიცინის პრაქტიკული ნაწილია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა.

სასამართლო პრაქტიკა – სასამართლოს საქმიანობა, რომელიც გამოიხატება არსებული კანონმდებლობის საფუძველზე კონკრეტულ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტით. სასამართლო საქმიანობა აისახება მის მიერ მიღებულ სამართლის აქტში (სასამართლო გადაწყვეტილება, განაჩენი, განჩინება, დადგენილება). ამ აქტს იურიდიულად სავალდებულო ძალა აქვს მხოლოდ მოცემული საქმისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი უფლებამოსილია მისცეს სასამართლოებს სახელმძღვანელო განმარტება მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე, რომელიც ყველასათვის სავალდებულოა.

სასამართლო-სამედიცინო პრაქტიკა – სამედიცინო გამოკვლევა და დასკვნა სპეციალურ სამედიცინო და ბიოლოგიურ საკითხებზე, რომლებიც წამოიჭრება სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკაში. ტარდება მხოლოდ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების დადგენილებით ადამიანის სიკვდილის მიზეზის, სხეულის დაზიანების ხასიათის, ჯანმრთელობისა და ასაკის, სიმთვრალის

ხარისხისა და პიროვნების იდენტიფიკაციის დასადგენად. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზას ატარებენ ექიმი სპეციალისტები – სასამართლო-სამედიცინო ექსპერტები. თუ ექსპერტი ადგილზე არ აღმოჩნდა, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა შეიძლება დაეკალოს ყველა სპეციალობის ექიმს. გართულებულ შემთხვევაში ექსპერტიზის ჩატარება ეკალება რამდენიმე ექსპერტს სხვა სპეციალობის ექიმებთან ერთად. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ტარდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროში. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის საკითხებს შეისწავლის სასამართლო მედიცინა.

სასამართლო სისტემა – ერთობლიობა სახელმწიფო სასამართლო ორგანოებისა, რომლებიც მართლმსაჯულების განსახორციელებლად კანონით დადგენილი ურთიერთობებით არიან დაკავშირებული ერთმანეთთან.

დღეს მოქმედი კანონმდებლობით საქართველოს სასამართლოებია: საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლოები. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საკონსტიტუციო კონტროლის ორგანოა, ხოლო საერთო სასამართლოები ახორციელებენ მართლმსაჯულებას. საომარ პირობებში შეიძლება შეიქმნას სამხედრო სასამართლოები, მხოლოდ საერთო სასამართლოების სისტემაში. სხვა განგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა ყველა შემთხვევაში დაუშვებელია.

სასამართლო სტატისტიკა – სტატისტიკის დარგი, რომელიც კრებს და შეისწავლის ცნობებს უკვე ცნობილი და სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ განხილული დანაშაულებისა და სხვა სამართალდარღვევების შესახებ, აგრეთვე აღრიცხავს ამ სამართალდარღვევებთან ბრძოლის ღონისძიებებს. სასამართლო სტატისტიკის მთავარი სახეებია: სისხლის სამართლის სტატისტიკა, სამოქალაქო სამართლის სტატისტიკა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სტატისტიკა. სასამართლო სტატისტიკის მაჩვენებლები ასახავენ სამართალდარღვევათა სტრუქტურასა და დინამიკას. სისხლის სამართლის სტატისტიკა სტატისტიკური მეთოდების საშუალებით იკვლევს დანაშაულობას და მასთან ბრძოლის სისხლის სამართლის ღონისძიებებს. იგი იყოფა წინასწარი გამოძიების სტატისტიკად, სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების სტატისტიკად, განაჩენების აღსრულების სტატისტიკად, შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ დანაშაულის თაობიდან აც-

ილების და გასინის სტატისტიკად. დამნაშავეობის ერთიან სტატისტიკად. რომელიც ასახავს მის მდგომარეობასა და ტენდენციებს, აგრეთვე დამნაშავის პიროვნების შესახებ მონაცემებს და სხვა. სამოქალაქო სამართლის სტატისტიკა იყოფა სამოქალაქო სამართალწარმოებისა და სასამართლო გადაწყვეტილების შესრულების სტატისტიკად.

სასამართლო ფოტოგრაფია – ფოტოგადაღების მეთოდების სისტემა კრიმინალისტიკაში. დანაშაულის გამოძიების დროს იყენებენ საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მუშაობისას სასამართლო ექსპერტიზის პროცესში მტკიცებულებათა გამოსაკვლევად. სასამართლო ფოტოგრაფიაში შედის შემთხვევის ადგილის, სხრეკის, საგამოძიებო ექსპერიმენტის, ცოცხალი პირების, გვამების, დოკუმენტების, დანაშაულის იარაღისა და სხვა ფოტოგადაღება, სასამართლო ფოტოგრაფიის მეთოდებია: 1. აღბეჭდვითი – იყენებენ ისეთ ნიშნების აღსაბეჭდავად, რომელებიც მხედველობის საშუალებით აღიქმება (მაგ. პანორამული ფოტოსურათი აფიქსირებს უბნის განჭვრეტილობას; – ამოსაცნობი ადამიანის სახეს ანფასში ან პროფილში). კვლევითი – იყენებენ ისეთი დეტალების გამოსაკვლევად. რომელთა დანახვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია (მაგ.: ფოტოგადაღება ინფრაწითელი, ულტრაიისფერი, რენტგენის სხივებისა და სხვა).

სასამართლო ფსიქიატრია – ფსიქიატრიის დარგი, რომელიც შეისწავლის ფსიქიკური მოქმედების დარღვევას სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლისა და პროცესის საკითხებთან დაკავშირებით. სისხლის სამართალში სასამართლო ფსიქიატრიის მიზანია იმ ფსიქოპათოლოგიური კრიტერიუმების დადგენა, რომელთა მიხედვითაც გამორიცხულია ამა თუ იმ პირის უნარი გააკონტროლოს და წარმართოს თავისი მოქმედება, რის გამოც არ აგებს პასუხს თავის ქმედებაზე (შეურაცხადია), აგრეთვე იმ დასარადებულისა და მოწმის პიროვნების შესწავლა, რომლის ფსიქიური მდგომარეობა ეჭვს იწვევს მომხდარი მოვლენის სწორად აღქმისა და სწორი ჩვენების მიცემის თვალსაზრისით.

სამოქალაქო სამართლის პროცესში სასამართლო ფსიქიატრია განსაზღვრავს შეიძლება თუ არა ამა თუ იმ პირს ჰქონდეს მოქალაქეობრივი უფლებები და მოვალეობები. აღგენს შეუძლია თუ არა მოსარჩელეს ან მოპასუხეს სწორად გაერკვეს თავის მოქმედებაში და წარმართოს იგი, რის საფუძველზეც სასამართლოს გამოაქვს დასკვნა პირის ქმედითუნა-

რიანობის, მის მიერ წარმოებული გარიგების ხის წორის, მასზე მეურვეობის დანიშვნის აუცილებლობისა და სხვათა შესახებ.

ფსიქიკის დარღვევის სიღრმის დადგენა ეკალება სასამართლო ფსიქიატრიულ ექსპერტიზას. საქართველოში სასამართლო ფსიქიატრიას მეცნიერულ-მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს მ.ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის კლევითი ინსტიტუტის სასამართლო ფსიქიატრიული განყოფილება.

სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა – ბრალდებულის, მოწმის, დაზარალებულისა და სხვა პირთა ფსიქიკური მდგომარეობის შემოწმება; ნიშნავენ სასამართლო-საგამოძიებო ორგანოები. სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო-საგამოძიებო ორგანო საეჭვოდ მიიჩნევს ბრალდებულის, მოწმის ან დაზარალებულის ფსიქიკურ მდგომარეობას. ბრალდებულის სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა იკვლევს მისი შერაცხადობისა თუ შეურაცხადობის და კანონით გათვალისწინებული სამედიცინო ხასიათის ღონისძიებათა გამოყენების საკითხებს. მოწმეთა და დაზარალებულთა ექსპერტიზის დროს ძირითადი ამოცანაა დადგინდეს, თუ რამდენად სწორად შეუძლიათ მათ აღიქვან სასამართლო საქმისათვის საჭირო გარემოებანი. სამოქალაქო პროცესში სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზა ინიშნება მოსარჩელის ან მოპასუხის ქმედუნარიანობის საკითხის გადასაწყვეტად. სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა მტკიცებულების ერთ-ერთი სახეა. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო-საგამოძიებო ორგანო არ ეთანხმება ექსპერტიზის დასკვნას, საჭიროა ამის მოტივირება.

სასამართლო ფსიქოლოგია – ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ფსიქიკური ცხოვრების კანონზომიერებათა გამოვლენის თავისებურებებს დანაშაულებათა თავიდან აცილების, სასამართლო წარმოების, დამნაშავეთა გამოსწორების და ალზრდის სფეროში. სასამართლო ფსიქოლოგია იკვლევს დამნაშავის ცნობიერებაში ანტისაზოგადოებრივი შეხედულებებისა და ჩვეულებების შეკრისა და განმტკიცების, დანაშაულებრივი მიზნებისა და მოტივების ფორმირებისა და რეალიზაციის „მექანიზმებს". სასამართლოში მონაწილე პირთა ფსიქიკის თავისებურებათა გაგლენას საქმის ბედზე, მათ პოზიციაზე, ახსნის შინაარსსა და გადაწყვეტილების გამოტანაზე.

სასამართლო ფსიქოლოგიის მონაცემები გამოიყენება კრიმი-

ნალისტიკაში საგამოძიებო საქმიანობის ტაქტიკისა და ხერხების დამუშავებაში, სასჯელის ზომების ეფექტურობის შეფასებასა და მათი გამოყენების რეკომენდაციების დამუშავებაში, დანაშაულებათა თავიდან აცილებათა ზომების დამუშავებასა და დანაშაულობათა მიზეზების შესწავლაში.

სასამართლო წესდებანი 1864 – იმ საკანონმდებლო აქტების ოფიციალური სახელწოდება რუსეთში, რომელიც საფუძვლად დაედო 1864 სასამართლო რეფორმას.

სასამართლო წყობილება – *1.* სამართლის დარგი, იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც ადგენენ სასამართლოების ამოცანებს, ორგანიზაციისა და საქმიანობის პრინციპებს, სტრუქტურასა და კომპეტენციას. სასამართლო წყობილების ნორმები მოცემულია კონსტიტუციაში. 2. სასამართლო დაწესებულებათა სისტემა, რომელიც ეყრდნობა დემოკრატიულ პრინციპებს: სასამართლო სისტემის ერთიანობას, ყველა მოქალაქისთვის ერთიან და თანაბარ სასამართლოს, ყველა სასამართლოს შექმნას არჩევითობის საწყისებზე და სხვა.

სასამართლო ხარჯები – თანხა, რომელსაც უხდიან მოწმეს, დაზარალებულს, თანამოწმეს, ექსპერტს, თარჯიმანს სასამართლოში გამოცხადებისათვის ან სასამართლოს, თუ გამოძიების ორგანოების დაკალებით შესრულებული სამუშაოსათვის გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად. სასამართლო ხარჯებს შეადგენს ის თანხაც, რომელიც დაიხარჯა ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთების შესანახად, გადასაგზავნად ან გამოსაკვლევად და აგრეთვე სასამართლო საქმის განხილვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. სასამართლო ხარჯებს სისხლის სამართლის საქმეზე ახდევინებენ მსჯავრდებულს, სამოქალაქო სამართლის საქმეზე კი – იმ მხარეს, რომლის პრეტენზია უსაფუძვლო აღმოჩნდა. შრომის, – საალიმენტო და ზოგიერთ სხვა სამოქალაქო საქმეში მოსარჩელე სასამართლო ხარჯებისგან გათავისუფლებულია.

სასამართლო ხელისუფლება –იმ სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, რომელთაც კანონი მართლმსაჯულების განხორციელებას აკისრებს. ბურჟუაზიული მეცნიერება სასამართლო ხელისუფლებას განიხილავს, როგორც საჯარო ხელისუფლების დამოუკიდებელ სფეროს, რომელიც უპირისპირდება აღმასრულებელ ხელისუფლებას და საკანონმდებლო ხელისუფლებას. ამ თვალსაზრისს საფუძვლად უდევს „ხელისუფლების დანაწილების“ თეორია.

სასამართლო ხელმცოდნეობა – კრიმინალისტიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ხელწერის და მისი გამოკვლევის მეთოდებს დანაშაულის გამოძიებისა და სისხლის სამართლის თუ სამოქალაქო სამართლის საქმის სასამართლო გარჩევის პროცესში წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად. თანამედროვე სასამართლო ხელმცოდნეობის დანიშნულებაა პიროვნების იდენტიფიკაცია ხელწერის მიხედვით. ე.ი. იმის დადგენა ეკუთვნის თუ არა განსასჯელ პირს ხელნაწერი ან ხელმოწერა ამა თუ იმ კაცს. ამისთვის ტარდება ხელწერის კრიმინალისტიკური ექსპერტიზა, რაც თითოეული ადამიანის ხელწერის ინდივიდუალიზაციაზეა დაფუძნებული. ექსპერტიზის დროს შეისწავლიან ხელწერის საერთო და კერძო ნიშნებს. ხელწერის კრიმინალისტიკური გამოკვლევა შეიძლება გამოიყენონ იმის დასადგენად, თუ რა მდგომარეობაში შესრულდა ეს ხელნაწერი (მაგ.: წერილი დაწერა ფეხსემდგომმა). შეიძლება დადგინდეს თუ რა მდგომარეობაში იყო თვით დამწერი (აღელვებული, მთვრალი, აქვს ხელის ტრამვა, ნერვიული დაავადება და ა.შ.).

სასაპყრო – „სისხლის" ნაწილი, რომელიც ქილეთში მოკლული კაცის ქვრივს თავის სარწმუნოდ ძვ. საქართველოში. იგი იმის მკვლელობისას დააკანონა გიორგი ბრწყინვალის სამართალმა. სასაჯრის ქვრივს გაუთხოვრობის პირობით აძლევდნენ. მის ოდენობას განსაზღვრავდა დარბაზი ან ერისთავი და გამგებელი.

სასანური დრაჰმა – სასანიანთა ირანში მოჭრილი ვერცხლის მონეტა, საქართველოში გავრცელებული იყო VI–VII ს.ს.-ში. სასანური დრაქმის შუბლზე მოთავსებულია მეფის მკერდსევითა გამოსახულება, რომელსაც თავზე ფრთებიანი გვირგვინი აქვს. სახის მარცხნივ და მარჯვნივ მეფის სახელია, ცენტრში გამოსახულია საკურთხეველი და ხედ ანთებული წმინდა ცეცხლი. რომელსაც მახვილზე დაყრდნობილი მცველები დარაჯობენ. VI–VII ს.ს.-ში ქართლის ერისმთავრებმა სასანური დრაჰმის ტიპის საკუთარი მონეტა მოჭრეს.

სასაძმო – სადავო, სასამართლო საქმე ძვ. საქართველოში. სამართლის წიგნთაგან ტ. „ს". მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის სამართალში იხმარება. იგი ზოგადი შინაარსისა იყო და ნიშნავდა როგორც საერო, ისე საეკლესიო იერისდიქციის სრულიად სხვადასხვანაირ საქმეს. სასისხლო და სამოქალაქო ხასიათის ყოველგვარ სამართალდარღვევებს და მათ გამო წამოჭრილ დავებს.

სასაქონლო ნიშანი – საქონელზე მის საკუთრებაზე ან მიმაგრებული ეტიკეტზე საწარ-

ეული და საგაჭრო საწარმოს მიერ დასმული ნიშანი, რომელიც გამოყოფს მას სხვა ერთგვარი ნაკეთობებისაგან და ამით საქონლისა და მისი მწარმოებლის (გამყიდველის) ინდივიდუალიზაციას ახდენს. სასაქონლო ნიშანი გამოისახება სიტყვით, გრაფიკულად, ციფრების ან ცალკეული ასოების შეერთებით. სასაქონლო ნიშნის დანიშნულებაა საქონლის რეკლამირება და მის ხარისხზე მწარმოებლის პასუხისმგებლობის გაზრდა. სასაქონლო ნიშანს იყენებენ, როგორც შინა, ისე საერთაშორისო ვაჭრობაში. მისი გამოყენებისა და დაცვის წესი განსაზღვრულია მინისტრთა კაბინეტის დადგენილებაში და რატიფიცირებულია საერთაშორისო კონვენციებში. სასაქონლო ნიშნის უკანონოდ გამოყენება ისჯება სისხლის სამართლის წესით.

სასაქონლო პროდუქცია – ფულად ფორმაში გამოხატული იმ მზა პროდუქციის მოცულობა, რომლიც წარმოებულია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში და გამზადებულია სარეალიზაციოდ.

სასაქონლო რესურსები – მოხმარების საგნები, რომლებიც გათვალისწინებულია საშინაო ბაზარზე სარეალიზაციოდ ან საექსპორტოდ. სასაქონლო რესურსების ძირითად ნაწილს სახელმწიფო გეგმავს.

სასაქონლო ფონდები – ეკონომიკის სასაქონლო რესურსების ნაწილი, რომელიც მიმოქცევაშია ცენტრალიზებული, გეგმიური წესით, ორგანიზებული ბაზის მეშვეობით. ეს ფონდები იქმნება სახელმწიფო რესურსებისა და ადგილობრივი წყაროების ხარჯზე.

სასაქონლო – ფულადი ურთიერთობა – საზოგადოებრივ-ეკონომიკური ურთიერთობა ადამიანებს შორის საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესში. იგი შეიძლება არსებობდეს მაშინაც, როცა არ არის სასაქონლო წარმოება, ე.ი. როცა გაცვლა, გაყიდვა პროდუქტთა წარმოების მიზნით არ ხდება.

სასესხო კაპიტალი – ფულადი კაპიტალი, რომელსაც სესხად აწოდებენ კაპიტალისტებს ან სახელმწიფოს გარკვეული საზღაურის მიღების მიზნით. კაპიტალიზმის განვითარების პირველ საფეხურზე სასესხო კაპიტალის ისტორიული წინამორბედი იყო სავახშო კაპიტალი.

სასურსათო გადასახადი – მტკიცედ დადგენილი ნატურალური გადასახადი გლეხურ მეურნეობებზე, რომლებიც შემოიღეს სასურსათო გაწერის მაგივრად 1921 წლის 21 მარტს რკპ (ბ) 10 ყრილობის გადაწყვეტილებით. სასურსათო გადასახადით გლეხმა იცოდა წინასწარ რა რაოდენობის

პროდუქცია უნდა გადაეცადა სახელმწიფოსათვის და მის ფასით პროდუქციის რა რაოდენობა რჩებოდა მას. სასურსათო გადასახადი შეიცვალა ერთიანი პირდაპირი სასოფლო სამეურნეო გადასახადით, რომელმაც 1924-დან ფულადი ფორმა მიიღო.

სასურსათო გაწერა – სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სისტემა, რომელიც ითვალისწინებდა გლეხების მიერ სახელმწიფოსათვის პურისა და სხვა პროდუქტის ნამეტის საგალდებულო ჩაბარებას მჭიდრო ფასებში სამოქალაქო ომის პერიოდში (1918–20). საბჭოთა რუსეთში სასურსათო გაწერა იყო პურის დამზადების ერთადერთი შესაძლებელი ფორმა, რომელიც 1921 წელს შეიცვალა სასურსათო გადასახადით.

სასურსათო პროგრამა – 1990-მდე პერიოდისათვის სკკპ ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. სოფლის მეურნეობისა და მასთან დაკავშირებული დარგების შემდგომი განვითარების მსხვილმასშტაბურ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მახასიათებელია პროდუქტებზე ხალხის მოთხოვნათა სრული დაკმაყოფილება.

სასჯელი – სახელმწიფო ღონისძიება, რომელსაც სასამართლო სახელმწიფოს სახელით მიუსჯის დამნაშავეს (თავისუფლების აღკვეთა, ტუსაღობა, ქონების კონფისკაცია, ჯარიმა და სხვა). სისხლის სამართლის მიხედვით სასჯელის მოსანის თავისი შინაარსით, დამნაშავისათვის გარკვეული ტანჯვის მიყენება, მისი პირადი და ქონებრივი უფლებების შეზღუდვა, რომელიც განისაზღვრება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. ბრალეულის პიროვნების გათვალისწინებით არ წარმოადგენს. სასჯელის მიზანი არ არის არც სამაგიეროს მიზღვა ჩადენილი ბოროტებისათვის.

სასჯელის მთავარი ამოცანაა მსჯავრდებულის აღზრდა-გამოსწორება (რესოციალიზაცია), მსჯავრდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის აცდენა (სპეციალური ანუ კერძო პრევენცია). სასჯელის აღმსრულებლობითი ამოცანა ხორციელდება მსჯავრდებულთა ჩაბმით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში, მათი კულტურული და განათლების დონის ამაღლებით, პოლიტიკურ–აღმზრდელობითი მუშაობით. სპეციალური პრევენციის ამოცანა ხორციელდება აგრეთვე დამნაშავის იზოლიაციით, დამნაშავის მოცილებით დამნაშავეთა წრისაგან, რომელთანაც იგი დაკავშირებული იყო. სპეციალურ პრევენციასთან ერთად სასჯელი მიზნად ისახავს ზოგადი პრევენციის ამოცანებისაც, ზემოქმედებს არა მარტო განსასჯელზე, არამედ საზოგადოების სხვა წევრებზეც, რათა

მათ თავი შეიკავონ დანაშაულის ჩადენისგან.

ტერმინ „სასჯელს“ ძვ. საქართველოში რამდენიმე მნიშვნელობა ჰქონდა – სატანჯველისა, სამსჯავროსი, განაჩენისა და დასჯისაც. ისტორიულად ქართულ სამართალში სასჯელთა სისტემა ძირითადად მოიცავდა ქონებრივ, („სისხლი“) გამაწბილებელ და სხეულებრივ სასჯელებს (კერძოდ, გახეებრებას), თავისუფლების აღკვეთას, ექსორია გაძევებას, „ძალსა ზედა დამოკიდებას“ და სიკვდილით დასჯას. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მე-40-ე მუხლის თანახმად, სასჯელის სახეებია: ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, გამოსასწორებელი სამუშაო, სამხედრო პირის სამსახურებრივი შეზღუდვა, თავისუფლების შეზღუდვა, ტუსაღობა, სადისციპლინო სამხედრო ნაწილში მოთავსება, ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, უვადო თავისუფლების აღკვეთა. (სკკ. მუხ. 40).

სასჯელ-აღსრულებითი სამართალი – სამართლის ერთეული დარგი, რომელიც შეიცავს სასჯელის მოხდისა და აღსრულების მომწესრიგებელ ნორმათა სისტემას. სასჯელ-აღსრულების სამართლის ნორმათა ერთი ნაწილი შეიცავს ფუძემდებლურ პრინციპებს, ზოგად დებულებებსა და ცნებებს. სასჯელ-აღსრულების სამართლის ამოცანაა უზრუნველყოს სისხლის სამართლებრივი სასჯელის აღსრულება ისე, რომ ეს იყოს არა მარტო დასჯა ჩადენილი დანაშაულისათვის, არამედ იგი აგრეთვე ასწორებდეს და ხელახლა სწრდიდეს მსჯავრდებულებს შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, კანონების ზუსტად შესრულების, არიდებდეს ახალ დანაშაულს, როგორც მსჯავრდებულებს, ისე სხვა პირებს, აგრეთვე ხელს უწყობდეს დამნაშავეობის აღმოფხვრას. სასჯელის აღსრულება მიზნად არ ისახავს ფიზიკური ტანჯვის მიყენებას ან ადამიანის ღირსების შელახვას. (საქართველოს 2001 წლის 6 ნოემბრის კანონი სასჯელ–აღსრულების შესახებ).

სასჯულო სამრევლო – სასამართლო უწყება და ოლქი გაერთიანებულ ყკოდალურ საქართველოში. იხსენიება დავით აღმაშენებლის 1123 ანდერძში მიიომღვიმისადმი. საბუთიდან ირკვევა, რომ საეკლესიო მსახურთა და ყმათა ერთობლიობა საკათალიკოსო სასჯულო სამრევლოს შეადგენდა (საქართველოს სახელმწიფო მკვიდრთა უმრავლესობა სამეფო სასამართლოებს ექვემდებარებოდა); მიიომღვიმისათვის კათალიკოსს სასამართლო შეუვალობა მიუნიჭებია და ამით იგი თავისი სას-

ჯ.ულო სამრეწველოდან ამოუღია.

სატანაზი – ხურდა ფული ტაილანდ'ში, უდრის 1/100 ბატს.

სატანკო არმია – სამხედრო ჯარების ოპერატიული გაერთიანება, რომლის საფუძველია ტანკები. სატანკო არმიას იყენებდნენ დამოუკიდებლად და სხვა არმიებთან ერთად თავდაცვის გარღვევის, ოპერატიულ სიღრმეში სწაფი განვითარების, ოპერატიული მნიშვნელობის რ-ებისა და ხლუდეების ხელში ჩაგდების, მოწინააღმდეგის მსხვილი რეზერვების შებოჭვის, მისი ჯარების გარემოცვის, განადგურების და სხვა ამოცანების შესასრულებლად.

სატანკო ჯარი – სახმელეთო ჯარის სახეობა, შედგება სატანკო ქვეგანაყოფების ნაწილებისაგან და შენაერთებისაგან; მის შემადგენლობაში შედის აგრეთვე მოტომსროლელი, რაკეტული, საარტილერიო, საზენიტო ქვეგანაყოფები და ნაწილები, საინჟინრო, კავშირგაბმულობის, საავტომობილო და სხვა სპეციალური ქვეგანაყოფები და ნაწილები. შეიარაღებული ტექნიკით, თვითმავალი არტილერიით, ჯავშანტრანსპორტიერებით, ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანებით, ვერტმფრენით და სხვა ტექნიკით.

სატანკო ჯგუფი – ოპერატიული გაერთიანება ფაშისტური გერმანიის სახმელეთო ჯარებში. 1940–41 II მსოფლიო ომის (1939–45) დროს, როგორც დროებითი გაერთიანება. სსრკ-ს თავდასხმის დროისათვის ფაშისტურ გერმანიაში ჩამოყალიბდა 4 საშტატო სატანკო ჯგუფი.

სატარიფო სისტემა – შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტი სოციალიზმის დროს. მისი შემადგენელი ნაწილებია სატარიფო – საკვალიფიკაციო ცნობარი, სატარიფო ბადე და სატარიფო განაკვეთები მუშებისათვის და თანამდებობათა საკვალიფიკაციო ცნობარი და თანამდებობრივი ხელფასის სქემები ხელმძღვანელი მუშაკების, ინჟ.-ტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეებისათვის. იგი მოიცავს აგრეთვე შრომის ანაზღაურების სხვადასხვა კოეფიციენტს.

სატელიტი – (ლათ. მცველის თანამგზავრი) – 1. ძვ. რომში – დაქირავებული შეიარაღებული მცველი; 2. ფორმალურად დამოუკიდებელი, მაგრამ ფაქტობრივად სხვა სახელმწიფოზე დამოკიდებული სახელმწიფო; 3. გადატანითი მნიშვნელობით – ვისიმე ნება-სურვილის მონურად შემსრულებელი პირი; 4. ასტრონომიაში იგივეა, რაც დედამიწის თანამგზავრი.

სატირაჟი – (სანსკრ.-შეკუმშული ფორმა ჭეშმარიტებაში) – ძალდატანებული ხასიათის, ან-

ტიიმპერიალისტ'ური ბრძოლის ფორმა; შეიმ'შავა და ინდ. ერ-ოვნ.-განმანთ. მოძრაობაში შემ-ოიღო მ.კ. განდიმ.

ᲡᲐᲢᲘᲡᲤᲐᲥᲪᲘᲐ – (ლათ. – დაკ-მაყოფილება) – 1. მოვალეობის მოხდა: ჯ'ეროვნად დაფასება: ძველად შე'ურაცხყოფილის დაკმაყ-ოფილება, რაც , ჩვ'ულებრივ დ'უ-ელში გამოწ'ვევის მიღებით გამ-ოიხატებოდა. 2. საერთაშორისო სამართალ'ში პას'უ!ისმგებლობის ფორმა, რაც გამ'ოიხატება სახელმ-წ'იფოსათვის ბოდი'ის მოხდაში, დამნა'შაეთა დასჯ'აში და ა.შ.

ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲘ – ტვ'ირთის შემო'სიდვა-გა'სიდვის ბალანსი, დგება ცალკე'ული საწ'არმოების, სადგ'ურების, ნავ-სადგ'ურების, გ'სების, რკინიგ'ზე-ების მიხედვით.

ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲢᲐᲠᲘᲤᲔᲑᲘ – სამგ'ზავრო და სატვირთო მომსახ'ურების ღირებ'ულებათა სისტემა, რომელ'შიც მოცემ'ულია სატვირთო და სამგ'ზავრო გადა-ზიდვის საფასური და ის გადა-სახდელები, რომლებიც ტრანს-პორტირების პროცესებთანაა დაკავ'შირებ'ული. ტრანსპორტი-სათვის შ'ედგენილია ტვ'ირთებ-ის საერთო ნომენკლატ'ურა, რომელ'შიც ტვ'ირთები დაყ-ოფილია 11 ჯგ'უფად.

ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲐᲛᲐᲠ-ᲗᲐᲚᲘ – იმ იურიდ'იული ნორმე-ბის ერთობლიობა, რომლებიც განსა'ზღვრავენ მიმოსვლის გ'ზე-ბისა და სატრანსპორტო სა'შ'უ-ალებების გამოყ'ენებასთან და-კავ'შირებ'ულ ურთიერთობას. სატრანსპორტო სამართალი აწ'ესრიგებს ტვ'ირთისა და მგ'ზა-ვრების გადაყ'ენა-გა'დაზიდვის შესახებ ხელ'შეკრ'ულებიდან გა-მომდინარე ურთიერთობებს. იგი მოიცავს გადაზიდვის დაგეგმვის და ორგანი'საციის, ქონებრივი პასუხისმგებლობის და აგრეთვე სატრანსპორტო სხვა მიზნით გამოყ'ენებასთან დაკავ'შირებ'ულ ურთიერთობის მარეგ'ული-რებელ წ'ესებს, სატრანსპორტო სამართალი აწ'ესრიგებს სარ-კინიგ'ზო, სა'ზღვაო, საჰაერო და საავტომობილო გადა'ზიდვის, აგრეთვე მაგისტრალ'ური მილ-გაყ'ვანილობის გადა'ზიდვებს. გადა'ზიდვების აღნიშნ'ულ სახე-ობათა მიხედვით მოქმედებენ შემდეგი ნორმატ'იული აქტები: რკინიგზების წ'ესდება (1946) ში-და წ'ყლების ტრანსპორტი, წ'ეს-დება (1955), საჰაერო კოდექსი (1961) სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსი (1968) და საავტომობი-ლო ტრანსპორტის წ'ესდება (1969). სატრანსპორტო სამართლის ნორმებს ითვალისწ'ინებს აგრე-თვე სამოქალაქო სამართალი. კანონმდებლობის საფ'უძველი და სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

ᲡᲐᲢᲧᲔᲝ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ –

იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებდა ტყით სარგებლობის პირობებსა და წესს. მთავარი საკანონმდებლო აქტი იყო საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლები და მათ ბაზაზე მიღებული სატყეო კოდექსი (1978). დადგენილი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით ტყით მოსარგებლენი შეიძლება იყვნენ სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები და კერძო პირები. იმ პირებს, რომლებსაც ბრალი მიუძღვით ისეთი გარიგების დადებაში, რომელიც პირდაპირი თუ ფარული ფორმით ეწინააღმდეგება ტყის კანონმდებლობას, ეკისრებათ სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული, მატერიალური ან დისციპლინური პასუხისმგებლობა.

საშმაროსო – უმცროსი ძმის განსაკუთრებული წილი სამკვიდრო ქონებაში.

საშპატიო – შეურაცხყოფის განსაკუთრებული საზღაური. პატივის შელახვისათვის დაწესებული ჯარიმა, რაც დამნაშავეს დაზარალებულის სასარგებლოდ ეკისრებოდა ძველ საქართველოში. საშპატიო დაკანონებული იყო საკრძალავ ადგილას ჩადენილი დანაშაულისათვის, მოსამართლისადმი „ურიგოს კადრებისათვის“, სხვისი მოახლის „გაწბილებისათვის“. საშპატიოს ოდენობა შეურაცხყოფილის „სახლომელი პატივისა“ და დანაშაულის სიმძიმის მიხედვით განისაზღვრებოდა. საჭიროებისას იგი დამნაშავეს ხარალის ანაზღაურებისა და „სისხლთან“ ერთად მიესჯებოდა.

საშრავი – სამოქალაქო სამართლის მიხედვით, პირგასამტეხლოს ერთ-ერთი სახე. საერავს იხდის ბრალეული მხარე ვალდებულების შესრულების ვადის ყოველი დღის გადაცილების შემთხვევაში, ან ვალდებულების არასათანადოდ შესრულებისათვის. საერავი ვალდებულების დროზე შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ხერხია. მისი გადახდა არ ათავისუფლებს მოვალეს ვალდებულების შესრულებისაგან.

საუფლისწულო – ფეოდალური მიწისმფლობელობის ფორმა საქართველოში. საუფლისწულო ერქვა მეფის სახასო მამულიდან რომელიმე უფლისწულისათვის გამოყოფილ დროებით სამფლობელოს. XV –XVIII საუკუნეების სათავადოებში საუფლისწულოს უწოდებდნენ სათავადოს საერთო-სახასო ყმა-მამულს, რომელიც ძალაუფლება რომელიმე თავადშვილს სახლის დროებით მფლობელობაში ხარისხად და საცხოვრებლად. რამდენიმე ხნის შემდეგ ეს საუფლისწულო შეიძლებოდა სხვა

ოჯახს გადასცემოდა. საუფლისწულოს მფლობელს აქედან არც რაიმეს გაყიდვა შეეძლო, არც რაიმე ცვლილებების შეტანა. და თუ ეს მაინც მოხდებოდა, მხოლოდ სათაყვანოს სხვა წევრების დაკითხვით და საერთო თანხმობით. საუფლისწულო მამულს, როგორც სახასოს ნაწილს, სახელმწიფო ხარჯი ედო.

საუფროსო – იგივე საუხუცესო – ოჯახის გაყრისას უფროსი ძმის განსაკუთრებული წილი სამკვიდრო ქონებაში. ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში საუფროსოს გვერდით იხსენიება აგრეთვე საუმცროსო და საშუალო. ეს წესი ჩანს „სამართალში ბატონიშვილი ვახტანგისა“ (მ. 100). დაეით X განჩინება ბარათაშვილების გაყრის საქმეზე (1523) აწესებდა, რომ ზვრებისა და ხოდაბუნების გაყოფის დროს უფროს ძმას საუფროსოდ „ათისაგან ერთი“ ერგებოდა. ამავე პრინციპით იყოფოდა „სახლის ჭურჭელი“ (თასები, ჭიქები, „ქვაბები“ და სხვა).

საფაბრიკო კანონმდებლობა – კანონმდებლობა, რომელიც სამრეწველო კაპიტალიზმის ეპოქაში აწესებს მუშათა შრომის პირობებს ფაბრიკებსა და ქარხნებში. საფაბრიკო კანონმდებლობის განვითარება დაიწყო საკანონმდებლო აქტების გამოცემებით. აქტები ადგენდა იმ ბავშვთა მინიმალურ ასაკს (9 წელი), რომელთა დასაქმება დასაშვები იყო საწარმოში (ინგლისის პარლამენტის 1802–1819 აქტები). 1847 ინგლისში გამოქვეყნდა კანონი მოსარდებისა და ქალებისათვის საფეიქრო მრეწველობაში ათ საათიანი სამუშაო დღის შემოღების შესახებ. 1882 გამოიცა კანონი „ქარხნებში, მანუფაქტურებსა და ფაბრიკებში მომუშავე მცირეწლოვანთა შესახებ“, რომლის მიხედვითაც აკრძალული იყო თორმეტ წლამდე ბავშვთა შრომა. 1897 კანონით პირველად განისაზღვრა სამუშაო დღის ხანგრძლივობა (11,5 სთ.). ასეთმა საკანონმდებლო სისტემამ შრომითი კანონმდებლობის სახელწოდება მიიღო.

საფაბრიკო მარკა – ნაწარმზე ან მის შესაფუთზე პროდუქციის დამამზადებლის აღნიშვნა. 1936-დან კანონით გათვალისწინებულია ყველა საწარმოს დამზადებულ საქონელზე აუცილებელი ნიშანდება, საფაბრიკო მარკაზე აღნიშნულია დამამზადებელი საწარმოს სახელწოდება, ადგილმდებარეობა, საქონლის ხარისხი და სხვა სტანდარტის ნომერი. საფაბრიკო მარკის დანიშნულებაა საწარმოთა პასუხისმგებლობის ამაღლება გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე, თუ ნაწარმს ან მის პროდუქციას არ აქვს საფაბრიკო

მარკა ან არასწორი ნიშანდებაა, საწარმოს ხელმძღვანელობას ეკისრება დისციპლინარული ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

საშასე – ფულის აღმნიშვნელი ზოგადი სახელი ძველ საქართველოში.

საშაშო – პროვინცია ან ოლქი (ვილაიეთი) ოსმალეთის იმპერიაში, რომელსაც ფაშა განაგებდა.

საფინანსო სამართალი – სამართლის დარგი, იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოს მიერ თავის ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად საჭირო ფულადი სახსრების მობილიზაციას, განაწილებისა და გამოყენების პროცესში წარმოშობილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. აღნიშნული საზოგადოებრივი ურთიერთობანი წარმოიშვება ბიუჯეტის ცალკეულ რგოლებს შორის შემოსავლებისა და გასაელების გამოჯვნის კომპეტენციის, სახელმწიფო ბიუჯეტში საეალდებულო გადასახდელებისა და გადასახადების შეტანის, ფულადი ნაანხების გამოყენებისა და საკრედიტო საანგარიშსწორებო წესების დაცვის, კერძოდ საფინანსო დაგეგმვის, ბიუჯეტის საკასო შესრულების, საბიუჯეტო ასიგნებათა ბანკებში გადარიცხვის, საბრუნაე საშუალებათა და მოგების განაწილების, ფულადი სესხების არეზერვო და საკრედიტო ფონდების შექმნის თაობაზე. აღნიშნული ურთიერთობანი წარმოიშობა სახელმწიფო საფინანსო საქმიანობის პროცესში. ამ ურთიერთობებზე ერცელდება აგრეთვე სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის პრინციპი და საერთო დებულებები. იმ საფინანსო ურთიერთობებს, რომლებიც ხელშეკრულებაზეა დაფუძნებული სამოქალაქო სამართალი არეგულირებს. საფინანსო სამართლის ძირითადი ინსტიტუტებია საბიუჯეტო სამართალი, საეალუტო კანონმდებლობა და სხვა. საფინანსო ურთიერთობათა ობიექტი ყოეელთვის ფულია. ეს ურთიერთობები წარმოიშვება სახელმწიფოს სეგაელნით და მისი ინტერესებიდან გამომდინარე.

საქალაქო სასწავლებლები – სასწავლებლები ქალაქის წვრილი ბურჟუაზიისა და მოსამსახურეთა შვილებისათვის. შეიქმნა დასაელეთ ევროპაში XVIII საუკუნეში (ბიურგერთა სკოლები), რუსეთში 1872 დებულებით საბაზრო სასწაელებელთა ბაზაზე. აქ იღებდნენ შეძლებული გლეხის შვილებსაც. სწაელება ექვსწლიანი და ფასიანი იყო. დამთაერების შემდეგ მოსწაელეებს შეეძლოთ შესელა დაბალი პროფსასწაელებელში, ერთ ან ორ წლიან პედაგოგიურ კურსებზე.

1912 საქალაქო სასწავლებელი გადაკეთდა უმაღლეს დაწესებით სასწავლებლად.

საქართველოს მმართველი – მეფის რუსეთის ხელისუფალთა მიერ საქართველოში დაწესებული ადმინისტრაციული თანამდებობა. დაწესდა, როცა შემოიღეს რუსეთის მმართველობის სისტემა, საქართველოს მმართველი იყო საქართველოს მთავარმართებლის თანაშემწე, ამავე დროს პირველი აღმასრულებელი ექსპედიციის უფროსი. იარსება 1840 წლის აპრილამდე.

საქართველოს საეგზარქოსო – მეფის მთავრობის მიერ შექმნილი საეკლესიო-ადმინისტრაციული ორგანო, შეიქმნა 1811 წლის იულისში იმ რეფორმების შედეგად, რომელიც გაატარა ცარიზმმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ, ქართული ეკლესიის რუსულ ეპისკოპოსზე გარდასაქმნელად. საქართველოს საეგზარქოსოს სათავეში იდგა ეგზარქოსი, რომელიც რუსეთის უწმინდეს სინოდს ემორჩილებოდა. მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიამ მოახერხა ავტოკეფალიის აღდგენა (1918 წლის მაისი) საქართველოს საეგზარქოსომ არსებობა შეწყვიტა.

„საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებების კრებული“ – ოფიციალური გამოცემა, გამოდიოდა 1938-იდან. თავდაპირველად გამოსცემდა საქართველოს სსრ სახელმწიფო კომისართა საბჭოს (1946-იდან – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს) საქმეთა მმართველობა, 1964იდან – საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია, 1970-დან სცემდა იუსტიციის სამინისტრო. კრებულში ქვეყნდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ზოგადი მნიშვნელობის ან ნორმატიული ხასიათის დადგენილებანი, აგრეთვე საქართველოს კპ. ცკ-ის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკის საბჭოსა და საქართველოს ალკკ ცკ-ის ერთობლივი დადგენილებანი.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“ – საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ყოველთვიური ოფიციალური გამოცემა. გამოდიოდა თბილისში 1938-იდან ქართულ და რუსულ ენებზე. “უწყებებში“ ქვეყნდებოდა საქართველოს სსრ კანონები,საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებები და

დადგენილებები. ბრძანებულებანი საპატიო წოდებათა დაწესებისა და მინიჭების შესახებ, პრესიდიუმის სიგელით დაჯილდოების შესახებ, საინფორმაციო მასალა, დეპუტატების არჩევისა და გაწვევის, რესპუბლიკური ადმინისტრაციული ტერმინის დაყოფაში ცვლილებათა დასახვის შესახებ.

„საძართველოს ძველთაგან და ჩვეულებათად ძართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი“ – ქართული სვეულებითი სამართლის კრებული. შედგენილია XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმ ად. სასამართლო ორგანოების საჭიროებისათვის, რომლითაც საქართველოს მკვიდრთა სამართალწარმოება ექვემდებარებოდა. კრებული მთამსადა სვეულებით-სამართლებრივ ნორმათა შემკრებ-სამწერმა საგანგებო კომიტეტმა, რომელიც ქართველ თავადთაგან შედგებოდა. კომიტეტის წევრებს დავალებული ჰქონდათ ისეთი ოდითგან მოქმედი ქართული სვეულებების ფიქსირება, რომლებიც არ იყო ასახული ვახტანგ VI–ის სამართალში. სვეულებითი სამართლის კრებულის შესადგენად მუშაობა 1809 დაიწყო, 1813 მ'სად იყო ქართული ტექსტი, 1815 კი რუსული თარგმანი. კრებული შეიცავს სასჯულეთა განმავლობაში დამკვიდრებულ დაუწერელ სამართლის ნორმებს და დაკანონებულ ძირძველ სვეულებათა ერთობლიობას. შინაარსობრივად მონაცემები თაყვანდაა გაერთიანებული და შეიცავს 74 მუხლს. კრებული ქართულ სვეულებითი სამართლის, სახელდობრ სამოქალაქო სამართლის., აგრეთვე სამართალწარმოების ინსტიტუტების ისტორიულ და ყველადალერ საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა შესწავლის მნიშვნელოვანი წყაროა.

საძვეყნოობის პრინციპი – სამართალწარმოების საქვეყნოობა, სასამართლო საქმეების განხილვა ღია სხდომაზე, სასამართლოს დარბაზში ყველა მსურველი მოქალაქის თავისუფალი დასწრების პირობებში. კონსტიტუციით სასამართლოში საქმის გარჩევა ღიაა. სასამართლოს დახურულ სხდომაზე საქმეთა მოსმენა დაშვებულია მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში.

საძმის მოძმედი – აღმასრულებელი მოხელე გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში. ს.მ.–ნი მოხელეთა მეორე მთავარ ჯგუფს შეადგენდნენ – ხელისუფალთა „ჭარმარსა ქუეშე“ იყვნენ, მათს ბრძანებასა და განკუთვნილს ალასრულებდნენ.

საქონელი (სამართ. ისტ.) – ქონების სახეობა ძველ საქართველოში ნივთების კლასიფიკაციის თვალსაზრისით საქონელი მამულს უპირისპირდება.

საქონლის ფეტიშიზმი – (ფრანგული ტექსტიდან, კერპი) – ადამიანთა ურთიერთობის განივთება კერძო საკუთრებაზე დამყარებულ წარმოებაში. ნივთებისადმი ადამიანთა ბეჭდის მოსვენებითი დაქვემდებარება.

საქორწილო (სამართ. ისტ.) – ქორწილის ხარჯი თუ „წილი, გინა ხარჯი“ (საბა), ბატონის ქორწილის დროს გლეხთაგან აკრეფილი საყალდებულო შესაწევარი ძველ საქართველოში. ს ს გლეხის შეძლებისდაგვარად კრეფდნენ.

საქორწინო და საოჯახო კოდექსი – კანონთა კრებული, რომელიც ქორწინებასთან და ოჯახთან დაკავშირებით წარმოშობილ ურთიერთობებს აწესრიგებდა საქორწინო და საოჯახო კოდექსით დადგენილი იყო დაქორწინებისა და განქორწინების პირობები და წესი, მოწესრიგებული იყო ოჯახში მეუღლეთა თუ ოჯახის სხვა წევრთა შორის წარმოშობილი პირადი და ქონებრივი ურთიერთობები, აგრეთვე შვილად აყვანისა და სხვა საკითხები. საქორწინო და საოჯახო კოდექსი დამტკიცებული იყო 1970წ. 18 ივნისს. შედგებოდა 200 მუხლისგან, რომლებიც 6 კარში იყო გაერთიანებული. ესენი იყო: ზოგადი დებულებანი, ქორწინება, ოჯახი,მეურვეობა და მზრუნველობა. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტები და კარი, რომელიც მიძღვნილი იყო კანონმდებლობის გამოყენებისადმი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიმართ. ახალი სამოქალაქო კოდექსით საოჯახო სამართალს დათმობილი აქვს წიგნი მეხუთე, მუხლები 1106-იდან 1186 მუხლამდე.

საქორწინო კონტრაქტი – ზოგიერთი ქვეყნის (საფრანგეთი, იტალია) სამართალში ნეყვედეფლის მიერ დაქორწინების დროს დადებული შეთანხმება ქონების მართვისას ურთიერთუფლებებისას და მოვალეობების მოწესრიგების თემაზე. მაგ. საქორწინო კონტრაქტი შეიძლება იყოს ქონების ერთად მართვის, ე.წ. თანამართვის, საფუძველი (საფრანგეთში) ან საქორწინო კონტრაქტის შედეგად ქონების მართვის მთელი უფლება ქმარს გადაეცემა (თურქეთში). დღეგანდლამდე ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობაში ცნება საქორწინო კონტრაქტი არ არსებობდა, მაგრამ მეუღლეთა შეთანხმებით შეიძლება დადგინდეს მათი ქორწინებამდელი ქონების ერთობა თუ განცალკევებულობა. ახალი კანონმდებლობით კი მეუღლეთა სახელშეკრულებო ქონებრივი ურთიერთობა და ქონებრივი კონტრაქტი დარეგულირებულია სამოქალაქო კოდექსის 1172 მუხლიდან 1182 მუხლამდე.

საქსონიის სარკე – (გერმ.) – შუა საუკუნეების გერმანული ფეოდალური წყებითი სამართლის კრებული. შეადგინა 1221–25 მოსამართლე ეიკე ფონ რეპკოვმა, ძირითადად აღმოსავლეთ საქსონიაში მოქმედი წყებითი სამართლის არაოფიციალური ჩანაწერია, რომელსაც გერმანიის სხვა მხარეებში მოქმედი სამართლის ნორმებიც დაემატა: საქსონიის სარკე შედგება ორი ნაწილისაგან. ქვეყნის (მხარის) სამართალი, რომელიც ასახავდა სახელმწიფო სამართლის, აგრეთვე სისხლისა და სამოქალაქო სამართლის სამართალწარმოების ნორმებს, და ლენური (ვასალურ-მამულო) სამართალი, რომელიც აწესრიგებდა სენიორულ-ვასალურ ურთიერთობას. საქსონიის სარკე მეფის ხელისუფლების გაძლიერების და სახელმწიფო პირთა ძალაუფლების შეზღუდვის იდეას ანვითარებდა. იგი პოპულარობით სარგებლობდა შუა საუკუნეების გერმანიაში. საფუძვლად დაედო მაგდებურგის სამართალს. თიურინგიაში საქსონიის სარკეს XIX საუკუნის ბოლომდე იყენებდნენ.

სალიისძენი – დასავლეთ საქართველოს დიდებულთა საგვარეულო XII საუკუნეში. 80-იან წლებში ამ საგვარეულოს წარმომადგენელი იყო ქეთათელი ეპისკოპოსი ანტონი. სალიისძენი და სავლეთ საქართველოში სხვა დიდებულებთან ერთად მონაწილეობდნენ თამარის მეფედ კურთხევის (კრემონიაში (1184); მათ გარდანიძეებთან და საგანელიძეებთან ერთად ხშალი შემოაკვეს თამარს. XII საუკუნეში შემდეგ წყაროებში აღარ იხსენიება.

საჭარაულო სამსახური – ჯარის სამსახური, რომლის დანიშნულებაა შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის საცავების, აგრეთვე პატიმრების დაცვა. საჭარაულო სამსახურის ორგანიზაცია შეიარაღებული ძალების საგარნიზონო და საჭარაულო სამსახურის წესდებით არის განსაზღვრული. საჭარაულო სამსახური საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად ითვლება, საჭარაულო სამსახურის გარნიზონის უფროსი, სამხედრო ნაწილში – მისი მეთაური, საჭარაულო სამსახურისათვის სამხედრო ნაწილებიდან განაწესებენ პირად შემადგენლობას, რომლისაგანაც საჭარაულო სამსახურის შესასრულებლად საჭარაულოები იქმნება.

საყოველთაო სახალხო განხილვა – სოციალისტურ ქვეყნებში დემოკრატიის ერთერთი გამოვლინება –მოქალაქეთა მონაწილეობა სამართალშემოქმედებაში. საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისაგან (რეფერენდუმისაგან) განსხვავებით, საყოველთაო-სახალხო განხილ-

ვა კანონის მიღების ჭორმას არ წარმოადგენს. მას კონსტიტუციური სახითით აქვს კანონმდებლობის სრულყოფილების მიზნით საკანონმდებლო ორგანოები თვალისწინებენ მოქალაქეთა მიერ კანონპროექტის თაობაზე საყოველთაო სახალხო განხილვის პროცესში გამოთქმულ შენიშვნებს, სურვილებსა და წინადადებებს. საყოველთაო – სახალხო განხილვა ჩატარდა 1978 კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით და 1980 საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების თაობაზე და სხვა.

საყოფაცხოვრებო გაჭირავება – ჩვეულებრივი ქირავნობის ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე, რომლის მისედეითაც სპეციალიზებული ორგანიზაციები მოქალაქეებს დროებითი სარგებლობისათვის სახელდობო ავეჯით ნახმარ ნივთებს (მაგ: სარეცხ ან საკერავ მანქანას, მტვერსასრუტს, და სხვა). საყოფაცხოვრებო გაქირავების თაობაზე ზოგადი დებულება განმტკიცებულია 1961 სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებში. საყოფაცხოვრებო გაქირავების პირობები და წესი უფრო დეტალურად რეგლამენტირებულია ცალკეულ სახეობათა ტიპობრივ ხელშეკრულებებში. საყოფაცხოვრებო გაქირავების ხელშეკრულების დადებისას მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს პასპორტი. იგი ნაწერილი უნდა იყოს სათანადო ადგილას. დამქირავებელი ვალდებულია დროზე გადაიხადოს ნივთით სარგებლობის საზღაური. დავალიანების ასდენებენ უფლად წესით სანიტარო ორგანოთა საელრულებო წარწერის საფუძველზე.

საძრდენი პუნქტი – ასეულის ან ოცეულის მიერ დასაცავი ადგილის მონაკვეთი, რომელიც საცეცხლე საშუალებებით – წინაღობებით არის გამაგრებული და მომზადებულია წრიული დაცვისათვის. საერდენი პუნქტისათვის ისეთ ადგილს არჩევენ, საიდანაც კარგად ჩანს გარემო და მოწინააღმდეგეზე ეფექტური ცეცხლის წარმოება არის შესაძლებელი. ოცეულის საერდენი პუნქტი ასეულის საერდენი პუნქტის ნაწილს წარმოადგენს. საერდენი პუნქტი საგულდაგულოდაა შენიღბული.

საშემოსავლო გადასახადი – ფიზიკური ან იურიდიული პირების საშემოსავლოდან (ხელფასი, მოგება და სხვა) აღებული პირდაპირი გადასახადების ძირითადი სახე. კაპიტალისტური ქვეყნებიდან საშემოსავლო გადასახადი პირველად ინგლისში შემოიღეს 1842, რეგულარულად რუსეთში – 1917. კაპიტალიზმის პირობებში საშემოსავლო გადასახადი მშრომელთა ექსპლუატაციის საშუალებაა. იმპერიალიზ-

ძის ეპოქაში იყო კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ძირითადი წყარო. საშემოსავლო გადასახადის ძირითადი გადამხდელები არიან მშრომელები.

სოციალისტურ ქვეყნებში საშემოსავლო გადასახადი სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთი წყარო იყო. მას იხდიდა: მოსახლეობა, კოლბები, სამომხმარებლო კოოპერატივები და საზოგადო ორგანიზაციების სამეურნეო ორგანიები. იგი გაიანგარიშებოდა პროგრამული განაკვეთების მიხედვით, რომლებიც დიფერენცირებული იყო გადამხდელთა ჯგუფებისა და შემოსავლის ოდენობის მიხედვით. (სულ 5 ჯგუფია); მაქსიმალური იყო 13%. დაბალხელფასიანი მოსახლეობას დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში თავისუფლდებოდა საშემოსავლო გადასახადისაგან. მოქმედებდა საგადასახადო შეღავათებიც.

„საშინელი სამსჯავროˮ – მთელ რიგ რელიგიებში (იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი) უკანასკნელი განკითხვის დღე, რომელიც გამოაცხადებს „ცოლეთლისა“ და „უცოლეთლის“. ძვ. ებრაელების საიქიოს სამსჯავრო ისტორიის წინაშე ქრისტიანული განკითხვის დღის ხატწერილობის პირველსახეა. აქედან წარმოიდგება იოანეს გამოცხადებაში (ახ. წ. I ს.) ქრისტეს „მეორედ მოსვლის“ იდეა.

ქრისტიანობისა და იუდაიზმისაგან განსხვავებით ისლამი ამტკიცებს, რომ მისი მიმდევრებისათვის ჯოჯოხეთის წასვლა მარადიული არ არის.

საშინელი სამსჯავროს დიდი – ინგლისში ვილიამ I დამპყრობლის ინიციატივით 1086 ნატარებული საყოველთაო საადგილმამულო აღწერა. „საშინელი სამსჯავროს წიგნი“-ში დაწვრილებით იყო ასახული რომელი მამულები ეკუთვნოდა ყოველ საგრაფოში მეფეს, სასულიერო და საერო სენიორებს. რამდენი იყო ამ მამულებში ვილანი, სერვია თავისუფალი გლეხი. „საშინელი სამსჯავროს წიგნი“ ფეოდალური ევროპის სოციალ-ეკონომიკური ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. ინგლისის გლეხური მოსახლეობის იურიდიული სტატუსის ფიქსაციით „საშინელი სამსჯავროს წიგნმა“ გლეხთა მდგომარეობის გაუარესება და მანამდე თავისუფალი გლეხების ქმა გლეხებად გადაქცევა განაპირობა.

საშუალო – საშუალო ძმის განსაკუთრებული წილი სამკვიდრო ქონებაში.

საშუალო სპეციალური განათლება – პროფესიული განათლების ერთ-ერთი ფორმა, რომლის მიზანია წარმოების პირველადი რგოლების ორგანიზატორებისა და სელმძღვანელების,

ტექნიკოსების, ექთნების, კონცერტმაისტერებისა და სხვა მომზადება. საშუალო სპეციალური განათლება პროფესიული მომზადების უმაღლესი საფეხურია (ბალეტის, ცირკის, მსახიობობის და სხვა). თუმცა საშუალო სპეციალური სასწავლებლები ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში გაჩნდა, როგორც საყოველთაო და პროფესიული განათლების დამოუკიდებელი სახე. XX ს. დასაწყისში ჩამოყალიბდა და ბევრ ქვეყანაში იგი სახალხო განათლების ორგანული ნაწილია.

საჩერნე – აბჯრის შემადგენელი ნაწილი, მუხლებზე ნასაცმელი ჯაჭვშანი, მზადდებოდა ორგვარად: 1. მცირე რგოლებით ასხმული, პაჭიჭისებური, რომელსაც ფეხზე ჩამოაცმევდნენ; 2. მთლიანი ლითონისაგან დამზადებული წვივზე მორგებული საფარველი, რომელსაც მხედარი ფეხზე იმაგრებდა.

საჩივარი – მოქალაქის კონსტიტუციური უფლება მიმართოს სახელმწიფო ორგანოს, საზ. ორგანიზაციის, თანამდებობის პირს პირადი ან სხვისი კანონით დაცული ინტერესების ან უფლებების დარღვევისა და შეზღუდვის შემთხვევაში. საჩივარი უსრულყოფს მოქალაქეთა უფლებების დაცვას და შელახული ინტერესების აღდგენას. სახელმწიფო ორგანოების, საზ. ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას. საჩივარი უნდა გადაწყვიტოს იმ ორგანომ და თანამდებობის პირმა, ვისაც ექვემდებარება პირი, რომლის მოქმედებაც გასაჩივრებულია. საჩივარი უნდა გადაწყდეს 1 თვემდე ვადაში, ხოლო თუ იგი არ მოითხოვს დამატებით შემოწმებას და შესწავლას 15 დღის განმავლობაში. სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებში საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის წესს განსაზღვრავს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი.

ყველა შემთხვევაში საჩივრის განხილვის შედეგები უნდა აცნობონ მომჩივანს. თანამდებობის პირს, რომლის კომპეტენციაშიც არ შედის საჩივრების გადაწყვეტა, ვალდებულია 5 დღის ვადაში გადაუგზავნოს საჩივარი შესაბამის ორგანიზაციას და ამის შესახებ აცნობოს მომჩივანს. საჩივრების განხილვა-გადაწყვეტის დადგენილი წესის დარღვევისათვის, გაჭიანურებისათვის, ბიუროკრატიული დამოკიდებულებისათვის თანამდებობის პირს ეკისრება დისციპლინარული პასუხისმგებლობა. მძიმე დარღვევისათვის კი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც, თანამდებობრივი დანაშაულის შესაბამისი მუხლით.

საცალო ვაჭრობა – საშინაო ვაჭრობის შემადგენელი ნაწ-

ილი, პირადი მოხმარების საგნების მიმოქცევის დასკვნითი ფაზა, რომლის მეშვეობით საქონელი და სოციალური სახის მომსახურება იცვლება მოსახლეობის ფულად შემოსავალზე. იგი ხელს უწყობს მოსახლეობის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას სათანადო ასორტიმენტის და ხარისხის სასურსათო და არასასურსათო საქონელზე.

საცალო ფასი – ფასი, რომლის მიხედვითაც მოსახლეობას ან სხვა მომხმარებელს მიეყიდება სახალხო მოხმარების საქონელი. გამოხატავს ურთიერთობებს, რომელიც მყარდება საზოგადოებასა და მისი წევრების შორის ერთიანული შემოსავლის განაწილებისა და გაცვლის პროცესში.

სახელმწიფო საცალო ფასის დონეს განსაზღვრავს სახელმწიფო და ცვლილებებიც მასზე შეაქვს. საცალო ფასის რეგულირება სახელმწიფო პოლიტიკის ობიექტია.

საცხოვრებელი პოზიცია – ადგილი, სადაც იდგმება ერთი ან რამდენიმე ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი, ქვემეხი, ტანკი, რეაქტიული არტილერიის საბრძოლო მანქანა და სხვა, მტრისათვის ცეცხლის დასაშენად. საცეცხლე პოზიცია შეიძლება იყოს ძირითადი, დროებითი ან სათადარიგო, მტრის შეცდომაში შესაყვანად ცრუ საცეცხლე პოზიციებს ან ობენ. განარჩევენ დახურულ და ღია საცეცხლე პოზიციებს. იგი სპეციალურადაა შერიცხული.

საცხოვრებელი სახლი – ადამიანის არსებობისათვის საჭირო ერთ-ერთი ძირითადი მატერიალური პირობა. აღმოსავლეთ საქართველოში ბარში ყველაზე გავრცელებული იყო დარბაზი, ერდოიან-გვირაბიანი და მიწურბანიანი სახლები, სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე გეხვდება ციკლოპური ხასიათის საცხოვრებელი სახლები.

საცხოვრებელი ადგილი – ადგილი, სადაც მოქალაქე მუდმივად ან უპირატესად ცხოვრობს. კანონით დადგენილი წესით მოქალაქეს უფლება აქვს აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი. 15 წლის ასაკამდე არასრულწლოვანისა და აგრეთვე მეურვეობაში მყოფი მოქალაქის საცხოვრებელ ადგილად ითვლება მათი მშობლების ან მეურვეების საცხოვრებელი ადგილი. მრავალ შემთხვევაში საცხოვრებელ ადგილს იურიდიული მნიშვნელობა აქვს. მაგ.: როგორც წესი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ხორციელდება საარჩევნო უფლება, სამხედრო ვალდებულებათა აღრიცხვა. მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია და სხვა.

საწარმოო ბრიგადა – ერთნაირი ან სხვადასხვა პროფესიის მუშათა კოლექტივი, რომლის

წევრები ერთად ასრულებენ საწარმოო დაკალკების და ერთად აგებენ პასუხს მუშაობის შედეგებისათვის. ბრიგადული შრომის ორგანიზაცია იმ შემთხვევაშია საჭირო, როცა საწარმოო დაკალების შესრულება მოითხოვს მასში რამდენიმე მუშის ერთად მონაწილეობას. შრომის კოოპერაცია და დანაწილების ფორმებისა და მუშაობა პროფესიული შემადგენლობის მიხედვით. საწარმოო ბრიგადა შეიძლება იყოს სპეციალიზებული ან კომპლექსური.

საწარმოო გაერთიანება – კომბინატი, ერთიანი სპეციალიზებული საწარმოო-სამეურნეო კომპლექსი, აერთიანებს იმ ფაბრიკებს, ქარხნებს, სამეცნიერო-კვლევით, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიურ და სხვა ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ საწარმოო ურთიერთკავშირი და ერთიანი ცენტრალიზებული დამხმარე და მომსახურე წარმოება. საწარმოო გაერთიანება, როგორც მრეწველობის ძირითადი საწარმოო რგოლი (საწარმოსთან ერთად), იყენებს თავისი ოპერატიული მართვისათვის ან სარგებლობისათვის გამოყოფილ სახელმწიფო ქონებას, იგი გაერთიანებული კოლექტივის ძალებითა და ზემდგომი ორგანოების ხელმძღვანელობით ახორციელებს თავის საქმიანობას სახელმწიფო-სამეურნეო გეგმისა და სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე. მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი და წარმოადგენს იურიდიულ პირს.

საწარმოო ესთეტიკა – ტექნიკური ესთეტიკის დარგი, რომელიც შეისწავლის სამრეწველო საწარმოში საწარმოო გარემოს ესთეტიკური ორგანიზაციის თავისებურებებსა და მისი ფორმირების კანონზომიერებებს.

საწარმოო თათბირი – მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირი (მმსთ) საზოგადოებრივი კონტროლის, წარმოების მართვაში მშრომელთა მასების პრაქტიკულად ჩაბმის ერთ-ერთი ფორმა. მისი დებულება დამტკიცებულია მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1973წ. 18 ივლ. დადგენილებით. საწარმოო თათბირი იქმნებოდა მრეწ., ტრანსპ. საწარმოებში და სხვა ორგანიზაციებში, სადაც მუშაობდა არანაკლებ 300 მუშაკისა, აგრეთვე ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებსა და მათ სტრუქტურულ ქვეგანყოფილებებში, სადაც 100 და უფრო მეტი მომუშავეა. მის რაოდენობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება (კონფერენცია).

საწარმოო კაპიტალი – სამრეწველო კაპიტალის ფუნქციური ფორმა და მისი ბრუნვის მეორე სტადია-ფუნქციონირებს

წარმოების სფეროში. მისი მთავარი ფუნქციაა ღირებულებისა და სულმეტი ღირებულების შექმნა. თავისი ნატურალური ფორმით საწარმოო კაპიტალი შედგება წარმოების საშუალებისა და სამუშაო ძალისაგან.

საწარმოო კოოპერატივი სოფლის მეურნეობაში – კოოპერაციის სახე, რომელიც აერთიანებს სოფლის მწარმოებლებს მიწის ერთობლიგად დამუშავების, მანქანა–იარაღების გამოყენების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის. იგი შედგება საწარმოო ქვედანაყოფებისაგან, რომლებსაც მიმაგრებულია მიწა, მანქანები, ინვენტარი და წარმოების სხვა საშუალებანი.

საწარმოო მარაგი – ნედლეული, მასალა, ნაყიდი ნახევარფაბრიკატები და საკომპლექტო ნაწარმი, სათბობი, ინსტრუმენტი და წარმოების სხვა საშუალებანი, რომლებიც შესულია მომხმარებელ საწარმოში და არ არის გადაცემული სამუშაო ადგილებზე. საწარმოო მარაგის დაგეგმვა და რეგულირება მიზნად ისახავს მის შემცირებას იმ მოცულობამდე, რამდენიც საჭიროა რიტმული მუშაობის უზრუნველსაყოფად, საბრუნავი საშუალებების ბრუნვადობის დასაჩქარებლად. წარმოების ეფექტიანობის ასამაღლებლად. დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ მიმდინარე, სადაზღვევო და მოსამზადებელ მარაგს. მიმდინარე მარაგი უზრუნველყოფს წარმოების უწყვეტობას საწყობში და მასალის ორ მორიგ გაგზავნათა შორის პერიოდში და განისაზღვრება წარმოებაში მისი ყოველდღიური მომხმარების სიდიდით. სადაზღვევო მარაგი გამოიხნულია წარმოების შეუფერხებელი მომარაგებისათვის გაგზავნის დარღვევის ან მისი შეფერხების შემთხვევაში. მოსამზადებელი მარაგი იქმნება მომარაგების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად. მოსამზადებელი მარაგი ჩვეულებრივ 3 დღეს არ აღემატება.

საწარმოო მარკა – ნაკეთობაზე ან მის საფუთარზე აღნიშნული ნიშანი, რომელიც შეიცავს საწარმოს სრულ ან შემოკლებულ დასახელებას, ცნობებს საწარმოს ადგილმდებარეობის შესახებ, მმართველობის იმ ორგანოს დასახელებას, რომლის სისტემაშიც შედის იგი. მიუთითებს საქონლის ხარისხსა და სტანდარტის ნორმებზე, რომელსაც პროდუქცია უნდა შეესაბამებოდეს. საწარმოო მარკა – ხრლის საწარმოს პასუხისმგებლობას. იგი სასაქონლო ნიშნისაგან დამოუკიდებულია და რეგისტრაციაში არ ტარდება. იგი საკალდებულოა აღინიშნოს ყველა სახის საქონელზე. მისი უქონლობის ან არასწორი მარკირები-

სათვის პასუხს აგებენ საწარმოს ხელმძღვანელები დისციპლინური ან სისხლის სამართლის წესით.

საწარმოო (მწარმოებლური) მოხმარება – წარმოების საშუალებებისა და ადამიანის სამუშაო ძალის მოხმარება წარმოების პროცესში, ე.ი. თვით წარმოების პროცესი.

საწარმოო პროგრამა – სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად განკუთვნილი განსაზღვრული ნომენკლატურის, ასორტიმენტისა და ხარისხის პროდუქციის გამოშვების საგეგმო დავალებათა სისტემა. დგება სახ. მეურნეობის დარგის, საწარმოსა და მისდასაწარმოო რგოლების მისედვით.

საწარმოო სტრუქტურა – სამრეწველო საწარმოსა (გაერთიანებისა) საწარმოო ქვედანაყოფების კომპლექსი, რომელიც ახასიათებს თავისი საქმიანობისა და საწარმოო უბნების დიფერენციისა და სპეციალიზაციის დონეს და გამოხატავს საწარმოს მთლიან მოცულობაში ცალკეული მისდასაწარმოო რგოლის პროცენტულ თანაფარდობას.

საწარმოო სტრუქტურა იქმნება ახალ საწარმოთა მშენებლობის, მოქმედი ფაბრიკა-ქარხნების რეკონსტრუქციისა და მათი წარმოების პროფილის (ასორტი-მენტის, მოწყობილობათა გადაადგილებისა და ახლად დაყენების, აგრეთვე წარმოების ამა თუ იმ უბნის ხელახალი აღჭურვის დროს.

საწარმოო სწავლება – პრაქტიკული და თეორიული სწავლება არსებული პროფესიის მისაღებად წარმოებრივი საქმიანობის დროს. ს. პროფესიულ-ტექნიკური განათლების (სასწ. დროის 50%) და საშუალო სპეციალური განათლების (სასწ. დროის 20–30%) შემადგენელი ნაწილი. 2. მუშების მომზადება და მათში კვალიფიკაციის ამაღლება უშუალოდ საწარმოში ინდივიდუალურ-ბრიგადული სწავლების გზით ან სპეციალურ მოკლევადიან (რიგორც წესი, 6-თვიან) კურსებზე. საწარმოო სწავლება ტარდება ოსტატთა, ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით. საკვალიფიკაციო გამოცდებისა და სამუშაოების ნარჩების შემდეგ ახალგაწრდები იღებენ სატარიფო-საკვალიფიკაციო განრიგს, კლასს, წოდებას და მისთ.

საწარმოო ფონდები – საწარმოს (გაერთიანების) შრომის საშუალებები და შრომის საგნები, რომლებიც აუცილებელია მატერიალური წარმოებისათვის. საწარმოო ფონდები წარმოების პროცესში მათი რისხისა და ახლად შექმნილ პროდუქციაზე დირებულების გადატანის ფორ-

შების მისაღწევად იყოფა ძირითად და საბრუნავ ფონდებად.

საწარმოო ციკლი – დროის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში შრომის საგნები განიცდის დამუშავებას პროდუქციის გამოშვებამდე. საწარმოო ციკლი მოიცავს სამუშაო პერიოდს და წარმოებაში შესვენებათა ხანგრძლივობას, რომლებიც განპირობებულია ფიზიკური, ბიოლოგიური, (ბუნებრივი), ქიმიური პროცესებით, ან შრომის საგნების ბუნებით. ტექნილოგიით, ან წარმოების ორგანიზაციით. საწარმოო ციკლის შემცირების ეკონომიური ეფექტორია მატერიალური ნაკადების დაჩქარება და საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია.

საწარმოო ძალები – წარმოების საშუალებისა და იმ ადამიანების ერთობლიობა, რომლებსაც ისინი მოქმედებაში მოჰყავს. საწარმოო ძალების განსაკუთრებული ნივთობრივი ელემენტია წარმოების იარაღები. მთავარი საწარმოო ძალაა მშრომელი ადამიანი, რომელსაც თავისი გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე მოქმედებაში მოჰყავს წარმოების საშუალებები.

საწარმოო ძალთა გადაადგილება – წარმოების ნივთობრივი კომპონენტებისა და შრომითი რესურსების გეოგრაფიული განაწილება ქვეყნების ტერიტორიაზე და მათ ეკონომიკურ რაიონებში. საწარმოო ძალთა გადაადგილების ხასიათი განისაზღვრება გაბატონებული წარმოების წესით და ამიტომ ყოველ სოციალურ ეკონომიკურ ფორმაციას შეესაბამება საზოგადოებრივი წარმოების ტერიტორიული ორგანიზაციის განსაკუთრებული სისტემა, საწარმოო ძალთა გადაადგილების განსაკუთრებული ტიპი.

საწარმოო ძალთა ხასიათისა და განვითარების დონისადმი წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის კანონი – მატერიალური წარმოების განვითარების ზოგადსოციოლოგიური კანონი, რომელიც გამოხატავს საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების რეგორც რაოდენობრივ („დონისადმი შესაბამისობა"), ისე თვისობრივ („ხასიათისადმი შესაბამისობა") კავშირს. მისი არსია საწარმოო ძალთა განვითარებისადმი წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის ხელშეწყობა.

საწარმოს ტექნიკურ-სამრეწველო – საფინანსო გეგმა – საწარმოო, ორგანიზაციული, ტექნიკური და სამეურნეო საქმიანობის, აგრეთვე საწარმოს კოლექტივის სოციალური განვითარების ერთწლიანი კომპლექსური გეგმა, რომელიც დგება სამინისტროსაგან მიღებული გეგმის ძირითადი მანიშნებლების

საფუძველზე (დაყოფილია კარტალებად). აკონკრეტებს პერსპექტიული (სულ წლიანი) გეგმის მიზნებსა და ამოცანებს. საწარმოში არსებული მთელი რესურსების ყველაზე სრული და მიზანშეწონილი გამოყენებით უზრუნველყოფს პროდუქციის გამოშვებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების სახელმწიფო დავალებების შესრულებას.

საწარმოს შემოსავალ-გასავლის ბალანსი – საწარმოს (გაერთიანების) საფინანსო გეგმის ფორმა, ტექნიკური სამრეწველო-საფინანსო გეგმის დასკვნითი ნაწილი, რომელშიც ფულადი ფორმით ასახება სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის შედეგები. სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსული გადასახადებისა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული ასიგნებანი. საწარმოთა შემოსავალ-გასავლის ბალანსი დაცემა სახელმწიფო სამ. გეგმის მაჩვენებლების საფუძველზე. მისი შედგენისათვის წინასწარ გაითვალისწინებენ შემოსავლისა და გასავალის ცალკეული მუხლების მიხედვით. იგი შედგება 4 განყოფილებისაგან: 1. შემოსავალი და საშუალებათა შემოსულობა; 2. ხარჯები და ანარიცხები; 3. საკრედიტო ურთიერთობა; 4. ბიუჯეტთან ურთიერთობა.

საწესდებო ფონდი – სახელმწიფოს მიერ საწარმოსათვის (გაერთიანებისათვის) მუდმივ სარგებლობაში ანაცვალებად გადაცემული მატერიალური და ფულადი საშუალებები. იგი საწარმოს საკუთარი საშუალებების ძირითადი წყაროა. ამ ფონდიდან იქმნება ძირითადი და საბრუნავი საშუალებები. საწესდებო ფონდის სიდიდის ცვლილება ითვალისწინებს საკუთარი საბრუნავი ანგარიშებსა და საწარმოს წლიურ ანგარიშგებაში.

საწოლი მეფისა – საქართველოს მეფის მოსახვეწებელი განსაკუთრებული დანიშნულება. აღწერილია ხელმწიფის კარის გარიგებაში (XIV საუკუნე) მცხეთობისათვის არსებობდა მოძრავი საწოლი, რომელიც „სიკვდრისახი“ და „სახარჯებელ“ ჯიხვებით გადაკეთდა. ბარგისგასვლისას და შებრისან მცხეთის „სელისა“ იყო. ცხენებით მას მიჰყვებოდნენ ოქრის დარაჯი“ და არგოსანი „სანოლის მცველ“, კერძო სამსახურს – ფიცხლები ფარეშთუხუცესი და მეკვირე, სოლო სახელმწიფოს საქმეებზე მოხსენება-განკარგულებათა აღნუსხვა და დანიშნულების წლიური ანგარიშის შედგენა-შემოწმება საწოლის მწიგნობარს ევალებოდა.

„საწყალი კონრადი“ – (გერმ.) – საიდუმლო ორგანიზაცია გერმანიაში

XVI საუკუნის დამდეგს 1514 მიუსწრო გლეხებისა და ქალაქების ე.წ. „საწყალი კორდალ“-ის აღანცება, რომლის მთავარი მიზეზი იყო ექსპლოატაციის გაძლიერება. შემდეგ მეფეთა კონსტანტინეპოლის იმპერატორების ხელისუფლება სელიმ იანიჩარებმა. ზოგიერთ ქალაქებში ძალაუფლება სელიმ იანიჩარებმა. კონსტანტინეპოლის იერუსალიმ ძალიან იყო მოსწყვიტა ლანდშაფტი. რომელზედაც 8 იქლისის დაიდო ე.წ. ტიტინგების ხელშეკრულება. იერუსალიმ ხელისუფლება რამდენადმე ისხურდებოდა. სამხედრიდან ქრისტიანების იერუსალიმის ერთმანეთისაგან გალი უნდა გადაესახადა. ბიურგერთა გამცემლობამ იერუსალიმ აღანცების სახელობა გაუკეთდა. „საწყალი კონრადი“-ის რეკოლექციური გამოსვლა გლეხთა ომისა (1524–26) და რეფორმაციის წინ ერთ-ერთი ყველაზე დიდი აღანცება იყო გერმანიაში.

სამრნახულო – (სამართ. ისტ.) – იყალის გაერისას ნაამაგარი პირისათვის მეტი შრომისა და გარჯის ანაზღაურებლად განკუთვნილი განსაკუთრებული წილი გასაყოფ ქონებაში ცალკეულ ფეოდალურ საქართველოში. საჭირნახულოდ პირს შეძლო მიეთხოვა ის ქონება, რომელზედაც იყო „ნარნახული“ იყო (ქმა, მოწა. გამოხვლერილი ნიშნით) ან სხვა სახის ანაზღაურება მიღლო. გარდა გაერისა. საჭირნახულოს მიკუთვნის საკითხს სახამართლოც წყვეტდა, სადავო ქონებაზე გაწეული შრომისათვის (მაგ.: მიწაზე დაგისას ბალკვნახის გაშენებისათვის). გაწეული შრომისა თუ ხარჯის შეფასებისა და საჭირნახულოს ოდენობის განსაზღვრისათვის საქმის მცოდნე პირებს იწვევდნენ.

საჯურჯლე – (სამართლის ისტორია) – ძვირფასეულობა, განძი და სიმდიდრის საცავი ნაზინა ძველ საქართველოში. სახელწოდების მიხედვით „ჯურჯლი“ ძვირფასი ნივთები, მოძრავი განძეულობა იგულისხმება. ეჭვმარი საჭურჭლე სალაროსაგან განსხვავებულ, სანიადაგოდ სახმარ-სახარჯო სახელმწიფო ხაზინას აღნიშნავდა. საჭურჭლეში ფულის, „ღარი და ჭურჭელი ოქროსი და ვერცხლის, ნიჭერი და ქაშანური“ მეფისათვის ინახებოდა. საჭურჭლეში ერთიან დაწესებულებას წარმოადგენდა, თუმცა მისი განყოფილებები ანუ საგანძურები სხვადასხვა ადგილას იყო მოთავსებული. მეფის მთავარი საჭურჭლეო ქალაქი ჯერ ქუთაისში იყო, შემდეგ კი (1122-დან) თბილისში. საჭურჭლეს მეჭურჭლეთუხუცესი ხელმძღვანელობდა.

სახაზინო ბილეთები – ხაზინის მიერ გამოშვებული ოქროსა და ვერცხლის ფასიანი ქალალდის ფული. ხაზინის მოკლევადიანი

ვალდებულება, რომელიც მიმოქცევაში შედის. სახა'ხინო ბილეთის I მსოფლიო ომში და ომის შემდეგ პერიოდში იყენებდნენ ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად. სახა'ხინო ბილეთებს იყენებდნენ საბანკო ბილეთების დასახურდავებლად და მცირე გადასახადების მომსახურებისათვის (1, 2, 5 ლარი) უშვებს სახა'ხინო ბანკი. მისი მიღება საბანკო ბილეთების თანაბრად საკალდებულოა ქვეყნის ფარგლებში.

სახაზინო ემისია – სახელმწიფო ხა'ხინის ან სხვა საფინანსო ორგანოს მიერ ფულის მიმოქცევაში გაშვება. იგი ორი სახისაა: საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო. სახა'ხინო ემისია უმთავრესად გამოიყენება ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად, ხოლო არასაბიუჯეტო სახა'ხინო ემისიას მიმართავენ მაშინ, როცა ფულის გამოშვება დაკავშირებულია ბრუნვისათვის საჭირო საგადასახდელო საშუალებების უზრუნველყოფისათვის.

სახაზო ჯარი – 1. XVIII– XIX საუკუნეების სხვადასხვა ქვეყნების არმიებში სახა'ხო ჯარებს უწოდებდნენ მძიმე (სახა'ხო) ქვეით ჯარს, რომელიც შემჭიდროებული მწყობრით მოქმედებდა და მტერს მთაყარ დარტყმას აყენებდა. სახა'ხოს 'სოფჯერ, კავალერიას უწოდებდნენ. 2. რუსეთის არმიის ჯარები, რომლებიც ძირითადად სახა'ხლეთო გამაგრებულ ხა'სებს იცავდნენ. სახა'ხო ჯარი გაჩნდა 1804-ში. 1856-სათვის რუსეთში 84 სახა'ხო ბატალიონი იყო. მათ 'მორის 18 ქართული.

სახალიფო – ფეოდალური არაბულ-მუსლიმანური სახელმწიფო, რომელსაც ხალიფა მეთაურობდა. სახალიფოს საფუძველი იყო მაჰმადის მიერ VII საუკუნის დასაწყისში დასავლეთ არაბეთში შექმნილი მუსლიმანური თემი (უმა). 632–656 სახალიფოს დედაქალაქი იყო მედინა. არაბთა დაპყრობითი ომების შედეგად გადაიქცა უზარმაზარ სახელმწიფოდ, რომელშიც შედიოდა ერაყი, ირანი, ამიერკავკასიის დიდი ნაწილი, შუა აზია, სირია, პალესტინა, ეგვიპტე, აფრიკა და სხვა.

სახალხო დეპუტატების საბჭოები – სახელმწიფო ხელისუფლების არსებითი წარმომადგენობითი ორგანოები იყო. სსრკ კონსტიტუციის თანახმად (მ. 2) მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნოდა. ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებდა სახალხო დეპუტატების საბჭოების მეშვეობით, რომლებიც სსრკ პოლიტიკურ საფუძველს შეადგენდნენ. ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარებოდა სახალხო დეპუტატების საბჭოების კონტროლსა და ანგარიშვალდებული იყო მათ წ'ინა'შე.

სახალხო თავისუფლების

ანტიფაშისტური ლიგა – პოლიტიკური ორგანიზაცია პარიზში შეიქმნა 1944 აგვისტოში, რიჟორც იაპონელ ოკუპანტებთან ბრძოლის ერთიანი ერთიანი ფრონტი. ლიგის უმეტესი ორგანიზაციები იყვნენ: კომპარტია, სახალხო რეფორმისტული პარტია (1945-იდან სოციალისტური პარტია) და ერთიანი არმია. პრეზიდენტი აჟი სანი (1944–47) და უ ნუ (1947–58). 1946-იდან შინაგანი განსხვავებების შედეგად პარტიაში გამოიყო 2 ფრაქცია (1958). ერთ-ერთი მათგანი უნუს მეთაურობით საკავშირო პარტიად იქცა, ხოლო მეორემ. მემარჯვენე სოციალისტთა მეთაურობით ძველი სახელწოდება შეინარჩუნა. ლიგის ორივე ფრაქციამ ლეგალური არსებობა შეწყვიტა 1964 ბირმაში ერთპარტიული სისტემის შემოღებასთან დაკავშირებით.

სახალხო კომისართა საბჭო (სახკომსაბჭო) – სსრკ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო 1946-მდე. სახალხო კომისართა საბჭო პირველად ლენინის ხელმძღვანელობით შეიქმნა სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობაზე რსფსრ 1918 კონსტიტუციით წარმოადგინდა რსფსრ-ის სახკომსაბჭო. 1936 კონსტიტუციით სახალხო კომისართა საბჭოებს ქმნიდნენ შესაბამისი უმაღლესი საბჭოები, რომლებიც შემდგომში (1946 წ. 5 მარტის კანონით) გადაკეთდნენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებად.

სახალხო კომისარიატი – სახელმწიფოში 1917–1946 სახელმწიფო დარგობრივი მმართველობის ცენტრალური ორგანო. მასში ლენინის მეთაურობით შედიდნენ სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომიტეტისა და 12 კომისიის (ვაჭრობისა და მრეწველობის, იუსტიციის, ფოსტა-telეგრაფის, შრომის, საგარეო საქმეთა, სურსათის საქმეთა, ფინანსთა, განათლების, სარკინიგზო, შინაგან საქმეთა, მეზღვაობის, ეროვნებათა საქმეების) სათავეში მდგომი სახალხო კომისრები, რომელიც განამტკიცა რსფსრ 1918 კონსტიტუციამ და რომლებიც 1946წ. 5 მარტის კანონით გადაიქცნენ სამინისტროებად.

სახალხო კონტროლი – სსრკ-ში სახელმწიფო კონტროლის სპეციალურ ორგანოთა სისტემა, რომელიც შექმნილი იყო კონტროლის განხორციელებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩაბმის უსრულყოფილესაყოფად. ისინი აკონტროლებდნენ სახელმწიფო მმართველობის თითქმის ყველა ორგანოსა და ორგა-

ნი'საციის, საწარმოსა და დაწესებულების საქმიანობას სახელმწიფო მხარდაჭერის ყველა დარგში. ამ ორგანიებს შეეძლოთ მიეთითებინათ თანამდებობის პირების მიერ დაშვებულ ნაკლოვანებებზე, გაეფრთხილებინათ და დაეკალებინათ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა, დამრღვევების შესახებ მასალები გადაეცათ კოლექტივებისათვის და ა.შ. ამჟამად მოქმედებს კონტროლის პალატა.

სახალხო კრება – 1. ბულგარეთში – სახელმწიფო სელისუფლების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო; 2. აღბანეთში – ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო.

სახალხო მეურნეობა – ამა თუ იმ ქვეყნის მატერიალური და არამატერიალური წარმოების ისტორიულად ჩამოყალიბებული დარგთა კომპლექსი. მისი სოციალურ-ეკონომიკური ბუნება, სტრუქტურა და განვითარების ტემპი განისაზღვრება მოცემულ საზოგადოებაში გაბატონებული წარმოებითი ურთიერთობის ხასიათით.

სახალხო მეურნეობის ბალანსი – საზოგადოებრივი კვლავწარმოების განმაზოგადებელი, ურთიერთდაკავშირებული ეკონომიკური ცხრილებისა და მაჩვენებლების ერთიანი სისტემა, მასში ასახებოდა გაფართოებული სოციალური კვლავწარმოების პირობების, მსვლელობისა და შედეგების სრული სურათი. სახალხო მეურნეობის ბალანსი მუშავდებოდა ანგარიშგებით წინასაგეგმო და საგეგმო პერიოდებისათვის. ანგარიშგებითი სახალხო მეურნეობის ბალანსი მოიცავდა ანგარიშგებითი პერიოდის მდიდარ ინფორმაციას კვლავწარმოების ყველა მხარეზე, პროპორციებსა და ეკონომიკურ ეფექტიანობის მაჩვენებლებზე. წინა საგეგმო საბალანსო გაანგარიშების საფუძველზე მოცემული მონაცემები საშუალებას იძლეოდა განსაზღვრულიყო გეგმის პროექტის რამდენიმე ვარიანტი და მათგან სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანისა და კვლავწარმოების პირობების შესაბამისად შეირჩეოდა ერთ-ერთი ოპტიმალური.

სსრკ-ის სახალხო მეურნეობის ბალანსი შედგებოდა შემდეგი ნაწილებისაგან: ერთობლივი სასლვაო პროდუქტების (ესპ), შრომითი რესურსების კრებითი, ეროვნული შემოსავლის, ეროვნული სიმდიდრის ბალანსებისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის კრებითი ცხრილისაგან.

სახალხო მეურნეობის დარგები – თვისობრივად ერთგვაროვანი პროდუქციის (ან მომსახურების) მწარმოებელი სამეურნეო ერთეულების (საწარმოე-

ბი, ორგანიზაციები, დაწესებულებები) ერთობლიობა.

სახალხო მეურნეობის საბჭოები (სმს) – მრეწველობისა და მშენებლობის მართვის ტერიტორიული სახელმწიფო ორგანოები. ფუნქციონირებდნენ 1917–32 და 1957–65 წლებში. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო (სმუს) შეიქმნა რსფსრ ეკისა და სახკომსაბჭოს დეკრეტით. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ამოცანა იყო ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების რეგულირება. 1922 სსრკ-ის შექმნასთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გაერთიანებული სახალხო კომისარიატის სტატუსი და მის დაქვემდებარებაში დარჩა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები. 1932 სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ბაზაზე შეიქმნა მძიმე, მსუბუქი და ხეტყის მრეწველობის სახალხო კომისარიატები.

მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გაუმჯობესების მიზნით სკკპ ცკ-ის 1957 თებერვლის პლენუმმა გააუქმა ისინი და მის ნაცვლად შეიქმნა 105 ეკ-რ ადმინისტრაციული რაიონი. 1965 წლის პლენუმმა გააუქმა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და მის ნაცვლად შეიქმნა სამრეწველო სამინისტროები და უწყებები.

სახალხო მოსამართლე – სახალხო სასამართლოს მოსამართლე, რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო სასამართლოების სახალხო მოსამართლეებს ირჩევდნენ რაიონის (ქალაქის) მოქალაქეები საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭის ყრით 10 წლის ვადით. სახალხო მოსამართლეები პასუხისმგებლები იქნენ თავიანთი ამომრჩეველების წინაშე, მათაც შეეძლოთ გაეწიათ ისინი კანონით დადგენილი წესით.

რაიონული (საქალაქო) სახელმწიფო სასამართლოს სხდომას თავმჯდომარეობდა სახალხო მოსამართლე, რომელსაც უნდა უშრუნველეყო საქმის ყველა გარემოების სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევა, ჭეშმარიტების დადგენა. საკითხები, რომლებიც შეეძლებოდა სახალხო მოსამართლეს ერთპიროვნულად გადაეწყვიტა განსაზღვრული იყო კანონით. მართლმსაჯულების განხორციელების დროს მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან.

სახალხო რაზმი – სსრ კავშირში საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებული იყო ებრძოლა დანაშაულის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო ცხოვრების წესების დარღვევის გაფრთხილებისა და სა-

მართალდარღვეულთა აღკვეთის, მერყევ ელემენტებთან აღმსრდელობითი მუშაობის ჩატარების, დანაშაულის გახსნისა და დამნაშაულეთა მოძებნის მეშვეობით. სახალხო რაზმებს ქმნიდნენ ნებაყოფლობის საფუძველზე წარმოებად წესებულებებში, სასწავლებლებში და ა.შ. მათი საქმიანობის ძირითადი ფორმა იყო პატრულირება, რეიდების მოწყობა, საგუშაოების მოწყობა. მათ ღირსებას იცავდა კანონი.

სახალხო რევოლუცია – რევოლუცია, რომელშიც ხალხის ფართო მასები მონაწილეობენ. სახალხო რევოლუციაში მონაწილე ხალხის მასები აქტიურად გამოდიან საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური მოთხოვნებით.

სახალხო რესპუბლიკური პარტია თურქეთისა (სრპ) – ბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტია, დაარსა მუსტაფა ქემალ ათათურქმა 1923, 1923–50 წლებში მმართველი პარტია იყო. 1978–80 წლებში მთავრობის კოალიციას მეთაურობდა. ქალაქის საშუალო ფენების, ეროვნულ-ბურჟუაზიული ნაწილის ინტერესებს გამოხატავდა. აიკრძალა 1980.

სახალხო საბჭო – სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ალბანეთში, ბულგარეთში, ვიეტნამის დემოკრატულ რესპუბლიკასა და რუმინეთში. ირჩევს უშუალოდ მოსახლეობა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭის ყრით. ალბანეთში სახალხო საბჭოს ირჩევენ 3, ბულგარეთში – 2.5, რუმინეთში 4 წლით. სახალხო საბჭო სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე.

სახალხო-სამეურნეო ოპტიმუმი – საზოგადოების განკარგულებაში მყოფი რესურსების გამოყენების საუკეთესო ვარიანტი. სოციალისტურ საზოგადოებაში სახალხო-სამეურნეო ოპტიმუმის მიღწევა ნიშნავს ეკონომიკური ფუნქციონირების ისეთი რეჟიმის შერჩევას, რომელიც საზოგადოების უმაღლესი მიზნის განხორციელებას ემსახურება და შეესაბამება სოციალისტური საზოგადოების ძირითად ეკონომიკურ კანონს.

სახალხო სასამართლო – პირველი ინსტანციით სასამართლო, რომელიც მოქმედებდა რაიონის ან იმ ქალაქების ტერიტორიებზე, რომლებიც რაიონებად არ არის დაყოფილი. იგი სასამართლო სისტემის ძირითადი რგოლი იყო და განიხილავდა უმეტეს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეს, გარდა ზოგიერთი კატეგორიის საქმეებისა, რამელთა განხილვა და გადაწ-

ქვეტა კანიონის თანახმად სხვა სასამართლოს განსჯადია.

სახალხო სასამართლოს ორგანიზაცია და საქმიანობა დაფუძნებული იყო ისეთ დემოკრატიულ საწყისებზე, როგორიცაა არჩევითობა, საქმეთა განხილვის კოლეგიურობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება. სასამართლო წარმოებდა ეროვნულ ენაზე და ა.შ. სახალხო სასამართლოები ამჟამად არ ფუნქციონირებენ.

სახალხო სოციალისტები – ესერები, სახალხო-სოციალისტური (შრომით) პარტია, შრომითი სახალხო-სოციალისტური პარტია, წვრილბურჟუაზიული პარტია რუსეთში, 1906 გამოეყო ესერების მემარჯვენე ფრთას. სახალხო სოციალისტების პროგრამა წარმოადგენდა „ესერული პროგრამის გადაკეთებას რეფორმისტულ, მენშევიკურ-ლეგალურ პროგრამად“, რის თანახმადაც „სახელმწიფოს მთელი ძალაუფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს“ და რომელშიც იგულისხმებოდა ყველა მშრომელი – პროლეტარიატიდან ბურჟუაზიულ ინტელიგენტამდე. პროგრამა მოითხოვდა მემამულეთა ქონების ჩამორთმევას გლეხთა ინტერესებისათვის და დასაშვებად მიიჩნია მისი გამოსყიდვა. 1918 პარტია გაუქმდა.

სახალხო ფრონტი – ხალხთა ფართო მასების ორგანიზაციის ფორმა ზოგიერთ ქვეყანაში. მისი მიზანია ბრძოლა იმპერიალიზმისა, ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ დემოკრატიის, სოციალური პროგრესის, ეროვნული დამოუკიდებლობისა აგრეთვე მშრომელთა საარსებო ეკონომიკური მოთხოვნების დასაკმაყოფილებად.

სახალხო წარმომადგენელთა სრულიად ჩინეთის კრება – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო.

სახასო – მეფის, მისი ოჯახის წევრებისა და თავადების დომენი ფეოდალურ საქართველოში. ტერმინი ხშირად გვხვდებოდა XVIII ს. ქართულ სამართლის ძეგლებსა და ისტორიულ დოკუმენტებში. ნაწარმოებია არაბული სიტყვიდან „ხას“ (კერძო, საკუთარი, გამორჩეული პირი).

სახდელი – ადმინისტრაციული სახდელი, დისციპლინური სახდელი: ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაკავშირებული გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ადმინისტრაციული სახდელების სახეებია: 1. გაფრთხილება; 2. ჯარიმა; 3. კონფისკაცია; 4. რეკვიზიცია; 5. სპეციალური უფლების ჩამორთმევა; 6. გამასწორებელი სამუშაოები; 7. ადმინისტრაციული პატიმ-

რობა.

სახელმძღვანელო – წიგნი, რომელშიც მოცემულია რომელიმე დარგში სისტემატური ცოდნის საფუძვლები მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევათა დონეზე სწავლების შინაარსისა და დიდაქტიკური ამოცანების შესაბამისად; სახელმძღვანელო – ლიტერატურის ძირითადი და წამყვანი სახეობა სწავლების ყველა საფეხურისა და სხვადასხვა სახის სასწავლო დაწესებულებისათვის; თვითგანათლებისათვის, აგრეთვე იქმნება სპეციალური სახელმძღვანელოები.

სახელმწიფო – სახელმწიფო არის ამა თუ იმ ქვეყანაში საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის განსაზღვრული ისტორიული ფორმა, მმართველობის განმახორციელებელი განსაკუთრებული აპარატი, რომელიც დარწმუნებისა და იძულებითი ღონისძიებების გამოყენებით უზრუნველყოფს საშინაო და საგარეო ამოცანების განხორციელებას საზოგადოებაში გაბატონებული კლასისა თუ გაბატონებული ფენის ინტერესების შესაბამისად.

სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია მოსახლეობის, მოქალაქეთა ან ქვეშევრდომთა დაყოფა ტერიტორიული პრინციპების მიხედვით. მეორე ძირითადი ნიშანია განსაკუთრებული საჯარო ხელისუფლება, გადასახადების სისტემა და სუვერენიტეტი, არსებობს სახელმწიფოს სუვერენიტეტი საერთაშორისო ურთიერთობაში, სახალხო სუვერენიტეტი, ეროვნული სუვერენიტეტი.

სახელმწიფოს ისტორიული ტიპებია: მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური და სოციალისტური. სახელმწიფო შეიძლება სხვადასხვა ფორმით არსებობდეს. სახელმწიფო ფორმას უკავშირებენ ორ დამოუკიდებელ ცნებას: მართვა-გამგეობის ფორმას და სახელმწიფო წყობილების ფორმას.

მართვა-გამგეობის ფორმაში იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების სტრუქტურა, მათი შექმნის წესი და უფლებამოსილება. მართვა-გამგეობის ფორმის მიხედვით სახელმწიფოებს ყოფენ მონარქიებად და რესპუბლიკებად. მონარქიის დროს სახელმწიფოს მეთაურია ერთი პიროვნება-მონარქი (ფარაონი, მეფე, იმპერატორი, შაჰი). რესპუბლიკის დროს უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება რომელიმე გარკვეული ვადით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს ხელშია.

სახელმწიფო წყობილების ფორმაში იგულისხმება სახელმწიფოს შინაგანი აგებულების ტე-

რიტორიულ-ორგანიზაციული თავისებურებანი. სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით ქვეყნებს ძირითადად ყოფენ მარტივ და რთულ სახელმწიფოებად. მარტივ ანუ უნიტარულ სახელმწიფოში არსებობენ მხოლოდ მთელი ქვეყნისათვის საერთო, ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოები. სახელმწიფო იყოფა პირობით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, რომლებსაც ცალ-ცალკე არა აქვთ სახელმწიფოებრიობის ძირითადი ნიშნები. ასეთებია: საფრანგეთი, ავსტრალია, ბულგარეთი და სხვა. რთული ანუ ფედერაციულია ე.წ. საკავშირო სახელმწიფოები, რომლებიც დაყოფილნი არიან მცირე თუ ნაკლები დამოუკიდებლობის მქონე სახელმწიფოებრივ ერთეულებად. თითოეულ წევრ-სახელმწიფოებს, რომლებიც ფედერაციაში შედიან, გააჩნიათ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები, რომლებიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედებენ შესაბამისის ტერიტორიებზე. მაგრამ საბოლოოდ მაინც ემორჩილებიან მთელი ფედერაციისათვის საერთო მმართველობისა და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს.

ფედერაციისაგან, რომელთაც საკავშირო სახელმწიფოსაგან განასხვავებენ კონფედერაციას, ანუ სახელმწიფოთა კავშირს. ამ დროს ადგილი აქვს სახელმწიფოთა საქმიანობის გაერთიანებას ერთ ან რამდენიმე დარგში. (სამხედრო, სავაჭრო, საფინანსო და სხვა).

სახელმწიფო წყობილების ფორმის მიხედვით, რთულ სახელმწიფოდ ითვლება იმპერია. ასე ეწოდებოდა სხვადასხვა ეპოქაში არსებულ ზოგიერთ მონარქიულ ქვეყანას, რომელთა სათავეში იდგა იმპერატორი.

სახელმწიფო ავტონომია – შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო, რომელსაც ევალება საჭრანსპორტო საშუალებათა გამოყენების ეფექტურობის გაზრდა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. იგი შეიქმნა 1936. მისი მოვალეობაა: მოძრაობის წესების დაცვის სფეროს მეცნიერული, საჭრანსპორტო საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენების კონტროლი, საჭრანსპორტო საშუალებათა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის რეგულირება, ავტომოტოპარკის რეგისტრაცია და აღრიცხვა, გამოცდის ჩატარება და მძღოლის მოწმობის გაცემა, ავტომობილებისა და მოტოციკლების ტექნიკური ხარისხის დათვალიერება, საგზაო-საჭრანსპორტო შემთხვევების გამოკვლევა, გაანალიზება, აღრიცხვა.

სახელმწიფო აპარატი – სახელმწიფო ორგანოთა სისტემა, რომლის ქვეშაც რგოლი სარ-

გებლობს სახელმწიფო ხელისუფლებრივი უფლებამოსილებით. სახელმწიფო აპარატის ცნებაში ვიწრო გაგებით შედის სახელმწიფო მმართველობის აპარატი – სამინისტროები, სახელმწიფო კომიტეტები, მთავარი სამმართველოები, სამმართველოები და სხვა.

სახელმწიფო ბანკი (სახბანკი) – ქვეყნის საემისიო ბანკი, საკრედიტო, საანგარიშსწორებო საკასო ცენტრი. მისი ძირითადი ფუნქციებია: საემისიო ოპერაციების წარმოება და ფულის მიმოქცევის რეგულირება ქვეყანაში. სახ. მეურნეობის მოკლევადიანი დაკრედიტება; დროებით თავისუფალი ფულადი სახსრებისა და ფულადი დაგროვების აკუმულაცია; სოფლის მოსახლეობის, წარმოება-ორგანიზაციის, სამომხმარებლო კოოპერაციის კაპიტალდაბანდებების დაფინანსება და გრძელვადიანი დაკრედიტება, ანგარიშსწორებათა განხორციელება, საკასო მომსახურების ოპერაციების ჩატარება და სხვა. ბანკის უფლებები განისაზღვრება მისი წესდებით.

სახელმწიფო გერბი – სახელმწიფო ოფიციალური ემბლემა, მისი განმასხვავებელი ნიშანი. გამოსახულია სახელმწიფო ორგანოთა ბეჭდებსა და ბლანკებზე, მონეტებზე, მთავრობათა შენობებზე და სხვა. სახელმწიფო გერბის ნახატსა და მის აღწერილობას აღგენს კონსტიტუცია ან სპეციალური კანონი. სახელმწიფო წესწყობილების შეცვლის შემდეგ, როგორც წესი, სახელმწიფო გერბს შეცვლიან ან ახალს შემოიღებენ.

სახელმწიფო გლეხები – ბატონყმური რუსეთის განსაკუთრებული წოდება, რომელიც შეიქმნა პეტრე I-ის ბრძანებულებით სოფლის დაუმეკვიდრებელი მოსახლეობისაგან. ისინი ცხოვრობდნენ სახაზინო მიწებზე და სარგებლობდნენ მიწენილი ნაკვეთებით, ემორჩილებოდნენ სახელმწიფო ორგანოების მმართველობას და პირადად თავისუფალნი იყვნენ.

სახელმწიფო დანაშაული – განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, რომელიც ხელყოფს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ინტერესებს. სახელმწიფო დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 კარში, რომელიც შედგება ოთხი თავისგან, მათში განთავსებული დანაშაულობები მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომლებიც წარმოადგენენ: 1) (თავი 37-ე) დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ. 2) (თავი 38-ე) ტერორიზმი. 3) (თავი 39-ე სამოხელეო დანაშაული. 4) (თავი

მე-40-ე) დანაშაული მმართველობის წესის წინააღმდეგ. სახელმწიფო დანაშაულებათა სუბიექტები, როგორც საერთო, ასევე სპეციალური სუბიექტია, ე.ი. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ყველა დანაშაულზე დგება 14 წლიდან. სახელმწიფო დანაშაულის ჩადენისათვის დანაშაულის ხასიათისა და მიყენებული ზიანის სიმძიმის მიხედვით გათვალისწინებულია სხვადასხვა სასჯელი. (სსკ. მუხ. 307).

სახელმწიფო დეპარტამენტი – მთავარი პოლიტიკური უწყება ა.შ.შ.-ში (1789-დან). საგარეო საქმეთა სამინისტროს ფუნქციების შემსრულებელი. სახელმწიფო დეპარტამენტს სათავეში უდგას სახელმწიფო მდივანი.

სახელმწიფო დისციპლინა – სახელმწიფოს მიერ დადგენილი სახელმწიფო ორგანოების, საწარმოებისა და დაწესებულების საქმიანობის წესი, რომლის ზუსტი დაცვა სავალდებულოა ყველა ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის. სახელმწიფო დისციპლინა მოითხოვს კანონიერების, საგეგმო დავალებების, სახელშეკრულებო ვალდებულებების მკაცრ დაცვას, დაუშვებელია საერთო-სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტისადმი ეიწრო საწყებო სახელმწიფო და პირადი ინტერესების ურთიერთ დაპირისპირება. სახელმწიფო დისციპლინის მთავარი ელემენტია სახელშეკრულებო დისციპლინა, სახელშეკრულებო დისციპლინის განსრახ დარღვევამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეიძლება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოიწვიოს.

სახელმწიფო დროშა – სახელმწიფოს ოფიციალური განმსხვავებელი ნიშანი, რომლის აღწერილობას ადგენს კანონი (როგორც წესი კონსტიტუცია). ითვლება სახელმწიფოს სუვერენიტეტის სიმბოლოდ. წარმოადგენს ერთფერ ან მრავალფერ ქსოვილს, რომელსაც გამოსახულია გერბი ან რაიმე სხვა ემბლემა. სახელმწიფო დროშა აღმართულია სახელმწიფო დაწესებულებების, საელჩოების, საკონსულოების და სხვა შენობებზე. საქართველოს რესპუბლიკის დროშა აღწერილია და გამოყენების წესი დადგენილია საქართველოს 1990 წ. 28 დეკემბრის კანონით და დებულებით.

სახელმწიფო ენა – სახელმწიფოს ძირითადი, ოფიციალური ენა. სახელმწიფო ენაზე ეწარმოება საქმისწარმოება, საიმართალწარმოება, სასკოლო განათლება, სახელმწიფო ენის სტატუსს განსაზღვრავს კონსტიტუცია.

სახელმწიფო ვალი – სახელმწიფოს დავალიანების საერთო თანხა დაუფარავ სესხებსა და

მის გადაუხდელ სარგებელზე. სესხების გავრცელების სფეროს გათვალისწინებით განასხვავებენ საშინაო და საგარეო სახელმწიფო ვალს, ხოლო დაფარვის ვადების მიხედვით – კაპიტალურსა და მიმდინარეს. სახელმწიფო ვალის აღების და დაფარვის ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია საქართველოში 1998 წლის 5 მარტის კანონით სახელმწიფო ვალის შესახებ.

სახელმწიფო კაპიტალიზმი – ქვეყნის ეკონომიკაში ბურჟუაზიული სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობის სხვადასხვა ფორმა.

სახელმწიფო კომიტეტები – დარგთაშორისი ფუნქციური მმართველობის საკავშირო – რესპუბლიკური ორგანო, რომელიც სელმძღვანელობდა კავშირის ან რესპუბლიკის მასშტაბით მმართველობის ამა თუ იმ ფუნქციის განხორციელებას (მმ. დაგეგმვას, კონტროლს, კოორდინაციას და სხვა).

სახელმწიფო კონტროლი – სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა.

სახელმწიფო კრება – უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანო.

სახელმწიფო კრედიტი – საკრედიტო ურთიერთობათა ერთობლიობა, რომლის დროსაც სახელმწიფო გამოდის მსესხებლის როლში. საერთაშორისო კრედიტის სისტემაში ხშირად სახელმწიფო კრედიტორის როლში გამოდის. სახელმწიფო კრედიტის შინაარსსა და ფორმებს განსაზღვრავს საზოგადოების ეკონ. წყობილების ხასიათი. სახელმწიფო კრედიტის ისტორია სათავეს მონათმფლობელური წყობილებიდან იღებს.

სახელმწიფო მდივანი – მაღალი თანამდებობის პირი ევროპისა და ამერიკის ზოგ ქვეყანაში. აშ.შ.-ში სახელმწიფო დეპარტმენტის – საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელია. ნიშნავს პრეზიდენტი და მის უახლოეს თანამშრომლად ითვლება. ინგლისლაციაში სახელმწიფო მდივანი საგარეო საქმეთა და სახელმწიფო თავდაცვის საქმეთა სახელმწიფო სამდივნოების მეთაურია.

სახელმწიფო მმართველობა – სოციალური მმართველობის ერთ-ერთი სახე, რომელიც მიზნად ისახავს გაბატონებული კლასის ინტერესების დაცვას. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს ფუნქციების პრაქტიკული განხორციელების კონკრეტულ ორგანიზაციას, რომელსაც ასრულებენ სახელმწიფო მმართველობის ორგანოები. სახელმწიფო მმართველობა სახელმ-

წიფო საქმიანობის ერთ-ერთი ფორმაა. (სახელმწიფო – ხელისუფლებრივ, საზედამხედველო საქმიანობისა და მარლთმსაჯულების განხორციელებასთან ერთად).

სახელმწიფო-მონოპოლისტური კაპიტალიზმი – მონოპოლისტური კაპიტალიზმის უახლესი საფეხური, რომლისთვის დამახასიათებელია სახელმწიფო აპარატთან მონოპოლიების შეზრდა და მათი გაერთიანება ერთ მექანიზმად. იგი მიზნად ისახავს კაპიტალისტური წესობილების შენარჩუნებას და განმტკიცებას, თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მოთხოვნის რეალიზაციას, აგრესიული ომებისათვის მზადების გაძლიერებას.

სახელმწიფო პრემია – მოქალაქეთა წახალისების ერთერთი ფორმა მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში მიღწეული უდიდესი შემოქმედებითი მიღწევებისათვის.

სახელმწიფო რეზერვი – სახელმწიფოს მიერ შექმნილი უმნიშვნელოვანესი სახის ნედლეულის, მასალის, საობიბის, სოფლიერთი სახეობის მანქანისა და მოწყობილების, სასურსათო საქონლის, აგრეთვე თავდაცვის დანიშნულებისათვის განკუთვნილი პროდუქციის მარაგი.

სახელმწიფო საბჭო – 1. რუსეთის იმპერიის უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება, სადაც იხილავდნენ კანონპროექტებს (მეფისათვის დასამტკიცებლად მათი წარდგენის წინ).

2. საბჭოთა ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, ბელგია, ტუნისი) ერთ-ერთი ცენტრალური სახელმწიფო დაწესებულება, ან ადმინისტრაციული ინსტიტუციის უმაღლესი ორგანო, ან სახელმწიფო მეთაურთან არსებული საკონსულტაციო ორგანო.

3. შვეიცარიაში, ნორვეგიაში, ფინეთსა და შვეიცარიაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მთავრობის ოფიციალური სახელწოდება.

4. პოლონეთში, რუმინეთში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი კოლეგიური ორგანო, რომელსაც ირჩევს ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანო (სეიმი, სახელმწიფო ასამბლეა, დიდი ეროვნული კრება).

სახელმწიფო საზღვარი – სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლების განმსაზღვრელი ხაზი. განასხვავებენ სახმელეთო, წყლისა და საჰაერო სახელმწიფო საზღვრებს. სახმელეთო და წყლის საზღვარი მუსობელ სახელმწიფოებს შორის დადგენილია ხელშეკრულების წესით დელიმიტაციისა და დემარკაციის გზით.

სანაოსნო მდინარეებზე სახელმწიფო საზღვარი ჩვეულებრივ ფარვატერზე ან ტალვეგზე გადის, არასანაოსნო მდინარეებზე – მდინარის შუაგულში, მოსაზღვრე ტბებში კი ან მის შუაგულში, ან იმ სწორ ხაზზე, რომელიც სახმელეთო საზღვრებს ტბის ნაპირებთან აერთიანებს. საზღვაო სახელმწიფო საზღვარი, რომელიც გამოყოფს ტერიტორიულ წყლებს ღია ზღვისაგან, საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, მონაპირე სახელმწიფოთა კანონმდებლობებით განისაზღვრება. საჰაერო სივრცის სახელმწიფო საზღვრად ითვლება ვერტიკალური სიბრტყე, რომელიც სახმელეთო და წყლის სახელმწიფო საზღვარზე გადის. სახელმწიფო საზღვრის დაცვის მი'სინით დაწესებულია სპეციალური სასაზღვრო რეჟიმი, რომელიც რეგულირდება მოსაზღვრე სახელმწიფოთა შინაგანი კანონმდებლობითა და ურთიერთშეთანხმებებით. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სამართლებრივი რეჟიმი განსაზღვრულია საქართველოს 1998 წ. 17 ივლისის კანონით საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲐ – სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ცნობები, რომელთაც განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობა აქვს. მას სახელმწიფო სპეციალურად იცავს. საქართველოს კანონმდებლობით, ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობების, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, რომელთა დაკარგვას ან გამჟღავნებას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს. სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუხხას ამზადებს და ოფიციალურ სახელმწიფო გამოცემებში აქვეყნებს სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის სახელმწიფო ინსპექცია. (საქართველოს 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მუხ. 1).

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘ – სამართლებრივი ნორმებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც განამტკიცებს ქვეყნის საზოგადოებრივ და სახელმწიფო წეს-წყობილებას. მას ზოგჯერ კონსტიტუციურ სამართალს უწოდებენ.

სახელმწიფო სამართლის ნორმათა სისტემაში გარდა კონსტიტუციური ნორმებისა, შედის აგრეთვე სხვა სათანადო ნორმებიც. სახელმწიფო სამართალი

არეგულირებს საზოგადოებრივ წეს-წყობილებას, მოქალაქეთა ძირითად უფლებებს, თავისუფლებებსა და მოვალეობებს, ეროვნულ – სახელმწიფო წყობილებას, განამტკიცებს ხალხისა და სახელმწიფოს სუვერენიტეტს, ერების სუვერენულობას, წარმომადგენლობითი ორგანოების სრულ ძალაუფლებიანობას პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, ხელმძღვანელ როლს საზოგადოებასა და სახელმწიფო და საარჩევნო სისტემაში. სამართლის ურთიერთობის მონაწილე მხარეებს შეადგენენ ხალხი, ერები და ეროვნებები; სახელმწიფოს ორგანოები, წარმომადგენლობით ორგანოთა დეპუტატები; მოქალაქენი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები.

სახელმწიფო სამართლის წყაროებია კონსტიტუცია, მიმდინარე სახელმწიფო სამართლის კანონმდებლობა, დეკლარაციები, მიმართვები და განცხადებები, დადგენილებები, შესაბამის ორგანოთა დებულებები, წესდებები და სხვა აქტები.

სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობა – სახელმწიფო კონტროლის ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უსრულველყოფს უსაფრთხოების ტექნიკის წესების, ნორმებისა და ინსტრუქციების შესრულებას, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა დამუშავებასა და წიაღის დაცვას.

სახელმწიფო სამთო-ტექნიკური ზედამხედველობის ორგანო აწესებს კონტროლს სამუშაოთა უსაფრთხო წარმოებისათვის საჭირო ღონისძიებათა გატარებაზე, ქვანახშირის, სამთამადნო, სამთოქიმიის და ნავთობ აირდასამუშავებელ მრეწველობაში.

სახელმწიფო სამსახური – სახელმწიფო საქმიანობის ერთ-ერთი მხარე, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ორგანოთა და ორგანიზაციათა პირადი შემადგენლობის ორგანიზაციისა და საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას, აგრეთვე სახელმწიფო მოსამსახურეთა მიერ სახელმწიფოს ამოცანებისა და ფუნქციების პრაქტიკულ და უშუალო განხორციელებას. სახელმწიფო სამსახური გულისხმობს თანამდებობათა განსაზღვრას, მათი დაკავების წესს, თანამდებობის პირთა შერჩევას, სამსახურებრივი საქმიანობის რეგულირებას. სახელმწიფო სამსახური ძირითადად რეგლამენტირებულია ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით, ხოლო მისი ცალკეული მხარეები კი შრომისა და საფინანსო სამართლის ნორმებით. სახელმწიფო სამსახური შესაძლებელია არსებით, დანიშვნით, კონკურსით, ახალგაზრდა სპეციალ-

ისტების სამუშაოზე განაწილებით. (იხ. საჯარო სამსახური).

სახელმწიფო სესხი – საკრედიტო ურთიერთობების ნაირსახეობა, რომლის დროსაც სახელმწიფო გამოდის მსესხებლის ან კრედიტორის როლში. სახელმწიფო სესხი არის მოკლევადიანი (ერთ წლამდე), საშუალო ვადიანი (5 წლამდე), და გრძელვადიანი (5 წელზე მეტი). შემოსავლიანობის მიხედვით პროცენტიანი და მოგებიანი, მოთავსების მიხედვით საშინაო და საგარეო. სახელმწიფო სესხის შინაარსსა და ფორმებს განსაზღვრავს საზოგადოების ეკონომიკური წყობილების ხასიათი.

სახელმწიფო სძოლა რუსეთში – რუსეთის ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ძირითადი მიმართულება XIX საუკუნის II ნახევარში. მისი წარმომადგენლები ისტორიაში მთავარ ძალად მიიჩნევდნენ სეკლასიობრივ სახელმწიფოს, რომელიც თითქოს მთელი საზოგადოების ინტერესებს გამოხატავდა. ამაყე მნიშვნელობით იხმარებოდა „ჟურიდიული სკოლაც“, რომლის საფუძველს შეადგენდა ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიის რეაქციული მხარე.

სახელმწიფოს მეთაური – პირი, რომელიც სათავეში უდგას სახელმწიფოს და წარმოადგენს მას საგარეო ურთიერთობაში. მონარქიული სახელმწიფოებში სახელმწიფოს მეთაური მონარქი (მაგ. იმპერატორი, მეფე, დიდი ჰერცოგი). ნეკულებრივ სახელმწიფო მეთაურს ფართო უფლებამოსილება ენიჭება. იგი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალია, აქვს საკანონმდებლო ინიციატივის, დეკრეტებისა და ბრძანებულებების გამოცემის უფლება, შეუძლია ცალკე დაადგის პარლამენტის კანონებს და სხვა. სახელმწიფოს მეთაური სახელმწიფოს წარმოადგენს საშინაო თუ საგარეო ურთიერთობაში. მონარქიულ სახელმწიფოში სახელმწიფოს მეთაურის ხელისუფლება, როგორც წესი გადაეცემა მემკვიდრეობით. რესპუბლიკურ სახელმწიფოში სახელმწიფოს მეთაურს ირჩევს ხალხი ან ხალხის მიერ არჩეული უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. ზოგ სახელმწიფოში, მათ შორის საქართველოში, სახელმწიფოს მეთაური იმავდროულად აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურიც არის.

სახელმწიფოს მეთაური აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებით. იგი აკალიბებს მთავრობას, არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, იწვევს პარლამენტის სესიებს, ახდენს მსჯავრდებულთა შეწყალებას, ხელს აწერს და აქვეყნებს კანონებს, გამოსცემს დეკრე-

ტებს და ა.შ. (საქართველოს კონსტიტუციის 69-ე მუხლი).

„სახელმწიფო სოციალიზმი" – ბურჟუაზიულ-რეფორმისტული და ოპორტუნისტული კონცეფცია, რომელშიც სოციალიზმის არსი და წყარო დაყვანილია ეკონომიკასა და სოციალურ ურთიერთობაში სახელმწიფოს ჩარევამდე; აღმოცენდა როგორც „სოციალიზმის" ბურჟუაზიული ფალსიფიკაცია, რომელიც სოციალიზმად მიიჩნეოდა სახელმწიფოს მიერ თავისუფალ კონკურენციის შეზღუდვის ცდებს, მეორე მხრივ იგი იყო უტოპიური სოციალიზმის იმ წარმომადგენელთა წერილებური ბურჟუაზიული ილუზიის ნაყოფი, რომლებიც მთავრობასა და გაბატონებულ კლასებისაგან ელოდნენ „სოციალიზმის" შემოტანას.

სახელმწიფო სტანდარტი – სტანდარტიზაციის სახელმწიფო სისტემით დადგენილი სტანდარტების ერთ-ერთი ძირითადი კატეგორია, რომელიც სავალდებულოა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, ორგანიზაციისა და დაწესებულებებისათვის.

სახელმწიფო უშიშროების სამსახური – სახელმწიფო უშიშროების დაცვა მტრული სახელმწიფოების დაზვერვისა და სხვა სპეციალური სამსახურის ძირგამომთხრელი საქმიანობისაგან, აგრეთვე არსებული წესწყობილების შიდასახელმწიფოებრივი მოწინააღმდეგეებისაგან ქვეყნის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების, სახელმწიფოს ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და დამოუკიდებლობის დაცვის ღონისძიებათა ერთობლიობა. საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებაში შემავალი სამართალდაცვის სპეციალური, გასამხედროებულ დაწესებულებათა სისტემა, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს პიროვნების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს უშიშროებას საშინაო და საგარეო საფრთხისგან. სახელმწიფო უშიშროების სამსახურის სისტემა მოიცავს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს, მის დეპარტამენტებს და სხვა ტერიტორიულ და სტრუქტურულ დანაყოფებს. სახელმწიფო უშიშროების პრინციპები განსაზღვრულია 1998 წლის 18 თებერვლის კანონით სახელმწიფო უშიშროების შესახებ.

სახელმწიფო ფინანსები – ფულადი ფონდების შექმნის, განაწილებისა და გამოყენების სისტემა, რომელიც ემსახურება სახელმწიფოს არსებობას და საქმიანობის მატერია ლურჯ უზრუნველყოფას. სახელმწიფო ფინანსების არსი, მათი როლი საზოგადოების ცხოვრებაში გაპირო-

ბებულია გაბატონებული წარმოების წესით და სახელმწიფოს კლასობრივი ბუნებით.

სახელმწიფოს შრომითი რეზერვი – ქალაქის და სოფლის ახალგაზრდებისაგან მუშათა ახალი კადრების ორგანიზებულად მომზადების სისტემა, რომელიც მოწოდებული იყო სახალხო მეურნეობის დარგებისათვის შეექმნა საჭირო შრომითი რესერვები.

სახელმწიფო ხარისხის ნიშანი – სახალხო მოხმარების საქონლისა და საწარმოო – ტექნიკური დანიშნულების მაღალი ხარისხის პროდუქციის ნიშანი (1967-იდან), ნიშანდება ხდება უშუალოდ საქონელზე ან ტარაზე, იარლიყებსა და ეტიკეტებზე. სახელმწიფო ხარისხის ნიშნის ტარების უფლებას საწარმოებს 2–3 წლის ვადით აძლევენ სამინისტროები საწარმოების მიერ გამოშვებულ პროდუქციის ატესტაციის შედეგების საფუძველზე.

სახელო – (სამართალის ისტორია) – თანამდებობა ძველ საქართველოში, მოხელის „გასაგებელი“ „სახელი“ „ხელიდან“ წარმოდგა. მათი მართვა – გამგეობის საქმეთა წარმართვა მეფის სახ'რ'ენაეს შეადგენდა. გაერთიანების ხანის საქართველოში ცნტ. სამოხელეო აპარატი დარგებად იყო დაყოფილი. შემუშავდა სახელოთა სიმბოლური ნიშნები, რომელთაც გადასცემდა მეფე უწყებათა მთავარ მოხელეებს. დიდი სახელოები მსხვილ ფეოდალებს ეჭირათ და იგი მოხელის შემოსავლის ფრიად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. სახელო ხოგჯერ იყოდებოდა კიდეც და მემკვიდრეობითაც გადადიოდა.

სახლთუხუცესი – მეფისა და მსხვილი ფეოდალების დიდი მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში, ასრულებდა სამეურნეო-საფინანსო და ადმინისტრაციულ ფუნქციებს. სახლთუხუცესი მეფის დამხმარე, თანაშემწე იყო სამეფოს მმართველობაში, მას ემორჩილებოდა სამეურნეო-საფინანსო დარგის ყველა მოხელე. დარბაზობა – პურობის დროს იგი მთავარი განმკარგულებელი იყო, ხელმძღვანელობდა სტუმრების მიღებას, უფლება ჰქონდა დამჯდარიყო მეფის წინ. სახლთუხუცესობა ფრიად შემოსავლიანი სახელო იყო და ყოველთვის მსხვილ ფეოდალს ეჭირა.

სახლი – გვარის აღმნიშვნელი უძველესი ქართული ტერმინი. წარმოიქმნა პირველყოფილი თემური წყობილების წიაღში. ამ ტერმინით აღნიშნებოდა: 1. ტერიტორიული თემი; 2. ფეოდალური საგვარეულო და სამეფო დინასტია; 3. სამეფო რეზიდენცია და

სამეფო დომენი; 4. ტერიტორიულ- ადმინისტრაციული ერთეული; 5. საცხოვრებელი ნაგებობა.

საჯარო მონაცემთა ბაზა – საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოხელის მიერ სისტემატურად შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები.

საჯარო ინფორმაცია – ოფიციალური დოკუმენტი, ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოხელის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.

სახმარი ღირებულება – ნივთით სარგებლობა, მისი თვისება დააკმაყოფილოს ესა თუ ის ადამიანური მოთხოვნილება, აგრეთვე იგი კონკრეტული შრომის შედეგია.

სახმელეთო ჯარების სარაკეტო ჯარი – შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების გვარეობა, რომელიც საბრძოლო ამოცანებსა და ოპერაციებს ასრულებს სარაკეტო იარაღით.

სახმელეთო ჯარი – შეიარაღებული ჯარების სახეობა, რომელიც განკუთვნილია სახმელეთო საომარ მოქმედებათა სტრატეგიული და ოპერატიულ – ტაქტიკური ამოცანების შესასრულებლად. იგი აღჭურვილია ბირთვული და რაკეტული იარაღით, ჩვეულებრივი იარაღითა და საბრძოლო ტექნიკით, კავშირგაბმულობისა და სატრანსპორტო საშუალებებით. სამხედრო ჯარი შედგება ქვეგანაყოფების, ნაწილების, შენაერთებისა და გაერთიანებებისაგან, მას სათავეში უდგას მთავარსარდალი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე, რომელსაც ექვემდებარებიან მთავარი შტაბი, ჯარების გვარეობათა სარდლები, სპეციალური ჯარების მთავარი სამმართველოებისა და სამხედრო სასწავლებელთა უფროსები.

საჰაერო კოდექსი – ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც შეიცავს საჰაერო სივრცის გამოყენებასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მომწესრიგებელ ნორმებს და სამოქალაქო ავიაციასა და სამოქალაქო აერონავიგაციის საქმიანობის წესს. იგი ზუსტად განსაზღვრავს საჰაერო ხომალდების აღრიცხვისა და რეგისტრაციის წესს, მისი კაპიტანის უფლება-მოვალეობებს, აეროდრომებისა და აეროპორტების ორგანიზაციისა და ექსპლუატაციის წესს, საჰაერო ხომალდების ფრენას, საჰაერო ფრენას საერთაშორისო სივრცეში. აგრეთვე შეიცავს ნორმებს, რომლითაც დადგენილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა აერო-

დრომებისა და აეროპორტების დაცვის, ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და სხვა წესების დარღვევისათვის. საჰაერო კოდექსი მიღებულია 1996 წლის 29 ოქტომბერს და ამოქმედდა იმავე წლის 21 ნოემბრიდან. კოდექსი შედგება 27 თავისა და 115 მუხლისაგან.

საჰაერო სადესანტო ჯარები – მოწინააღმდეგის ზურგში მოქმედებისათვის განკუთვნილი ჯარის სახეობა. შედგება სპარაშუტო, სადესანტო, სატანკო, საარტილერიო და სხვა ჯარების შენაერთების, ნაწილებისა და ქვედანაყოფებისაგან. პირადი შემადგენლობა დაუფლებულია თვითმფრინავიდან პარაშუტით ხტომასა და მოქმედების სპეციალურ ტაქტიკას. მათ შეუძლიათ მტრის ზურგში ხელთ იგდონ და დიდი ხნით დაიკავონ უმნიშვნელოვანესი რაიონები, მოშალონ სამხედრო და სახელმწიფო მმართველობა, გაანადგურონ ბირთვული თავდასხმის საშუალებები და სხვა. აგრეთვე ახორციელებენ საჰაერო-სადესანტო ოპერაციას, რისთვისაც იყენებენ სამხედრო, სატრანსპორტო, ავიაციის თვითმფრინავებს.

საჰაერო სამართალი – იმ სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც აწესრიგებს საჰაერო სივრცის გამოყენებას, საჰაერო მიმოსვლას და უზრუნველყოფს მათ უსაფრთხოებას. მისი ნორმები განმტკიცებულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და ჩვეულებებით, შედგება ეროვნული საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო-კერძო საჰაერო სამართლისა და საერთაშორისო-საჯარო საჰაერო სამართლისაგან. ეროვნულ და საერთაშორისო საჰაერო სამართლის ძირითადი პრინციპებია თითოეული სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში მის საჰაერო სივრცეზე სრული და განსაკუთრებული სუვერენიტეტის პრინციპი ტერიტორიული ზღვის ნათელით, მნიშვნელოვანია აგრეთვე ეროვნული საჰაერო სამართლის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ მგზავრების, ტვირთის და სხვა საჰაერო კომერციულ გადაზიდვებს და სხვა. საჰაერო სამართლის ნორმები განმტკიცებულია საჰაერო კოდექსში და სხვა საკანონმდებლო აქტებში. მის წყაროდ ითვლება კონვენციები, კერძოდ ჩიკაგოს კონვენცია საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ (1944) და ორმხრივი შეთანხმება.

საჰაერო სივრცე – (სამართლის რეჟიმი) – საჰაერო სივრცე, რომელიც განლაგებულია სახელმწიფოს სახმელეთო და წყლის ტერიტორიის ზემოთ. საჰაერო

სიერცე სახელმწიფო სუვერენიტეტს ექვემდებარება და სახელმწიფო ტერიტორიის შემადგენელი ნაწილია, რაც განმტკიცებულია მრავალმხრივი და ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმებებით, აგრეთვე ეროვნული კანონმდებლობით.

საჰაერო ხომალდის გატაცება – სამოქალაქო ავიაციის საქმიანობაში უკანონო ჩარევის მეტად საშიში აქტი, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით კვალიფიცირებულია როგორც მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული. საჰაერო ხომალდის გამტაცებლების გადაცემას დაინტერესებული სახელმწიფოსათვის ან უსათუოდ მის დასჯას სისხლის სამართლის წესით ითვალისწინებენ ჰააგისა (1970) და მონრეალის (1971) კონვენციები.

სეატო – (შემოკლებული ინგლისური) სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია. აშშ-ის ინიციატივით შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება. მისი მთავარი ამოცანა იყო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა და პროგრესული პოლიტიკური ძალების წინააღმდეგ ბრძოლა.

სეგრეგაცია – (გეტოიზაცია, ლათინური გამოყოფა) –რასობრივი ჯგუფების იძულებითი გამოყოფა, რომელთანაც დაკავშირებულია ამა თუ იმ ეროვნული ჯგუფის დისკრიმინაცია მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად შეიძლება აღიარებული იყოს რასათა თანასწორუფლებიანობის პრინციპი. განასხვავებენ ინსტიტუციონალურ სეგრეგაციას, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროში გვხვდება და ტერიტორიულ სეგრეგაციას, როცა რასობრივი ჯგუფები ლოკალიზებული არიან მათთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე.

სეზონური მომუშავეები – ისეთ სამუშაოზე დასაქმებული პირები, რომელიც თავისი ბუნებრივი და კლიმატური პირობების გამო სრულდება არა მთელი წლის, არამედ განსაზღვრული პერიოდის (სეზონის) განმავლობაში (არანაკლებ 6 თვისა). სეზონურად მომუშავეებს შეუძლიათ შრომითი ხელშეკრულების გაუქმების შესახებ გააფრთხილონ ადმინისტრაცია სამი დღით ადრე. მათი განთავისუფლება ადმინისტრაციის ინიციატივით შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ სამუშაო შეწყდა ორი კვირით. აგრეთვე სეზონურად მომუშავეები შეცვლების ან მისი ფულადი კომპენსაციით შეცვლის უფლებას არ არღვევენ.

სეზონური ფასები – შესყიდვითი და საცალო ფასები ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე (კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი), რომლებიც იცვლება სეზონის მიხედვით.

სეიმი – 1. წოდებრივ-წარმომადგენლობითი დაწესებულება წოდებრივ-ფეოდალურ მონარქიებში, პოლონეთსა და ლიტვაში. 2. რუსეთის იმპერიაში ავტონომიური უფლებით შემაჯალი ფინეთის დიდი სამთავროს პარლამენტის რუსული სახელწოდება. 3. პარლამენტები ბურჟუაზიულ ლიტვაში, ლატვიაში და პოლონეთში. 4. პოლონეთში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და ერთადერთი საკანონმდებლო ორგანო, ირჩევენ ოთხი წლის ვადით.

სეკვესტრი – (ლათ. ვაცალკევებ, გამოვყოფ) – 1. ბურჟუაზიულ სამოქალაქო სამართალში სახელმწიფო ხელისუფლების მიერ რაიმე ქონებით (მაგ.: შხამიანი და ფეთქებადი ნივთიერებები, ნარკოტიკები) სარგებლობის აკრძალვა ან შეზღუდვა. 2. მოქმედი სამოქალაქო სამართლის მიხედვით ნივთის იძულებითი მართვას სეკვესტრი ეწოდება (სსკ., მუხ. 310).

აკრძალვა (ფრანგ. საერთო) – ხელისუფლების მიერ რაიმე ქონებით სარგებლობის აკრძალვა. 1. სახელმწიფოს მიერ ეკლესიის ქონების (უმთავრესად მიწის) ჩამორთმევა. ფარიო სეკულარიზაცია მოხდა ფრანკთა სახელმწიფოში VIII საუკუნის პირველ ნახევარში კარლოს მარტელმა ჩამორთმეული საეკლესიო მიწები ბენეფიციუმების სახით დაურიგა სამხედრო მსახურეულ არისტოკრატიას.

2. დასავლეთ ევროპაში – ეკლესიის ნებართვით სასულიერო პირის გადასვლა ერისკაცობაში.

3. სეკულარიზაციას უწოდებენ აგრეთვე კულტურის, ინდივიდუალური შეგნების მეცნიერების განთავისუფლებას ეკლესიის მეურვეობის, გავლენის, რელიგიური მსოფლმხედველობისაგან.

სელჩუკური დირჰემი – რუმის სასულთნოში მოჭრილი ვერცხლის მონეტა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული XII საუკუნის საქართველოში. სელჩუკური დირჰემის წონაა 2,8–3 გრამი, რაც უახლოვდება რუსულ დენგის წონას. მონეტის შებლისა და ზურგის წარწერილებში იხსენიება არაბი ხალიფა და სელჩუკი სულთანი.

სემინარია – (ლათ. სანერგე, სკოლა) – ზოგიერთი სასწავლო დაწესებულების სახელწოდება. სემინარია ჰქვია ქრისტიანულ სასულიერო სასწავლებლებს, რევოლუციამდელ რუსეთში დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა მოსამზადებელ სასწავ-

ლებლებს.

სემინარი – (ლათ. სანერგე, გადატანითი მნიშვნელობით – სკოლა) – სასწავლო-პრაქტიკულ მეცადინეობის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა – მსმენელთა კამათი მოხსენების ან რეფერატის გარშემო. აღმოცენდა ანტიკურ სამყაროში. მოგვიანებით იყენებდნენ ევროპის უნივერსიტეტებში. სემინარი ს.-ში სახისაა: 1. სემინარი, რომელიც ხელს უწყობს სისტემატური კურსის ღრმად შესწავლას. 2. სემინარი, რომელიც ეძღვნება სისტემატური კურსის ძირითადი ან მნიშვნელოვანი თემების გაშლას. 3. სასწავლო-კვლევითი დანიშნულების სემინარი (ან სპეციალური სემინარი), რომელსაც ლექციებისგან დამოუკიდებელი თემატიკა აქვს.

სემისი – რომაული და ბიზანტიური ოქროს მონეტის – სოლიდის ნახევარი.

სენატი – (ლათ. მოხუცი) – 1. ძველ რომში, ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო ორგანო. აღმოცენდა დაახლოებით ძვ. წ. VI საუკუნეში პატრიციული გვარის უხუცესთა საბჭოს საფუძველზე და მეფის სახელმწიფო სათათბიროს წარმოადგენდა. განაგებდა სამხედრო საქმეებს, სჯდამხვედველობას უწევდა რელიგიურ კულტებს და ა.შ. სენატორების წევრთა სიებს ცენზორები ადგენდნენ. 2. მრავალ ბურჟუაზიულ ქვეყანაში პარლამენტის ზედა პალატის სახელწოდება ყალიბდება პირდაპირი არჩევნების ან მრავალსაფეხურიანი არჩევნების საფუძველზე. ზოგ ქვეყანაში ოვით სახელმწიფოს მეთაური ნიშნავს სენატის ყველა წევრს, ზოგან კი მხოლოდ ნაწილს.

სენატი რუსეთში, მმართველი სენატი – მმართველობის უმაღლესი ორგანო, დაწესდა პეტრე I-ის 1711 წ. 22 თებერვლის ბრძანებულებით. თავდაპირველად მეფის არ ყოფნისას ქვეყნის მართვის დროებითი კოლეგიური ორგანო იყო, რომელიც შეკვეთა ბოიართა სათათბიროს.. იგი შედგებოდა 9 წევრისა და ობერ-სეკრეტარისაგან. სენატი შეზღუდა უსენაესმა საიდუმლო საბჭომ, შემდეგ მინისტრთა კაბინეტმა. სენატი 1763 წელს ექცა დეპარტამენტად დაიყო. 1775 წლიდან სენატის საქმიანობა სასამართლოს ფუნქციებით შემოიფარგლა. სამინისტროების შექმნით (1802) სენატი სასამართლო სჯდამხვედველობის უმაღლეს ორგანოდ იქცა. სენატი გაუქმდა 1917 წლის 22 ნოემბერს (5 დეკემბერს).

სენატორი – (ლათ.) – 1. ძველ რომში სენატის წევრი, აგრეთვე ძვ. წ. პირველი საუკუნის ბოლოდან მაღალი ყენის წარმომადგენელი. სენატორის წოდება მუდმივი იყო. იგი მემკვიდრეობით

გადაეცემოდა ან შეიძლებოდა იმპერატორს ებოძებინა. 2. რევოლუციამდელ რუსეთში და თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში – სენატის წევრი სენატორების არჩევისათვის უფრო მკაცრი ცენზია დაწესებული (ასაკობრივი, განათლების, ბინადრობის), ვიდრე ქვედა პალატის დეპუტატად არჩევისათვის.

სენეშალი – (ფრანგ. უფროსი მსახური) – I. V–VIII საუკუნეების ფრანკთა სახელმწიფოში მეფის სასახლის მთავარი მმართველი. VIII საუკუნიდან ასრულებდა სასამართლო და სამხედრო ფუნქციებს. სენეშალები ჰყავდათ დიდ სენიორებსაც. 2. XIII საუკუნეში სამხრეთ და დასავლეთ საფრანგეთში მეფის მოხელეები, სასამართლო ადმინისტრაციული ოლქის (სასენეშალოს) უფროსი, რომლებსაც ჯართით სასამართლო ადმინისტრაციული-ფინანსური და სამხედრო უფლებები ჰქონდათ. ნიშანავდნენ უმთავრესად ადგილობრივი ფეოდალების დიდკაცობის წარმომადგენლებისაგან. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს სენეშალის თანამდებობა გაუქმდა, სრდილოეთ საფრანგეთში მას შეესაბამებოდა ბაი.

სეხი – i. ს'ერდა ფულის იაპონიაში, ვდრის 1/100 იენს. 2. ხ'ერდა მონეტა ინდონე'სიასა და კამბ'ესიაში, ვდრის შესაბამისად 1/100 რ'უპიას და 1/100 რიელს.

სენიორი – (ფრანგ. უფროსი) – სენიორიის მესაკუთრე, ფეოდალი. ჩვეულებრივ სენიორი ვასალური იერარქიის წევრი იყო, ამიტომ მას ხოგჯერ ვასალთა ჯგუფის ბატონის მნიშვნელობითაც ხმარობდნენ. ტერიტორიულ უსხნაეს სენიორს (მეფე, ჰერცოგი) სიუზერენი ეწოდებოდა.

სენუსერტი – (ეგვიპტ.) – XII დინასტიის ფარაონები ძველ ეგვიპტეში.

სეპარატული ზავი – ზავი, რასაც კოალიციაში მყოფი მეომარი სახელმწიფო თავის მოკავშირეებთან შეუთანხმებლად დებს მოწინააღმდეგე სახელმწიფოსთან. ამ ტერმინს იყენებდნენ პირველ მსოფლიო ომში (1914–18), როცა გერმანიის კოალიციის ქვეყნებმა რამდენჯერმე სცადეს ასეთი ზავის დადება.

სერასკერი – (თურქ.) – ოსმალეთის იმპერიაში თავდაპირველად არმიის მთავარსარდალი, XIX საუკუნეში სამხედრო მინისტრი. XVI საუკუნის ბოლოდან სერასკერის ტიტულს ატარებდნენ დიდი ვეზირის მოადგილეები, რომლებიც ჯარებს ხელმძღვანელობდნენ. სერასკერის ტიტული გაუქმდა XX საუკუნის დასაწყისში.

სერვი – (ლათ.) – სიტყვასიტყვით – მონები, უშუალო მწარმოებელთა ფენა შუა საუკუნეებ-

ის დას.ევროპაში.ფეოდალიზმის გენეზისის პერიოდში არსებობდა სერვისის.

2 კატეგორია: პირველნი უფლებრივად თითქმის რომაელი მონების მდგომარეობაში იყვნენ, მეორენი გერმანელი პატრიარქალური მონების კატეგორიას უახლოვდებოდნენ. განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში სერვისი წარმოადგენდა ფეოდალზე დამოკიდებულ გლეხთა კატეგორიას ძლიერ შესუსტებული სამოქალაქო და სამეურნეო უფლებებით.

სერვიტუტი – (ლათ. მონობა, ქვეშევრდომობა) – სხვისი ნივთით სარგებლობის უფლება. სერვიტუტი, როგორც გარეშე პირის სასარგებლოდ საკუთრების უფლების შემსუბუქებაი დანაწესი, კერძო საადგილმამულო მფლობელობის განვის საფუძველზე წარმოიშვა. იგი განვითარდა, - ჩამოყალიბდა და დაიხვეწა რომის სამართალში. სერვიტუტები ძირითადად იყოფა საადგილმამულოდ და პიროვნულად, სასოფლოდ და საქალაქოდ (დაკავშირებულია შენობებთან) უძველესია საგზაო (თაიის ნაკვეთთან მისასვლელი საცალფეხო, სატრანსპორტო და პირუტყვის გასასვლელი გზის და წყლის (სარწყავი წყლის გაყვანის, სასმელი წყლის სარგებლობის და მისთ.) სერვიტუტები; უფრო გვიანდელია სასაძოვრო და სატყეო ბოლოს საქალაქო (მისასვლელი, სინათლის დაუბშველობის, წვიმის წყლის დინებისა და მისთ) სერვიტუტები; პიროვნულ სერვიტუტებს განეკუთვნება უზურფრუქტუსი. სერვიტუტების შეძენა სდებოდა გარიგებით, ხანდაზმულობით, სასამართლოს გადაწყვეტილებით და კანონის ძალითაც. ძველ საქართველოში თითქმის ყველა სახის სერვიტუტი მოქმედებდა. სერვიტუტებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ნეველებითი სამართალი აწესრიგებდა, ხოლო უმთავრესი სერვიტუტები კანონმდებლობაშიც აისახა. სამოქალაქო კოდექსის 247-ე მუხლის მიხედვით, სერვიტუტი ასეა განმარტებული: „მიწის ნაკვეთი ან სხვა უძრავი ქონება შეიძლება სხვა მიწის ნაკვეთის ან სხვა უძრავი ქონების მესაკუთრის სასარგებლოდ ისე იქნეს გამოყენებული (დატვირთული), რომ ამ მესაკუთრეს უფლება ჰქონდეს ცალკეულ შემთხვევებში ისარგებლოს ამ ნაკვეთით, ან აიკრძალოს ამ ნაკვეთზე ზოგიერთი მოქმედების განხორციელება ანდა გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი მოქმედების განხორციელება ანდა გამოირიცხოს დატვირთული ნაკვეთის მესაკუთრის ზოგიერთი უფლების გამოყენება სხვა ნაკვეთის მიმართ“ (სერვიტუტი) (ს.კ. 247).

სერჟანტი – (ფრანგ.ულად მოსამსახურე) – სამხედრო წოდება სსრკ შეიარაღებულ ძალებსა და მრავალ სხვა ქვეყანაში. რუსეთში სერჟანტის ჩინი არსებობდა XVII ს-დან 1798-მდე. სსრკ-ში არსებობს (1940-დან) უმცროსი სერჟანტის, სერჟანტისა და უფროსი სერჟანტის წოდებები.

სერტიფიკატი – (ფრანგ. ვადასტურებ) 1. ამა თუ იმ ფაქტის დამადასტურებელი საბუთი (სერტიფიკატი ხელოსნობისათვის გემის ვარგისობის შესახებ). 2. სპეციალური სახელმწიფო სესხის ობლიგაციის სახელწოდება. სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების სერთიფიკატი. 3. სადაზღვევო სერთიფიკატი – სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შემცველი დოკუმენტი, რომელიც ცვლის დაზღვევის პოლისს. 4. საგარეო ვაჭრობაში ხარისხის სერტიფიკატი – დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება საქონლის ხარისხი. გასცემს კომპეტენტური ორგანო.

სესხი – (ლათ. სხდომა) – წარმომადგენლობითი ორგანოს, საერთაშორისო ორგანიზაციის, სამეცნიერო კონფერენციისა და სხვ. მუშაობის პერიოდი. წარმომადგენლობითი ორგანოს, ძირითადად, პარლამენტის სესია შეიძლება იყოს მორიგი, საგანგებო, რიგგარეშე და ექსტრაორდინალური.

□ სესხი სამოქალაქო სამართალში – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე (გამსესხებელი) მეორე მხარეს (მსესხებელს) გადასცემს საკუთრებად ფულს ან გვარეობითი ნიშნით განსაზღვრულ ნივთს; მსესხებელი კი ვალდებულებას კისრულობს დაუბრუნოს გამსესხებელს იმავე რაოდენობის თანხა ან იმგვარივე და იმავე ხარისხის ნივთი. სესხის თაობაზე უფლება-მოვალეობანი მხოლოდ იმ მომენტიდან წარმოიშობა, როცა მსესხებელს გადაეცემა ფული თუ ნივთი. თუ ხელშეკრულებაში ვადა არ არის აღნიშნული, მსესხებელი ვალდებულია გამსესხებელს დაუბრუნოს ვალი პირველივე მოთხოვნისთანავე. სესხის ხელშეკრულება 50 ლარზე მეტ თანხაზე უნდა გაფორმდეს წერილობით. (სკ. მუხ. 623).

სეზე, სენიორის – 1. მეფის უფლის, მეუფის საკუთრება V–XII სს საქართველოში. სეფის სინონიმებია ამ პერიოდში: „სამეფო“, „სამეუფო“, „საუფლო“. 2. მეფე XIII–XVII სს საქართველოში. აქედან არის ნაწარმოები ტერმინი „სასეფო“ – სამეფო. 3. სამეფო დომენი V–XVII სს საქართველოში. 4. საფეოდალო სახლი, საფეოდალო მამული (აქედან „სასეფო გამოსაღები“, „სეფობა“ –

საბატონო გადასახადი).

სეფეწული – თავდაპირველად სამეფო საგვარეულოს და სახლის, ხოლო შემდეგ საერთოდ სახოგადოების უმაღლესი სოციალური ფენის წარმომადგენელი ანტიკურ და ადრინდელ საქართველოში. ტერმინი „სეფეწული“ ადრინდელი ფეოდალური ხანის შემდეგ აღარ ისმარებოდა.

სეძტანტობა – (ლათ. სკოლა, მოძღვრება) – ბუდიზმში, ისლამში, იუდაიზმში, ქრისტიანობასა და სხვა რელიგიებში გაბატონებული მიმართულებიდან გამოყოფილი და მის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების, თემების და გაერთიანებების საერთო სახელწოდება.

სვარაჯი (სანსკ. სიტყვასიტყვით – საკუთარი მმართველობა), ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის საპროგრამო პოლიტიკური ლოზუნგი ინდოეთში.

სვიდა – ბიზანტიური ხანის ენციკლოპედიური ხასიათის განმარტებითი ლექსიკონი. შედგენილია დაახლოებით X საუკუნეში. მასში ახსნილია მრავალი ძველი ბერძნული სიტყვა და წარმოდგენილია სიტყვები გეოგრაფიული პუნქტებისა და ძველ მოღვაწეთა შესახებ. ლექსიკონის სახელწოდების მნიშვნელობა ჯერ კიდევ არ არის დადგენილი.

სვინაქსარი – (ბერძნ. თავს ვუყრი) – კრებანი, ღვთის მსახურებაში გამოყენებული სახარება – სამოციქულოსე დართული სარჩევი ანუ კალენდარი, რომელიც შეიცავდა წმინდა სახელებს და განაწილებული იყო თვის დღეებში მათი ხსენების მიხედვით.

„სიასათნამე“ – წიგნი მმართველობის შესახებ. XI ს-ის პოლიტიკური ტრაქტატი, რომლის შედგენა სელჩუკი სულთნების არფასლანისა და მელიქშაჰის დიდ ვეზირს ნიზამ ალ-მულქს მიეწერება. ტრაქტატი 51 თავისაგან შედგება და შეიცავს სხვა და სხვა მასალას სახელმწიფო შემოსაელისა და ბიუჯეტის შესახებ.

სიგელი – (ლათ. ბეჭედი, საბეჭდავი) I. საბუთი ძვ. საქართველოში. 2. დოკუმენტის ნაირსახეობა; დიპლომატიური წარმოშადგენლის რწმუნებულების სიგელი რაიმე წარმატება-წარჩინებისათვის ამა თუ იმ დამსახურებისათვის გაცემული საგანგებო საბუთი.

სიგლოსანი – ყმა გლეხთა ერთერთი კატეგორია ფეოდალურ საქართველოში. იხსენიება XII ს. სახელწოდება წარმოდგება სიტყვა „სიგელისაგან“.

სიკვდილით დასჯა – სასჯელის უმაღლესი ზომა – ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, რაც გათვალისწინებული იყო კანო-

ნით ზოგიერთ განსკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. სიკვდილით დასჯა არ შეიძლებოდა მისჯილიყო იმ პირისათვის ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებოდა 18 წელი, ქალს, რომელიც დანაშაულის ჩადენის ან განაჩენის გამოტანის დროს აგრეთვე განაჩენის აღსრულების დროისთვის ორსულად იყო. 1997 წ. 14 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა გააუქმა სიკვდილით დასჯა და მის ნაცვლად უვადო თავისუფლების აღკვეთა შემოიღო.

სილიკვა – (ლათ. რომაული ვერცხლის მონეტა) უკნინესი წონითი ერთეულით (მასა 0,19 გ).

სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული – ისეთ მდგომარეობაში ჩადენილი დანაშაული, რომლის დროსაც ალკოჰოლის ან სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მიღების შედეგად ადამიანი მთლიანად ან ნაწილობრივ კარგავს უნარს ანგარიში გაუწიოს ან უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას. კანონმდებლობის მისედვით სიმთვრალეში დანაშაულის ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება.

სიმპოზიუმი – (ბერძ. წვეულება, ნადიმი) 1. ძველ ბერძნებსა და რომაელებთან ქეიფი მუსიკითა და გართობით, რასაც მოჰყვებოდა სჯა-ბაასი, საუბარი. 2. თათბირი წვეულებრივ, საერთაშორისო რაიმე სპეციალურ (ძირითად სამეცნიერო საკითხებზე).

სიმულაცია – (ლათ. მოჩვენებითობა, თვალთმაქცობა). ადამიანის მიერ იმ დაავადების ან დაავადების ცალკეული ნიშნების ყალბი გამოხატვა,რომელიც მას სინამდვილეში არ აქვს. განარჩევენ განსრახ სიმულაციას და პათოლოგიურ სიმულაციას. განსრახ სიმულაციას წვეულებრივ ანგარებითი მნიშვნელობა აქვს (შრომის უუნარობის გამო დახმარების მიღება, სამხედრო სამსახურიდან თავის არიდება და სხვა). პათოლოგიური სიმულაცია განპირობებულია ადამიანის ავადმყოფური მდგომარეობით. თავისი არსით ეს არის ადამიანის ავადმყოფობის (მაგ. ისტერიის) ერთ-ერთი სიმპტომი.

სინამდვილე – რეალობა, რომელიც ობიექტურად, თავის თავად დამოუკიდებლად არსებობს. ობიექტური იდეალიზმის თანახმად, სინამდვილე ობიექტურად არსებული იდეალურია.

სინდიკატი – (ლათ. განვისილავ, ვამოწმებ) – კარტერული ტიპის მონოპოლისტური შეთანხმების ერთ-ერთი ფორმა, რომლის მიზანია მონაწილეებს შორის კონკურენციის გადალახვა საქონლის რეალიზაციისა და ნედლეულის შესყიდვის სფეროში და შესაბამისად მონოპოლის-

ტური მოგების მიღება. სინდიკატში შემაჯალი წევრების საქონლის რეალიზაციისა და ნედლეულის შეძენას ახორციელებს ერთიანი ორგანო კანტორა, რომელიც თავს უერის დაკეთებს და ანაწილებს მას ე.წ. კვოტის მიხედვით. მასში მონაწილე საწარმოები თავიანთ პროდუქციას აბარებენ წინასწარი განსაზღვრული ფასით. იგი იქმნება სააქციო საზოგადოების ფორმით და მისი წევრები ინარჩუნებენ იურიდიულად და მნიშვნელოვანი ზომით წარმოების დამოუკიდებლობას, მაგრამ კარგავენ კომერციულ დამოუკიდებლობას. მასში მონაწილეობენ ტრესტები და კონცერნები.

სინდისი – ეთიკის კატეგორია, რომელიც გამოხატავს სიკეთრივ შეგნებასა და სიკეთრივი გრძნობის სპეციალურ უნარს – თვითკრიტიკასა და თვითგანსჯის ფენომენს. როცა ადამიანის ქცევა ეთანხმება საზოგადოებრივი მორალის: მოთხოვნებს, ადათებსა და ტრადიციებს, მოვალეობასა და პასუხისმგებლობას სხვა ადამიანისა და კოლექტივის წინაშე, მაშინ კაცს სიყოთა სინდისის განცდა. მორალური კმაყოფილებისა და სიხარულის ემოციები, სოლო როცა ადამიანი არღვევს მორალის მოთხოვნებს, ღალატობს მოვალეობას და სიანს აყენებს სხვა ადამიანს ან კოლექტივს, – მას ქენჯნის სინდისი, ანუ ადამიანი კიცხავს საკუთარ თავს.

სინდისის თავისუფლება – რწმენის თავისუფლება – ერთერთი ძირითადი დემოკრატიული ინსტიტუტი, რომელიც გულისხმობს მოქალაქის უფლებას – სწამდეს ნებისმიერი რელიგია ან არ სწამდეს არავითარი რელიგია. მასვე განეკუთნება აგრეთვე თითოეული მოქალაქის უფლება ნებისმიერი ფორმით ეწეოდეს ანტირელიგიურ პროპაგანდას ისე, რომ არ შეურაცხჰყოს მორწმუნეთა რელიგიური გრძნობები. რელიგიური კულტების დაუბრკოლებლად შესრულება, შინა საეკლესიო საქმეებში ჩაურევლობა.

სინეძურა – (ლათ. synusia) – შემოსაზღვრული საეკლესიო თანამდებობა შეა საეკუნეებში. არ მოითხოვდა არავითარ ვალდებულებას და არც დანიშნულების ადგილს იყო საჭირო ყოფნა. სინეკურას ფართოდ გავრცელდა პაპობა. „სინეკურა“ თანამდებობის საზოგადოებრივ სახელად იქცა, რომელიც განსაკუთრებულ შრომას არ მოითხოვს.

სინვლიტი – (ბერძნ. მოწყობილი საბჭო) – 1. დიდებულთა კრება (საბჭო) ძვ. საბერძნეთში. 2. გადატანითი მნიშვნელობით, ნებისმიერი იერთხელად – სრული

თაყვრილობა, სრული შემადგენლობა.

სიონელი – (ბერძ. კრება) – უმაღლესი სასულიერო პირთა კრება მთელ რიგ მართლმადიდებლურსა და პროტესტანტულ ეკლესიებში. რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მმართველობის უმაღლესი ორგანო. 1917 შემდეგ მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქატის სათათბირო ორგანო რუსეთში. რუსეთში სინოდი 1721 შეიქმნა გაუქმებული საპატრიარქოს ნაცვლად და მთელ საეკლესიო ცხოვრებას განაგებდა. სინოდის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა ოჯახური სამართლის ზოგიერთ საკითხშიც (ნათესაეთა შორის ქორწინება, განქორწინება). მის წევრებს იმპერატორი ნიშნაედა, ხოლო მათ საქმიანობას აკონტროლებდა ობერ-პროკურორი – საერო პირი, სამხედრო ან სამოქალაქო მოხელე.

სინჯუნხოი – (ჩინ. ადორძინების სა'ს-ბა) – პირველი ჩინური რევოლუციური ორგანიზაცია, შექმნა სუნ იატსენმა 1894 ჰონოლულუში, (ჰავაის კუნძულები). სინჯუნხოის ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა 300 კაცს არ აღემატებოდა. ორგანიზაციას არ ჰქონდა ვრცელი პროგრამა, ისახავდა მხოლოდ საერთო მიზანს. მანჯურიელთა მოხარჯის დამხობას და "ჩინეთის სუვერენიტეტის აღდგენას".

სიონი – 1. ბორცვი იერუსალიმში. ბიბლიური ტრადიციით, იქ იყო მეფე დავითის რეზიდენცია და ღვთაება იაჰვეს ტაძარი. იუდაიზმში სიტყვა „სიონი" სიმბოლურად „ღვთისმოშიშ" ადამიანს აღნიშნავს. 2. ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში საეკლესიო წმინდა ჭურჭელი, რომელშიც სეფისკვერი ინახება. ამსხვებენ ვერცხლისაგან და მინიატურულად ქრისტიანული ეკლესიის ფორმას იმეორებს. ქართულ ეკლესიაში ამ ჭურჭელს სანაწილეს უწოდებენ, დგამენ საკურთხეველში ტრაპეზზე. 3. მთელი რიგი ქართული ეკლესიების სახელწოდება.

სიონიზმი – [სიონის ბორცვის – (იერუსალიმში) – სახელწოდებიდან] – ებრაული ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იდეოლოგია, რომელიც მიმართულია მშრომელი ებრაელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ, იგი შოვინისტური, რასისტული და ანტიკომუნისტური იდეოლოგიაა.

სირაჯი – ღვინისა და არყის გამოსადეგი ვაჭარი. სირაჯი დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებისთვის თბილისი, თელავი, სიღნაღი, და სხვ. დიდ ქალაქებში (თბილისი) სირაჯები ცალკე ამქარს (ორგანიზაცია) ქმნიდნენ, შედარებით

პატარა ქალაქებში (სიღნაღი) კი სხვა ეკლესიებთან ერთ ამქარში ერთიანდებოდნენ. თბილისში მათი ძირითადი ცენტრი „სირაჯხანა“ იყო.

სირიულ – რომაული სამართალი – ბერძნულ-რომაული (ბიზანტიური) სამართლის კრებული. შედგენილია V ს. დამდეგს. შეიცავს ნაწილობრივ სისტემატიზებულ კანონ-დებულებებს ძირითადად სამოქალაქო სამართალს, და შეილების პირადი და ქონებრივი ურთიერთობის, ასაკობის შესახებ და სხვა. არსებობს კრებულის 4 რედაქცია: სირიული (83- და 127-მუხლიანი ნუსხები), არაბული (130 მ.), სომხ. (150 მ.) და ქართ. (150 მ.).

სირმა – აბაზი – ქართული ვერცხლის მონეტა. ჭრიდნენ თბილისის სარაფხანაში 1752–53-იდან 1798–99-მდე ირანის აბასიანებისაგან განსხვავებით. მასა 3 გ. მასზე სპარსული და არაბული ენებზე წერია მოჭრის დრო, ადგილი, მუსულმანური რელიგიის ფორმულები, რომლებიც ქრისტიანულ იდეალიზმს არ ეწინააღმდეგება. იჭრებოდა სირმა – აბაზის 4 ნომინალი: ნახევარი მარჩილი (6 შაური), აბაზი (4 შაური), უშალთუნი (2 შაური) და შაური. ნუსხის სახანოში სირმა – აბაზის უხუში მინაბაძები გამოდიოდა. განჯაში ერეკლე II-ის ნაცვლები მსგავს მონეტებს ჭრიდნენ. იგი ბრუნვაში დარჩა XIX ს. 80-იან წლებამდე.

სისტემატიკა – (ბერძნ. მოწესრიგებული, ის რაც სისტემას განეკუთვნება) – ცოდნის დარგი, რომელიც აწესრიგებს და ალწერს რეალურად არსებული ობიექტების ერთობლიობას. სისტემატიკა აუცილებელია მეცნიერების ყველა დარგისათვის, რომლებსაც საქმე აქვს ობიექტთა რთულ, განშტოებულ და დიფერენცირებულ სისტემებთან.

„სისხლი“ – (სამართ. ისტორია) – სასჯელის სახე. ქონებრივი სანაღაური სისხლის სამართალ დარღვევისათვის ძვ. საქართველოში. „სისხლი“ სხვადასხვაგვარი დანაშაულისათვის იყო დაწესებული. ჩვეულებრივ, მკვლელობისა და სხეულის დაზიანებისათვის, აგრეთვე ცოლის „მისეულად დაგლეჯისა თუ „განტევებისათვის“, ვისიმე დანიშნული ქალის მოტაცებისათვის, მხილომისა და ცოხის დაკვეთისათვის და სხვ. „სისხლმა“ შეკვეთა შურისძიების, სისხლის აღების ჩვეულება. იგი კომპოზიციის ფართოდ გავრცელებულ, ძირითად ფორმას, ეკვივალენტის ანალოგს წარმოადგენდა ქართულ სამართალში. (არსებობდა კომპოზიციის სპეციალური სახეობანიც. კერძოდ, განსაკუთრებული ქონებრივი სანაღაური ჭრილობისათვის – გერში, შეურაცხყოფისათვის – საუპატიო

თუ უარზანგობა, ქურდობისათვის შვიდწელი, მესისხლეთა დასაჯ ბისათვის – საპირო, „სისხლის“ ხლეების საწინდარი სანახშირო). „სისხლი“ დამნაშავეს დაზარალებულის სასარგებლოდ სასამართლოს მეშვეობით ეკისრებოდა ასეთი საზღაურის გადახდის „სისხლის დაურეგება“ ეწოდებოდა.

„სისხლიანი კანონმდებლობა ექსპროპრიირებულთა წინააღმდეგ“ – ასე უწოდა კ.მარქსმა ტიუდორების მიერ მაწანწალობისა და მათხოვრების წინააღმდეგ გამოცემულ კანონებს. ამ კანონებით მკაცრად ისჯებოდნენ მაწანწალები და ის მათხოვრები, რომლებიც ხელის უფალთა ნებადაურთველად აგრძელებდნენ მოწყალებას. შემნეულ პირებს აწამებდნენ, დაბეჭდნენ, მონებად აქცევდნენ დროებით, ხოლო გაქცევის შემთხვევაში სამუდამოდ. მესამედ დაჭერისას კი სიკვდილით სჯიდნენ.

სისხლის აღრევა – (ინცესტი) – სქესობრივი კავშირი ახლო ნათესავებს შორის. ქორწინება არ დაიშვება პირდაპირი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის, აგრეთვე ღვიძლ და არაღვიძლ დასა და ძმას შორის. ზოგ ქვეყანაში სისხლის აღრევა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს.

სისხლის სამართალი – სამართლის ერთ-ერთი დარგი, წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დადგენილი სამართლის ნორმების სისტემას, სადაც განსაზღვრულია, თუ რომელი ქმედება ითვლება დანაშაულად. რა სასჯელი შეესაბამება მას და როგორია სასჯელის გამოყენების, აგრეთვე პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან განთავისუფლების პირობები და ფარგლები. სისხლის სამართლის ერთადერთი წყარო ჩვენს ქვეყანაში არის სისხლის სამართლის კანონი. უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო განმარტებებს ცალკეული კატეგორიის საქმეებს მხოლოდ მაშინ აქვს სავალდებულო ძალა, თუ ისინი არაითუ არ ეწინააღმდეგებიან კანონს, არამედ ახსნიან და აკონკრეტებენ მის შინაარსს. ეს არის კანონიერების ერთ-ერთი საიმედო გარანტია. მოქმედი კანონმდებლობით სისხლის სამართალი სამართლებრივი ნორმების ერთობლიობაა, რომელიც აწესრიგებს დანაშაულთან და სასჯელთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, აგებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს, განსაზღვრავს ცალკეულ დანაშაულთა შემადგენლობას, აწესებს სასჯელს, ან იძულებით ღონისძიებას.

სისხლის სამართლებრივი

პასუხისმგებლობა – იურიდიული პასუხისმგებლობის ნაირსახეობა. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა გულისხმობს დამნაშავის მოვალეობას დაექვემდებაროს ჩადენილი დანაშაულისთვის კანონით გათვალისწინებულ იძულებით ღონისძიებათა ზემოქმედებას. მისთვის ახასიათებელია, რომ პირს ბრალეულად (განზრახ ან გაუფრთხილებლობით) ჰქონდეს ჩადენილი სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედობა. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის ჩადენისთანავე წარმოიშობა. იგი პროცესუალურად ფორმდება გამომძიებლის დადგენილებით. ჩვეულებრივ იგი სასჯელის მოხდით მთავრდება. აგრეთვე შეიძლება უფრო ადრეც შეწყდეს (წინასწარი გამოძიების, საქმის სასამართლო განხილვის, სასჯელის აღსრულების სტადიაზე), თუ რაიმე საფუძველით სახელმწიფო უარს იტყვის მის სრულ ან ნაწილობრივ რეალიზაციაზე.

მაშასადამე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა – ესაა დამნაშავის მხილება და კანონის სწორი გამოყენებით მისი სამართლიანად დასჯის უსრუნველყოფა.

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება – სისხლის სამართლის მე-4 კარის მე-13 თავში გათვალისწინებული ის გარემოებანი, რომელთა არსებობისას დანაშაულის ჩამდენი პირი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. ესენია: 1) სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ქმედითი მონანიების გამო; 2) სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაზარალებულთან შერიგების გამო; 3) სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ვითარების შეცვლის გამო; 4) სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. (სსკ. მუხ. 68–71).

სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა – საერთო სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დარგი, რომელიც განსაზღვრავს მოცემული სახელმწიფოს საქმიანობის ძირითად გეზს სამართლებრივი საშუალებებით დანაშაულობასთან საბრძოლველად და მის თავიდან ასაცილებლად. სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის საბოლოო მიზანია სამართალდარღვევათა თანდათანობითი შემცირების კვალობაზე დანაშაულობის სრული აღმოფხვრა. ამ მიზნის განხორციელება ხდე-

ბა სისხლის სამართლის, სისხლის საპროცესო სამართლის და სასჯელ-აღსრულებითი სამართლის კანონმდებლობის მეშვეობით.

სისხლის სამართლებრივი სამძებრო – არსებობდა მილიციის ორგანოთა სისტემაში შემაჯალი სპეციალური განყოფილება, რომლის მთავარი ამოცანა იყო დანაშაულობის თავიდან აცილება, დანაშაულის მოკვლევისა და დამალული დამნაშავის ძებნის ღონისძიებათა განხორციელება.

სისხლის სამართლისა და გამასწორებელ სასჯელთა სჯულდება – სჯულდება 1845 და 1885 – რევოლუციამდელი რუსეთის სისხლის სამართლის კოდიფიკაციაა. იცავდა კერძო საკუთრებას დამყარებულ საზოგადოებასა და სახელმწიფოს. სჯულდების მრავალი ნორმა აშკარა კლასობრივი ხასიათისა იყო. მაგ. „გლეხების ან შინაყმების ყოველგვარი აღშფოთება“ თავიანთი მემამულეების წინააღმდეგ განიხილებოდა, რაგორც ა(ა)ნყება არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. ისეთივე იყო სჯულდებით გათვალისწინებული დასჯათა სისტემაც. ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა სისხლის სამართლებრივი სასჯელები (სიკვდილით დასჯა, გადასახლებით კატორღაში ვადით, თუ მუდმივ საცხოვრებლად. ამ სასჯელებს თან ახლდა წოლებრივ უფლებათა აყრა) და გამასწორებელი სასჯელები (საპყრობილეში ჩასმა და სხვა). ცალკე იყო გათვალისწინებული სასჯელები პრივილეგირებული ფენის წარმომადგენელთათვის, რომელთა მიმართ სხვასებრივი სასჯელი არ გამოიყენებოდა. სჯულდება უალრესად არასრულყოფილი, ძალზე დიდი იყო (შეიცავდა 2224 მუხლს) 1885 რედაქციით იგი ოქტომბრის რევოლუციამდე (1917) მოქმედებდა.

სისხლის სამართლის კოდექსი – ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც განსაზღვრავს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს, პირობებს, აგრეთვე ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის ღონისძიებებს. საქართველოს სსრ 1960 წლის სსკ-ში ასახულია სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლები, საქართველოს კანონები სახელმწიფოს და სამსედრო დანაშაულთათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. იგი შედგება ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან. ზოგად ნაწილში მითითებულია, რომ სსკ-ის ამოცანაა დაიცვას საქართველოს სახელმწიფოებრივი წესწყობილება, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, საკუთრება, მოქალაქეთა პიროვნება, უფლებანი და თავისუ-

ფლებანი და მართლწესრიგი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან. ამ ამოცანის განსახორციელებლად საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავდა თუ რომელი საზოგადოებრივად საშიში ქმედებაა დანაშაულებრივი და აწესებდა სასჯელს, რომელიც გამოიყენებოდა დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ. განსაკუთრებულ ნაწილში გათვალისწინებულია ნორმები ცალკეულ დანაშაულთათვის პასუხისმგებლობის შესახებ. იგი მოიცავს შემდეგ თავებს: სახელმწიფო დანაშაული, დანაშაული სხვისი საკუთრების წინააღმდეგ, დანაშაული პიროვნების სიცოცხლის, ჯანრთელობის, თავისუფლებისა და ღირსების წინააღმდეგ; დანაშაული მოქალაქეთა პოლიტიკური და შრომითი უფლებების წინააღმდეგ და სხვა.

საქართველოს ახალი სსკ მიღებულია 1999 წლის 22 იულისს და ამოქმედდა 2000 წლის 1 ივლისიდან. კოდექსი შედგება ზოგადი და კერძო ნაწილებისაგან, 15 კარის, 49 თავისა და 415 მუხლისაგან.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი – საკანონმდებლო აქტი, რომელიც აწესრიგებდა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა გამოკვლევისა და განხილვის წესს. იგი მიღებული იქნა 1960 წ. 30 დეკემბერს, რომელიც აგებულია ერთიანი სისტემის საფუძველზე. კოდექსში გათვალისწინებული იყო პროცესის ყველა სტადიისთვის დამახასიათებელი ზოგადი დებულებები: სამართალწარმოების ამოცანები, მოკვლევის, საგამოძიებო ორგანოების, პროკურატურის, სასამართლოს ძირითადი ამოცანების, პიროვნების კონსტიტუციური გარანტიები, პროცესის მონაწილეთა პროცესუალური უფლება – მოვალეობები, აცილება, მტკიცებულებანი, პროცესუალური ვადები და ა.შ. მოწესრიგებული იყო პროცესის ცალკეული სტადიები, ასევე სამართალწარმოების თავისებურებანი სხვადასხვა კატეგორიის საქმეებზე.

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიღებულია 1998 წლის 20 თებერვალსა და სამოქმედოდ შემოღებულია 1999 წლის 15 მაისიდან. კოდექსი შედგება 13 კარის, 66 თავის და 681 მუხლისგან.

სისხლის სამართლის საქმის აღძვრა – სისხლის სამართლის პროცესის პირველი და დამოუკიდებელი სტადია, რომლის დროსაც მომკვლევი პირი, გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო წყვეტენ საკითხს იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა სისხლის სამართლის საქმის წარმოება დანაშაულის გასახს-

ნელად და დამნაშავის დასადგენად. ს.ს.ს. აღძრის საბაბი შეიძლება იყოს მოქალაქის განცხადება, სახ. ორგანოს ან სა'ს. ორგანი'საციის ცნობა, პრესაში გამოქვეყნებული ცნობა, პირის გამოცხადება ბრალის აღიარების, მოკვლევის ორგანოს გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის მიერ დანაშაულის უშუალოდ გამომჟღავნება. საქმის აღძვრის საფუძველი კი არის ის საკმაო მონაცემები, რომლებიც დანაშაულის ნიშნებს მიუთითებენ. ს.ს. საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული საქმე უნდა შეწყდეს დანაშაულის შემთხვევის თუ ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობისას, ამნისტიის ან პატიების დროს, სათანადო ასაკის მი'ღწევლობისა და სხვა შემთხვევაში. კერძო ბრალდებისა და კერძო საჯარო ბრალდების საქმე როგორც წესი, აღიძვრება დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლ ის განცხადებით სსსკ, მ. 261–264.

სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულებები – პირველი საკანონმდებლო აქტი, საქართველოს ს.ს. ზოგად ნაწილში. მიიღო საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა 1921 წ. 5 ოქტ. სახელმძღვანელო დებულებებს საფუძვლად დაედო რსფსრ 1919 წ. 12 დეკ. სისხლის სამართლის სახელმძღვანელო საწყისები, რომელმაც უკვე აგდო სისხლის სამართ. ტრადიციულ ფორმალურ-ნორმატივული განსაზღვრება და აღიარა მისი კლასობრიული ბუნება, მოგება დანაშაულის მატერ. განსაზღვრა, გაითვალისწინა ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპი, უარყო სასჯელის ბურჟ. გაგება, როგორც სამაგიეროს მი'სღება და ჩამოაყალიბა სოციალისტური ჰუმანი'სმის გამომხატველი პრინციპი: „...სასჯელი არ არის სამაგიეროს მი'სღება „ბრალისათვის"; სასჯელი უნდა იყოს მიზანშეწონილი ... და მან არ უნდა მიაყენოს დამნაშავეს უსარგებლო და სვდმეტი ტანჯვა". სისხლის სამართლის სახელმძღვანელო დებულებები შეიცვალა სისხლის სამართლის კოდექსით.

სისხლის სამართლის სჯულდება 1903 – მეფის რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი. სჯულდების მი'სანი იყო გაეძლიერებინა ბრძოლა რევ. მოძრაობასთან, შეეხამებინა სისხლის სამართლის კანონმდებლობა სახელმწიფოს ინტერესებთან. კოდექსის ზოგად ნაწილში გათვალისწინებული იყო დანაშაულის, განზრახვისა და გაუფრთხილებლობის, შერაცხადობის, მცდელობის, მომზადებისა და თანამონაწილეობის ცნებები. სასჯელის სახეები და სხვა დასჯითი სისტემა გამოირჩეოდა

სიმკაცრით, გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა, კატორღა, გადასახლება, საპყრობილე და სხვა სასჯელები. გარეგნულად ს.ს.ს. ძლიერ განსხვავდებოდა სისხლის სამართლისა და გამასწორებელ სასჯელთა სჯულდებისაგან. 1845 და 1885, შეიცავდა 683 მუხლს, განსაზღვრებანი მკაცრი სისუსტით გამოირჩეოდა. ს.ს.ს.-ის მომხადებაში მონაწილეობდნენ რუსი გამოჩენილი იურისტები ნ.ტაგანცევისა და ი.ფოინიცკის ხელმძღვანელობით.

სისხლის საპროცესო სამართალი – სამართლის დარგი, რ-ის ნორმები აწესრიგებენ მოკვლევის, გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობას. ს.ს.ს.-ის ძირითადი პრინციპები დადგენილია კონსტიტუციით. ეს პრინციპებია: კანონიერება, მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოს მიერ, კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობა, სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა და საქმის განხილვის კოლეგიურობა, მოსამართლეთა და სახ. მსაჯულთა დამოუკიდებლობა, სასამართლოს წარმოება ეროვნულ ენაზე, სასამართლო განხილვის საჯაროობა, პირიქენების ხელშეუხებლობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია და სხვა. ს.ს.ს.-ის ამოცანაა დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, დამნაშავეთა მხილება და კანონის სწორი გამოყენების უსრუნველყოფა. ტერმინი „ს.ს.ს.“ აღნიშნავს იურიდიულ მეცნიერებათა დარგსაც, რომელიც სისხლის საპროცესო სამართლის პრინციპებსა და ინსტიტუტებს შეისწავლის.

სიტყვისბრძა – სასამართლო პაექრობა ძვ. საქართველოში. ბრალდებულის თავისგასამართლებელი სიტყვა, მხარეთა კამათი. ტერმინი „სიტყვისგება“ აღნიშნავდა აპოლოგიასაც და დისკუსიასაც. „სიტყვისმგებელი“ – მოცილე – მოპაექრესა და პასუხისმგებელს „მიგება სიტყვაისა“ კი კითხვა-პასუხის ფორმით შედგენილ კანონში პასუხის შემცველ ნაწილს.

სიტყვის თავისუფლება – მოქალაქეთათვის კონსტიტუციით გათვალისწინებული ერთ-ერთი ძირითადი დემოკრატიული თავისუფლება. ამ პოლიტიკური თავისუფლების განხორციელებას უსრუნველყოფს ინფორმაციის ფართო გავრცელება, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს გამოყენების შესაძლებლობა.

სიუჯერები (ფრანგ.) – შუა საუკუნეების დასაწყისი. ევროპაში მსხვილი ფეოდალი – ტერიტორიის უმაღლესი სენიორი, რომელსაც მეფის უფლებები ჰქონდა მასზე დამოკიდებული ვასალების მიმართ.

სიუზერენიტეტი – სიუზერენის უზენაესი უფლება ვასალების მიმართ. საფუძვლად ედო ფეოდალური საკუთრების იერარქიული სტრუქტურა, რაც უზრუნველყოფდა გაბატონებული კლასის შეკავშირებას და მსხვილ ფეოდალთა (მეფეების, ჰერცოგების, გრაფების და სხვა) უზენაესობას პოლიტიკურ (სამხედრო სასამართლო და ა.შ.) საქმეებში, სიუზერენიტეტის ფორმით იყო მოწესრიგებული საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობაც ძლიერსა და უფრო სუსტ ვასალურ სახელმწიფოებს შორის.

სიძვა – (ბერძნული სიტყვა), თეგი, ტატუირება, რომლითაც იჭრება ლიტონის ფეხები. თითო მიხეტის მოსაკრძალად საჭიროა 2 სიძა: შებლისა და ზურგის გასახალისებლად. შებლის სიძა იჭრება გრძემლზე, ზურგისა – მაძრავ ღეროზე. სიძაზე ამოკვეთილია ნეგატიური გამოხატულება და სამოსიტო ლეგენდა.

სიძვა (სამართლის ისტორია) – ძველ საქართველოში დაუქორწინებელი ქალ-ვაჟის სქესობრივი კავშირი „უმეულლოს ბოსობა“ (საბა). ასეთ ქალს „მეძავი“ მამაკაცს კი „მსიძავი“ ერქვათ „მეძავისაგანი“ ანუ „სიძვით შობილი“ ალნიშნავდა ნაბიჭვარს, „სიძვის სასყიდელი“ როსკიპის („პარმაღები“, „სიძვის დედაკაცი“) გასამრჯელოს, ხოლო „მეძავთ-სამღვნებელი“ და „მეძავთ უხუცესი“ („დიდი სჯულის კანონის“ ქართული თარგმანით) – სამეძაო სახლსა და მის პატრონს. „სიძვით დაცემისათვის“ სჯულის კანონი 3 თუ 7 წლით უზიარებლობას აწესებდა („სიძვისა კანონით“ განკანონება).

„ცოლუნება ქალწულისა უთხოვნელისა“ – სალხური სინეობით სისხლის აღებას იწვევდა.

სკაბინი – მოსამართლე ფრანკთა სახელმწიფოში. სკაბინების ინსტიტუტი დაარსდა კარლოს დიდის რეფორმის (809) შედეგად. სკაბინს ნიშნავს სახელმწიფო წარმომადგენელი ან გრაფი. სკაბინებმა შეცვალეს სახალხო სასამართლო კრებების არჩევითი მსაჯულები – რაჰინბურგები. სკაბინების კოლეგია (სეკულებრიე 7 კაცი) ადგილობრივი ადათ-წესების მცოდნეთაგან შედგებოდა და რჩევას აძლევდა სასამართლოს თავჯდომარეს – გრაფს ან მის წარმომადგენელს. სკაბინების კოლეგიიდან შეიქმნა შეფენების (გერმანია) და ეშეფენების (საფრანგეთი) ინსტიტუტები.

სკვაირი, ესკვაირი (ლათინურიდან ფარისმტვირთველი) – ადრეშუასაუკუნეების ინგლისში რაინდის საჭურველმტვირთველი, შემდეგ – პირი, რომელსაც არ ჰქონდა რაინდის წოდება, მაგრამ ფლობდა რაინდის ფეოდს. გვიანდელ ფეოდალურ

ხანასა და ახლა საპატიო აზნაურული ტიტული. ყოველდღიურ ცხოვრებაში იხმარება „ჯენტლმენის“ მნიშვნელობით.

სკვითნია – დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარის – ლეჩხუმის სახელწოდება ბიზანტიური წყაროების მიხედვით. სკვიმნია ეგრისის ადრინდელი ფეოდალური სახელმწიფოს ერთერთი ადმინისტრაციის ერთეული იყო. შემდგომში იგი თანდათან აღმ. ქართულ სახელმწიფოს – ქართლს დაუახლოვდა პოლიტიკურად და კულტურულად.

სკვირეთი – ძველი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული – ხევი, რომელიც სამშვილდის საერისთავოში შედიოდა და მას ჩრდილოეთიდან სასაზღვრავდა. მოიცავდა დაახლოებით ახლანდ. მდ. ყვირილის ხეობას. სკვირეთის ცენტრი საკურეთის ციხე პირველად მოიხსენიება XI ს. სომხ. წყაროებში. აქედანვე მოდის ხევის სახელწოდება „სკვირეთი“ XIII ს-ში. (სკვირეთის ხევი) დემეტრე II თავდადებულის მეუღლის მამული იყო. ვახუშტი ბაგრატიონი (XVIII ს.) სკვირეთში რამდენიმე ციხეს ასახელებს: წყვრის ციხეს, ლასტის ციხესა და რკინის ციხეს. სკვირეთში შედიოდა აგრეთვე ბეთანიის მონასტერი და ლერჯი მონასტერი (ამჟამად თბილისის ფარგლებში).

„სკვითია ეტ კაუკაზია“ – (ლათ.) – ასე ეწოდებოდა შემოკლებით ვ. ლატიშევის რედაქციით გამოსულ კრებულს „ძველი მწერლების, ბერძნებისა და რომაელების ცნობები სკვითეთისა და კავკასიის შესახებ“, I ტომი, ბერძენი მწერლები, გამოქვეყნდა 1893 პეტერბურგში, ხოლო II რომაელი მწერლები, 1900 იქვე. ნაშრომში თავმოყრილია ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობები სკვითიისა და კავკასიის შესახებ, პარალელურად მოცემულია რუს. თარგმანი მკვირკოდნი კომენტარებითა და დეტნების კითხვა-სისწორებით. ტექსტებს წინ უძღოდა მოკლე არსებითი ხასიათის ცნობები თითოეულ მწერალზე.

სკუაშრინა – ხელოსნურების წარმომადგენლობითი ორგანიები ოკეანოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში. არსებობს თემის, ავტონ. მხარეების, რესპუბლიკების და თვითონ ოკეანოსლ. სფრ-ის სკუაშრინები.

სლავები – ენათა ნათესაობით და წარმომავლობით გაერთიანებული ხალხთა ჯგუფი ევროპაში. საერთო რაოდენობა დაახლ. 277 მლნ. კაცი (1979). სლავების ისტორიის ძველესი პერიოდის შესახებ ცნობები მოიპოვება არქეოლოგიურ მასალებში, ენათმეცნ. მონაცემებში, აგრეთვე ძვ. ბერძენი, რომაელი და ბიზანტ.

ისტორიკოსების შრომებში (პლინიუს უფროსი, ტაციტუსი, პტოლემე, იორდანისი, პროკოპი კესარიელი და სხვ.).

სმბატის სამართლის წიგნი – სომხური ფეოდალური სამართლის ძეგლი. შეადგინა სმბატ სპარაპეტმა, იგივე გუნდსტაბლმა (1208–78) კილიკიაში. სმბატის სამართლის წიგნი მოქმედებდა კილიკიის სომხეთში ასზე მეტ წელს, როგორც სახელმწიფოს ოფიციალური კოდექსი. მისი წყაროებია სომხური საეკლესიო კანონები, ჩვეულებითი სჯული, და ნაწილობრივ, მხითარ გოშის სამართლის წიგნი. ს.ს.წ. 7 განყოფილებისაგან შედგება და მოიცავს 202 მუხლს და ეხება როგორც მეფესა და მის ვასალებს, ისე ფეოდალებსა და ქმა გლეხთა შორის ურთიერთდამოკიდებულებას, აგრეთვე სისხლის, სამოქალაქო, სოჯახო და მემკვიდრეობის სამართლის საკითხებს. სმბატი მეფის შეუზღუდველი ხელისუფლების მომხრეა, მეფე დგას უმაღლესი მართლმსაჯულების სათავეში. კოდექსში გამოხატულია საერო და საეკლესიო ფეოდალების პრივილეგიები. სომხ. სამართ. წიგნებიდან მხოლოდ ს.ს.წ.-შია ნორმა, რომლის მიხედვითაც სულხიძე სიმამრის ქონების სრულუფლებიან მესაკუთრე – მემკვიდრედ ითვლება.

სმერდი – ფეოდალზე დამოკიდებულ გლეხთა კატეგორია ძვ. რუსეთში IX–XII სს., წყაროებში იხსენიება XI–XII სს-ში. მინისაგან განსხვავებით სმერდს ჰქონდა თავისი ქონება, გადაცდომისათვის იხდიდა ჯარიმას, ტერიტორიულად არასრულუფლებიანი იყო. ს-ის მკვლელობისათვის იგივე ჯარიმა იყო დაწესებული, რაც ხოლოპისათვის. XII–XIII სს-ში სმერდი კვლავ იხსენიება წყაროებში გალიჩ-ვოლინისა და ნოვგოროდის ამბების მატიანეში. ამ პერიოდში ტერმინი „სმერდი“ ზოგჯერ საერთოდ სოფლის მოსახლეობის აღმნიშვნელიც იყო.

სნაიპერი – (ინგ. თავშესაფრიდან სროლა) – მსროლელი, რომელიც დაუფლებულია მარჯვე სროლის ხელოვნებას, შენიღბვისა და თვალთვალს. სახელმწიფო „სნაიპერი“ პირველად გაჩნდა ინგლისის არმიაში I მსოფლიო ომის დროს (1914–18). საბჭოთა შეირაღებულ ძალებში დიდი სამამულო ომის (1941–45) დროს ს-ის ამოცანა იყო მტრის სნაიპერების, ოფიცრების, მეთვალთვალეების მეკავშირეების, დაბალ სიმაღლეზე მყრინავი თვითმფრინავებისა და სხვა მნიშვნელობის განადგურება.

სოციალისტური – გვიანდელ ფეოდალურ საქ-ში საპოლიციო-ადმინისტრაციული აპარატის მოხელე სამეფო კარზე.

სოიბათიასაულის სახელო ირანული წარმოშობისაა (შაპის კარზე იყო VIII–IX ს.ს., რომელთა მოვალეობას შეადგენდა სასახლეში ელჩების შემოყვანა, ფეშქაშმოსართმევლის წარდგენა შაჰისათვის, მისი ბრძანებაგანკარგულებების შესრულება). ს-ები ქმიკალასბაშს ექვემდებარებოდნენ. მეჯლისის დროს სტუმრებისათვის საჭმლის მირთმევას ხელმძღვანელობდნენ. საიასაულო ფუნქციებს ალასრულებდნენ. „დასტურლამალში“ ერთდროულად II ს-ის არსებობა დასტურდება.

სოიშრლალი – (მონღ. სიტყვასიტყვით – წვალობა, ბოძება) მემკვიდრეობით ნაწყალობევი მიწა, რ-საც აძლევდნენ სამხ. სამსახურისათვის ოქროს ურდოში. ასევე XIV ს. შუა წლებიდან XIX ს. შუა წლებამდე შუა აზიაში, ირანში, აზერბაიჯანში, ერაყში და XVI ს-დან XIX ს-ის შუა წლებამდე ნრდ. დას. ინდოეთში. სოიურღალის მფლობელი სარგებლობდა საგადასახადო და სასამართლო შეღავათით. სოიურღალად გაიცემოდა როგორც ერთი ან ორი სოფელი, ისე მთელი ოლქიც. XV ს-იდან სოიურღალი ეძლეოდა სასულიერო პირებსაც. იგი ეხსენიება ქართულ-სპარსული ორენოვანი საბუთების სპარს. ნაწილში, როგორც ტექ. ტერმინი რ-ითაც აღნიშნულია სიმონ I-ის მიერ მცხეთის საკათალიკოსო ტაძრისათვის სოფ. მოხისის შეწირვა.

სოლი – (ესპ. სიტყვასიტყვით – მზე) – ფულის ერთეული პერუში. შემოიღეს 1930 იებ. გირვანქის ნაცვლად. 1 სოლი ტოლია 100 სენტაოს.

სოლიდარიზმი – (ფრანგ. ერთსულოვნად მოქმედი) – გავრცელებული სოციალ – პოლიტიკური დოქტრინა, რომლის მიხედვითაც ყოველი სახ – ების ცხოვრებისა და საქმიანობის პირველადი და ფუძემდებლური ფაქტორია მისი წევრების სოლიდარობა. სოლიდარიზმის იდეა საფუძვლად დაედო XX ს. დასაწყისში მთელ რიგ ბურჟ.-სოციოლოგიური (ე. დიურკჰაიმი) და სახელმწიფო სამართლებრიც (ლ. დიუგი) მოძღვრების 60–70-იან წლებში. სოის იდეამ გამოსახულება პპოვა ბურჟ. კონცეფციებში. „სოციალური პარტნიორობა“, „შრომისა და კაპიტალის ასოციაცია“ და ა.შ. ყველა ამ კონცეფციის ძირითადი აზრია „კლასთა თანამშრომლობისა და შერიგების“ დასაბუთება.

სოლიდი – (ლათ. სიტყვასიტყვით – მყარი, მაგარი.) 1. რომაული ოქროს მონეტა. 314 დამკვიდრდა იმპერიის დას. ნაწილში, ხოლო 324 იმპერატორ კონსტანტინე I-ის (306–337) დროს მთელ სახელმწიფოში. შეცვალა

აურეკასმა. ამ დროიდან სოლიდი ძირითადი სამოხელეო და საანგარიშო ფულადი ერთეული იყო რომში და შემდეგ ბიზანტიაში.

სოლისიტორი – (ინგ.) – დიდ ბრიტანეთში კატეგორია ადვოკატებისა, რომლებსაც უფლება აქვთ დამოუკიდებლად აწარმოონ საქმე, მხოლოდ ქვედა სასამართლოებში. სოლისიტორი ძირითადად ამზადებს მასალას უფრო მაღალი რანგის ადვოკატებისათვის – ბარისტერებისათვის. სოლისიტორი ასრულებს აგრეთვე ოურისტკონსულტის ფუნქციას დაწესებულებებსა და საწარმოო ორგანიზაციებში.

სოფიზმი (ბერძნული ხრიკი, გამონაგონი, თაესატეხი) – გამოგონილი, მახვილგონივრული, კამათში მოწინააღმდეგის ცდუნების მიზნით საგანგებოდ ბუნდოვნად ჩამოყალიბებული წანამძღვრებიანი ან გაუმართავი არაკორექტული დასკვნა, ბჭობა, რომელიც თავისი ფორმულირებით მოწინააღმდეგის უქმნის სწორის შთაბეჭდილებას; ე.ი. სოფიზმი დასკვნა – დასაბუთებით ისეთი სახეობაა, რომელშიც ტერმინები განსხვავებული მნიშვნელობით არის გამოყენებული და ამის გამო დარღვეულია ლოგიკის კანონები, რაც გარკვნილად არ ჩანს, ე.ი. გამომდინარეობის წესით დარღვეულა შენიღბულია. სოფიზმის საფუძველზე განვითარდა სოფისტიკა, როგორც კამათის ხელოვნება, რომლის მიზნად იქცა არა ჭეშმარიტების დადგენა, არამედ კამათი კამათისათვის, მოკამათის მოხვენებითი დამარცხება ტერმინების შეცვლის ან თვითნებური ალტერნატივების აგების საფუძველზე. სოფიზმის ბუნება ამხილეს პლატონმა და არისტოტელემ.

სოფისტები – (ბერძ. ბრძენი, ცრუბრძენი, გამომგონებელი), ფართო მნიშვნელობით – მახვილგონიერი, პრაქტიკულად გაწაფული, მოხერხებული ადამიანები; ვიწრო მნიშვნელობით – სიბრძნისა და მჭერმეტყველების მასწავლებლები, ფილოსოფოსები, რომლებიც მოღვაწეობდნენ საბერძნეთში ძვ. წ V ს. II ნახევარსა და IV ს. I ნახევარში.

სოციალიზაცია – (ლათ. საზოგადოებრივი) – საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვისათვის პიროვნების მომზადების პროცესი. იგი ემყარება პიროვნების ბუნებრივი მონაცემების განვითარებასა და გათვალისწინებას. სოციალიზაციის თეორია არკვევს, თუ რა სოციალიზაციის ფაქტორები ქმნიან პიროვნების ამა თუ იმ თვისებურებას, აგრეთვე სოციალიზაციის მექანიზმსა და საზოგადოებრივ შედეგებს.

სოციალიზმი – (ფრანგ. საზოგადოებრივი) – საყოველთაო – საზოგადოებრივი კეთილდღე-

ობის აღმნიშვნელი ცნება.

1. მოძღვრება სოციალისტური საზოგადოების შესახებ;

2. კომუნისტური საზოგადოების პირველი ფაზა, რომლის ეკონომიკური საფუძველია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, პოლიტიკური კი – მშრომელთა ხელისუფლება მუშათა კლასის ხელ-ით, და მისი მარქსისტულ – ლენინური პარტიის მეთაურობით. სოციალიზმი ისეთი საზოგადოებრივი წყობილებაა, რომელიც გეგმიანად ყოთარდება მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ და სადაც აღარაა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია და ნაკერა.

სოციალიზმის ეკონომიკური კანონები – ასახავს სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების ფუნქციონირებისა და განვითარების ყველაზე არსებით, ტიპურ ნიშნებს. მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის ეკონომიკური კანონების გამოყენება მხოლოდ სოციალიზმის დროს არის შესაძლებელი.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემა – სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თანამეგობრობა თავისუფალი, სუვერენული სახელმწიფოების ხალხებისა, რომლებიც მიდიან სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით და რომელთაც აერთიანებთ საერთო ინტერესები და მიზნები, საერთაშორისო სოციალისტური სოლიდარობა.

სოციალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონები – ასახავს სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების ფუნქციონირებისა და განვითარების ყველაზე არსებით ტიპურ ნიშნებს. მოცემულ წარმოების წესში მოქმედი ეკონომიკური კანონები ქმნიან ეკონომიკურ კანონთა სისტემას, რომელშიც მთავარია ეკონომიკური ფორმაციის ძირითადი ეკონომიკური კანონი. ეკონომიკური კანონების შეცნობა და გამოყენება – ანტაგონისტურ საზოგადოებაში კლასობრივი ხასიათისაა, სოციალიზმის დროს კი ამას მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის ახორციელებს მუშათა კლასი.

სოციალისტური დაბროვების კანონები – ეკონომიკური კანონი, რომელიც ასახავს ეროვნული შემოსავლის ნაწილის სისტემატური დაგროვების აუცილებლობას წარმოების გაფართოებისა და სრულყოფისათვის.

სოციალისტური საკუთრება – წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების ისტორიულად განსაზღვრული ფორმა, რომელიც შეადგენს სოციალიზმის ეკონომიკურ საფუძველს, წარმოიშობა ძირითა-

და წარმოების საშუალებების ნაციონალიზაციის შედეგად; მთელი სახოგადოების ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს საწარმოო ძალების შესაძლებლობის მაქსიმალურ გამოყენებას.

სოციალური დაზღვევა – სახელმწიფოს მიერ დადგენილი სისტემა მშრომელთა მატერიალური უზრუნველყოფისა მოხუცებულობაში, ავადმყოფობის, შრომის უნარის დაკარგვისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. შრომის კანონმდებლობის თანახმად მუშა-მოსამსახურეთა სოციალური დაზღვევა ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე და შესაბამის სახელმწიფო, საწარმოები. დაწესებულებები, ორგანიზაციები მუშებისა და მოსამსახურეების სელფასიდან რაიმე დაქვითვის გარეშე. მუშა-მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებს სოციალური დაზღვევის ხასით ეძლევათ შემწეობა დროებითი შრომისუუნარობის გამო, ქალებს, გარდა ამისა, ორსულობისა და მშობიარობის, აგრეთვე ბავშვის დაბადების გამო: პენსიები – მოხუცებულობის ინვალიდობის, მარჩენალის დაკარგვის, წელთა ნამსახურების და სხვა.

„სოციალური დაცვის თეორია“ – XIX ს. ბურჟუაზიული სისხლის სამართლის მეცნიერებაში გავრცელებული კონცეფცია, რომელიც დანაშაულობასთან ბრძოლის ღონისძიებათა რადიკალურ რაციონალიზაციას მოითხოვს. 1954 სოციალური დაცვის საერთაშორისო საზოგადოების კონგრესზე ანტვერპენში მკვეთრად გამოიკვეთა ამ თეორიის 2 მიმართულება. პირველი – რეაქციული, რომლის მეთაური და ფუძემდებელი იყო იტალიელი ფ. გრამატიკა, ამ მიმართულების მიხედვით, უარყოფილია სისხლის სამართლის ისეთი ტრადიციული ცნებები, როგორიცაა „დანაშაული“, „სასჯელი“, „ბრალი“ და სხვა. და მათ ნაცვლად კი შემოაქვთ ცნებები, როგორიცაა „პიროვნების საშიშ მდგომარეობა“ და „სოციალური დაცვის ზომების ღონისძიებანი“, რაც ნიშნავს კანონიერების დაცვის ელემენტარული გარანტიების მოსპობას.

მეორე მიმდინარეობა, რომლის მეთაურია ფრანგი მეცნიერი მ. ანსელი, შედარებით პროგრესულია. მას ძირითადი ყურადღება გადააქვს დამნაშავის პიროვნებაზე, მაგრამ მოითხოვს საკანონმდებლო წესით განისაზღვროს პიროვნების საშიშ მდგომარეობა, ანდა უკიდურეს შემთხვევაში, გამოიყენოს სამკურნალო აღმზრდელობითი ან სხვაგვარი ღონისძიება.

სოციალური პრესტიჟი –

მნიშვნელობა, ღირებულება რომელსაც საზოგადოებრივი აზრი მიაწერს ადამიანთა ამ თუ იმ საქმიანობას ან ამა თუ იმ საზოგადოებრივ მოვლენას, პროფესიას. ამა თუ იმ საზოგადოებაში გაბატონებულ ღირებულებათა სისტემის, უფრო სწორად, ღირებულებათა რანგის მიხედვით პიროვნება ირჩევს პრესტიჟულ საქმიანობას, ქცევას. თუ საზოგადოებაში ფულის, ფუფუნების, ნივთების კულტია გამეფებული, შესაბამისი იქნება სოციალური პრესტიჟი და პირიქით, თუ გაბატონებულია საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა, პიროვნულზე მაღლა საზოგადოებრივის მიჩნევა. პრესტიჟიც შესაბამის ქცევას, პროფესიას, საქმიანობას ენიჭება. საზოგადოებაში პიროვნებები ამის მიხედვით მოიპოვებენ ავტორიტეტს, პატივისცემას.

სოციალური სტრატიფიკაცია – (ლათ. ფენა და ქაქეთებ) თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის ცნება, რომელიც გამოყენებულია კაპიტალისტური საზოგადოების სოციალურ-კლასიბრივი გათიშვის სოციალურ ფენებად დაყოფით შეცვლის მიზნით. უპირისპირდება კლასებისა და კლასთა ბრძოლის მარქსისტულ – ლენინურ თეორიას. ტერმინი „სტრატიფიკაცია“ ალებულია გეოლოგიიდან და გამოიყენება საზოგადოების ანალოგიურად განხილვისათვის. სოც. სტრუქტურის მიწის ქერქის დაფენიანების სტრატიფიკაციის არც ერთი თანამედროვე ბურჟუაზიული მოდელი არ იყენებს საზოგადოების ფენებად დაყოფის ზუსტ, ლოგიკურ საფუძველს. პირიქით, დაყოფის საფუძვლად მიჩნეულია მრავალი განსხვავებული ფაქტორი (განათლება, საცხოვრებელი რაიონი, ფულადი შემოსავალი და სხვა) და ამდენად სოციალური სტრატიფიკაცია თვითნებურადაა წარმოდგენილი, მაგრამ ყველგან უგულებელყოფილია საზოგადოების სოციალურად დაყოფისა და უთანასწორობის საფუძველი – კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე.

სოციალური უზრუნველყოფა – მოხუცებულ და შრომისუუნარო მოქალაქეთა მატერიალური და დედათა და ბავშვთა ყოველმხრივი უზრუნველყოფის, სამედიცინო მომსახურებისა და მკურნალობის სოციალურ ეკონომიკურ ღონისძიებათა სახელმწიფო სისტემა. სოციალური უზრუნველყოფის ფორმებს შორის მთავარია პენსია – მოსამსახურეთა სახელმწიფო სოციალური დაზღვევა. კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევა. მის განხორციელებაში წამყვან როლს

თამაშობს სოცკუ'სრუნველყოფის სამინისტროები და მათი ადგილობრივი ორგანოები.

სოციალური ფენა – ადამიანთა განსა'ზღვრული ჯგუფი, რომელსაც სხვა ჯგუფისაგან განასხვავებს განსა'ზღვრული, მეტნაკლებად მაღალი ან დაბალი სა'სოგადოებრივი მდგომარეობა (ქონებრივი, კულტ'ურული და ა.შ.). სოციალური ფენები ისეთი ერთობლიობებია, რომლებიც განსა'ზღვრული შინაგანი კავშირებით არიან განმტკიცებული გარკვეული სოც.-ამოცანის შესაბამისად. ცნება „ფენა" სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება, მაგ: ეკონ. ფენა ერთნაირი შემოსაკალის მქონე პირთა გარკვეული ერთობლიობაა. კულტ'ურულ ფენებად კი სა'სოგადოება იყოფა განათლების დონისა და კულტ შემოქმედების სფეროს მიხედვით.

სოციალური ძცევა – პიროვნების აქტივობა, რომელიც განსა'ზღვრულია პირადი მოთხოვნილებებისა და შესატყვისი სიტ'უაციების გარდა იმ სოციალური მოთხოვნებითაც, რომლებსაც მას სა'სოგადოება უყენებს. სა'სოგადოებაში ინდივიდს დაბადებისთანავე დაჰკუდება გარკვეული როლების სისტემა და ცხოვრებაში მას მოუხდება სხვადასხვა როლის შესრულება. ამ პროცესში ადამიანი სწავლობს უფლება – მოვალეობათა გამოყენებას. იგი ქალიბდება როგორც პიროვნება და ითვისებს სა'სოგადოების შეხედულებებს, მორალ'ურ და სხვა სოციალ'ურ ნორმებს.

სოციალური ჯგუფი – შედარებით მყარი ერთობა იმ ადამიანებისა, რომელთაც აქვთ საერთო მი'სნები, ღირებულებები და ქცევის ნორმები. განასხვავებენ დიდ, საშუალო და მცირე სოციალ'ურ ჯგუფებს. დიდ ჯგუფში ადამიანები გაერთიანებულნი არიან გარკვეული ობიექტ'ური თვისებების ხაფუძველ'ზე. ინდივიდს, რომელიც ეკ'უთვნის დიდ სოციალურ ჯგუფს, შესაძლებელია არ ჰქონდეს უშუალო კონტაქტი ამ ჯგუფის სხვა წევრებთან.

სოციალ-შოვინიზმი – ოპორტ'უნისტ'ული მიმდინარეობა საერთაშორისო სოციალისტ'ურ მოძრაობაში. სინდისის თავისუფლების მოთხოვნით, დიდ ყურადღებას უთმობდნენ განათლებას. პროპაგანდას უწ'ევდნენ საბუნებისმეტყველო ცოდნას.

სოციოლოგია – (ფრანგ. სა'სოგადოება და ბერძ. სიტ'ყვა მოძღვრება; სიტ'ყვასიტ'ყვით – მოძღვრება სა'სოგადოების შესახებ) – მეცნიერება სა'სოგადოების, როგორც მთლიანი სისტემის, ასევე ცალკეული სოციალური პროცესების, ინსტიტ'უტებისა და ჯგუფების შესახებ, რომლებსაც განიხილავენ სა'სოგადოებრივ მთლიანობასთან კავშირში.

სოციოლოგიური სკოლა – 1. სამართალში, სამართლის მეცნიერების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება XX საუკუნეში. იგი უარყოფს სამართლის შესწავლის ფორმალურ – ლოგიკურ მეთოდს და მის ნაცვლად ეყრდნობა სოციოლოგიურ მეთოდს, რომლის საშუალებითაც ცდილობს დაძრღვილოს სამართლის ფორმა, სოციოლოგიური სკოლის მიხედვით, სამართალი არის არა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების ერთობლიობა, არამედ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობანი. „წიგნის სამართალს" – კანონმდებლობას, კოდექსებს უპირისპირდება „ცოცხალი სამართალი" ე.ი. სამართალი, რომელიც რეალურად ხორციელდება ცხოვრებაში.

2. სოციოლოგიური სკოლა – სისხლის სამართალში, ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სისხლის სამართლის ბურჟუაზიულ მეცნიერებაში. ამ პერიოდის თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ფ. ლისტი (გერმანია), გ. ტარდი (საფრანგეთი), რუსეთში – ი. ფოინიცკი. თვით სახელწოდება „სოციოლოგიური სკოლა" იმაზე მიუთითებს, რომ დანაშაულობის პრობლემის გადაწყვეტას იგი უკებს სოციალურ სინამდვილეში. დანაშაულობის წარმომშობ მიზეზად გამოცხადებულია სოციალური ფაქტორები. ანთროპოლოგიური სკოლის საპირისპიროდ სოციოლოგიური სკოლის ლოზუნგია „დამნაშაულებად კი არ იბადებიან, არამედ იქმნებიან". შემდეგში ბევრი წარმომადგენელი სოციალურ ფაქტორებთან (გაჭირვება, უმუშევრობა, პროსტიტუცია) ერთად დანაშაულის მიზეზად თვლის ბიოლოგიურ (მ.შ. მემკვიდრეობით) თვისებებსაც.

სოჰიო – იაპონიის პროფკავშირების გენერალური საბჭო. მსხვილი პროფკავშირული გაერთიანება. შეიქმნა 1950 იანვარში. აერთიანებს 64 დარგობრივ პროფკავშირს. მხარს უჭერს იაპონიის სოციალურ პარტიას. ემხრობა პოზიტიურ ნეიტრალიტეტის პოლიტიკას. თავ-რე ტაკესი კეროკაკა გენერალური მდივანი ეიკიტი მაგარა.

სპა (სპარს. სეფაჰ) – ჯარის აღმნიშვნელი ტერმინი შუა საუკუნეების საქართველოში. შემოვიდა სპარსულიდან შუა საუკუნეების დასაწყისში და შეცვალა ქართული ტერმინი „ერი" (ამ უკანასკნელის მნიშვნელობა ამის შემდეგ დაეიწროვდა და ძირითადად აღნიშნავდა ხალხს). სპის სინონიმი IX საუკუნიდან იყო ახ. სპარსულიდან შემოსული ტერმინი „ლაშქარი", რომელმაც თანდათანობით შეისრუტა სპის ხმარება და ბოლოს განდევნა კიდეც

ის შეა საუკუნეების დასასრულს.

სპასთან ერთად ქართულში შემოვიდა სარდლის აღმნიშვნელი სპარსული ტერმინები: სპასპეტი და სპასალარი, რომლებიც ერისთავის სინონიმები გახდა. XII–XIII ს.ს-ში სპის ერთ-ერთი სახეობა იყო მოხასპა – სამეფო გვარდია. იყო აგრეთვე რაზმის სპა – დაქირავებული ჯარი.

სპარტაკიადა – ტრადიციული კომპლექსური მასობრივი სპორტული შეჯიბრება.სახელი დაერქვა სპარტაკის სახელის მიხედვით, რომელიც მისნად ისახავს სპორტის მეძრაობით წარმატებათა დათვალიერებას, ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას დიდი საერთაშორისო შეხვედრებისათვის, განსაკუთრებით ოლიმპიური თამაშებისათვის.

სპარტანული აღზრდა – აღსრდისა და სწავლების სახელმწიფო სისტემა სპარტაში (ძვ. საბერძნეთში) ძვ. წ. VIII–IV ს.ს-ში. 7–8 წლიდან 20 წლამდე ასაკის ვაჟები სამხედრო ტიპის ინტერნატებში სწავლობდნენ. სპარტანული აღზრდა ითვალისწინებდა ფიზიკურ წრთობას, სამხედრო ხელოვნების დაუფლებას, აგრეთვე წერა-კითხვის, ლაკონური მეტყველების, საკულტო სიმღერისა და სამუსიკო ინსტრუმენტებზე დაკვრის სწავლებას. გათვალისწინებული იყო აგრეთვე ქალიშვილთა ყოველმხრივი ფიზიკური აღზრდა ოჯახში. გადატანითი მნიშვნელობით სპარტანული აღზრდა უწოდებდა მკაცრი აღზრდის სისტემას, რომელიც აყალიბებს ფიზ. ამტანობას, ხასიათის სიმტკიცეს, ყოველგვარი სიძნელის დაძლევის უნარს.

სპასალარი (სპარს. სეფასალარ – სარდალი) – სამხედრო უწყების მოხელე, ძველ საქართველოში. სპასალარი ადგილობრივი მხედართმთავარი იყო. ყოველ კუთხეს თუ თემს თავ-თავისი სპასალარი ჰყოლოდა. მეწინავე ჯარს „სამცხის სპასალარი“ სარდლობდა. სპასალარი სპასპეტის – ამირსპასალარის სახელისუფლოში შედიოდა.

სპეკულაცია (გვიანდ. ლათ. სიტყვასიტყვით დაზვერვა, ქვრეტა), სისხლის სამართლის მიხედვით, სამეურნეო დანაშაული, რომელიც გულისხმობს საქონლის ან სხვა საგნების შესყიდვას და გადაყიდვას გამორჩენის მიზნით. სპეკულაციის საგანი ძირითადად არის სხვადასხვა სასურსათო და სამრეწველო საქონელი, უმთავრესად დეფიციტური. სპეკულაცია, როგორც დასჯადი ქმედება 1992 წლიდან ამოღებულ იქნა სისხლის სამართლის კოდექსიდან.

სპეციალიზებული დაწესებულებები – გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა, –

სამთავრობოთაშორისო საერთაშორისო ორგანიზაციები ეკონომიკურ, სოციალურ და სხვა საკითხებზე, რომლებიც სპეციალიზებული შეთანხმებითაა დაკავშირებული გაეროსთან. თითოეული ორგანიზაცია შექმნილია საერთაშორისო ხელშეკრულების ძალით და დამოუკიდებელ, ავტონომიურ დაწესებულებას წარმოადგენს. გაეროსა და სპეციალიზებულ დაწესებულებებთა შორის დადებული შეთანხმებები ითვალისწინებენ ინფორმაციისა და დოკუმენტების ურთიერთგაცვლას, წლიური მოხსენებებისა და ბიუჯეტის შესახებ ცნობების წარდგენას. გაეროს გენერალური ანსამბლეა, ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილნი არიან მიიღონ რეკომენდაციები სდ-თა პოლიტიკისა და საქმიანობის ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის თაობაზე. გაეროსა და სპეციალიზებულ დაწესებულებებს შორის მჭიდრო კონტაქტის მიზნით ქცულა „სპეციალიზებულ დაწესებულებას“ ჰქავს ოფიციალური წარმომადგენელი გაეროს შრომ ბინაში (ნიუ-იორკი) და მის ორგანოთა სხვა ადგილსაყოფელში (ჟენევა, ვენა) 1983 წლის 1 იანვრისათვის გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებებია: შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, გაეროს სასურსათო და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია, განათლების, მეცნიერულ და კულტურულ საკითხებზე (იუნესკო), ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო საფოსტო კავშირი, საერთაშორისო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, საფინანსო კორპორაცია, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია.

სპეციალიზებული ვაჭრობა – ვაჭრობა განსაზღვრული საქონლით, რომელიც აქმაყოფილებს მოთხოვნილებათა კომპლექსს (მაგ.: სპორტული საქონელი) ან ერთგვაროვანი საქონლის ჯგუფით (პურ-ფუნთუშეული, ოქსი, ხორცი, ტანსაცმელი და სხვა). მას ახორციელებენ ვაჭრობის სამინისტროების სპეციალიზებული კარტორები და ბაზები და სპეციალიზებული მაღაზიების ქსელი.

სპეციალობა – (ლათ. განსაკუთრებული) – სპეციფიკური მომსახურებისა და სამუშაო გამოცდილების შედეგად შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების კომპლექსი, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ პროფესიის ფარგლებში საქმიანობისათვის. სპეციალიზაცია შრომის დანაწილების ერთ-ერთი სახეა.

სპეციალური განათლება – მოიცავს პროფესიული განათლების ქცულა სახეს, როგორი-

ცხაა პროფესიულ – ტექნიკური განათლება, საშ. სპეციალური განათლება, არქიტექტურული განათლება, პედაგოგიური განათლება, სამედიცინო განათლება და სხვა.

სპეციალური პროფესიულ – ტექნიკური სასწავლებლები – 1964 წ.დან მცირეწლოვანი დამნაშავეების (14 წელზე უმცროსი ასაკის) აღსასრდელი და გამასწორებელი სასწავლო – აღმზრდელობითი დაწესებულებები. აქაც აგზავნიდნენ მოზარდებს, რომელთა მიერ ნადენილი დანაშაულისათვის შეიძლებოდა სისხლის სამართლის სასჯელის შეცვლა სემოქმედების სხვა ზომებით. სპეციალური პროფესიულ – ტექნიკურ სასწავლებლებში აღსასრდელები 3 წელს იმეორებდნენ, იღებდნენ სპეციალობას, და პროფესიულ – ტექნიკურ განათლებას, ჰქონდათ უფლება საერთო განათლების გაგრძელებისა, მათზე ვრცელდებოდა კანონმდებლობა არასრულწლოვანთა შრომის შესახებ.

სპეციალური სკოლები – სასწავლო – აღმზრდელობითი დაწესებულებები დანაშაულის ჩამდენი მცირეწლოვანი პირების (11–14 წლის ასაკის) აღსასრდელად და გამოსასწორებლად. დააარსა 1964. სპეციალურ სკოლებში ბავშვებს აგზავნიდა არასრულწლოვანთა საქმეების კომისია. იგი ექვემდებარებოდა განათლების ორგანოებს. სწავლება მიმდინარეობდა საერთო სასწავლო პროგრამით, რომელთანაც შესამებული იყო სახოგადოებრიგად სასარგებლო შრომა. თუ 14–15 წლის ასაკის აღსასრდელი არ გამოსწორდება, მაშინ მას აგზავნიან სპეციალურ პროფესიულ – ტექნიკურ სასწავლებლებში.

სპეციალური ჯარები – ქვეგანაყოფები და ნაწილები, რომლებიც ბრძოლაში (ოპერაციაში) სპეციალურ ამოცანებს ასრულებენ (მაგ.: ქიმიური, საინჟინრო, უსრუნველყოფა და სხვა) და სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობა აქვთ, შეიარაღებულ ძალებში სპეციალურ ჯარებს განეკუთვნება: საინჟინრო ჯარები, ქიმიური დაცვის ჯარები, საავტომობილო ჯარები და სხვა. ანალოგიური ჯარებია აგრეთვე უცხოეთის ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში.

სპეციფიკა – (ლათ. თავისებური, განსაკუთრებული) – მოვლენის, საგნის დამახასიათებელი, სხვებისაგან განსხვავებული თავისებურებანი.

სპეციფიკაცია – (გვიანდ. ლათინური სახეობა, სახესხვაობა და ვაკეთებ). 1. რისამე სპეციფიკური თავისებურებების განსაზღვრა და ჩამოთვლა. დასურათებული კლასიფიკაცია ამ თავისე-

ბერებათა მიხედვით. 2. ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემის ერთეული ძირითადი დოკუმენტი. „დოკუმენტების დალაგების საქალაქლდე“ მსგავსი ან განსხვავებული ნიშნების მიხედვით სპეციფიკაცია ეწოდება“.

სპიკერი – (სტრასბურგით ორატორი) – ქვეყნის პალატის (ან ერთპალატიანი პარლამენტის) თავმჯდომარე სოგიერთი ქვეყნის პარლამენტში. სპიკერის თანამდებობა პირველად დაწესდა ინგლისში (1377), შემდეგ კი სხვა ქვეყნებში. სპიკერი ხელმძღვანელობს პარლამენტში კამათს, ახსნა-განმარტების აძლევს სხვადასხვა საპროცედურო წესს და სხვა.

სპორტი – (ინგ. თამაში, გართობა) – ფიზიკური გარჯაშების სხვადასხვა კომპლექსში სასწავლო-საწერთნელ მეცადინეობათა ნაირგვარების ორგანიზაციის სისტემათა ფიზიკური კულტურის შემადგენელი ნაწილი. მისნაირ ისარგებლებს ადამიანის ჯანმრთელობის გაკაჟებასა და საერთო ფიზიკურ განვითარებასთან ერთად შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მიღწევას და გამარჯვების მოპოვებას.

სპორტული წოდება – ენიჭება საერთაშორისო, ეროვნულ და სხვა ოფიციალურ სპორტულ შეჯიბრებებში წარმატებისა და ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციით დადგენილი ნორმატივის შესრულებისათვის.

სრული დანახარჯების კოეფიციენტი – შრომის საგნებისა, ერთი დარგის პროდუქციის პირდაპირი და არაპირდაპირი დანახარჯების ჯამი მეორე დარგის პროდუქციის ერთეულის საწარმოებლად. მაგ.: ნარხების წარმოებაზე ნახშირის სრული დანახარჯის განსასაზღვრავად საჭიროა გათვალისწინებული იყოს ნახშირის მთელი დანახარჯის ნარხომშენებლობასა და მატერიალური წარმოების სხვა დარგებს შორის არსებული ტექნოლოგიური კავშირების მთელი ჯაჭვის მიხედვით, და იგი გამოითვლება პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტების ცხრილების საფუძველზე.

სრულწლოვანი – (სამართ.) – პირი, რომელმაც მიაღწია იმ განსაზღვრულ ასაკს, რომელსაც კანონმდებლობა სამოქალაქო ქმედუნარიანობის დადგომის და სხვადასხვა უფლებამოვალეობების შეძენას უკავშირებს. მოქალაქე სრულწლოვნად ითვლება 18 წლის ასაკიდან. სრულწლოვანების მიღწევისას იგი ქმედუნარიანობის გარდა იძენს უფლებასაც და სხვა უფლებებსაც იძენს. მაგ.: ოჯახისა და ქორწინების სფეროში (დაქორწინების: მეურვეობის, პასუხისმგებლობისა და სხვა უფლება). სრულწლოვა-

ანების ასაკიდან აღმოცენდება განსაზღვრული ვალდებულებანი მაგ.: სამხედრო ვალდებულება. (სკ. მუხ. 12).

სტატია – 1. ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ძირითადი ჟანრი, რომელსაც ახასიათებს მოვლენის გააზრება და ანალიზი, არგუმენტირებული განზოგადება და დასკვნა, რომელიც ადასტურებს წამოყენებულ კონცეფციასა და იდეას. სტატია დანიშნულების მიხედვით შეიძლება იყოს პროპაგანდისტული, პრობლემური, კრიტ. სამეცნ. და სხვა. გარდა ამისა საბჭ. პარტ. პრესვით სიტყვაში ჩამოყალიბდა სტატიის განსაკუთრებული სახეობა – დირექტიული (მოწინაე) სტატია. 2. ოფიციალური ორიგინალური აქტის, დოკუმენტის ნაწილი, მუხლი.

სტატისტიკა (გერმ. სახელმწიფო) – საზოგადოებრივი მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მასობრივი სოც. მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივ მხარეს თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში ადგილისა და დროის განსაზღვრულ პირობებში.

სტატუსი (ლათ. მდგომარეობა) – სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციის, არსებული თუ დანიშნული თანამდებობის პირის, მოქალაქის ან იურიდიული პირის სამართლებრივი მდგომარეობა.

სტატუს-კვო (ლათ. სიტყვასიტყვით – მდგომარეობა) – საერთაშორისო სამართალში ტერმინი, რომელიც გამოიყენება განსაზღვრული დროისათვის არსებული, ფაქტობრივი, სამართლებრივი მდგომარეობის აღსანიშნავად, რომლის აღდგენაზე ან შენარჩუნებაზეც არის ლაპარაკი.

სტატუტები მუშების შესახებ – მუშათა კანონმდებლობა, კანონები და დადგენილებები, რომლებიც განსაზღვრავდა დაქირავებული მუშის ხელფასის ოდენობას, სამუშაო დღის ხანგრძლივობას და სხვა.

სტატუტი (გვიანდ. ლათინური – ვადგენ, ვწესებ) – 1. დებულება, რომელიც განსაზღვრავს ცალკეული შინასახელმწიფოებრივი ან საერთაშორისო ორგანიზაციის საქმიანობასა და წესს. (მაგ. გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტი). 2. დებულება რისამე შესახებ (მაგ. მთავრობის ოდენობის სტატუტი). 3. წესდება რომელიც შეეხება შუა საუკუნეების ქალაქებსა და შინასაქალაქო გაერთიანებებს (სამქროებს, საგაჭრო გილდიებსა და სხვა). 4. პარლამენტის საკანონმდებლო აქტის სახელწოდება დიდ ბრიტანეთში. მაგ. უსტმინისტერის სტატუტი – აშშ-ში კონგრესის ზოგიერთი აქტის სახელწოდება.

სტეფანე დუშანის კანონშა კრებული – შუა საუკუნეების სერბიის კანონთა კრებული. შედგენილია მეფე სტეფანე დუშანის ინიციატივით. მიღებულია 1349. კრებულში განსაზღვრულია ფეოდალთა შიდაკლასობრივი ურთიერთობანი და მათი დამოკიდებულება გლეხობასა და ცენტრ. ხელისუფლებასთან, გლეხთა კატეგორიები და ბეგარა. საბოლოოდ გაფორმდა დაყმევება. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სახელმწიფოს მხრივ მართლმადიდებლური ეკლესიისა და მისი ინტერესების დაცვას, სისხლის სამართ. საკითხებს სასჯელის ზომა დამნაშავისა და დაზარალებულის კლასობრივი მდგომარეობის მიხედვით განისაზღვრებოდა.

სტეფანოზი – ქართლის რამდენიმე ერისმთავრის სახელი VI–VIII სს-ში – 1. სტეფანოზ I, ქართლის ერისმთავარის VI ს. (და VII-ის დასაწყისში დაახლოებით 590–591 – 604–605) ქართლის პირველი ერისმთავრის გურამ კურაპალატის ძე ატარებდა პატრიკიოზის ბიზანტიურ ტიტულს და იგი თავის ძმასთან – დეპეტრესთან ერთად იყო მცხეთის ჯვრის ეკლესიის ერთ-ერთი აღმშენებელი. მისი რელიეფური გამოსახულება დღემდეა შემორჩენილი ეკლესიის აღმოსაყლეთ ფასადზე. 2. სტეფანოზ II. ქართლის ერისმთავარი VII ს., რომელსაც დაუსრულებია მცხეთის ჯვრის ეკლესიის მშენებლობა, რომლის რელიეფური გამოსახულებაც დღესაც შემორჩენილია ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე. 3. სტეფანოზ III ქართლის ერისმთავარი 711–739. ატენის სიონის წარწერაში; მოხსიენებულია, როგორც მამფალი, „ქართველთა და მეგრელთა ერისთავთერისთავთა უფალი“ რაც აღმ. და დას. საქართველოს პოლიტიკურ მთლიანობაზე მიუთითებდა.

სტორნო (იტალ. ანგარიშის გადარიცხვა) – ბუხჰალტრული ანგარიშის გატარება, რომელიც როგორც წესი, გათვალისწინებულია შეცდომით წარმოებული ჩანაწერის გასასწორებლად.

სტრატეგოსი – (ბერძ. ჯარი და მივუძღვები) მხედართმთავარი ძვ. ბერძნულ პოლისებში ათენში ძვ. წ. 500-იდან 10 სტრატეგოსისაგან შემდგარ კოლეგიას ირჩევდნენ, ერთი სტრატეგოსი ჰოპლიტებს სარდლობდა, მეორე ფლოტს, მესამე ქვეყანას იცავდა, ორი პირეოსს. დანარჩენი რიგრიგობით ჯარს სარდლობდნენ. მას ირჩევდა სახალხო კრება ერთი წლის ვადით ფილეების მიხედვით. შეიძლებოდა განმეორებით არჩევაც.

სტრატიოტები – (ბერძნ.) გლეხთა კატეგორია ბიზანტიაში. ისინი სამხედრო ვალდე-

ბულები იყვნენ, რისთვისაც სახელმწიფოსაგან იღებდნენ ნაღდებს, რომელთა გასხვისება არ შეიძლებოდა. სტრატიოტები ჯარში იარაღდებოდნენ თავიანთი ცხენებითა და აღჭურვილობით. განთავისუფლებულნი იყვნენ ყველა სახ. ვალდებულებებისაგან, იხდიდნენ მხოლოდ სახ. მიწის გადასახადს.

სტუდენტი – (ლათ. გულმოდგინედ მომუშავე, მეცადინე) უმაღლესი სასწავლებლის (ზოგ ქვეყანაში – საშ. სპეც. სასწავლებლის, უმცროსი კოლეჯების) მოსწავლე ძვ. რომში, სტუდენტებს უწოდებდნენ ყველას, ვინც შემეცნებით საქმიანობას ეწეოდა.

სუბსიდია – (ლათ. დახმარება, მხარდაჭერა) –დახმარება, უპირატესად ფულადი. გაეწეოდა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს, სხვა სახელმწიფოებს.

სუბსტიტუცია – (ლათ. ერთს ვცვლი მეორით) – სამოქალაქო სამართალში, ანდერძში სათადარიგო მემკვიდრის დასახელება იმ შემთხვევისათვის, თუ ძირითადი მემკვიდრე არ მიიღებს სამკვიდროს. სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, სათადარიგო მემკვიდრეს იმ შემთხვევაში გამოიწვევენ, თუ ძირითადი მემკვიდრე სამკვიდროს გახსნამდე გარდაიცვლება ან უარს იტყვის სამკვიდროს მიღებაზე.

სუვერენი (ფრანგ.) – უმაღლესი ძალაუფლების მპყრობელი.

სუვერენიტეტი – (ფრანგ. უსენაესი ხელისუფლება) სახელმწიფო სუვერენიტეტი – სახელმწიფო ხელისუფლების უსენაესობა და დამოუკიდებლობა, რაც ვლინდება სახელმწიფოს საშინაო და საგარეო-პოლიტიკური საქმიანობის სათანადო ფორმაში. იგი პირველად შემოიღო ჟ. ბოდენმა XVI საუკუნეში სუვერენიტეტი ვლინდება სახელმწიფოს უფლებათა–სისტემაში, რაც ორიენტაციაა: სახელმწიფოს უფლებამოსილება დაამყაროს მართლწესრიგი საზ-ში, დააკისროს მოვალეობა და მიანიჭოს უფლებები თანამდებობის პირებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, მოქალაქეებსა და ა. შ.

სუპრე (ესპ) – ფულის ერთეული ეკვადორში; შემოიღეს 1884 წ. 1 ს = 100 სენტავოს.

სუპერსტრატი (ლათ. სუპერ-ფენა) – მოსული, დამპყრობი ხალხის ენა, რომელიც შერევის პროცესში გაელენას მოახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ენაზე, თვითონ კი ხმარებიდან გამოვიდა, აგრეთვე – დამპყრობთა ენის გადმონაშთები აბორიგენთა ენაში.

სუპერფიციესი (ლათ. ზედაპირი) – ზოგიერთი სახელმწი-

ფოს სამართალში – სხვის მიწაზე ნაგებობათა აშენებისა და დარგვის უფლება (სანიეთო სამართალი). სუპერფიციესი პირველად რომის სამართალში ჩამოყალიბდა. იჯარის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით სუპერფიციესი არაეითარი ვადით არ იზღუდებოდა. გადადიოდა მემკვიდრეობით და შეიძლებოდა გასხვისებულიყო მიწის მესაკუთრის თანხმობის გარეშე.

სურები – ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი დასავლეთ საქართველოში – გურიაში.

სუფრაჯი – საფარეშოს მოხელე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. სუფრაჯის ძირითადი მოვალეობა მეფის პირადი სამსახურის გამგებლობა იყო. ვახტანგ VI-ის დასტურლამალის მიხედვით სუფრაჯს მეფის სუფრის გაშლა ევალებოდა. იგი საპატიო , მეფის ხელშინაური მოხელე და მასთან დაახლოებული პირი იყო. იგი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა სამეფოს მმართველობაში. სუფრაჯის სახელო მსხვილ ფეოდალებს ეჭირათ (სუფრაჯი იყო მაგ. შადიმან ბარათაშვილი). სუფრაჯი დედოფალსაც ჰყავდა. სუფრაჯიანთა უბანი ერქვა თბილისის ერთ-ერთ უბანს.

სძიზმა (ბერძნ. დაყოფა, გაყოფა) – ქრისტიანული ეკლესიის გათიშვა კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებად.

სწავლულ კაცთა კომისია – ვახტანგ VI-ის თაოსნობით შექმნილი ჯგუფი სწავლულებისა, რომელსაც უნდა დაეწერა „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება, საქართველოს ისტორია XIV საუკუნიდან და საეკლესიო სარედაქციო სამუშაოები ამ კრებულში. სწავლულ კაცთა კომისიამ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებას წაუმძღვარა შესავალი, რომელშიც განმარტებულია სწავლულ კაცთა კომისიის შექმნის მიზეზი და მისი მუშაობის უმთავრესი შედეგები. კომისიამ სარედაქციო სამუშაოები XVIII ს. დასაწყისშივე დაამთავრა – XVI–XVII სს. ისტორია დაწერა კი – არაუადრეს 1721 წ.

სწორფრობა (ხევსურეთი) – წაწლობა (ფშაური) სიტყვა-სიტყვით – ტოლი და მსგავსი. ქალ-ვაჟის ერთად დაწვენის ჩვეულება. იგი სხვადასხვანაირი იყო. სწორფრობას ნანდაური ერქვა, როდესაც ქალ-ვაჟის ერთად დაწვენისას იოვალისწირებდნენ ურთიერთმოწორებას, სიყვარულს (პირს, რომელიც მათ შორის შუამავლობდა და მათ ერთად აწვენდა „ელჩი“ ეწოდებოდა). ს-ს წოლა – დგომა ერქვა. როცა მოწონების ფაქტორი არ მოქმედებდა და მას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ერთად შეიძლება დაწოლილიყვნენ ნათესავი ახალგაზრდები, თუ მათ ერთ-

მანეთის ნახვა უხაროდათ „დედა-შვილ-მამიდა-შვილი“ „სიძე-ცოლისძმა“ სწორფერთა ურთიერთობა მტკიცედ დადგენილ ნორმებს ექვემდებარებოდა, რომელიც გამორიცხავდა ინტიმურ ურთიერთობას. ამ წესის დამრღვევს სახელი უტყდებოდა. ნანდაურ სწორფერთა შორის ქორწინება აკრძალული იყო.

სხეულებრივი სასჯელი – სასჯელის ღონისძიება – მსჯავრდებულის დასახიჩრება ან მისთვის ფიზიკური ტკივილის მიყენება (ჩვეულებრივ საჯაროდ) წკეპლით, მათრახით ცემა, კიდურების მოკვეთა, ენის ამოგლეჯა და სხვა. მას ხშირად იყენებდნენ მონაღ ფეოდალურ და ფეოდალურ სახელმწიფოებში დამნაშავეთ მოსპობის, გლეხების და სხვათა მიმართ. განსაკუთრებით სასტიკი ს. ს.-ით გამოირჩევა „კაროლინა“.

სხეულის დაზიანება – დანაშაული, რომელიც გულისხმობს ადამიანის ორგანოებისა და ქსოვილების ანატომიური მთლიანობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ დარღვევას, გამოწვეულს ფიზიკური, ქიმიური ან ფსიქიური ზემოქმედებით. არა აქვს მნიშვნელობა, თუ რით არის გამოწვეული სხეულის დაზიანება. სხეულის დაზიანება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაში არ იწვევს, თუ იგი ნადენილია აუცილებელი მოგვრიების, დამნაშავეს დაკავების, უკიდურესი აუცილებლობის, ან სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც გამორიცხავს ქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათს. კანონი განსხვავებულ პასუხსმგებლობას აწესებს სხეულის მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანებისათვის.

სჯულდება – სჯულდება, შჯულისდება, კანონმდებლობა, სამართლის წიგნი ძვ. საქართველოში, ტერმინი სჯულდება ასახავს საკანონმდებლო პროცესს – გულისხმობს სჯულის „დადებას“ ანუ შედგენა – შემოღებას, მის „განწესებას სახელმწიფო სამართლის კანონმდებლობას (კერძოდ ვახტანგ VI-ის დასტურლამალს)“ სახელმწიფო სჯულდება ერქვა. სჯულდება ეწოდება იოანე ბატონიშვილის სახელმწიფოებრიეი რეფორმის პროექტს, აგრეთვე ალექსი მიხეილის ძის 1649 კანონთა კრებულის ქართულ თარგმანს.

„სჯულდება მეფისა და დიდი მთავრისა ალექსი მიხეილის ძისა“ – 1649 – რუსეთის სახელმწიფოს კანონთა კრებული. შედგება 25 თავისა და 967 მუხლისაგან. მისი პროექტი შეადგინა კომისიამ ნ. ოდოევსკის სელმძღვანელობით და დაამტკიცა საერობო ყრილობამ. „სჯულდებამ“ ასახა ქვეყნის

სერიოზული სოციალური – ეკონომიკური ძვრები, დააკმაყოფილა თავადაზნაურობისა და ქალაქის ზედა ფენის მოთხოვნები. იურიდიულად ჩაყოყრმა გლეხთა დაქვემდებარების პროცესი; შემამზადა მიწათმფლობელის განსამარტლების, მისი პიროვნებისა და ქონების განუსაზღვრელი განკარგვის უფლება. „სჯულდება“ აწესრიგებდა სასამართლოს ორგანიზაციასა და სამართალწარმოებას, სისხლის სამართლის საკითხებს. „სჯულდება“ XVII–XVIII სს. რუსეთში ფეოდალთა სამართლის ძირითად კოდექსს წარმოადგენდა.

სჯული, რჯული, შჯული (სამხართ. ისტ.), კანონი, წესი და ჩვეულება, სამართალი ძვ. საქართველოში. ტერმინი „სჯული“ წარმოდგა „სჯა“ ზმნისაგან და თავდპირველად ნაბჭობს, გადაწყვეტილს ნიშნავდა, განასხვავებდნენ „ბუნებით სჯულს“, „დაწერილ სჯულს“ ანუ კანონმდებლობას, „ეწერელ სჯულს“ და „სამოქალაქო სჯულს“. „სჯული“ უმეტესწილად საეკლესიო კანონწესების მნიშვნელობით იხმარებოდა. ამ დარგის ნორმათა კრებულს სჯულისკანონი, სამართალმცოდნეს კი მერწყულე ეწოდებოდა.

„სჯულის კანონი“ – კანონიკური კრებული, ბიზანტიურ-ბერძნული წარმოშობის საკანონმდებლო ძეგლი – ნომოკანონის ქართული რედაქცია, რომელსაც დამატებული ჰქონდა ქართული საეკლესიო სამართლის ნორმები. XI ს. ბოლოს ქართულ ენაზე გამოჩნდა კანონიკური კრებული „მცირე სჯულის კანონის“ სახელწოდებით, რომელიც ექვთიმე მთაწმინდელმა შეადგინა ბერძნული კანონიკური მწერლობის ხელმძღვანელობით წყაროს რედაქციული გადამუშავებისა და შიგ ქართული მასალის შეტანის გზით. კრებულის სახელწოდება თვით ექვთიმეს ეკუთვნის.

ტ

ტაიმ-ჩარტერი – საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება ხომალდის გარკვეული დროით დაქირავების (დაფრახტვის) შესახებ. ესე იგი ხომალდის არენდით მიცემა. ამ ხელშეკრულებით გემთმფლობელი კისრულობს ვალდებულებას გარკვეული ვადით და საფასურით მიაქირავოს გემი დამქირავებელს ტვირთის გადასატანად, მგზავრთა გადასაყვანად ან სავაჭრო ზღვაოსნობის სხვა მიზნით, ხოლო დამქირავებელი ვალდებულია გემი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და მიზნით და გემთმფლობელს გადაუხადოს საფასური ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ვადით (სას. კოდ. მუხ. 184–193).

ტაბარშკი – უმიწო გლეხი, რომელსაც არ გააჩნდა წარმოების საშუალებები. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ტაბარული ახალმოსული გლეხია. ისინი ძირითადად თაყიანობი მიწებიდან აყრილ-გაქცეული გლეხები იყვნენ, რომლებიც საარსებო მინიმუმის ძიებაში ხშირად იცვლიდნენ ადგილსამყოფელს.

ტალანტი – (ბერძ. თაყდაპირველად – წონა, სასწორი) – ბერძნული წონითი და ფულადი საანგარიშო ერთეული. ნასესხებია ბაბილონიდან. ტალანტი იყოფოდა 60 მინად და შეიცავდა 6000 დრაქმას ან 36 000 ობოლს. სოლონის რეფორმის შემდეგ (ძვ. წ. 594) ბერძნულ სახელმწიფოებში დამკვიდრდა ატიკური ტალანტი, რომლის მასა 26,2 კილოგრამი იყო. ტალანტი ფულად მიმოქცევაში არ იყო. იგი მხოლოდ საანგარიშო ერთეულს წარმოადგენდა.

ტალერი – ვერცხლის მონეტა. პირველად 1518 მოჭრეს ჩეხიაში. 1555-დან ფულის ერთეულად იყენებდნენ „საღვთო რომის იმპერიაში“, აგრეთვე პოლონეთში, შვეიცარიაში, საფრანგეთში და სხვა. თავდაპირველად შეიცავდა 29–29 გრამ სუფთა ვერცხლს. გერმანიასა და ავსტრიაში 1857 ტალერის მასა შეადგენდა 16,67 გრამს. 1871–73 გერმანიაში ფულის რეფორმის დროს ტალერი გაუთანაბრეს 3 ოქროს მარკას. მისი მოჭრა შეწყვეტილი იყო 1908-მდე, შემდეგ კი ისევ აღადგინეს 3 მარკის ნომინალური ღირებულებით.

ტალია – (ფრანგ.) – მუდმივი პირდაპირი გადასახადი, XV–XVIII საუკუნეების საფრანგეთში. თავდაპირველად ტალია ყმა გლეხების სენიორული გადასახადი იყო. ტალია ორი სახისა იყო. ჩრდილოეთ საფრანგეთში ე.წ. პირადი ტალია, რომელსაც იხდიდნენ მესამე წოდების წარმო-

მადგენლები და სამხრეთ საფრანგეთში „რეალური“ ანუ „ქონებრიული“ ტალია, რომლითაც იბეგრებოდა არათავადაზნაურული სტატუსის მქონე მიწა, მფლობელის წოდებრივი მდგომარეობის მიუხედავად. XVII–XVIII საუკუნეებში ტალიას ძირითადად გლეხები იხდიდნენ, გააუქმა საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ.

ტალიონი – (ლათ. დანაშაულის თანაზომიერი მისაგებელი) – სასჯელის პრინციპი, რომელიც წარმოიშვა გვაროვნულ საზოგადოებაში და გავრცელდა მონათმფლობელურსა და ფეოდალურ სამართალში. გამოისატებოდა ფორმულით: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“ – დაბრალებულს სწორედ იმასვე მიუსჯიდნენ, რა ენებაც მიაყენა მან დაზარალებულს. ტალიონი სისხლის აღების შეზღუდვისაკენ იყო მიმართული. იგი ყველაზე მკაფიოდ არის გამოხატული ხამურაბის კანონებში.

ტანტიემი – (ფრანგ. წილი, ნაწილი) – დაჯილდოების ერთერთი ფორმა. ჯილდო მოგებიდან ეძლევა სააქციო საზოგადოების, სადაზღვევო კომპანიების, ბანკების და სხვა კაპიტალისტური საწარმოების გამგეობის წევრებსა და დირექტორებს. რაოდენობას განსაზღვრავენ წმინდა მოგების რაოდენობის მიხედვით (პროცენტობით).

ტანუტერი – (სომხური – ტანუტერ მამასახლისი) – ფეოდალური სომხეთის ნახარარების წრეში ერთდროულად მეფის მოხელეც და გვარის ან დიდი ოჯახის მეთაურიც. XII საუკუნეში ქართულიდან სომხურად თარგმნილ „ქართლის ცხოვრებაში“ ქართველ მამასახლისს სომხური ტანუტერი შეესატყვისება. ბაგრატ IV-ის სიგელში (დაახლოებით 1072) მოხსენიებულია ტაოსა და კლარჯეთის ტანუტერები, რომლებიც აქ ერისთავებზე უფრო მცირე მოხელეებად მოიაზრებიან. მათ ნაცვლისა და მამასახლისის მსგავსი ფუნქციები უნდა ჰქონოდათ.

ტარიფი – (ფრანგ.) – განაკვეთების სისტემა, რომლის მიხედვით ანაზღაურდება მომსახურების საფასური. უფრო გავრცელებულია სატრანსპორტო ტარიფი, კავშირგაბმულობის ტარიფი, კომუნალური მომსახურების ტარიფი და საბაჟო ტარიფი.

ტარული – (მოხლ. დარეული) – მოურავი XVI–XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში. სახელწოდება შემოვიდა ირანიდან, სადაც ტარეული პოლიციის უფროსი იყო და გადასახადის აკრეფაშიც მონაწილეობდა (ამ თანამდებობაზე ქართველებიც იყვნენ. კერძოდ, ისპაჰანის ტარუღები როსტომ დაუდ ხანის ძე, ერეკლე I და მისი შვილი კონსტანტინე) სათანადო წყაროებში

იხსენიება „ქალაქის“ (თბილისის, გორისა და „ალგეთის პირის“) ტარუღები, აგრეთვე თელავის ბაზრის ტარუღობა ფარეშხანის ტარული, დიდი მეჯლისის დროს სამეფო სუფრის ცაშლაში მოწილეობდა. ტარუღის სარგოს „სატარუღო“ ეწოდებოდა.

ტაძრეული, ტაძრობილი – მეფის ან მთავრის კარის არათავისუფალი მსახურეული პირი, „შინაური“ ძველ საქართველოში. ფეოდალიზაციის პროცესში ტაძრეულთა რიგებს შეემატნენ არისტოკრატთა წრის წარმომადგენლები. ძველ ტაძრეულთა ზედაფენაც ფეოდალებად იქცა და ჩამოყალიბდა მეფის კარზე მუდმივად მყოფი მსახურეული პირების წრე – იგივე „დარბაზის ერი“, „ერი პალატისა“, „შინაურნი“. XI–XV სს-ში ტაძრეულნი ეჯიბის ხელქვეითნი იყვნენ. მაღალი რანგის ტაძრეულად „დაწესება“ საგანგებო ცერემონიალით ხდებოდა. „ტაძრეულები“ შეადგენდნენ „მუდმივ ჯარს მეფის კარზე“ მეფის ძირითად სამხედრო დასაყრდენს დასავლეთ ევროპაში ტაძრეულს შეესატყვისებოდა „პალატინი“.

ტახტის მემკვიდრეობა – სამეფო ხელისუფლების მემკვიდრეობის წესი. ცნობილია ტახტის მემკვიდრეობის წესები: მეფის არჩევა, მეფის მიერ თავისი მემკვიდრის წინასწარ შერჩევა, გარდაცვლილი მეფის უახლოესი მემკვიდრის კურთხევა. საქართველოში მეფედ სავარძლის მამას, ვინც სამეფო საგვარეულოში წინამორბედი მეფის ცოცხალსა მახლობელი ნათესავი და წლიურებით უხუცესი იყო. გართიანებულ ფეოდალურ საქართველოში კი, როგორც წესი ტახტის მემკვიდრეობა პირმშოობის ემყარებოდა. თუ მეფეს მხოლოდ ასული ჰყავდა, იგი „ძედ“ და მემკვიდრედ ითვლებოდა. ქართველ მეფეებს ხშირად მემკვიდრეები თაყვანი სიცოცხლეშივე ჰქონდათ ტახტზე „თანამოსაყდრედ“. მეფე ქალი ტახტზე მაჩაკაცის უფლებებით სარგებლობდა, ტახტის მემკვიდრეს თავის გვარს აძლევდა, ხოლო მის ქმარს საკუთარი გვარის ესე იგი ახალი დინასტიის დამკვიდრების უფლება აღკვეთილი ჰქონდა.

ტემპერამენტი – (ლათ. ნაწილების სათანადოდ შეხამება) – ინდივიდის კომპლექსური დახასიათება მისი ფსიქიკური მოქმედების დინამიკური თვისებების, ე.ი. ცალკეული ფსიქიკური პროცესებისა და მდგომარეობის ტემპის, რიტმის, ინტენსიურობის მიხედვით.

ტენდენცია – (ლათ. წარვმართავ, მივისწრაფვი) – 1. რისიმე განვითარების მიმართულება, რაიმესადმი მისწრაფება, მიდრეკილება; 2. წინასწარი შემუშავებული, ცალმხრივი აზრი, რომელსაც

თავს ახვევენ მკითხველს, მსმენელს. ტენდენციური – ცალმხრივი, მიკერძოებითი.

ტენი, თენი – (ლათ.) – მსახურეული, წარჩინებული, ან ანგლოსაქსურ ინგლისში, მეფის რაზმეულის წევრი. ტენები მიწის ნაკვეთს რაინდული სამხედრო სამსახურისათვის იღებდნენ. თუ სამფლობელო სამი თაობის განმავლობაში ტენს ეკუთვნოდა, იგი მემკვიდრეობითი რაინდის უფლებას იღებდა.

ტერიტორიული ჯარები – საჯარისო ფორმირებანი, რომლებიც მშიდობიანობის პერიოდში ტერიტორიულ სამილიციო მოწყობის საფუძველზე იქმნება. სსრკ-ში არსებობდა 1923–38.

ტერიტორიული წყლები – (ტერიტორიული ზღვა) – საზღვაო ზოლი, რომელიც აკრავს სახელმწიფო ნაპირებს და რომელზედაც ვრცელდება ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტი. სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს თავისი ტერიტორიული წყლების სიგანეს საერთაშორისო სამართლის ჩვეულებით დამკვიდრებული ზოლის ფარგლებში (3-დან 12-მდე საზღვაო მილი), რომელიც აითვლება ზღვის უკიდურესი მიქცევის ხაზიდან. საქართველოს ტერიტორიულ წყლებს მიეკუთვნება შავი ზღვის სანაპირო წყლების ის ნაწილი, რომლის სიგანეა 12 საზღვაო მილი და აითვლება იმ წერტილების შემაერთებელი სწორი ამოსავალი ხაზებიდან, რომელთა კოორდინატებს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი (საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი წყლის შესახებ, მუხ. 2).

ტერმინი – (ლათ. ზღვარი, საზღვარი) – სიტყვა ან შესიტყვება, რომელსაც იყენებენ რომელიმე სპეციალური დარგის ცნების ან სპეციალური საგნის აღსანიშნავად.

ტერმინოლოგია – მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების რომელიმე დარგში ხმარებული ტერმინთა ერთობლიობა.

ტერორისტული აქტი – პოლიტიკური მიზნით სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის სიცოცხლის ხელყოფა ანდა სხვა ძალადობა მის მიმართ. ტერორისტულ აქტად მიიჩნევა აფეთქება, ცეცხლის წაკიდება, იარაღის გამოყენება ან სხვა ქმედება, რაც ქმნის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის ან სხვა მძიმე შედეგების გაერცელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს სტრატეგიულ, პოლიტიკურ, ან ეკონომიკურ ინტერესს, ჩადენილი მოსახლეობის დაშინების ან ხელისუფლების ორგანოზე

ზემოქმედების მიზნით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე. უფრო მკაცრად ისჯება ტერორისტული აქტი, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში: ჯგუფურად, არაერთგზის, მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით, სადაც სასჯელად გამოყენებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით თორმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ამან გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თხუთმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთით. კანონმდებლობით ტერორისტული აქტი საშიში სახელმწიფო დანაშაულია და მძიმედ ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც ხელისუფლების ორგანოს დროული გაფრთხილებით ან სხვაგვარი ხელის შეწყობით ტერორისტულ აქტს თავიდან აცილებს და თუ მის ქმედობაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები (სსკ., მუხლი 323).

ტექნიკური დოკუმენტაცია – ისეთი გრაფიკული და ტექსტიანი დოკუმენტების სისტემა, რომლებსაც იყენებენ სამრეწველო ნაკეთობების კონსტრუირების, დამზადებისა და ექსპლუატაციის, აგრეთვე შენობანაგებობებათა დაპროექტების აგებისა და ექსპლუატაციის დროს.

ტექნიკური ენციკლოპედიები და ლექსიკონები – სამეცნიერო-საცნობარო გამოცემები, რომლებშიც მოცემულია სისტემატიზებული ცნობები ტექნიკის, ტექნიკურ და მომიჯნავე მეცნიერებათა დარგების შესახებ.

ტექნოკრატია – (ბერძნული ხელოვნება, ხელოსნობა, ოსტატობა და ძალაუფლება, ბატონობა) – XX ს. ბურჟუაზიული სოციოლოგიის ცნება, რომლის მიხედვით, კაპიტალისტურ საზოგადოებაში ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი შეადგენს, ინდუსტრიული საწარმოების მთავარ მამოძრავებელ ძალას, რის გამოც ძალაუფლებაც მასვე უნდა ეკუთვნოდეს.

ტეხანი – (დიდი ხანი) – კორეის სახელმწიფოს სახელწოდება 1897-დან 1910-მდე. (კორეის იმპერიად გამოცხადებიდან იაპონიის მიერ კორეის ანექსიამდე) ისტორიულად იგი დაკავშირებულია „სამ ხანთან". ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისთან. 1948 სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე ე.წ. კორეის რესპუბლიკის შექმნასთან დაკავშირებით ტერმინი ტეხანი კორეის სახელწოდების შემადგენელი ნაწილი გახდა.

ტიბა – პრეფექტურა იაპონიაში, კანონისუს სამხრეთ ალმოსავ-

ლეთ სანაპიროზე. უმთავრესად ბოსიოს ნახევარკუნძულზე.

ტიპიკონი – (ბერძ.) – ქრისტიანული ღვთისმსახურების გარკვეული და სავალდებულო წესის შემცველი ლიტურგიული წიგნი. ცნობილია ორი სახის წესი ანუ ტიპოსი – სამრეველო და სამონასტრო. საქართველოში მოქმედებდა ორი სამრეველო წესი: იერუსალიმისა ანუ ქრისტეს საფლავისა და კონსტანტინოპოლის წმინდა სოფიოს ტაძრის ანუ დიდი ეკლესიისა. ტიპიკონი მღვდელმსახურთა სახელმძღვანელოა, რომელიც შეიცავს ღვთისმსახურების შესრულების წესებსა და მითითებულ უძრავ და მოძრავ დღესასწაულთა განგებების შეთანხმების შესახებ. ამას ემატება დისციპლინური წესები მონაზონთათვის.

ტიპური – (ბერძ. ნიმუში), – ნორმალური, სანიმუშო, ობიექტური სამყაროს მოცემული სისტემისთვის ყველაზე მოსალოდნელი.

ტირანი – (ბერძ.) – 1) ძველ საბერძნეთსა და XII–XVI საუკუნის იტალიის ქალაქ რესპუბლიკებში პირი, რომელმაც ძალმომრეობით ჩაიგდო ხელში ძალაუფლება. 2) მკაცრი, სასტიკი მმართველი, რომელიც მოქმედებს თვითნებურად და ძალადობით, დესპოტი. 3) გადატანითი მნიშვნელობით, მკაცრი ადამიანი, მზაგერელი, მტანჯველი.

ტირანია – (ბერძნ.) ძველ საბერძნეთში სახელმწიფო ხელისუფლების ფორმა, რომელიც ძალმომრეობით იყო დაწესებული და ერთპიროვნულ მმართველობას ემყარებოდა. ცნობილია ტირანიის რამდენიმე ტიპი: ადრინდელი ბერძნული ტირანია, პროპარსული ტირანია, და გვიანდელი ბერძნული ტირანია.

ტირნოვოს კონსტიტუცია – 1879 – ბულგარეთის კონტიტუცია. მიიღო ბულგარეთის დამფუძნებელმა კრებამ 1879 წლის 16 აპრილს, ტირნოვოში. ბულგარეთის ოსმალეთის იმპერიისაგან განთავისუფლების შემდეგ. ტირნოვოს კონსტიტუციით დამყარდა ადამიანთა თანასწორუფლებიანობა კანონის წინაშე, გაუქმდა ყოდებებად დაყოფა, 21 წლის ყველა მამაკაცს მიენიჭა სარჩევნო ხმის უფლება, შემოღებული იქნა თემების თვითმმართველობა, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, სავალდებულო უფასო დაწყებითი სწავლება, ერთპალატიანი პარლამენტი ე.წ. ჩეუულებრივი სახალხო კრება, სახელმწიფოს მეთაური იყო მემკვიდრე – მთავარი (1908-იდან მეფე).

ტიტული – (ლათ. წარწერა, სათაური წოდება) – 1. ფეოდალურ ან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საგვარეულო ან ნაბოძები ოფიციალური სათაური წოდება; მიანიშნებს პრივილეგიურობაზე;

მოითხოვს სათანადო მიმართვას (თქვენო აღმატებულებავ, ბრწყინვალებავ, უწმინდესობავ). 2. ოერიდიულად რაიმე უფლების საყურადღებო; განსაკუთრებული ქმედებაზე ოფი (ვალდებულ კოდექსებსა და კანონში; 3. ელექტრომიკური კაბინეტის მშენებლობის ხარჯთაღრიცხვის დასახელება იმ ობიექტების მიხედვით, რომლებიც სატენდერო სიებშია შეტანილი.

ტიტული – (ლათ. წარწერა. სათაური) – სატიტულო ფურცელი, თავფურცელი – წიგნის პირველი გვერდი (გვერდები), რომელზეც დაბეჭდილია გამოცემის ძველა ძირითადი ცნობა: წიგნის სახელწოდება, გამოცემის ადგილი, წელი და სხვა. ტიტული შეიძლება იყოს ანაწყობი, რეპროდუქციული და კომბინირებული. სტრუქტურის მიხედვით იგი ორგვარია ცალმაგი და ორმაგი (გაწაწაღიანი).

ტობანიერის ბანძი – კერცხლის მონეტების განძი, (შემორჩენილია 215 ც.), რომელიც 1927 აღმოაჩინეს სოფელ ტობანიერში (ვანის რაიონში). უმეტესობა (186 ც.) ტრაპეზუნტის ასპრებია, რომელიც მოჭრილია იმპერატორების იოანე I-ის (1235–38, 4 ც.), მანუელ I-ის (1238–63, 56 ც.), იოანე II-ის (1280–97, 125 ც.), იოანე II-ისა და ალექსი II-ის (1297-მდე 1 ცალი) მიერ. განძის 27 მონეტა განეკუთვნება ე.წ. კირმანეულის კატეგორიას, რომლის ემისია დასავლეთ საქართველოში წარმოებდა. 1 მინცხეთური (1232/33), 1 – ჯულაგიანია (1281–82). განძი ნაყრილი უნდა იყოს XIII=XIV საუკუნების მიჯნაზე. დაცულია ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმში.

ტრადიცია – (ლათ. გადმოცემა) – ადამიანთა ქცევის ისტორიულად დამკვიდრებული წესი, რომლითაც თაობას გადაეცემა და ჩვეულების სახით ელინდება საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში.

ტრანზიტი – (ლათ. გავლა) – ტვირთის გადაზიდვა და მგზავრთა გადაყვანა ქვეყნის შიგნით, ერთი პუნქტიდან (სადგურიდან) მეორეში შუალედური პუნქტების გაყლით და აგრეთვე ერთი ქვეყნიდან მეორეში სხვა ქვეყნის ტერიტორიის გავლით.

ტრანსფერტი, ტრანსფერი – (ფრანგ. გადაძაქვს, გადავაადგილებ) – 1. უცხოური ვალუტის ან ოქროს გადატანა ერთი ქვეყნიდან მეორეში. 2. სახელობითი ფასიანი ქაღალდის ფლობის უფლების გადაცემა (ჩვეულებრივ, გადაცემის წარწერის – ინდოსამენტის მეშვეობით). 3. ფეხბურთელის თანხმობით მისი გადასვლა–ჩარიცხვა, ერთი საფეხბურთო გუნდიდან მეორეში შესაბამისი სატრანსფერო თანხის გადახდით გარკვეულ პერიოდში და ა.შ.

ცალკეული ტერიტორიისათვის, ყორმისათვის, ოჯახისათვის-ფულის გადაცემა სუფსიდიების (გრანტების) ფორმით.

ტრანსფერტული ოპერაცია – ფულის გადაგზავნა ერთი საფინანსო დაწესებულებიდან მეორეში, ან ფასიანი ქაღალდების გადაცემა ერთი მფლობელიდან მეორის სახელზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

ტრანსფერული აგენტი – ტრანსფერული ოპერაციის განმახორციელებელი პირი.

ტრანში – საერთაშორისო საობლიგაციო სესხის სერია და ნაწილი, რომელიც გამოშვებულია ბაზრის კონიუქტურის გაუმჯობესებისათვის ან სხვადასხვა ქვეყნის სასესხო ბაზრებზე სესხის განთავსებისათვის.

ტრაპეზი – (ბერძნ. სუფრა, მაგიდა) – 1. საკურთხეველის ტახტი ეკლესიაში, იგივეა რაც საკურთხეველი; 2. მაგიდა, სუფრა; 3. ნადიმი, სადილი, წეწულება.

ტრაპეზიტი – (ბერძნ. ზარაფხი) – ძველ საბერძნეთში – პიროვნება, ზარაფხი, რომელიც ცვლიდა, ინახავდა, სესხად იძლეოდა ფულს. იღებდა სარგებელს დიდი რაოდენობით (10–12-დან 36%-მდე). გირაოდ იტოვებდა მსესხებლის მოძრავსა და უძრავ ქონებას. პირველად გამოჩნდნენ VI საუკუნეში. ძველ რომში მათ არგენტარიებსა და ნუმულარიებს უწოდებდნენ.

ტრასოლოგია – (ფრანგ.) – კრიმინალისტიკის დარგი, რომელიც შეისწავლის კვალს და შეიმუშავებს მისი გამოვლენის, ფიქსაციის, ამოღებისა და გამოკვლევის სპეციალურ ხერხებს, მეთოდებსა და სამეცნიერო ტექნიკურ საშუალებებს ადამიანის ან ობიექტის იდენტიფიკაციის მიზნით. განასხვავებენ ადამიანის, დანაშაულის იარაღის, ხელსაწყოებისა და საწარმოო მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებების კვალს. ტრასოლოგიური ექსპერტიზა საშუალებას იძლევა დადგინდეს, რომ დანაშაულის ადგილზე გამოვლენილი თითის ანაბეჭდი ან ნაფეხური ამა და ამ ადამიანისაა.ტრასოლოგიური შედარებითი ანალიზი.ტარდება მიკროსკოპებით, ფოტოგრაფირებითა და სხვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. ტრასოლოგიურ ექსპერტიზას იყენებენ სისხლის სამართლის საქმეში. ექსპერტიზის შედეგები ფორმდება ექსპერტის დასკვნის სახით, რომელიც სასამართლო მტკიცებულებად განიხილება.

ტრაქტატი – (ლათ. განხილვა) – 1. სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც ავტორი საკითხისადმი (პრობლემისადმი) თავის მიდგომას მსჯელობის ფორმით გამოხატავს. 2. საერთაშორისო ხე-

ლშეკრულება, შეთანხმება. რომელიც აწესრიგებს პოლიტიკური ხასიათის საკითხებს. მაგ. რუსეთ-საქართველოს 1783 მფარველობითი ტრაქტატი.

ტრენაჟერი – (ინგ. წვრთნა, სწავლება) – 1. მოსწავლის მიერ პროფესიული ჩვევების გამომუშავების პროცესში მისი ოპერაციობრივი მოქმედების საკონტროლო მანქანა, რომელსაც იყენებენ მანქანაზე წერის, სტენოგრაფიის, მანქანის მართვისა და სხვ. შესწავლისას. 2. მუშა ჩვევების გამოსამუშავებელი ან მყრინავებისა და კოსმონავტების საწვრთნელი მოწყობილობა.

ტრესტი – (ინგ. სიტყვა სიტყვით ნდობა) – 1. კაპიტალისტური მონოპოლიის ფორმა, რომლის დროსაც მასში გაერთიანებული ყველა საწარმო კარგავს თავის კომერციულ და საწარმოო დამოკიდებულებას და ექვემდებარება ერთიან მართვას. იგი წარმოიშვა ამერიკაში და პირველი ტრესტი იყო ჯ.დ. როკფელერის მიერ 1879 შექმნილი გაერთიანება „სტანდარტ ოილი". იგი მოიცავდა ნავთობის მრეწველობის დიდ ნაწილს აშშ-ში.

ტრიბუნალი – (ლათ. სამსჯაროო) – განსაკუთრებული სასამართლო. 1. საფრანგეთში რევოლუციური საგანგებო სასამართლო საფრ. დიდი რევოლუციის დროს. 2. სსრკ-ში სასამართლოები, რომლებიც 1917 დაწესდა სახკომსაბჭოს დეკრეტით კონტრრევოლუციასა და ყველაზე უფრო საშიშ დანაშაულთან საბრძოლველად. 3. მსოფლიო ომის დროს 1939– 1945 მოკავშირე სამხედრო დამნაშაულეთა დევნისა და დასჯის საერთაშორისო სასამართლო ორგანო. 4. სოგიერთ ბურჟ. ქვეყნის სასამართლო სისტემაში პირველ ინსტანციის სასამართლო და საპელაციო ინსტანცია სამომრიგებლო სასამართლოების მიერ განხილული საქმეებისათვის.

ტრიბუნი – (ლათ.) – 1. სხვადასხვა თანამდებობის პირი ძვ. რომში. სახალხო (პლებსის) ტრიბუნი – უმაღლესი არჩევითი თანამდებობის პირი (პლებეებიდან), რომელსაც ჰქონდა პატრიციების მაგისტრატებისა და სენატის საქმეში ჩარევის და ვეტოს უფლება. სახალხო ტრიბუნს (თავდაპირველად 2 ან 4–5, შემდეგ 10) ყოველწლიურად ირჩევდნენ. მისი თანამდებობა უსასყიდლო იყო, ხოლო – პიროვნება ხელშეუხებელი. ტრიბუნს არ შეეძლო მთელი დღით სახლიდან გასვლა და კარი (ღამითაც კი) ღია უნდა ჰქონოდა. 2. გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, რომელიც კარგ ორატორად ითვლება, თავის გამოსვლებში იცავს რომელიმე სოც. ჯგუფის ინტერესებს.

ტრილიონი – (ფრანგ.) – ათასი მილიარდი, რიცხვი რომელ-

იც გამოისახება ერთიანითა და 12 ნულით, ან კი რიცხვი 10 მე-12-ე ხარისხში. სოგიერთ ქვეყანაში ტრილიონს უწოდებენ რიცხვს 10 მე-18-ე ხარისხში.

ტრიუმვირატი – ძვ. რომში სამი კაცისგან შემდგარი კოლეგია, რომელსაც ნიშნაედა ან ირჩეედა სახალხო კრება ან სენატი რაიმე საგანგებო დავალებით (კანონების ჩაწერა, მიწების განაწილება, მომრიგებლობა, ელჩობა და სხვა). I ს-ში სამოქალაქო ომის დროს სამი გაელენიანი პოლიტიკური მოღვაწისა და მხედართმთავართა ამგვარი კავშირი იქმნებოდა სახელმწიფო ძალაუყლების მიტაცების მიზნით.

ტუსაღობა – სასჯელის სახე, რაც ნიშნავს მსჯავდებულის საზოგადოებისაგან მკაცრ იზოლიაციას. ეს სასჯელი ინიშნება ერთიდან ექვს თვემდე ვადით. ტუსაღობა არ დაენიშნება იმას, ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისთვის არ შესრულებია თექვსმეტი წელი, პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს, ორსულ ქალს, აგრეთვე, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი. (სსკ. მუხ. 48).

ტყვის სყიდვა – ფეოდალურ საქართველოში ეს ტერმინი რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება. 1. ყმა გლეხის კომლის წევრების ცალ-ცალკე და უმიწოდ გაყიდვის „ტყვედ გასყიდვა“ ერქვა. განსაკუთრებულად, მძიმე დანაშაულის შემთხვევაში ბატონი გლეხის კომლს შლიდა და მის წევრებს „ტყვეებად“ ჰყიდდა. ასე გაყიდული გლეხი „ნასყიდის“ სტატუსს იძენდა. 2. ტყვის ყიდვის ყველაზე მძიმე, მახინჯი ფორმა, რომელიც საქართველოში გეიანდელ შუა საუკუნეებში გავრცელდა და ფეოდალური სამართლის უხეშ დარღვევას წარმოადგენდა, იყო ადამიანის უცხოეთში გაყიდვა.

ტყის ტაქსაცია – (ლათ. შეფასება) – ტყის აღწერა მისი ყოველმხრივი მატერიალური შეფასება და ნარგაობათა ტექნიკური დახასიათების შედგენა. მისი ხნოვანების, მერქნის მარაგის, ცალკეული ხეებისა და მათი ნაწილების ნამატისა და მოცულობის განსაზღვრა. სატყეო მეურნეობაში აღრიცხვის ობიექტებია ტყის ერცელი მასივები, რაც მონაკვეთებადაა დაყოფილი.

ტყით სარგებლობა – სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ტყის ფონდის სასარგებლო თვისებების გამოყენება და ამ ფონდის ტერიტორიაზე არსებული ეკონომიკური და სხვა ღირებულების მქონე რესურსების მოპოვება. ტყით სარგებლობის სახეებია: ხე-ტყის დამზადება, პლანტაცი-

ური მეურნეობის წარმოება, ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და მეორეხარისხოვანი მასალების დამზადება, სასოფლო-სამეურნეო მიზნით სარგებლობა, საკურორტო, სპორტული და სხვა კულტურულ–გამაჯანსაღებელი მიზნით სარგებლობა.

ტყით მოსარგებლე შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი. ტყის ფონდი გაიცემა მოკლევადიანი (1 წლამდე, მათ შორის, სეზონური) და გრძელვადიანი (20 წლამდე) სარგებლობით საათვის (ტყ. კოდ. მუხ. 50–53).

ტყის კოდექსი – კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტი, რომელიც აწესრიგებს ტყის ფონდის და მისი რესურსების მოვლასთან, დაცვასთან, აღდგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. საქართველოს ტყის კოდექსი მიღებულია 1999 წლის 22 ივნისს და ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე. კოდექსი შედგება 36 თავისა და 120 მუხლისაგან.

უ

უარზანგობა – საუპატიო, უპატიობის საზღაური გიორგი ბრწყინვალის სამართალში. „უარზანგობის“ ოდენობა დამოკიდებული იყო „სისხლის“ ოდენობაზე და მის 1/40 ნაწილს შეადგენდა. მაგ.: აზნაურთა, ხევისბერთა უარზანგობა 150 თეთრი იყო.

უბატონო თემები – დაღესტნელი ყუმუხალების მიერ აღმოსაველეთ კახეთის ტერიტორიაზე XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ჩამოყალიბებული ხუნძებისა და ჭახების თავისუფალი თემების აღმნიშვნელი ტერმინი, რომლებიც შეიქმნენ XVI–XVII საუკუნეებში ოსმალ-ყიზილბაშთა და დაღესტანელ ლეკთა განუწყვეტელი შემოსევებისა და რბევა-თარეშის შედეგად კახეთის სამეფოს ჩრდილო აღმოსავლეთით. ამოწყვეტილი ქართული მოსახლეობის ადგილი დაღესტნელმა ლეკებმა დაიკავეს და კახელი გლეხები თავიანთ ყმებად გაიხადეს. ამის შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრდა უბატონო თემების სახელწოდება.

უბირთვო ზონა – საერთაშორისო სამართალში დემილიტარიზებული ზონა, სადაც აკრძალულია ატომური და თერმობირთვული იარაღის წარმოება და განლაგება. უბირთვო ზონის შექმნა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მშვიდობისა და უშიშროების ერთ-ერთი ფორმაა.

უბიხები – (საკ. სახელმწიფო – ფახი – თეახი) – ხალხი, ენით, კულტურითა და ყოფით ენათესავებიან აფხაზებს, ადიღებს, ჩერქეზებს. XIX საუკუნის სამოციან წლებამდე ცხოვრობდნენ შავი ზღვის კავკასიის სანაპიროზე მდინარეებს შახესა და სოჭს შორის. მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მებაღეობას და გადარეკვით მეცხოველეობას. 1864 გადასახლდნენ თურქეთში, სადაც თანდათან შეერწყნენ იქვე გადასახლებულ ჩერქეზულ და აფხაზურ ტომებს.

უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად აღიარება – სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც მოქალაქე აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, რაც ხდება საფუძველი, რომ, უგზო-უკვლოდ დაკარგულის ქონება მინდობილი საკუთრების სახით სამართავად გადაეცეს კანონით მემკვიდრეს (სამ. საპ. კოდ. მუხ. 320). ხოლო პირი შეიძლება სასამართლოს წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახ-

ებ, აგრეთვე, თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც, მას სიკვდილს უქადდა, ანდა საგარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება. (ს.კ. მუხ. 22).

უდავო გადახდევინება – ფულადი თანხის გადახდევინება სასამართლოში; არბიტრაჟსა და ქონებრივი დავის განმხილველ სხვა ორგანოებში მიმართვის გარეშე. იგი ხორციელდება ბანკის მეშვეობით – ორგანიზაციის ანგარიშებიდან სათანადო ფულადი თანხის ჩამოწერის გზით, მოქალაქეებისაგან კი – ხელფასიდან, პენსიიდან და სხვა. გამოქვითვით ან ქონებიდან გადახდევინების გზით (სააღსრულებო საბუთების მიხედვით) უდავო გადახდევინების საფუძველია გადამხდევინებლის განკარგულება (როცა მას ეს უფლება მინიჭებული აქვს კანონით ან ხელშეკრულებით), ადმინისტრაციული ორგანოების მიწერილობა, აგრეთვე ნოტარიული სააღსრულებლო წარწერა უდავო ფულადი დავალიანების საბუთებზე (მაგ.: ბინის ქირის დავალიანება).

უდავო წარმოება – სამოქალაქო პროცესში იმ საქმეთა განხილვა, რომლებიც სასარჩელო მოთხოვნასთან არიან დაკავშირებული (იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტები, უგზო-უკვლოდ დაკარგულად და გარდაცვლილად გამოცხადება და ა.შ.).

უდავო წარმოების წესით საქმეების განხილვა ხდება საერთო წესით, კანონით დადგენილი სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით (სამ. საპ. კოდ. 310–311).

უდანაშაულობის პრეზუმფცია – (ლათ. ვარაუდი) – სამართლის პრინციპი, რომლის მიხედვითაც ყოველი ეჭვმიტანილი, ბრალდებული (განსასჯელი) უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მისი ბრალეულობა არ დადასტურდება კანონით განსაზღვრული წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენით. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. უდანაშაულობის პრეზუმფციის მიზანია, ეჭვმიტანილის, ბრალდებულის უფლებათა რეალური გარანტია, დაცვის უფლების განხორციელება, უკანონოდ და დაუსაბუთებლად პირის პასუხისმგებლობაში მიცემისა და გასამართლების თავიდან აცილება. უდანაშაულობის პრეზუმფცია აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით (მ. 40).

უზენაესი სასა-

მართლებები – უმაღლესი სასამართლოების საერთო სახელწოდება შუა საუკუნეების ინგლისში. ტერმინი „უესტმინსტერის სასამართლოები“ დაკავშირებულია ინგლისის მეფის რეზიდენციასთან და პირველად გაჩნდა XII საუკუნის ბოლოს. უესტმინსტერის სასამართლოებს მიეკუთვნება სეფემერხის სასამართლო (განიხილავდა სისხლის სამართლის საქმეებს), საერთო დაკათა სასამართლო (განიხილავდა ფინანსურ საქმეს). ისინი ხელმძღვანელობდნენ ე.წ. საერთო სამართლით და უპირატესად უმნიშვნელოვანეს საქმეებს განიხილავდნენ. კერძო პირი უესტმინსტერის სასამართლოს კანცლარიის ნებართვით მიმართავდა. ასეთი წესის გაელენით XV საუკუნეში ცალკე ჩამოყალიბდა კანცლერის სასამართლო, რომელსაც შემდგომ თვით უესტმინსტერის სასამართლოებიც შეუერთდნენ.

უესტმინსტერის სტატუტები – ინგლისის ფეოდალური სახელმწიფოს რამდენიმე სხვადასხვაგვარი საკანონმდებლო აქტისა და ინგლისის პარლამენტის 1931 აქტის საერთო სახელწოდება. ინგლისის ფეოდალური სამართლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა 1275, 1285, 1290 და 1295 სტატუტები, რომლებიც გამოსცემს მსხვილი ფეოდალებისა და ნაწილობრივ ვაჭართა ინტერესების უზრუნველყოფის, აგრეთვე მეფის ხელისუფლების გაძლიერების მიზნით. სტატუტები აწესრიგებდნენ სააღგილმამულო ურთიერთობებს, შეიცავდნენ სამოქალაქო, სისხლისა და საპროცესო სამართლის კანონისტურ ნორმებს.

უზბაში – (თურქ.) – ასეულის მეთაური, ასისთავი. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, როსტომ დაუთ-ხანის ძემ „ყიზილბაშთა რიგსე“ ასისთავად აზნაურნი უწოდა. ვახტანგ VI-ის მიერ დაწესებული 120 კაციანი რაზმი სამი წოდებისა – თავადიშვილებისაგან, აზნაურებისაგან და აზნაურ-მსახურებისაგან შემდგარ 40– 40 კაციან ქვერაზმად იყოფოდა და თვითოეულს უზბაში მეთაურობდა. სამივე უზბაში, ვახტანგ მეფის დასტურდამალის მიხედვით, ყულარაღასს, ხოლო XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მინბაშს ემორჩილებოდა.

უზალთუნი – (თურქ. ასი ალთუნი) – ყერცხლის მონეტის სახელწოდება. ქართულ წერილობით წყაროებში ჩნდება XVIII საუკუნიდან, აღნიშნავს ირანული აბაზის სისტემის მონეტას – მაზმუდს ანუ 2 შაურს. შეიცავს უკნინეს ხათელულ სამონეტო ერთეულს – აღთუნს ანუ დინარს. აბაზის წონის ცვლასთან ერთად უზალთუნის წონაც იცვლებოდა

(3,89; 2,70; 1,50 გ.). უსალათურს თბილისის სარაყხანაში ჭრიდნენ XVII–XIX სს.

უზენაესი საიდუმლო საბჭო – რუსეთის უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულება 1726 –30, რომელიც დააწესა ეკატერინე I-მა (1726 წლის 8 თებერვალს). ფორმალურად მას სათათბირო სასიათი ჰქონდა, ფაქტობრივად კი ყველა უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საქმეს წყვეტდა. თავდაპირველად პეტრე I-ის პოლიტიკას აგრძელებდა და მიაყარ როლს მასში ა.მენშიკოვი თამაშობდა. პეტრე II-ის დროს გაიმარჯვა დიდგვაროვანთა წრემ, მაგრამ მეფის სიკვდილის შემდეგ უზენაესი საიდუმლო საბჭოს წევრებმა შეუსრულეს თვითმპყრობელობა, ამიტომ ტახტზე დასვეს ანა ივანეს ასული და ხელი მოაწერინეს პირობებზე („კონდიციები“), რომელიც ზღუდავდა მეფის ძალაუფლებას, მაგრამ მისმა პოლიტიკამ ვერ პოვა მხარდაჭერა. 1730 წლის 4 მარტს უზენაესი საიდუმლო საბჭო გაუქმდა.

უზენაესი სასამართლო – საქართველოში მართლსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის სასამართლო. უზენაესი სასამართლო დადგენილი წესით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საერთო სასამართლოებში, პირველი ინსტანციით განიხილავს მის კომპეტენციით მიკუთვნებულ საქმეებს, განიხილავს საკასაციო საჩივრებს ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებებზე, ახორციელებს კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებას. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ათი წლის ვადით ირჩევს პარლამენტი.

უზენაეს სასამართლოში იქმნება: 1) სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია; 2) სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა; 3) ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა; 4) სისხლის სამართლის საქმეთა პალატა; 5) სასედამხედველო პალატა; 6) პლენუმი. უზენაესი სასამართლოს პალატებსა და კოლეგიას ჰყავთ თავმჯდომარეები, რომლებსაც ხუთი წლის ვადით ირჩევს უზენაესი სასამართლოს პლენუმი. იგი ირჩევს აგრეთვე, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს. უზენაესი სასამართლოს პალატებისა და კოლეგიის თავმჯდომარეები იმავდროულად არიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები.

უზენაესი სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები განსაზღვ-

რულია კონსტიტუციით, (საქართველოს 1999 წლის 12 მაისის ორგანული კანონით საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ, სხვა კანონებით).

უზენაესი სახალხო კრება – კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო და საკანონმდებლო ორგანო.

უზურპაცია – (ლათ. ხელთ ვიგდებ, ვეუფლები) – რისიმეს უკანონოდ ხელში ჩაგდება ან სხვისი უფლებების ძალადობით მითვისება. პოლიტიკურ სფეროში: უსურპაცია არის აღმასრულებელი ხელისუფლების მართლსაწინააღმდეგო დაუფლება ან სახელმწიფო მეთაურის უფლებამოსილების მითვისება სახელმწიფო გადატრიალების გზით და პირადი დიქტატურის დამყარების მიზნით (მაგ. ძალაუფლების უსურპაცია ნაპოლეონ ბონაპარტის მიერ 1799 გადატრიალების შედეგად).

უზუფრუქტი – (ლათ. სარგებლობა და ნაყოფი ნამატი, შემოსავალი) – სხვისი ნივთით, მისი ნაყოფით ან სხვაგვარი გამოსავლით სამუდამო თუ ვადა განსაზღვრული სარგებლობის უფლება ნივთის განუსხვისებლად და მთლიანობა-უვნებლობის პირობით. უსუფრუქტი ესაა სხვა პირის სარგებლობაში უძრავი ნივთის გადაცემა ისე, რომ იგი უფლებამოსილი იყოს, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა. ამასთან მესაკუთრისგან განსხვავებით, მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, დაგირავების ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება. ასეთი ნივთის გაქირაგების ან იჯარით გადაცემისათვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა. უსუფრუქტი სანივთო უფლებაა. იგი რომის კერძო სამართლის ინსტიტუტთაგანია, წარმოიშობოდა უმთავრესად საანდერძო დანაკისრით და ფართოდ იყო გავრცელებული ფეოდალურ და ბურჟუაზიულ სამართალში. საგანგებო სახელწოდების შეურქმეელად მას ძველ საქართველოშიც იყენებდნენ. უსუფრუქტი მოცემული გვაქვს 1997 სამოქალაქო სამართლის კოდექსში, რომელსაც დათმობილი აქვს კოდექსის 242 მუხლიდან 247 მუხლამდე, სადაც დარეგულირებულია უსუფრუქტის ცნება, სახეები, უსუფრუქტურის უფლება-მოვალეობანი და მისი შეწყვეტის პირობები.

„უთრუთიან-საამიანი“ – ძველი ქართული მწერლობის თარგმნილი ძეგლი, ყირდოუსის „შაჰნამეს“ ქართული ეპოსების ციკლის ერთ-ერთი თხზულება. ცნობილია „უთრუთიან-საამიანი“-ის, როგორც პროზაული, ისე

პოეტური ვერსიები.

ᲣᲘᲢᲔᲜᲐᲒᲔᲛᲝᲢᲘ – (ინგ. სიტყვასიტყვით ბრძენთა საკრებული) – ანგლოსაქსურ სამეფოებში საერთო და სახელმწიფო წარჩინებულთა საბჭო – უმაღლესი სასამართლო და სათათბირო ორგანო სამეფო კარზე. იხსენიება VI–XI საუკუნეების საბუთებში. უიტენაგემოტი ადასტურებდა მეფის უფლებას ტახტზე, მიწის ბოძებას, გარიგებებს, არჩევდა ომისა და ზავის საკითხებს.

ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲥᲛᲔᲑᲐ – კანონმდებლობის მიხედვით, დანაშაული, როცა პირი პროფესიად გაიხდის ექიმობას, სათანადო სამედიცინო განათლება კი არ აქვს. ასეთ პირად უნდა ჩაითვალოს ის, ვისაც არ გაუვლია სპეციალური მომზადება და არ მიუღია წოდება უმაღლეს სასწავლებელში. უკანონო ექიმობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი ასეთ ექიმობას თავისი არსებობის, ძირითადი თუ დამატებითი შემოსავლის წყაროდ აქცევს, ან თუ მას მოჰყვა ავადმყოფის სიკვდილი ან სხეულის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება.

ᲣᲙᲐᲜᲝᲜᲝ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲐ – ბრალკონიურობის ერთ-ერთი სახე, – ნადირობა სათანადო ნებართვის გარეშე, ან აკრძალულ ადგილებში ანდა აკრძალულ ვადებში, აკრძალული იარაღებითა და საშუალებებით. უკანონო ნადირობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ისჯება ჯარიმით ან ტუსაღობით ვადით ოთხ თვემდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

ნადირობა სახელმწიფო ნაკრძალში ან სხვა დაცულ ტერიტორიაზე, სადაც ნადირობა მთლიანად აკრძალულია, ანდა მექანიკური სატრანსპორტო ან მასობრივი განადგურების საშუალებით, ან საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ ან უმწეო მდგომარეობაში მყოფ ნადირჩრინველზე, აგრეთვე საგანგებო ეკოლოგიური მდგომარეობის ან ეკოლოგიური უბედურების ზონაში ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. (სსკ. მუხ. 301).

ᲣᲙᲕᲐᲚᲝᲓ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲝᲑᲐ – (სამართალი) – სასამართლოს წესით მოქალაქის დაკარგულად აღიარება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, თუ ორი წლის განმავლობაში მის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე არ მოიპოვება ცნობები, მისი ადგილსამყოფელის შესახებ. მოქალა-

ქის ‘უკვალოდ დაკარგ’ულად გამოცხადებას მოჰყვება განსაზღვრული იურიდიული შედეგი: 1. უკვალოდ დაკარგული მოქალაქის ქონებაზე წ’უსდება მეურვეობა, ამ ქონებიდან მიეცემა სარჩო იმ მოქალაქეს, რომლის შენახვა კანონით ევალებოდა ‘უკვალოდ დაკარგ’ულ პირს და აგრეთვე დაიფარება მისი დაკალიანება სხვა ვალდებულებათა მიხედვით; 2. უკვალოდ დაკარგულად აღიარებული მოქალაქის კმაყოფაზე მყოფ შრომისუუნარო პირებს სახელმწიფო პენსიის მიღების უფლება აქვთ ისევე, როგორც მარჩენალის დაკარგვის ‘შემთხვევაში. უკვალოდ დაკარგულად აღიარებული პირის გამოჩენის ან საცხოვრებელი ადგილის აღმოჩენის შემთხვევაში, სასამართლო ა’უქმებს გადაწ’ყვეტილებას მისი უკვალოდ დაკარგ’ულად გამოცხადების შესახებ და უ’ქმდება მეურვეობა მის ქონებაზე, ხოლო მის რჩენაზე მყოფ პირებს ‘შეუწ’ყდებათ პენსიის მიღების ‘უფლება (სსკ., მუხ. 21).

უკიდურესი აუცილებლობა – (სამართ.) – მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოება სისხლის სამართალ’ში. უკიდ’ურესი აუცილებლობის მდგომარეობა’ში ჩადენილი მოქმედება ვნებას აყენებს კანონით დაც’ულ ინტერესებს და გარეგნ’ულად შეესაბამება სისხლის სამართლის კანონ’ში აღწერილ დანაშა’ულს ის ნიშნებს, მაგრამ დანაშა’ულს არ წ’არმოადგენს, რადგან ჩადენილია სახელმწ’იფოს, საზოგადოების და პიროვნების კანონით დაც’ული ინტერესების გადასარჩენად, რომელსაც აშკარა და რეალური საფ’რთხე ემ’უქრებოდა. უკიდ’ურესი აუცილებლობის მართლ’სომიერებისათვის საჭიროა დადგინდეს, რომ შექმნილი საფრთხის თავიდან აცილება სხვა გზით შეუძლებელი იყო და რომ მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი ნაკლებ მნიშვნელოვანია. (სსკ., მუხ. 30).

„უკრაინული საბჭოთა ენციკლოპედია“ – ‘ინივერსალ’ური მრავალტომიანი ენციკლოპედია უკრაინ’ულ ენაზე, რომელიც გამოიცა’და უკრაინის კპ-ისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1959–64 წლებში 17 ტომად, კოლეში ტირაჟით 80 ათასი, მოიცავს 50 000-ზე მეტ სტატიას, 10 000-მდე ილუსტრაციას და რუკას. მასში გაშ’უქებ’ულია უკრაინელი ხალხის ისტორია, ეკონომიკა და კ’ულტ’ურა. 1976 გამოიცა უკრაინ’ული საბჭოთა ენციკლოპედიის II-ე გამოცემა 12 ტომად, ტირაჟი 50 000, მოიცავს 50 000 სტატიას, 15 000-’ზე მეტ ილუსტრაციას და რ’უკას.

ულტიმატუმი – (ლათ.) – საერთაშორისო სამართალ’ში დიპლომატი’ურ დოკ’უმენტებ’ში ან ზეპირად გამოთქმ’ული კატეგორიული მოთხოვნა, რომელსაც ზემოქმედების ღონისძიების გამოყენებ-

ის მუქარით წაუყენებს ერთი სახელმწიფო მეორეს, რათა მან მითითებულ ვადაში შეასრულოს განსაზღვრული წინადადება.

ულუფა – ლაშქრის, სახელმწიფო მოხელეთა და შიკრიკების გამოსაკვებად დაწესებული გადასახადი შუა საუკუნეებში. ულუფა ძირითადად ნატურალური გამოსაღები იყო, მაგრამ ზოგჯერ ფულადაც იხდიდნენ. მონღოლთა ბატონობის დროს იგი ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გამოსაღები იყო. საქართველოში ულუფა მონღოლებმა შემოიღეს. XV–XVIII საუკუნეებში ის ადგილობრივ გადასახადად იქცა. გვხვდება სათაური, მუდამი, მთელი, წერილი. ულუფა თანამედროვე ქართულში აღნიშნავს კერძს წილს. (საზრდოსი, საკვებისა).

უმაღლესი განათლება – სისტემატიზებული ცოდნისა და ჩვევების ერთობლიობა, რომელიც მომზადების პროფილის მიხედვით თეორიული და პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის თანამედროვე მიღწევათა შემოქმედებითად გამოყენებისა და განვითარების საშუალებას იძლევა. უმაღლესი განათლება მიზნად ისახავს სამეურნეო, მეცნიერული და კულტურული დარგებისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას უმაღლეს სასწავლებლებში. უმაღლესი განათლების პირველი კერა იყო კოლხეთის უმაღლესი რიტორიკული სკოლა. საქართველოს ტერიტორიაზე გელათისა და იყალთოს აკადემიები საერო უმაღლესი განათლების ცენტრებად იქცა.

უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლები – რევოლუციამდელ რუსეთში ვაჟთა, ქალთა და შერეული სასწავლებლები ქალაქის საშუალო შეძლების მოსახლეობის შვილებისათვის. შეიქმნა 1912 საქალაქო სასწავლებლების მაგიერად. შედგებოდა ოთხი თითოწლიანი კლასისაგან. აქ სწავლას აგრძელებდნენ დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ და I და II კლასის დამთავრების შემდეგ შეეძლოთ გადასვლა საშ. ზოგადსაგანამანათლებლო სკოლის II და III კლასებში. უმაღლეს დაწყებით სასწავლებლებთან ხშირად იხსნებოდა დამატებითი კლასები ან კურსები. მაგ.: უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლები, სახელოსნო, საბუღალტრო, საფოსტო-სატელეგრაფო და სხვა. 1915 საქართველოში იყო 29 უმაღლესი საშუალო სასწავლებელი. ამ სასწავლებლებმა იქტომბრის რევოლუციამდე იარსება.

უმაღლესი მთავარსარდალი – უმაღლესი სარდალი სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა კოალიციის) შეიარაღებული ძალების უმაღლესი ხელმძღვანე-

ლი ომის დროს. საიუ ერ მშვიდობიანობის პირობებში. უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობა რუსეთში პირველად 1914 წლის ივლისში შემოიღეს. 1914–17 უმაღლესი მთავარსარდლები იყვნენ დიდი თავადი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, მეფე ნიკოლოზ მეორე, გენერლების არმიებში უმაღლესი მთავარსარდლების თანამდებობა შემოიღეს მეორე მსოფლიო ომის დასასრულს. მოკავშირეთა არმიების უმაღლესი მთავარსარდალი საფრანგეთში 1918 წლის 14 აპრ. – 11 ნოემბ. იყო საფრანგეთის მარშალი ფოშო. მეორე მსოფლიო ომში უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობები ეკავათ გერმანიაში ა.ჰიტლერს, აშშ-სა და ინგლისში ამერიკის გენერალ დ. ეისენჰაუერს, ინგლისის ფელდმარშალ ჰ.უილსონს. სსრკ-ში დიდი სამამულო ომის დროს 1941 წლის 8 აგვისტოს უმაღლესი მთავარსარდლად დაინიშნა ი. სტალინი.

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკი – (უმბ) – უმაღლესი სამხედრო მმართველობის საგანგებო ორგანო, რომელიც დიდი სამამულო ომის (1941–45) დროს სტრატეგიულ ხელმძღვანელობას უწევდა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს. შეიქმნა სსრკ სახელმწიფო კომიტეტის (ო) 1941 წლის 23 იანვრის დადგენილებით. მის შემადგენლობაში შედიოდნენ ს. ტიმოშენკო, ბ. შაპოშნიკოვი, ი. სტალინი, გ. მოლოტოვი, კ. ვოროშილოვი, ს. ბუდიონი, ნ. კუზნეცოვი.

უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვი – სტრატეგიული რეზერვი – შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის ნაწილები, შენაერთები და გაერთიანებები, რომლებიც უშუალოდ უმაღლეს სარდლობას ემორჩილებოდნენ. ავრეთვე არსენალებში, ცენტრალური დაქვემდებარების საწყობებსა და ბაზებში შენახული მატერიალურ საშუალებათა მარაგი. უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვის დანიშნულება იყო მიექმედი არმიისა და ფლოტების დანაკარგის შევსება. პირველი ოპერატიული ქვედანაყოფის გაერთიანების გაძლიერება, ჯარების დაჯგუფებების სელახლა შექმნა და სხვა ამოცანების შესრულება.

უმაღლესი საატესტაციო კომისია – საერთო საკავშირო ორგანო, რომელიც სპეციალისტებზე მეტი სამეცნიერო საბჭოების შემადგენლობის საყურადღებო სამეცნიერო ხარისხებისა და სამეცნიერო წოდებების ანიჭებდა მეცნიერებისა და მეცნიერ-თანამშრომლების. ექსპერტიზა და კვლევა დაარსდა 1932, მუშაობა დაიწყო 1934.

უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოთა ერთ-

ნომიკური, მათ შორის საკანონმდებლო ურთიერთობების მოწესრიგების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომლის თანახმადაც ხელშეკრულების დამდები მხარეები ერთმანეთს ანიჭებენ ისეთივე სელსაერულ პირობებს (უფლებებს, უპირატესობას, პრივილეგიებს და შეღავათებს), რომელიც მათ უკვე მიანიჭეს ან რომელიმე მესამე სახელმწიფოს. უმეტესი ხელშეკრულების რეჟიმს ხშირად იყენებენ საქონლის შეტანისა და გატანის (საბაჟო გადასახადების), საერთაშორისო ვაჭრობის, ხელთასხნობის, უცხო სახელმწიფოს იურიდიული ან ფიზიკური პირების სამართლებრივი მდგომარეობისა და სხვა სფეროში.

უმოქმედობა – დანაშაულებრივი – სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედების (დანაშაულის) პასიური ფორმა, გამოხატული ისეთი მოქმედების შეუსრულებლობით, რომლის შესრულება მოქალაქეს ევალებოდა და შეეძლო კიდეც. მოქმედების მოვალეობას წარმოშობს კანონი, ნორმატიული აქტი, პროფესიული მდგომარეობა (მაგ.: მედიცინის მუშაკი ვალდებულია დახმარება აღმოუჩინოს ავადმყოფს).

უმუშევრობა – კაპიტალისტური წარმოების წესის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, რომლის დროს შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთი ნაწილი ვერ შოულობს სამუშაოს, იქცევა „ჭარბ" მოსახლეობად და ქმნის შრომის სარეზერვო არმიას. უმუშევრობა წარმოიშობა კაპიტალისტური დაგროვების საყოველთაო კანონის მოქმედების საფუძველზე. უმუშევრობის სიდიდეზე გავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც: 1. შრომის ინტენსიფიკაციის ზრდა. ამ შემთხვევაში მშრომელთა ნაწილი სამუშაოს კარგავს დასაქმებულ მუშაკთა მეტისმეტი დაძაბული შრომის გამო; 2. ღირებულების კანონების მოქმედების საფუძველზე წვრილ საქონელმწარმოებელთა მასობრივი გაღატაკება და მათ მიერ პროლეტარიატის რიგების შევსება; 3. კაპიტალისტური ეკონომიკური ციკლური განვითარება. უმუშევრობა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ღებულობს კაპიტალისტური ციკლის კრიზისისა და დეპრესიის ფაზებში.

უნარი – პიროვნების ინდივიდუალური თავისებურება, რომელიც წარმოადგენს გარკვეული სახის მოქმედების წარმატებით განხორციელების სუბიექტურ პირობას. უნარი ვლინდება რომელიმე მოქმედების საშუალებებსა და ხერხების დაუფლების სისწრაფეში, სიღრმესა და სიმტკიცეში. უნარის შესწავლისას გამოიყოფა სამი ძირითადი პრობლემა: 1) უნარის წარმოშობა და პირობა; 2) ვალ-

ქველ სახეობათა ტიპები და დიაგნოსტიკა; 3) მისი განვითარებისა და ფორმირების კანონზომიერებანი. ადრე უნარი ესმოდათ როგორც ინდივიდის თანდაყოლილი თვისება, შემდეგ იგი მექანიკურად დაუკავშირეს ცხოვრების გარეგან პირობებს. უნარის მარქსისტული გაგება ეფუძნება შინაგანისა და გარეგანის დიალექტიკურ ერთიანობას. უნარის თანდაყოლილი წანამძღვარია ინდივიდის ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებები, რომელთა საფუძველზე სხვადასხვა სახის მოქმედებათა განხორციელების პროცესში ყალიბდება თვით უნარი.

უნაღდო ანგარიშსწორება – ანგარიშსწორება, რომელიც ხორციელდება ნაღდი ფულის მონაწილეობის გარეშე გადამხდელის ანგარიშიდან კრედიტორის ანგარიშზე განსაზღვრული რაოდენობის ფულის გადარიცხვით (ბანკში, შემნახველ სალაროში) ან ურთიერთმოთხოვნის დაფარვით. უნაღდო ანგარიშსწორება განვითარებული სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის მქონე მეურნეობას ახასიათებს და ერთიანი ფულადი ბრუნვის შემადგენელი ნაწილია. კაპიტალიზმის დროს მისი ეკონომიკური საფუძველია კრედიტი და საბანკო საქმის განვითარება. აქ უნაღდო ანგარიშსწორება ხორციელდება: 1. ექსპლუატაციის და სხვის მუშაობით. რომლებიც მიმოქცევაში ცვლიან სრულფასოვან ფულს; 2. ბანკებსა და შემნახველ სალაროებში კლიენტების მიმდინარე ანგარიშზე უნაღდო გადარიცხვით; 3. სხვადასხვა ბანკს შორის საკორესპონდენტო ანგარიშების სისტემით; 4. ურთიერთმოთხოვნის დაფარვის გზით.

უნია სახელმწიფოებისა – (ლათ. ერთიანობა, გაერთიანება) – მონარქიული სახელმწიფოების გაერთიანება ერთ-ერთი სახელმწიფოს – სუზერენის მეთაურობით. სახელმწიფო სამართალში განასხვავებენ უნიის ორ სახეს – პიროვნულსა (პერსონალურს) და რეალურს (ორგანულს). პიროვნული უნია მაშინ წარმოიშობოდა, როცა დინასტიური კავშირებისა და ტახტის მემკვიდრეობის წესის გამო ერთი და იგივე პირი გახდებოდა ორი ან მეტი სახელმწიფოს მონარქი. პიროვნულ უნიაში გაერთიანებული სახელმწიფოები ინარჩუნებდნენ თავიანთ სუვერენიტეტს, საერთო მონარქის ხელისუფლება კი ნომინალური იყო. რეალური უნია იქმნებოდა ხელშეკრულების საფუძველზე ან უფრო ძლიერი სახელმწიფოს ცალმხრივი აქტის შედეგად. საერთაშორისო ურთიერთობებში რეალური უნია გამოდიოდა რიგორც ერთიანი სუვერენული სახელმწიფო.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ – (ლათ. ერთობლიობა) – უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ამზადებს სპეციალისტებს ფუნდამენტურ მეცნიერებათა დარგში. უნივერსიტეტების ისტორია იწყება შუა საუკუნეებიდან და უკავშირდება დასავლეთ ევროპაში ქალაქურ ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას. პირველი საერო უნივერსიტეტები იყო: ბოლონიის (1158, იტალია), კემბრიჯის (1209) და ოქსფორდის (ორიე ინგლისი), პარიზის (1215) და სხვა. საშუალო საუკუნეების უნივერსიტეტის შემადგენლობაში ოთხი ფაკულტეტი იყო: მოსამზადებელი, რომელსაც ეწოდებოდა არტისტული ან ხელოვნების ფაკულტეტი (შემდგომ ფილოსოფიური ფაკულტეტი ეწოდა. აქ ეუფლებოდნენ „შვიდ თავისუფალ ხელოვნებას" ჯერ ტრივიუმს შემდეგ კვადრივიუმს) და სამი უმაღლესი ფაკულტეტი – სამართლის, სამკლიცინო და ღვთისმეტყველებისა. ტრივიუმის დაუფლებისა და გამოცდის ჩაბარების შემდეგ იღებდნენ ბაკალავრის, ხოლო კვადრივიუმისა და გამოცდის შემდეგ – მაგისტრის ხარისხს. უნივერსიტეტს ადმინისტრაციული ავტონომია და საკუთარი იურისდიქცია ჰქონდათ.

ᲣᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ – სახელმწიფო წყობილების ფორმა, რიცა სახელმწიფოს ტერტორია, ფედერაციისაგან განსხვავებით, ფედერაციული ერთეულებისაგან კი არ შედგება, არამედ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად იყოფა. უნიტარულ სახელმწიფოში მოქმედებს ერთიანი კონსტიტუცია, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ერთიანი სისტემა და სხვა.

ᲣᲜᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ – (ლათ.) – საერთო ნორმაზე დაყვანა, გაერთიანება.

ᲣᲜᲢᲔᲠ-ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ – (გერმ. უდაბლესი ოფიცერი) – უმცროს მეთაურთა შემადგენლობის წოდება რუსეთსა და ზოგიერთ უცხოურ არმიებში. რუსეთის არმიებში იყო უნტერ ოფიცრის წოდება: ფელდფებელი, ვახმისტრი, კონდუქტორი, უფროსი და უმცროსი უნტერ ოფიცერი.

ᲣᲜᲯᲘ ᲮᲛᲐ – (ხევსურეთი). მკვდარი ყმა (ფშავი) თემის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც თავდაპირველად დასახლებულა და დაბამი მიუცია სოფლისათვის. უნჯი ყმები სათემო ადგილ-მამულის თავდაპირველ მფლობელებად ითვლებოდნენ და თემის კულტის უპირველესი მატარებელნი იყვნენ. ამ ნიშნებით განსხვავდებოდნენ ისინი თემის დანარჩენი მოსახლეობისაგან, რომლებიც თემის მფარველი ჯვრის ყმებად ითვლებოდნენ, მაგრამ სხვა გვარებისა და მამებისაგან მომდინარეობდნენ და

ჯეარათან დამოკიდებულების მიხედვით სხვადასხვა კატეგორიად იყოფოდნენ (ტახტის ყმანი, საყმო საგვარეულო). უნჯი ყმები თემის ფარგლებში პრივილეგირებულ ფენას შეადგენდნენ: ისინი იყვნენ ჯერის მთავარი მსახურნი-ხუცესი, ქადაგისა და კულტის სხვა მომსახურე პერსონალი, რომლებიც თემის რელიგიურ და ნაწილობრივ სოციალურ ცხოვრების მმართველ ორგანოს – ჯეარიონს ქმნიდნენ.

უპატრონო ქონება – სამოქალაქო სამართალში ქონება, რომელსაც არა ჰყავს მესაკუთრე (ქონების ნებაყოფლობითი უარის თქმის გამო) ან მესაკუთრე უცნობია უპატრონო ქონებად ითვლება, მაგ.: მოუკითხავი ტვირთი ან საფოსტო გზავნილები (შენახვის ვადით გასვლის შემდეგ) კანონმდებლობით უპატრონო ქონება სახელმწიფო საკუთრებაა. უპატრონო ქონებისაგან გასხვავდება ბეითალმანი ქონება, გარდაცვლილის ქონება, რომელსაც მემკვიდრე არ დარჩენია.

ურბანიზაცია – (ფრანგ. ქალაქური) – ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების რთული შეთანაწყობა, რაც გამოწვეულია ქალაქების მზარდი როლით საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ურბანიზაციის მთავარი ნიშნებია: ადამიანის საქმიანობის კონცენტრაცია ქალაქში, მოსახლეობის სოციალური აქტიურობისა და მობილურობის გაძლიერება, ინდუსტრია, შემდგომში კი ავტომატიზებული წარმოება და გადასვლა, ინფორმაციის დაგროვებისა და გადაცემის გაფართოება, არაწარმოებითი სფეროს დაჩქარებული ზრდა და საქალაქო აგლომერაციების გან-ება ყველა სახის დასახლებათა შორის კავშირების გაძლიერება. ქალაქი ახდენს წარმოების კონცენტრაციას, სულ უფრო მზარდი რაოდენობით იზიდავს მოსახლეობას, რის შედეგადაც ფართოვდება მისი ფუნქციური დანიშნულება. ურბანიზაციის პროცესში უდიდეს როლს ასრულებს სამრეწველო წარმოება, რომელიც ძირითადად ქალაქებშია თავმოყრილი.

ურთიერთკავშირი – სინამდვილის მოვლენებისა და პროცესებს შორის არსებული ურთიერთმიმართების, ურთიერთგანპირობებულობისა და ურთიერთდამოკიდებულების ზოგადი კანონზომიერების გამოხატულება. იგი საგანთა ცვალებადობის, გარდაქმნებისა და ურთიერთსქმედების შედეგია. ურთიერთკავშირს საყოველთაო ხასიათი აქვს. მოვლენები ერთმანეთთან დაკავშირებულია უშუალოდ ან გაშუალებით, აშკარად ან ფარულად.

უსტარი – წერილის სახეობა, – მოკითხვის წიგნი, ბარათი ძვ.

საქართველოში „კეკლის (კვიპრის) ხე“, „უსტარი“, „მინაწერი წიგნი“. ს.ცირეთელიანი „უსტარს“ უწოდებს „მინაწერს მოკითხვათა და სახალმოთა“, „უსტარითა მწერალს“ – კი მდივანს. ფშაურად „უსტარი“ „ბრმა, უსინათლოა“.

„უსწორო კარაბადინი“ – XI ს-ის ქართული სამედიცინო ძეგლი (სახელწოდება „უსწორო“ ნიშნავს უბადლოს, სწორუპოვარს).

უტილიზაცია – (ლათ. სასარგებლო გამოსადეგი) - რისამე სასარგებლოდ მოხმარება, გამოყენება, გადამუშავება.

უტოპიური სოციალიზმი – მიძღვნება თავისუფლებასა და თანასწორობაზე დამყარებულ ისეთ საზოგადოებაზე, რომელიც ეწუძვნება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას, წარმოების სოციალისტურ ორგანიზაციასა და საყოველთაო შრომას. უ.ს მშრომელთა საუკუნოვანი ოცნების თეორიული გამოხატულებაა. მისი წინამორბედია ადრინდელი კომუნიზმი, რომელიც ქადაგებდა საერთო ასკეტიზმსა და უხეშ გათანასწორებას.

უფალი – 1. იგივეა რაც ღმერთი. 2. სეხიორის, მხარის (ქვეყნის) მპყრობელის, მეგობრობის აღმნიშვნელი ტერმინი ანტიკურ და ადრინდელი ფეოდალური ხანის საქართველოში. განსხვა კლასობრივი საზოგადოების ფორმირების პერიოდში. გაბატონებული იყო XI ს-მდე. XI ს-დან ცვლის „პატრონი“. მაგრამ შემდეგაც ხშირად ისმარება მის პარალელურად. IX–X ს-მდე უფალის სინონიმებად გვევლინება იმავე ძირის უფრო მოკვიანებით განვითარებული ტერმინები „მეუფე“ და „მეფე“. შემდეგ ეს ტერმინები იცვლება ტერმინით „მამა“ და სახლის უფროსს ეწოდა „სახლის მამა“ ანუ „მამასახლისი“. შემდეგ პერიოდში ტერმინი უფალი თანდათანობით შეცვალა რომაულ-ბიზანტიური სამყაროდან შემოსულმა ტერმინმა „პატრონმა“. იმავე პერიოდში „მონა“ შეცვალა ქართულმა ტერმინმა „ყმამ“. ამრიგად XI ს-ში უფალმოსიობა შეიცვალა პატრონ-ყმობით.

უფლება – ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის კანონით გათვალისწინებული და სახელმწიფოს მიერ გარანტირებული შესაძლებლობა მოიქცეს გარკვეული სახით და სხვისაგანაც მოითხოვოს გარკვეული მოქმედება ან ასეთი მოქმედებისაგან თავის შეკავება მაგ: მესაკუთრე აღჭურვილია თავისი ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებით, მას შეუძლია მოსთხოვოს სხვა პირს თავი შეიკავოს მისი უფლების ხელყოფისაგან, ისეთი მოქმედებისაგან, რომელიც ხელს უშლის ამ უფლების განხორციელებას., თუ პირს დაუ-

რელევანტურ უფლებას, მას შეუძლია იძულებითი წესით უფლების დასაცავად მიმართოს სასჯელაღსრულების ორგანოებს.

„უფლებათა ბილი“ – ინგლ. დოკ. ბრიტანეთში პარლამენტის 1689 კონსტიტუციური აქტი, რომელმაც განამტკიცა მსხვილი ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელი არისტოკრატიის ნაწილის გამარჯვება აბსოლუტიზმზე.

პარლამენტის თანხმობის გარეშე მეფეს უფლება არ ჰქონდა შეეჩერებინა კანონის მოქმედება და აღსრულება, აეკრძალა გადასახადი ტახტის მემკვიდრეობითობის და ასე შემდეგ. „უფლებათა ბილმა“ გამოაცხადა პეტიციის უფლება, საპარლამენტო დებატებისა და არჩევნების თავისუფლება; საფუძველი ჩაუყარა ინგლ. კონსტ. მონარქიას. 2. აშშ-ში 1787 კონსტ. პირველი 10 შესწორება, რომლებიც მიიღეს 1789 სალხინო ფართო მასების ზეგავლენით. „უფლებათა ბილმა“ გამოაცხადა სიტყვის, კრების, რწმენის ბურჟუაზიული დემოკრატიის თავისუფლებანი, დაადგინა პიროვნების, ქონების ხელშეუხებლობა და სხვა აშშ-ის პროგრესული ძალები იბრძვიან „უფლებათა ბილის“ დასაცავად.

უფლებამონაცვლეობა – უფლება-მოვალეობების გადასვლა ერთი პირიდან მეორეზე (მაგ: გარდაცვლილი მოქალაქიდან მის მემკვიდრეზე). უფლებამონაცვლეობა ნიშნავს უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტის შეცვლას. ერთი პირი – მონაცვლე სხვის, მისი წინამორბედის ადგილს იკავებს, მართლურთიერთობის შინაარსი კი არ იცვლება. უფლებამონაცვლეზე გადადის თვით უფლებები და მოვალეობები, რომლებიც წინამორბედს ჰქონდა. უფლება-მოვალეობათა პირველადი შესენიებით, უფლებამონაცვლეობა წარმოებული ხასიათისაა – იგი წინამორბედის უფლებებს ემყარება. განასხვავებენ სრულ ანუ უნივერსალურსა და კერძო ანუ სინგულარულ უფლებამონაცვლეობას. პირველ შემთხვევაში ერთ ან რამდენიმე უფლებამონაცვლეზე გადადის წინამორბედის ყველა უფლება და მოვალეობა (მაგ: კანონისმიერი მემკვიდრეობის დროს მემკვიდრეზე გადადის გარდაცვლილის მთელი ქონება, რა სახისაც არ უნდა იყოს და სადაც არ უნდა მდებარეობდეს იგი). მეორე შემთხვევაში უფლებამონაცვლეობა რაიმე ცალკეული უფლებისა და მოვალეობის გადასვლით ხასიათდება. მაგ: სინგულარული უფლებამონაცვლეობაა, როცა კრედიტორი თავის უფლებას დაუთმობს სხვა პირს – ახალ კრედიტორს. არ არის დაშვებული წმისცა პირადი ხასიათის უფლე-

ბების მონაცვლეობა (მაგ.: ალიმენტის მიღების უფლების გადაცემა).

უფლებამონაცვლეობა საერთაშორისო სამართალში – უფლება-მოვალეობის გადასვლა ერთი სახელმწიფოდან მეორეზე ტერიტორიული ცვლილებების ან მასთან დაკავშირებული მოვლენების დროს (ახ. სახელმწიფოს წარმოშობა, ერთი სახელმწიფოს შესვლა მეორე სახელმწიფოს შემადგენლობაში, სახელმწიფოს დაყოფა, გამოყოფა და ა.შ.). უფლებამონაცვლეობის საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა ერთ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის შედეგად ყოფილ კოლონიურ სახელმწიფოს გამოეყოფა ახალი სუვერენული ერთეული. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში. კერძოდ 1978 კონვენცია სახელმწიფოთა უფლებამონაცვლეობის შესახებ ადიარებს ახალი სახელმწიფოს უფლებას უარი თქვას ყველა იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე, რომლებიც ლახავენ ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტს, მის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. არღვევენ სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს. ძალაში რჩება მხოლოდ ის ხელშეკრულებანი, რომლებიც შესახებ სახელმწიფო – მემკვიდრეს არაფერი საწინააღმდეგო არა აქვს. ამავე დროს ლოკალური ხასიათის ხელშეკრულებანი, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული მოც. სახელმწიფოს ტერიტორიის ამა თუ იმ ნაწილთან, მდინარესთან, სარკინიგზო გზასთან, საზღვრებთან, როგორც წესი. რჩება ძალაში და გადადის სახელმწიფო მემკვიდრეზე, თუკი ასეთი სტატუსი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს. უფლებამონაცვლეობის საკითხი არ წარმოიშობა სახელმწიფო წყობილების ან მმართველობის ფორმის შეცვლის შედეგად, რადგანაც ამ შემთხვევაში სახელმწიფო განაგრძობს არსებობას, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. მხოლოდ მაშინ, როდესაც ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ხდება სოციალისტური რევოლუცია, წამოიჭრება უფლებამონაცვლეობის საკითხი, რაც უფრო ძირფესვიანია რევოლუცია, მით უფრო რადიკალურად უნდა გადაისინჯოს უფლებამონაცვლეობის საკითხი. თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე საბჭოთა მთავრობამ უარყო ყველა კაბალური და არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, ხელშეკრულება ეკხორური სესხის შესახებ და ა.შ. და ძალაში დატოვა ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც არ ეწი-

ნააღმდეგებოდნენ და არ ლახავდნენ საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს. მაგ.: 1918 წლის 4 ივნისს საბჭოთა მთავრობამ ცნო ქველა კონვენცია წითელი ჯვრის შესახებ, რომელსაც კი ხელი მოაწერა რუსეთმა 1915-მდე.

უფლებაუნარიანობა – ფიზიკური პირის (მოქალაქის) და იურიდიული პირის (სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებისა და ა.შ.) უნარი იქონიონ კანონით გათვალისწინებული ან დასაშვები უფლებამოვალეობანი. საქართველოში ყველა მოქალაქე თანაბრად უფლებაუნარიანია, მათი სქესის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, საქმიანობის, სოციალური თუ ქონებრივი მდგომარეობისა და სხვათა მიუხედავად. იურიდიული პირის უფლებები წესდებით, მისი საქმიანობის მიზნების შესაბამისად განისაზღვრება. თუ კანონის განსაზღვრული საფუძვლების – იურიდიული ფაქტების დადგომისას შესაბამისი მართლურთიერთობის (სამოქალაქო, შრომითი, საოჯახო, საპროცესო და სხვა) მონაწილეთა ბევრი კონკრეტული უფლებისა და მოვალეობის წარმოშობის აუცილებელი წანამძღვარია. მოქალაქის უფლებაუნარიანობა წარმოიშობა მისი დაბადების მომენტიდან და წყდება სიკვდილით. მოქალაქის ზოგი უფლება და მოვალეობა დაკავშირებულია გარკვეულ ასაკთან. მაგ.: საარჩევნო უფლება ენიჭებათ 18 წლის ასაკიდან. უფლების ნამორთმევა დაუშვებელია. მისი შეზღუდვა, ე.ი. ცალკეული უფლებების ნამორთმევა მხოლოდ კანონით გათვალისწინებული პირობებითა და წესით შეიძლება. უფლების ასეთი შეზღუდვა შეიძლება მოხდეს სასამართლოს განაჩენის მიხედვით; გარიგება, რომელიც ზღუდავს უფლებაუნარიანობას, ბათილად ითვლება.

უფლების ჩამორთმევა – სამართლებრივი სემოქმედების ღონისძიება, რომლითაც პირს ეკრძალება ისარგებლოს გარკვეული უფლებით. მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოქალაქის ქველა უფლების ნამორთმევას (ე.წ. „სამოქალაქო სიკვდილს"). საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით შეიძლება ნამორთმეულ იქნას: გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლება.

უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი – სამეცნიერო წოდება და საშტატო თანამდებობა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ანიჭებს უმაღლესი საატესტაციო კომისია. წოდება ენიჭე-

ბათა სამეცნიერო საბჭოს წარდგინებით მეცნიერებათა დოქტორებსა და კანდიდატებს, რომლებიც არსებული არიან კონკურსით. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე ან განსაკუთრებების უფროსად, სექტორის, ლაბორატორიის გამგედ, ან დანიშნული არიან სწავლულ მდივნად. აქვთ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი, საერთო სამეცნიერო მუშაობის 3 წლისა და სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის 5 წლის სტაჟი. უფროსი მეცნიერ თანამშრომლის წოდების მინიჭება ფარული კენჭისყრით ხდება. წოდების მინიჭებისას ეკლესიათ არქივარიუსი წესები გათვალისწინებულია დებულებით სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭების შესახებ.

უძველესი დღეები – მნიშვნელოვანი მოვლენის ან ტრადიციული თარიღისადმი მიძღვნილი დღე. საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში შრომის კოდექსის 64-ე მუხლის თანახმად არასამუშაოა შემდეგი უქმე დღეები:

1 იანვარი – ახალი წელი;

7 იანვარი – უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს შობის დღე;

19 იანვარი – ნათლისღება – უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს განცხადების დღე;

უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის დღე (თარიღი გარდამავალია);

მიცვალებულთა მოხსენიების დღე (აღდგომის მეორე დღე თარიღი გარდამავალია);

3 მარტი – დედის დღე;

9 აპრილი – საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მიღების დღე – საქართველოს ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე;

9 მაისი – ფაშიზმზე გამარჯვების დღე;

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე;

28 აგვისტო – ყოველად წმინდა ღვთისმშობლის მიძინების დღე (მარიამობა);

14 ოქტომბერი – მცხეთობის (სვეტიცხოველობის, კვართის დღე სასწაულის) დღე;

23 ნოემბერი – გიორგობის დღე.

შშშრომების საბჭო გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა – გაერთის უმთავრესი მუდმივმოქმედი ორგანო, რომელსაც მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში ძირითადი პასუხისმგებლობა აკისრია. უშიშროების საბჭო 15 წევრისაგან შედგება, რომელთაგან 5 მუდმივი წევრია და 10 არამუდმივი, რომელთაც 2 წლის ვადით ირჩევს

გაერის გენერალური ასამბლეა. საბჭოს ყველა წევრს თითო ხმა აქვს. პროცედურულ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება 9 ხმით. ყველა სხვა შემთხვევაში ხმათა უმრავლესობა უნდა შეიცავდეს ხუთივე მუდმივი წევრის ხმას. მას შეუძლია ნაერთის ნებისმიერ საერთაშორისო დავაში ან შეიარაღებულ კონფლიქტში.

უშუალობის პრინციპი – სამართალწარმოების პრინციპი, რომლის ძალითაც საქმის არსებითად განმხილველი სასამართლო ყველა მტკიცებულებას პირადად უცნობა. უშუალობის პრინციპი გულისხმობს, რომ მტკიცებულებანი სასამართლომდე შეიძლება რგოლის გარეშე უნდა დაიდეს, კ.ი. აუცილებელია, რომ სასამართლომ მტკიცებულებანი მიიღოს პირველი წყაროებიდან და არა მათ საფუძველზე შექმნილი მოხსენებებიდან ან დოკუმენტებიდან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „პირველი ინსტანციის სასამართლო საქმის განხილვის დროს მოვალეა უშუალოდ გამოიკვლიოს საქმის დამამტკიცებელი საბუთები: დაკითხოს სამართალში მიცემულნი, დასარალებულნი, მოწმენი, ამოისმინოს ექსპერტთა დასკვნები, დაათვალიეროს ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები; საჭირო შემთხვევაში გამოაქვეყნოს ოქმები და სხვა დოკუმენტები". (სსსკ. მუხ. 441).

უცხოელები – ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე პირები. უცხოელების რეჟიმი რეგულირდება შინასახელმწიფოებრივი კანონებითა და საერთაშორისო სამართლის სახელშეკრულებო და ჩვეულებრივი ნორმებით. ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს თავის ტერიტორიაზე მყოფი უცხოელის უფლებრივ სტატუსს. უცხოელზე ვრცელდება ან ვრცელდეს რეჟიმი (კ.ი. მათ უფლებრივ სტატუსს უთანაბრებენ ადგილობრივი მოქალაქეების უფლებებს), ან უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმი. არსებობს აგრეთვე სპეციალური რეჟიმი – განსაზღვრულ, ზუსტად დადგენილ უფლებათა ერთობლიობა. უცხოელები მოვალენი არიან დაიცვან მათი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს კანონები, ან სხვა ნორმატიული აქტები. კანონიერების დარღვევის შემთხვევაში ისინი პასუხს აგებენ ადგილობრივი მართლმსაჯულების წინაშე (ეს წესი არ ვრცელდება დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე უცხოელებზე). უცხოელები სარგებლობენ იმ ძირითადი უფლებებით, რაც ადგილობრივ მოქალაქეებს აქვთ შრომით საქმიანობაში, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში.

მათ აქვთ ბინის მიღების უფლება, ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები და ა.შ. ამავე დროს უცხოელს არ ერიცხება საარჩევნო უფლებები, სამხედრო არმიის რიგებში სამსახურის მოვალეობა. საქართველოს კანონების დარღვევის შემთხვევაში უცხოელი პასუხს აგებს საქართველოს მოქალაქის თანაბრად.

უცხოური ვალუტა – უცხოეთის ქვეყნების ფულის ნიშნები (მაგ.: აშშ-ის დოლარი), აგრეთვე უცხოური ფულადი ერთეულებით (თამასუქი, ჩეკი და ა.შ.) გამოხატული მიმოქცევისა და გადახდის საკრედიტო საშუალებანი, რომლებიც იხმარება საერთაშორისო ანგარიშსწორების დროს.

უცხოური ლეგიონი – დაქირავებული სამხედრო ფორმირებების სახელწოდება XIX ს. და XX ს. შუა წლებში საფრანგეთისა და ესპანეთში. უცხოური ლეგიონი მეტწილად დეკლასირებული, აგრეთვე უცხოელი დამნაშავე ელემენტებისაგან შედგებოდა.

შძრავი ძრონება – მიწის ნაკვეთები, მასში არსებული წიალისეულით, შენობა– ნაგებობანი, მიწასა და მასთან უშუალოდ დაკავშირებული სოგიერთი სხვა ობიექტი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე (სკ., მუხ. 149).

უწყება – 1. იერარქიული შეტყობინება სადმე მიწვევის, გამოცხადების შესახებ. მაგ.: სასამართლოში გამოძახების. 2. სახელმწიფო დაწესებულებათა სისტემა, რომელიც ემსახურება მმართველობის რომელიმე დარგს.

უწყვეტობის პრინციპი – სამართალწარმოების პრინციპი, რომელიც გულისხმობს, რომ დაწყებული სასამართლო საქმის განხილვის დამთავრებამდე სასამართლოს ამავე შემადგენლობას სხვა საქმის განხილვის დაწყების უფლება არა აქვს. განაჩენი (გადაწყვეტილება) უნდა გამოიტანონ სასამართლო გარჩევის დამთავრებისას და გამოაცხადონ მისამართლეთა თათბირის შემდეგ. განაჩენის (გადაწყვეტილების) გამოტანაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ იმ მოსამართლეებს, რომლებიც საქმეს განიხილავენ სასამართლო გარჩევის დასაწყისიდან დასასრულამდე. საქმის განხილვის პროცესში მოსამართლის ან სახელმწიფო მსაჯულის შეცვლის შემთხვევაში საქმის გარჩევა თავიდან უნდა დაიწყოს. სასამართლოს უფლება აქვს სხვა საქმე და მასალა განიხილოს მოცემული საქმის წარმოების შეჩერების ან საქმის განხილვის 2 ლღეზე მეტი ვადით შეჩერების შემთხვევაში (სსსკ., მუხლი 441).

უხდურობა – ნათესაეთა შორის ცოლ-ქმრობა, რაც აკრძალული იყო სჯულის კანონით. ქრისტიანულმა ეკლესიამ გაიფართოვა იმ ნათესაეთა წრე, რომელთა შორისაც ქორწინება არ შეიძლებოდა. სისხლითი ნათესაობის მეშვიდე ხარისხშიც კი აკრძალული იყო ქორწინება, თუმცა თუ კი ასეთი წესი ირღვეოდა, მაშინ ცოლქმარს მხოლოდ საკანონოს გადაახდევინებდნენ. უხდურობა საქართველოში განსაკუთრებით დიდებულთა წრეში დასტურდება.

უხუცესთა საბჭო – 1. საფრანგეთის 1795 კონსტიტუციის მიხედვით პარლამენტის ერთერთი პალატა. გაუქმდა 18 ბრიუმერის გადატრიალების დროს (1799 წლის 10 ნოემბერი); 2. სსრკ-ში საითათბირო ორგანო, რომელსაც ქმნის სსრკ უმაღლესი საბჭოს თითოეული პალატა. უხუცესთა საბჭოს სხდომებზე წინასწარ განიხილავდნენ სესიის მუშაობის ორგანიზაციულ საკითხებს (დღის წესრიგი, მოხსენებათა განხილვის წესი და სხვა). უხუცესთა საბჭო არსებობდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებშიც. უხუცესთა საბჭოს შემადგენლობა, მისი ფუნქციები და სხვა საკითხები გათვალისწინებული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით.

ფ

ფადიშაჰი – მონარქის ტიტული ახლო და შუა აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში. პირველად გაჩნდა ძველ ირანში. XV საუკუნიდან ფადიშაჰს უწოდებდნენ ოსმალთა იმპერიის გამგებელს (სულთანს). ფადიშაჰის ტიტული იხმარებოდა ოსმალეთში სასულთნოს (1922) გაუქმებამდე, ავღანეთში – 1926-დან მონარქიის ლიკვიდაციამდე (1973 ივლისამდე).

ფათერაკი – უბედური შემთხვევა, ხიფათი, მარცხი. ქართული სამართლის ისტორიაში – სამართალდამრღვევის თავისებური ფსიქიკური დამოკიდებულება თავისი ქმედობისადმი. ტერმინი ფათერაკი გვხვდება ეკვხისტეაოსანსა და „ამირანდარეჯანიანში“. პირველად გამოყენებულია XIV საუკუნეში, გიორგი IV-ის ბრწყინვალის სამართალში („ძეგლის დადება მეფეთა-მეფის გიორგის მიერ, მუხლები 3, 12, აგრეთვე მოსეს სამართალი მ. 12, ექვთიმე მთაწმინდელის მცირე სჯულის კანონი).

ფაკულტატური კურსი – არასაქალდებულო სასწავლო დისციპლინა, რომლისაც სურვილისამებრ სწავლობენ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, საშუალო სპეციალური და პროფტექ-სასწავლებლების, საშუალო ზოგად საგანმანათლებლო სკოლების უფროსი კლასების მოსწავლეები (ვოლნის გაფართოებისა და პირადი ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით. აღნიშნულ სასწავლებლებს უფლება აქვთ საკუთარი შესედულებისამებრ და მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესთა გათვალისწინებით შეარჩიონ და ჩაატარონ ფაკულტატური კურსები.

ფაკულტეტი – (გერმ. ლათ. შესაძლებლობა, უნარი) – უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული დანაყოფი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა და ასპირანტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში, ხელმძღვანელობს მისდამი დაქვემდებარებული კათედრების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას. იგი შეიქმნა შუა საუკუნეების უნივერსიტეტებში. ფაკულტეტს სწავლების სახეთა მიხედვით აქვს განსხვავებები, მის მუშაობას ხელმძღვანელობს დეკანი, ძირითადი საკითხების განსახილველად არსებობს საფაკულტეტო საბჭო.

ფალსიფიკაცია – (გვიანდელი ლათ. falsificare) – 1. რაიმე ნამდვილის, ჭეშმარიტის წინასწარ განზრახვით შეცვლა მცდარით, ყალბით. 2. რაიმე საგნის სახის ან თვისების შეცვლა

ანგარების მიზნით; გაყალბება. სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით სამეურნეო დანაშაულად ითვლება გასალებისათვის განკუთვნილი საგნების ფალსიფიკაცია ანგარების მიზნით, აგრეთვე ფალსიფიცირებული საგნების გასაღება, ფალსიფიკაცია ნაღდი ანგარებით ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ერთიდან სამ წლამდე. უფრო მკაცრად ისჯება იგივე ქმედება, თუ მან გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა (სსსკ, მუხ. 197).

ფამილია – (ლათ. ოჯახი) – ძველ რომში იურიდიულად თავისუფალ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც პატრონს (ოჯახის მამას) ემორჩილებოდა. ესენი იყვნენ ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში მყოფი ადამიანები და მონები. ფამილიაში შედიოდა აგრეთვე ფამილიის გარდაცვლილ წევრთა ქონება.

ფანასკერტის დარბაზობა – ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ტერმინით ცნობილია მეფის ბაგრატ III-ის მიერ სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციის განსამტკიცებლად გატარებული ღონისძიება, რომელიც ითვალისწინებდა მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა უკნებელყოფას. 1010, ბაგრატ III-მ ფანასკერტში სანადიმოდ მიიწვია თავისი ნათესაები ბაგრატ არტანუჯელის ძენი სუმბატი და გურგენი. ვერაგულად შეიპყრო და თმოგვის ციხეში დაამწყვდია, სადაც 1012 გარდაიცვალნენ.

ფანატიზმი – (ფრანგ. გაშმაგებული, გახელებული) – თავდადებული ერთგულება რაიმე მწამსისა თუ რელიგიური რწმენისათვის, რასაც ერწყმის შეუწყნარებლობა სხვა შეხედულებებისა და რწმენის მიმართ; ბრმა-მორწმუნეობა.

ფარა – 1. ოსმალური ფულის ერთეული, რომელიც შემოიღო სულთანმა მურად IV-მ 1623-ში. თავდაპირველად მასა (წონა) 1,10 გ. იყო და 4 ახჩას უტოლდებოდა. XVIII საუკუნის დასასრულს ფარა დაკნინდა და მისი მასა 0,77 გრამამდე დაეცა. იგი ფართოდ იყო გავრცელებული დასავლეთ საქართველოშიც. 2. ვერცხლის მონეტა ყირიმის სახანოში XVII საუკუნეში. 3. სპილენძის მონეტა, რომელსაც რუსეთში ჭრიდნენ 1771–74. 4. იუგოსლავიის მონეტა, რომელიც ულრის დინარის 1/100. მიმოქცევაშია 50 ფარის შემცველი მონეტები.

ფარაონი – მეფე ძველ ეგვიპტეში. ფარაონის ხელისუფლება შეუსრულებელი იყო. იგი მზის ღვთაების მემკვიდრედ ითვლებოდა და მზის მიწიერი განსახიერების – ღვთაება ჰორის ტიტულს ატარებდა. ეგვიპტის ერთიანი

სახელმწიფოს შექმნამდე ქვემო სამეფოს მეფეს თავზე წითელი გვირგვინი ედგა, ხოლო ზემო ეგვიპტის მეფის გვირგვინი თეთრი იყო. ეგვიპტის გაერთიანების შემდეგ ფარაონები შუბლზე ჩრდილოეთის მფარველი ღმერთების – გველის გამოსახულებას და ორივე სამეფოს გვირგვინს ატარებდნენ, რის გამოც ფარაონს ხშირად „ორჯერ მეუფეს“ უწოდებდნენ.

ფარეში – (არაბ. მსახური) – შინა მოსამსახურე ძველ საქართველოში. სასახლის მოსამსახურე ფარეშები თავიანთ უფროსს, ფარეშთუხუცესს ექვემდებარებოდნენ. სასახლეში იყო საფარეშო და ფარეშხანა – მომსახურების უწყება და ფარეშების სამყოფი ადგილი. დედოფალს, უფლისწულებს, ფეოდალებს თავ-თავიანთი ფარეშები ჰყავდათ.

ფართინგბი – (ინგ. მეოთხედი) – ქველაზე წერილი ხურდა ფული ინგლისში. უდრის პენის 1/4. 1921-მდე ჭრიდნენ ვერცხლისაგან, 1921–60 სპილენძისაგან, შემდეგ კი ბრინჯაოსაგან. მიმოქცევიდან ამოიღეს 1968.

„ფარუგი“ – (აზერბ. „სამართლიანობისათვის მებრძოლი“) – იგი ჩამოაყალიბეს ბოლშევიკებმა რსდმპ ბაქოს კომიტეტთან 1905–07 რევოლუციის შემდეგ. მისი ამოცანა იყო მარქსიზმის პროპაგანდა დაღესტნის მუშათა შორის, რომლებიც ბაქოს პროლეტარიატის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენდნენ. ფარუგს ხელმძღვანელობდნენ კ.ალასიევი და მ. აიდინბეკოვი. მაისი დაპატიმრების შემდეგ ჯ.გუფი დაიშალა.

ფასი – საქონლის ღირებულების ფულადი გამოსახვა. ფასი საქონელში „გასაგნობრიებული შრომის ფულადი სახელწოდებაა, საქონლის ღირებულების სიდიდის მაჩვენებელია“. ფასი არის ეკონომიკური კატეგორია, რომლითაც არაპირდაპირ ისომება საქონლის წარმოებაზე დახარჯული საზოგადოებრიულად აუცილებელი სამუშაო დროის სიდიდე.

ფასიანი ქაღალდი – კონკრეტული ქონებრიუი უფლების გამომხატველი და სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტია, რომლის წარდგენის საფუძველზეც ხდება მასში აღნიშნული უფლების განხორციელება. ფასიან ქაღალდში ემეტესად გადახდის მოთხოვნის ან ნივთის გადაცემის უფლებაა აღნიშნული. უფლებამოსილი პირების ინდივიდუალის საციის მიხედვით ფასიანი ქაღალდების სახეებია: სახელობითი, საორდერო, საწარმდგენლო. სახელობითი ფასიან ქაღალდებში მითითებულია კონკრეტული ქონებრიუი უფლების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა. სახელობითი ფასი-

ანი ქალალდი არის ჩეკი, აქცია და სხვა. საორდერო ფასიანი ქალალდი ფორმდება განსაზღვრული პირველი შემძენის სახელ'ზე. ფასიან ქალალდ'ში აღნი'შნული პირველ შემძენს უფლება აქვს მიუთითოს სხვა პირზე, რომელსაც მოვალემ უნდა შეუსრულოს ვალდებ'ულება. საორდერო ფასიანი ქალალდია თამასუქი, კონოსამენტი და სხვა. საწარმოგენლო ფასიანი ქალალდი ისეთი დოკუმენტია, რომელშიც არ არის მითითებ'ული უფლებამოსილი პირი, რის გამოც ფასიანი ქალალდის ნებისმიერი მფლობელი შეიძლება ჩაითვალოს მას'ში აღნი'შნული უფლების სუბიექტად. ამ უფლების განსახორციელებლად საკმარისია მოვალისადმი ფასიანი ქალალდის წარდგენა. საწარმოგენელო ფასიანი ქალალდია მაგ.: 3%-იანი სესხის ობლიგაცია, ლატარიის ბილეთი, რომელსაც წილად ხვდა მოგება და სხვა. ფასიან ქალალდებთან დაკავ'შირებ'ულ ურთიერთობებს აწ'ესრიგებს საქართველოს 1998 წ'ლის 24 დეკემბრის კანონი ფასიანი ქალალდების ბაზრის შესახებ.

ფასტები – (ლათ.) – რომაული კალენდარი, რომელშიც აღნ'ესხ'ული იყო განსაკ'უთრებ'ული სახელმწ'იფო მნი'შვნელობის დღეები. ფასტებს პირველად ქ'ურუმი კონტიფექსი აღგენდა, ხოლო ძვ. წ. 304 წ'ლიდან კერძო პირებმაც დაიწ'ყეს მისი შედგენა.

ფასწარმოძმნა – ფასების ჩამოყალიბების, მათი დონისა და თანაფარდობის განსაზღვრის პროცესი. ფასის ჩამოყალიბებასა და ცვლილებას საფუძვლად უდევს ღირებ'ულება. საქონელთა ღირებ'ულება წარმოადგენს მიზიდ'ულობის იმ ცენტრს, რომლის ირგვლივ მათი ფასები ქანაობს და რომლის მიხედვით მათი მ'ყიდველი აწევ-დაწევა თანატოლდება.

ფაქსიმილე – (ლათ. გააკეთე მსგავსი) – 1. ხელნაწ'ერის, საბუთის, ხელმოწ'ერის და სხვა ზუსტი პირი, რომელიც გადაღებ'ულია ფოტომექანიკ'ური წ'ესით. 2. ვისიმე ხელმოწ'ერის კლიშე, ბეჭედი.

ფაქტორინგი – საქონლის მიწ'ოდებისა და მომსახ'ურების გაწ'ევისაგან გამომდინარე მოთხოვნების უფლებების შეძენა.

ფაქტი – (ლათ. გაკეთებ'ული, მომხდარი) – 1. სინამდვილე, რეალობა. 2. მონაცემები, მასალა რაიმე მოსაზ'რების დასადასტ'ურებლად, დასკვნის გასაკეთებლად. 3. ნივთ'ებრივ სიტ'ყვად ხმარება'ში ჭე'შმარიტების, მოვლენის, შედეგის სინონიმი.

ფაქტობრივი ქორწინება – ცოლ-ქმრ'ული ურთიერთობა, რომელიც კანონით დადგენილი წ'ესით არ არის გაფორმებ'ული. ასეთი ქორწ'ინება არ წარმოშობს

მეულლეთა კანონით გათვალისწინებულ უფლებებსა და მოვალეობებს, ე. ი. მას არა აქვს იურიდიული ძალა. 1928–44 წლების საბჭოური კანონმდებლობა ითვალისწინებდა ფაქტობრივი ქორწინებისათვის იურიდიული ძალის მინიჭების სასამართლო წესით.

ფაშა – (თურქ.) – უმაღლესი სამოქალაქო და სამხედრო მოხელეების ტიტული ოსმალთა იმპერიაში. XIX საუკუნეში რეგულარული ჯარის შექმნის შემდეგ ფაშა გენერლებისა და მინისტრების საპატიო ტიტული გახდა. მას თურქეთში მხოლოდ გენერლებს ანიჭებდნენ. 1934 გაუქმდა. ოსმალეთში 1918 წელს. ერაყში 1958 იორდანიაში მოქმედებდა.

ფაშიზმი – (იტალ. კონა, შეკერა, გაერთიანება) – პოლიტიკური მიმართულება, წარმოიშვა კაპიტალისტურ ქვეყნებში კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პერიოდში. გამოხატავს იმპერიალისტური ბურჟუაზიის ყველა ხე რეაქციული და აგრესიული ძალების ინტერესებს, აშკარა ტერორისტულ დიქტატურას, რომელიც მიზნად ისახავს კაპიტალისტური წყობილების შენარჩუნებას, იყენებს ძალადობის ექსტრემალურ მეთოდებს.

ფედერატები – (ლათ. კავშირი, ხელშეკრულება) – 1. თემები, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ რომთან ხელშეკრულებით. მათ ჩვეულებრივ მოკავშირეებს უწოდებდნენ. 2. ბარბაროსთა ტომები, რომლებიც რომის სამხედრო სამსახურში იყვნენ და რომის იმპერიის საზღვრებს იცავდნენ, განსაკუთრებულად ალებდნენ მიწასა და ჯამაგირს, მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ IV–V საუკუნეებში.

ფედერაცია – (ლათ. კავშირი, გაერთიანება) – სახელმწიფო წყობილების ფორმა, რომლის დროსაც იურიდიულად გარკვეული პოლიტიკურად დამოუკიდებლობის მქონე რამდენიმე სახელმწიფოებრივი ერთეული ქმნის ერთ საკავშირო სახელმწიფოს. ბურჟუაზიული ფედერაციული სახელმწიფოებია: აშშ, გერმანია, შვეიცარია, ავსტრია, ინდოეთი და სხვა.

ფელდმარშალი – (გერმ.) – უმაღლესი სამხედრო წოდება სოციალისტურ ქვეყნის სახმელეთო ჯარებში.

ფელდფებელი – (გერმ.) – უფროსი უნტერ-ოფიცრის წოდება რუსეთისა და სოციალისტურ არმიაში (გარდა კავალერიისა). ასეულის (ბატარეის) მეთაურის თანაშემწე ადმინისტრაციულ და სამეურნეო საკითხებში, და მისი მოადგილე ოფიცრების არყოფნის შემთხვევაში.

ფეოდალური მონეტა – ამა თუ იმ ფეოდალის სახელით მოჭრილი მონეტა საქართველოში. I.

მოღწეულია სამეგრელოს მთავრის ვამეყ დადიანის (1389–96) სახელით მოჭრილი კირმანეული ტიპის ვერცხლის უნიკალური მონეტა, რომლის შუბლზე ორნამენტული ჩარჩოში მოთავსებულია ქართული მხედრული შებრუნებული წარწერა „ვამეყ“, ზურგზე მთელი ტანით პირდაპირ მდგარი ადამიანის სქემატური გამოსახულება, რომელიც ტრაპიზონის მყარეყელ ლეთაებას – წმ. ევგენის უნდა უკავშირდებოდეს.

ფეოდალური რენტა – მიწის საკუთრების რეალიზაციის ეკონომიკური ფორმა. ფეოდალიზმის დროს სოფლის მეურნეობაში მიწის რენტა სელმეტი პროდუქტის მითვისების გაბატონებული ფორმაა. არსებობს ფეოდალური მიწის რენტის სამი ძირითადი ფორმა: 1. შრომითი. 2 პროდუქტალი (ღალა). 3. ფულადი, რომელთაგან თითოეული შეესაბამება საზოგადოებრივი წარმოების განვითარების სხვადასხვა საფეხურს.

ფეტიშიზმი – 1. საგანთა საზოგადოებრივი ფუნქციების გაიგივება. მაი ბუნებრივ თვისებებთან, რაც განპირობებულია ადამიანთა სოციალური ურთიერთობების განიეთების პროცესთა და საგანთა პერსონიფიკაციით. ეს‘რთ გაგებით ფეტიშიზმი პირველყოფილი რელიგიის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. 2. რელიგიური თაყვანისცემა მატერიალური საგნებისა, რომელთაც ზებუნებრივ თვისებებს მიაწერენ.

ფეშჭაში – (სპარს.) – ძველი, სარუქარ-მისართმეველი სპარსეთში. ფეშქაში ფორმალურად ნებაყოფლობითი, ფაქტობრივად კი მოსახლეობის საეალდებულო ფეოდალური სამოხელეო გამოსაღები იყო. ქართულ იურიდიულ აქტებში ტერმინი ფეშქაში ფეოდალურ პერიოდში მკვიდრდება და იგი რისიმე ბოქების წინაპირობას შეადგენს.

ფეციალები – (ლათ. ქურუმთა კოლეგია ძველ რომში) – შედგებოდა 20 კაცისაგან. ტრადიცია მის დაარსებას რომის მეფეებს ნუმა პომპილიუსს ან ანკუს მარციუსს მიაწერენ. მათ ორი ეეხელდნენ წარჩინებულთა გვარებიდან სამეეალმოდ და ხელმეეალნი იყვნენ, მათ ეეალებოდათ ომისა და მშვიდობიანობის საკითხების მოგვარება.

ფიზიკური პირი – ტერმინი, რომელიც მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში გამოიყენება ადამიანის, როგორც სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების სუბიექტის აღსანიშნავად. ფიზიკური პირი უპირისპირდება იურიდიულ პირს – კოლექტიურ წარმონაქმნს (ორგანიზაცია, დაწესებულება, საწარმო და ა.შ.). სამოქალაქო კანონმდებლობაში ტერმინი „მოქალაქე“.

ფიკჰი – (არაბ. ცოდნა, გაგება) – მოძღვრება მუსლიმანური სამართლის შესახებ: მუსლიმანური სამართლის სისტემა. ფიკჰის საფუძვლებია: ყურანი, სუნა, იჯმა და კიასი. ფიკჰი ჩამოყალიბდა მუსლიმანური სამართლის ნორმების შემუშავებისათვის ბრძოლის პროცესში.

ფილე – (ბერძ.) – ძველ საბერძნეთში გაართიანებული-ტომობრივი გაერთიანება, მოგვიანებით ტერიტორიული ოლქები. ფილე იყოფოდა ფრატრიებად. მას განაგებდა სახალხო კრება, უხუცესთა საბჭო, რელიგია, სასამართლო და სამხედრო ძალაუფლება ამორჩეული ფილობასილეუსის ხელთ იყო.

ფიდერი – (უნგ.) – უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ხურდა ფული, უდრის ფორინტის 1/100-ს.

ფინანსები – (ფრანგ. ფული, სახსრები) – წარმოებითი ურთიერთობის სპეციფიკური ფორმა, რომელიც გამოხატავს ეროვნულ შემოსავალს, საერთოდ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული სიმდიდრის განაწილება-გადანაწილების პროცესში. ფულადი ფონდების, შემოსავლებისა და ხარჯების სახით, რაც ვლინდება ამ ფონდების ნამდვილ წრებრუნვასა და მის გარეშე მოძრაობაში.

ფინანსური ბალანსი – კრებითი ფინანსური გეგმა. სახალხო მეურნეობის ბალანსის შემადგენელი ნაწილი. უსრუნველყოფს სახელმწიფოს შემოსავლისა და ბალანსურ დაკავშირებას, კრებსით ფორმაში, ასახავს ეკონომიკის მოთხოვნილებას ფულად საშუალებებზე, მათი წარმოქმნის წყაროებს და აკუმულაციის მეთოდებსა და ფორმებს. დაგეგმვის პირველ სტადიაზე მისი შედგენა ხელს უწყობს აუცილებელი თანაფარდობის დამყარებას სახელმწიფოს შემოსავალსა და გასავალს შორის. დაგეგმვის მეორე სტადიაზე, როცა ყალიბდება ფინანსური გეგმების სისტემა, ფინანსური კავშირი მთავარ საკოორდინაციო როლს ასრულებს სახელმწიფო ბიუჯეტში.

ფინანსური დაგეგმვა – სახალხო მეურნეობის დაგეგმვის შემადგენელი ნაწილი, რომლის ძირითადი ამოცანებია: დაფინანსებაზე ფულადი საშუალებების ფონდების მოცულობისა და ფორმირების წყაროების განსაზღვრა, ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილებისათვის დანახარჯების უზრუნველყოფა, წარმოების დამატებითი სრდისა და ფულადი დაგროვების რესერვების გამოყენება, მატერიალური, შრომითი და ფულადი რესურსების გამოყენებაში ეკონომიის დაცვა, ფინ-

ანსური გეგმების ქვეყნის სისტემის ერთიანობის მიღწევა, ფინანსური გეგმების შესრულების ორგანიზაცია ფულის კონტროლის მეშვეობით.

ფინანსური კონტროლი – სახელმწიფოს მიერ ფინანსების საკონტროლო ფუნქციის განხორციელება საზოგადოებრივი პროდუქტისა დაეროვნული შემოსავლის წარმოებისა და განაწილების პროცესში. მისი მიზანია საწარმოების, უწყებებისა და სამინისტროების საქმიანობის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლების გაუმჯობესება. ფინანსური კონტროლის მთავარი დანიშნულებაა ფულადი სახსრების ცენტრალიზებული და დეცენტრალიზებული ფონდების ფორმირების დასაბუთებულობისა და გამოყენების ეფექტურობის შემოწმება.

ფინანსური კრიზისი – სახელმწიფო ფინანსური სისტემის ღრმა დაშლა. ვლინდება ქრონიკულ ბიუჯეტურ დეფიციტში, რაც იწვევს ინფლაციას და არეცვს ქვეყნის საკრედიტო და საგადასახადო სისტემას. ფინანსური კრიზისი მილიტარიზაციის გარდაუვალი შედეგია. სახელმწიფო ბიუჯეტის და სახელმწიფო კრედიტის დაძაბული მდგომარეობა იწვევს გადასახადის სრდას და შესაბამისად მშრომელთა რეალური შემოსავლის დაცემას. იზრდება სახელმწიფო ვალიც. საბოლოოდ ამ პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს იმპერიალისტური სახელმწიფოს გადაქცევა სახელმწიფო – ბანკროტად.

ფინანსური ოლიგარქია – მონოპოლისტური ბურჟუაზიის ზედა ფენა, რომელიც ახასიათებს ფინანსური კაპიტალის ბატონობას კაპიტალისტური სახელმწიფოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. იმპერიალიზმის განსაზღვრისას ვ.ი. ლენინი ერთ-ერთ ძირითად ნიშნად მიიჩნევდა „საბანკო კაპიტალის შერწყმას სამრეწველოსთან“ და ამ „ფინანსური კაპიტალის ბაზაზე ფინანსური ოლიგარქიის შექმნას“.

ფინანსური პოლიტიკა – სახელმწიფოს ფუნქციების განსახორციელებლად ფინანსური რესურსების აკუმულაციის, მათი განაწილებისა და გამოყენების ღონისძიებათა ერთობლიობა; ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი სფერო.

ფინანსური სისტემა – 1. ფართო გაგებით – ფინანსური ურთიერთობების სხვადასხვა რგოლის ერთობლიობა, რომლის ნარჩენში ამა თუ იმ ეკონომიკურ ფორმაციაში ხორციელდება ფულადი სახსრების წარმოქმნა და გამოყენება. 2. ვიწრო გაგებით – სისტემა ქვეყნის ფინანსური დაწესებულებებისა, რომლებიც უშუალოდ ფულა-

დი საშუალებების მობილიზაციისა და დაკრედიტების პროცესში, აგრეთვე ფინანსურ კონტროლს.

ფინანსური ჯგუფი – ფინანსური კაპიტალის ძირითადი ორგანიზაციული ფორმა. კერძო კაპიტალისტური მონოპოლიზაციის უმაღლესი საფეხური; ჩამოყალიბება დაიწყო იმპერიალიზმის ეპოქაში; წარმოიშვა საკრედიტო-საბანკო, სავაჭრო-სამრეწველო და სატრანსპორტო მონოპოლიების შერწყმის ბაზაზე.

ფისკალური შემოსავალი – ყართო გაგებით – სახელმწიფო ხაზინის ერთობლივი შემოსავალი; ვიწრო გაგებით –სახელმწიფოს შემოსავალი, რომლის მიღება დაკავშირებული იყო მხოლოდ ხაზინის გამოდრებასთან. მაგ.: შემოსავალი სახაზინო ფისკალური მონოპოლიებიდან (ღვინის, თამბაქოსი) და სახელმწიფო საწარმოებიდან. მონეტის გაყუჩებიდან, ფისკალური ბაჟის შემოღებით შეძენილი შემოსავალი და ა.შ.

ფისკალური აგენტი – საგადამხდელო სისტემისა და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის ორგანიზებით სახელმწიფოს ფისკალური პოლიტიკის განხორციელების მხარდამჭერი პირი. სახელმწიფოს წარმომადგენელი სხვა ქვეყნის ცენტრალურ ბანკებთან და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობებში.

ფისკუსი – (ლათ. სიტყვასიტყვით ქალათი) – 1. სამხედრო სალარო ძველ რომში, ინახებოდა გასაცემი თანხა. IV საუკუნიდან ფისკუსი რომის იმპერიის ერთიანი საერთო ფინანსური ცენტრია.

ფიქსაცია – (ფრანგ.) – 1. რისამე აღნიშვნა, ჩაწერა, ჩახატვა. 2. რისამე საბოლოოდ დადგენა, განსაზღვრა. 3. რისამე დამაგრება გარკვეულ მდგომარეობაში. 4. (ფოტოგრაფიაში) – ფიქსაჟით დამუშავება.

ფიქსირებული (რენტული) – გადასახდელი – კოლექტიის საქმიანობისგან დამოუკიდებლად სახელმწიფო ბიუჯეტში საწარმოს მოგების ნაწილის ამოღების ფორმა. მოგებიდან ერთერთი პირველი რიგის გადასახდელი, რომლის მუშავებით ბიუჯეტში გადადის წმინდა შემოსავლის ის ნაწილი, რომელიც წარმოიქმნება წარმოების განსაკუთრებით ხელსაყრელი ბუნებრივი, სატრანსპორტო ან ტექნიკურ-ეკონომიკური პირობების საფუძველზე.

ფიქცია – (ლათ. გამონაგონი) – რაიმე არარსებული, საეჭვო, ცრუ.

ფიქციური კაპიტალი – ფასიან ქაღალდებში (აქცია, ობლიგაცია) დაბანდებული კაპიტალი, რომელიც მფლობელს შესა-

ძლებლობას აძლევს დიფიდენდის ან პროცენტის ფორმით მიითვისოს პროცენტის ნაწილი, როგორც საქონელი. ფიქტიური კაპიტალი – მიმოქცევა განსაკუთრებულ ბაზარზე – საფონდო ბირჟაზე და იქ იძენს ფასს. მაგრამ ვინაიდან ფასიან ქაღალდებს დირებულება არა აქვთ, მათი საბაზრო ფასი, როგორც წესი, არ ემთხვევა რეალური კაპიტალის ცვლილებას.

ფიჩხოვანის განძი – ანძელის რაიონის სოფელ ფიჩხოვანში 1960 აღმოჩენილი განძი. შეიცავს სასაიათაო, ომაიანთა, ოდრისებისა და ესპ. ოსმანიანთა მონეტებს (118 ც.). ან. ცენტრალური ბრდილო აფრიკის, შეაპიერი ამიერკავკასიის და სხვა სარაფხანების პროდუქციას. მათ შორის დღემდე უცნობ რამდენიმე მონეტას, რომლებიც მოჭრილია არმენიასა და ირანში. განძი ჩაეყლაფა X საუკუნის პირველ მეოთხედში. დაკვლია ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში.

ფიცი – (სამართლის ისტორია) – სასამართლო მტკიცებულების ერთ-ერთი სახე. წინასოციალისტური სამართლებრივი სისტემების მიხედვით სასამართლო პროცესის მხარის, თანამოფიცრის, მოწმის ხელება რაიმე წმინდათაწმინდის ან ღმერთის მოსხენიებაა. იგულისხმებოდა, რომ ღმერთი უმძიმალი მინაწოლებას დებულობდა ადამიანთა საქმეებში და არავის აპატიებდა მისი სახელის ბოროტად გამოყენებას. ხშირად იცი შეიცავდა ღმერთისადმი თხოვნას, რომ მას ცრუმოფიცეობის მოეკლინა საშინელი სასჯელი, თუ მისი ხელების ხელახლად დადასტურდებოდა. აუცილებელ პირობად ითვლებოდა, რომ კეთილსინდისიერად შეასრულებს მასზედ დაკისრებულ მოვალეობას. მაგ.: პრეზიდენტის ფიცი, ექიმის ფიცი.

ფიჭვნარის განძი – ქობულეთის ბრდილოეთ უბანში ფიჭვნარში 1948 აღმოჩენილი ვერცხლის მონეტების განძი. შემორჩენილია 102 სინოპური დრაქმა, რომელთა ემისია ძვ. წ. IV საუკუნის შუა წლებში წარმოებდა. შეიძლება გამოსახულია ნიმფა სინოპეს მარცხნივ მიბრუნებული თავი, ხურგზე მარცხნივ მიმართული, ფრთებგაშლილი, დელფინზე მჯდომარე არწივი, მის ფრთებქვეშ მაგისტრატის, ხოლო გამოსახულების ქვემოთ ქალაქის სახელის აღმნიშვნელი ბერძნული შემოკლებული წარწერებია. განძის სინოპური მონეტები მოჭრილია ძვ. წ. 350 – 245. განძის ნაწილი დაკვლია ბათუმში. ნაწილი კი ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში.

ფლანკერი – (ფრანც. გვერდებზე მოთავსება) – მსუბუქი ბი XVIII–XIX სს. კავალერიაში, რომლებიც მთავარი საბრძოლო

ძალების წყობის წინ და ფლანგებზე მოქმედებდნენ. მათი ამოცანა იყო თვალთვალი, დაცვა და დაზვერვა.

ფლიგელ-ადიუტანტი – (გერმ.) – თავდაპირველად ოფიცრის ჩინის ადიუტანტი იმპერატორთან ან ფელდმარშალთან. XIX საუკუნიდან 1917 წლამდე საპატიო წოდება, რომელსაც ანიჭებდნენ რუსეთის იმპერატორის ამალის ოფიცრებს.

ფლოტი – (ფრანგ.). დიდი სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო ძალების ოპერატიული გაერთიანება. მისი დანიშნულებაა სამხედრო მოქმედების საოკეანო და საზღვაო ასპარეზზე ოპერატიული და სტრატეგიული ამოცანების შესრულება. ფლოტის ძირითადი ამოცანებია: მტრის ზედა ობიექტების განადგურება, მტრის ფლოტის ძალების მოსპობა ბაზებსა და სღვაზე, საზღვრებზე დესანტის გადასროლა და გადასხმა: მტრის საოკეანო და საზღვაო კომუნიკაციების მოშლა და სხვა. ფლოტს საომაოდ ემზადება არმია. მის შემადგენლობაში შედის შტაბი და მმართველობის სხვა ორგანოები და სამსახურები. ფლოტს აქვს ბაზირების განვითარებული სისტემა.

ფლოტის ადმირალი – სამხედრო წოდებაა სსრკ-ისა და სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო – საზღვაო ფლოტში. სსრკ-ში ფლოტის ადმირალის წოდება 1940 წლის 7 მაისს დაწესდა და იგი უთანაბრდება საერთო–საჯარისო სამხედრო წოდებებს – არმიის გენერალს და ჯარების გვარეობათა მარშალს.

ფოკის განძი – XIV საუკუნის ილხანების ეერცხლის მონეტების განძი, რომელიც 1979 აღმოჩნდა სოფელ ფოკაში (ნინოწმინდა). შეიცავს 155 ეერცხლის დირჰემსა და ორიან დირჰემს, რომლებიც მოჭრილია ირანის ილხანის ოლჯაითუს (1304–17) სახელით სხვადასხვა ზარაფხანაში. 27 მონეტა მოჭრილია თბილისში, ხოლო 14 ანისში. განძის ყველაზე ადრინდელი მონეტა თარიღდება 1310-ით, უგვიანესი 1316-ით დაცულია სჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ფოლისი – (ლათ.) – სიტყვა-სიტყვით – ქისა, ფულის ტომარა, ძველი რომაული და ბიზანტიური სპილენძის მონეტა, მესამე საუკუნეში ჩანს ძვ. რომში, როგორც წერილი მონეტა, რ-საც მუქითა და ტომრით ითვლიდნენ. IV ს-ში ფ. 1/288 სოლიდს შეადგენს, ხოლო X ს-ში 1/144.

ფოლკეტინგი – დანიის ერთ პალატიანი პარლამენტის სახელწოდება.

ფონდი – (ფრანგ. საფუძველი) – 1. რისიმე მარაგი, 2. რაიმე მიზნისათვის განკუთვნილი ფულადი

ან მატერიალური სახსრები. მაგ.: მ'შფოლობის ფონდი, ოქროს ფონდი, ხიდების ან მონეტების სახით არსებული ძვირფასი (უპირატესად ოქროს) მარაგი, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის. 3. ორგანიზაცია რომელიც მატერიალურ დახმარებას უწევს შემოქმედებით მოღვაწეებს. 4. კაპიტალ. ქვეყნებში საერთაშორისო, თუ ეროვნული ასიგნება ან კაპიტალდაბანდება, რომელიც განკუთვნილია, ცალკეული სასწავლო დაწესებულების შესახახად, სამეცნიერო გეგმების განსახორციელებლად აღმოჩენებისა და პრემირებისათვის. მაგ.: როკფელერის ფონდი, ნობელის ფონდი და სხვა. სამოქალაქო სამართალ'ში იურიდიული პირი, რომლის მიზანსაც არ შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა. ფონდის ორგანიზაცია და სტრუქტურა წესრიგდება წესდებით, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს იუსტიციის სამინისტრო'ში.

ფონდუკუბება – პროდუქციის გამოშვება წარმოებითი ფონდების (ძირითადი კაპიტალი) ღირებულების ერთეულ'ზე, სოციალისტურ ეკონომიკაში ფონდს ახასიათებს წარმოებითი ძირითადი ფონდის გამოყენების ეფექტურობის დონე. იგი გამოითვლება როგორც სახალხო მეურნეობის მას'შტაბით, ასევე მატერ.'წარმოების სფეროს, ცალკეულ დარგის, სამინისტროს, გაერთიანებისა და საწარმოს მიხედვით.

ფორინტი – (უნგ.) – უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ფუ'ლის ერთეული: ფლორის 100 ფილერს. შემოღებულია 1946 წლის 1 აგვისტოდან. სსრკ სახბანკის კურსით (1985 სექტ.) 100 ფორინტი უდრიდა 5 მანეთსა და 65 კაპიკს.

ფორს-მაჟორი – სამოქალაქო სამართალ'ში საგანგებო და გარდაუვალი გარემოებები, რომლის შედეგად არ შესრულდა ხელ'შეკრულებით გათვალის'წინებული პირობები. ასეთ გარემოებას მიეკუთვნება როგორც დაუძლეველი ძალები (წყალდიდობა, მიწისძვრა და ა.შ.), ისეთი იურიდიული ხასიათის ხდომილებანი (სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებანი, გაფიცვები, ომები, რევოლუციები და ა.შ.).

ფორტიფიკაცია – (ლათ. გამაგრება, სიმაგრე) – სამხედრო – საინჟინრო ხელოვნების დარგი, მოიცავს შეიარაღებ'ული ძალების ბრძოლის'უნარიანობის ამაღლების, მტრის დამარ'იანებელი საშ'ალებებისაგან ჯარების, მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის ობიექტების დაცვის მიზნით. საომარი თეატრისა და ქვეყნის ტერიტორიის როგორც წინასწარი, ისე ომის მსვლელობაში გამაგრების თეორიასა და პრაქტიკას. ფორტიფიკაცია ორი

სახისაა: საცულე (საჯარისო) და ხანგამძლე. პირველი შეიმუშავებს რეკომენდაციებს ბრძოლის (ოპერაციის) საჭიროებისათვის თავდაცვითი ნაღმების, ნაღმეების, საწყისი რ-ნების ჯარების სადგომი რაიონების, ბირთვული და სხვა იარაღის ზემოქმედებისაგან მოსახლეობის დასაცავად საცულე ნაგებობების მოწყობის თაობაზე. მეორე განიხილავს საომარი მოქმედების თეატრისა და ქვეყნის ტერიტორიას. წინასწარი ფორტიფიკაციული მომზადების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებს.

ფორტუნა – (ლათ.) ძველ რომაულ რელიგიასა და მითოლოგიაში ბედნიერების, სიუხვის, შემთხვევის, წარმატების ქალღმერთი. მისი კულტის დაარსების ტრადიცია რომის მეფეებს ანკუნს მარციუსს და სერვიუს ტულიუსს მიაწერეს.

ფორვარდული ოპერაცია – ბირჟის გარეშე სასწრაფო საბანკო გარიგებები, რომლებსაც ბანკები და სამრეწველო-სასაქონლო კორპორაციები ასრულებენ ტელეფონით ან ტელექსით შეთანხმების საფუძველზე.

ფრანკი – (ფრანგ.) – 1. ფულადი ერთეული საფრანგეთში: იყოფა 100 სანტიმად. ფრანკის ოქროს მოცულობა მრავალჯერ შემცირდა. სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის კურსით (1985 სექტემბერი) 100 ფრანკი – 9.36 მანეთი; 2. ფრანკი ბელგიის, ლუქსემბურგის, შვეიცარიის, რუანდის, მადაგასკარის ფულადი ერთეული; 3. საფრანგეთის, აფრიკის კოლონიებისა და წუნარი ოკეანის კოლონიების ფულადი ერთეული.

ფრანკო – (იტალ. სიტყვასიტყვით თავისუფალი) – საგარეო ვაჭრობის სფეროში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე, რომლის დროსაც საქონლის ფასში შედის საქონლის დანიშნულ ადგილას მიტანის ფასი და დაზღვევის სახსრებიც. მაგ.: როცა არის პირობა „ფრანკო ვაგონი“ დანიშნულების ადგილში პროდუქციის მიტანისა და ვაგონში დატვირთვასთან დაკავშირებულ ხარჯებს კისრულობს გამყიდველი, ხოლო დანარჩენ ხარჯებს გადაიხდის მყიდველი; „ფრანკო-ქარხანა“ პირობისას მყიდველი ვალდებულია მიიღოს საქონელი ქარხანაში, გამყიდველი კი არაფითარ სატრანსპორტო ხარჯებს არ ეწევა. საზღვაო გადაზიდვისას ფრანკოს ანალოგიური ტერმინებია ფობი, კაფი, ციფი და სხვა, რომლებითაც აღინიშნება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სხვადასხვა სახე. კომერციული ტერმინი, რაც ნიშნავს საქონლის მოწოდებისას მყიდველის განთავისუფლებას გადაზიდვასთან დაკავშირებული ხარჯებისაგან.

ფრატრია – (ბერძ. – ძმობა) – სოციალური ორგანიზაციის ფორმა ათენში და ძველი საბერძნეთის სხვა რეგიონებში. ფრატრიის წევრებს ჰქონდათ თვითმმართველობის საერთო ორგანოები და კულტი. ტერმინი ფრატრია მეცნიერებაში შემოიტანა ლუი მორგანმა, როდესაც მსგავსი ორგანიზაციის არსებობა დაადგინა ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ყოფაში. ფრატრია იყო მონათესავე გვართა გამაერთიანებელი ეგზოგამიური ჯგუფი, რომელიც საქორწინო კავშირში იმყოფებოდა სხვა ფრატრიასთან. ორი ფრატრიის დუალურ-ფრატრიული ორგანიზაციის მთავარი ფუნქცია იყო საქორწინო ურთიერთობათა რეგულირება.

ფრაქცია – (ლათ. დამტვრევა – დაქუცმაცება) – 1. პოლიტიკურ პარტიაში არსებული შიგა დაჯგუფება, რომელიც პარტიის ძირითად ხაზს არ იზიარებს. 2. პარლამენტში, ამა თუ იმ პარტიის დეპუტატთა ჯგუფი, რომელიც იქმნება პარტიის მიერ შემუშავებული ხაზის გასატარებლად. 3. (მოძველებული) პროფესიით ან ამქრული ინტერესებით გაერთიანებული ადამიანთა ჯგუფი.

ფრახტი – (პოლანდ.) – ქირა, რომელსაც იღებს სატრანსპორტო საშუალებების მფლობელი ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანისათვის. ფრახტს ჩვეულებრივ იხდის დამფრახტველი, ე. ი. პირი, რომელმაც დადო გადაზიდვის ხელშეკრულება სატრანსპორტო საშუალების მფლობელთან – მეფრახტესთან. მეფრახტე კისრულობს ვალდებულებას გადაიტანოს ტვირთი ერთი პუნქტიდან მეორეში. ფრახტის ცნებას იყენებენ სხვადასხვა სახეობის (საზღვაო, სამდინარო, საავტომობილო და საჰაერო) ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის დროს, თუმცა იგი გავრცელებულია საზღვაო გადაზიდვაში. ზოგ შემთხვევაში ფრახტი (ხელშეკრულების პირობების შესაბამისად) ჩატვირთვისა და გადატვირთვის საზღაურსაც შეიცავს. საგარეო ვაჭრობის ორგანიზაციები ფრახტს იმ ტარიფების მიხედვით იხდიან, რომლებიც შეთანხმებულია ტვირთის გადამზიდველსა და ტვირთის მფლობელს შორის. გემის დაფრახტვისას (იჯარისას) გარკვეული დროით (ტაიმ-ჩარტერი) ფრახტს გამოითვლიან იმ საჯარო ნიხრის შესაბამისად, რომელიც დადგენილია გემის ტვირთამწეობის მიხედვით თვეში ან გემის დღე-ღამეში გამოყენების შესაბამისად.

ფრონტი – (სამხ.) – შეიარაღებული ძალების უმაღლესი ოპერაციული გაერთიანება საომარი მოქმედების კონტინენტურ ასპარეზზე. ოპერატიულ და ოპ-

ერაქიულსტრატეგიულ ამოცანებს ასრულებს ერთ-ერთ სტრატეგიულ ან რამდენიმე საოპერაციო მიმართულებებზე. ოპერაციებსა და საბრძოლო მოქმედებებს ახორციელებს მეზობელ ფრონტებთან ერთად. მის შემადგენლობაში შედის რამდენიმე საერთო, საჯარისო, სატანკო და საავიაციო არმია, სხვადასხვა ჯარის გვარეობათა და სპეც-ჯარების შენაერთები და ნიწილები.

ფსკოვის სამართლის სიგელი – ფსკოვის ფეოდალური რესპუბლიკის კანონთა კრებული. მოიცავს ფსკოვის ვეჩესა და ბოიართა საბჭოს დადგენილებებს, მთავრის სიგელებს, აგრეთვე „რუსკაია პრავდასა“ და ნოვგოროდიის სამართლის ნორმებს. მტკიცედ იცავს კერძო საკუთრების უფლებას, განსაკუთრებით მიწის ფეოდალურ საკუთრებას, დაწერილებით აწესრიგებდა ურთიერთობებს ვალდებულებითი სამართლის სფეროში (ყიდვა-გაყიდვა, გირავნობა, სესხი, გაცვლილობა, ნაბუქრობა, ქონებრივი და პირადი ქირავნობა და სხვა). სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა ყველაზე უფრო მძიმე დანაშაულისათვის (მაგ.: სახელმწიფო ღალატი, მესამეჯერ ქურდობა) სხვა დანაშაულისათვის დაწესებული იყო ფულადი ჯარიმა. ფსკოვის სამართლის სიგელი – ივანე III-ის სამართლის წიგნი (1497) ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენდა.

ფული – ღირებულების საყოველთაო ეკვივალენტი. გაცვლისა და ღირებულების ფორმების განვითარებამ გამოიწვია საქონელთა სამყაროდან ერთი საქონლის გამოყოფა საყოველთაო ეკვივალენტის როლში, რომლის მიმართ ყველა სხვა საქონელი ღირებულების შეფარდებით ფორმაშია. ასეთი საქონლის როლი ისტორიულად დაისაკუთრა ოქრომ და ვერცხლმა. ოქროსა და ვერცხლის გამოყენება ფულად მასალად გამოწვეულია იმით, რომ ძვირფას ლითონებს შესწევთ უნარი „...წმინდა რაოდენობრივი განსხვავებანი გამოხატოს, რაც გულისხმობს თვისობრივ იგივეობას, ერთგვაროვნებას. ეს პირველი პირობაა, იმისათვის, რომ რომელიმე საქონელმა ღირებულების საზომი ფუნქცია შეასრულოს ... მეორე პირობა იმ საქონლისათვის, რომელიც საყოველთაო ეკვივალენტის როლს უნდა ასრულებდეს, ის არის, რომ შესაძლებელი უნდა იყოს ასეთი საქონლის ყოველნაირ ნაწილებად დაჭრა და ამ ნაწილების კვლავ შეერთება, ოქრო და ვერცხლი ამ თვისებით უაღრესად აღჭურვილნი არიან“. ოქროსა და ვერცხლის თვისებაა გარდაიქმნას მონეტის ფორმიდან ზოდის ფორმაში, ზოდის ფორმიდან – ფუფუნების საგნის და პირა-

ქით. ოქრო და ვერცხლი ხელს უწყობს ფულის ფეტიშიზმს.

ფულს გააჩნია მიმოქცევის საშუალების ფუნქცია, დაგროვებისა და დანაზოგების ფუნქცია.

ფული ძაღლდისა – ღირებულების ნომინალური ნიშანი, რომელსაც სახელმწიფო უმეტეს თავისი ხარჯის დასაფარავად და აქვს იძულებითი კურსი. ბანკის ბილეთისაგან განსხვავებით იგი უშუალოდ ლითონური მიმოქცევის პროცესში წარმოიშვა. ქაღალდის ფულის დიდი რაოდენობით გამოშვება იწვევს მიმოქცევაში მის სიჭარბეს, ეს კი მის გაუფასურებას.

ფულის ბაზარი – სასესხო კაპიტალის ბაზრის განსაკუთრებული სფერო, რომლისთვისაც დამახასიათებელია მოკლე ვადით კაპიტალის სესხად გაცემა. მრეწველი ფულის ბაზარს მიმართავს იმ მიზნით, რომ სასაქონლო კაპიტალი გადააქციოს ფულად ფორმად. ფულის ბაზარი დაკავშირებულია საშინაო და საგარეო ვაჭრობის ოპერაციებთან (საბანკო აქცეპტებისა და ვექსილების ალრიცხვა და სხვა), საკრედიტო, საფინანსო ინსტიტუტების (ბანკთაშორისო სესხები და სხვა). ფულადი რეზერვების შეესაბამებასთან და ა.შ. ფულადი ბაზრის მნიშვნელოვანი მანვენებელია სხვადასხვა ოპერაციაზე ალებული პროცენტული განაკვეთი.

ფულის ემისია – (ლათ. გამოშვება) – მიმოქცევაში ფულის გამოშვება. ფულის ემისიას ახორციელებენ ცენტრალური (საემისიო) ბანკები და ხაზინა. პირველი უშვებს საკრედიტო ფულს – ბანკნოტებს, მეორე სახაზინო ბილეთებსა და სურდა მონეტებს. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა ტიპის საემისიო სისტემაა. ფულის გამოშვებას ან მიმოქცევიდან ფულის ამოღებას ახორციელებს სახელმწიფო ბანკი.

ფულის მიმოქცევა – ფულის, როგორც მიმოქცევისა და გადახდის საშუალების, განუწყვეტლივი მოძრაობის პროცესი. მარტივი საქონელწარმოების პროცესში თვით მეტამორფოზიდან ს-ფ-ს (საქონელი-ფული-საქონელი) გამომდინარეობს გაყიდვისა (ს-ფ) და ყიდვის (ფ-ს) აქტების გაწყვეტის (ყიდვა გაყიდვის გარეშე) ანუ კრიზისების შესაძლებლობა. მის პარალელურად ვითარდება ფულის, როგორც კაპიტალის, მიმოქცევის ფორმული ფ-ს-ფ. ფულის მიმოქცევის სფეროში მოქმედებს ეკონ. კანონები: 1) მიმოქცევის აუცილებელი ფულის რაოდენობის კანონი; 2) ფულის ნიშნების რეალური (საცვლელი) ღირებულების კანონი; 3) ბანკნოტების მიმოქცევის კანონი.

ფულის მსყიდველობითი ძალა – ფულის ერთეულის უნარი

გაიცვალონ საქონლის განსაზღვრულ რაოდენობაზე; ვლინდება ფულსა და საქონელს შორის ჩამოყალიბებულ საცვლელ პრინციპებში. ფ.მ.ძ. დამოკიდებულია როგორც საქონლის ღირებულებისა და ფასის ცვლილებებზე, ისე ფულადი ლიმიტის ღირებულებისა და მიმოქცევაში ქაღალდის ფულის რაოდენობის ცვლილებებზე. ფ.მ.ძ. დამოკიდებულია მოსახლეობის გადახდის უნარიან მოთხოვნასთან.

ფულის ნიშნები – ღირებულების ნიშნები, რომლებიც ცვლიან მიმოქცევაში ოქროსა და ვერცხლის ფულის განსაზღვრულ რაოდენობას, ფულის ნიშნებს (ქაღალდის ფული და საბანკო ბილეთი), აგრეთვე არასრულ ფასიან მონეტებს (სპილენძისა, ნიკელისა და სხვა) არა აქვთ საკუთარი ღირებულება. მაგრამ განსაზღვრულ ფარგლებში შეუძლიათ შეცვალონ ოქროსა და ვერცხლის ფული როგორც გადახდის საშუალება.

ფულის რეფორმა – ფულის მიმოქცევის სფეროში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული გარდაქმნები, რომელთა მიზანია ფულის მიმოქცევის მოწესრიგება და ფულის სისტემის განმტკიცება. ფ.რ-ის გატარების მეთოდები განპირობებულია წარმოების წესით, პოლიტიკური სისტემით, ეკონომიკის მდგომარეობითა და სხვა.

ფულის მიმოქცევის ისტორიაში ცნობილია ფ.რ-ის შემდეგი სახეები, 1. ერთი ტიპის ფულის სისტემიდან ან ერთი სახის ფულადი საქონლიდან მეორეზე გადასვლა; 2. არასრულფასოვანი, გაუფასურებული მონეტების შეცვლა სრულფასოვანით ან არაშეუქცევადი ფულის ნიშნებისა – შეუქცევადით. 3. ცვლილებები ფულის ემისიის სისტემაში. 4. ვალუტის სტაბილიზაცია ან ფულის მიმოქცევის სრულყოფისათვის ნაწილობრივი ღონისძიებები. 5. ახალი ფულის სისტემის წარმოქმნა.

ფულის სისტემა – ცალკეულ ქვეყანაში ფულის მიმოქცევის ორგანიზაციის ისტორიულად ჩამოყალიბებული ფორმები, რომლებიც რეგლამენტირებულია საერთო-სახელმწიფო მასშტაბით. ყოველ ფულის სისტემას საფუძვლად უდევს განსაზღვრული ფულადი საქონელი, რომელიც გამოდის საყოველთაო ეკვივალენტის როლში. ფულის მიმოქცევის რეგლამენტირების დროს სახელმწიფო განსაზღვრავს ფულის ერთეულის სახელწოდებასა და ფულადი საქონლის (სავალუტო ლიმიტი) წონით მოცულობას იმ ერთეულში, რომელიც საფუძვლად ედება ფასების მასშტაბს ფულადი ერთეულის სახეებს (ლიმიტი, ქაღალდი), მიმოქცევაში მათი გაშვების წესს და უსრულ-

ქცევაზე ფულის სახიათის და სხვა. ფულის სისტემის ძირითადი ტიპებია: 1. ლითონური მიმოქცევის სისტემა; 2. ნომინალური ფულის ერთეულების მიმოქცევის სისტემა.

ფულის ფეტიშიზმი – ფულის გაღმერთება წარმოების ანარქიულობისა და სტიქიურობის პირობებში, როცა ურთიერთობა ადამიანთა შორის გარდაუვალად ღებულობს ნივთობრივ, საქონლურ ხასიათს. ფულის ფეტიშიზმი სასაქონლო ფეტიშიზმის განვითარებული ფორმაა.

ფურორი – (ლათ. მძვინვარება, გაშმაგება) – გახმაურებული, საჯარო წარმატება.

ქ

ქალანთარი – (სპარს. სიტყვასიტყვით "ხუცესი") – ქალაქის გაგლენიანი მოხელე სეფიანთა სახელმწიფოში, რომელიც სამოქალაქო საქმეებს განაგებდა. ქალანთარს ნიშნავდა ირანის შაჰი, ქალაქის მდიდარი მოსახლეობის წრიდან. ქალანთარს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ვაჭარ-ხელოსანთა ფენასთან და მათი ინტერესების დაცვა ევალებოდა. იგი ამტკიცებდა მათ მიერ არჩეულ უხუცესებს, უბნის მამასახლისებს, ანაწილებდა ამქრებს შორის გადასახადს და მონაწილეობდა მის აკრეფაში. XVIII საუკუნის ნახევარში „ყიზილბაშობის" მძიმე წლებში, ქაროლის ქალანთარის თანამდებობა შემოიღეს.

ქალის მოტაცება – დანაშაული, რომელიც ხელყოფს ქალის ქორწინების თავისუფლებას. ქალის მოტაცება მასთან დაქორწინების მიზნით სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის განსაკუთრებული სახეა. ისტორიულად საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურზე ქალის მოტაცება ქორწინების ერთ-ერთი კერძო სახეობა იყო. მას, როგორც ქორწინების ერთ-ერთ ნებადართულ სახეობას ითვალისწინებს მარეგის კანონები. ქართულ საკანონმდებლო ძეგლებში ქალის მოტაცება, როგორც ქორწინების კანონიერი ფორმა, არ იხსენიება. ძველი ქართული საქორწინო რიტუალის თანახმად, როდესაც ახალდაქორწინებული გვირგვინაკურთხი ცოლ-ქმარი ეკლესიიდან გამოდიოდა, სიძის ეჯიბი და პატარძლის მაყრები ხმლებს მიაბჯენდნენ ეკლესიის კარებზე. ამაში ი. ჯავახიშვილი ქალის მოტაცების ძველი ჩვეულების სიმბოლურ გამოხატულებას ხედავდა.

ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი – ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური თანასწორუფლებიანობისთვის, ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. 1910 წელს კოპენჰაგენში გამართულმა სოციალისტ ქალთა მეორე საერთაშორისო კონფერენციამ კლარა ცეტკინის წინადადებით, ქალთა საერთაშორისო დღის ყოველწლიურად აღნიშვნა დაადგინა. ეს დღე პირველად აღინიშნა 1911 წელს გერმანიაში, ავსტრიაში, რუსეთში კი 1913 წელს პეტერბურგში. შრომასა და ბრძოლაში, ხალხთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში საბჭოთა ქალების დამსახურების აღსანიშნავად, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 8 მაისის ბრძანებუ-

ლებით. 8 მარტი გამოცხადდა უქმე დღედ.

ძალის შრომა – ქალის მონაწილეობა საზოგადოებრივი წარმოების პროცესში. მის ხასიათს განსაზღვრავს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური წყობილება. ექსპლუატატორულ კლასობრივ საზოგადოებაში წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების ბატონობა ქმნის მამაკაცთან შედარებით ქალების უთანასწორობის წარმოშობის სოციალურ პირობებს, მათ შორის შრომითი ურთიერთობის სფეროში. კანონმდებლობა ქალის შრომის რეგულირებისას ითვალისწინებს მათი ორგანიზმის ფიზიოლოგიას. იცავს დედათა და ბავშვთა უფლებებს, აწესებს მათთვის შეღავათებს, აკრძალულია მათი გამოყენება მძიმე, აგრეთვე ისეთ სამუშაოზე, სადაც ჯანმრთელობისათვის მავნე პირობებია. დაუშვებელია ქალის შრომის გამოყენება ღამის სამუშაოებზე, დაუშვებელია ორსული ქალებისა და მეძუძური დედების, აგრეთვე იმ ქალების, რომლებსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, შრომის გამოყენება ღამისა და ზეგანაკვეთურ სამუშაოებზე და მათი მიყლინებაში გაგზავნა. მათი თანხმობის გარეშე დაუშვებელია მათი ზეგანაკვეთურ სამუშაოში ჩაბმა და მივლინებაში გაგზავნა, რომელთაც სამი წლიდან 14 წლამდე ასაკის ბავშვები ჰყავთ, ან 16 წლამდე ინვალიდი ბავშვები ჰყავთ. ორსულობისა და მშობიარობის გამო ქალს ეკუთვნის შვებულება, რომლის ხანგრძლივობაა 70 დღე მშობიარობამდე, ხოლო 56 დღე მშობიარობის შემდეგ. ორი ან მეტი ბავშვის დაბადების ან მშობიარობის გართულების შემთხვევაში ქალს ეძლევა შვებულება 70 დღის ხანგრძლივობით მშობიარობის შემდეგაც. ამ პერიოდში ქალს მიეცემა დახმარება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან. დეკრეტული შვებულების დამთავრების შემდეგ ქალს საკუთარი ინიციატივით ეძლევა შვებულება ბავშვის მოსავლელად, მისი 3 წლის შესრულებამდე ანაზღაურების გარეშე, მხოლოდ უნარჩუნდება სამუშაო ადგილი და შრომის სტაჟი. შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულია მთელი რიგი სხვა შეღავათები მომუშავე, ორსული და მეძუძური ქალებისათვის (შკკ. მუხ. 156–166).

ძამი – ბიბლიური ტრადიციით – ნოეს ერთ-ერთი ვაჟი იმ სამიდან (ქამი, იაფეტი, სემი), რომელთაგანაც გაშრაველდა ხალხი მსოფლიო წარღვნის შემდეგ. ღმერთმა დაწყევლა იმიტომ, რომ მამის სიშიშვლეს დასცინა.

ქართლის ერისმთავრის დრაჭმები – VI საუკუნის და-

სასრულსა და VII საუკუნის დასაწყისში ქართლში მოჭრილი სასანური ტიპის ვერცხლის მონეტები ცნობილია ქართული სასანური მონეტის სახელითაც. მასა 2.5–3,5 გ. შორის მერყეობს. სასანიანთა ირანის მმართველლობის პორმიზდ IV-ის და ხოსრო II-ის მონეტების იმიტაციაა. შუბლზე გამოხატულია მარჯვნივ მიბრუნებული ჰორმიზდ IV ან ხოსრო II და სათანადო ფალაური წარწერა. ცეცხლთაყვანისმცემელთა ემბლემა (საკურთხეველზე წმინდა ცეცხლი, რომელსაც ორი შეიარაღებული მცველი დარაჯობს) და შესაბამისი ფალაური წარწერა. ქართულ სასანურ მონეტებში გამოიყოფა სამი ჯგუფი: 1. ანონიმური მონეტები, რომელთა შუბლზე სასანიანთა მმართველის ბიუსტის ვეურდით ან ზურგზე წმინდა ცეცხლის ნაცვლად გამოხატულია ეროვნულ-ეანმანთაეისუფლებელი მოძრაობის სიმბოლო – ჯვარი. 2. მონეტები, რომელთა შუბლზე ქართლის ერისმთავართა სახელები დაქარაგმებულია, ქართული ასომთავრულით ან ამ ასოების ლიგატურით, მაგრამ ზურგზე მაინც შენარჩუნებულია ცეცხლთაყვანისმცემელთა ემბლემა. ამ ჯგუფის დრაქმებზე ამოკეთილია ორი ქართული ასო „ან“, ე. ი. გურგენი. 3. მონეტები, რომლების შუბლსეც ერცელი ქარაგმით ან სრულად წერია ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის სახელი, ხოლო ზურგზე წმინდა ცეცხლის ნაცვლად საკურთხეველზე ჯვარია გამოხატული.

ქართულ-ბიზანტიური მონეტა – X–XII საუკუნის დასაწყისის ხანის ვერცხლის ქართული მონეტები, რომელთა წარწერებშიც ქართველი მმართველები და მეფეები ბიზანტიური ტიტულებით არიან მოხსენიებულნი. ასეთების: 1. დავით კურაპალატის (1001) მონეტა. მასა 3,1–3,50 გ. შუბლზე ორსტრიქონიანი ქართული ასომთავრული ზედწერილია „ქრისტე, შეიწყალენე დავით“. ზურგზე გამოხატულია ოთხსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი, რომლის ტოტებს შუა ასომთავრული ქარაგმით წერია „კპტი“ (კურაპალატი. 2. ბაგრატ IV-ის მონეტა, მასა დაახლოებით 1,56 გ. მოჭრილია ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე IX მონომაქოსის მონეტების მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფა. პირველი: შუბლზე ორმაგი წერტილოვანი რკალით გარშემოვლებული ელაქვრინის წმინდა ღვთისმშობლის წელზეითი გამოსახულება და თაეის ირგვლივ განლაგებული ბერძნული ზედწერილი: „ქრისტე, ადიდე ბაგრატ, აფხაზთა მეფე“ და ცენტრში ასევე სამსტრიქონიანი წარწერა: „და ჩოველსიმოსი“. ნოველესიმოსის ტიტულს ბაგრატ IV

აღარებდა. 3. გიორგი II-ის მონეტა. 4. დაფით აღმაშენებლის მონეტები ბიზანტიური ტიტულებით.

ძართული ენის განმარტებითი ლექსიკონი – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის რვატომიანი აკადემიური ლექსიკონი (1950–64 – მთავარი რედაქტორი არნ. ჩიქობავა). შეიცავს 112949 სიტყვას. ლექსიკონზე მუშაობა დაიწყო 1945. ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიაში პირველად მასშია მოცემული სისტემატური დოკუმენტაცია. ლექსიკონისათვის შეიქმნა სადოკუმენტაციო ფონდი – XIX ს. და თანამედროვე ქართული მწერლობის თხზულებებიდან ამოწერილი სიტყვების კართოტეკა (იგი განუწყვეტლივ ივსება: 1982 შეიცავდა 3 მლნ ბარათს). ძირითადი ლექსიკოგრაფიული სიახლეა ის, რომ ლექსიკონში ზმნები შეტანილია აწმყოს ან მყოფადის ფუძით (მესამე პირის მხოლობითი რიცხვის ფორმით), რამაც შესაძლებელი გახადა სრულად ყოფილიყო წარმოდგენილი ქართული ზმნის სიმდიდრე. ამით ქართულმა ზმნამ ლექსიკონში დაიკავა ის ადგილი, რომელიც მას ეკუთვნის ქართულ მეტყველებაში.

ძართული თეთრი – ვერცხლის ფულის ზოგადი სახელი საქართველოში. წერილობით წყაროებში პირველად XIII საუკუნეში გაჩნდა. XIII–XIV საუკუნებში „თეთრი“ აღნიშნავდა კონკრეტულ ფულად ერთეულს და შეესაბამებოდა მონღოლურ დირჰემს, რომლის მასა სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო. (2,13 გ., 1,75 გ., 1,4 გ., 1,02 გ., 0,9 და 0, 52 გ.). ქართულ წყაროებში გვხვდება აგრეთვე ყაზანური თეთრი, გიორგაული თეთრი, კირმანეული თეთრი. XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის დასაწყისში ქართულ თეთრს საანგარიშო და სამონეტო ერთეულის მნიშვნელობაც ჰქონდა. ექვსი თეთრი ერთ დრაჰკანს შეადგენდა. მომდევნო საუკუნეებში „თეთრი“ ვერცხლის საფასის ზოგადი ტერმინი იყო, ზოგჯერ კი საერთოდ ფულს აღნიშნავდა.

ძართული საბჭოთა ენციკლოპედია – (ქსე) – პირველი ქართული უნივერსალური სამეცნიერო ცნობარი. გამოდიოდა საქართველოს კომუნისტური პარტიისა და ცენტრალური კომიტეტის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 25 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე. გამოსცემს ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია (მთავარი რედაქტორი ი. აბაშიძე). გამოცემა განსაზღვრულია 12 ტომად (11 ძირითადი, რომელშიც შესულია 60 000-ზე მეტი ტერმინ-სტატია და ერთი სპეციალური ტომი საქართველოს სსრ, ორ წიგნად ქარ-

თული და რუსული ენებზე, რომლებიც პერიოდულად გამოიცემა). ქსე ასახავს ადამიანის ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის ყველა ძირითად სფეროს.

ძართული საკრედიტო მონეტა – XII–XIII საუკუნეების ქართველ მეფეთა (დემეტრე I, გიორგი III, თამარი, გიორგი IV ლაშა) სახელით მოჭრილი სხვადასხვა ზომისა და წონის სპილენძის მონეტები, რომელთაც ვერცხლის ფულის ფასი ჰქონდათ. ამგვარი მონეტების მოჭრა დაიწყო მხოლოდ აღმოსავლეთში ე.წ. ვერცხლის კრიზისის გაერცელებისთანავე. ფულის სედწერილი იუწყებოდა: „ეს დირჰემია“, რაც იმას ნიშნავდა, რომ სპილენძის ფულის ნიშანს ვერცხლის დრამის ფასი ენიჭებოდა. ამით საქართველოს მთავრობა აღნიშნავდა, რომ მის მიერ მოჭრილ სპილენძის ფულს ვერცხლის ფულის ფასი ჰქონდა და იგი იძულებითი, სავალდებულო კურსით მიმოიქცეოდა.

ძართული ფული – 1804–10 თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი რუსულ-ქართული სპილენძის ფული. შებლზე გამოსახულია საქალაქო გეორგეინი, რომლის ქვეშ ქართული წარწერაა: „ტფილისი“, ქვემოთ – პალმის და ზეთის ხილის გადაჯვარედინებული რტოები, ზურგზე – ქართული რიცხვითი ასონიშნები „კ“ (20), „ი“ (10), „ქ“ (5), რომლებიც აღნიშნავენ სათესლეო ფულადი ერთეულის შესაბამისობას ნომინალში და უტოლდებიან ორ, ერთ და ნახევარ რუსულ კაპიკს. ქვემოთ არის წარწერა „ქართული ფული“, თარიღი დაწერილია რესული ასონიშნებით.

ძართული ფულუსი – (არაბ. სპარს. ფულუს მრ. რ., მხ. რ. ვალს – წერილი სპილენძის ფული) – XVII–XVIII საუკუნეებში თბილისის ზარაფხანაში მოჭრილი სპილენძის ნახევრად საკრედიტო ფულის ზოგადი სახელი. სამონეტო სისტემა და ტიპი აღებულია სეფიანთა ირანის ანონიმური საქალაქო მონეტიდან. ქართულ ფულუსს ჭრიდა ქართლის ხელისუფალი. მიმოიქცეოდა ქართლის სამეფოში და მის ფარგლებს გარეთაც. XVIII საუკუნეში ქართულ ფულუსზე გაჩნდა ქართული ასოებით დაქარაგმებული ქართლის მმართველებისა და მეფეთა სახელები: „ვახტანგ“, „სიმონ“, „ბაქარ“, „თეიმურაზ“, „თეიმურაზ ერეკლე“, „ერეკლე“, „გიორგი“. ყველაზე გავრცელებული იყო ორი ნომინალი (1/2 ბისთი ანუ 10 დინარი) და ფული (1/4 ბისთი ანუ 5 დინარი), ზოგჯერ იჭრებოდა ბისთიც (4 ფული ანუ 20 დინარი). მონეტის ერთ მხარეზე სხვადასხვა გამოსახულებაა (ლომი, ირემი, ცხენი, ფარშევანგი, გემი, ბაგრატიონებ-

ის გერბი, რუსეთის გერბი და სხვა), მეორე მხარეზე სპარსულად წერია: „ფულუსი იჭედა თბილისს“ ან „მონა ღვთისა, იჭედა თბილისს“. თარიღი ჰიჯრითაა მოცემული, გეხებება ევროპული თარიღიც.

ქართულ-ჰულაგუიანური დირჰემი – XIII საუკუნის 80-იან წლებში თბილისში მოჭრილი ვერცხლის მონეტა, რომლის ერთ მხარეს, ილხანის სახელის შემცველი ზედწერილია უიღურულად, ხოლო მეორეზე ქრისტიანული ლოცვა არაბულად: „სახელითა მამისათა, ძისა და სულისა წმინდისათა, ღმერთისა ერთისა“ და ჯვრის გამოსახულება, გარე სეგმენტებში გამოშვების თარიღი, ი შვიათად მოჭრის ადგილი – თბილისი. ამგვარი ფული დიდი რაოდენობით მიმოიქცეოდა აღმოსავლეთ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც. რაც მათი განძებად აღმოჩენის შემთხვევებიც მოწმობს. საქართველო ერთადერთი იყო ჰულაგუიანების ქვეშევრდომი სახელმწიფოთა შორის, რომელიც მონეტას უშვებდა ქრისტიანული რწმენის სიმბოლოთი.

ქარტია (ბერძნული პაპირუსის ფურცელი) – სოციალური ფენებისა და კლასების პოლიტიკური მოთხოვნილებების გამომხატველი მთელი რიგი საბუთების, კონტიტუციებისა და სხვა აქტების დასახელება. მაგალითად, შუა საუკუნეების ქალაქების კომუნალური ქარტიები, თავისუფლებათა დიდი ქარტია, ჩარტისტების პოლიტიკური პროგრამა წარმოდგენილი იყო სახალხო ქარტიაში და სხვა.

ქვეგანაყოფი – საჯარისო ერთეული, რომელსაც მუდმივი ორგანიზაცია და ერთგვაროვანი შემადგენლობა აქვს და უფრო დიდ ქვეგანაყოფში ან სამხედრო ნაწილში შედის. ქვეგანაყოფში არის ათეული, ოცეული, ასეული, (ბატარეია, რგოლი), ბატალიონი (დივიზიონი, ესკადრილია), გარდა ე.წ. ცალკე ბატალიონისა.

ქვეკანონიური აქტი – სახელმწიფო მმართველობის ორგანოსა და სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს (უფლებამოსილი ორგანიზაციის) აქტი, რომელსაც გამოსცემენ კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად. ქვეკანონიური აქტის მიზანია კანონით დადგენილი ნორმის პრაქტიკული განხორციელება. ნორმატიული ქვეკანონიური აქტის გამოცემა შეუძლიათ მხოლოდ იმ ორგანოებს, რომელთაც ეს უფლება მინიჭებული აქვთ კონსტიტუციით.

უმნიშვნელოვანესი ნორმატიული აქტებია მთავრობის ნორმატიული აქტები, რომელთაც უმრავლეს ქვეყანაში დალგენილება და განკარგულება ეწოდებათ

და სამაროლის გამოყენების ქვეკანონიური აქტები, რომელთა გამოცემა მოქმედ კანონმდებლობასთან სრული შესაბამისობის პირობით შეუძლია ყველა სახელმწიფო ორგანოს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

ქვოტა – განსაზღვრული კატეგორიის საქონლის რაოდენობრივი ზღვარი, რომლის შემოტანა ნებადართულია ქვეყანაში.

ქვრივის დაძახება – ნიშნობის თავისებური ჩვეულება ძვ. საქართველოში. ქვრივის დაძახება კუთხური მოხევური წესი იყო, როდესაც ახალდაქვრივებული ქალის „დათავისების“ მიზნით მიმართავდა ცოლის შვრთვის მსურველი ქვრივი მამაკაცი. იგი ქალის ქმრის დასაფლავებამდე ასრულებდა ერთ-ერთ ისეთ ტრადიციულ, სიმბოლურ მოქმედებას, როგორიცაა მიცვალებულის სახლის ბანიდან დაყურება ან თოფის გასროლა, კარზე ჯოხის მიყუდება „სამყოფოს“ სარკმლიდან „საშურდულე კენჭისა“ თუ ტყვიის შეგდება. ამ განსხვავებულ წესებს საერთო აქვთ მთელი ჩვეულების სახელმდები დაძახება: „ხალხნო!“ – სუყველაის გასაგონრად გამამიცხადებია, რო ეს ქრუვი მე უნდა დავინება და მაგის ალმანობაზე დღეის ამას იქით ხმა არავინ ამაიღას, თუ სიცოცხლე არ მაღბეზრებია“. ქვრივის დაძახებას მტრობა და სისხლისღერაც მოსდევდა. მას კრძალავდა „განჩინება ბარისა და მთიულთა ადგილთა“.

ქირაობა – ხელშეკრულება დათქმული საზღაურის სანაცვლოდ ქონებით ან შრომით (მომსახურებით) დროებითი სარგებლობის შესახებ. ისტორიული განვითარების პროცესში ქირაობა მისი ობიექტების მკვეთრი სხვადასხვაობის მიხედვით ჩამოყალიბდა ქონების ქირაობისა და პირადი ქირაობის სახით. გამოცალკევდა აგრეთვე ნარდად მუშაობა. სანარდო ხელშეკრულება გულისხმობს არა თვით მუშაობის პროცესს, როგორც ეს ხდება პირადი ქირაობის დროს, არამედ მის საბოლოო შედეგს. ქონებრივი ქირაობიდან გამოყოფენ იჯარას.

ქირავნობის ხელშეკრულება – ხელშეკრულება, რომლის ძალით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით, ხოლო დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა. ქირავნობის ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. გამქირავებელი შეიძლება იყოს, ქონების მესაკუთრე, რომელსაც აქვს ამ ქონების გაქირავების უფლება. ქირავნობის საგანი შეიძლება იყოს მიწის ნაკ-

ვეთი, საცხოვრებელი სადგომი, საწარმოო იარაღები და ა.შ. მოუხმარადი ნივთის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გამქირავებელს უნდა დაუბრუნდეს.

ქირავნობის ვადა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება, მაგრამ თუ ის ათ წელზე მეტი ვადით დაიდო, ათი წლის შემდეგ ოთხთვეულს მხარეს შეუძლია მოშალოს კანონით დადგენილ ვადაში და წესით (სკ. მუხ. 531–575).

ᲥᲛᲔᲓᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐ – მოქალაქის უნარი თავისი მოქმედებით მოიპოვოს უფლებები და შეიქმნას იურიდიული მოვალეობანი (მაგ.: დადოს ხელშეკრულება, გასცეს მინდობილობა), აგრეთვე პასუხი არამართლსაწინააღმდეგო მოქმედებისათვის (მაგ.: ქონებრივი ზიანის მიყენებისათვის). ქმედუნარიანობა შეგნებული, ნებელობითი მოქმედებით გამოიხატება, რაც გულისხმობს შეგნებისა და ნებისყოფის სიმწიფეს, მათ განსაზღვრულ მდგომარეობას, ამიტომ ქმედუნარიანობა, უფლებაუნარიანობისაგან განსხვავებით, ყველა მოქალაქეს არ გააჩნია. იგი სრული მოცულობით განისაზღვრება ასაკიდან წარმოიქმნება. ქმედუნარიანობას, როგორც განსაზღვრულ სამართლის კატეგორიას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო სამართალში. სხვადასხვა გარიგების დადება. ამა თუ იმ ქონებრივ ურთიერთობაში მონაწილეობა, პირს დამოუკიდებლად მხოლოდ სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, ე. 18 წლის ასაკიდან შეუძლია. 15-დან 18-ღე არასრულწლოვანს გარიგების დადების უფლება აქვს (მხოლოდ მშობლის, მშვილებლის ან მეურვის თანხმობით); მათ ნება ეძლევათ დამოუკიდებლად დადონ წვრილმანი საყოფაცხოვრებო გარიგება, განკარგონ თავისი ხელფასი ან სტიპენდია, ისარგებლონ საავტორო და მაძიებლის უფლებით. 15 წელს მიღწეულ პირთა ნაცვლად გარიგებებს მათი სახელით ღებენ მშობლები, მშვილებლები, მეურვეები. სასამართლო უფლებამოსილია მოქალაქე არაქმედუნარიანად ჩათვალოს და დაუნიშნოს მას მეურვეობა, თუ მოქალაქეს სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო არ შესწევს უნარი შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან წარმართოს იგი. არაქმედუნარიანად აღიარებული პირის სახელით გარიგებებს დებს მისი მეურვე. სამოქალაქო კოდექსის მეთორმეტე მუხლის ქვეპუნქტის მიხედვით ფსიქიკური პირი, თუ კი იგი იქორწინებს, შეიძლება ქმედუნარიანი გახდეს თექვსმეტი წლის ასაკიდან; აგრეთვე თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვანი შეუსრულდავად ქმე-

დ'ენარიანად ითვლება, თუ კი კანონიერი წარმომადგენელი მას მიანიჭებს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას (სკ., მუხ. 65).

ქონდაქარი – ჯალათი ძველ საქართველოში. ტერმინი ქონდაქარი იხმარებოდა ყასაბისა და მსხარე'ულის მნიშვნელობითაც (ს.ს. ორბელიანი ქონდაქარს განმარტავს, როგორც „მკვლელობის მოხელეს", საქონდაქრეს კი, როგორც „ხორცის საკეპს", ან „თაეის მოსაკეეთელ მოწყობილობას). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ქონდაქარი მანდატურთუხუცესის უწყების ეკუთვნებოდა. ბიბლიაში ხსენიება „მთავარქონდაქარი", რომელიც მეფე ნაბუქოდონოსორის დაახლოებული მოხელე ყოფილა და ნასაღის მსგავს მასობრივ რეპრესიას ახორციელებდა.

ქონება – (სამართ.) – 1. ამა თუ იმ პირის კუთვნილი ნივთების, ქონებრივი უფლებებისა და მასზე დაკისრებული ქონებრივი მოვალეობების ერთობლიობა – აქტივი და პასივი (ამ გაგებით ტერმინი „ქონება" იხმარება მაგ.: მემკვიდრეობის მოწესრიგების დროს); 2. იმ ნივთებისა და ქონებრივი უფლებების ერთობლიობა, რომელიც ამა თუ იმ პირის აქტივს შეადგენს. ტერმინი „ქონება" ამ მნიშვნელობით გამოიყენება მაგ.: მოვალის ქონების განსაზღვრისას. 3. ნივთებისა და მატერიალურ ფასეულობათა ერთობლიობა – ქონება ვიწრო გაგებით, მაგ.: ყიდვა-გაყიდვის დროს ყველა ნივთი და არამატერიალური სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომლის შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუ კი ეს აკრძალული არ არის კანონით (სკ., მ. 147).

ქონების გაყოფა – იურიდიული აქტი, რომლის ძალითაც, ისპობა საერთო საკუთრების უფლება, მთელი ქონება იყოფა და მისი ცალკეული ნაწილები ყოფილ თანამესაკუთრეებს სათითაოდ საკუთრების უფლებით გადაეცემა (სახელმწიფო ორგანიზაციებს – ოპერატიული მართვის უფლებით). ქონების გაყოფის უფლება აქვთ როგორც საერთო წილადი საკუთრების მონაწილეებს (სამკვიდრო ქონებისა), ისე საერთო თანასაკუთრების მონაწილეებს (მაგ.: მეუღლეთა საერთო ქონებისა). ქონება იყოფა თანამესაკუთრეთა ზეპირი ან წერილობითი შეთანხმებით. თუ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, გაყოფის წესს განსაზღვრავს სასამართლო.

ქონების უსაფუძვლოდ შეძენა – სამართლის მიხედვით, ქონების შეძენა ან დაზოგვა სხვის ხარჯზე, კანონით ან გარიგებით დადგენილი საფუძვლის

ბარეშე, ანდა როცა ქონების შეძენას შემდგომში საფუძველი მოაკლდა. ასეთ შემთხვევაში წარმოიშობა ქონების დაბრუნების ვალდებულება. თუ უსაფუძვლოდ შეძენილი ქონების ნატურად გამოყენება შეუძლებელია, მაშინ ქონების უსაფუძვლოდ შემძენმა უნდა აანაზღაუროს მისი ღირებულება და აგრეთვე მიღილი შემოსავალი, რაც მან ამ ქონებით მოიპოვოს ან უნდა მოეპოვებინა იმ დროიდან, როდესაც შეიტყო ან უნდა შეეტყო, რომ ქონება უსაფუძვლოდ აქვს მიღებული (მაგ.: კრედიტორისათვის მოვალის მიერ შეცდომით განმეორებით ვალის გადახდა). უსაფუძვლოდ შეძენილი საბაბით არ შეიძლება იმ ქონების მოთხოვნა, რომელიც გადაცემულია ვალდებულების შესასრულებლად, შესრულების ვადამდე ადრე ან რომელიც გადაცემულია ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ. აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ახალი მოქმედი კანონით სამოქალაქო სამართალი ქონების უსაფუძვლოდ შეძენის შემთხვევაში იყენებს ტერმინს „უსაფუძვლო გამდიდრება“. პირს, რომელმაც სხვას ვალდებულების შესასრულებლად რაიმე გადასცა, შეუძლია მოსთხოვოს ეითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება, თუ ვალდებულება გარიგების ბათილობის ან სხვა საფუძვლის გამო, არ არსებობს, არ წარმოიშობა ან შეწყდა შემდგომში, თუ ვალდებულების საწინააღმდეგოდ ისეთი შესაგებელი იქნა წარდგენილი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამორიცხულია მოთხოვნის წარდგენა, ხოლო უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს, ან თუ გაიდა ხანდაზმულობის ვადა, თუ მიმღებს შეეძლო ეგარაუდა, რომ შემსრულებელს სურდა გადაცემა, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მოსთხოვოს ეითომ-კრედიტორს (მიმღებს) მისი უკან დაბრუნება. (სკ. მუხ. 976).

ᲫᲝᲠᲪᲔᲑᲝᲡᲘ – (ბერძნული გუნდის ხელმძღვანელი) – ძველ ათენში (ძვ. წ. V–IV ს.) მდიდარი მოქალაქე, რომელსაც სახელმწიფო აკისრებდა საჯარიო მოვალეობას, გუნდის წევრების შერჩევას, მათთვის ხელფასის, კოსტიუმების ღირებულების გადახდას და სხვა ხარჯების გაღებას.

ᲫᲝᲠᲝᲜᲘᲙᲝᲜᲘ – ქრისტიანულ სამყაროში შემოღებული წელთათვალი. მისი ციკლი („მოქცევა“) შეიცავს 532 წ., რომელიც მზის (28 წ) და მთვარის (19 წ) წრეთა ნამრავლითაა მიღებული (28X19=532). ყოველ ახალ მიმოქცევაში მეორდება მთვარის ასაკი, თვისა და კვირის დღეთა

თანმიმდევრობა. წელთაღრიცხვის ქრონიკონული სისტემით სარგებლობის მიხანი პასექის (აღდგომის) მოარული ღღესასწაულის წინასწარი გამოთვლაა და ამდენად მას'ში წლის დასაწყისად მარტია მიღებული. ქრონიკონი საქართველოში პირველად VIII ს. 80-იანი წლების დასაწყისიდან გამოიყენეს. მისი XIII მოქცევის საწყისი თარიღი 781 წელია. აქედან გამომდინარე, წელთაღრიცხვის აღნიშნული სისტემა 5604 წლიან ქართულ ეროვნულ ერაზეა დამყარებული.

ქორწილი – ქორწინების დამაგვირგვინებელი წეს-ჩვეულება. საქორწილო რიტუალის უმთავრეს მომენტს შეადგენს პატარძლის გადაყვანა ქმრის ოჯახსა და გვარში. ამ აქტისათვის ნიშანდობლივია ერთიერთდასანუქრება და ლხინი, რაშიაც ნეფე-დედოფალთან ერთად მონაწილეობენ ახლობლები და საგანგებო მისიის მქონე პირები (ეჯიბი, მეჯვარე, მაყრები). საქორწილო რიტუალის შესრულებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რელიგია. ქართული ქორწილის მთავარი ნაწილი იყო შეკვეთხლის ორგვლივ მეფე-დედოფლისა და მაყრიონის 3-ჯერ შემოვლის რიტუალი და ჯვრის წერა.

საეკლესიო ქორწინება ერთი შვიდ საიდუმლოთაგანია ქრისტიანულ რელიგიაში. ასრულებს ეკლესიაში მღვდელი ან ეპისკოპოსი. ქორწინების რიტუალი შედგება ორი ნაწილისაგან: დაწინდვა დანიშვნისა (შესაუღლებელ პირთა შორის ბეჭდების გაცვლა, ბეჭედი, როგორც წრე, მარადისობას გამოხატავს, მეუღლეთა თითებზე კი – მათ მარადიულ ურთიერთსრულვას) და გვირგვინის კურთხევისაგან (თავზე გვირგვინის დადგმა გამოხატავს ენებების დათრგუნვას, ჯილდოს იმისათვის, რომ მათ ქორწინებამდე კეთილსინდისიერად იცხოვრეს). ქორწინების საიდუმლოს დროს კითხულობენ ლიტურგიკულ ტექსტებს ფსალმუნთა წიგნიდან, სახარებიდან, სამოციქულოდან და სხვა. წარმოთქვამენ საკვანძურ ლოცვებს ან საეკლესიოს. ქრისტიანული რელიგია ქორწინების საიდუმლოთი შეკრულ ცოლქმრულ კავშირს განისაზღვრავს, როგორც ქრისტეს სულიერ კავშირს ეკლესიასთან (ქრისტე – სიძეა, ეკლესია – რძალი). მართლმადიდებელი ეკლესია რჯულიერ ქორწინებას ძალიან ძნელად აუქმებს, ხოლო კათოლიკური ეკლესია საერთოდ არ აუქმებს.

ქორწინებაბარეშე შვილები – დაუქორწინებელი მშობლებისაგან გაჩენილი შვილები. თუ დაუქორწინებელ მშობელთაგან მათი წარმოშობა კანონით გათვალისწინებული წესითაა დადგენილი, მშობლებისა და ნათესავ-

ებისადმი ისეთივე უფლება-მოვალეობანი აქვთ, როგორიც რეგისტრირებული ქორწინების შედეგად გაჩენილ შვილებს. დაქორწინებულ მშობელთაგან შვილის წარმოშობას ადგენს მხრო მშობლების ერთობლივი განცხადებით. განცხადების გარეშე მამობის დადგენა შეიძლება სასამართლოს წესით. ქორწინებაგარეშე შვილების რეგისტრაციისას დაბადების მოწმობაში დედის თაობაზე ჩანაწერი კეთდება დედისაგე განცხადების საფუძველზე. მამის შესახებ კი – მშობელთა ერთობლივი განცხადებით ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო თუ დედა გარდაიცვალა, ანდა მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენა შეუძლებელია – მამის განცხადებით. თუ არ არსებობს მშობლების ერთობლივი განცხადება და სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, მამის გვარად დედის გვარი ჩაიწერება, მამის სახელი კი დედის მითითებით. (ს.კ. მუხ. 1192–1193).

„ძორწინებისა თავთათვის“ – ქორწინების სამართლის სახელმძღვანელო. მანუილ ქსანთოპულოსის თხზულების ქართული თარგმანი. 1785 ბერძნულიდან ქართულად უთარგმნიათ მღვდელს იოანე ოსეს ძეს და ბერძენ იოანე მიხეილის ძე პაპუაშვილ-ქსოფილთიოსს. ქორწინებისა თაეთათვის შეიცავს მაიე ბლასტარის სინტაგმის 291–307 თავებს და ეხება ნათესაობის ხარისხისა და კანონიერი ქორწინების პირობების განმსაზღვრელ წესებს. სინტაგმა დიდი ხნით ადრე მოქმედებდა საქართველოში, მაგრამ როგორც ჩანს, მისი ძველი თარგმანი დაკარგულია. რის გამოც ერეკლე II-სა და ანტონ I-ს საჭიროდ მიუჩნევიათ ხელახალი თარგმნა. ძველს ერთვის მანუილ ქსანთოპულოსის „მაგალითი ქორწინებისანი“, რომელშიც წარმოდგენილია კანონიერი და უკანონო ქორწინების ნიმუშები. ქართული ეკლესია დაქორწინებისას ნათესაობის ხარისხის მკაცრ დაცვას მოითხოვდა. უკანონო („უსჯულო“) ქორწინებისას დამნაშავეს საკანონის დადებით, სიფიცრე ეკლესიიდან განკვეთითა და შენყვნებით სჯიდნენ.

ძტიტორი – (ბერძნ. სიტყვასიტყვით – დამფუძნებელი, შემქმნელი) – პიროვნება, რომლის სარჯითაც შენდება ან ხელახლა ირთვება ეკლესია, ან რაიმე ნაგებობა. ქტიტორის გამოსახულებანი გავრცელებული იყო შუა საუკუნეების ხელოვნებაში. XVII–XVIII საუკუნეებიდან ქტიტორი ეწოდებოდა ეკლესიის მამასახლისს.

ქურდობა – ქურდობა, ანუ იგი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მი-

საკუთრების მიზნით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით. უფრო მკაცრად ისჯება ქურდობა, ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში: წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის, დიდი ოდენობით – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან თორმეტ წლამდე. (სსკ. მუხ. 177).

ᲥᲨᲐᲢᲠᲘᲔᲑᲘ – (სანსკრ. კშატრია – კშატრა – ხელისუფლება, ბატონობა) – რაჯანები, რაჯანია – ოთხიდან ერთ-ერთი ძირითადი წოდება (ვარნა) ძველ ინდოეთში. ქშატრიებმა, რომლებიც წარმოადგენდნენ სამხედრო ტომობრივ არისტოკრატიას, დაიკავეს გაბატონებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა. ახალი წელთაღრიცხვით პირველ ათასწლეულის შუა ხანებისათვის გაბატონებული კლასი ქშატრიებისაგან უკვე აღარ შედგებოდა. შუა საუკუნეებში ქშატრიის ცნება ტრადიციულად შემორჩა. მაგ.: ქშატრიას უწოდებდნენ სამხედრო ფეოდალური წოდების რაჯპუტების კასტის წევრებს, რომელთაც არჰქონდათ მემკვიდრეობითი კავშირი ძველ ვარნასთან.

ღ

ღალა – საქართველოში სა-გლეხო მიწათმფლობელობასთან დაკავშირებული ფეოდალური გამოსალები მარცვლეულით. ღალის სახით გლეხი ფეოდალს უხდიდა მოსავლის 1/3–1/10 ნაწილს. ღალის გადაწყვეტისას მხედველობაში იღებდნენ მიწის სიდიდესა და ხარისხს. ღალა ეწოდებოდა აგრეთვე მიწის საიჯარო გადასახადს. საისტორიო საბუთებში ზოგჯერ ღალა უფრო ფართო მნიშვნელობითაც იხმარება, კერძოდ, აღნიშნავს სხვადასხვა სახის ნატურალურ საგლეხო გადასახადს: „ღვინის ღალა“, „ნახშირის ღალა“, „ბოსტნეულის ღალა“ და სხვა.

ღია ზღვა – საერთაშორისო სამართალში ზღვის სივრცე ტერიტორიული ზღვისა და შიგა წყლების საზღვრების მიღმა, რომელიც თანასწორობის საფუძველზე ღიაა ყველა სახელმწიფოს სარგებლობისათვის და არ ექვემდებარება არც ერთი სახელმწიფო სუვერენიტეტს. ღია ზღვის საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი წესრიგდება ჟენევის 1958 კონვენციით ღია ზღვის შესახებ და გაეროს საზღვაო სამართლით. ღია ზღვის საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი პირდაპირ დამოკიდებულია ღია ზღვის სტატუსზე. ღია ზღვა და მის ზემოთ საჰაერო სივრცე ეკუთვნის საერთო სარგებლობის საერთაშორისო ტერიტორიების კატეგორიას. ღია ზღვაში ყოველი სომალდი იმ სახელმწიფოს ხელისუფლებას ექვემდებარება, რომელი ქვეშის დროშასაც არბენს იგი (ე. წ. დროშის სახელმწიფოს იურისდიქცია). იმ შემთხვევათა გარდა, რომლებიც სპეციალურადაა გათვალისწინებული საერთაშორისო ხელშეკრულებაში.

„ღია კარის“ დოქტრინა – მოთხოვნა, რომელიც ნინეთის მიმართ აშშ-ის იმპერიალისტური პოლიტიკის შენიღბვის მიზნით წამოაყენა სახელმწიფო მდივანმა ჯ. ჰეიმ 1899 ლდდი კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის გაგზავნილ ნოტებში. ითვალისწინებდა ამერ. კაპიტალისტებისათვის ისეთივე უფლებების, შესაძლებლობების, შესავათებისა და ტარიფების მინიჭებას, რომლებითაც სარგებლობდა სხვადასხვა სახელმწიფო თავისი „გავლენის სფეროში“ ნინეთის ტერიტორიაზე. ვაშინგტონის კონფერენციაზე (1921–22) მიღებული 9 სახელმწიფოს ხელშეკრულებით აშშ-ის მიერ „ღია კარის“ დოქტრინა იყო ოფიციალურად ცნეს, რომლითაც აშშ-მა ფაქტობრივი კონტროლი დაამყარა ნინეთის პოლიტიკაზე, ეკონომიკასა და შეიარაღებულ ძალებ-

ბ'სე და რომელსაც წ'არმატებით იჯ ენებდა სხვა ქვეყნების ბაზრებიდან კონკურენტების განადგურებაც.

ღია ფურცელი – დოკუმენტი, რომელიც იძლევა არქიტექტურული ძეგლების გათხრისა და არქიტექტ ურული დ'ხვევის უფლებას და რომლებსაც გასცემს მეცნიერებათა აკადემია და არქიტექტურული ინსტიტ'ტი. იგი გაიცემა ერთი წ'ლის ვადით, მხოლოდ იმ პირზე, რომელსაც მიღებული აქვს სპეციალური პრაქტიკული მომ'სადებ ა საველე არქიტექტურული კვლევების ჩასატარებლად.

ღია ქალაქი – საერთა'შორისო სამართალ'ში ქალაქი, რომელსაც რომელიმე მეომარი მხარე აცხადებს ღიად, დაუცველად (ქალაქში არ არის სამხედრო ობიექტები, ჯარი, თავდაცვის იარაღი) რის წ'ალობითაც იგი არ შეიძლება იქცეს სათმარი მოქმედების ასპარეზ'ი. ასეთი გამოცხადების მი'ხანია გადაარჩინოს ქალაქი დანგრევას და მცხოვრებლები დაღუპვას. ღია ქალაქის სამართლის სტატ'სი ცერდნობა დებ'ლებას „სამხედრ ო ომის კანონ-ჩვეულებების შესახებ", რომელიც მიღებ'ლია 1907 წ'ლის ჰაგის კონფერენციაზე. ამ დებ'ლების 25 მ'ხლი კრძალავს დაუცველ ქალაქზე თერიმის მიტანას და მის დაბომბვას. II მსოფლიო ომის დროს (1939–45 წ'ლები) ღია ქალაქებად გამოცხადდა პარი'ზი და რომი.

ღირებულება – საქონელ'ში განივთებ'ული საზოგადოებრივი შრომა, საქონელმწ'არმოებელთა საზოგადოებრივი შრომის ასახვა. ღირებ'ულება ნივთის ბ'ნებრივი თვისება კი არ არის, არამედ ნივთობრივი გარსით შენიღბ'ული საქონლისმწ'არმოებელთა ურთიერთობაა. იგი ისტორი'ული კატეგორიაა.

ღირებულებითი ბალანსი – სახალხო მეურნეობის ბალანსის სისტემა'ში იმ ბალანსების ერთობლიობა, რომელთა ყველა სიდიდე გამოსახ'ლია ფ'ლადი და არა ნატ'რალური ერთეულებით. ღირებ'ულებითი ბალანსის შედგენის ობიექტ'რი აუცილებლობა სოციალიზმის დროს განპირობებ'ლია სასაქონლო წ'არმოებისა და სასაქონლო ფ'ლადი ურთიერთობათა არსებობით, რომელსაც გაჩართიებ'ლი კვლავწ'არმოების პროცესი ითხოვს რეგულარ ნატ'რალ'ში, ისე ღირებ'ულებ'ში. მატ'რიალ'ური ბალანსების გამოსახვა ღირებ'ულებით ერთეულებით ერთეულებში უშ'ალოდ არის დაკავშირებ'ლი ფ'ლის ფ'ნქციის – ღირებ'ულების საზომის – შესრ'ულებასთან.

ღირებულების კანონი – საქონელწ'არმოების ურთიერთობის ობიექტ'რი ეკონომიკ'რი კანონი, რომლის თანახმად წ'არმოებ'ული საქონლის ღირებ'ულება საზოგადოებრივად აუცილებ'ელი აბსტრაქტ'ული შრომით განისაზღვრება და სამ'შაო დროით იზომება.

ღირებულებების ობიექტი – ადამიანურ ურთიერთობათა, ადამიანურ მოღვაწეობათა და ამ ურთიერთობაში სარბენი ბუნებრივი მოვლენების ერთობლიობა, რომლებსაც გარკვეული ღირებულებითი მნიშვნელობა ენიჭება. ღირებულების ობიექტის დადგენაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის შეფასებას სიკეთისა და ბოროტების, ჭეშმარიტებისა და მცდარობის, მშვენიერებისა და სიმახინჯის, სამართლიანობისა და უსამართლობის და სხვა თვალსაზრისით. ამგვარად, ღირებულების ობიექტის დადგენის კრიტერიუმები და წესები მკვიდრდება საზოგადოებრივ ცნობიერებაში და ქმნის ადამიანური მოღვაწეობის ორიენტირებს. ამიტომ „საკნიბრიტი“ და „სუბიექტური“ ღირებულებები სამყაროსადმი ადამიანის ღირებულებითი დამოკიდებულების ორი განუყრელი მხარეა.

ღირებულების ფორმები – საქონლის ღირებულების განსაზღვრის ფორმები საქონლის გაცვლისა და მის წინააღმდეგობათა განვითარების პროცესში. ღირებულების ეკონომიკური ანალიზი მოცემულია კ. მარქსის შრომაში „კაპიტალი“. რომელშიც მკვიდრდება საფუძველი ღირებულების გენეზისისა და მისი ეკონომიკური ბუნების ანალიზს, სადაც მოცემულ ღირებულებაზე მითითებით მთლიანი და დამთავრებული სახითაა მარქსმა ღირებულების ისტორიულ განვითარებაში გამოყო ოთხი ფორმა: 1. ღირებულების მარტივი, ცალკეული ან შემთხვევითი ფორმა; 2. ღირებულების სრული ანუ გაშლილი ფორმა; 3. ღირებულების საყოველთაო ფორმა; 4. ღირებულების ფულადი ფორმა. მარქსის მტკიცებით „ღირებულების ყველა ფორმის საბოლოო ამოხსნა ღირებულების ამ მარტივ ფორმაში იმალება“.

ღულაბები (არაბ. ღულამ – სტრუქტურით ემსგავსება, ჯაბუკი, მონა) – 1. მონები შედიოდა საკუთრების მუსლიმანურ ქვეყნებში. 2. ცხენოსანთა მცველი გვარდია აბასიანთა სახელმწიფოში, შეიქმნა ხალიფა მამუნის დროს. კომპლექტდებოდა ტუსიოელებში ნაწილი ასალაგარდა. ემთავრებისად თურქული წარმოშობის მონებისაგან. ღულამები (სინონიმი – მამლუქები) ერქვათ სახალხოს გვარდიის მეომრებს შეა საკუთრების სხვა მუსლიმანურ ქვეყნებშიც. 4. დელის სასულთნოში თურქული წარმოშობის გვარდიელები – მონები და მათი მეთაურობის შემადგენლობიდან გამოსული ღულის სულთნები.

ღურზულის განძი – ვერცხლის მონეტების განძი. აღმოჩენილია 1926 წელს სოფელ ღურზულში (გულრიფშის რაიონი). 467 მონეტა კაბალიკოსის კუსარაძეში მიტანილი დრაქმები და დიდრაქმებია.

ყ

ყაანური – XIII ს. 60–70-იან წლებში თბილისში მოჭრილი მონღოლური ანონიმური ვერცხლის მონეტა, რომლის ერთ მხარეს ყაენის ტიტულია („ყაან მართლმსაჯული“), მეორეზე კი – მაჰმადიანური სარწმუნოებრივი სიმბოლო, მოჭრის თარიღი და ადგილი (თბილისი). ამ სახის ფული დიდი რაოდენობით მოჭრეს 1261–80. გავრცელდა აღმოსავლეთ საქართველოში ამიერკავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (სომხეთი) და სავარაუდოა, ამიერკავკასიის გარეთაც.

ყადაღა ძონებისა – სამოქალაქო სარჩელის ან ქონების შესაძლო კონფისკაციის უზრუნველყოფის მიზნით შესრულებული ღონისძიება, რაც ამ ქონების თუ ფულადი სახსრების განკარგვის აკრძალვით გამოიხატება. ქონების დაყადაღება შეიძლება აგრეთვე ჯარიმის ან სხვა გადასახდელის გადახდევინების მიზნით. კანონით დადგენილი წესით ქონებას ყადაღას ადებს სასამართლო, გამომძიებელი, მოსკვლევი პირი, სასამართლო აღმასრულებელი. შეიძლება ცალკეულნაირი ქონების დაყადაღება, გარდა მოქალაქეთა პირადი მოხმარების საგნებისა. დაყადაღებული ქონება აიწერება და შესანახად შეიძლება გადაეცეს კანონით გათვალისწინებული კომპეტენტური ორგანოს. ქონებაზე ყადაღის ახსნა შეიძლება სასამართლოს განჩინებით, ან გამომძიებლისა ან მომკვლევი პირის დადგენილებით.

ყადი (არაბ. კადი.) – სასულიერო მსაჯული, მოსამართლე მუსლიმანურ ქვეყნებში. ყადი ძირითადად საოჯახო, რელიგიური და მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს განიხილავს შარიათისა და ადათის საფუძველზე. წინათ მას ექვემდებარებოდა აგრეთვე სისხლის სამართლის საქმეები, მკურნეობა, ვაკუფის მართვა და სხვა. ყადის ფუნქციები შეიზღუდა ახალი საერო სასამართლოს განვითარების კვალობაზე და ზოგან ეს ინსტიტუტი კიდეც გაუქმდა. საქართველოში მონღოლთა ბატონობის პერიოდთან დაკავშირებით ეამთააღმწერელისა და ვახუშტი ბატონიშვილის საისტორიო თხზულებებში ახსენებენ „ყადი ტფილელისა“.

ყაზახობა – (თურქ. ყაზახლარო – ყაზახი – ყაზაღი – დასავლეთ საქართველოს ზოგ კუთხეში – გლეხი) – ექსპლუატატორთა სელჩუყლების უკმაყოფილო და მის წინააღმდეგ ამხედრებული გლეხის აბრაგობა, ყაზაღობა, შუა საუკუნეების საქარ-

თველოში. ქა'სახობა, ქა'სახი, გლეხთა კლასობრივი ბრძოლის გამოვლინება და მისი ნაყოფი იყო. ქართ'ულ ვერსია'ში („სამართალი ბერძ'ელი") იხსენიება „ქა'სახთა უფროსი" (მის სასჯ'ელად დადგენილია ხელ-ფეხის მოჭრა ან თვალის მოთხრა) და „ცხადად ქა'სახნი, რომელნიცა დგანან ტუეშია ანუ გა'სა'სჯდა" (ისინი უნდა დაიჭირონ და ანძაზე აცვან, რომე სხვათაც ნახონ და შე'მინდნენ"). ვახტანგ VI-ის სა'ართლის მიხედვით „მ'სირობით" (ნასაფრებით) კაცისმკვლელ ქა'სახს, თუ მეფე საგანგებოდ არ დასჯ'იდა, სამმაგი „სისხლის" გადახდა ეკისრებოდა. თვით „მ'სირი" ქა'სახის მკვლელი კი არ ისჯ'ებოდა.

ყალბი დოკუმენტის დამზადება – დანაშა'ული, რომელიც ხელყოფს ფუ'ლსა და საკრედიტო სისტემას. ყალბი ფუ'ლის ჭრა გუ'ლისხმობს ქაღალდის ან ლითონის ყალბი ფუ'ლის ანდა ყალბი სახელმწ'იფო ფასიანი ქაღალდის (მაგ.: სახელმწ'იფო სესხის ობლიგაციების) დამზადებას გასაღების მი'ნით, აგრეთვე მათ გასაღებას. ამაც კანონით ისჯ'ება უცხოური ვალუტის (ლითონის ან ქაღალდის ფუ'ლის) დამზადება გასაღების მი'ნით, ანდა მათი გასაღება. ყალბი ფუ'ლის დამზადება ან ყალბი ფასიანი ქაღალდის დამზადება გუ'ლისხმობს, როგორც მათ მთლიან დამზადებას, ისე ნაწ'ილობრივ შეცვლასაც (მაგ.: ობლიგაციის ნომრის შეცვლა), გასაღებად კი ითვლება ყალბი ფუ'ლის გადახდა საფას'ურად, მისი ჩუქება და სხვა. ყალბი ფუ'ლისა თუ ფასიანი ქაღალდის გასაღება შეუძ'ლია, როგორც თვით ყალბისმქნელს, ისე სხვა პირს.

ყალბი ფულის ჭრა დანაშაულად ითვლება ქვეყნის კანონმდებლობით. არსებობს ყალბი ფულის ჭრის თაობაზე სისხლის სამართლის ბრძოლის საერთაშორისო კონვენცია.

ყალიმი – საქორწინო გადასახადი მაჰმადიანური რელიგიის მიმდევარ ხალხში. საქორწინო ურთიერთობაში ყალიმი ურჯადის ტოლფასოვანი იყო.

ყარაჩოხელი – (თურქ. შავჩოხიანი) – სელოსანი ან წვრილი ვაჭარი ძველ თბილისში. გამოირჩეოდა რაინდული ბუნებით, სიდარბაისლით, დარდიმანდობით, თავისებური ჩაცმა-დახურვით (გულამოღებული აბრეშუმის პერანგი, შავი ატლასის ან სატინის წვრილნაოჭებიანი ახალუხი, შავი შალის უბეგანიერი შარვალი, ქოშები ან წალები, გრისელკალთებიანი, მოკლენაოჭებიანი ორსაქიანი შავი შალის ჩოხა, შემკული ვერცხლის გობაკიანი ქამრით, ბაღდადი და ბუსრის ქუდი). ყარანიო'ელი გადატანითი მნიშვნელობით დარდი-მანდი, მოქეიფე სელგაშლილი კაცი.

ყაშიჩი – (თურქ.) – მოხელე მეკარე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. ასრულებდა სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ფუნქციებს (სასახლის დაცვა, სხვადასხვა დაკალების, გადაწყვეტილებისა თუ განაჩენის სისრულეში მოყვანას). ყაფიჩი ხელმწიფისათა უწყებას მიეკუთვნებოდა.

ყაჩაღობა – ყაიალობა, ე. ი. თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ნადენილი ადამიანის სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ანდა ასეთი ძალადობის მუქარით—ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე.

კანონის თანახმად, თვით თავდასხმა დამთავრებულ ყაჩაღობად ითვლება, მიუხედავად იმისა დაეუფლა თუ არა დამნაშავე ქონებას. ყაიალობა გაძლიერებულ პასუხისმგებლობას იწვევს, თუ იგი ნადენილია სადგომში, საცავში ან მოქალაქის ბინაში შეღწევით, ან ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებით. (სსკ. მუხ. 179).

ყვენობა – ქართული ხალხური თეატრის ერთ-ერთი სახეობა – მასობრივი ხალხური სანახაობა.

ყიდვა-გაყიდვა – ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც გამყიდველი კისრულობს გადასცეს ქონება მყიდველს საკუთრებად (თუ მყიდველი სახელმწიფო ორგანოსაგანაა ოპერატიული მმართველობის უფლებით), მყიდველი კი კისრულობს მიიღოს ეს ქონება და გადაიხადოს მასში გარკვეული თანხა. ყიდვა-გაყიდვა

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, ორმხრივი, სასყიდლიანი ხელშეკრულებაა, რომლის საგანი, როგორც წესი, არის ნივთი, ქონება. შეძენილ ქონებაზე შემძენის საკუთრების უფლება წარმოიშობა ნივთის გადაცემის მომენტიდან, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. გაყიდული ნივთის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების პირობებს, ხოლო ხელშეკრულებაში მითითებათა უქონლობის შემთხვევაში ჩვეულებრივ მოთხოვნებს. მხარეთა მიერ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით ან კანონით დადგენილი პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის გათვალისწინებულია სანქციები (ჯარიმის ან საერავის გადახდევინება, ნივთის შეცვლა, ხარალის ანაზღაურება და სხვა). პრეცენსია გაყიდული ნივთის ნაკლის შესახებ გამყიდველს ნივთის ნაკლის აღმოჩენისთანავე უნდა წარედგინოს, მაგრამ არაუგვიანეს 6 თვის გასვლისა ნივთის გადაცემის დღიდან, ხოლო ხანგრძლივი სახლის (აგარაკის) ნაკლის გამო – არაუგვიანეს ერთი წლისა მყიდველის მფლობელობაში ხანგრძლივი სახლის (აგარაკის) გადაცემის დღიდან. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 477-ე მუხლი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ნაცვლად ხმარობს ტერმინს ნასყიდობის ხელშეკრულება. (ს.კ. მუხ. 477).

ყმა – ფეოდალურ საქართველოში აღნიშნავდა: 1. ქვემდგომს. გვიანეს (IX–XVIII სს.); 2. ლაშქრობა-სამსახურის მოვალე; 3. პირად თავისუფლებაწართმეულ ქმა გლეხს. ქმა წარმოდგა სიტყვისაგან „ქრმა“ – ბავშვი, ვაჟი. ამ მნიშვნელობით ქმა V საუკუნიდან გვხვდება წერილობით ძეგლებში. ამავე დროიდან ქმა და მისგან წარმოებული ტერმინი „მოყმე“ აღნიშნავდა ვაჟკაცს, რაინდს (ასეთივე მნიშვნელობით გვხვდება ტერმინი „ჭაბუკი“).

ყორიასაული – იასაულების უფროსი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. გიორგი VI-ის დასჯერლამალის მისვლით, დიდი მეჯლისის დროს ყორიასაული მეჯის უკან იდგა. იგი ძირითადად ქმიკ აღასბაშის უწყებაში შედიოდა და ყორჩიბაშისა და ეკლარაღასის ხელქვეითიც იყო. XVIII საუკუნეში ტერმინი ყორიასაული შეიცვალა „ყორიასაულბაშით“, რომელსაც საგარეო ფუნქციაც მიეცა. ყორიასაულბაშის ხელმოსაწერი უწყებაში თანდათანობით მოექცა ეკლესიის ადგილის დადგენა.

ყორჩიბაში – (თურქ.) – მეჯის პირადი სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. შეიარაღებულ მცველთა უფროსი გვიან-

დელ ფეოდალურ საქართველოში.

ყულარაღასი – მეჯის მცველ მეთოფეთა უფროსი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. ყულარაღასი მეჯეს თავს აღგა და ყორნიბაშთან ერთად მის პირად სამსახურს ხელმძღვანელობდა. ამასთანავე, იგი სასახლის დიდი მოხელე იყო და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამეფოს მართვაში. XVIII ს. მეორე ნახევარში ყულარაღასობამ დაკარგა შინაარსი და მხოლოდ ტიტულად შემორჩა.

ყურშში – ოსმალური ყულის ერთეული, რომელიც მოჭრეს სულეიმან III-ის სამოხენტო რეფორმის ჩატარების შემდეგ. მასა – 19,25 გ., სომა 40–41 მმ. შუბლზე წერია სულთანის სახელი, მოჭრის ადგილი და დრო, სურგზე – „სულთანის ორი ხმელეთისა და მპყრობელი ორი ღვეისა, სულთანი ძე სულთანისა“.

შ

„შანთი“ – მტკიცებულების სახე ქართულ სამართალში.

შანტაჟი – (ფრანგ.) – გამოძალვის ერთ-ერთი სახე. სახელის გამტეხი ცნობების (ნამდვილისა თუ მოგონილის) გახმაურების მუქარით რაიმე ქონების ან ქონებაზე უფლებისა თუ ქონებრივი გამორჩენის გამოძალვა.

შარავანდედი – (სპარს. – მეფური, ბრწყინვალე) – 1. სამეფო გვირგვინი; 2. გვირგვინოსანი; მეფე. თანამედროვე ქართულში „შარავანდედი“ იგივე მნიშვნელობით ისმარება, რაც „შარავანდი“ – ვისიმე ან რისიმე თავს მღებარი წარმოდგენითი თუ რეალური სხივის გვირგვინი, ნათელი.

შართლამა, შართლამა – წერილობითი პირობა („პირობის წიგნი“) სელშეკრულება ძველ საქართველოში. ტერმინი შართლამა უფრო XVIII საუკუნეში საქალაქო (მომჩებულად თბილისში) სამოქალაქო-სამართლებრივ ბრუნვაში გვხვდება.

შარიათი – (არაბ. შარიათ – ჭეშმარიტი გზა, ქცევის წესი) – ისლამის რელიგიურ-ეთიკური და სამართლებრივი ნორმების კრებული, დაფუძნებული ყურანზე, სუნასა და ფიკჰზე. შეიმუშავეს VII–XII სს. არაბეთის სახელმწიფოში. შარიათი მოიცავს სახელმწიფო, სამოქალაქო, საქორწინო-საოჯახო, სისხლის და საპროცესო სამართლის ნორმებს, იყენებენ იმ ქვეყნებში, სადაც ისლამი სახელმწიფო რელიგიაა.

შეგებებული სარჩელი – მოპასუხის დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელისადმი, რომელსაც აღძრავს იგი პირველდაწყებითი სარჩელისაგან თავდაცვისა და მასთან ერთობლიობად განხილვის მიზნით. შეგებებული სარჩელს მიიღებს განსახილველად თუ შეგებებული მოთხოვნა მიმართულია პირველდაწყებითი მოთხოვნის ჩასათვლელად; შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირველდაწყებითი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას; შეგებებულ სარჩელსა და პირველდაწყებით სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება. პირველადი და შეგებებული სარჩელის ერთად განხილვის შედეგად სასამართლოს გამოაქვს ერთიანობლივი გადაწყვეტილება. (სამ. საპ. კოდ. მუხ. 189–199).

შედარებითი სამართალმცოდნეობა – სხვადასხვა სახელმწიფოს სამართლებრივი სის-

ტემის შესწავლის მეთოდი მათი შედარებისა და განსხვავებული თუ მსგავსი ნიშანთვისებების გამოვლენის გზით. შედარებითი სამართალმცოდნეობა ფართოდ განვითარდა და გავრცელდა მეორე მსოფლიო ომის (1939–45) შემდეგ, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთობის გაფართოებასთან. შეიძლება სხვადასხვა სოციალური სისტემის (სხვადასხვა ტიპის სახელმწიფოთა) ან იდენტური სოციალური სისტემების (ერთნაირი ტიპის სახელმწიფოთა) სამართლის შედარება. ამის შესაბამისად ხდება ავტორი განასხვავებს სამართლებრივი სისტემების „გარეგან“ და „შინაგან“ შედარებას. შედარებით სამართალმცოდნეობას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საერთაშორისო კონვენციების შემუშავებისა და სწორად გამოყენებისათვის, რადგან იგი ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის სამართლებრივი ტერმინოლოგიის უნიფიკაციასა და განმარტებას.

შეიარაღებული ნეიტრალიტეტი – საერთაშორისო სამართალში ნეიტრალური სახელმწიფოს ღონისძიება თავისი საზღვარი გაჭრობა მეომარ სახელმწიფოთაგან დაიცვას შეიარაღებული ძალის მეშვეობით. შეიარაღებული ნეიტრალიტეტის პრინციპები პირველად 1780 წ. მოაყენა რუსეთმა ინგლისის ნრდილოეთ ამერიკული კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პერიოდში: მეომარ სახელმწიფოებთან ნეიტრალურ სახელმწიფოთა ვაჭრობის უფლება, ნეიტრალურ გემზე მტრის საკუთრების ხელშეუხებლობა, თუ იგი არ არის სამხედრო კონტრაბანდა. ბლოკირებულად ნაოთვლება მხოლოდ ის პორტი, რომელშიც შესვლა და გამოსვლა უცხო გემებისათვის აკრძალულია და ეს აკრძალვა მაბლოკირებელი სახელმწიფოს რეალური კონტროლის ქვეშ იმყოფება.

შეიარაღებული ძალები – სახელმწიფოს შეიარაღებული ორგანიზაცია. არმიისა და ფლოტის ერთობლიობის აღსანიშნავად ეს ცნება ფ. ენგელსმა შემოიღო. შეიარაღებული ძალების დანიშნულება, მისი მშენებლობის პირადი შემადგენლობის სწავლებისა და აღზრდის პრინციპები სახელმწიფოს საზოგადოებრივი სახელმწიფო წყობილებით და პოლიტიკით განისაზღვრება.

შემთავსებლობა – ძირითად თანამდებობასთან ერთად მეორე ფასიან თანამდებობაზე მუშაობა დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, საწარმოში ანდა ძირითადი სამუშაოს გარდა სხვა რეგულარული ფასიანი სამუშაოს შესრულება. შეთავსებით მუშაო-

ბა შეუძლიათ მეღვინეობის მწარმოებლებს, პედაგოგებს, მეცნიერ მუშაკებს, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს. აკრძალულია შემთავსებლობა ერთისა და იმავეს, აგრეთვე ერთმანეთთან სამსახურებრივ დაქვემდებარებულ ან მაკონტროლებელ დაწესებულებაში, ორგანიზაციასა თუ საწარმოში. შრომის შეთავსებით თანამდებობაზე ანაზღაურდება ამ თანამდებობისათვის გათვალისწინებული ხელფასის მხედველობით ფაქტობრივი დატვირთვის პროპორციულად, მაგრამ არა უმეტეს 1/2 ხელფასისა. შეთავსებითი თანამდებობიდან შეწყვეტა მუშაკის ძირითად თანამდებობაზე კეთილსინდისიერების ან ცოდნის დროს ეძლევა, ასეთი შეწყვეტა, როგორც წესი არ ანაზღაურდება.

შემთხვევა – (კაზუსი) (სამართ.) – ბრალის გარეშე გამოწვეული საზოგადოებრივად საშიში შედეგის შემთხვევის დროს პირი ვერ ითვალისწინებს საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობას – სხვადასხვა გარემოების გამო მას ან არ უნდა გაეთვალისწინებინა, ან არ შეეძლო გაეთვალისწინებინა ეს შედეგი. შემთხვევა სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას არ ეწევის. სამოქალაქო სამართლის მიხედვით კი შემთხვევა ზოგჯერ ქონებრივ პასუხისმგებლობას ეწევის. მაგ.: შემთხვევითი ხანძრის პასუხს აგებს საკრანისპორტო ორგანიზაცია ან მანქანის მფლობელი, თუ მათი მოქმედება მომეტებული საფრთხის წყაროს შეკავშირდება.

შემოღობვანი – (ინგ.) აგრარული რეფორმის ან გლეხობის ექსპროპრიაციის (გაკუმპურების) ძალდატანებითი პროცესი, რომელიც ე.წ. კაპიტალის პირველადი დაგროვების საფუძველს შეადგენდა.

შემწეობა – დახმარება – ფულადი დახმარება, რომელიც მოქალაქეებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ეძლეოდათ. იგი გაიცემა შრომისუუნარობის, ორსულობისა და მშობიარობის, ბავშვის დაბადების გამო. გარდა ამისა, ყოველთვიური შემწეობა ენიშნებათ მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს, ინვალიდ ბავშვებს და ნაკლებად უზრუნველყოფილ ოჯახის ბავშვებს. ერთად მისულებელებისა და ინვალიდებს. კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე შემწეობას დასაფლაებისათვის.

შენაერთი – სამხედრო ტაქტიკური შენაერთების ბრიგადების, დივიზიების, კორპუსებისა და ესკადრების (სამხედრო საზღვაო ფლოტში) საერთო სახელწოდება. არსებობს საერთო-საჯარისო, სატანკო, საავიაციო და სხვა შენაერთები.

შენახვის ხელშეკრულება – სამოქალაქო სამართალში ხელშეკრულება, რომლის მიხედვი-

თაც ერთი მხარე (შემნახავი) ვალდებულებას კისრულობს შეინახოს ქონება, რომელიც მას გადასცა მეორე მხარემ, და ეს ქონება უვნებლად დაუბრუნოს მას. ხელშეკრულების მხარედ შეიძლება იყვნენ როგორც მოქალაქეები, ისე ორგანიზაციები. შენახვის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით, თუ ამ ხელშეკრულების თუნდაც ერთი მხარე მოქალაქეა და თუ შესანახი ქონების ღირებულება 100 ლარს აღემატება. შენახვის ხელშეკრულება უსასყიდლოა, შემნახავი ვალდებულია მიიღოს აუცილებელი ზომები ქონების უვნებლობისათვის. იგი პასუხს აგებს ასეთი ქონების დაკარგვის ან დაზიანებისათვის. ქართული სამართალი ადრიდანვე იცნობდა ანაბრობა-შენახვის ურთიერთობას. იგი სრულიად განვითარებული სახით არის წარმოდგენილი ვახტანგ VI-ის სამართალში. 1997 წ. სამოქალაქო სამართლის კოდექსი შენახვის ხელშეკრულებას ალარ ითვალისწინებს და მის ნაცვლად სმარობს მიბარების ხელშეკრულებას. (სკ. მუხ. 763).

შერაცხადობა – (სამართ.) ადამიანის უნარი გაითვალისწინოს თავისი ქცევის ფაქტობრივი მხარე, შეიცნოს მისი სოციალური მნიშვნელობა, უხელმძღვანელოს მას და პასუხი აგოს კანონის წინაშე. თუ პირს ეს უნარი არ გააჩნია, იგი პასუხს არ აგებს ჩადენილი დანაშაულისათვის.

შერეული პროცესი – საგამოძიებო-საბრალდებო სისხლის სამართლის პროცესი. პირველად შემოიღეს 1808 საფრანგეთში. შერეულ პროცესში გამოძიებას აწარმოებს მოსამართლე-გამომძიებელი. გამოძიებისას პოლიციას მინიჭებული აქვს ფართო უფლებები, ბრალდებული კი სარგებლობს შეზღუდული უფლებებით და ეს უფლებებიც კი ხშირად ირღვევა. დამცველი ფორმალურად მონაწილეობს გამოძიების პროცესში, მას და ბრალდებულს გამოძიების დამთავრებისას არ გაეცნობა საქმის მასალები. წინასწარი გამოძიების მიზანია დამნაშავის მსჯელება. სასამართლოში საქმის განხილვა სდება ნაფიც მსაჯულთა (შეფცენია) მონაწილეობით, ფორმალურად ალიარებულია საქმის განხილვის საჯაროობა, ზეპირობა, უშუალობა, პროცესის მონაწილეთა თანასწორუფლებიანობა, მაგრამ ფაქტობრივად შეფცერხებელია დემოკრატიულ უფლებათა განხორციელება. სასამართლო პროცესი აგებულია ძირითადად სახელმწიფო ბრალმდებლის (პროკურორის) და ბრალდებულის შეჯიბრებითობის საწყისებზე. ბრალის ალიარება განიხილება, როგორც გადამწყვეტი მტკიცებულება.

ᲨᲔᲠᲘᲡᲮᲕᲐ – (სამართ. ისტორია) – სასჯელი ძველ საქართველოში 1263 საეკლესიო კრების დადგენილების მიხედვით. შერისხვა ადამიანის ძირითად მოქალაქეობრივ უფლებათა აყრას გულისხმობდა. იგი მამულის „დაჭირვით“ და ლაშქართა შიგან არ შეშვებით გამოიხატებოდა. შერისხვა დამატებითი სასჯელის სახით სულ ერთიოდა საეკლესიო შეჩვენებას. მას სამოქალაქო სფეროში სამეფო ხელისუფლება მიუსჯიდა დამნაშავეს, რომელსაც რაიმე „მისვლა-მოსვლა და საქმოსა“ საქართველოს ეკლესია დაკრულაყდა. „წესი სახლისა და პალატისა“ სამეფოსი ისეთი იყო, რომ შერისხვა მეფეს უნდა აღესრულებინა კრულვის მისვლების განხილვა-განსჯის გარეშე.

ᲨᲔᲠᲘᲤᲘ – (ინგ.) – აღმასრულებელი ხელისუფლების თანამდებობის პირი დიდი ბრიტანეთის, ირლანდიის, აშშ-ის საგრაფოებსა და ზოგიერთ სხვა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. დიდ ბრიტანეთში შერიფს სამეფო ხელისუფლება ნიშნაეს. შერიფად არ შეიძლება დანიშნულიყო ლარიბი, ლორდი, მღვდელი და ა.შ. აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასამართლო უფლებამოსილებით (განაჩენის აღსრულება, საპატიმროებსე ზედამხედველობა და ა.შ.). აშშ-ში შერიფს ირჩევდა საგრაფოს მოსახლეობა (როდ-აილენდის გარდა). მისი იურისდიქცია მხოლოდ სასოფლო ტერიტორიაზე ვრცელდება.

შერიფი ისლამამდელ არაბეთში წარჩინებული გვარის წარმომადგენელი, ტომის ბელადი, შემდგომში იმ მუსლიმანთა საპატიო ტიტული, რომლებიც თავიანთ გვარტომობას უკავშირებდნენ წინასწარმეტყველ მუჰამედს. ფორმალურად ამ ტიტულის ტარების უფლება ჰქონდათ მხოლოდ ჰასანის შთამომავლებს.

ᲨᲔᲡᲐᲓᲐᲠᲘ ᲤᲐᲡᲔᲑᲘ – განსაზღვრული წლის ფასები, რომლებიც პირობითად მიღებულია ბაზად სხვადასხვა პერიოდის წარმოების, საქონელბრუნვისა და ეკონომიკური მაჩვენებლების ფულად გამოსახულებაში შედარების დროს. შესადარი ფასების სახეობაა უცვლელი ფასები. შესადარ ფასებად გამოიყენებოდა 1952 წ. 1 იანვარი, 1955 წ. 2 იელისი და 1967 წ. 1 იელისის საბითუმო ფასები. 1976 წლიდან დაგეგმვასა და აღრიცხვაში შესადარ ფასებად იყენებენ 1975 წლის საბითუმო ფასებსა და ტარიფებს, ხოლო სოფლის მეურნეობაში – 1973 სასოფლო საბურნეო პროდუქციის საშ. ფასებს.

ᲛᲔᲣᲤᲚᲝᲑᲐ – იმუნიტეტი (ლათ. განთავისუფლება, რაიმესაგან თავის დახსნა) – ყველაზე ძველი პრივილეგია – სენიორის, საერო თუ საეკლესიო ფეოდა-

ლის პოლიტიკური – საგადასახადო, ადმინისტრაციული – პოლიციური და სამართლმსაჯულო უფლება თავის სამფლობელოში. შეუვალობა მსხვილ მიწათმფლობელობას ემყარებოდა. მისი მინიჭება მეფის, სიუზერენის წყალობის აქტით ხდებოდა. შეუვალობა იმას ნიშნავდა, რომ ამ სამფლობელოში მეფე – სიუზერენის მოხელეებს არ შეესვლებოდათ და არაფერი ესაქმებოდათ. XIII–XIV სს-ში, სამეფო ხელისუფლების გაძლიერებისა და ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების კვალობაზე, თანდათან მოისპო.

მეურაცხაობა – მდგომარეობა, როდესაც ადამიანს არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს ან უხელმძღვანელოს თავის მოქმედებას კანონში აღნიშნული სხვადასხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო. შეურაცხაობა გამორიცხავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის. შეურაცხის მიმართ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სამედიცინო იძულებითი ღონისძიებანი, ხოლო გამოჯანსაღების შემდეგ იგი შეიძლება დაისაჯოს. (სსკ. მუხ. 34).

მეურაცხყოფა – პიროვნების პატივისა და ღირსების განზრახ დამცირება, გამოხატული უწესო ფორმით. ეს დანაშაული შეიძლება მიმართული იყოს მხოლოდ იმ პირის წინააღმდეგ, ვისაც შეუძლია აღიქვას თავისი ღირსების დამამცირებელი ქცევა. შეურაცხყოფა გულისხმობს პირის სნეობრივი ან გონებრივი თვისებების, ფიზიკური თვისებების ან მისი საქმიანობის უარყოფით შეფასებას, რომელიც მორალის ნორმებისა და საერთო ცხოვრების წესების შეუსაბამო ფორმითაა გამოთქმული. შეურაცხყოფა შეიძლება გამოიხატოს სიტყვიერად, წერილობით ან მოქმედებით. (სიმბოლური ჟესტით).

მეფენთა სასამართლო – სასამართლო, რომლის კოლეგიაში მთავრობის მიერ დანიშნულ პროფესიონალ იურისტებთან ერთად შედიან მოქალაქეთაგან არჩეული შეფენები (მსაჯულები). დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში (გერმანია, იტალია და სხვა). VI–XVI სს-ში შეფენები მოსამართლე ჩინოვნიკებთან ერთად მონაწილეობდნენ ინკვიზიციურ სასამართლო პროცესებში. მულმივი შეფენთა სასამართლოები შეიქმნა კარლოს ღიდის დროს. შეფენთა სასამართლო შედგებოდა მეფის მოსამართლისა და ორი შეფენისაგან. იგი თავდაპირველად განიხილავდა მცირემნიშვნელოვან სისხლისსამართლებრივ საქმეებს, 1924-დან კი შეფენთა სასამართლომ სამი ჩინოვნიკ-

მოსამართლისა და ექვსი შეფენის შემადგენლობით რთული სისხლის სამართლის საქმეების განხილვაც დაიწყო. გფრ-ში 1950-დან შეფენთა სასამართლო იხილავს მნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეებს.

შეღავათი – ვინმესთვის უპირატესობის მინიჭება (მაგ.: საპენსიო შეღავათები) დადგენილი წესების შესრულებისაგან ნაწილობრივ განთავისუფლება (მაგ.: საგადასახადო შეღავათები) ან მისი შესრულების პირობების შემსუბუქება.

შეყრილობა – ძველ საქართველოში ორი ან მეტი პირის (ოჯახის) ხელშეკრულებითი შეერთება გაერთსახლება უძრავ-მოძრავი ქონებისა და სამეურნეო საქმიანობის მეტნაკლები გაერთიანებით. შეყრილობა ვალდებულებითი სამართლის (ამხანაგობის) და საოჯახო-სამემკვიდრეო სამართლის ინსტიტუტია. მას ჩვეულებრივ, განაყარი (ადრე ერთსახლი) ოჯახები მიმართავდნენ. შენაყარი გაყრის საპირისპირო გარიგება იყო. მის გახშირებას ხელს უწყობდა დროთა სიავე ქვეყნის ცხოვრებაში, მსხვილი საზოგადოებრივი ერთეულის საწარმოო უპირატესობა ნატურალური მეურნეობრივ ყოთარებაში. შეყრილობა ოდიდანვე არსებობდა. იგი გაერკვლებული იყო საზოგადოების ყველა ფენაში – ფეოდალთა კლასში „მოკიდებულის" ინსტიტუტს უკავშირდებოდა. თემსა შეყრილობის ხელშეკრულება უკადრად იდებოდა. მხარეები მაინც ითვალისწინებდნენ პირობას კვლავ განშორების თაობაზე და დათქმას პირველ შეყრილთა შთამომავლობის გაყრა-შემკვიდრეობის წესის შესახებ. შეყრილობა სიუზერენსენიორის ან მებატონის დასტურს საჭიროებდა; იბეგრებოდა საბატონო და სამოხელეო მოსაკრეფლით, რომელსაც შესამყრელო ერქვა.

შეწამება – დაწამება (სამართლის ისტორია) – დანაშაულში ბრალის დადება, შედაეება სამოქალაქო მოთხოვნის გამო. განირჩეოდა საბუთიანი, პირისპირ შეწამება და „შესმენით" თუ ეჭვით შეწამება – „ბრალის „მირემება". ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით ცნობილია შეწამება მთხრობლით და შეწამება ცილით, ე.ი. ვარაუდით, ეჭვით (მმ. 7, 10 – 37 – 40, 97 და სხვა). განსჯამდე სასამართლოს შეწამება ჟნდა გამოეძია. იმისდა კვალად, მთხრობლით იყო შეწამება თუ ცილით. გამოძიების პროცესი და მტკიცებულებანიც განსხვაედებოდა.

შეღირვა – ჩუქების სახეობა. ფეოდალურ საქართველოში შეწირვა ნიშნავდა ამა თუ იმ ქონების მიძღვნას სულის საცხ-

ორებლად ღვთაების ან რომელიმე წმინდანის სახელზე და მის გადაცემას შესაბამისი ეკლესია-მონასტრისათვის. ჩვეულებრივ შეწირვას თან სდევდა შემწირველისათვის საწირავისა და აღაპის დაწესება. შეწირებიდა უპირატესად საკუთრად მონაგარი ქონება. სამკვიდრო ქონების შეწირვა მეფე-სენიორის დასტურსა და თანამფლობელ-მესაკუთრეთა თანხმობას საჭიროებდა. შეწირულების „გამოწირვა“ შეუწყნარებელი იყო – ცოდვად ითვლებოდა.

შენირული – გლეხი ფეოდალურ საქართველოში, რომელიც ფეოდალმა. შესწირა ეკლესიას. შეწირულის უფლებრივ-ეკონომიკური მდგომარეობა მთლად ნათელი არ არის. გამოარჩევენ „თავისუფლობით შეწირულ“ გლეხებს, რომლებიც პატრონმა წინასწარ გაათავისუფლა საბატონო და სამოხელეო გადასახადებისაგან და ისე შესწირა ეკლესიას. გლეხის ხატისათვის შეწირვა ხდებოდა „სააღაპედ“, „სატრაპეზოდ“ ან გარკვეული სამუშაოს შესრულების პირობით. „თავისუფლებით“ გლეხის შეწირვა სასარგებლო და სასურველი იყო ეკლესიისათვის, რადგან გლეხი მის უშუალო მფლობელობაში გადადიოდა და მთელ ძალ-ღონეს ეკლესიას ახმარდა. ზოგჯერ „თავისუფლობით“ შეწირულ გლეხს შემწირველი „უსამართლო ბეგარას“ აღებდა. ასეთ შემთხვევაში ეკლესია ცდილობდა აეძულებინა შემწირველი გლეხისათვის „უსამართლოდ დადებული ბეგარა და სამსახური“ ეხადა.

შეწყალება – კერძო ამნისტია, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს აქტი, რომლითაც ხდება ცალკეულ პირთა განთავისუფლება სასჯელისაგან ან მათთვის შეფარდებული სასჯელის შემსუბუქება. შეწყალების უფლება აქვს პრეზიდენტს. შეწყალება შეიძლება გამოიხატოს უკვე აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტით, სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლებით, სასჯელის ზომის შემცირებით, ნასამართლობის მოხდით. საამისო თხოვნა შეიძლება აღძრას თავად მსჯავრდებულმა, მისმა ნათესავებმა, დამცველმა, აგრეთვე საზოგადოებრიობამ. შეწყალების ინსტიტუტი ასახავს სახელმწიფოს და სისხლის სამართლის კანონმდებლობას იმ პირთა მიმართ, რომლებმაც გულწრფელად მოინანიეს, პატიოსანი შრომითა და სანიმუშო ყოფაქცევით დაადასტურეს, რომ გამოსწორდნენ და ამიტომ აღარ საჭიროებენ რეპრესიულ ზემოქმედებას. (სსკ., მუხ. 78).

შეჯიბრებითობა სამარ-

ᲗᲐᲚᲨᲘ – სამართალწარმოების პრინციპი, რომლის ძალითაც სისხლისა და სამოქალაქო საქმის განხილვა სასამართლოს წინაშე მხარეთა დაპირისპირების სახით მიმდინარეობს. თითოეული მხარე იცავს თავის მოთხოვნებსა და მტკიცებებს. მართლმსაჯულებაში შეჯიბრებითობა დემოკრატიზმის გამოხატულებაა, ხელს უწყობს სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმის სწორ, სამართლიან გადაწყვეტას. შეჯიბრებითობა სასამართლო პროცესში გულისხმობს მოსამართლისა და მხარეთა შორის პროცესუალური ფუნქციების განაწილებას: ბრალდებას ახორციელებს ბრალმდებელი და პროცესის ერთ-ერთ მხარედ ითვლება; განსასჯელი როგორც მეორე მხარე, გამოდის პროცესზე და თავს იცავს ბრალდებისაგან. შეჯიბრებითობის მეშვეობით სასამართლოს საშუალება აქვს განარჩინის გამოტანამდე მოისმინოს ყველა მოსაზრება ბრალდების დადასტურებისა და უკუგდების შესახებ და გაითვალისწინოს პასუხისმგებლობის ყველა დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოება.

სამოქალაქო პროცესში შეჯიბრებითობა გამოიხატება იმით, რომ მთელი პროცესი მიმდინარეობს მოსარჩელისა და მოპასუხის დაპირისპირების სახით, რომლებიც პირადად ან თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით მოქმედებენ. მხარეები თავიანთი მოთხოვნებისა და შესაგებელის დასამტკიცებლად წარუდგენენ სააამართლოს მტკიცებებსა და განმარტებებს. ისინი სარგებლობენ თანასწორი პროცესუალური უფლებებით. (სსსკ., მუხ. 15, სამ. საპ. კოდ., მუხ. 4).

ᲨᲕᲘᲓᲔᲣᲚᲘ – (საქართველოს ისტორია) – ძველ საქართველოში შეიდკეცი საზღაური ქურდობისათვის. იერიდიულ ძეგლებში XIII საუკუნიდან დასტურდება. მას აწესებს სიმონ პირველის 1590 სიგელი, „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“, „დასტურლამალი“, ერეკლე II-ის განჩინება „ქისიყის გამოსაელის“ შესახებ. „საბატიოს“ კაცის შვილისა ან „აზნაურიშვილის“ გაქურდვის შემთხვევაში შეიდეული მოლიანად გაქურდულს ეძლეოდა. გლეხს „ქურდის საზღაურიდან“ ორი წილი მიეცემოდა. დანარჩენი მეფის, აგრეთვე სათანადო მოხელის – მეკობრეთმძებნელის, ხევისთავის თუ მოურავისა იყო. ერისთავის ასეთ წილს „კერძი საერისთაოი“ ერქვა. თუ ქურდი „გატყდებოდა, ბოდიშს ითხოვდა“, მას შეიდმაგის ნაცვლად მხოლოდ ოთხმაგად გადაახდევინებდნენ.

ᲨᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲧᲕᲐᲜᲐ – იერიდიული აქტი – ბავშვის აყვანა ასაზრდოებლად მშვილებლისა და

შვილობილობათვის ყველა იმ სამართლებრივი ურთიერთობების დადგენით, რაც არსებობს მშობლისა და შვილისათვის. შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო და რეგისტრაცია ხდება მოქალაქეობის მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში. შვილად აყვანა, როგორც წესი, ხდება არასრულწლოვანი ბავშვის. 10 წლის შესრულების შემდეგ შვილად აყვანა შეიძლება მხოლოდ მისი თანხმობით. როცა ბავშვს ყავს მშობლები, მისი შვილად აყვანისათვის საჭიროა მშობლების წერილობითი თანხმობა, თუ მათ არა აქვთ სამორთმეული მშობლის უფლება, ანდა არიან აღიარებულნი არაქმედუნარიანად ან უკვალოდ დაკარგულად. შვილად აყვანის საიდუმლოებას იცავს კანონი. მათ შორის სისხლის სამართლის კანონიც. შვილად აყვანის პროცესუალური საკითხები განხილულია 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონით შვილად აყვანის წესის შესახებ. (ს. კ., მუხ. 1239 –1244).

შვილიშვილი – (სამართლებრივი მდგომარეობა) – შვილიშვილს აქვს განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი თავისი ბებიებისა და პაპების მიმართ. საოჯახო სამართლის და სამოქალაქო კოდექსის 1203–1225 მუხლების მიხედვით, ერთი მხრივ შვილიშვილი, ბებია და პაპა, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ ერთმანეთი, თუ ერთერთი მხარე დახმარებას საჭიროებს. მაგ.: შვილიშვილი მოვალეა არჩინოს შრომისუუნარო ბებია და პაპა, თუ ისინი ვერ იღებენ სარჩოს შვილისაგან ან ერთი-მეორისაგან. ასევე ბებია და პაპა მოვალენი არიან არჩინონ არასრულწლოვანი შვილიშვილი, თუ იგი ვერ იღებს სარჩოს მშობლებისაგან. ბებიასა და პაპას აქვთ მემკვიდრეობის უფლება ერთმანეთის შემდეგ. შვილიშვილს რჩება ბებიისა და პაპის მემკვიდრეობა, თუ სამკვიდროს გახსნისას ცოცხალი არ არის ის მშობელი, რომელიც მემკვიდრე უნდა ყოფილიყო და ასევე მეორე რიგის მემკვიდრეებად ითვლებიან ბებია და პაპა. (სკ. მუხ. 1203–1225).

შიბასაძარხნო ბრუნვა – ღირებულება საწარმოს იმ პროდუქციისა, რომელსაც იგი მოიხმარს საკუთარი სამრეწველო საწარმოო საჭიროებისათვის.

შიგა წყლები – სახელმწიფოს საზღვრებს შიგნით მოქცეული ყველა მდინარე, სრუტე, ტბა, არხი, ხლვა და ყურე, რომლებიც მოცემული სახელმწიფოს სრული იურისდიქციის ქვეშ იმყოფებიან. შიგა წყლების რეჟიმი განისაზღვრება სახელმწიფოს ეროვნული კანონით და მხოლოდ მოცემულ სახელმწიფოს შეუძლია დაუშვას შიგა წყლებში უცხო

საქალმწიფოს გემების შესვლა და რეწვა. შიგა წესების რეჟიმს აწესრიგებს „საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი წყლის შესახებ, მუხლი 2“.

შილინგი – (ინგლ.) – 1. ინგლისური მონეტა, დიდი ბრიტანეთის საანგარიშო – ფულადი ერთეული (1971 წლის თებერვლამდე). ერთის 12 პენსს ანუ გირვანქა სტერლინგის 1/20. 1946 წლამდე ჭრიდნენ ვერცხლისგან, 1971-მდე – სპილენძ-ნიკელის შენადნობისგან. 2. ავსტრიის ფულადი ერთეული, ერთის 100 გროშს. შემოიღეს 1925 წელს კრონის ნაცვლად. სსრკ-ის სახ. ბანკის კურსით (1986 მარტი) ავსტ. 100 შილინგი ერთის 4 მან. და 50 კაპ. 3. კენიის, ტანზანიის, უგანდის, სომალის (1960-დან) ფულადი ერთეული, ერთის 100 ცენტს.

შინა პატიმრობა – პირადი თავისუფლების შესლუდვის ერთეთი ფორმა. პირის იზოლაცია ბინაზე (დაცვით ან დაუცველად). გათვალისწინებულია მრავალი ქვეყნის კანონმდებლობით და საქართველოს კანონმდებლობითაც. (სსსკ. მუხ. 166).

შირვანული თანბა – ვერცხლის მონეტა, მოჭრილი XV ს-ში შირვანში, თემურ ლენგის მაღალხარისხოვანი ვერცხლის მონეტის მიხედვით. მასა 6,2 გ. დროთა განმავლობაში მასა კლებულობდა და ფარუხ იეხარის მმართველობის დროს (1462–1500) 1,90 – 1,75 გრამამდე დაიკლა. მონეტის შუბლზე და ზურგზე არაბული ზედწერილებია. შირვანული თანგის განძები აღმოჩენილია საქართველოშიც სოფელ საქობოში, სოფელ თამარაშენში, რომელთაგან ყველაზე გვიანდელი მონეტა 1462–63 წლებით თარიღდება.

შირვანშაჰების მონეტა – XII–XIII სს. შირვანის მფლობელის ქსრანიდების სპილენძის მონეტები, რომლებიც გავრცელებული იყო საქართველოში, ნაპოვნია XII–XIII სს. სპილენძის ქართული ფულის განძებში (ნიჩბისი, ჯინჭალი) მეფე გიორგი III-ის, თამარის, გიორგი IV-ის ლაშას მონეტებთან ერთად.

შრომა-აღმზრდელობითი კოლონია ამჟამად სასჯელაღმსრულებლობითი დაწესებულება – შრომა-გასწორების დაწესებულება, სადაც სასჯელად დანიშნულ თავისუფლების აღკვეთას იხდიან არასრულწლოვანები. შრომა-აღმზრდელობითი კოლონია ორი სახისაა: საერთო რეჟიმის კოლონია და გაძლიერებული რეჟიმის კოლონია. საერთო რეჟიმის კოლონიაში სასჯელს იხდიან მამრობითი სქესის არასრულწლოვანები, რომლებსაც პირველად დაედოთ მსჯ აერი თავისუფლების აღკვეთით არამძიმე დანაშაულისათვის ან სამ წლამდე

მძიმე დანაშაულისათვის. აქვე იხდის სასჯელს ყველა მდედრობითი სქესის მსჯავრდებული არასრულწლოვანი. გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში სასჯელს იხდიან არასრულწლოვანები, რომლებმაც წინათ მოიხადეს სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, აგრეთვე ისინი, რომლებსაც მსჯავრი დაედოთ თავისუფლების აღკვეთით სამ წელზე მეტი ვადით მძიმე დანაშაულისათვის. მსჯავრდებული, რომელმაც ბოროტად დაარღვია რეჟიმის მოთხოვნები, კანონით დადგენილი წესით შეიძლება გადაიყვანონ საერთო რეჟიმის კოლონიიდან გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში. ჩადენილი დანაშაულის ხასიათისა და საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავის პიროვნებისა და საქმის სხვა გამოძიებათა გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია დაუნიშნოს მამრობითი სქესის არასრულწლოვან მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთით სასჯელის მოხდა საერთო რეჟიმის შრომა-აღმსრდელობით კოლონიაში, ნაცვლად გაძლიერებული რეჟიმის შრომა-აღმსრდელობით კოლონიისა.

შრომა-გასწორების კოდექსი – ერთიანი საკანონმდებლო აქტი, რომლითაც განსაზღვრული იყო სასამართლოს განაჩენით სასჯელად დანიშნული თავისუფლების აღკვეთის, გადასახლების და გამასწორებელი სამუშაოების მოხდისა და აღსრულების წესები და პირობები.

შრომა-გასწორების კოლონია (ამჟამად სასჯელ-აღსრულების დაწესებულება) – შრომა-გასწორების დაწესებულება, სადაც ათავსებენ იმ სრულწლოვანს, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა. ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, მსჯავრდებული პიროვნებისა და საქმის სხვა გარემოებათა გათვალისწინებით კანონში განსაზღვრულია თუ რომელი სახის სასჯელ-აღსრულებით კოლონიაში უნდა მოიხადოს მსჯავრდებულმა სასჯელი. მსჯავრდებულთათვის სასჯელის მოსახდელად არსებობს ციხე ანუ საპყრობილე და აღმზრდელობითი სასჯელის აღსრულების დაწესებულება.

შრომატევადობა – გამომუშავებული პროდუქციის ერთეულზე აუცილებელი სამუშაო დროის დანახარჯი. შრომატევადობა შრომის ნაყოფიერების შებრუნებული მაჩვენებელია – გვიჩვენებს მთავარი საწარმოო ძალის – შრომითი რესურსების გამოყენების ეფექტიანობას. ამჟამად გამოყენებულია შრომატევადობის შემდეგი მაჩვენებლები: ტექნოლოგია, წარმოების მომსახურების, საწარმოო, წარმოების მართვისა და სრული.

შრომისუუნარობა – შრომის უნარის უქონლობა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ასაკთან დაკავშირებით ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ხარისხის მიხედვით ანსხვავებენ სრულსა და ნაწილობრივ შრომისუუნარობას. შრომითი საქმიანობის მიხედვით – საერთოსა და პროფესიულს. შრომის უნარის აღდგენის პერსპექტიულობის თვალსაზრისით – დროებითსა და მუდმივს (მყარს). დროებით შრომისუუნარობა მოიცავს იმ შემთხვევასაც, როცა მუშაკი დაკარგავს შრომის უნარს ავადმყოფობის ან დასახიჩრების გამო და იმ შემთხვევასაც, როცა თვითონ შრომისუნარიანია, მაგრამ შრომითი მოვალეობის შესრულებისაგან ათავისუფლებენ ინფექციის გავრცელების საშიშროების გამო ან ოჯახის წევრის მოვლისა თუ სანატორიულ-კურორტული მკურნალობისათვის. დროებითი შრომისუუნარობაა, როცა ამას ადასტურებს სამკურნალო დაწესებულების ექიმი, იძლევა შრომითი მოვალეობისაგან გათავისუფლებისა და სოციალური დაზღვევის ხარჯზე შემწეობის (დახმარების) მიღების უფლებას. მუდმივი შრომისუუნარობის დროს, როცა ავადმყოფი იძულებულია შეწყვიტოს მუშაობა ან მნიშვნელოვნად შეცვალოს შრომის პირობები, წესდება ინვალიდობა: შრომისუუნარობის პენსიისა და შემწეობის დანიშნის, შრომის პირობათა სფეროში სხვადასხვა შეღავათების მიცემის, ბინით დაკმაყოფილების, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურებისა და სხვა მისთვის ძირითადი პირობა.

შრომითი აღზრდა – ადამიანის მომზადება შრომითი საქმიანობისათვის; ცხოვრებისათვის შრომის მეშვეობით ზნეობრივი თვისებების ფორმირება; შრომითი აღზრდა პიროვნების ყოველმხრივი განვითარების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, იგი მიზნად ისახავს შრომისმოყვარეობის გრძნობის, ყოველგვარი შრომითი საქმიანობისათვის მზადყოფნის ჩვევების ფორმირებას, შრომისათვის პრაქტიკულ და ფსიქოლოგიურ მომზადებას.

შრომითი დავა – სამართლის მიხედვით ადმინისტრაციასა და მუშაკს შორის წარმოშობილი უთანხმოება შრომის კანონმდებლობის გამოყენების ან შრომის პირობების დადგენის შესახებ. შრომითი დავის განხილვა ხდება შრომითი დავის განხილვის წესის თაობაზე არსებული დებულების საფუძველზე. შრომით დავას განიხილავენ: საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში შექმნილი შრომითი დავის კომისიები, პროფკავშირული კომიტეტები, რაიონული (საქალაქო)

სასამართლოები. სოციალური კატეგორიის მუშაკთა შრომით დავას ხელშეკრულების წესით განიხილავენ სემდგომი ორგანოები. შრომითი დავის კომისიები საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში იქმნება პროფკავშირული კომიტეტისა და საწარმოს (ორგანიზაციის) მუდმივ წარმომადგენელთაგან თანაბარი რაოდენობით. შრომითი დავის კომისია შრომითი დავის განხილვის აუცილებელი პირველადი ორგანოა, მაგრამ იგი უფლებამოსილი არ არის განიხილოს სოციალური ისეთი დავა, რომელიც შეეხება გამომუშაებას, თანამდებობრივ ხელფასსა და სატარიფო განაკვეთს, შტატების შეცვლას, დახმარებისა და პენსიის დანიშვნას, ადმინისტრაციის ინიციატივით დათხოვნილი მუშაკის სამუშაოზე აღდგენას და სხვა. შრომით დავას სასამართლოში იხილავენ, როცა მუშაკი არ ეთანხმება პროფკომიტეტის დადგენილებას, უშუალოდ კი სამუშაოდან უკანონოდ დათხოვნის შემთხვევაში. (შ.კ.კ. მუხ. 194).

შრომითი რესურსები – ქვეყნის მოსახლეობის ნაწილი, რომელსაც სახალხო მეურნეობაში მუშაობისათვის აქვს აუცილებელი ფიზიკური განვითარება, გონებრივი შესაძლებლობა და ცოდნა. დაგეგმვისა და აღრიცხვის პრაქტიკაში შრომის რესურსებს მიეკუთვნება შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (16–59 წლის მამაკაცები, 16–54 წლის ქალები). აქ არ შედიან არამომუშაკი I და II ჯგუფის ინვალიდები, აგრეთვე ის პირები, რომლებიც მოსულებულობის პენსიას ღებულობენ შეღავათიან პირობებში (5–10 წლით ადრე). საზოგადოებრივ მეურნეობაში დასაქმებული აღნიშნულზე უფროსი ან უმცროსი ასაკის მოსახლეობა.

შრომითი რესურსების ბალანსი – სსრკ-ს სახალხო მეურნეობის ბალანსის შემადგენელი ნაწილი, ახასიათებდა საბუმაო ძალის კვლავწარმოებას და მოიცავდა შრომითი რესურსების გამოყენების მანვენებელთა სისტემას. მასში ასახული იყო შრომითი რესურსების რიცხვი, მისი თვისობრივი შედგენილობა სქესის, ასაკის, სოციალური ჯგუფების, დასაქმების სახეების, პროფესიებისა და სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით. შრომითი რესურსების ბალანსი აერთიანებდა კრებსით ბალანსს, კერძო ბალანსებსა და ბალანსურ არგარიშებს. შრომითი რესურსების კრებსით ბალანსში ასახებოდა: 1. შრომითი რესურსების რაოდენობა. მასშასადამე შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა შრომისუნარიან ასაკში. 2. შრომითი რესურსების განაწილება. სახელმწიფო მეურნეობაში დასაქმებულთა რიცხვი სოციალური ჯგუფებ-

ბისა და დარგების მიხედვით. მისწავლეობა რაოდენობა. დამხმარე მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა. კრებსითი ბალანსი დგებოდა, როგორც ქვეყნის, ასევე მოკავშირე რესპუბლიკებისა და ოლქების მიხედვით. კერძო ბალანსები მოწოდებული იყო დაესაბუთებინა კრებსითი ბალანსის ცალკეული მაჩვენებელი და გათვალისწინებინა ის, რაც აუცილებელია საგეგმო პერიოდში სამუშაო ძალაზე სახელმწიფო მეურნეობაში მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

შრომითი ღირებულების თეორია – მეცნიერული კონცეფცია, რომელიც საქონლის ღირებულების სიდიდეს განსაზღვრავს მის წარმოებაზე დახარჯული შრომის მიხედვით.

შრომითი შინაგანაწესი – სსრკ-ში ნორმატიული აქტი, რომელიც აწესრიგებდა საწარმოს, დაწესებულების ან ორგანიზაციის მუშაკთა ერთობლივ შრომას საწარმოო პროცესში. შრომითი შინაგანაწესის მიზანი იყო ხელი შეეწყო შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, სამუშაო დროის რაციონალურ გამოყენების, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობისათვის. იგი შეიცავდა შემდეგ განყოფილებებს: ზოგადი დებულებანი. მუშა-მოსამსახურეთა მიღებისა და დათხოვნის წესი, მათი ძირითადი მოვალეობანი, ადმინისტრაციის მოვალეობა, სამუშაო დრო და მისი გამოყენება, მუშაობაში მოპოვებული წარმატებებისათვის წახალისება, პასუხისმგებლობა შრომითი შინაგანაწესის დარღვევისათვის. შრომით შინაგანაწესს ადგენდა საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით დადგენილი წესით დამტკიცებული ტიპობრივი შინაგანაწესის საფუძველზე.

შრომითი ხელშეკრულება – (კონტრაქტი) – მშრომელთა და საწარმო-დაწესებულების, ორგანიზაციას შორის შეთანხმება, რომლითაც მშრომელი ვალდებულებას იღებს შეასრულოს სამუშაო გარკვეული სპეციალობის, კვალიფიკაციის თუ თანამდებობის მიხედვით, დაემორჩილოს შრომის შინაგანაწესს, ხოლო საწარმოო, დაწესებულება, ორგანიზაცია თავის მხრივ ვალდებულებას იღებს მშრომელს გადაუხადოს ხელფასი და უზრუნველყოს იგი შრომის იმ პირობებით, რაც გათვალისწინებულია შრომის კანონმდებლობით, კოლექტიური ხელშეკრულებით და მხარეთა შეთანხმებით (შკკ. მუხ. 16). საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელობას უფლება არა აქვს მოსთხოვოს მუშას ან მოსამსახურეს იმ სამ-

უშაოს შესრულება. რომელიც შრომითი ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული. შრომითი ხელშეკრულების პირობები ბათილია, თუ ისინი აუარესებენ მუშაკის მდგომარეობას შრომის კანონმდებლობის ნორმებთან შედარებით ან ეწინააღმდეგებიან მას. შრომის ხელშეკრულება იდება როგორც განუსაზღვრელი, ისე განსაზღვრული ვადით. შრომის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. სამუშაოზე მიღება ფორმდება ადმინისტრაციის ბრძანებით. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება: მხარეთა შეთანხმებით, ვადის გასვლის გამო, მუშაკის სამხედრო სამსახურში გაწვევის ან შესვლის გამო. მუშაკის ინიციატივით (რის შესახებაც ადმინისტრაციას უნდა ეცნობოს წერილობით 2 თვით ადრე), პროფკავშირული ორგანოს მოთხოვნით; სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის საფუძველზე და ა.შ. (შ.კ.კ. მუხ. 16).

შრომისა და თავდაცვის საბჭო – რსფსრ სახკომსაბჭოს ორგანო, რომელიც წარმართავდა ეკონომისტებისა და ქვეყნის უწყების საქმიანობას ქვეყნის თავდაცვის დარგში. შეიქმნა 1920 აპრილში. მოქმედებდა სახკომსაბჭოს კომისიის უფლებებით. მისი ორგანოები ადგილებზე იყვნენ საოლქო, საგუბერნიო და სათემო ეკონომიკური თათბირები. 1921 მაისში ვ.ი.ლენინმა შეადგინა „შრომისა და თავდაცვის საბჭოს განაწესი ადგილობრივი საბჭოთა დაწესებულებებისათვის“. შრომისა და თავდაცვის საბჭოში შედიოდნენ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე და სახ. კომისრები. სამხ. საქმეში, მიმოსვლის, გზათა, მიწათმოქმედების, სურსათის, შრომის, მუშათა და გლეხთა ინსპექცია (მგი), სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოს (სმუს) თავმჯდომარე; საკავშირო ცენტრალური სკკპ(ბ)-ისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1966 წ. 16 მაისის დადგენილების შესაბამისად, ამავე წლის 1 ივლისიდან შემოღებული იყო კოლმეურნეთა შრომის გარანტირებული ფულადი ანაზღაურება საბჭოთა მეურნეობის შესაბამისი მუშათა სატარიფო განაკვეთის საფუძველზე.

შრომის ანაზღაურების კოლექტიური ფორმა – შრომის ანაზღაურება კოლექტივის (ბრიგადა, საამქრო, უბანი) შრომის შედეგების მიხედვით. სსრკში განსაკუთრებით გავრცელდა მრეწველობის და მშენებლობის დარგებში. შრომის ანაზღაურების კოლექტიური ფორმის დროს გამომუშავებული თანხა ნაწილდებოდა მუშის ნამუშევარი დროისა და სატარიფო თანრიგის გათვალისწინებით.

შრომის ანაზღაურების ფონდი – კოლმეურნეობებში შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური ფორმა, რომლის თავისებურება გამომდინარეობს წარმოების საშუალებებზე კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრების ფორმიდან. კოლმეურნეობების ჩამოყალიბების დასაწყისში კოლმეურნეობა საზოგადოებრივ შრომაში მონაწილეობისა და შემოსავლის განაწილებაში მათი წილობრივი მონაწილეობის ძირითადი საზომი შრომა– დღე იყო.

კომეურნეობებში წამოებული პროდუქცია მუშაკთა კოლექტივს ეკუთვნის, ამიტომ შრომის ანაზღაურების ფონდის წყაროა მოცემული მეურნეობის მთლიანი შემოსავალი. შრომის ანაზღაურების ფონდი კოლმეურნეობათა მთლიანი ნატურალური და ფულადი შემოსავლის ნაწილია.

შრომის ანაზღაურების ფონდი ხასიათდება ძირითადი და დამატებითი ანაზღაურების შეხამებით.

შრომის ბირჟა – დაწესებულება, რომელიც ახორციელებს შუამავლის ფუნქციას მუშახსა და მეწარმეებს შორის სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვის პროცესში. წარმოიშვა XIX ს. პირველ ნახევარში (გერმანია, ინგლისი) და გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც. დასაწყისში ინგლისში დაწესდა საერთო ეროვნული შრომის ბირჟა; სახელმწიფო მონოპოლიური კაპიტალიზმის პირობებში შრომის დაქირავების ფუნქციას ძირითადად ახორციელებს სახელმწიფო შრომის ბირჟა, რომელიც ექვემდებარება შრომის სამინისტროს. მის პარალელურად კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებობს ფასიანი კერძო სააგენტოები (კანტორები).

სსრკ-ში შრომის ბირჟა არსებობდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. მან დიდი როლი შეასრულა მოსახლეობის საყოველთაო დასაქმების უზრუნველყოფაში. 1930 დასასრულს სსრკ-ში უმუშევრობა ლიკვიდირებული იქნა, რის გამოც შრომის ბირჟამ არსებობა შეწყვიტა.

შრომის განსაზოგადოება – ინდივიდუალური შრომის პროცესის გარდაქმნა საზოგადოებრივად, რაც დაკავშირებულია შრომის დანაწილების განვითარებასთან და ინდივიდუალური წარმოების საშუალებების კოლექტიური წარმოების საშუალებების შეცვლასთან.

შრომის დანაწილება – საზოგადოებრივი შრომის ისტორიულად განსაზღვრული სისტემა, რომელიც ყალიბდება საზოგადოების განვითარების პროცესში შრომითი საქმიანობის თვისებრივი დიფერენციაციის შედეგად. არსებობს შრომის

დანაწილების სხვადასხვა ფორმა. შრომის დანაწილება შეესაბამება საწარმოო ძალების განვითარების მიღწეულ დონეს. იგი შრომის ნაყოფიერების ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია და გულისხმობს ადამიანთა საქმიანობის გაცვლასაც. განასხვავებენ შრომის დანაწილებას საზოგადოების შიგნით და საწარმოს შიგნით. ეს ორი სახე ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია. საზოგადოებრივი წარმოების დანაწილებას მის მსხვილ საქმიანობად (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, მრეწველობა და ა.შ.) კ.მარქსმა უწოდა ზოგადი შრომის დანაწილება, ხოლო ამ საქმიანობის დაყოფას სახეებად და ქვესახეებად – კერძო შრომის დანაწილება, საწარმოს შიგნით შრომის დანაწილებას კი – ცალკეული შრომის დანაწილება. განასხვავებენ აგრეთვე შრომის ტერიტორიულ დანაწილებასა და შრომის საერთაშორისო დანაწილებას.

შრომის დაცვა – ეკონომიკურ, ტექნიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ და სამართლებრივ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უშუალოდაა მიმართული უსაფრთხო და ჯანსაღი შრომის პირობების უსრუნველსაყოფად. მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დავალებათა და საწარმოო ტრავმატიზმის ლიკვიდაცია სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი საზრუნაობია. სახელმწიფოს ზრუნვა შრომითი დაცვისთვის კონსტიტუციურ პრინციპადაა აღიარებული. მისი ძირითადი დებულებანი განმტკიცებულია შრომის კანონთა კოდექსში. შრომის დაცვის ნორმებს შეიცავს აგრეთვე შრომითი შინაგანაწესი. შრომის დაცვის დებულებანი დაკონკრეტებულია უსაფრთხოების ტექნიკურ წესებში. აგრეთვე საწარმოო სანიტარული და შრომის ჰიგიენის ნორმებში. ორგანიზმზე საწარმოო გარემოს მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად მუშებს, დადგენილი წესის მიხედვით, საწარმოს ხარჯზე ეძლევათ სპეცტანსაცმელი, სპეცფეხსაცმელი, სპეცცხიმები, საკვები და სხვა. შრომის დაცვის ნორმების შესრულებას კონტროლს უწევენ პროფკავშირები, შრომის ტექნიკური და სამართლებრივი ინსტანციები, აგრეთვე სხვა სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოები. კანონიერების დაცვაზე საერთო ზედამხედველობას ახორციელებს პროკურატურა. (შ.კ.კ. მუხ. 139).

შრომის დისციპლინა – ერთობლიობა, კოლექტიური შრომისათვის აუცილებელი წესრიგი, რომელიც განმტკიცებულია სამართლებრივი და სოციალური ნორმებით. კონსტიტუცია აცხა-

დების, რომ კეთილსინდისიერი შრომა, შრომის დისციპლინის დაცვა თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმეა. ამ კონსტიტუციური მოვალეობის შინაარსი დაკონკრეტებულია შრომის კანონმდებლობაში, შრომის შინაგანაწესში, სადისციპლინო წესდებებში, კოლექტიურ ხელშეკრულებებში და ა.შ. მშრომელთა გვერდით, რომელთათვისაც დამახასიათებელია შრომისადმი სოციალური დამოკიდებულება, გვხვდებიან ისეთებიც, რომლებიც არღვევენ შრომის დისციპლინას. შრომის დისციპლინის განმტკიცების მეთოდები სხვადასხვაგვარია. ძირითადად ესაა დარწმუნების მეთოდი, მატერიალური დაინტერესების პრინციპების განხორციელება, შეღავათისა და უპირატესობის დაწესება იმათთვის, ვინც შრომაში წარმატებებს მიაღწია, მორალური წახალისების ღონისძიებანი (მადლობის გამოცხადება, დაჯილდოება). შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, მისი დამრღვევის მიმართ იყენებენ საზოგადოებრივი და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებს. (შ.კ.კ. მუხ. 129–131).

შრომის ეკონომიკა – ეკონომიკური მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის (შრომაში ადამიანის ჩაბმას, შრომის კოოპერაციას, სამუშაო ძალის კვლავწარმოებას და სხვა). შრომის ეკონომიკა იკვლევს შრომის თეორიულ საფუძვლებსა და ეკონომიკურ კანონზომიერებებს, რომლებიც სხვადასხვა დონეზე განსაზღვრავენ საზოგადოებრივი შრომის რაციონალურ გამოყენებას, საზოგადოებაში შრომის მეცნიერულად დასაბუთებული ორგანიზაციისა და დაგეგმვის კონკრეტულ მეთოდებს. შრომის ეკონომიკის შესწავლის აქტუალური პრობლემებია: მუშაკთა მატერიალური და მორალური სტიმულირების, შეხამებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე მისი ზემოქმედების გაძლიერება, შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება.

შრომის ინტენსივობა – შრომის დაძაბულობის ხარისხი, ე.ი. შრომის რაოდენობა, რომელსაც ხარჯავს მუშაკი წარმოების პროცესში დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. შრომის ინტენსივობის სიდიდე დამოკიდებულია სამუშაო დროის გამოყენების დონეზე. შრომის პროცესში საჭირო ფიზიკურ და ნერვულ-გონებრივ ძალებზე, შრომითი მოქმედების გამეორების სიხშირეზე და სხვა. შრომის ინტენსივობას აქვს ეკონომიკური მნიშვნელობა, იგი გავლენას ახდენს წარმოებული პროდუქციის მოცულობასა და ღირებულებაზე.

შრომის ექსტენსივობა – უცვლელი დაძაბულობის პირობებში შრომის რაოდენობა, რომელსაც ხარჯავს მუშაკი წარმოების პროცესში დროის განსაზღვრულ მონაკვეთში. მოცემული შრომის ინტენსიობისას გამოყენებული შრომის საერთო რაოდენობა, ე.ი. მისი ექსტენსიური სიდიდე, შეიძლება განისაზღვროს ან შემცირდეს სამუშაო დღის, სამუშაო კვირის და სხვა ხანგრძლივობის ცვლილებებით.

შრომის კანონთა კოდექსი – საქართველოში სისტემატიზებული საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს მუშებისა და მოსამსახურეების შრომით ურთიერთობებს. საქართველოში შრომის კოდექსი მიღებულია 1973 წ. 28 ივნისს და სამოქმედოდ შემოღებულია იმავე წლის 1 ოქტომბრიდან. საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 12 ნოემბერს მიიღო კანონი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, რომელმაც რიგი სიახლეებით შეავსო შრომის კანონმდებლობა.

საქართველოს შრომის კანონთა კოდექსი შედგება 19 თავისა და 247 მუხლისაგან. პირველ თავში მოცემულია ზოგადი დებულებანი. შემდგომი თავები ეძღვნება კოლექტიურ ხელშეკრულებას, შრომის ხელშეკრულებას, სამუშაო დროს, დასვენების დროს, ხელფასს და ა.შ.

შრომის კოოპერაცია – მატერიალური და სულიერი დოვლათის კვლავწარმოების პროცესში ცალკეული მუშაკის, მუშათა კოლექტივის ან ეროვნული მეურნეობის ერთიანობა, შეთანხმებლობა, ერთობლივი მოქმედება. შრომის კოოპერაციის კაუშირი ყალიბდება ორგვარად: სტიქიურად და გეგმაზომიერად. სოციალიზმის დროს გეგმაზომიერება შრომის კოოპერაციის წამყვანი ფორმაა. აქ მოქმედებას განაგრძობს ღირებულების კანონი, როგორც გეგმიანი მეურნეობის ერთ-ერთი კანონი.

შრომის მეცნიერული ორგანიზაცია – შრომის ორგანიზაციის სრულყოფის პროცესი, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებზე. შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ჩვეულებრივ გულისხმობს ცალკე აღებულ შრომით კოლექტივში ცოცხალი შრომის გამოყენების ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მაგრამ სოციალიზმის დროს მეცნიერული მიდგომა იოვალისწინებს შრომის ორგანიზაციის სრულყოფას მთელ სახალხო მეურნეობაში.

შრომის მიხედვით განაწილების კანონი – შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით განაწილების კანონი,

სოციალიზმის ობიექტური ეკონომიკური კანონი, რომლის მიხედვით მოხმარების საგნების უდიდესი ნაწილი მუშაკთა მიერ ერთობლივ სახელმწიფოებრივ შრომაში შეტანილი წვლილის შესაბამისად ნაწილდება.

შრომის ნაყოფიერება – შრომითი საქმიანობის შედეგიანობა. იგი იზომება მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული მუშაკის სამუშაო დროის ერთეულით (საათი, ცვლა, თვე, წელი), წარმოებული პროდუქციის რაოდენობით ან პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე დახარჯული დროის ოდენობით. შრომის ნაყოფიერების ზრდა ნიშნავს იმას, რომ „შრომის უფრო ნაკლები რაოდენობა ძალას იძენს სახმარი ღირებულების უფრო მეტი რაოდენობით საწარმოებლად“.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია – (შსო) – გაეროს სპეციალიზებული დაწესებულება (1946-დან), პირველად შეიქმნა 1919 წელს, როგორც ერთა ლიგის აგტონომიური ორგანიზაცია. შსო-ის წესდების თანახმად, მისი ამოცანაა მშრომელთა შრომის პირობებისა და ცხოვრების დონის გაუმჯობესება სამუშაო დროის რეგლამენტაციის, უმუშევრობასთან ბრძოლის, საკმარისი ხელფასის გარანტირების, დაავადებებისა და უბედური შემთხვევებისაგან მუშათა დაცვის და სხვა გზით. ორგანიზაციის დამახასიათებელი თავისებურებაა მის წევრ-სახელმწიფოთა სამმხრივი წარმომადგენლობა: მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად მასში მონაწილეობენ ამ ქვეყნების მშრომელთა და მეწარმეთა წარმომადგენლები. ძირითადად ორგანიზაციის საქმიანობაა კონფერენციებისა და რეკომენდაციების დამუშავება, განვითარებადი ქვეყნებისათვის ტექნიკური დახმარების გაწევა და სხვა.

შსო-ის ძირითადი ორგანოებია: 1. გენერალური კონფერენცია – უმაღლესი ორგანო, რომლის მუშაობაში მონაწილეობს თითოეული წევრ-სახელმწიფოს მთავრობის ორ-ორი დელეგატი, მშრომელთა და მეწარმეთაგან კი თითო დელეგატი. 2. ადმინისტრაციული საბჭო – აღმასრულებელი ორგანო. მის ფუნქციაში შედის გენერალური კონფერენციისა და ორგანიზაციის სესიათა დღის წესრიგის განსაზღვრა, სამდივნოს მუშაობის ხელმძღვანელობა, შრომის საერთაშორისო ბიუროს გენერალური დირექტორის დანიშვნა და სხვა. შსო შედგება 48 წევრისგან, რომელთაგან 24 მთავრობის, 12 მშრომელთა და 12 მეწარმეთა წარმომადგენელია. 3. შრომის საერთაშორისო ბიურო – შსო-ის მუდმივი სამდივნო, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური დირექტორი. შსო-ის შრომის ბი-

ორო უნივერსიტეტია (შეიცვალა).

შრომის სამართალი – სამართლის დარგი, რომელიც არეგულირებს მუშების და მოსამსახურეების შრომით ურთიერთობებს და აგრეთვე ურთიერთობებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალურ დაზღვევასთან, შრომის დაცვაზე კონტროლის განხორციელებასთან, შრომითი დავების განხილვასთან, მშრომელთა უფლებების დაცვასთან და სხვა. შ.ს. განსაზღვრავს მუშების და მოსამსახურეების შრომითი ურთიერთობების წარმოშობისა და შეწყვეტის წესს, შრომის პირობებს, შრომის შინაგანაწესს; ითვალისწინებს შრომაში მიღწევებისათვის წახალისების სახეებს და შრომითი მოვალეობის არადამაკმაყოფილებლად შესრულებისას ზემოქმედების ღონისძიებებს; განამტკიცებს პროფკავშირების როლს შრომის დაცვის რეგულირებისა და წარმოების მართვაში; ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას და ამ საფუძველზე მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებას, შრომითი დისციპლინის განმტკიცებას და საზოგადოების საკეთილდღეო შრომის თანდათანობით გადაქცევას თვითოეული შრომისუნარიანი ადამიანის პირველ სასიცოცხლო მოთხოვნილებად.

მისი ძირითადი წყაროა შრომის კანონთა კოდექსი, რომელიც მიღებულია 1973წ. 28 იანვარს და სამოქმედოდ შემოღებულია იმავე წლის 1 ოქტომბრიდან. საქართველოს პარლამენტმა 1997 წლის 12 ნოემბერს მიიღო კანონი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, რომელმაც რიგი სიახლეებით შეავსო შრომის კანონმდებლობა.

ახალი შრომის სამართალი შედგება ზოგადი და განსაკუთრებული ნაწილებისაგან და მასში გაერთიანებულია სულ 14 თავი. ზოგად ნაწილში განხილულია საკითხები, შრომის სამართლის პრინციპები, შრომის სამართლებრივი ურთიერთობები, კოლექტიური ხელშეკრულება, კოლექტიური შეთანხმება. განსაკუთრებულ ნაწილში კი განხილულია შემდეგი საკითხები: შრომითი ხელშეკრულება, მუშაკის სხვა სამუშაოზე გადაყვანა, შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომის დაცვა, შრომის დისციპლინა. მუშებისა და მოსამსახურეების მატერიალური პასუხისმგებლობა, ხელფასის სამართლებრივი რეგულირება, პროფესიული კავშირების სამართლებრივი მდგომარეობა. ძველი შრომის სამართლისაგან განსხვავებით ახალ შრომის სამართალს დამატებული

აქვს მე-3 თავი, რომელიც აწესრიგებს გამოხთაიისუფლებული მუშაკების დასაქმების უსრუნველყოფის საკითხებს, აგრეთვე დამატებული აქვს მე-16ა თავი, რომელიც ეხება შრომით კოლექტივებს, როგორც საწარმოს თვითმმართველობის კოლექტიურ ორგანოებს, მათ უფლებამოსილებებს, შექმნისა და საქმიანობის წესს.

შრომის სტაჟი – მუშაკის შრომითი ან საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის დროის ხანგრძლივობა. კანონმდებლობა განასხვავებს საერთო, უწყვეტ და სპეციალურ შრომით სტაჟს.საერთო შ. ს. წარმოადგენს მუშაკის შრომითი ან სხვა საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის შეჯამებულ ხანგრძლივობას, მიუხედავად მისი ხასიათისა, ხანგრძლივობისა თუ წყვეტილი პერიოდებისა. ასეთი სტაჟი იანგარიშება მოხუცებულობის, საერთო დაავადების შედეგად გამოწვეული ინვალიდობისა და აგრეთვე მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიის დანიშვნისას. საერთო სტაჟში ჩაითვლება ყოველგვარი მუშაობა, რომლის დროსაც მუშაზე ერიცხებოდა სახელმწიფო სოციალური დაზღვევა, შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში სამსახური, პროფ. ტექ. განათლების სკოლებისა და სხვა კადრების მოსამზადებელ კურსებზე ყოფნა. უმაღლეს და სა შ. სპეც. სასწავლებლებში სწავლისა და ასპირანტურაში ყოფნის პერიოდები, მოხუცებულობის პენსიის მისაღებად შ. ს-ში ჩაითვლება იმ პირობით, თუ მას წინ უსწრებდა მუშაობა ან არმიაში სამსახური. ზოგ შემთხვევაში ადრე საერთო შ. ს-ში შეღავათიან გამოთვლას აწარმოებდნენ (შორეული ჩრდილოეთისა და მასთან გათანაბრებულ რაიონებში მუშაობისას, მუშაობის პერიოდების მიხედვით შ. ს-ის გამოთვლა წარმოებდა ორმაგად ან ერთნახევარი ოდენობით). უწყვეტი შრომითი სტაჟი ნიშნავდა მუშაკის ერთი და იმავე საწარმოში, ორგანიზაციაში, ხოლო კოლმეურნეობის წევრობათვის – ერთ კოლმეურნეობაში უწყვეტად მუშაობის ხანგრძლივობას. უწყვეტი შრომითი სტაჟი იანგარიშებოდა დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების განსაზღვრისას ან მუშებისა და მოსამსახურების პენსიაზე დანამატის მიცემისას. სპეციალური შრომის სტაჟი, რაც განისაზღვრებოდა სახ. მეურნ. ამა თუ იმ დარგში მუშაობის შრომის პირობების, კლიმატური პირობების ნიშნით, იყო საერთო და უწყვეტი. იგი მხედველობაში მიიღებოდა შეღავათიან პირობებში ან შეღავათიანი ოდენო-

ბით მოხუცებულობის, ინვალიდობის, ნამსახურობის, მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიების დანიშვნისას. საერთო კატეგორიის მუშაკების თანამდებობრივი განაკვეთების, ხელფასის განსაზღვრისას და ცალკეული დამატებითი შეღებულების დადგენისას. შ. ს-ის დამადასტურებელ ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს შრომის წიგნაკი. გარდა ამისა, იგი შეიძლება დადასტურდეს საარქივო დაწესებულებათა ცნობებით და აგრეთვე მოწმეთა ჩვენებით.

შრომის სტატისტიკა – ეკონომიკური სტატისტიკის დარგი, რომელიც შეისწავლის შრომითი რესურსების კვლავ წარმოების დარგში მიმდინარე მასობრივი მოვლენების რაოდენობრივ კანონზომიერებებსა და მათი ეფექტიანი გამოყენების პრობლემებს.

შ. ს ამუშავებს და აანალიზებს: სამუშაო ძალის დასაქმებას, ორგანიზაციასა და მუშათა შრომის პირობებს, თვისებრივ შეღგენილობას, კერძოდ განაწილებას სქესის, ასაკის, განათლების, პროფესიის მიხედვით, შრომის ნაყოფიერებას, შრომის მექანიზაციას, სამუშაო დროის გამოყენებას, შრომის ანაზღაურებას, მშრომელთა ცხოვრების დონეს, მოსახლეობის ნომინალურ ფულად, რეალურ შემოსავალს და სხვა.

შრომისუნარობის ფურცელი – საავადმყოფო ფურცელი, მუშისა და მოსამსახურის შრომისუნარიანობის დროებითი დაკარგვის დამადასტურებელი დოკუმენტი. შ. ფ. დროებითი შრომისუუნარობის დროს დახმარების (შემწეობის) დანიშვნისა და გაცემის საფუძველია. შ. ფ-ს გასცემს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემის სამკურნალო და სანიტარული დაწესებულების ექიმი, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან სამკურნალო დაწესებულება, რომელშიც მიმაგრებულია ამა თუ იმ საწარმოს მუშაკი. მუდმივი საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის გარეთ (მაგალითად მივლინებაში) დროებითი შრომაუუნარობის შემთხვევაში შ. ფ. გაიცემა ავადმყოფის ადგილსამყოფელის მიხედვით, რომელსაც ამტკიცებს სამკურნალო დაწესებულების მთავარი ექიმი. ექიმს უფლება აქვს ერთპიროვნულად გასცეს შ. ფ. არა უმეტეს 6 დღისა. ამ ვადას მკურნალი ექიმი აგრძელებს მხოლოდ მთავარი ექიმის ან მოცემული დაწესებულების საექიმო-საკონსულტაციო კომისიის თანხმობით. შ. ფ. გაიცემა აგრეთვე ორსულობისა და მშობიარობის, კარანტინის, სანატორიულ-საკურორტო მკურნალობის ან ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლის

დროს.

შრომის უფლება – მოქალაქეთა ერთ-ერთი ძირითადი, კონსტიტუციით განმტკიცებული და გარანტირებული დემოკრატიული უფლებაა. საქართველოს კონსტიტუციით მოქალაქეებს აქვთ შ. უ. – ანუ უფლება მიიღონ გარანტირებული სამუშაო მისი შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისი ანაზღაურებით, რომელიც არ უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები. შ. უ. მოიცავს მოქალაქეთა უფლებას აირჩიოს პროფესია, საქმიანობის და სამუშაოს სახეობა-მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების, განათლების შესაბამისად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. კანონმდებლობით დადგენილია შ. უ-ის კონკრეტული იურიდიული გარანტიები. კერძოდ, სამუშაოზე მიღებისა და დათხოვნის, მოქალაქეთა შრომითი უფლებების სასამართლო და ადმინისტრაციული დაცვა. შ. უ. ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებადაა აღიარებული ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტში.

შრომის წიგნაკი – სამართლის მიხედვით, ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც აისახება სახელმწიფო, კოოპერატიული, თუ საზოგადოებრივი საწარმოებისა და დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა შრომითი საქმიანობა. შ. წ. დგება ყველა იმ მუშასა და მოსამსახურეს, რომელსაც 5 დღეზე მეტი აქვს ნამუშევარი. დგება აგრეთვე შტატგარეშე მუშაკებზე, თუ ისინი სოციალურ დაზღვევას ექვემდებარებიან. შ. წ-ში შეაქვთ ცნობები მუშაკის (გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, განათლება,პროფესია, სპეციალობა) მუშაობის (სამუშაოზე მიღების დრო, სხვა სამუშაოზე გადაყვანა, განთავისუფლება), დაჯილდოებისა და წახალისების შესახებ, აგრეთვე ცნობები აღმოსენის თაობაზე, რის გამოც გაიცა დიპლომი და ა. შ. სამუშაოდან გათავისუფლების მიზეზის შესახებ შრომის წიგნაკში უნდა გაკეთდეს მოქმედი კანონმდებლობის ფორმულირების ზუსტი შესაბამისობით და კანონის მუხლის მითითებით. სამუშაოდან დათხოვნისას მუშაკს შრომის წიგნაკს აძლევენ დათხოვნის დღეს. (შკკ. მუხ. 41).

შტაბი – საბრძოლო ვითარებისას ჯარების (ძალების) მართვის, მათი მომსახლების. აღსრულისა და ყოველდღიური საქმიანობის ძირითადი ხელმძღვანელი ორგანო. არსებობს ყველა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში, დაწყებული ბატალიონიდან (დივიზიონიდან) და სკცით. იყოფა საერ-

თო-საჯარისო. შეიარაღებული ძალების სახეობების, გვარეობებისა და სპეც. ჯარების შტაბებად. შტაბის ძირითადი ამოცანებია ჯარებისა და მართვის ორგანოების მუდმივი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა. ვითარების ამსახველი მონაცემების თავმოყრა, შესწავლა, დამუშავება, შეჯამება და სხვა. შტაბის უფროსი ითვლება მეთაურის (სარდლის) პირველ მოადგილედ.

შტაბს-კაპიტანი — ოფიცრის ჩინი რუსეთის არმიაში (გარდა კავალერიისა). შემოიღეს 1801. მის შესაბამის ჩინს 1705—98 ეწოდებოდა კაპიტან-პორუჩიკი.

შტაბს-როტმისტრი — ოფიცრის ჩინი რუსეთის არმიის კავალერიაში 1801—1917.

შტატი (გერმ. სახელმწიფო მმართველობა) — ფედერაციაში შემავალი სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული ერთეული, ზოგიერთ ფედერაციულ სახელმწიფოსი (ა. შ. შ., მექსიკა, ბრაზილია, ინდოეთი). შტატის კომპეტენცია განისაზღვრება მოკავშირეთა კონსტიტუციითა და შტატის (ა. შ. შ., ვენესუელა, ავსტრალია) კონსტიტუციით. თუმცა შტატს ყოველთვის არ აქვს საკუთარი კონსტიტუციის მიღების უფლება. შტატები ქმნიან ხელისუფლებისა და მმართველობის საკუთარ ორგანოებს. შტატს, ჩვეულებრივ, მეთაურობს გუბერნატორი, რომელსაც ირჩევს მოსახლეობა (ა. შ. შ., მექსიკა) ან ნიშნავს ფედერაციული სახელმწიფოს მეთაური (ინდოეთი, ავსტრალია).

შტრაიკბრეხერი (გერმანული) — კაპიტალისტურ ქვეყნებში: პირი, რომელიც გაფიცვის დროს მუშაობს წარმოებაში; გაფიცვის ჩამშლელი, მუშათა ინტერესების გამყიდველი.

შუაკაცი (სამართლ. ისტ.) — ქართულ ჩვეულებით სამართალში პირი, რომელიც იღებდა დასარალებული მხარის დასაყოლიებლად დავის მშვიდობიანად, მორიგებით დამთავრებისათვის. კონკრეტული ვითარების მიხედვით, შუაკაცთა რაოდენობა 1—3 კაცით განისაზღვრებოდა. სვანეთში შუაკაცს „მცქუღარს“ ეძახიან. როცა შუაკაცები დაითანხმებდნენ დასარალებულს, მოდავე მხარეები, ხშირად შუაკაცების აქტიური მონაწილეობით, ირჩევდნენ საქმის არსებითად გადამწყვეტ ბჭეებს, მედიატორებს (ხევსურეთში — „რჯულის კაცებს“, სვანეთში — „მორვარებს“). შუაკაცები წარმართავდნენ ბჭეთა შეყრამდე საჭირო მოსამზადებელ საქმიანობას („რიგის ყენებას“). ნაკლებმნიშვნელოვან საქმეებს არსებითად შუაკაცებიც წყვეტდნენ, ხოგჯერ კი ისინი თვითონაც შედიოდნენ ბჭე-მედიატორთა სასა-

მართლის შემადგენლობაში. შუაკაცების შესახებ ცნობებს შეიცავენ ბექა-აღბუღას (მმ. 39, 52, 60) და ვახტანგ 5-ის (მმ. 188, 190) სამართლის წიგნები.

შუამავლობა – (საერთაშორისო სამართალი) – მოდავე სახელმწიფოების თანხმობით დავაში მესამე სახელმწიფოს მონაწილეობა კონფლიქტის მოწესრიგებისათვის, ხელის შეწყობის მიზნით. შუამავალს ენიჭება უფლება არა მარტო ხელი შეუწყოს მხარეთა შორის კონტაქტების დამყარებასა და ურთიერთკომპრომისობის მიღწევას, არამედ თვითონ წარუდგინოს მხარეებს დაცის გადაწყვეტის პირობები, აქტიურად წარმართოს მოდაეთა მოლაპარაკება. შუამავლის ყველა წინადადება მხოლოდ რეკომენდაციის ხასიათს ატარებს და მხარეთათვის სავალდებულო არ არის. შუამავლობა თანამედროვე საერთაშორისო სამართალში მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, იგი საერთაშორისო დაცის მშვიდობიანი გადაწყვეტის ერთ-ერთი ძირითადი სახეა. ამასვე მიუთითებს გაეროს წესდებაც (მ. 33).

შუა საუკუნეები – მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი პერიოდის აღმნიშვნელი ტერმინი, რომელიც იხმარება ისტორიულ მეცნიერებებში. მოიცავს შუალედს ძველსა და ახალ ისტორიას შორის. შემოიღეს XV–XVI საუკუნეებში იტალიელმა ისტორიკოს-ჰუმანისტებმა. მეცნიერებაში XVIII საუკუნიდან დამკვიდრდა. მარქსისტული ისტორიული მეცნიერება შუა საუკუნეებს განიხილავს, როგორც ფეოდალიზმის ნასახის, განვითარებისა და დაშლის ეპოქას და ძველი და შუა საუკუნეების ისტორიულ მიჯნად მიიჩნევს მონათმფლობელური რომის იმპერიის დამხობის თარიღს (პირობითად 476 წელი). შუა საუკუნეების და ახალი ისტორიის მიჯნად ითვლება XVII საუკუნის ინგლისური ბურჟუაზიული რევოლუცია. ტერმინი „შუა საუკუნეები“ იხმარება როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნების, ისე სხვა რეგიონების მიმართაც. შუა საუკუნეების შემსწავლელ მეცნიერებას მედიევისტიკა ეწოდება.

შუდრა – უმდაბლესი წოდება ძველ ინდოეთში. შუდრა აღმოცენდა კლასობრივი საზოგადოებების ჩამოყალიბების პროცესში. იგი შეიქმნა დაპყრობილი ტომებისა და თემში მიღებული უცხო პირებისაგან. ძველ ინდურ მონათმფლობელურ საზოგადოებაში შუდრის წევრები იყვნენ მსახურები, ხელოსნები, დამოკიდებული და ხელქვეითი მუშები. მათ აკრძალული ჰქონდათ ინიციაციის წეს-ჩვეულების („მეორე დაბადება“) გაკეთება, რითაც ენიჭებოდათ მოქალაქეობრივი სრულუფლებიანობა. ამის გამო

„ერთხელ დაბადებულებს“ ეწოდებდნენ. ისინი სოციალურად შეზღუდულები იყვნენ, ახალი წელთაღრიცხვით პირველი საუკუნეებიდან შუდრის სტატუსი ამაღლდა, მრავალი შეზღუდვა გაუქმდა.

შულტა – 1. გზირი. 2. თუშების ეთნოგრაფიულ ყოფაში ხატის დღეობის გამმართველი მამაკაცი, რომელიც დღეობის მონაწილეებს ლუდით უმასპინძლდებოდა.

შურის ციხე – თბილისის ციხის (იგიეე ნარიყალა) გვიანი პერიოდის სახელი. ხმარებაში შემოიღო ყახუშტი ბაგრატიონმა (XVIII საუკუნეს). ისტორიულ მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი (ლ. ჭელიძე-სობოლი), რომ სახელწოდება „შურის ციხე“ არასწორედ არის მოტანილი XI საუკუნის მემატიანის ლეონტი მროველის ნაწარმოებიდან: „...და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად“ (ციხე [ეგრედ წოდებული „შურის“ (ძველ. ქართ. „შურის“ ახალი ქართ. „საპირისპიროდ“, „დასაპირისპირებლად“) აშენებდა არა მცხეთის არმაზის დასაპირისპირებლად, არამედ „კავკასიონთა ანუ დარიალის და კასპიის კართა შორის, ციხედ ცხეთისად“].

ჩ

ჩაგარები – დაღესტანში ბეგის სახლიდან გაშვებული მონები ბატონის მიწაზე საკუთარი მეურნეობის შესაქმნელად. ჩაგარებს ეკისრებოდათ ბეგისათვის სხვადასხვა ვალდებულების შესრულება და ნატურალური სახით გადასახადის გადახდა.

ჩათვლა – ცოდნის შემოწმების ფორმა: როგორც წესი, ჩათვლით მთავრდება სტუდენტებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა მიერ ჩატარებული მუშაობა პრაქტიკულებზე და სემინარებზე, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა, საკურსო პროექტების დაცვა. სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა ჩათვლა (არა უმეტეს 6-ისა) სემესტრის ბოლოს აუცილებელი პირობაა გამოცდებზე დასაშვებად. ეგრეთწოდებული დიფერენციული ჩათვლის დროს ისმება ცოდნის შესაფასებელი ნიშანი, ხოლო ასეთი ჩათვლისათვის განკუთვნილ სასწავლო დისციპლინების სიას ამტკიცებს უმაღლესი სასწავლებლის (ან ფაკულტეტის) საბჭო და საშუალო სპეციალობის სასწავლებლის პედსაბჭო.

ჩარტერი – საზღვაო გადაზიდვის ხელშეკრულება.

ჩარტიზმი – დიდი ბრიტანეთის მუშათა მოძრაობა XIX საუკუნის 30–40-იან წლებში. მიმდინარეობდა „სახალხო ქარტიის“ განხორციელებისათვის ბრძოლის ლოზუნგით. განაპირობა ინგლისში სამრეწველო გადატრიალების დამთავრების შედეგად კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავებამ. XIX საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა პირველი ჩარტისტული ორგანიზაცია „ლონდონის მუშათა ასოციაცია“ (დმა). მისმა ხელმძღვანელებმა (უ. ლოვეტი და სხვა) 1837 წელს შეიმუშავეს პეტიცია, რომელიც კანონპროექტის სახით და სახალხო მოძრაობის სახელწოდებით გამოქვეყნდა 1838 წელს. ქარტიის მოთხოვნები 6 პუნქტისაგან შედგებოდა, მ. შ. საყოველთაო საარჩევნო უფლება მამაკაცებისათვის 21 წლიდან ყოველწლიური საპარლამენტო არჩევნები, პარლამენტის წევრობის კანდიდატებისათვის ქონებრივი ცენზის გაუქმება და სხვა.

ჩაურევლობის პრინციპი – საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი პრინციპი, რომელიც სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და თანასწორუფლებიანობის პრინციპებიდან გამომდინარეობს და მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებითაა განმტკიცებული. მ. შ. უმთავრესია გაეროს წესდება (მ. 2, პ. 7). ჩაურევლობის პრინ-

ციპი ასახულია რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციების წესდებებშიც. აღსანიშნავია აგრეთვე გაეროს გენერალური ასამბლეის 1965 წლის დეკლარაცია სახელმწიფოთა შინაგან საქმეში ჩარევის დაუშვებლობის შესახებ, 1975 წელს ჰელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი და სხვა. ჩაურევლობის პრინციპი კრძალავს ერთი სახელმწიფოს მხრივ მეორე სახელმწიფოს შინაგან საქმეებში სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური ან სხვა რაიმე საშუალებების გზით ჩარევას საშინაო ან საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლის ანდა ამ სახელმწიფოში „სასურველი“ პოლიტიკური ან ეკონომიკური წყობის შექმნის მიზნით. ჩაურევლობის პრინციპი დიდ როლს თამაშობს განვითარებადი ქვეყნების სუვერენიტეტის განმტკიცებაში, იმპერიალისტური სახელმწიფოების ექსპანსიების წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩაურევლობის პრინციპი სახელმწიფო საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური პრინციპია, რომელიც განმტკიცებულია კონსტიტუციითაც და სახელმწიფოთაშორისო აქტებშიც.

ჩაძოლვა – ძველ ქართულ სამართალში სიკვდილით დასჯის სახეობა. ჩაქოლვა ძეგლებში დამოწმებულია ადრინდელი ფეოდალური ხანიდან (მაგ.: გაბატონებული რელიგიური რწმენის შეურაცხყოფისთვის). გაეცა ფშაველას ცნობით, ძველად ფშავ-ხევსურეთში ნაბუშარს თუ გაანცხლნენ, ქალსა და კაცს სახალხოდ ხიდის ქვერზე გზაჯვარედინზე ჩაქოლავდნენ. ჩაქოლვა ცნობილი იყო მრავალი სალხის სამართალში. ძვ. ებრაული სამართლის მიხედვით ჩაქოლვით სჯიდნენ მრუშობაზე წასწრებულთ და ღვთის მგმობელთ. დამნაშავეისათვის ქვები პირველად დანაშაულის მოწმეებს უნდა ესროლათ.

ჩერვონეცი – (პოლ. წითელი, ოქროს ფერი) – 1) საბჭოთა რეთის ოქროს მონეტებისა (დუკატი, ცესხინი), რომლებიც მიმოქცევაში იყო რუსეთში პეტრე პირველამდე. 2) XVIII–XIX საუკუნეებში 3 მანეთიანი რუსული ოქროს მონეტის სახელწოდება (შეიცავდა 3,4 გრამ ოქროს). 3) 1922–47 წლებში სსრკ-ში სახელმწიფო ბანკის მიერ გამოშვებული 10 მანეთიანი ნომინალის საბანკო ბილეთი (1, 2, 3, 5, 10, 25 და 50 ჩერნოვეცის კუპიურებით). ჩერნოვეცის ოქროს შემცველობა შეადგენდა 7,74234 გრამ ხალას ოქროს. 1947 წელს ფულის რეფორმის საფუძველზე ჩერვონეცი შეიცვალა მანეთებში გამოხატული ახალი საბანკო ბილეთებით.

ჩვენება – ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, დაზარალებულის ან მოწმის მიერ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მონაცემე-

ბის შეტყობინება მომჩივანი პირისათვის, გამომძიებლისათვის, პროკურორის ან სასამართლოსათვის. ამ პირთა ჩვენებები განიხილება, როგორც მტკიცებულებათა დამოუკიდებელი წყაროები. ჩვენება დაკითხვის ოქმში აისახება. ეჭვმიტანილისა და ბრალდებულისათვის ჩვენების მიცემა უფლებაა და არა მოვალეობა. მოწმისა და დაზარალებულისათვის ჩვენების მიცემა კი ვალდებულებაა. მათ ჩვენების მიცემისას აფრთხილებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ, თუ ჩვენების მიცემაზე უარს იტყვიან ან თავს აარიდებენ, ანდა წინასწარი შეცნობით ცრუ ჩვენებას მისცემენ. მუქარით ან სხვა უკანონო მოქმედებით ჩვენების მიცემის იძულება სისხლის სამართლით დანაშაულია.

ჩვენების ფსიქოლოგია – სასამართლო ფსიქოლოგიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის საგამომძიებლო საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების აღქმის, დახსომებისა და მოგონების ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს. ჩვენების ფსიქოლოგია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს აღქმის, მეხსიერების, ყურადღების, ემოციურ მდგომარეობათა, შიაგონებადობის, მეტყველების ფსიქოლოგიურ თავისებურებათა გაჟღენას ჩვენების ფორმირებაზე. დასკვნის გამოტანის დროს ჩვენებითი ფსიქოლოგია ემყარება ჩვენების სუბიექტის (ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, დაზარალებულის, მოწმის) პროცესუალურ მდგომარეობას. ჩვენებითი ფსიქოლოგია მჭიდროდ არის დაკავშირებული დაკითხვის ფსიქოლოგიისა და სასამართლო ფსიქოლოგიის ექსპერტიზასთან. რამდენადაც ჩვენებას მტკიცებულების ძალა ენიჭება, საგანგებო მნიშვნელობას იძენს მისი სანდოობა: შეეძლო თუ არა მოკვეთელ ინდივიდს (მოწმეს) საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დაუმახინჯებლად აღქმა და დახსომება, შეენარჩუნებინა მოგონება და მათი ზუსტი გადმოცემა სიტყვიერად. ჩვენების სანდოობაზე გარკვეულ გავლენას ახდენს პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებები (ასაკი, ხასიათი, სქესი).

„ჩვენი ერა“ – ახალი ერა, ახალი (ჩვენი) წელთაღრიცხვა, წელთაღრიცხვის სისტემა, რომელშიც წლების ათვლის საწყისად „ქრისტეს დაბადებაა“ აღებული. მიღებულია სახელმწიფოთა უმრავლესობაში.

ჩვეულება – ჩვევის ისეთი სახე, რომლის შესრულება სუბიექტის მოთხოვნილებად გადაიქცა. ასეთ ჩვეულებაში ავტომატიზებულია არა მხოლოდ მოქმედების მიმდინარეობა, არამედ მისი შესრულების მოთხოვნილე-

ბაც, რომელიც ამოძრავებს ჩვენს საათანადო გადაწყვეტილებას გარეშეც. ჩვეულება შეიძლება აღმოცენდეს ადამიანის მოღვაწეობის ყველა დარგში (სახოგადოებრივ მოღვაწეობაში, შრომაში, სწავლაში, სპორტში, თამაშში). განასხვავებენ პოზიტიურ და ნეგატიურ ჩვეულებას. პოზიტიური ჩვეულების შესამუშავებლად საჭიროა სათანადო მოქმედების ხშირი გამეორება, ნეგატიურის აღმოსაფხვრელად კი სისტემატური თავშეკავება მათი შესრულებისაგან.

ჩვეულებითი სამართალი – სახელმწიფო ხელისუფლებისაგან დადასტურებულ ჩვეულებათა ერთობლიობა. მოიცავს სალხის ინტერესების შესაბამის კონკრეტულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ პირობებთან შეხამებულ დაწერილ ნორმებს.

ჩვეულებითი სამართალი კლასობრივი საზოგადოების და სახელმწიფოს წარმოშობისას ჩაისახა და დიდ როლს თამაშობდა ძვ. სამყაროსა და შუა საუკუნეებში. ჩვეულებათა ჩანაწერებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხამურაბის კანონებში, თორმეტი ტაბულის კანონებში, „რუსკაია პრავდაში“ და ა.შ. დას. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შეიქმნა ჩვეულებითი სამართლის არაოფიციალური კრებულები (მაგ.: ბოვეზის კუტიუმები საფრანგეთში).

ჩვეულებითი სამართალი ფეოდალურ საქართველოშიც ფართოდ მოქმედებდა. იგი კანონმდებლობის ძირითადი წყაროთაგანი იყო. ამას ადასტურებს ბექას და აღბუღას, გიორგი V ბრწყინვალის, ვახტანგ VI-ის სამართლ. წიგნები, აგრეთვე „განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა“. ჩვეულებითი სამართლიდანაა შესული კანონმდებლობაში „სისხლი“, გამაწბილებელი სასჯელები, გაძევება, ბჭე, საუფროსო, სასაპყრო, ნიშანი და სხვა. ჩვეულებითი სამართლის („უწერელი„ სჯულის“) კრებ. „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი“ ძვ. ქართულ სამართალშემოქმედების ერო-ერთი საყურადღებო ძეგლია.

თანამედროვე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ჩვეულებით სამართალს არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. შედარებით დიდია ჩვეულებითი სამართლის როლი საერთაშორისო ურთიერთობებში.

სრულიად უმნიშვნელო ადგილი ეჭირა ჩვეულებითი სამართლის ნორმებს სოციალისტური წესწყობილების დროს. სსრკ-ში ჩვეულებას სამართლის წყაროდ გამონაკლისის სახით იყენებდნენ, კერძოდ სსრკ სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსში.

„ჩვიდმეტთა პროცესი“ – „ნაროდნაია ვოლია“-ს წევრთა

გასამართლება, მიმდინარეობდა 1883 წ. 28 მარტიდან (9 აპრ.) 5 (17) აპრილამდე. სამთავრობო სენატის განსაკუთრებულ განყოფილებაში. მთავარი ბრალდება იყო „ნაროდნაია ვოლიას“ მიერ მოწყობილ ტერორისტულ აქტებში მონაწილეობა (მ.შ. 4 თავდასხმა იმპ. ალექსანდრე II-ს). სასამართლოზე ყველა ბრალდებულს თავი ღირსეულად ეჭირა. „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასკომის წევრებს მ. გრაჩევსკის, ი. ბოგდანოვიჩს და პ. ტელალოვს მიუსაჯეს სიკვდილი, რაც შემდეგ სამუდამო კატორღით შეუცვალეს. სულ სამუდამო კატორღა მიუსაჯეს 7 კაცს. ასევე „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასკომის წევრს და აგენტს ა. პრიბილიოვა-კორბას მიუსაჯეს 20 წლის კატორღა, ი. სტეფანოვიჩს კი „ჩიგირინის შეთქმულების ორგანიზატორს“ – 8 წლის კატორღა. სულ 8-იდან 20 წლამდე კატორღა მიუსაჯეს 7 კაცს, ციმბირში გადაასახლეს 3 კაცი.

ჩიბათის განძი – ბიზანტიური ოქროს მონეტების განძი, რომელიც 1958 წელს აღმოჩნდა სოფელ ჩიბათში (ლანჩხუთის რ-ნი). განძი შეიცავს 122 ცალ სოლიდს, რომლებიც ეკუთვნის ბიზანტიის 4 იმპერატორს: ტიბერიუს II-ს (578–82) 1 ც.; მაურიკიოსს (582–602) 1 ც.; ფოკას (602–10) 106 ც.; ჰერაკლეს (610–41) 14 ც. ყველა მონეტა მოჭრილია კონსტანტინოპოლის ზარაფხანაში. საყურადღებოა, რომ განძი ჩაფლულია VII-ის 20-იან წლებში, როდესაც ჰერაკლე კეისარი ეგრისის გავლით ირანში მიდიოდა სალაშქროდ.

ჩინშის სამართალი – ფეოდალური სამართლის ინსტიტუტი, რომელიც ევროპის ქვეყნებში XIII–XIV სს-ში ჩამოყალიბდა. განსაზღვრავდა მიწით სარგებლობის სამუდამო – თაობიდან თაობაზე გარდამავალ უფლებასა და შესაბამის მოვალეობას, კერძოდ, რომ მოსარგებლეს მიწის მესაკუთრე ფეოდალისათვის ჩინში – განსაზღვრული ქირა გადაეხადა. ჩინშის სამართალი რომის სამართლის სამქმკეიდრეო იჯარის (ემფიტევზისს) ჰგავდა, უმთავრესად გავრცელებული იყო გერმანიაში, საფრანგეთსა და პოლონეთში.

ჩრდილოვანი ეკონომიკა – ფარული ეკონომიკური გარიგების (აღურიცხავი საქმიანობის) ერთობლიობა, რომლის მიზანია გადასახადებისაგან თავის არიდება ან არალეგალური ქმედების დამალვა.

ჩუქება სამოქალაქო სამართალში – ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე (მჩუქებელი) უსასყიდლოდ გადასცემს თავის ქონებას საკუთრებად მეორე მხარეს (დასაჩუქრებულს). ნაჩუქრობის ხელშეკრულების

ნამდვილობისათვის კანონი, ჩვეულებრივ, ითვალისწინებს სოციალურად საჭიროებული პირობას. სამართლის მიხედვით, 500 მანეთზე მეტი ღირებული ნაწერობა სანოტარო წესით უნდა დამოწმებულიყო. მოქალაქის მიერ სახელმწიფო კოოპ. ან სა'ზ. ორგანიზაციისათვის ქონების ჩუქების ხელშეკრულება იდება უბრალო წერილობითი ფორმით. სპეციალურ გაფორმებას საჭიროებდა საცხოვრებელი სახლის ჩუქება. დადგენილი ფორმის დაუცველობა გამოიწვევდა ჩუქების ბათილობას. ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელია დასაჩუქრებულის თანხმობა. ძვ. ქართულში ჩუქებას „მიცემა“ და „ნიჭი“, აგრეთვე „ძღვენი“, „ქრთამი“ და „ფეშქაში“ ეწოდებოდა.

ჩუქების ხელშეკრულება – ახალი სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის მიხედვით ჩუქების საგანს წარმოადგენს ისეთი ქონება, რომელზედაც საკუთრების უფლება წარმოიშვება მხოლოდ კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, ჩუქების ხელშეკრულებისათვის საჭიროებულია ამ ფორმის დაცვა. კერძოდ უძრავი ნივთის ჩუქებისას ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს წერილობით, დამოწმდეს სანოტარო წესით და რეგისტრირებული იქნეს საჯარო რეესტრში.

კოდექსის 529-ე მუხლით შეიძლება ჩუქების გაუქმება. ეს შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს, ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესაების მიმართ. (მაგ: ჩაიდინა მის მიმართ დანაშაული, ეშურება, (ცილს სწამებს რაიმე ქმედებაში). თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილი იქნეს მჩუქებლის მიერ. (ს.კ. მუხ, 529). .

ჩუხჩარხი – ჩუხჩერახი – მოხელე ფეოდალურ საქართველოში. ჩუხჩერახის სახელო საშხედრო ფუნქციასა და მეფის დაცვის საქმიანობას უკავშირდებოდა. იგი იმ მოხელეების უფროსი იყო, რომლებსაც მეფის დაცვა ევალებოდათ. ჩუხჩერახი მეფეს თან ახლდა მგზავრობის დროს და სხვა მოხელეებთან ერთად მის წინ მიდიოდა. ჩუხჩერახი ვალდებული იყო პირველს ენახა ის ადგილები, სადაც მეფე უნდა მისულიყო, შემდეგ მობრუნებულიყო და მეფეს წასძღოლოდა. ჩუხჩერახი დიდი და საპატიო მოხელე იყო. ძეგლებში იგი ვაზირებთან ერთად იხსენიება.

ჩხრეკა – საგამოძიებო მოქმედება – შენობის, ბინის, მიდამოს, სხეულის, ტანსაცმლის იძულებითი გამოკვლევა დანაშაულის იარაღის, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული საგნებისა და დოკუმენტების აღმოსაჩენად და ჩამოსართმევად, რომელთაც

რაიმე მნიშვნელობა აქვთ საქმიანობისათვის. ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს გადამალული პირის და აგრეთვე ცვამის აღმოსაჩენადაც. ჩხრეკა წარმოებს მოსამართლის ბრძანებით, რომელიც გაიცემა მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე. ჩხრეკა ტარდება დამსწრეთა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში სპეციალისტის მონაწილეობით. ჩხრეკის შესახებ დგება ოქმი კანონით დადგენილი წესით (სსსკ. მუხ. 315–326).

ც

ცაგერის განძი – ძვ. წ. IX–X ს.ს. ბრინჯაოს ნივთების განძი. აღმოჩნდა 1941 წელს ცაგერთან. ნივთები თიხის ჭურჭელში ეწყო. შეიცავს კოლხურ ცულს, რომელიც გველის გრავირებული გამოსახულებითაა შემკული, თოხებს, სეგმენტისებრ იარაღს, ნამგლებს, სატეხს, ღარის ფრაგმენტებს, ერთმანეთში გაყრილ მასიურ რგოლებს, მილებს, ბრინჯაოს მუსარადიანი მხედრის ქანდაკებას, სპილენძის ზოდებს.

ცენზი – (ლათ. ქონების აღწერა, შეფასება).

1. ძველ რომში მოქალაქეთა ქონების აღწერა და მათი ქონების შეფასება; მისნად ისახავდა სოციალურ, პოლიტიკურ, სამხედრო და წოდებრივი მდგომარეობის განსაზღვრას. ანტიკური ტრადიციის თანახმად შემოღებია სერვიუს ტულიუსს (ძვ. წ. VI ს.), რომელმაც ქონებრივი პრინციპის მიხედვით მოქალაქეები დაყო ხუთ კლასად ანუ თანრიგად. ცენზის საფუძვლად, როგორც ჩანს, მიღებული იყო მიწა ან მოძრავი ქონება. შემდეგ შემოიღეს ცენზის ფულადი შეფასება. ასეთი აღწერა ხუთ წელიწადში ერთხელ იყო. 2. დასავლეთ და ცენტრალურ ევროპაში გლეხთა გადასახადი. 3. საარჩევნო ცენზი. 4. ცენზი იხმარება განათლების სისტემაშიც.

ცენზორი – (ლათ. ქონების აღწერა, შეფასება) – ძვ. რომში ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობა. ხუთ წელიწადში ერთხელ ცენტურიულ კომისიებზე ირჩევდნენ ორ ცენზორს. ანტიკური ტრადიციით ცენზორის თანამდებობა ძვ. წ. 443 დაარსდა და თავდაპირველად მხოლოდ პატრიციებს ეკავათ. ძვ. წ. 351-დან პლებეებიდანაც დაიწყეს არჩევა. ცენზორს ევალებოდა ცენზის ჩატარება, ზნე-ჩვეულებათა სედამხედველობა, სენატორებისა და მხედრების სიათა შედგენა და სახელმწიფო ფინანსების გაკონტროლება. ცენზორების მნიშვნელობა თანდათანობით შესუსტდა, ხოლო სულას პერიოდში მათ თითქმის დაკარგეს თავიანთი უფლებები. ძვ. წ. 46 ცენზორის ძალაუფლება თითქმის მთლიანად იულიუს კეისრის ხელში გადავიდა. იმპერიის ეპოქაში კი ცენზორის თანამდებობა საერთოდ გაუქმდა.

ცენზურა – (ლათ.) 1. დაწესებულება, რომელიც ზედამხედველობას უწევს ბეჭდვით სიტყვას. 2. ოფიციალურ (საერო ან საკულიერო) ხელისუფალთა მიერ გამოსაცემი ბეჭდური პროდუქციის, პიესებისა და სხვა სასცენო ნაწარმოებების, კინო, ფოტო და

სახვითი ხელოვნების ნაწარმოებების, რადიო და სატელევიზიო გადაცემათა შინაარსის შემოწმება, რათა არ დაუშვან ან შესწორდონ ხელისუფალთა თვალსაზრისით მანკიერი, არასასურველი მოძღვრების, აზრებისა და ცნობების გაერცელება.

ცენტი – (ინგ. ასი) 1. აშშ-ის ხურდა ფული, რომელიც უდრის ერთ მეასედ დოლარს. 2. ავსტრალიის, კანადის, ნიდერლანდების, ახალი ზელანდიის, შრილანკის, კენიის, ლიბერიის, სომალია, უთიოპიისა და ჩრდილოეთ სხვა ქვეყნის ხურდა ფული.

ცენტურია – (ლათ. 100) – ძვ. რომში მოქალაქეთა სამხედრო-პოლიტიკური ერთეული. ძვ. წ. VIII–VI სს-ში რომის ცხენოსანთა ჯარი ცენტურიებად იყო დაყოფილი. ძვ. წ. VI საუკუნეში სერვიუს ტულიუსის რეფორმით ქონებრივი ცენზის მიხედვით მოქალაქეები ხუთ ჯგუფად დაიყო.

ცეხინი – (იტალ. ზარაფხანა) – ვენეციური ოქროს დუკატის სახელწოდება.

ცვალებადი კაპიტალი – კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც სამუშაო ძალადაა ქცეული, წარმოების პროცესში იცვლის თავის ღირებულებას. იგი აკვლავწარმოებს თავის საკუთარ ეკვივალენტს და გარდა ამისა ნამეტს, ზედმეტ ღირებულებას, რომლიც თავის მხრივ შეიძლება იცვლებოდეს, იყოს მეტი ან ნაკლები. კაპიტალის ეს ნაწილი მუდმივი სიდიდიდან განუწყვეტლივ იქცევა ცვალებად სიდიდედ.

ცივი იარაღი – საბრძოლო იარაღი, რომლის გამოყენება არ არის დამოკიდებული ჟეთქებად ნივთიერებებთან. კონსტრუქციის მიხედვით უბრალოა და ხელჩართულ ბრძოლაში იყენებენ. ცივი იარაღის მოქმედება დაფუძნებულია მეომრის კუნთების შესაძლებლობაზე და იმის მიხედვით, თუ როგორი ხასიათის იქნება ასეთი მოქმედება, იყოფა დამრტყმელ (კომბალი, კისტენი, გურზი), მჩხვლეტავ (დაშნა, რაპირა, სარისა, კინენი, ხიშტი, შუბი), მჩეხავ (საბრძოლო ნაჯახი, დარაბჩანი, შუბნაჯახი, იპარი), აგრეთვე ისეთ იარაღად, რომელიც ერთდროულად ითვისებს რამოდენიმე ზემოთ ჩამოთვლილ ნიშანს (მჩხვლეტავ-მჩეხაკი ან მჩეხავ-მჩხვლეტი) და მათ შორის ერთ-ერთი მთავარია (მახვილი, ხანჯალი, ხმალი). ცივი იარაღი პირველყოფილი ადამიანის ერთ-ერთი შრომის იარაღი იყო, რომლის დასამზადებლადაც იყენებდნენ ხეს, ძვალს, ქვას, შემდეგში სპილენძს, ბრინჯაოს, რკინას. დროთა განმავლობაში იგი თანდათანობით კარგავდა პირვანდელ მნიშვნელობას, მაგრამ მისი ხელოვნური სახე კელავ რჩებოდა მეიარაღებაში.

ცივილიზაცია – (ლათ. სამოქალაქო, სახელმწიფოებრივი).

1. კულტურის სინონიმი;

2. საზოგადოების შედარებით მაღალი საფეხური, მატერიალური და სულიერი კულტურის განვითარების დონე;

3. ბარბაროსობის შემდეგი ეტაპი.

"ცივილიზაცია საზოგადოებრივი განვითარების იმ საფეხურს წარმოადგენს, რომელზედაც შრომის დანაწილებაა, აქედან გამომდინარე გაცვლა ცალკეულ პირებს შორის და ამ ორივე პროცესის გამაერთიანებელი საქონელწარმოება სრულ აყვავებას აღწევენ და მთელ წინანდელ საზოგადოებაში გადატრიალებას ახდენენ" (ფ. ენგელსი).

ცივილისტიკა – იგივეა, რაც სამოქალაქო სამართალი.

"ცივი ომი" – ტერმინი, რომელიც ფართოდ გავრცელდა II მსოფლიო ომის (1939–45) შემდეგ დასავლეთის იმპერიალისტურ ქვეყნების რეაქციული და აგრესიული წრეების მხრივ სოციალისტური ქვეყნების, აგრეთვე ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლ ხალხთა წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის აღსანიშნავად. "ცივი ომის" პოლიტიკა მიზნად ისახავს საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავებასა და შეირარწუნების, "ცხელი ომის" წარმოშობის საფრთხის შექმნას, სამხედრო ხარჯების ზრდის გამართლებას, რეაქციის გაძლიერებას და კაპიტალისტურ ქვეყნებში პროგრესული ძალების დათრგუნვას.

ცილისწამება – შეგნებულად მოხაჭორის გავრცელება, რომელიც სახელს უტეხს სხვა პირს. ცილისწამება ხელყოფს ადამიანის ღირსებას. ცილისწამების დროს გამაწბილებელი ცნობები უკავშირდება მოგონილ, არარსებულ ფაქტს, რითაც ცილისწამება განსხვავდება შეურაცხყოფისაგან. ნამდვილი, თუმცა ვინმეს გამაწბილებელი, ფაქტის გახმაურება არ არის დასასჯელი ქმედება. ცილისწამება შეიძლება როგორც ზეპირი (პირადი საუბრის დროს, ტელეფონით, რადიოთი და ა. შ.), ისე წერილობითი ფორმით (პირადი წერილით, გახმოვანების მეოხებით და სხვა). სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის ძლიერდება, თუ ის ჩადენილია ნაბეჭდი ან სხვაგვარი ხერხით გავრცელებული ნაწარმოებით, ანონიმური წერილით ან, თუ ამ მოქმედებას ჩაიდენს ის, ვინც ადრე მსჯავრდებული იყო ცილისწამებისათვის. პასუხისმგებლობა ცილისწამებისათვის კიდევ უფრო მატულობს, თუ მას თან ერთვის განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო ან სხვა მძიმე დანაშაული. ცილისწამება დამამ-

ამომებელ გარემოებათა გარე შე ალიძერება დაზარალებულის სა ნიერით. კანონით განსაზღვრულ განსაკუთრებულ შემთხვევებში ცილისწამების საქმე შეიძლება აღძრას პროკურორმა დაზარალე ბულის სანიერის გარეშე.

ცინიზმი – (ლათ. ცინიკოსე ბის მოძღვრება) – ნიჰილისტური დამოკიდებულება საერთო-საკა ცობრიო კულტურის მონაპოვრი სადმი. განსაკუთრებით ინენს თა ვს ადამიანის მორალური ღირ სებების შეფასებისას. ცინიზმი ეგოისტური მიზანსწრაფვის ერთ ერთი ყველაზე გამოკვეთილი ფორმაა.

ცირკულარი – (ლათ. წრი ული) – სახელმწიფო ან საზოგა დოებრივი ორგანოს წერილობი თი განკარგულება ან განმარტე ბა რაიმე აქტის გამოყენების წე სის თაობაზე, რომელიც ეგზავნე ბა საქვეუწყებო დაწესებულება ორგანიზაციას. როგორც წესი, ცირკულარი ეხება საუწყებო ხა სიათის ერთ ან რამდენიმე საკ ითხს. სსრკ-ში 1936-მდე ცირკუ ლარი იყო ოფიციალური აქტი. რომელსაც სახალხო კომისარი ატის ხელმძღვანელი გამოსცემ და.

ციხისთავი – სამხედრო – ადმინისტრაციული მოხელე. ციხესიმაგრის (სამხედრო-თავ დაცვითი ნაგებობის) ან მის გარე მო ადგილთა უფროსი (კომენდან ტი) ფეოდალურ საქართველოში. ციხისთავი უკვე VI საუკუნეში არსებობდა მცხეთაში, VI–VII ს.ს. მიჯნაზე – თბილისში. ცნობილი ა, მაგ. არტანისა და "მუხნარისა ციხისთავნი". სოფ. ხადაში (მთი ულეთში) ერთდროულად ორი ციხისთავი "იდგა ბრძანებით". 1545 საბუთში იხსენიება "ქუთათი სისა ციხისთავთ-ციხისთავნი" და "ლიხთამერისა და ლიხთიმერისა ციხისთავნი", რომლებიც გა ნაგებდნენ "ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად" განკუთვნილ ლაშქარს. მათი უფლებრივი მდგომარეობა გან საზღვრულია გიორგი ბრწყინ ვალის სამართალში (XIV ს., მმ. 13–14). ციხისთავის მკვლელობი სათვის აქ დადგენილია "სისხ ლად" 3500 თეთრი, 3 წლის ვადით გაძევება და მამულის "სასეფოდ დაჭირვა", (სახასინოდ ჩამორთ მევა). ციხისთავის სასარგებლოდ საგანგებო "საციხისთავო" გადა სახადი იყო დაწესებული. ციხ ისთავები ერისთავთ-ერისთავს, ერისთავსა და ქალაქის მოურავს ექვემდებარებოდნენ. XVII–XVIII სს-ში ციხისთავი სოგჯერ მინ ბაშად იწოდებოდა.

ცნობა საერთაშორისო – დიპლომატიური აქტი, რომლი თაც ესა თუ ის სახელმწიფო სა ერთაშორისო სამართლით გათ ვალისწინებულ წესისამებრ ცნო ბს ახლად შექმნილ სახელმწი-

ფის. სახელმწიფოს ცნობის გარდა არსებობს მთავრობის ცნობა (რომელსაც მთავრობა იქმნება არაკონსტიტუციური გზით, სოც. რევოლუციის ან სხვა რაიმე ძალადატანებითი მოქმედების შედეგად). ერის ცნობა, ერთეულ-განმანთავისუფლებელი ორგანიზაციის ცნობა, მეომარ მხარედ ცნობა და სხვა. ცნობა საერთაშორისოს ყველაზე გავრცელებულ საშუალებად გვევლინება სახელმწიფოთა შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება, რაც სახელმწიფოს სრულ და საბოლოო ცნობად ითვლება. ფორმის მიხედვით ცნობა საერთაშორისო შეიძლება იყოს ოფიციალური: დე-იურე (სრული), ან დე-ფაქტო (შეზღუდული) დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების გარეშე და არა ოფიციალური. (არსებული სახელმწიფო ამყარებს ახალ სახელმწიფოსთან, ან მთავრობასთან საქმიან კავშირს, თანამშრომლობს მასთან საერთაშორისო კონფერენციებზე ან საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში, მაგრამ თავს არიდებს ამ სახელმწიფოს ოფიციალურ ცნობას). ცნობა საერთაშორისო ყოველთვის დიდ პოლიტიკურ როლს თამაშობდა საერთაშორისო მართლწესრიგის განმტკიცებაში.

ცოდვა – ძვ. ქართულ სამართალში ტერმინი "ცოდვა", "შეცოდებასთან" ერთად, საერთოდ დანაშაულსაც აღნიშნავდა, მეტადრე კი მის სხეობრივ-სარეციდივო ნეობრივ შეფასებას გამოხატავდა. "სენი იგი ცოდვათა" "მრავალსახე და მრავალგვარი" იყო. მაგ., გამოიყოფოდა "ხორციელნი ცოდვანი" (სქესობივი სნეობისა და კანონის გადაჭარბებული დანაშაულობანი) და მათი ორი ჯგუფი – "ცოდვანი ბუნებითნი" (კერძოდ, სიძვა თუ მრუშობა) და "ცოდვანი გარეშენი ბუნებისანი" ("სოდომური ცოდვა", ანუ მამათმავლობა და სხვა). დანაშაულობისადმი მიდრეკილებას "ცოდვისა მიმართ წარმდებობაი" ერქვა. სასამართლო მტკიცებულების ერთ-ერთი სახეობა იყო ცოდვის მოკიდება. ექვთიმე მთაწმინდელის მცირე სჯულის კანონის მეორე ნაწილს შეადგენს "კანონი შეცოდებულთანი" ხოლო ბექას და აღბუღას კანონებს ეწოდება "წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე".

ცოდვის მოკიდება – სასამართლო მტკიცებულების სახეობა ძვ. საქართველოში. იყენებდნენ შედარებით მცირე მნიშვნელობის საქმეების გადაწყვეტის დროს. წერილობით სამართალში ის შესული უნდა იყოს ჩვეულებითი სამართლიდან. ცოდვის მოკიდება ფიცზე ნაკლები მნიშვნელობის მტკიცებულება იყო. ვახტანგ VI სამართლის მიხედვით (მუხლი 14)

"ცოლვის მოკიდება ასრე არის" – ეჭვმიტანილმა, "შემწამებელი კაცი" სურგზე უნდა აიკიდოს და თქვას: "შენიმე ცოლია მეორედ მოსულას მემცა მაქვს და შენდა ნაცვლადამც მე განვიკითხები, თუ მე ეგ მექნას". ცოლვის მოკიდება მთაში უფრო მეტი მნიშვნელობის მტკიცება იყო, ვიდრე ბარში. იგი შეიძლებოდა დაკისრებოდა, როგორც მოპასუხეს, ასევე მოსარჩელესაც.

ცოლ-ქმარი – (სამართლებრივი მდგომარეობა), ქორწინებაში მყოფი პირები, რომელთა ურთიერთ უფლება-მოვალეობანი კანონმდებლობის მიხედვით, მმროში რეგისტრირებული ქორწინების საფუძველზე წარმოიშობა. ცოლ-ქმრის ურთიერთობა მათ სრულ თანასწორუფლებიანობაზეა დაფუძნებული. ქორწინებისას ცოლი და ქმარი გვარის საკითხს დამოუკიდებლად წყვეტენ. თითოეული მათგანი თავისუფლად ირჩევს პროფესიას, საცხ. ადგილს, ერთობლივად წყვეტენ შვილების აღზრდის საკითხს. თითოეულ მათგანს დამოუკიდებლად შეუძლია პირადი საკუთრების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ი[illegible] ქალდებულნი არიან დაეხმარონ ერთმანეთს არა მარტო ერთად ცხოვრებისას, არამედ განქორწინების შემთხვევაშიც კი.

მოქმედი კოდექსის 1172-ე მუხლის მიხედვით მეუღლეებს შორის შეიძლება დაიდოს საქორწინო ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, როგორც ქორწინებაში, ისე განქორწინებისას.

ცრუ დასმენა – სისხლის სამართლის მიხედვით, დასასჯელი ქმედება – დანაშაულის ჩადენის შესახებ შეგნებულად ცრუ ცნობების მოწოდება იმ ორგანოს ან თანამდებობის პირისათვის, რომელსაც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის უფლება აქვს. ცრუ დასმენა შეიცავს მცდარ ინფორმაციას ამა თუ იმ პირის მიერ დანაშაულის მომზადების ან ჩადენის შესახებ. ანდა ცნობას ვითომდა ჩადენილი დანაშაულის ფაქტის შესახებ, მაგრამ დამნაშავის დაუსახელებლად. იგი შეიძლება იყოს ზეპირი, წერილობითი, ტელეფონით და ანონიმურიც. მისთვის დამახასიათებელია პირდაპირი განზრახვა. დამნაშავეს შეგნებული აქვს მისი ცნობების სიყალბე და მაინც სურს მათი შეტყობინება. ცრუ დასმენა ისჯება ჯარიმით ან სახოგადოებისათვის სასარგებლო შრომით [illegible] ასოთხმოცდაც ორასორმოცდაათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა ტუსაღობით ვადით ორიდან ოთხ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით

ორ წლამდე. იგივე ქმედება, თუ მას თან ერთვის ბრალდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში, ანდა ბრალდების მტკიცებულების ხელოვნურად შექმნა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ექვს წლამდე. (სსკ. მუხ. 373).

ძ

ძალმომრეობა – იძულება, ზემოქმედება, რომელსაც მიმართავს სოციალური ჯგუფი, კლასი სხვა სოციალური ჯგუფებისა და კლასების წინააღმდეგ მათი დამორჩილებისა და მათზე ბატონობის მიზნით.

ძებნა – ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებსაც ახორციელებენ მოკვლევის ორგანოები, გამომძიებელი, სატუსაღოს ადმინისტრაცია და შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა ორგანოები, იმ ბრალდებულის დასადგენად, რომელიც ან ემალება სასამართლოს, ან თავს არიდებს განაჩენის აღსრულებას, ანდა გაქცეულია სასჯელ-აღსრულების დაწესებულებიდან. ძებნა ხორციელდება აგრეთვე უკვალოდ დაკარგული პირის ადგილსამყოფელის დასადგენად. იმის მიხედვით, თუ სად, რა ტერიტორიაზე მიმდინარეობს ძებნა, განასხვავებენ ადგილობრივ, ფედერაციულ და საერთაშორისო ძებნას.

ძეგლი – ფართო გაგებით – რაიმე ობიექტი, რომელიც ქვეყნის, ერის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილია. ტიპოლოგიურ ნიშნების მიხედვით შეიძლება დაიყოს ოთხ ძირითად კატეგორიად: არქეოლოგიური, ისტორიული, არქიტექტურული და სახვითი ხელოვნების ძეგლები, აგრეთვე წერილობითი ძეგლები, რომელთაც ისტორიულ-მხატვრული მნიშვნელობა აქვთ. ვიწრო გაგებით – ხელოვნ. (სკულპტურული ან არქიტექტორული) ნაწარმოები, რომელიც შექმნილია ვისიმე ან რისამე ხსოვნის უკვდავსაყოფად.

„ძეგლი ერისთავთა“ – XIV–XV სს. მიჯნის ქართული საისტორიო ძეგლი – ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე. შედგენილია ლარგვისის მონასტერში ავგაროზ ბანდაისის ან მისი ვაჟის გრიგოლის მიერ. „ძეგლი ერისთავთა“ შეიცავს უნიკალურ ცნობებს აღმ. საქართველოს პოლიტ., ისტორ., მთიანეთის მოსახლეობის სოციალური განვითარების და საქართველოში ფეოდალური ინსტიტუტების ჩამოყალიბების შესასწავლად. გამოცემულია რამდენიმეჯერ.

ძეგლის დადება – ძეგლისწერა, შუა საუკუნეების საქართველოში საკანონმდებლო აქტის დადგენა-ჩამოყალიბება წერილობით საბუთად. „განჩენა და დადება“ ძეგლად: თვითონ ასეთი საკანონმდებლო ძეგლი („განანიჭნი“) განმტკიცებული სახით. ვარაუდობენ, რომ ძეგლის დადებაში აღიბეჭდა უძველესი ხერხი კანონის გამოკვეთისა ქვის სვეტზე (მაგ.: ხამურაბის კანონები).

ძეგლის დადების მსგავსი გამოთქმები საბუთებში იშვიათი როდია, მაგრამ თვით ამ სახელწოდების აქტებად ცნობილია რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა და „ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ“.

„ძეგლის დადება მეფეთ მეფის გიორგის მიერ“ – სამართლის წიგნი, რომელიც 1335 წელს გიორგი V საგანგებოდ მოიწვეთისაოვის შეადგინა. XVIII ს. დასაწყისში იგი ჩაითეს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, ეითარცა „სამართალი მეფის გიორგისა“. ვახტანგისეული ტექსტის გარდა ძეგლმა ჩვენამდე იმ ერთადეროი, XVII ს. ნაკლული ნუსხითღა მოაღწია, რომელმაც „გარიგება ხელმწიფის კარისა“ შემოგვინახა. კანონმდებლის მიზანი იყო მტკიცე წესიერების ჩამყარება მთიულეთში, რომელიც სამეფო დომენს ეკუთვნოდა, გარდა ამისა საჭირო იყო შეწყობოდა იქაური ადრეკლასობრივი, წინა ფეოდალური საზოგადოების შემდგომ ფეოდალიზაციას, სჯულმდებელმა თვითონ ადგილობრივ გამოიკვლია ვითარება და შემდეგ თბილისში გაიმართა საგანგებო საკანონმდებლო კრება, რომელსაც შერჩევის და სათათბირო ხმით, მთიულთა ნახევრად სახალხო და ნახევრად სამეფო მოხელე ხევისბერები და ე. წ. ეროვანნიც, დაესწრეს. ძეგლი პრეამბულასა და 46 მუხლს შეიცავს.

ძველი – (სამ. ისტ.) – სასჯელის იარაღი ძვ. საქართველოში. სიტყვა „ძელით“ ძვ. ქართულში აღნიშნებოდა ხე, ღირე, ანუ მორი („ხე მოკეთილი“) და ჯვარი („ძელი გარდაჭდობილი სასიკვდილოს კაცთა დასამჭვალაებად“), და დასჯის იარაღის სახელიც აქედან წარმოდგა. ძელი წამების იარაღადაც გამოიყენებოდა.

ძველი აღთქმა – საღვთო წიგნის კრებული. ახალ აღთქმასთან ერთად შეადგენს ბიბლიას. ქრისტიანობა ცნობს ბიბლიის ორსავე ნაწილს, იუდაიზმი კი მხოლოდ ძველ აღთქმას.

„ძირითადი სახელმწიფო კანონები“ – რუსეთის იმპერიისა – კრებული კანონ-დებულებებისა მეფის რუსეთის სახელმწიფო წესწყობილების ზოგადი საწყისების შესახებ. პირველი კოდიფიკაცია განხორციელდა მ. სპრანსკის ხელმძღვანელობით 1832. ასახულია რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულის პირველ გამოცემაში. მასში ასახული იყო თვითმპყრობელობის ევოლუცია ბურუჟაზიული მონარქიისაკენ, აღიარებული იყო მეფის შეუზღუდავი საკანონმდებლო ინიციატივა, მისი მთავროლია. მეფეს ეკუთვნოდა საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობის, ომის გამოცხადებისა და ზავის დადების უფლება. „ძირითადი სახელმწიფოს კანონები“ იცავდა იმპერიის ერთიანობას. მოქმედებდა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე.

წანამძღვარი – დებულება, საიდანაც კეთდება დასკვნა.

წარმოების წესი – კაპიტალისტურ მეურნეობაში საქონლის ღირებულების ფორმა, უთანაბრდება წარმოების ხარჯებისა და ავანსირებულ კაპიტალზე საშუალო მოგების ჯამს.

წარმომადგენელთა პალატა – აშშ-ის, იაპონიის, ბელგიის, კოლუმბიის, ავსტრალიისა და ზოგი სხვა ქვეყნის პარლამენტის ქვედა პალატის სახელწოდება. ახალ ზელანდიაში – ეროპალატიანი პარლამენტი. პირველად შეიქმნა აშშ-ში 1787 წლის კონსტიტუციის საფუძველზე.

წარმომადგენლობა – სამოქალაქო სამართალში ერთი პირის (წარმომადგენლის) სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად გარიგების დადება ან სხვა იურიდიული მოქმედების შესრულება, რაც უშუალოდ ქმნის, ცვლის ან სპობს წარმოდგენილი პირის უფლებებსა და მოვალეობებს. წარმომადგენლობას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა პირს სხვადასხვა მიზეზების გამო არ შეუძლია უშუალოდ განახორციელოს თავისი სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები. წარმომადგენლის მეშვეობით არ შეიძლება დაიდოს მხოლოდ ისეთი გარიგება, როგორიც მისი ხასიათის მიხედვით შეიძლება დაიდოს მხოლოდ პირადად (მაგ.: ანდერძი) და ასევე კანონით საგანგებოდ მითითებული სხვა გარიგებები. (სკ. მეხ. 82).

წერილი – (სამართ. ისტ.) – წერილობითი საბუთების საერთო სახელი ძვ. საქართველოში. სულხან-საბა ორბელიანის კლასიფიკაციის მიხედვით, წერილის სახეებია: წიგნი, უსტარი, იერლაყი, პატრუქაგი, სიგელი, გუჯარი, რაოარტაგი. „წერილს“ სხვადასხვაგვარი თვისების საბუთის აღსანიშნავად შესაბამისი იურიდიული შინაარსის გამომხატველი სიტყვა ემატებოდა. სახელდობრ, სამართ. ძეგლებში იხსენიება ნასყიდობის, წყალობის, შეწირულობის, ამხანაგობაპირობის, შეყრილობის, გაყრის, თავდახსნილობის, ფიცის, მოწმობის, გასამართლებელი, დამაყენებელი, განჩინებისა თუ გარდაწყვეტილების წერილები. წერილით განმტკიცებულ ხელშეკრულებას „წერილით შეკრული“ ეწოდებოდა. „წერილის დადება“ იურიდიული დოკუმენტის გაფორმებას. ხოლო „წერილის წარმოდგენა“ ასეთი საბუთის დანიშნულებისამებრ წარდგენას ნიშნავდა.

წესდება – წესების კრებული, რომელიც არეგულირებს ურთიერთობათა განსაზღვრულ სფეროს ანდა რომელიმე სახელმწიფო ორგანოს, საწარმოსა თუ დაწესებულების ორგანიზაციასა და საქმიანობას. წესდება აქვს აგრეთვე უმრავლეს საერთაშორისო ორგანიზაციას. ეს ძირითადი აქტი განსაზღვრავს ამ ორგანიზაციების ამოცანებს, მათი შექმნის პრინციპებსა და საქმიანობას. როგორც წესი, მას ამტკიცებენ სულისუფლების უმაღლესი ორგანოები, ცალკეული დაწესებულებისა და ორგანიზაციის წესებს შესაბამისი სამინისტროები და უწყებები.

„წესი და განგებაი მეფეთა კურთხევისა“ – ძველი ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლი შეიცავს საქართველოს მეფის კურთხევის სინთეზირებულ საეკლესიო საერო წესებს. შედგენილია XIII საუკუნეში. შემოწახულია XVIII ს. კრებულში. ძეგლის მიხედვით, მეფის კურთხევის წინა საღამოს სასახლიდან საზეიმოდ გამოჰქონდათ სამეფო წიშნები (გვირგვინი, სკიპტრა, პორფირი, ბისონი) და მიჰქონდათ იმ ეკლესიაში, სადაც კურთხევის წესი უნდა შესრულებულიყო. „მეფედ გამნზადებულის“ მონაწილეობით იწყებოდა ღამისთევა „ლოცვითა და ვედრებითა“. გათენებისას მლოცველნი შინ ბრუნდებოდნენ და ისვენებდნენ. წირვის ჟამს მეფე მღვდელმსახურ, „ლაშქართა“ და დიდ მოსელეთა თანხლებით კვლავ ეკლესიისაკენ მიემართებოდა. საზეიმო პროცესია განსაზღვრული წესრიგით წარიმართებოდა. ეკლესიაში მეფეს „სამეფოსა ადგილსა“ მიუყვანდნენ და დააყენებდნენ. მეფე კათალიკოსს თავმოდრეკით სთხოვდა კურთხევას, კათალიკოსიც აკურთხებდა მას და სამეფო ნიშნებით შეამკობდა. „საკურთხეველის კარით“ ჩამოსულ მეფეს ამირსპასალარი წელზე ხმალს შემოარტყამდა, რითაც კურთხევის წესი მთავრდებოდა. მეფე ბრუნდებოდა სასახლეში, სადაც ჯერ მილოცვა და „ძღნობაი“ გაიმართებოდა, ხოლო შემდეგ „პურობა“ იწყებოდა. კურთხევის დღესასწაული სამ დღეს გრძელდებოდა; მეფე „ყოველთა დღეთა“ „ტახტსა ზედა“ იჯდა „გერგენითა და პორფირითა“.

წიგნი – (სამართ. ისტ.) – საბუთი ძვ. საქართველოში. სულხან საბა ორბელიანს წიგნი წერილის ერთ-ერთ სახედ მიაჩნდა. წიგნი სამართალში სხვადასხვა დარგის საბუთს ეწოდებოდა. კერძოდ, სახელმწიფო სამართ. სფეროს განეკუთვნებოდა. მაგ.: „წიგნი სამეფო“ ან „წიგნი მეფისაი“. „ბატონის წიგნი“ და „გარიგების წიგნი“ (მოხელის

ეფლებამოსილებათა განმსაზღვრელი საბუთი), სამოქალაქო სამართლისა იყო გირაოს, სათავსებო, ანდერძის, ვალის, ნასყიდობის და სხვ. წიგნები საისტორიო წყაროებში მსითვის, ყმობისა თუ ასატრობა-თარხნობის წიგნებთან ერთად საალაპო, საშეამაგლო, ვედრების, ცოდვის შენდობისა და „ნაშვილობების“ წიგნებიც გვხვდება.

„ᲧᲘᲕᲜᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲙᲐᲪᲗᲐ ᲨᲔᲪᲕᲝᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐᲕᲔ“ – ბექასა და აღბუღას სამართალი. ძვ. ქართული კანონმდებლობის ძეგლი, შედგენილია XIII–XIV სს-ში. შეტანილია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში მეექვსე ნაწილად, აღბუღას სამართლის სახელწოდებით. შეიცავს შესავალს, 98 მუხლს, რომელთაგან 1–65 მმ. – ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი – მიეკუთვნება ბექა I ჯაყელს, ხოლო 66–98 მმ. – ბექა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი – ბექას შვილიშვილს აღბუღა I ჯაყელს. ბექას სამართალი შედგენილი უნდა იყოს 1295–1304 წლებში, – აღბუღასი – დაახ. 1381–86 წლებში. „ბექაის განაჩენი“ ცალკე, დამოუკიდებელი სამართლის წიგნის სახით არ შემონახულა. იგი „სრულობითა და უკლებლად“ ალუწესხაეს და ახალი კანონების „სჯდა დაროეით“ დაუმტკიცებია აღბუღას საკანონმდებლო კრებას. ძეგლის უძველესი ხელნაწერია 1672 წ-ისა. კანონის თავდაპირველი ტექსტი საგრძნობლად დაზიანებულია.

ბექას და აღბუღას სამართალი განკუთვნილი იყო სამცხე-საათაბაგოს ფეოდალური სამთავროებისათვის და მის პოლიტიკურ განკერძოებულობას გამოხატავდა.

ძეგლში ასახული, სამცხე-საათაბაგოს სოც. წესწყობილება, მოწესრიგებულია სისხლის, სამოქალაქო და საოჯახო სამართლის ცალკეული ინტერესები, სასამართლო წყობილებისა და სამართალწარმოების საკითხები. ძეგლის საფუძველზე შეიძლება საკმაოდ სრული წარმოდგენის შექმნა იმდროინდელი ქართული სამართლებრივი კულტურის საერთო დონის შესახებ.

ᲧᲘᲗᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ – სპეციალური უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ამზადებდა სახ. მეცნ. პედაგოგებს, უმაღლესი სასწავლებლისათვის, მუშაკებს სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და ცენტრალური პარტიული და სახელმწიფო ორგანოებისათვის. დაარსდა მოსკოვში რსფსრ სახკომსაბჭოს 1921 წ. 11 თებერვლის დადგენილებით.

ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲪᲕᲔᲗᲐ – წეს-ჩვეულება, რომლის თანახმადაც კვეთდნენ მამრის ასოს კანის ბოლოს. წინადაცვეთის სვე'ულება აღ-

მოცენდა პირველყოფილ საზოგადოებაში და გავრცელებული იყო ჭაბუკთა ტომის სრულუფლებიან წევრებად ჩარიცხვის რიტუალებში. ეს რიტუალები მიზნად ისახავდა ჭაბუკთა ფიზიკურ გამოცდას, ასევე ტომის ადათ-ჩვეულებების და რელიგ. წარმოდგენების ათვისებას. წინადაცვეთა დღესაც შემორჩენილია ავსტრალიის, ოკეანიის, აფრიკის ჩამორჩენილ ხალხებში. წინადაცვეთა ვხვდება იუდაიზმისა და ისლამის რელიგიურ პრაქტიკაშიც. იუდაიზმის მიმდევრები წინადაცვეთას უკეთებდნენ ჩვილებს, ხოლო მუსლიმანები 7–10 წლის ბიჭებს.

წინასახელშეკრულებო დავა საბჭოთა სამართლით – სახელმწიფო, კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებათა დადებისას წარმოშობილი უთანხმოება ხელშეკრულების კონკრეტული შინაარსის თაობაზე. აწესრიგებდა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობას, პროდუქციისა და საქონლის მიწოდებათა შესახებ (1981) და პრეტენზიების წარდგენის, განხილვისა და სამეურნეო ხელშეკრულებების მიხედვით წარმოშობილ უთანხმოებათა რეგულირების შესახებ (1973) არსებული დებულებები. ისეთი ხელშეკრულების დადებისას წარმოშობილ უთანხმოებას, რომელსაც საფუძვლად ედო ორიენტ მხარისათვის საკალდებულო საგნგმო დავალება, წყვეტდა არბიტრაჟი, ხოლო თუ ერთ-ერთ მხარეს კოლმეურნეობა წარმოადგენდა – სასამართლო.

წინასწარი გამოძიება – გამოძიების სახე, რომელსაც ატარებს პროკურატურის, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს გამომძიებელი. წინასწარი გამოძიების ამოცანაა დანაშაულის სწრაფი და სრული გახსნა, დამნაშავეთა მხილება, გამოძიების ყოველმხრივი, ობიექტური ჩატარება და იმ მიზეზების გამომჟღავნება და აღკვეთა, რამაც ხელი შეუწყო დანაშაულის ჩადენას ან განაპირობა იგი. წინასწარი გამოძიება ტარდება იმ რაიონში, სადაც დანაშაულია ჩადენილი. გამოძიების დასაჩქარებლად იგი შეიძლება ჩატარდეს დანაშაულის გამომჟღავნების ადგილას ან იქ, სადაც დანაშაულის ჩამდენი ან მოწმეთა უმრავლესობა იმყოფება. საქმის სირთულის ან დიდი მოცულობის შემთხვევაში წინასწარი გამოძიების ჩატარება შეიძლება დაეკალოს რამდენიმე გამომძიებელს.

წინასწარი გამოძიების დროს გამომძიებელი ატარებს ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედებას (დაკითხვა, ადგილზე დათვალიერება, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ჩხრეკა და სხვა). აგროვებს საქმეზე ყველა საჭირო მტკიცებულებას, აძლევს საკალდებულო

მითითებას მოკლულის ორგანოს სამედიცინო ოპერაციულ და სხვამოძიებო მოქმედებათა შესასრულებლად.

წინასწარი გამოძიება უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ და დასრულდეს სამ თვეში. პროცესუალური კანონი განსაკუთრებით რთული საქმის გამოძიებისათვის განსაზღვრავს წინასწარი გამოძიების ვადის შემდგომი გაგრძელების წესს. წინასწარი გამოძიება, როგორც წესი, მთავრდება საბრალდებო დასკვნის შედგენით და პროკურორის მიერ საქმის სასამართლოში გადაგზავნით.

წინასწარი გამოძიების დროს კანონთა შესრულებას და მის ერთგვაროვან გამოყენებას ზედამხედველობას უწევს პროკურორი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი უწყება ატარებს წინასწარ გამოძიებას.

წინასწარი პატიმრობა – აღკვეთის ღონისძიების სახე, რომელსაც გამოიყენებს მომკვლევი პირი, გამომძიებელი, პროკურორი ან სასამართლო, ბრალდებულის (განსასჯელის) ან ეჭვმიტანილის მიმართ. წინასწარ პატიმრობას მიმართავენ იმ მიზნით, რათა გამოირიცხოს გამოძიებასა და სასამართლოსაგან დამალვის შესაძლებლობა, ხელი არ შეუშალოს სისხლის სამართლის საქმეში ჭეშმარიტების დადგენას ან სხვა. წინასწარი პატიმრობისათვის აუცილებელია, რომ კანონი ითვალისწინებდეს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე მეტით, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში – ერთ წელზე ნაკლები ვადითაც. წინასწარი პატიმრობის შესახებ უნდა ეცნობოს ბრალდებულის ან ეჭვმიტანილის ოჯახს და სამუშაო ადგილს. პატიმრობის დრო ჩაითვლება სასჯელის მოხდის ვადაში. წინასწარი პატიმრობის საფუძვლიანობას და კანონიერებას ზედამხედველობას უწევს პროკურორი.

წინდი – ძვ. საქართველოში შეთანხმებით ან კანონითა თუ სასამართლოს დადგენილებით განსაზღვრული ქონება ვალდებულების შესრულების, უფრო სესხის განაღდების, უზრუნველსაყოფად. წინდი („წინდულობა") XVII საუკუნიდან გირავნობადაც იწოდებოდა. ზოგჯერ წინდი კრედიტორს სარგებლობის უფლებითაც გადაეცემოდა, რათა სარგებელი გადასახდელი აღარ ყოფილიყო. წინდი უძველეს ნათარგმნ მწერლობაშიეც გვხვდება. ჩვეულების – „ქცეულის წინღულობის წესის" გარდა მას XIII–XIV სს-იდან უკვე კანონმდებლობა აწესრიგებდა, სახელდობრ, ბექას და აღბუღას სამართალი (მმ. 43–44, 76, 83), აგრეთვე „ქცულის დადება მეფეს მეფის გიორგის მიერ" (მმ. 5–7). გლეხს უკრძალებოდა მამულის დაწინდვა

„პატრონის ხელისაურთავად“. წინდს უფრო წერილობით აფორმებდნენ. მამულთან ერთად (და უმამულოდაც) იწინდებოდნენ ქმები. თავისუფალი „კაცი წინდად დასმული“ მძევლად იწოდებოდა. წინდი განსხვავდება ბესგან, რომელიც ძირითადად გარიგების დადებას ადასტურებს. „ქალ-ყმათა“ დაწინდვა წინა საქორწინო პირობის დადებას ნიშნავდა და წინდი ანუ ბელგა თუ ნიშანი, მის სიმტკიცეს ემსახურებოდა.

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ – მთლიანი პროდუქციის ნაწილი, რომელიც რჩება მოხმარებული წარმოების საშუალებების გამოკლების შემდეგ. ღირებულების წარმოქმნის თვალსაზრისით იგი ახლად შექმნილი ღირებულებაა.

ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ – ერთიანული შემოსაველის ნაწილი, რომელიც სხვადასხვა პროდუქტის ღირებულების განზოგადებული ფორმაა.

ᲬᲝᲓᲔᲑᲐ – 1. სოციალური ჯგუფი წინაკაპიტალისტურ ეპოქაში, რომლის წევრთა უფლებამოვალეობები ადათით ან კანონმდებლობით იყო განსაზღვრული და მემკვიდრეობით გადადიოდა. 2. სპეციალური სახელწოდება, რომელსაც ანიჭებს კომპეტენტური სახელმწიფო ორგანო, ორგანიზაცია და სხვა. წოდება ადასტურებს ცალკეული მოქალაქისა თუ კოლექტივის დამსახურებისა და აგრეთვე პროფ-სამსახურებრივ, სამეცნიერო ან სხვაგვარი კვალიფიკაციის ოფიციალურ აღიარებას. არსებობს საპატიო წოდება, სამხედრო წოდება, სამედიცინო წოდება. პროკურატურის მუშაკებს ენიჭებათ საკლასო სარისხები. სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საელჩოებისა და მისიების დიპლომატ. თანამშრომლებს უცხოეთში – დიპლომატიური რანგები.

ᲬᲝᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ – პერსონალურად ენიჭებათ შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებსა და სამხედრო ვალდებულებს, მათი სამსახურეობრივი მდგომარეობის, სამხედრო და სპეციალური მომსადების, ჯარების გვარეობების ან სამსახურის სახეობებისადმი კუთვნილების, აგრეთვე დამსახურების მიხედვით. სამხედრო წოდებები განსაზღვრავს უფროს-უმცროსობას სამხედრო მოსამსახურეთა შორის ურთიერთობაში.

ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲐ – ბოძება, ფეოდალურ საქართველოში პატრონის („სიუზერენის“ სენიორის) მიერ ქმის (ვასალის) შეწყალება ერთგულება-სამსახურისათვის, მოხელედ, რაიმე თანამდებობაზე, თუ ეკუთვნოდა, – სათანადო „დალოცვით“ „ხელდასხმით“ და შესაბამისი თანამდებობითი ნიშნების

გადაცემით. „შეწყნარებულს“ ებოძებოდა ქონება (ადგილ-მამული) „მისანდობლობის“, ე.ი. თანამდებობის „საპატიოდ“ და „სახარჯოდ“ გადასახადებით სარგებლობისათვის, ე.ი. საგასამრჯელოდ, ანდა ერთობ სამფლობელოდ პიროვნულად თუ „მკვიდრად“ სამამულოდ, ე.ი. საშეილიშვილოდ. წყალობა აქტის საბუთად გაიცემოდა შეწყალების წიგნი და შეწყალების სიგელი.

წყალსარგებლობა (სამართ.) – წყლით, წყლის ობიექტებით სარგებლობა, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს. წყალმოსარგებლენი შეიძლება იყვნენ სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქენი. ძვ. საქართველოში წყლით სარგებლობა სასმელად, სარწყავად და სათევზაოდ (საწყლისპირო) ჩვეულებითი სამართლით და კანონმდებლობით წესრიგდებოდა.

წყლის კადასტრი – ქვეყნის წყლის რესურსების შესახებ არსებულ ცნობათა, სისტემატიზებული კრებული.

წყლის კანონმდებლობა – იმ იურიდიული ნორმების ერთობლიობა, რომლებიც აწესრიგებენ წყლით სარგებლობისა და წყლის დაცვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. სასმელი, სამკურნალო და ტექნიკური წყლის ყიდვა-გაყიდვის საკითხებს ძირითადად კანონმდებლობა განსაზღვრავს. წყლის კანონმდებლობა მოიცავს ნორმებს, რომლებიც შეეხება წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, წყლით სარგებლობის წესებს, წყლის დაცვას დაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრობისაგან. აგრეთვე, ისეთ ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფო მმართველობის თავისებურებას წყლის გამოყენებისა და დაცვის დარგში, წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების ორგანიზაციის საკითხებს და წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობას. (საქართველოს 1997 წლის 16 ოქტომბრის კანონი „წყლის შესახებ“ მუხ. 2).

ჯ

„ჯამა“ (სამართ. ისტ.) – ძვ. საქართველოში ქონებით სარგებლობა, მისგან შემოსავლის მიღება. ამ მნიშვნელობის ტერმინად „ჯამა“ – კანონმდებლობასა და საბუთებში XIII საუკუნიდან მაინც დასტურდება. მაგ., შემდეგი სახით: ადგილ-მამულისა და ცალკეული საგვარეულოს, შენობის, აგრეთვე საწარმოს ექსპლუატაცია თავის სასარგებლოდ: მამულის შემოსავლის „ჯამა“ „სისხლის ანგარიშში“; გირაოს „ჯამა“ სარგებელში; თანამდებობრივი შემოსავლის, ვთქვათ, მოურაობის „ჯამა“, მრეწველისა თუ სამწყსოს „ჯამა“ და სხვა. შესაბამის ქონებას თუ საშემოსავლო წყაროს „სამჯმო“ ეწოდებოდა, ნასარგებლევს – „ნაჯამი“.

ჯერა – (სამართ. ისტ.) – ძვ. საქართველოში უძრავი ქონების, განსაკუთრებით ყმა-მამულის, ფლობა (მფლობელობა). ჯერას უწოდებდნენ აგრეთვე კრედიტორის მიერ წინდის ფლობას და, ზოგჯერ, სამიწათმფლობელო თუ სხვა ფასეული საბუთის ფლობასაც. ჯერა არ მოიცავდა უბრალო, ფაქტობრივ ხელთ ქონებას სხვისი უფლებამოსილებითა და სახელით. ფეოდალიზმისათვის ნიშანდობლივია ქვეყნის, ქალაქის და სხვა ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულის ჯერა სამოხელეოდ, აგრეთვე თვით სახელოსიც, თანამდებობისაც. ჯერის სუბიექტს „მჯირავი“ ერქვა. ჯერის სიმტკიცის ფორმულა იყო – ჯერა „მკვიდრად და მამულად“; სასარჩელო ხანდაზმულობის თვალსაზრისით ამბობდნენ „დიდხანს“ ჯერას, საეჭვოდ, სადავოდ გამხდარზე „ნაქურდლად“ ჯერას.

ჯეშმარიტება – ცნობიერების მიერ სინამდვილის სწორი, ადეკვატური ასახვა. აზრი, რომელიც საგნობრივ ვითარებას შეესაბამება, ჯეშმარიტია, ხოლო, რომელიც არ შეესაბამება – მცდარია. ჯეშმარიტება არ არსებობს ობიექტურად, ე. ი. ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ იგი ობიექტურია. ეს ნიშნავს, რომ ჯეშმარიტია ცნობიერების ისეთი შინაარსი, რომელიც განსაზღვრულია მხოლოდ საგნობრივი ვითარებით.

ჯეშმარიტების კრიტერიუმი (საზომი) – ხერხი, რომლის მეშვეობით ჯეშმარიტს მცდარისაგან განვასხვავებთ და ვადგენთ ჯეშმარიტებას. დებულება თავისთავადაა ჯეშმარიტი ან მცდარი, საზომი მას არ ანიჭებს ამ თვისებებს, მაგრამ საჭიროა მათი გამოვლენა. ჯეშმარიტების კრიტერიუმი სწორედ ის ხერხი, საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც

ხდება დებულების ჭეშმარიტების შემოწმება და დადგენა. ზოგი დებულების ჭეშმარიტება ცდის მეშვეობით დგინდება, ზოგისა კი დამტკიცებით. მარქსი'სმი არ უარყოფს მათ მნიშვნელობას ჭეშმარიტების შემეცნების პროცესში, მაგრამ ჭეშმარიტების საბოლოო კრიტერიუმად მხოლოდ პრაქტიკა მიაჩნია.

ჭკუასუსტობა, დემენცია – ფსიქიკური მოქმედების შეუქცევადი გაღარიბება, რაც შემეცნების უნარის დაქვეითებით, ადრე შეძენილი ცოდნის დაკარგვით, ემოციური სიღარიბითა და ქცევის ცვლილებებით ვლინდება. არსებობს თანდაყოლილი (ოლიგოფრენია) და შეძენილი ჭკუასუსტობა. ცნებაში „დემენცია“ ჩვეულებრივ იგულისხმება შეძენილი ჭკუასუსტობა, რომელიც ვითარდება სხვადასხვა ფსიქოლოგიური დაავადების შედეგად. ჭკუასუსტობის თვისებური რებანი დამოკიდებულია მის გამომწვევ დაავადებებზე (შიზოფრენია, ეპილეფსია, ალკოჰოლიზმი).

ხ

ხაზინა – 1. სახელმწიფო ფინანსური დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ბიუჯეტის საკასო შესრულებას და გადასახადების აკრეფას, უშვებს აგრეთვე სახაზინო ბილეთებს.

2. ხანების, მეფეების, საუფლისწულოებისა და მონასტრების ფულის, ძვირფასეულობისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა საცავი.

3. შესაბამისი ბიუჯეტის სახსრები და სხვა სახელმწიფო ქონება, რომელიც არ ირიცხება სახელმწიფო ორგანიზაციებზე, შეადგენს სახელმწიფო ხაზინას. ქონება, რომელიც საკუთრების უფლებით ეკუთვნის მუნიციპალურ წარმონაქმნს და არ ირიცხება მუნიციპალურ ორგანიზაციებზე, შეადგენს შესაბამისად ქალაქის, დაბის და სხვა მუნიციპალური წარმონაქმნის ხაზინას. სახელმწიფო ხაზინას მიეკუთვნება ბიუჯეტის, საპენსიო ფონდის, სოციალური დაზღვევის ფონდის და სხვა სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების ეროვნული ბანკის სახსრები, ოქროს მარაგი, სავალუტო და ალმასის ფონდი.

ხაზინადარი – 1. ხაზინის გამგე. 2. რომელიმე ორგანიზაციის ფასეულობათა (ფული და სხვა) მცველი.

ხალხთმოსახლეობის კანონი – სპეციფიკური სოციალურ-ეკონომიკური კანონი, რომელიც გამოხატავს მოსახლეობის დინამიკასა და მისი გამოყენების ხასიათს წარმოების პროცესში. ყოველ წარმოების წესს შეესაბამება თავისი განსაკუთრებული ხალხთმოსახლეობის კანონი. ამ კანონის შინაარსი დამოკიდებულია საზოგადოებრივ წყობილებაზე, ეინაიდან ისეთი პროცესები, როგორიცაა შობადობა და სიკვდილიანობა, გაპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით. შესაბამისად არსებობს ხალხთმოსახლეობის სოციალისტური კანონი და ხალხთმოსახლეობის კაპიტალისტური კანონი.

ხალხი – ადამიანთა ისტორიულ-სოციალური ერთობა სხვადასხვა დონეზე: 1. ადამიანთა ეთნიკური ერთობა (ტომი, ეროვნება, ერი). 2. ფართო გაგებით – ესა თუ იმ ქვეყნის მთელი მოსახლეობა. 3. ვიწრო მნიშვნელობით – იმ გარკვეული საზოგადოებრივი კლასების, სოციალური ჯგუფებისა და ფენების ერთობლიობა, რომელთა მონაწილეობით წყდება საზოგადოების პროგრესული რეეოლუციის ამოცანები. ამ შემთხვევაში „ხალხი“ ე. ი. მოსახლეობის ფართო მასები „არ გულისხმობს გაბატონებულ ექსპლუატა-

ტორულ კლასებს, რომლებიც თავიანთი ინტერესებითა და მოქმედებით სახოგადოების განვითარების ობიექტურ მოთხოვნილებებს უპირისპირდებიან.

ხამასათი – სახიარო იჯარის ერთ-ერთი ფორმა არაბულ ქვეყნებში შუა საუკუნეებსა და ახალ დროში. მოსავალს ნომინალურად ყოფდნენ ხუთ ნაწილად: 1/5 (ხუმსი) იღებდა ხამასი (მოზიარე, მოჯამაგირე), 4/5-ს მიწათმფლობელი, რომელიც ხამასს აძლევდა მიწას, საქონელს, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს, თესლს, ხშირად საცხოვრებელს, ტანსაცმელს და სესხსაც თავის სარჩენად.

ხამურაბი – ბაბილონის მეფე (ძვ. წ. 1792–1750), ბაბილონის პირველი დინასტიის მეექვსე წარმომადგენელი. ხამურაბის დროს ბაბილონის სამეფო პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაძლიერდა, კულტურა აყვავდა. ხამურაბის პერიოდს განეკუთვნება მრავალი ადმინისტრაციული და დიპლომატიური მიმოწერის საბუთები, საალმშენებლო წარწერები თუ იურიდიული დოკუმენტები. ჩვენს დრომდე მოაღწია ხამურაბის სახელით შედგენილმა კანონთა კრებულმა, რომელიც ძვ. აღმოსავლეთის საკანონმდებლო საქმიანობის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს.

ხამურაბის კანონები – ბაბილონის კანონთა კრებული. შედგენილია ხამურაბის მეფობის ბოლო წლებში (დაახლ. ძვ. წ. 1760). ტექსტი ლურსმულია, წარწერილია ბაზალტის სტელაზე. აღმოჩნდა 1901–02 წლებში, ძვ. ელამური ქალაქის სუსის ტერიტორიაზე, გათხრების დროს. ინახება ლუვრში. ხამურაბის კანონები შედგება შესავლის, 282 მუხლისა და ბოლოთქმისაგან. მუხლები დაჯგუფებულია საგნობრივად: სამართალწარმოება, საკუთრება და მფლობელობა, ვაჭრობა-აღებმიცემობა, საოჯახო ურთიერთობა, ჯარიმები სხვადასხვა დანაშაულისათვის, გასამრჯელო და ტარიფები, დადგენილებები მონათა შესახებ. ხამურაბის კანონების მიხედვით ძვ. ბაბილონის საზოგადოებაში იყვნენ თავისუფალნი და არათავისუფალნი. თავისუფალთა კლასში შედიოდა სრულუფლებიანი მესაკუთრე – „ავილუმი“ („კაცი“) და არასრულუფლებიანი – არამესაკუთრე – მეფის სამსახურში მყოფი – „მუშქენუმი“ („თაყვანისმცემელი“). საზოგადოების უუფლებო ნაწილს შეადგენდნენ სასახლის, ტაძრებისა და კერძო პირთა მონები (ისინი „აველუმ-მუშქენუმებისაგან“ განსხვავებით, სამართლის ობიექტებს წარმოადგენდნენ).

ხანდაზმულობა სამართალში – კანონით დადგენილი ვადა,

რომლის გასვლაც იწვევს სამართლებრივ შედეგებს.

1) სამოქალაქო სამართალში გათვალისწინებული: საბაზრო ხანდაზმულობა, რომლის მიხედვითაც, კანონით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ პირს აღარ შეუძლია დაიცვას თავისი უფლება სასამართლო წესით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128 მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობის საერთო ვადა არის 10 წელი. სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 3 წელს, უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების ვადა 6 წელს; ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან – 3 წელს, ხოლო ხანდაზმულობის ვადა სამოქალაქო სამართალში არ ვრცელდება: ა) პირად არაქონებრივ უფლებებზე. ბ) მეანაბრეთა მოთხოვნებზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებაში შეტანილი ანაბრების გამო.

სისხლის სამართალში კანონით დადგენილი ვადა, რომლის გასვლის შემდეგ აღარ შეიძლება დახარისხებულ, ბრალდებული პირის პასუხისგებაში მიცემა (სსკ. მუხ. 71):

1) ორი წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც გათვალისწინებული სასჯელი არ აღემატება ორი წლით თავისუფლების აღკვეთას.

2) ექვსი წელი სხვა ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

3) ათი წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

4) ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

ხანდაზმულობის დინება წყდება, თუ კანონში აღნიშნული ვადების გასვლამდე პირი ჩაიდენს ახალ დანაშაულს, რომლისთვისაც კანონით შეიძლება დაინიშნოს თავისუფლების აღკვეთა ორ წელზე მეტი ვადით. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის გამოთვლა იწყება ახალი დანაშაულის ჩადენის მომენტიდან.

ხანდაზმულობის დინება შეჩერდება, თუ დანაშაულის ჩამდენი პირი დაემალება გამოძიებას ან სასამართლოს. ამ შემთხვევაში ხანდაზმულობის დინება განახლდება ამ პირის დაკავების ან ბრალის აღიარებით მისი გამოცხადების მომენტიდან. ამასთან, ეს პირი არ შეიძლება მიცემული იქნეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში, თუ დანაშაულის ჩადენის დროიდან გავიდა 15 წელი და ხანდაზმულობა არ ყოფილა შეწყვეტილი ახალი დანაშაულის ჩადენით.

საკითხს, უნდა შეეჯარდოს თუ არა ხანდაზმულობა ასეთი დანაშაულის ჩამდენ პირს, რომლისთვისაც კანონით შეიძლება

უვადო თავისუფლების აღკვეთა დაინიშნოს, წყვეტს სასამართლო. თუ სასამართლო შესაძლებლად ვერ მიიჩნევს ხანდაზმულობის გამოყენებას, უვადო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა არ დაიშვება და იგი შეიცვლება ვადიანი თავისუფლების აღკვეთით.

ხანი (თურქ.) – თურქული და მონღოლური ტიტული (მაგ.: ირანში და ავღანეთში მომთაბარე ტომებში). თავდაპირველად აღნიშნავდა ტომის ბელადს. სვლისუკოა და ხვარაზმშაჰების დროს – თავადის ტიტული.

ხარაბა (არაბ.-სპარს. ხარაბა – ნანგრევები, გაჩანაგებული, ტიალი, მიტოვებული) – ამოვარდნილი, ოხერი ადგილი, ჯართახი ძველ საქართველოში. გვიანდელ ფეოდალურ პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს საისტორიო მასალებში იხსენიება ხარაბა სოფელი, მამული, ციხე, დუქანი, აბანო, წისქვილი, ბაღი და სხვა. ჩართული იყო სამოქალაქო ბრუნვაში, კერძოდ, იყიდებოდა, საზღაურად (მაგ.: საუპატიოდ) მიეცემოდა, შეიწირებოდა და ქონების გაყიდვისას წილშიც ჰქონდათ. ხარაბა მამულს გამოსაღები ხარჯიც დაედებოდა. „ავის დროს მიზეზით“ ბევრი სოფელი ისე „დიდისხრის“ ხარაბა იყო, რომ იქ „მოსახლეობა არაფის ახსოვდა“

ხარაჯა (არაბ. – ხარკი, ღალა, გადასახადი) – მიწაზე დაწესებული გადასახადი ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ხარაჯას თავდაპირველად მხოლოდ არამუსლიმანები იხდიდნენ, შემდგომში კი მუსლიმანებიც.

ტერმინი „ხარაჯა“ გარკვეული დროიდან ქართულშიც დამკვიდრდა. აღნიშნავდა დაპყრობილ ხალხებზე დადებულ ხარკს, მიწაზე დაწესებულ გადასახადს.

ხარჯთაღრიცხვა – ხარჯთნუსხა – ეკონომიკური დოკუმენტი, რომელშიც სისტემატურად არის ასახული ღირებულებით ფორმაში შესასრულებელი სამუშაოსათვის საჭირო ყველა სახის მატერიალური დანახარჯის სიდიდე ელემენტების (ხელფასი და მასალები, სათბობი და ენერგია, ხელფასი ანარიცხებითურთ, ამორტიზაცია, სხვა დანახარჯები) მიხედვით. ხარჯთაღრიცხვა საშუალებას იძლევა დამყარდეს ურთიერთკავშირი თვითღირებულების გეგმასა და საწარმოს ტექნიკურ-სამრეწველო საფინანსო გეგმის სხვა განაყოფებს შორის, განისაზღვროს ეროვნული შემოსავალი და სხვა.

ხასადარი – სამეურნეო დარგის მოხელე, მეფის მამულების მეურვე, მეთვალყურე გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში.

ხასადარი მხოლოდ მეფეს ჰყავდა. იგი მეთვალყურეობდა მეფის საკუთარი მამულების ბეგარით დამუშავებას. საჭიროების შემთხვევაში დაქირავებულ სამუშაო ძალასაც იყენებდა. ხასადარი ყალდებული იყო სახასო მამულების შემოსავალ-გასავლის ანგარიში ეწარმოებინა. მასვე ევალებოდა ღალის მოგროვებაც.

ხასი – (არაბ. – განსაკუთრებული, სპეციალური, საკუთარი) – ფეოდალური მიწათმფლობელობის ერთ-ერთი ფორმა შუასაუკუნეების მუსლიმანურ ქვეყნებში. უმაღლესი გამგებლისა და მისი გვარის დომენური მიწები. ხასში შედიოდა, როგორც კერძო მიწები (მულქი), ისე ხასად გამოცხადებული მთელი ქალაქები და ოლქები. ხასიდან გადასახადები შედიოდა არა სახელმწიფო ხაზინაში, არამედ განსაკუთრებულ უწყებაში, რომელიც ხასს განაგებდა.

ხასი XII–XIII ს. ს. საქართველოში აღნიშნავდა ფეოდალთა დომენს და ამ დომენიდან გასულ ვასალებს (კერძოდ, ასეთი მნიშვნელობით გვხვდება იგი „ვეფხის ტყაოსანში"). ხასიდან არის ნაწარმოები სახასო.

ხასინჯუ – (ხასი და მონღ. ინჯუ – საკუთრება, ქონება, სამფლობელო), ილხანის სამფლობელო მიწები მონღოლთა ბატონობის ხანაში ირანში. ამ პერიოდში ირანში ინჯუ და ხასი სინონიმებად იქცა. ინჯუ დაერქვა ილხანისა და მისი ოჯახის წევრთა კუთვნილ მიწებს. ხასინჯუს ძირითადად შეადგენდა ადგილობრივ ფეოდალებისაგან ჩამორთმეული მიწები, მემკვიდრეობით გადადიოდა მამიდან შვილზე და თავისუფალი იყო სახელმწიფო გადასახადებისაგან. ხასინჯუს შემოსავალი ილხანის პირადი საკუთრება იყო, გადასახადთა აკრეფის უფლება კი მეტწილად იჯარით გაიცემოდა. ხასინჯუ ნიშნავდა აგრეთვე ცალკეული პირების თავისი სამფლობელოთი ნებაყოფლობით შესვლას მონღოლ ილხანის მფარველობაში. ხასინჯუს სისტემა ძირს უთხრიდა საქართველოს სახელმწიფოს მთლიანობას.

ხევისბერი – კულტის მსახური, ხალხური (თემური) და სახელმწიფო მმართველობის წარმომადგენელი ძვ. საქართველოში (აღმ. საქართველოს მთიანეთში). საულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ხევისბერი ერთის ხეობის უხუცესი (უფროსი) კაცია". ხევისბერობას საკანონმდებლო წესით განამტკიცებდა მთიულეთისათვის განკუთვნილი სამართლის წიგნი – „ძეგლის დადება მეფეთმეფის გიორგის მიერ" (XIV ს.). „ქუეყნის", „თემისა" და თემის „მოხელე ხევისბერები" იყვნენ „ლაშქართ-თავადნი",

„დარბაისით-დაყენებულნი“. პატივით ისინი განმგებელს, აზნაურს უტოლდებოდნენ. ჭშაე-ხევსურთა ხევისბერი კი ჯვარ-სატის მთავარ მსახურ-წინამძღვრად, მისი დღესასწაულის წარმმართველად და რიტუალის შემსრულებლად, შეწირული განძეულის მცველად არის მიჩნეული. მოხევეთა ხევისბერი იყო ხევის მოთავე, წინამებრძოლი როგორც საერო, ისე რელიგიურ-საკულტო საქმეებში. ხევისბერს თემი, ხევის საბჭო ირჩევდა. იგი სამოსამართლო ფუნქციებსაც ასრულებდა. ხევისბერობა XX საუკუნემდე შემორჩა.

ხევისთავი – პროვინციული ადმინისტრაციის წარმომადგენელი ისტორიულ საქართველოში; ეკისრებოდა გარკვეული სამოსამართლო ფუნქციები. გვხვდება როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში. დოკუმენტურად დამოწმებულია, X საუკუნიდან ეს ტერმინიც და მისი „ხელიც“ უძველესი ხანიდან უნდა მომდინარეობდეს, როდესაც ხევი შეადგენდა სოციალურ უჯრედს, რომლის სათავეში ხევისთავი უნდა მდგარიყო.

ხევისუფალი – უძველესი ქართული სამოხელეო ტერმინი, ხევის განმგებელი, უფროსი. გვხვდება X–XI ს. ს. ეპიგრაფიკულ და დოკუმენტურ წყაროებში. ფუნქციები გაურკვეველია. აიგივებენ ხევისთავთან.

ხეთური კანონები – უძველესი სამართლებრივი ძეგლი მცირე აზიიდან; აღმოჩნდა ბოღაზქოის არქივში 1906–12 წლებში გათხრების დროს. დაწერილია თიხის ფირფიტებზე ლურსმული დამწერლობით ხეთურ (ნესიტურ) ენაზე. თანამედროვე მკვლევართა ნუმერაციით შეიცავს 241 პარაგრაფს, თუმცა ზოგიერთ მათგანს აქვს „ა“ და „ბ“ ქვეპარაგრაფები. მუხლების ფორმალური ფორმულირების მიხედვით, ხეთი კანონმდებლები კანონებს ყოფენ ორ ნაწილად: „I ფირფიტა“, რომელსაც დაბაწყისი სიტყვების მიხედვით ეწოდებოდა „უკეთუ კაცი“ და „II ფირფიტა“ – „უკეთუ ვაჭი“. ხეთური კანონების „I ფირფიტა“ ძეცავს ადამიანის პირადი უფლებებისა და საკუთრების უფლებების განმარტებებს. აღწერილია „თავისუფალი კაცისა“ და „მონის“ მდგომარეობა. მოცემულია სასჯელთა სისტემა ადამიანთა მოკლისა და დაშავებისათვის, ქურდობისა და მოტაცებისათვის, განხილულია საოჯახო და საქორწინო ნორმები, სახელმწიფო ვალდებულებანი. კანონთა კრებულის „II ფირფიტა“ ეხება მიწათმფლობელობის სხვადასხვა ფორმის სამართლებრივი დაცვის საკითხებს, სასჯელთა სისტემას ანტისახელმწიფოებრივი და ან-

ტისა საზოგადოებრივი მოქმედებისათვის, ღალატისა და სხვა დანაშაულისათვის. აქვეა მოცემული დაქირაებული თუ სხვა შრომის ანაზღაურების სახეობანი, ფასების ტარიფი სხვადასხვა საქონელზე და სხვა. კანონები მიუთითებენ ხეთების საკანონმდებლო სისტემის თანდათან განვითარებაზე. ხეთური კანონები კლასობრივი ხასიათისაა. ადამიანის მკვლელობის ან სხეულის დაზიანების შემთხვევაში „თავისუფალ კაცთან“ შედარებით „მონა“ შეფასებულია ნახევარ ფასად ან უფრო ნაკლებად. კანონებში ასახულია ხეთური საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაციის რთული სურათი. იგი მნიშვნელოვანი წყაროა ხეთური საზოგადოების შესასწავლად. თარგმნილია მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულადაც.

ხელდასხმა – ქიროტონია (ბერძნ.) – ქრისტიანულ ეკლესიაში მღვდლობის ხარისხში (ეპისკოპოსად, ხუცეს მღვდლად, დიაკვნად) კურთხევა, რაც ხელის დადებით ხდება. ხელდასხმა აღნიშნავს აგრეთვე სამღვდლოდ არჩევას, დადგენას.

ხელდასხმა (ხელის დადება – დაუფლება, დაპატრონება) – ძვ. ქართული სოციალ-პოლიტიკური შინაარსის ტერმინი, რომლითაც აღნიშნებოდა სიმყარეულ-ობაში მყოფი, დაკავებული ადგილი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ხელის დადება ესე არს ... დიდებულმან ვინ გინდა მიიბაროს და თავის საყარველს ქვეშ დაიფაროს“. ასეთი დამოკიდებულება ჩვეულებრივ „ხელმწიფების ქვეშეთის“ ყმობას უდრიდა. „ხელთდება“ ნიშნავდა ხელში ჩაგდებას თუ ჩაბარება-გადაცემას. (მაგ., დიდი საგამგებლო ტერიტორიის ერისთავობისა და მხედართმთავრობის „ხელთდება“) „შვილად ხელდებულება“ შვილებას („ნაშვილობას“) გამოხატავდა. „ხელდება“ რუსეთის მსრივ საქართველოსადმი მფარველობის მნიშვნელობით იხმარება დ. გურამიშვილის „დავითიანში“.

ხელი (სამართ. ისტ.) – ძვ. ქართული ტერმინი, რომლითაც აღნიშნებოდა:

1. უფლება. საისტორიო წყაროებში იხსენიება „ხელმოსხლეტით“ („ხელმოწყვეტით“, „ხელაღებით“, „ხელმოხსნით“) და „ხელშეუვალად“, ე. ი. მოუდევრად, სრულ და „შეუძრავი“ უფლებით მიცემა ქონებისა, „ხელის აღება“ – უფლებაზე უარის თქმა, „ხელის არ ქონა“ – უფლების უქონლობა, „ხელის ამართვა“ – უფლების „დაყენება“, ან დამტკიცება სასამართლოსა და უზენაესი ხელისუფლების აქტის საფუძველზე, „ხელთა მიცემა“ – დამნაშაულის გადაცემა დაზარალებუ-

ლის განკარგულებაში.

2. წერილობითი საბუთი, მეტად ძვირფასი ფაქტიური მასალა ამ კატეგორიის იურიდიული დოკუმენტის (სახელდობრ, X–XI სს. „ფიქალწერილები“). საბუთის ერთ სახეობას „ხელით წერილი“ ეწოდებოდა. „ხელის საწერლად“ სათანადო სასღაური გაიცემოდა, „საუფლო ხელი“ მეფის „ხელრთვას“ (ხელმოწერით საბუთების დამტკიცებას), ხოლო „ხელის გატეხა“ საბუთის გაუქმებას გამოხატავდა.

3. ხელის გამოსახულებიანი სტელა – სიმბოლო, რომელსაც ადგილ-მამულზე სვამდნენ საკუთრების ნიშნად. ასეთი ძეგლები XII–XIII საუკუნეებით თარიღდება და ისტ. ქვემო ქართლსა და ჯავახეთს განეკუთვნება. ზოგ მათგანზე მოთავსებულია ჯვარი, სამეფო ემბლემა და წარწერა (მაგ. გუნიაყალის სტელა).

4. თანამდებობა (სახელო). „ხელის მქონებელი“ იყო ხელისუფალი, მოხელე და ხელოსანი. დიდ, საპატიო თანამდებობას „საჩინო ხელი“ ერქვა. „ხელდასხმაია“ საეკლესიო მსახურად დადგენა კურთხევას ნიშნავდა.

ტერმინის იურიდიული შინაარსი ადამიანის ცხოვრებაში ხელის განსაკუთრებული მნიშვნელობისაგან წარმოდგა. ძალისა და სიმტკიცის სიმბოლოს გარდა ხელი მაგიური დანიშნულებისაც იყო, რასაც უკავშირდებოდა ერთგვარი სასამართლო მტკიცებულება, კერძოდ, „ცოდვის ხელის ჩამორთმევა“ (ცოდვის მოკიდების ნაირსახეობა).

ხელისუფალი – ხელისუფალი ძვ. საქართველოში – 1. ხელის (თანამდებობის) მქონე, განსაკუთრებული მოხელე. ხელისუფალნი მოხელეთა პირველ მთავარ ჯგუფს შეადგენენ. ისინი იყვნენ ბრძანების გამცემნი, „განმგებელნი საქმისანი“. დიდებული ხელისუფალნი მეფის მართვა-გამგეობის მონაწილედ („თანაზიარი მეფობისა“) ითვლებოდნენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია „დარბაზის კარსმყოფნი“ ხელისუფალ-ეპარქიები „ხელისუფალნი მონასტრისანი“ ბერმონახონთა „პირველ დასად“ გამოიყოფოდნენ. 2. ხელობის („ხელისუფლობის“) მცოდნე, რომელიმე პროფესიის კაცი (მჭედელი, ხარაზი, მეწისქვილე, ქვის მთლელი და სხვა).

ხელისუფლების ბოროტად გამოყენება – სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის განზრახი, სამსახურებრივ მოთხოვნათა საწინააღმდეგო მოქმედება ან უმოქმედობა. ასეთი ქმედობისათვის დაწესებულია დისციპლინური და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია, რომ ხე-

ლისუფლების ბოროტად გამოყენებამ არსებითი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, ან ცალკეულ მოქალაქეთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში სასჯელად გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ან თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე. თუ ასეთი ქმედება ჩადენილი იქნება სისტემატურად, ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, ან თუ მას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი, დამნაშაეე ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე, თუ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებამ გამოიწვია საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერების არსებითი დარღვევა.

„ხელისუფლების დანაწილება“ – პოლიტიკურ-სამართლებრივი დოქტრინა, რომლის თანახმადაც სახელმწიფოში უნდა განვასხვაოთ სამი ხელისუფლება – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო, რომელთაც განახორციელებენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოები. ხელისუფლების დანაწილების იდეა, რომელსაც ჯერ კიდევ ანტიკური დროისა და შუა საუკუნეების სწაელულები გამოთქვამდნენ, დამოუკიდებელ მოძღვრებად განაეითარა შ. მონტესკიემ. ამ მოძღვრებამ პროგრესული როლი ითამაშა ბურჟუაზიის აბსოლუტიზმისა და სამეფო ხელისუფლების თეითნებობასთან. კაპიტალისტური წესწყობილების დამკვიდრებასთან ერთად „ხელისუფლების დანაწილების“ პრინციპი ბურჟუაზიული კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად გამოცხადდა, რაც პირველად საფრანგეთში დიდი რევოლუციის კონსტიტუციის აქტებში აისახა.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი – დემოკრატიული სახელმწიფო წეს-წყობილების ძირითადი პრინციპი, რომლის თანახმად, ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლება იყოფა სამ დამოუკიდებელ შტოდ: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად.

საკანონმდებლო ხელისუფლება იღებს კანონებს, აღმასრულებელი ხელისუფლება ახორციელებს მიღებულ კანონებს, ხოლო სასამართლო ხელისუფლება უზრუნველყოფს კანონების დაცვას.

ხელისუფლების დანაწილების იდეა თუმცა უძველეს პერიოდში გაჩნდა, მაგრამ მოძღვრებად მონტესკიემ ჩამოაყალიბა XVIII საუკუნეში.

ხელისუფლების ვარმო-

მადგენელი – სამართლის მიხედვით, თანამდებობის პირი, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების ფუნქციათა განსახორციელებლად უფლებამოსილია მოქალაქეებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს მისცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებანი. განსაზღვრულ შემთხვევაში ხელისუფლების წარმომადგენელს შეუძლია გამოიყენოს იძულებითი ღონისძიებანი. ხელისუფლების წარმომადგენლებად ითვლებიან: დეპუტატი, მთავრობის წევრი, პროკურორი, გამომძიებელი, მოსამართლე, პოლიციის მუშაკი და სხვა. პირი, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენელს წინააღმდეგობას გაუწევს მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულების დროს, პასუხს აგებს სისხლის სამართლის წესით.

ხელმწიფე – (ხელისუფლება და მწიფე-სრული), ძველი ქართული იურიდიული ტერმინი, რომელიც თავდაპირველად აღნიშნავდა საზოგადოდ შემძლებელს, უფლების მქონეს, სრულუფლებიანს, აგრეთვე მმართველს, ხელისუფალს, ხოლო შემდეგში (XI – XIII ს. ს.) მეფეს. საისტორიო წყაროებში იხსენიება „ხელწიფება“ – შეძლება, უფლება, გაბედვა. „ხელმწიფება“ – ძალაუფლება, ბატონობა, „ხელმწიფობა“ – მეფობა. „ხელმწიფეთა-ხელმწიფე“ – მეფეთმეფე, „სახელმწიფო“ – სამეფო და სხვა. მეფე „ხორცის ხელმწიფედ“ მიიჩნეოდა, კათალიკოსი კი „სულისა“. „ხელმწიფე“ მეფის მნიშვნელობით იხმარება ვახტანგ VI-ის სამართალში, ბერძნ. და სომხ. კანონების ქართულ ვერსიებში („სამართალი ბერძნული“, „სამართალი სომხური“). ძვ. ქართული სახელმწიფო სამართლის უმნიშვნელოვანეს ძეგლს ეწოდება „გარიგება ხელმწიფის კარისა“.

ხელოსანი – (სამართლ. ისტორია) – ხელის მქონე, ზოგადად მოხელე ანუ თანამდებობის პირი. როგორც ჩანს უფრო ნაკლები ხარისხისაა, ვიდრე ხელისუფალი, მომეტებულად სააღმსრულებო ან სამეურნეო ფუნქციის მატარებელი. ხელოსანი ჯერ კიდევ IX საუკუნის სამართლის საბუთებში იხსენიება. სამეფო ხელოსნები დარბაზის ერთა წრეს ეკუთვნოდნენ; ყოფილან „კარის გამგებელნიც“ და „დარბაზით გამოსულნიც“, ე. ი. მერმინდელი „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელენი, მათ შორის ქალაქად მოქმედნი და სასოფლონიც. ხელოსნები ჰყავდათ მსხვილ ფეოდალებსაც, აგრეთვე იერარქებს, იყენენ სამონასტრო ხელოსნებიც.

ხელფასი – საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ მუშაკისათვის მიცემული ხელ-

ფასი მის მიერ დახარჯული შრომის ოდენობისა და ხარისხის მიხედვით შრომის ანაზღაურებაა. ხელფასის ანაზღაურება ხდება შრომის ხელშეკრულებით (კონტრაქტით) დადგენილი წესით და პირობებით. მუშაკის თვიური ხელფასი არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები. მინიმალური ხელფასი არის სოციალურ-ეკონომიკური ნორმატიული, შრომის ანაზღაურების დასაშვები მინიმალური დონე, რომლის ოდენობას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი. (შკკ-ე მუხ. 75–76).

ხელფასის „რკინის კანონი“ – ბურჟუაზიული თეორია, რომლის მიხედვით, ხელფასი მერყეობს ფიზიკურად აუცილებელი საარსებო საშუალებების მინიმუმის ირგვლივ და მისი გადიდება აუცილებლად გამოიწვევს სამუშაო ძალის მიწოდების გადაჭარბებას მის (სამუშაო ძალის) მოთხოვნაზე. ხელფასის „რკინის კანონი“-ის კონცეფცია დაამუშავა ა.რ.ჟ. ტიურგომ, დ. რიკარდომ, ტ. მალთუსმა, მის პროპაგანდას მუშათა მოძრაობაში ეწეოდნენ ოპორტუნისტები (ფ. ლასალი).

ხელშეკრულება სამოქალაქო სამართალში – ორ ან რამდენიმე მხარეს შორის დადებული შეთანხმება სამოქალაქო მართლწესრიგის დადგენის, შეცვლისა თუ შეწყვეტის თაობაზე. ხელშეკრულებას უწოდებენ მხარეთა შეთანხმების შედეგად წარმოშობილ კონკრეტულ მართლწესრიგობასაც (მაგ. ქონების ჩირავნობის, გირავნობის, გადასიდვისა და სხვა). ხელშეკრულება ჰქვია აგრეთვე იმ საბუთს, რომელშიც ფიქსირებულია შეთანხმება. მხარეთა შორის უფლებამოვალეობის განაწილების მიხედვით განასხვავებენ ცალმხრივ და ორმხრივ ხელშეკრულებებს. ცალმხრივი ხელშეკრულება ერთ მხარეს აძლევს მხოლოდ უფლებას, მეორეს კი აკისრებს მხოლოდ მოვალეობას (მაგ. სესხის ხელშეკრულება); ორმხრივი ხელშეკრულების დროს კი თითოეულ მხარეს აქვს განსაზღვრული უფლებაცა და მოვალეობაც (მაგ. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება).

განასხვავებენ სასყიდლიან და უსასყიდლო ხელშეკრულებებს.

სასყიდლიანია ხელშეკრულება, რომლის ძალით ერთი მხარე მის მიერ შესრულებული მოქმედებისათვის იღებს მეორე მხარისაგან შემხვედრ დაკმაყოფილებას (ანაზღაურებას).

უსასყიდლოა ხელშეკრულება, როცა ერთი მხარე მის მიერ შესრულებული მოქმედებისათვის არ იღებს სამაგიერო დაკმაყოფილებას (ანაზღაურებას).

იურიდიული შედეგების წარ-

მო'მობის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ ძირითადი და წინასწარი ხელშეკრულებები. ძირითადია ხელშეკრულება, რომელიც სრულდება კონკრეტული მოქმედების შესრულებით (ნივთის გადაცემით). წინასწარი ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამისად წარმოიშობა ახალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. არსებობს აგრეთვე მესამე პირთა სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება, რომელიც არ არის ხელშეკრულების მონაწილე, მაგრამ ამ ხელშეკრულების შესრულების მოთხოვნის უფლებითაა აღჭურვილი. (მაგ. შემნახველ სალაროში მესამე პირის სახელზე ანაბრის შეტანა). ხელშეკრულების შინაარსს შეადგენს იმ პირობათა ერთობლიობა, რომელთა საფუძველ'ზედაც დაიდო იგი. არსებობს არსებითი პირობები (ფასი, საგანი და ვადა), აგრეთვე ჩვეულებრივი და შემთხვევითი პირობები. სამოქალაქო კოდექსი განსაკუთრებით გამოყოფს ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს. (ს.კ. მუხ. 327).

ხელშეკრულება კოსმოსის შესახებ 1967 – ხელშეკრულება კოსმოსური სივრცის (მთვარისა და სხვა ციური სხეულების ჩათვლით) გამოკვლევისა და გამოყენებისათვის სახელმწიფოთა საქმიანობის პრინციპების შესახებ. იგი კოსმოსური სამართლის ქვაკუთხედია. შეიმუშავეს გაეროში სსრკ-ს ინიციატივით, ამ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს 1967 წლის 27 იანვარს, დეპოზიტარ-სახელმწიფოების დედაქალაქებში: მოსკოვში, ლონდონში, ვაშინგტონში. ძალაში შევიდა 1967 წლის 10 ოქტომბერს. ხელშეკრულება კოსმოსის შესახებ, რომლის მონაწილეა 80 სახელმწიფოზე მეტი, უვადო და ღიაა ყველა სახელმწიფოსათვის ხელმოსაწერად; შედგება პრეამბულისა და 17 მუხლისაგან. კოსმოსური სივრცის (მთვარისა და სხვა ციური სხეულების ჩათვლით) გამოკვლევა და გამოყენება ყველა სახელმწიფოს შეუძლია თანასწორობის საფუძველ'ზე (მ. 1); დაუშვებელია რაიმე სახით მისი ეროვნული მითვისება (მ. 2); კოსმოსური სივრცე და მისი კოსმოსური სხეულები მ'ხის სისტემის ფარგლებ'ში განეკუთვნება საერთო სარგებლობის საერთაშორისო ტერიტორიების კატეგორიას. მეოთხე მუხლის თანახმად, აკრძალულია დედამიწის ირგვლივ ორბიტა'ზე ბირთვულიარაღიანი და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღიანი ობიექტის გაყვანა, ასეთი იარაღის დაყენება ციურ სხეულებ'ზე ან მათი განლაგება კოსმოსურ სივრცეში სხვა სახით. ციური სხეულების გამოყენება შეიძლება

მხოლოდ მშვიდობიანი მიზნისათვის. გარდა ამისა ხელშეკრულება კოსმოსის შესახებ ითვალისწინებს ავარიული სიტუაციის დროს კოსმონავტებისათვის დახმარებას (მ.5); კოსმოსში საქმიანობისათვის სახელმწიფოთა საერთაშორისო პასუხისმგებლობას (მ. 6, 7); სახელმწიფო, რომლის რეგისტრშიც შეტანილია კოსმოსში გაშვებული ობიექტი, ინარჩუნებს ამ ობიექტსა და მის ეკიპაჟზე იურისდიქციასა და კონტროლს კოსმოსში მათი ყოფნის დროს, აგრეთვე ამ კოსმოსურ ობიექტზე საკუთრების უფლებას, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს იგი (მ. 8). ამ ხელშეკრულებას ავითარებს და აკონკრეტებს სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულება.

ხელშეკრულება სამეურნეო – სამეურნეო ხელშეკრულებას დებდნენ პროდუქციისა და საქონლის მოწოდების, კაპ. მშენებლობაში ნარდობის, ტვირთის გადაზიდვისა და სხვა. სამეურნეო ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება კანონით, გეგმით ან მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულებათა დადებისა და გაფორმების წესი დამოკიდებულია მათ სახეობებზე. ხელშეკრულების ცალკეული ნაწილის უნიფიცირებისათვის შემოღებულია ტიპობრივი ხელშეკრულება – მხარეთათვის სავალდებულო ნორმატიული აქტი. ტიპობრივი ხელშეკრულებისაგან განსხვავდება სანიმუშო ხელშეკრულება, რომელიც მხოლოდ ნიმუშია და მხარეთათვის სავალდებულო არ არის. სამეურნეო ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, მხარეთა ხელმოწერით ან წერილების ურთიერთგაცვლით. თუ მხარეები ვერ შეთანხმდებოდნენ, წინასახელშეკრულებო დავას წყვეტდა არბიტრაჟი, რაც მხარეთათვის უკვე სავალდებულო იყო. სამეურნეო ხელშეკრულების შეუსრულებლობა სახელმწიფო დისციპლინის დარღვევა იყო და დამრღვევ მხარეებს ეკისრებოდათ ქონებრივი პასუხისმგებლობა, რაც გამოიხატებოდა პირგასამტეხლოს, ჯარიმის, საურავის (სანქციის) გადახდით და მიყენებული ზარალის ანაზღაურებით.

ხელშეკრულების თეორია (სამართალში) – სამართლის ერთ-ერთი უძველესი თეორია. წარმოიშვა ძველ საბერძნეთში. დასრულებული სახით ჩამოყალიბდა XVII–XVIII საუკუნეებში. ამ თეორიის წარმომადგენლები (გროციუსი, ლოკი, დიდრო და სხვა) თვლიან, რომ სახელმწიფო შეიქმნა ადამიანთა ურთიერთ შეთანხმებისა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების საფუძველზე იმ მიზნით, რომ მიეღწიათ საყოველთაო მშვიდობის, სამარ-

თლიანობისა და კეთილდღეობისათვის. ხელშეკრულების ძალით ადამიანებმა თავიანთი უფლებების ნაწილი გადასცეს სახელმწიფოს, რომელმაც იკისრა ვალდებულება, დაიცვას მათი საკუთრება, თავისუფლება და უსაფრთხოება.

ხელშეწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ – ბრალდებულის წერილობითი ვალდებულება, რომელსაც იგი აძლევს მომკვლევს, გამომძიებელს, პროკურორს ან სასამართლოს იმის შესახებ, რომ არ დაემალება გამოძიებასა და სასამართლოს, არ აწარმოებს დანაშაულებრივ საქმიანობას, ხელს არ შეუშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, გამოცხადდება მომკვლევის, გამომძიებლის, პროკურორის გამოძახებით, არ გაეცა დასახლებული პუნქტიდან მათი ნებართვის გარეშე (სსსკ; მუხლი 169).

ხვასტაბი, ხუასტაბი, ხუასდაბი – (ფალ. ხუასთაგ-ქონება, სიმდიდრე) – მოძრავი ქონება (საქონელი, პროდუქტი, განძი, ფული) – ძველ საქართველოში ს.ს. ორბელიანის განმარტებით, „ხვასტაგი ეწოდების ყოველსა საქონელსა და საყოლელსა“. თავდაპირველად ხვასტაგი მარტოოდენ შინაურ პირუტყვს ნიშნავდა, პირუტყვი კი ძველ დროში აღებმიცემობისას საყოველთაო ეკვივალენტი იყო („ფულის მაგიერ აფასებდნენ ხვასტაგსა“).ფულადი ფორმის წარმოშობის დროიდან ხვასტაგი ლითონის ფულსაც აღნიშნავდა და საერთოდ ქონების, სიმდიდრის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. ამით აიხსნება, რომ კოლხურ თეთრზე ემბლემად ხარის თავია გამოსახული. ქონებას, ფულს დახარბებულ კაცს „ხუასტაგის მოყვარე“ ერქვა. ბექას და აღბუღას სამართალში (მ. 20) იხსენიება „სახვასტაგე“ და „ხოსტაგიანი სახლი“. საკუთრივ ბოსლისა თუ გლეხის ისეთი საცხოვრებელი შენობის მნიშვნელობით, რომელიც პირუტყვის სადგომსაც მოიცავდა. ხვასტაგის კუთხური (იმერული) ფორმაა „ხვადაგი“, რომელიც რქოსანი საქონელის ზოგადი სახელია (მისგან წარმოდგება გვარი ხვადაგიანი, ხვადაგაძე).

„ხვატაინამაკი“ (ფალ., ახ. სპარსული ხოდაინამეუფალთა ანუ მეფეთა წიგნი) – ძვ. ირანული ლეგენდებისა და ისტორიული ქრონიკების კრებული. შემუშავდა სასანიანთა ეპოქაში ხოსრო ანუშირვანისა თუ იეზდიგერდ III-ის მეფობის დროს. VIII საუკუნეში არაბულად თარგმნა იბნ-ალ-მუკაფამ („სპარსელ მეფეთა ცხოვრება“). IX–X სს-ში გაჩნდა კიდევ რამდენიმე ვერსია, მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ. მათი კვალი შემორჩენილ-

ია არაბულ ისტორიულ წყაროებსა და „შაჰნამეს“ ადრინდელ პროზაულ დამუშავებებში, რომელთა ნაწილი გამოიყენა ფირდოუსმა.

ხიზანი (სპარსული ხიზანი – საკუთარი სამკვიდრებლიდან აყრილი და სხვაგან თავშეფარებული) – გლეხთა კატეგორია ფეოდალურსა და ბურჟუაზიულ საქართველოში, რომელიც ყმა გლეხისგან განსხვავებით პირადად თავისუფალი იყო და მისი დამოკიდებულება ფეოდალ-მემამულეზე ამ უკანასკნელის მიწაწყლით სარგებლობით განისაზღვრებოდა. ხიზანი უკადო, მემკვიდრეობითი მოსარგებლე იყო ფეოდალ-მემამულის მიწისა და ამიტომ იხდიდა ერთხელ და სამუდამოდ დაწესებულ, უცვლელ გადასახად-ვალდებულებებს. მემამულის უფლება – გაეძევებინა ხიზანი და ხიზანის უფლება წასულიყო მემამულისაგან – შეზღუდული იყო. ხიზანი წყაროებში ყოველთვის დაპირისპირებულია მკვიდრ მოსახლეობასთან, რადგან ის მისული გლეხი იყო.

ხმის მიცემა – მოქალაქის აქტიური საარჩევნო უფლების განხორციელების წესი; კრების, სხდომის უფლებამოსილ წევრთა ნება-სურვილის გამოვლინების საშუალება ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტის დროს. ხმის მიცემა შეიძლება ჩატარდეს ღიად ან ფარულად. ფარული კენჭის ყრით ირჩევენ დეპუტატებს, მოსამართლეებს. ხმის მიცემა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ შენობაში. ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენს ავსებს ფარულ კენჭის ყრის კაბინასა თუ ოთახში. აქ ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია ხმის მიმცემის გარდა სხვა ვინმეს ყოფნა. თითოეულ მოქალაქეს ერთი ხმა აქვს. ყოველი ამომრჩეველი პირადად აძლევს ხმას. ხმებს ითვლიან და ხმის მიცემის, არჩევნების შედეგებს ადგენენ საარჩევნო კომისიები. ხმების გაყალბება და სხვაგვარი დარღვევები ისჯება კანონმდებლობით.

ხოლოპი – დამოკიდებული ადამიანების კატეგორია რუსეთში X–XVIII სს. დამდეგს უფლებებით მონებს უახლოვდებოდნენ. ტერმინი „ხოლოპი“ მატიანეში პირველად იხსენიება 986, XI–XII საუკუნეებში იხმარებოდა დამოკიდებული მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიისა და მონების აღსანიშნავად. მემამულეს განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა ხოლოპის მიმართ (შეეძლო მოეკლა, გაეყიდა, და სხვა). ხოლოპად ხდებოდნენ ტყვედ ჩავარდნის, ვალში თავის გაყიდვის გამო, დანაშაულის ჩადენის, ხოლოპ ქალზე დაქორწინების შედეგად. XVIII საუკუნის დამდეგს ხოლოპებს სულადი გადასახადი შეაწერეს, რამაც

ისინი ქმების მთელი მასის შემადგენელ ნაწილად აქცია.

ხორუშნი (პოლ. drzewa) – 1. თავდაპირველად მეეროშე, მოგვიანებით რუსეთის არმიის კასაკთა ჯარებში უმცროსი ოფიცრის ჩინი. 2. შუა საუკუნეების პოლონეთსა და ლიტვაში ხორუგვის-რაინდთა ლაშქრის ქვედანაყოფის მეთაური, XIV საუკუნიდან სამეფო კარის თანამდებობის ჩინი.

„ხოსროშშირინიანი“ – ძვ. ქართული მწერლობის ძეგლი; აღმოსავლეთში გავრცელებული ხოსროესა და შირინის ლეგენდის ქართული ვერსია. ჩვენამდე მოღწეულია ორი რედაქციით: ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ისტორიაში“ (XVII ს.), დაცულია „ხოსროვშირინიანის“ ერთ-ერთი ვერსია, რომლის წყარო საძიებელია სპარსულ ისტორიულ თხზულებებში. მეორე ვერსია ე. წ. – „აღორძინების ხანის“ ძეგლი (XVII ს. დასასრული – XVIII საუკუნის დასაწყისს). ხოსროვ დეჰლევის პოემის „შირინ ო ხოსროეს“ (XIII ს.) პროზაული თარგმანია. ვახტანგ VI-ის კარზე მოღვაწე ანონიმი მთარგმნელი თანამიმდევრულად გადმოსცემს სპარსული პოემის შინაარსს.

ხოჯა – (სპარსული) – მუსლიმანთა საპატიო ტიტული ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში აღმოცენდა შუა საუკუნეებში. ენიჭებოდათ კარის წარჩინებულ მოხელეებს, ვაჭრებს, უმაღლეს სამღვდელოებას.

„ხსნის ძაწშირი“ (1817 წლიდან – „სამშობლოს ჭეშმარიტი და ეროვნული შეილების საზოგადოება“) – დეკაბრისტების პირველი ფარული პოლიტიკური საზოგადოება. შეიქმნა 1816 ა. მურავიოვის ინიციატივით. ირიცხებოდა დაახლოებით 30 წევრი, მათ შორის იყვნენ: ნ. მურავიოვი, ს. მურავიოვ-აპოსტოლი, ტრუბეცკოი და სხვები. „ხსნის ძაწშირის“ პროგრამა მიზნად ისახავდა ბატონყმობის გაუქმებას და კონსტიტუციური მონარქიის შემოღებას.

ხუთასის თავი – სამხედრო მოხელე ძველ საქართველოში. ხუთასისთავის სახელი ლაშქრის ათეულად დაყოფის შედეგად არის წარმოშობილი. იოანე ბატონიშვილის სჯულდების მიხედვით, ხუთასისთავის მინაშისადმი დაქვემდებარებულ მოსახლეს ჰანს. ხუთასისთავები ათასისთავის შემწეები იყვნენ. როცა ათასისთავი აღარ იყო, ხუთასისთავი აღასრულებდა „ცოცხლისა და თანამდებობისა“ (სამართალი ბატონიშვილის დავითისა. გ. ყურაველაძის გამოცემა, თბ., 1964).

ხულიგნობა – განზრახი მოქმედება, როდესაც მოქალაქე უხეშად არღვევს საზოგადოე-

ბრივ წესრიგს და გამოხატავს აშკარა უპატივცემლობას საზოგადოებისადმი. ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსით 239-ე მუხლით ხულიგნობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი განისაზღვრება დანაშაულებრივი ქმედობის ფორმით, მისი ჩადენის პირობებით, სამართალდამრღვევის პიროვნებით და სხვა. ხულიგნობისათვის სასჯელად გათვალისწინებულია ჯარიმა, თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ას ოცდან ას ოთხმოც საათამდე. დამამძიმებელ გარემოებად ითვლება წინააღმდეგობის გაწევა ხელისუფლების წარმომადგენლის ან ხულიგნობის აღმკვეთი სხვა პირის მიმართ, რომელიც ასრულებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მოვალეობას, ან სხვა მოქალაქეებისათვის, რომლებიც აღკვეთენ ხულიგნურ მოქმედებას. ასევე ხულიგნობად ითვლება ისეთი პირის მიერ ჩადენილი ხულიგნობა, რომელიც წინათ ნასამართლევი იყო ხულიგნობისათვის. ხულიგნობა, თუ იგი ჩადენილია ისე, რომ იხმარეს ან სცადეს ეხმარათ ცეცხლსასროლი იარაღი, ან სხვა ცივი იარაღი, აგრეთვე სხეულის დასახიანებლად მომარჯვებული სხვა საგანი, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან შვიდ წლამდე.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა წვრილმანი ხულიგნობისთვის. წვრილმანი ხულიგნობა ნიშნავს უცენზურო ლანძღვა-გინებას საზოგადოებრივ ადგილებში, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელ გადაკიდებას და სხვა ამგვარ ქმედებას. (სსკ. მუხ. 239).

ხუნვეიბინები (ჩინური, სიტყვასიტყვით – წითელი მცველები, წითელგვარდიელები) – ჩინეთში 1966 „კულტურული რევოლუციის" დროს საშუალო სკოლების მოსწავლეებისა და სტუდენტებისაგან შექმნილი რაზმები, რომლებიც ძალოფანებთან ერთად იბრძოდნენ პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეების წინააღმდეგ. 1968-დან პოლიტიკურ ასპარეზიდან გაქრნენ. შემდგომში ხუნვეიბინებთა მიერ ჩადენილი დანაშაული დაგმეს ჩინეთში.

ხუნტა (ესპან.) – ესპანურენოვან ქვეყნებში სხვადასხვა ხასიათის გაერთიანებების, კავშირების, სახელმწიფო ორგანოების კომისიების სახელწოდება. ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში – სახელმწიფო გადატრიალების შედეგად, შექმნილი

სამხედრო მთაერობის სახელწოდება (სამხედრო ხუნტა).

ხურალი – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების სახელწოდება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა დიდი სახალხო ხურალი; აიმაკებში, ქალაქებში, სოფლებში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებია სახალხო დეპუტატთა ხურალები.

ჯ

ჯადიდიზმი – (არაბ., უსულო ჯადიდ – ახალი მეთოდი), ბურჟუაზიულ-ლიბერალური, ნაციონალისტური მოძრაობა; ჩაისახა ყირიმსა და ყოლგასპირეთის თათართა ბურჟუაზიულ ფენებში, ასპრბაიჯანში, გავრცელდა შუა ასიაში (XIX ს. დასასრულს – XX ს. დამდეგი). თავდაპირველად მეკულტურეობის ხასიათი ჰქონდა 1905 წლიდან აშკარად პოლიტიკური სახე მიიღო, პროგრამა: ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად – რეფორმები, პანთურქიზმი. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ჩამოყალიბდა პარტიები შურაი ისლამი, ახალგაზრდა ბუხარელები, ახალგაზრდა ხივინელები. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შუა ასიაში კონტრრევოლუციური მოძრაობის ორგანიზაციების დასაყრდენი იყო.

ჯალაბი – (არაბ.-სპარს.) – ოჯახი, შინაურობა, საკუთრივ ცოლი ან მილიანად დედაწული (ცოლ-შვილი) და საერთოდ სახლეულნი (ოჯახის წევრები), აგრეთვე მომსახურენი. "ყოველნიცა ერთბაშად შემოკრებული" თუ ერთად მყოფი ხალხი ძველ საქართველოში. იხსენიება, კერძოდ, ვახტანგ VI-ის სამართალში, ყეენისტყაოსანში, "ვისრამიანში" – "გარიგება ხელმწიფის კარისა" განსაზღვრავს "ჯალაბის გაყრის" წესს (დარბაზიდან ჯალაბის გასვლა საჯარიოს სხდომის დაწყების წინ). "ჯალაბში მიხდომისა და თავდასხმისათვის" (ჯალაბის, დედაწულთა აფუნიხვა, ანუ აფორიაქება – შერცხვენა) "სისხლის", საუპატიოს გაღახდევინება იყო დაწესებულებული. არსებობდა მოჯალაბე გლეხთა კატეგორია (დასავლეთ საქართველოში).

ჯამაათი (არაბული. ჯამაა – საზოგადოება, თემი, კრება) – ამიერკავკასიაში "სოფლის ერილობა", დაღესტანში – "თავისუფალი საზოგადოება", ე.ი. პატრიარქალურ-გვაროვნული (ან პატრიარქალურ-ფეოდალური) თემი. ირანსა და ამიერკავკასიაში ჯამაათი დეხი (არაბ.სპარს.) – ნიშნავს სასოფლო თემს, სოფლის საზოგადოებას.

ჯანიშინი (სპარს. ჯანეშინ – მოადგილე, ნაცვალი). შაჰის მიერ ირანში გაწეული ქართლის მეფის ნაცვლად ქვეყნის გამგებლად დატოვებული პირი. სეფიანი შაჰები ქართლის მეფეს ერთდროულად ირანის სპარსალარობასაც აკისრებდნენ და იქვე ტოვებდნენ მოვალეობის შესასრულებლად. მის სამეფო საქმეებს კი მისიად მემკვიდრე ჯანიშინი ასრულებდა. წყაროებში მას ხაიბი ან გამგეც ეწოდებოდა. მაგ. 1703 წელს შაჰმა სულთანჰუსეინმა ქართლის მეფობა გიორგი XI-ს დაუმტკიცა და ირანის

სპასალარობა და ყანდაარის ბეგლარბეგობა უბოძა, ქართლში კი მის ჯანიშინად მისიეე ძმისწული ვახტანგ VI დანიშნა. ჯანიშინი სახელმწიფოს სრულუფლებიანი გამგებელი იყო.

ჯარიმა – ფულადი გადასახდელი, მატერიალური ზემოქმედების ღონისძიება, რომელსაც იყენებენ კანონით დადგენილი წესით და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. სისხლის სამართალში ჯარიმას იყენებენ როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად. ჯარიმის ოდენობას განსაზღვრავენ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა ათი დღიური ანაზღაურება, ხოლო მაქსიმალური სამას სამოცი დღიური ანაზღაურება. სასჯელთა შეკრებისას ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შვიდას ოც დღიურ ანაზღაურებას. ჯარიმის დღიურ მინიმალურ ანაზღაურებას შეესაბამება ორი ლარი, ხოლო მაქსიმალურს – ათი ათასი ლარი. გამონაკლის შემთხვევაში ცვლაკუული დანაშაულისათვის შეიძლება დაწესდეს უფრო დიდი ჯარიმა. იმ შემთხვევაში, თუ პირი ბოროტად არიღებს თავს ძირითადი სასჯელის სახით დადებული ჯარიმის გადახდას, სასამართლოს შეუძლია გადაუხდელი თანხა შეცვალოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, თავისუფლების შეზღუდვით ან გამასწორებელი სამუშაოებით. შემდეგი გაანგარიშებით. ჯარიმის ერთი დღიური ანაზღაურება–სახოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ოთხი საათი, გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე – თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე. ამასთან, ჯარიმის ნაცვლად დანიშნული სახოგადოებისათვის სასარგებლო შრომისათვის, გამასწორებელი სამუშაოსათვის ან თავისუფლების შეზღუდვისათვის ბოროტად თავის არიღების შემთხვევაში იგი შეიცვლება ტუსაღობით ან თავისუფლების აღკვეთით ამ კოდექსით სასჯელის ამ სახისათვის გათვალისწინებულ ფარგლებში და დადგენილი წესით. (სსკ. მუხ. 42).

ჯარიმა, როგორც ადმინისტრაციული სახდელი, შეეფარდება პირს, რომელსაც ბრალი მიუძღვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში. კანონმდებლობით განსაზღვრულია ჯარიმის შეფარდების წესები, ოდენობა, იმ სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობების პირთა წრე, რომლებიც უფლებამოსილი არიან გამოიყენონ ჯარიმა საერთო წესისამებრ.

ჯარიმა ცნობილი იყო ძველ საქართველოში. თუით ტერმინი ჯარიმა უცხოურია (არაბ. ჯარიმა – ცოდვა, დანაშაული). სპარს. ჯარიმა – სასჯაური, საურავი (ჯურმი) ქართული სამართლის ძეგლებ-

ში XVII საუკუნიდან იხმარება. "ჯარიმით განტანჯვას" ანუ დაჯარიმებას ი"წევდა, კერძოდ თვითნებობა, ცრუ დასმენა, "ლაშქრობის განწესების" დარღვევა, ჩხუბში მახვილის ამოღება. საჯაროსთან ერთად კერძო კეთილების ჯარიმაც არსებობდა. "მრუდე კაცს" ჯარიმას მეფე აგრეთვე სასამართლო და მებაღეონეც განუსაზღვრავდა. "სახელმწიფოდ" (მეფისა და დედოფლის სასარგებლად) განწესებულ-გადასახდელ ჯარიმას სათანადო სარქარსა თუ "ქარხანას" (საწყობს) მიემაგრებოდა. ჯარიმას აზღვევინებდა მოურავი ან სხვა მოხელე. რომელსაც საზღვარის ნაწილი (სადედოფლო დასტურლამალის მიხედვით "ავკაცობის ჯარიმა") ერგებოდა.

ᲯᲐᲨᲘᲨᲝᲑᲐ – კანონმდებლობის მისედვით, განსაკუთრებული საშიში სახელმწიფო დანაშაული, სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების გადაცემა უცხო სახელმწიფოსათვის, უცხოეთის ორგანიზაციისა და მათი აგენტურისათვის, ისევე როგორც ამგვარი ცნობების გაცემა ან შეგროვება. ჯაშუშობის დასადგენად მნიშვნელობა არა აქვს მავნე შედეგის ფაქტობრივად დადგომასა და მის ხასიათის. მათი გათვალისწინება შეიძლება სახჯელის ოდენობის განსაზღვრისას. ჯაშუშობა ყოველთვის განსრახია, რადგან დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ აგროვებს, იტაცებს ან გადასცემს სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველ ან სხვა მნიშვნელოვან ცნობებს, რითაც შეიძლება ზიანი მიაყენოს საგარეო უშიშროებას. მოქალაქე ჯაშუშობისათვის პასუხს აგებს, როგორც სამშობლოს მოღალატე. სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის მიხედვით: უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვება, შენახვა ან გადაცემა ანდა გამოთხოვა ან გატაცება მათი გადაცემის მიზნით, აგრეთვე საქართველოს ინტერესების საზიანოდ უცხო ქვეყნის დაწესებულების ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა, ისჯება ათიდან თექვსმეტ წლამდე ვადით ხუთიდან ათ წლამდე. ჯაშუშობა, ჩადენილი ომიანობის ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ან რამაც საქართველოს ინტერესისათვის მძიმე შედეგი გამოიწვია, ისჯება თექვსმეტ წლიდან ოც წლამდე.

ᲯᲒᲣᲤᲣᲠᲘ ᲫᲝᲠᲕᲘᲜᲔᲑᲐ – ქორწინების ცნებაში ფიქრობენ, რომლის დროსაც ერთი ქვრივის, გვარის ან გვარის შიდა რომელიმე ჯგუფის ქალი მამაკაცს საქორწინო კავშირში ჰქონდა დამყარებული სხვა ასეთივე ჯგუფის ქალთან. წარმოიშვა პირველყო-

ფილი სქესობრივი პრომისკუიტეტიდან და ისტორიული განვითარების შემდგომ საფეხურზე შეიცვალა წყვილადი ქორწინებით. უძველეს ეპოქაში ქორწინების ამ სახეობის დამადასტურებელი მონაცემები გამოელინდა ავსტრალიელებისა და განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი სხვა ხალხების ეთნოგრაფიული შესწავლის საფუძველზე.

ჯგუფური დანაშაული – სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის თანახმად ჯგუფური დანაშაული ესაა – დანაშაული ჯგუფის ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი ერთი ან რამდენიმე დანაშაული. დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განსრახვა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული შემთხვევაში, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაშიც მონაწილეობდა.

ჯერიმენდ ერინგი – აშშ-ის საარჩევნო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გავრცელებული ტერმინი, რაც ნიშნავს საარჩევნო ოლქების შექმნას ამომრჩეველთა თანაბარი რაოდენობის გაუთვალისწინებლად, რითაც ირღვევა არჩევნების თანასწორობის პრინციპი. მაგ.: სიგეორთ დეპუტატს ირჩევს 20 000 ამომრჩეველი, სიოს კი ორჯერ და სამჯერ მეტი ან ნაკლები. ყაქრობრივად, ასეთი წესით ხდება საკართველოს პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატების არჩევა, რადგანაც თითოეულ რაიონსა და ქალაქს მხოლოდ ერთი სადეპუტატო მანდატი აქვს გამოყოფილი.

„ჯიბის ვეტო“ – აშშ-ის კანონშემოქმედებით პრაქტიკაში გავრცელებული მეთოდი, რომლისაც ქვეყნის პრეზიდენტი იყენებს იმისათვის, რომ არ დაუშვას არასურვილი კანონის ძალაში შესვლა. აშშ-ის კონსტიტუციის თანახმად, კონგრესის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტი პრეზიდენტმა ათ დღეში უნდა განიხილოს და მოიწონოს ან უარყოს. თუ კი კანონპროექტი კონგრესის სესიის

დამთავრებამდე ათ დღემდე ადრე წარედგინა პრეზიდენტს და მან სესიის დამთავრებამდე თავისი პოზიცია არ გამოხატა, კანონ-პროექტი უარყოფილად ითვლება.

ჯდომის და დგომის წესი – ქართული ფეოდალური იერარქიის ცერემონიალური გამოხატულება. გამოიყენებოდა დარბაზობა ვაზირობისა (დარბაზის სავაზირო სხდომებისა) და პურობის, მეფის კურთხევისა და აგრეთვე მისი დაკრძალვის დროს. განსაზღვრავდა სხდომის, ცერემონიის მონაწილეთა (დარბაზის ერთა, ვეზირთა და სხვა) ადგილ-პატივს, მათი სოციალურ-წოდებრივი და თანამდებობრივი უფროს-უმცროსობის საფუძველზე. ყველას თავთავისი დასაჯდომი ან დასადგომი ადგილი ჰქონდა მინიჭებული. მიღებული იყო "დაჯდომა სასთაულთა" (ბალიშში) ან "ნატითა" (ტყავის საფენი) და "ბალიშითა" ან უმისოდ, იმის მიხედვით, თუ რამდენად წარჩინებული იყო დარბაზობის მონაწილე. მეფის მახლობლად ჯდომისა და დგომის უფლება მასთან დაახლოებულთ, მაღალ საერო და სასულიერო ხელისუფალთ ენიჭებოდათ. უკეთესი ადგილის დაკავება დაწინაურების ან საგანგებო აჯისა, მეფის განსაკუთრებული ნებართვის გარეშე შეიძლებოდა.

ჯენტლმენური შეთანხმება – საერთაშორისო პრაქტიკაში – ოფიციალური ფორმალობის დაუცველად ტაძებული სებირი ხელშეკრულება. ჯენტლმენური შეთანხმების დადებისას მხარეები გულისხმობენ, რომ ნაკისრი ვალდებულებანი "ჯენტლმენურად", მიცემული სიტყვის ძალით შესრულდება, რის გამოც აღარაა აუცილებელი ამ ვალდებულებათა წერილობითი გაფორმება. საერთაშორისო სამართლის ანგლოსაქსური დოქტრინის მიხედვით, ჯენტლმენური ხელშეკრულება მხარეებს მხოლოდ მინიმალურად ავალდებულებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ჯენტლმენურ შეთანხმებას არ ითვალისწინებს.

ჯენტრი (ინგლისური, კეთილშობილი, წარჩინებული) "გაბურჟუებული" ტიტული საშუალო და წერილი თავადაზნაურობა (XVI–XVII სს.) ინგლისში, ე.წ. ახალი თავადაზნაურობის მთავარი შემადგენელი ნაწილი. ჩამოყალიბდა ინგლისში, სოფელში კაპიტალიზმის განვითარების პირობებში. წერილი და საშუალო თავადაზნაურობა, რომელიც ჯენტრის ძირითად მასას წარმოადგენდა, უფრო სწრაფად შეეგუა საქონლო-ფულად ურთიერთობათა განვითარებას, ვიდრე მსხვილი ფეოდალები და ეკლესია და დაიწყო თავისი მეურნეობის გარდაქმნა კაპიტალიზმის საწყისებზე.

ᲯᲔᲠᲐᲠᲡᲘ, ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲘᲕᲘ (გერმანული, უნდაობა) — მოქმედების განსაზღვრა ისეთი ნორმით, რომელიც გულისხმობს თავისუფალ ნებელობას. ჯერარსობა არის არა ადამიანის ფაქტობრივი ნორმით განსაზღვრული მოქმედება, არამედ ის, თუ როგორ უნდა მოქმედებდეს იგი. ჯერარსობას განსაზღვრავს საზოგადოებაში მოქმედი ნორმები, იმპერატივები. ჯერარსი შეიძლება იყოს ეთიკური, ესთეტიკური, იდეოლოგიური, ტრადიციით ნაკარნახევი. ყოველი მათგანი წარმართავს ქცევას და აწესებს მის მიმართ სანქციებს (სამართლებრივი ჯარარსის მიმართ — სასჯელი და ჯილდო, მორალურისა და ტრადიციულის მიმართ — საზოგადოებრივი გაკიცხვა და მოწონება).

ᲯᲘᲖᲘᲐ — (არაბული) — სულადი გადასახადი, რომელსაც არაბ. სახალიფოში, შემდგომ კი სხვა სახელმწიფოებში, იხდიდნენ არამუსლიმანი ქვეშევრდომები (ზიმიები) სრულწლოვანი შრომისუნარიანი მამაკაცები (ქალები, ბავშვები, ბერმონაზვნები, მოხუცები და მათხოვრები ჯიზიისაგან თავისუფლდებოდნენ). სახალიფოში ჯიზიას იხდიდნენ ყოველწლიურად ფულით ან ნატურით. მუსლიმანური სამართლის მიხედვით ჯიზიას იხდიდნენ ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის ძალითაც არამუსლიმანებს სიცოცხლისა და საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტია ეძლეოდათ. ასეთ შემთხვევაში ჯიზია ხშირად კომლობრივ გადასახადს წარმოადგენდა. ასე იყო, მაგ. საქართველოში არაბების ბატონობის დროს.

ᲯᲣᲠᲣᲛᲘ (არაბ. მრ. რ., მხ. რ. ჯერმ — დანაშაული, ბოროტმოქმედება), "დანაშაულზე წანართმევი" (საბა), ჯარიმა, გადასახდელი ძვ. საქართველოში. ჯურუმი დაეკისრებოდა, მაგ.: იმას, ვინც ბჭის სამართალს არ იყბედებდა, ვისაც საყდრის ყმის ნამეკობრეები ანუ ნაძარცვი "შაესწდებოდა", ვინც მეზობლის ქანას დაეძებრობით ცქერხლს გაეწვნდა, მის ნასაქრობად კი არ გაირჯებოდა. სამნის მომგლეჯი ჯურუმად თავისი ხელის "სისხლის" ფასს იხდიდა (ვახტანგ VI-ის სამართალი, მ. 242). ჯურუმს ასდევნებდა "შეჯერიმე". მის გასამჯელოს "საჯურუმო" ერქვა.

ჰ

ჰაბიტუსი – (ლათ. გარეგნობა, შესახედაობა) ადამიანის გარეგნობა, მისი აღნაგობა, კონსტიტუცია, ცხოველის, მცენარის, კრისტალის, მინერალის გარეგანი შესახედაობა.

ჰაიდუკები – (უნგრ. ქვეითი ჯარისკაცები) – XV–XIX სს-ში ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ სამხრეთ სლავი ხალხების შეიარაღებული ბრძოლის მონაწილენი. თავისი კლასობრივი არსით ჰაიდუკების მოძრაობა ანტიფეოდალური ხასიათისა იყო. ჰაიდუკების რაზმები მონაწილეობდნენ სერბიის პირველ აჯანყებაში. ჰაიდუკების გმირობა ბალკანეთის ქვეყნების მწერლობისა და ხალხური შემოქმედების მთავარი თემაა.

ჰაბეას კორპუს აძტი – ინგლისური პროცესუალური სამართლის ინსტიტუტი, რომელიც ზოგ შემთხვევაში უფლების ანიჭებს დაინტერესებულ პირს მოითხოვოს დაკავებულისა თუ დაპატიმრებულის სასამართლოში წარმოდგენა თავისუფლების აღკვეთის საფუძვლიანობის შესამოწმებლად. ეს ინსტიტუტი ინგლისში შეიქმნა ჯერ კიდევ XV საუკუნეში და საბოლოოდ გაფორმდა 1679 წელს პარლამენტის დადგენილებით.

ჰაკერი – ინფორმატიკის სფეროში უკანონო ქმედებათა (კომპიუტერულ ინფორმაციასთან არასამართალსომიერი შეღწევა, ელექტრონამომუშავებელი მანქანის დამაზიანებელი პროგრამის შექმნა და ა. შ.) სამდენი პირი. საქართველოს კანონმდებლობა ამ ტერმინს არ ხმარობს, მაგრამ სსკ-ში ამგვარ დანაშაულებრივ ქმედებას სპეციალური თავი აქვს დათმობილი.

ჰეგემონიზმი – საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს პოლიტიკა, რომელიც მისწრაფებას ისახავს სხვა სახელმწიფოებზე გაბატონებას, თავისი გავლენის ქვეშ მოქცევას. ჰეგემონისტური ქმედება საერთაშორისო სამართლის ნორმებს, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპს.

ჰანოვერის დინასტია – ინგლისის სამეფო დინასტია 1714–1901, რომელმაც შეცვალა სტიუარტების დინასტია.

ჰაუბიცა – (გერმან. თავდაპირველად – ქვის სატყორცნი ქვემეხი) – საარტილერიო ქვემეხი, რომელსაც სახმელეთო სამიზნეებზე სასროლად და თავდაცვითი ნაგებობების დასანგრევად იყენებენ. ჰაუბიცას შედარებით მოკლე ლულა აქვს (15–30 კალიბრი). ჭურვის საწყისი სიჩქარ-

ეა 300–600 კმ/წ, სროლის სიმაღრე დაახლოებით 18 კილომეტრია. პირველად პაუბიცა გაჩნდა ევროპაში XV საუკუნეში და ქვის ფიდიხით სროლისათვის იყენებდნენ. XVI საუკუნის მეორე ნახევარში პაუბიცით ისროდნენ მსკდომ ჭურჭელს. რუსეთში პირველად პაუბიცა XVI ს. შუა წლებში შეიქმნა. პაუბიცამ ფართო გამოყენება ჰპოვა I და II მსოფლიო ომებში. დიდ სამამულო ომში (1941–1945) საბჭოთა პაუბიცებმა მაღალი თვისებები გამოამჟღავნეს.

ჰაუპტვახტი – (გერმანული) სპეციალური შენობა, სადაც დაპატიმრებულ სამხედრო მოსამსახურეებს ათავსებდნენ, შეიარაღებულ ძალებში არსებობს საგარნიზონო და საველე ჰაუპტვახტები. ჰაუპტვახტში ათავსებენ დისციპლინარული წესით, სამხედრო ორგანოების მიერ დაპატიმრებულს, სამართალში მიცემულ სამხედრო მოსამსახურეს და მას, ვისაც სამხედრო ტრიბუნალმა ჰაუპტვახტი მიუსაჯა.

ჰელიეა – (ბერძნ.) ძველ საბერძნეთში ნაფიც მსაჯულთა სახალხო სასამართლო. ჰელიეა დაარსა სოლონმა ძვ. წელთაღრიცხვით VI საუკუნეში. ეფიალტეს რეფორმებით ჰელიეას ფუნქციებში გაფართოვდა არეოპაგის სარჯზე. ჰელიეა შედგებოდა 6000 წევრისაგან (ჰელიასტებისაგან), რომელთაც ირჩევდნენ 30 წელს მიღწეული მოქალაქეთაგან. პერიკლემ შემოიღო ჰელიატების გასამრჯელო. ჰელიეა განიხილავდა როგორც კერძო, ასევე სახელმწიფოებრივ საქმეებს, ამტკიცებდა სახალხო კრების მიერ მიღებულ კანონებს, აკონტროლებდა მაღალი თანამდებობის პირთა საქმიანობას. ჰელიას გადაწყვეტილებას ხმის ვერავლესობით იღებდნენ, განაჩენი უაპელაციო იყო.

ჰეპტარქია (ბერძნული, შვიდი ძალაუფლება) – შვიდი სამეფო, XVI საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსების მიერ შემოღებული ტერმინი, რომლითაც აღნიშნავდნენ ინგლისის ისტორიის ჰეპტარქიული დაქუცმაცებულობის პერიოდს. "შვიდ სამეფოში" იგულისხმებოდა ანგლოსაქსური უესექსის, სასექსის, კენტის, მერსიის, ნორთუმბრიის, აღმ. ინგლისისა და კენტის სამეფოები. სინამდვილეში სამეფოთა რაოდენობა იცვლებოდა.

ჰერალდიკა (გვიანდელი ლათ. მაცნე) – დამსმარე ისტორიული დისციპლინა, რომელიც გერბებს შეისწავლის, სხვადასხვა ქვეყანაში ეთიკეტებოდა დამოუკიდებლად და ყალიბდებოდა აღგილობრივი პირობების გათვალისწინებით. ჰერალდიკა დაკავშირებულია გერბების წარმოშობასთან.

ჰეროლდი (გერმან.) – შეა

საუკუნეების ევროპაში მაცნე, მეფეთა და დიდ ფეოდალთა კარზე – განმგებელი "წესნი და რიგის დარბაზისა". ჰეროლდს ეეალებოდა აგრეთვე გერბებისა და საგვარეულო ნესჩების შედგენა.

ჰერცოგი (გერმან.) – ძვ. გერმანელებთან ტომის არჩევითი სამხედრო ბელადი, დასავლეთ ევროპაში ადრინდელ შუა საუკუნეებში ტომის მთავარი; ფეოდალური დაქუცმაცებულობის პირობებში – დიდი ტერიტორიის მფლობელი. ფეოდალური დაქუცმაცებულობის მოსპობის შემდეგ – ერთერთი მაღალი თავადაზნაურის ტიტული.

ჰეტერა (ბერძნ. მეგობარი ქალი, ხასა) – თავისუფალი ეროფაქცეეის ქალი ძვ. საბერძნეთში. პირველად გამოჩნდნენ კორინთოში. აყროდიტეს სატაძრო პროსტიტუციასთან დაკავშირებით. სოლონის კანონების შემდეგ მათ ათენშიც შეაღწიეს და სულ მალე ჭკვიანმა, განათლებულმა, ლამაზმა ჰეტერებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ სახლში თავს იყრიდნენ თეალსაჩინო, ცნობილი ათენელები, რის გამოც ჰეტერები გარკვეულ პოლიტიკურ გავლენასაც ახდენდნენ და პატივისცემით სარგებლობდნენ. ჰერერას შესახებ ცნობებს ეხვდებით ჰეროდოტესთან, არისტოფანესთან და ლუკიანესთან.

ჰეტმანი (პოლ. უფროსი, გერმ. –მეთაური, თავკაცი) – წინამძღოლი, ჯარების უფროსი.

1) ჩეხიაში ტაბორიტების ჯარის მეთაური;"

2) პოლონეთში XV საუკუნიდან 1795 წლამდე მუდმივი დაქირავებული ჯარის მეთაურის თანამდებობა და ტიტული;

3) უკრაინაში XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან სარეესტრო კაზაკების წინამძღოლი. ჰეტმანებს უწოდებდნენ აგრეთვე კაზაკურ-გლეხურ მოძრაობათა მეთაურებს. 1648 წელს ჰეტმანის ტიტული მიიღო ბ. ხმელნიცკიმ. მისი გარდაცვალებისა (1657) და ჰეტმან ვიგოვსკის ღალატის შემდეგ უკრაინაში ორი ჰეტმანი იყო. მარჯენა და მარცხენა ნაპირის ჰეტმანები. მარცხენა ნაპირის ჰეტმანს ხელთ ეპყრა უმაღლესი სამოქალაქო, სამხედრო და სასამართლო ხელისუფლება, აგრეთვე დიპლომატიურ ურთიერთობათა უფლებები. 1708 წლიდან ჰეტმანს მეფის რუსეთის ხელისუფლება ნიშნავდა. 1764 წელს ჰეტმანის თანამდებობა გაუქმდა;

4) მოლდაველთში, ჯარების სარდალი XVII საუკუნეში.

ჰილოტები (ბერძნ.) – ძველი სპარტის (საბერძნეთი) მკვიდრი მწარმოებელი მოსახლეობა, რომლებიც დორიელებმა დაიპყრეს. მონებისაგან განსხვავებით, ჰი-

ლოტებს ჰქონდათ საწარმოო საშუალებები, საკუთარი მეურნეობა, არ შეიძლებოდა მათი გაყიდვა, მოკვლა, მიწის მფლობელებს უხდიდნენ სახელმწიფოს მიერ დადგენილ ნატურალურ ღალას – აპოფორას, რომელიც ჩვეულებრივ, მოსავლის ნახევარს შეადგენდა. ჰილოტები სპარტიატებზე ორჯერ მეტი იყვნენ, მაგრამ უფლებები არ ჰქონდათ, ხშირად აწყობდნენ აჯანყებებს.

ჰიპოთეზა (ბერძნ. საფუძველი, ვარაუდი, დაშვება) – რისამე საფუძველი – მიზეზი ან არსება. ძვ. ბერძნულ ფილოსოფიაში ჰიპოთეზა ნიშნავდა პირველ საფუძველს, ყველაფრის ამხსნელს, უტყუარს. XVII–XVIII საუკუნეებში ჰიპოთეზა გახდა მეცნიერება, ძიებისა და ფაქტების ახსნის ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. თანამედროვე მეცნიერებაში ჰიპოთეზა გაგებულია როგორც ვარაუდი, რომლის მიზანია ახსნას გარკვეული ტიპის უკვე ცნობილი მოვლენები და იწინასწარმეტყველოს უცნობი ფაქტები.

ჰიპოთეზური დამტკიცება (რომელიმე სამეცნიერო თეორიაში) – ისეთი დამტკიცება, რომლის მტკიცებისათვის ჭეშმარიტად მიჩნეული წინადადების გარდა წანამძღვრებად გამოყენებულია სხვა დებულებებიც (ჰიპოთეზები). ჰიპოთეზური დამტკიცებით მიღებული წინადადება ჭეშმარიტია მოცემულ თეორიაში, თუ კი ჭეშმარიტია გამოყენებული ჰიპოთეზები.

ჰიპერინფლაცია – საქონლის ფასებსა და მიმოქცევაში ფულის განსაკუთრებით სწრაფი ზრდა, რომელსაც მიჰყავს ფულადი ერთეული მკვეთრ გაუფასურებამდე, საგადასახადო ბრუნვის მოშლისა და ნორმალური სამეურნეო კავშირების დარღვევამდე.

ჰიჯრა (არაბ. – გადასახლება, გადახვეწა, ემიგრაცია) – 1) მუსლიმანური ტრადიციის მიხედვით, მაჰმადისა და მისი მიმდევრების (მუჰაჯირების) გადასახლება მექიდან მედინაში 622 სექტ.;

2) მუსლ. ქვეყნებში გაურცელებული კალენდარის სახელწოდება.

ჰობი (ინგ.) – რაიმეთი გატაცება, საყვარელი საქმე მოცალეობის დროს.

ჰონორარი საავტორო (ლათ. გასამრჯელო მომსახურებისათვის) – გასამრჯელო, რომელსაც უხდიან ლიტერატურის, მეცნიერებისა და ხელოვნების ნაწარმოებების ავტორებსა ან მათ მემკვიდრეებს ამ ნაწარმოების გამოყენებისათვის. ჰონორარის განაკვეთებს ნაწარმოებთა გამოყენებისათვის აწესებს კანონმდებლობა. თუ საავტორო გასამრჯელოს დამტკიცებული განა-

კეთები არ არსებობს, ავტორის საზღაური ნაწარმოების გამოყენებისათვის განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. განაკეთების ფარგლებში ჰონორარი კონკრეტულად განისაზღვრება საავტორო ხელშეკრულებით. მისი მოცულობა დამოკიდებულია ნაწარმოების სახეზე, წინა გამოცემის რაოდენობაზე, ტირაჟზე. საერთო წესის მიხედვით, ავტორი ჰონორარს იღებს დადგენილი ოდენობით, როგორც პირველი, ისე ყოველი შემდგომი გამოყენებისათვის. მემკვიდრე ჰონორარს იღებს ავტორის გარდაცვალების მომდევნო წლის პირველი იანვრიდან 50 წლის განმავლობაში (ს.კ., მუხლი 1042–1093).

ჰოპლიტი – მძიმედ შეიარაღებული ქვეითი მებრძოლი ძვ. საბერძნეთში. აღჭურვილი იყო შუბით, მახვილით, გრძელი ფარით, მუზარადით, ჯავშნითა და საჩერნით. ჰოპლიტები იბრძოდნენ მჭიდრო ხაზოვანი წყობით – ფალანგით. ჰოპლიტების ლაშქარი თავისუფალი საშუალო მესაკუთრეებისაგან კომპლექტდებოდა. IV საუკუნეში ჰოპლიტებმა დაკარგეს თავისი მნიშვნელობა, ისინი თანდათანობით დაქირავებულმა ჯარისკაცებმა შეცვალეს

დამატება

ა

აბატი – (ლათ.) 1. კათოლიკურ მამათა მონასტრის წინამძღვარი; 2. კათოლიკების სასულიერო პირთა საპატიო წოდება, მღვდელი.

აბატისა – (ლათ.) კათოლიკურ დედათა მონასტრის წინამძღვარი.

აბანდონი - დამსღეველის უარი დაზღვეული ხომალდსა თუ ტვირთ'ზე, სრული სადაზღვევო თანხის მიღების მოთხოვნით, რაც ათავისუფლებს მას მიყენებული ზარალის მოცულობის მტკიცების მოვალეობისგან;

აბდიკაცია – სამეფო ტახტიდან მონარქის ოფიციალური გადადგომა

აბვერი – (გერმ.) ჰიტლერული გერმანიის სამხედრო დაზვერვა.

აბორაცია – საჯაროდ განდგომა სარწმუნოებისგან.

აბოლიციონიზმი – (ლათ.) გაუქმება, მოსპობა – (ისტ.) საზოგადოებრივი მოძრაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში მე-18ს. ბოლოს და მე-19ს. პირველ ნახევარში; მიზნად ისახავდა ზარგების მონობის გაუქმებას.

აბონემენტი – (ფრანგ.) – უფლება რაიმეთი სარგებლობისა განსაზღერული ვადით (მაგ. წიგნით – ბიბლიოთეკიდან) ადგილით – თეატრში, ტელეფონით და სხვ); ამ უფლების დამადასტურებელი საბუთი.

აბონენტი – (გერმ.) – აბონემენტის მქონე პირი ან დაწესებულება.

აბორტი – ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა და საშვილოსნოდან ნაყოფის გამოფხეკა ორსულობის ოცდარვა კვირის შესრულებამდე, ესე იგი, სიცოცხლისუნარიანი ნაყოფის დაბადების შესაძლებლობამდე. ქალს უფლება აქვს თვითონ გადაწყვიტოს დედობის საკითხი. ორსულობის შეწყვეტა, როგორც წესი, ხდება მისი სურვილით. აბორტი კანონიერია, თუ იგი ქალის სურვილით კეთდება სპეციალისტის მიერ სამედიცინო დაწესებულებაში. შესაბამისი ჰიგიენური პირობების დაცვით. სხვა შემთხვევაში, აბორტის გაკეთება არის უკანონო და ისჯება სისხლის სამართლის წესით საქართველოს კანონმდებლობით, უკანონო აბორტი ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ვადით ასიდან ასორმოც საათამდე, ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ

წლამდე, უფრო მკაცრად ისჯება უკანონო აბორტი, თუ იგი ჩადენილია ასეთივე დანაშაულისათვის მსჯავრდებულის მიერ, ან რამაც გაუფრთხილებლობით გამოიწვია შვილოსნობის სამუდამო მოშლა ან სხვა მძიმე შედეგი, უკანონო აბორტი, რამაც გაუფრთხილებლობით გამოწვია სიცოცხლის მოსპობა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

აბრაჲა-კაბრა – (ლათ.) 1. უაზრო სიტყვა, რომელსაც აწერენ ამულეტს; ძველი ებრაელებისა და ბერძნების რწმენით მაგიური ძალა ჰქონდა. 2. უაზრო სიტყვები, აბდაუბდა.

აბსენტეიზმი – (ლათ. ვინც არ ესწრება) 1. მასობრივი თავის არიდება არჩევნებში მონაწილეობისგან. 2. კოლეგიალურ ორგანოების წევრთა სისტემატიური დაუსწრებლობა სხდომებზე.

აბსენტეიზმი – 1. ამომრჩეველთა თავის არიდება არჩევნებსა თუ რეფერენდუმში მონაწილეობისაგან. 2. მიწათმფლობელობის ისეთი ფორმა, როდესაც მიწის მესაკუთრე წარმოების პროცესში არ მონაწილეობს, მაგრამ ღებულობს ფულად შემოსავალს რენტისა თუ მოგების სახით. სახელმწიფოს თანხმობა მიიღოს კონკრეტული პირი სხვა სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურად.

აბსოლუცია – (ლათ. განთავისუფლება) – 1. (სამართ.) სასამართლოს დადგენილება, რომლითაც ათავისუფლებენ სასჯელისგან. 2. კათოლიკურ ეკლესიაში; ცოდვათა მიტევება.

აბსოლიტური მონარქია – მონარქიული მართველობის ფორმის სახესხვაობაა, რომლის დროსაც სახელმწიფო ხელისუფლება (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) მთელი სისრულით ფაქტობრივად და იურიდიულად თავმოყრილია ერთი პირის მონარქის ხელში.

აბსტინენცია – (ლათ.) 1. მაგარი სასმელების სმისგან თავშეკავება. 2. სქესობრივი თავშეკავება.

აბამია – (ბერძ.) – 1. დაუქორწინებლობა. 2. (ბიოლოგ.) სქესის უქონლობა.

აბენტი – არის სრულწლოვანი პირი, რომელიც სპეციალური დავალების შესრულების მიზნით ნებაყოფლო-

ბით, კონტრაქტის საფუძველზე, ფარულად თანამშრომლობს შესაბამისი ოპერატიული-სამძებრო ორგანოებთან, გარკვეული გასამრჯელოს საფასურად.

აგენტურული დამუშავება – (ოპერატიული დამუშავება) არის დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით ოპერატიული სამძებრო ღონისძიებათა ფარულად განხორციელება იმ პირთა ან პირთა ჯგუფის მიმართ, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან დანაშაულის მომზადებაში, მცდელობაში, ან მის ჩადენაში.

აგიტაცია – (ლათ. აღძვრა, ამოძრავება) – ზეპირი ან ბეჭდითი მოღვაწეობა, რომლის მიზანია მოახდინოს ზეგავლენა ფართო მასების შეგნებასა და განწყობილებაზე, დარაზმოს ისინი გარკვეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ამოცანების შესასრულებლად.

ადაპტაცია – (ლათ. შეგუება, შეწყობა) – სასამართლოში, მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეგუება ახალ საერთაშორისო ვალდებულებებთან, კანონმდებლობაში ცვლილებების შეუტანლად. მაგ. ტექსტის ადაპტაცია – რაიმე ტექსტის გამარტივება, შემოკლება-გამარტივება.

ადაპტაცია - მისადაგება, შეგუება, შეწყობა, რეჟიმში მორგება, უცხოენოვანი ტექსტის შემცირება და გამარტივებული სახით წარმოდგენა.

ადამიანის ეკოლოგიური უფლება – ადამიანის კონსტიტუციური უფლებების განსაკუთრებული სახესხვაობაა, რომლის აღმოცენება განაპირობა ეკოლოგიური კრიზისის გამწვავებამ, როგორც მსოფლიო, ისე ეროვნული მასშტაბით და როგორც ეს საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის ა.ე.უ პუნქტებშია განმტკიცებული. ა.ე.უ. პუნქტებს პირველყოველისა განეკუთვნება უფლებას, ცხოვრობდეს ჯანმრთელობისათვის უვნებელ გარემოებაში, აგრეთვე უფლება აქვს მიიღოს სრული ობიექტური ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ.

ადენდუმი - რაიმე დამატებული, (იურ.) დამატება მაგ. ხელშეკრულების ტექსტისა, დამატება, დანართი.

ად ვალორემი – (ლათ. გადასახადი ღირებულების მიხედვით) – ფასეული, ძვირფასი ტვირთის გადაზიდვისათვის

გადასახდელების გამოთვლის ან საქონლის ფასიდან პროცენტების საბაჟო გადასახადის გაანგარიშების მეთოდი.

ადიულტერი – მეუღლის ღალატი ზოგიერთ მუსლიმანურ სახელმწიფოში, დანაშაულად ითვლება და ისჯება სისხლის სამართლის წესით.

ადმონიცია – სესხად აღებული ვალის გადახდის თაობაზე წერილობითი ვალდებულების აღდგენა.

ადოპტაცია – (ლათ.) (სამართ). მცირეწლოვანი ბავშვის შვილად აყვანა.

ა-დატო - ხელმოწერის დღიდან (დოკუმენტზე მითითება).

ად ჰონორეს – ღირსებისათვის მაგ. დაჯილდოების ცერემონიაზე: საჩუქრად, აუნაზღაურებლად.

ავადმყოფობის ფურცელი – მუშაკის დროებითი შრომისუნარიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ზოგიერთ შემთხვევაში (შვებულება ავადმყოფობის მოსასვლელად, კარანტინი, სანატორიუმში მკურნალობა და ა.შ) ავადმყოფობის ფურცელი შრომისუნარიან მუშაკსაც ეძლევა. დროებითი შრომისუნარიანობის ორსულობის და მშობიარობის გამო დახმარება ინიშნება მხოლოდ ავადმყოფობის საფუძველზე.

ავანტაჟი – სარგებელი, უპირატესი მდგომარეობა.

ავალი - თამასუქით თავდებობა, რომელიც გარანტირებულია მინაწერით, რომლითაც ავალისტი (ავალის გამცემი) განსაკუთრებულ ვალდებულებას კისრულობს თამასუქის მფლობელის წინაშე, რომ იგი შეასრულებს ნებისმიერ ვალდებულებას, რაც თამასუქთანაა დაკავშირებული.

ავგურ-ი – (ლათ.) ძველ რომში; ქურუმი, რომელიც წინასწარმეტყველებდა ფრინველთა ფრენისა და ხმის მიხედვით. ავგურიოს ღიმილი – ითქმის ისეთ ადამიანებზე, რომლებიც ერთმანეთს პირში ატყუებენ (ციცერონის მიხედვით, უკვე მის დროს I საუკ. ძვ.წ.აღ. ქალიმებოდათ ავგურთა წინასწარმეტყველებაზე).

ავერს-ი – (ფრანგ.) ლითონის ფულის ან მედლის წინა მხარე; შუბლი (საპირისპირო. რევერსი).

ავერსი - „პირდაპირ შემყურე", მონეტის ან მედლის პირისახე (წინა მხარე).

ავესტა – (სპარ.) ზოროასტრის სარწმუნოების წმინდა წიგნების კრებული (ადგენდნენ ძვ. წელთაღრიცხვის

მე-9 საუკუნიდან მოყოლებული ჩვენი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნემდე) გავრცელებული იყო სპარსეთის და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში.

ავთენტიკურ-ის – (ბერძ. – თვითმყოფი) – ნამდვილი, სარწმუნო, პირველწყაროზე დამყარებული, დედნის შესაბამისი.

ავიზო – (იტალ. შეტყობინება) – (ფინანს.), უწყება, რომლითაც ატყობინებენ მიმღებს მისთვის ფულის, თამასუქის ან საქონლის გაგზავნას.

ავისტა – (იტალ.) – თამასუქი-გადახდა ვადის მიუთითებლად. ასეთი თამასუქის გასანაღდებლად წარდგენა შეიძლება ნებისმიერ დროს.

ავტარკია – თვითდაკმაყოფილება, ქვეყნის მეურნეობრივი კარჩაკეტილობა.

ავტობიოგრაფია – საკუთარი ბიოგრაფია; ვისიმე მიერ თავისი ცხოვრების აღწერა.

ავტოგრაფ-ი (ბერძ.) 1. რაიმე ნაწარმოების ხელნაწერი, თვით ავტორის ხელით შესრულებული. 2. საკუთარი ხელით გაკეთებული წარწერა სურათზე, წიგნზე და სხვა. საკუთარი ხელმოწერა.

ავტოკრატია – (ბერძ.) სახელმწიფო მმართველობის პოლიტიკური რეჟიმი, რომლის დროსაც უმაღლესი ხელისუფლება თავმოყრილია ერთი პირის ხელში. დათრგუნულია ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. იდევნება პოლიტიკური ოპოზიცია.

ავტოკეფალია – (ბერძ.) მართლმადიდებლური ეკლესიის დამოუკიდებლობა.

ავტონომია – (ბერძ.) რომელიმე ქვეყნის, მხარის, ოლქის უფლება – ჰქონდეს საკუთარი მართვა-გამგეობა, თვითმმართველობა.

ავტორიტარულ-ი – (ფრანგ. მბრძანებლური) – რაც დამყარებულია ავტორიტეტისადმი, ხელისუფლებისადმი უსიტყვო მორჩილებაზე.

ავტოფსია – (ბერძ. შეხედვა, თვალის მიპყრობა) – გვამის გაკვეთა სიკვდილის მიზეზების დასადგენად.

აიაზმა – (ბერძ.) ნაკურთხი წყალი.

აკვატორია – (ლათ.) – პორტის საზღვრებში მოქცეული წყლის სივრცე.

აკრედიტივი – შემნახველი სალარო.

ალასტორი – არაკეთილსინდისიერი, ცოდვის ჩამდენი, ვისი ბოროტმოქმედების დავიწყებაც შეუძლებელია.

ალიბი – სამართლებრივი ტერმინი, რაც ნიშნავს დანაშაულის ჩადენის მომენტში ბრალდებულის სხვა ადგილზე ყოფნას, როგორც მისი უდანაშაულობის მტკიცებულებას, ბრალდებული დანაშაულის ჩადენის მომენტში, დანაშაულის ჩადენის ადგილას თუ არ იმყოფებოდა, ბუნებრივია, იგი ვერ ჩაიდენდა დანაშაულს. ლაპარაკია დანაშაულის ამსრულებელზე, თორემ დანაშაულის ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე, შესაძლოა დანაშაულის ჩადენის ადგილას არ იმყოფებოდნენ, მაგრამ ეს არ გამორიცხავს დანაშაულში მათ თანამონაწილეობას.

ალკალდ-ი – (ესპ. ყადი, მოსამართლე) – ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ზოგ ქვეყანაში: თემის მეთაური და მოსამართლე.

ალონაჟი – (ფრანგ.) – წანაკერი – თამასუქზე მიმაგრებული, დამატებითი ფურცელი – სათაედებო საგარანტიო ბარათი.

ალოდიუმი – საკუთრების უპირობო უფლებით მფლობელობაში არსებული ქონება.

ალპარი – ფასიანი ქაღალდების საბირჟო კურსის შესაბამისობა ნორმალურ ფასთან.

ალმა-მატერ-ი – (ლათ. მაწოვარი დედა) - ასე უწოდებენ სტუდენტები და კურსდამთავრებულები უნივერსიტეტს, რომელიც აძლევს ადამიანს სულიერ საზრდოს.

ალტერნატიული არჩევნები – პირის არჩევა – ამა თუ იმ ორგანოში ორი ან მეტი კანდიდატის კონკურენციის პირობებში.

ალტერნატივა – (ფრანგ.) – ორი ერთმანეთის საპირისპირო შესაძლებლობიდან ერთერთის არჩევის აუცილებლობა; მესამე შესაძლებლობის არ არსებობა.

ალტერ ეგო – ყველაზე უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე (ვისაც ბოლომდე ვენდობი).

ალ-ქიმია – (არაბ.) შუა საუკუნეების მისტიკური მოძღვრება; ეძიებდა ბუნებაში არარსებულ „ფილოსოფიურ ქვას“, რომლის საშუალებითაც უბრალო ლითონები უნდა გადაექციათ ოქროდ და ვერცხლად, განეკურნათ ყველა ავადმყოფობა;

ამბიცია – (ლათ.) – გადაჭარბებული თავმოყვარეობა; პატივმოყვარეობა.

ამპლაცია – ფულის მიღების დამადასტურებელი ხელწერილი.

ამსრულებელი – (დანაშაულის ჩადენაში) – პირი, ვინც უშუალოდ სჩადის, ახორციელებს დანაშაულს ან სხვასთან (თანაამსრულებელთან) ერთად მონაწილეობს მის ჩადენაში, აგრეთვე ისეთი პირის მეშვეობით დანაშაულის განხორციელება, რომელსაც სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით (ასაკის შეუსრულებლობის და ა.შ. გარემოებათა გამო) არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ამორტიზაცია – ოფიციალური განცხადება დაკარგული დოკუმენტების გაუქმების შესახებ.

ანათემა – (ბერძ.) –ეკლესიიდან განდევნა; შეჩვენება; დაწყევლა.

ანალოგია – (ბერძ. შესატყვისობა) – მსგავსება საგნებისა, მოვლენებსა და ცნებებს შორის

ანალოგია - (ლათ. შესაბამისობა, მსგავსება) – ანალოგია ნიშნავს საგანთა მსგავსებას მათი რაიმე ნიშანთვისებების მიხედვით

ანალოგია არსებობს: 1. კანონის ანალოგია. 2. სამართლის ანალოგია:

1. კანონის ანალოგია – გულისხმობს მისი შინაგანი აზრის გამორკვევის საშუალებას, რომელიც ლოგიკური ახსნა-განმარტების სახეა და ახსნა-განმარტების წესების შესახებ მოძღვრების კვლევის საგანს წარმოადგენს.

2. სამართლის ანალოგია – როცა იგი ამ უკანასკნელში არსებულ ხარვეზის შევსებას ემსახურება, გულისხმობს, რომ ორივე ურთიერთობათა არსებითი თვისებები ერთმანეთის მსგავსია, ამავე დროს ამ ურთიერთობათაგან ერთ-ერთი კანონით მოწესრიგებული არ არის და საჭიროებს შესაფერისი ნორმის გამოძებნას მის დასარეგულირებლად.

ანკლავი – (ფრანგ.) ერთი სახელმწიფოს ტერიტორია ან ტერიტორიის ნაწილი, რომელიც ყოველი მხრიდან გარშემორტყმულია სხვა სახელმწიფოს სამფლობელოებით და რომელსაც არ აქვს ზღვის ნაპირი.

ანომალია – (ბერძ. – უსწორმასწორობა) – კანონზომიერების დარღვევა; საერთო წესისგან, ნორმისაგან გადახვევა.

ანიმუს ინჯურანდი – ზარალის მიყენების განზრახვა, სამართალდარღვევის განზრახვა, დანაშაულებრივი ქმედების სურვილი

ანტიციპატია – სამართალში სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დათქმულ ვადაზე ადრე გადახდა.

ანუიტეტი – (გერმ.) – ყოველწლიური შესატანი სახელმწიფო სესხის სახეობა, რომლის დროსაც ვალსა და პროცენტებს ყოველწლიურად იხდიან.

აპატრიდი – (ბერძ.) – პირი, რომელიც არ ითვლება არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ.

არაერთგზისი დანაშაული – ნიშნავს: ა) ერთი მუხლით (ან მუხლის ნაწილით) გათვალისწინებული ორ ან მეტ დანაშაულს. მაგ, სსკ 109 მუხლის „ო" ქვეპუნქტი. ბ) არაერთგზისია ასევე სხვადასხვა მუხლით (ან მუხლის ნაწილით) გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული, თუ ამაზე მითებულია კერძო ნაწილის მუხლში. მაგ სსკ 177 მუხლის მე-2 შენიშვნა.

არენდა – (პოლ.) 1. უძრავი ქონების დროებით დაქირავება სათანადო ხელშეკრულების დადებით; 2. გადასახადი ასეთი ხელშეკრულების მიხედვით.

არენდა – უძრავი ქონება

არქონტ-ი – (ბერძ. მმართველი, უფროსი), უმაღლესი თანამდებობის პირი ძველ საბერძნეთში, ათენში.

აუდიენცია – (ლათ. მოსმენა) – ოფიციალური მოღვაწეობა სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირის მიერ.

აუდიტი – (ლათ) – ძამეურნეო სუბიექტის საბუღალტრო, საფინანსო ანგარიშგების, საბუღალტრო აღრიცხვისა და საფინანსო ოპერაციების წარმოების მოქმედ კანონმდებლობისა და ნორმატივებთან შესაბამისობის, სისრულისა და უტყუარობის, აგრეთვე, საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის ექსპერტიზა, რომელსაც ატარებენ არასაუწყებო დამოუკიდებელი აუდიტორები – საააუდიტორო ობიექტის შესწავლის, შემოწმების და რეიტინგის გზით. აუდიტორულ მომსახურებად ითვლება, აგრეთვე, სემოთ აღნიშნული საკითხებზე სამეურნეო სუბიექტებისათვის გაწეული კონსულტაციები და დახმარება.

აუდიტი, როგორც წესი, ტარდება ხელშეკრულების საფუძველზე და ფასიანი მომსახურებაა. აუდიტი ტარდება სა-

ხელმწიფო კონტროლისგან დამოუკიდებლად. აუდიტორულ საქმიანობას არეგულირებს სახელმწიფო. ეს ხდება კანონების მიღებისა და მათ შესრულებაზე ხელისუფლების მეთვალყურეობის გზით. ამასთან, სახელმწიფო უშუალოდ არ ერევა აუდიტორულ საქმიანობაში. აუდიტორი დამოუკიდებელია სახელმწიფოსგან, კლიენტისგან, ნებისმიერი მესამე პირისგან. იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონებით და თანაბრად იცავს მესაკუთრის, სახელმწიფოსა და საზოგადოების კანონიერ ინტერესებს. იგი იქმნება ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან. ჩვენთან ამ მოვალეობას ასრულებს აუდიტორული საქმიანობის საბჭო, რომელიც შექმნილია პარლამენტთან. პირველი აქციონერთა საზოგადოება დაარსდა 1990 წელს „იბერაუდიტორიის“ სახელით და ამით დასაბამი მიეცა რესპუბლიკაში აუდიტორული საქმიანობის დაწყებას.

აუცილებელი მოგება – მდგომარეობს შემდეგში: როდესაც პირი აზიანებს ხელმყოფს, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო თავდასხმა განახორციელა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მიზნით. თავდაცვის მიზანია მომგერიებლის ან სხვა პირის სამართლებრივი სიკეთის დაცვა, მომგერიებელს უფლება აქვს დააზიანოს ხელმყოფი იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა მას სხვაგვარად აიცილოს ხელყოფა.

აუცილებელი მოგერიების მართლსომიერების პირობებია:

1. ხელყოფა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო;
2. ხელყოფა უნდა იყოს რეალური;
3. ხელყოფა უნდა იყოს იმწუთიერი;
4. ხელყოფა უნდა იყოს რელევანტური, ე.ი. სოციალურად მნიშვნელოვანი. სამართლებრივი ხელყოფა.

აუცილებელი მოგერიების ექსცესი – თუ მომგერიებელი ვერ მოზომავს მოგერიების ფარგლებს და მას გადააცილებს.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება – ნიშნავს ობიექტურად მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობას მასზე განხორციელებული თავდასხმის ხასიათთან და საშიშროებასთან, თუმცა სუბიექტურად მომგერიებელის წარმოდგენაში თავდაცვის ასეთი აშკარა შეუსაბამობა არ არსებობს. შესაძლებელია დაცული სამარ-

თლებრივი სიკეთე ტოლფასი, ან თუნდაც ნაკლები იყოს ხელმყოფის მიერ დაზიანებულ სიკეთესთან შედარებით, მაგრამ არ უნდა იყოს აშკარა შეუსაბამობა ხელყოფისა და დაცვის ობიექტებს შორის.

აუცილებელი მოგერიების პროვოკაცია – აღნიშნულს ადგილი ექნება მაშინ, თუ მომგერიებელმა თავდასხმის განზრახი პროვოკაცია მოახდინა, რათა თავდამსხმელი აუცილებელ მოგერიების მდგომარეობაში მოეკლა (ე.ი. განზრახი, ან გამიზნული პროვოკაცია). მისი მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს მართლზომიერად. იგი უნდა დაისაჯოს განზრახი დანაშაულისთვის. გაუფრთხილებლობითი პროვოკაციის შემთხვევაში თუ პირმა თავდასხმა წინდახედულობის ნორმის დარღვევით, გაუფრთხილებლობითი გამოიწვია, მაშინ აუცილებელი მოგერიების უფლება მხოლოდ შეზღუდულად (იარსებებს) არსებობს.

აფიდევიტი – ზოგიერთ ქვეყანაში (ა.შ.შ. დიდი ბრიტანეთი) ფიცით დადებული და ნოტარიუსის ან სხვა უფლებამოსილი პირის მიერ დამოწმებული წერილობითი ჩვენება თუ განცხადება, რომელიც მტკიცებულებად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ შეუძლებელია ან გართულებულია მოწმეების პირადი გამოცხადება.

ახუნდ-ი (სპარს. მასწავლებელი) – მაჰმადიანებში; სჯულის მცოდნე

აბშიტანსი – გამართლება, უდანაშაულობის აღიარება, პასუხისმგებლობისგან ან ვალდებულებისგან განთავისუფლება, ვალის გადახდა, კრედიტორის ხელწერილი ვალდებულების ნაწილობრივი შესრულების მიღებაზე.

აღკვეთა (დანაშაულის) – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ერთ-ერთი ამოცანა, რომელიც გულისხმობს კანონით აკრძალული საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩადენის დაუშვებლობას, მასზე უფლებამოსილი სუბიექტების დროული ჩარევის გზით.

ბ

ბაბილონის გოდოლი – ითქმის არეულ-დარეულობაზე, შფოთზე, აურზაურზე. (ბიბლიური გადმოცემით მსოფლიო წარღვნის შემდეგ ადამიანები ცდილობდენ აეშენებინათ ბაბილონში ცათამბჯენი კოშკი. ამით განრისხებულმა ღმერთმა აურია მათ ენები, ამიტომ ერთმანეთისა აღარ ესმოდათ-რა და გაიფანტნენ მთელი დედამიწის ზურგზე.

ბაი-ბეკი – საქონელგაცვლის გრძელვადიანი ოპერაცია, რომლის დროსაც მანქანა-მოწყობილობების მოსაწოდებლად გაცემული კრედიტი შემდგომში იფარება მათი მეშვეობით წარმოებული პროდუქციით.

ბაიტი – კომპიუტერული ინფორმაციის ნაწილი, რომელიც შედგება ორობითი თანრიგების ჯგუფისგან.

ბაკალავრ-ი – (ლათ.) – 1. დასავლეთ ევროპის ქვეყნების უნივერსიტეტებში (ამჟამად ჩვენთანაც); პირველი სამეცნიერო ხარისხი. 2. თანამედროვე საფრანგეთსა და ზოგ სხვა ქვეყნაში; პირი, რომელსაც საშუალო სასწავლებელი აქვს დამთავრებული.

ბალანს-ი – შემოსავალ-გასავლის შეფარდებითი ჯამი.

ბალისტიკა (ბერძ.) – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ჭურვის მოძრაობას ცეცხლსასროლი იარაღის ლულაში (შიგა ბალისტიკა) და ლულიდან გამოსვლის შემდეგ (გარე ბალისტიკა).

ბანკნოტ-ი – (ინგ.) საბანკო ბილეთი, რომელიც ეწევა ფულის მაგიერობას.

ბანკო – (იტალ.) – ფასი ან კურსი, რომლის მიხედვითაც ბანკი აწარმოებს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვას.

ბანკროტ-ი – (ფრაგ.) –ვალის გადახდის უნარმოკლებული, გაკოტრებული პირი.

ბარტერ-ი – (ინგ. გაცვლა-გამოცვლა, საქონელგაცვლა) საგარეო ვაჭრობაში: გაწონასწორებული ვაჭრობა – რამდენსაც მიჰყიდიან ამა თუ იმ ფირმას, იმდენასავე იყიდიან მისგან.

ბარტერი – სასაქონლო გარიგება, რომლის თანახმად საქონლის გაცვლა საქონელზე ხორციელდება ფულადი ანგარიშსწორების გარეშე, თანხის გადაუხდელად.

ბესა - საბირჟო სპეკულაცია, რომლის მიზანია, ფასიანი ქაღალდებისა და სა-

ჭონლის ფასის დაწევა. სპეკულანტი ფასიან ქაღალდებსა თუ საქონელს ყიდის გარკვეული ვადით. ამ პერიოდში საბაზრო ფასმა თუ დაიწია, ყიდულობს, ასევე ქაღალდებსა და საქონელს და გარიგების შესრულების ვადის დადგომისას კონტრაგენტთან ანგარიშსწორებას ახდენს შეპირებული გაზრდილი ფასებით.

ბინის ხელშეუხებლობა – ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი კონსტიტუციური უფლება. არავის არ ააქვს უფლება ბინაში შევიდეს ბინის მეპატრონის დაუკითხავად, ხოლო ჩხრეკა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ბილი – დიდ ბრიტანეთში, აშშ-ში, კანადაში და სოგიერთ საკანონმდებლო ორგანოებში შეტანილი კანონპროექტი, აგრეთვე სოგიერთი სხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტის სახელწოდება.

ბიპატრიდი – (ლათ.) – პირი, რომელსაც ორი ან მეტი სახელმწიფო მოქალაქეობა აქვს.

ბიტი – ორობითი ნიშანი, ციფრი, ფორმა, ინფორმაციის მინიმალური ოდენობის ზომა, რომლის კოდირებისათვის გამოყენებულია ერთი ორობითი თანრიგი (ნულიანი ან ერთიანი) ერთი ნიშანი ორობითი კოდისა.

ბიუროკრატ-ი (ფრანგ.) თანამდებობის პირი, რომელიც თავის მოვალეობას ან საზოგადოებრივ დავალებას ასრულებს მხოლოდ ფორმალურად (საქმის საზიანოდ)

ბიუჯეტი – (ფრანგ.) – 1. სახელმწიფოს, დაწესებულების, საწარმოს შემოსავალ-გასაელის ნუსხა დროის გარკვეული მონაკვეთისთვის. ხარჯთაღრიცხვა. 2. ვისიმე პირადი შემოსავალი და ხარჯები.

ბლოკადა – (ინგ) – 1. ქალაქის, სიმაგრის, არმიის და სხვა გარემოცვა მტრის ჯარების მიერ. 2. მტრული ქვეყნების მიერ რომელიმე სახელმწიფოს პოლიტიკური ან ეკონომიკური იზოლაცია მასზე პოლიტიკური ზემოქმედების მიზნით.

ბლოკირებული კენჭისყრა – საფრანგეთის საპარლამენტო პრაქტიკაში არსებული საკანონმდებლო პროცედურა, რომელიც გამოიყენება პროექტების განხილვის დროს. კერძოდ, საფრანგეთის კონსტიტუციის 44-ე მუხლის შესაბამისად მთავრობას უფლება აქვს განსახილველ ტექსტს ან მის ნაწილს მოი-

თხოვოს კენჭისყრის ჩატარება.

ბოდი – საკომუნიკაციო ხაზებით ინფორმაციის გადაცემის სიჩქარის ერთეული; ნორმალური კომპიუტერის ბოდი ეკვივალენტურია ბიტების რაოდენობისა წამში (მაგ. 400 ტალღური ხაზი წამში ატარებს 400 ბიტ ინფორმაციას.

ბოიკოტ-ი – (ინგ.) – 1. პოლიტიკური ან ეკონომიკური ბრძოლის ხერხი – ცალკეულ პირებთან, ორგანიზაციებთან, სახელმწიფოებთან ურთიერთობის სრული ან ნაწილობრივი გადაწყვეტა. 2. უარის თქმა სახელმწიფოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობაზე.

ბოდმერეა - საზღვაო სამართალში სესხის ხელშეკრულება, რომლის შესრულება უსრუნველყოფილია გემის ან ტვირთის გირაოში დატოვებით. ასეთი რამ ხდება რეისის დროს წარმოშობილი უკიდურესი აუცილებლობისას.

ბონ-ი – (ფრანგ.) – 1. საკრედიტო დოკუმენტი; რომლითაც მის მფლობელს შეუძლია მიიღოს გარკვეული თანხა დათქმულ ვადაში. 2. დროებითი ქაღალდის ფულის ნიშანი. 3. ხმარებიდან გამოსული ქაღალდის ფული, რომელსაც აგროვებენ კოლექციისათვის.

ბონიფიკაცია – (ლათ. კეთილი, კარგი) 1. წანამატი იმ საქონლის ფასზე, რომლის ხარისხიც ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მაღალია. 2. ექსპორტირებულ საქონელზე გადახდეინებული გადასახადების უკან დაბრუნება ამ საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით.

ბონისტიკა – (ფრანგ.) – ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც სწავლობს ქაღალდის ფულის ნიშნებსა და ბონებს, როგორც ისტორიულ საბუთებს.

ბრანდერი – ცეცხლწამკიდი, ფეთქებადი ნივთიერებებით დატვირთული გემი, რომლის დანიშნულებაა ცეცხლი გაუჩინოს მტრის ხომალდებს.

ბრიფინგი – (ინგ.) – ხანმოკლე თათბირი ან პრეს-კონფერენცია (უპირატესად საერთაშორისო და მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხებზე) ჟურნალისტთა ეიწრო წრისათვის.

ბულა – (ლათ.) 1. რომის პაპის ბრძანებულება, წერილი ან სიგელი. 2. ბეჭედი, რომელიც ასეთ დოკუმენტებს ახვია.

ბუფერულ-ი სახელმწიფო – პატარა სახელმწიფო მოქცეული ორი ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ სახელმწიფოს შორის, რომელთაგან თითოეული ცდილობს მის გამოყენებას მეორის საწინააღმდეგოდ.

ბუნდესტანგი – ფორმალურად პარლამენტი, ფაქტობრივად კი გფრ-ს პარლამენტის ქვედა პალატა.

გ

გალპი – რამდენიმე ბაიტისგან შემდგარი ინფორმაციის ერთეული.

განგსტერი – ორგანიზებული დანაშაულებრივი ბანდის წევრი, რომელიც დამოუკიდებლად ან ბანდის სხვა წევრებთან ერთად ეწევა გამოძალვას, შანტაჟს, აწყობს ცალკეულ პირებსა თუ დაწესებულებებზე შეიარაღებულ თავდასხმას, რასაც თან ახლავს ძალადობა, ზოგჯერ მკვლელობაც კი.

განმეორებითი არჩევნები – არჩევნები რომლებიც ტარდება იმ შემთხვევაში თუ წინა არჩევნები არ შედგა (მაგ. ამომრჩევლის დაბალი პროცენტის გამო) ან გაუქმებულია მისი შედეგები.

განმეორებითი კენჭისყრა – ტარდება იმ შემთხვევაში როცა კანდიდატები ვერ მოაგროვებენ არჩევნებისთვის საჭირო ხმების რაოდენობას, ამ შემთხვევაში კანდიდატების სიიდან იღებენ იმ კანდიდატს რომელმაც სხვებზე ნაკლები ხმები მოაგროვა.

გარანტი – (ფრანგ.) – სახელმწიფო, დაწესებულება ან პირი, რომელიც იძლევა რისიმე გარანტიას, თავდები.

გარანტი – პიროვნება, ორგანიზაცია, სახელმწიფო, რომელიც იძლევა გარკვეულ გარანტიებს და თვალყურს ადევნებს მათ შესრულებას.

გარანტია – (ფრანგ.) პირობა, რომელიც უზრუნველყოფს რისამე წარმატებას; საწინდარი.

გარანტია – თავდებობა, სამართლებრივი პრინციპებისა და საშუალებების ერთობლიობა, რომელიც ვალდებულებათა შესრულებას უზრუნველყოფს.

გარყვნილი ქმედება – სექსუალური ხასიათის გარყვნილი ქმედება დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკის მიუღწეველთან. ისჯება ჯარიმით ან გა-

მასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ანდა, თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

ბიბა – რთული სიტყვის კომპონენტი, რაც აღნიშნავს სიტყვას „მილიარდი“; მაგ. გიგაბაიტი, გიგაციკლი, მილიარდი პერიოდი, მილიარდი ჰერცი.

ბირავნობის სიბელი – უძრავი ქონების დაგირავების საფუძველზე ბანკის მიერ გაცემული სავალო მოწმობა.

ბირაო – სავალო ვალდებულება, რომელიც უზრუნველყოფილია კონკრეტული უძრავი ქონებით (მიწა ან შენობა-ნაგებობა). სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ხერხი. იმ შემთხვევაში, თუ მევალემ აღებული ვალდებულება არ შეასრულა, გირაოს საფუძველზე კრედიტორს უფლება აქვს მიითვისოს საგარანტიო ქონება.

ბერი - ერთ-ერთი მეუღლის არაღვიძლი შვილი, გერი, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს, მოვალეა არჩინოს თავისი შრომისუუნარო მამინაცვალი თუ დედინაცვალი, თუ ისინი ადრე ზრდიდნენ მას. სასამართლოს შეუძლია გაათავისუფლოს რჩენის მოვალეობისაგან, თუ ისინი მას ზრდიდნენ ან არჩენდნენ 5(ხუთ) წელზე ნაკლები დროის განმავლობაში, აგრეთვე თუ ისინი სათანადოდ არ ასრულებდნენ გერის ზრდის მოვალეობას. თავის მხრივ, მამინაცვალსაც და დედინაცვალსაც აკისრიათ გერის მიმართ გარკვეული საალიმენტო მოვალეობანი.

ბენერალსიმუს-ი – (ლათ. ყველაზე მთავარი) – უმაღლესი სამხედრო წოდებულება ზოგ ქვეყანაში; ჩვეულებრივ მიეკუთვნება განსაკუთრებული მნიშვენლობის დამსახურებისათვის, კერძოდ, სახელმწიფოს ყველა შეიარაღებული ძალის ხელმძღვანელობისთვის ომის დროს.

ბენერალური კორტესი – ორპალატიანი პარლამენტის სახელწოდება ესპანეთში.

ბენერალური შტაბები – ორპალატიანი პარლამენტის სახელწოდება ნიდერლანდებში.

ბლემი – საშუალო ასაკის (45-59 წლის) კარგად უსრუნველყოფილი პიროვნება.

ბლიჩტი – სამუშაო რეჟიმიდან ამოვარდნა, გაჭედვა, ბუქსაობა.

ბლოსატორი – მე-11-13ს.ს. რომაული სამართლის კომენტატორი – იურისტი.

გოგენბახ-ბიშოფის მეთოდი – პროპორციული საარჩევნო სისტემის დროს მანდატების განაწილების მეთოდი. პირველად შემოთავაზებული იქნა 1888წ ბასელის უნივერსიტეტის პროფესორის ე.გოგენბახ-ბიშოფის მიერ. ამ მეთოდის თანახმად, საარჩევნო კვოტა•გამოითვლება ოქმში მიცემული ამომრჩეველთა ხმების რიცხვის გამოყოფით მოცემულ ოქმში დასაკავებელი სადეპუტატო ადგილების რიცხვზე გამოყოფისათვის ერთიანის მიმატებით.

გრაფიტაცია – ფხრატზე დანამატი, რომლითაც იფარება დანახარჯი ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოებისთვის; გემზე, თვითმფრინავზე, ვერტმფრენზე და სხვ. საქონლის განსაკუთრებული სიფრთხილით ჩატვირთვა-გადმოტვირთვის დამატებითი გასამრჯელო.

გრეიტესი – რაიმე ოპერაციის ან მომსახურების უფასოდ ჩატარების აღმნიშვნელი ტერმინი; მაგ. კომპიუტერული პროგრამის სადემონსტრაციო ვერსია. ვაჭრობის პრაქტიკაში ამგვარი ოპერაციები იანგარიშება ხარჯებში და ნაწარმის ფასში ითვალისწინებენ.

გრიგორიანულ-ი კალენდარი – (წელთაღრიცხვა) (ლათ.) – წელთაღრიცხვის სისტემა („ახალი სისტემა“) რომელიც შემოღებული იქნა 1582 წ. პაპ. გრიგორი XIII-ის დროს იულიუსის კალენდარის „ძველი სტილის“) ნაცვლად.

გუბერნატორი – (ლათ.) 1. რევოლუციამდელ რუსეთში; გუბერნიის უფროსი; 2. ინგლისის და საფრანგეთის კოლონიებში უმაღლესი თანამდებობის პირი; 3. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სამხედრო ამერიკის რესპუბლიკებში; შტატის მმართველი.

გუბერნია – (რუს.) რევოლუციამდელ რუსეთში (და საბჭოთა კავშირში 1929 წლამდე); ძირითადი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.

გუდვილი - ფირმის მატერიალურად განუსომელი ფასეულობა, აქტივი, კაპიტალი, რომელიც განისაზღვრება მისი კლიენტურით, რეპუტაციით, კომპეტენციით, იმიჯით, კავშირებით და სხვ. ფირმის უფლებების და საქმიანი კავშირურთიერთობების გადაცემა (საეჭრო დაწესებულების გაყიდვისას); პოლიტიკურად ნიშნავს განწყობილებას, კეთილ-

განწყობილებას, კეთილგანწყობით პოლიტიკას.

დ

დამოკლეს მახვილი – ითქმის მუდმივ საფრთხეზე (ძველბერძნული თქმულების მიხედვით სირაკუზელმა ტირანმა დიონისიონმა ერთ-ერთ ნადიმზე თავისი ადგილი დაუთმო თავის მოშურნე დამოკლეს და მის თავზე ძუით დაკიდა მახვილი.

დამპინგი – დიდი რაოდენობის საქონლის იაფად გაყიდვა ბაზარზე ან ფასიანი ქაღალდების ფუთებისა ბირჟაზე; სამრეწველო ნარჩენების ზღვაში ჩამარხვა, ნარჩენების ან სხვა მასალის წინასწარგანზრახული მოცილება ხელოვნური საზღვაო დანადგარებისაგან, გემებისაგან, საფრენი აპარატებისაგან, საზღვაო ბაქნების, გემების, საფრენი აპარატების წინასწარგანზრახული მოსპობა; მისაღებ ფასებში საქონლის გასაყიდად გამოტანა; კომპიუტერული მეხსიერების ინფორმაციისაგან განტვირთვა; ინფორმაციის დასაბეჭდად გამოტანა; მოხსნა, ამოთიშვა,. გამორთვა.

დანიელთა საჩუქარი – ითქმის მზაკვრულ საჩუქარზე (ჰომეროსის ეპოქის მიხედვით დანიელებმა (ბერძნებმა) ტროას ალყა მოხსნეს და მის მაცხოვრებლებს საჩუქრად დაუტოვეს უზარმაზარი ხის ცხენი, რომელშიც ისხდნენ შეიარაღებული მეომრები).

დანაიდების შრომა – ითქმის დაუსრულებელ და უნაყოფო შრომაზე (ბერძნულ მითოლოგიაში; არგოსის მეფე დანაეს, 50 ქალმა- დანაიდებმა მამის ბრძანებით ქორწილის ღამეს დახოცეს თავიანთი ქმრები; ამ დანაშაულისთვის ღმერთებმა მათ დასჯის უძირო კასრების წყლით ავსება).

დაფრახტვა – საზღვაო სამართალში გემის დაქირაველება გარკვეული ვადით და მასთან დაკავშირებული საქმიანობა. გემის დამქირავებელი არის დამფრახტავი, ხოლო გემის გამქირავებელი - გამფრახტავი.

დაწინდვა - იგივეა, რაც ნიშნობა.

დებეტი – (ლათ. მართებს) – შემოსავალ-გასავალის დაფთრის მარცხენა გვერდი, სადაც შეაქვთ ყველა მიღებული ფასეულობა, აგრეთვე, მო-

ცემულ ანგარიშზე დარიცხული ვალი და გასავალი.

დებენტურა - (ლათ. მევალედ ყოფნა) - საბაჟო მოწმობა ბაჟის დაბრუნების შესახებ.

დებიტორი - (ლათ.) მოვალე.

დებიტანტი - წერილი ვაჭარი.

დებურსი – სავაჭრო ან სხვა რაიმე მიზნით გაწეული აუნაზღაურებელი ხარჯები.

დევიაცია – ხელშეკრულებითი რეისიდან გადახრა; გემის შემოვლითი კურსი იმავე კურსით მოძრაობის გაგრძელებით (მაგ. გემში მყოფთათვის სამედიცინო დახმარებისათვის).

დეზავიურება - ვისიმე განცხადება, რომ იგი არ ეთანხმება თავისი წარმომადგენლის რწმუნებულის მოქმედებას.

დე-იურე – (ლათ.) – იურიდიულად, კანონის საფუძველზე, ფორმალურად-საერთაშორისო სამართალში ნიშნავს სახელმწიფოს მიერ ახალი სახელმწიფოს ან მთავრობის ცნობას (საპირისპირო დეფაქტოსი).

დემარშ-ი – (ფრანგ.) ერთი სახელმწიფოს მთავრობის მიმართვა მეორისადმი (ნოტა, მემორანდუმი, განცხადება და მისთ.)

დემერეჯი – (ინგ.) გადასახდი, რომელსაც უხდის გემის პატრონს დამფრახტველი პორტში გემის გაცდენისათვის.

დეპოზიტი – ანუ თამასუქი მოთხოვნამდე – საბანკო ანაბარი, რომლის გამოტანაც მოთხოვნისთანავე შეიძლება, უვადო გადასაპირებელი, რომლის განაღდებაც წარდგენისთანავე შეიძლება.

დერელიკცია – ვალდებულების დარღვევა, სამსახურეობრივი დაუდევრობა, მოვალეობის შეუსრულებობა.

დედა–კომპანია – სათავო კომპანია დიდი, როგორც წესი, ტრანსეროვნული კორპორაციისა, რომელიც ფლობს მასში შემავალი ქალიშვილი კომპანიებისა და სხვა ქვეგანყოფილებების აქციების საკონტროლო პაკეტებს. დედა – კომპანია, ანუ ტრანსეროვნული კორპორაციის შტაბბინა, სტრატეგიული მართვის ფუნქციებს ასრულებს. ისეთ სფეროებში როგორიცაა წარმოება, გასაღება, ფინანსები, მეცნიერული კვლევა და სხვა. თუმცა ქალიშვილ – კომპანიებს საწარმოო საგამსაღებლო საქმიანობის ოპერატიული საკითხების გადაჭრაში დამო-

უკიდებლობა აქვთ მინიჭებული.

დენაციონალიზაცია და დენაციონალიზება-(ფრანგ.) 1. ეროვნულ თავისებურებათა (ენის, კულტურის და მისთ) დაკარგვა. 2. სახელმწიფოს მიერ ნაციონალიზირებული ქონების დაბრუნება უწინდელი პატრონისათვის.

დემპინგი – (ინგ.) საქონლის გაყიდვა უცხოეთის ბაზარზე, შინაგანი ბაზრის ფასებთან შედარებით ბევრად იაფად, ზოგჯერ თვითღირებულებაზე ნაკლებადაც (კონკურენციის განდევნის მიზნით) გადასაყარი ექსპორტი.

დემპინგი – საქონლის გაყიდვა საგარეო ბაზარზე საშინაო ბაზრის ფასებზე უფრო იაფად. დემპინგი არღვევს სამართლიანი კონკურენციის პრინციპს, ზარალს აყენებს ადგილობრივ მწარმოებლებს. მის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს საბაჟო გასადასახადების გაზრდით.

დეროგაცია – კანონის წესის, ხელშეკრულების და მისთ. ნაწილობრივი შეცვლა; დამცირება, ღირსების შელახვა, დაკნინება, ავტორიტეტის შერყევა; სრულუფლებიანობის ანულირება.

დესპერადო – პირი, რომელსაც მიდრეკილება აქვს უაზრო, დაუხედავი მოქმედებისაკენ, განსაკუთრებით კი რაიმე დანაშაულის ჩადენისაკენ.

დეტერი (დიტერი) – რაიმე მოქმედების, მათ შორის არაკანონიერი მოქმედების, შეკავება, შეჩერება, გაწერება.

დეფამაცია (დიფამაცია) – სხვა პირის სამარცხვინო, მაგრამ ნამდვილი ცნობების გახმაურება; დისკრედიტაცია, ბოროტი განზრახვა.

დეფიციტ-ი – (ლათ. აკლია) – 1. გასაყიდის მეტობა შემოსავალზე. 2. რაიმე საქონლის ნაკლებობა (მაგ. როდესაც მოთხოვნილება სჭარბობს მიწოდებას).

დეციმაცია – (ლათ. მეათე) – ყოველი მეათე დამნაშავის სიკვდილით დასჯა წილისყრით, ყოველი მეათე ადამიანის დასჯა დამნაშავის მოუნახაობის შემთხვევაში.

დილერი – (ინგ.) საბირჟო მაკლერი) – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საფონდო ბირჟის წევრია და პროფესიულ დონეზე ეჯიბრობს ფასიანი ქაღალდებით. ბროკერისგან განსხვავებით, რომელიც შუამავალია, დილერი ოპერაციებს საკუთარი ხარჯებით აწარმოებს. მას არ აქვს უფლება, უშუალოდ კლიენტებთან დადოს შეთანხმება. იგი გარიგებას აწარმოებს ბრო-

კერებთან. შეკვეთებს კლიენტებისგან ფასიანი ქაღალდის ყიდვა-გაყიდვის შესახებ იღებენ მხოლოდ ბროკერები. დილერები სპეციალდებიან ფასიანი ქაღალდების სახეების მიხედვით. მათი მოგებაა სხვაობა ნაყიდ და გაყიდულ ფასიან ქაღალდების შორის.

დისპარი - საზღვაო სამართალში პრემია, რომელსაც გემის მფლობელი უხდის ტვირთის პატრონს გემის ვადაზე ადრე დატვირთვისა თუ გადმოტვირთვისათვის.

დუაიენი – (ფრანგ.) დიპლომატიური კორპუსის მეთაური, მამასახლისი რომელიმე ქვეყანაში (სინონიმები დეკანი და მამასახლისი).

დუბლიკატი – (ლათ. გაორმაგებული) – რაიმე წერილობითი დოკუმენტის მეორე ცალი, რომელსაც იურიდიულად დედნის ძალა აქვს.

დუმა – (რუს.) – რუსეთში, წარმომადგენლობითი კრება, საკანონმდებლო ან ადმინისტრაციული ფუნქციით.

დუოპილია – ორი მაკონკურირებელი კომპანიის მონოპოლია, დარგი, რომელშიც მუშაობს ორი დაწესებულება და კომპანიის მონოპოლია. დარგი რომელშიც მუშაობს ორი დაწესებულება და ერთმანეთის ანალოგიურ საქონლებს უშვებენ; საბაზრო სიტუაცია, როდესაც რომელიმე საქონელს ჰყავს მხოლოდ ორი გამყიდველი.

დუოპსონია – საბაზრო სიტუაცია, როდესაც ერთსა და იმავე საქონელს მხოლოდ ორი მყიდველი ჰყავს და ორივე ცდილობს მის შეძენას.

დუუმვირტი – (ლათ.) – ძველ რომში; ორი პირის მმართველობა.

ე

ეგზემინატორი – (ლათ.) მოძვ. გამომცდელი;

ედილი – (ლათ.) ძველ რომში; ტრიბუნის თანაშემწე, რომელსაც ევალებოდა ტაძრების, გზების, ბაზრებისა და სხვა მეთვალყურეობა, ქალაქის მომარაგება სურსათით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა და სხვა.

ედიფაქტი – უნივერსალური წესები, მმართველობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის დარგების შესახებ მონაცემების ელექტრონული გაცვლისთვის.

ევაუელი – პირდაპირი მტკიცება ან განცხადება, ფაქტის აშკარა აღიარება, დეკლარირება.

ევეილი - მოგება, სარგებელი, შემოსავალი თანხა, რომელიც რჩება დასაქვითი პროცენტებისა და ხარჯის გაწევის შემდეგ, გაყიდვიდან მიღებული თანხა.

ევერსი – ტენდერის ტიპის ერთანძიანი მცირე სომის გემი.

ეკონომიკის განსახელმწიფოებრივება – საწარმოთა გამოყვანა მმართველობის სახელმწიფო ორგანოების უშუალო დაქვემდებარებიდან და მათი გარდაქმნა კერძო საწარმოებად, აქციონერთა საზოგადოებებად, კოოპერატივებად, საპატიო ამხანაგობებად და სხვა არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებად.

ეკოციდი – ატმოსფეროს, მიწის, წყლის რესურსის მოწამვლა, ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება, ანდა სხვა ქმედება, რასაც შეეძლო ეკოლოგიური კატასტროფა გამოეწვია. ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვიდან ოც წლამდე.

ელექტრონული ფული – მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირმშო. ცივილიზებულ ქვეყნებში კომპიუტერის მეშვეობით სრულდება მრავალი საგადასახადო და საანგარიშსწორებო ოპერაცია. მუშავდება და გადაიცემა სხვადასხვა ინფორმაცია საკრედიტო გარიგების, ფულადი გადასახადებისა და ანგარიშსწორების შესახებ. ელექტრონული ფულის სისტემას ავსებს საბანკო ატომატები. მათი საშუალებით საბანკო ანგარიშის მფლობელს შეუძლია ნებისმიერ დროს დამოუკიდებლად, საბანკო პერსონალის მონაწილეობის გარეშე, ჩაერთოს საბანკო კომპიუტერში და შეასრულოს ისეთი ოპერაციები როგორიცაა: ფულის შეტანა, გამოტანა და გაგზავნა ერთი ანგარიშიდან მეორეზე, კრედიტის მიღება და სხვა დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

ემანსიპაცია – რაიმე დამოკიდებულების, ჩაგვრისა თუ ცრუ რწმენებისაგან განთავისუფლება, უფლებრივი გათანასწორება. მაგ: ქალთა ემანსიპაცია.

ემანსიპაცია – ასაკობრივი შეზღუდვა. სამოქალაქო კოდექსის 12-ე მუხლის მესამე ნაწილით: „ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელიც იქორწინებს თვრამეტი წლის ასაკის მიღწევამდე“.

ხოლო, ამავე კოდექსის 65-ე მუხლის მეორე ქვეპუნქტით: „თუ კანონიერი წარმომადგენელი ანიჭებს თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანს საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას, იგი შეუსრულდავად ქმედუნარიანი ხდება“.

ორივე შემთხვევაში კანონმდებელი არასრულწლოვან პირს უფლებას აძლევს ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს მის საკუთრებაში მყოფ პირად ქონებას, რასაც ემანსიპაცია (ასაკობრივი შეზღუდვა) ეწოდება.

ემირი – უფრო სწორია ამირა (არაბ). – ზოგ მუსლიმანურ ქვეყანაში მთავრის, მმართველის ტიტული.

ემისარი – (ლათ) – პირი, რომელიც არაოფიციალურად იგზავნება სხვა ქვეყანაში საიდუმლო პოლიტიკური დავალებით.

ემიტენტი – (ლათ. გამომშვები) (ფინანს) სახელმწიფო, ბანკი, დაწესებულება, რომელიც აწარმოებს ემისიას.

ევჭარისტია – (ბერძ. ევ-კარგი, ხარის წყალობა) იგივეა რაც ზიარება, ერთერთი 7 საიდუმლოთაგანი. მორწმუნის მიერ პურის და ღვინის მიღება, რაც მადლის მიერ გარდაიქმნება მაცხოვრის სისხლად და ხორცად. ამ დროს ხდება ადამიანის ცოდვების უნაგვო ცეცხლით დაწვა.

ეკონომიკა – (ბერძ. მეოჯახეობა) – 1. მოცემული საზოგადოებრივი წყობილების წარმოებითი ურთიერთობანი რომლებიც შეესაბამება საზოგადოების საწარმო ძალთა განვითარებას. 2. ამა თუ იმ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება, მეურნეობის მდგომარეობა. 3. მეცნიერება, რომელიც სწავლობს მეურნეობის რომელიმე დარგის საფინანსო-მატერიალურ მხარეს.

ეკოციდი – ატმოსფეროს, მიწის, წყლის რესურსების მოწამვლა, ცხოველთა ან მცენარეული სამყაროს მასობრივი განადგურება, ანდა სხვა ქმედება, რასაც შეეძლო ეკოლოგიური კატასტროფა გამოეწვია. ისჯება თავისუფლების აღკვეთით რვიდან ოც წლამდე.

ეკლესიასტე – ძვ. აღთქმის მცირე წიგნი, მიეწერება სოლომონ მეფეს. წიგნის შინაარსი ამქვეყნიურ ამაოებაზეა: „ამაოება, ამაოებათა, ყოველივე ამაოა“.

ენდობამია (ბერძ.) – ჩვეულება, რომლის მიხედვითაც ქორწინება დასაშვები იყო მხოლოდ ერთი და იმავე სა'სო-

გადოებრივი ჯგუფის (ტომის, გვარის, და მისთანების) წევრებს შორის; არსებობდა საზოგადოებრივი განკითარების ადრინდელ საფეხურზე.

ენციკლიკა – (ლათ.) – რომის პაპის წერილი, მიმართვა ყველა კათოლიკესადმი პოლიტიკის, რელიგიის, მორალის და მისთ. საკითხებზე.

ენციკლოპედია – (ფრანგ.) – მეცნიერული გამოცემა (ჩვეულებრივ ლექსიკონის სახით), რომელშიც თავმოყრილია არსებითი ხასიათის ცნობები ცოდნის ყველა ან რომელიმე ცალკე დარგიდან. „ცოცხალი ენციკლოპედიაო“ იტყვიან ყოველმხრივ განათლებულ ადამიანზე, რომლისგანაც ყოველმხრივ შეიძლება მიიღო ცნობა სხვადასხვა საკითხებზე.

ეტიკეტი – (ფრანგ.) 1. მეფის კარზე, დიპლომატიურ წრეებში, საზოგადოებაში და ა.შ. თავის დაჭერის უწთიერთობის წესების კრებული. 2. (მოძვ.) სასკოლო გრამატიკის ნაწილი, რომელიც შეიცავდა მოძღვრებას სიტყვის შესახებ.

ექსპანსია – (ლათ.) – იმპერიალისტურ სახელმწიფოს ან მონოპოლისტური გაერთიანების გავლენის სფეროს გაფართოება, ახალი ტერიტორიების დაპყრობისკენ მისწრაფება.

ექსპატრიაცია და ექსპატრირება – (ლათ. სამშობლო) ნებაყოფლობითი ან იძულებითი გასახლება სამშობლოდან, ჩვეულებრივ, მოქალაქეობის გამოცვლით.

ექსპოზე – (ფრანგ.) 1. რაიმე დოკუმენტის, ნაწარმოებისა და მისთანების მოკლე გამოცემა, ამონაწერი, ციტატა, 2. პარლამენტში: პრემიერ-მინისტრის ან საგარეო საქმეთა მინისტრის მოკლე ცნობა მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე.

ექსტრადიცია – (ლათ.) – უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა იმ პირისა, ვინც ამ სახელმწიფოს კანონები დაარღვია.

ექსტრაორდინალური – (ლათ) – საგანგებო, არაჩვეულებრივი იშვიათი. ექსტრაორდინალური პროფესორი (მოძ.) – კათედრის არ მქონე შტატგარეშე პროფესორი.

ექსტერიტორიულობა – (ლათ.) – განსაკუთრებული უფლებამოსილება (საცხოვრებლის ხელშეუხებლობა, ბეგარისა და გადასახადისგან განთავისუფლება და სხვა), რომელსაც სახელმწიფო ანიჭებს

უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს.

ექსტერიტორიული ორგანიზაციები და ორგანოები – მოიცავს ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, როგორიცაა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია და მისი სპეციალიზებული ორგანიზაციები, რეგიონალური ორგანოები და ა.შ. ევროპული გაერთიანება, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, არაბული სახელმწიფოების ლიგა და სხვ. რაც შეეხება დიპლომატიურ წარმომადგენლებსა და საელჩოებს, ისინი გაეროს სისდკის მიხედვით კლასიფიცირებულია ქვეჯგუფში - „უცხოური საქმეები“ - ეს კი სახელმწიფო მმართველობაში შედის.

ვ

ვალვაცია – (ფრანგ.) – უცხოური ვალიუტის ღირებულების განსაზღვრა ამა თუ იმ სახელმწიფოს ეროვნული ფულადი ერთეულით.

ვალიზი (ფრანგ.) – დაბეჭდილი საფოსტო ტომარა დიპლომატიური კურიერისა;

ვალუტა (იტალ.) 1. ამა თუ იმ ქვეყნის ფულის სისტემა; ფულის ერთეული, რომელიც საფუძვლად უდევს ამ სისტემას. 2. უცხო სახელმწიფოს ფული.

ვასალური - ვასალის დამახასიათებელი - ვასალური სახელმწიფო. სახელმწიფო რომელიც დამოკიდებულია სხვა უფრო ძლიერ სახელმწიფოზე.

ვაუჩერი – (ინგლ. წერილობითი გარანტია) – მიზნობრივი საგადასახადო საშუალება; დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოქალაქის უფლებას სახელმწიფო საკურორტო პრივატიზებული წილის (ფულადი ფორმით), სოციალურ-საკურორტო მომსახურების დადგენილი მოცულობისა და ა.შ მიღებაზე.

ვახმისტრი – (გერმ). ძველი რუსეთის არმიაში: კავალერიის უნტერ - ოფიცერი, შეესაბამებოდა ქვეითი ჯარის ფელდფებელს.

ვარნა (სანსკრ) - ძველ ინდოეთში: საერთო სახელწოდება ოთხი სასოგადოებრივი ჯგუფისა: ბრაჰმანებისა, ქშტარიებისა, ვაიშიებისა და შუდრებისა.

ვენდეტა (ლათ) – სისხლის აღების ადათი, უპირატესად (სარდინიასა და კორსიკაზე).

ვიკონტი (ფრან.) – საფრანგეთში, ინგლისსა და სოგ სხვა ქვეყანაში: აზნაურის ტიტული საშუალო ბარონსა და გრაფს შორის, ამ ტიტულის მქონე პირი.

ვირემენტი – (ფრანგ. მობრუნება) საბანკო ოპერაცია, ერთი პირის მიმდინარე ანგარიშიდან თანხის გადატანა მეორე პირის მიმდინარე ანგარიშზე.

ვიცე-კონსული - 1. კონსულის მოადგილე. 2. საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელი მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობის მქონე ქალაქში.

ვიცე-მეფე - მონარქიულ კოლონიალურ ქვეყნებში: მეფის ნაცვალი; დიდი უფლებებით აღჭურვილი გენერალ გუბერნატორი.

ვიცე-რეზიდენტი – რეზიდენტის მოადგილე.

ვიც მუნდირი (ლათ.) – რევოლუციამდელ რუსეთში: სამოქალაქო მოხელეთა ფორმის ტანისამოსი, ფორმის ფრაკი ან სერთუკი.

ვოევოდა (რუს.) 1. ძველ რუსეთში; ჯარის უფროსი; აგრეთვე, ქალაქის ან ოლქის მმართველი. პოლონეთში: საოეოდოს უფროსი. საოეოდო-ოლქი, რომელსაც ოეოდა მართაედა. 2. ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეული;

ვოლონტიორი - (ფრანგ.) სამხედრო სამსახურში ნებით წასული; მოხალისე.

ვოტირება – სურვილი, კენჭისყრით გადაწყვეტილების მიღება, ხმების მარტივი უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღება.

ვოტუმი – წარმომადგენლობითი ორგანოს ან ამომრჩეველთა კორპუსის ხმების უმრავლესობით გამოხატული აზრი თუ დადგენილება. საპარლამენტო პრაქტიკაში ნდობის ვოტუმი ნიშნავს მთავრობისა თუ ცალკეული მინისტრის საქმიანობასა და პოლიტიკური რესურსის შესრულებას.

ზ

ზუმი – ფასის მკვეთრი სრდა, პროცენტების კურსის მყისიერი და სწრაფი სრდა, კურსის ავარდნა, მორიგება, შეთანხმება, გამოსახულების დეტალიზება, დეტალურად განხილვა, (ამერიკულად უფა-

სო, რაიმე საქონლის უფასოდ მიღება).

თ

თავისუფალი (ერთობლივი) მეწარმეობის სონა – სახელმწიფოს ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც იქმნება ხელსაყრელი პირობები ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობისთვის. ასეთ სონებში შემოღებული აქვთ განსაკუთრებული, შეღავათიანი რეჟიმი, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის უცხოური კაპიტალის ინვესტირებისათვის.

თავისუფალი ფასი – ფასი, რომელიც ყალიბდება მოთხოვნა - მიწოდების გავლენით თავისუფალი კონკურენციით, მოქმედი საგადასახადო სისტემისა და ყიდვა-გაყიდვის აქტის მონაწილე მხარეთა ინტერესების თავისუფალი შეხამების საფუძველზე. (საქ. 1993 წლის 27 ივლისის კანონი ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ. მუხლი 1).

თეზისი – (ბერძ.) 1. ლოგიკაში: დებულება, რომლის ჭეშმარიტება უნდა დამტკიცდეს: 2. ჰეგელის იდეალისტურ ფილოსოფიაში: განვითარების პროცესის პირველი საფეხური: 3. თეზისები - მოხსენების, ლექციის და მისთ. მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებანი.

თემიდა - იტყვიან მართლმსაჯულებაზე, თემიდის მსახური ან თემიდის ქერუმი- იტყვიან მოსამართლეზე (ძველი ბერძნული მითოლოგიის მართლმსაჯულების ქალღმერთი). სახელის მიხედვით ამ ქალღმერთს გამოხატავდნენ თვალახვეულს, რომელსაც ჯერ ხელში სასწორი ეჭირა, ხოლო მეორე ხელში მახვილი.

თეოკრატია (ბერძ-ღმერთი და ხელისუფლება) –მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც პოლიტიკური ძალაუფლება სამღვდელოებას ეკუთვნის. დღევანდელ მსოფლიოში თეოკრატიული ხელისუფლება, ფაქტობრივად, დამყარებულია ირანში.

თეორია - (ბერძ.) 1. გამოცდილების, სახოგადოებრივი პრაქტიკის ლოგიკური განზოგადება, რომელიც ასახავს ბუნებისა და სახოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებას. 2. იმ განზოგადებულ დებულებათა ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან რაიმე მეცნიერებას ან მის ერთ-ერთ დარგს; რაიმე დარგის ზოგადი განყენებული საფუძვლები. 3. იმ წესების, დებულებების ერთობლიობა, რომელთა შესწავლა გეხმარება ამა თუ იმ დარგის დაუფლებაში. 4. ზოგადი, განყენებული მსჯე-

ლობა, შეხედულებანი (პრაქტიკული მოქმედების საპირისპიროდ).

თავისუფალი (ერთობლივი) მეწარმეობის ზონა – სახელმწიფოს ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც იქნება ხელსაყრელი პირობები ერთობლივი სამეწარმეო საქმიანობისთვის. ასეთ ზონებში შემოღებული აქვთ განსაკუთრებული, შეღავათიანი რეჟიმი, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის უცხოური კაპიტალის ინვესტირებისათვის.

თვალთმაქცური გარიგება – ბათილი გარიგება.

„თითქმის ფული“ - აქტივების ერთ-ერთი სახე, რომელშიც შედის ვადიანი ანაბრების მთლიანი თანხა, და იმ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მთლიანი მოცულობა, რომელიც ღია ბაზარზე შეიძლება გაიცვალოს ნაღდ ფულზე, და იმავე როლს ასრულებენ, რასაც ქაღალდის ფული და უვადო ანაბრები.

ი

იარლიყი (თურქ.-ბრძანება.) 1. საქონელზე დაკრული ფურცელი, რომელზეც აღნიშნულია სახელწოდება, რაოდენობა, ფასი და სხვა; ეტიკეტი. 2. (ისტ.) მონღოლთა სახანოებში; ხანის წყალობათა წერილობითი ბრძანება. სიგელი.

იანუსი - რომაულ მითოლოგიაში დროის დასაწყისი.

იგნორირება (ლათ. არ ვიცი) - უგულებელყოფა.

იგნორაცია – არ ცნობა, ცოდნა, ინფორმაციის არ ცოდნა გაუთვითცნობიერება, რომელსაც მოსდევს სერიოზული ფინანსური დანაკარგები, მარცხი ბიზნესში.

იდეა (ბერძ.)- წარმოდგენა, ცნება) - აზრი, ჩანაფიქრი, რისამე მოთავარი აზრი.

იდენტურ-ი - (ლათ.)- მსგავსი, ერთნაირი.

იდენტურა – შეთანხმება, რომელიც გულისხმობს ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებებს გადახდის დრო, პროცენტის ნორმა, სადაზღვევო კონტრაქტები. უცხოეთში ეს კონტრაქტი იდება სადაზღვევო კომპანიებს შორის, ობლიგაციების მფლობელთა უფლებების დაცვის მიზნით.

იდეოლოგია (ბერძ) – ცნება, იდეა და მოძღვრება), იდეათა შეხედულებათა სისტემა, რაც ელინდება საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა ფორმაში-ფილოსოფიაში, პოლიტიკაში, სამართალში, ხელოვნებაში.

იდემნიტეტი – მინისტრების და თანამდებობის პირების კანონსაწინააღმდეგო ქმედების პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლება საპარლამენტო აქტით: საერთაშორისო სამართალში – ზარალის ანაზღაურება.

იეპი – ახალგაზრდა, ენერგიული გამოცდილი პროფესიონალი რაიმე დარგისა.

იზოგონა – საზღვაო რუკაზე ერთნაირი მაგნიტური დახრილობის მაჩვენებელი ხაზი.

იმპაუდმენტი - (ინგლისური) ა.შ.შ.-ს კონსტიტუციურ პრაქტიკაში ნიშნავს პრეზიდენტის უარის თქმას იმ სახსრების მთლიანად ან ნაწილობრივ ხარჯვაზე, რომლებიც კონგრესის მიერ საკანონმდებლო წესით იყო გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენების მიზნით.

იმპორტ-ი (ინგ.) – საქონლის შემოტანა საზღვარგარეთიდან (საპირისპირო ექსპორტი).

იმპერატიული რაც აუცილებელ შესრულებას მოითხოვს. ბრძანებითი. იმპერატიული მანდატი ამომრჩეველთა განაწესი, რომლის აუცილებელი შესრულება ევალება ამორჩეულ პირს ან ორგანოს.

იმიჯი საქონლის, მომსახურების, საწარმოოს რეპუტაცია, რომელთა „სახემაც" მომხმარებელთა აღიარება მოიპოვა.

ინდივიდუალიზმი – კერძო მესაკუთრული იდეოლოგიის ერთ-ერთი სახელმძღვანელო პრინციპი ინდივიდუუმის, ცალკეული პიროვნების ინტერესების დაყენება საზოგადოების, კოლექტივის ინტერესებზე მაღლა.

ინდოსატი (გერ.) – პირი, რომელთანაც გადადის ფასიანი ქაღალდი ინდოსამენტით.

ინდემნიტეტი - ზარალის ანაზღაურება, კომპენსაცია, (როგორც წესი, საერთაშორისო სამართალში).

ინდოსანტი (გერ.) – პირი, რომელიც ფასიანი ქაღალდების უკანა მხარეზე აკეთებს გადაცემის წარწერას (იგივე უირანტი).

ინვესტიცია (ლათ. შემოსვლა) - კერძო სექტორისა და სახელმწიფოს გრძელვადიანი კაპიტალდაბანდება ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ.

ინვესტორი (ინგ. მეანაბარე) – იურიდიული ან ფიზიკური პირი, რომელიც თავისი სახელით იძენს ფასიან

ქალალდებს საინვესტიციო კაპიტალის ფორმირების მიხედვით. ინვესტორი შეიძლება იყოს ორი სახის: ინდივიდუალური და ინსტიტუციური. ინდივიდუალური ინვესტორი ფასიან ქალალდებს იძენს საკუთარი კაპიტალით. მას ბოლო კრედიტორს უწოდებენ. ინსტიტუციური ინვესტორი ფასიან ქალალდებს ყიდულობს არა იმდენად საკუთარი, რამდენადაც მოზიდული ფულით, ანუ მის მიერ მობილიზებული ბოლო კრედიტორების კაპიტალით.

ინოვაცია - შრომის ორგანიზაციისა და მართვის ახალი ფორმების დანერგვა არა მხოლოდ ცალკეულ საწარმოებში, არამედ მთელ დარგში.

ინჟინირინგი – გამომგონებლობა, კომერციული ხასიათის საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურების კომპლექსი, რომელიც ითვალისწინებს საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოებს, ტექნიკურ-ეკონომიკური პროექტების მომზადებას და სხვ. გავრცელებულია კაპიტალური მშენებლობის პროექტების მომზადებასთან დაკავშირებული ინჟინირინგი, რომელშიც ძირითადი ფუნქციური დატვირთვა ინვესტიციების ოპტიმიზაციაზე მოდის. სამუშაოები სრულდება დამოუკიდებელი ინჟინირინგული ფირმებისა ან კომპანიების მეშვეობით.

ინტელექტუალური საკუთრება - სოციალურ- ეკონომიკური და სამეურნეო-სამართლებრივი ურთიერთობა ინტელექტუალური შრომის პროდუქტების მფლობელობის, განკარგვისა და გამოყენების საქმეში. ინტელექტუალური საკუთრების საფუძველს შეადგენს ცოდნა, ინტელექტი, გამოცდილება, პროგნოზირება და ა.შ. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებია: დაპატენტებული ცოდნა, არატრიციალური იდეა, ტექნიკური სიახლე, მენეჯერის ნოვატორული გადაწყვეტილება. ინტელექტუალური საკუთრების ეკონომიკური რეალიზაციის ფორმებია: კაპიტალი, მოგება, შემოსავალი, პროცენტი და რენტა.

ინსტრუქცია (ლათ. დარიგება) - სახელმძღვანელო მითითებანი; რისამე შესასრულებლად საჭირო წესების კრებული.

ინტელიგენტ-ი (ლათ.)- ადამიანის აზროვნების უნარი; გონება; ჭკუა; გონებრივი განვითარების დონე.

ინტერპელაცია – (ლათ.) - სიტყვის შეწყვეტა, მოთხოვნა, სარჩელი) - ზოგიერთ სახელმწიფოში დებუტატთა ჯგუფის მიერ მთავრობისადმი ან ცალკეული მინისტრისადმი მიმართული მოთხოვნა, მისცენ განმარტება მათ მიერ გატარებული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის თაობაზე ან რომელიმე კონკრეტული საკითხის შესახებ. როგორც წესი გამოიყენება საპარლამენტო მმართველობის ფორმის ქვეყნებში (იტალია, გფრ, ფინეთი და ა.შ.).

ინტერპელაცია განსხვავდება ზეპირი და წერილობითი შეკითხვებისაგან, პირველ ყოვლისა, შეტანის პროცედურითა და სამართლებრივი შედეგებით. მემორანდუმში, რომელიც თან ახლავს ინტერპელაციის ტექსტს, წერილობრივ, მითითებულია მისი მიზეზები და აღნიშნულია ვადები, რომლის განმავლობაშიც უნდა იქნეს გაცემული პასუხი.

ინტერცესია (ლათ. ჩარევა) 1. სამოქალაქო სამართალში- (იურიდიული ჩარევა) თავის თავზე აღება სხვისი ვალისა, ვალდებულების და სხვა). 2. ძველ რომში: თანამდებობის პირთა (განსაკუთრებით სახალხო ტრიბენთა უფლება, რომლის ძალითაც მათ შეეძლოთ შეეწერებინათ სხვა თანამდებობის პირთა დადგენილება ან მოქმედება.

ინშანტ-ი (ესპ.) – ესპანეთსა და პორტუგალიაში (მონარქიული მმართველობის დროს); უფლისწულის ტიტული.

ინცესტ-ი (ლათ) – სისხლის აღრევა.

ირეიტა – საქმიან ქაღალდზე (სერთიფიკატი, პოლისი და სხვ.) უმნიშვნელო შეცდომის ან მცდარი ნაბეჭდის გასწორების დამასტურებელი ხელმოწერა, რომელიც ბეჭდის დასმით დასტურდება.

იუსტიცია (ლათ. სამართლიანობა, კანონიერება). 1. მართლმსაჯულება სასამართლო წარმოება. 2. სასამართლო დაწესებულებათა სისტემა, სასამართლო უწყება.

იპოთეკა - სესხი, გაცემული უძრავი ქონების გირაოთი. დაგირავებული ქონება, რომელიც უსრუნველყოფს ამ სესხს, არ გადაეცემა კრედიტორს და მევალის ხელში რჩება.

იპოთეკური კრედიტი - კრედიტის ფორმა, სესხი, რომელსაც გასცემს იპოთეკური ბანკი ხანგრძლივი ვადით (10-15 წლამდე) უძრავი ქონე-

ბის გირაოდ დატოვების საფუძველზე.

კ

კაბალა – 1. პირადი დამოკიდებულების მძიმე ფორმა, რომელიც ხშირად სესხთანაა დაკავშირებული. 2. ფეოდალურ საქართველოში სხვისი ქონებით სარგებლობის საზღაური, იჯარა.

კადასტრი (ფრანგ.) რისამე აღწერა, სია, რისიმე შესახებ არსებულ მონაცემთა კრებული, წყლის კადასტრი – სისტემატური კრებული ამა თუ იმ ქვეყნის ყველა მდინარის რესურსების შესახებ.

კაზუისტი - 1. იურისტი, რომელიც დახელოვნებულია რთული, დახლართული საქმეების გახსნაში. 2. იტყვიან ადამიანზე, რომელიც გაწაფულია კაზუისტიკაში (მცდარი ან საეჭვო დებულებათა დამტკიცებაში).

კაზუისტიკა (ლათ. შემოხვევა) 1. (სამართ.) კანონის ზოგადი მუხლების მიყენება სხვადასხვა იურიდიული შემოხვევისათვის (კაზუსებისათვის). 2. შუასაუკუნებრივ სქოლასტიკასა და ღვთისმეტყველებაში: ზოგად დოგმატურ დებულებათა მიყენება ცალკეული შემთხვევისათვის; 3. (გადატ.) ყალბი ან საეჭვო დებულების მტკიცება სხვადასხვა ხრიკით; 4. (მედიც.) ერთი და იმავე დაავადების მქონე რამდენიმე პაციენტზე კლინიკურ დაკვირვებათა ერთობლიობა (დაავადების ბუნების გამოსარკვევად).

კათალიკოსი (ბერძ. საყოველთაო მთავარი) უმაღლესი სასულიერო პირის (პატრიარქის) წოდებულება ქართულ (აგრეთვე, სომხურ) ეკლესიაში.

კაიზერი – ტიტულის მქონე პირი.

კალკულაცია და კალკულირება (ლათ.) – საქონლის თვითღირებულების ყველა ელემენტისა და გასაყიდი ფასის გამოანგარიშება.

კამბიზმი - საგალუტო ოპერაციების სტრატეგია, რომლის მიზანია სხვა ქვეყანაში თანხების გადაგზავნის მეთოდის ძიება: დაკავშირებულია სხვა ქვეყნის ეკონომიკაში პორტფელურ ინვესტიციებთან.

კამბიო – გაცვლა; სესხის აღების წერილი, თამასუქი.

კამერისტ-ი (ფრანგ.) – ხელზე მოსამსახურე ქალი.

კამერალისტიკა (გერმ.) იმ ადმინისტრაციულ და ეკო-

ნომიკურ დისციპლინათა სპეციალური ციკლი, რომლებიც ისწავლებოდა შუა საუკუნეებში ევროპის უნივერსიტეტებში, და აგრეთვე, მე-19 საუკუნის ნახევრიდან რუსეთის უნივერსიტეტებში.

კამიკაძე (იაპ.) – იაპონელი მფრინავი თვითმკვლელი.

კამერჰესი – სოგიერთ მონარქიულ სახელმწიფოში: ერთ-ერთი წოდებულება სამეფო კარზე (კამერ – იუნკერზე მეტი): ამ წოდებულების მქონე პირი.

კანონი (ბერძ.) 1. საგნებსა და მოვლენებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება; კანონზომიერება – მაგ. მსოფლიო მიზიდულობის კანონი. 2. საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი ყველასათვის სავალდებულო წესი. მაგ. საარჩევნო კანონი, კანონთა კრებული. 3. საეკლესიო წესი ან დოგმატი, დადგენილი უმაღლესი იერარქიის მიერ. 4. სახოტბო საეკლესიო გალობა წმინდათა სადიდებლად. 5. (მუს.) პოლიფონიურ ნაწარმოებში; ერთი და იმავე მელოდიის თანმიმდევრობით გამეორება ყველა ხმის მიერ.

კანონიზაცია და კანონიზება – 1. საეკლესიო კანონად დამტკიცება; ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხვა ვისიმე. 2. დაკანონება.

კანონსათბირო ორგანოები - სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებული კატეგორია, რომელთა ძირითად ფუნქციას წარმოადგენს კანონპროექტების განხილვა მათი მიღების უფლების გარეშე. ასეთი ორგანოები ძირითადად იქმნება აბსოლუტურ მონარქიებში (მაგ. არაბეთის გაერთიანებული ემირატები), ზოგჯერ კი კონსტიტუციურ მონარქიებშიც (მაგ. ქუვეითის ეროვნული კრება), მათი ჩამოყალიბების წესი და საქმიანობის პროცედურები გვაგონებენ საპარლამენტო დაწესებულებებს.

კანტონი - 1. ტერიტორიის ერთეული (ფედერაციის სუბიექტი) შვეიცარიაში 2. ქვე და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საფრანგეთსა და სოგიერთ ქვეყნებში.

კანცლერ-ი (გერმ.) 1. ზოგ სახელმწიფოში: წოდებულება, რომელსაც აკუთვნებენ უმაღლესი თანამდებობის პირებს; ამ წოდებულების მქონე პირი. 2. გერმანიაში 1871 წლიდან პრემიერ-მინისტრი.

კარტელი (ფრანგ.) – კაპიტალისტური მონოპოლიის ერთ-ერთი მთავარი ფორმა –

მრეწველობის რომელიმე დარგის მსხვილ მეწარმეთა გაერთიანება მოგების გადიდებისა და ბაზარზე ბატონობის უზრუნველყოფის მიზნით.

კასაცია - (ლათ. – გაუქმება, მოსპობა) - ზემდგომ სასამართლოში სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებისა და განაჩენის გასაჩივრება და გაპროტესტება, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული.

კასატორი – პირი, რომელსაც შეაქვს საჩივარი მეორე სასამართლო ინსტანციაში და მოითხოვს გადაწყვეტილების ან განაჩენის გაუქმებას საკასაციო წესით.

კასტელანი (ლათ. ციხესიმაგრეში მცხოვრები) 1. პოლონეთის სამეფო კარზე ადრეულ შუა საუკუნეებში: თანამდებობის პირი, რომელსაც ეკუთვნოდა სამხედრო და სასამართლო ხელისუფლება. 2. გამაგრებული ციხის, საზოგადოებრივი შენობის ზედამხედველი. 3. კათოლიკური ტაძრის დარაჯი.

კარცერი (ლათ.) ციხეებში: განცალკევებული საკანი, სადაც დროებით ათავსებენ პატიმარს მკაცრად დასჯის მიზნით.

კასტა (პორტუგ. გვარი, თაობა). – 1. ინდოეთსა და აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში: კარჩაკეტილი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელშიც ადამიანები გაერთიანებული არიან წარმოშობის, საქმიანობის (პროფესიის) და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით. 2. კარჩაკეტილი საზოგადოებრივი დაჯგუფება, რომელიც თავგამოდებით იცავს თავის განკერძოებულობას და წოდებრივ, პროფესიულ თუ სხვა სახის პრივილეგიებს.

კატაკლიზმი (ბერძ. წარღვნა) – გამანადგურებელი გადატრიალება; კატასტროფა.

კვერეცხი – მოკლე ლოცვების წყება მართლმადიდებლური ღვთისმსახურების დროს.

კვოტა (ლათ. თითოეულის წილი) – 1. დადგენილი წილი, მიღებული ნორმა, დასაშვები რაოდენობა რისამე. 2. გადასახადის რაოდენობა, რომელიც წესდება თითოეულ დასაბეგრ ერთეულზე.

კვირიტები (ლათ.) – ძველ რომში (რესპუბლიკის ეპოქაში) სრულუფლებიანი მოქალაქეები, რომაელი ხალხის საპატიო სახელწოდება.

კინდერპინგი – ბავშვის მოტაცება გამოსასყიდის მიღების მიზნით. საქართველოს

სისხლის სამართლის კანონმდებლობა ამ ტერმინს არ ხმარობს. ასეთი ქმედება გათანაბრებულია თავისუფლების აღკვეთასთან და მძევლად ხელში ჩაგდებასთან.

კლასიფიკაცია და კლასიფიცირება (ლათ. თანრიგი) – საგნების (მოვლენების ცნებების) დაყოფა განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა მიხედვით კლასებად, ჯგუფებად, თანრიგებად.

კლასტერი – საერთო ნიშნით გაერთიანებულ ობიექტთა ან ელემენტთა ჯგუფი, კონცენტრაცია, დაგროვება, სიახლეთა კონცენტრაცია ეკონომიკური აღდგენის ფაზაში, მყიდველთა ჯგუფი, რომელიც დემოგრაფიული და ფსიქოგრაფიული პარამეტრებით განისაზღვრა.

კლატერი – სარეკლამო რგოლი, ერთ მეორის მიყოლებით გადაცემული სხვადასხვაგვარი სატელევიზიო სარეკლამო განცხადებები, უწესრიგობა, უსისტემობა დოკუმენტაციის გაფორმებაში და სხვა.

კლეიბსი (ინგ.) – პრეტენზია, მოთხოვნა, საჩივარი.

კლერკ-ი (ფრანგ.) 1. საფრანგეთში, ბელგიასა და ჰოლანდიაში: საქმის მწარმოებელი, სტაჟიორი, რომელიც ემსადება ნოტარიუსად. 2. ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში: მოსამსახურე საჯარო სამრეწველო საწარმოში, ნოტარიუსის ან ადვოკატის კანტორაში და სხვ.

კლირინგი – მოთხოვნისა და ვალდებულების ურთიერთოლაზე დაფუძნებული საშინაო და საერთაშორისო ანგარიშსწორების სისტემა საჯარო და სხვა ოპერაციებისთვის.

„კენგშრუ" – დიდი ბრიტანეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის საპარლამენტო პრაქტიკიდან ერთ-ერთი მეთოდის სახელწოდება, ნიშნავს იმას, რომ სპიკერი ბილის მოხსენების სტადიაზე ერთპიროვნულად განსაზღვრავს, თუ კანონპროექტისათვის შეთავაზებული ცვლილებებიდან რომელი გაიტანონ გასახილველად და რომელი არა ე.ი. საკითხი წყდება სპიკერის შეხედულებით.

კერძო ბირჟა – აქციონერთა კომპანია, ან ჩაკეტილი კორპორაცია, რომლებშიც გარიგების დადება მხოლოდ მათ წევრ აქციონერებს შეუძლიათ. კერძო ბირუის წევრები ჩვეულებრივ კაპიტალის დაბანდებით დივიდენდს

არ იღებენ. მათი მოგება წარმოიქმნება იმ გასამრჯელოს ხარჯზე რომელსაც იღებენ კლიენტებისაგან გარიგებების დადებისათვის, ე.ი. ბირჟის წევრები ბროკერის როლში გამოდიან.

კვაზიფულები (ლათ. თითქოს, ვითომ) – ფულადი სახსრები უნაღდო ფორმით, რომელიც ირიცხება კომერციულ ბანკებში ვადიან და შემნახველ ანაბრებზე.

კოიმპერიუმი (ლათ. ხელისუფლება, ძალაუფლება) რამდენიმე იმპერიალისტური სახელმწიფოს ერთობლივი ბატონობა სხვის ტერიტორიაზე, რომელსაც ენიჭება საგანგებო საერთაშორისო სტატუსი.

კოლეჯ-ი (ინგ.) – უმაღლესი ან საშუალო სასწავლებელი.

კომბატანტი (ფრანგ.)- საერთაშორისო სამართალში; მეომარი მხარის შეიარაღებული ძალა.

კომერცია (ლათ.) პირი, რომელიც კომერციას მისდევს-ვაჭარი.

კომიტენტი (ლათ. დავალების მომცემი) - პირი, რომელიც დავალებას აძლევს სხვა პირს (კომისიონერს) დადოს გარკვეული დავალება თავისი სახელით, მაგრამ კომიტენტის ხარჯზე.

„კომპეტენციის პრეზუმცია" – მოცემული ტერმინი გამოიყენება იმ ფაქტის აღსანიშნავად, რომ თუ რაიმე ურთიერთიერთობა არ არის მოწესრიგებული აშშ-ის განსაკუთრებულ გამგებლობით (კომპეტენციით) მაშინ ითვლება, რომ კომპეტენციის პრეზუმცია შედის შტატების კომპეტენციაში.

კომიტეტი (ფრანგ.) 1. არჩევითი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს რაიმე საქმიანობას. 2. სახელმწიფო მმართველობის ორგანო, რომელსაც აკისრია გარკვეული ფუნქციები.

კონდომონიუმი – მრავალსართულიანი, მრავალბინიანი სახლი, რომელშიც მისი მფლობელები ცხოვრობენ; ამასთან მიწა, სადაც სახლი დგას ყველა მფლობელის საერთო საკუთრებაა.

კონდომინიუმი – (ლათ.) – უმაღლესი ხელისუფლების ერთობლივი განხორციელება ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, ანუ ამ ტერიტორიის თანამფლობელობა. კონდომინიუმი არის ამ სახელმწიფოთა კომპრომისის შედეგი, რომლებიც დაობენ ამა თუ

იმ ტერიტორიის კუთვნილებაში.

კონდუიტი – ქცევა, ქცევის რეგისტრაციის ჟურნალი, კომპანიის მიერ ფასიანი ქაღალდების „ცხელ-ცხელი" გამოშვებების სახალხოდ განუცხადებლად ბირჟაზე გატანა; ამ აქციაში ბანკთან კომპანიის მიერ კავშირის დამალვა. მიზანი: მოქმედებათა წინსწრება დამატებითი მოგების მისაღებად.

კონვენცია (ლათ. შეთანხმება, ხელშეკრულება) - სახელმწიფოთა შორის რაიმე სპეციალურ საკითხზე დადებული ხელშეკრულება.

კონვერსია (ლათ. შ;ცვლა) - წინათ გამოშვებული სახელმწიფო სესხის პირობების შეცვლა (პროცენტის შემცირება, გადახდის ვადის გადაწევა და მისთ.)

კონვენტი – ა.შ.შ დამფუძნებელი კრების სახელწოდება, რომელმაც 1787წ. შეიმუშავა ა.შ.შ-ს კონსტიტუციის მე-5 მუხლით, რომელიც ითვალისწინებს შტატების 2/3 – ის მოთხოვნით კონვენტის მოწვევას ფეოდალურ კონსტიტუციაში ცვლილებების შესატანად.

კონვენციური – კონვენციით დადგენილი; კონვენციის შესაბამისი, კონვენციური განაკვეთები-საბაჟო ტარიფის განაკვეთები, რომლებიც გამომუშავებულია სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით ხელშეკრულების კონვენციის დადების გ'სით. .

კონკორდატი – (ლათ. – შეთანხმება) - ვატიკანსა და რომელიმე სახელმწიფოს შორის შეთანხმება მოცემულ სახელმწიფოებში კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობის, უფლებებისა და მოვალების შესახებ.

კონსენსუს-ი (ლათ. თანხმობა, ერთსულოვნება) 1. საღავო საკითხებ'ზე 'სოგადი თანხმობა, რომელსაც მიაღწიეს საერთაშორისო მოლაპარაკების, კონფერენციის მონაწილეებმა. (კონსენსუსისათვის საჭიროა უკლებლივ ყველა მონაწილის თანხმობა; შემდგომში იგი შეიძლება გახდეს საფუძველი საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოსაწერად. 2. საფრანგეთში აღნიშნავს სოციალურ და ეროვნულ ერთიანობას ერთსულოვნებას.

კონტანგო – აქციის ღირებულების გადასახადების გადავადება ერთი საანგარიშსწორებო დღიდან მეორემდე, გამყიდველის მიერ დამატებული პროცენტი ვალის გადახდის გადავადების გამო.

ნაღდი საქონლის ნამატი ხანგრძლივი დროით გარიგებისას, რასაც ბროკერი იხდის.

კონტინუიტეტ-ი (ლათ. უწყვეტობა) – საპარლამენტო პროცედურის წესი, რომლის თანახმადაც, თუ კანონპროექტი არ დამტკიცდა პარლამენტის იმ სესიის დასრულებამდე, რომელზედაც იგი იქნება გამოტანილი, მისი განხილვა უნდა განახლდეს მომდევნო სესიაზე შესაბამისი სტადიიდან, ე.ი. სესიის დამთავრება მხოლოდ აჩერებს, და არ წყვეტს საკანონმდებლო პროცესს. კონტინუიტეტის წესის საპირისპიროს წარმოადგენს დისკონტინუიტეტის წესი.

კონტინუიტეტი – (ლათ. უწყვეტობა) – (სამართ.). 1. მემკვიდრეობითობა სამართლის განვითრებაში. 2. პარლამენტის სხდომათა უწყვეტობა.

კონტრაჰენტი – სამოქალაქო და შრომის სამართლებრივ ურთიერთობებში ხელშეკრულების მხარე

კოსიგნანტი (ლათ. დოკუმენტი) – საქონლის მფლობელი რომელიც საზღვარგარეთ ყიდის საქონელს კომისიონერის (კონსიგნანტის) მეშვეობით.

კონსორციუმი – (ლათ. თანამონაწილეობა) – კომპანიების ან ბანკების დროებით შეთანხმება, გაერთიანება სესხის ერთობლივი გავრცელებისათვის, ფართო მასშტაბის ფინანსური ან კომერციული ოპერაციებისათვის. მსხვილი სამრეწველო მშენებლობის განხორციელებისათვის.

კონტრაჰენტი (ლათ. მომრიგებელი) 1. ხელშეკრულების მონაწილე თითოეული მხარე ერთმანეთის მიმართ. 2. ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აღებული აქვს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ესა თუ ის ვალდებულება.

კონტო (იტალ.) - ანგარიში.

კონტრაბანდა (იტალ.) - 1. საქონლის ფარულად გადატანა სახელმწიფო საზღვარზე. 2. თვით ფარულად გადატანილი საქონელი.

კონტრაქტ-ი (ლათ.) - წერილობითი ხელშეკრულება, შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს მისი დამდები მხარეების ვალდებულებებს.

კონტრაქტანტი - პირი ან ორგანიზაცია, რომელიც კონტრაქტის ან კონტრაქტაციის მიხედვით კისრულობს გარკვეულ ვალდებულებას.

კონფედერაცია (ლათ.) - 1. რაიმე საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კავშირი, გაერთიანება. 2. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი.

კონფიდენციალური (ლათ. ნდობა) – რის გახმაურებაც არ შეიძლება.

კონფისკაცია - (ლათ.) - ქონების, ფულის და ა.შ. იძულებითი და აუნაზღაურებელი გადაცემა სახელმწიფოს საკუთრებაში სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ადმინისტრაციული აქტით.

კოსმოპოლიტ-ი (ბერძ. მსოფლიოს მოქალაქე). კოსმოპოლიტიზმის თვალსაზრისზე მდგომი ადამიანი, რომელიც თავის თავს არ აკუთვნებს არც ერთ ეროვნებას.

კოტირება (ფრანგ) - (ფრანს) - საქონლის, ფასიანი ქაღალდების, უცხოური ვალუტის საბირჟო ფასის დადგენა. ბირჟაზე მოქმედი საკანონმდებლო ნორმებისა და ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად.

კრედ-ი იტყვიან უთვალავი სიმდიდრის მქონე ადამიანზე.

კრიპტოგრაფია (ბერძ. - ფარული, საიდუმლო) – პირობითი საიდუმლო ნიშნებით წერა.

კუ-კლუქს-კლანი (ინგ.) - ფარული რასისტული ტერორისტული ორგანიზაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კულუარ-ი (ფრანგ.) – პარლამენტში, ორგანიზაციაში და სხვა: დარბაზი, ოთახი, სადაც დეპუტატები, დელეგაციის წევრები იკრიბებიან შესვენების დროს, სადაც წარმოებს არაოფიციალური შეხვედრები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კუმულაციური ვოტუმი - მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქებში კენჭისყრის წესი, როცა ამომრჩეველს უფლება აქვს გააერთიანოს ყველა ხმები და მისცეს ისინი ერთ-ერთ კანდიდატს.

კურატორ-ი (ლათ. მზრუნველი, მეურვე) - პირი, რომელსაც მინდობილი აქვს რაიმე სამუშაოს მეთვალყურეობა.

კროს-ურსი - ორ ვალუტას შორის ფარდობა, რომელიც განისაზღვრება რომელიმე მესამე ვალუტის მაგ: ეკიუს მიმართ თითოეული მათგანის თანაფარდობით. სინონიმურია ტერმინი კროს-პარიტეტი.

ლ

ლამპასუმი - ფრახტის მყარი თანხა, რომელიც იანგარიშება მთელი გემის აკორდული დაფრახტისათვის, როდესაც გადასატანია სხვადასხვა ტიპის და პარტიის ტვირთი, რომელთა მასისა და მოცულობის გამოთვლა წინასწარ შეუძლებელია; რამდენიმე გადასახადის საერთო თანხა; ერთდროულად გაცემული ერთჯერადი თანხა

ლაფსუსი (ლათ. დავარდნა, შეცდომა) - უნებლიე შეცდომა (ნაწერში, მეტყველებაში).

ლანდგრაფი (გერმ.) – მთავრის ტიტული შუა საუკუნეების გერმანიაში. ამ ტიტულის მქონე პირი.

ლანდგატი - (გერმ. - მიწის ყრილობა) ლიხტენშტეინის ერთპალატიანი პარლამენტის სახელწოდება, აგრეთვე გფრ და ავსტრიის მიწების საკანონმდებლო ორგანოების (პარლამენტის) სახელწოდება.

ლანდრატი (გერმ.) - 1. შვეიცარიის ზოგ კანტონში: ადგილობრივი მმართველობის ორგანო; 2. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში: საარჩევნო ოლქი.

ლანდსტინგი - (დან. შვედ.) დანიის პარლამენტის (რიგსდაგის) ზედა პალატა (1953 წლამდე) შვეციაში: საოლქო მმართველობის ორგანო.

ლანჩი (ინგ.) - ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ზოგ სხვა ქვეყანაში: მეორე საუზმე (ნაშუადღევს).

ლეგალური (ლათ.) – კანონით აღიარებული, ნებადართული; ღია, აშკარა.

ლეპსი - უფლების დაკარგვა, იურიდიული ძალის დაკარგვა, სამართლებრივი უფლების განკარგვა, ძალადაკარგული დასღვევის პოლისი; სწორი მიმართულებიდან გადახრა; არასერიოზული შეცდომა; წარსულის მოკლე დროითი შუალედი; კონტრაქტის დასასრულის დადგომა.

ლეიბორისტი (ინგ. შრომა) - მუშათა პარტიის წევრი.

ლეჯისლაცია – კანონშემოქმედებითი აქტი, საკანონმდებლო საქმიანობა, კანონმდებლობა, საკანონმდებლო ინიციატივა, კანონის მუხლები.

ლენდ-ლიზი (ინგ. სესხად მიცემა და იჯარით გაცემა) ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ 1941 წელს მიღებული კანონი - მეორე მსოფლიო ომში ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ

მეომარი ქვეყნებისათვის შეიარაღების, ნედლეულის, სურსათისა და სხვა საქონლის სესხად ან იჯარით გადაცემის შესახებ.

ლენდლორდი (შვედ.) - შვეციასა და ფინეთში: საპოლიციო და საგადასახადო ხელისუფლების წარმომადგენელი ქალაქის გარეუბნებსა და სოფლებში.

ლიკვიდაცია (ფრანგ.) და ლიკვიდირება - 1. რისამე (წარმოების, დაწესებულების და მისთ.) საქმიანობის შეწყვეტა, დახურვა, გაუქმება. 2. რისამე (ან ვისამე) მოსპობა, რამესთვის ან ვინმესთვის ბოლოს მოღება.

ლიკიორი - ფულად საშუალებათა გადინება; აღურიცხავი შემოსავლებიდან მიღებული თანხის „გაცურება"; საქონლის მოცულობის ან წონის დაკარგვა ტრანსპორტირებისას, შენახვისას და სხვა.

ლიმიტი (ლათ. ზღვარი) - ნორმა, რომლის ფარგლებშიც შეიძლება ხარჯვა, რამეთი სარგებლობა; ზღვრული ნორმა;

ლინკიჯი - სხვადასხვა ტიპის საფინანსო საკითხების დაკავშირება, შეხამება და შეთავსება. მაგ. ბირჟის მიერ თაეისი კლიენტებისათვის ბირჟის კონტრაქტების ყიდვა-გაყიდვის უფლების მიცემა შემდგომში სხვა ბირჟასე გასაყიდად ან საყიდლად; გადასვლა და დაბრუნება.

ლიზინგი - კომერციულ საქმიანობის ფორმა, საარენდო ოპერაციების ნაირსახეობა, რომელიც გულისხმობს მანქანების, მოწყობილობების, სატრანსპორტო საშუალებების გრძელვადიან არენდას. სალიზინგო კომპანია ყიდულობს 5-8 წლით ან ზოგჯერ მეტი ხნითაც და არენდით აძლევს ფირმა-არენდატორს, რომელიც თანდათანობით ფარავს დავალიანებას ამ მოწყობილობათა გამოყენების მიხედვით. სალიზინგო კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ არენდატორს შეუძლია შეიძინოს მოწყობილობები დარჩენილი ღირებულების გადახდის კვალობაზე, დადოს ახალი შეთანხმება ან მატერიალური ფასეულობები დაუბრუნოს სალიზინგო კომპანიას.

ლობისტი – სამართალმცოდნე, რომელიც ასრულებს იურისტ-კონსულტანტის, ვექილის, ზოგჯერ კი ნოტარიუსის ფუნქციებს.

ლოკალური არჩევნები - იგივე ადგილობრივი არჩევნები, რომლის მეშვეობითაც აირჩევიან ადგილობრივი თვით-

მართველობის ორგანოები. ზოგიერთ ქვეყნებში მას კანტონალურ არჩევნებსაც უწოდებენ. (მაგ. საფრანგეთში).

ლორდ-კანცლერი – ლორდთა პალატის (დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ზედა პალატის) ხელმძღვანელი, აგრეთვე, უსენაესი სასამართლოს თავჯდომარე და დიდი ბრიტანეთის მთავრობის უმაღლესი იურიდიული მრჩეველი.

ლუსტრაცია - (ლათ. გაწმენდა) ზოგიერთ დასავლეთ ევროპულ და სხვა სახელმწიფოებში (უნგრეთი, ჩეხეთი, რუმინეთი, ლატვია) იმ პირთა შემოწმების განსაკუთრებული პროცედურა, რომლებსაც საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობები უკავიათ, ან იმ კანდიდატებისა, რომლებმაც უნდა დაიკავონ მოცემული თანამდებობები. ამ შემოწმების მიზანია აუკრძალოს პირებს, რომლებმაც სახელი გაიტეხეს ტოტალიტარულ რეჟიმთან ან უშიშროების სამსახურებთან თანამშრომლობით, დაიკავონ საპასუხისმგებლო სახელმწიფო თანამდებობა (ან კანდიდატს ამ თანამდებობაზე) სთავაზობენ არჩევანს ან ნებაყოფლობით გადადგეს თანამდებობიდან გამოვლენილი ფაქტების საიდუმლოების დაცვის გარანტიით, ან იძულებით გადააყენონ მაკომპრომენტირებული ინფორმაციის საჯარო გამოქვეყნებით.

მ

მარგო – კიდე, საქმიანი წერილის კიდეების სუფთა ადგილი, რომელსაც შენიშვნების ჩასაწერად იყენებენ.

მარტივი თამასუქი – ვალდებულება განსაზღვრული თანხის გადახდის შესახებ გარკვეული დროის განმავლობაში.

მეტრი – (ფრანგ.) – საფრანგეთში: 1. მასწავლებელი, მოძღვარი, 2. ადვოკატი, ნოტარიუსის საპატიო ხსენება, დასახელება, მეტრ-მასწავლებლის, ადვოკატისა და ნოტარიუსისადმი მიმართვა.

მელიტოლი – გადასახადების არაკანონიერი აკრეფა, არაკანონიერი დაბეგვრა.

მერკანტილიზმი - (ფრანგ. ვაჭარი) – გამორჩენის სურვილი; წვრილმანი ანგარიშიანობა.

მეცენატი – მეცნიერებისა და ხელოვნების მდიდარი მფარველი (რომაელი პოლიტიკური მოღვაწის სახელის მიხედვით, რომელიც მფარველობდა

განთქმულ პოეტებს – ვერგილიუსს, ჰორაციუსსა და სხვებს).

მიგრაცია – (ლათ.) და მიგრირება – ადამიანების, ხალხთა გადასვლა ქვეყნის შიგნით ან მის საზღვრებს გარეთ.

მილიტარიზმი – (ლათ. სამხედრო) – 1. შეიარაღებისა და ომისთვის მზადების რეაქციული პოლიტიკა. 2. აგრესიული სამხედრო წრეების პოლიტიკური ბატონობა.

მინისტრი – (ფრანგ.) – მთავრობის წევრი, რომელიც ხელმძღვანელობს სამინისტროს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში, უსრუნველყოფს სახელმწიფო მმართველობას ეს თანამდებობა ზოგ ქვეყანაში სხვანაირადაც აღინიშნება (სახელმწიფო მინისტრი, სახელმწიფო მდივანი, უმცროსი მინისტრი და ა.შ).

მინდობილობა – სამოქალაქო სამართალში წერილობითი რწმუნება, რომელსაც ერთი პირი აძლევს მეორეს მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობისათვის.

მინორატი – (გერმ.) – 1. მემკვიდრეობის ფეოდერალური წესი, რომლის მიხედვითაც ქონება მთლიანად გადადის ოჯახში ყველაზე უმცროსის ხელში. 2. ამ წესით მიღებული მამული (შდრ. მაიორატი).

მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი – ძირითადი ფიზიოლოგიური და სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის აუცილებელი კეების პროდუქტების არასასურსათო საქონლის, მომსახურების შეჯამებული ღირებულება ერთ სულზე გაანგარიშებით წელიწადში. გამოითვლება სამომხმარებლო კალათის საფუძველზე და საცალო ფასებისა და ტარიფების დონის გათვალისწინებით. მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ადამიანის ნორმალური ცხოვრების ქვედა სღვარი, ანუ შეფარდებითი სიღატაკის დონეზე.

მომსახურების ბაზარი – მატერიალური და არამატერიალური მომსახურების ყიდვა-გაყიდვის აქტების ერთობლიობა. ეკონომიკურ და სამართლებლივ ურთიერთობაში მომსახურების მრავალი სახე გამოიყენება. უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა ისეთი სახეები როგორიცაა: „ნოუ-ჰაუ“, და სალიცენზიო მომსახურება, ინუინირინგი, ლიზინგი, ფაქტორინგი, და სხვ. საბაზ-

რო ურთიერთობებში სულ უფრო იკიდებს ფეხს, მართლმსაჯულებაში, განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვის დარგში და სხვაგან.

მორტიფიკაცია – აქციების ბათილად გამოცხადება მათი მფლობელის მიერ, დაკარგვისა თუ სხვა რაიმე მიზეზის გამო.

მოსაკრებელი – აუცილებელი გადასახადი ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური თუ იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათთვის კანონით განსაღვრული საქმიანობის განხორციელებისა თუ სარგებლობის უფლების მინიჭებისათვის. აგრეთვე, სახელმწიფო ორგანოების მიერ გაწეული გარკვეული მომსახურებისათვის. მოსაკრებლის გადახდის ზოგადი პრინციპები განსაზღვრულია საქართველოს 1998 წლის 8 თებერვლის კანონით მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ.

მტკიცე ფასი – უცვლელი ფასი – ხელშეკრულების დადების მომენტიდან მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში. გრძელვადიან გარიგებაში მხარეები ჩვეულებრივ გაურბიან მტკიცე ფასებს, რითაც ცდილობენ შეამცირონ დანაკარგები საბაზრო ფასების შეცვლის შემთხვევაში. მტკიცე ფასების დაწესება ხელსაყრელია გამყიდველისათვის ფასების დაცემისას, ხოლო მყიდველისათვის – ფასების გაზრდისას.

მყიდველის ბაზარი – სიტუაცია ბაზარზე, როდესაც მოწოდება აღემატება მოთხოვნას, რის გამოც ფასი ეცემა.

ნ

ნაფიც მსაჯულთა სასამართლო – 2008 წლიდან ძალაში შედის „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო", რომელიც უსენაეს სასამართლოში ამოქმედდება. ნაფიცი მსაჯული არ უნდა იყოს 70 წლის ასაკს გადაცილებული პირონება, ასევე შესაფერისი არ უნდა ჰქონდეს ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები. საქმის განხილვაში, პროცესზე მონაწილეობს 12 ნაფიცი მსაჯული და 2 სათადარიგო. ნაფიც მსაჯულს არ მოეთხოვება უმაღლესი იურიდიული განათლება, იგი შეირჩევა საზოგადოების მასებიდან, დაწყებული – დიასახლისიდან, დამთავრებული – მეცნიერით.

ნორმალური (ლათ. სახელობითი) 1. რაც გამოხატულია ამა თუ იმ ფულადი ღირებულებით, რაც აღნიშნულია რაიმეზე მაგ. ნომინალური ფასი. ნომინალური ხელფასი – ფულით გამოხატული ხელფასი (რეალური ხელფასთან შეპირისპირება) 2. რასაც ან ვისაც მხოლოდ სახელი ჰქვია, მაგრამ არ ასრულებს თავის დანიშნულებას, მოვალეობას, მაგ. ნომინალური რუდაქტორი.

ნომენკლატურა (ლათ.) – სია ტერმინთა და სახელწოდებათა, რომელიც იხმარება მეცნიერების, ხელოვნების, წარმოების და სხვათა ამა თუ იმ დარგში.

ნოტა (ლათ. ნიშანი, შენიშვნა) - ერთი ქვეყნის მთავრობის წერილობითი დიპლომატიური მიმართვა მეორე ქვეყნის მთავრობისადმი.

ნულიფიკაცია (ლათ. მოსპობა) – ძალის, მნიშვნელობის დაკარგვა რაიმესათვის, გაფუჭება რისამე.

ო

ობსტრუქცია (ლათ. შეფერხება, დაბრკოლება) – სხდომის, კრების, ვისიმე გამოსვლის ჩაშლა წამოძახილებით, ხმაურით, გრძელი, უსაგნო სიტყვების წარმოთქმით და მისთ.

ობლიგო (იტალ. ვალდებულება) – 1. საწარმოს საერთო დავალიანების ჯამი თამასუქების მიხედვით. 2. ბანკში არსებული პირადი ანგარიშების დავთარი, რომელშიც შეაქვთ ცალკეულ პირთა დავალიანება ამ ბანკში აღძრული თამასუქების მიხედვით.

ოკუპაცია (ლათ.) და **ოკუპირება** - რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნების ტერიტორიის დროებითი დაკავება.

ოლიგპსონია – ეკონომიკური სიტუაცია, როდესაც ბაზარზე – რამდენიმე მყიდველი და მრავალი გამყიდველია. საპირ. ოლიგოპოლია.

ომბუცმენი – (შვედ.) სახალხო დამცველი

ორდალია – (ლათ.) შუა საუკუნეებში: ბრალდებულის წამება გახურებული შანთით, მდუღარე წყლით და მისთა-

ნებით. მისი დამნაშავეობა – უდანაშაულობის გასარკვევად; თუ წამებას გაუძლებდა, გამართლებულად ჩათელიდნენ.

ოფისი (ინგ.) –კანტორა, უწყება, სამმართველო.

ოქტროირებული კონსტიტუცია (ფრანგ. ჩუქება) – კონსტიტუცია, რომელსაც გამოსცემს სახელმწიფოს მეთაური წარმომადგენლობითი ორგანოების (პარლამენტი) მონაწილეობის გარეშე.

ოფერტა (ლათ). წინადადების შეთავაზება – 1. გარიგების შესახებ წინადადების ფორმალური შეთავაზება ამა თუ იმ პირისათვის ყველა აუცილებელი პირობის მითითებით. 2. გარკვეული ფორმის ოფიციალური განაცხადი საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის შესახებ. ვაჭრობის ორგანიზატორი თვითონ ადგენს ოფერტის ფორმას, საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, საჭირო დოკუმენტების სიას და უგზავნის მათ ოფერეტებს – ვაჭრობაზე მოწვეულ კომპანიებს, ფირმებს. ჩვეულებრივ, ოფერეტის წარდგენის ვადაა სამი თვე და ზოგჯერ მეტიც.

ოხრანკა – (რუს. დამცველი განყოფილება) მეფის რუსეთში: საიდუმლო პოლიციის ორგანო.

პ

პარანომია – (ბერძ. უკანონობა) – კანონებში არსებული წინააღმდეგობა.

პასივი – (ლათ. ვნებითი, უმოქმედო) – (ბუღალტ). წარმოების ვალებისა და ვალდებულებათა ერთობლიობა (საპირისპირო აქტივი).

პაშალური გადასახადი – სალიცენზიო გასამრჯელოს მტკიცედ ფიქსირებული თანხა ერთდროული გადარიცხვის ფორმით.

პანამა – თანამდებობის პირების მოსყიდვასთან დაკავშირებული მსხვილი თაღლითობა.

პატენტი – (ლათ. ღია, აშკარა) – 1. მოწმობა, რომელიც ადასტურებს გამომგონებლის განსაკუთრებულ უფლებას გამოგონებაზე. 2. მოწმობა, რომელიც იძლევა კერძო ვაჭრობის ან რეწვის უფლებას.

პატრიარქი – (ბერძ.) – 1. ავტოკეფალიის მქონე მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირის ტიტული; ამ ტიტულის მქონე პირი. 2. (ეთნ.) გვარის ფუძემდებელი, წინაპარი, მამათავარი. 3. გვაროვნულ საზოგადოებაში, გვარის უფროსი, მამა-

სახლისი. 4. გადატანით იტყვიან მოღვაწეობის რაიმე დარგის უხუცეს წარმომადგენელზე, რისამე ფუძემდებელზე.

პატრიმონიალური (ლათ.) – (სამართ.) – მემკვიდრეობითი, გვაროვნული.

პერსონა – (ლათ.) – პირი,. პიროვნება. პერსონა გრატა (ლათ.) – სასურველი პიროვნება) – ამა თუ იმ სახელმწიფოში დიპლომატიურ წარმომადგენლად გასაგზავნი პიროვნება, რომლის კანდიდატურაც სასურველადაა მიჩნეული ამ სახელმწიფოს მთავრობის მიერ. პერსონა ნონ გრატა (ლათ. არასასურველი პიროვნება, რომლის კანდიდატურა არასასურველად არის მიჩნეული, უარყოფილია.

პიონერი – (ფრანგ.) – 1. ადამიანი, რომელმაც პირველმა შეაღწია გამოუკვლევ ქვეყანაში და დასახლდა იქ. 2. პირი, რომელმაც მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ტექნიკაში და სხვა გაკაფა ახალი გზები; რისამე წამომწყები. 3. ბავშვთა ნებაყოფლობითი კომუნისტური ორგანიზაციის წევრი.

პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა – საქართველოს კანონმდებლობით, დროებითი საგანგებო ღონისძიება, რომელიც საკრებულოს დათხოვნის, საქმიანობის შეჩერების, მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ან კანონით დადგენილი წესით საკრებულოს აურჩევლობის შემთხვევაში, მოსახლეობის მოთხოვნის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში სახელმწიფო ინტერესების დაცვას და კანონმდებლობით განსაზღვრული ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტას. პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების ფორმები და წესი განსაზღვრულია საქართველოს 1999 წლის 19 ივნისის კანონით პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის შესახებ.

პირვალადი ბაზარი – ბაზარი, სადაც ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ხორციელდება მათი ემიტენტების მიერ.

პირველი ბირავნობის სიგელი – უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი ნაწილი, რომელიც ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში კრედიტორს აძლევს უპირატეს უფლებას დაგირავებული ქონების გაყიდვის შედეგად მისაღებ შენატანებზე.

პრინციპი – (ლათ.) – მთავარი, ძირითადი მეველე ვალდებულებაში, პირი, რომ-

ლის სახელითაც მოქმედებს ავტორი.

პრომპტი – სასწრაფოდ დადებული ჩარტერი.

პოლისი – (ფრანგ.) სიცოცხლის, ქონების და სხვ. დაზღვევის მოწმობა.

პოლიტოლოგია (ბერძ. მოძღვრება) – მეცნიერების განსაკუთრებული დარგი, რომელიც შეისწავლის სახოგადოების პოლიტიკურ ორგანიზაციასა და პოლიტიკურ ცხოვრებას, საშინაო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემებს.

პორნოგრაფია (ბერძ. გარყვნილი) – სქესობრივი აღვირახსნილობისა და გარყვნილების გამოხატვა (ლიტერატურაში, მხატვრობაში, კინემატოგრაფიაში), უწმაწური სურათები, ლიტერატურა და სხვ.

პოტენცია – (ლათ. ძალა) – ფარული შესაძლებლობა, უნარი, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს სათანადო პირობებში.

პრაისკურანტი (გერმ.) – გასაყიდი ფასების ცნობარი, იგივეა, რაც პრეისკურანტი.

პრეზენტაცია (ლათ.) – წარდგენა, წარმოდგენა.

პრეზერვაცია (ლათ.) – შენახვა, დაცვა რისამე.

პრეზუმცია (ლათ.) – 1. (წიგნი) – ვარაუდზე დამყარებული მოსაზრება. 2. (სამართ.) რაიმე ფაქტის აღიარება სარწმუნოდ, სანამ არ დამტკიცდება მისი მცდარობა.

პრეისტორია – საზოგადოების განვითარების უძველესი ხანა, რომლის შესახებ წერილობით ძეგლები არ მოიპოვება წინარე ისტორია.

პრეფექტი (ლათ.) – ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც, როგორც წესი, თანამდებობაზე ნიშნავს ცენტრალური ხელისუფლება. თანამდებობის პირი, რომელიც ხედამხედველობდა პრეფექტურებს.

პრეტენდენტი – (ლათ.) პირი, რომლიც პრეტენზიას აცხადებს რამეზე; რაიმე უფლების მაძიებელი

პრეცედენტი (ლათ. წინამაგალი) 1. შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს ნიმუშს ან გამართლებას შემდეგ დროინდელი მსგავსი შემთხვევებისთვის. უპრეცედენტო – ისეთი, რომლის მსგავსი ადრე არ ყოფილა. 2. (სამართ.) სასამართლოს ან სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოს ადრინდელი გადაწყვეტილება, რომელიც მიღებუ-

ლია ნიმუშად სხვა მსგავსი საკითხების გადაწყვეტის დროს.

პრივილეგია (ლათ.) – განსაკუთრებული უფლება, რომელიც მონიჭებული აქვს ვისმე სხვებისაგან განსხვავებით; უპირატესობა.

პრივატიზება – განსახელმწიფოებრიობა – სახელმწიფო ქონების სასყიდლით ან უსასყიდლოდ გადაცემა კერძო პირებისა თუ ორგანიზაციების საკუთრებაში, რის შედეგად სახელმწიფო კარგავს პრივატიზებული ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას. საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების განხორციელების ძირითადი პრინციპები განსაზღვრულია საქართველოს 1997წლის 30 მაისის კანონით „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“.

პრიორატი – (იტალ.) საქალაქო მმართველობის ორგანო, რომლებშიც ხელისუფლება პოპალანებს ეკუთვნოდათ იტალიაში.

პრიორიტეტი (გერმ.) – 1. პირველობა მეცნიერულ აღმოჩენაში, გამოგონებაში, გამოკვლევაში და მისთ. 2. უპირველესი მნიშვნელობა, უპირატესობა.

პროკონსული – (ლათ.) ძველ რომში; პროვინციის მმართველი.

პროკურისტი – (ლათ. ვმართავ, განვაგებ ვისიმე სახელით) სავაჭრო ფირმის რწმუნებული, რომელსაც მინდობილი აქვს გარიგების დადება.

პრომულგაცია – (ლათ.) (სამართ.) – რაიმე სახელმწიფო აქტის გამოქვეყნება.

პრორογაცია – (ლათ. განგრძობა, გახანგრძლივება) სახელმწიფო მეთაურის (მონარქის ან რესპუბლიკის პრეზიდენტის) – უფლება გადადოს პარლამენტის სესია.

ჟ

ჟირო – (იტალ.) (პოლ) – ევროპის ქვეყნებში: ქალაქის თვითმმართველობის შენობა.

ჟიროცენტრალი – საკრედიტო დაწესებულება, რომელიც კომუნალური შემნახველი ბანკებისთვის ცენტრალური ბანკის ფუნქციებს ასრულებს.

ჟოგორკუ კენეში – ყირგიზეთის რესპუბლიკის ერთპალატიანი პარლამენტის სახელწოდება.

რ

რანტიე – (ფრანგ.) – პირი, რომლისთვისაც საარსებო წყაროა სესხად გაცემული კაპიტალის პროცენტი, ან ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული შემოსავალი.

რატუშა (პოლ.) – ევროპის ქვეყნებში: ქალაქის თვითმმართველობის შენობა.

რევერსი – ქონების დაბრუნება თავდაპირველი მფლობელისთვის.

რევერსია (ლათ.) – ქონების დაბრუნება თავდაპირველი პატრონისთვის. კრედიტორისათვის დროებით გადაცემა რაიმე ფასეულობის, რომელიც დაბრუნებული უნდა იქნეს ვალდებულების განაღდების შემდეგ.

რევოკაცია – რაიმე დავალებისა თუ განკარგულების, ბრძანების გაუქმება. საფინანსო სამართალში რევოკაცია ეწოდება ჩეკის მიმცემის წინადადებას გაცემული ჩეკის გაუქმების შესახებ.

რეემიგრაცია – ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნება.

რეესტრი – (რუს.) – 1. სია, ნუსხა, აღწერა. 2. საქმეებისა და დოკუმენტების ჩასაწერი დავთარი.

რევორკაცია – (ლათ. გაწვევა, გამოწვევა) – 1. (დიპლ.) ელჩის ან სხვა წარმომადგენლის გამოწვევა სხვა სახელმწიფოდან თავის ქვეყანაში. 2. (ვაჭრ.) წინათ გაცემული განკარგულების, ბრძანების გაუქმება.

რეზიუმე – (ფრანგ.) – შრომის, მოხსენების, სტატიის და მისთანების. მოკლე შინაარსი, დასკვნა.

რეკლამაცია – (ლათ. უკმაყოფილება) – 1. უკმაყოფილების გამოხატვა, პრეტენზია, საჩივარი. 2. (ვაჭრ.) პრეტენსია საქონლის დაბალი ხარისხის გამო და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა.

რეკრედენტივი – (გერმ.) – 1. მთავრობის სიგელი დიპლომატიური წარმომადგენლის უკან გამოწვევის შესახებ. 2. საბუთი, რომელიც აუქმებს აკრედიტივს.

რელაცია – (ლათ. ცნობა, მოხსენება) – 1. მეთაურის ცნობა საომარი მოქმედების მიმდინარეობის შესახებ. 2. ვისიმე საბრძოლო გმირობის წერილობითი დახასიათება ჯილდოზე წარსადგენად.

რეპრესია – (ლათ. დათრგუნვა) – სახელმწიფოს ორგანოების მიერ მიღებული დასასჯელი ზომა, დასჯა.

რესპოდენტი – (ლათ. პასუხს ვაძლევ) – ვისაც შეკითხვებით მიმართავენ.

რეფერატი – (ლათ. ვაუწყებ, მოვახსენებ) – 1. მოკლე წერილობითი ან ზეპირი გადმოცემა მეცნიერული ნაშრომისა, წაკითხული შინაარსისა და სხვ. 2. მოხსენება, რომელშიც მოცემულია რაიმე საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა.

რეფერენცია – (ლათ. ვაცნობებ). 1. ცნობა სამსახურის შესახებ, ახრის გამოთქმა, გამოხმაურება. 2. (კომერც) – ფირმის, დაწესებულების და მისთანების გადახდის უნარიანობის დამოწმება, დადასტურება, რეკომენდაცია.

რეიმპორტი – (ლათ.) – საზღვარგარეთიდან სამამულო წარმოების საქონლის (გაუსაღებლობის, დაწუნებულის და ა.შ. ან დროებით გატანილის, მაგალითად, გამოფენაზე) უკან შემოტანა.

რემიტენტი – (ლათ. გამგზავნი), რომელსაც უხდიან თამასუქში აღნიშნულ თანხას. რემიტენტი შეიძლება იყოს როგორც მესამე პირი, ისე ტრასანტი.

რეცეპისა – (ლათ. მიღება) – საქონლის მიღების წინასწარი სასაღებო ხელწერილი.

როიალტი – სალიცენზიო გასამრჯელო პერიოდული გადარიცხვის ფორმით ლიცენზირებული ტექნოლოგიით დამზადებული პროდუქციის გაყიდვით მიღებული თანხიდან.

რიმესა – (იტალ. ფულის გადაცემა, ჩაბარება) –. ყოველი თამასუქი, რომლითაც უნდა მიიღონ ფული.

ს

საბაჟო მოსაკრებელი – ფიზიკური და იურიდიული პირის სავალდებულო ფულადი შენატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც ახდევინებენ საბაჟო ორგანოები საქონლის, სატრანსპორტო საშუალებების მიერ საბაჟო სასაღვრის გადაკვეთისას განხორციელებული სავალდებულო საბაჟო პროცედურისათვის და ლიცენზიის გადაცემისათვის. საბაჟო მოსაკრებლის გადახდევინებასთან დაკავშირებული ურთიერთობა მოწესრიგებულია საქართველოს 1998 წლის 18 თებერ-

ელის კანონით საბაჟო მოსაკრებლების შესახებ.

საბანკო აქცეპტი – მსხვილი ბანკების მიერ აქცეპტირებული გადასაპირებელი თამასუქი. თამასუქის აქცეპტირებისათვის ბანკი იღებს საკომისიოს.

საბირავნო ფურცელი – ფასიანი ქაღალდის ნაირსახეობა, რომელსაც უშვებს იპოთეკური ბანკი გრძელვადიანი სესხის გასაცემად უძრავი ქონების დაგირავების საფუძველზე.

საბადასახადო კოდექსი – კოდიფიცირებული საკანონმდებლო აქტი, სადაც გადმოცემულია საგადასახდო სამართლის ძირითადი პრინციპები და დებულებები. საგადასახადო კოდექსი მიღებულია 1997 წლის 13 ივნისს და ამოქმედდა იმავე წლის 8 აგვისტოდან. კოდექსი შედგება 15 კარის, 48 თავისა და 273 მუხლისგან.

საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები – ესაა ერთერთი აუცილებელი თეორიული საგანი, რომლის შესწავლის გარეშეც შეუძლებელია სამართლის სისტემის ოჯახთა კლასიფიკაცია და ქართული სამართლის ოჯახის კუთვნილების განსაზღვრა საერთაშორისო სამართლის სისტემათა ოჯახში.

საექსპორტო ლიზინგი - მანქანების, მოწყობილობებისა და სხვა ქონების არენდა - გაცემული უცხოელ, იურიდიულ ან ფიზიკურ პირებზე.

სავალუტო არბიტრაჟი - უცხოური ვალუტის ყიდვა ერთ ვალუტის ბაზარზე იმავდროულად მეორეზე მისი გაყიდვის მიზნით. სხვადასხვა ბაზარზე ვალუტის კურსის სხვაობის საფუძველზე მოგების მისაღებად.

სავალუტო დემპინგი - საქონლის გატანა გაუფასურებული ვალუტის მქონე ქვეყნიდან უფრო მტკიცე ან ნაკლებად გაუფასურებული ვალუტის მქონე ქვეყანაში მსოფლიო ბაზარზე დაბალი ფასით.

სავალუტო კლირინგი – სამთავრობოთაშორისო შეთანხმება შემხვედრი მოთხოვნებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლის შესახებ, საქონლის მოწოდებისა და გაწეული მომსახურების ღირებულებითი ტოლფასოვნების საფუძველზე.

საიმპორტო კვოტა – საგარეო ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირების ფორმა, რომელიც გულისხმობს ქვეყანაში გარკვეული სახის სა-

ქონლის შემოტანაზე რაოდენობრივი შესღუდვის დაწესებას.

საკუთრება – ყველაფერი ის, რასაც აქვს ფასი, და ეკუთვნის ვინმეს.

სამომხმარებლო კალათა – ადამიანის ძირითადი ფიზიოლოგიური და სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი სამომხმარებლო საქონლისა და მომსახურების ნაკრები.

სასაქონლო ნიშანი – დადგენილი წესით რეგისტრირებული, ორიგინალურად გაფორმებული, გრაფიკული, ასობრივი ან სხვაგვარი ნიშანი. გამოიყენება სხვადასხვა საწარმოთა მიერ წარმოებული ერთგვაროვანი საქონლის ერთმანეთისაგან განსასხვავებლად. სავაჭრო ნიშნის ორი სახე არსებობს: 1. სავაჭრო მარკა-ნიშან- სიმბოლო, სიტყვა ან უკანასკნელთა შეერთება, რომელიც მიუთითებს საქონლის მწარმოებელზე. 2. სავაჭრო სახელწოდება - საქონლის მწარმოებლის სახელწოდება, რომელიც ეკუთვნის არა გამოშვებულ პროდუქციას, არამედ თვით ფირმას. სასაქონლო ნიშნები დაცულია კანონით.

სატრანზიტო გადასახადი – საბაჟო გადასახადი, აკრეფილი მოცემული ქვეყნის ტერიტორიის გაელით ტრანზიტით ტვირთის გადაზიდვისათვის.

საშრახტო განაკვეთი – საზღვაო გადაზიდვის ფასი, რომელიც მოიცავს დანახარჯებსა და საშუალო მოგებას.

სახელმწიფო ფიასკო – სიტუაცია, რომლის დროსაც სამთავრობო პოლიტიკა იწვევს რესურსების არაეფექტიან გამოყენებას.

სალდო (იტალ.) – სხვაობა შემოსავლისა და გასავლის (დებეტისა და კრედიტის) ჯამებს შორის.

სინიორია – (იტალ.) – იტალიის ქალაქ-კომუნებში მე-13-14სს სახელმწიფო თვითმმართველობის ორგანო. იტალიაში მე-13-16სს. პოლიტიკური წყობის ფორმა სოგ ქალაქ-სახელმწიფოში; მთელი სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლება თავმოყრილი იყო ერთპიროვნული მმართველის ტირანის ხელში.

სოდომ და გომორა – ითქმის დიდი გარყვნილების, არეულ-დარეულობის, აურ'საურის შესახებ ორი ბიბლიური ქალაქის სახელების მიხედვით, რომელთა მცხოვრებლებიც გამოირჩეოდნენ გარყვნილებით.

სეპარატიზმი – (ლათ. დაშორებული) – სწრაფვა განცალკევებისაკენ, განკერძოებულობისაკენ.

სუბვენცია (ლათ. დახმარება) – სახელმწიფოს ფინანსური დახმარება ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ან მეურნეობის ცალკეული დარგებისადმი, გაწეული განსაზღვრული მიზნისათვის მიზანდასახული დოტაცია.

სუროგატი (ლათ. სხვის მაგივრად) – შემცვლელი, რომელიც ფლობს შესაცვლელი საგნის, პროდუქტის, ზოგიერთ თვისებას.

სპონსორი (ინგ.) – რისამე მომწყობი, ორგანიზატორი.

სტიგმა – სტიგმატები (ბერძ.) – (ნაჩხვლეტი, დაღი, ნიშანი). 1. ძველ საბერძნეთში: მონის ან დამნაშავის სხეულზე დასმული დამღა. 2. იმ ადგილებზე, სადაც სახარების მიხედვით იესოს ვნება განუცდია ეკლის გვირგვინით ან ლურსმნებით მორწმუნეებს ფანატიკური თვითშთაგონებისაგან მართლა უჩნდებათ ასეთი ნაჩხვლეტები და ღრმულები.

სტორტინგი – (ნორვეგ.) ნორვეგიის პარლამენტი.

სტრიპტიზი (ინგ.) – წარმოდგენა, რომელშიც მსახიობი ქალი თანდათანობით იხდის ტანისამოსს, შიშველდება.

სუფსიდია (ლათ. დახმარება) – ფულადი ან ნივთიერი დახმარება, რომელიც ეწევა სახელმწიფო ადგილობრივ ორგანოებს, ფირმებს, ცალკეულ პირებს ან სხვა სახელმწიფოებს.

სუპენატორი - (ლათ. უკან გადაგდება, გადაყირავება) – ორთოპედიული საფენი, რომელსაც დებენ ფეხსაცმელში ბრტყელტერფიანობისას.

სფინქსი (ბერძ.) – 1. ძველ ეგვიპტეში: უსარმაზარი ქვის ფიგურა – ადამიანის თავის მქონე მწოლიარე ლომი (ფარაონის ძლიერების განსახიერება). 2. ბერძნულ მითოლოგიაში: ფრთოსანი არსება, რომელსაც ტანი ლომისა აქვს, თავი და მკერდი, ქალისა. 3. (გადატ.) საიდუმლოებით მოცული ვინმე ან რამე. 4. ვიწროცხვირიანი მაიმუნი პავიანების გვარისა. 5. ეროგვარი პეპელა.

სქიზმა (ბერძ.) – მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიაში: განხეთქილება, ერთიანი ეკლესიიდან რაიმე ნაწილის გამოყოფა.

სქოლიო (ბერძ.) – შენიშვნა, განმარტება, დამატებითი ტექსტი, რომელიც მოთავსებულია ძირითადი ტექსტის, ქვეშ გვერდის ბოლოში.

ტ

ტაუერი (ინგ.) ლონდონში: მე-16-17 ს-მდე – მეფის ციხე – დარბაზი: შემდეგ მე-19 ს-მდე სახელმწიფო საპატიმრო, რომელშიც ამწყვდევდნენ განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეებს, - ამჟამად – სამხედრო ისტორიული მუზეუმი.

ტაიმ-შიტი – სასღვაო დოკუმენტი, რომელშიც ზუსტად არის ფიქსირებული სასღვარგარეთის ქვეყნებში სასღვაო გადაზიდვის ჩასატვირთ – გადმოსატვირთი დროის დანახარჯები.

ტერმინატორი (ლათ.) საზღვარს ვყოფ, ვავლებ.

ტერორი (ლათ. შიში, საშინელება) – პოლიტიკური და კლასობრივ მოწინააღმდეგესთან ანგარიშის გასწორება ძალადობით (მოკვლითაც).

ტესტი (ინგ. გამოცდა, გამოკვლევა) – 1. სტანდარტული ფორმის მოკლე ამოცანა, რომელსაც აძლევენ ცდისპირს მისი გონებრივი განვითარების, მიდრეკილებათა და პიროვნების სხვა მხარეების გამოსაკვლენად. 2. ანკეტა (კითხვარი), რომელსაც ავრცელებენ როგორც მასალას კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის მიზნებისათვის.

ტეზავრაცია (ბერძ. განძი, მარაგი) – კერძო პირების მიერ მიმოქცევიდან ძვირფასი ლითონების, მონეტებისა და ბანკნოტების ამოღება მათი დაგროვების მიზნით.

ტოლერანტობა (ლათ.) – მომთმენი, შემწყნარებული. სხვისი აზრების რწმენის შემწყნარებლობა.

ტოტალიტარული (ფრანგ) – სადაც, რის დროსაც აშკარა ტერორისტული დიქტატურაა; მაგ. ტოტალიტარული რეჟიმი, ტოტალიტარული სახელმწიფო; იგივე ტოტალიტარიზმი.

ტოტალური (ფრანგ.) – ყოვლის მომცველი, საყოველთაო, მაგ. ტოტალური ომი.

ტრანსფერტი (ფრანგ.) – 1. უცხოური ვალუტის ან ოქროს გადაგზავნა ერთი ქვეყნიდან მეორეში. 2. სახელობით ფასიან ქაღალდებზე უფლების გადაცემა ერთი პირის მიერ მეორისათვის. 3. სახელმწიფოთა შორის მოსახლეობის გაცვლა საერთაშორისო

შეთანხმების საფუძველზე, მოქალაქეობის ავტომატური შეცვლა. 4. სპორტსმენების (მაგ. ფეხბურთელების) ყიდვა – გაყიდვა.

ტრანსფერტული (ფინან.) გადასაგზავნი.

ტრაქტატი (ლათ. განხილვა) – 1. მეცნიერული შრომა, რომელშიც განხილულია რაიმე ცალკეული საკითხი, პრობლემა. 2. საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება.

ტრეველერს ჩეკი (ინგ.) „მოგზაურის ჩეკი" - ფული, აკრედიტივი, რომლითაც სარგებლობენ საზღვარგარეთ ყოფნის დროს. ამ დოკუმენტით ფულის მიღება შეიძლება ყოველ პუნქტში სადაც კი ბანკია.

ტრანსაქცია (ლათ. გარიგება, შეთანხმება) – საბანკო ოპერაცია, რომელიც გულისხმობს ფულადი სახსრების გადაგზავნას რაიმე მიზნით.

ტრანსდორტი – ბანკის გზავნილი ან წერილობითი ბრძანება თავისი კორესპონდენტისადმი ბრძანებაში მითითებული პირის სახელზე გარკვეული თანხის გაცემის შესახებ.

ტრანსპერტული ფასი – შიდასაფირმო საანგარიშსწორებო ფასი, რომელსაც იყენებენ „ჭედა" და „ქალიშვილ" კომპანიებს, საზღვარგარეთული ფილიალებს შორის ანგარიშწორებისას შიდა-საფირმო მიწოდების ფასები კონფიდენციალურია.

უ

უარყოფითი გადასახადი – დოტაცია, სუბსიდიცია.

უპატენტო ლიცენზია – ლიცენზია ნოუ ჰაუს გამოყენებაზე, გამოგონებაზე პატენტის გარეშე.

უტილიტარიზმი (ლათ. სარგებლიანობა) – 1. იდეალისტური ფილოსოფიურ – ეთიკური მოძღვრება, რომლის მიხედვითაც ადამიანის მორალს საფუძვლად უდევს სარგებლიანობის პრინციპი. 2. მისწრაფება იმისაკენ, რომ ყველაფერში ნახონ სარგებლობა, გამორჩნენ რაიმეს.

უტრირება (გერ.) – (წიგნ.) მეტის მეტად გახასვა, რისამე, გაზვიადება; უკიდურესობამდე მიყვანა და მათი დამახინჯება.

ფ

ფავორიტი (ფრანგ.) – 1. ადამიანი, რომელიც სარგებლობს მაღალი თანამდებობის მქონე, გავლენიანი პირის კეთილგანწყობით, მფარველობით. 2. (მოძვ.) მეფის ან დედოფლის სახელური 3 (სპორტ.) რაიმე შეჯიბრებაში; სპორტსმენი (დოლში: ცხენი), რომელსაც ყველაზე მეტი შანსი აქვს პირველი ადგილის დაკავების.

ფასების მაკრატელი - საერთაშორისო ვაჭრობაში ფასების დონისა და დინამიკის დაშორება საქონლის ცალკეული ჯგუფებისაგან პირველ ყოელისა, მზა პროდუქციისა და სათბობ – სანედლეულო საქონლისაგან.

ფატალური (ლათ.) (წიგნ.) – საბედისწერო, გარდაუვალი.

ფასიანი ქაღალდების დეპოზიტარიუმი (ფრანგ.) – (დეპოზიტორი, შემნახველი) ორგანიზაცია, რომელიც ინახავს ფასიან ქაღალდებს კლიენტების დავალებით და ახდენს მათი უფლების რეალიზაციას ამ ქაღალდებით.

ფედერალური ბიუჯეტი – საერთო-სახელმწიფოებრივი ბიუჯეტი ფედერაციული სახელმწიფო წყობილების ქვეყნებში (აშშ, გერ, შვეიცარია და სხვ.)

ფედერალიზმი (ფრანგ.) – 1. სახელმწიფო წყობილების ფედერაციული სისტემა; რისამე სტრუქტურა, დამყარებული ფედერაციის პრინციპებზე. 2. პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ცდილობს ასეთი სისტემის შექმნას.

ფეოდალიზმი – (ფრანგ.) – 1. საზოგადოებრივი წყობილება, რომლის დროსაც ფეოდალს მთლიანად ეკუთვნის წარმოების საშუალებები და არასრულად ეკუთვნიან მიწათმოქმედი ყმა გლეხები. 2. ფეოდალის უფლება – განახორციელოს სახელმწიფო მმართველობა თავის ტერიტორიაზე.

ფიუჩერული გარიგება – გარიგების სახე, საქონლის ან საფონდო ბირჟაზე გულისხმობს საქონლის ან ფასიანი ქაღალდის წინასწარ შესყიდვას. ფიუჩერული გარიგების პირობა ითვალისწინებს საქონლის რეალიზაციას კონტრაქტში მითითებული ფასით გარიგების დადებიდან განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ.

ფილანტროპია - (ბერძ.) ქველმოქმედება, მოწყალეობა, კაცთმოყვარეობა.

ფირმა (იტალ.) – იურიდიული პირის უფლების მქონე სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო, რომლის მარკითაც იყიდება საქონელი ან გამოდის ნაწარმი.

ფირმანი (სპარს.) – ირანის შაჰის, ძველი თურქეთის (ოსმალეთის) სულთნის და ზოგი სხვა მაჰმადიანური ქვეყნის მმართველის ბრძანებულება.

ფიქსი (ლათ. მტკიცე, უძრავი, უცვლელი) – 1. საქონლის დადგენილი ფასი. 2. ზუსტად განსაზღვრული თანხა რაიმე სახის სამუშაოს ანაზღაურებისა, გასამრჯელოსი.

ფოლიო (ლათ. ფურცელში) 1. იგივეა რაც ინფოლიო. 2. საბუღალტრო საანგარიშო წიგნის მარჯვენა და მარცხენა გვერდები, რომელთაც იგივე რიგითი ნომრები აქვს.

ფრანჩაიზინგი (ფრანგ. შეღავათი, უპირატესობა) – სახელშეკრულებო ურთიერთობათა სისტემა, რომლის საფუძველზეც მსხვილი და ცნობილი ფირმა განსაკუთრებული უფლებამოსილებით აღჭურავს მცირე, დამოუკიდებლად მოქმედ ან ახალ შექმნილ საწარმოს, რაც კონკრეტულად გამოხატულებას ჰპოვებს გარკვეული სახის საქონლისა მომსახურების წარმოებისა და რეალიზაციის დროს საკუთარი სავაჭრო მარკებით სარგებლობის უფლების მინიჭებაში. სახელშეკრულებო ურთიერთობა მათ შორის აგებულია შემდეგნაირად: მეთაური კომპანია საწარმოო ოპერატორისაგან მოითხოვს ერთდროულ თაედაპირველ გასამრჯელოს ბაზარზე მისი სახელით მოქმედების უფლებისათვის. რაც შეეხება კაპიტალდაბანდებას, იგი ხორციელდება როგორც მეთაური კომპანიის მიერ ძირითადი კაპიტალის ფირმა – ოპერატორისათვის არენდით გადაცემის გზით, ისე ამ უკანასკნელის საკუთარი ან ნასესხი საშუალებებით. მეთაურ კომპანიას შეუძლია წვრილ მეწარმეს მისცეს შეღავათიანი კრედიტი 2-3 წლის ვადით. აიღოს მისთვის სესხი ბანკში ან იყოს მისი თავდები სესხის მიღებისას. გარდა ამისა, ფრანჩაიზერი სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესულ საწარმოებს უწევს საბუღალტრო და სტატისტიკურ დახმარებას, აძლევს რეკომენდაციებს სავაჭრო ოპერაციების წარმოებასთან დაკავშირებით, ორგანიზაციას უწევს კადრების მომზადებას და სხვ. თავის

მხრივ, ფირმა – ოპერატორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მათ მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ხარისხისათვის, საეჭრო მარკის რეპუტაციისათვის და ა.შ.

ფულადი პოლიტიკა – სახელმწიფოს მიერ ფულის ერთობლივ მოწოდებაში ცვლილებების გატარების პოლიტიკა.

ქ

ქალიშვილ-კომპანია - დედა კომპანიის კონტროლით მომუშავე ფილიალი, სადაც კონტროლი ხორციელდება მონაწილეობის სისტემის მეშვეობით. ე.ი. დედა კომპანია, როგორც ჰოლდინგის როლში მყოფი საზოგადოება, ფლობს ქალიშვილ-კომპანიების აქციების საკონტროლო პაკეტებს. ქალიშვილ-კომპანიებს აქვთ დამოუკიდებელი იურიდიული პირის სტატუსი, მათი რეგისტრირება ხდება მოცემული ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად ადგილსამყოფელის მიხედვით, და ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, სად არის დაფუძნებული დედა-კომპანია.

ქალიშვილ-კომპანიებს აქვთ დამოუკიდებელი საბუღალტრო ბალანსი და საფინანსო დოკუმენტები, ფართო უფლებებით სარგებლობენ საკუთარი მოგების განაწილებაში, მათი რეინვესტიციის ჩათვლით.

ქნესეთი - (ებრ.) – ისრაელის სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო.

ქსენოფილია (ბერძ.) უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიყვარული.

ქსენოფობია – უცხოელებისა და ყოველივე უცხოურის სიძულვილი.

ღ

ღაზავათი (არაბ.) – რეაქციული „წმინდა ომი", რომელიც ყურანის მოთხოვნით უნდა აწარმოონ სხვა სარწმუნოების მიმდევარ ხალხებთან მუსლიმანებმა ისლამის გავრცელების მიზნით. იგივე ჯიხადა.

ღია ვაჭრობა – საერთაშორისო ვაჭრობა, რომელზეც მიწვეულია მონაწილეობის მსურველი ყველა ფირმა და ორგანიზაცია. ჩვეულებრივ, თავს იყრის მონაწილეთა დიდი რაოდენობა, რაც ამძაფრებს კონკურენციას და შემკვეთებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

ყ

ყადაღა - (არაბ. აკრძალვა, აღკვეთა) – სეკვესტრი – აკრძალვა ან შეზღუდვა, დაწესებული სახელმწიფო ორგანოების მიერ რაიმე ქონების გამოყენებაზე ან განკარგვაზე, კონფისკაციის მოხდენა, ჩამორთმევა.

ყალამი (არაბ.) - 1. ლერწმის კალამი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული არაბული ანბანის მქონე ხალხებს შორის. 2. ითქმის მხატვრის ფუნჯზე.

ყურანი (არაბ.) წიგნი, რომელშიც გადმოცემულია მუსლიმანური რელიგიის დოგმები და დებულებები, მუსლიმანური მითები და სამართლის ნორმები.

შ

შედარებითი სისხლის სამართალი – ემსახურება ნაციონალური სამართლის ნორმათა შედარების პროცესს, თანამედროვე დასავლეთის ქვეყნების სამართლის ნორმებთან და ასევე, თანამედროვე სამართლის სისტემების ურთიერთშედარებას ქართული სამართლის ოჯახის როლისა და ადგილის მნიშვნელობის განსაზღვრას, როგორც სამართლის რომანულ-გერმანულ ოჯახში, ასევე ამ სისტემათა შორის.

შოვინიზმი (ფრანგ.) – უკიდურესი ნაციონალიზმი

შიკანერი – არაკეთილსინდისიერი ვაჭარი.

შტანდარტი (გერმ.) - 1. ძველი რუსეთისა და სოგ უცხო ქვეყნის არმიებში: კავალერიული ნაწილის დროშა. 2. სახელმწიფოს მეთაურის (იმპერატორის, პრეზიდენტის) ალამი, რომელსაც აღმართავენ ხოლმე სასახლეზე, სამხედრო ხომალდზე და სხვა მისი იქ ყოფნის დროს.

შუდრა (სანსკრ.) – ძველ ინდოეთში: უმდაბლესი ვარნა-უმიწაწყლო მოჯამაგირეები, ხელოსნები.

შრაიკბრეხერი – (გერმ. დამტვრევა, მოგლეჯა) - პირი, რომელსაც საწარმო მაშინ დაიქირაკებს, როდესაც მისი კოლექტივი გაფიცულია.

ჩ

ჩარტერი – ხელშეკრულება, რომელსაც დებენ გემის მფლობელი და დამქი-

რაებელი მთლიანად გემის ან მისი ნაწილის განსაზღვრული დროის ან გარკვეული რეისისათვის არენდით.

ჩეკი (ინგ.) - 1. დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მეანაბრის განკარგულებას ბანკისადმი, რათა მან მიმდინარე ანგარიშიდან გადაუხადოს ან გადაურიცხოს წარმდგენს გარკვეული თანხა. 2. სალაროში წარსადგენი ქვითარი, რომელსაც აღნიშნულია საქონელში გადასახდელი თანხის რაოდენობა, აგრეთვე, სალაროდან მიღებული ტალონი, რომელიც ადასტურებს, რომ საქონლის ფასი გადახდილია.

ც

ცედენტი (ლათ. ვუთმობ) - სამოქალაქო სამართალში: პირი, რომელიც თავის კუთვნილ უფლებას გადასცემს რომელიმე სხვა პირს.

ცელიბატი - სასულიერო პირთა დაუქორწინებლობა.

ცენტურია (ლათ.) – ძველ რომში: 1. ლეგიონის ნაწილი, სამხედრო ქვეგანაყოფი, რომელიც პირველ ხანებში 100 კაცისაგან შედგებოდა. 2. მოქალაქეთა ჯგუფი, რომელიც იქმნებოდა მოსახლეობის დაყოფისას ქონებრივი ცენზის მიხედვით.

ძ

ძიუდო - (იაპ.) - იაპონური ჭიდაობა თავისუფალი სტილისა

ხ

ხაზინის თამასუქი – სამთავრობო საბაზრო ფასიანი ქაღალდი სამ და ექვს თვიანი, 91-დღიანი და წლიური დაფარვის ვადით.

ხალიფა (არაბ.) – ნაცვალი, მოადგილე - (ისტ.) უმაღლესი ტიტული მუსლიმანთა ფეოდალური მმართველისა, რომელსაც ეპყრა სასულიერო და საერო ხელისუფლება. ამ ტიტულის მქონე პირი.

ხალიფატი (ისტ.). 1. ფეოდალურ მუსლიმანურ ქვეყნებში: სახელმწიფო წყობილების სისტემა, სადაც თეოკრატიული ხელისუფლება იყო. 2. არაბების დაპყრობათა შედეგად შექმნილი ფეოდალური სახელმწიფო, რომლის სათავეშიც ხალიფა იდგა სახალიფო.

ხელფასი – შრომის ფასი დროის ერთეულში.

ხელშეკრულება – შეთანხმება ორ ან მეტ პირს შორის, რომელიც ითვალისწინებს უფლებათა და მოვალეობათა დადგენას, შეცვლას ან შეწყვეტას.

ჯ

ჯობერი-ფირმა – რომელიც შეისყიდის საქონლის დიდ პარტიებს სწრაფად გასაყიდად.

ჯენტლმენი (ინგლ.) – ითქმის ზრდილობიან თავაზიან მამაკაცზე.

ჰ

ჰაბიოგრაფია (ბერძ. წმინდანი და ვწერ) - ქრისტიანული ლიტერატურის დარგი, რომელშიც მოცემულია წმინდანთა ცხოვრების აღწერა. აგიოგრაფია

ჰადესი (ბერძ.) – ბერძნულ მითოლოგიაში: 1. მიწისქვეშა სამეფოს მბრძანებელი. 2. მიწისქვეშა სამეფო; ჯოჯოხეთი.

ჰალუცინაცია – (ლათ.) – (მოტყუება შეცდომა) მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი ან შეხებითი აღქმა რომელიც გამოწვეულია ტვინის მოქმედების დარღვევით (ეწვენებათ არარსებული საგნები, ხმები და სხვა).

ჰარამხანა – (არაბ.) – მდიდარი მუსლიმანის სახლში მისი ცოლებისათვის გამოყოფილი სახლი, ბინა.

ჰარაკირი – (იაპ.) – თვითმკვლელობის წესი იაპონიაში – მუცლის გამოფატერა. (გავრცელებულია სამურაებში)

ჰებემონია – (ბერძ.) – ბელადობა, ბატონობა.

ჰეკატომბე – (ბერძ.) – ძველ საბერძნეთში: 100 ხარის მსხვერპლად შეწირვა, შემდეგში – ყოველგვარი დიდი მსხვერპლის შეწირვა

ჰელიოთერაპია (ბერძ. მზე და მკურნალობა) - მზის სხივებით მკურნალობა.

ჰერადლიკა – (ლათ.) – დამხმარე ისტორიული დისციპლინა, რომელიც გერბებს სწავლობს, გერბმცოდნეობა.

ჰეპი-ენდი – (ინგ.) კეთილი ბოლო – მხატვრული ნაწარმოების (კინოფილმის, რომანის) კეთილი დასასრული.

ჰერმაფროდიტი – ადამიანი, რომელსაც აქვს ორივე სქესის ნიშნები.

ჰეტეროსექსუალიზმი (ლათ.) - 1. სქესობრივი ლტოლვა საპირისპირო სქესის ი-

დივიდისადმი. 2. საპირისპირო სქესის დამახასიათებელი ნიშნების გაჩენა.

ჰიდროგრაფია – (ბერძ.) – მეცნიერება, რომელიც სწავლობს და აღწერს დედამიწის ზედაპირის წყლებს.

ჰიდროფობია (ბერძ.) - წყლის შიში, ცოფი (დაავადება).

ჰიპოტეზა – (ბერძ. ვარაუდი) – რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდი, რომლის უეჭველობა ჯერ არ არის ცდით დამტკიცებული.

ჰობიი – (ინგ.) – რამეთი გატაცება, აჩემებული საქმიანობა, რომელსაც სამუშაოდან თავისუფალ დროს მისდევენ.

ჰომეოპათიური დოზები – იტყვიან რისამე ძალიან მცირე დოზაზე.

ჰომოსექსუალიზმი – (ბერ. მსგავსი) – არაბუნებრივი სქესობრივი ლტოლვა თავისიყვე სქესის პირისადმი.

ჰოროსკოპი – (ბერძ) – ვარსკვლავთა განლაგების ცხრილი, რომელსაც ასტროლოგები ადგენენ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული ამა თუ იმ პიროვნების ბედის საწინასწარმეტყველოდ.

ჰუმანიზმი – (ფრანგ.) – მხედველობა, რომელიც გამსჭვალულია ადამიანის სიყვარულით, მისი ღირსების პატივისცემით. კაცთმოყვარეობა.

ჰუპტვახი – (გერმ.) – დაპატიმრებულ სამხედრო მოსახურეთა მოსათავსებელი სადგომი, შენობა.

ჰაუსკოპლდის ბლოკი – საოჯახო მეურნეობა, რომელიც, ერთი მხრივ, ბიზნესისათვის რესურსების მიმწოდებელთა მექანიკური გაერთიანებაა, ხოლო, მეორე მხრივ, მწარმოებელთა ერთობლიობა, წარმოდგენილი საზოგადოების სახით.

ჰოლდინგი – აქციონერული კომპანია, რომელიც ფლობს სხვა ფირმების, კომპანიების აქციების საკონტროლო პაკეტებს. განასხვავებენ წმინდა ჰოლდინგს, რომლის დანიშნულებაა მხოლოდ კონტროლი და მართვა და შერეულს, რომელიც, ამასთანავე, ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

ჰეროსტრატეს სახელი – საძრახისი საქმით, უღირსი საქციელით განთქმული სახელი (ბერძენი ჰეროსტატის სახელის მიხედვით, რომელმაც სახელის უკვდავყოფის მიზნით 356 ძვ.წ. დაწვა არტემიდა ეფესელის შესანიშნავი ტაძარი).

დაისტამბა გამომცემლობა „ლეგას“ სტამბაში
თბილისი, სანდრო ეულის ქ. № 3